ირაკლი გურდული
გიორგი მახარობლიშვილი
ანა თოხაძე
ნონა ზუბიტაშვილი
გიორგი ალადაშვილი
გვანცა მაღრაძე
დემეტრე ეგნატაშვილი

საკორპორაციო სამართლის სახელმძღვანელო

საკორპორაციო, საბანკო და ეკონომიკური სამართლის ინსტიტუტი
(თსუ იურიდიული ფაკულტეტი)

თბილისი, 2021
გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

წინამდებარე სახელმძღვანელო შედგენილია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალმიღებული კანონის საფუძველზე (ამოქმედების თარიღი: 2022 წლის 1 იანვარი) და გადმოსცემს საკორპორაციო სამართლის ძირითად რაობას, დანიშნულებას, თვისებებსა და კრიტიკას. ქართული უმაღლესი იურიდიული განათლების სინამდვილეში იგი პირველი მცდელობაა იმ საკითხავი მასალის ერთ წიგნში თავმოყრისა, რაც აუცილებელია დარგის ასათვისებლად. ერთგავარი სიახლეა სახელმძღვანელოს პირველი ნაწილიც, „საკორპორაციო სამართლის ზოგადი დებულებები და პრინციპები“ (ავტორი პროფ. ირაკლი ბურდული), რომელიც ქართულ ენაზე ამ სფეროთი დაინტერესებულთათვის დღემდე არ გამოქვეყნებულა. ნაშრომი განკუთვნილია დისციპლინის შემსწავლელი სტუდენტებისა და საერთოდ, მისი დაუფლების მსურველ მკითხველთა ფართო წრისათვის. გასათვალისწინებელია, რომ წიგნის პირველი გამოცემა მოითხოვს ყურადღებით დაკვირვებასა და გამოცდას მისი შემდგომი დახვეწის მიზნით.

© ავტორები, 2021
© გამომცემლობა “იურისტების სამყარო”, 2021

გამომცემლობა „იურისტების სამყარო“
თბილისი, მ. კოსტავას №75; 0171
ტელ:. (+995 032) 238 35 99; (+995) 557 51 51 34
ვებ-გვერდი: www.law.ge
ელ-ფოსტა: info@law.ge
www.facebook.com/PublishingWorldofLawyers

ISBN 978-9941-9778-0-0

სარჩევი

I. ნაწილი - ზოგადი დებულებები და პრინციპები 21
1. თავი - საკორპორაციო სამართალი, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული მატერია.....21
1.1. საკორპორაციო სამართლის ცნება და რეგულირების სფერო 21
1.2. საკორპორაციო სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში.....26
1.2.1. საკორპორაციო სამართლის ძირითადი წყაროები და მისი უპირატესად თვითრეგულირებადი ხასიათი: დისპოზიციურ და იმპერატიულ ნორმათა სისტემა.....27
1.2.2. საკორპორაციო სამართლის მიმართება სამართლის სხვა დარგებთან 30
ა.) ზოგად კერძო სამართალთან.....30
ბ.) სამოქალაქო სამართლის კერძო ნაწილთან 30
გ.) სამეწარმეო სამართალთან.....32
დ.) შრომის სამართალთან.....33
ე.) კაპიტალის ბაზრის სამართალთან.....35
ვ.) ადმინისტრაციულ სამართალთან.....37
ზ.) საგადასახადო სამართალთან.....38
თ.) გადახდისუუნარობის სამართალთან 39
ი.) სისხლის სამართალთან 40
კ.) საკონსტიტუციო სამართალთან 41
1.3. თანამედროვე საკორპორაციო სამართლის ჩამოყალიბება საქართველოში და მისი განვითარების სტადიები.....42
1.4. საკორპორაციო სამართლის პრინციპები 47
1.4.1. საწესდებო ავტონომია.....47
1.4.2. პარტნიორთა თანასწორუფლებიანობა.....48
1.4.3. ფორმის შერჩევის თავისუფლება.....50
1.4.4. საქმიანობის საგნის დადგენის თავისუფლება.....51
1.4.5. პარტნიორობის უფლება 52
1.4.6. საკუთრების უფლების გარანტია.....53
1.4.7. სასამართლოსათვის მიმართვის უფლება.....53
2. თავი - ეკონომიკური საქმიანობა, როგორც ზე-ცნება: ეკონომიკური არასამეწარმეო და ეკონომიკური სამეწარმეო

საქმიანობის არსი; სამეწარმეო საქმიანობის ელემენტები..55
2.1. ეკონომიკური საქმიანობა.....55
2.2. ეკონომიკური სამეწარმეო საქმიანობა.....57
2.2.1. საწარმო და საწარმოს მატარებელი სუბიექტი 57
ა.) საკორპორაციო სამართლის მიხედვით.....57
ბ.) საწარმო საგადასახადო სამართლის მიხედვით.....60
2.2.2. სამეწარმეო საქმიანობის ელემენტები.....62
ა.) მოგების მიზანი.....62
ბ.) მართლზომიერი საქმიანობა.....66
გ.) არაერთჯერადი საქმიანობა 67
დ.) დამოუკიდებელი საქმიანობა.....69
ე.) საქმიანობა ორგანიზებულად.....72
ე.ა.) საქმიანობის განხორციელება მართვის სისტემით 72
ე.ბ.) მიმართული „ურთიერთობის გარეთ გატანისაკენ“.....73
ე.გ.) სახელმწიფოს მხრიდან ლეგიტიმაცია 73
3. თავი - საკორპორაციო სამართალი ფართო და ვიწრო გაგებით 75
3.1. ორგანიზაციული წარმონაქმნები და მათი სოციალურ-ეკონომიკურ-სამართლებრივი მნიშვნელობა 75
3.2. მეწარმე სუბიექტთა ტიპოლოგიური ბუნება 78
3.2.1. ამხანაგური (პერსონალური) ტიპის საზოგადოება 79
3.2.2. კაპიტალური ტიპის საზოგადოება.....81
II. ნაწილი - ამხანაგური (პერსონალური) ტიპის საზოგადოებები.....83
1. თავი - სპს 83
1.1. ლეგალური დეფინიცია და ძირითადი მახასიათებლები; დისპოზიციურობისა და სრული საწესდებო თავისუფლების პრინციპი სპს-ის სამართალში; 83
1.1.1. პერსონალური საზოგადოება 86
1.1.2. საკუთარი ორგანოს კონცეფცია.....89
1.2. საზოგადოების დაფუძნება 90
1.2.1. საზოგადოების ხელშეკრულება 90

1.2.2. სადამფუძნებლო შეთანხმება 93
1.2.3. სადამფუძნებლო შეთანხმების რეკვიზიტები..... 95
1.2.4. რეგისტრაცია 99
1.3. სპს - მართვის პარადიგმა: საკუთარი ორგანოს კონცეფცია და პარტნიორის პირადი პერსონალური ღვაწლი საზოგადოების საქმიანობის განხორციელებაში 100
1.3.1. ძირითადი ცნებები 100
1.3.2. პარტნიორთა კრება 107
ა.) გადაწყვეტილებათა მიღების (როგორც წესი) ერთხმოვანების პრინციპი 111
ბ.) გადაწყვეტილებაუნარიანობა 115
გ.) კრების მოწვევისა და ჩატარების წესი 117
დ.) მოკლედ პარტნიორთა საერთო კრების შეცილება/ბათილობის საკითხისთვის 119
1.4. პარტნიორთა უფლება-მოვალეობები 122
1.4.1. პარტნიორი, როგორც შიდასამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი 122
ა.) სპს-ში პარტნიორული სტატუსის მატარებელი სუბიექტები 124
ბ.) წილი, როგორც სპს-ის პარტნიორული სტატუსის მოპოვების საფუძველი 126
1.4.2. პარტნიორთა არაქონებრივი და ქონებრივი უფლებები 128
ა.) არაქონებრივი (თანა)მმართველობითი უფლებები 129
ა.ა.) კონტროლისა და ინფორმაციაზე წვდომის უფლება 129
ა.ბ.) ხმის უფლება და საერთო კრებასთან დაკავშირებული სხვა უფლებები 131
ა.გ.) გასაჩივრებისა და შესაგებლების წარდგენის უფლება 135
ბ.) ქონებრივი უფლებები (ზოგადად) 138
ბ.ა.) მოგებაში მონაწილეობისა და საზოგადოების ქონების მიღების უფლება 139
ბ.ა.ა.) პარტნიორის მოგებაში მონაწილეობის უფლება 139

ბ.ა.ბ.) საზოგადოების ლიკვიდაციის შემდგომ ქონების მიღების უფლება 143
ბ.ბ.) საზოგადოების ქონების გახარჯვის უფლება 145
ბ.გ.) ხარჯების ანაზღაურებისა და სხვა საკომპენსაციო თანხის მიღების უფლება 147
1.4.3. პარტნიორთა ერთგულების მოვალეობა 148
1.5. საწარმოს მართვა/ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა 151
1.5.1. ხელმძღვანელობის სახეები 154
1.5.2. განსხვავება ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას შორის 157
1.5.3. ხელმძღვანელი ორგანოს ფუნქციონირება 159
1.6. საზოგადოების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მოვალეობები 160
1.6.1. გულისხმიერების მოვალეობა 162
ა.) მართლზომიერებისა და კეთილსინდისიერების ურთიერთმიმართება 163
ბ.) საზოგადოების საუკეთესო ინტერესი ვს. ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელი 166
1.6.2. პასუხისმგებლობა გულისხმიერების მოვალეობის დარღვევისათვის 167
ა.) სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება 170
1.6.3. ერთგულების მოვალეობა 176
ა.) კონკურენციის აკრძალვა 177
ბ.) საქმიანი შესაძლებლობების მისაკუთრების აკრძალვა 180
გ.) ერთგულების მოვალეობების ქვეჯგუფი, რომელსაც კანონი არ არეგულირებს 184
დ.) დუმილის მოვალეობა 186
1.6.4. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდება 186
1.6.5. საკუთარ თავთან გარიგების დადების აკრძალვა 187
1.6.6. ფიდუციური მოვალეობების სუბიექტი 188
1.7. მოგებისა და ზარალის განაწილება 189
1.8. სპს-ის რეორგანიზაცია და დაშლა 198
1.8.1. რეორგანიზაცია 200
ა.) გარდაქმნა 202

ბ.) შერწყმა 204
გ.) გაყოფა 207
1.8.2. დაშლა 210
2. თავი - კს 214
2.1. ისტორიული ექსკურსი 214
2.2. ლეგალური დეფინიცია და ძირითადი მახასიათებლები 216
2.3. კს, როგორც ჰიბრიდული წარმონაქმნი 217
2.3.1. პერსონალური და კაპიტალური ტიპის საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ნიშნები 217
2.3.2. პერსონალური პარტნიორული სტრუქტურა და კს-ის (სხვა) გამოვლინებები 220
2.4. საზოგადოების დაფუძნება 224
2.5. შენატანის განხორციელება კომანდიტურ საზოგადოებაში: განსხვავება შენატანსა და საგარანტიო თანხას შორის 225
2.6. საზოგადოებისა და პარტნიორის პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე 231
2.6.1. კომპლემენტარის პასუხისმგებლობა 231
2.6.2. კომანდიტის პასუხისმგებლობა 233
2.7. კს მართვის პარადიგმა: „საკუთარი ორგანოს" კონცეფცია და კომპლემენტარის მიერ საწარმოს მართვის განხორციელება (იდეალტიპური შემთხვევა) ... 236
2.8. საწარმოს მართვა/ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა 239
2.9. პარტნიორთა უფლება-მოვალეობები 246
2.9.1. კომპლემენტარისა და კომანდიტის პარტნიორული სტატუსის გამიჯვნა ზოგადუფლებრივ კონტექსტში 248
2.9.2. არაქონებრივი (თანა)მმართველობითი უფლებები 250
ა.) კომანდიტის უფლებრივი მდგომარეობა 251
ა.ა.) კონტროლისა და ინფორმაციაზე წვდომის უფლება 251
ა.ბ.) ხმის უფლება და საერთო კრებასთან დაკავშირებული სხვა უფლებები 254
ა.გ.) სარჩელის წარდგენის უფლება 255

ბ.) კომპლემენტარის უფლებრივი მდგომარეობა 256
2.9.3. ქონებრივი უფლებები.....257
2.9.4. პარტნიორის მოვალეობები (ზოგადად) 259
2.10. პარტნიორთა კრება და გადაწყვეტილების მიღების ერთხმოვანების პრინციპი 261
2.11. კომანდიტური საზოგადოების პარტნიორის ერთგულების მოვალეობა.....263
2.12. მოგებისა და ზარალის განაწილება.....267
2.13. კს-ის რეორგანიზაცია და დაშლ ა 270
2.13.1. რეორგანიზაცია.....270
2.13.2. დაშლა.....271
III. ნაწილი - კაპიტალური ტიპის საზოგადოებები.....273
1. თავი - შპს 273
1.1. შპს-ის ცნება და სახასიათო ნიშნები.....274
1.1.1. ისტორიული ექსკურსი 274
1.1.2. ლეგალური დეფინიცია, ძირითადი მახასიათებლები 275
1.1.3. შპს-ის თავისებურება და ტიპოლოგიური ბუნება 276
1.1.4. გამიჯვნის პრინციპი და პასუხისმგებლობა 282
1.1.5. გამჭოლი პასუხისმგებლობა 285
1.2. კაპიტალის სტრუქტურა და მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი 290
1.3. წილი საზოგადოების კაპიტალში, მისი სახეები და მათგან გამომდინარე სამართლებრივი ასპექტები.....295
1.4. დაფუძნება 298
1.4.1. დაფუძნების სახეები 299
ა.) დაარსება - პირველდაწყებითი დაფუძნება 299
ბ.) შექმნა გარდასახვით.....299
1.4.2. დაფუძნების სტადიები.....301
1.4.3. რეგისტრაციის წინაპირობები 307
1.5. საწარმოს მართვა/ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა.....311
1.6. შპს კორპორაციული და ორგანიზაციული მართვის მიჯნაზე.....317
1.6.1. პარტნიორთა საერთო კრება 321
ა.) პარტნიორთა კრების უფლებამოსილება.

ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლები 321
ბ.) მოწვევისა და ჩატარების წესი.....324
გ.) საერთო კრების გადაწყვეტილების
ბათილობა.....326
1.6.2. სამეთვალყურეო საბჭო, როგორც
საზოგადოების ფაკულტატური ორგანო და
მისი უფლება-მოვალეობები 331
1.6.3. ხელმძღვანელობითი ორგანო და
დირექტორის მხრიდან პარტნიორთა
(კანონშესაბამისი) მითითებების შესრულების
მოვალეობა 335
1.7. პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი.....339
1.7.1. პარტნიორის ძირითადი ვალდებულებები 344
ა.) შენატანის განხორციელების ვალდებულება 344
ა.ა.) შენატანი და მისი განხორციელების წესი 344
ა.ბ.) დამატებითი შენატანები 346
ა.გ.) შენატანის განუხორციელებლობის შედეგები 348
ბ.) შპს-ს პარტნიორის ერთგულების მოვალეობა.....349
ბ.ა.) ხმის უფლების გამოყენება მართლზომიერად -
დომინანტური მდგომარეობის ბოროტად
გამოყენება 350
ბ.ბ.) ძალაუფლების ბოროტად გამოყენების
აკრძალვა 352
გ.) პარტნიორის გარიცხვა შპს-დან 353
დ.) პარტნიორის გარიცხვის უფლების
მოქმედების ფარგლები 358
ე.) პარტნიორის გასვლა შპს-დან წილის
გამოსყიდვის გზით.....360
ვ.) შპს-ის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული
მოვალეობები და მათ წინააღმდეგ ზიანის
ანაზღაურების მოთხოვნის განხორციელება
შპს-ში 362
ზ.) პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა.....364
ზ.ა.) გამჭოლი პასუხისმგებლობის ნორმატიული
მოდელი.....365
ზ.ბ.) გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინალური
მოდელი.....366

ზ.გ.) ხელშეკრულებისმიერი და დელიქტისმიერი
კრედიტორები 369
ზ.დ.) გამჭოლი პასუხისმგებლობის წინაპირობები 370
ზ.დ.ა.) კონტროლი, როგორც წინაპირობათა
წინაპირობა 370
ზ.დ.ბ.) ქონების აღრევა 371
ზ.დ.გ.) არასათანადო კაპიტალიზაცია 372
ზ.დ.დ.) კორპორაციულ ფორმალობათა
დაუცველობა 373
ზ.ე.) დელიქტური პასუხისმგებლობის მიმართება
გამჭოლ პასუხისმგებლობასთან 375
1.7.2. არაქონებრივი (თანა)მმართველობითი
უფლებები 377
ა.) კონტროლისა და ინფორმაციაზე წვდომის
უფლება 378
ბ.) ხმის უფლება და საერთო კრებასთან
დაკავშირებული სხვა უფლებები 380
ბ.ა.) პარტნიორის ხმის უფლება 381
ბ.ა.ა.) ხმის უფლების განხორციელება
აკუმულირების მეთოდით 384
ბ.ა.ბ.) ხმის უფლების შეზღუდვა 386
ბ.ბ.) საერთო კრებასთან დაკავშირებული
სხვა უფლებები 388
ბ.ბ.ა.) კრებაში მონაწილეობის უფლება
წარმომადგენლის მეშვეობით 388
ბ.ბ.ბ.) დღის წესრიგში ცვლილების ინიცირებისა
და რიგგარეშე კრების მოწვევის უფლება 390
ბ.ბ.გ.) კრების ოქმის გაცნობისა და გასაჩივრების
უფლება 391
ბ.გ. ინდივიდუალური და ნაწარმოები
(დერივაციული) სარჩელის უფლება 393
1.7.3. ქონებრივი უფლებები 396
ა.) ქონების დისტრიბუცია და დივიდენდის გაცემის
შემზღუდველი ნორმები 396
ა.ა.) დივიდენდი, როგორც წილში გამოხატული
ქონებრივი სიკეთე 397
ა.ა.ა.) დივიდენდის მიღება, როგორც პარტნიორის

უფლება 397
ა.ა.ბ.) დივიდენდის მიღება, როგორც
კრედიტორული მოთხოვნა 400
ა.ბ. დისტრიბუცია Інტრა ეგემ 402
ა.ბ.ა.) უფლებამოსილი ორგანოს
გადაწყვეტილება 402
ა.ბ.ბ.) კაპიტალის შენარჩუნების ვალდებულება
და დივიდენდის გაცემის შეზღუდვა 404
(1) კაპიტალის დაცვის სისტემები 405
(2) დივიდენდის გაუცემლობის შედეგი 409
ა.გ.) დისტრიბუცია ჩონტრა ეგემ 410
ა.გ.ა.) დივიდენდის უცილობელი გაცემის
პირობის აკრძალვა 410
ა.გ.ბ.) შენიღბული დივიდენდი 411
ა.გ.გ.) უკანონო დისტრიბუციის დაბრუნების
ვალდებულება 412
(1) კეთილსინდისიერი პარტნიორის დაცვა 413
(2) პასუხისმგებლობის საკითხისათვის 414
ბ.) უპირატესი შესყიდვის უფლება, როგორც
წილობრივი მონაწილეობის ზრდის საშუალება 415
ბ.ა.) უფლების განხორციელების სამართლებრივი
საფუძველი 415
ბ.ბ.) წილის შეძენის პირობები 417
ბ.გ.) უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება 418
გ.) სამართლიანი ფასისა და წილის ღირებულების
მიღების უფლება 419
გ.ა.) უფლების განხორციელების სამართლებრივი
საფუძველი 419
გ.ბ.) სამართლიანი ფასი და საზოგადოების
ქონების დაცვა 421
გ.გ.) სალიკვიდაციო დისტრიბუცია 423
გ.დ.) სხვა საზღაურის ცნება 424
1.8. შპს-ის რეორგანიზაცია და დაშლა 425
1.8.1. რეორგანიზაცია 425
1.8.2. დაშლა 426
2. თავი - სს 429
2.1. სს-ის ცნება, ძირითადი მახასიათებლები და

მისი ეკონომიკური მნიშვნელობა. 431
2.1.1. სამეწარმეო საზოგადოება და სუბტიპები 432
2.1.2. „აქციონერული“ კაპიტალი 437
2.1.3. კაპიტალური საზოგადოება და კანონით დადგენილი სავალდებულო (განთავსებული) კაპიტალის სისტემა.....438
2.1.4. კორპორაციული მართვის სისტემა.....441
2.1.5. საკუთარი ქონებით პასუხისმგებლობა 444
2.2. დაფუძნება 447
2.2.1. შესავალი სს-ის დაფუძნების სამართალში 447
2.2.2. წინარე სადამფუძნებლო კონსორციუმი 450
2.2.3. წინარე საზოგადოება.....456
ა.) იურიდიული ბუნება 456
ბ.) „ერთკაცა“ სს-ის დაფუძნების თავისებურება 460
2.2.4. პასუხისმგებლობა 462
ა.) პასუხისმგებლობის საკანონმდებლო სტანდარტი.....462
ბ.) შედეგის გადასვლა რეგისტრირებულ სს-ზე.....465
2.2.5. რეგისტრაციის წინაპირობები 468
2.3. სააქციო საზოგადოების ქონებრივი სტრუქტურა.....476
2.3.1. კაპიტალი 476
ა.) კაპიტალის სტრუქტურა და მისი ფორმირების ფინანსური მექანიზმები.....476
ბ.) კაპიტალის გაზრდა/შემცირება 481
2.3.2 მინიმალური განთავსებული (საწესდებო) კაპიტალი 488
2.3.3. მინიმალური განთავსებული კაპიტალის ფუნქციები.....494
ა.) ქონების შევსებისა და შენარჩუნების ფუნქცია 494
ბ.) კრედიტორის მინიმალური დაცვის ფუნქცია.....496
2.3.4. შეტანაუნარიანი ობიექტის განსაზღვრის პოზიტიური შინაარსი 497
2.3.5. შენატანის კონკრეტული სახეები.....499
2.3.6. სარეზერვო კაპიტალი.....503
2.4. შენატანის განუხორციელებლობის სამართლებრივი შედეგი სს-ში. დამატებითი

შესატანის განხორციელების დაწესების უფლება 504
2.4.1. შენატანის განხორციელებასთან
დაკავშირებული ვალდებულებები და
პასუხისმგებლობა დარღვევისათვის.....505
2.4.2. დამატებითი შენატანი სს-ში და მისგან
გამომდინარე პასუხისმგებლობა 508
2.5. აქცია, როგორც ფინანსური ინსტრუმენტი
და ფასიანი ქაღალდი.....509
2.5.1. აქციათა ტიპები 514
ა.) საწარმდგენლო (წარმომდგენის) აქცია.....515
ბ.) სახელობითი აქცია.....516
2.5.2. აქციათა კლასები.....518
ა.) ჩვეულებრივი აქცია 519
ბ.) პრივილეგირებული აქცია.....521
გ.) სხვა კლასის აქციები 523
2.5.3. აქციაში კონვერტირებადი სხვა ფასიანი
ქაღალდი 525
ა.) სასესხო ფასიანი ქაღალდები - ობლიგაცია 527
ბ.) დერივატივები.....529
2.5.4. ვინკულირებული აქციები 530
2.7. აქციონერის უფლებანი.....532
2.7.1. უფლებათა კლასობრივი სტრუქტურა 534
2.7.2. უფლების განხორციელების ზოგადი
პრინციპები.....536
2.7.3. უფლებათა ზოგადი კლასიფიკაცია 539
2.7.4. არაქონებრივი (თანა)მმართველობითი
უფლებები 540
ა.) კონტროლისა და ინფორმაციაზე წვდომის
უფლება.....540
ა.ა.) ინფორმაციის მიღების უფლების
მიმართება საერთო კრებაზე მონაწილეობის
უფლებასთან 542
ა.ბ.) კონტროლის სპეციალური უფლება 545
ა.გ.) უფლების განხორციელება სასამართლოს
მეშვეობით 547
ბ.) ხმის უფლება და საერთო კრებასთან
დაკავშირებული სხვა უფლებები 547

ბ.ა.) ხმის უფლების განხორციელების
პრინციპები.....549
ბ.ბ.) ხმის უფლების განხორციელება
წარმომადგენლის მეშვეობით.....551
ბ.გ.) დღის წესრიგში ცვლილების ინიცირებისა
და კრების მოწვევის უფლება 553
გ.) გასაჩივრების უფლება 555
2.7.5. ქონებრივი უფლებები.....557
ა.) ქონების დისტრიბუცია და დივიდენდის გაცემის
შეზღუდვები.....557
ბ.) დივიდენდი, როგორც კორპორაციული
დისტრიბუცია 559
ბ.ა.) ჩვეულებრივი კლასის აქციონერთა
პერსპექტივა 560
ბ.ბ.) პრივილეგირებული კლასის აქციონერთა
პერსპექტივა 561
გ.) უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება
მონისტური და დუალისტური მართვის
სისტემებში.....562
დ.) გასანაწილებელი ქონების ცნება.....564
ე.) კაპიტალის შენარჩუნების ვალდებულება და
დივიდენდის გაცემის შეზღუდვა.....565
ვ.) უპირატესი შესყიდვის უფლება.....566
ვ.ა.) კაპიტალის გაზრდა, როგორც უპირატესი
შესყიდვის უფლების განხორციელების
წინაპირობა.....569
ვ.ა.ა.) ჩვეულებრივი და პირობითი გაზრდის
მეთოდი 570
ვ.ა.ბ.) გაზრდა საზოგადოების საკუთარი
ქონებით 571
ვ.ა.გ.) გაზრდა ნებადართული კაპიტალის
ფარგლებში.....573
ვ.ბ.) წილის შეძენის პირობები 574
ვ.გ.) უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება.....574
ზ.) კომპენსაცია აქციათა გამოსყიდვისა და
ამორტიზაციის დროს 575
ზ.ა.) აქციათა ამორტიზაცია 575

ზ.ბ.) აქციათა გამოსყიდვა.....578
ზ.გ.) ქონების შენარჩუნების ვალდებულება და
კომპენსაციის განსაზღვრა.....580
ზ.გ.ა.) განთავსებული კაპიტალის შემცირება.....580
ზ.გ.ბ.) სამართლიანი ღირებულება.....581
ზ.გ.გ.) მოსაზრება სამართლიანი ღირებულების
არაფულადი ფორმის შესახებ.....583
თ.) სამართლიანი ფასის მიღების უფლება 584
თ.ა.) სავალდებულო სატენდერო შეთავაზება 586
თ.ა.ა.) შეთავაზების ვალდებულება და მიყიდვის
უფლება.....586
თ.ა.ბ.) სამართლიანი ფასის განსაზღვრა.....588
თ.ბ.) აქციათა სავალდებულო მიყიდვა.....589
თ.ბ.ა.) შეძენის უფლება და მიყიდვის
ვალდებულება.....590
თ.ბ.ბ.) სამართლიანი ფასის განსაზღვრა.....591
ი.) სალიკვიდაციო დისტრიბუცია 592
2.7. ქონების შენარჩუნების მავალდებულებელი
ნორმები და (მცირე)აქციონერთა და კრედიტორთა
დაცვის გარანტიები.....592
2.7.1. ქონების შენარჩუნების ვალდებულება -
compendia sunt დისპენდია.....592
2.7.2. მინორიტარ და მაჟორიტარ აქციონერთა
ურთიერთობა 595
2.8. საწარმოს კონტროლი და მართვის ორგანოების
კონცეფცია - კორპორაციული მართვის თანამედროვე
სისტემები და ქართული საკორპორაციო სამართლის
თავისებურება 597
2.8.1. სს-ის კორპორაციული მართვა.....597
2.8.2. კორპორაციული მართვის სისტემები.....602
ა.) მონისტური მართვის სისტემა 604
ბ.) დუალისტური მართვის სისტემა.....607
2.9. სს-ის ორგანოთა ჰორიზონტალურობის
კონცეფცია და აქციონერთა საერთო კრების
ენუმერაციულობის პრინციპი.....609
2.10. აქციონერთა საერთო კრება: უფლებამოსილება
- სტრუქტურულ ღონისძიებათა ე.წ. ფუძემდებლურ

გადაწყვეტილებათა კომპეტენცია 614
2.11. წლიური (მორიგი) და რიგგარეშე საერთო
კრება და მისი მოწვევა 620
2.12. სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქცია და
უფლებამოსილება 623
2.12.1. ფუნქცია/დავალება 623
2.12.2. კომპეტენცია 624
2.12.3. მონისტური სისტემა 625
2.13. დირექტორის, როგორც ფიდუციარის
მოვალეობები. ხელმძღვანელ პირთა
პასუხისმგებლობა საზოგადოების, აქციონერის
და კრედიტორის წინაშე 626
2.14. აქციონერის ვალდებულება და
პასუხისმგებლობა მისი დარღვევისთვის 628
2.14.1. აქციონერის ერთგულების მოვალეობა 628
2.14.2. აქციონერის გამჭოლი პასუხისმგებლობის
თაობაზე 630
2.14.3. სს-დან აქციონერის გარიცხვის თაობაზე 630
2.15. სს-ის რეორგანიზაცია და დაშლა 631
2.15.1. რეორგანიზაცია 631
2.15.2. დაშლა 634

წინასიტყვაობა

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ჩამოყალიბებას იწყებს თანამედროვე დასავლეთევროპული კერძოსამართლებრივი სისტემა. კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ავანგარდში ექცევა კერძო სამართლის ის მნიშვნელოვანი სფერო, რომელიც დასაბამს უდებს კორპორაციულ ეკონომიკას სახელმწიფოში. 1994 წლის 28 ოქტომბერს „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მიღებით ყალიბდება დამოუკიდებელი იურიდიული მატერია, რომელიც სწორედ ბიზნეს ორგანიზაციათა - სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მომწესრიგებელ ნორმა-დებულებათა კომპლექსს შეადგენს. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი აქტი სამართლის ამ დამოუკიდებელი კორპუსის - საკორპორაციო სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში.

საკორპორაციო სამართალმა მისი შექმნის დღიდან, თუ შეიძლება ითქვას, ტურბულენტური განვითრების რამდენიმე ეტაპი გაიარა: 1994 წლიდან 2008 წლამდე; 2008 წლიდან 2021 წლამდე; და 2021 წლიდან დღემდე. მისი ევოლუციის ეს სამი ძირითადი ეტაპი ხასიათდება სამართლის ამ დარგის სისტემური ცვლილებით, რაც, საბოლოო ჯამში, საზოგადოებაში, ბიზნესის წარმომადგენლებში, შიდა თუ საერთოშორისო უცხოელ ინვესტორში არასტაბილურობისა და არაგანჭვრეტადობის დიდ გრძნობას ბადებდა. მსგავსი ხასიათის არასტაბილურობა, რაც შეიძლება დამახსიათებელი იყოს კანონმდებლობისთვის, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს ზოგადად საკორპორაციო სამართლის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგის შესწავლის ხარისხზე, მისი სისტემური განვითრების მთელ პროცესზე და, საბოლოო ჯამში, შესაძლოა საზოგადოებაში მის მიმართ ინტერესის ნიველირებაც გამოიწვიოს. ამას კი ძალიან ცუდი გავლენა ექნება ორგანიზაციული ეკონომიკის განვითრებაზე ჩვენს ქვეყანაში.

კანონმდებლობის ხშირი უსისტემო ცვლილება ასახულ იქნა ასევე აკადემიურ-მეთოდოლიგიურ საქმიანობაზეც ამ სფეროში, რამდენადაც არაპროგნიზირებადი, არასტაბილური სამართალი ხელს უშლიდა ერთიანი სახელმძღვანელოს შექმნის იდეას საკორპორაციო სამართალში. სწორედ ეს იყო

ის ძირითადი მიზეზი, რის გამოც კონსოლიდირებული, მეთოდოლოგიურად კარგად დამუშავებული სახელმძღვანელო საკორპორაციო სამართალში დღემდე არ არსებობდა.

2021 წლის ზაფხულში საქართველოს პარლამენტმა მიიღო „მეწარმეთა შესახებ" კანონის ახალი რედაქცია, რომელიც გამოხატავს ევროპული საკორპორაციოსამართლებრივი პრინციპებისა და ინსტიტუტების დამკვიდრების მზად ყოფნას ქართულ ეკონომიკაში, ორიენტირებულია სრულყოფილად გაიზიაროს ევროპის სუპრანაციონალური საკორპორაციო სამართლის სახელმძღვანელო მიმართულებები ჩვენი ქვეყნის სამართალში, აქციოს იგი დასავლეთევროპული ქვეყნების თანამედროვე და განვითრებული კორპორაციულ-სამართლებრივი დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის მიერ დამკვიდრებული მიგნებების თანამოაზრედ, რაც, საბოლოო ჯამში, 2015 წელს ევროპულ კავშირთან ხელმონერილი ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინრე, ქართველი ხალხის ურყევი ნების გამოხატულების ნაწილია - იყოს ევროპული კულტურის, მაშასადამე, ასევე, სამართლებრივი კულტურის განუყოფელი ნაწილი. ეს სრული მოცულობით ვრცელდება საკორპორაციო სამართალზე, რომელიც მისი ევოლუციის (ამ მესამე) ეტაპზე კვლავ უბრუნდება მის ბუნებრივ კონტინენტურ-სამართლებრივ ორბიტას და იღებს კანონისმიერი იურიდიული მატერიის სახეს.

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საკორპორაციო, საბანკო და ეკონომიკური სამართლის ინსტიტუტის მიერ შემოთავაზებულია პირველი მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო საკორპორაციო სამართალში. სახელმძღვანელო, უპირველეს ყოვლისა, განკუთვნილია საქართველოში იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთათვის, აგრეთვე, ყველა იმ დაინტერესებული პირისათვის, რომელსაც შეხება შეიძლება ჰქონდეს საზოგადოებრივი ურთიერთობის ამ სფეროსთან. წიგნი ასახავს 2022 წლის 1 იანვარს ასამოქმედებელი კანონის ნორმა-დებულებებს და შესაბამისად, სრულად ეფუძნება ახალ საკორპორაციო სამართალს საქართველოში.

წინამდებარე სახელმძღვანელოში ავტორთა მიერ წინა წლების მანძილზე ამ სფეროში გამოქვეყნებული მონოგრაფიების გამოყენებაც მოხდა, განსაკუთრებით: *ბურდული/მა-*

ხარობლიშვილი/ეგნატაშვილი/გიგუაშვილი, თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართლის განვითრება (რეფორმის ძირითადი ასპექტები), 2016; *ბურდული/მახარობლიშვილი/ეგნატაშვილი/ებანოიძე*, კაპიტალის ბაზრის ფუნქციაუნარიანობა: არსებული რეალობა და რეფორმის აუცილებლობა, 2017; *ბურდული/მახარობლიშვილი/მაღრაძე*, შპს საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019; *ბურდული/მახარობლიშვილი/მაღრაძე*, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფუნქციონალიზაცია ქართულ საკორპორაციო სამართლის სისტემაში, 2020; ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, II ტომი, 2013; ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი, 2010.

სახელმძღვანელო შედგენილია პროფ. *ირაკლი ბურდულისა* და ასოც. პროფ. *გიორგი მახარობლიშვილის* საერთო რედაქტორობით და მათთან ერთად წიგნის შექმნაში ჩართულ იქნა ყველა თაობის იურისტი: სამ. დოქ. *ნონა ზუბიტაშვილი*, სამ. დოქ. *გიორგი ალადაშვილი*, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორის ასისტენტი *დემეტრე ეგნატაშვილი*, ამავე ფაკულტეტის პროფესორის ასისტენტი *ანა თოხაძე*, აგრეთვე ამავე ფაკულტეტის დოქტორანტი და მოწვეული ლექტორი *გვანცა მაღრაძე*. დიდი მადლობა მათ ჩვენი ინსტიტუტისა და ფაკულტეტის სახელით. მადლობა ასევე იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტს და ამავე ფაკულტეტის თანამშრომელს *ირაკლი ლეონიძეს* გაწეული შრომისთვის.

და ბოლოს, ჩემი მხრივ მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს ძვირფას მასწავლებლებს პროფ. *ლადო ჭანტურიას*, პროფ. *ბესარიონ ზოიძეს*, პროფ. *თედო ნინიძეს*, ასევე, ყველა იმ თაობის ქართველ (და ასევე გერმანელ) იურისტს, რომლის დაუღალავი ძალისხმევითაც შესაძლებელი გახდა სწორედ 90-ანი წლების დასაწყისში ზოგადი და განსაკუთრებული კერძო სამართლის ჩამოყალიბება საქართველოში, რომელიც დღესაც მოქმედებს და რომელსაც, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, თანამედროვე ქართული სამოქალაქო საზოგადოების არსებობას უნდა ვუმადლოდეთ. ინსტიტუციონალური მეხსიერება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეციპირებული სამართლის განვითარებისა და საზოგადოებაში მისი მოქმედების თვალსაზრისით. ამგვარი მეხსიერების აკადემიურ გამოვლინებას ცოდნის თაობიდან თაობაზე გა-

დაცემის პროცესი წარმოადგენს. თავის მხრივ, ჩემთვის, როგორც უნივერსიტეტის პროფესორისთვის, განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ აღნიშნული სახელმძღვანელოს შექმნაში მონაწილეობა სწორედ იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა ჩემმა მოწაფეებმა მიიღეს. და რომ არა მათი დიდი ძალისხმევა აღნიშნული პუბლიკაციაც ასეთ მოკლე დროში (ახალი რედაქციის მიღებიდან დღემდე) მზის სხივს ვერ იხილავდა.

პროფ. სამ. დოქ. ი. ბურდული
თბილისი, 2021

I. ნაწილი - ზოგადი დებულებები და პრინციპები

1. თავი - საკორპორაციო სამართალი, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული მატერია

1.1. საკორპორაციო სამართლის ცნება და რეგულირების სფერო

საკორპორაციო სამართალი საქართველოში, იურიდიული პროფესიის რეგულირებადი ხასიათიდან გამომდინარე, ბაკალავრიატის პროგრამის სავალდებულო საგანთა კატეგორიას განეკუთვნება. მისი შესწავლა აუცილებელია ადვოკატის, ნოტარიუსის, პროკურორის, მოსამართლის, როგორც რეგლამენტირებადი პროფესიის წარმომადგენელთა თანამდებობის დასაკავებლად და დაინტერესებულ პირს აძლევს შესაძლებლობას შეიმეცნოს სამართალურთიერთობაში ჩართული მეწარმე სუბიექტის რაობის, მისი დაფუძნების, შიდაორგანიზაციული მმართველობის/კორპორაციული მართვის, ორგანოთა სტრუქტურისა და პარტნიორთა უფლება-მოვალეობის განხორციელება-შესრულების, მათი უფლების დაცვის, ხელმძღვანელ პირთა და პარტნიორთა პასუხისმგებლობის, საზოგადოებაში ქონების მოზიდვისა და შენარჩუნების, მოგების განაწილების, საზოგადოების გარდასახვისა და დაშლის, სამეწარმეო საზოგადოების სიცოცხლის საბოლოო დასრულების და სხვა შინა კორპორაციულსამართლებრივი საკითხები. ეს კი აუცილებელია არა მხოლოდ ზემოთ აღნიშნული პროფესიის პირისთვის მისი საქმიანობის განხორციელებისას, არამედ ნებისმიერი ამ სფეროთი დაინტერესებული ადამიანისთვის, რომელიც მის ცხოვრებას ამა თუ იმ ორგანიზაციულ სოციალურ წარმონაქმნს უკავშირებს. განსაკუთრებით საინტერესოა ამ დარგის შესწავლა კორპორაციული იურისტკონსულტისთვის, რომელიც ამ სფეროში კაუტელარული იურისპრუდენციის ძირითადი ინსპირატორი უნდა იყოს.

საქართველოში ესა თუ ის ეკონომიკური თუ არაეკონომიკური აქტივობა გარკვეული საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის საფუძველზე წარიმართება. მის განხორციელე-

ბაში ჩართულნი არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, იურიდიული პირის სტატუსის არმქონე გაერთიანებები, აგრეთვე, სახელმწიფო და არასახელმწიფო/არასამთავრობო ორგანიზაციები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები. თუმცა საკორპორაციო სამართალს (მისი ვიწრო გაგებით) აინტერესებს კერძო სამართალურთიერთობის ფარგლებში, ნების ავტონომიისა და სრული სახელშეკრულებო თავისუფლების, გარიგების საფუძველზე ჩამოყალიბებული იურიდიული კონსტრუქცია, რომელიც სახელმწიფოში კანონმდებლის მიერ ეკონომიკური სამეწარმეო ურთიერთობის ლეგიტიმურ სამართლის სუბიექტად არის აღიარებული და რომლის ფარგლებშიც გარკვეული - ეკონომიკური სამეწარმეო - საქმიანობა ხორციელდება. როგორც შიდაკორპორაციული, შინაორგანიზაციული ურთიერთობების მომწესრიგებელი იურიდიული ნორმების კომპლექსი, საკორპორაციო სამართალი არის „პირთა კერძოსამართლებრივი გაერთიანების სამართალი, რომელიც გარიგების საფუძველზე გარკვეული საერთო მიზნის მისაღწევად არის შექმნილი".[1] მისი მოწესრიგების ეპიცენტრში, როგორც წესი, დგას არა ცალკეული პირი - ინდივიდი, არამედ პირთა გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბებული ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც სწორედ ამ გაერთიანების სახელით, როგორც ერთიანი მთელი ორგანიზმი, გამოდის სამართალბრუნვაში და ხდება უფლება-მოვალეობის დამოუკიდებლად მატარებელი სამართლის სუბიექტი. შესაბამისად, საკორპორაციო სამართლის ამოცანას წარმოადგენს, „ეს კოლექტიური აქტივობა დადგენილ იურიდიულ ლიანდაგს დაუკავშიროს" და იგი ჩამოყალიბებული სისტემით მართოს.[2] ამ თვალსაზრისით, როგორც ამას განვითარებული კონტინენტურ-ევროპული სამართლის ოჯახს მიკუთვნებული ქვეყნების სამართალი აღიარებს, აუცილებელია გაიმიჯნოს შიდა და გარე კორპორაციულსამართლებრივი სფეროები: საკორპორაციო სამართლით რეგულირებულ შინა ორგანიზაციულ სფეროში მოიაზრებოდა

1 *Windbichler*, Gesellschaftsrecht, 23. Auf., C. H. Beck 2013, §1 Rn. 1; *ჭანტურია*, საკორპორაციო სამართლის ცნება და ადგილი სამართლის სისტემაში, საიუბილეო კრებულში: ბესარიონ ზოიძე 60, ჭანტურია/ბურდული (რედ.), 2014, 557-574, 557.
2 *Koch*, Gesellschaftsrecht, 11. Auf., Beck 2019, §1 Rn. 1.

საზოგადოების წევრთა (პარტნიორთა) შეთანხმებები ერთმანეთის მიმართ, რომელსაც მბოჭავი ხასიათი ექნებოდა მხოლოდ მათთვის საწარმოს შიგნით. მაგალითად, შესატანის განხორციელების ვალდებულების აღება და მისი შესრულება საზოგადოების წინაშე; ან პარტნიორთა შიდა ორგანიზაციული უფლებების დადგენა დაკავშირებული მოგების განანილებასთან, ქონების დისტრიბუციასთან, პარტნიორისათვის გარკვეული უპირატესობის მიცემასთან, ხმისა და მასთან დაკავშირებულ უფლებებთან. საკორპორაციო სამართლის მონესრიგებულ გარე სფეროს მივაკუთვნებდით მეწარმე სუბიექტის სახელით გარესამართალურთიერთობაში გამოსვლის უფლებამოსილების/წარმომადგენლობითი კომპეტენციის, რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის დროს კრედიტორთა ინფორმირებისა და დაკმაყოფილების და ა.შ. საკითხებს. ამ დროს მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ უნდა იქნეს ახსნილი და განმარტებული საზოგადოების დამოკიდებულება და ურთიერთობა მესამე პირთან.[3] ამ მხრივ საყურადღებოა ნორმა-დებულებები, რომელიც ადგენს თუ ვის აქვს საზოგადოების სახელით კერძო სამართალურთიერთობაში გამოსვლის უფლება; შეიძლება თუ არა ეს უფლება შეიზღუდოს გარე ურთიერთობაში კონტრაჰენტთან და თუ შესაძლებელია, მაშინ უნდა იყოს თუ არა ამ შეზღუდვის ფარგლები დაწესებული ასევე ბრუნვის მონაწილე მესამე პირისთვის. ამასთან, ნიშანდობლივია გამოქვეყნებისა და განსაჯაროვების ნორმები, რომელსაც მოიცავს აგრეთვე საკორპორაციო სამართალი და რომელიც ბრუნვაში ჩართული მესამე პირის ინტერესს ემსახურება მისთვის (მესამე პირისათვის) მეწარმე სუბიექტის თაობაზე საჭირო ინფორმაციის მიწოდების კონტექსტში. ბრუნვის სტაბილურობისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია სრული და უტყუარი მონაცემების განდობა მესამე პირისათვის, რომელიც ამ ინფორმაციას დაეყრდნობა და ამ უკანასკნელს მისთვის სასურველად გამოიყენებს. ეს კი, თავის მხრივ, სამართლებრივი უსაფრთხოების კონცეფციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ხაზგასასმელია ისიც, რომ საკორპორაციო სამართალი ასევე ადგენს ხელშეკრულებით

---

3 იქვე.

დაფუძნებული ურთიერთობის იურიდიული ძალმოსილების გარკვეულ საკითხებს, რომელიც საზოგადოების შიდა და გარე სფეროს უკავშირდება. ასე, მაგალითად, სპს-ის წესდება შეიძლება შეიცავდეს დათქმას, რომლის მიხედვითაც, საწარმოს ერთ-ერთი პარტნიორის პასუხისმგებლობა განისაზღვრება არა მისი მთელი ქონებით, არამედ მხოლოდ გარკვეული ნაწილით. არადა, ამხანაგური ტიპის საზოგადოების სამართალში პრინციპის დონეზეა აღიარებული კომპლემენტარის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა მთელი მისი ქონებით საზოგადოების ვალდებულებისათვის მესამე პირის წინაშე (94-ე მუხლის პირველი პუნქტი[4]).[5] მსგავს შემთხვევაში წესდების აღნიშნული ჩანაწერი პრობლემას არ წარმოადგენს შიდაორგანიზაციულ დონეზე მისი ნამდვილობის თვალსაზრისით, მაგრამ იგი ბათილი იქნება გარესამართლებრივ ურთიერთობაში მესამე პირისათვის. შესაბამისად, ყოველთვის გასათვალისწინებელია, რომ გარკვეული იურიდიული ფაქტი შეიძლება ბათილი იყოს გარე ურთიერთობაში, თუმცა შიდაკორპორაციულ სფეროში სრულად იყოს იურიდიული ძალმოსილების მქონე.

საკორპორაციო სამართლის რეგულირების საგანს წარმოადგენს მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების საფუძველზე შექმნილი გაერთიანების ე.ი. კერძო ორგანიზაციული სუბიექტის (შიდა) ურთიერთობის მოწესრიგება. მასში არ მოიაზრება სახელმწიფო, ადმინისტრაციული (საჯარო) აქტის ნიადაგზე ჩამოყალიბებული ორგანიზაციული წარმონაქმნების საქმიანობა, უფრო სწორედ, მათი შიდაორგანიზაციული მოწყობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. მაშასადამე, საკორპორაციო სამართალი შეისწავლის კერძო სამართლის იმ სუბიექტთა მოწყობასა და მათ იურიდიულ

---

4 ყველგან, სადაც კანონის ნორმატიული დასახელების გარეშე იქნება მუხლი მითითებული, იგულისხმება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი.

5 კანონის 27-ე მუხლის პირველ პუნქტთან ერთად, რადგან უნდა მოხდეს ამ უკანასკნელის განმარტება ტელეოლოგიური რედუცირების მეშვეობით. მისი მიზნობრივი ინტერპრეტაცია კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სპს-ის პარტნიორები და კს-ის პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორი (კომპლემენტარი) საზოგადოების ვალდებულებისთვის მესამე პირის წინაშე პასუხს აგებენ პირადად და პარტნიორებს შორის სხვაგვარი შეთანხმება მესამე პირის წინაშე ბათილია. აღნიშნულს ასევე ამყარებს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

ფორმებს, რომელიც ეკონომიკური სამეწარმეო საქმიანობისთვის არის განკუთვნილი ჩვენს ქვეყანაში. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის, რომელიც საკორპორაციო სამართლის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს საქართველოში, პირველი მუხლის პირველი პუნქტი ადგენს გამოყენების სფეროს და აღნიშნავს, რომ ეს კანონი განსაზღვრავს სწორედ იმ იურიდიული პირების დაფუძნების, არსებობის ფორმებისა და მათი არსებობის პროცესში ამ სუბიექტების ორგანიზაციულ-სამართლებრივ საკითხებს, რომელიც სამეწარმეო საქმიანობისას მიიღება მხედველობაში. აღნიშნული ნორმის „უხერხული" სიტყვასიტყვითი მოცემულობიდან[6] გამომდინარეობს, რომ საკორპორაციო სამართალი აწესრიგებს სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების ტიპოლოგიურ ბუნებას და მათ შორის ძირითადი განსხვავების წარმოჩენას, ბიზნეს სუბიექტთა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებსა და მათ ცნებას, მათი დაფუძნებისა და რეორგანიზაცია-დაშლა-ლიკვიდაციის, საზოგადოებაში მონაწილეობითსამართლებრივი სტატუსის - წილისა და მისგან გამომდინარე უფლება-მოვალეობის, პარტნიორის პასუხისმგებლობის, სუბიექტთა ორგანიზაციული სტრუქტურისა და მოწყობის, მათ შორის, პარტნიორთა კრების უფლებამოსილებისა და ხელმძღვანელობითი საქმიანობის, ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობის, საზოგადოების ქონების მოზიდვის, მისი შევსებისა და შენარჩუნების, მოგების განაწილების, მათ შორის, სალიკვიდაციო ნარჩენში პარტნიორის მონაწილეობის, ასევე, კრედიტორთა დაკმაყოფილების ძირითად საკორპორაციოსამართლებრივ საკითხებს. ეს გახლავთ საკორპორაციო სამართლით რეგულირებულ საკითხთა მნიშვნელოვანი, თუმცა არა ამომწურავი ჩამონათვალი. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ საკორპორაციო სამართლის რეგულირების სფეროს წარმოადგენს ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია კერძო სამართლის მენარმე იურიდიული პირების შიდაორგანიზაციულ მოწყობასა და მასთან კავშირში მყოფ შიდა და გარესამართლებრივ პასუხისმგებლობასთან.

---

6 რადგან მასში არ მოიაზრება ინდივიდუალური მენარმე.

1.2. საკორპორაციო სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში

ქართული საკორპორაციო სამართალი, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული კორპუსი, წარმოადგენს კერძო სამართლის ნაწილს. ეს ნათლად გამომდინარეობს მისი რეგულირების საგნიდან. ურთიერთობის კერძოსამართლებრივი საწყისი, დაწყებული მეწარმის დაფუძნებასთან დაკავშირებული დამფუძნებელ-პარტნიორთა შორის დადებული გარიგებიდან საზოგადოების ლიკვიდაციით დასრულებული, პრინციპში, პირდაპირ მიუთითებს ამ ურთიერთობის ჰორიზონტალურ ხასიათზე, რაც გამორიცხავს მის საჯარო-სამართლებრივ მდგენელს. კორპორაციული ურთიერთობა პარტნიორსა და საზოგადოებას, საზოგადოებასა და მის ორგანოებს, თავად პარტნიორებს შორის კონსტრუირებულია, როგორც კერძოსამართლებრივი ხასიათის ურთიერთობა, რომელიც მთლიანად არის ზოგად კერძო სამართლის პრინციპებზე აგებული. საკორპორაციო სამართლით რეგლამენტირებულ სფეროში უპირატესად მოიაზრება სამეწარმეო საზოგადოების (ასევე ინდივიდუალური მეწარმის), როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის წარმოშობის, მისი შინაგანი აგებულების, სტრუქტურული და გარიგებითსამართლებრივი ღონისძიების განხორციელების წესის დადგენის, საწარმოს კონტროლისა და ბაზრიდან გამოსვლის, უფრო სწორედ, ოპერირების შეწყვეტის რეგულირების საკითხები. ეს ნათლად წარმოაჩენს იმ გარემოებას, რომ საკორპორაციო სამართალი არ შეიცავს (საჯარო/ადმინისტრაციულსამართლებრივ) ნორმებს, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობასთან. შეიძლება ითქვას, რომ გამონაკლისს აქედან წარმოადგენს სარეგისტრაციო სამართალი, სადაც კერძო პირს[7] შეხება აქვს სახელმწიფო ორგანოსთან და მათ შორის ურთიერთობა გარკვეულ სუბორდინაციულ ვერტიკალს მოიცავს. რეგისტრაციის პირობები

7 ან ბრუნვაში მასთან გათანაბრებულს. მაგალითად, სახელმწიფო, რომელიც სამეწარმეო საზოგადოების დამფუძნებლად გვევლინება. მაშასადამე, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ფორმაში ისევე მონაწილეობს, როგორც კერძო სამართლის სუბიექტი.

და მისი ფორმალური შემოწმების ფარგლები იმპერატიული ნორმებით არის დადგენილი და სახელმწიფოსა და დამფუძნებელ-პარტნიორებს შორის კერძოსამართლებრივი შეთანხმების საფუძველზე არ ფორმირდება. სხვა მხრივ, საკორპორაციო სამართალი თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია კერძო პირთა შორის მომწესრიგებელი ნორმებით, რომელთაც, როგორც ქვემოთ წარმოჩინდება, უპირატესად დისპოზიციური ხასიათი აქვს და მონაწილე პირებს, გარკვეული გამონაკლისების გათვალისწინებით, სრულ სახელშეკრულებო თავისუფლებას ანიჭებს. მისი საწყისი ზოგად კერძო სამართალშია საძებარი, თუმცა მის საფუძველზე განვითარებულია მეწარმეთა სპეციალური კერძო სამართალი, რომელიც სამოქალაქო სამართლებრივი პრინციპების, იურიდიული კონსტრუქციებისა და კონცეფციების თავისებურ მოდიფიცირებულ გააზრებას გვთავაზობს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ საკორპორაციო სამართალი სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების - მეწარმეების სპეციალური სამართალია.

1.2.1. საკორპორაციო სამართლის ძირითადი წყაროები და მისი უპირატესად თვითრეგულირებადი ხასიათი: დისპოზიციურ და იმპერატიულ ნორმათა სისტემა

საკორპორაციო სამართლის ძირითად წყაროს საქართველოში წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი, რომელიც ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილისაგან შედგება. ზოგად ნაწილში თავმოყრილია ნორმა-დებულებანი, რომელიც საერთოა ყველა სამართლებრივი ფორმისათვის. აქ დადგენილია სამეწარმეო საქმიანობისა და მეწარმის ლეგალური დეფინიცია, კონკრეტულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმათა ჩამონათვალი, მეწარმე სუბიექტის დაფუძნება და მისი რეგისტრაციის პირობები, სამეწარმეო საზოგადოების ორგანოთა სისტემა, ხელმძღვანელ პირთა ფიდუციურ მოვალეობათა კატალოგი და პასუხისმგებლობა, შენატანისა და მისი სახეობის, საზოგადოების

განთავსებული (საწესდებო) კაპიტალისა და წილის ცნებანი, საზოგადოებათა რეორგანიზაციისა და საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული მეწარმის საქართველოში გადმოტანის რეგისტრაციის საკითხები.[8] კანონის განსაკუთრებული ნაწილი კი უშუალოდ კონკრეტული იურიდიული ფორმების სპეციფიკურ მოწესრიგებას ეხება და მასში თავმოყრილია სპეციალური დებულებანი სპს-ის, კს-ის, შპს-ის, სს-ისა და რკ-ის შესახებ. თავის მხრივ, კანონის ამგვარი სისტემატიკა ცდილობს წარმოაჩინოს თითოეული სამართლებრივი ფორმის ტიპოლოგიური ბუნება, მისი სპეციფიკა და განსხვავება მეწარმის სხვა ორგანიზაციული ფორმისაგან.[9]

საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ასევე სამოქალაქო კოდექსი. წყაროთა ჩამონათვალში უნდა მოექცეს ჩვეულებები და კორპორაციულ კაუტელაურ პრაქტიკაში დამკვიდრებული წესები.

საკორპორაციო სამართლის შემეცნების წყაროს ფუნქციას ასრულებს საერთო სასამართლოს სისტემაში ჩამოყალიბებული პრეცედენტები და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები.

---

8 ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.

9 ქართულ სინამდვილეში სამეწარმეო საზოგადოებათა მარგინალური დიფერენცირება საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთ სერიოზულ ხარვეზად ითვლებოდა. იხ. მაგ.: *მახარობლიშვილი*, მეწარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამიჯვნა კაპიტალურ საზოგადოებათა საწყისებზე, „სამართლის ჟურნალი", №2, 2011, 99-133; *ქირია*, საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, წიგნში: საკორპორაციო სამართლის კრებული, ტომი I, ბურდული (რედ.), 2011, 15-69; *ლაზარაშვილი*, საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ" და ქართული საკორპორაციო სამართლის თანამედროვე საკანონმდებლო მონესრიგების პრობლემები, საიუბილეო კრებულში: ბესარიონ ზოიძე 60, 2013, 521-538; *ბურდული*, თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართალი მუდმივი რეფორმირების ნინაშე: მკვდრადშობილი პროცესი და საქართველო, კრებულში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი IV, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2019, 146–175; *Burduli*, Das georgische Gesellschaftsrecht: Quo Vadis?I Eine kurze Darstellung der Reformen und des Refrombedarfs im georgischen Unternehmensrecht, in: Chiusi/Burduli (Hrsg.), Rechtsvergleichung und Privatrecht im deutsch-georgischen Diskurs. Band 14, Jurisprudentia Saraviensis, 2019, 1-25; *Burduli*, Nekrorezeption in Transformationsgesellschaften (Am Beispiel des postsowjetischen georgischen Unternehmensrechts) in: Festschrift für Hanns Prütting zum 70. Geburtstag – Dogmatik im Dienste von Gerechtigkeit, Rechtssicherheit und Rechtsentwicklung, Carl Heymanns 2018, 3-15; *Burduli*, Gesellschaftsrecht in Georgien und seine Entwicklungstendenzen, Institut für Osteuropäisches Recht der Universität Kiel, Kieler Ostrechts-Notizen, 1/2013, 16 Jahrgang, 28-35.

საკორპორაციო სამართალი თვითრეგულირების საუკეთესო ინსტრუმენტია, რაც იმაში ვლინდება, რომ სხვადასხვა სამართლებრივი ფორმა, მათი არჩევისა და მოწყობის სრული თავისუფლება კერძო ავტონომიის გამოხატულებას წარმოადგენს.[10] ამიტომ მისი ნორმები გამიზნულია იმისკენ, რომ მონაწილეებს სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად ორგანიზაციის მართვისა და (შიდა) კორპორაციული ნების ფორმირების თავისუფალი შესაძლებლობა მისცეს. შესაბამისად, საკორპორაციოსამართლებრივი ნორმები თვითრეგულირებისა და თვითმართვის უზრუნველყოფას ემსახურება.[11] საკორპორაციოსამართლებრივ ნორმათა უმრავლესობა დისპოზიციურ ხასიათს ატარებს, რაც იმას ნიშნავს, რომ შიდაორგანიზაციული საკითხების განსაზღვრისა და მოწესრიგების თვალსაზრისით სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორები თავისუფალნი არიან და დავისა თუ ხარვეზის გადასაწყვეტად საზოგადოების წესდებაში მოცემულ დებულებებს უპირატესი იურიდიული ძალა აქვთ გამოყენების თვალსაზრისით. ამის ილუსტრაციას წარმოადგენს, მაგალითად, კანონის 37-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტი, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ საკორპორაციო სამართალში საზოგადოდ აღიარებული პრინციპები, როგორც წესი, იმპერატიული ნორმებით არის გამყარებული და მისი შეცვლა სახელშეკრულებო საზოგადოებრივ-სამართლებრივი თავისუფლების ფარგლებში დაუშვებელია. ძირითადად, ეს ის ნორმებია, რომელიც კრედიტორის ინტერესს, ასევე, (უმცირესობაში მყოფი) პარტნიორების უფლებისა და მათ შორის არსობრივი უთანასწორობის დაცვას ემსახურება.

---

10 *Kalss, Burger, Eckert,* Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, Geschichte und Materialien, Linde Verlag, Wien 2003, 21.

11 *Fastrich,* Funktionales Rechtsdenken am Beispiel des Gesellschaftsrechts. Erweiterte Fassung eines Vortrages gehalten vor der Juristischen Gesellschaft zu Berlin, De Gruyter 2001, 34 f.

1.2.2. საკორპორაციო სამართლის მიმართება სამართლის სხვა დარგებთან

ა.) ზოგად კერძო სამართალთან

„მეწარმეთა შესახებ" კანონთან, როგორც მეწარმეთა სპეციალურ კერძო სამართალთან ერთად, როგორც ითქვა, საკორპორაციო სამართლის წყაროს ფუნქციას სამოქალაქო კოდექსიც ასრულებს. გარიგებითი, სახელშეკრულებო-ვალდებულებითი, დელიქტური, მემკვიდრეობითსამართლებრივი თუ სხვ. ნორმები ამა თუ იმ კორპორაციული დავის გადაწყვეტისას აქტიურად გამოიყენება. საზოგადოების დაფუძნებასა და მის დაშლა-ლიკვიდაციას, სამეწარმეო საზოგადოების შიდა ურთიერთობას საფუძვლად სწორედ სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპები უდევს და იგი მეწარმეთა კანონთან ერთად ურთიერთობის მოწესრიგების როლს ასრულებს.[12]

ბ.) სამოქალაქო სამართლის კერძო ნაწილთან

საკორპორაციო სამართალი დაკავშირებულია ასევე სამოქალაქო სამართლის სხვა (ქვე)დარგებთან და ინსტიტუტებთან. მაგალითად, საზოგადოების ხელშეკრულების, რომლის, როგორც კერძოსამართლებრივ აქტზე დაყრდნობითაც ფუძნდება მეწარმე სუბიექტი, იურიდიული ბუნების ასახსნელად და გასააზრებლად გამოიყენება ხელშეკრულების ცნებასთან და მის განმარტებასთან დაკავშირებული სამოქალაქოსამართლებრივი მოწესრიგებები იმ სპეციფიკისა და თავისებურების გათვალისწინებით, რომელიც დროთა განმავლობაში შემუშავებული აქვს საკორპორაციო სამართალს.[13] პარტნიორის მიერ მისი საზოგადოებაში წევრობიდან

---

12 შეად.: *ჭანტურია*, საკორპორაციო სამართლის ცნება და ადგილი სამართლის სისტემაში, საიუბილეო კრებულში: ბესარიონ ზოიძე 60, ჭანტურია/ბურდული (რედ.), 2014, 560.

13 იხ. მაგ.: *ჭანტურია*, სანესდებო ავტონომია საკორპორაციო სამართალში, კრებულში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2015,

გამომდინარე ერთ-ერთი ძირითადი - შესატანის შესრულების - ვალდებულების განხორციელებას მჭიდროდ უკავშირდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნორმები ვალდებულების შესრულებისა და მისი შეუსრულებლობის შესახებ, რა თქმა უნდა, კვლავ საკორპორაციო სამართლის სპეციფიკის გათვალისწინებით.[14] თავად შესატანის საგნისა და განხორციელებული ობიექტის განსაზღვრისა და საზოგადოების წინაშე შესასრულებელი ვალდებულების, ანუ შეტანის (პროცედურულ-მატერიალური) საფუძველი ასევე სამოქალაქოსამართლებრივი ნორმებია. აქ მოიაზრება ის, თუ როგორი წესით უნდა მოხდეს სამეწარმეო საზოგადოებისათვის მის კაპიტალში (ან განთავსებულ (საწესდებო) კაპიტალში) ქონებრივი თუ არამატერიალური ქონებრივი სიკეთის გადაცემა ე.ი. პარტნიორის მიერ ამ ქონებაზე/ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემა კომპანიისათვის. მაგალითად, როდესაც საზოგადოების ხელშეკრულებით დამფუძნებელი-პარტნიორები თანხმდებიან, საკუთრებაში გადასცენ საზოგადოებას მათ სახელზე რიცხული უძრავი ქონება, მაშინ აღნიშნული ტრანზაქციის განსახორციელებლად გამოიყენება სანივთოსამართლებრივი ნორმები უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებით,[15] ან როდესაც შეთანხმებულია გარკვეული არამატერიალური ქონებრივი სიკეთის - მოთხოვნის უფლების გადაცემა საზოგადოებისთვის,[16] ან მოძრავი ნივთის შენატანად განხორციელებისათვის, გამოიყენება ასევე სამოქალაქო კოდექსის

560-571; *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 398 და მომდ. საზოგადოების წესდების (გარიგებითსამართლებრივთან ერთად) კორპორაციულსამართლებრივი ბუნების შესახებ; ასევე: *ჭანტურია*, საკორპორაციო სამართლის ცნება და ადგილი სამართლის სისტემაში, საიუბილეო კრებულში: ბესარიონ ზოიძე 60, ჭანტურია/ბურდული (რედ.), 2014, 569 და მომდ.; *ჭანტურია*, საწესდებო ავტონომია საკორპორაციო სამართალში, კრებულში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, თინათინ ნერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2015, 560-571, 560 და მომდ.

14 იხ. კანონის 112-ე, 145-ე, 237-ე მუხლი.

15 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში სკ-ის) 183-ე მუხლი, იხ. *თოთლაძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, 2018, 115 და მომდ.

16 იქვე, 177 და მომდ. იხ. სკ-ის 198-ე, 199-ე მუხლი.

შესაბამისი მუხლები.[17] სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნებაში შეიძლება მონაწილეობდეს არასრულწლოვანი პირი, რომელსაც ამ პროცესში მისი კანონიერი ნარმომადგენელი წარმოადგენს.[18] წესდების დამტკიცებისა და არასრულწლოვანის მიერ საზოგადოებისთვის შესატანად, ვთქვათ, უძრავი ქონების გადაცემისას ასევე გამოიყენება სამოქალაქო სამართლით დადგენილი რეჟიმი.[19] საკორპორაციო სამართალს შეხება აქვს ასევე მემკვიდრეობის სამართალთან, როდესაც, მაგალითად, საკითხი საზოგადოებაში მემკვიდრეობითსამართლებრივ ურთიერთობას ეხება და საკორპორაციო სამართალი, იყენებს რა აქაც სამოქალაქო სამართლის ფუძემდებლურ პრინციპებს, გარკვეული თავისებურებით აწესრიგებს მას.[20] მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ საკორპორაციო სამართალსა და სამოქალაქო სამართალს შორის ყველაზე მეტი კავშირი არსებობს.

გ.) სამეწარმეო სამართალთან

სამეწარმეო სამართლით რეგულირებული სფერო მეტად ფართოა და ურთიერთობათა მრავალფეროვან სპექტრს მოიცავს. სამეწარმეო სამართლის გათანაბრება საკორპორაციო სამართალთან[21] მიზანშეუწონელი იქნებოდა.[22] საკორპორაციო სამართალი სამეწარმეო სამართლის ძირითად ბირთვს

---

17 იქვე, 123 და მომდ. იხ. სკ-ის 186-ე მუხლი. საკორპორაციო სამართალი ახდენს ამ პროცესის დაკონკრეტებას, როდესაც ადგენს, რომ გადაცემული ქონება საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს თავისუფალი განკარგვის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს. თუ რა არის თავისუფალი განკარგვის ქვეშ ყოფნა, ამაზე პასუხს დეტალურად უკვე საკორპორაციოსამართლებრივი ინსტიტუტი იძლევა. იხ. მაგ.: *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 46 და მომდ.; *ჯულელი,* კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, 2010, 85; *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 178 და მომდ.; *შეფერი,* საზოგადოებათა სამართალი, მე-5 გამოც., 2018, მიგრიაული (მთარგ.), 2019, §35 ველი 4 და მომდ.

18 სკ-ის მე-15 მუხლი.

19 იქვე, 183-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

20 იხ. მაგ.: კანონის 31-ე, 114-ე, 125-ე, 239-ე მუხლი.

21 მაგ., *ზოიძე,* სამეწარმეო (საკორპორაციო) სამართლის ჩამოყალიბება საქართველოში, პარლამენტის მრჩეველთა საბჭოს უწყებანი, 1997, 10-13.

22 *ჭანტურია,* საკორპორაციო სამართლის ცნება და ადგილი სამართლის სისტემაში, საიუბილეო კრებულში: ბესარიონ ზოიძე 60, ჭანტურია/ბურდული (რედ.), 2014, 561.

შეიძლება წარმოადგენს,[23] თუმცა მისი იდენტური არ არის.[24] სამეწარმეო სამართალი მოიცავს როგორც კერძო, ისე საჯარო სამართალს. მასში მოიაზრებოდა არა მხოლოდ სამოქალაქო ბრუნვაში ჩართული სამოქალაქო სამართლის სუბიექტების ურთიერთობა ერთმანეთთან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან (მაგალითად, სხვადასხვა სახის (სავაჭრო) გარიგების დადება), არამედ მეწარმეთა მიერ ლიცენზიისა და ნებართვის მოპოვების, საბაჟო-საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობის და ა.შ. მონესრიგების მნიშვნელოვანი სეგმენტები. შეიძლება ითქვას, რომ თუკი საკორპორაციო სამართალი მართლწესრიგის კერძო სამართლის განშტოებას მიეკუთვნება, სამეწარმეო სამართლის ბუნება და მისი შინაარსი მეტად ამბივალენტურია[25] და იგი როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის ნაწილს განასახიერებს.

დ.) შრომის სამართალთან

საკორპორაციო სამართალს გარკვეული კავშირი აქვს შრომის სამართალთან.[26] ქართული საკორპორაციო სამართალი, პრინციპში, შემოიფარგლება შიდაორგანიზაციული მმართველობის ძირითადი საკითხებით. ამ კონტექსტში მასში მოიაზრება სანარმოს კონტროლის სისტემა, სადაც ხელმძღვანელ ორგანოს ძირითადი დანიშნულება აქვს. საკორპორაციო სამართალი განსაზღვრავს და აწესრიგებს ხელმძღვანელ პირთა სტატუსს, მათ დანიშვნასა და გამოწვევას, ქმედების მასშტაბს, პასუხისმგებლობას და სხვა საკითხებს. იგი არ ადგენს ნორმებს კორპორაციაში დასაქმე-

---

23 და არა პირიქით. სამეწარმეო სამართლის შინაარსის დაყენა ურთიერთობაში ჩართული ამა თუ იმ (სამეწარმეო/არასამეწარმეო) საზოგადოების მხოლოდ ფორმალურ-ორგანიზაციული მახასიათებლის შესწავლით არ უნდა იყოს გამართლებული. შეად. *მიგრიაული,* სამენარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო, 2021, 25.

24 განსაკუთრებით იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, სადაც მართლწესრიგის ორნვეროვანი და დარგთაშორისი დაყოფაა ტრადიციულად მიღებული. იხ.: *Белова (общ. ред.),* Корпоративное право: актуальные проблемы теории и практики, 2017, 35-80; *Крутлова,* Комрческое право, учебник, 2000, 13-17.

25 კარსტენ შმიტზე მითითებით: *ჭანტურია*, საკორპორაციო სამართლის ცნება და ადგილი სამართლის სისტემაში, საიუბილეო კრებულში: ბესარიონ ზოიძე 60, ჭანტურია/ბურდული (რედ.), 2014, 561.

26 შემდგომი მოკლე განმარტებით იხ. იქვე, 561-562.

ბულ სხვა პირებთან ურთიერთობისათვის. საზოგადოებასა და ხელმძღვანელ პირს - დირექტორს - შორის კი მყარდება თავისებური საკორპორაციო სამართლისათვის დამახასიათებელი ურთიერთობა, რომელიც სასამსახურო ხელშეკრულების სახელწოდებით არის ცნობილი.[27] კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში, ხოლო არაპარტნიორი პირის დირექტორად გამწესების შემთხვევაში ამხანაგური ტიპის საზოგადოებაში, საწარმოსა და ხელმძღვანელ პირს შორის ურთიერთობაზე არ ვრცელდება შრომის სამართლის მოთხოვნები, თუმცა მისი სრული გამორიცხვა არ შეიძლება და აღნიშნული ნორმაც ტელეოლოგიური რედუცირების მეშვეობით უნდა იქნეს ახსნილი. ეს ნიშნავს, რომ ისეთი ფუძემდებლური (სოციალური) შრომითსამართლებრივი ინსტიტუტების უგულებელყოფა, როგორიც არის დასვენების/შვებულების დრო, გასამრჯელოს/შრომის ანაზღაურების[28], ორსულობის პერიოდში სამუშაოდან განთავისუფლების შეზღუდვის, ბავშვის მოვლისათვის გათვალისწინებული მშობლის სამსახურიდან მოცდენის შრომითსამართლებრივად გარანტირებული დროის გამოყენებისა და სხვა შესაძლო სოციალური გარანტიების საკითხი, საკორპორაციო სამართლის მიერ არ შეიძლება. შესაბამისად, შრომის სამართალი აღწევს საკორპორაციო სამართლის წიაღში და ხდება მისი ნორმების გამოყენებაც.[29] გარდა ამისა,

---

27 *მიგრიაული*, ქართული კერძო სამართლის საკითხები, მე-2 გამოც., 2016, 192 და მომდ.; *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, II ტომი, 2013, 374 და მომდ.; *ბურდული*, ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხისათვის (დოგმატური გააზრების მცდელობა), ჟურ. „ჩემი ადვოკატი" №2, 2019, 46-62, 48; *ლაზარაშვილი*, სასამსახურო ხელშეკრულება სანარმოს დირექტორთან, კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009, 309 და მომდ.

28 *ჭანტურია*, საკორპორაციო სამართლის ცნება და ადგილი სამართლის სისტემაში, საიუბილეო კრებულში: ბესარიონ ზოიძე 60, ჭანტურია/ბურდული (რედ.), 2014, 562.

29 ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ *დანოზა ლატვიის წინააღმდეგ* კიდევ უფრო მეტად გაამყარა შპს-ის დირექტორთან ურთიერთობაში შრომის სამართლის გამოყენების მნიშვნელობა. ECoJ C-232/09 – Danosa v. Latvia; ვრცლად ამ საქმის ეფექტის თაობაზე საკორპორაციო სამართალში იხ.: *Petrovic, Ceronja*, Corporate effects of the danosa case: is the termination of membership of the board of directors allowed in the case of a pregnant board member?, Croatian Yearbook of European Law and Policy,

სამეწარმეო საზოგადოება ათეულობით და ათასეულობით დაქირავებულ მუშა-მოსამსახურესთან შედის შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში და მის მიმართ მთლიანად და უპირობოდ გამოიყენება შრომის სამართალი.[30]

ე.) კაპიტალის ბაზრის სამართალთან

საკორპორაციო სამართალს მჭიდრო შეხება აქვს ასევე კაპიტალის ბაზრის სამართალთან.[31] საკორპორაციო სამართლით განსაზღვრული მეწარმის გარკვეული იურიდიული ფორმა მისი მოწყობისა და კორპორაციული ქაღალდის სპეციფიკის გათვალისწინებით შექმნილია იმისთვის, რომ წვდომა ჰქონდეს სახელმწიფოს „სპეციალური მეთვალყურეობის" ქვეშ მყოფ ორგანიზებულად მოწყობილ ბაზარზე,[32] რათა მისი მეშვეობით უზრუნველყოს დაფინანსების სინერგიული ეფექტი და კომპანიას კაპიტალიზაციის დამატებითი მექანიზმები შეუქმნას.[33] საკორპორაციო სამართალი მხედველობაში იღებს აგრეთვე კორპორაციული მართვის იმ სტანდარტებსა და პრინციპებს, რომელიც კაპიტალის ბაზრისა და სხვადასხვა თვითრეგულირებადი ინსტიტუტების მიერ არის შემოთავაზებული და კაუტელარული პრაქტიკით დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებული კორპორაციათა წიაღში. კაპიტალის

№12, 2012, 437-456.

30 თანამედროვე დიდ კორპორაციებში განმტკიცებულია რისკების მინიმიზაციის სისტემა - კორპორაციული *compliance*-ის სახელწოდებით (ინსტიტუტის თაობაზე იხ.: *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 406 და მომდ.), რითიც ხდება სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობის განხორციელება კანონისა და ნესდების შესაბამისად, უფრო სწორედ, მის წარმართვაზე კონტროლი. ამ თვალსაზრისით შრომის სამართლის კანონმდებლობას და მის იმპლემენტაციასა და დაცვას საწარმოს მართვის პროცესში ხელმძღვანელ ორგანოთა მხრიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, რათა თავიდან იქნეს აცილებული მუშა-მოსამსახურეებთან არსებული პრობლემები, რაც შემდგომში შესაძლოა გახდეს კიდეც მათი მხრიდან უკმაყოფილების და კონსტიტუციურსამართლებრივად გარანტირებული გაფიცვის უფლების გამოყენების საწინდარი, რამაც კორპორაციას მძიმე ფინანსური პრობლემები შეიძლება შეუქმნას. ამ ურთიერთობითაც კარგად ჩანს საკორპორაციო და შრომის სამართლის კავშირურთიერთობა.

31 *Windbichler*, Gesellschaftsrecht, (2017), §1 Rn. 6.

32 *ბურდული, მახარობლიშვილი, ეგნატაშვილი*, კაპიტალის ბაზრის ფუნქციაუნარიანობა: არსებული რეალობა და რეფორმის აუცილებლობა, 2017, 19 და მომდ.

33 იქვე, 14 და მომდ.

ბაზრის ორი ძირითადი ფუნქციიდან გამომდინარე - ბაზრის ფუნქციაუნარიანობა და კაპიტალდამბანდებლის უფლებათა დაცვა[34] - საკორპორაციო სამართლისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინვესტიციისა და დაბანდებული მატერიალური დოვლათის ქონებრივი დაცვის ინტერესი. მაგალითად, სს-ში (განსაკუთრებით უმცირესობაში მყოფი)[35] აქციონერის მატერიალური ინტერესით არის განპირობებული მისი ინვესტიციის დაცვის სხვადასხვა საკორპორაციოსამართლებრივი ღონისძიებანი. კაპიტალის ბაზრის სამართალი კი მის მონაწილეს (ინვესტორს) ასევე დამატებითი დაცვის გარანტიებით უზრუნველყოფს, რაც, უპირველეს ყოვლისა, ბაზრის ალოკაციური ფუნქციით არის განპირობებული და მის მონაწილეს (საზოგადოების მომავალ პარტნიორს) უფლების დაცვის სხვადასხვა მექანიზმით უზრუნველყოფს. როგორც იურიდიულ ლიტერატურაშია აღნიშნული, საკორპორაციო სამართლისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მომწესრიგებელი სამართლის მჭიდრო კავშირი, „უპირველეს ყოვლისა, აიხსნება იმით, რომ კაპიტალის ბაზრის კანონმდებლობა არსებითად სს-ის საქმიანობის მნიშვნელოვან ასპექტს, კერძოდ კი, აქციებისა თუ სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და ბირჟაზე სავაჭროდ მათ დაშვებას არეგულირებს".[36] 2021 წელს ძალაში შესული „მეწარმეთა შესახებ" კანონის ახალი რედაქცია, პრინციპში, შესაძლებლობას აძლევს ყველა კაპიტალურად მოწყობილ საზოგადოებას, წვდომა ჰქონდეს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. ეს ლოგიკურად გამომდინარეობს შპს-ის

---

34 *Bruski* in: Schminansky/Bunte/Lwowski (Hrsg.), Bankrechts-Handbuch, Bd. II, 3. Auf., 2007, vor §104, Rn. 85; *Buck-Heeb,* Kapitalmarktrecht, 11. Auf., Verlag C. F. Müller, 2020, §1 Rn. 7 ff.

35 მინორიტარი აქციონერისთვის სს-ში მონაწილეობა მხოლოდ კაპიტალდაბანდებით შემოიფარგლება, განსხვავებით მაჟორიტარი აქციონერისაგან, რაც არაერთგზის არის განმარტებული სხვადასხვა ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში. გერმანული, ავსტრიული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე მითითებით იხ.: *ბურდული,* სავალდებულო სატენდერო შეთავაზება, აქციათა სავალდებულო გაყიდვა: აქციით მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენება თუ კაპიტალის ბაზრის განვითარების სავალდებულო წინაპირობა?!, ჟურ. „მართლმსაჯულება", №2, 2007, 10-39.

36 *ჭანტურია,* საკორპორაციო სამართლის ცნება და ადგილი სამართლის სისტემაში, საიუბილეო კრებულში: ბესარიონ ზოიძე 60, ჭანტურია/ბურდული (რედ.), 2014, 563.

მომწესრიგებელი სპეციალური ნორმა-დებულებებიდან. კაპიტალიზაციის ხერხებისა და ქონების მოზიდვის ელასტიურობის თვალსაზრისით შპს-ის სამართლებრივი ფორმა უკვე დიდ მსგავსებას ავლენს სს-სთან.

გასათვალისწინებელია ასევე საქართველოს კანონმდებლობა დაკავშირებული საინვესტიციო საქმიანობასთან, რომელიც დამატებით გარანტიას ქმნის ჩვენს ქვეყანაში უცხოური თუ ადგილობრივი ინვესტიციის მოზიდვისა და მხარდაჭერის მიმართულებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ", რომელიც ცდილობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ინვესტიციის ხელმშემწყობი სამართლებრივი რეჟიმის დადგენას[37] და კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ", რომელიც ინვესტიციათა აკუმულირების ინსტიტუციონალურ მოწყობას განსაზღვრავს საინვესტიციო ფონდების განმარტების, ამ იურიდიული ფორმების შექმნისა და მათი საქმიანობის განსაზღვრის მიმართულებით.[38] ეჭვგარეშეა, რომ ქვეყნის სიძლიერე, რითიც სახელმწიფო მის სხვადასხვა ფუნქციას ეფექტურად ასრულებს, ორგანიზაციულ-კორპორაციული ეკონომიკის განვითარებაში მდგომარეობს. ინვესტიციათა ინსტიტუციონალური მოზიდვის მყარი მონოლითური სისტემის შექმნისა და მისი დაცვის გარეშე ქვეყანაში მატერიალური დოვლათის დაგროვება და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება წარმოუდგენელია. ამ ამოცანის შესრულება კი დიდწილად არის დამოკიდებული სწორედ საკორპორაციო და კაპიტალის ბაზრის სამართალთა მჭიდრო კავშირურთიერთობაზე.

3.) ადმინისტრაციულ სამართალთან

მენარმე სუბიექტის დაფუძნებისა და მისი რეესტრიდან ამოშლის უფლებამოსილება უშუალოდ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს აქვს, რომელიც ადმინისტრაციული სამართლით დადგენილი პრინციპებითა და კანონმდებლობით მოქმედებს ეყრდნობა რა საჯარო მმართველობის

37 კანონის პრეამბულა.

38 იქვე, პირველი მუხლი.

ძირითად მიმართულებებს. მეწარმეს არა მხოლოდ მისი წარმოშობისა და სიცოცხლის დასრულების მომენტში შეიძლება უხდებოდეს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან, არამედ მისი საქმიანობის განხორციელების პერიოდშიც. მაგალითად, როდესაც საქმე გვაქვს საზოგადოების პარტნიორთა კრებაზე მიღებულ ისეთ გადაწყვეტილებასთან, რომელიც სავალდებულო სარეგისტრაციო იურიდიული ფაქტის კატეგორიას განეკუთვნება. მაშასადამე, მისი საბოლოო იურიდიული ძალმოსილებისათვის აუცილებელია ამ ფაქტის დარეგისტრირება სათანადო ადმინისტრაციულ ორგანოში. საქართველოში როგორც დაფუძნებისა და რეორგანიზაცია/ლიკვიდაციის, ისე ნებისმიერი რეგისტრაციასავალდებულო იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის აღნუსხვას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრი, რომელიც თავის კომპეტენციას უპირატესად სწორედ რომ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს.[39] საკორპორაციო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართების საკითხი ასევე შესაძლოა გამომდინარეობდეს მეწარმე სუბიექტის მიერ განსახორციელებელი საქმიანობის სახეობიდან, როდესაც, მაგალითად, სამეწარმეო საზოგადოების წესდებით განსაზღვრულია საქმიანობის საგანი და იგი იარაღით ვაჭრობას ან სააფთიაქო საქმიანობას მოიცავს. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში მეწარმე ვალდებულია სახელმწიფოსაგან ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად მიიღოს შესაბამისი ნებართვა მსგავსი საქმიანობის განხორციელების თაობაზე.

ზ.) საგადასახადო სამართალთან

მეწარმე სუბიექტი კორპორაციული ეკონომიკის მასტიმულირებელი და ძირითადი დოვლათის შემქმნელია ნებისმიერ

39 იხ. საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ", ასევე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბრის №241 ბრძანება „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე".

ქვეყანაში. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ეკონომიკური აქტივობის განხორციელებისას იგი არა მხოლოდ ძირითად დამსაქმებლად, სამუშაო ადგილების შემქმნელად, არამედ გადასახადის ძირითად გადამხდელადაც გვევლინება.[40] მისი მეშვეობით აკუმულირებული სახსრებით სახელმწიფო თავის ამოცანასა და ფუნქციას ასრულებს. მაშასადამე, საკორპორაციო სამართლის კავშირი საგადასახადო სამართალთან იმაში ვლინდება, რომ სწორედ ეს უკანასკნელი „განსაზღვრავს სამეწარმეო სუბიექტის საქმიანობის საგადასახადო-სამართლებრივ რეჟიმს".[41]

თ.) გადახდისუუნარობის სამართალთან

საკორპორაციო სამართალს ურთიერთობა აქვს ასევე გადახდისუუნარობის სამართალთან. სამეწარმეო საქმიანობის წარმართვის მსურველთათვის არა მხოლოდ ბაზარზე შესვლაა მნიშვნელოვანი, არამედ ოპერირების შეწყვეტა ბაზრიდან გამოსვლის საფუძველზე. სანარმოთა დაფუძნების სამართალი მთლიანად ექცევა საკორპორაციო სამართლის რეგულირების ქვეშ. სამეწარმეო საზოგადოების შექმნა, ანუ ბაზარზე სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სამართლის სუბიექტის შესვლა დამფუძნებელი პარტნიორის კერძო ავტონომიის ფარგლებში გადასაწყვეტი საკითხია. თუკი საწარმო ფინანსური პრობლემის წინაშე არ დგას, მისი ლიკვიდაცია და ამგვარად ბაზრიდან გამოსვლაც პარტნიორთა თავისუფალ ნებაზე იქნება დამოკიდებული. თუმცა კორპორაციული ეკონომიკის პირობებში შესაძლოა სანარმოს ბაზრიდან გამოსვლა „იძულებით" მოუწიოს მატერიალურ სიდუხჭირეში ჩავარდნის, ვალაუვალობისა და საქმიანობის ვერგაგრძელების/კრედიტუუნარობის გამო. ამ შემთხვევაში სამართალმა ეკონომიკური სუბიექტის ბაზრიდან გამოსვლის ჩამოყალიბებული და მწყობრი/მოწესრიგებული სისტემა უნდა შექმნას,[42] რომელიც, ერთი მხრივ, მოახდენს სამეწარმეო

---

40 *მიგრიაული,* სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო, 2021, 32.

41 *ჭანტურია,* საკორპორაციო სამართლის ცნება და ადგილი სამართლის სისტემაში, საიუბილეო კრებულში: ბესარიონ ზოიძე 60, ჭანტურია/ბურდული (რედ.), 2014, 563.

42 *მესხიშვილი, ბათლიძე, ამისულაშვილი, ჯორბენაძე,* გადახდისუუნარობის

საზოგადოების კრედიტორის უფლების, მეორე მხრივ კი, თავად საზოგადოების პარტნიორის ქონებრივი ინტერესის დაცვის უზრუნველყოფას. სწორედ ამ საკითხების მონესრიგება შედის გადახდისუუნარობის სამართლის რეგულირების ქვეშ და იგი, როგორც ვხედავთ, დაკავშირებულია აგრეთვე საკორპორაციო სამართალთან. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ განსაკუთრებით შეიმჩნევა ეს კავშირი მაშინ, როდესაც ვალაუვალობის პროცესის დროს გადახდისუუნარობის სამართალი ზეგავლენას ახდენს შიდაკორპორაციული მართვის სისტემაზე, რამდენადაც ხდება ტრადიციული კორპორაციული მართვის, უფრო სწორედ, საწარმოს ხელმძღვანელობის სისტემის ჩანაცვლება გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველით,[43] რომლის სტატუსსაც სწორედ გადახდისუუნარობის სამართალი განსაზღვრავს.[44]

ი.) სისხლის სამართალთან

საკორპორაციო სამართალს გარკვეული კავშირი აქვს სისხლის სამართალთანაც. ქართულ სისხლის სამართალში შემოტანილი იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აღიარების შემდგომ,[45] შესაძლებელი გახდა „დამნაშავე" იურიდიული პირის მიმართ ლიკვიდაციის სანქციის[46] შემცველი შედეგის დადგომა. კანონის 79-ე მუხლი

საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, 2021, 9.

43 *მიგრიაული,* სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო, 2021, 32.

44 *მესხიშვილი, ბათლიძე, ამისულაშვილი, ჯორბენაძე,* გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, 2021, 98 და მომდ.

45 რაც უცხოა კონტინენტურ ევროპულ სამართლის ოჯახს მიკუთვნებული ბევრი ქვეყნისთვის (მაგ., გერმანია, რომელსაც მსგავსი შინაარსის მქონე დარღვევები კვაზი სისხლისსამართლებრივ დელიქტებში გაჰყავს და OwG-ში აწესრიგებს, თუმცა თავს იკავებს მატერიალურ სისხლის სამართალში იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხის რეგულირებისაგან და, შესაბამისად, ადმინისტრაციულ სანქციად განიხილავს.). თუმცა საფრანგეთი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ეს ინსტიტუტი შემოიტანა ფრანგულ სისხლის სამართალში აშშ-ის სამართლის გავლენით.

46 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 107^3-ე მუხლის პირველი

პირდაპირ მიუთითებს ამ საფუძვლით საზოგადოების დაშლაზე.[47]

კ.) საკონსტიტუციო სამართალთან

და ბოლოს, რა თქმა უნდა საკორპორაციო სამართალს კავშირი აქვს საკონსტიტუციო სამართალთან. სამეწარმეო საზოგადოება კონსტიტუციურსამართლებრივად აღიარებული (კერძო) გაერთიანების შექმნის თავისუფლების ერთ კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენს,[48] რასაც საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს. ამავე კონსტიტუციით ასევე აღიარებული და უზრუნველყოფილია ეკონომიკური თავისუფლება, რომლის ერთ-ერთ გამოხატულებას მეწარმეობის თავისუფლებაც წარმოადგენს[49] (მე-7, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტი). სამეწარმეო სამართლებრივი ფორმის არჩევის თავისუფლების პრინციპიც სწორედ ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარეობს. მართალია, კომერციული ბანკების საქმიანობისათვის „კომერციული ბანკების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით აუცილებელია, სს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის არსებობა, თუმცა მსგავსი შეზღუდვა ლეგიტიმურ მიზანს ატარებს და არანაირად არ ზუდავს ამ (საბანკო-საკრედიტო) სფეროში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას კანონით დადგენილი შესაბამისი იურიდიული ფორმის ფარგლებში.

ნანილის თანახმად, ლიკვიდაციასთან ერთად გამოიყენება საქმიანობის უფლების ჩამორთმევის, ჯარიმისა და ქონების ჩამორთმევის სანქციები (როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის სახედ - ამავე მუხლის მე-2, მე-3, მე-4 პუნქტი).

47 ლიკვიდაციის (და არა დაშლის) კონტექსტში მოქმედი კანონი ითვალისწინებს მსგავს შინაარსს: „მეწარმეთა შესახებ" კანონის მე-14[1] მუხლი.

48 *ჭანტურია*, საკორპორაციო სამართლის ცნება და ადგილი სამართლის სისტემაში, საიუბილეო კრებულში: ბესარიონ ზოიძე 60, ჭანტურია/ბურდული (რედ.), 2014, 558; *Wiedemann, Frey*, Prüfe dein Wissen. Rechtsfälle in Fragen und Antwort, C. H. Beck (2007), 1; *Schmidt* in Müller-Glöge/Preis/Schmidt, Erfurter Kommentar zum Arbeitsrecht, GG Art. 14 Rn. 1.

49 *იზორია, კორკელია, კუბლაშვილი, ხუბუა, კუბლაშვილი*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2005, მუხლი 26, 224 და მომდ.; *ქანთარია*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, ტურავა (რედ.), 2013, მუხლი 26, 301 და მომდ.; *Jarass* in Jarass/Pieroth, GG Komm., 16 Auf., 2020, Art. 2 Rn. 1 f, 22-24; *Kunig, Kämmerer* in Münch/Kunig, GG-Komm., 7 Auf., 2021, Art. 2. 2 ff.

1.3. თანამედროვე საკორპორაციო სამართლის ჩამოყალიბება საქართველოში და მისი განვითარების სტადიები

საქართველოში თანამედროვე საკორპორაციო სამართალი გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან ყალიბდება. მის წარმოშობას უკავშირდება რამდენიმე სამართლებრივი აქტის მიღება, რომელმაც, შეიძლება ითქვას, საფუძველი ჩაუყარა ამ იურიდიულ მატერიას ჩვენს ქვეყანაში. გეგმურ-გუნდური (ე.წ. დირიჟიზმული) ეკონომიკის რღვევის შემდეგ, რომელიც საბჭოთა კავშირში არსებობდა, საქართველო პირისპირ აღმოჩნდა განვითარებული კაპიტალისტური სამყაროს წინაშე. საჭირო გახდა მთელი სახელმწიფოებრივი სისტემის გადაიარაღება სხვადასხვა სამართლებრივი თუ ეკონომიკური რეფორმის განხორციელების გზით, რაც დამოუკიდებლობის კვლავ მოპოვების დღიდან, მიუხედავად წარმოებული ომებისა, აქტიურად დაიწყო. სახელმწიფო კარგად ათვითცნობიერებდა, რომ კორპორაციული ეკონომიკის შექმნის ეპიცენტრში აუცილებლად უნდა მოქცეულიყო დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში მოქმედი და განვითარებული ბიზნესის წარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელი იქნებოდა კერძო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება და საერთო კეთილდღეობის დაგროვება, მატერიალური რესურსის გენერირება საზოგადოებაში. მასობრივი პრივატიზაციის პროცესი, ანუ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების კერძო პირთა ხელში გადაცემა, მათი განსაზოგადოებრიობა წარმოუდგენელი იქნებოდა იმ თანამედროვე სამართლებრივი ფორმებისა და მათი მომწესრიგებელი სამართლის ჩამოყალიბების გარეშე, რომლის ფარგლებშიც უნდა განხორციელებულიყო ეკონომიკური სამეწარმეო საქმიანობა. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად, სამოქალაქო კოდექსის მიღებამდეც კი, სახელმწიფომ რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონი მიიღო, რომელიც ორგანიზაციულ-კორპორაციული ეკონომიკის საძირკველს ყრიდა.

შეიძლება ითქვას, რომ პირველი სამართლებრივი აქტი, რომლის მიღებითაც საქართველო საბოლოოდ დაემშვიდო-

ბა სოციალისტურ ეკონომიკურ ნომენკლატურას და ქვეყანა თანამედროვე სამეწარმეო ურთიერთობების ჩამოყალიბებისაკენ წაიყვანა გახლდათ 1991 წლის 25 ივლისს მიღებული კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ". როგორც ლიტერატურაშია სამართლიანად აღნიშნული, ამ კანონმა „საბოლოოდ მოუღო ბოლო სამეწარმეო საქმიანობაში სოციალისტური სამართლისათვის დამახასიათებელ შეზღუდვებს და მეწარმეთათვის საქმიანობის დამოუკიდებლად ორგანიზების ძირითადი პრინციპები დაამკვიდრა".[50] ამ კანონით მოცემული იყო სამეწარმეო საქმიანობის ლეგალური დეფინიცია და მისი განხორციელების ორგანიზაციულ-იურიდიული ფორმები. მიჩნეულია, რომ აღნიშნული კანონი წარმოადგენდა ევროპული და საერთო სამართლის ქვეყნებისათვის დამახასიათებელ აქტთა ერთგვარ ურთიერთკავშირს, მათ (არც თუ ისე კარგად კომპილირებულ) ნაზავს. იგი გარკვევით ვერ ახდენდა საწარმოთა სამართლებრივი ფორმების ჩამოყალიბებას, მათი თავისთავადობის, ეკონომიკური საჭიროებისა და ტიპოლოგიური ბუნების განსხვავებათა დადგენას, თუმცა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების 19 იურიდიულ ფორმას ითვალისწინებდა. პრინციპში, ეს გამორიცხავდა იმ დროს Numerus Clausus-ის მოქმედებას ბიზნეს სუბიექტთა მიმართ, რაც დღეს ქართული საკორპორაციო სამართლის, როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმათა სამართლის ქვაკუთხედია. „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ" კანონი უფრო მეტად პოლიტიკურ-საჯარო ხასიათის აქტი იყო (მისი პირდაპირი გაგებით), ვიდრე კერძო სამართლისა.[51] ინდივიდუალურ საწყისებსა და ინდივიდუალური შესაძლებლობების წახალისებისა და პრიორიტეტად მისი დასახვის მიზნით 1992 წელს საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა დადგენილება „ინდივიდუალური მეწარმეობისა და ინდივიდუალური საწარმოს შესახებ". ამ აქტს ფართოდ უნდა მიეცა სტიმული კერძო ინდივიდუალური პირის სამეწარმეო ურთიერთო-

---

50 *ბეთანელი, მასბაუმი,* საკორპორაციო სამართალი საქართველოში, ჟურ. „ქართული სამართლის მიმოხილვა", №2-3, 2003, 278.

51 *ჭანტურია,* კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში, საიუბილეო კრებულში: სერგო ჯორბენაძე 70, 1996, 36.

ბაში საკუთარი სახელითა და შესაძლებლობით ჩართვისაკენ. საფიქრალია, რომ სახელმწიფო თავიდანვე ცდილობდა, სამეწარმეო ეკონომიკურ ურთიერთობაში, რისი განვითარებაც უშუალოდ შედიოდა სახელმწიფოს პირველი რიგის პრიორიტეტში, კერძო ინიციატივა მთლიანად გადასულიყო, უპირველეს ყოვლისა, ცალკეულ ფიზიკურ პირზე. ამას შედეგად მოჰყვა 1993 წელს „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ" აქტის მიღება. ეკონომიკური აქტივობის წარმართვის ეს იურიდიული კონსტრუქცია იმთავითვე ყველაზე მოქნილ ფორმად მიიჩნეოდა. როგორც მცირე და საშუალო ბიზნესის წარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას მას თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო სახელმწიფომ, თუმცა მაშინ ჭარბობდა იმპერატიული ხასიათის დანაწესები, რეგულაციები თანამედროვე შპს-ის სამართალში განვითარებულ პრინციპებსა და კონცეფციებს ნაკლებად პასუხობდა და, შეიძლება ითქვას, კანონი არასისტემურ ხასიათს ატარებდა შპს-ის შიდა კორპორაციული ურთიერთობის მოწესრიგების კონტექსტში. მალევე ეს ხარვეზი აღმოიფხვრა ერთიანი კონსოლიდირებული აქტით, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 1994 წელს მიიღო და რომლის ამოქმედებითაც, პრინციპში, საქართველოში ჩამოყალიბებას იწყებს თანამედროვე საკორპორაციო სამართლის ინსტიტუტციონალური განვითარება.[52] ეს გახლავთ კანონი „მეწარმეთა შესახებ", რომელმაც დღემდე სამი ძირითადი ევოლუციური ეტაპი გაიარა.[53] თავდაპირველად, 1994 წელს ქართუ-

---

52 თავად ამ დარგის დასახელების წარმოშობის თაობაზე იხ. იქვე, 32-55.

53 იხ.: *ბურდული,* თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართალი მუდმივი რეფორმირების წნაშე: მკვდრადშობილი პროცესი და საქართველო, კრებულში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი IV, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2019, 146–175; ***Burduli,*** **Das georgische Gesellschaftsrecht: Quo Vadis?I Eine kurze Darstellung der Reformen und des Refrombedarfs im georgischen Unternehmensrecht, in: Chiusi/ Burduli (Hrsg.), Rechtsvergleichung und Privatrecht im deutsch-georgischen Diskurs. Band 14, Jurisprudentia Saraviensis, 2019, 1-25;** ***Burduli,*** **Nekrorezeption in Transformationsgesellschaften (Am Beispiel des postsowjetischen georgischen Unternehmensrechts) in: Festschrift für Hanns Prütting zum 70. Geburtstag – Dogmatik im Dienste von Gerechtigkeit, Rechtssicherheit und Rechtsentwicklung, Carl Heymanns 2018, 3-15;** *ბურდული, მახარობლიშვილი, ეგნატაშვილი, გიგუაშვილი,* თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები), 2016, 11-14.

ლი საკორპორაციო სამართალი ჩამოყალიბდა როგორც კანონისმიერი იურიდიული მატერია. მასში სათანადო ადგილი ეკავა შიდაკორპორაციული ურთიერთობის რეგულატორულ ფუნქციას. „მეწარმეთა შესახებ" კანონის სისტემა[54] აგებული იყო დისპოზიციური და იმპერატიული ნორმების ერთგვარ ბალანსზე და თავისებურად გამოხატავდა გერმანული სამართლის მიდგომებს[55] და მათ ასახვას ქართულ საკანონმდებლო რეალობაში.[56] სწორედ მის მიღებას შეიძლება დაუკავშირდეს საკორპორაციო სამართლის განვითარების პირველი სტადია საქართველოში. ეს არის გერმანული სამართლის რეცეფციის შედეგად ჩამოყალიბებული კანონისმიერი სამართალი, რომელმაც საკუთარი ევოლუციის გზა განვლო და, მრავალი ხარვეზის მიუხედავად, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის კორპორაციული ეკონომიკის განვითარების საქმეში.[57]

2004 წლიდან ეკონომიკაში დამკვიდრებულმა ლიბერალურმა მიდგომებმა, რამაც, შეიძლება ითქვას, დიდი ბიძგი მისცა ეკონომიკური ვითარების მყისიერ გაჯანსაღებას ქვეყანაში და სტიმულირება მოახდინა ეკონომიკური კლიმატის გაუმჯობესებისა, თავისებური ასახვა ჰპოვა საკორპორაციო კანონმდებლობაშიც. შედეგად მივიღეთ სრულად დერეგულირებული, აბსოლუტურ საწესდებო ავტონომიაზე დაფუძნებული არაკანონისმიერი საკორპორაციო სამართალი,

---

54 რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, საკორპორაციო სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენს საქართველოში.

55 სამართლის „არჩევანის" შესახებ: *ბურდული,* სამეწარმეო (სავაჭრო) სამართლის განვითარება საქართველოსა და გერმანიაში (შედარებითი სამართლებრივი კვლევა), 2007, 62 და მომდ., 83 და მომდ.

56 საკორპორაციო სამართლის რეცეფციის თაობაზე ვრცლად მაგ.: *ბურდული, მახარობლიშვილი, ეგნატაშვილი, გიგუაშვილი,* თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები), 2016, 14 და მომდ., მთლიანად კერძო სამართლის (და მათ შორის სამეწარმეო სამართლის) რეფორმის კონტექსტში: *ზოიძე,* ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, 2005, 182-188.

57 რეცეფციის დადებითი და უარყოფითი მხარის, მისი იძულებითი და ნებაყოფლობითი კონცეფციის შესახებ იხ.: *ბურდული,* თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართალი მუდმივი რეფორმირების ნინაშე: მკვდრადშობილი პროცესი და საქართველო, კრებულში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი IV, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2019, 146-175.

რომელმაც დროთა განმავლობაში ვერანაირად ვერ შეძლო გამოწვევებისადმი პასუხის გაცემა და მისი სისტემური რეფორმის აუცილებლობის წინაშე დააყენა ქვეყანა. საკორპორაციო სამართლის განვითარების მეორე ეტაპი სწორედ მსგავსი ლიბერტანისტული მიდგომების დამკვიდრებით იწყება 2008 წლის 14 მარტის დიდი რეფორმით და 2021 წლამდე გასტანს. ამ პერიოდის საკორპორაციო სამართლისთვის დამახასიათებელია ურთიერთობის მოწესრიგების ვაკუუმი, ხელოვნურად შექმნილი შიდაკორპორაციული ურთიერთობის მრავალი ხარვეზი, (მცირე) პარტნიორთა (აქციონერთა) უფლებისა და ინტერესის დაცვისა და უზრუნველყოფის გამოშიგნული მექანიზმები და მასთან დაკავშირებული მსგავსი პრობლემები, რასაც, ხშირ შემთხვევაში, ჩიხში შეყავდა თავად შიდაორგანიზაციული ურთიერთობები და საკმაოდ ართულებდა სამართალშეფარდების პროცესს საქართველოში.[58] ყოველივე ეს კი, ქართულ სანარმოებში კაპიტალდაბანდებისაკენ (შიდა თუ გარე) ინვესტორის ნიჰილისტური განწყობის საფუძველს ქმნიდა, რასაც არც თუ ისე სახარბიელო ვითარება შეიძლება შეექმნა ეკონომიკური კლიმატის კუთხით საქართველოში.

საკორპორაციო სამართლის განვითარების მესამე ეტაპი კი, პრინციპში, არაფორმალურად 2015 წელს საქართველოსა და ევროპულ კავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების დადებას უკავშირდება, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ საბოლოო დააფიქსირა ქართველი ხალხის გაცხადებული ურყევი ნება ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრირებისა და მისი სრულფასოვანი ოჯახის ნევრობისა. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა არა მხოლოდ ზემოთ აღნიშნული რეგულატორული დეფიციტებისა და ხელოვნურად შექმნილი ხარვეზების საკანონმდებლო დონეზე გამოსწორების, არამედ იმ პოლიტიკურ-სამართლებრივი ვალდებულების პირნათლად შესრულების საკითხი, რომელიც ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარეობდა. ეს ნიშნავს, რომ აუცილებელი გახდა ქართული სამართლის მისადაგება და მიახ-

58 იხ. ასევე, განმარტებითი ბარათის დასაბუთება: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4962987>.

ლოვება ევროკავშირის სუპრანაციონალურ საკორპორაციო სამართალთან.[59] 2017 წელს სამუშაო ჯგუფის[60] მიერ მომზადდა „მეწარმეთა შესახებ" კანონის პროექტი - მისი ახალი რედაქცია, რომელიც იუსტიციის სამინისტროში მრავალწლიანი მოსამზადებელი სამუშაოსა და პროექტის შემდგომი დახვეწის შემდეგ 2020 წელს პირველად წარედგინა პარლამენტს. 2021 წლის 2 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა პროექტი კანონად აქცია, რომლის არსებითი ამოქმედება 2022 წლის 1 იანვრიდანაა გათვალისწინებული და ამჟამად ჯერჯეროობით შეუცვლელი სახით არის წარმოდგენილი საზოგადოების წინაშე. მაშასადამე, ქართული საკორპორაციო სამართლის განვითარების მესამე ეტაპი ფორმალურად მოიცავს პერიოდს 2021 წლიდან დღემდე. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის რეფორმით საქართველო დაუბრუნდა მის ბუნებრივ ევროპულ ორბიტას ამ სფეროში, ხოლო საკორპორაციო სამართალი, როგორც დამოუკიდებელი დარგი, კვლავ დაეფუძნა კანონისმიერ ხასიათს.[61]

1.4. საკორპორაციო სამართლის პრინციპები

1.4.1. საწესდებო ავტონომია

საკორპორაციო სამართალი, როგორც ნებისმიერი იურიდიული მატერია, გაჯერებულია მისთვის სახასიათო სახელმძღვანელო პრინციპებით. მისით მრავალი კორპორაციულსამართლებრივი ინსტიტუტი საზრდოობს, რაც, შეიძლება ითქვას, თავად საკორპორაციო სამართლის არქიტექტონიკის საფუძველს წარმოადგენს. როგორც ზემოთ წარმოჩინდა, სამართლის ამ დარგში, მისი უფრო თვითრეგულირებადი ხასიათიდან გამომდინარე, ბატონობს დისპოზიციურობის პრინციპი. იმპერატიული ნორმები გამოიყენება სწორედ მაშინ, როდესაც საქმე ფუძემდებლური საკორპო-

59 ვრცლად რეფორმის თაობაზე იხ. *ბურდული*, საკორპორაციო სამართლის რეფორმა საქართველოში (ძირითადი ტენდენციები), ჟურ. „ჩემი ადვოკატი", №5, 2021, 84-106.

60 რომელშიც შედიოდნენ პროფესორები ლადო ჭანტურია, გიორგი ჯუღელი, შალვა პაპუაშვილი და ირაკლი ბურდული.

61 კანონის ეკონომიკური შეფასების ეფექტის (ე.წ. RIA) თაობაზე იხ. კანონპროექტის განმარტებითი ბარათი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4962987?publication=0>, 111 და მომდ.

რაციოსამართლებრივი პრინციპების უზრუნველყოფასა და რეალიზებას ეხება ან როდესაც სახეზეა სს-ის სამართლებრივი ფორმა. სხვა შემთხვევაში უზრუნველყოფილია კორპორაციულსამართლებრივ ურთიერთობის მონაწილის ნების თავისუფალი გამოვლენის და გარიგების დადებისა და განსაზღვრის სრული თავისუფლების პრინციპი, რაც უმეტესწილად საწესდებო ავტონომიაში განსახიერდება. ბუნებრივია, სწორედ ეს ასაზრდოებს მთლიანად საკორპორაციო სამართალს, როგორც კერძო სამართლის დარგს. მაშასადამე, უმთავრესი პრინციპი, რომელიც წინა პლანზე უნდა იყოს წამოწეული გახლავთ სახელშეკრულებო თავისუფლებისა და კერძო ავტონომიის პრინციპი. სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისთვის შექმნილი გაერთიანების მონაწილენი - სამეწარმეო საზოგადოების (დამფუძნებელი) პარტნიორები დამოუკიდებლად, მათი კერძო ავტონომიისა და თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე ხდებიან ერთობლივი მიზნის მისაღწევად ჩამოყალიბებული კომპანიის მონაწილენი. ისინი დამოუკიდებლად განსაზღვრავენ და ადგენენ უფლება-მოვალეობას ერთმანეთისა და საზოგადოების მიმართ. კანონმდებლობით აღიარებულ ფარგლებში იძენენ წილიდან გამომდინარე უფლებებსა და მოვალეობებს და სახელშეკრულებო თავისუფლების საფუძველზე მოდიფიცირებას უკეთებენ დისპოზიციურად განსაზღვრულ შიდაორგანიზაციული ხასიათის ურთიერთობას. პარტნიორები, ხშირ შემთხვევაში, საწესდებო თავისუფლებით აყალიბებენ კორპორაციულ ურთიერთობებს და მათთვის ნასურვები დებულებებისა და პოსტულატების ინკორპორირებას ახდენენ საზოგადოების ხელშეკრულებაში. ეს უკანასკნელი კი სამეწარმეო საზოგადოების მონაწილეთა მოქმედების ძირითად ორიენტირს ადგენს.

1.4.2. პარტნიორთა თანასწორუფლებიანობა

შემდეგი პრინციპი, რომლის აღნიშვნაც არის აუცილებელი გახლავთ პარტნიორთა თანაბარი მოპყრობის პრინციპი. საკორპორაციო სამართალში ერთხმად არის აღიარებული, რომ საზოგადოების წევრთა, უფრო სწორედ, პარტნი-

ორთა თანაბარი მოპყრობის პრინციპი უზრუნველყოფილია. იგი პარტნიორის ერთგულების მოვალეობის სტანდარტთან ერთად არის განსახილველი, რაც სხვა (თანა)პარტნიორის უფლებისა და კანონიერი ინტერესის მხედველობაში მიღებითა და მისი კორპორაციულ ცხოვრებაში გათვალისწინების მოვალეობით არის ინსპირირებული (კანონის 34-ე მუხლი). თანასწორუფლებიანობის პრინციპი დეკლარირებული ხასიათის კორპორაციულსამართლებრივი პრინციპია, თუმცა მისი შინაარსი განმარტებას მოითხოვს: კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პარტნიორთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუკი პარტნიორები თანაბარ პირობებში იმყოფებიან. მაგალითად, სს-ს რამდენიმე აქციონერი ჰყავს. მათი გარკვეული რაოდენობა ფლობს ერთი კლასის აქციას, რომელიც მას (საზოგადოების პარტნიორს) ხმის უფლებას ანიჭებს. პირობითად, მას A კლასის აქცია დაერქმევა. სს-ში აქციონერთა გარკვეულ ჯგუფზე გაცემულია ასევე სხვა (B) კლასის აქცია, რომელიც მის მფლობელს კორპორაციში არ უზრუნველყოფს ხმის უფლებით. სამაგიეროდ მოგების განაწილებისას მოჭრილი დივიდენდის პირველ რიგში მიღების უფლებას ანიჭებს. სხვა კლასის აქცია კი მის მესაკუთრეს ხმის აკუმულირების მეთოდის უპირატესად გამოყენების შესაძლებლობას აძლევს. კანონის 158-ე მუხლი განსაზღვრავს აქციის კლასის ცნებას. ამავე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ ერთი კლასის აქცია მის მფლობელს თანაბარი უფლებით აღჭურვავს. ზემოთ აღნიშნული საკანონმდებლო ნორმათა განმარტება უჩვენებს, რომ ერთი და იმავე კლასის აქცია აქციონერთა გარკვეულ ჯგუფს თანაბარ პირობებში აქცევს და მათი არათანაბარი მოპყრობა დაუშვებელია. თუმცა ეს არ ნიშნავს იმავე საზოგადოებაში სხვა კლასის აქციის (ან წილის) მფლობელის აუცილებლად იმავე პირობებში ჩაყენებას. თანასწორუფლებიანობის პრინციპი უზრუნველყოფილია თანასწორთა შორის. სხვადასხვა შინაარსის უფლებამ შესაძლოა სხვადასხვა თანასწორუფლებიანობის პარადიგმას დაუდოს საფუძველი. თანასწორუფლებიანობის პრინციპის გამოხატულებას წარმოადგენს ასე-

ვე შესატანის განხორციელების დანესებისას ინფერენტთა[62] თანაბარ პირობებში ჩაყენების ვალდებულება. ეს ნიშნავს იმას, რომ წესდებით შეთანხმებული შენატანის განხორციელების ვალდებულება საზოგადოების წინაშე შესასრულებელ ვალდებულებათა კატეგორიას განეკუთვნება მისი პარტნიორის მხრიდან. საზოგადოების წარმომადგენლობა მის ხელმძღვანელ ორგანოს - დირექტორს ეკისრება. შესაბამისად, სწორედ დირექტორი უნდა იყოს საზოგადოების წინაშე ამ ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი. დირექტორმა კი ყველა ინფერენტი თანაბარ მდგომარეობაში უნდა ჩააყენოს და უთანასწორო მოპყრობით, რაც ამა თუ იმ პარტნიორისადმი ლოიალურ დამოკიდებულებაში შეიძლება გამოიხატოს და აზარალოს საზოგადოებისა და სხვა პარტნიორის ინტერესი, შეიძლება გახდეს ხელმძღვანელი პირის ფიდუციური მოვალეობის დარღვევის საწინდარი. შესაბამისად, დირექტორი ვალდებულია, დაიცვას პარტნიორთა (აქციონერთა) თანაბარი მოპყრობის პრინციპი და თანაბარი ვალდებულებით შებოჭოს ისინი.

1.4.3. ფორმის შერჩევის თავისუფლება

იგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შერჩევის თავისუფლების პრინციპის სახელწოდებით უნდა იყოს ცნობილი. საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ სათანადო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საფუძველზე. თავად ეს ფორმები სახელმწიფოს მიერ არის დადგენილი კანონის მე-2 მუხლით და მათი ჩამონათვალი ამომწურავია. ბიზნესის წარმოების მსურველ პირებს შეუძლიათ თავისუფლად ისარგებლონ საერთო მიზნის მისაღწევად გაერთიანების კონსტიტუციური უფლებით და მათი ბიზნესისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი, ხელმისაწვდომი და სასურველი იურიდიული ფორმა, რომლის ფარგლებშიც ისინი დასახულ მიზანს მიაღწევენ, თავადვე შეარჩიონ. შესაბამისად, საკორპორაციო სამართლით სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის სახელმწიფოს

62 ინფერენტი არის შესატანის განხორციელების ვალდებულების ამღები, ანუ შენატანზე პასუხისმგებელი პირი (დამფუძნებელი-პარტნიორი ან პარტნიორი სამეწარმეო (კაპიტალურ) საზოგადოებაში).

მიერ დადგენილი სამართლებრივი ფორმის შერჩევის სრული თავისუფლებაა უზრუნველყოფილი. ფორმის შერჩევის თავისუფლების პრინციპში მოიაზრება ასევე ის ლეგიტიმური შეზღუდვა, რომელსაც მაგალითად აწესებს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" კანონი. ისეთი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისთვის, რომელიც საბანკო-საკრედიტო სფეროს უკავშირდება, შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტულად განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის გამოყენებით: აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომერციული ბანკი შესაძლებელია შეიქმნას სს-ის სამართლებრივი ფორმით. ეს ნიშნავს ფორმასავალდებულოობის დაწესებას ამ სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტისთვის, თუმცა ამ შეზღუდვას სათანადო გამართლება აქვს.

1.4.4. საქმიანობის საგნის დადგენის თავისუფლება

შემდეგი პრინციპი, რომელზედაც გამახვილდებოდა ყურადღება არის საქმიანობის საგნის განსაზღვრის თავისუფლება. სამეწარმეო საზოგადოების ფარგლებში პარტნიორები გარკვეულ (საერთო) მიზანს ისახავენ. ეს მიზანი მოგების მიღებაში მდგომარეობს, თუმცა მისი მიღწევის, ცხოვრებაში გატარების, მისი აღსრულებისა და რეალიზების შესაძლებლობას ის საქმიანობა იძლევა, რომლის იდენტიფიცირებასაც ესა თუ ის მეწარმე სუბიექტი ახდენს და რომლის თაობაზეც თავად ამ გაერთიანების პარტნიორები თანხმდებიან. სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორები კერძო ავტონომიის ფარგლებში ადგენენ საქმიანობის საგანს, რის განსაზღვრაშიც ისინი თავისუფალნი არიან. შესაბამისად, საქმიანობის საგნის განსაზღვრის თავისუფლება უზრუნველყოფილია და იგი, როგორც წესი, გამომდინარეობს შეთანხმებული ბიზნესის წარმოების თავისებურებიდან და სპეციფიკიდან, ასევე, კომპანიის მართვის ხასიათიდან და პარტნიორთა პირადი ღვაწლისა და უშუალო ჩართვიდან სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობის პროცესში. მოკლედ, კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

სადამფუძნებლო დოკუმენტში აუცილებელია საზოგადოების საქმიანობის საგნის მითითება მისი ზოგადი ან კონკრეტული ფორმულირების სახით. ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ დაფუძნების სამართალში დამკვიდრებულმა ნორმატიულმა სისტემამ და იურიდიული პირის ზოგადი უფლებაუნარიანობის საკითხმა საფუძველი ჩაუყარა ზოგადი საქმიანობის საგნის კონცეფციას, თუმცა განვითარებული ევროპული ქვეყნების საკორპორაციო პრაქტიკაში, როგორც წესი, უპირველეს ყოვლისა საქმიანობის კონკრეტული (პარტნიორთა მიერ შეთანხმებული) საგნის მითითება ხდება მისი იდენტიფიცირების მიზნით.

1.4.5. პარტნიორობის უფლება

სამეწარმეო საზოგადოებაში პარტნიორად მონაწილეობის უფლება ერთ-ერთი კორპორაციულსამართლებრივი პრინციპია. სამოქალაქო ბრუნვის მონაწილენი თავად განსაზღვრავენ, თუ ვისთან შევიდნენ გარიგებითსამართლებრივ ურთიერთობაში, თუ ვისთან ერთად მიიღონ გაერთიანებაში მონაწილეობა და როდის დაასრულონ ეს ურთიერთობა.[63] პარტნიორი სამეწარმეო საზოგადოებაში თავად განსაზღვრავს მონაწილეობას იმ პირობით, რომელიც მისთვის მისაღებია. საზოგადოებაში მონაწილეობის იძულება დაუშვებელია, ვინაიდან იგი კერძოსამართლებრივი შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრული საერთო მიზნის მიღწევის კონცეფციას ეწინააღმდეგება. შესაბამისად, საკორპორაციო სამართალში აღიარებულია სამეწარმეო საზოგადოებაში შესვლისა და მისგან გამოსვლის, ანუ პარტნიორად მონაწილეობის თავისუფლების პრინციპი. გარკვეული შეზღუდვები ამ დროსაც არსებობს, თუმცა ეს უკანასკნელიც ლეგიტიმურად გამართლებულია. მაგალითად, სს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაში 95%-ის მეტი ხმის უფლების მქონე აქციონერის მხრიდან დასაშვებია უმცირესობაში მყოფი პარტნიორის მისი ნების საწინააღმდეგო განდევნა კორპორაციიდან, რასაც აქციათა სავალდებულო მიყიდვის პროცედურა განაპირობებს

63 გარკვეული გამონაკლისები აქაც არსებობს. მაგალითად, კადუცირების შემთხვევა ან ზიანის მიყენების გამო საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა და, მაშასადამე, ნილის არანებაყოფლობითი დათმობა და ა.შ.

(კანონის 225-ე მუხლი). ამ დროს უმრავლესობის უფლებას - დააყენოს წინადადება დარჩენილი აქციების სამართლიან ფასად გამოსყიდვის თაობაზე - უპირისპირდება უმცირესობის კორესპონდენციული ვალდებულება - გაყიდოს მის საკუთრებაში არსებული აქციები. მართალია, ამ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს უმცირესობის ნების საწინააღმდეგოდ აქციათა გადასვლა დომინანტი აქციონერის ხელში, თუმცა, როგორც ეს ქვემოთ წარმოჩინდება, ამას სათანადო კორპორაციულ-სამართლებრივი და ეკონომიკური გამართლება აქვს, იგი სინერგიის ეფექტის სახელით არის ცნობილი მეცნიერებაში და მეტი კაპიტალდაბანდებისაკენ უბიძგებს ინვესტორს, რაც, თავის მხრივ, საყოველთაო დოვლათის გენერირების მეტ საშუალებას იძლევა და ხელს უწყობს საზოგადოების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

1.4.6. საკუთრების უფლების გარანტია

შემდეგი გახლავთ მეწარმე სუბიექტის საკუთრების ხელშეუვალობის პრინციპი. სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა საკუთრების უფლება გარანტირებული და დაცულია. ბუნებრივია, მონაწილის ქვეშ მეწარმეობის განმახორციელებელი სამართლებრივი ფორმაც მოიაზრება. ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით, ყველა სამეწარმეო საზოგადოება იურიდიულ პირად განიხილება (კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი). ეს ნიშნავს, რომ მეწარმედ ორგანიზებული სამოქალაქო სამართლის სუბიექტი შეიძლება იყოს მოძრავი თუ უძრავი ნივთის მესაკუთრე. მისი საკუთრების უფლება კონსტიტუციურ-სამართლებრივად დაცულია (კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი) იმ ლეგიტიმური შეზღუდვის გათვალისწინებით, რაც ასევე საქართველოს კონსტიტუციით არის დასაშვები (მე-19 მუხლის მე-2, მე-3 პუნქტი).

1.4.7. სასამართლოსათვის მიმართვის უფლება

სამეწარმეო იურიდიული პირის მხრიდან დარღვეული ან სადავოდ გამხდარი უფლების სასამართლო წესით დაცვის უზრუნველყოფის პრინციპი. მეწარმე სუბიექტს საკუთარი

სახელით გარანტირებული აქვს აღძრას სარჩელი სასამართლოში დარღვეული ან სადავოდ გამხდარი უფლების თაობაზე ან თავი დაიცვას მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელისაგან. ამას უზრუნველყოფს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი გარდა საგამონაკლისო შემთხვევისა,[64] სასამართლო პროცესში საზოგადოებას ორგანულსამართლებრივი წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირი წარმოადგენს. მართლმსაჯულების განხორციელების სპეციფიკა სპეციალური ცოდნის მქონე პირის დახმარებას მოითხოვს, ამიტომ პრაქტიკაში საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო საზოგადოების სახელით სპეციალურ სასამართლო წარმომადგენლობას ანიჭებს იურიდიული სპეციალობის მქონე პირს. გარდა საერთო სასამართლოებისადმი მიმართვისა, სამეწარმეო საზოგადოებას უზრუნველყოფილი აქვს ასევე უფლება მისი ინტერესის დასაცავად - ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმის კონსტიტუციურობის დასადგენად - კონსტიტუციური სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოსაც. ამ უფლების რეალიზებას „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი და „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ადგენს. ეს პრინციპი კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების ერთ კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენს.

---

64 მაგალითად, დირექტორის წინააღმდეგ სასამართლოში საზოგადოების არახელმძღვანელი ორგანოს ან პარტნიორის მიმართვისას (დერივაციული სარჩელი).

2. თავი - ეკონომიკური საქმიანობა, როგორც ზე-ცნება: ეკონომიკური არასამეწარმეო და ეკონომიკური სამეწარმეო საქმიანობის არსი; სამეწარმეო საქმიანობის ელემენტები

2.1. ეკონომიკური საქმიანობა

ეკონომიკური საქმიანობის ცნებას უპირატესად სამეწარმეო სამართლისათვის აქვს მნიშვნელობა. სამოქალაქო ბრუნვისთვის დამახასიათებელია ურთიერთობის მონაწილე სუბიექტთა მხრიდან გარკვეული საქმიანობის წარმართვა. ამ საქმიანობის ორი ძირითადი მიმართულება შეიძლება გამოიყოს. ეს არის ეკონომიკური და არაეკონომიკური საქმიანობა. კერძოსამართალურთიერთობაში ძირითად ადგილს ეკონომიკური საქმიანობა იკავებს, რომელიც, საზოგადოებრივი ურთიერთობის მრავალფეროვნებიდან და მისი მრავალწახნაგიანი ბუნებიდან გამომდინარე, ორ ძირითად სახედ წარმოჩინდება. პირველი ეს არის ისეთი ეკონომიკური საქმიანობა, რომელსაც არ ესაჭიროება მეწარმე სუბიექტის ჩამოყალიბება და, მაშასადამე, მისი განხორციელება არ მოითხოვს რაიმე სპეციალურ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას. მეორე გახლავთ ისეთი აქტივობა, რომლისთვისაც სახელმწიფოს მხრიდან დადგენილია სპეციალური იურიდიული ფორმები, რომელთა ფარგლებშიც, უფრო სწორედ, შექმნის მეშვეობით შესაძლებელი ხდება და, უფრო მეტიც, ლეგიტიმური/კანონიერია აღნიშნული საქმიანობის წარმოება. როგორც აღინიშნა, საკორპორაციო სამართალი, მისი ვიწრო გაგებით, შეისწავლის სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმათა მოწყობის სამართალს. ეს ნიშნავს, რომ სამეწარმეო სუბიექტის მეწარმე პირად დაკვალიფიცირების ეპიცენტრში დგას ისეთი საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობის მიხედვით ეკონომიკურ სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა. თუმცა, სანამ უშუალოდ ეს უკანასკნელი იქნება განმარტებული მისი აუცილებელი ელემენტების მიხედვით, მიზანშეწონილია ეკონომიკური საქმიანობის, როგორც ერთგვარი *bum mentis* განმარტება.

ეკონომიკური საქმიანობის შინაარსი მოცემულია საგადა-

სახადო კოდექსის მე-9 მუხლში. მის მიხედვით, საქართველოში ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც წარიმართება შემოსავლის ან გარკვეული კომპენსაციის მიღების მიზნით, ეკონომიკურ საქმიანობას განეკუთვნება. მთავარი ასეთ დროს არის პირის სურვილი, მისი მიზანი, განზრახვა მოგების/შემოსავლის ან რაიმე სახის კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად იმისა, აღნიშნული საქმიანობა, საბოლოო ჯამში, მისთვის (განმახორციელებელი პირისთვის) სარფიანი აღმოჩნდება თუ არა. ეს ნიშნავს, რომ შესაძლებელია პირის მიერ შემოსავლის ან კომპენსაციის მიღების მიზნით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგას, თუმცა მას არ მოყვეს ამ პირისათვის რაიმე სახის მატერიალური სარგებლის მიღება.[65] მიუხედავად ამისა, მსგავსი საქმიანობა ჯდება ეკონომიკური საქმიანობის ლეგალური დეფინიციის შინაარსში, ხოლო სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკიდან გამომდინარე საგადასახადოსამართლებრივად დაბეგვრის რეჟიმს ექვემდებარება.

ეკონომიკური საქმიანობის კონკრეტული ჩამონათვალი, მისი, როგორც აღინიშნა, მეტად ამბივალენტური ბუნებიდან გამომდინარე, საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის პირველ ნაწილში მოცემული არ არის და ეს არც აღნიშნული საქმიანობის პრაქტიკულ გონიერებას შეესაბამება. მეტად რთულია და წარმოუდგენელიც კი, მთლიანად ეკონომიკური საქმიანობის დეტალური მოცემულობის, მისი კონკრეტული სახის, მოცულობისა და ფორმის დახასიათება. მთავარია, საქმიანობა, თუნდაც იგი მხოლოდ ერთი მოქმედებით შემოიფარგლებოდეს, ატარებდეს მოქმედების დაგეგმვის, განხორციელების, მისი შედეგის პროგნოზირების მიზანს და ორიენტირებული იყოს გარკვეული სარგებლის მიღებაზე. მთავარი არ არის საქმიანობის პროცესის ხანგრძლივობა და მასში ჩართულ მოქმედებათა სახე და რაოდენობა ან მისი აპრიორი მოგების მომტანი შედეგი, არამედ შეგნებული და მიზანმიმართული აქტივობა, რომელიც შემოსავლის ან კომპენსაციის მიღებაზე იქნება ორიენტირებული.[66] ამასთან, ამავე მე-9 მუხლის მე-2

---

65 *დვალიძე, მახარობლიშვილი,* სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი), 2016, 16.

66 *ნადარია, როგავა, რუხაძე, ბოლქვაძე,* საქართველოს საგადასახადო კოდექსის

ნაწილში ის კონკრეტული ურთიერთობაა ჩამოყალიბებული, რომელიც, გამონაკლისის სახით, არ განეკუთვნება ეკონომიკურ (არასამეწარმეო) საქმიანობას.[67] საგადასახადო კოდექსის მე-10 და შემდგომ მუხლში კი განმარტებულია არაეკონომიკური საქმიანობის კონკრეტული სახეების, როგორც არის საქველმოქმედო, რელიგიური საქმიანობა, დაქირავებით მუშაობა და სხვ., შინაარსი.

2.2. ეკონომიკური სამეწარმეო საქმიანობა

2.2.1. საწარმო და საწარმოს მატარებელი სუბიექტი

ა.) საკორპორაციო სამართლის მიხედვით

პირის მეწარმე სუბიექტად დაკვალიფიცირებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამეწარმეო საქმიანობის ცნებას, რომელსაც ფორმალური და მატერიალურ-შინაარსობრივი მდგენელი აქვს. 2021 წლის რეფორმის შედეგად ქართულმა სამართალმა გაიზიარა ამ სფეროში ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში განხორციელებული სამეწარმეო სამართლის მოდერნიზების სულისკვეთება და საწარმოსა და საწარმოს მატარებელი სუბიექტის საკანონმდებლო დონეზე გამოყოფის მიმართულებით წავიდა.[68] კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს, რომ მეწარმე სუბიექტად მიიჩნევა სამოქალაქო სამართლის სუბიექტი, ე.ი. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს საწარმო. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება განმარტავს, რომ საწარმო არის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ორგანიზებული სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის კანონის ახალ რედაქციაში, მანამდე არსებულისაგან განსხვავებით, საწარმოს დეფინიციაა მოცემული, არაფერს შეცვლის, თუკი მისი განმარტებისთვის ჭანტურია/ნინიძის 2003 წლის კომენტარს მივმართავთ და საწარმოც სწორედ იქ მოხმობილი არგუმენტით განიმარტება. საწარმო არ არის

კომენტარი, წიგნი I, 2012, 120.

67 ჩამონათვალი და მისი განმარტება იხ.: იქვე, 124 და მომდ.

68 იხ. მაგ.: *Schmidt*, MünchKommHGB/K. 5 Auf., 2021, §1 Rn. 104 ff; *ბურდული*, სამეწარმეო (სავაჭრო) სამართლის განვითარება საქართველოსა და გერმანიაში (შედარებითი სამართლებრივი კვლევა), 2007, 70; *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2010, 118-122.

მეწარმის იდენტური,[69] თუმცა მისი არსებითი შემადგენელი ნაწილი, რომლის არსებობის გარეშეც თავად მეწარმე სუბიექტის სამეწარმეო საქმიანობა არ იქნება სახეზე. საწარმო არ გახლავთ კერძოსამართალურთიერთობის ცალკე აღებული არც სუბიექტი და არც ობიექტი და პირიქით, შეიძლება იყოს ერთიც და მეორეც.[70] „საწარმო არის პირთა და ქონების ორგანიზაციულ-ეკონომიკური ერთიანობა,"[71] ორგანიზებულად მოწყობილი სისტემა, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს მასში დასაქმებული პერსონალის საქმიანობას, მოძრავ და უძრავ ნივთთა ერთობლიობას, უფლებებსა და ვალდებულებებს, საფაბრიკო-საქარხნო წარმოების თავისებურებებს, ნოუ-ჰაუს, ნანო ტექნოლოგიურ მიღწევებს და ა.შ. მოკლედ, საწარმო სამეწარმეო საქმიანობის შინაარსის პრაქტიკულ ცხოვრებისეულ ურთიერთობაში განხორციელების ერთგვარი ინსტრუმენტია, რითიც მეწარმე მის ძირითად მიზანს - მოგების მიღებას, მის ოპტიმირებას - აღწევს. თუმცა სამართალბრუნვას შეხება აქვს არა საწარმოსთან უშუალოდ, არამედ მის მატარებელ სუბიექტთან, ანუ იმ კონკრეტულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმასთან, რომელიც საქართველოში სწორედ რომ ეკონომიკური სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის უნდა გამოიყენებოდეს და სამოქალაქო სამართლის სუბიექტად გვევლინებოდეს. ასეთად კი კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი მიიჩნევს იმ იურიდიულ ფორმებს, რომელთა ჩამონათვალი ამომწურავია. მაშასადამე, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე უფლებაუნარიანი და ქმედუნარიანი სუბიექტი არის მეწარმის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა (მაგალითად, შპს ან სს) და არა საწარმო, როგორც ასეთი. საწარმო არ არის იურიდიული ფორმა და სამართლის სუბიექტი, რომელთანაც მესამე პირს გარიგების დადება შეუძლია. ამიტომ გარიგების მხარე ყოველთვის იქნება ერთი მხრივ, მაგალითად, ლუდის მწარმოებელი შპს, რომელიც თუნდაც მის საწარმოს (ქარხანას/ლუდსახარშს) მთლიანად ასხვისებს, ხოლო, მეორე მხრივ, ამ

---

69 ასევე იხ.: *მიგრიაული,* სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო, 2021, 46-49.

70 *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 13.

71 იქვე, 12.

ქარხნის შემძენი მესამე პირი. საწარმო ეკონომიკური საქმიანობის წარმართვის ორგანიზებულ სისტემასთან ასოცირდება, ხოლო თავად ამ სისტემის მატარებელი კონკრეტული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა. ამ უკანასკნელის პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების ხელშემწყობი და უზრუნველმყოფი კი თავად ეს სისტემაა. მეწარმის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა თეორიულად შესაძლოა ცალკე აღებული არსებობდეს, მაგრამ როგორც კი იგი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას შეუდგება იგულისხმება, რომ სახეზეა ასევე მისი საწარმო.

საწარმოს, ეკონომიკური სუბიექტის კონტექსტში, განასხვავებენ მისი ხასიათისა და მოცულობის მიხედვით. იმისათვის, რომ სახეზე იყოს საწარმო საჭიროა ამ ორი ნიშნის თანხვედრა: 1. ხასიათი/სახე/ფორმა - იგი წარმოადგენს საწარმოს ხარისხობრივ (კვალიტატურ) ნიშანს. მასში მოიაზრება პროდუქციის წარმოება, ნივთების შეთავაზება (მაგ., ბაზრისთვის), დასახულ ამოცანათა, მიზანთა სირთულე, მაღალი ნანო ტექნოლოგიების გამოყენება მომსახურებისა თუ პროდუქციის წარმოების პროცესში (მაგ., სხვადასხვა საფაბრიკო-საქარხნო საიდუმლოებანი, ნოუ ჰაუ და ა.შ.), ორგანიზაციული სტრუქტურა, კომუნიკაცია, დაფინანსება, დასაქმებული პერსონალის (მუშაობის) ხარისხი (მაგ., მათი განსწავლულობა, უნარები, მუდმივი გადამზადება), სატრანსპორტო მიმოსვლის საშუალებანი (მაგ., პროდუქციის გადაზიდვა-მიწოდებისთვის და ა.შ.). 2. ეს არის სიდიდე, მოცულობა - რაოდენობრივი, ანუ კვანტიტატური ნიშანი. აქ შედის: საწარმოს სიდიდე, მომხმარებელთა წრე, საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა, ბრუნვის სიდიდე, (საწესდებო) კაპიტალის მოცულობა, კაპიტალური მოწყობილობები (მაგ., პროდუქციის საწარმოებლად და სხვ.), ასევე, საბრუნავი კაპიტალი, მისი სიდიდე/მოცულობა და სიხშირე.

აღნიშნული ნიშნები, საბოლოო ჯამში, თვით საწარმოს ეკონომიკურ ღირებულებას განსაზღვრავს ბაზარზე და მისი წილის (აქციის) საბაზრო ღირებულების კარგი ინდიკატორია. თავის მხრივ, ყოველივე ეს, ბუნებრივად აღძრავს ინვესტორსა და საზოგადოებაში მსგავსი კომპანიის მიმართ ნდობასა

და მისი დანაზოგის აღნიშნული კორპორაციის წილებსა თუ ფასიან ქაღალდებში ინვესტიციის სურვილს. ეჭვგარეშეა, რომ სს „ლუფტჰანზა", ზემოთ აღწერილი ნიშნების ერთობლიობით, გაცილებით ძლიერი და ხანგრძლივი ისტორიის მქონე სანარმოა, ვიდრე შპს „აირზენა". შესაბამისადაც, ამ უკანასკნელის საბაზრო ღირებულება და ნდობა კაპიტალდამბანდებლის მხრიდან გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ნახსენები გერმანული კომპანიისა.

ბ.) სანარმო საგადასახადო სამართლის მიხედვით

სამართალში, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ბევრ ქვეყანაში,[72] არ არსებობს საწარმოს ერთიანი ლეგალური დეფინიცია. შესაბამისად, სხვადასხვა კანონმდებლობაში, მიუხედავად ბევრ ასპექტში მსგავსებისა, მას შეიძლება სხვადასხვა იურიდიულ-ტექნიკური დანიშნულება ჰქონდეს. ზემოთ განიმარტა სანარმო საკორპორაციო სამართლის მიხედვით, თუმცა სხვადასხვა გაერთიანების მიერ ეკონომიკური აქტივობის ნარმართვისა და ფისკალური პოლიტიკის კონტექსტში მეტად მნიშვნელოვანია სანარმო საგადასახადო სამართლის თვალსაზრისითაც. განსაკუთრებით რელევანტურია ეს გადასახადის გადახდის მნიშვნელობით, რადგან ამა თუ იმ (საგადასახადო)სამართალურთიერთობის მონაწილეს სამართალმა მისებური დაბეგვრის რეჟიმი უნდა შეუსაბამოს. ამისთვის კი მას შეიძლება გადასახადის გადამხდელი სუბიექტის მეტად დიფერენციირებული მიდგომის ჩამოყალიბება ესაჭიროებოდეს. საგადასახადო კოდექსის 21-ე მუხლი იძლევა სანარმოს განმარტებას, თუმცა იგი მის ახსნას ჩამონათვალის შესაბამისად ახდენს. კერძოდ, ამავე მუხლის პირველი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს განზოგადებულად ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაზე, მაშასადამე, როგორც ეკონომიკურ არასამეწარმეო, ისე ეკონომიკურ სამეწარმეო საქმიანობაზე და ჩამოთვლის იმ წარმონაქმნებს, რომელიც საგადასახადოსამართლებრივი თვალსაზრისით საწარმოდ განიხილება. ეს არის:[73] ეროვნული

72 მაგ., გერმანია. იხ.: *Merkt* in Baumbach/Hopt, Handelsegestzbuch. Komm., 40. Auf. 2021, §1 Rn. 11.

73 საქართველოს საგადასახადო კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა"-

სამართლის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი. მასში მოიაზრება კერძო სამართლის იურიდიული პირი როგორც კომერციული,[74] ისე არაკომერციული.[75] იურიდიულ პირში ასევე მოიაზრება სსიპ,[76] მაგალითად, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; უცხო ქვეყნის სამართლის შესაბამისად არსებული ორგანიზაციული წარმონაქმნი, როგორიც არის კორპორაცია,[77] კომპანია, ფირმა, სხვა მსგავსი სოციალური წარმონაქმნი. აქ ყურადსაღებია ის დეტალი, რომ აღნიშნულ ჩამონათვალში შედის როგორც იურიდიული, ისე იურიდიული პირის სტატუსის არმქონე წარმონაქმნები. მაგ., აშშ-ის, გერმანიის, ავსტრიის სამართლის მიხედვით, ამხანაგური ტიპის (პერსონაფიცირებული) სავაჭრო/სამეწარმეო საზოგადოებები (ამხანაგობები), როგორიც არის სრული ამხანაგობა[78] ან კომანდიტური ამხანაგობა[79] ან შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა[80] არ განეკუთვნება იურიდიული პირის სტატუსის მქონე პირს, მაშინ, როდესაც ფრანგული სამართალი ღია სავაჭრო საზოგადოებას[81] აღიარებს იურიდიულ პირად. კაპიტალური ტიპის საზოგადოებები, როგორიც არის მაგ., ზემოთ მოყვანილი ბიზნეს კორპორაცია (ა.შ.შ.-ის სამართლის მიხედვით) ან შპს და სს გერმანული სამართლის მიხედვით, განიხილება იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაციად. საგადასახადო კოდექსი საწარმოს უთანაბრებს ასევე უცხოური საწარმოს მუდმივმოქმედ წარმომადგენლობას საქართველოში; საწარმოდ განიხილება აგრეთვე სკ-ის 930-ე მუხლის

„გ" ქვეპუნქტი.

74 კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი

75 სკ-ის 27-ე და მომდ. მუხლის შესაბამისად. მაგ., ასოციაცია, ფონდი, კავშირი.

76 *ნადარია, როგავა, რუხაძე, ბოლქვაძე,* საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2012, 197.

77 მაგ., ბიზნეს კორპორაცია (მისი ორიეე სუბტიპით, როგორც დახურული, ისე ღია კორპორაცია) აშშ-ის (წევრ-სახელმწიფოთა) საკორპორაციო სამართლის მიხედვით.

78 GP. ღია სავაჭრო საზოგადოება (oHG გერმანული სამართლის მიხედვით) ან ღია საზოგადოება (OG ავსტრიული სამართლის შესაბამისად).

79 LP (ა.შ.შ.), KG (გერმანია, ავსტრია).

80 LLP (ა.შ.შ.), PartG (გერმანია).

81 საქართველოს კანონმდებლობით - სპს.

საფუძველზე შექმნილი ამხანაგობა ან არარეგისტრირებული კავშირი იმავე კოდექსის 39-ე მუხლის შესაბამისად. მასში მოიაზრება ასევე უცხოური სამართლის მიერ აღიარებული არარეგისტრირებული გაერთიანება ან სხვაგვარი წარმონაქმნი (მაგ., კვაზი-საჯარო კორპორაცია). საგადასახადო კოდექსის 23[1]-ე მუხლით საწარმოდ განიხილება აგრეთვე „საინვესტიციო ფონდების შესახებ" კანონის მეორე თავის მიხედვით არსებული საინვესტიციო ფონდი, ასევე, საგადასახადო კოდექსის 24[1]-ე მუხლის შესაბამისად სპეციალური სავაჭრო კომპანია. მოკლედ, საგადასახადო სამართლის საზრისით, საწარმო მეტად ფართო მნიშვნელობით გამოიყენება და იგი არათუ მეწარმე სუბიექტთან,[82] არამედ ნებისმიერ სოციალურ წარმონაქმნთან (იქნება ეს უცხოური თუ ქართული) ან ეკონომიკურ კონგლომერატთან იგივდება, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს.

2.2.2. სამეწარმეო საქმიანობის ელემენტები

იმისათვის, რომ სახეზე იყოს ეკონომიკური სამეწარმეო საქმიანობის შინაარსი აუცილებელია რამდენიმე მისთვის დამახასიათებელი ნიშნის, რასაც აქ ელემენტი დაერქმევა, ერთობლიობა. ამასთან აღსანიშნავია, რომ საქმიანობის სამეწარმეოდ კვალიფიცირებისათვის მისი ფორმალური ნიშნის თვალსაზრისით ყველა ამ ელემენტის კუმულაციური ერთობლიობაა საჭირო. კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მეორე წინადადების მიხედვით, სამეწარმეო საქმიანობა არის მართლზომიერი, არაერთჯერადი, დამოუკიდებელი და ორგანიზებული საქმიანობა, რომელიც მოგების მიღების მიზნით ხორციელდება. შესაბამისად, კანონი სულ ასეთ 5 ელემენტს გამოყოფს, რომელიც ურთიერთდაკავშირებულად აღიქვამს ეკონომიკურ სამეწარმეო საქმიანობას.

ა.) მოგების მიზანი

მოგების მიღების მიზანი სამეწარმეო საქმიანობის და, მაშასადამე, სამეწარმეო სუბიექტის ქმედების მიზნის

82 გამონაკლისს აქედან წარმოადგენს ინდ. მეწარმე. საგადასახადო კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად.

ქვაკუთხედად გვევლინება. ქართული სამართლის თანახმად ნებისმიერი მეწარმე სუბიექტი აპრიორი სწორედ ამ მიზნის მისაღწევად იქმნება. ყოველი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რეგისტრაციის ფაქტით ფორმის მიხედვით მეწარმე სუბიექტად ითვლება. ეს ნიშნავს, რომ მიუხედავად ასეთი სუბიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობის შინაარსისა, იგი მეწარმის ხარისხს ავტომატურად იძენს. მაგალითად, შპს-მ შეიძლება საქველმოქმედო საქმიანობაც განახორციელოს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იგი მეწარმის სტატუსს კარგავს. რეგისტრაციით იგი სწორედ რომ მოგებაზე ორიენტირებულ ფორმად ყალიბდება და იმთავითვე იგულისხმება, რომ იგი სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს.

მოგების მიღების მიზანში იგულისხმება პარტნიორთა გაერთიანება და მეწარმის საწადელი, მისი სურვილი და მის მიერ გადადგმული ნაბიჯები მოგების მიღების მიღწევასთან დაკავშირებით. მოუტანს თუ არა მეწარმე სუბიექტს რეალურად მისი ქმედება მოგებას ეს არარელევანტურია,[83] რადგან აქ გადამწყვეტი მოგების მიღების პრეზუმფციაა, ისევე, როგორც ზემოთ განიმარტა ეკონომიკური საქმიანობის შინაარსის დახასიათებისას, როდესაც აქცენტს საგადასახადო კოდექსი სწორედ შემოსავლის ან კომპენსაციის მიღების პრეზუმფციაზე აკეთებდა.[84] მოგების მიღების მიზანი, რასაკვირველია, განსხვავდება მეწარმის საქმიანობის საგნისაგან, რომლის მითითებაც კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი. მიხედვით საზოგადოების ხელშეკრულებაში აუცილებელია. ადრე არსებული პრაქტიკა,[85] როდესაც პარტნიორები წესდებაში უთითებდნენ მოგების მიღების მიზანს შეცვლილია. მისი მითითება საჭირო არ არის, რადგან ივარაუდება, რომ საზოგადოების მიზანი ისედაც მოგების მიღებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე უნდა იყოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 თავით გათვალისწინებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რადგან სწორედ ეს უკანასკნელი გამოიყენება არასამეწარმეო საქმიანობის

---

83 *ჯანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 3.

84 საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი: „... მიუხედავად ამ საქმიანობის შედეგისა".

85 *ჯანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 3.

განხორციელებისათვის. მოგების მიღების მიზანი მეწარმის კონსტიტუტიური, ანუ უფლების წარმომშობი დეკლარირებული ნიშანია. საქმიანობის საგანი ამ მიზნის მიღწევის კონკრეტულ საშუალებად გვევლინება. მოგება საშუალება არ არის. იგი მეწარმე სუბიექტის და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების იმთავითვე წარმოშობილი თანდაყოლილი ელემენტია.

მოგების მიღება ნიშნავს საზოგადოების პარტნიორზე საწარმოს შესაძლო მოგების განაწილებას დივიდენდის სახით. სამეწარმეო საზოგადოებაში ინვესტიციის განხორციელების მასტიმულირებელი და პარტნიორის მონაწილეობის ძირითადი მამოტივირებელი ფაქტორი სწორედ მის მოგებაში მონაწილეობაა, განსაკუთრებით კი უმცირესობაში მყოფი პარტნიორისთვის (აქციონერისათვის).[86] პარტნიორზე მოგების განაწილება დივიდენდის სახით არ გახლავთ უპირობო დეკლარაციული ხასიათის უფლება საზოგადოების წევრისა, რადგან დივიდენდის გაცემას წინ უნდა უსწრებდეს პარტნიორთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება საწარმოს (წლიური თუ შუალედური) ანგარიშის განხილვისა (დამტკიცებისა) და მოგების განაწილებისა.[87] მაშასადამე, შესაძლოა მოგება საერთოდ არ განაწილდეს პარტნიორთა შორის და მოხდეს მისი რე-კაპიტალიზაცია. მაგრამ ამ შემთხვევაში არსებითია, რომ სამეწარმეო საზოგადოებაში პრაქტიკულად ყოველთვის იარსებებს პარტნიორზე დივიდენდის სახით მოგების განაწილების შესაძლებლობა, თუკი, ბუნებრივია, საზოგადოებას საჭირო მატერიალური რესურსი აღმოაჩნდება.[88] სხვა სიტყვით რომ ითქვას, პარტნიორს იმთავითვე იგულისხმება მოგების განაწილების უფლება განსხვავებით არაკომერცი-

---

86 *ბურდული*, სავალდებულო სატენდერო შეთავაზება, აქციათა სავალდებულო გაყიდვა: აქციით მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენება თუ კაპიტალის ბაზრის განვითარების სავალდებულო წინაპირობა?!, ჟურ. „მართლმსაჯულება", 2007, №2, 10-39, 37.

87 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებზე მითითებით: თოდუა (რედ.), ბიზნეს დავები და სასამართლო პრაქტიკა, 2017, 17 და მომდ.; ასევე: *ნაჭყებია*, სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებანი უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), 2014, 393-394.

88 მოგების განაწილების საკანონმდებლო შეზღუდვათა შესახებ წიგნის შემდგომ ნაწილებში იქნება საუბარი.

ული იურიდიული პირისაგან, რომელშიც მიუხედავად ამ სუბიექტის კრედიტუნარიანობისა და ძლიერი ფინანსური მდგომარეობისა, მისი ქონების განაწილება მონაწილეთა შორის დაუშვებელია. იგი სავალდებულო წესით უნდა მოხმარდეს ისევ ა(ა)იპ-ის საქმიანობას და მისი მიზნის აღსრულებას. სწორედ ესეც წარმოდგება კომერციულ და არაკომერციულ იურიდიულ პირს შორის განსხვავების ერთ-ერთ კრიტერიუმად.

მოგების მიღების მიზნის კონტექსტში ნახსენები უნდა იყოს მისი სასყიდლიანი ხასიათი. ამიტომ სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთი სახასიათო (ქვე)-ელემენტი არის მისი ეკონომიკურობა/სასყიდლიანობა. ეკონომიკურობა ნიშნავს, რომ მეწარმის ქმედება/მომსახურება სასყიდლიან ხასიათს უნდა ატარებდეს. სამეწარმეო საქმიანობის შინაარსისათვის დამახასიათებელია, რომ ამ საქმიანობის საფუძველი სასყიდლიანი იყოს. მოხუცებულთა თავშესაფრისთვის საჭმლის უსასყიდლო დარიგება ეწინააღმდეგება სამეწარმეო საქმიანობის შინაარს. სასყიდლიანობა ნიშნავს სუბიექტის მიერ ისეთი საქმიანობის წარმართვას ბაზარზე, როდესაც საქმიანობას გარიგება უდევს საფუძვლად და ივარაუდება, რომ ამ გარიგებამ გარკვეული (ქონებრივი) სარგებელი უნდა მოუტანოს მეწარმეს. დასავლეთევროპულ იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ სამეწარმეო საქმიანობა განეკუთვნება „ბაზარზე ეკონომიკურ საქმიანობას", სადაც საქმიანობის მიზანს ხანგრძლივობაზე დაფუძნებული მოგების მიღების დაშვება, მისი პრეზუმფცია წარმოადგენს.[89] ლიტერატურაში ასევე აღიარებულია, რომ სასყიდლიანობის (ქვე)ელემენტი მჭიდროდ არის დაკავშირებული მეწარმის ბაზარზე ორიენტირებასთან. ამ შემთხვევაში ივარაუდება, რომ გარიგებათა დადებისკენ მიმართული მოქმედება მულტიპლიცირდება როგორც საქონლისა და მომსახურების შემთავაზებლის მიზნის მატარებელი გარიგება.[90] სწორედ მსგავსი გარიგება შეიძლება იყოს მოგების მიღების და მისი ოპტიმიზების საფუძველი. მის შედეგს, როგორც ითქვა, მნიშვნელობა არ ენიჭება.

---

89 *Merkt* in Baumbach/Hopt, Handelsegestzbuch. Komm., 40. Auf. 2021, §1 Rn. 15.
90 *Körber* in Oetker (Hrsg.), Handelsgesetzbuch. Komm., 7. Auf. 2021, §1 Rn. 26.

ბ.) მართლზომიერი საქმიანობა

მეწარმე სუბიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობა უნდა ატარებდეს ლეგალურ, კანონიერ ხასიათს. ეს გულისხმობს, რომ საქმიანობა, იმისათვის, რომ იგი სამეწარმეოდ ჩაითვალოს უნდა წარიმართოს ქვეყანაში არსებული მართლწესრიგის საფუძველზე და მის შესაბამისად. მართლზომიერია საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, იგი ნებადართულია და არ არის უკანონოდ გამოცხადებული სასამართლოს გადაწყვეტილებით.[91] კერძო სამართალში განმტკიცებულია პრინციპი, რომლის მიხედვითაც ნებადართულია ის, რაც კანონით პირდაპირ არ არის აკრძალული. შესაბამისად, მეწარმეს შეუძლია გარიგებითსამართალურთიერთობაში შევიდეს ნებისმიერ საქმიანობასთან დაკავშირებით ნებისმიერ პირთან. საქმიანობის შერჩევის თავისუფლება, როგორც ზემოთ წარმოჩინდა, მეწარმის კონსტიტუციურ-სამართლებრივად გარანტირებული უფლებაა. უბრალოდ, აქ გასათვალისწინებელია, რომ სახეზე არ იყოს ისეთი საქმიანობა, რომელიც კანონით პირდაპირ არის აკრძალული ან მისი განხორციელებისათვის სახელმწიფოს სპეციალური ნებართვაა საჭირო. პირველ შემთხვევას განეკუთვნება სისხლის სამართლის კოდექსით აკრძალული საქმიანობა, რომელიც, ვთქვათ, იარაღით უკანონო ვაჭრობას უკავშირდება, მეორეს კი სპეციალური ნებართვის მოპოვება სპეციალური კანონის საფუძველზე.[92] მეწარმე სუბიექტს უფლება აქვს გახსნას იარაღის მაღაზია და კანონიერად ვაჭრობდეს მსგავსი პროდუქციით. ისევე, როგორც სააფთიაქო ბიზნესის წარმომადგენელ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას უფლება აქვს გაყიდოს ფსიქოტროპული ნივთიერება. უბრალოდ, ამისათვის აუცილებელია, რომ მსგავსი საქმიანობით დაკავებულმა პირმა სპეციალური ნებართვა/ლიცენზია მოიპოვოს სახელმწიფოსაგან.[93] მსგავსი

---

91 *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, (2002), 1-2. ამ საკითხის განმარტებასთან დაკავშირებით იხ. ასევე: *დვალიძე, მახარობლიშვილი,* სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი), 2016, 21-22.

92 *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 2.

93 *მიგრიაული,* სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო, 2021, 41.

ნებართვის გარეშე განხორციელებული საქმიანობა უკანონო საქმიანობად მიიჩნევა და სისხლისსამართლებრივი სანქციაც შეიძლება გამოიწვიოს. კერძო სამართლებრივი გაგებით, თუკი საქმიანობა არამართლზომიერ ხასიათს ატარებს, იგი ვერ მოიაზრება სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთი ელემენტის - მართლზომიერების - ქვეშ. ეს კი, სამეწარმეო საქმიანობას, მისი ელემენტების კუმულაციური ერთობიდან გამომდინარე, გამოაცლის სამეწარმეო საქმიანობად განხილვის შესაძლებლობას.

გ.) არაერთჯერადი საქმიანობა

სამეწარმეო საქმიანობის შემდეგი ელემენტი მის არაერთჯერად ხასიათს უკავშირდება.[94] არაერთჯერადობაში უნდა იგულისხმებოდეს, რომ მეწარმე მისი საქმიანობის განხორციელებისას გეგმაზომიერ და ხანგრძლივ, უფრო სწორედ, სისტემატურ პერიოდზე გათვლილ ქმედებებს ახორციელებდეს.[95] ამიტომაც არის სამართლიანად მიჩნეული უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაში, რომ საქმიანობა გეგმაზომიერად უნდა ხორციელდებოდეს გარკვეული ინტენსიური პერიოდულობით.[96] არაერთჯერადი საქმიანობა ნიშნავს, რომ იგი, პრინციპში, განუსაზღვრელი ოდენობის გარიგებების დადებისაკენ უნდა იყოს მიმართული.[97] თუმცა ეს ხელს არ უშლის იმას, რომ საქმიანობა, ფაქტობრივად, შეიზღუდოს მოკლე პერიოდითაც.[98] მთავარია, რომ არსებობდეს საქმიანობის წარმართვის გეგმაზომიერი სურვილი/მიზანსწრაფულობა.[99] აქედან კი გამომდინარეობს არაერთჯერადი საქმიანობის განხორციელების დაშვება. საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შექმნა ერთჯერადი საქმიანობისათვის, არ ჯდება სამეწარმეო საქმიანობის შინაარსში.

---

94 იხ. ამასთან დაკავშირებით ასევე: *ჭანტურია, ნინიძე,* მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 2-3.

95 *დვალიძე, მახარობლიშვილი,* სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი), 2016, 22.

96 *Kindler* in E/B/J/S, Handelsrgesetzbuch. Komm., 4. Auf., 2020, §1 Rn. 23.

97 იქვე.

98 *Roth* in Koller/Kindler/Roth/Drüen, HGB. Komm., 9 Auf., 2019, §1 Rn. 7.

99 *Kessler* in Heidel/Schall, HGB. Komm., 3 Auf., 2020, §1 Rn. 17.

მთავარია დამფუძნებელ-პარტნიორთა შეთანხმება, რომ მათ სურთ სამართლებრივი ფორმის მეშვეობით ბიზნესის მრავალჯერადად წარმართვა, რისთვისაც ისინი სწორედ აღნიშნულ ბიზნეს სუბიექტს ქმნიან. სამეწარმეო საქმიანობა ყოველთვის არის დაკავშირებული გარკვეულ რისკთან. რისკის აბსოლუტური განეიტრალება არც ერთ მართლწესრიგსა და ცხოვრებისეულ სიტუაციას არ ძალუძს. ამ რისკში იგულისხმება, რომ ბიზნესის არარენტაბელურად მიმდინარეობას შედეგად შესაძლოა მოყვეს მძიმე ფინანსური მდგომარეობა, რამაც შეიძლება საერთოდ შეუძლებელი გახადოს შემდგომი ნაბიჯების გადადგმა და ამან შედეგად მეწარმის ლიკვიდაციაც გამოიწვიოს. დავუშვათ, რომ 2020 წლის 10 მაისს რეგისტრაციაში გატარდა შპს „ქსილოტრანსი", რომლის საქმიანობის საგანს ავეჯის დამზადება წარმოადგენს. რეგისტრაციიდან მალევე საწარმომ შეიძინა ავეჯის დამზადებისათვის სათანადო მასალა, დაამზადა იგი და გაიტანა ბაზარზე გასაყიდად. სამწუხაროდ, ცუდი მასალისა და ხარისხის გამო საქონელი ვერ იქნა რეალიზებული, რასაც აღნიშნული შპს-სთვის მეტად სავალალო შედეგი მოყვა: მძიმე მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით საზოგადოებამ ველარ შეძლო საქმიანობის გაგრძელება, რის გამოც საბოლოოდ იგი ლიკვიდირებულ იქნა და მოხდა მისი რეესტრიდან ამოშლა. აღნიშნულ შემთხვევაში კარგად ჩანს, რომ მოქმედება - ავეჯის დამზადებისა და მისი ბაზარზე გატანისა - მხოლოდ ერთჯერადად განხორციელდა. თუმცა აქ გადამწყვეტი ის კი არ არის, არაერთჯერადად იქნება თუ არა დამზადებული და გატანილი პროდუქცია ბაზარზე მისი რეალიზაციის მიზნით, არამედ ავეჯის დამზადება-რეალიზების თავდაპირველად (სუბიექტურად და ობიექტურად) მოაზრებული წინამდებარე ბიზნესის გეგმაზომიერი ხასიათი. გარდა ამისა, ბიზნეს სუბიექტის ირგვლივ გაერთიანებული პირების სურვილს სწორედ რომ საქმიანობის სისტემატურად წარმართვის ნება წარმოადგენს. ერთჯერადად მსგავსი საქმიანობის განხორციელებისთვის მეწარმის იურიდიული ფორმის შექმნა პრაქტიკულ გონიერებასთანაც მოვიდოდა პრინციპში წინააღმდეგობაში.

აღნიშვნის ღირსია ასევე სეზონური საქმიანობა. არა-

ერთჯერადობაში, ანუ გარკვეული დროის პერიოდში გეგმაზომიერ სისტემატურ საქმიანობაში ექცევა ასევე სეზონური საქმიანობაც. მაგ., გუდაურის ერთ-ერთი სასტუმრო, რომელიც სპს-ის ფორმით არის ჩამოყალიბებული, სტუმარს მხოლოდ სათხილამურო სეზონის პერიოდში იღებს. ასეთი კი წელიწადში მხოლოდ 4 თვეს შეადგენს. დანარჩენ დროს იგი დახურულია. მსგავსი საქმიანობაც არაერთჯერადობაში ექცევა და შესაბამისად, სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთ სავალდებულო ელემენტად დაკვალიფიცირდება. ამასთან არაერთჯერადი საქმიანობის კონტექსტში გარიგებათა (ქმედებათა) კვანტიტატური ან კვალიტატური ნიშანი არარელევანტურია.[100] მოცულობასა და (რა)ოდენობას მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს საგადასახადოსამართლებრივი, მაგრამ არა საკორპორაციო სამართლის თვალსაზრისით.

დ.) დამოუკიდებელი საქმიანობა

გლობალურ ეკონომიკურ სამყაროში ბიზნეს სუბიექტი მძლავრი კონკურენციის პირობებში იმყოფება ბაზარზე ოპერირებადი მსგავსი საქმიანობის მქონე კომპანიათა მხრიდან. საწარმოს კონკურენტუნარიანობა და ფინანსური მდგრადობა, მისი კრედიტუნარიანობა მრავალ ეკონომიკურ თუ სოციალურ ფაქტორზე არის დამოკიდებული. როგორც წესი, სამეწარმეო სუბიექტი საკუთარი შეხედულებით განსაზღვრავს და აყალიბებს შიდა ორგანიზაციულ სტრუქტურას, მართვის მექანიზმს, კონტროლის სისტემას, ნიშნავს ხელმძღვანელ პირს თანამდებობაზე, საკუთარი შეხედულებისამებრ (გარდა გამონაკლისისა)[101] სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობას ამყარებს მომხმარებელთან, ახდენს პროდუქციის ბაზრის კვლევას და სურვილისამებრ მოქმედებს მესამე პირებთან გარიგებაში შესვლის კუთხით, თავისუფალია შიდა კორპორაციული ნების ფორმირების, ორგანიზაციული ურთიერთო-

100 *Roth* in Koller/Kindler/Roth/Drüen, HGB, (2019), §1 Rn. 7.

101 მაგ., კონტრაჰირების იძულების სამართლებრივი რეჟიმი: სანარმოს (საქართველოს რკინიგზას) ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობიდან გამომდინარე ევალება ნებისმიერ მგზავრთან გარიგების დადება და შერჩევით იგი ამას ვერ გააკეთებს.

ბის[102] დადგენასა და მონესრიგებაში და სხვ. მოკლედ, კერძო სამართლის სუბიექტი თავის საქმიანობაში დამოუკიდებლობის გაცილებით მაღალი სტანდარტით სარგებლობს, ვიდრე სსიპ, ადმინისტრაციული ორგანო და აშ. და კიდევ უფრო იგრძნობა თავისუფლების ეს დონე სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისთვის. ბიზნესის რენტაბელობა წარმოუდგენელია თამამი, გაბედული და სარისკო გადაწყვეტილებათა მიღების გარეშე. ეს კი საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელების მაღალი დონის პირობებშია შესაძლებელი.[103] სწორედ ამიტომ სრულიად სამართლიანად არის აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ „დამოუკიდებლობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას განასხვავებს სხვა სახის საქმიანობისაგან".[104] თუმცა დამოუკიდებლობაში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება სამართლებრივი დამოუკიდებლობა. სამეწარმეო საქმიანობის შემადგენელ ელემენტად დამოუკიდებლობა მხოლოდ მაშინ კვალიფიცირდება, როდესაც სახეზეა სწორედ იურიდიული დამოუკიდებლობა.[105] ზემოთ მოყვანილი მაგალითები ეხება სწორედ დამოუკიდებლობას სამართლებრივი გაგებით და არა ეკონომიკური გაგებით. სწორედ სამართლებრივი დამოუკიდებლობა აძლევს მეწარმეს მისი ბიზნესის საკუთარი შეხედულებით მართვის და ა.შ. შესაძლებლობას. ეკონომიკური დამოუკიდებლობა, მითუმეტეს, როგორც ზემოთ აღინიშნა, გაცხოველებული გლობალურ-საერთაშორისო ბაზრის პირობებში წარმოუდგენელია. კორპორაცია „ტესლა", რომელიც ბოლო რამდენიმე წელია ერთ-ერთ ყველაზე მზარდ და კონკურენტუნარიან ნანო ტექნოლოგიურ საწარმოდ მიიჩნევა, არსებითად არის დამოკიდებული, მაგალითად, წინასწარ შეკვეთებზე და ელექტროძრავიანი

---

102 ასევე, გარდა გამონაკლისისა, რაც სხვადასხვა მნიშვნელოვან საკორპორაციოსამართლებრივ საკითხს უკავშირდება. მაგ., პარტნიორთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, (კაპიტალურ საზოგადოებაში) ქონების დისტრიბუციის შეზღუდვისა და ქონების შენარჩუნების მავალდებულებელი ნორმები, კრედიტორის დამცავი ნორმები და ა.შ.

103 *Wauschkuhn* in Flohr/Wauschkun, Vertriebsrecht, 2. Auf. 2018, §1 Rn. 13.

104 *ჯანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 4.

105 *Schwartze* in Häublein/Hoffmann-Theinert, HGB. BeckOK, 32. Ed. 2021, §1 Rn. 11.

ავტომობილების გაყიდვაზე. ეს კი უდიდეს ნილად არის დამოკიდებული მომხმარებელთა წრეზე, მის გაფართოვებაზე, რომლის გარეშეც წარმოუდგენელი იქნებოდა კორპორაციის ფინანსურ-მატერიალური რესურსის მობილიზება. აღნიშნული მაგალითი ნათლად წარმოაჩენს კორპორაცია „ტესლას" დამოკიდებულებას ბაზარზე პროდუქციის გაყიდვაზე, მის მომხმარებელზე მიჯაჭვაზე. ბირჟაზე რეგისტრირებული სს „საქართველოს ბანკის" საქმიანობა, მისი დადებითი ფინანსური მდგომარეობის და კორპორაციული კაპიტალის ოპტიმირების საჩვენებლად, გარკვეულწილად დამოკიდებული იქნება მისი აქციების საბაზრო ფასზე, მისი კორპორაციული ქაღალდების ბრუნვის სტაბილურობასა და მოთხოვნაზე, აქციისადმი კაპიტალის ბაზრის მონაწილის ინტერესზე. აღნიშნული კომერციული ბანკი გაიტანს თუ არა საჯარო ვაჭრობისათვის აქციებს ეს მისი გადასაწყვეტია, თუმცა გატანის შემდეგ მისი საქმიანობა ამ აქციის „მომხმარებელზე" ხდება დამოკიდებული. პირველი სამართლებრივ დამოუკიდებლობას, მეორე კი ეკონომიკურ დამოკიდებულებას წარმოაჩენს. სამართლებრივ დამოუკიდებლობაში მოიაზრება მეწარმის უფლება და შესაძლებლობა შიდაკორპორაციული გადაწყვეტილებანი საკუთარი პასუხისმგებლობისა და შეხედულებისამებრ მიიღოს და არ იყოს დამოკიდებული სხვა პირის მითითებების გაცემაზე. ამით იურიდიულ ლიტერატურაში წარმოაჩენენ მითითებებზე დამოკიდებული ფიზიკური პირის - დასაქმებულის - საქმიანობის განსხვავებას მეწარმე სუბიექტისაგან.[106] მუშა-მოსამსახურე დამოუკიდებლად არ იღებს გადაწყვეტილებას საწარმოში და იგი კომპანიის საერთო პოლიტიკას ექვემდებარება, მაშინ, როდესაც თავად კომპანია საწარმოს პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, მის აღსრულებასა და სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებათა მიღებაში სრულიად (სამართლებრივად) დამოუკიდებელია.[107]

დამოუკიდებლობის „გამოშიგვნას" საკონცერნო სამართლის საზრისით ყურადღება არ უნდა მიექცეს,[108] რადგან

---

106 იქვე.

107 შეად. *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 4.

108 *Merkt* in Baumbach/Hopt, Handelsegestzbuch., (2021), §1 Rn. 14.

საწარმოთა ფაქტობრივი მდგომარეობისას ჩამოყალიბებულია ისეთი ვითარება, როდესაც შვილობილი საზოგადოება შეიძლება სამართლებრივადაც და, მითუმეტეს, ეკონომიკურად დამოკიდებული იყოს ძირითად საწარმოზე (დედა საზოგადოებაზე).

ე.) საქმიანობა ორგანიზებულად

სამეწარმეო საქმიანობის ბოლო ელემენტის - ორგანიზებულობის - შინაარსის გაგებისათვის რამდენიმე ქვეელემენტის გამოყოფაა საჭირო:[109]

ე.ა.) საქმიანობის განხორციელება მართვის სისტემით

როგორც ზემოთ ითქვა, სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი საწარმოს მატარებელი სუბიექტია, ანუ მეწარმის კონკრეტული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. თავად ტერმინი - „ორგანიზაციულ-სამართლებრივი" - თავის თავში მოიცავს იმგვარ შინაარსს, რომ სამოქალაქო ბრუნვის აღნიშნული სუბიექტი აუცილებლად აგებული უნდა იყოს გარკვეულ ორგანიზებულ სისტემაზე. მხოლოდ ამ სისტემით უნდა იყოს იგი უნარიანი ჩამოაყალიბოს კორპორაციული ნება და გარეთ გაიტანოს ეს უკანასკნელი. მაშასადამე, ჰქონდეს საამისოდ განკუთვნილი მმართველობითი და ხელმძღვანელ-წარმომადგენლობითი ორგანოები.[110] სამეწარმეო საზოგადოება სწორედ ამ ორგანოთა (ურთიერთ) ქმედითი კავშირის საფუძველზე ოპერირებს ბაზარზე. კაპიტალური ტიპის საზოგადოებას, ამხანაგურისაგან განსხვავებით, განსაკუთრებით ესაჭიროება კორპორაციული მართვის სისტემა. მის გარეშე აღნიშნული იურიდიული ფორმის არსებობა წარმოუდგენელია.

---

109 საკითხის ვრცელი მეცნიერული პანორამა იხ.: *დვალიძე, მახარობლიშვილი,* სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი), 2016, 28 და მომდ.

110 შეად. *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 4-5.

ე.ბ.) მიმართული „ურთიერთობის გარეთ გატანისაკენ“

ხელმძღვანელობით-წარმომადგენლობითი და მმართველობითი ორგანიზაციის მქონე სისტემა აუცილებელია თავად მეწარმის გარესამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობისთვის. ყველა სამეწარმეო საზოგადოება ავტომატურად განეკუთვნება გარე და არა შიდა საზოგადოებას. ყველა გარე საზოგადოებისათვის კი დამახასიათებელია ის, რომ მისი საქმიანობა მიმართულია მესამე პირთან ურთიერთობის დამყარებისაკენ,[111] ანუ იგი „ურთიერთობის გარეთ გატანას“ ისახავს მიზნად[112] და შესაბამისად, ქართული სამართლის მიხედვით იურიდიული პირის სტატუსის მქონე სოციალურ წარმონაქმნად არის აღიარებული. ამასთან, საწარმოს მატარებელი სუბიექტი აუცილებლად მოწყობილი უნდა იყოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. შესაბამისად, საკორპორაციო სამართალში მოქმედებს ფორმის ბოჭვისა და ამომწურავი ჩამონათვალის (*Numerus Clausus*) სამართლებრივი პრინციპი:[113] იმისთვის, რომ სახეზე იყოს სამეწარმეო საქმიანობის შინაარსი, აუცილებელია, ეს საქმიანობა კანონით დადგენილი სამართლებრივი ფორმით განხორციელდეს.

ე.გ.) სახელმწიფოს მხრიდან ლეგიტიმაცია

და ბოლოს, ორგანიზებულობაში, კერძოსამართლებრივი გაგებით, იგულისხმება, რომ მეწარმე ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას შესაბამის ორგანოში - სამეწარმეო რეესტრში. იმისათვის, რომ ესა თუ ის ორგანიზაციულ-იურიდიული ფორმა ბრუნვაში მეწარმედ მოგვეელინოს საჭიროა, სახელმწიფოს მხრიდან მისი წარმოშობის, ანუ იურიდიულ პირად მისი ლეგიტიმაციის, მისი აღიარებისა და დადასტუ-

---

111 *დვალიძე, მახარობლიშვილი,* სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი), 2016, 21.

112 *Kindl,* Gesellschaftsrecht, 2019, §2 Rn. 9 ff.; ასევე, კროპპოლერის ქართული თარგმანი: *კროპპოლერი,* გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. სასწავლო კომენტარი, 2014, §705, ველი 3 და მომდ.

113 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 242.

რების აქტი. ეს კი მისი რეგისტრაციით ვლინდება. რეგისტრაციას კონსტიტუტიური, ანუ უფლების წარმომშობი/დამდგენი მოქმედების ძალა აქვს და იგი ყველა მესამე პირისათვის არის ნამდვილი.

3. თავი - საკორპორაციო სამართალი ფართო და ვიწრო გაგებით

3.1. ორგანიზაციული წარმონაქმნები და მათი სოციალურ-ეკონომიკურ-სამართლებრივი მნიშვნელობა

როგორც ამ ნაწილის პირველ თავში წარმოჩინდა, საკორპორაციო სამართალი ბრუნვაში ჩართული იურიდიული ფორმების (შიდა)ორგანიზაციული სამართალია. თუმცა ეკონომიკური და არაეკონომიკური საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირის სტატუსის მქონე და, ასევე, ამ უკანასკნელის სტატუსის არმქონე გაერთიანების მიერ. ცალკეა გამოსაყოფი საჯარო ფუნქციის განმახორციელებელი სსიპ, რომელიც აგრეთვე ორგანიზებულად მოწყობილი ფორმაა სხვადასხვა საქმიანობის წარმართვისა და დამოუკიდებლად გამოდის სამოქალაქო ბრუნვაში.

ტერმინი საკორპორაციო სამართალი სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად ივ. ჯავახიშვილმა იხმარა.[114] მან მასში ყველა სახის სოციალური გაერთიანება მოიაზრა,[115] რომელიც ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა და მესამე პირთა მხრიდან, ფიზიკური პირის გვერდით, გარკვეული „სუბიექტის" აღქმას განაპირობებდა.[116] თუკი ორგანიზაციის სამართლის, უფრო სწორედ, თეორიის საფუძვლებსაც მივმართავთ, კარგად დავინახავთ, რომ ეს უკანასკნელი აკვირდება და შეისწავლის ნებისმიერი ორგანიზებულად მოწყობილი სისტემის წარმოსაჩენ მხარეს, გამოყოფს „ორგანიზაციის როლს თანამედროვე სამყაროში და საზოგადოების, სოციალური სფეროს ამ ყოვლისმომცველი სივრცის უმთავრეს შემადგენელ ელემენტად,

---

114 *ჯავახიშვილი*, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, 1929, 320 და მომდ.

115 მოკლედ ისტორიული ექსკურსი სხვადასხვა წყაროზე მითითებით: *ბურდული, ეგნატაშვილი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I, 2017, მუხლი 24, ველი 4 და მომდ.

116 *ჯავახიშვილი*, ქართული სამართლის ისტორია, ნიგნი II, ნაკვეთი II, 1929, 321-323.

უპირველეს ყოვლისა, ორგანიზაციას მიიჩნევს".[117] ამ შემთხვევაში საუბარია ორგანიზაციის მეტად ფართო გაგებაზე, ვინაიდან მასში არა მხოლოდ კერძო სამართლის სუბიექტი, რომელიც პირთა ავტონომიური ნების საფუძველზე ყალიბდება, არამედ სსიპ-ც ექცევა, რომლის შექმნასაც საფუძვლად სახელმწიფოს ნება უნდა ედოს, რაც სხვადასხვა შინაარსით[118] და ფორმით ვლინდება.[119] გარდა ამისა შესაძლებელია, მასში მოვაქციოთ სხვადასხვა ორგანიზაციული კონგლომერატი საწარმოთა ფაქტობრივი გაერთიანების (კონცერნების), სინდიკატის, საჯარო-კერძო თანამშრომლობითი გაერთიანების და ა.შ. სახით.

საკორპორაციო სამართალი[120] მისი მეტად ფართო გაგებით მოიაზრებს ბრუნვაში მონაწილეობაუნარიან ნებისმიერ სოციალურ წარმონაქმნს, რომელიც ორგანიზებულად მოწყობილ სახეს ატარებს და თვითორგანიზებისა და/ან კანონისმიერი (თუ საერთაშორისო ნორმატივების) რეგულირების საფუძველზე ოპერირებს ბაზარზე.[121] ეს ორგანიზაციები მეტად დიდ როლს თამაშობს სახელმწიფოსა თუ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ურთიერთობის სფეროში. მათ საქმიანობაზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება და, შეიძლება ითქვას, ქვეყნისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება.[122]

---

117 *ბრეგვაძე*, ორგანიზაციის თეორიის საფუძვლები: სოციოლოგიური მოძღვრება კორპორაციული სისტემების შესახებ, კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009, 10.

118 მაგ.: *ჟანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 230 და მომდ.

119 იქვე, 242-243.

120 სწორედ ისე, როგორც ეს ივანე ჯავახიშვილს ესმოდა.

121 ბაზარი აქ ასევე ფართო საზრისით გამოიყენება და იგი მხოლოდ ეკონომიკურს არ მოიცავს.

122 მაგალითისთვის რომ ავიღოთ სერიოზული და ავტორიტეტული (საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივი) არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში ადამიანის უფლებათა განხორციელებისა და თავისუფლებათა უზრუნველყოფის სადარაჯოზე დგანან; ან მრავალი ფონდი, რომელიც საქველმოქმედო საქმიანობით არის დაკავებული და მრავალი კეთილშობილური პროექტის ინიციატორი და განმახორციელებელია; ან დიდი ინდუსტრიული მაღალი ტექნოლოგიური სს-ები, რომელიც ათეულ ათასობით დასაქმებულის ნავთსაყუდელი, მსხვილი გადასახადის გადამხდელი და

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს დამოუკიდებლობის კვლავ მოპოვების შემდეგ, საკორპორაციო სამართლის, როგორც დამოუკიდებელი სამართლის დარგის გამოსახატავი ტერმინის გაცოცხლება ჭანტურიას ეკუთვნის, თუმცა მასში მოაზრებული შინაარსი ავიწროვებს მის ისტორიულ ფართო გაგებას და ფოკუსირებას ეკონომიკური სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანიზაციებზე აკეთებს.[123] სამართლის დარგობრივი მახასიათებლიდან გამომდინარე,[124] საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული საკორპორაციო სამართალი, როგორც სასწავლო-მეთოდოლოგიური დისციპლინა, შეისწავლის სწორედ ამ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მოწყობის სამართალს. მაშასადამე, საკორპორაციო სამართალს ვიწრო საზრისით. ორგანიზაციების შესახებ იურიდიული საფუძვლები კი მიმოფანტულია სხვადასხვა იურიდიულ მატერიაში.[125]

მატერიალურ-ფინანსური რესურსების ერთ-ერთი ძირითადი გენერატორია სახელმწიფოში. ყველა ამ სფეროში - იქნება ეს ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური - უდიდესი ადგილი უჭირავს სწორედ ორგანიზაციულ წარმონაქმნს, რომლის მოწყობის შესწავლაც მეტად მნიშვნელოვანია ასევე ჩვენთვის, იურისტებისათვის უპირატესად სამართლებრივ კონტექსტში.

123 *ჭანტურია*, კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში, საიუბილეო კრებულში: სერგო ჯორბენაძე 70, 1996, 32-55, განსაკუთრებით მე-6 სქოლიო. ასევე იხ.: *ჭანტურია*, საკორპორაციო სამართლის ცნება და ადგილი სამართლის სისტემაში, საიუბილეო კრებულში: ბესარიონ ზოიძე 60, ჭანტურია, ბურდული (რედ.), 2014, 557-574.

124 სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 2 აპრილი ბრძანება №326937 (MES 1 20 00326937) „სამართლის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ".

125 მაგ.: შესავალი სამოქალაქო სამართალში, სადაც სტუდენტს ეეალება ზოგად დონეზე შეისწავლოს მოძღვრება იურიდიული პირის შესახებ. მასში კი მოიაზრება, როგორც კომერციული, ისე არაკომერციული იურიდიული პირი. აქვეა შესასწავლი არარეგისტრირებული კავშირი, რომელიც ასევე მეტწილად (თვით)ორგანიზებულ ხასიათს ატარებს; არაკომერციული საქმიანობის წარმართვისთვის სამოქალაქო სამართლის განსაკუთრებული ნაწილი (930-ე მუხლი და მომდ.) გვთავაზობს ერთობლივი საქმიანობის იურიდიულ კონსტრუქციას, რომელიც ასევე პირთა გაერთიანებას წარმოადგენს და ხასიათდება ორგანიზებული სისტემით.

3.2. მეწარმე სუბიექტთა ტიპოლოგიური ბუნება

სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება, როგორც ითქვას, *Numerus Clausus* პრინციპიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ერთი რომელიმე კონკრეტული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მეშვეობით უნდა მოხდეს. ამ კონტექსტში სახელმწიფოს საზრუნავს წარმოადგენს, რომ თითოეული ბიზნესის წარმოების ფორმა საკანონმდებლო დონეზე გარკვეული სახასიათო, თვითმყოფადი ნიშნით აღჭურვას, რათა ამ ფორმათა ტიპოლოგიური ბუნების დიფერენცირებასა და მათ წარმოჩენას შეუწყოს ხელი. ამით სამეწარმეო საქმიანობის მსურველ დამფუძნებელ-პარტნიორებს მეტი წარმოდგენა ექნებათ მათ მიერ შერჩეული ბიზნესის, მისი ფორმისა და შინაარსის თაობაზე და უკეთ გაერკვევიან, თუ რომელი იურიდიული ფორმაა მათთვის ყველაზე ხელსაყრელია: როგორი კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება იქნება საჭირო არაპერსონალური პარტნიორული სტრუქტურის მქონე კომპანიაში; საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა იყვნენ თუ არა პარტნიორები უშუალოდ ჩართულნი საწარმოს მართვასა და ხელმძღვანელობაში. შესაბამისად, უნდა იყოს საზოგადოებაში დაფუძნებული ე.წ. საკუთარი ორგანოს, ანუ წევრთა თვითმართვის პრინციპი თუ უცხო ორგანოს კონცეფცია უნდა იყოს მიზანშეწონილი; სურთ თუ არა პარტნიორებს პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიით სარგებლობა თუ ინდივიდუალური პირადი პასუხისმგებლობა იქნებოდა უფრო გამართლებული მათი ბიზნესისათვის; უნდა ჰქონდეს თუ არა კაპიტალის ბაზარზე საზოგადოებას წვდომა და სურთ თუ არა დამფუძნებლებს/პარტნიორებს (აქციონერებს) კორპორაციული ქაღალდების საჯარო ვაჭრობისათვის გატანა და ა.შ. ყველა ეს და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხი კონკრეტული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ტიპოლოგიურ ბუნებას წარმოაჩენს და მას (განზოგადებულად) გარკვეული ნიშან-თვისების მიხედვით აჯგუფებს. კონტინენტური ევროპის[126]

126 და არა მხოლოდ. ყველა ამ სამართლებრივ ოჯახს მიკუთვნებული ქვეყანა. მაგ., პოსტსაბჭოთა ქვეყნების საკორპორაციო სამართალი ასევე აგებულია საზოგადოებათა ორდონოვან დაყოფაზე. ტრადიციულად ა.შ.შ-ის

(საკორპორაციო) სამართალი მეწარმე სუბიექტთა, უფრო სწორედ, სამეწარმეო საზოგადოებათა დაყოფას ახდენს ერთი მხრივ ამხანაგურ (პერსონალურ) და, მეორე მხრივ, კაპიტალური ტიპის საზოგადოებად.

3.2.1. ამხანაგური (პერსონალური) ტიპის საზოგადოება

საკორპორაციო სამართლის კურსის შესწავლა სწორედ ამხანაგური, ანუ პერსონალური საზოგადოების სამართლით იწყება. მასში ორი ძირითადი ფორმა მოიაზრება. პირველი გახლავთ სპს, ხოლო მეორე კს.

ისტორიულად სპს სავაჭრო გაერთიანების პირველი იურიდიული ფორმაა, რომელიც მასში მონაწილე ფიზიკური პირების უნარებისა და კაპიტალის გამოყენებაზე იყო დაფუძნებული და მისი რენტაბელობაცა და წარმატებული საქმიანობაც სწორედ რომ მასში მონაწილე წევრთა უპირატესად პერსონალურ ღვაწლზე იყო დამოკიდებული. სპს-ისთვის დამახასიათებელია პერსონალური პარტნიორული სტრუქტურა. ეს ნიშნავს, რომ, როგორც წესი, საზოგადოებაში მცირე რაოდენობის პარტნიორი მონაწილეობს, მათ შორის ახლო პიროვნული კავშირი არსებობს, ისინი ერთობლივად უძღვებიან საწარმოს საქმიანობას და იღებენ საზოგადოების პოლიტიკასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს და მათი პასუხისმგებლობა მესამე პირთა წინაშე საზოგადოების ვალდებულებისათვის შეზღუდული არ არის. აღნიშნულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაში კანონისმიერი კაპიტალის არსებობა და შენარჩუნება აუცილებელი არ არის, თუმცა ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ ბიზნესის დაწყებას ფინანსურ-მატერიალური სახსრები არ ესაჭიროება. რა თქმა უნდა, საზოგადოების პარტნიორებმა უნდა იზრუნონ ქონებრივი სიკეთის მოძიებაზე, რაც მათი ბიზნესის ეკონომიკური წარმართვის საფუძველს შექმნის. შესაბამისად, კაპიტალს ეკონომიკური და ნაკლებად სამართლებრივი დატვირთვა

საკორპორაციო სამართალი არ იცნობს მსგავს დაყოფას, თუმცა ევროპელ იურისტს ხელს არ უშლის მსგავსი დიქოტომია წარმოაჩინოს (საერთო სამართლის) ამხანაგობასა და კორპორაციას შორის. ასე მაგ.: *Merkt*, US-amerikanischens Gesellschaftsrecht, (2013), Rn. 147.

აქვს აღნიშნულ ორგანიზაციულ წარმონაქმნში. მსოფლიოს ყველა ქვეყნის საკორპორაციო სამართალი იცნობს წინამდებარე იურიდიულ ფორმას და მას თავისებური ეკონომიკური და პოლიტიკურ-სამართლებრივი დატვირთვა აქვს.

საზოგადოებათა დოგმატური დაყოფის პირობებში, საკორპორაციო სამართალი ამხანაგური ტიპის საზოგადოებაში მოიაზრებს კს-ს, მიუხედავად მისი, ერთგვარად, ჰიბრიდული იურიდიული ბუნებისა. საქმე ის გახლავთ, რომ კს დასავლეთევროპულ ქვეყნებში, იქ, სადაც ისტორიულად ჩამოყალიბდა ეს ფორმა, სპს-ის ნაირსახეობად განიხილება. თუკი დავუკვირდებით კანონით კს-ის მომწესრიგებელ ნორმა-დებულებებს ადვილად დავინახავთ, რომ მის მიმართ სუბსიდიურად გამოიყენება სპს-ის მუხლები. კანონის კს-ისთვის განკუთვნილი განსაკუთრებული ნაწილით რეგლამენტირებული ნორმები ეხება მხოლოდ კომანდიტებთან და საწარმოს მართვასთან/ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ იურიდიულ ფორმაში, ერთი მხრივ, გამოსაყოფია პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორი, რომელიც ისევე აგებს პასუხს კრედიტორთა წინაშე საზოგადოების ვალდებულებისათვის, როგორც ეს სპს-ში ხდება, ხოლო, მეორე მხრივ, სახეზეა შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე პარტნიორი, რომელიც მესამე პირთა წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ მის მიერ განხორციელებული საგარანტიო თანხის (შესატანის) ფარგლებში. სწორედ ამიტომ აღინიშნა, კს-ის ერთგვარი ჰიბრიდული ბუნების შესახებ, რამეთუ იგი ატარებს, როგორც ამხანაგური (ინდივიდუალური პასუხისმგებლობა), ისე კაპიტალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი პასუხისმგებლობის ნიშნებს. აღნიშნულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმასაც ყველა ქვეყნის სამართალი იცნობს უკლებლივ. დღევანდელ დღეს იგი სპს-თან შედარებით შედარებით უფრო მეტად გავრცელებული ფორმაა მსოფლიოს განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, რაც, სამწუხაროდ, არ ითქმის საქართველოზე.

სპს და კს, როგორც წესი, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმოების ფორმას წარმოადგენს და ორივე მათგანი იურიდიული პირის სტატუსის მქონე სამოქალაქო სამართლის სუ-

ბიექტს განეკუთვნება (კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი).

3.2.2. კაპიტალური ტიპის საზოგადოება

საზოგადოებათა დაყოფის მეორე მხარეს მოცემულია კაპიტალური ტიპის საზოგადოება, რომელიც რამდენიმე სამართლებრივ ფორმას აერთიანებს: შპს-ს, სს-ს.[127]

შპს ყველაზე გავრცელებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა და საქართველოში იგი დიდი მოწონებით სარგებლობს. ქვეყნის ორგანიზაციულ-კორპორაციული ეკონომიკის უდიდესი ხვედრითი წილი სწორედ მასზე მოდის, რაც სხვადასხვა ფაქტორით არის განპირობებული.[128] მისი დაფუძნება, ამხანაგური ტიპის საზოგადოებისაგან განსხვავებით, შესაძლებელია ერთი პირის მიერაც და, რაც ეკონომიკურად ყველაზე გამართლებულია, მისი პარტნიორი სარგებლობს შეზღუდული პასუხისმგებლობის პრივილეგიით, რაც იმაში გამოიხატება, რომ მისი მხრიდან საზოგადოების წინაშე ნაკისრი ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი - შესატანის განხორციელების - ვალდებულების სრულყოფილად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მისი ინდივიდუალური პირადი პასუხისმგებლობა მთელი მისი ქონებით საზოგადოების კრედიტორის წინაშე გამოირიცხება. შეიძლება ითქვას, რომ ეს მეტ ინტერესს აღძრავს ამ ფორმის მიმართ ინვესტორში, რომელიც მისი კაპიტალის დაბანდებას ლამობს ბიზნესში და მეტ შესაძლებლობას აძლევს პარტნიორს ხმის უფლების სიძლიერე სწორედ ინვესტიციის მოცულობაზე გახადოს დამოკიდებული. სწორედ ამიტომ მასში კაპიტალით მონაწილეობა ეკონომიკურადაც და სამართლებრივადაც წინა პლანზეა წამონეული. მართალია, შპს-ს არ მოეთხოვება მინიმალური კანონისმიერი განთავსებული (საწესდებო) კაპიტალის არსებობა, განსხვავებით სს-ისაგან, და ეს მის ეგზისტენციალურ ხასიათზე გავლენას არ ახდენს, თუმცა დამფუძნებელ-პარტნიორთა შეთანხმება წილებსა და კაპიტალში მათი (ფინან-

---

127 მისი ორივე სუბტიპით, როგორც დახურული, ისე ღია ტიპის სს.

128 იხ.: *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 6 და მომდ.

სურ-მატერიალური) მონაწილების დათქმის შესახებ აუცილებლად უნდა იყოს სახეზე. შპს, როგორც წესი, ნებისმიერი სეგმენტის ბიზნესისთვის გამოიყენება, როგორც მცირე, ისე დიდი ბიზნესისათვის. თუმცა ძირითადად იგი საშუალო ბიზნესში ოპერირებს. შპს კაპიტალის ბაზარზე ნვდომაუნარიანი სუბიექტია, რაც აახლოებს მას სს-თან, თუმცა ასევე ბევრ ასპექტში, რაც ქვემოთ დეტალურად წარმოჩინდება, განასხვავებს მისგან.

სს, კლასიკური გაგებით, დიდი ბიზნესის კორპორაციულ ფორმად მიიჩნევა და კაპიტალის შემაკავშირებელი ფუნქციის მატარებელი სუბიექტია.[129] დიდია მისი ეკონომიკური მნიშვნელობა განსაკუთრებით ინდუსტრიულ, საბანკო და სადაზღვევო სფეროში. მისი პარტნიორი, ანუ აქციონერი, შპს-ის პარტნიორის მსგავსად, სარგებლობს ასევე შეზღუდული პასუხისმგებლობის პრივილეგიით და[130] საზოგადოების კრედიტორის წინაშე არ ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა. სს-ში სავალდებულოა კანონით გათვალისწინებული მინიმალური განთავსებული კაპიტალის არსებობა, რაც ადრე საწესდებო კაპიტალის სახელწოდებით იყო ცნობილი ქართულ საკორპორაციო სამართალში.[131] მასში შეიძლება გამოიყენებოდეს კორპორაციული მართვის, ანუ საწარმოს კონტროლის სხვადასხვა სისტემა, რაც აქციონერთა არჩევანის თავისუფლების პრინციპზეა დაფუძნებული და ამ უკანასკნელს მეტ მოქნილობას ანიჭებს.

შპს და სს განეკუთვნება იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაციულ წარმონაქმნს (კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი).

---

129 *Kübler, Assmann,* Gesellschaftsrecht. Die Privatrechtlichen Ordnungsstrukturen und Regelungsprobleme von Verbänden und Unternehmen, (2006), 164; *Grigoleit* in Grigoleit, AktG. Komm., (2020), §1 Rn. 27; *Fischer* in Heidel, Aktienrecht und Kapitalmarktrecht, (2020), §1 Rn. 2 f.

130 გარკვეული გამონაკლისის გარდა, რაც გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინას უკავშირდება, როგორც შპს-ის, ისე სს-ის ფორმაში.

131 იხ. მაგ.: *მიგრიული,* სამენარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო, 2021, 87 და მომდ.; *ჯანტურია, ნინიძე,* მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 267 და მომდ.; *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 142 და მომდ.

II. ნაწილი - ამხანაგური (პერსონალური) ტიპის საზოგადოებები

1. თავი - სპს

1.1. ლეგალური დეფინიცია და ძირითადი მახასიათებლები; დისპოზიციურობისა და სრული საწესდებო თავისუფლების პრინციპი სპს-ის სამართალში;

სპს ისტორიულად ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ყველაზე ძველი სამართლებრივი ფორმაა.[132] სავაჭრო სამართლის პირველ ქართულ სახელმძღვანელოში, რომელიც სერგი ჯაფარიძეს ეკუთვნის და რომელიც უპირატესად დასავლეთევროპული ქვეყნების სამართალზეა ბაზირებული, ავტორი ვაჭართა/კომერსანტთა[133] (მაშასადამე, თანამედროვე აღქმით მეწარმეთა) დახასიათებისას ფიზიკურ პირთან ერთად მოიხსენიებს „შეერთებანი"-ს, ანუ პირთა გაერთიანებებს.[134] ამ უკანასკნელს იგი სწორედ ამხანაგობათა ფორმებით იწყებს და წიგნის ერთ-ერთ თავში სრულ ამხანაგობას ახასიათებს.[135] სრული, ან სხვაგვარად კოლექტიური ასოციაცია დღევანდელი სპს-ის პროტოტიპს წარმოადგენს და სრულად შეესაბამება მას. თავად ამხანაგობის ტიპის სა-

---

132 ისტორიული მიმოხილვის შესახებ იხ.: *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე,* სოლიდარული პასუხისმგებლობის ფუნქციონალიზაცია ქართულ საკორპორაციო სამართლის სისტემაში, 2020, 9-22.

133 ჩამატება ავტორთა კოლექტივისაა, რადგან დასავლეთ ევროპულ სამართალში გვხვდება ტერმინი კომერსანტი (Kaufmann. მაგ., გერმანული სავაჭრო სამართალი), რომელიც, თავის მხრივ, სათავეს ლათინური წარმოშობის სიტყვა caupo-სგან იღებს, რაც ლუდისა და ღვინის საბითუმო მოვაჭრეს ნიშნავდა და რომელსაც მკვეთრად გამოყოფდნენ თავისუფალი პროფესიის პირებისაგან. *Müller-Erzbach,* Deutsches Handelsrecht, 2. und 3. Auf., Verlag Mohr Siebeck, Tübingen 1928, 2-3; *Wieland,* Das kaufmännisches Unternehmen und die Handelsgesellschaften, I Band, Dunker & Humbolt, München, Leipzig 1921, 50. იგივე შეიძლება ითქვას სხვა დასავლეთევროპულ ქვეყნებზეც. იხ. მაგ. ავტორთა კოლექტივი: Rechtsvergleichendes Handwörterbuch für Zivil- und Handelsrecht, I Band: Länder Berichte: Europa, Vranz Vahlen, Berlin, 1927, 254.

134 *ჯაფარიძე,* სავაჭრო სამართალი, 2019, 69.

135 იქვე, 81 და მომდ.

ზოგადოების სახელწოდებაც[136] სწორედ აქედან უნდა მოდიოდეს.[137]

საქართველოს დამოუკიდებლობის კვლავ მოპოვების შემდეგ სპს ამხანაგური (პერსონალური) ტიპის საზოგადოების ძირითად სახედ ჩამოყალიბდა. კანონში იგი თავიდანვე იქნა დადგენილი და მისი (კანონის) კერძო ნაწილი სწორედ ამ იურიდიული ფორმით იწყება. სპს-თან მიმართებით საკანონმდებლო მოწესრიგება მეტ-ნაკლებად სტაბილურ ხასიათს ატარებდა, თუმცა აქაც აღსანიშნავია, რომ 2008 წლის 14 მარტის რეფორმით მისი მომწესრიგებელი ნორმები კიდევ უფრო ლიბერალური გახდა, ვიდრე ეს აქამდე იყო.[138] 2021 წლის დიდი რეფორმით კანონს მეტი სიცხადე შეაქვს მოგებისა და ზარალის ცნების განსაზღვრაში (105-ე მუხლი), მოგებისა და ზარალის განაწილების (105-ე მუხლი), ხარჯთა ანაზღაურების (107-ე მუხლი) საკითხში.[139]

სპს-ის ლეგალური დეფინიცია მოცემულია კანონის 94-ე მუხლის პირველ პუნქტში. აღნიშნული მუხლი სხვა ნორმებთან ერთობლიობაში აყალიბებს ამხანაგური ტიპის სამეწარმეო საზოგადოების ძირითად ფორმას, რომელიც ატარებს პერსონაფიცირებულ ხასიათს, განსაზღვრავს წევრობაზე დაფუძნებული საზოგადოების კონცეფციას, ადგენს პარტნიორთა გარესამართლებრივი პასუხისმგებლობის შეუზღუდავ

136 უფრო სწორედ, როგორც წიგნის პირველ ნაწილში აღინიშნა, თანამედროვე დაყოფა საზოგადოებებისა ამხანაგური და კაპიტალური ტიპის საზოგადოებებად.

137 ერთადერთი ავტორი საქართველოში, რომელიც ამგვარ საზოგადოებებს „პიროვნულ საზოგადოებად" მოიხსენიებს როინ მიგრიაულია. იხ.: *მიგრიალური,* სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო, 2021, 151. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ქართულ საკორპორაციო სამართალში ისტორიულადაც და დღესაც დამკვიდრებულია სხვა ტერმინი (ამხანაგური (პერსონალური) ტიპის საზოგადოება. იხ.: ასევე კროფჰოლერის კომენტარის ქართული თარმანი: *კროფჰოლერი,* გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასნავლო კომენტარი, 2014, 705-ე პარაგრაფი, პირველი ველი), უმჯობესია, სასნავლო სახელმძღვანელოებშიც სწორედ იგი იქნეს გამოყენებული.

138 მისი ლეგალური დეფინიციის საკანონმდებლო მოწესრიგება შინაარსობრივი თვალსაზრისით არსებითად არ შეცვლილა. 2021 წლამდე მიმოხილვა იხ.: *მიგრიაული,* სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო, 2021, 152 და მომ.

139 რეფორმის კონტექსტში იხ. *ბურდული,* საკორპორაციო სამართლის რეფორმა საქართველოში (ძირითადი ტენდენციები), ჟურ. „ჩემი ადვოკატი", №5, 2021, 92-93.

ხასიათს მესამე პირის წინაშე, გამორიცხავს გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენებას აღნიშნული ორგანიზაციული ფორმის მიმართ, კლასიკური ტიპოლოგიური გაგებით ახდენს პერსონალური პარტნიორული სტრუქტურის ფორმირებას საზოგადოების შიგნით და მიზანშეუწონლად მიიჩნევს (ვიწრო გაგებით) კორპორაციული მართვის სისტემის დაფუძნებას, პრინციპში გამორიცხავს გამიჯვნის პრინციპის არსებობას მსგავსი ტიპის საზოგადოებაში და აფუძნებს საკუთარი ორგანოს კონცეფციას.[140]

სპს სამეწარმეო საქმიანობის ერთობლივად განხორციელების სამართლებრივი ფორმაა, რომელსაც საფუძვლად უშუალო და შეუზღუდავი სოლიდარული (გარესამართლებრივი) პასუხისმგებლობის პრინციპი უდევს.[141] მართალია, მსგავსი ორგანიზაციული წარმონაქმნი ნებისმიერი ეკონომიკური სეგმენტისა და პარამეტრის ბიზნესორგანიზაციულ სოციალურ წარმონაქმნად არის მოაზრებული, თუმცა მისი პრაქტიკული მნიშვნელობა ცხადყოფს, რომ ამ უკანასკნელის გამოყენება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ძირითადად, ხდება საშუალო (ნაკლებად მცირე და თითქმის საერთოდ არ გამოიყენება დიდ) ბიზნესში[142] და საფუძვლად წევრთა პირადი უნარების გამოყენებითი (მომსახურებითი) საქმიანობა უდევს. საქართველოსაგან განსხვავებით განვითარებულ ეკონომიკურად ძლიერ დემოკრატიულ ქვეყნებში სპს-ის სამართლებრივი ფორმის რეალური შერჩევისას სხვადასხვა ფაქტორს ითვალისწინებენ. ამ დროს, როგორც წესი, მხედველობაში მიიღება როგორც შიდა, ისე გარე კორპორაციული ასპექტები,[143] რომელიც ძირითადად (შიდა)ორგანიზაციული მართვის მოწყობას, გადაწყვეტილებათა მიღების საკითხს, მონაწილეთა შენატანსა და უფლება-მოვალეობას, ასევე, (გარეკორპორაციულ) საგადასახადო-სამართლებრივ რეჟიმს უკავშირდება.

---

140 წევრთა თვითმართვის პრინციპი (Selbstorgnaschaft). *შეფერი,* საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), მე-5 გამოც., 2019, 73.

141 *Kindler* in Koller/Kindler/Roth/Dröen, HGB,(2019), §105 Rn. 1.

142 მისი ეკონომიკური მნიშვნელობის შესახებ იხ.: MünchHdb. GesR I/Happ/Möhrle, (2009), §46 Rn. 12.

143 შეად. *Kindler* in Koller/Kindler/Roth/Dröen, HGB,(2019), §105 Rn. 1.

საქართველოში სპს ნაკლებად განვითარებული ფორმაა ბიზნეს საქმიანობის, თუმცა შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ 2021 წლის საკორპორაციო სამართლის რეფორმის შემდეგ ბიზნეს აქტივობისთვის მისი გამოყენების წახალისება მოხდება.

სპს-ის ლეგალური დეფინიცია რამდენიმე ძირითად კომპონენტამდე დაიყვანება: ა.) ამხანაგური (პერსონალური) ტიპის საზოგადოება; ბ.) სამეწარმეო საზოგადოება; გ.) იურიდიული პირი; დ.) უშუალო და შეუზღუდავი სოლიდარული პასუხისმგებლობა საზოგადოების ვალდებულებისათვის მესამე პირის წინაშე.

1.1.1. პერსონალური საზოგადოება

სპს-ის პერსონალურ ხასიათს მისი ტიპოლოგიური ბუნება განაპირობებს. ამ სამართლებრივი ფორმისთვის დამახასიათებელია პერსონალური პარტნიორული სტრუქტურა და მართვის პერსონაფიცირებული ხასიათი. ეს ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების პარტნიორთა წრე შეზღუდულია. ტიპურ შემთხვევაში იგი მცირე რაოდენობით ხასიათდება და მის მონაწილეებს შორის, როგორც წესი, ახლო ნათესაური ან, სულ მცირე, მეგობრული კავშირურთიერთობა არსებობს ხოლმე. ეს ბუნებრივიცაა: სპს-ის ვალდებულებისათვის მესამე პირის წინაშე ნებისმიერი პარტნიორის ინდივიდუალური ქონებაა ხელმისაწვდომი. ამავდროულად, იდეალტიპურ შემთხვევაში ყველა დამფუძნებელი-პარტნიორი საწარმოს ხელმძღვანელი და წარმომადგენელია. ბუნებრივია, პარტნიორი კარგად უნდა ენდობოდეს პირს, რომ მისი ხელმძღვანელობის და საზოგადოების ვალდებულების აღების შედეგად, თავად გახდეს პასუხისმგებელი მესამე პირის წინაშე მთელი თავისი ქონებით სხვა პარტნიორის „წარუმატებელი" საქმიანობისათვის. ეს კი რაციონალურად შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც პარტნიორი კარგად იცნობს მის თანაპარტნიორს და მათ შორის მჭიდრო ნდობითი კავშირია. სპს-ის პერსონალურ ხასიათს მისი ორგანიზაციული მოწყობაც განაპირობებს: იდეალტიპურ შემთხვევაში საზოგადოების მართვის, უფრო სწორედ, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფ-

ლება აქვს საზოგადოების ყველა პარტნიორს. კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მესამე პირთან ურთიერთობაში საზოგადოებას ყველა პარტნიორი წარმოადგენს, თუკი საზოგადოების ხელშეკრულებით გარკვეული შეზღუდვა არ არის დადგენილი პარტნიორისთვის წარმომადგენლობით კომპეტენციასთან დაკავშირებით. სპს-ის ტიპოლოგიური ბუნება განაპირობებს იმას, რომ საწარმოს რენტაბელური საქმიანობისათვის საზოგადოების ყველა პარტნიორის უშუალო ძალისხმევა და ჩართვაა საჭირო, რათა ერთობლივი მიზნის მიღწევა იქნეს უზრუნველყოფილი. აქაც იკვეთება მისი პერსონალური ხასიათი. და ბოლოს, კიდევ ერთი არგუმენტი ამის საილუსტრაციოდ: სტრუქტურული ღონისძიების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად კონსენსუსის პრინციპია დადგენილი, რაც, პრინციპში, სწორედ პერსონალური საზოგადოებისათვის არის, როგორც წესი, დამახასიათებელი. ამას კანონის 95-ე მუხლი განსაზღვრავს, რომელიც ამბობს, რომ საზოგადოების წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა მხოლოდ ყველა პარტნიორის თანხმობით არის შესაძლებელი. მართალია, ნორმის დისპოზიციური ხასიათიდან გამომდინარე, აქედან გამონაკლისიც არსებობს, თუმცა იგი, როგორც ამას, განვითარებული ქვეყნების კაუტელარული პრაქტიკა აჩვენებს, ყოველთვის საგამონაკლისო წესად არის დადგენილი.

კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, სპს არის სამეწარმეო საზოგადოება. იგი რეგისტრაციის ძალით იძენს მეწარმის ხარისხს და ფორმის მიხედვით გახლავთ სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. რეგისტრაციას აქვს უფლების წარმომშობი, ანუ კონსტიტუტიური მოქმედების ძალა, რაც ნიშნავს, რომ სწორედ მხოლოდ რეგისტრაციით არის შესაძლებელი მეწარმე სუბიექტის წარმოშობა.[144] ამასთან, სპს ყოველთვის გარე საზოგადოების ფორმას წარმოადგენს, ვინაიდან მიზნად ისახავს „ურთიერთობის გარეთ გატანას", ანუ მესამე პირებთან ურ-

144 განსხვავებით სხვა ქვეყნების სამართლისაგან. იხ.: *ბურდული, მახარობლიშვილი, მალრაძე,* სოლიდარული პასუხისმგებლობის ფუნქციონალიზაცია ქართულ საკორპორაციო სამართლის სისტემაში, 2020, 39 და მომდ.

თიერთობის დამყარებისაკენ არის მიმართული.[145] შესაბამისად, ქართული სამართლის მიხედვით, ყველა გარე საზოგადოება, იმავდროულად არის იურიდიული პირი. სპს არის იურიდიული პირის სტატუსის მატარებელი სუბიექტი მისთვის დამახასიათებელი ყველა ელემენტით.[146] სპს არის საკუთარი ქონების მქონე წარმონაქმნი. იურიდიული პირისათვის დამახასიათებელია, რომ იგი სწორედ საკუთარი ქონებით უნდა იყოს პასუხისმგებელი მესამე პირის წინაშე, თუმცა სპს-ის შემთხვევაში ეს ელემენტი, შეიძლება ითქვას, „სიმბოლურ" ხასიათს ატარებს, რადგან ამ სამართლებრივ ფორმაში წინა პლანზეა წამოწეული უშუალო და შეუზღუდავი პასუხისმგებლობა. კანონის 94-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საზოგადოების ვალდებულებისათვის პასუხს უშუალოდ და შეუზღუდავად აგებენ მისი პარტნიორები, როგორც სოლიდარული მოვალეები. უშუალო პასუხისმგებლობა ნიშნავს იმას, რომ ყოველ მესამე პირს, რომლის წინაშეც საზოგადოებას გარკვეული ვალდებულება აქვს შესასრულებელი, უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ პარტნიორს, მისი არჩევანის გათვალისწინებით, მიმართოს პასუხისმგებლობის დაყენებისათვის. მაგალითად, სპს-ს ყავს სამი - ა, ბ და გ - პარტნიორი. საზოგადოების კრედიტორს უფლება აქვს პასუხი საწარმოს ვალდებულებისათვის აგებინოს ბ პარტნიორს და იმის დასაბუთება, თუ რატომ არ ითხოვს იგი ამას სხვა პარტნიორებისაგან მას არ მოეთხოვება.

პარტნიორის შეუზღუდავი პასუხისმგებლობა ნიშნავს, რომ. იგი საზოგადოების კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს მთელი მისი ინდივიდუალური ქონებით. მართალია, სხვაგვარი შეთანხმება საზოგადოების წესდებით დასაშვებია, თუმცა მას ძალა მესამე პირთან ურთიერთობაში არ ექნება.[147]

---

145 *კროპჰოლერი,* გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. სასწავლო კომენტარი, 2014, § 705, ველი 4.

146 იურიდიული პირის განმარტებისა და ელემენტების დახასიათება იხ.: *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 215-217; *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 110 და მომდ.; *ბურდული, ეგნატაშვილი,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარში, წიგნი I, 2017, მუხლი 24, ველი 6 და მომდ.

147 ეს მიზნობრივად უნდა გამომდინარეობდეს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტიდან: სპს-ის წესდებით ან პარტნიორების შეთანხმებით შეიძლება

სოლიდარული ვალდებულების განსამარტად კი.სკ-ის შესაბამის მუხლს უნდა მივმართოთ.[148]

1.1.2. საკუთარი ორგანოს კონცეფცია

კორპორაციული მართვის სისტემის ჩამოყალიბება სპს-ში საჭირო არ არის.[149] ის, რომ ნებისმიერ სამეწარმეო სუბიექტს ორგანიზაციული მოწყობა ესაჭიროება, რათა ამ უკანასკნელმა საქმიანობა განახორციელოს, ეჭვგარეშეა. თუმცა ამ შემთხვევაში ორგანიზაციული სტრუქტურა განსასხვავებელი იქნებოდა კორპორაციული მართვის სტრუქტურისაგან. კორპორაციული მართვა[150] მწყობრად, კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოყალიბებული საწარმოს კონტროლის სისტემაა, რომელიც მხოლოდ კაპიტალური ტიპის საზოგადოებისთვის იქნებოდა დამახასიათებელი და დიდი ბიზნესის წარმოების, მსხვილი კორპორაციული სუბიექტისათვის არის საჭირო და მნიშვნელოვანი. მითუმეტეს, როდესაც სახეზეა ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანია, რომელიც დამატებით უნდა აკმაყოფილებდეს ასევე კორპორაციული მართვის სტანდარტებს, რომელსაც კაპიტალის ბაზრის სამართალი ადგენს. შესაბამისად, მისი არსებობა-ფუნქციონირება დანახარჯიანია და მისი შექმნა ამხანაგურ საზოგადოებაში რაციონალურობას მოკლებულია. პერსონალური ტიპის საწარმოში პარტნიორი თავად გვევლინება ხელმძღვანელად და წარმომადგენლად. მაშასადამე, კონტროლის

განისაზღვროს განსხვავებული წესები, თუმცა ის არ უნდა უკავშირდებოდეს უშუალოდ მესამე პირის ინტერესის დაცვას. სპს-ში გარესამართლებრივი პასუხისმგებლობა სწორედ მესამე პირის მნიშვნელოვანი ინტერესის დაცვას - მოთხოვნის დაკმაყოფილებას ემსახურება. ეს მკაფიო ფორმულირებით მოცემული იყო 2021 წლამდე არსებული რედაქციით: მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ბოლო წინადადება. ამავდროულად კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტიც გასათვალისწინებელია, რომელიც ტელეოლოგიური რედუცირების გზით ასევე აფუძნებს კრედიტორის წინაშე სპს-ის პარტნიორის პირად პასუხისმგებლობას.

148 სკ-ის 463-ე მუხლი, იხ. *რობაქიძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2019, 961 და მომდ.

149 მიუხედავად იმისა, რომ სკ-ის 24-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, იგი (სპს) კორპორაციულად მოწყობილი წარმონაქმნია.

150 ტერმინისა და წარმოშობის ისტორიის შესახებ იხ.: *ჰოპტი*, კორპორაციული მართვა ევროპაში: რეგულირების ახალი მოდელი და „რბილი სამართალი", ბურდული (მთარგ.), „სამართლის ჟურნალი", №1, 2009, 228-247.

მეტად დანახარჯიანი სისტემის ჩამოყალიბება გააზრებული მართვის საწინააღმდეგო მოვლენად იქცეოდა. რაც შეეხება ორგანიზაციულ სტრუქტურას: იგი ყველა სუბიექტისთვის არის დამახასიათებელი, იქნება ეს მცირე, საშუალო თუ დიდი ბიზნესი იმისდა მიუხედავად, ამხანაგური თუ კაპიტალური საზოგადოებაა სახეზე. ორგანიზაციული მოწყობა საზოგადოების შიდა სისტემის შემადგენელი ნაწილია და მის გარეშე სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება გარკვეული სამართლებრივი ფორმით შეუძლებელია. პერსონალური პარტნიორული სტრუქტურის მქონე საზოგადოებასაც კი ესაჭიროება გარკვეული ორგანიზაციული მოწყობა. კორპორაციული მართვის სისტემა კი აუცილებელია კაპიტალურ საზოგადოებაში.

1.2. საზოგადოების დაფუძნება

1.2.1. საზოგადოების ხელშეკრულება

სპს-ის, ისევე, როგორც ნებისმიერი სამეწარმეო საზოგადოების შექმნისთვის აუცილებელია პირთა შეთანხმება აღნიშნული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ჩამოყალიბების თაობაზე. ეს შეთანხმება საზოგადოების ხელშეკრულების სახელწოდებით არის ცნობილი და არსებითი მნიშვნელობა აქვს, როგორც ბიზნეს სუბიექტის წარმოშობის, მისი რეგისტრაციისათვის, ისე სამეწარმეო საზოგადოების მთელი ცხოვრების მანძილზე. სამეწარმეო საზოგადოება ხელშეკრულების, კერძოსამართლებრივი ხასიათის გარიგების საფუძველზე პირთა ნების ფორმირებით ჩამოყალიბებული გაერთიანებაა, რომელშიც პარტნიორები ერთმანეთის პირადი თუ მატერიალური რესურსების კონსოლიდირებით და გამოყენებით საერთო მიზნის მიღწევას უზრუნველყოფენ.[151]

151 *Schäfer* in Bork/Schäfer, GmbHG, (2012), §2 Rn. 7 ff; Fastrich in Baumbach/Hueck, GmbHG Komm, (2019), §2 Rn. 3; *Roth* in Baumbach/Hueck, HGB Komm., (2021), §109 Rn. 2 f; MünchHdb. GesR/Möhrle, Bd. 2, (2019), §2 Rn. 20. საზოგადოების ხელშეკრულების (წესდების), როგორც არასინალაგმატური ხელშეკრულების შესახებ, მაგ.: *Psaroudakis* in Heidel/Schall, Komm. zum Handelsgesetzbuch, (2020), §2 Rn. 5. მიუხედავად იმისა, რომ გერმანული საკორპორაციო სამართალი ამხანაგური ტიპის საზოგადოების გრუნდტიპად გსკ-ის 705-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ სამოქალაქო სამართლის საზოგადოებას,

საზოგადოებაში მონაწილეობა პირის ნების და, განსაკუთრებით კი, საქართველოში ჩამოყალიბებული პერსონალური პარტნიორული სტრუქტურის მქონე სანარმოებში, მუშაობისა და თანამშრომლობის სურვილზეა დაფუძნებული.

საზოგადოების წარმოშობის ასპექტებს დაფუძნების სამართალი სწავლობს და ერთიანი მიდგომის მიუხედავად, სხვადასხვა იურიდიულ ფორმაში, შესაძლოა სხვადასხვაგვარი, უფრო სწორედ, დამატებითი მოთხოვნები ჰქონდეს დაწესებული. ასე, მაგალითად, ამხანაგური (პერსონალური) ტიპის საზოგადოების ჩამოყალიბება შეუძლია სულ მცირე ორ პირს, მაშინ, როდესაც კაპიტალური საზოგადოების შექმნა ერთი პირის მიერაც არის შესაძლებელი ე.წ. ერთკაცა საზოგადოების[152] სახით.

სპს-ის დაფუძნებისათვის აუცილებელია გარკვეული სადამფუძნებლო დოკუმენტების შემუშავება და მათი წარდგენა შესაბამის ორგანოში - კომერციულ და არაკომერციულ იურიდიულ პირთა რეესტრში. ასევეა საჭირო კანონმდებლობით დადგენილი ფორმალური მოთხოვნების დაცვა, რათა სამეწარმეო საზოგადოების წარმოშობის პროცესი ლოგიკურ დასასრულამდე მივიდეს.

კანონი ტერმინოლოგიურ დონეზე ერთმანეთისაგან მიჯნავს სადამფუძნებლო შეთანხმებასა და საზოგადოების წესდებას. თუმცა შინაარსობრივი დატვირთვის თვალსაზრისით ორივე ეს დოკუმენტი ერთ ტერმინში - საზოგადოების ხელშეკრულებაში განსახიერდება. საზოგადოების ხელშეკრულებას აქვს ვალდებულებითსამართლებრივი და კორ-

---

ხოლო კაპიტალურისას - რეგისტრირებულ კავშირს განიხილავენ (Saenger in Schulze, BGB Komm., (2019), §705 Rn. 1.), სამეწარმეო საზოგადოების შექმნის კერძოსამართლებრივ (სახელშეკრულებო) ბაზისად 705-ე პარაგრაფს იღებენ. კომპანიათა არსის გარიგებითსამართლებრივი სანყისის თაობაზე: *Stürner* in Jauernig, BGB Komm., (2021), §705 Rn. 1, 11-12. შიდა საზოგადოების კონტექსტში: *Schäfer*, MünchKommBGB, (2020), §705 Rn. 1. საზოგადოების ხელშეკრულების (წესდების) შინაარსის კონტექსტში: *Heidel* in Dauner-Lieb/Langen, BGB Schuldrecht, BGB §705 Rn. 2 ff; Schöne in Hau/Poseck, BGB BeckOK, 57 Ed. 2020, §705 Rn. 62 ff.

152 დაწვრილებით ერთკაცა (ე.წ. Einmangesellschaft) საზოგადოების შესახებ იხ.: *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 56 და მომდ.

პორაციულსამართლებრივი შინაარსი.[153] მისი სამოქალაქო-სამართლებრივი დატვირთვა გამომდინარეობს იქედან, რომ მასში მოცემულია ნორმები, რომელიც შიდაორგანიზაციულ საკითხებს აწესრიგებს დაკავშირებულს პარტნიორთა უფლება-მოვალეობასთან, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობასთან, მის შეზღუდვასთან, შენატანთან და მის შესრულებასთან, ამ ვალდებულების შეუსრულებლობისა ან მისი არაჯეროვანი შესრულებისას პარტნიორის საზოგადოებიდან შესაძლო გარიცხვასთან და სხვა საწარმოს ფუნქციონირებასთან მდგომ საკითხებთან. მისი კორპორაციულ/ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბუნება კი აფუძნებს პირთა გაერთიანების სამართალს და აწესრიგებს ორგანიზაციული მოწყობისა და სტრუქტურის საკითხებს. სწორედ მისით წარმოიშობა სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და იღებს იურიდიული პირის სტატუსს. მოკლედ, საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი დატვირთვა მის ვალდებულებითსამართლებრივ შინაარსთან ერთად, აფუძნებს პირისაგან განცალკევებულ სუბიექტს, რომელიც დამოუკიდებლად გამოდის კერძო სამართალურთიერთობაში. საზოგადოების ხელშეკრულების, როგორც ორგანიზაციული ბუნების მქონე დოკუმენტის არსებობა აუცილებელია იმისთვის, რომ იგი კორპორაციულ აქტად ჩაითვალოს, რამდენადაც სწორედ მის საფუძველზე ყალიბდება ორგანიზაციული ერთეული და რეგისტრაციის შემდეგ განიხილება იურიდიულ პირად. შეიძლება ითქვას, რომ ხელშეკრულების ეს ორგანიზაციული ნაწილი, ასევე, განიხილება დამფუძნებელ პარტნიორებსა და თავად სახელმწიფოს შორის გაფორმებულ გარიგებად აღნიშნული სამართლებრივი ფორმის/იურიდიული პირის შექმნასთან დაკავშირებით.

საზოგადოების ხელშეკრულება, უპირველეს ყოვლისა, მოქმედია საზოგადოების მონაწილეთა შორის, თუმცა მას ასევე იურიდიული ძალა აქვს მესამე პირისათვის და გარკვეულ საკითხებში ამ უკანასკნელისთვისაც ატარებს სავალდებულო ხასიათს.

---

153 იხ.: *შეფერი*, საზოგადოებათა სამართალი, მე-5 გამოც., 2018, მიგრიაული (მთარგ.), 2019, §5, ველი 11.

1.2.2. სადამფუძნებლო შეთანხმება

კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სპს-ის დაფუძნებისათვის აუცილებელია საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმების არსებობა. როგორც ითქვა, სადამფუძნებლო შეთანხმება, ზოგადი გაგებით, საზოგადოების ხელშეკრულების ნაწილია და იგი საწარმოს რეგისტრაციის პირობას ქმნის სამეწარმეო რეესტრისათვის. სადამფუძნებლო შეთანხმება იდება წერილობითი ფორმით და მას ყველა დამფუძნებელი-პარტნიორი უნდა აწერდეს ხელს. მაშასადამე, აღნიშნული შეთანხმება პარტნიორთა ერთსულოვანი გადაწყვეტილების საფუძველზე ყალიბდება და თუ ეს პირობა დარღვეულია, სამეწარმეო რეესტრი ვალდებულია დაადგინოს ხარვეზი, ხოლო მისი გამოუსწორებლობის შემთხვევაში უარი თქვას სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრაციაზე. ამასთან, კანონი განსაზღვრავს, რომ თუკი დამფუძნებლები სადამფუძნებლო შეთანხმებას ხელს რეესტრში არ აწერენ, მაშინ აუცილებელია რთული წერილობითი ფორმა, ანუ ამ დოკუმენტის დამოწმება სანოტარო წესით (კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი).

კანონის 94-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სპს-ის შესაქმნელად სულ მცირე ორი პირის მონაწილეობაა საჭირო. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოების ხელშეკრულების დადებაში სულ მცირე ორი პირი მაინც უნდა მონაწილეობდეს. საზოგადოების პარტნიორად შეიძლება გამოვიდეს, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. პირს, რომელიც საზოგადოების ხელშეკრულების გაფორმებაში მიიღებს მონაწილეობას და ხელს მოაწერს მას დამფუძნებელი-პარტნიორი ეწოდება. სადამფუძნებლო შეთანხმების ხელმონერა დასაშვებია წარმომადგენლის მეშვეობითაც. ამ შემთხვევაში ეს უნდა დასტურდებოდეს დამფუძნებელი პარტნიორის მიერ აღნიშნულ პირზე გაცემული მინდობილობით, რომელიც, როგორც კაუტელარული პრაქტიკა აჩვენებს, ასევე, სანოტარო წესით უნდა იყოს დამოწმებული.

ფიზიკური პირი, რომელიც მონაწილეობს სამეწარმეო საზოგადოების ჩამოყალიბებაში უნდა იყოს სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირი. ამ საკითხთან მიმართებით სრულად გა-

მოიყენება სკ-ის დანაწესები გარიგების დადებასთან დაკავშირებით. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სრულწლოვანების ასაკს მიუღწეველი პირიც შეიძლება გამოვიდეს კომერციული იურიდიული პირის დამფუძნებლად და მიიღოს საზოგადოების ჩამოყალიბებაში მონაწილეობა. უბრალოდ, ამისათვის იგი წარმოდგენილი უნდა იყოს მისი კანონისმიერი წარმომადგენლის მეშვეობით. თუკი საზოგადოების დაფუძნებისა და რეესტრში მისი გატარების შემდგომ, გამოვლინდა ისეთი ვითარება, რომელიც სადამფუძნებლო შეთანხმების ფორმირების პროცესში რომ გამოვლენილიყო საზოგადოების ბათილობის, უფრო სწორედ, რეესტრის მხრიდან რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი იქნებოდა, მაშინ ამ გარემოების აღმოჩენამდე საზოგადოება უხარვეზოდ შექმნილად მიიჩნევა, ხოლო შემდგომ ამოქმედდება მოძღვრება ე.წ. ხარვეზიანი საზოგადოების შესახებ. ამის მომწესრიგებელი ნორმები 2021 წლის კანონის ახალ რედაქციაში სახელდახელოდ იქნა გათვალისწინებული. კანონის მე-80 მუხლი ადგენს, რომ თუკი რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები აღარ შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ რეგისტრაციისათვის სავალდებულო მოთხოვნებს, მაშინ ამ ხარვეზის გამოსწორებამდე საზოგადოება მიიჩნევა ხარვეზიანად, რის თაობაზეც შესაბამისი აღნიშვნა კეთდება რეესტრის ჩანაწერში. ხარვეზის აღმოფხვრის/გასწორების შემდეგ საზოგადოება არსებობას აგრძელებს ჩვეულებრივ, როგორც უხარვეზო საზოგადოება. მაგრამ თუ ხარვეზი საზოგადოების პარტნიორების/ხელმძღვანელი პირის მხრიდან გამოსწორებული არ იქნა, მაშინ ხდება საზოგადოების დაშლა, რასაც შედეგად მისი რეესტრიდან ამოშლა მოსდევს. მაგალითად, ერთ-ერთი დამფუძნებელი პირადად არ მონაწილეობდა სადამფუძნებლო შეთანხმების ფორმირებაში და მის ნაცვლად ხელს აწერს მისი წარმომადგენელი, რომელზე გაცემული მინდობილობაც ხარვეზის მქონე აღმოჩნდა. თუკი რეესტრში წარდგენილი არ იქნება ამ ხარვეზის გამოსწორების ფაქტი (ანუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი), მაშინ ეს საზოგადოების გაუქმების საფუძველია: იგულისხმება, რომ სადამფუძნებლო შეთანხმება

ხარვეზის მქონეა, რამდენადაც იგი პარტნიორთა ერთსულოვანი გადაწყვეტილების გარეშეა მიღებული.

1.2.3. სადამფუძნებლო შეთანხმების რეკვიზიტები

კანონის მე-5 მუხლის საზრისით, სადამფუძნებლო შეთანხმება თავის თავში მოიცავს საზოგადოების წესდებას და იმ მონაცემებს, რომლის მითითების გარეშე კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირების რეესტრი უარს იტყვის სპს-ის რეგისტრაციაში გატარებაზე. ასეთ სავალდებულო მონაცემებს საკორპორაციო სამართალში საწარმოს რეგისტრაციის რეკვიზიტები ეწოდება და იგი დეტალურად არის მოცემული სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი კონკრეტული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისთვის.

იმისათვის, რომ სპს გატარდეს რეგისტრაციაში, იყოს სახელმწიფოს მხრიდან ლეგიტიმური სამოქალაქო სამართლის სუბიექტი და ატარებდეს იურიდიული პირის სტატუსს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს იმ სავალდებულო რეკვიზიტებს, რომელიც კანონის მე-5 და მე-7 მუხლით არის გათვალისწინებული. კანონის სტრუქტურიდან გამომდინარე, სპს-ის რეგისტრაციისთვის ყველაზე ნაკლები მონაცემია გათვალისწინებული. კერძოდ, აღნიშნული იურიდიული ფორმის შესაქმნელად აუცილებელია, იგი შეიცავდეს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული წესდების სავალდებულო მონაცემს (რაც საერთოა ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისათვის) და სხვა რეკვიზიტს, რომელიც კანონის მე-5 მუხლშია ჩამოთვლილი.

სპს-ის რეგისტრაციისთვის სავალდებულოა მონაცემი მისი სამართლებრივი ფორმის შესახებ (კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი). სამოქალაქო ბრუნვაში ჩართული საწარმო ზუსტ წარმოდგენას უნდა უქმნიდეს მესამე პირს, რომ ამ უკანასკნელს სნორედ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან აქვს საქმე. ეს მესამე პირისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციაა, რამდენადაც სხვა მრავალ იურიდიულ საკითხთან ერთად იძლევა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას - მესამე პირის წინაშე

პასუხისმგებლობის თაობაზე. კონტრაჰენტისთვის ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებისას ეს ინფორმაცია შესაძლოა გადამწყვეტიც აღმოჩნდეს.

ნებისმიერი სამეწარმეო საზოგადოება მოგების მიღების მიზნით იქმნება. თუმცა ამ მიზნის მიღწევისთვის დამფუძნებელმა პარტნიორებმა უნდა განსაზღვრონ საქმიანობის ის მიმართულება, რომლის ფარგლებში უნდა მოხდეს დასახული მიზნის რეალიზება. შესაბამისად, კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, რეგისტრაციისათვის აუცილებელია სპს-ის საქმიანობის საგნის შესახებ მონაცემის არსებობა. დაფუძნების ეტაპზე მომავალი (ბიზნეს) პარტნიორები იმთავითვე თანხმდებიან იმაზე, თუ რა საქმიანობის საგანია მათთვის მისაღები და მიზნის აღსრულებისაკენ მიმავალი. საქმიანობის საგანი მოიცავს სანარმოს ნებისმიერ აქტივობას, რომელიც ნებადართულია და კანონით ან სასამართლო გადაწყვეტილებით აკრძალული არ არის. როგორც წესი, საქმიანობის საგანი იძლევა წარმოდგენას იმის თაობაზე, თუ რა ძირითადი მიმართულების აქტივობას ახორციელებს სამეწარმეო საზოგადოება. საქმიანობის საგანს დაკონკრეტების ფუნქცია აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ პარტნიორები ავიწროვებენ მიზნის მიღწევისაკენ მიმავალ გზას, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ საწარმოს (საქმიანობის საგნის გარდა) სხვა საქმიანობის განხორციელების უფლება არ აქვს. კაუტელარულ პრაქტიკაში მრავლად არის შემთხვევები, როდესაც საზოგადოების წესდებაში საქმიანობის საგნის იდენტიფიცირებასთან ერთად აღნიშნულია, რომ „საზოგადოებას უფლება აქვს სხვა ნებისმიერ საქმიანობას, რაც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას".

იმისათვის, რომ სპს დარეგისტრირდეს და მესამე პირს წარმოდგენა ჰქონდეს, თუ რა სამართლებრივ ფორმასთან აქვს მას საქმე, სპს-ის სადამფუძნებლო შეთანხმება, ასევე, უნდა შეიცავდეს სხვა მნიშვნელოვან მონაცემებს. კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, აუცილებელია, საფირმო სახელწოდების მითითება. სახელწოდება ბრუნვაში მონაწილე პირის იდენტიფიცირების სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს. როგორც ფიზიკურ პირს

აქვს სახელი და გვარი, ისე იურიდიულ პირს უნდა ჰქონდეს სახელწოდება, რომლითაც იგი წარდგება გარესამართალურთიერთობაში. არ დაგვავიწყდეს, რომ სპს არის გარე საზოგადოება, ანუ ისეთი სოციალური წარმონაქმნი, რომელიც მიმართულია მესამე პირთან ურთიერთობის დამყარებისაკენ. ნებისმიერი იურიდიული პირი იმავდროულად გარე საზოგადოებას წარმოადგენს, ხოლო იურიდიული პირის ერთ-ერთი ნიშანი მისი სახელწოდებაა. ამიტომაც აღნიშნავს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი, რომ მეწარმის საფირმო სახელწოდება გახლავთ ის სახელი, რომლითაც საქმიანობს მეწარმე (ანუ გამოდის მესამე პირთან ურთიერთობაში, დებს გარიგებას) და რომელიც ასეთად არის რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში. თუ როგორ უნდა იყოს ჩამოყალიბებული სპს-ის საფირმო სახელწოდება და რა აუცილებელ საფუძველს უნდა ეყრდნობოდეს იგი, მოცემულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტსა და მე-4 პუნქტში.[154]

შემდეგ რეკვიზიტს უნდა წარმოადგენდეს იურიდიული მისამართი, ანუ მონაცემი იმის თაობაზე, თუ რა მისამართზე იქნება რეგისტრირებული სპს (კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი). რეგისტრირებული იურიდიული მისამართი შეიძლება განსხვავდებოდეს სამეწარმეო საზოგადოების ძირითადი ადგილსამყოფლისაგან. მაგალითად, სპს „ბურდული და პარტნიორების საკორპორაციო სამართლის გადამზადების ცენტრი", საზოგადოების ერთ-ერთი პარტნიორის ირაკლი ბურდულის საკუთრებაში არსებული დაბა ბაკურიანში მდებარე ბინის მისამართზეა (მესაკუთრის თანხმობით) რეგისტრირებული, თუმცა სპს მის ძირითად საქმიანობას ქ. თბილისში ეწევა და ძირითადი ადგილსამყოფელი და ადმინისტრაციის ადგილმდებარეობაც სწორედ საქართველოს დედაქალაქში აქვს.

რეგისტრაციისთვის აუცილებელია საიდენტიფიკაციო მონაცემები სპს-ის პარტნიორების შესახებ, რასაც კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი ადგენს. ფიზიკური პირის შემთხვევაში მითითებული უნდა იქნეს მისი სახელი

154 მე-4 პუნქტის განმარტებისთვის იხ. *ბურდული*, საკორპორაციო სამართლის რეფორმა საქართველოში (ძირითადი ტენდენციები), ჟურ. „ჩემი ადვოკატი", №5, 2021, 87-88.

და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და ადამიანის პირადი ნომერი. თუკი დამფუძნებელი იურიდიული პირია, მაშინ აუცილებელია ამ უკანასკნელის რეგისტრაციის მონაცემის ნომერი, უფრო სწორედ, რეგისტრაციის საიდენტიფიკაციო ნომერი და მისი იურიდიული მისამართი.

იმისათვის, რომ სპს საკუთარი სახელით გამოვიდეს სამოქალაქო ბრუნვაში როგორც იურიდიული პირი და შევიდეს სამართალურთიერთობაში აუცილებელია, მას შესაბამისი ხელმძღვანელი და წარმომადგენელი ორგანო, უფრო სწორედ, პირი ჰყავდეს. ცხოვრებისეულ რეალობაში ამ პირს დირექტორს უწოდებენ, რომელიც აღჭურვილია სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით. სწორედ ამ პირის შესახებ უნდა შეიცავდეს სადამფუძნებლო შეთანხმება მონაცემს, რასაც ადგენს კიდეც კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი, სპს-ში წევრთა თვითმართვის, ანუ საკუთარი ორგანოს კონცეფციიდან გამომდინარე,[155] სპს-ში პარტნიორი, როგორც წესი, იმავდროულად არის ხელმძღვანელი და წარმომადგენელი საზოგადოებისა. ამიტომ, თუკი საზოგადოების ხელშეკრულება არ შეიცავს კონკრეტულად მონაცემს, თუ ვინ არის საზოგადოების დირექტორი, ივარაუდება, რომ სპს-ას ყველა მისი პარტნიორი წარმოადგენს.

ეს გახლავთ ის მინიმალური ინფორმაცია, რომელსაც უნდა შეიცავდეს სპს-ის ხელშეკრულება. ამ სავალდებულო მონაცემებს, რომელიც ზემოთ იქნა ჩამოთვლილი, იურიდიულ ლიტერატურაში სხვაგვარად წესდების სავალდებულო რეკვიზიტებს უწოდებენ.[156] თუმცა სავალდებულოსთან ერთად სპს-ის პარტნიორები შესაძლოა შეთანხმდნენ საზოგადოების მომავალი საქმიანობის ორგანიზაციულ დეტალებზე, რაც მათ შორის ურთიერთობისათვის იქნება რელევანტური. სხვა, არასარეგისტრაციო საკითხებზე შეთანხმება ჩვეულებრივი კორპორაციული პრაქტიკაა, მითუმეტეს თუ გათვალისწინებული იქნება სპს-ის რეგულირების ძალზე

155 ინსტიტუტის თაობაზე ქვემოთ იქნება მოცემული.

156 *ჯანტურია*, სანესდებო ავტონომია საკორპორაციო.სამართალში, კრებულში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2015, 562.

მოქნილი სისტემა და დისპოზიციურობისა და სახელშეკრულებო ავტონომიის თავისუფლების თითქმის აბსოლუტური ხასიათი. სწორედ ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ საზოგადოების ხელშეკრულებაში მოცემული იყოს არასავალდებულო, ანუ ფაკულტატური რეკვიზიტები.[157] ეს უკანასკნელი არ ემსახურება მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციაში გატარების წინაპირობას და მისი შემოწმებაც არ შედის რეესტრის ფორმალური კონტროლის არეალში.

1.2.4. რეგისტრაცია

სახელმწიფო ლეგიტიმაციას, ანუ კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირების რეესტრში სპს-ის რეგისტრაციას აქვს კონსტიტუტიური მოქმედების ძალა. აღნიშნული სამართლებრივი ფორმის გარეშე სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება არალეგიტიმურ საქმიანობად მიიჩნევა და სანქციის შემცველ ხასიათს ატარებს. რეგისტრაციის აქტით სპს იძენს სრულ უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობას და მიიჩნევა სამოქალაქო სამართლის სუბიექტად. მარეგისტრირებელი ორგანო შემოიფარგლება მხოლოდ რეგისტრაციის ფორმალური შემოწმებით, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ვალდებულია მოითხოვოს დამფუძნებელი პარტნიორისაგან მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც ზუსტად და კონკრეტულად არის ჩამოთვლილი კანონით. ამასთან, საზოგადოების ხელშეკრულების მატერიალურ-შინაარსობრივი კონტროლის უფლებამოსილება მარეგისტრირებელ ორგანოს არ აქვს.

სამეწარმეო რეესტრის მიერ მარეგისტრირებელი მონაცემების (ფორმალური წინაპირობების) შემოწმებისას შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ ესა თუ ის რეკვიზიტი გარკვეულ ხარვეზს შეიცავს. მსგავს შემთხვევაში დამფუძნებლებს ეძლევათ ვადა ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ხარვეზის გამოსწორების შემდეგ რეესტრი ვალდებულია რეგისტრაციაში გაატაროს სპს. როგორც წესი, ეს პროცედურა წარმოებს საზოგადოების რეგისტრაციაში გატარების ეტაპზე. თუმცა არსებობს შემთხვევა, როდესაც დაფუძნებისას და სამეწარმეო საზოგა-

157 იქვე, 562-563.

დოების რეგისტრაციაში გატარებისას ხარვეზი (სხვადასხვა მიზეზის გამო) დადგენილი არ იქნება, მაგრამ იგი რეგისტრაციის შემდგომ გამოვლინდება. ასეთ დროს სახეზეა ხარვეზიანი საზოგადოება. აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების ვალდებულება სპს-ს აქვს. მისი გამოუსწორებლობის შემთხვევაში კი რეესტრის უფლებამოსილება პროაქტიული უნდა იყოს, რაც ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელს თავად უნდა ჰქონდეს უფლება მიიღოს ხარვეზიანი საზოგადოების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება. პრაქტიკაში, ამ მხრივ, ხშირად გამოყენებადი კანონის გარდამავალი დებულება (254-ე მუხლი) უნდა იყოს.

1.3. სპს - მართვის პარადიგმა: საკუთარი ორგანოს კონცეფცია და პარტნიორის პირადი პერსონალური ღვაწლი საზოგადოების საქმიანობის განხორციელებაში

1.3.1. ძირითადი ცნებები

ორგანიზაციული მართვის სპეციფიკის სხვადასხვაობა კიდევ ერთი განმაცალკევებელი ნიშანია ამხანაგურ და კაპიტალური ტიპის საზოგადოებებს შორის. მაშინ როდესაც წმინდა გაგებით კორპორაციულ მართვაზე საუბარი კაპიტალური ტიპის საზოგადოების ჭრილშია შესაძლებელი, პერსონაფიცირებულ საზოგადოებაში ორგანიზაციულ მართვაზე მსჯელობენ[158].[159] აღნიშნული სწორედ ამ ორ სამართლებრივ ფორმას შორის დოქტრინალური თუ კორპორაციულ სამართლებრივი საკანონმდებლო რეგულაციათა შორის მკვეთრი დემარკაციული ხაზითაა განპირობებული[160].[161] ნორ-

158 *ბურდული, მახარობლიშვილი, ეგნატაშვილი, გიგუაშვილი,* თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები), 2016, 78-83.

159 ორგანიზაციული და კორპორაციული მართვის შორის განსხვავებებზე, შეად. *ბურდული, ეგნატაშვილი,* კორპორაციული მართვის საკითხისთვის, საიუბილეო კრებულში: ბესარიონ ზოიძე 60, 2013.

160 *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 196.

161 *ბერიძე, ბურდული, მახარობლიშვილი, ხარაიშვილი, სიხარულიძე, კიკუტაძე, ლობჟანიძე,* რბილი სამართლის გავლენა კორპორაციული მართვის

მატიულ დონეზე დადგენილი განსხვავება თავისთავად განსხვავებულ სამართლებრივ ფორმებს და ფუნქციონერების წესს უდებს სათავეს. ამხანაგური ტიპის საზოგადოება პირთა გაერთიანებაზე ორიენტირდება[162], მასში მონაწილე წევრთა პირად უნარებსა და ფინანსურ რესურსებზე აკეთებს აქცენტს.[163] პირები, პარტნიორები, რომელთაც ისტორიულად და ახლა უკვე საკანონმდებლო დონეზეც პირადი პასუხისმგებლობა ეკისრებათ საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ვალდებულებებისთვის, ვინაიდან სპს ნების კერძო ავტონომიის საფუძველზე ჩამოყალიბებული ის სამართლებრივი ფორმაა, სადაც საზოგადოების უფლებები და ვალდებულებები არც მეტი არც ნაკლები მასში მონაწილე წევრების მიერ წარმოქმნილი უფლებები და ვალდებულებების ერთობლიობაა საერთო სახელის ქვეშ[164], ამიტომ მათი ინტერესი უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების ყოველდღიურ საქმიანობაში[165] ბუნებრივი და გამართლებულია. ეს სპს-ს ორგანიზაციული მართვის სტრუქტურის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება სწორედ ასეთი ტიპის, პერსონაფიცირებულ საზოგადოებას წარმოადგენს და როგორც წესი, პარტნიორები, ე.ი. ამ გაერთიანების წევრები, თავად იღებენ ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე პასუხისმგებლობას, რაც ქმნის ე.წ. საკუთარი ორგანოს კონცეფციას[166], მაშასადამე, წარმომადგენლობითი და მმართველობითი ორგანოს დაკომპლექტება ხდება საზოგადოების წევრების მიერ, ანუ პარტნიორი ამავდროულად არის წარმომადგენელი/ხელმძღვანელი[167].[168]

ეფექტიანობაზე, 2018, 8-9.

162 *ბურდული, მახარობლიშვილი, ეგნატაშვილი, გიგუაშვილი,* თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები), 2016, 82.

163 *ჭანტურია, ნინიძე,* მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 12-19.

164 *Cahn, Donald,* Comparative Company Law, 2018, 107.

165 *Bevans,* Business Organizations and Corporate Law, 2007, 87.

166 *ბურდული, მახარობლიშვილი, მალრაძე,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 60.

167 *Hamilton,* The Law of Corporations, 2003, 10-11.

168 *ბურდული, მახარობლიშვილი, მალრაძე,* სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფუნქციონალიზაცია ქართულ საკორპორაციო სამართლის

რა თქმა უნდა ეს არ გამორიცხავს გარეშე პირის მონწვევას და მასთან საკონტრაქტო ურთიერთობას,[169] თუმცა ეს უკანასკნელი მეტად დამახასიათებელია კაპიტალური ტიპის საზოგადოებებისათვის, გარდა ამისა, გარიგებით-საართლებრივი ხელმძღვანელობა საზოგადოების მხრიდან დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული, რაც ამხანაგური ტიპის საზოგადოებისთვის (სპს, კს), რომელიც მცირე ან საშუალო ბიზნესზე ორიენტირდება, ალბათ არ უნდა იყოს პრაქტიკული და გამართლებული რისკი.[170] კანონი თითოეულ პარტნიორს ანიჭებს წარმომადგენლობის უფლებას,[171] თუმცა აქ მნიშვნელოვანი მომენტია გამოვარკვიოთ, პარტნიორი თავისთავად, ნებისმიერ შემთხვევაში წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში, თუ ასეთი დათქმა აუცილებლად უნდა გაკეთდეს სადამფუძნებლო დოკუმენტში კონკრეტული პარტნიორ(ებ)ის ვინაობის მითითებით. რა თქმა უნდა ცალსახად შესაძლებელია, წარმომადგენლობის სხვადასხვა ფორმის გათვალისწინება[172], მაგალითად ისინი ერთობლივად წარმოადგენენ საწამოს თუ თითოეული პარტნიორი ცალცალკე[173],[174] მაგრამ ამასთანავე აუცილებლად უნდა აღინიშნოს თუ კონკრეტულად რომელმა წევრ(ებ)მა ითავა ამ უფლების აღსრულება. აქვე, აღნიშვნის ღირსია, რომ პარტნიორთა შორის არსებულ შეთანხმებას სავალდებულო ძალა მხოლოდ შიდა ურთიერთობისთვის აქვს, მაშასადამე წევრებს ეკისრებათ ვალდებულება დაიცვან და კეთილსინიდისიე-

---

სისტემაში, იურიდიულ ხელნაწერთა სერიიდან საკორპორაციო სამართალში, 2020, 55.

169 კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტი.

170 *ბერიძე, ბურდული, მახარობლიშვილი, ხარაიშვილი, სიხარულიძე, კიკუტაძე, ლობჟანიძე,* რბილი სამართლის გავლენა კორპორაციული მართვის ეფექტიანობაზე, 2018, 11-12.

171 კანონის მე-100 მუხლიხ პირველი პუნქტი.

172 *ლა ზარაშვილი,* სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 2003, 122-124.

173 კანონის 41-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

174 თუ წესდებაში არცერთი ხელმძღვანელობითი ფორმა არ არის გათვალისწინებული, ივარაუდება, რომ ყველა ხელმძღვანელი ერთობლივად ახორციელებს ხელმძღვაელობით საქმიანობას. კანონის 41-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

რად აღასრულონ წესდების შინაარსი,[175] ხოლო გარეშე პირებისთვის, კანონისაგან განსხვავებული მოწესრიგება იქნება ბათილი და მას არ ექნება სავალდებულო ხასიათი.[176] თუმცა, როგორც უკვე ითქვა, კანონი ხელმძღვანელობითი უფლების კონტექსტში შეზღუდვის ფორმებს პირდაპირ ითვალისწინებს, ეს იქნება ერთპიროვნული, რამდენიმე ხელმძღვანელი პირის მიერ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, და/ან ყველა ხელმძღვანელი პირის მიერ ერთობლივად[177]. მსგავსი კანონისმიერი ჩანაწერი წესდებაში გარესამართლებრივ ურთიერთობაშიც იქნება სავალდებულო ძალის მქონე, ესეიგი მესამე პირთათვის ნამდვილი. რაც შეეხება, სხვაგვარ მოწესრიგებას ნორმათა დისპოზიციურობის ფარგლებში, კანონმდებლის მიერ მინიჭებული უფლება შეიძლება გარდაისახოს ვალდებულებაში თუ ეს უკანასკნელი წესდებით დარეგულირდება. თუ ვიმსჯელებთ კანონის მე-5 მუხლის შინაარსით, რომელიც განსაზღვრავს რეგისტრაციისათვის წარმოსადგენ მინიმალურ დოკუმენტთა ნუსხას, საიდანაც ერთ-ერთი სწორედ თითოეული პარტნიორის წერილობითი თანხმობა ან სადამფუძნებლო შეთანხებაში გაკეთებული მითითებაა ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის თანხმობის შესახებ ასეთი ფუნქციის შესრულებაზე, შესაძლოა დავასკვნათ, რომ მართალია კანონი თითოეულ პარტნიორს ანიჭებს უფლებას წარმოადგინოს საზოგადოება მესამე პირებთან ურთიერთობაში თუმცა არ ავალდებულებს მათ ამ უფლების განხორციელებას და ეს უკანასკნელი მათ თანხმობაზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, წარმომადგენლობის უფლება შეიძლება წესდებითაც შეეზღუდოს რომელიმე პარტნიორს, რაც იმთავითვე უნდა იქნეს გაწერილი წესდებაში ან მომავალში ცვლილებების შეტანის გზით[178], აღნიშნული კი გამორიცხავს კონკრეტული პარტნიორის მხრიდან წარმოდგენის უფლების განხორციელებას. მაგრამ ერთი რამ ცალსახაა, თითოეული პარტნიორია წარმომადგენლობით უფალებამო-

175 *Hamilton,* The Law of Corporations, 2003, 8-9.

176 *Cahn, Donald,* Comparative Company Law, 2018, 117.

177 *Kleinberger,* Agency, Partnerships, and LLCs", 2nd ed., 2002, 206.

178 ეს უკანასკნელი, შესაძლოა პრობლემურ საკითხად მოგვეელინოს, ვინაიდან წესდებაში ცვლილებების შეტანა ყველა პარტნიორის თანხმობას საჭიროებს.

სილების მატარებელი თუ წესდებით სხვა რამ არ იქნა გათვალისწინებული[179]. ასეთი უფლების მომავალში ჩამორთმევა, ანუ უკვე არსებული საზოგადოების საქმიანობის პერიოდში წარმომადგენლობის უფლების ჩამორთმევა სასამართლოს გზითაც შესაძლებელია, თუ პარტნიორები დაასაბუთებენ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობას, კერძოდ წარმომადგენლის მხრიდან უხეში დარღვევა, სადაც შესაძლოა შიდაორგანიზაციულ გადაცდომასთან ერთად, მისი მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედება მოვიაზროთ და მესამე პირებთან ურთიერთობაში საზოგადოების წარმომადგენლობის არასათანადო განხორციელება[180]. ცალსახად ორივე შემთხვევაში გადაცდომა შედეგობრივად საზოგადოებას უნდა აყენებდეს ზიანს, იქნება ეს ფინანსური თუ რეპუტაციული.

კანონი იმპერატიულად მოითხოვს პარტნიორებისგან მინიმუმ ერთ-ერთი მათგანის ჩაბმულობას ხელმძღვანელობით საქმიანობაში, ვინაიდან დაუშვებელია „ყველა პარტნიორის სრულად ჩამოცილება"[181]. მეტიც, ისინი ვალდებულნი არიან განახორციელონ ასეთი საქმიანობა თუ ისინი არ არიან გამოთავისუფლებულნი[182], გამოთავისუფლება კი წესდებაში, პარტნიორთა შეთანხმებაში უნდა იქნეს ასახული. აღნიშნული კიდევ ერთხელ გამოკვეთავს სპს-ს, როგორც ამხანაგური ტიპის საზოგადოების ხასიათს. როგორც უკვე ითქვა, ასეთი საზოგადოების საქმიანობაში პარტნიორების პირადი პერსონალური ღვაწლი უმნიშვნელოვანესია, ამას კი რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: მათი პირადი ქონება დაუცველია მესამე პირებისგან, ისინი არ არიან დაცულნი იმ საფარველით, რომელიც კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტის სახით არსებობს და მაშასადამე, ინტერესი დაიცვას პირადი ინტერესი და ამავდროულად, წარმატებული ბიზნესს საქმიანობა განახორციელოს, რათა არც კი დადგეს პირადი ქონებით მესამე პირთა მოთხოვნების დაკმაყოფილების საჭიროება, უზრუნველყოფილი იქნება პარტნიორის უშუალო მონაწილეობით

179 *Cahn, Donald,* Comparative Company Laws, 2018, 117.

180 შედარებისთვის იხ. გერმანული სავაჭრო კოდექსი, 125-ე პარაგრაფი.

181 საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ", 101-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

182 იქვე, პირველი პუნქტი.

მენეჯმენტში[183]. შესაბამისად, ხელმძღვანელი პარტნიორი, იდეალურ შემთხვევაში სრულად ახდენს მისი უნარებისა და შესაძლებლობების რეალიზებას საზოგადოების წარმატებული საქმიანობის მიზნისთვის ორგანულ-სამართლებრივი ხელმძღვანელობის საფუძველზე. რა თქმა უნდა სპს, როგორც დახურული ტიპის ორგანიზაცია, სადაც პარტნიორთა სტრუქტურა ძირითადად უცვლელია და ამასთან გადაწყვეტილების მიღების პროცესი კონსესუალური, პარტნიორთა ნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს,[184] ამხანაგური ტიპის საზოგადოების პერსონაფიცირების ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელიც მის მართვაში ვლინდება,[185] სადაც სულ მცირე ერთი პარტნიორი (ყველა თუ არა) მაინც არის ჩართული ხელმძღვანელობით საქმიანობაში. ეს კი, ისევ და ისევ, უკავშირდება უკვე ნახსენებ შიდა ორგანოს ანუ საკუთარი ორგანოს კონცეფციას,[186] რაც მოიაზრებს თავად წევრთა მიერვე ფორმირებულ მმართველობით ორგანოებს, ამ შემთხვევაში კი დირექტორთა ბორდს.[187] ეს გულისხმობს არა მრავალდონიან, არამედ ერთდონიან მმართველობას, არაცენტრალიზებულ მენეჯმენტს, რაც ამხანაგური ტიპის საზოგადოებას თავის მახასიათებელ თვისებას უნარჩუნებს. ამასთან, აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება კანონის მოწესრიგებას, რომელიც ცალ-ცალკე გამოყოფს ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ინდივიდუალურ მუხლებში, როგორც ზოგად ასევე კერძო ნაწილებში, რაც კონცეფტუალურად სწორ მიდგომად უნდა შეფასდეს. განსხვავებით კანონის ძველი რედაქციისა, სადაც ზოგადი ნაწილის მეცხრე მუხლი ორივე უფლებამოსილე-

---

183 *მახარობლიშვილი,* კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, 2015, 26-27.

184 *ბურდული, მახარობლიშვილი, ეგნატაშვილი, გიგუაშვილი,* თანამედროვე ქართული სამენარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები), 2016, 82.

185 *Pinto, Branson,* Understanding Corporate Law, 3rd ed., 2000, 110-111.

186 *ბერიძე, ბურდული, მახარობლიშვილი, ხარაიშვილი, სიხარულიძე, კიკუტაძე, ლობჟანიძე,* რბილი სამართლის გავლენა კორპორაციული მართვის ეფექტიანობაზე, 2018, 10-11.

187 *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 60.

ბას ერთ მუხლში მოაქცევს და ამასთანავე მიუთითებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ხელმძღვანელობით უფლებამოსილებასთან ცალსახა ჯაჭვზე. მსგავსი დათქმა მოქმედ კანონში არ არსებობს, თუმცა შესაბამისი მუხლების, ამ შემთხვევაში კი სპს-ს კერძო ნაწილის, ანალიზით შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განხორციელება ავტომატურად უნდა გულისხმობდეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებასაც, თუ წესდებით პირდაპირ არ არის შეზღუდული ეს უკანასკნელის. აღნიშნული დასკვნის საფუძველს იძლევა, კანონის მე-100 და 101-ე მუხლების ერთობლიობა, სადაც გაწერილია ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების უფლების არსებობა თითოეული პარტნიორისთვის თუ ეს წესდებით არ იქნება შეზღუდული, პარალელურად, კანონის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს, რომ მინიმუმ ერთი მაინც უნდა იყოს ჩართული ხელმძღვანელობით საქმიანობაში, მაშასადამე ის ერთადერთი პარტნიორი, რომელიც იღებს მართვაში მონაწილეობას, წარმომადგენლობითი უფლებამოსილებაც მას ავტომატურად აქვს როგორც პარტნიორს, ხოლო წესდებით რა თქმა უნდა შესაძლებელია, როგორც ამ უფლების შეზღუდვა, ამავდროულად სხვა პარტნიორსთვისაც ასეთი უფლებამოსილების მინიჭება.

რასაკვირველია, ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების აღმსრულებელი პარტნიორი ან პარტნიორები, ვერ იმოქმედებენ თვითნებურად, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და კანონი ერთგვარ პრევენციულ მექანიზმებზე მიუთითებს. პირველ რიგში იმიტომ, რომ მათ ნებისმიერ შემთხვევაში სოლიდარული პასუხისმგებლობა ეკისრებათ წარმოშობილი ვალდებულებებისათვის და წარმოუდგენელიც არის მათი პირადი ინტერესი არ მოდიოდეს საზოგადოების ინტერესთან თანხვედრაში. გარდა ამისა, კეთილსინდისიერების სტანდარტი ვრცელდება როგორც ხელმძღვანელზე,[188] ასევე წარმომად-

188 კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტი.

გენელზე[189]. „ხელმძღვანელი პირები ვალდებულნი არიან სამეწარმეო საზოგადოების საქმეებს გაუძღვნენ მართლზომიერად და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერებით, კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ანალოგიურ პირობებში უნდა ემოქმედა ხელმძღვანელს, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს ქმედება ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელია სამეწარმეო საზოგადოებისათვის". ამასთან, თუ სპს-ში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება რამდენიმე პირს აქვს მინიჭებული, „პარტნიორმა არ უნდა განახორციელოს მისი ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებიდან გამომდინარე ისეთი ქმედება, რომელსაც ეწინააღმდეგება ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე სხვა პარტნიორი". მაშასადამე, კანონმდებლის მოლოდინი ხელმძღვანელთა კოორდინირებული მუშაობა და საზოგადოების საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე გადაწყვეტილებათა მიღებაა. დასკვნისთვის, ამხანაგური ტიპის საზოგადოების ორგანიზაციული მართვა პარტნიორთა მაქსიმალურ ჩართულობას გულისხმობს მმართველობით ორგანოებში - დირექტორატსა და საერთო კრებაში, სწორედ ამგვარად მიიღწევა სწორი მენეჯმენტი - პარტნიორთა თანახელმძვანელობითა და თანამშორმლობით და ამავდროულად უფლება-მოვალეობების მკაფიო და ნათელი მოწესრიგების არსებობით საკანონმდებლო დონეზე.[190]

1.3.2. პარტნიორთა კრება

პარტნიორთა საერთო კრება უმაღლესი მმართველობითი ორგანოა, დაკომპლექტებული პარტნიორთა მიერ, სადაც თითოეულ პარტნიორს აქვს ხმის უფლება, თუ კანონით არ არის გათვალისწინებული რაიმე შეზღუდვა[191]. შეზღუდვა შესაძლოა შეეხოს იმ პარტნიორის ხმის უფლებას, რომელსაც აქვს დავა ან დებს გარიგებას საზოგადოებასთან და თემა

189 იქვე, 97-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

190 *ბურდული, მახარობლიშვილი, ეგნატაშვილი, გიგუაშვილი,* თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები), 2016, 89.

191 კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი.

სწორედ ამ საკითხს ეხება. ამ შემთხვევაში ასეთ პარტნიორს ერთმევა კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება, თუმცა აღნიშნული მხოლოდ ზემოთ ხსენებული საკითხების ფარგლებში იმოქმედებს და არა დანარჩენ საკითხებზე, რომელიც დღის წესრიგშია აღბეჭდილი.[192] პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებებს იღებს ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე საკითხებზე.[193] პარტნიორთა კრება იმ პოლიტიკის განმსაზღვრელი შიდაორგანიზაციული ორგანოა, რომლის მიხედვითაც საქმიანობს სამეწარმეო საზოგადოება და ამ პოლიტიკის შეცვლა ისევ და ისევ ამ ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზეა შესაძლებელი. ფუნდამენტურ თუ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს შესაძლოა მიეკუთვნოს, შესაბამისად, სამართლებრივი ფორმის ცვლილება[194], ბიზნესს პოლიტიკის ცვლილება, და მეორე მხრივ, სტრატეგიული თვალსაზრისით საქმიანობის სახის, მასშტაბისა და ადგილმდებარეობის განსაზღვრა. თუ რატომ საჭიროებს მსგავსი გადაწყვეტილებები პარტნიორთა საერთო კრების თანხმობას და არ კმარა დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილება, პასუხი მარტივია: პერსონაფიცირებულ საზოგადოებაში, სადაც მკვეთრი მიჯნა პარტნიორებსა და საზოგადოებას შორის, მათ ქონებას, პასუხისმგებლობას შორის არ არსებობს, გადაწყვეტილების მიღება თითოეული პარტნიორის პირადი ინტერესის საგანია და საზოგადოებისთვის არაყოველდღიურ საკითხებზე[195] გადაწყვეტილების მიღება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. საერთო კრება, შესაძლებელია განხილულ იქნეს, როგორც პირთა გაერთიანება საერთო საქმისა და მიზნის გარშემო, სადაც თითოეული პირადი ქონებრივი პასუხისმგებლობის რისკის ქვეშ დგება, როგორც ფიზიკური პირი, ამგვარად მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება ყველაზე ხელსაყრელი უნდა იყოს ისევ მათთვისვე, რათა არ გახდნენ საკუთარი ქონე-

192 იქვე, მე-100 მუხლის მე-3 პუნქტი.

193 *ლაზარაშვილი*, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 2003, 103.

194 სამართლებრივი ფორმის ცვლილებას, რეორგანიზაციას ასევე ყველა პარტნიორის თანხმობა სჭირდება სპს-ს შემთხვევაში, ამასთან გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებ შესაძლებელია წესდებით გათვალისწინებულ იქნეს კენჭისყრაშ მონაწილე ხმების სულ მცირე ¾-ის უმრავლესობით. იხ. კანონის 63-ე მუხლის პირველი პუნქტი.

195 *Pinto, Branson*, Understanding Corporate Law, 3rd ed., 2000, 112.

ბით კრედიტორთა მოთხოვნების ადრესატები. დირექტორატის მოქმედება აბსოლუტურად უნდა იყოს შესაბამისობაში პარტნიორთა საერთო კრების მიერ განსაზღვრულ პოლიტიკასთან, მის მიერ დამტკიცებულ სტრატეგიასთან.

მართალია, მოქმედი კანონმდებლობა დეტალურად არ განმარტავს სპს-ს საერთო კრების კომპეტენციაში შემავალ საკითხთა სიას, თუმცა როგორც უკვე ითქვა კრების მთავარი კომპეტენციაა სტრატეგიული და ფუნდამენტური გადაწყვეტილებების მიღება. ამავდროულად, კანონი პირდაპირ მოითხოვს ყველა პარტნიორის თანხმობას ისეთ საკითხებზე, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს. მიუხედავად იმისა რომ კერძო სამართლის იურიდიული პირი სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის საფუძველზე ზოგადი უფლებაუნარიანობის მატარებელი სუბიექტია, რაც ნიშნავს საზოგადოების მიერ ნებისმიერი სახის საქმიანობის წარმოებას, ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას მესამე პირებთან ურთიერთობაში, ხოლო შიდაორგანიზაციული თვალსაზრისით და ფარგლებში, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა პარტნიორებს შორის ურთიერთობების დასარეგულირებლად პარტნიორთა შეთანხმებაზეა გადასული, პასუხისმგებლობის დაკისრების რეალური საფუძველი შესაძლოა შეიქმნას, თუ კი საზოგადოების მხრიდან გარიგება არაყოველდღიურ, არაჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში დაიდება. კანონონმდებლის პირდაპირი, იმპერატიული მოთხოვნაა ყველა სამართლებრივი ფორმისთვის წესდებაში საქმიანობის საგნის მითითება, რომელიც შესაძლოა იყოს როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტული[196]. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, კანონი იცნობს ჩვეულებრივ საქმიანობას, რომელიც შესაძლოა პარტნიორთა საერთო კრების თანხმობის გარეშე განხორციელდეს, მაგრამ ყველა საქმიანობა რომელიც სცილდება „ჩვეულებრივს", მაშასადამე შესაძლოა დაკვალიფიცირდეს როგორც არაჩვეულებრივი, აუცილებლად ექვემდებარება პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებას.[197] მაგალითისთვის, თუ სამეწარმეო საზოგა-

196 კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

197 იქვე, მე-100 მუხლის პირველი პუნქტი.

დოებას საქმიანობის საგნად განსაზღვრული აქვს რძის პროდუქტების წარმოება, ჩვეულებრივი საქმიანობის კალათაში მოხვდება, როგორც სხვადასხვა სახის რძის პროდუქტების წარმოება, ასევე მათი რეალიზაცია, დისტრიბუცია, ნებართვებისა და ლიცენზიების მოპოვება და ყველა სხვა საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ძირითადი საქმიანობის საგნის განხორციელებასთან. ამავე მაგალითისთვის, არაჩვეულებრივ საქმიანობათა სიაში შესაძლოა გავიყვანოთ, აშკარად განსხვავებული პროდუქტის წარმოება, საზოგადოების მხრიდან ისეთი ვალდებულებების აღება, რომელიც ცალსახად არ წარმოადგენს დამატებით ეკონომიკურ საქმიანობას, რაც ხელს უნდა უწყობდეს ძირითადი საქმიანობის საგნის განხორციელებას და შედეგობრივად შესაძლოა ზიანის მომტანიც იყოს საზოგადოებისთვის ან უბრალოდ არასასურველი. მაშასადამე, არაჩვეულებრივი საქმიანობა, თავსდება ზოგადი უფლებაუნარიაობის ფარგლებში, მაგრამ სცდება წესდებით განსაზღვრულ საზღვრებს.[198] წესდებაში საქმიანობის საგნის განსაზღვრა არ გულისხმობს ზოგადი უფლებაუნარიანობის შეზღუდვის მცდელობას, არამედ ის მიმართულია დაიცვას მესამე პირთა ინტერესი, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობაში შევა საზოგადოებასთან, მიუხედავად იმისა პარტნიორთა საერთო კრების თანხმობა კონკრეტულ მოქმედებასთან (გარიგებასთან) დაკავშირებით არსებობს თუ არა. ეს უკანასკნელი მესამე პირისთვის, გარესამართლებრივი ურთიერთობისთვის სამართლებრივი ძალის მქონე ვერ იქნება, ვინაიდან შიდაორგანიზაციული ხარვეზია სახეზე, რომელიც გამოწვეულ იქნა საზოგადოების კონკრეტული წევრის მხრიდან ფიდუციური მოვალეობების სტანდარტის დარღვევით. პარტნიორთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება, და ამ კონკრეტულ შემთხვევაში წესდების შინაარსზე ყურადღების გამახვილებით, შესარულებლად სავალდებულოა პარტნიორებისთვის და სამეწარმეო საზოგადოების ორგანოებისთვის[199],

198 *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე,* სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფუნქციონალიზაცია ქართულ საკორპორაციო სამართლის სისტემაში, იურიდიულ ხელნაწერთა სერიიდან საკორპორაციო სამართალში, 2020, 55-58.

199 კანონის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

მაგრამ არა მესამე პირებისთვის. თუმცა არც ეს უკანასკნელი ვითარებაა უიმედო, ვინაიდან შესაძლებელია პარტნიორთა კრების მიერ შემდგომი მოწონების, ანუ უკვე არსებული გარიგების ნამდვილობისთვის თანხმობის მოპოვება, რა თქმა უნდა, გონივრულობის ფარგლებში, საკმარისი ინფორმაციისა და დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე, რაც ავტომატურად გულისხმობს კონკრეტული ორგანოების მიმართ (მაგალითად, დირექტორატის მიმართ) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმას[200].

რაც შეეხება გადაწყვეტილებათა მეორე კატეგორიას, რომელიც ფუნდამენტურ გადაწყვეტილებათა ტერმინში მოექცა, აქ ცალსახად უნდა მოიაზრებოდეს ისეთი ძირეული ცვლილებები, რომელიც საზოგადოების მთლიან არსს, საქმიანობას ცვლის/წყვეტს, სამართლებრივი ფორმის ცვლილებაც მათ შორის მოიაზრება ან შესაძლოა, პოტენციურად, საფრთხის შემქმნელი, სარისკო გადაწყვეტილება იყოს, როგორიცაა მასიურ ვალდებულებათა აღება, ფილიალების გახსნა, საზოგადოების ქონების გასხვისება და სხვა. ბუნებრივია, მსგავსი გადაწყვეტილების მიღებაც უმაღლესს მმართველობით ორგანოს კომპეტენციაში შედის და ამისთვის, როგორც წესი, აუცილებელია ყველა პარტნიორის თანხმობა, თუ საზოგადოების წესდება განსხვავებულ კვორუმს არ ითვალისწინებს, განსხვავებული მოწესრიგების წესდებაში ასახვას (ცვლილების შეტანას) კი ყველა პარტნიორის თანხმობა სჭირდება.[201]

ა.) გადაწყვეტილებათა მიღების (როგორც წესი) ერთხმოვანების პრინციპი

გარდა პარტნიორთა საერთო კრების კომპეტენციის განსაზღვრისა, მნიშვნელოვანი საკითხია გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურა, ვინაიდან არასწორი შემადგენლობით, ხმათა რაოდენობით ან კვორუმის არ არსებობით,

---

200 იქვე, მე-5 პუნქტი.

201 *ბურდული, მახარობლიშვილი, მალრაძე,* სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფუნქციონალიზაცია ქართულ საკორპორაციო სამართლის სისტემაში, იურიდიულ ხელნაწერთა სერიიდან საკორპორაციო სამართალში, 2020, 58.

შესაძლოა საფრთხე შეექმნას პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების ნამდვილობის საკითხს და მეტიც ის ბათილად, სამართლებრივი ძალის არ მქონედ იქნეს მიჩნეული. აქედან გამომდინარე, პირველ რიგში უნდა განისაზღვროს თუ რა წესს ექვემდებარება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ე.ი. ხმათა რა რაოდენობაა საჭირო იმისთვის, რომ კონკრეტულ საკითხზე გადაწვეტილების მიღება გახდეს შესაძლებელი და არ გაჩნდეს საფუძველი ამ გადაწყვეტილების ბათილობისა.

ზოგადად დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ ამხანაგური ტიპის საზოგადოებები, ერთსულოვნების, ერთხმოვანების პრინციპს ეფუძნება,[202] შესამაბისად გადაწყვეტილების მიღება პარტნიორთა შორის სრული კონსესუსით უნდა მოხდეს, რაც პერსონაფიცირებული ტიპის საზოგადოებისთვის ცალსახად დამახასიათებელი ნაკვთია.[203] მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონიც იზიარებს ამ მოსაზრებას, რომლის პირდაპირი გამოვლინებაა კანონის 95-ე მუხლი: "წესდების შეცვლა შეიძლება მხოლოდ ყველა პარტნიორის თანხმობით (კონსენსუსის პრინციპი)...". იქიდან გამომდინარე, რომ წესდება შიდაორგანიზაციული დოკუმენტია და მისი შესრულება სავალდებულოა გაერთიანების ყველა წევრისთვის - პარტნიორსთვის, გასაგებიც არის თუ რატომ უნდა შეთახხმდეს მასში ცვლილებების შეტანა ყველა პარტნიორთან თანაც კონსესუსით, ვინაიდან ცვლილება პირდაპირ გავლენას ახდენს თითოეულ ხელმომწერ მხარეზე. თუმცაღა, კანონი ინარჩუნებს რა დისპოზიციურ ხასიათს, სთავაზობს მხარეებს წესდებით სხვაგვარი რეგულაცია დააწესონ, მაშასადამე, კონსენსუსის პრინციპი შეიცვალოს, მაგალითად, სრული ან უბრალო უმრავლესობის თანხმობით. მეორე საკითხია, რამდენად გამართლებულია კანონით დადგენილი ზღვრის დაწევა ე.წ. საკანონმდებლო მინიმუმის ინსტიტუტის გათვალისწინებით, თუმცა ვფიქრობ, მსგავსი ცვლილება მაინც არ უნდა იყოს კა-

---

202 *მახარობლიშვილი*, კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, 2015, 29-31.

203 *ბურდული, მახარობლიშვილი, ეგნატაშვილი, გიგუაშვილი*, თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები), 2016, 90.

ნონსანინააღმდეგო შეთანხმება წესდების ფარგლებში. მით უფრო, რომ კანონი განსაკუთრებულ რეჟიმს ითვალისწინებს პარტნიორთა კრების მიერ თანამდებობის პირების და ორგანოების არჩევისას და ამ შემთხვევაში პირდაპირ მიუთითებს ხმათა უფრო მცირე რაოდენობის გათვალისწინების შესაძლებლობას, ვიდრე ეს კანონით არის დადგენილი[204].

წესდებაში ცვლილების შეტანა, არსებითი მნიშვნელობის კატეგორიას განეკუთვნება, შესაბამისად, კანონის დათქმა „ყველა პარტნიორის თანხმობა" ადეკვატურია. რაც შეეხება, ზოგადად გადაწყვეტილების მიღებას, თუ კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული სხვა ზღვარი, უფრო დიდი უმრავლესობა ან სხვა დამატებითი პირობები, მაგალითად როგორც ზემოთ ხსენებულ წესდებაში ცვლილების შეტანის გადაწყვეტილებას ეხებოდა, კრება გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით.

გარდა წესდებაში ცვლილების შეტანისა, დღის წესრიგში შესაძლოა დადგეს მთელი რიგი საკითხები, რომელზეც გადაწყვეტილების მიღება პარტნიორთა საერთო კრებას მოუწევს. მათ შორისაა ფუნდამენტური და სტრატეგიული გადაწყვეტილებები, რომელიც წინა თავებში იქნა დეტალურად განხილული, თუმცა რა პროპორციის, ხარისხისა თუ რაოდენობის ხმათა ერთობლიობაა საჭიროა მსგავსი გადაწყვეტილებების მისაღებად, ამაზე მე-100 მუხლის პირველი პუნქტი აკეთებს დათქმას. კერძოდ, თუ კრებაზე მისაღები გადაწყვეტილება შეეხება სპს-ს საქმიანობის საგნის ცვლილებას[205] ან სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს, ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად „აუცილებელია ყველა პარტნიორის თანხმობა,...".[206] ყველა პარტნიორის თანხმობაზე კანონი

---

204 კანონის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

205 საქმიანობის საგნის ცვლილება მოითხოვს შესაბამისი დათქმის გაკეთებას წესდებაში, ამას ადასტურებს ასევე კანონის ზოგადი ნაწილის ნორმა სამენარმეო საზოგადოების წესდების სავალდებულო რეკვიზიტებთან დაკავშირებით. შესაბამისად, საუბარია უკვე არსებულ წესდებაში ცვლილების შეტანაზე, რაც ასევე, კანონის 95-ე მუხლის მიხედვით საჭიროებს ყველა პარტნიორის თანხმობას.

206 აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ყველა პარტნიორს აქვს თითო ხმის უფლება, მიუხედავად მათი წილობრივი მონაწილეობისა სამენარმეო საზოგადოებაში. იხ. *ჭანტურია, ნინიძე,* მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოც., 2002, 234.

რამდენიმე ნაწილში ამახვილებს ყურადღებას, ამიტომ აუცილებელია მცირედი კომენტარის გაკეთება თუ რა მოიაზრება „ყველა პარტნიორში"- ნიშნავს ეს აბსოლუტურად ყველა წევრი-პარტნიორის ხმას, თუ საუბარია კრებაზე დამსწრე პარტნიორთა კონსესუალურ გადაწყვეტილებაზე. საქმე იმაშია, რომ სპს-ს, როგორც დახურული ტიპის საზოგადოება, სადაც პარტნიორთა რაოდენობა როგორც წესი, მცირეა და მათ შორის ურთიერთობები განსაკუთრებულ ნდობაზეა დაფუძნებული,[207] ხოლო ხშირ შემთხვევაში მათ (პარტნიორები) ერთმანეთთან აკავშირებთ ნათესაური ან პირადი ურთიერთობები, სადაც პირადი ქონება პარტნიორისა პირდაპირ ებმის სამეწარმეო საზოგადოების აქტივებს, ცალსახად უნდა ვივარაუდოთ, რომ კანონმდებელი ყველა პარტნიორის თანხმობას გულისხმობს, ვისაც კი საზოგადოებაში აქვს წილი და ხმის უფლება. სპს-სთვის გადაწყვეტილების მიღების კონსესუალური პრინციპი მისსავე არსს წარმოაჩენს, სადაც პირები ერთიანი სახელით, ერთი მიზნითა და საკუთარი პირადი აქტივით ერთიანდებიან სამეწარმეო საზოგადოების სამართლებრივ ფორმაში, სადაც თითოეული პარტნიორის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გარანტირებულია კანონის დონეზე, თუ რა თქმა უნდა პირდაპირ არ არის რაიმე შეზღუდვა გათვალისწინებული ისევ და ისევ პარტნიორთა შეთანხმებისამებრ, მაშასადამე, აქედან ნათლად წარმოჩინდება თითოეული პარტნიორის ინტერესი პირადად იყოს ჩართული მმართველობით საქმიანობაში და შესაბამისად გადაწყვეტილების მიღების პროცესში. განსაკუთრებით კი, როდესაც საქმე ეხება არსებითი მნიშვნელობის საკითხებს, რომელმაც გავლენა შესაძლოა იქონიოს სრულიად საზოგადოებაზე, მის საქმიანობაზე, რენტაბელურობაზე, პარტნიორთა უფლებებზე და სხვა. გარდა ამისა, კანონი იმპერატიულად რთავს პარტნიორს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მეტიც, აუცილებლად მიიჩნევს ასეთი პარტნიორის თანხმობის არსებობას, თუკი გადაწყვეტილება ამ კონკრეტულ პარტნიორს აყენებს არათანაბარ მდგომარე-

207 იქვე, 233.

ობაში[208].

მიუხედავად ყოველივე ზემოხსენებულისა, შესაძლებელია კრებაზე სრული შემადგენლობა ვერ/არ გამოცხადდეს, ამან კი არ უნდა შეაფერხოს სამეწარმეო საზოგადოების ფუნქციონირება, მითუმეტეს როდესაც საუბარი ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღებაზეა, რომლისთვისაც კანონმდებელი ყველა პარტნიორის თანხმობას მოითხოვს.[209] აქედან გამომდინარე, საუბარი უნდა იყოს კრებაზე დამსწრე, გამოცხადებულ პარტნიორთა აბსოლუტურ უმრავლესობაზე გადაწყვეტილებაუნარიანობის ფარგლებში. თუმცა, ყველა პარტნიორის თანხმობა, ანუ მათი ვინც პარტნიორთა საერთო კრებას ესწრება, შესაძლოა არ იყოს საკმარისი საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. ეს უკანასკნელი კი კრების გადაწყვეტილებაუნარიანობის საკითხს უკავშირდება, რომელზეც მომდევნო თავში იქნება საუბარი.

მანამდე აუცილებლად უნდა იქნეს განხილული, თუ ხმების რა რაოდენობაა საჭირო სპს-ში ისეთი გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც ჯდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, ანუ საკითხები, რომელიც საზოგადოების ყოველდღიურობას წარმოადგენს მისი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში. საქმე იმაშია, რომ ამგვარი საკითხები, რომელიც ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებშია, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებას საერთოდ არ საჭიროებს. ამ შემთხვევაში დირექტორს (დირექტორატს) თავად აქვს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება დამოუკიდებლად პარტნიორთა თანხმობის გარეშე, თუმცა, რა თქმა უნდა, კეთილსინდისიერების მოვალეობის[210] დაცვით.

ბ.) გადაწყვეტილებაუნარიანობა

პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებაუნაიანობის საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა. ნებისმიერი მორიგი თუ რიგგარეშე კრების დროს, პირველ რიგში რაც უნდა დადგინდეს, ეს არის კრების გადაწყვეტილებაუნარიანო-

208 კანონის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტი.

209 იქვე, პირველი პუნქტი, 95-ე მუხლი (კონსენსუსის პრინციპი).

210 იქვე, 50-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ბა - ე.ი. საერთო კრების უფლება მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც სამართლებრივი ძალის მქონე და ცვლილებების განხორციელების საფუძველი იქნება, რომელიც შედეგობრივად იქნება საერთო კრების შეკრების მიზნის, დღის წესრიგის საკითხების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების რეალური გარანტია. ამისთვის კი გადაწყვეტლებაუნარიანობის დადგენა მთავარი პირობაა, მაშასადამე, აუცილებელია დადგინდეს კვორუმი.

მოქმედი კანონმდებლობა ზოგად ნაწილში ამახვილებს ყურადღებას გადაწყვეტილებაუნარიანობის თემაზე, რომელიც საერთოა ყველა სამართლებრივი ფორმისთვის, გარკვეული მცირედი გამონაკლისების გარდა. კერძოდ, პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანი, თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე პარტნიორთა უმრავლესობა. სოლიდარული პასუხისმგებლობს საზოგადოების პარტნიორთა კრებას გადაწყვეტილების მიღების უფლება ექნება მხოლოდ მაშინ, თუ კრებაზე გამოცხადდება პარტნიორთა უმრავლესობა, რასაკვირველია, სპს-ს ყველა პარტნიორს აქვს თითო ხმა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული[211] და ხმათა რაოდენობა კრებაზე დგინდება პარტნიორთა რაოდენობის მიხედვით[212]. მას შემდეგ რაც დადგინდება კრების გადაწყვეტილებაუნარიანობა, შესაძლებელი იქნება დღის წესრიგში შემავალ საკითხებს ეყაროს კენჭი, წინაალმდეგ შემთხვევაში, ანუ თუ გადაწყვეტილებაუნარიანობა კრებისა არ დადასტურდა, კრების მომწვევს შეუძლია ხელახლა მოიწვიოს კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება მასზე წარმოდგენილი პარტნიორების რაოდენობის მიუხედავად. მნიშვნელოვანი პირობა, კრების ხელახლა მოწვევისთვის, არის დღის წესრიგის უცვლელობა, ე.ი. იმისთვის, რომ ხელახლა მოწვეული კრება, მასზე წარმოდგენილი პარტნიორების და მიუხედავად ჩაითვალოს გადაწყვეტილებაუნარიანად, აუცილებელია იგივე წესით მოხდეს განმეორებითი კრების მოწვევა და აუცილებლად იმავე დღის წესრიგით. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დღის წესრიგს დაემატება ან ამოაკლდება

211 იქვე, 99-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
212 იქვე, 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ერთ-ერთი საკითხი მაინც, ითვლება რომ მოიწვევა რიგგარეშე კრება, რომლის გადაწყვეტილებაუნარიანობა განისაზღვრება პარტნიორთა უმრავლესობის დასწრებით.

გ.) კრების მოწვევისა და ჩატარების წესი

უმაღლესი მმართველობითი ორგანოს - პარტნიორთა საერთო კრების კვორუმის დადგენის და ხმათა რაოდენობის გამოთვლის გარდა, უმნიშვნელოვანესი საკითხია ამ პროცესის - გადაწყვეტილების მიღების ფორმალური და შინაარსობრივი ნაწილის განსაზღვრაც. განსხვავებით წინა რედაქციისა, დღეს მოქმედი კანონი ცდილობს ამომწურავად განსაზღვროს აღნიშნული საკითხები, რაც დაკავშირებულია კრების მოწვევის, ჩატარების და კრების ოქმის შედგენასთან.

დასაწყისისთვის უნდა აღინიშნოს, რომ პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა უნდა მოხდეს სულ მცირე წელიწადში ერთხელ წლიური ბალანსის შედგენიდან არაუგვიანეს 7 თვისა[213]. ამ შემთხვევაში საუბარია მორიგ კრებაზე, რომელიც კანონით განსაზღვრულია და აუცილებლად უნდა ჩატარდეს, რათა შესრულდეს კანონმდებლის მინიმალური მოთხოვნა და შეჯამდეს წლის განმავლობაში საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები საერთო კრების მიერ, რაც არის კიდეც რეგულაციის მიზანი. ამის ორგანიზება პირდაპირ ვალდებულებას წარმოადგენს ხელმძღვანელი პირისა/ორგანოს, განსხვავებით რიგგარეშე კრებისა, რომელზეც ახლა იქნება მსჯელობა.

განსსხვავებული მოვლენაა რიგგარეშე კრება, რომელიც საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების, უეცრად წამოჭრილი საკითხების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას ემსახურება და შეიძლება მოწვეულ იქნეს ნებისმიერ დროს, პარტნიორთა ან ხელმძღვანელ პირთა მხრიდან ისე, რომ არ არის საჭირო მორიგი კრების ჩატარების ვადის დადგომა. ორივე შემთხვევაში გადაწყვეტილებაუნარიანობის საკითხი იდენტურად განისაზღვრება მორიგი და რიგგარეშე კრებისთვის. ამასთან საყურადღებოა, რომ რიგგარეშე კრებაც შესაძლოა მოიწვიოს მომწვევმა ხელმეორედ, თუ პირველ მოწვევაზე კვორუმი ვერ შედგა. ამ უკანასკნელ შემთხვევა-

213 იქვე, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

შიც, რიგგარეშე კრების ხელახალი კრება იქნება გადაწყვეტილებაუნარიანი პარტნიორთა რაოდენობის მიუხედავად.

უშუალოდ კრების მოწვევის პროცედურა კი სპს-ს კერძო ნაწილშია მოქცეული. მოქმედი კანონმდებლობით ნებისმიერი პარტნიორია უფლებამოსილი მოიწვიოს კრება ერთკვირიანი ვადის დაცვით, მაგრამ აუცილებელია მოწვევის გაგზავნა დაზღვეული წერილის ან ელექტრონული ფოსტით, ორივე შემთხვევაში მოწვევის ჩაბარების დასტურის მიღება უნდა იყოს შესაძლებელი, ხოლო მოწვევა მიღებულად უნდა ჩაითვალოს თუ ის გაგზავნილია პარტნიორის მიერ გაცხადებულ ელექტრონულ ან ფიზიკურ მისამართზე. გარდა ამისა, ყურადღება მისაქცევია მოწვევის შინაარსზე, სადაც უნდა მიეთითოს კრების დღის წესრიგის პროექტი. ამ შემთხვევაში, კანონმდებლის მხრიდან „პროექტის" აღნიშვნა შეცდომაა არ არის, ვინაიდან პარტნიორებს მოსაწვევის მიღებიდან 3 დღის განმავლობაში უფლება ეძლევათ დამატებები შეიტანონ დღის წესრიგში, იქნება ეს დამატებითი საკითხის ჩამატება, თუ უკვე არსებული საკითხის ირგვლივ დაზუსტებების შეტანა, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს.[214] შესაბამისად, პარტნიორთა კრების დღის წესრიგის საბოლოო სახე უშუალოდ კრებაზე გახდება ცხადი.

მოწვევის პროცედურის, ისევე როგორც კენჭისყრის წარმართვის, კრების თავმჯდომარის არჩევის წესის დაცვა მნიშვნელოვანი გარემოებაა, რათა არ გაჩნდეს გადაწყვეტილების შეცილების/ბათილობის სამართლებრივი საფუძველი. მართალია არსებობს გამონაკლისი შემთხვევაც, როდესაც პარტნიორთა საერთო კრების მოწვევის კანონით ან/და წესდებით გათვალისწინებული პროცედურა ირღვევა, რაც ბათილობის საფუძველია, მიუხედავად ამისა თუ ყველა პარტნიორი ესწრება კრებას და ისინი თანხმობას განაცხადებენ კრების ჩატარებასა და გადაწყვეტილების მიღებაზე, მიუხედავად პროცედურული გადაცდომებისა, კრება ჩაითვლება გადაწყვეტილებაუნარიანად. ამ ვითარებაში, პარტნიორის მხრიდან აშკარად უნდა იქნეს გაცხადებული მოთხოვნა კრების სხვა დროს გამართვის შესახებ მოწვევის პროცედურის

214 იქვე, 99-ე მუხლი.

დარღვევის საფუძვლით, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ პარტნიორი თანახმაა ჩატარდეს კრება. ორგანიზაციულ მხარეზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწვევ პირს ან ორგანოს, თუ წესდებით არ არის გათვალისწინებული კონკრეტული პირი ან ორგანო, რომლის კომპეტენციაშიც შევა პარტნიორთა კრების სათანადოდ მოწვევა და ჩატარება.[215] ერთ შემთხვევაში მორიგ კრებაზე პასუხისმგებელი, კანონის ძალით, არის ხელმძღვანელი პირი/ორგანო, ხოლო რიგგარეშე კრებაზე ორგანიზაციული კუთხით პასუხისმგებლობა უშუალოდ იმ პირს ეკისრება, რომელიც როგორც უკვე აღინიშნა, შეიძლება იყოს ნებისმიერი პარტნიორი, თუმცა ასევე ხელმძღვანელი პირი, თუ კი იგი ჩათვლის კრების მოწვევის აუცილებლობის არსებობას, კეთილსინდისიერების მოვალეობიდან გამომდინარე ის ასეც უნდა მოიქცეს.

პარტნიორთა კრების ოქმის მარეგულირებელი ნორმა სიახლეა კანონმდებლობაში. აქ დეტალურად განისაზღვრა ოქმის შინაარსობრივი მხარე[216] და მათ შორის შემდგენი პირის ვინაობა, რომელიც ამავდროულად დაამოწმებს ხმათა უმრავლესობით არჩეული კრების თავმჯდომარის[217] ოქმზე ხელმოწერას. ეს ყოველივე კი ნოტარიულად უნდა მოხდეს, რათა მას ჰქონდეს იურიდიული ძალა და შესაძლებელი გახდეს მიღებული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

დ.) მოკლედ პარტნიორთა საერთო კრების შეცილება/ბათილობის საკითხისთვის

პარტნიორთა საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილობა/საცილოობის საკითხი ძალიან საინტერესო ნაწილია საკორპორაციო სამართალში. მოქმედი კანონი პირდაპირ მითითებას შეიცავს[218] კონკრეტულად ამხანაგური ტიპის საზოგადოებებში - სპს-სა და კს-ში პარტნიორთა საერ-

215 იქვე, 36-ე მუხლის მე-6, მე-7 პუნქტი.
216 იქვე, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტი.
217 იქვე, 99-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
218 იქვე, 95-ე მუხლი.

თო კრების[219] გადაწყვეტილების ბათილობის და საცილოობის შესახებ. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საცილოობის საფუძველი შეიძლება იყოს თუ ის არღვევს კანონმდებლობის ან წესდების მოთხოვნებს. ამ შემთხვევაში წესდების ნორმების არღვევა ცალსახად ცხადია, მიღებული გადაწყვეტილება უნდა ემორჩილებოდეს იმ კანონზომიერებას, რაც წესდებით პარტნიორებს აქვთ დადგენილი. რაც შეეხება კანონდებლობის დარღვევას, აქ მოიაზრება არა მხოლოდ კანონი მეწარმეთა შესახებ, არამედ სხვა, მასთან დაკავშირებული კანონებიც, უპირველეს ყოვლისა საუბარია სამოქალაქო კოდექსზე. სამოქალაქო კოდექსის დანაწესები, გარიგებების ნაწილში მიუთითებს რამდენიმე კონკრეტულ საფუძველს გარიგების ბათილობისა და საცილოობის მიზნისთვის. რატომ გარიგებების ნაწილი?! ვინაიდან, „დამკვიდრებული აზრით, კრების გადაწყვეტილება ნამდვილად წარმოადგენს მრავალმხრივი გარიგების სახეს, რაზეც არა ერთი მსჯელობა შეიძლება მოიძებნოს როგორც იურიდიულ ლიტერატურაში, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებაში.[220] თუმცა, შესაძლოა არც იყოს ეს დასათანხმებელი: პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება ვერ ჩაითვლება სტანდარტულ გარიგებად, ვინაიდან იგი თავისი არსით შიდაორგანიზაციულ აქტს წარმოადგენს და ემსახურება კორპორაციის ფუნქციონირებას. ყველა სხვა მახასიათებლებით, შეიძლება ითქვას, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება ჰგავს ჩვეულებრივ კერძოსამართლებრივ გარიგებას".[221] შესაბამისად, კრების გადაწყვეტილების, როგორც მრავალმხრივი გარიგების საცილოობა შეიძლება დადგეს მოტყუების - მაშასადამე, ინფორმაციის არასრულად მიწოდების ან შეგნებულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებით და მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება გახდეს საცილო,

219 მათ შორის, სხვა ორგანოების (სამეთვალყურეო საბჭო, ხელმძღვანელი ორგანო) მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესს.

220 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: №ას-1151-1071-2017; №ას-839-805-2016; №ას-128-120-2015.

221 *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 189.

იძულებით დადებული გარიგება[222] - საუბარია პარტნიორის ნების საწინააღმდეგო მოქმედებაზე, მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გადაწყვეტილება, რასაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი ითვალისწინებს და რაც გულისხმობს დადგენილი წესებისა და აკრძალვების, საჯარო წესრიგისა და ზნეობრივი ნორმების საწინააღმდეგო შინაარსის მქონე დოკუმენტის ბათილობას. ყველა შემთხვევაში გადაწყვეტილების საცილოობის საკითხი ცალსახაა, თუმცა ეს არ ნიშნავს გადაწყვეტილების ბათილობას. მოგეხსენებათ, შეცილების საფუძვლის არსებობის შემთხვევაში მხარეებს, კანონი შეცილების უფლებას განუსაზღვრავს, რაც რეალიზებულ უნდა იქნეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით და მხოლოდ სასამართლო ხელისუფალია უფლებამოსილი პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება ცნოს ბათილად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დარღვევა არაარსებითია. არაარსებითად კი, შეიძლება ჩაითვალოს დარღვევა, რომელიც რეალურ ზემოქმედებას გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და შინაარსზე ვერ მოახდენდა. სპეციალური კანონი შეცილების უფლებას ანიჭებს კრებაში მონაწილე პარტნიორებს, რომელთაც კონკრეტული გადაწყვეტილების წინააღმდეგ მისცეს ხმა; პარტნიორს, რომელსაც სათანადო სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე ეთქვა უარი კრებაზე დაშვებაზე, ან ნებისმიერ პარტნიორს, თუკი კრება წესების დარღვევით იქნა მოწველი, ან/და საკითხი, რომელზეც კრებამ მიიღო გადაწყვეტილება არ იყო დღის წესრიგში შეტანილი; და ბოლოს, შეცილების უფლება აქვს ხელმძღვანელ ორგანოს, მათ შორის და მით უფრო მაშინ, როდესაც გადაწყვეტილება მას აკისრებს ვალდებულებას ან უზღუდავს უფლებას.[223]

ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს რა ვადებში შეიძლება გადაწყვეტილება გახდეს საცილო ან ბათილი? ეს ის შემთხვევაა, როდესაც შეუძლებელია ანალოგიის გამოყენება, ვინაიდან აღნიშნული სამეწარმეო საზოგადოების შიდა

---

222 სკ-ის 85-ე მუხლი.

223 *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 189-196.

სტრუქტურულ-ორგანიზაციული საკითხია და მასზე სპეციალური ვადები უნდა გავრცელდეს. „მეწარმეთა შესახებ" კანონის 93-ე მუხლი, პარტნიორთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების შეცილებისთვის ერთთვიან ვადას განსაზღვრავს, რომელიც აითვლება იმ მომენტიდან, როდესაც შეცილების უფლების მქონე პირმა გაიგო ან უნდა გაეგო[224] ასეთი გადაწყვეტილების მიღების შესახებ, მაგრამ არა უგვიანეს 7 თვისა. ხოლო თუ კრება მოწვეულ ან ჩატარებულ იქნა კანონის ან წესდების ნორმათა უხეში დარღვევით ამ შემთხვევაში გასაჩივრების ვადა ერთი წელია.[225]

1.4. პარტნიორთა უფლება-მოვალეობები

1.4.1. პარტნიორი, როგორც შიდასამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი

სამეწარმეო საზოგადოების შიდასამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბებაში პარტნიორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. შიდასამართლებრივ ურთიერთობაში საზოგადოების ორგანიზაციული მოწყობის, მართვისა და კონტროლის, კაპიტალიზაციის, პარტნიორთა პასუხისმგებლობის, მათი უფლება-მოვალეობის ფარგლები განისაზღვრება.[226] აღნიშნული საკორპორაციო სამართლის დისპოზიციურობის პრინციპით რეალიზდება და საწესდებო ავტონომიის, სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში ხორციელდება. სადამფუძნებლო შეთანხმება სამეწარმეო საზოგადოებასა და მის პარტნიორს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველია,[227] მეორე მხრივ კი — შიდასამართლებრივი ურ-

224 იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების ან ინფორმაციის დამალვა მოხდა შეცილების უფლების მქონე პირისთვის, ერთწლიანი შეცილების ვადის ათვლა დაიწყება იმ მომენტიდან, როცა უფლებამოსილი პირისთვის ცნობილი გახდა ასეთი გადაწყვეტილების შესახებ.

225 კანონის 93-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

226 *ბურდული, მაღრაძე, მახარობლიშვილი,* სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფუნქციონალიზაცია ქართული საკორპორაციო სამართლის სისტემაში, 2020, 28. *ლაზარაშვილი,* სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 2003, 93-94.

227 *ჭანტურია,* საწესდებო სანესდებო ავტონომია საკორპორაციო სამართალში, კრებულში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები,

თიერთობის ინდივიდუალური მონესრიგების ინსტრუმენტი. პერსონაფიცირებულ საზოგადოებათა საბაზისო ფორმას სამოქალაქო ამხანაგობა წარმოადგენს[228] და აქედან გამომდინარე, ამხანაგური ტიპის საზოგადოებებში[229] პარტნიორთა ურთიერთკავშირი სამოქალაქო ამხანაგობის წევრთა შიდასამართლებრივ ურთიერთობას ჰგავს. ვინაიდან, ამხანაგური ტიპის საზოგადოებებში არ ხდება საკუთრებისა და კონტროლის სტრუქტურული გამიჯვნა[230], პარტნიორები ერთობლივი მიზნის განსახორციელებლად მოქმედებენ კონსენსუსის პრინციპზე დაყრდნობით[231], როგორც საზოგადოების, ისევე ერთმანეთის წარმომადგენლები.[232]

პარტნიორისა და თანაპარტნიორის ცნების კანონისმიერი განმარტება, სისტემური თვალსაზრისით, კანონის ზოგად ნაწილშია მოქცეული[233]. ტერმინი „პარტნიორი" გამოიყენება როგორც „წევრის" (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართალში), „აქციონერის" (სააქციო საზოგადოების სამართალში), „მეპაიეს" (კოოპერატივის ორგანიზაციულსამართლებრივ ფორმაში) სინონიმური შესატყვისი. სამეწარმეო საზოგადოებაში პარტნიორის სტატუსი მოიპოვება წილზე საკუთრების უფლების წარმოშობით. კანონიც

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2011, 560-570. *Kershaw*, Company Law in Context, Text and Materials (2012), 85-89. *Fletcher*, Fletcher Cyclopedia of the Law of Corporations, *Jones (ed.)*, Vol. 11 (2011), 35-37.

228 *კროპპოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, დარჯანია/ჭეჭელაშვილი(მთარგ.),2014,§705,ველი 1,548.მაგალითად,გერმანულ სავაჭრო სამართალში სპს-ის მსგავსი ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმა ღია სავაჭრო საზოგადოებაა, რომელიც რეგულირდება სამოქალაქო ამხანაგობათა მომწესრიგებელი ნორმებითაც, თუკი განსხვავებულ მოწესრიგებას არ ითვალისწინებს სავაჭრო კოდექსი, §105 Abs. 3 HGB.

229 იგულისხმება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) და კომანდიტური საზოგადოება (კს).

230პარტნიორებისმენეჯმენტისგანგამიჯვნა,ცენტრალიზებულიმენეჯმენტის გამო, უფრო სახასიათოა კაპიტალური ტიპის საზოგადოებებისათვის, *მახარობლიშვილი*, კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, 2015, 68-76.

231 ამგვარ პრინციპს ითვალისწინებს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მომწესრიგებელი ნორმები იმ არსებითი მნიშვნელობის გადაწყვეტილებებზე, რომელიც საზოგადოების წესდების შეცვლას უკავშირდება, კანონის 95-ე მუხლი.

232 *Cahn, Donald*, Comparative Company Law, 2018, 105-106. *Schneeman*, The Law of Corporations and Other Business Organizations, 2010, 59.

233 კანონის მე-7 მუხლი, 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

პარტნიორის ცნებას ორი ძირითადი ელემენტით განსაზღვრავს: ა) პარტნიორის სტატუსის მატარებელი სუბიექტების მიხედვით; ბ) სამეწარმეო საზოგადოებაში წილზე საკუთრების უფლების მოპოვებით. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შემდგომში — სპს) დეფინიციაც პარტნიორთა შიდასამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარეობს და სოლიდარული პასუხისმგებლობის ფორმას, სამეწარმეო საქმიანობის ერთობლივად, ერთობლივი საფირმოს სახელწოდებით გაძღოლას უკავშირდება.

ა. სპს-ში პარტნიორული სტატუსის მატარებელი სუბიექტები

ამხანაგური ტიპის საზოგადოებები ორი ან მეტი პირის გაერთიანებათა კატეგორიას განეკუთვნება. სპს-ში სულ მცირე ორი პარტნიორის არსებობა კანონის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს.[234] ამრიგად, შეუძლებელია სპს-ის ერთი პირის მიერ დაფუძნება ან მისი დაფუძნების შემდგომი არსებობა, თუკი ერთი პარტნიორის საკუთრებაში აღმოჩნდება სპს-ის ყველა წილი.[235] სპს-ში პარტნიორის სტატუსის მატარებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისევე — იურიდიული პირი, მათ შორის არაიურიდიული პირი გაერთიანებები. თითოეული პარტნიორი უნდა წარმოადგენდეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამართლის სუბიექტს, რაც გამორიცხავს ერთი პირის საკუთრებაში არსებული წილის კლასიფიკაციას ან ურთიერთგამიჯვნას.[236] მაგალითად, როდესაც პარტნიორი თანაპარტნიორისგან იძენს წილს, შეძენილი წილი ემატება შემძენის საკუთრებაში არსებულ წილს. სახელდობრ, პარტნიორის გასვლის შემთხვევაში, გამსვლელი პარტნიორის წილი ნაწილდება პარტნიორებზე, მათი წილების პროპორციულად. თავად სპს მოკლებულია საკუთარი წილის მესაკუთრედ ყოფნის შესაძლებლობას. მეორე მხრივ, შესაძლებელია წილი გახდეს თანასაკუთრების ობიექტიც. მაგალითად: როდესაც სპს-ის ერთ-ერთი პარტნიორი

234 იქვე, 94-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
235 *Schmidt*, MüKoHGB, 4. Aufl., 2016, HGB § 105 Rn. 24.
236 იქვე, Rn. 75.

გარდაიცვლება, ხოლო მას ერთზე მეტი მემკვიდრე ჰყავს და წესდება ითვალისწინებს წილის სამართალმემკვიდრეობით ტრანსმისიას. ასეთ შემთხვევაში თითოეული მემკვიდრე შეიძენს წილზე საკუთრების უფლებას.

განსხვავებით სხვა მეწარმე იურიდიული პირებისაგან, სპს-ის ყველა პარტნიორი არის სოლიდარულად, პირდაპირ და უშუალოდ პასუხისმგებელი პირი (სრული პარტნიორი).[237] მართალია, სპს-ში არ ხდება პარტნიორთა კლასიფიკაცია პასუხისმგებლობის მოცულობის მიხედვით, თუმცა აღსანიშნავია, გარდაცვლილი პარტნიორის მემკვიდრის უფლება, სპს-ს შეუერთდეს არათუ სრული პარტნიორის, არამედ კომანდიტის სტატუსით.[238] მემკვიდრე არათუ გარიგებითსამართლებრივი, არამედ კანონისმიერსამართლებრივი საფუძვლით — სამკვიდროს მიღებით, იძენს პარტნიორულ სტატუსს და თუკი წესდება პარტნიორის მემკვიდრით ჩანაცვლების ზოგად შესაძლებლობას უშვებს, მას წარმოეშობა უფლება, ჩაანაცვლოს მამკვიდრებელი შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე პარტნიორის სტატუსით. თანაპარტნიორთა თანხმობა მემკვიდრის კომანდიტის სტატუსით შესვლაზე რეორგანიზაციული რანგის მოვლენად ფასდება, რაც, საბოლოო ჯამში, სპს-ის კომანდიტურ საზოგადოებად გარდაქმნაში ჰპოვებს ასახვას.[239]

სპს-ის პერსონაფიცირებული ბუნების გამო, საწესდებო ავტონომიის ფარგლებში შესაძლოა დადგინდეს პარტნიორთა სტრუქტურის ინდივიდუალიზაციის კრიტერიუმები და პერსონალური უნარ-ჩვევები, რომელიც იქნება პარტნიორული სტატუსის მოპოვების აუცილებელი წინაპირობა. გარდა ამისა, პარტნიორთა შეთანხმებით შესაძლებელია, განისაზღვროს ინტერესთა კონფლიქტის აღმკვეთი იმგვარი დებულებები, რომლებიც აკრძალავს კონკურენტული საქმიანობის განმახორციელებელი მეწარმე სუბიექტის წევრობას.

---

237 *ლაზარაშვილი*, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 2003, 32-34. *Schneeman*, The Law of Corporations and Other Business Organizations, 2010, 64.

238 კანონის 111-ე მუხლი.

239 *გიგუაშვილი, ჯულელი*, განმარტებები „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის პროექტზე, 2021, 137.

ბ. წილი, როგორც სპს-ის პარტნიორული სტატუსის მოპოვების საფუძველი

წილი ადასტურებს პირის პარტნიორულ სტატუსს სამეწარმეო საზოგადოებაში და აერთიანებს პარტნიორის ქონებრივი და არაქონებრივი ხასიათის უფლებებს, მის მოვალეობებს.[240] სპს-ში ისევე, როგორც სხვა ორგანიზაციულსამართლებრივ ფორმებში, პირი პარტნიორულ სტატუსს წილზე საკუთრების უფლების მოპოვებისთანავე იძენს, ხოლო კარგავს სამეწარმეო საზოგადოების დატოვებით (გასვლა, გარიცხვა, გარდაცვალება) ან თავად საზოგადოების ორგანიზაციულისამართლებრივი არსებობის ნებაყოფლობითი თუ იძულებითი დასრულებისთანავე (ლიკვიდაცია). ყოველი ახალი პარტნიორი პასუხისმგებლობას იზიარებს იმავე მოცულობას, როგორც დანარჩენი პარტნიორები, მათ შორის, საზოგადოებაში მისი წევროპის მოპოვებამდე წარმოშობილ ვალდებულებებზე; ხოლო სხვაგვარ შეთანხმებას მესამე პირთა წინაშე იურიდიული ძალა არ აქვს.[241]

სპს-შიც წილზე საკუთრების მოპოვება შესაძლებელია რეგისტრაციამდელ ან რეგისტრაციის შემდგომ პერიოდში,[242] რომლის ლეგიტიმაციას მარეგისტრირებელი ორგანო ახორციელებს. ამ ნიშნით განასხვავებენ დამფუძნებელ პარტნიორს, რომელიც პარტნიორულ სტატუსს სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნების პროცესში მონაწილეობით იძენს და შემდგომი პარტნიორის ცნებას, რომელიც დაფუძნებულ სამეწარმეო საზოგადოებას სახელშეკრულებოსამართლებრივი ან კანონისმიერი (მემკვიდრეობითსამართლებრივი) გზით უერთდება.[243] სპს-ში საწესდებო კაპიტალის არასავალდებულო არსებობის მიუხედავად, შესაძლებელია, დამფუძნებელი პარტნიორები შეთანხმდნენ პარტნიორული სტატუსის მოსაპოვებლად შესატანის — მომსახურების გაწევის თუ სამუ-

---

240 კანონის 29-ე მუხლი.

241 HGB, § 130.

242 *ბურდული, მაღრაძე, მახარობლიშვილი,* სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფუნქციონალიზაცია ქართული საკორპორაციო სამართლის სისტემაში, 2020, 63-64.

243 *ბურდული,* სამეწარმეო საზოგადოებაში წილის კეთილსინდისიერი მოპოვება, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი", №2, 2019, 26.

შაოს შესრულების ან ეკონომიკური ღირებულების მქონე სამართლებრივი სიკეთის საზოგადოების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.[244] განსხვავებით კაპიტალური ტიპის საზოგადოებისა, სპს-ში შესატანის განხორციელების მომწესრიგებელი ნორმები ნაკლებად ხისტია და ადგენს წლიური მოგებიდან შესატანის შევსების ინსტიტუტს.

დაფუძნებული სპს-ის წილის გასხვისებისა და შესაბამისად, წილის შეძენის წერილობით ფორმას კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს,[245] რომელიც პარტნიორული სტატუსის მოპოვების ნამდვილობის ფორმალურ წინაპირობას წარმოადგენს. გასხვისების პროცესში ნოტარიუსის როლსა და მონაწილეობის ფარგლებზე კანონი ზოგად ნაწილში, კერძოდ, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემის ცვლილებისათვის წარდგენილი გარიგების დამოწმებაზე მიუთითებს.[246] თავისთავად წესდებაც შესაძლოა ითვალისწინებდეს რთულ წერილობით ფორმაზე პარტნიორულ შეთანხმებას. წილის გასხვისების/შეძენის მატერიალურ წინაპირობაზე მსჯელობისას, უპირველესად აღსანიშნავია სპს-ის წევრთა ინდივიდუალიზებული შემადგენლობის შენარჩუნების პრიორიტეტი და მისი უზრუნველყოფის სამართლებრივი მექანიზმები. კერძოდ, პარტნიორთა სტრუქტურის ცვლილება არსებითი ზეგავლენის მომხდენია სპს-ის, როგორც პერსონალური ტიპის საზოგადოების, ორგანიზაციულ არსებობაზე. წევრობაზე დამოკიდებული ურთიერთობები არსებითად სახასიათოა ამხანაგური ტიპის საზოგადოებებისათვის.[247] წევრთა პერსონალური სტრუქტურის შენარჩუნება უპირატესად მნიშვნელოვანია დახურული ტიპის საზოგადოებებში, რომელიც წილის გასხვისების ან გადაცემის სპეციალური რეჟიმის დაწესებით მიიღწევა; მაგალითად: თანაპარტნიორის მიერ წილის უპირატესი შესყიდვის უფლებით, წილის შეძენაზე „პირველი უარის თქმის უფლებით", სავალდებულო

244 კანონის 96-ე მუხლი.

245 იქვე, 108-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

246 იქვე, მე-12 მუხლის მე-5 პუნქტი.

247 *ჭანტურია*, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2011, 270. *ბურდული, ეგნატაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 25, ველი 28.

შეთავაზების უფლებით.[248] წილის გასხვისება ან გადაცემა სპს-ში კანონისმიერ შეზღუდვას — პარტნიორთა წინასწარი თანხმობის არსებობას საჭიროებს ან შესაძლებელია, წესდებისმიერ სხვაგვარ შეზღუდვას თუ აკრძალვას დაექვემდებაროს.[249] მაშასადამე, სპს-ის თანაპარტნიორებს აქვთ წილის გასხვისების გარიგებაზე წინსწრებით ინფორმაციის მიღების უფლება და გარიგების განხორციელებაზე კონტროლის გაწევის შესაძლებლობა. სპს-ის მომწესრიგებელი ნორმის დისპოზიცია არ გამორიცხავს პარტნიორის მიერ წილის ერთპიროვნული განკარგვის შესაძლებლობას თანაპარტნიორთა წინასწარი ინფორმირებისა და თანხმობის მოპოვების გარეშეც, თუკი ამგვარი შეთანხმება მიიღწევა კონსენსუსის პრინციპზე დაყრდნობით და გათვალისწინებული იქნება სადამფუძნებლო შეთანხმებით.

1.4.2. პარტნიორთა არაქონებრივი და ქონებრივი უფლებები

პერსონალური სტრუქტურის, პასუხისმგებლობის სოლიდარული, პირდაპირი და უშუალო ფორმის არსებობის გამო, როგორც წესი, სპს-ში არ ხდება პარტნიორთა კლასობრივი ან წილობრივი რანგირება. თითოეულ მეწილეს აქვს სამეწარმეო საქმის გაძღოლაში პირადი მონაწილეობის უფლება.[250] პარტნიორთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრისას დაცულია თანაბარი თანაფარდობა, ვიდრე წესდებით ან პარტნიორთა ხელშეკრულებით სხვაგვარი შეთანხმება არ იქნება მიღწეული.[251] კანონი ერთსა და იმავე პირობებში მყოფ პარტნიორების, მართალია, არ ასხვავებს, თუმცა არათანაბარი უფლება-მოვალეობებით აღჭურვის შესაძლებლობას უშვებს ორი კუმულაციური პირობის არსებობა: ა) სამეწარმეო

---

248 *Tokhadze*, Comparative Analysis of Preemptive Rights in Georgian and Ukrainian LLCs' – a Statutory Rule or a Contractual Privilege, International Journal: Law and Society №8, 2018, 116-117.

249 კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტი, 108-ე მუხლის პირველი პუნქტი; *ბურდული*, სამეწარმეო საზოგადოებაში წილის კეთილსინდისიერი მოპოვება, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი", №2, 2019, 26-27.

250 *ჯაფარიძე*, სავაჭრო სამართალი, ძირითადი დებულებანი, 2019, 77.

251 *Cahn, Donald*, Comparative Company Law, 2018, 117-118.

საზოგადოების საუკეთესო ინტერესებიდან და ბ) წესდების ან კანონის პირდაპირი ჩანაწერიდან გამომდინარე.[252] წილი სპს-შიც, სწორედ ისე, როგორც ეს სხვა ორგანიზაციულსამართლებრივ ფორმებში გვხვდება, უზრუნველყოფს საზოგადოებაში (თანა)მმართველობით — არაქონებრივ და ქონებრივ უფლებებს.[253] პარტნიორის უფლებების საფუძველი საზოგადოებაში მისი სტატუსი გახლავთ. ამდენად, შეუძლებელია პარტნიორის უფლებების გამიჯვნა წევრობის უფლებისაგან.[254] ძირითადად შემთხვევაში, ქონებრივი ინტერესი წარმოადგენს სამენარმეო საზოგადოებაში პერსონალური ან კაპიტალური ინვესტიციის განხორციელების ეკონომიკურ მიზანს, ხოლო მეორე, არაქონებრივი უფლებები — საზოგადოებაში ფინანსური ინტერესის დაცვისა და განხორციელების სამართლებრივ ინსტრუმენტს. მომდევნო ქვეთავების შინაარსობრივი სტრუქტურა სწორედ ამგვარ კლასიფიკაციას ეყრდნობა და უპირველესად განიხილავს არაქონებრივი კატეგორიის, ხოლო შემდგომში — ქონებრივი კატეგორიის უფლებებს.

ა.) არაქონებრივი (თანა)მმართველობითი უფლებები

ა.ა.) კონტროლისა და ინფორმაციაზე წვდომის უფლება

ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის განევის უფლებები ამხანაგური ტიპის საზოგადოებათა ორგანიზაციული მართვის მნიშვნელოვანი ელემენტია.[255] ორივე ემსახურება პარტნიორთა უფლებების დაცვას, განსაკუთრებით კი სპს-ში პარტნიორის პასუხისმგებლობის მასშტაბის გათვალისწინებით.[256] ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის გაწევის

252 კანონის 34-ე მუხლი.

253 *ბურდული*, სამენარმეო საზოგადოებაში წილის კეთილსინდისიერი მოპოვება, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი", №2, 2019, 25.

254 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 257; *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 37-40.

255 ამხანაგური ტიპის საზოგადოებებში ორგანიზაციულ მართვაზე იხ. *ბურდული, მახარობლიშვილი, ეგნატაშვილი, გიგუაშვილი*, თანამედროვე ქართული სამენარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები, 2016, 80-89.

256 *ლაზარაშვილი*, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 2003, 107-108.

უფლებების არსებობის საფუძველი საზოგადოებაში პარტნიორული სტატუსი გახლავთ და აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, დაუშვებელია მისი მესამე პირზე დელეგირება, რაც გარკვეულწილად საზოგადოების სამეწარმეო საქმიანობის ინტერესითაც არის ნაკარნახევი.[257] რიგ შემთხვევაში შესაძლებელია მისი განხორციელება ექსპერტის მონაწილეობით, რომლის ხარჯს თავად პარტნიორი ფარავს.[258] ხშირია შემთხვევა, როდესაც სპს-ის თანაპარტნიორები ერთ კონკრეტულ პარტნიორს ანიჭებენ კონტროლის გაწევის ფუნქციას.[259]

ამხანაგური ტიპის საზოგადოებებში ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის გაწევის უფლებათა არსებითი მნიშვნელობიდან გამომდინარე, დაუშვებელია მათი შეზღუდვა ან აკრძალვა, თუმცა გაფართოვება დასაშვებია წესდებით.[260] ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის გაწევის უფლებები აქვს ყველა პარტნიორს, მათ შორის, მათ, ვინც არ ახორციელებენ ხელმძღვანელობით უფლებამოსილებას.[261] აღნიშნული ხელმძღვანელ პარტნიორთა მონიტორინგის სამართლებრივ მექანიზმს, მეორე მხრივ, არახელმძღვანელი პარტნიორის უფლების დაცვას წარმოადგენს, რომელსაც მართვისა და მონიტორიგის ამგვარი თანაფარდობა ქმნის. თითოეულ პარტნიორს აქვს საზოგადოების დოკუმენტაციის, წარმოებული ფინანსური ანგარიშების, საბუღალტრო ჩანაწერების პირადად გაცნობის, მათ შორის, საზოგადოების სახელით დადებული გარიგებების, პუბლიკაციების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება.[262] სპს-ში მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ ინფორმაციის რეგულარული და დაუყონებლივ

---

257 *Enzinger*, MüKoHGB, 4. Aufl., 2016, HGB § 118 Rn. 22.

258 იქვე, Rn. 23. მაგ., საპატიო მიზეზის არსებობისას წარმომადგენლის ან დამოუკიდებელი ექსპერტის ჩართულობით, *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 255.

259 *Eisenberg, Cox,* Corporations and Other Business Organizations, 2011, 71.

260 *ჯაფარიძე,* სავაჭრო სამართალი, ძირითადი დებულებანი, 2019, 77-78; *ლაზარაშვილი,* სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 2003, 108.

261 კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტი. ანალოგიური მოწესრიგება გვხვდება გერმანიის სავაჭრო კოდექსში: HGB, § 118.

262 *Schneeman,* The Law of Corporations and Other Business Organizations, 2010, 69, 72.

მიწოდება ხელმძღვანელ პარტნიორთა ვალდებულებად მიიჩნევა.[263] გარდა ამისა, პარტნიორს აქვს აუდიტის განხორციელებაში მონაწილეობის მიღების უფლება იმ პირობით, თუ ამ უფლებით იგი ბოროტად არ ისარგებლებს და მისი ჩართულობა არ იქნება ხელშემშლელი.[264]

კონტროლის უფლების მომწესრიგებელი ნორმა ასევე ანიჭებს ყველა პარტნიორს სპს-ის სახელითა და მის სასარგებლოდ მოქმედების შესაძლებლობას, კერძოდ, დანარჩენი პარტნიორების მიერ საზოგადოებისადმი არსებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნის წარდგენის, ხოლო საჭიროებისამებრ დავის წარმოების უფლებას.[265] მაგალითად: პარტნიორის საზოგადოების მენეჯმენტში მონაწილეობის მიღება გაუსხვისებელია მესამე პირზე,[266] ანუ პარტნიორის მიერ პირადად განსახორციელებელია, რასაც ასევე განამტკიცებს ხელმძღვანელობით უფლებამოსილების არა მხოლოდ უფლებამოსილების, არამედ ვალდებულების რანგში წარმოჩენაც.[267] იმ შემთხვევაში, თუკი ხელმძღვანელი პარტნიორი არ ასრულებს ხელმძღანელობით უფლებამოსილებას, დანარჩენ პარტნიორებს აქვთ საზოგადოების სასარგებლოდ მოქმედების შესაძლებლობა და ხელმძღვანელი პარტნიორის მიმართ სარჩელის წარდგენის უფლება სპს-ის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

ა.ბ.) ხმის უფლება და საერთო კრებასთან დაკავშირებული სხვა უფლებები

სპს-ის საერთო კრება შიდაორგანიზაციული მართვის განმახორციელებელი უმაღლესი ორგანოა.[268] სპს-ში მისი მოწვევის უფლება, მათ შორის, მოსაწევს დართულ დღის წესრიგ-

---

263 *Enzinger*, MüKoHGB, 4. Aufl., 2016, HGB § 118 Rn. 14.

264 კანონის 56-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

265 იქვე, 103-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

266 *Schneeman*, The Law of Corporations and Other Business Organizations, 2010, 76.

267 ხელმძღვანელი პარტნიორები ვალდებულნი არიან, განახორციელონ ამგვარი უფლებამოსილება, კანონის 101-ე მუხლის პირველი პუნქტი.

268 *ბურდული, მაღრაძე, მახარობლიშვილი,* სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფუნქციონალიზაცია ქართული საკორპორაციო სამართლის სისტემაში, 2020, 55-58.

ში საკითხის ინიცირების შესაძლებლობა ყველა პარტნიორს აქვს.[269] კრებაზე მონაწილეობისა და ხმის უფლების მატარებელია თითოეული პარტნიორი. ხმის უფლება საერთო კრებაზე გადაწყვეტილებათა მიღებისას განიხილება როგორც პარტნიორის მმართველობითი უფლება.[270] განსხვავებით კაპიტალური ტიპის საზოგადოებებისაგან, ხმების დათვლა არ ხდება პარტნიორის წილის მოცულობის მიხედვით.[271] თითოეულ პარტნიორს აქვს თითო ხმა, ვიდრე საწესდებო დათქმა სხვაგვარად არ განსაზღვრავს.[272] ხმის უფლების ამგვარი განაწილება სპს-ის როგორც ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმის პერსონაფიცირებულ ბუნებას, პარტნიორთა შიდასამართლებრივი ურთიერთობის ხასიათს, პასუხისმგებლობის მოცულობას უკავშირდება. ხმის უფლების დამოუკიდებლობა პარტნიორის წილის მოცულობისგან, უმცირესობაში მყოფ პარტნიორთა დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად მიიჩნევა.[273] მაგალითად: თუკი უმრავლესობაში მყოფი პარტნიორის წილი სპს-ის საწესდებო კაპიტალში განისაზღვრა 70%-ის ოდენობით, თანაპარტნიორების მსგავსად, მას ექნება მხოლოდ ერთი ხმა. პარტნიორთა კრება ვერ მიიღებს იმგვარ გადაწყვეტილებას, რომელიც არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებს პარტნიორს, ვიდრე ეს უკანასკნელი თავად არ დაუჭერს მხარს ასეთ გადაწყვეტილებას,[274] რაც პარტნიორს ვეტოს დადების შესაძლებლობას ანიჭებს. მაგალითად: სპს-ის საერთო კრების მიერ მისაღები გადაწყვეტილება შეეხება ერთ-ერთი პარტნიორის ქონებრივი თუ არაქონებრივი უფლებების შეზღუდვის ან გაფართოვების საკითხს, ან მისთვის დამატებითი ვალდებულების დაკისრებას. ასეთ შემთხვევაში, სავალდებულო იქნება დასახელებუ-

---

269 რიგგარეშე კრების მოწვევი უფლება ერთკვირიანი შუალედის დაცვით ხორციელდება, იხ. კანონის 99-ე მუხლის პირველი პუნქტი.

270 *შეფერი*, საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), 2019, § 7, ველი 8, 88.

271 *Cahn, Donald*, Comparative Company Law, 2018, 111.

272 კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 99-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

273 *Cahn, Donald*, Comparative Company Law, 2018, 111.

274 კანონის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტი, დასახელებული ნორმის პროტოტიპს წარმოადგენდა კანონის ნინა რედაქციის მე-3 პუნქტის მე-5 პრიმა და სეკუნდა პუნქტები.

ლი პარტნიორის თანხმობა საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის. ამრიგად, პარტნიორის ხმის უფლება არა მხოლოდ საერთო კრებაში, როგორც საზოგადოების ნების ფორმირების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას უზრუნველყოფს,[275] იგი პარტნიორის წევრობიდან გამომდინარე უფლებათა დაცვის საშუალებაც არის.

ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პარტნიორები იღებენ ყოველდღიური, ჩვეულებრივი ხასიათის სამეწარმეო გადაწყვეტილებებს, თუმცა გადაწყვეტილება, რომელიც არ მიეკუთვნება ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის კატეგორიას, შეეხება სამეწარმეო საქმიანობის მიმართულების ცვლილებას, მიღებულ უნდა იქნეს ყველა პარტნიორის, მათ შორის, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების არმქონე პარტნიორების მონაწილეობითა და თანხმობით.[276] შესაბამისად, საზოგადოების ნების ფორმირებაში პარტნიორის მონაწილეობა არათუ ნებაყოფლობითი, ამავდროულად მნიშვნელოვანიც, განსაკუთრებით ისეთი კატეგორიის საკითხებზე, რომელიც საზოგადოების ხელშეკრულების ცვლილებას ეხება.[277] არსებითად მნიშვნელოვანი რანგის გადაწყვეტილებები შესაძლებელია წესდებითაც დაკონკრეტდეს.[278] მომწესრიგებელი ნორმის დისპოზიციული ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ ყველა პარტნიორის მხარდაჭერით მიღებული წესდება გამორიცხავდეს ზემოხსნებული კატეგორიის გადაწყვეტილებათა ერთხმად მიღების ვალდებულებას.[279]

დაუშვებელია ხმის უფლების გაუქმება ან მესამე პირზე გადაცემა, განსხვავებით კაპიტალური ტიპის საზოგადოებისაგან, რომლის შემთხვევაში საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება „მაღალი პერსონალური ხასიათის" არ ატარებს და

---

275 *Enzinger,* MüKoHGB, 4. Aufl. 2016, HGB § 119, Rn. 13; *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 54.

276 *Cahn, Donald,* Comparative Company Law, 2018, 111.

277 ასეთ შემთხვევაში პარტნიორი, რომელიც ხმის მიცემისგან თავს იკავებს, თანაპარტნიორებმა შეიძლება დაავალდებულონ, მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში, *შეფერი,* საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), 2019, § 7, ველი 9, 90.

278 *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 233.

279 კანონის მე-100 მუხლის პირველი პუნქტი.

კენჭისყრაში მონაწილეობა წარმომადგენლის მეშვეობითაც შესაძლებელია[280]. გამონაკლისის სახით, კანონი საზღვრავს ინტერესთა კონფლიქტის ერთეულ შემთხვევებს, როდესაც პარტნიორი ვერ სარგებლობს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებით. მაგალითად, სპს-ის პარტნიორთა საერთო კრება განიხილავს საკითხს, რომელიც შეეხება რომელიმე პარტნიორთან ნებისმიერი ვალდებულებისამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, ხელშეკრულების დადების საფუძველზე; ასევე, თუკი განსახილველი საკითხი შეეხება სპს-ის პარტნიორის დავას სამეწარმეო საზოგადოებასთან. ასეთ პარტნიორს შეზღუდული აქვს ხმის უფლება ამ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების ფარგლებში და კენჭისყრაში იგი ვერ იღებს მონაწილეობას.[281] გარდა აღნიშნულისა, შესაძლებელია, წესდებით განისაზღვროს ინტერესთა კონფლიქტის ცალკეული შემთხვევები, როდესაც პარტნიორი ვერ ისარგებლებს ხმის უფლებით. მაგალითად, საზოგადოების სახელით დასადები იმგვარი კატეგორიის ტრანზაქციის განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღება, რომლის მიმართ შესაძლებელია, რომ პარტნიორს ჰქონდეს ეკონომიკური ან სამართლებრივი ინტერესი. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება ხმის უფლებისგან დამოუკიდებელად არსებობს.[282] შესაბამისად, გარკვეული საკითხებისადმი კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვა სულაც არ ნიშნავს კრებაზე დასწრების ზოგადი უფლების ჩამორთმევას. პარტნიორს უნარჩუნდება კრებაზე აზრის გამოხატვის, შეკითხვით მიმართვისა და სხვა უფლებები.[283]

ხმის უფლების თავისუფლების პრინციპში[284] მოიაზრება პარტნიორის მიერ ხმის უფლების დამოუკიდებლად და ინფორმირებულად განხორციელების შესაძლებლობასაც. საერთო კრების გადაწყვეტილება მრავალმხრივი გარიგებაა, რომელიც მიმართულია შიდასამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე სხვადასხვა საკითხზე გადაწყვეტილების

---

280 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 44-45.

281 კანონის მე-100 მუხლის მე-3 პუნქტი.

282 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 44.

283 იქვე.

284 *ლაზარაშვილი*, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 2003, 107.

მიღებისკენ, ასევე, საზოგადოების ხელშეკრულებაში (წესდებაში) ცვლილების შეტანისა და ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის მიღმა არსებულ საკითხთა კენჭისყრისკენ.[285] რამდენადაც ხმის უფლება განიხილება როგორც პარტნიორის მიერ გამოვლენილი ნება (განზრახვის გაცხადება), შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, იგი შეიძლება გახდეს ბათილი ან საცილო.[286] ამდენად, პარტნიორის მიერ ხმის უფლებით გამოვლენილი ნება, ნამდვილობის სამართლებრივ წინაპირობებს უნდა აკმაყოფილებდეს. ხმის უფლების განხორციელებისას პარტნიორი არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სამეწარმეო საზოგადოებისა და თანაპარტნიორთა კანონიერი ინტერესის გათვალისწინებით ხელმძღვანელობს, რამდენადაც პარტნიორის ერთგულების მოვალეობა გამორიცხავს საზოგადოებისა და დანარჩენ პარტნიორთა საზიანოდ უფლების გამოყენების შესაძლებლობას.[287] თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს საზოგადოების საუკეთესო ინტერესისთვისა და თანაპარტნიორთა კანონიერი უფლებებისთვის განუხრელი უპირატესობისა და პრიორიტეტის მინიჭებას საკუთარი სუბიექტური ინტერესების უგულებელყოფის ხარჯზე. უფლების განხორციელებისას კანონი სამეწარმეო საზოგადოების საუკეთესო ინტერესისა და თანაპარტნიორთა კანონიერი ინტერესის „გათვალისწინების" და არა განუხრელად აღსრულების მოვალეობას აკისრებს.

ა.გ.) გასაჩივრებისა და შესაგებლების წარდგენის უფლება

განასხვავებენ პარტნიორის სოციალური სარჩელისა და მესამე პირთა სარჩელის უფლებებს, რომელთაგან პირველი შიდასამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობს და ხორციელდება საზოგადოების მიმართ, ხოლო მეორეს

---

285 *შეფერი*, საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), 2019, § 7, ველი 7, 86-88.

286 *Enzinger*, MüKoHGB, 4. Aufl. 2016, HGB § 119, Rn. 14, 16.

287 კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტი; *ლაზარაშვილი*, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 2003, 107; პარტნიორის ერთგულების მოვალეობაზე იხ. ნაშრომის 1.4.3. ქვეთავი.

საფუძველს პარტნიორსა და საზოგადოებას შორის არსებული ვალდებულებითსამართლებრივი (კრედიტორ-მოვალის) ურთიერთობა წარმოადგენს.[288] ზოგადად, გასაჩივრების უფლება არის როგორც პარტნიორული სტატუსიდან გამომდინარე კანონიერი ინტერესების, ისევე სამეწარმეო საზოგადოების უფლებათა დაცვის მექანიზმი. გასაჩივრების უფლება, მართალია, შეუზღუდავია, თუმცა შემოიფარგლება ხანდაზმულობის სპეციალური, საკორპორაციოსამართლებრივი ვადით, რომლის გასვლის შემდეგ მისი აღდგენა შეუძლებელია.[289] ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა უფლება, გასაჩივრების უფლებით არაკეთილსინდისიერი სარგებლობა ფასდება უფლების ბოროტად გამოყენებად და ერთგულების მოვალეობის დარღვევად.[290]

სპს-ის თითოეული პარტნიორის მიერ წარსადგენი სარჩელების კლასიფიკაცია ასევე შესაძლებელია ინდივიდუალურ, ერთობლივ და საზოგადოების სასარგებლოდ შეტანილ სარჩელებად. როგორც აღინიშნა, სპს-ის სადამფუძნებლო ფორმას სამოქალაქო ამხანაგობა წარმოადგენს. ამხანაგობის თითოეულ წევრს — ხელმძღვანელ თუ არახელმძღვანელ პარტნიორს, აქვს საზოგადოების მიმართ სოციალურ მოთხოვნათა წარდგენის უფლება (ე. წ. *actio pro socio*).[291] სპს-შიც პარტნიორის ინდივიდუალური სარჩელი მიმართულია თავად სამეწარმეო საზოგადოებისადმი, პარტნიორის ვადამოსული მოთხოვნის არსებობისას, აგრეთვე — თანაპარტნიორისადმი, თუკი მისი კანონიერი ინტერესი თანაპარტნიორის უფლების განხორციელებით არსებითად ილახება. თითოეულ პარტნიორს აქვს ხელმძღვანელი პირ(ებ)ის ან პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება,

---

288 *ლა ზარაშვილი*, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 2003, 140-141.

289 *ჭანტურია, ნინიძე*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 204.

290 *ბურდული*, მცირე აქციონერის უფლებათა ფარგლების ბოროტად გამოყენება და მისი გავლენა საკორპორაციო სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებაზე (მცირე აქციონერთა დაცვის თანამედროვე მექანიზმები), 2009, 265.

291 *კროპჰოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, დარჯანია/ჭეჭელაშვილი (მთარგ.), 2014, § 706-709, ველი 13, 552; *ჭანტურია*, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2011, 286.

თუკი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კანონის ან წესდების დარღვევით და გასაჩივრების მიზნებისათვის ამგვარი გადაცდომა ფასდება არსებითად.[292] საინტერესოა იმ პარტნიორის მიერ კრების გადაწყვეტილების გასაჩივრების ნორმატიული მოწესრიგება, რომელიც არ დაესწრო საერთო კრებას. ასეთ შემთხვევაში კრების გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება პარტნიორს შენარჩუნებული აქვს, თუ მას კრებაზე მონაწილეობის მიღებაზე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ეთქვა უარი ან ვერ დაესწრო კრებას მოწვევის ფორმალური წინაპირობების დაუცველობის გამო, ან განხილულ იქნა იმგვარი საკითხი, რომელიც მოსაწვევს დართულ დღის წესრიგში არ იყო გათვალისწინებული.[293] სპს-ში ყოველი პარტნიორი აღიჭურვება საზოგადოების სასარგებლოდ მოთხოვნათა რეალიზაციის შესაძლებლობით. მაგალითად: სპს-ში შესატანის განხორციელების მომწესრიგებელი ნორმა[294] მიუთითებს საზოგადოების სახელით და მის სასარგებლოდ თანაპარტნიორ(ებ)ის მიმართ შესატანის განხორციელების მოთხოვნის წარდგენასა და ამ მიზნით სასამართლოში სპს-ის წარმომადგენლობაზე. პარტნიორთა ერთობლივი სარჩელის წარდგენის შედეგად, შესაბამისი სამართლებრივი წინაპირობების არსებობისას, სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია ჩამორთმეულ იქნეს პარტნიორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. ამის საფუძველია, როგორც აღინიშნა, დანარჩენ პარტნიორთა სარჩელი.[295]

შესაგებლის წარდგენის უფლება უზრუნველყოფს პარტნიორის შესაძლებლობას, მის მიმართ წარდგენილ მოთხოვნებს დაუპირისპიროს საზოგადოების მიმართ, ხოლო საზოგადოების კრედიტორთა შემთხვევაში, ამ უკანასკნელთა მიმართ არსებული პირადი მოთხოვნა.[296] მაგალითად, პარტნიორს შეუძლია მიმართოს მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვას, თუკი მას სპს-ის სასარგებლოდ, საზოგადოების საქმია-

292 კანონის 92-ე მუხლის პირველი პუნქტი.

293 იქვე, 93-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

294 იქვე, 96-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

295 იქვე, მე-100 მუხლის მე-2 პუნქტი.

296 იქვე, 98-ე მუხლის პირველი პუნქტი; ანალოგიურ მოწესრიგებას ითვალისწინებს გერმანული სავაჭრო კოდექსი, HGB, § 129.

ნობის უზრუნველსაყოფად გაწეული აქვს გარკვეული ოდენობით სახსრები.[297] ცხადია, შეგებებული მოთხოვნა უნდა იყოს სამართლებრივად ნამდვილი, წარმოშობილი, ხოლო ეკონომიკური ღირებულება — იდენტიფიცირებადი. პარტნიორს შეგებებული მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობა აგრეთვე სწვდება გარესამართლებრივ ურთიერთობებსაც. კერძოდ, იგულისხმება სოლიდარული პასუხისმგებლობის შინაარსიდან გამომდინარე პარტნიორისადმი მიმართული საზოგადოების კრედიტორის მოთხოვნის საპირწონედ შეგებებული პრეტენზიის წარდგენა.[298] მაგალითად: თუკი სადავოა სპს-ის სახელით დადებული გარიგების ნამდვილობა და შესაბამისად, მისგან გამომდინარე კრედიტორული მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი; ასევე საზოგადოებისა და კრედიტორის მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის შესაძლებლობა.[299] აღსანიშნავია, რომ პარტნიორს შეუძლია საზოგადოების კრედიტორისადმი შესაგებლის იმ მოცულობით წარდგენა, რომლის ფარგლებში ლავირებს სპს-ის ვალდებულება.[300] მაშასადამე, მსგავსად გასაჩივრების უფლებისა, შეგებებული პრეტენზიის წარდგენაც პარტნიორის კანონიერი ინტერესებისა და უფლებათა დაცვის ერთგვარ საშუალებად გარდაიქმნება.

ბ.) ქონებრივი უფლებები (ზოგადად)

სპს-ის, როგორც მეწარმე სუბიექტის, საქმიანობა მოგების შექმნაზე არის მიმართული, რაც მის ეკონომიკურ-სამართლებრივ შინაარსს კონცეპტუალურად განასხვავებს არაკომერციული, იდეალური მიზნით შექმნილი გაერთიანებებისაგან,[301] მათ შორის, მისი სადამფუძნებლო ფორმისგან — სამოქალაქო ამხანაგობისაგან. სწორედ ქონებრივი უფლებები უზრუნველყოფს პარტნიორის წვდომას სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობის ეკონომიკურ შედეგებზე. ამდე-

297 კანონის 106-ე მუხლი.

298 *ლაზარაშვილი*, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 2003, 140.

299 კანონის 98-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტი.

300 *ჭანტურია, ნინიძე*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 231.

301 *ჯაფარიძე*, სავაჭრო სამართალი, ძირითადი დებულებანი, 2019, 78; *ჭანტურია*, შესავალი სამოქალაქო სამართალში, 2011, 243-244.

ნად, ქონებრივი უფლებები, არაქონებრივის მსგავსაც, პარტნიორული სტატუსიდან გამომდინარეობს, თუმცა განსხვავდება მისი რეალიზაციისა და მისგან გამომდინარე მოთხოვნის წარმოშობის სამართლებრივი წინაპირობებით.

წინამდებარე თავი დაეთმობა პარტნიორთა ქონებრივი უფლებების კლასიფიკაციასა და მათ ზოგად განხილვას იმდენად, რამდენადაც მასში მოაზრებულ თითოეულ უფლებას, განსაკუთრებით კი მოგებასა და ზარალში პარტნიორის მონაწილეობას, სახელმძღვანელოს მომდევნო თავები დაეთმობა.

ბ.ა.) მოგებაში მონაწილეობისა და საზოგადოების ქონების მიღების უფლება

ბ.ა.ა.) პარტნიორის მოგებაში მონაწილეობის უფლება

სამეწარმეო საზოგადოების სადივიდენდო პოლიტიკა, მისი გაცემის ეკონომიკურ-სამართლებრივი წინაპირობები და წმინდა მოგებაში პარტნიორთა მონაწილეობის მოცულობა წესდებისმიერი შეთანხმების საგანია. სწორედ ამიტომ სპს-ში მოგებისა და ზარალის განაწილების საკანონმდებლო მოწესრიგება საკმაოდ მოქნილი და დისპოზიციური ხასიათისაა, რაც დივიდენდის გაცემის პოლიტიკაზე პარტნიორული შეთანხმებისათვის ერთგვარი „გასაქანის" მიმცემიც კი არის. კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საზოგადოების მოგების ან ქონების განაწილების საფუძველზე, პარტნიორს წარმოეშობა დივიდენდის მიღების უფლება. სამეურნეო წლის დასასრულს შედგენილი წლიური ფინანსური ანგარიშგებით დგინდება სპს-ის მოგებისა და ზარალის, ე. ი. აქტივისა და პასივის ურთიერთმიმართება.[302] წმინდა მოგება სამეწარმეო საზოგადოების ვალდებულებებისა და მოგების სხვაობის ტოლია.[303] ამდენად, დივიდენდი არის პარტნიორის ეკონომიკური სარგებელი, შემოსავალი, საზოგადოების წმინდა მოგებაში მისი წილი/მონაწილეობა.

მოგებაში პარტნიორის მონაწილეობა წევრობიდან გა-

302 კანონის 104-ე მუხლის პირველი პუნქტი.

303 *ლა ზარაშვილი,* სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 2003, 113-114.

მომდინარე ქონებრივი უფლებით არის უზრუნველყოფილი. თუმცა დივიდენდის მოთხოვნა წარმოიშობა მატერიალური და ფორმალური წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, მაშასადამე, შესაბამისი მოგების არსებობისა და ამ მოგების განკარგვის შესახებ საზოგადოების უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. წლიური ფინანსური ანგარიშის მომზადება წარმოადგენს ხელმძღვანელ-პარტნიორთა, ხოლო მისი მოწონება და დამტკიცება — საერთო კრების კომპეტენციას.[304] მოგების განაწილებაზე გადაწყვეტილებას სპს-ის საერთო კრება იღებს, ხოლო პარტნიორის მონაწილეობა წმინდა მოგებაში უპირველესად პარტნიორის წილის 4%-ის ფარგლებში ლავირებს.[305] მოგების დარჩენილი ნაწილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანაბრად ნაწილდება პარტნიორებზე.[306] როგორც წესი, პარტნიორები მოგებისა და ზარალის თანაბრად განაწილებაზე ჯერდებიან, თუმცა საზოგადოების წესდებით სხვაგვარადაც შეიძლება განისაზღვროს.[307] მაშასადამე, დივიდენდის მიღების უფლება მოთხოვნად საერთო კრების მიერ მოგების განაწილებაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან გარდაიქმნება.[308] სამენარმეო საზოგადოების ამგვარად გამოვლენილი ნება (კრების გადაწყვეტილება) აღჭურვავს პარტნიორს საზოგადოების მიმართ მოგების მიღების (კრედიტორული) მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობით.[309] ხოლო ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, პარტნიორს სპს-ის მიმართ, როგორც სახელმძღვანელოს წინამდებარე

---

304 *შეფერი,* საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), 2019, § 8, ველი 7, 110-111.

305 *ჯანტურია, ნინიძე,* მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 240; *ლაზარაშვილი,* სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 2003, 115-116.

306 კანონის 105-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

307 *Bainbridge,* Agency, Partnerships & LLCs, 2014, 144.

308 *ლაზარაშვილი,* სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 2003, 114.

309 იგულისხმება, რომ პარტნიორი კრედიტორის სტატუსს შიდასამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე იძენს და არა გარესამართლებრივი, ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, იხ. *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, 2010, 225, სქოლიო 266, 367-369; *ბურდული, მაღრაძე, მახარობლიშვილი,* სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფუნქციონალიზაცია ქართული საკორპორაციო სამართლის სისტემაში, 2020, 92-93.

ნაწილში უკვე აღინიშნა, ინდივიდუალური სარჩელის ან შეგებებული მოთხოვნის წარდგენის უფლება აქვს. აღსანიშნავია, რომ დივიდენდის სახით ეკონომიკური სარგებლის გაცემა არსებითადაა დამოკიდებული სამეწარმეო საქმიანობის ეფექტიანობასა და შესაბამისი მატერიალური დოვლათის არსებობაზე. მოგების მიღება მეწარმე სუბიექტის საქმიანობის მიზანია და არა პარტნიორის წინაშე ნაკისრი ვალდებულება. საზოგადოების მიერ მოგების უცილობელი განაწილების პირობა კი ბათილია. სხვა სიტყვებით, ვიდრე წმინდა მოგების განაწილებაზე არ იქნება გადაწყვეტილება მიღებული, საზოგადოებას არ წარმოეშობა დივიდენდის გაცემის ვალდებულება იმ შემთხვევაშიც კი, თუკი პარტნიორს განხორციელებული აქვს შესატანი[310]. სპს-ში მოგების მიღების უფლების მომიჯნავე უფლებას პარტნიორის მიერ საზოგადოების ქონების გახარჯვა წარმოადგენს. თუმცა იგი არ უნდა იქნეს აღრეული დივიდენდის ცნებაში ან აღქმული, როგორც მოგების მიღების უფლების უპირობო რეალიზაცია.

კანონის 31-ე მუხლი განსაზღვრავს დივიდენდიის ორ ძირითად სახეს: წლიურსა და შუალედურს, რომელიც ზოგადად შესაძლებელია, გაიცეს როგორც ფულადი, ისევე არაფულადი სახით.[311] კანონის სპეციალური ნორმა სპს-ში მოგების სახით გადასაცემი სიკეთის სახეს განსაზღვრავს და 105-ე მუხლის ფარგლებში პარტნიორისათვის გასაცემ თანხას უკავშირებს. მართალია, ნორმაში საუბარია მხოლოდ ფულადი სახის დივიდენდზე, თუმცა წესდებით შესაძლოა, განისაზღვროს დივიდენდის არაფულადი სახეც. საინტერესოა, შესაძლებელია თუ არა სპს-ში შუალედური დივიდენდის გაცემა? კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი წლიური და შუალედური დივიდენდის გაცემას სპეციალური ნორმებით დადგენილი წესის გათვალისწინებით უზრუნველყოფს. სპს-ში მოგებისა და ზარალის განაწილება ექვემდებარე სამეურნეო წლის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებას და წლიურ

---

310 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, 2010, 189-190.

311 *Tokhadze*, Transforming Georgia's Regulations on Shareholders' Right to Interim Dividend Confronting the European Company Law, TalTech Journal of European Studies, Vol. 10, №2(31), 2020, 61-62.

მოგებაში თითოეული პარტნიორის წილის გამოთვლას.[312] საგულისხმოა მოგებისა და ზარალის ნორმატიული მოწესრიგების დისპოზიციური ბუნება, რომელიც საწესდებო შეთანხმებით სპს-ის პარტნიორის მოგებაში წლიური მონაწილეობის გარდა, შუალედური მოგების განაწილების სამართლებრივ საფუძველს ქმნის. ამრიგად, საერთო კრების გადაწყვეტილებით შესაძლებელია სპს-შიც შუალედური დივიდენდის გაცემა, რომელიც, ბუნებრივია, დაეყრდნობა შუალედურ საბალანსო ანგარიშს და განხორციელდება სამეწარმეო საზოგადოების გადახდისუნარიანობის შენარჩუნების მავალდებულებელი ნორმების დაცვით.[313] კანონის 105-ე მუხლის მე-5 პუნქტი იცავს კეთილსინდისიერ პარტნიორს, რომლის წილი მოგებაში კანონის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი ბალანსის საფუძველზე განისაზღვრა. ამრიგად, წმინდა მოგების არაჯეროვანი განაწილება და ფაქტის მიმართ პარტნიორის არაკეთილსინდისიერება წარმოშობს საზოგადოების მოთხოვნას განაწილებული დივიდენდის დაბრუნების თაობაზე.

განსხვავებით სხვა ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმებისაგან, სპს-ში დასაშვებია წესდებით დივიდენდის მიღების უფლების შეზღუდვა ან გამორიცხვა.[314] მაგალითად, გარკვეული ვადით წმინდა მოგების გაუცემლობაზე შეთანხმება მისი რეკაპიტალიზაციის, სამეწარმეო საქმიანობაში მოგების ინვესტირების მიზნითა და სარეზერვო კაპიტალის ფორმირების გზით. კანონი აგრეთვე ითვალისწინებს სპს-ის პარტნიორის მოგების მიღების უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ საფუძველს, რომლის თანახმად, მოგებაში პარტნიორის კუთვნილი წილი მოხმარდება მის მიერ განუხორციელებელი ან ნაწილობრივ განხორციელებული შესატანის შევსებას.[315] შესატანის შევსების ამგვარად გამარტივებულ მეთოდს

312 კანონის 104-ე მუხლის პირველი პუნქტი, 105-ე მუხლი.

313 თუმცა, უნდა ითქვას, რომ შუალედური კორპორაციული დისტრიბუციის ინსტიტუტი უფრო მეტად სახასიათოა კაპიტალური ტიპის საზოგადოებისათვის, კაპიტალის სტრუქტურისა და სამეწარმეო საქმიანობის მასშტაბურობის გათვალისწინებით. დამატებითით იხ. *Tokhadze*, Transforming Georgia's Regulations on Shareholders' Right to Interim Dividend Confronting the European Company Law, TalTech Journal of European Studies, Vol. 10, №2(31), 2020, 63-65.

314 კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

315 იქვე, 104-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

კაპიტალური ტიპის საზოგადოება, გასაგები მიზეზების გამო, არ იცნობს. წმინდა მოგებაში პარტნიორის წილით შესატანის ვალდებულების დაფინანსების შესაძლებლობა სპს-ის ქონებისა და პარტნიორთა საკუთრების სუსტი გამიჯვნის მიზეზით შეიძლება აიხსნას. ცხადია, სპს-ში დასახელებული ნორმა იმოქმედებს პარტნიორთა მიერ შესატანის დანიშვნისა და მისი განხორციელების ვალდებულების არსებობის პირობებში. ამგვარი მოწესრიგება ემსახურება საზოგადოების ქონების რეალურად შექმნისა და შენარჩუნების მიზანს.

ბ.ა.ბ.) საზოგადოების ლიკვიდაციის შემდგომ ქონების მიღების უფლება

ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება პარტნიორთა შორის საბოლოო ბალანსზე დაყრდნობით ნაწილდება[316] მას შემდეგ, რაც ყველა ცნობილი კრედიტორის მოთხოვნა დაკმაყოფილდება.[317] ლიკვიდატორები ადგენენ საბალანსო ანგარიშს ლიკვიდაციის პროცესის დასაწყისში და დასასრულს.[318] საზოგადოების ქონება აღიქმება როგორც სპს-ის საკუთრება, რომელიც უპირველესად ეთმობა გარესამართლებრივ ურთიერთობაში არსებულ ვალდებულებათა დაფარვას.[319] საკანონმდებლო დონეზე არ ხდება სამეწარმეო საზოგადოების კრედიტორ-პარტნიორისა (საზოგადოების ის პარტნიორი, რომელიც ამავდროულად საზოგადოებასთან გარე-ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფება) და არაპარტნიორ-კრედიტორის (საზოგადოების ის კრედიტორი, რომელიც არ არის საზოგადოებაში პარტნიორული სტატუსის მატარებელი) კრედიტორული მოთხოვნების რიგითობის განსაზღვრა და სუბორდინაცია.[320] მართალია, ასეთ შემთხვევაში კრედიტორ-პარტნიორი, როგორც სპს-თან ამავდროუ-

---

316 *ლაზარაშვილი,* სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 2003, 176-177.

317 *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 182.

318 HGB, § 154.

319 *Reuschlein, Gregory,* The Law of Agency and Partnership, 1990, 369.

320 *ბურდული, მალრაძე, მახარობლიშვილი,* სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფუნქციონალიზაცია ქართული საკორპორაციო სამართლის სისტემაში, 2020, 93.

ლად ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი პირი, დანარჩენ თანაპარტნიორებთან მიმართებით გარესამართლებრივ ურთიერთობაში წარმოშობილი კრედიტორული მოთხოვნის დაკმაყოფილების უპირატესობით სარგებლობს, თუმცა ლიტერატურაში გამოთქმული პოზიციის თანახმად, არაპარტნიორ-კრედიტორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს კრედიტორ-პარტნიორის უპირატესად.[321] ნიშანდობლივია, რომ ქონების განაწილების ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება კრედიტორთა ქონებრივი ინტერესის დაცვას და მათ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას ეთმობა. პარტნიორებს საზოგადოების ქონება მხოლოდ სპს-ის ვალდებულებათა დაფარვისა და დაშლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ხუთი თვის შემდგომ ხელეწიფებათ.[322]

სტანდარტულად, ვალდებულებებისაგან თავისუფალი ქონება ნაწილდება პარტნიორთა წილის შესაბამისი უფლებების და მიხედვით, თუმცა ნორმის დისპოზიცია განსხვავებული შეთანხმების მიღწევის საშუალებასაც იძლევა.[323] როგორც აღინიშნა, შესაძლებელია, სპს-ის პარტნიორებმაც წესდებით განსაზღვრონ შესატანის განხორციელების ვალდებულება. თუკი რომელიმე პარტნიორის შესატანი არასრულად იქნა განხორციელებული, საზოგადოების ქონების გაყოფისას უპირველესად ხდება შენატანის ან მისი ღირებულების დაბრუნება, ნარჩენი ქონების კი წილთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად განაწილება.[324] შესაძლებელია, რომ კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდგომ გას-

---

321 რამდენადაც მოახლოებული გადახდისუუნარობის შესახებ ინფორმაცია უპირველესად სამენარმეო საზოგადოების კრედიტორისათვის ხდება ცნობილი და ზოგადად, საზოგადოების შიდასამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მეტ ინფორმაციაზე აქვს პარტნიორს კრედიტორთა შედარებით ნვდომა. იხ. *Vutt*, Legal Capital Rules as a Measure for Creditor and Shareholder Protection, 2011, 31-32. *Reuschlein, Gregory*, The Law of Agency and Partnership, 1990, 398.

322 კანონის 85-ე მუხლი. სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება ზემოაღნიშნული ვადა 3 თვემდე შემცირდეს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის საფუძველზე, რომელიც მოწმობს ვალდებულებათა დაფარვის ფაქტსა და მესამე პირთა უფლებების დაცვის უსაფრთხოებას. იხ. იქვე, პირველი პუნქტი.

323 კანონის 86-ე მუხლის პირველი პუნქტი.

324 *გიგუაშვილი, ჯუღელი*, განმარტებები „მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის პროექტზე, 2021, 115.

ანაწილებელი სახსრები არ აღმოჩნდეს საკმარისი განხორციელებული შენატანების დასაბრუნებლად. მაშინ დარჩენილი ქონება განაწილდება წილიდან გამომდინარე უფლებების შესაბამისად, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შენატანები არ იყოს სრულად განხორციელებული — პარტნიორთა მიერ განხორციელებული შენატანების პროპორციულად.[325] წილთან დაკავშირებულ უფლებებში იგულისხმება პარტნიორული სტატუსიდან გამომდინარე უფლებრივი კატეგორია და მისი მოცულობა. ლიკვიდაციის შემდგომ ქონების მიღებაზე რომელიმე პარტნიორის უარი ინვევს გასანაწილებელ ქონებაში მისი წილის დანარჩენ პარტნიორებზე განაწილებას.

ბ.ბ.) საზოგადოების ქონების გახარჯვის უფლება

სპს-ის მეწარმე სუბიექტის სტატუსისა და მისი უფლებაუნარიანობის მიუხედავად, მსჯელობის საგნად რჩება სპს-თვის იურიდიული პირის მახასიათებელი, ერთ-ერთი ძირითადი ელემენტის — საკუთარი ქონების პარტნიორთა პირადი ქონებისაგან გამიჯვნის პრინციპის გაუზიარებლობის საკითხი.[326] თანაპარტნიორები სპს-ის სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად ფინანსურ სახსრებს ერთობლივად განკარგავენ. პარტნიორის მიერ საზოგადოების ქონებიდან თანხის ერთპიროვნულად გამოყენების შესაძლებლობა ერთობლივად განკარგვის პრინციპიდან გამონაკლისს წარმოადგენს. სამეცნიერო ლიტერატურაში ქონების გახარჯვის ამგვარი შესაძლებლობა პარტნიორის დამატებით ქონებრივ უფლებად, საკრედიტო რესურსის კონტექსტში არის წარმოდგენილი.[327] ამავდროულად, სპს-ის კაპიტალის შენარჩუნებისა და დაცვის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, კანონი

---

325 იქვე.

326 *ბურდული, მაღრაძე, მახარობლიშვილი,* სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფუნქციონალიზაცია ქართული საკორპორაციო სამართლის სისტემაში, 2020, 30-31; *Bainbridge,* Agency, Partnerships & LLCs, 2014, 114-116; *Cox, Hazen,* Business Organizations Law, 2011, 9-12; *Eisenberg, Cox,* Corporations and Other Business Organizations, 2011, 71-72.

327 *ბურდული, მახარობლიშვილი, ეგნატაშვილი, გიგუაშვილი,* თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები), 2016, 76-77.

საზღვრავს ამგვარი უფლების ფარგლებს,[328] რომელიც ბოლო სამეურნეო წელს პარტნიორისთვის განკუთვნილი წილის ან 10%-ის, ან 100%-ის ფარგლებში ლავირებს. კერძოდ, პარტნიორს შეუძლია ერთპიროვნულად, თანაპარტნიორთა თანხმობის გარეშე, გამოიყენოს ბოლო სამეურნეო წელს მისთვის განკუთვნილი წილის არაუმეტეს 10%, ხოლო თუ ეს საზოგადოებას აშკარა ზიანს (და არა შესაძლო, არაპირდაპირ ზიანს) არ მიაყენებს, კანონი მას ბოლო სამეურნეო წლის მოგებაში მისი წილის სრულად გაცემის მოთხოვნის შესაძლებლობას ანიჭებს.[329] ამგვარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე გადაწყვეტილებას სპს-ის საერთო კრება იღებს. აღსანიშნავია, ნორმის დისპოზიციური ბუნება, რომელიც ითვალისწინების საერთო კრების გადაწყვეტილებით გახარჯვის უფლებაზე გარკვეული შეზღუდვის ან სულაც აკრძალვის დაწესებას.[330] მაგალითად, ბოლო სამეურნეო წელს პარტნიორისთვის განკუთვნილი წილის 10%-ის ფარგლებშიც ქონების გახარჯვისათვის საერთო კრების წინასწარი თანხმობის არსებობას, რომელიც საზოგადოების ქონებაზე კონტროლის გაწევის მიზანს შეასრულებს.

ზოგადად, თანხის გახარჯვა ნებადართულია არა მხოლოდ პარტნიორის პირადი ფინანსური ინტერესის მიზნით, არამედ საზოგადოების სამეწარმეო საქმიანობის ეფექტიანი უზრუნველყოფის საჭიროებიდან გამომდინარეც.[331] ამრიგად, საინტერესოა პარტნიორის ამგვარი უფლების ურთიერთმიმართება პარტნიორის ერთგულების მოვალეობასთან. უფლებისა და მოვალეობის ამგვარი კავშირი მომწესრიგებელ ნორმაშიც ამოიკითხება, რომელიც ცალსახად აღკვეთს პარტნიორის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებას და ხაზგასმით აღნიშნავს სპს-ის ეკონომიკური ინტერესის დაცვის უპირატესობას.

---

328 *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 241.

329 კანონის 106-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტი.

330 იქვე, მე-2 პუნქტი.

331 *Bainbridge,* Agency, Partnerships & LLCs, 2014, 153.

ბ.გ.) ხარჯების ანაზღაურებისა და სხვა საკომპენსაციო თანხის მიღების უფლება

პარტნიორს აქვს სპს-ის სასარგებლოდ და მისი სამენარმეო საქმიანობის უზრუნველსაყოფად გაწეული აუცილებელი ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.[332] გაწეული ხარჯის (მათ შორის, დაფუძნების ეტაპზე) ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა, თუკი იგი ჩვეულებრივი სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში და საზოგადოების საუკეთესო ინტერესის დაცვით განხორციელდა.[333] საყურადღებოა ამგვარი ხარჯების ობიექტურად გარდაუვალი და აუცილებელი ხასიათი იმდენად, რამდენადაც სპს-ს შეუძლია უარი განაცხადოს ანაზღაურებაზე, თუკი პარტნიორის მიერ გაწეული ხარჯი არ წარმოადგენდა საზოგადოების საუკეთესო ინტერესს და არ განეკუთვნება აუცილებელი ხარჯების კატეგორიას. მაგალითად, აუცილებელია ხარჯია სპს-ის დაფუძნების ეტაპზე მარეგისტრირებელი ორგანოს მომსახურების საფასური, რეგისტრირებულ მონაცემში ცვლილების შეტანის საფასური, რომელიც საზოგადოების მიერ ანაზღაურდება.

დანახარჯების კომპენსაციის მოთხოვნა კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის ხასიათს ატარებს და ანაზღაურების სამართლებრივი წინაპირობების თვალსაზრისით ჰგავს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებლის მიერ გაწეული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 973-ე მუხლი). აქვე აღსანიშნავია, რომ სპს-ის ხელმძღვანელობითი ან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება არ ანაზღაურდება როგორც აუცილებელი ხარჯის კატეგორია. უფრო მეტიც, თუკი წესდებით არ არის განსაზღვრული, ხელმძღვანელობით-წარმომადგნელობითი უფლებამოსილების განხორციელებისა და საზოგადოების სახელით და მის სასარგებლოდ გაწეული მომსახურებისთვის პარტნიორს ცალკე ანაზღაურება, დივიდენდის გარდა რაიმე სხვა სარგე-

---

332 კანონის 107-ე მუხლი.

333 *Schneeman*, The Law of Corporations and Other Business Organizations, 2010, 69, 77. *Reuschlein, Gregory*, The Law of Agency and Partnership, 1990, 271.

ბელი, არ ეძლევა.[334]

რაც შეეხება პარტნიორის წილის კომპენსაციის მოთხოვნის სხვა შემთხვევებს. სპს-ში კომპენსაციის მოთხოვნა წარმოიშობა მაშინაც, როდესაც პარტნიორი ნებაყოფლობით ან იძულებით ტოვებს საზოგადოებას. იგულისხმება პარტნიორის სპს-დან გასვლა ან გარიცხვა, რაც სამეწარმეო საზოგადოების ვალდებულებებისაგან გათავისუფლებისა და მისთვის იმ საკომპენსაციო თანხის გადახდის საფუძველია, რომელსაც სპს-ის დაშლის შემთხვევაში მიიღებდა.[335] ანალოგიურად წესრიგდება გარდაცვლილი პარტნიორის მემკვიდრის სასარგებლოდ წილის კომპენსაციის გაცემა, თუკი ეს უკანასკნელი არ ანაცვლებს მამკვიდრებელს, ხოლო საკომპენსაციო თანხა გამოითვლება საზოგადოების დაშლის შემთხვევაში მისაღები ქონების მსგავსად.[336]

1.4.3. პარტნიორთა ერთგულების მოვალეობა

ზოგადად, ერთგულების მოვალეობა ამხანაგური ტიპის საზოგადოებებში არსებული პარტნიორული ურთიერთობის მონაპოვარია.[337] ერთგულების მოვალეობა ამხანაგური ტიპის საზოგადოებებში პარტნიორთა შიდასამართლებრივი ურთიერთობის პერსონალური ხასიათის გამო უფრო მეტად ჭარბობს, ვიდრე — კაპიტალურში.[338] თანაპარტნიორთა ერთგულების მოვალეობის სტანდარტს კანონის ზოგადი ნანილი იმპერატიული ნორმით ადგენს.[339] თითოეული პარტნიორი ვალდებულია, იმოქმედოს საზოგადოების საქმიანობის

---

334 *Moye*, The Law of Business Organizations, 2008, 40; *Bainbridge*, Agency, Partnerships & LLCs, 2014, 143.

335 კანონის 110-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

336 იქვე, 111-ე მუხლის პირველი პუნქტი; *ბურდული, მალრაძე, მახარობლიშვილი*, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფუნქციონალიზაცია ქართული საკორპორაციო სამართლის სისტემაში, 2020, 73-76.

337 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 161.

338 *ბურდული*, ერთგულების მოვალეობა, როგორც უმრავლესობისა და უმცირესობის ქმედების მასშტაბი საკორპორაციო სამართალში, გერმანული სამართლის მაგალითზე, ეურ. „მართლმსაჯულება და კანონი", №4 (35), 2012, 51-54.

339 კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ხელშეწყობის მიზნით.[340] მსგავსად სამოქალაქო ამხანაგობის წევრებისა, სპს-ის პარტნიორებს, მათ შორის, არახელმძღვანელ პარტნიორებს, საზოგადოებისა და ერთმანეთის მიმართ აქვთ ერთგულების მოვალეობა, რაც პარტნიორთა პერსონალური კავშირიდან და ნდობაზე დამყარებული ურთიერთობიდან გამომდინარეობს.[341] ერთგულების მოვალეობა ფიდუციურ მოვალეობათა კატეგორიას განეკუთვნება, რომელიც გულისხმობს პარტნიორის პირად ინტერესებთან მიმართებით საზოგადოების საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობას,[342] კონკურენციის აკრძალვას საზოგადოებასა და თანაპარტნიორებთან მიმართებით,[343] ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში — ინფორმაციის გაცხადებას.[344] მოკლედ, პარტნიორის მიერ უფლების განხორციელება ზღვარდადებულია სპს-ის საუკეთესო ინტერესისა და თანაპარტნიორთა კანონიერი ინტერესის გათვალისწინების მოვალეობით. კანონიერ ინტერესში კი გულისხმობს „პარტნიორთა დაცვის ღირსი (წევრობაზე დაფუძნებული) ინტერესების გათვალისწინებას"[345]. ერთგულების მოვალეობა ნაკარნახევია პარტნიორის პირადი ფინანსური ინტერესის საზოგადოებისა და თანაპარტნიორების საუკეთესო ინტერესისადმი თანაფარდობის აუცილებლობით.[346] მათ შორის, პარტნიორის მიერ ბოროტი გულისხმიერებით არაქონებრივი თუ ქონებრივი უფლებების განხორციელების ეტაპზე. პარტნიორის ერთგულების მოვალეობისა და კეთილსინდისიერების მასშტაბს კანონის ცალკეული ნორმებიც ადგენენ. მაგალითად, აუდიტის წარმოებაში პარტნიორის მონაწილეობა მისთვის მინიჭებული ამგვარი უფლების ბოროტად გამოუყენებლობის პირობით;[347] საერთო კრებაზე ხმის უფლების განხორციე-

---

340 *ჯაფარიძე*, საავაჭრო სამართალი, ძირითადი დებულებანი, 2019, 86-87.

341 "persönlichen Verbundenheit", "besonderen Vertrauensverhältnis", *Schäfer*, MüKoBGB, (2020), § 708 Rn. 5.

342 *Reuschlein, Gregory*, The Law of Agency and Partnership, 1990, 278-279.

343 *Cahn, Donald*, Comparative Company Law, 2018, 118.

344 *Reuschlein, Gregory*, The Law of Agency and Partnership, 1990, 281-282.

345 *შეფერი*, საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), 2019, § 7, ველი 10, 97.

346 *Bainbridge*, Agency, Partnerships & LLCs, 2014, 152.

347 კანონის 56-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

ლების ეტაპზეც კი პარტნიორები ერთგულების პრინციპის დაცვითა და სამეწარმეო საზოგადოების საუკეთესო ინტერესის შესაბამისად იღებენ კენჭისყრაში მონაწილეობას.[348] ერთგულების მოვალეობის შემადგენელი ელემენტი თანასწორუფლებიანობის პრინციპია, რომელიც კრძალავს ერთი და იმავე რანგის პარტნიორთა დიფერენციაციას უფლება-მოვალეობის კონტექსტში.[349]

კანონის თანახმად, ზრუნვის მოვალეობის, კონკურენციისა და საქმიანი შესაძლებლობების მითვისების აკრძალვის ადრესატი საზოგადოების ხელმძღვანელი პირ(ებ)ი გახლავთ.[350] აღნიშნული, ერთი მხრივ, ხელმძღვანელი პირის საზოგადოების საქმის გულმოდგინებითა და კეთილსინდისიერად გაძღოლას მოითხოვს.[351] მეორე მხრივ კი, როგორც ერთგულების მოვალეობის გამოხატულება, საზოგადოების საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობას, კომერციული შესაძლებლობებისადმი დაუინტერესებლობას, პარტნიორთა თანხმობის გარეშე იმავე საქმიანობის განხორციელების ან იმავე სფეროში მოქმედი სანარმოს ხელმძღვანელობის აკრძალვას გულისხმობს.[352] სპს-ში, მართალია, ყველა პარტნიორი ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განმახორციელებელია, თუმცა წესდება სხვაგვარ მოწესრიგებასაც შეიძლება ითვალისწინებდეს. ასეთ შემთხვევაში ხელმძღვანელის გულმოდგინებისა და ერთგულების მოვალეობები არ გავრცელდება სპს-ის არახელმძღვანელ პარტნიორზე. თუმცა, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, საზოგადოების ინტერესის (როგორც ეკონომიკური, ისე სამართლებრივი გაგებით) საზიანოდ მოქმედება, პარტნიორის ზოგადი ერთგულების მოვალეობის სტანდარტის დარღვევად უნდა შეფასდეს.

ერთგულების მოვალეობა პარტნიორს აკისრია საზოგადოების ნებაყოფლობითი დატოვების შემთხვევაშიც, გასვ-

---

348 *ლაზარაშვილი*, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 2003, 107.

349 *Sethe*, The Law of Business Associations, in: Company Law in Germany, Zekoll/Wagner (eds.), 2019, §5.03[C], 193.

350 კანონის 50-ე, 53-ე და 54-ე მუხლი.

351 ვრცლად იხ. *ჭანტურია*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 202 და შემდგომი.

352 იქვე, 202, 300, 312-314, 341-350.

ლის საფუძვლის მოტივაციის გათვალისწინებით.[353] თუმცა სპს-ის მოქმედ პარტნიორებს არ აკისრიათ ერთგულების მოვალეობა პარტნიორული ურთიერთობის ყოფილი მონაწილეების, ე. ი. სპს-ის ყოფილი პარტნიორების მიმართ.[354]

დაუშვებელია პარტნიორთა შეთანხმებით ერთგულების მოვალეობისაგან პარტნიორის გათავისუფლება, თუმცა წესდებით შესაძლებელია დადგინდეს ერთგულების მოვალეობის მასშტაბი.[355] ხოლო ერთგულების მოვალეობის დარღვევის გამო, სპს-ის პარტნიორს დაეკისრება საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ან ამგვარი ქმედებით მიღებული აქტივის საზოგადოების სასარგებლოდ დათმობის ვალდებულება.[356]

1.5. საწარმოს მართვა/ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

საკორპორაციო სამართალში, როგორც მეწარმე სუბიექტის შიდაორგანიზაციული მოწყობისა და ურთიერთობის შემსწავლელ კერძო სამართლის მიმართულებაში, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე. იმისათვის, რომ იურიდიული პირის სტატუსის მქონე მეწარმე სუბიექტმა მისი ქმედუნარიანობის აქტიური რეალიზება მოახდინოს, აუცილებელია ჰქონდეს ხელმძღვანელი ორგანო/პირ(ებ)ი[357]. ხელმძღვანელ ორგანოს კანონითა და წესდებით განესაზღვრება უფლებამოსილებათა ფარგლები და მისი გამოყენების წესი.

ამხანაგობის ტიპის საზოგადოებაში მოქმედებს ე.წ. საკუთარი ორგანოს კონცეფცია, რაც პრინციპულად განასხვავებს პერსონაფიცირებული საზოგადოების მართვა/ხელმძღვანელობის სისტემას კაპიტალური ტიპის საზოგადოების მართვა/ხელმძღვანელობის სისტემისაგან. „საკუთარი ორ-

---

353 *Balouziyeh*, A Legal Guide to United States Business Organizations, The Law of Partnerships, Corporations, and Limited Liability Companies, 2013, 40-41.

354 იქვე.

355 *Schneeman*, The Law of Corporations and Other Business Organizations, 2010, 70. *Moye*, The Law of Business Organizations, 2008, 41.

356 HGB, § 118, Abs. 1.

357 *Rosin, Closen*, Agency, Partnerships and Limited Liability Companies, 2003, 23.

განოს" კონცეფცია სპს-ის ფუნქციური დანიშნულებიდან მომდინარეობს. კერძოდ, სპს - მისი სტრუქტურული შინაარსიდან გამომდინარე - პირთა გაერთიანებაზე დაფუძნებული მეწარმე სუბიექტია, სადაც მატერიალური დოვლათის (წმინდა შემოსავლის/მოგების) გენერირება ინდივიდიალურ შესაძლებლობათა პრაქტიკული რეალიზების ხარჯზე მიიღწევა. სპს-ს, მოგების მიზნისკენ მიმავალ გზაზე, ორიენტირი აქვს ორი მიმართულების სტრატეგიაზე: ა) მისი საქმიანობა „უზრუნველყოფილი" და „გარანტირებულია" პარტნიორთა პერსონალური, უშუალო და სოლიდარული პასუხისმგებლობის შეუზღუდავი მასშტაბის გაწერით,[358] ხოლო ბ) საქმიანობის შინაარსობრივი კონტროლი დამოკიდებულია მოგების მიღების საფუძველზე - პარტნიორის უშუალო ქმედება ხდება წმინდა შემოსავლის მიღების საწინდარი. შესაბამისად, სპს-ის სამართლებრივი ფორმა ოპტიმალურია ისეთი სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად, სადაც ინდივიდუალური პარტნიორის ქმედების შინაარსზე გადის პოტენციური მოგების მიღების შესაძლებლობა. ასევე, პერსონაფიცირებული საზოგადოება სასურველი სამართლებრივი ფორმაა იმ დროს, როდესაც სამეწარმეო საქმიანობის კორპორაციულ-სისტემური კონტროლის სახელმწიფო და საბაზრო მექანიზმები სუსტია. ასეთ დროს, მომხმარებელში ნდობის დამაბალანსებელი პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის მასშტაბია, რომელიც, თვის მხრივ, პარტნიორ(თა)ის ქმედებაზეა დამოკიდებულია.[359]

შედეგად, სპს-ის მართვის სტრუქტურა ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევისა და სტრატეგიის განხორციელების მისაღებ მოდელად ჩამოყალიბდა. პასუხისმგებლობის მასშტაბი[360] შესაბამისობაში უნდა იყოს მართვა/ხელმძღვანელობის სტრუქტურასთან. ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის სტრუქტურა შესაბამისი სპეციფიკურობით გამოირჩევა სპს-ის შემთხვევაში. სპს-ში პარტნიორთა წარმომადგენლო-

358 *Kleinberger,* Agency, Partnerships and LLCs, 2nd ed., 2002, 200-201.

359 *მახარობლიშვილი,* მეწარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამიჯვნა კაპტალურ საზოგადოებათა სანყისებზე, „სამართლის ჟურნალი", №2, 2011, 127-131.

360 *ხარაიშვილი,* ამხანაგობის ტიპის საზოგადოებათ სამართლებრივი სტატუსი სისტემ-შედარებით კონტექსტში, „სამართლის ჟურნალი", №2, 2012, 161-162.

ბითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით აღჭურვა (თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული)[361] სწორედ შეუზღუდავი და სოლიდარული პასუხისმგებლობის ფუნქციონალურ მახასიათებელს უკავშირდება - პარტნიორის შეუზღუდავი და სოლიდარული პასუხისმგებლობა,[362] შეიძლება ითქვას, რომ განაპირობებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილებას. ე.წ. საკუთარი ორგანოს კონცეფცია, მისი კლასიკური გაგებით, ამოსავალს აღნიშნულ თეზაში პოულობს - „საკუთარი ქონებით შეუზღუდავი პასუხისმგებლობა უტოლდება ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით პარტნიორის აღჭურვას. "[363]

ზოგადად, ამხანაგობის ტიპის საზოგადოებაში არსებობს კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურა. კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურა გულისხმობს საზოგადოების მართვის პროცესში პარტნიორთა უშუალო ჩართვის შესაძლებლობას. სპს-ის პარტნიორთა რაოდენობა, როგორც წესი, მცირეა, რაც უშუალოდ განაპირობებს მისაღებ გადაწყვეტილებაზე თითოეული პარტნიორის გავლენის მოხდენას იმგვარად, რომ დაცულ იქნეს მიღებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე სარგებელი, რომლის ადრესატი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე პარტნიორია.[364] ანუ, კონსესუალური გადაწყვეტილების მიღების სისტემა უზრუნველყოფს პარტნიორის პროცესში იმგვარ ჩართულობას, რომ მან მაქსიმალურად დაიცვას საკუთარი პოზიცია და ინტერესი.

სწორედ პარტნიორის ინტერესის დაცვის ერთ-ერთი მთავარი გამოვლინებაა სპს-ის მართვა/წარმომადგენლობის სტრუქტურა და ე.წ. საკუთარი ორგანოს კონცეფცია.

საკუთარი ორგანოს კონცეფცია ეფუძნება კონსესუალური გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურას. პარტნიორი საკუთარი პოზიციის დაცვასა და ინტერესის გარანტირებას

---

361 *Rosin, Closen,* Agency, Partnerships and Limited Liability Companies, 2003, 23.

362 შეად. იქვე, 25-26.

363 ე.წ. საკუთარი ორგანოს კონცეფცია, შედეგობრივად, გულისხმობს იმ ნაწილს, რომ ყველა პარტნიორი არ უნდა იქნეს ხელმძღვანელობითი საქმიანობიდან ჩამოცილებული.

364 *მახარობლიშვილი,* კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, 2015, 84-85.

უზრუნველყოფს მაშინ, როდესაც ის თავად ხდება ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი. ერთი ეტაპია, როდესაც პარტნიორი პარტნიორთა საერთო კრებაზე ახორციელებს მისთვის კანონითა თუ წესდებით მინიჭებულ უფლებამოსილებას,[365] ხოლო მეორე ეტაპია ის, როდესაც პარტნიორი მეწარმე სუბიექტის მესამე პირებთან წარმოდგენის უფლებამოსილებით აღიჭურვება. ასეთ მოცემულობაში, პარტნიორთა საერთო შეთანხმებით, რომელიც სადამფუძნებლო პროცესშივე მიიღწევა, თითოეული პარტნიორი, როგორც წესი, გამოხატავს საზოგადოების ხელმძღვანელობით ორგანოში ყოფნის სურვილს. შესაბამისად, სპს, როგორც მცირე პარტნიორული მეწარმე სუბიექტი, აღიჭურვება იმგვარად ფორმირებული ხელმძღვანელობითი ორგანოთი, სადაც ამავე საზოგადოების პარტნიორები არიან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები.

ზემოთ აღნიშნული თეორია „გაცოცხლებულია" კანონში, რომლის მიხედვითაც, სპს-ში ხელმძღვანელობის უფლება ყველა პარტნიორს აქვს (თუ პარტნიორთა შეთანხმებით სხვა რამ არ იქნება განსაზღვრული).[366] თუმცა, კანონი „ერთგული" რჩება საკუთარი ორგანოს კონცეფციის მთავარი არსისა და იმპერატიულად ადგენს, რომ ყველა პარტნიორის ჩამოშორება ხელმძღვანელობითი საქმიანობიდან არ შეიძლება.[367]

შესაბამისად, მნიშვნელოვანია განიმარტოს ხელმძღვანელობის სახეები, ხელმძღვანელი ორგანოს შემადგენლობა და განსხვავებები ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას შორის.

1.5.1. ხელმძღვანელობის სახეები

სამეწარმეო საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს ხელმძღვანელობის სახეები.[368] ხელმძღვანელო-

---

365 რაც, ბუნებრივია, არ ნიშნავს სპს-ის ქმედუნარიანობის განხორციელებას.

366 იხ. კანონის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 101-ე მუხლის პირველი პუნქტი.

367 შეად. *ბურდული, მახარობლიშვილი, ეგნატაშვილი, გიგუაშვილი,* თანამედროვე ქართული სამენარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები), 2016, 85-86.

368 *ბურდული, მახარობლიშვილი, ეგნატაშვილი, გიგუაშვილი,* თანამედროვე

ბის სახეები გადაწყვეტილების მიღებისა და საზოგადოების მესამე პირებთან წარმოდგენის უფლებამოსილებათა ფარგლების განსხვავებით დიფერენცირდება ერთმანეთისაგან. ხელმძღვანელობის სახეებია: ერთპიროვნული ხელმძღვანელობა, ერთობლივი ხელმძღვანელობა და რამდენიმე პირის პიერ ერთობლივი ან ცალ-ცალკე ხელმძღვანელობა.[369]

ერთპიროვნულია ხელმძღვანელობა, როდესაც საზოგადოების ხელმძღვანელობით ორგანოში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი პირი, რომელიც სამეწარმეო საზოგადოების მართვა-გამგეობას ინდივიდუალურად, შეუზღუდავი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს. ერთპიროვნული ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეუზღუდაობა დაფუძნებულია ე.წ. ორგანულ თეორიაზე, რომლის თანახმადაც, ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ერთჯერადი ავტორიზების (არჩევა/დანიშვნა, სასამსახურო ხელშეკრულების დადება, გამწესება)[370] შემდგომ მესამე პირებთან ურთიერთობაში ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე წარმოადგენს სამეწარმეო საზოგადოებას, ხოლო საზოგადოების მმართველი ორგანოთა სტრუქტურა განსაზღვრული უნდა იყოს კანონითა და წესდებით.[371] ერთპიროვნული ხელმძღვანელობის შეზღუდვის ძირითადი ხაზი გადის კანონითა და წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებზე, როდესაც, მაგალითად, უძრავი ქონების ნასყიდობის ან საზოგადოების ქონების ძირითადი ნაწილის ვალდებულების უზრუნველსაყოფად გამოყენებისათვის აუცილებელია პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება და თანხმობა.

ერთობლივი ხელმძღვანელობა განსხვავებული და შედარებით რთული კატეგორიაა, რომელიც ორი მიმართულებით განივრცობა: ა) ერთობლივი ხელმძღვანელობა ერთობლივად და ბ) ერთობლივი ხელმძღვანელობა ცალ-ცალკე.

ქართული სამენარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები), 2016, 86.

369 *დვალიძე, მახარობლიშვილი,* სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი), 2016, 122-124.

370 *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 374-375.

371 *ჯანტურია,* შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნანილში, 2000, 238-240.

ერთობლივი ხელმძღვანელობა ერთობლივად რთული კონსტრუქციის მატარებელია. ის გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც ხელმძღვანელობით ორგანოში ორი ან მეტი პირია და ისინი მხოლოდ ერთად, ერთმანეთის თანხმობის შემთხვევაში იქნებიან უფლებამოსილნი სამეწარმეო საზოგადოება წარმოადგინონ მესამე პირებთან სამართლებრივად მბოჭავ ურთიერთობაში.[372] ასეთ დროს, რომელიმე ერთი ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის თანხმობის არარსებობა შეიძლება გახდეს დადებული გარიგების ბათილობის საფუძველი.[373] ერთობლივი ხელმძღვანელობა ერთობლივად სწორედ ამ ნაწილში ავლენს რთული, მოუქნელ ხასიათს, რაც სამეწარმეო საზოგადოების სწრაფი მოქმედების არეალს მკვეთრად ამცირებს.

რაც შეეხება ხელმძღვანელობის ისეთ სახეს, როგორიც ერთობლივი ხელმძღვანელობა ცალ-ცალკეა, ის შედარებითი სიმარტივით გამოირჩევა. ხელმძღვანელობის აღნიშნული სახის შემთხვევაში, სპს-ს ჰყავს ორი ან მეტი ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი, მაგრამ ისინი უფლებამოსილების გამოყენების (რეალიზების) დროს დანარჩენი (სხვა) ხელმძღვანელობითი უფლებამოსილი პირების სავალდებულო თანხმობით არ არიან შეზღუდულნი. შედეგობრივად ეს ნიშნავს იმას, რომ მესამე პირთან გარიგების დადების შემთხვევაში, დადებული გარიგების ნამდვილობას, წარმოდგენილი სამეწარმეო საზოგადოების მხრიდან, საფრთხე ვერ შეექმნება იმ საფუძვლით, რომ დანარჩენი ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირთა თანხმობა არ იყო სახეზე.

---

372 *Rosin,Closen,* Agency, Partnerships and Limited Liability Companies, 2003, 23-24.

373 აქ ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ ბათილი და საცილოდ ბათილი გარიგებები. მოტანილ მაგალითში, თუ ხელმძღვანელი პირი, რომლის თანხმობა გარიგების დადების მომენტისათის არ არსებობდა, მოიწონებს (შემდგომი თანხმობა) დადებულ (ხარვეზიან) გარიგებას, გარიგება შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილად. მაგალითისთვის, იხ. *Kleinberger,* Agency, Partnerships and LLCs, 2nd ed., 2002, 205-206.

1.5.2. განსხვავება ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას შორის

საკორპორაციო სამართალში ხელმძღვანელობის ინსტიტუტი ფართო გაგებით გამოიყენება და ის, გარკვეულწილად, შეიძლება გაუტოლდეს საზოგადოების მართვას. საზოგადოების მართვა, თავის მხრივ, მოიცავს სამენარმეო საზოგადოების მართვას მისი ყველა სტრუქტურული ორგანოს მეშვეობით დაწყებული პარტნიორთა საერთო კრებიდან დამთავრებული დირექტორატით.[374] თუმცა, სპს-ის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა, რიგ შემთხვევებში, ერთმანეთისგან განსხვავებულია, მაგრამ სანამ განსხვავება გაინიხილება, აუცილებელია ხელმძღვანელობის ორგანული საფუძვლების მცირე ანალიზი.[375]

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობის განმახორციელებელ პირს (ზოგადად) დირექტორი ეწოდება. დირექტორი არის საზოგადოების ორგანული წარმომადგენლობითი სტატუსის მქონე პირი, რომელიც აირჩევა პარტნიორთა საერთო კრებაზე, რომელთანაც შემდგომ იდება სასამსახურო ხელშეკრულება[376] და რომელიც გამწესდება, ანუ რეგისტრირდება რეესტრში, რითიც იძენს სახელწიფოს მხრიდან ლეგიტიმურად აღიარებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის სტატუსს. პირის დირექტორად გამწესების ხსენებული ეტაპები განაპირობებს მის ორგანულ-სამართლებრივ წარმომადგენლობით სტატუსს, რომელსაც უპირისპირდება ე.წ. გარიგებითსამართლებრივი წარმომადგენლობის ინსტიტუტი. ეს უკანასკნელი საზოგადოების სახელით მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოსვლის საფუძვლად გარიგებას მოიაზრებს, მაგალითად, პროკურისტი. ასეთ შემთხვევაში, ის მხოლოდ გარიგებითსამართლებრივი წარ-

---

374 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 355-356.

375 ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის ურთიერთმიმართების თაობაზე, იხ. *დვალიძე, მახარობლიშვილი*, სამენარმეო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი), 2016, 125-126.

376 სპს-ის შემთხვევაში, სასამსახურო ხელშეკრულება ხელმძღვანელ პირთან იდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელად ინიშნება მოწვეული პირი და არა პარტნიორი. კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტი.

მომადგენელი იქნება.[377]

ზოგადი მოცემულობით, ხელმძღვანელობა მოიცავს წარმომადგენლობას, თუმცა, წარმომადგენლობა განმარტებულია როგორც მესამე პირებთან სპს-ის წარმოდგენის უფლება.[378] ანუ, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება უშუალოდ მესამე პირებთან სპს-ის წარმოდგენის შესაძლებლობაში ვლინდება.[379] აღნიშნულის საპირწონედ, ხელმძღვანელობა ფართო გაგების კატეგორიაში გადადის, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ საზოგადოების მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოდგენას, არამედ სამეწარმეო საზოგადოების შიდაორგანიზაციულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. სპს-ის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მოქმედების მასშტაბი კანონით უშუალოდ არ არის განმარტებული.[380]

ხელმძღვანელობითი საქმიანობის წარმომადგენლობისგან განსხვავება მაგალითის საფუძველზე მარტივად გასამიჯნი იქნება. მაგალითად, თუ წესდებით განსაზღვრულია ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირთა წრე (ორი ან მეტი პირი), ხოლო რეესტრში რეგისტრირდება მხოლოდ ნაწილი, მაშინ რეგისტრირებულ პირებს ექნებათ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება, ხოლო წესდებით განსაზღვრულ დანარჩენ პირებს - ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე. ეს ნიშნავს იმას, რომ სპს-ის პარტნიორს, რომელიც იმავდროულად არ იქნება წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად რეესტრში რეგისტრირებული, შიდაორგანიზაციულ დონეზე მაინც ექნება უფლება რომ განახორციელოს ხელმძღვანელობითი საქმიანობა, მაგალითად, მოინვიოს საერთო კრება.[381]

---

377 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 363.

378 *Rosin, Closen*, Agency, Partnerships and Limited Liability Companies, 2003, 23.

379 ასევე, იხ. *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე*, სოლიდალური პასუხისმგებლობის საზოგადოების ფუნქციონალიზაცია ქართულ საკორპორაციო სამართლის სისტემაში, 2020, 59-60.

380 შეად. *ბურდული, მახარობლიშვილი, ეგნატაშვილი, გიგუაშვილი*, თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები), 2016, 83-89.

381 იხ. კანონის 99-ე მუხლი. აქ მნიშვნელოვანია ის ასპექტი, რომ წესდებით

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებათა შორის განმასხვავებელი სამართლებრივი ვერტიკალი გადის საზოგადოების სახელით გადაწყვეტილების მიღებასა და მესამე პირებთან ურთიერთობაში სპს-ის წარმოდგენის უფლებაზე. ამ კუთხით, ხელმძღვანელობა შეიძლება განიმარტოს ფართო და ვიწრო გაგების კონტექსტით - ფართო გაგებით ის აპრიორი მოიცავს წარმომადგენლობას, ხოლო მისი ვიწრო გაგებით - ის რჩება მხოლოდ შიდაორგანიზაციულ დონეზე გადაწყვეტილების მიღების კონტექსტში.

1.5.3. ხელმძღვანელი ორგანოს ფუნქციონირება

ხელმძღვანელობით საქმიანობაზე უფლებამოსილების მქონე პირის განსაზღვრა, რაც სპს-ის თანმდევ, იმანენტურ ბუნებას დაფუძნების მომენტიდანვე უკავშირდება,[382] ხელმძღვანელობის სახეები და მისი წარმომადგენლობით უფლებამოსილებასთან მიმართება ერთი კატეგორიის საკითხია, ხოლო ხელმძღვანელობის მეორე ასპექტი ხელმძღვანელი ორგანოს ფუნქციონირების პროცესი და წესია.

საკორპორაციო სამართალში სამეწარმეო საზოგადოების მართვის (მისი ფართო გაგებით) პროცესი შიდაორგანიზაციულად არის დაყოფილი, სადაც უფლება-მოვალეობები განაწილებულია ორგანოთა და არა სუბიექტებს (ან ინდივიდებს) შორის. ეს ნიშნავს, რომ უფლება-მოვალეობები ორგანოთა შორის დიფერენცირდება, ხოლო ეს ორგანოები, კონკრეტულ შემთხვევებში, ურთიერთდამოკიდებულნი არიან, ხოლო რიგ და ძირითად შემთხვევაში - ჰორიზონტალურ დამოკიდებულებაში.[383] შედეგად, ხელმძღვანელობითი საქმიანობა ხორციელდება ორგანოს ფორმატში, მაგალითად, დირექტორატის როგორც ორგანოს მეშვეობით, რომლის შემადგენლობა შეიძლება ფორმირებულ იქნეს როგორც ერთპიროვნულად,

---

პარტნიორს შეიძლება ჩამოერთვას (გამოთავისუფლდეს) ხელმძღვანელობის უფლებამოსილება თუ ხელმძღვანელობის უფლებამოსილება მინიჭებული ექნება ერთ ან მეტ პარტნიორს.

382 *Kleinberger,* Agency, Partnerships and LLCs, 2nd ed., 2002, 193-194.

383 *Hopt,* Comparative Corporate Governance: The State of the Art and International Regulation, Law Working Paper, №170, 2011, 20-28.

ისე კოლეგიალურად. თუ ხელმძღვანელად იქნება ერთი პირი არჩეული, შესაბამისად, საკითხი შეეხება ერთპიროვნულ მართვას, სადაც ხელმძღვანელობითი ორგანოც იქნება ერთპიროვნული. საკითხი დეტალურ რეგულირებას მოითხოვს იმ შემთხვევაში, როდესაც ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონედ ორი ან მეტი პირია განსაზღვრული. ასეთ შემთხვევაში, ხელმძღვანელობითი ორგანოს გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია არჩეულ იქნეს ორგანოს თავმჯდომარე, რომელიც განახორციელებს კოლეგიური ორგანოს ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას. ხელმძღვანელი ორგანოს ფუნქციონირების პროცესში გადაწყვეტილების მიღების წესის განსაზღვრა აუცილებელია: ორგანო გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე ხმის უფლების მქონე წევრთა ხმების უმრავლესობით.[384]

1.6. საზოგადოების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მოვალეობები

ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განმახორციელებელი პირები, რომლებიც ორგანულ ურთიერთობაში არიან საზოგადოებასთან, უფლებამოსილების განხორციელების პროცესში, ასევე რიგ შემთხვევებში, ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, საზოგადოების სასარგებლოდ შებოჭილნი არიან სპეციფიკური კორპორაციულსამართლებრივი მოვალეობებით. იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში ამ მოვალეობებს ფიდუციური მოვალეობების ტერმინით მოიხსენიებენ.[385]

ფიდუციური მოვალეობების პირველ ჯგუფს განეკუთვნება გულისხმიერების (იგივე ზრუნვის/ გულმოდგინების) მოვალეობა[386] და იგი დაკავშირებულია უშუალოდ ხელმძღვა-

384 იხ. კანონის 43-ე მუხლი.

385 იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 10 ივნისის №ას-766-766-2018 გადაწყვეტილება; ასევე, *ბაქაური, გელტერი, ცერცვაძე, ჯუღელი,* საკორპორაციო სამართალი. სახელმძღვანელო იურისტებისათვის, 2019, 139.

386 ტერმინები „გულისხმიერების მოვალეობა"/„გულმოდგინების მოვალეობა" (*duty of care*) ასევე „ერთგულების მოვალეობა" (*duty of loyalty*) დამკვიდრდა უპირატესად იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში.

ნელობითი უფლებამოსილების განხორციელებასთან. მეორე ჯგუფს განეკუთვნება ერთგულების მოვალეობა, რომელიც, თავის მხრივ, აერთიანებს მოვალეობების ქვეჯგუფს და წარმოადგენს ხელმძღვანელობიდან გამომდინარე ფაქტობრივი ძალაუფლების საზოგადოების ინტერესების საზიანოდ გამოყენების პრევენციულ ბერკეტს. ამდენად, ფიდუციური მოვალეობები მოიცავს თვისებრივად განსხვავებულ მოვალეობათა ორ კატეგორიას.[387]

კანონმდებლობაში ეს ტერმინები არ გამოიყენება. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება სამივე ტერმინი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 10 ივნისის №ას-766-766-2018 გადაწყვეტილება; იურიდიულ ლიტერატურაში ვხვდებით „გულმოდგინების მოვალეობას" იხ.: *ჭანტურია*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 202; ასევე იხ.: *მაისურაძე*, სამენარმეო განსჯის წესი საკორპორაციო სამართალში, საკორპორაციო სამართლის კრებული, ტომი I, ბურდული (რედ.), 2011, 113; ასევე „ზრუნვის მოვალეობას" იხ.: *ბაქაქური, გელტერი, ცერცვაძე, ჯულელი*, საკორპორაციო სამართალი, სახელმძღვანელო იურისტებისათვის, 2019, 94 და სასამართლო პრაქტიკაში იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებები: №ას-1307-1245-2014, №ას-1158-1104-2014, №ას-766-766-2018, №ას-112-105-2017; ასევე „ზრუნვის მოვალეობა" გამოყენებულია კანონის 50-ე მუხლში იმის გათვალისწინებით, რომ ისტორიულად კანონმდებლობა *duty of care*-ის დისპოზიციაში ყოველთვის „გულისხმიერების" სტანდარტს მოიაზრებდა („საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით" 1994 წლის კანონი, 9.7-ე მუხლი. ასევე „ხელმძღვანელი პირი ვალდებულია სამენარმეო საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერებით" 2021 წლის კანონის 50-ე მუხლი) ნინამდებარე სახელმძღვანელოში გამოყენებული იქნება ტერმინი გულისხმიერების მოვალეობა.

387 შეად.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში ხვდება ხელმძღვანელ პირთა მოვალეობების სამნეროვანი დაყოფა ე.ნ. „ტრიადა": „სანარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის (დირექტორის) მოვალეობები სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს: ა) გულმოდგინება, ბ) ერთგულება და გ) კეთილსინდისიერება. გულმოდგინების მოვალეობა გულისხმობს დირექტორის მიერ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებსაც მიიღებდა ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი. ერთგულების მოვალეობა მოიცავს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღებას. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას ...". იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 6 ნოემბრის №ას-687-658-2016 გადაწყვეტილება; ხელმძღვანელთა მოვალეობების ამგვარი ტრიადა ჩამოყალიბდა დელაველრის სასამართლო პრაქტიკაში (In re RJR Nabisco, Inc. Shareholders Litigation, 1989 WL 7036 (Del. Ch. Jan. 31, 1989; ასევე *Cede* & Co. v. Technicolor, Inc., 634 A.2*d* 345 (Del. 1993)). თუმცა შემდგომ წლებში სასამართლო

1.6.1. გულისხმიერების მოვალეობა

გულისხმიერების მოვალეობის მიზანია უზრუნველყოს საზოგადოების საუკეთესო ინტერესების შესაბამისი მართვა.[388] ამდენად, ეს მოვალეობა აკისრიათ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს. თავისი არსით, გულისხმიერების მოვალეობა წარმოადგენს ქცევის საზომს, რომლითაც შეიძლება შეფასდეს ხელმძღვანელი პირის ქმედებები, ხოლო ზიანის შემთხვევაში, საზოგადოების სასარგებლოდ დაეკისროს ქონებრივი პასუხისმგებლობა.

გულისხმიერების მოვალეობამ ქართულ საკორპორაციო სამართალში განვითარების დიდი გზა გაიარა. 1994 წლის კანონის პირველი რედაქცია გულისხმიერების მოვალეობის შეფასების წინაპირობებს არ იძლეოდა.[389] შემდგომ წლებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა გულისხმიერების მოვალეობის ნორმატიული მოცემულობა, რომელიც საზოგადოებისთვის ყველაზე ხელსაყრელი ქმედების შეფასებას ახდენდა ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმებით.[390]

პრაქტიკა შეიცვალა და საბოლოოდ 2006 წელს სასამართლომ განავითარა პოზიცია, რომ კეთილსინდისიერება ერთგულების მოვალეობის სუბსიუდიური/დამხმარე კომპონენტია და არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ფიდუციურ მოვალეობას: "...the failure to act in good faith may result in liability because the requirement to act in good faith "is a subsidiary element[,]" i.e., a condition, "of the fundamental duty of loyalty"; იქვე: „The obligation to act in good faith does not establish an independent fiduciary duty that stands on the same footing as the duties of care and loyalty." იხ.: Stone v. Ritter, 911 A.2d 362 (Del. 2006). ლიტერატურაში მოვალეობათა „ტრიადა" კამათის საგანია იხ.: *Strine, Hamermesh, Balotti, Gorris*, Loyalty's Core Demand: The Defining Role Of Good Faith In Corporation Law, Harward Discussion Paper No. 630 3/2009, 5-10. შეად.: *Eisenberg*, The Duty of Good Faith in Corporate Law, Delaware Journal of Corporate Law, Vol. 31, 2005, 4-30.

388 „ზრუნვის მოვალება მოითხოვს დირექტორისგან მიიღოს გადაწყვეტილებები რომლებიც გამოინვევს საზოგადოების მოგების გაზრდას", იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 10 ივნისის №ას-766-766-2018 გადაწყვეტილება.

389 1994 წლის კანონის პირველი რედაქციით: ხელმძღვანელი პირები „საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით", მე-9 მუხლის მე-7 პუნქტი.

390 1999 წელს კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად ამოქმედდა გულისხმიერების მოვალეობის 2021 წლამდე მოქმედი სტანდარტი, რომელიც დირექტორის ქმედებას აფასებდა ობიექტურ კომპონენტის მიხედვით - საღად მოაზროვნე ანალოგიურ თანამდებობაზე მყოფი პირის პერსპექტივიდან ქმედება ყველაზე ხელსაყრელი იყო საზოგადოებისათვის ანუ იგივე პირობებში

კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებული „ზრუნვის მოვალეობა" წარმოადგენს გულისხმიერების მოვალეობის დეკლარირებას და აწესებს **მარლთზომიერი და კეთილსინდისიერი** ხელმძღვანელობის სტანდარტს, რომელიც მოქმედებს ისე, როგორც იმოქმედებდა ანალოგიურ თანამდებობაზე მყოფი ჩვეულებრივი საღად მოაზროვნე პირი, იმ რწმენით, რომ მისი ქმედება ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელია.

საღად მოაზროვნე პირის სტანდარტი ე.წ. *"prudent man rule"* აფასებს თუ როგორ მოიქცეოდა ანალოგიურ პირობებში სხვა პირი. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ ჩვეულებრივი ხელმძღვანელი საზოგადოების წესების შესაბამისად მონაწილეობს ხელმძღვანელი ორგანოს კრებებში, შესაბამისად, თუკი დირექტორი უმიზეზოდ აცდენს კრებებს, იგი არ იქცევა ისე, როგორც მოიქცეოდა ანალოგიურ პირობებში ჩვეულებრივი ხელმძღვანელი.[391]

ა.) მართლზომიერებისა და კეთილსინდისიერების ურთიერთმიმართება

ზოგადად, კორპორაციულსამართლებრივი კეთილსინდისერების, როგორც დამოუკიდებელი მოვალეობის, საკითხი იურიდიულ დოგმატიკაში კამათის საგანია. ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საკორპორაციო სამართალში კეთილსინდისიერება წარმოადგენს არა მოვალეობას, არამედ, ხელმძღვანელი პირის შინაგან დამოკიდებულებას *("state of mind")*[392], ან

იგივენაირად მოიქცეოდა ანალოგიურ თანამდებობაზე მყოფი ნებისმიერი საღად მოაზროვნე პირი. ხოლო სუბიექტური კომპონენტი დაკავშირებული იყო სიტუაციის შინაგან აღქმასთან: კონკრეტული ქმედების განხორციელებისას ხელმძღვანელ პირს უნდა ჰქონოდა რწმენა, რომ მისი ქმედება საზოგადოებისთვის იყო ყველაზე ხელსაყრელი. სწორედ ამ ორი კომპონენტის ურთიერთქმედება ქმნიდა გულისხმიერების მოვალეობის შინაარსს. საღად მოაზროვნე ადამიანი - prudent man - ანგლო-ამერიკული სამართლის *legal maxim*, ასევე გამოიყენება აშშ-ს საკორპორაციო სამართალშიც. მაგ. აშშ-ს იხ.: Model Business Corporation Act 2016 Revision, section 8.30;

391 Hoye v. Meek, 795 F.2d 893 (10th Cir. 1986).

392 იხ.: *Bruner*, Good Faith, State of Mind, and the Outer Boundaries of Director Liability in Corporate Law, 41
Wake Forest Law Review, 1131, 2006. ასევე იხ.: *Strine, Hamermesh, Balotti, Gorris,* Loyalty's Core Demand: The Defining Role Of Good Faith In Corporation Law, Harward

სასამართლოს „ინტერპრეტაციის ბერკეტს,"[393] რომლითაც უნდა შეფასდეს იცავდა თუ არა ხელმძღვანელი პირი ფიდუციურ მოვალეობებს.

ქართული კერძოსამართლებრივი გაგებით კეთილსინდისიერება გულისხმობს სხვა პირის ინტერესების გათვალისწინებას, „იმ მოცულობით რომელიც არ იწვევს თავად მისი ინტერესების არათანაზომიერ შეზღუდვას"[394]. გულმოდგინების მოვალეობასთან კომბინაციაში კეთილსინდისიერება გულისხმობს არა მხოლოდ უშუალოდ საზოგადოების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას, არამედ პირადი ინტერესების უკუგდებას.[395] ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ კეთილსინდისიერება საკორპორაციო სამართალში დირე-

---

Discussion Paper, №630, 3/2009, აღნიშნული მიდგომა ასევე გვხდება დელავერის სასამართლოს პრაქტიკაში იხ.: Stone v. Ritter, 911 A.2d 362 (Del. 2006).

393 "...good faith is an interpretive device which can be used to determine whether directors have adhered to their traditional fiduciary duties of loyalty and care" იხ.: *Rosenberg,* Making Sense of Good Faith in Delaware Corporate Fiduciary Law: A Contractarian Approach, Delaware Journal of Corporate Law, Vol. 29, 2004, 491. ამავე პოზიციას იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლო: „კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტია. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი" იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 6 ნოემბრის №ას-687-658-2016 გადაწყვეტილება.

394 იხ.: *ჭანტურია,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2017, 50. ეს განსხვავდება ამერიკული სამართლაში კეთილსინდისიერების გაგებისგან იხ.: Blacks Law Dictionary , 8th ed. 2004, 713, სადაც კეთილსინდისიერება განიმარტება შემდეგნაირად: "[a] state of mind consisting in (1) honesty in belief or purpose, (2) faithfulness to one's duty or obligation, (3) observance of reasonable commercial standards of fair dealing in a given trade or business, or (4) absence of intent to defraud or to seek unconscionable advantage." ასევე, ერთ-ერთი გამორჩეული ავტორის მოსაზრებით, სახელშეკრულებო კეთილსინდისიერებას არ აქვს საკუთარი შინაარსი, არამედ ის გამოიყენება არაკეთილსინდისიერი ქმედებების უამრავი სხვადასხვა ფორმის გამორიცხვის საშუალებად (ანუ არაკეთილსინდისერი ქმედებები აყალიბენენ კეთილსინდიერების შინაარს), იხ.: *Summers,* "Good Faith" in General Contract Law and the Sales Provisions of the Uniform Commercial Code, Virginia Law Review, Vol. 54-2, 1966 196; შეად. კეთილსინდისიერების გაგება საკორპორაციო სამართალში: "The baseline conception [of the good faith] consists of four elements: subjective honesty, or sincerity; nonviolation of generally accepted standards of decency applicable to the conduct of business; nonviolation of generally accepted basic corporate norms; and fidelity to office.". იხ.: *Eisenberg,* The Duty of Good Faith in Corporate Law, Delaware Journal of Corporate Law, Vol. 31, 2005, 5.

395 პირადი ინტერესის არსებობა გულისხმიერების მოვალეობის შეფასებისას წარმოადგენს პასუხისმგებლობის წინაპირობას იხ.: კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ქტორის ქმედების შეფასების სტანდარტია და კონკრეტულ შინაარსს ფიდუციური მოვალეობის დარღვევის ცალკეულ შემთხვევებში იძენს.

როგორც აღინიშნა, კეთილსინდისიერება გულისხმობს უფლებების/მოვალეობების განხორციელების პროცესში სხვა პირის ინტერესების გათვალისწინებაც. ამ უფლებამოვალეობების წყარო არის კანონი ან ხელშეკრულება (რომელიც ივარაუდება, რომ შესაბამისობაშია კანონთან). ამდენად, კეთილსინდისიერება იმთავითვე მოიაზრებს კანონის ფარგლებში მოქმედებას და ამ გზით ავტომატურად მოიაზრებს მართლზომიერებასაც. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ კეთილსინდისიერი ქცევა ყოველთვის არის მართლზომიერი, თუმცა არა პირიქით, მართლზომიერების ფარგლებში მოქმედება ყოველთვის არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების სტანდარტს, კანონის ფარგლებში უფლების განხორციელება შეიძლება არაკეთილსინდისიერადაც.[396] ამდენად, კეთილსინდისიერება ფარავს მართზომიერებასაც, თუმცა არა პირიქით.[397] ამის გარდა, ხელმძღვანელი პირების მართლზომიერი ქცევის ჩარჩო უზრუნველყოფილია საგადასახადო, სისხლის სამართლის და სხვა სპეციალური კანონმდებლობით.[398] ამ ლოგიკით, მარლთზომიერების კომპონენტის შემოტანა გულისხმიერების მოვალეობაში განსაკუთრებულ ფუნქციას არ ატარებს.

---

396 მაგალითად, პარტნიორის მიერ უფლების განხორციელება შეიძლება ხდებოდეს წესდების/კანონის ფარგლებში იმგვარად, რომ არ ითვალისწინებდეს საზოგადოების ან სხვა პარტნიორების კანონიერ ინტერესებს. ასევე იხ.: "inequitable action [is] not . . . permissible simply because it is legally possible", Schnell v. Chris-Craft 285 A.2d 437 (1971).

397 იგივეა ლოგიკა გვხვდება უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაშიც, სასამართლოს შეფასებით, „გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას კეთილსინდისიერად - ეს მოთხოვნა არ ითვლება დაკმაყოფილებულად თუ სხვა გარემოებებთან ერთად, დირექტორისთვის ცნობილია, რომ იგი იღებს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებას", იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 10 ივნისის №ას-766-766-2018 გადაწყვეტილება.

398 მართლზომიერების საკითხზე იხ.: *ჭანტურია*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 279.

ბ.) საზოგადოების საუკეთესო ინტერესი vs. ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელი

დასავლური საკორპორაციო სამართალი გულმოდგინების მოვალეობას უკავშირებს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებში მოქმედებას და არ აქცენტირებს მხოლოდ ეკონომიკურ ასპექტებზე.[399] მიუხედავად იმისა, რომ ორივე კრიტერიუმი არის შეფასების საგანი, საუკეთესო ინტერესი, თავის მხრივ, ბევრად ფართო ცნებაა. საზოგადოების მართვის პროცესში წარმოშობილი საკითხები შეიძლება ყოველთვის არ იყო დაკავშირებული ხელშესახებ ეკონომიკურ შედეგებთან, თუმცა ცალსახად იკვეთებოდეს საუკეთესო ინტერესის საზღვრები, ან განჭვრეტადი იყოს, რომ ეკონომიკურად მყისიერად ხელსაყრელი ოფცია, პერსპექტივაში საზოგადოების საუკეთესო ინტერესებს უქმნის საფრთხეს. ამდენად, გულისხმიერების მოვალეობისთვის უფრო მნიშვნელოვანია საუკეთესო ინტერესებით ხელმძღვანელობა, ვიდრე ვიწრო ეკონომიკურ პერსპექტივიდან შეფასება. მაგალითად, შპს „x"-მა მიიღო გადაწყვეტილება არ დაეკმაყოფილებინა თანამშრომელთა მოთხოვნები შრომის პირობების გაუმჯობესების თაობაზე. კომპანიის ხელმძღვანელი მოქმედება იმ რწმენით, რომ კომპანიისთვის ეკონომიკურად უფრო ხელსაყრელი იყო ფინანსების დაზოგვა. გადაწყვეტილებით უკმაყოფილო თანამშრომლები გაიფიცნენ. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადამიანური რესურსის ჩანაცვლება ოპერატიულად ვერ მოხერხდა და კომპანიის საქმიანობა შეფერხდა. შედეგად, კომპანიას მიადგა, როგორც პირდაპირი ეკონომიკური ზარალი, ასევე რეპუტაციული ზიანიც. ამ მაგალითით, შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ ეკონომიკურად ხელსაყრელი გადაწყვეტილება ყოველთვის არ არის საზოგადოების საუკეთესო ინტერესებში. გულისხმიერი ხელმძღვანელის პასუხისმგებლობაა სრულყოფილად შეაფასოს რისკების ე.ი მხედველობაში მიიღოს არა მხოლოდ

---

399 იხ.: *ბაქაქური, გელტერი, ცერცვაძე, ჯულელი,* საკორპორაციო სამართალი. სახელმძღვანელო იურისტებისათვის, 2019, 88; ასევე: Model Business Corporation Act 2016 Revision, Section 8.30; ასევე "Board members should act on a fully informed basis, in good faith, with due diligence and care, and in the best interest of the company and the shareholders", OECD, Principles of Corporate Governance, 1999.

მოკლევადიანი, არამედ გრძელვადიანი ეფექტი და ამგვარად დააბალანსოს საზოგადოების საუკეთესო ინტერესი.[400]

1.6.2. პასუხისმგებლობა გულისხმიერების მოვალეობის დარღვევისათვის

გულისხმიერების მოვალეობის დარღვევით საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანისათვის ხელმძღვანელ პირს საზოგადოების სასარგებლოდ ეკისრება პირადი ქონებრივი პასუხისმგებლობა, ხოლო ხელმძღვანელ პირთა შემთხვევაში დგება სოლიდარული პასუხისმგებლობა.[401] საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ეკუთვნის თავად საზოგადოებას, რომელსაც გარე სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებების განხორციელებისათვის სჭირდება წარმომადგენელი. ჩვეულებრივ პირობებში ხელმძღვანელი პირი ახორციელებს საზოგადოების წარმომადგენლობას. თუმცა ხელმძღვანელი საკუთარი თავის წინააღმდეგ დავაში ვერ იქნება საზოგადოების წარმომადგენელი და ინტერესების დამცველი. ასეთ სიტუაციაში, კანონი უზრუნველყოფს საზოგადოების ინტერესების დაცვას, ანიჭებს რა ხელმძღვანელ ორგანოს, სხვა ხელმძღვანელს,

---

400 ასევე დასავლურ ლიტერატურაში არის მოსაზრება, რომ გულისხმიერების მოვალეობის ფარგლებში შესაფასებელი საუკეთესო ინტერესის დადგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კორპორაციული მდგრადობაც, რაც ეფუძნება სამ ასპექტს: ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა, სოციალური პასუხისმგებლობა და გარემოს დაზოგვა. იხ.: *Quinn*, The Sustainable Corporate Objective: Rethinking Directors' Duties, Sustainability, 2019. ასევე, *Puvis, Mao, Robinson*, Three Pillars of Sustainability: in Search of Conceptual Origins, Sustainability Science, 2019, 682. მდგრადი განვითარება კომპანიებისთვის დამატებითი ფინანსური ტვირთია, ამიტომ ნაკლებ სავარაუდოა, ახლო მომავალში მოხდეს ამ მიდგომის ფართო დამკვიდრება, გასაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში.

401 სოლიდარული ვალდებულების ძალით, კრედიტორს შეუძლია თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს (ე.ი. ხელმძღვანელთაგან ერთ-ერთს) როგორც მთლიანად, ასევე ნანილობრივ, სკ-ის 465-ე მუხლი. ასევე სოლოდარულ პასუხისმგებლობაზე „შესაძლებელია ვალდებულებაში სოლიდარულად, ანდა ნილობრივად მონანილე პირებს „შიდა" ურთიერთობა სრულიად განსხვებულად ჰქონდეთ დარეგულირებული. „შიდა" ურთიერთობა მხოლოდ „გარე" ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ ხდება აქტუალური. სწორედ „შიდა" ურთიერთობებით დადგენილი ნილი განსაზღვრავს იმას, თუ საბოლოოდ ვინ რა ოდენობითაა ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი ანდა მის მიღებაზე უფლებამოსილი" იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ას-1307-1245-2014 გადაწყვეტილება.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს (საბჭოს არსებობის შემთხვევაში) ან რიგ შემთხვევებში ინდივიდუალურ პარტნიორს, ამ მოთხოვნის განხორციელების უფლებას.

ზოგადი მიდგომით, ხელმძღვანელ პირს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ზიანისათვის, რომელიც დადგა პარტნიორთა გადაწყვეტილების შესრულების შედეგად. აღნიშნულ საკითხს არეგულირებს კანონის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტი. პარტნიორთა გადაწყვეტილების შესრულებით დამდგარი ზიანისაგან დირექტორის გათავისუფლების ზოგადი წესი არ არის უპირობო და კანონი ასევე ითვალისწინებს გამონაკლისს, როცა ხელმძღვანელს ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა. პირველი უკავშირდება ხელმძღვანელის მიერ პარტნიორთა შეცდომაში შეყვანას, განზრახ ქმედებას, როდესაც ხელმძღვანელმა პირმა არასწორი ინფორმაციის მიწოდებით ხელი შეუწყო ზიანის მომტანი გადაწყვეტილების მიღებას. ხოლო მეორე შემთხვევა წარმოადგენს ხელმძღვანელი პირის გულგრილობას, როცა ხელმძღვანელმა წინასწარ იცოდა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებას მოჰყვებოდა ზიანი და ამის თაობაზე არ შეატყობინა საერთო კრებას გადაწყვეტილების მიღებამდე ან მის აღსრულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ხელმძღვანელს ქონებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მიუხედავად იმისა, რომ ის ფორმალურად ასრულდება საერთო კრების გადაწყვეტილებას. მოკლედ, პარტნიორთა გადაწყვეტილების აღსრულება არ ათავისუფლებს ხელმძღვანელს საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვისგან. მას გულისხმიერების მოვალეობა აკისრია არა მხოლოდ ხელმძღვანელობითი გადაწყვეტილებების განხორციელებისას, არამედ საერთო კრების გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობისა და მისი აღსრულების პროცესშიც.

კანონი საერთო კრებას ანიჭებს დისკრეციას გაათავისუფლოს ხელმძღვანელი პირი პასუხისმგებლობისგან ან დადოს მორიგების თაობაზე შეთანხმება (რასაც სჭირდება ხმათა არანაკლებ 90%-ის თანხმობა).[402] პარტნიორთა მიერ

---

402 ხელმძღვანელი პირი, რომელიც ამავდროულად შეიძლება ფლობდეს ხმის უფლებას (იყოს პარტნიორი/აქციონერი), არ მონაწილეობს ასეთი გადაწყვეტილების მიღებაში (55-ე მუხლი). შეად.: 1994 წლის კანონის მე-9

დირექტორის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება წარმოადგენს ერთ-ერთ სამართლებრივ მექანიზმს, რომელიც მიმართულია დირექტორთა პასუხისმგებლობის რისკების შემცირებისკენ.[403] კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის ასევე 55-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, დაუშვებელია განზრახი ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისგან ხელმძღვანელის გათავისუფლება. ამდენად, წესდება, სასამსახურო ხელშეკრულება ან პარტნიორთა გადაწყვეტილება შეიძლება ადგენდეს მხოლოდ გაუფრთხილებელი ქმედებით გამოწვეულ ზიანისგან დირექტორის გათავისუფლებას.[404] ხელმძღვანელის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების

მუხლის მე-6 პუნქტი უშვებდა პარტნიორთა საერთო კრების მიერ (წესდებით განსაზღვრულ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს მიერ) დირექტორის პირადი ქონებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების (მიუხედავად ბრალის ფორმისა) შესაძლებლობას. პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება დაუშვებელი იყო ერთადერთ შემთხვევაში, როცა დირექტორის მხრიდან ზიანის ანაზღაურება აუცილებელი იყო საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. ამასთან, ასეთ შემთხვევაში დირექტორის პასუხისმგებლობაზე გავლენას არ ახდენდა გარემოება, რომ ის შეიძლება მოქმედებდდა პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად. ასეთი რეგულირება წარმოადგენდა კრედიტორთა ინტერესების უპირატესობის გამოვლინებას.

403 *ჟანტურია*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 468.

404 ამერიკულ სამართალში, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების პრინციპის განვითარებას ბიძგი პრეცედენტულმა სამართალმა მისცა, კერძოდ, კი დელაველრის შტატის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებამ საქმეზე Smith v. Van Gorkom 488 A.2d 858, სადაც დირექტორის პირადი დაიტერესების არარასებობის მიუხედავად, დადგინდა გულმოდგინების მოვალეობის დარღვევა, ამ უკანასკნელის მიერ სათანადოდ გამოკვლევის გარეშე, ე.ი. არაინფორმირებულად მოქმედების გამო. ამ პრეცედენტს მალევე მოჰყვა ცვლილებები დელაველრის ზოგად საკორპორაციო კანონში, რომლის თანახმად, სადამფუძნებლო შეთანხმება შესაძლებელია ითვალისწინებდეს დირექტორის გათავისუფლებას პირადი პასუხისმგებლობისგან, გარდა ერთგულების მოვალეობის დარღვევის, პირადი სარგებლის მიღების, დივიდენდის უკანონო განანილების, არაკეთილსინდისიერი, გაცნობიერებული გადაცდომის ან უკანონო ქმედების დროს. იხ.: Delaware General Corporation Law, §102 (b) (7): "A provision eliminating or limiting the personal liability of a director to the corporation or its stockholders for monetary damages for breach of fiduciary duty as a director, provided that such provision shall not eliminate or limit the liability of a director: (i) For any breach of the director's duty of loyalty to the corporation or its stockholders; (ii) for acts or omissions not in good faith or which involve intentional misconduct or a knowing violation of law; (iii) under § 174 of this title [ეს პუნქტი ეხება დივიდენდის უკანონო განაწილებას]; or (iv) for any transaction from which the director derived an improper personal benefit.

შესაძლებლობა მიუთითებს გულისხმიერების მოვალეობიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის მხოლოდ ნაწილობრივ სახელშეკრულებო რეგულირებაზე, შესაბამისად, პირობა, რომელიც ითვალისწინებს განზრახი ქმედებით გამოწვეული ზიანისგან ხელმძღვანელის გათავისუფლებას იქნება ბათილი.

ა.) სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება

სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება (იგივე, სამეწარმეო განსჯის წესი/ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობა)[405] არის პრეზუმფცია, რომლის თანახმადაც, ხელმძღვანელ პირებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანისათვის, თუკი დირექტორის ქმედება დააკმაყოფილებს გარკვეულ წინაპირობებს.[406]

სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება უზრუნველყოფს ე.წ. უსაფრთხო ზონას („safe harbor"), რომელიც საშუალებას აძლევს ხელმძღვანელ პირს საზოგადოება მართოს თავისი შეხედულებით იმ რწმენით, რომ მოქმედებს საზო-

---

405 "Business judgment rule" თარგმანად ქართულ ლიტერატურაში გამოიყენება: 1. „სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება" იხ. *ჭანტურია*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 234. 2. „სამეწარმეო განსჯის წესი", *მაისურაძე*, სამეწარმეო განსჯის წესი საკორპორაციო სამართალში, საკორპორაციო სამართლის კრებული, ტომი I, ბურდული (რედ.), 2011, 120. 3. „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობა", საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებები: №:ას-687-658-2016, 06 ნოემბერი, 2018 წელი; №ას-727-695-2016 23 იანვარი, 2019 წელი, №ას-1158-1104-2014, 06 მაისი, 2015 წელი; ას-1307-1245-2014, 06 მაისი, 2015 წელი. ასევე „სამეწარმეო გადაწყვეტილების პრინციპი" იხ.: *ლუთერი*, სააქციო საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მმართველი ორგანოების პასუხისმგებლობა, II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში, 2003, 25-26.

406 სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლებას ამგვარი ფორმულა დელავერის უზანაესმა სასამართლომ პირველად განავითარა საქმეზე Aronson v. Lewis 473 A.2d 805 (Del. 1984): "...presumption that in making a business decision the directors of a corporation acted on an informed basis, in good faith and in the honest belief that the action taken was in the best interests of the company." ეს სტანდარტი შემდგომ უცვლელად განმეორდა ვან გორკომის სცნობილ საქმეში (Smith v. *Van Gorkom* 488 A.2d 858 (Del. 1985).

მიიჩნევა, რომ სწორედ ამ ფორმულამ მისცა ბიძგი შემდგომ წლებში ფიდუციური მოვალეობის სამწეროვან დაყოფას ე.წ ტრიადას, იხ.: *Rosenberg*, Making Sense of Good Faith in Delaware Corporate Fiduciary Law: A Contractarian Approach, Delaware Journal of Corporate Law, Vol. 29, 2004, 496.

გადოების საუკეთესო ინტერესებში. ამდენად, სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება მოიაზრებს დირექტორის იმუნიტეტს პირადი ქონებრივი პასუხისმგებლობისგან და ეფუძნება შემდეგ ლოგიკურ ჯაჭვს: დირექტორის ქმედებები მიმართულია საზოგადოების მოგების გაზრდისკენ. თუმცა მოგება ყოველთვის არ არის გარანტირებული, რის გამოც საზოგადოების მართვას მუდამ ახლავს რისკები. თუკი დირექტორი არ იქნება დაცული პასუხისმგებლობისგან კეთილსინდისიერი მართვის პირობებში საზოგადოებისთვის დამდგარი ზიანისათვის, იგი არ იქნება თავისუფალი გადაწყვეტილებებში.

სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება ამერიკული სამართლის პირმშოა, საიდანაც გავრცელდა კონტინენტური სამართლის ქვეყნებშიც,[407] მათ შორის, ქართულ საკორპორაციო სამართალშიც. მიუხედავად იმისა, რომ 1994 წლის კანონი არ შეიცავდა სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების პრინციპის გამოყენების რაიმე წინაპირობას, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში საკითხის ფართო განხილვას[408], შედეგად მოჰყვა სასამართლო პრაქტიკაში სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების პრინციპის გამოყენებაც[409] და საბოლოოდ აისახა 2021 წლის კანონშიც.

მიუხედავად იმისა, რომ სამეწარმეო სამართლის თავისუფლება ამერიკული სამართლის პირმშოა, კონცეპტუალურ დონზე იდეა უცხო არ იყო ქართული სამართლისთვის, რა-

---

407 იხ.: *ჯანტურია*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 215.

408 იქვე, 215-257.

409 იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის №ას-1307-1245-2014 გადაწყვეტილება. სასამართლო განმარტებით, რომ „მოვალეობის დარღვევის შესახებ სარჩელის განხილვისას დირექტორს სანარმოსათვის ზიანის მომტანი გადაწყვეტილების გამო პასუხისმგებლობისაგან იცავს ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფცია. იგი ნარმოადგენს დაშვებას, რომ გადაწყვეტილების მიღებისას კომპანიის დირექტორი იყო სათანადოდ ინფორმირებული და მოქმედებდა კეთილსინდისიერად, იმ რწმენით, რომ განხორციელებული მოქმედება კომპანიის საუკეთესო ინტერესებში იყო. ასეთ საქმეებში მოსარჩელეს ეკისრება ზემოაღიშნული დაშვების გაბათილების ტვირთი, რადგან სასამართლოს არ შეუძლია ეჭვი შეიტანოს დირექტორის გადაწყვეტილების სისწორეში, თუ ის რაციონალური პროცესის შედეგად იქნა მიღებული და დირექტორი ყველა მნიშვნელოვან და გონივრულად ხელმისანვდომ ინფორმაციას ფლობდა.".

მეთუ კერძოსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ფარგლებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც ითვალისწინებს. მართალია, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მოვალეს პასუხისმგებლობა ეკისრება, მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუმცა მხარეთა წინასწარი შეთანხმება მოვალის მიერ გაუფრთხილებელი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისაგან მისი გათავისუფლების შესახებ ბათილი არაა.[410] სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება იგივე კონცეფციას ეფუძნება. ეს მიდგომა ასახულია კანონის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტში: „ხელმძღვანელი პირი სამეწარმეო საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს კეთილსინდისიერების მოვალეობის ბრალეული შეუსრულებლობით მიყენებული ზიანისთვის. დაუშვებელია, წესდებით ან პარტნიორთა გადაწყვეტილებით შეიზღუდოს ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობა ამ მოვალეობის განზრახ შეუსრულებლობისთვის". შესაბამისად, წესდებით/პარტნიორთა გადაწყვეტილებით ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის შეზღუდვა მოვალეობის განზრახი დარღვევისთვის იქნება ბათილი, ამავდროულად კანონი უშვებს შესაძლებლობას მხარეთა შეთანხმებით მოხდეს ხელმძღვანელის გათავისუფლება პასუხისმგებლობისგან გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანისათვის.

სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების მოდელი, რომელიც განხილულია ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ძირითადად ეფუძნება სამ ასპექტს. პირველი, გადაწყვეტილების მიღება საკმარისი ინფორმაციის საფუძველზე; მეორე, საზოგადოების საუკეთესო ინტერესებში მოქმედება. რაც შეეხება მესამე კომპონენტს, რიგ შემთხვევაში განხილულია პირადი დაინტერესების არარსებობა,[411] სხვაგან ასევე გვხვ-

410 დაუშვებელია მხოლოდ იმგვარი წინასწარი შეთანხმება, რომელიც განზრახი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისგან მოვალის გათავისუფლებას ეხება, იხ.: სკ-ის 395-ე მუხლი.

411 პირადი დაინტერესების არარასებობაზე იხ.: *ფანტურია*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 218;

დება კეთილსინდისიერად მოქმედება.[412] ამერიკული სასამართლო პრაქტიკა მესამე კომპონენტად განიხილავს სწორედ კეთილსინდისიერებას.[413] ანუ სახეზე უნდა იყოს: ინფორმირებულება, საზოგადოების საუკეთესო ინტერესები და კეთილსინდისიერება. რაც შეეხება ინტერესთა კონფლიქტს, ის წარმოადგენს სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების უკუგდების/დაძლევის პირობას. დირექტორის პირადი დაინტერესება, განიხილება სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების დაცვის სფეროდან სადავო ქმედების გამოყვანის პირობად. მაგალითად, პარტნიორების ინტერესია მიაღწიოს დირექტორის პირად ქონებრივ პასუხისმგებლობას. ამისათვის მან სასამართლოს უნდა დაუსაბუთოს, რომ სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებადი არ არის. სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლებას სასამართლო არ გამოიყენებს, თუკი მოსარჩელე დაასაბუთებს, რომ ა) დირექტორის მხრიდან დარღვეულია ზემოთ დასახელებული სამი კომპონენტი ანუ დირექტორი არ მოქმედებდა: 1. ინფორმირებულად.[414] 2. კეთილსინდისიერად; 3. საზოგადოების ინტერესებში. ან ბ) მოსარჩელე დაასაბუთებს არა უშუალოდ ამ სამი კომპონენტების დარღვევას, არამედ სადავო გადაწყვეტილების მიმართ დირექტორის პირად დაინტერესებას.[415] ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ინტერესთა კონფლიქტი წარმოადგენს ერთგულების მოვალეობის დარღვევას და იგი არ უკავშირდება გულისხმიერების მოვალეობას. სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლებით კი დაცული ვერ იქნება გადაწყვეტილება, რომელიც ერთგულების მოვალეობის დარღვევით იქნა მიღებული. აღნიშნულს იზიარებს საქართ-

---

412 კეთილისინდისიერებაზე იხ.: *მაისურაძე,* სამეწარმეო განსჯის წესი საკორპორაციო სამართალში, საკორპორაციო სამართლის კრებული, ტომი I, ბურდული (რედ.), 2011, 120.

413 Business Judgment Rule "...the directors of a corporation acted on an informed basis, in good faith and in the honest belief that the action taken was in the best interests of the company", Smith v. *Van Gorkom* 488 A.2d 858 (Del. 1985).

414 იქვე, "Under the business judgment rule there is no protection for directors who have made an unintelligent or unadvised judgment".

415 *Horton,* Terra Incognita: Applying the Entire Fairness Standard of Review to Benefit Corporations, Pennsylvania Journal of Business Law, Vol. 22:4, 2020, 861.

ველოს უზენაესი სასამართლოც, კერძოდ, ერთ-ერთი საქმეში განიმარტა, რომ თუკი სახეზეა ხელმძღვანელის პირადი დაინტერესება, გულისხმიერების მოვალეობის სტანდარტის/სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების გამოყენება არ უნდა მოხდეს.[416] თუ ხელმძღვანელის ქმედების ხასიათი გამორიცხავს სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლებით გამოყენებას, სადავო ქმედება ფასდება სამართლიანობის ტესტით (იგივე კორექტულობის ტესტი Entire Fairness Test).[417] ამ ეტაპზე მტკიცების ტვირთი გადადის დირექტორზე. ეს ნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც მოსარჩელე დაასაბუთებს, რომ სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება სადავო შემთხვევაში არ არის გამოსაყენებელი, უკვე დირექტორმა უნდა ამტკიცოს სადავო გადაწყვეტილების სისწორე.

სამართლიანობის ტესტი ორ კომპონენტიანია. ფასდება: ა) Fair Dealing - დირექტორის მხრიდან პროცესის (გარიგების/გადაწყვეტილების) სამართლიანად წარმართა და ბ) Fair Price - გარიგების/გადაწყვეტილების ეკონომიკური ასპექტები - სამართლიანი ფასი (მაგ. ხომ არ შეეძლო დირექტორს უფრო სარფიანი გარიგების დადება). მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში დელავერის სასამართლომ ჩათვალა, რომ თუკი დირექტორის მხრიდან გარიგება დადებული იქნება 1. ნაჩქარე-

---

416 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 10 ივნისის №ას-766-766-2018 გადაწყვეტილება. ამავე საქმეში სასამართლომ გააერთიანა ყველა წინაპირობა, შედეგად, ჩამოაყალიბა სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების ოთხი კუმულატიური წინაპირობა: „1.დირექტორმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება (უნდა იმოქმედოს). ისეთ შემთხვევაში, როცა დირექტორმა გამოიჩინა უმოქმედობა და არ მიიღო გადაწყვეტილება, იგი ვერ იქნება დაცული სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების წესით (აღნიშნულში არ იგულისხმება შემთხვევა, როდესაც უმოქმედობა, თავისთავად, მიღებული გადაწყვეტილების შედეგია ანუ მიღებულია გადაწყვეტილება მოქმედებისაგან თავის შეკავების შესახებ); 2. გადაწყვეტილების მიღებამდე დირექტორმა უნდა მიიღოს ინფორმაცია, რომელიც ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე ადამიანისათვის საკმარისია მოცემულ გარემოებებში, მოცემული გადაწყვეტილების მისაღებად, ანუ გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა აკმაყოფილებდეს კეთილგონივრულობის სტანდარტს; 3. გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას კეთილსინდისიერად ეს მოთხოვნა არ ითვლება დაკმაყოფილებულად თუ სხვა გარემოებებთან ერთად, დირექტორისთვის ცნობილია, რომ იგი იღებს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებას; და 4. დირექტორს არ უნდა ჰქონდეს პირადი დაინტერესება."

417 *ჯანტურია*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 235.

ვად, იმ პირობებში, როცა გარიგების სწრაფად დასრულების აუცილებლობა/ინტერესი არ არსებობს; და 2. ბაზრის კვლევის ჩაუტარებლად, ფასის გაზრდის მიზნით მოლაპარაკების მცდელობის გარეშე, იგი ვერ დააკმაყოფილებს Entire Fairness-ის სტანდარტს. [418]

კანონის 52-ე მუხლში ასახული სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების ნორმატიული მოცემულობის მიხედვით, დირექტორის ქმედება უნდა შეფასდეს გონივრული ვარაუდის ტესტით და დააკმაყოფილოს სამი კრიტერიუმი. კერძოდ, გულისხმიერების მოვალეობა დარღვეულად არ ჩაითვლება და დირექტორს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ მას გონივრულად შეეძლო ევარაუდა, რომ სამეწარმეო გადაწყვეტილებას იღებს ა) საკმარისი და სანდო ინფორმაციის საფუძველზე, ბ) საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, გ) დამოუკიდებლად და ინტერესთა კონფლიქტის ან სხვათა ზეგავლენის გარეშე.

ამდენად, სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების ნორმატიულ ფორმულაში (კანონის 52-ე მუხლი) არ მოხვდა კეთილსინდისიერების კომპონენტი, თუმცა აისახა ერთგულების მოვალეობის კომპონენტი (ინტერესთა კონფლიქტი), რადგანაც მისი დარღვევა საერთოდ გამორიცხვას სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების გამოყენებას. ამავდროულად შემოღებულია, გონივრული ვარაუდის ტესტი. გონივრული ვარაუდი გულისხმობს, რომ გადაწყვეტილება მიღებულია განსჯის შედეგად, ანუ როგორც მინიმუმ დირექტორმა შეაფასა საზოგადოების ინტერესები, დარწმუნდა ინფორმაციის სისრულესა და სანდოობაში, ასევე ინტერესთა კონფლიქტის არარსებობაში. დირექტორის მხრიდან, მინიმალური განსჯის გარეშე, გადაწყვეტილების მიღება ვერ დააკმაყოფილებს გონივრული ვარაუდის ტესტს.

მნიშვნელოვანია, რომ კანონით ასევე დადგენილია სამეწარმეო გადაწყვეტილების გამოყენების საზღვრები. სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების პრინციპის გამოყენება არ უნდა მოხდეს, თუკი გადაწყვეტილება მიღებულია კანონით ან წესდებით გათვალისწინებული მოვა-

418 Weinberger v. UOP, Inc., 426 A.2d 1333, 1340 (Del. Ch. 1981).

ლეობების დარღვევით (კანონის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტი). შესაბამისად, თუკი გადაწყვეტილება არ დააკმაყოფილებს ზემოთმითითებულ კრიტერიუმებს, გულისხმიერების მოვალეობა ჩაითლება დარღვეულად (შესაბამისად კეთილსინდისიერებაც ვერ იქნება დაცული) და სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება დირექტორს არ დაიცავს ქონებრივი პასუხისმგებლობისგან.

1.6.3. ერთგულების მოვალეობა

ერთგულების მოვალეობის მიზანია დაიცვას საზოგადოება ხელმძღვანელობიდან გამომდინარე უფლებების/შესაძლებლობების საზოგადოების საზიანოდ გამოყენებისგან. ერთგულების მოვალეობა ხელმძღვანელს ავალდებულებს ნებისმიერ სხვა ინტერესზე (მათ შორის პირად ინტერესზე) უპირატესად დაცვას საზოგადოების ინტერესები. ეს მოიცავს კომერციული შანსების მისაკუთრებისა და საკუთარ თავთან გარიგების დადების აკრძალავს, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას.[419] გულისხმიერების მოვალეობისგან განსხვავებით, რომლითაც პირი შებოჭილია უშუალოდ უფლებამოსილების განხორციელების პროცესში და შესაბამისად მხოლოდ თანამდებობაზე ყოფნის დროს, ერთგულების მოვალეობა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება დარჩეს ძალაში თანამდებობიდან წასვლის შემდეგაც.

ერთგულების მოვალეობა, როგორც დოქტრინალურ, ასევე ნორმატიულ დონეზე აერთიანებს რამდენიმე ქვემოვალეობას. კანონით ერთგულების მოვალეობა ჩაშლილია სამი ქვემოვალეობის სახით - კონკურენციის აკრძალვა, კომერციული შანსების მისაკუთრების აკრძალვა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდება (ეს უკანასკნელი დარეგულირებულია მხოლოდ სააქციო საზოგადოების შემთხვევაში).[420]

---

419 იხ.: *ჟანტურია*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 320-357.

420 1994 წლის კანონში ერთგულების მოვალეობა, ორი ქვემოვალეობის სახით იყო წარმოდგენილი: დუმილის მოვალეობა და ინტერესთა თავიდან აცილების მოვალეობა. აღნიშნული წარმოადგენდა მინიმალურ სტანდარტს. შესაბამისად, ნესდებით ან/და სასამსახურო ხელშეკრულებით შესაძლებელი იყო ერთგულების მოვალეობის მოცულობის გაზრდა, ანუ უფრო მაღალი სტანდარტის დანესება.

ა.) კონკურენციის აკრძალვა

კონკურენციის აკრძალვა გულისხმობს ხელმძღვანელი პირისათვის ისეთი საქმიანობის პირადად განხორციელების აკრძალვას, რომელსაც, თავის მხრივ, ეწევა საზოგადოება, ასევე მსგავს სფეროში მოქმედი კომპანიის ხელმძღვანელობის აკრძალვას.[421] მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი სფერო კანონით განმარტებული არაა, აქ უნდა იქნეს მოაზრებული ერთი ტიპის საქმიანობა. მაგალითად, ერთი კონკრეტული პროდუქციის მწარმოებელი კომპანიიდან, სხვა პროდუქტის მწარმოებელ კომპანიაში საქმიანობის გაგრძელება არ ჩაითვლება კონკურენციად, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი პროდუქტები ბაზარზე ერთმანეთის კონკურენტია. მაგალითად, ლუდის მწარმოებელი კომპანიიდან ღვინის მწარმოებელ კომპანიაში საქმიანობის გაგრძელება ვერ ჩაითვლება კონკურენციად.

კონკურენციის აკრძალვა არ არის აბსოლუტური ვალდებულება. ნორმატიული რეგულაციით კონკურენციად განიხილება, საზოგადოების თანხმობის გარეშე კონკურენტული საქმიანობის განხორციელება (53-ე მუხლი). კანონი განსაზღვრავს, როგორც თანხმობის გამცემ პირებს, ასევე თანხმობის შინაარსაც. კერძოდ, თანხმობა შეიძლება გაიცეს როგორც ზოგადად, ისე მხოლოდ კონკრეტულ საქმიანობაზე, გარიგებათა სახეზე და სამეწარმეო საზოგადოებაში მონაწილეობაზე. თანხმობას გასცემს ის პირი, ვინც ნიშნავს ხელმძღვანელს - პარტნიორთა საერთო კრება ან სამეთვალყურეო საბჭო (ასეთის არსებობის შემთხვევაში). კანონის მიხედვით დაუშვებელია თანხმობის გაცემაზე დაუსაბუთებლად

ამავდროულად მხარეთა შეთანხმებით ერთგულების მოვალეობისგან სრულად გათავისუფლებაც დაუშვებელია. მაგალითად, იმ პირობებში, რომ კანონი არ არეგულირებდა კომერციული შანსების მისაკუთრების აკრძალვას, დირექტორთან დადებული ხელშეკრულებით შესაძლებელი იყო ამ საკითხის დარეგულირებაც. თუმცა ხელშეკრულებით ვერ მოხდებოდა მაგალითად, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების მოვალეობისგან გათავისუფლება, რადგანაც აღნიშნული წარმოადგენდა კანონისმიერ მოვალეობას.

421 1994 ნლის კანონში ამ მოვალეობას ეწოდებოდა ინტერესთა კონფლიქტი (მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი) დამატებით იხ.: *ქინქლაძე*, კონკურენციის აკრძალვა, როგორც პასუხისმგებლობის საფუძველი, გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში, 2003, 130-131.

უარის თქმა. შეიძლება ითქვას, რომ თანხმობაზე უარის დასაბუთება საზოგადოებისათვის გაუმართლებელი ტვირთია. საზოგადოებისთვის და შესაბამისად, თანხმობის გამცემი პირებისთვის, ამოსავალია საზოგადოების ინტერესების დაცვა, სწორედ ამიტომ უფრო მნიშვნელოვანია დასაბუთებული იყოს თანხმობა კონკურენციაზე, ვიდრე თანხმობაზე უარი. თავად თანხმობის გამცემი პირების ინტერესებშიც არის, რომ დაასაბუთოს თანხმობა და ამ გზით დააზღვიოს კონკურენციის შედეგად, დამდგარი ზიანისათვის შესაძლო პასუხისმგებლობის რისკი (განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ თანხმობის გამცემია სამეთვალყურეო საბჭო). რეგულირების დისპოზიციურობიდან გამომდინარე, წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს თანხმობის დასაბუთების ვალდებულებასაც.

აღსანიშნავია, რომ თანხმობა გაცემულად ითვლება, თუ ხელმძღვანელად დანიშვნისას პარტნიორები ფლობდნენ ინფორმაციას დირექტორის კონკურენტული საქმიანობის შესახებ და ამ საქმიანობის შეწყვეტა მისთვის არ მოუთხოვიათ.

კონკურენციის აკრძალვის საკანონმდებლო მოდელში არ არის დარეგულირებული დირექტორის მხრიდან კონკურენციის თაობაზე შეტყობინების ვალდებულება. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ კონკურენცია აკრძალულია მხოლოდ იმ პირობებში, როცა კონკურენტული საქმიანობის განხორციელებაზე თანხმობა არ არსებობდა, ლოგიკურია, რომ თანხმობის მოპოვების მიზნით, დირექტორს ეკისრებოდეს კონკურენციის არსებობის/ წარმოშობის შესახებ პარტნიორთათვის შეტყობინების ვალდებულებაც. შიდა ორგანიზაციული ურთიერთობის ეს ასპექტი, ასევე შეიძლება იყოს დარეგულირებული წესდებით, მიუხედავად იმისა ითვალისწინებს თუ არა ამის შესაძლებლობას კანონი.

კონკურენციის აკრძალვის მოვალეობა, გარდა უფლებამოსილების განხორციელების მთელი პერიოდისა, შეიძლება ძალაში დარჩეს თანამდებობიდან წასვლის შემდეგაც. თანამდებობიდან წასვლაში იგულისხმება ხელმძღვანელი პირის როგორც ნებაყოფლობითი გადადგომა, ასევე გათავისუფლება საერთო კრების მიერ. ყოფილ ხელმძღვანელ პირებზე

კონკურენციის აკრძალვის მოვალეობა ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს შეთანხმებული იყო მხარეებს შორის ხელშეკრულებით (როგორც სასამსახურო, ასევე სხვა დამოუკიდებელი შეთანხმებით). კანონის 53-ე მუხლი არ განსაზღვრავს შეთანხმების ფორმას, თუმცა საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეთანხმება დადებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით. ცალმხრივად, ისეთი დოკუმენტით, რომლის მხარე არაა დირექტორი, კონკურენციის აკრძალვის ვალდებულების დაკისრება ვერ ჩაითვლება სავალდებულო ძალის მქონედ. აუცილებელია, რომ თავად დირექტორმაც გამოხატოს თანხმობა, არა მხოლოდ ვალდებულების აღების თაობაზე, არამედ ამ ვალდებულების შესრულების ისეთ პირობებზე, როგორიცაა ვალდებულების ვადა, სანაცვლო კომპენსაციის ოდენობა და გადახდის პირობები.

ამდენად, შეთანხმებით აუცილებლად უნდა განისაზღვროს რა ვადით ეკრძალება ყოფილ ხელმძღვანელს კონკურენცია. კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ვადა არის 3 წელი. თანამდებობიდან წასვლის შემდეგ კონკურენციის უვადოდ აკრძალვა ან სამ წელზე მეტი ვადით აკრძალვა იქნება ბათილი. ასევე ბათილი იქნება შეთანხმება, რომელიც არ განსაზღვრას რაიმე ვადას, რადგან ასეთი შეთანხმებით არ დასტურდება პირის ნება შებოჭილი იყოს მაქსიმალური ვადით.

კანონში გათვალისწინებულია ამ ვალდებულების დაცვის სანაცვლოდ კომპენსაციის გადახდის შესაძლებლობაც, რომლის ოდენობა და გადახდის წესი უნდა დადგინდეს სასამსახურო ხელშეკრულებით ან მხარეთა დამატებით შეთანხმებით. ამდენად, საკანონმდებლო რეგულირებით, კომპენსაციის გადახდა არ არის კანონისმიერი ვალდებულება, იგი დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმებაზე. თუკი ყოფილი ხელმძღვანელი თანახმაა უსასყიდლოდ აიკრძალოს ანალოგიურ საქმიანობის გაგრძელება, ასეთი შეთანხმება ბათილი არ იქნება.

დირექტორის მხრიდან კონკურენციის აკრძალვის მოვალეობის დარღვევა, საზოგადოებას ანიჭებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. ახალი რეგულაციით, ზიანთან ერთად ასევე შეიძლება მოთხოვნილი იყოს პირგასამტეხლოც

(53-ე მუხლის პირველი პუნქტი). თავისთავად პირგასამტეხლოს ოდენობა ასევე შეთანხმებული უნდა ხელშეკრულებით. ზიანის ანაზღაურების ნაცვლად, საზოგადოებას შეუძლია მოითხოვოს საკუთარი ან მესამე პირის სახელით დადებული გარიგებიდან დირექტორის მიერ მიღებული სარგებლის გადაცემა ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საზოგადოებას აქვს დისკრეცია აირჩიოს ზიანის ანაზღაურების ფორმა. არჩევანი უნდა გაკეთდეს საზოგადოების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ეკუთვნის საზოგადოებას, თუმცა მოთხოვნის უფლება შეიძლება განახორციელოს ხელმძღვანელმა ორგანომ, ხელმძღვანელმა პირებმა, სამეთვალყურეო საბჭომ და ასევე თითოეულმა პარტნიორმა დამოუკიდებლად ან ერთობლივად კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში (53-ე მუხლის პირველი პუნქტი) ე.ი. თუ პარტნიორის კანონით აქვს მინიჭებული მოთხოვნის განხორციელების უფლება). სპს-ში თითოეულ პარტნიორს აქვს უფლება მოსთხოვოს სხვა პარტნიორებს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიმართ არსებული ვალდებულებების შესრულება და ამის თაობაზე სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახელით წარადგინოს სარჩელი (103-ე მუხლის მე-2 პუნქტი) კანონი არ აკონტროლებს ვრცელდება თუ არა სარჩელის წარდგენის უფლება არაპარტნიორი/მოწვეული ხელმძღვანელის მიმართ (ანუ იმ შემთხვევაში თუ არ მოქმედებს საკუთარი ორგანოს კონცეფცია). სპს-ს ორგანიზაციული მოწყობის ხასიათიდან და ნორმის მიზნიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ პარტნიორებს ისევე აქვთ მოწვეული ხელმძღვანელის მიმართ მოთხოვნის უფლებები, როგორც ზოგადად გააჩნიათ ერთმანეთის მიმართ.

ბ.) საქმიანი შესაძლებლობების მისაკუთრების აკრძალვა

საქმიანი შესაძლებლობების (იგივე კორპორაციული შესაძლებლობები/ბიზნეს შანსების) მისაკუთრების აკრძალვა ერთგულების მოვალეობის კიდევ ერთი ქვემოვალეობაა,

რომელიც ამერიკულ სამართალში კორპორაციული შესაძ-ლებლობების დოქტრინის სახით განვითარდა.[422] კანონში აღ-ნიშნული მოვალეობის გათვალისწინება წარმოადგენს საკა-ნონმდებლო სიახლეს, რადგან 1994 წლის კანონი არ არეგუ-ლირებდა ამ საკითხს.[423]

ამ მოვალეობის შეფასებისას, პირველ რიგში, უნდა დად-გინდეს საქმიანი შესაძლებლობა ნამდვილად ეკუთვნოდა თუ არა საზოგადოებას. აღნიშნულის დასადგენად, ამერიკულ სასამართლო პრაქტიკაში განვითარდა რამდენიმე მიდგომა. ერთ-ერთის თანახმად უნდა დადგინდეს გააჩნდა თუ არა სა-ზოგადოებას ინტერესი ან მოლოდინი სადავო შესაძლებლო-ბის მიმართ. მეორე მიდგომის თანახმად, უნდა შეფასდეს კომერციული შესაძლებლობა ექცევა თუ არა საზოგადოების საქმიანობის სფეროში. თავის მხრივ, საზოგადოების საქმია-ნობის სფეროში ექცევა ყველა ის შესაძლებლობა ა) რომლის გამოყენებაც კორპორაციას ფინანსურად ხელეწიფება; ბ) თავისი ბუნებით კორპორაციის საქმიანობის სფეროში ექ-ცევა; გ) შესაძლებელია პრაქტიკული უპირატესობა (მოგება) მოუტანოს კორპორაციას; დ). რომლის მიმართაც კორპო-რაციას გააჩნია ინტერესი და გონივრული მოლოდინი; და ე) რომლის მითვისებითაც დირექტორის პირადი ინტერესი ნი-ნააღმდეგობაში მოექცევა კორპორაციის საუკეთესო ინტე-რესებთან.[424]

კორპორაციული შესაძლებლობების დოქტრინის ნაწილია დირექტორის მხრიდან ინფორმაციის გამჟღავნების ვალდე-ბულებაც. დირექტორს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს უფლე-ბა პირადად გამოიყენოს კორპორაციული შესაძლებლობა, როცა საზოგადოება განაცხადებს უარს შესაძლებლობებზე.

---

422 იხ.: *ჭანტურია,* კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 341- 349; იხ.: *ზუბიტაშვილი,* კორპორაციული შესაძლებლობების დოქტრინა ქართულ და ამერიკულ სამართალში, „სამართლის ჟურნალი", 2013, №2, 44-45.

423 თუმცა 1994 წლის კანონი ითვალისწინებდა დუმილის მოვალეობას, რომლის ფარგლებშიც ხელმძღვანელ პირებს ეკრძალებოდათ პირადი სარგებლის მიზნით ისეთი ინფორმაციის, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა უფლებამოსილების განხორციელების ან თანამდებობრივი მდგომარეობის შედეგად.

424 იხ.: *ზუბიტაშვილი,* კორპორაციული შესაძლებლობების დოქტრინა ქართულ და ამერიკულ სამართალში, „სამართლის ჟურნალი", 2013, №2, 45-48.

ამავდროულად უარი საზოგადოების მხრიდან შესაძლებლობის გამოყენებაზე სამართლიანია და გაცემულია არადაინტერესებული ხელმძღვანელი პირების მიერ ინფორმაციის სრულად გამოკვლევის საფუძველზე.

კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულია საქმიანი შესაძლებლობების აკრძალვის ნორმატიული მოცემულობა ეფუძნება კომერციული შესაძლებლობების ამერიკული დოქტრინის მოდელს. პირველ რიგში, კანონით დაკონკრეტებულია, რომ საქმიანი შესაძლებლობას აკრძალვა ეხება მხოლოდ ისეთ შესაძლებლობას, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოების საქმიანობის სფეროსთან.[425] კანონი ასევე განსაზღვრავს საზოგადოების მხრიდან თანხმობის საჭიროებას,[426] ასევე თანხმობის გამცემ სუბიექტს (საერთო კრება/საამეთვალყურეო საბჭო). თუმცა არ არის განსაზღვრული, თანხმობის გაცემის პირობები. იმის გათვალისწინებით, რომ თანხმობის გამცემ ძირითად სუბიექტს ანუ საერთო კრებას და მასში მონაწილე პარტნიორებს არ აკისრიათ გულისხმიერების მოვალეობა, მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფილი იყოს თანხმობის გაცემის პროცესში საზოგადოების ინტერესები (არადაინტერესებული პირების მიერ, ინფორმაციის გამოკვლევის საფუძველზე). [427]

ქართული მოდელის მიხედვით, კომერციული შესაძლებლობების აკრძალვის მოვალეობა სავალდებულო ძალას ინარჩუნებს ხელმძღვანელის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, თუკი ასეთი შეთანხმება მხარეთა შორის იქნა მიღწეული. კონკურენციის აკრძალვის მსგავსად, საზოგადოება ცალმხრივად ვერ დააკისრებს ამ ვალდებულებას ყოფილ ხელმძღვანელს.

---

425 იმისათვის, რომ დადგინდეს ეს კავშირი, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ზემოთ დასახელებული 5 კომპონენტიანი ტესტი.

426 დირექტორის მხრიდან გამჟღავნების აუცილებლობა მოაზრებულია, რამეთუ თანხმობის გაცემა ვერ მოხდება თუკი დირექტორის მხრიდან არ იქნება გამჟღავნებული საქმიანი შესაძლებლობების არსებობა და პირადი დაინტერესება.

427 როგორც ეს არის გათვალისწინებული კომერციული შესაძლებლობების ამერიკულ მოდელში. იხ.: *ზუბიტაშვილი*, კორპორაციული შესაძლებლობების დოქტრინა ქართულ და ამერიკულ სამართალში, „სამართლის ჟურნალი", 2013, №2, 50-51.

საქმიანი შესაძლებლობების აკრძალვის წესის დარღვევის შემთხვევაში, საზოგადოებას შეუძლია მოითხოვოს ან ზიანის ანაზღაურება ან საკუთარი ან მესამე პირის სახელით დადებული გარიგებიდან დამრღვევის მიერ მიღებული სარგებლის საზოგადოებისთვის გადაცემა ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობა. კონკურენციის აკრძალვის მოვალეობის დარღვევიდან ზიანის ანაზღაურების წესისგან განსხვავებით, კანონის 54-ე მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ საქმიანი შესაძლებლობის მისაკუთრებით დამდგარი ზიანის ფარგლებში, საზოგადოებას ასევე შეუძლია მოითხოვოს მიუღებელი შემოსავალიც - ე.ი შემოსავალი, რომელსაც საზოგადოება მიიღება ხელმძღვანელის მხრიდან დაცვის ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.[428]

ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ეკუთვნის საზოგადოებას, თუმცა მოთხოვნის უფლება შეიძლება განახორციელოს ხელმძღვანელმა ორგანომ, ხელმძღვანელმა პირებმა, სამეთვალყურეო საბჭომ და ასევე თითოეულმა პარტნიორმა დამოუკიდებლად ან ერთობლივად კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში (54-ე მუხლის მე-4 პუნქტი) ე.ი თუ პარტნიორის კანონით აქვს მინიჭებული მოთხოვნის განხორციელების უფლება). სპს-ში თითოეულ პარტნიორს აქვს უფლება მოსთხოვოს სხვა პარტნიორებს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიმართ არსებული ვალდებულებების შესრულება და ამის თაობაზე სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახელით წარადგინოს სარჩელი (103-ე მუხლის მე-2 პუნქტი) კანონი არ აკონტროლებს ვრცელდება თუ არა სარჩელის წარდგენის უფლება არაპარტნიორი/მოწვეული ხელმძღვანელის მიმართ (ანუ იმ შემთხვევაში თუ არ მოქმედებს საკუთარი ორგანოს კონცეფცია). სპს-ს ორგანიზაციული მოწყობის ხასიათისა და ერთგულების მოვალეობის მიზნის მხედველობაში მიღებით უნდა ვივარაუდოთ, რომ პარტნიორებს ისევე აქვთ მოწვეული ხელმძღვანელის მიმართ მოთხოვნის უფლებები, როგორც ზოგადად გააჩნიათ ერთმანეთის მიმართ. დისპოზიციური რეგულირების მეთოდის გამოყენებით, მიზანშეწონილია

428 სკ-ის 411-ე მუხლი.

წესდებით მოხდეს პარტნიორების სარჩელის უფლების განვრცობა მოწვეული ხელმძღვანელის მიმართ.

გ.) ერთგულების მოვალეობების ქვეჯგუფი, რომელსაც კანონი არ არეგულირებს

ერთგულების მოვალეობის ზემოთ განხილული კანონისმიერი მოცემულობა არის მინიმალური სტანდარტი, რომლის დაცვაც ხელმძღვანელ პირს მოეთხოვება. კანონის პირველი მუხლი ადგენს დისპოზიციურობის პრინციპს, რაც ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, გარდა სააქციო საზოგადოებისა, ანიჭებს დისკრეციას, წესდებით ან პარტნიორთა შეთანხმებით განსხვავებულად განსაზღვროს კანონის არაიმპერატიული დებულებებისგან განსხვავებული წესები, ამასთან წესდებით შეიძლება დარეგულირდეს ისეთი საკითხები, რომლებიც კანონით არ არის მოწესრიგებული, ან განივრცოს კანონის ის ნორმები, რომლებიც შესაბამის საკითხებს ამომწურავად არ აწესრიგებს. საზოგადოებისა და ხელმძღვანელი პირის სახელშეკრულებო ურთიერთობაში საზოგადოების ინტერესების დაცვა შეიძლება უფრო მაღალი სტანდარტით. მაგალითად, დუმილისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მოვალეობის დაკისრება, საკუთარ თავთან გარიგების დადების აკრძალვა, ასევე თავად კანონით გათვალისწინებული მოვალეობების პროცედურული მხარის დარეგულირება, მაგალითად, კონკურენციის ან კომერციული შესაძლებლობების აკრძალვის მოვალეობების ფარგლებში დირექტორის მხრიდან ასეთი გარემოებების გამჟღავნების ვალდებულებისა და შესაბამისი პროცედურის, ასევე საზოგადოების გასაცემი თანხმობის დასაბუთების მოთხოვნა. დისპოზიციურობის პრინციპის ძალით, კანონი იძლევა შესაძლებლობას, ხელმძღვანელს დაეკისროს პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო მოვალეობის დარღვევის გამოც. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სასამსახურო ხელშეკრულების შედგენის დროს მოხდეს ერთგულების მოვალეობის დეტალიზება. აქვე უნდა განიმარტოს, რომ მართალია ასეთ შემთხვევაში, ვალდებულების (და შესაბამისი პასუხისმგებლობის) პირდაპირი წყარო არის სასამსახურო

ხელშეკრულება, თუმცა ხელშეკრულებაში მათი არსებობა გამართლებული უნდა იყოს ფიდუციური მოვალეობის სულისკვეთებით ე.ი. ემსახურებოდეს საზოგადოების ინტერესების დაცვას. ფიდუციური მოვალეობა, ალტრუისტულად, მოითხოვს ყოველგვარ პირად ინტერესზე საზოგადოების ინტერესების უპირატესობას.[429] ეს არის ძირითადი აქსიომა, რომლითაც შეიძლება ვიხელმძღვანელოთ ერთგულების მოვალეობის განმარტებისას. სახელშეკრულებო პირობა, რომელიც ამ მიზანს ემსახურება ჩაითვლება სამართლებრივი ძალის მქონედ, მიუხედავად იმისა კანონით გათვალისწინებულია თუ არა. აქვე შეიძლება დაისვას საკითხი, დაეკისრება თუ არა ხელმძღვანელს პასუხისმგებლობა, ერთგულების მოვალეობის ისეთი დარღვევისათვის, რომელიც არც კანონით და არც ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული? მაგალითად, თუ დუმილის მოვალება არ არის გათვალისწინებული სასამსახურო ხელშეკრულებით, დავის შემთხვევაში დაკმაყოფილდება თუ არა ზიანის ანაზღაურების სასარჩელო მოთხოვნა დირექტორის წინააღმდეგ? მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა არ იძლევა ერთგულების მოვალეობის განმარტებას, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, ისევე როგორც სასამართლო პრაქტიკაში, ერთმნიშვნელოვნად არის აღიარებული, რომ ხელმძღვანელ პირებს ეკისრებათ ერთგულების მოვალეობა. ამდენად, ნებისმიერ შემთხვევაში ერთგულების მოვალეობის განმარტება მოხდება ამ მოვალეობის მიზნიდან გამომდინარე, რა დროსაც, კანონით დაურეგულირებელი ქმედება, რომელიც არ ჯდება კანონის 53-ე და 54-ე მუხლის მოქმედების ფარგლებში. შეფასდება კეთილსინდისიერების უზოგადესი მასშტაბით, რომლის არ დაკმაყოფილების შემთხვევაში ზიანი დაექვემდებარება ანაზღაურებას. ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი, ასეთ შემთხვევაში შეიძლება გამომდინარეობდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან და არა უშუალოდ მეწარმეთა შესახებ კანონიდან. [430]

---

429 იხ.: Rerevised Uniform Limited Partnership Act (2001) with official comments, National Conference of Commissioners on Uniform State Laws, Section 305.

430 რადგან კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტი არ ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების საფუძველს, როგორც ეს არის გათვალისწინებული ზრუნვის

დ.) დუმილის მოვალეობა

დუმილის მოვალეობის კლასიკური ფორმულა დირექტორს ავალდებულებს არ გამოიყენოს პირადი სარგებლისთვის ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მოვალეობის შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო.[431] დუმილის მოვალეობა განეკუთვნება ერთგულების მოვალეობის იმ ქვემოვალეობების ჯგუფს, რომელიც მხარეთა შეთანხმებით შეიძლება ძალაში დარჩეს თანამდებობიდან წასვლის შემდეგაც. იმ შემთხვევაში თუ ინფორმაცია წარმოადგენს საზოგადოების ინსაიდერულ ინფორმაციას, კომერციულ ან საბანკო საიდუმლოებას, დუმილის მოვალეობის დარღვევამ, შეიძლება შექმნას სისხლის სამართლის დანაშაულის შემადგენლობაც. [432]

1.6.4. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდება

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდება ასევე არის ერთგულების მოვალეობის კლასიკური მაგალითი, თუმცა 2021 წლის მეწარმეთა შესახებ კანონი ამ მოვალეობას ითვალისწინებს მხოლოდ სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ პირებთან მიმართებით (208-ე მუხლი). კანონით რეგლამენტირებული დისპოზიციურობის პრინციპის ძალით, შესაძლებელია, სააქციო საზოგადოებისთვის დადგენილი ინტერესთა კონფლიქტის წესები, წესდებით/შეთანხმებით სრულად ან ნაწილობრივ გათვალისწინებული იყოს სხვა ორგანიზაციულ ფორმებისთვისაც.

კანონის 208-ე მუხლის მიხედვით ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა ხელმძღვანელი პირის დაინტერესება დადებული ან დასადები გარიგების მიმართ.[433] ამდენად, კანონით

მოვალეობის (50-ე მუხლის მე-2 პუნქტი), კონკურენციისაა (53-ე მუხლის პირველი პუნქტი) თუ საქმიანი შესაძლებლობების მისაკუთრების (54-ე მუხლის მე-3 პუნქტი) შემთხვევაში.

431 იხ.: *ჟანტურია*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 360-370.

432 იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 202-ე მუხლი.

433 კანონის 208-ე მუხლის მიხედვით ინტერესთა კონფლიქტის სახეზე როცა დირექტორი: ა) გარიგების მეორე მხარეა; ბ) პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს იმ სამეწარმეო საზოგადოების წილთა 50 პროცენტს ან 50 პროცენტზე

რეგლამენტირებული ინტერესთა კონფლიქტი მოქმედებს მხოლოდ გარიგების მიმართ. ხელმძღვანელი პირი დაინტერესებულად ითვლება როგორც უშუალო პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ინტერესის შემთხვევაში. კერძოდ, გარიგების მიმართ მასთან დაკავშირებული პირის დაინტერესებაც მიიჩნევა ინტერესთა კონფლიქტად.[434] ხელმძღვანელ პირის ასევე აკისრია საერთო კრებისთვის/სამეთვალყურეო საბჭოსთვის ინტერესთა კონფლიქტის გამჟღავნების ვალდებულებაც. პასუხისმგებლობა ინტერესთა კონფლიქტის დარღვევისათვის გულისხმობს საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას და შეთანხმებული პირგასამტეხლოს გადახდა, ან ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ მოსთხოვოს საკუთარი ან მესამე პირის სახელით დადებული გარიგებიდან მიღებული სარგებლის საზოგადოებისთვის გადაცემა ან ამ უფლების დათმობა. გარიგება, რომელიც დაიდო ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევით, ითვლება საცილოდ ბათილად, იმ შემთხვევაში, თუ კონტრაჰენტმა ხელშეკრულების დადებისას იცოდა ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შესახებ.

1.6.5. საკუთარ თავთან გარიგების დადების აკრძალვა

საკუთარ თავთან გარიგების დადება, ერთგულების მოვალეობის დარღვევის ერთ-ერთი გავრცელებული სახეა. იგი განიხილება, როგორც დამოუკიდებელი ქვემოვალეობა.[435] არსობრივად საკუთარ თავთან გარიგების დადება ინტერესთა კონფლიქტის კლასიკური შემთხვევაა. სწორედ ამი-

---

მეტს, რომელიც გარიგების მეორე მხარეა; გ) პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს იმ სამენარმეო საზოგადოების წილთა 50 პროცენტს ან 50 პროცენტზე მეტს, რომლის სულ მცირე 50-პროცენტიანი წილის მესაკუთრე გარიგების მეორე მხარეა; დ) არის იმ სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირი ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომელიც გარიგების მეორე მხარეა; ე) გარიგების შედეგად იღებს სარგებელს, რომელიც სამეწარმეო საზოგადოებაში წილის ფლობასთან ან ხელმძღვანელი ორგანოს წევრობასთან დაკავშირებული არ არის; ვ) დაინტერესებულ პირად მიიჩნევა წესდების თანახმად.

434 დაკავშირებული პირი განიმარტება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მიხედვით.

435 იხ. *ჯანტურია,* კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 220.

ტომ საკუთარ თავთან გარიგების დადება რეგულირებულია კანონით რეგლამენტირებული ინტერესთა კონფლიქტის წესებით, თუმცა მხოლოდ სს-თან მიმართებით.[436] საკუთარ თავთან დადებულ გარიგებად ასევე მიიჩნევა ხელმძღვანელის მიერ საკუთარი ანაზღაურების/კომპენსაციის განსაზღვრა, პარტნიორებთან შეუთანხმებლად.[437] საკორპორაციო სამართლის მიღმა, საკუთარ თავთან გარიგების დადების დაუშვებლობა წარმომადგენლობის კერძოსამართლებრივი ინსტიტუტიც არეგულირებს. წარმომადგენლობაში საკუთარ თავთან გარიგების დადება აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ნებადართულია თავად წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამცემი პირის მხრიდან.[438]

1.6.6. ფიდუციური მოვალეობების სუბიექტი

ხელმძღვანელი პირი ორგანულ ურთიერთობაშია საზოგადოებასთან - პარტნიორებისგან დამოუკიდებელ, განცალკევებულ იურიდიულ პირთან და სწორედ მის წინაშეა პასუხისმგებელი. სწორედ ამიტომ ფიდუციური მოვალეობების ადრესატი შეიძლება იყოს მხოლოდ საზოგადოება. ამდენად, ხელმძღვანელ პირებს საზოგადოების წინაშე აკისრიათ გულისხმიერებისა და ერთგულების მოვალეობები.

დასავლურ იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ რეგისტრირებული დირექტორების გარდა, ფიდუციური მოვალეობებით ასევე შებოჭილი უნდა იყვნენ დე-ფაქტო და ჩრდილოვანი დირექტორებიც.[439] დე-ფაქტო დირექტორად მიიჩნევა პირი, რომელიც ღიად მართავს საზოგადოებას, თუმცა არ არის შესაბამისი წესით დანიშნული/ რეგისტრირებული, ხოლო ჩრდილოვან დირექტორად

---

436 ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა შემთხვევა, როცა დასადებ/დადებულ გარიგებაში მეორე მხარეს წარმოადგენს ხელმძღვანელი პირი, კანონის 208-ე მუხლის მიხედვით ეს წესები მოქმედებს მხოლოდ სააქციო საზოგადოებაში.

437 იხ. Charlette v. Charlette Bros.Foundry, Inc., 59 Mass. App. Ct. 34 2003. სასამართლოს განმარტებით ასეთ შემთხვევაში დირექტორს ეკისრება მტკიცების ტვირთი და უნდა დაადასტუროს რომ ანაზღაურება იყო სამართლიანი და არ მიყენებია ზიანი საზოგადოებისთვის.

438 იხ. სკ-ის 114-ე მუხლი.

439 იხ. *Gower, Davis,* Principles of Modern Company Law, 2008, 483.

მიიჩნევა პირი, რომელიც ფარულად მართავს/უძღვება საქმეებს.[440] რთულ კორპორატიულ სტრუქტურაში, ჩრდილოვან დირექტორად შეიძლება მიჩნეულ იყოს პირი, რომელიც გარე სამართლებრივ ურთიერთობაში არ ჩანს, თუმცა გავლენას ახდენს/ითანხმებს ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილებებს. ქართული საკორპორაციო სამართალი დუმილისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მოვალეობებს, ყოველთვის აკისრებდა ხელმძღვანელ პირებს, რომლებიც თავის მხრივ, საჭიროებენ წესდებით/კანონდებლობით დადგენილი წესით დანიშვნას/რეგისტრაციას. დე-ფაქტო და ჩრდილოვანმა დირექტორებმა, რომელთაც, მართალია, გარე სამართლებრივ ურთიერთობებში არ აქვთ ორგანული ლეგიტიმაცია, შიდა სამართლებრივ ურთიერთობაში განხორციელებული ქმედებებით შეიძლება ზიანი მიაყენონ საზოგადოებას. ამდენად, ლოგიკას არ არის მოკლებული დე-ფაქტო და ჩრდილოვან დირექტორებზეც ვრცელდებოდეს ფიდუციური მოვალეობის სტანდარტი.

1.7. მოგებისა და ზარალის განაწილება

მიუხედავად იმისა, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობისა და კომანდიტურ საზოგადოებებში წინა პლანზე იმავე კაპიტალური საზოგადოებებისგან განსხვავებით დგას არა კაპიტალი, არამედ პირთა ერთობლივი გაერთიანება და მათი საქმიანობა დასახული მიზნის მისაღწევად, აღნიშნულმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს რაიმე ეჭვი ასეთი ამხანაგური საზოგადოებების საბოლოო დანიშნულების თაობაზე. ამხანაგური საზოგადოებები წარმოადგენენ ჩვეულებრივ კომერციულ (სამეწარმეო) საზოგადოებებს, რომელთა მიზანიც მოგების მიღებაა და აღნიშნული მიზანი ამოძრავებთ მათ წევრებსაც.[441]

---

440 იქვე, 484.

441 როგორც უკვე აღინიშნა, ამხანაგურ საზოგადოებებში (სპს, კს) საზოგადოების ჩამოყალიბების საფუძველს წარმოადგენს პირთა პერსონიფიცირებული გაერთიანება, ხოლო კაპიტალურ საზოგადოებაში, თვითონ დასახელებიდან გამომდინარე, აღნიშნულის ფუნქციას ასრულებს კაპიტალი, თუმცა ორივე შემთხვევაში საბოლოო მიზანი არის მოგების მიღება და ამ მხრივ აღნიშნული სამეწარმეო სუბიექტები მხოლოდ ამ მიზნის მიღწევის სამართლებრივი

მენარმეთა შესახებ 1994 წლის კანონი თავის თავდაპირველი რედაქციით ითვალისწინებდა მოგებისა და ზარალის განაწილების შესახებ კონკრეტულ დანაწესებს, თუმცა შემდგომში შესული ცვლილებებით ეს დებულებები ჩანაცვლდა საკმაოდ ზოგადი დისპოზიციური წესებით, რომლებიც ფაქტობრივად სამართალურთიერთობათა მოწესრიგების ნაცვლად უფრო საღი აზრისა და საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკის მარტივი კონსტანტაციით კმაყოფილდებოდა (მაგალითად, რომ მოგება სამეურნეო წლის ბოლოს უნდა ყოფილიყო შედგენილი და გამოთვლილიყო პარტნიორთა წილი, თუმცა ესეც შესაძლებელია წესდებით განსხვავებულად ყოფილიყო მოწესრიგებული).[442] მენარმეთა შესახებ ახალი 2021 წლის კანონით საერთაშორისო და ძირითადად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სავაჭრო კოდექსის *(HGB)* საფუძველზე ისევ არჩეულ იქნა უფრო დეტალური მოწესრიგება, რომელიც თავდაპირველი რედაქციით გათვალისწინებული დებულებების მსგავსი ან სულაც იდენტურია. აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ წინათ მოქმედი კანონის წყაროც გერმანული და ავსტრიული სამოქალაქო და სავაჭრო კოდექსები იყო.[443]

საქართველოს მენარმეთა შესახებ ახალი 2021 კანონის დისპოზიციური ნორმის[444] თანახმად, სპს-ში წლიური მოგება ან ზარალი დგინდება ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, თუმცა აღნიშნული შესაძლოა სხვანაირად იყოს დადგენილი წესდებით. მოგება წარმოადგენს სააღრიცხვო დღეს საზოგადოების ქონების აქტივების პოზიტიურ ნამეტს ვალდებულებე-

---

საშუალებებით განსხვავდებიან. იხ: *მახარობლიშვილი,* მენარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამიჯვნა კაპიტალურ საზოგადოებათა სანყისებზე, „სამართლის ჟურნალი", №2, 2011, 100.

442 „მენარმეთა შესახებ" 1994 წლის საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

443 *ცერცვაძე,* სამენარმეო სამართლის განვითარების საჯარო და კერძოსამართლებრივი ასპექტები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საიუბილე კრებულში: ლადო ჭანტურია 50, 2013, 12-13, 30. *ბურდული, (რედ.)., მახარობლიშვილი, ეგნატაშვილი, გიგუაშვილი,* თანამედროვე ქართული სამენარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები), 2016, 12.

444 104-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ბთან შედარებით, ხოლო ზარალი ამ ორს შორის უარყოფითი მაჩვენებელია ანუ როდესაც ვალდებულებები აქტივებს აღემატება.[445] კანონის თანახმად,[446] სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ყოველ პარტნიორს აქვს უფლება, სამეურნეო წლის ბოლოს დადგენილი წლიური მოგებიდან დივიდენდი მოითხოვოს. ასეთი დივიდენდი კი უნდა შეადგენდეს საზოგადოების კაპიტალში ამ პარტნიორის წილის თანხის 4 პროცენტს.[447]

ამრიგად ზემოაღნიშნული პუნქტიდან გამომდინარე, სპს-ს პარტნიორს უფლება აქვს იმ თანხაზე, რომელიც მის მიერ საზოგადოებაში შეტანილი *წილის* 4%-ია (და არა ამ წლიური მოგების). მარტივი მაგალითის სახით, თუ ავიღებთ სპს „სოლიდარს", რომელსაც ორი კომპლემენტარი ჰყავს - ა და ბ, რომელთაგანაც პირველმა 70 ათასი ლარი შეიტანა, ხოლო მეორემ 40 ათასი ლარი, სამეურნეო წლის ბოლოს მათ უფლება ექნებათ მოითხოვონ მოგებიდან (ვთქვათ მილიონი ლარიდან) ამ ზემოაღნიშნული შეტანილი თანხების[448] 4% ანუ ა-ს შემთხვევაში - 2400 ლარი (70 000 ლარის 4%) და ბ-ს შემთხვევაში - 1700 ლარი (40 000 ლარის 4%). ასეთი 4% დანაწესის მთავარი მიზანია საზოგადოების ძირითადი კაპიტალის შენარჩუნება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ამხანაგურ საზოგადოებებში კაპიტალი უკანა ფონზე გადადის და მთავარ ადგილს პირთა გაერთიანება და მათი ერთობლივი საქმიანობა იკავებს.

იმ შემთხვევაში, თუ ასეთი წლიური მოგების თანხა საკმარისი არ არის, დივიდენდის დაანგარიშების პროცენტიც შესაბამისად იქნება შემცირებული. უკანასკნელი გულისხმობს იმ შემთხვევას, როდესაც წლის ბოლოს მიღებული მოგების პროპორციულად განაწილებისას აღნიშნული პარტნიორის წილის 4 პროცენტიან ბარიერს ვერ აკმაყოფილებს. თუ ზემო-

---

445 *Palandt*, Bürgerliches Gesetzbuch, 77 Aufl.,Verlag C.H.Beck oHG, München, 2018, §721, Rn.1, s.1299.

446 105-ე მუხლის პირველი პუნქტი.

447 შეად. გერმანული სავაჭრო კოდექსის, HGB, §120 პარაგრაფს.

448 კანონის თანახმად *წილის* ტოლი თანხის და არა შენატანის. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბუნებრივია ივარაუდება, რომ შეტანილი თანხა წილის შესაბამისი თანხის პროპორციულია.

აღნიშნულ სპს „სოლიდარის" მაგალითში სამეურნეო მოგება მხოლოდ 1 000 ლარია ანუ ვერ აკმაყოფილებს ვერც ა-ს და ვერც ბ-ს მიერ შეტანილი წილის 4%-იან ბარიერს (როგორც ზემოთ აღინიშნა, 2400 და 1700 ლარი შესაბამისად), მაშინ ამ დროს პროცენტიც პროპორციულად უნდა შემცირდეს. ეს ნიშნავს, რომ, უპირველეს ყოვლისა, გამოითვლება მოგება (1 000) ლარი მთლიანი კაპიტალის რამდენი პროცენტია (ამ შემთხვევაში არის 1%) და ამგვარად როგორც ა-ს, ასევე ბ-ს უფლება ექნებათ მოითხოვონ მოგებიდან საკუთარი წილის პროპორციულად 1% (შესაბამისად, 700 და 400 ლარი).

მოგებისა თუ ზარალის გამოთვლის შემდეგ შესაძლებელია დარჩეს თანხა, რომელიც ყველა პარტნიორს შორის თანაბრად უნდა იყოს გადანაწილებული. თუ მაგალითად სპს „სოლიდარში" სადაც ორი პარტნიორია: ა და ბ და წილების მიხედვით 4% გადანაწილების შემდეგაც დარჩენილი იქნება 90 000 ლარი, აღნიშნული ორივე პარტნიორს შორის თანაბრად უნდა გადანაწილდეს და თითოეული მიიღებს 45 000 ლარს. ამგვარადვე თუ მოგების ნაცვლად სამეურნეო წლის ბოლოს დაფიქსირდება ზარალი 70 ათასი ლარის ოდენობით, აღნიშნულიც თანაბრად უნდა იყოს გადანაწილებული პირებს შორის ანუ თითოეულზე 30 ათასი ლარის ოდენობით.

საყურადღებოა, რომ „მენარმეთა შესახებ" 2021 წლის საქართველოს კანონის პროექტზე განმარტებითი ბარათის თანახმად, „კანონპროექტი მხოლოდ დისპოზიციურად განსაზღვრავს წილობრივი მონაწილეობის გამოანგარიშებისა და *ქონების განაწილების* წესებს". ამავე განმარტებითი ბარათის მიხედვით, სპს-ში მოგების განაწილების დისპოზიციური ნორმაც სპს-ს ამხანაგური ბუნების გათვალისწინებით იქნა დადგენილი. ამგვარი ამხანაგურ ბუნება „პარტნიორთა თანაბარი შენატანისგან დამოუკიდებელი უფლება-მოვალეობებისგან" შედგება.[449] ამხანაგურ საზოგადოებებში და განსაკუთრებით კი სპს-ში, ასეთი თანასწორობის პრინციპი მისი ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპის გამომხატველია[450] და

449 „მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე კანონპროექტები, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4962987?publication=0>.

450 ეს ჩანს მაგალითად, მაგალითად, 101-ე მუხლის პირველ პუნქტში, რომელიც

კანონპროექტის განმარტებით ბარათში მოცემული ეს დებულება სრულად შეესაბამება დღევანდელი მოქმედი კანონის სულისკვეთებასაც.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ჩამოყალიბება მოგებისა და ზარალის განაწილების შესახებ შეთანხმებას თავიდანვე აუცილებლად მოიცავს. ლოგიკურია, რომ რადგანაც ამხანაგურ საზოგადოებაში მონაწილე პირთა საბოლოო მიზანი მოგების მიღება არის, აღნიშნულის თაობაზე შეთანხმებაც ფორმირების ეტაპზევე უნდა არსებობდეს. მოგებისა და ზარალის განაწილების შეთანხმება შეიძლება ითქვას, რომ წარმოადგენს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების[451] ერთ-ერთ მთავარ დამახასიათებელ ნიშანს.[452]

იმისათვის რომ მოგების განაწილების საკითხი დღის წესრიგში დადგეს, სამეურნეო წლის ბოლოს უნდა დაფიქსირდეს მოგება და პარტნიორებს თავიანთი ვალდებულებები სრულად უნდა ჰქონდეთ შესრულებული, რაც უპირველეს ყოვლისა, შენატანის მთლიანად შეტანას გულისხმობს. იმ შემთხვევაში პარტნიორის შენატანი მთლიანად არ იქნება განხორციელებული, პარტნიორის წილი მოგება მისსავე შენატანს მიემატება.[453] მაგალითად, თუ პარტნიორის შენატანი უნდა ყოფილიყო 7000 ლარი, მაგრამ მან მხოლოდ 5000 ლარი შეიტანა, პარტნიორის წლიური წილი მოგება 1000 ლარი დაემატება შენატანს და საბოლოო თანხა 7000 ლარი იქნება. ამგვარი სახით უზრუნველყოფილი იქნება პარტნიორების მიერ შეთანხმებული ვალდებულებების შესრულება და საზოგადოების კაპიტალის შევსება, რაც ხელს შეუწყობს მის ფუნქციონირებას ბაზარზე. ალოგიკური იქნებოდა უშუალოდ

საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლებას ანიჭებს ნებისმიერ პარტნიორს, თუ, რა თქმა უნდა, წესდებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული ან თუ წესდებით ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით აღჭურვილად კონკრეტულად განსაზღვრული არ იქნება ერთი ან რამდენიმე პირი (101-ე მუხლის მეორე პუნქტი). ასევე, როგორც აღვნიშნეთ, დარჩენილი მოგებისა და ზარალის ნაწილდება თანაბრად, 105-ე მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად.

451 და ზოგადად ამხანაგურ და კაპიტალურ საზოგადოებათა.

452 *ხარაიშვილი*, ამხანაგობის ტიპის საზოგადოებათა სამართლებრივი სტატუსი სისტემ-შედარებით კონტექსტში, „სამართლის ჟურნალი", №2, 2012, 165-166.

453 კანონის 104-ე მუხლის მეორე პუნქტი.

პარტნიორისათვის წილი მოგების მიკუთვნება იმ დროს, როდესაც მას წესდებით დადგენილი ვალდებულებები მთლიანად არც აქვს შესრულებული.

მსგავსადვე წესრიგდება ზარალის განაწილებაც. 104-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, პარტნიორის წილი ზარალი (და მის მიერ სპს-ს ანგარიშიდან გახარჯული თანხაც, რაზეც საუბარი ქვემოთ იქნება) გამოექვითება ამ პარტნიორის წილ მოგებას. თუ მაგალითისთვის სპს „ერთობაში" ორი პარტნიორია - ბ და გ, თითოეულის შენატანი არის თანაბრად 5000 ლარი, წლიური ზარალი 2000 ლარი, პარტნიორი ბ-სა და გ-ს წილი ზარალი იქნება 1000 ლარი და ეს თანხა გამოაკლდება მათ შენატანს (5000-1000) და თითოეულს წილი თანხა ექნება 4000 ლარი. ამგვარად კანონი არა მარტო მოგების, არამედ ზარალის მიმართაც ადგენს პარტნიორთა სრული თანაბრობის პრინციპს და სპს-ს კუთვნილი აქტივებით სარგებლობისას მას პარტნიორის პირად პასუხისმგებლობას მიეკუთვნება.

რადგან საზოგადოების პარტნიორებს შეუძლიათ საზოგადოებაში შენატანს თანხაც დაუმატონ, შესაძლებელია რომ სამეურნეო წლის ბოლოს იყოს იმგვარი სიტუაცია, როდესაც წლის განმავლობაში შეტანილი ცვლილებებით გაიზარდა პარტნიორის წილი და ამგვარად საზოგადოების კაპიტალი. ბუნებრივია რომ ასეთი შენატანი მოგების გაანგარიშებისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული, რადგანაც გაიზარდა პარტნიორის წილი კონტრიბუცია საზოგადოებაში, მაგრამ სამართლიანიც არ იქნებოდა ამგვარი თანხის მთლიანი ოდენობის გათვალისწინება, რადგანაც სამეურნეო წლის დასაწყისში ეს თანხა ჯერ არ იყო შეტანილი და საზოგადოება ამ სახსრების გარეშე მოქმედებდა. ამავდროულად, პარტნიორებსაც ექნებოდათ საშუალება მარტივი ხრიკით სამეურნეო წლის ბოლოსათვის შეეტანათ თანხა და ამგვარად მიეღო გაზრდილი მოგება მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მთლიანი წლის განმავლობაში აღნიშნული ოდენობით ისინი სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში არ მონაწილეობდნენ. ამიტომაც კანონით დადგენილია, რომ მხედველობაში მიღებული იქნება მხოლოდ ის დროის პერიოდი, რაც ამ

განხორციელების თარიღიდან სამეურნეო წლის ბოლომდე იყო დარჩენილი. იგივე წესი მოქმედებს პარტნიორის მიერ საზოგადოებაში მისი წილიდან თანხის გახარჯვის შემთხვევაშიც.[454]

თუ, მაგალითად პარტნიორმა ა-მ სპს-ში 1 ივნისს შეიტანა დამატებითი 1000 ლარი და საზოგადოებაში სამეურნეო წლის ბოლო კალენდარული წლის ბოლოს ემთხვევა (ანუ 31 დეკემბერია), მაშინ ამ შემთხვევაში იმავე დივიდენდის განაწილების დროს მხედველობაში მიღებული იქნება აღნიშნული თანხის ნახევარი (500 ლარი), რადგანაც შენატანის განხორციელებიდან სამეურნეო წლის ბოლომდე დროის პერიოდი აღნიშნული სამეურნეო წლის ნახევარს (ექვს თვეს) შეადგენს. ამგვარადვე, თუ სპს-ს კაპიტალში შენატანის შეტანის ნაცვლად, პარტნიორი თანხას გამოიტანს, აღნიშნულიც ასევე იქნება გათვალისწინებული ზემოაღნიშნული მეთოდით. 1 ოქტომბერს თუ პარტნიორი ა საკუთარი წილიდან გამოიტანს 1000 ლარს, მაშინ სამეურნეო წლის ბოლოს ანგარიშგებისას მხედველობაში იქნება მიღებული ამ თანხის მეოთხედი (250 ლარი ანუ სამეურნეო წლის ბოლოს პარტნიორის წილ თანხას 250 ლარი გამოაკლდება), რადგანაც ამ შემთხვევაში ამ კონკრეტული სახსრებით პირის მონაწილეობა საზოგადოებაში სამეურნეო წლის მეოთხედს (ერთი კვარტალი - ოქტომბერ-დეკემბერი) შეადგენდა.[455]

მთლიანობაში მეწარმეთა შესახებ კანონი საკმაოდ კონკრეტულად აწესრიგებს საზოგადოებაში მოგებისა და ზარალის განაწილების საკითხს, თუმცა იმთავითვე გასათვალისწინებელია, რომ, შესაძლოა საზოგადოების პარტნიორებმა განსაზღვრონ კანონით დადგენილი დებულებებიდან განსხვავებული დანაწესი.[456] ბუნებრივია, ის არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს, სამართლისა და საკორპორაციო-სამართლებრივ პრინციპებს. მაგალითად, პარტნიორე-

454 კანონის 105-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

455 აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ გერმანიის სავაჭრო კოდექსის, HGB, 121-ე პარაგრაფი. ასევე: *Habersack, Schäfer C.,* Das Recht der OHG: Kommentierung der §§105 bis 160 HGB, Walter de Gruyter GmbH & Co. KG, Berlin, 2010, Rn. 13, s.669-670.

456 105-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

ბის ნებისმიერი შეთანხმება, რომლის თანახმადაც რომელიმე კონკრეტული პარტნიორი ამოღებული იქნება მოგების განაწილებიდან ან მხოლოდ საზოგადოების ზარალის ანაზღაურებაში მიიღებს მონაწილეობას ან გათავისუფლებული იქნება კრედიტორების წინაშე აღებული ვალდებულებებისგან, არის ავტომატურად ბათილი.[457]

საკორპორაციო სამართალი ასევე მიმართულია პარტნიორის მიერ სამართლიანად მიღებული მოგების დაცვისაკენ. მოგება განაწილებისა და მიღების შემდგომ პარტნიორის საკუთრება ხდება და მასზე რაიმე მოთხოვნის წაყენების უფლება საზოგადოებას აღარ აქვს. ამ შემთხვევაში დათქმას შეიცავს საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ", რომელიც პარტნიორის უფლებას, უარი თქვას მოგების დაბრუნებაზე, წინაპირობად უყენებს *„კეთილსინდისიერად და სათანადოდ შედგენილ ბალანსს,"* როგორც ამ მოგების მიღების საფუძველს.[458] აღნიშნული მუხლიდან შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ, თუ ბალანსი შეუსაბამოდ ან არაკეთილსინდისიერად არის შედგენილი, პარტნიორის მიერ მოგების მიღება შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს და მას დაეკისროს ვალდებულება, ასეთი მოგება საზოგადოებას უკან დაუბრუნოს.

თვითონ ამხანაგური საზოგადოების ბუნებიდან გამომდინარე, რადგანაც ეს არის პირთა მჭიდრო კავშირზე დაფუძნებული გაერთიანება, რომელიც ხშირად არაფორმალური ხასიათით გამოირჩევა, შესაძლებელია პარტნიორის ფინანსური და სამართლებრივი ურთიერთობა იმავე საზოგადოების კაპიტალთან მხოლოდ ერთმხრივი არ იყოს - ანუ მხოლოდ მას შეჰქონდეს თავდაპირველი თუ დამატებითი შენატანი. შესაძლებელია, რომ ფული გამოტანილიც იყოს საზოგადოების სალაროდან ამ პირის პირადი მოხმარებისათვის. აღნიშნული ფაქტობრივად წარმოუდგენელი იქნებოდა კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში, სადაც იმავე მეწილეთა და აქციონერთა ურთიერთობა საზოგადოების კაპიტალთან მკაცრად არის რეგულირებული, თუმცა სპს-სა და კს-ში, როგორც ამხანაგური ტიპის საზოგადოებებში, რომელთაც უფრო პირადი,

457 *ლა ზარა შვილი,* სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება; 2003, 114-115.

458 კანონის 105-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

„პერსონალური ბუნება“ აქვთ[459] ეს შესაძლებელია. ამასთან მიმართებაში კანონი უკვე იმპერატიული დებულებებით აწესრიგებს[460] და წესდებით მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში არის შესაძლებელი მათი ცვლილება.

პარტნიორს უფლება აქვს, საკუთარი ხარჯებისათვის საზოგადოების აქტივებიდან გამოიტანოს თანხა. ზღვრულ ოდენობად დადგენილია წინა წლის სამეურნეო წელს პარტნიორისათვის მიკუთვნებული წილი კაპიტალის 10% თანხა. ეს ნიშნავს, რომ თუ წინა წლის ფინანსური ანგარიშგებით, პარტნიორს წილი კაპიტალის სახით ეკუთვნის 100 000 ლარი, მას უფლება ექნება ამ თანხის მაქსიმუმ 10% ანუ 10 000 ლარი გამოიტანოს სპს-ს სალაროდან. აღნიშნული ლიმიტის თაობაზე კითხვა შეიძლება დაისვას შესაძლებელია თუ არა წესდებით გათვალისწინებული იყოს უფრო მაღალი ოდენობა (ვთქვათ 40%).[461] რადგანაც აღნიშნული 10 პროცენტიანი ზღვრის შესახებ სიტყვიერი ფორმულირება აშკარად იმპერატიულია და ვინაიდან კანონში პირდაპირ აღნიშნულია განსხვავებული დანაწესის მხოლოდ ერთი კონკრეტული შემთხვევა, რომელიც უკვე არსებული საკანონმდებლო დანაწესებზე უფრო მკაცრი მოთხოვნების დადგენას ითვალისწინებს (საერთო კრებისგან თანხმობის მიღების აუცილებლობა), უნდა ვივარაუდოთ, რომ წესდებით მართლაც შესაძლებელია დადგენილი იქნას განსხვავებული წესი, რომელიც თუმცა არ უნდა აღემატებოდეს ამ 10%-იან ზღვარს. აღნიშნული ინტერპრეტაცია უფრო შეესაბამება როგორც საერთაშორისო პრაქტიკას,[462] და ასევე უფრო გამომდინარეობს თვითონ საზოგადოების ფუნქციონირების ინტერესებიდანაც,. რადგანაც

---

459 *ლა ზარაშვილი*, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 2003, 120.

460 კანონის 106-ე მუხლი.

461 იქვე, მე-2 პუნქტზე დაყრდნობით,რომელიც პარტნიორებს უფლებას ანიჭებს, წესდებით კანონისგან განსხვავებული წესები დაადგინონ, მათ შორის ფულის საკუთარი ხარჯების მიზნით გამოტანისათვის საერთო კრებისგან თანხმობის მიღების აუცილებლობა.

462 მაგალითად, გერმანიის სავაჭრო კოდექსის 122-ე პარაგრაფით, რომელიც ასევე ეხება პარტნიორის მიერ საკუთარი ხარჯებისათვის ფულის გამოტანას და რომლის პირდაპირ რეცეფციას წარმოადგენს კანონის 106-ე მუხლი, პარტნიორის მიერ საკუთარი წილის თანხის მხოლოდ 4%-მდე გამოტანა არის შესაძლებელი და მუხლი არ ითვალისწინებს რაიმე განსხვავებული წესის დადგენას.

რთული წარმოსადგენი იქნებოდა სპს-ს მიერ მოქმედებების განხორციელება და ბაზარზე ნორმალური ფუნქციონირება, თუ ნებისმიერ პარტნიორს ნებისმიერ დროს სალაროდან მთლიანი კაპიტალის ნახევრის ან უფრო მეტის გატანაც შეეძლებოდა. თვითონ ეს ნორმაც მიმართულია სპს-ს საზოგადოების კაპიტალის, როგორც სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი გარანტიის, შენარჩუნებისა და ზოგადად მისი ფაქტობრივი მდგომარეობის გამყარებისკენ.[463]

გარდა საკუთარი ხარჯებისათვის ფულის გამოტანისა, პარტნიორს ასევე უფლება აქვს უკანასკნელი წლის მოგებიდან საკუთარი წილი მოგება მთლიანად გამოიტანოს, მაგრამ აქ მნიშვნელოვან წინაპირობაა დადგენილი: აღნიშნული საზოგადოებას აშკარა ზიანს არ უნდა აყენებდეს. „აშკარა ზიანის" ქვეშ, უპირველეს ყოვლისა, სპს-ს ფინანსური შესაძლებლობები უნდა ვიგულისხმოთ და ეს თითოეული ცალკეული შემთხვევისას უნდა შეფასდეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ თუ პარტნიორის წილი და შესაბამისად მოგება სპს-ში მნიშვნელოვანია და მის მიერ ამ თანხის გამოტანა სერიოზულ ზემოქმედებას მოახდენს ზოგადად სპს-ს და მის გადახდისუნარიანობაზე რომელიმე კონკრეტულ მომენტში, თუ ასეთი კაპიტალი საჭიროა თვითონ სპს-ს შენარჩუნებისა და განვითარებისათვის ან რაიმე ინვესტიციის განსახორციელებლად,[464] ამ მოგების გამოტანის უფლება პარტნიორს არ ექნება. გარდა საკუთარი ხარჯების მიზნით თანხისა და ასევე წილი მოგების გამოტანისა, პარტნიორს არ აქვს უფლება სხვა რაიმე მიზნისათვის მოაკლოს თანხა თავის წილ კაპიტალს, თუ აღნიშნულის თაობაზე არ იქნება თანხმობა სხვა პარტნიორებისგან.[465]

1.8. სპს-ის რეორგანიზაცია და დაშლა

საკორპორაციო სამართალი სამეწარმეო საზოგადოებათა შიდაორგანიზაციულ საკითხებს სამ განზომილებაში აწესრიგებს. ეს მიმართულებები შემდეგია: ა) სამეწარმეო საზოგა-

463 *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოც., 2002, 241.

464 *Emmerich* in Heymann/Horn, Handelsgesetzbuch (ohne Seerecht). Band 2, Zweites Buch, §§ 105-237, 2. Aufl., Walter de Gruyter, Berlin 1996, §122, Rn.15, s.160-161.

465 კანონის 106-ე მუხლის მესამე პუნქტი.

დოების დაფუძნების ეტაპი, ბ) სამეწარმეო საზოგადოების ფუნქციონირების ეტაპი და გ) სამეწარმეო საზოგადოების ფუნქციონირების დასრულების ეტაპი. საკორპორაციო სამართლის მთავარი წყარო, კანონი, სამივე ეტაპს საუკეთესო კორპორაციული პრაქტიკის გათვალისწინებით უნდა ანესრიგებდეს, რაც ხელშემწყობი ფაქტორია მყარი და განვითარებული ეკონომიკური ლანდშაფტის შესაქმნელად.

სამეწარმეო საზოგადოების ფუნქციონირების დასრულების ეტაპი ორ ქვეკატეგორიად განივრცობა: ა) ფუნქციონირების დასრულება ახალი სამართლებრივი ფორმის დაარსებით[466] და ბ) ფუნქციონირების დასრულება დაშლის სამართლებრივი მექანიზმის გამოყენებით. პირველი კატეგორია სამეწარმეო საზოგადოებისთვის ბიზნესწარმატების მიღწევისთვის „ახალი" შანსის მიცემის შესაძლებლობას იძლევა, ხოლო მეორე კატეგორია - საზოგადოების ფუნქციონირების საბოლოო დასრულების ნორმატიული საფუძველია. სამეწარმეო საზოგადოების ფუნქციონირების დასრულების ორივე ხსენებული ქვეკატეგორია, საკორპორაციო სამართალში, წესდებაში ცვლილების შეტანასთან ერთად, იწოდება ფუნდანტურ ცვლილებად.[467]

სპს-ის, ისევე როგორც სხვა ორგანიზაციულად მოწყობილი სამეწარმეო საზოგადოების, ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელების ნორმატიული საფუძველი სამართლის „ქმნილებაა" და კანონის ზოგად ნაწილშია გაწერილი. შესაბამისად, კანონი ითვალისწინებს რეორგანიზაციას, მის სახეებს, განხორციელების პროცედურებს, დაშლას და დაშლის პროცესის მდგენელ სხვადასხვა ეტაპს.

---

466 ზოგადად, საკორპორაციო სამართალში ერთმანეთისგან განსხვავებულია „დაფუძნებისა" და „დაარსების" ტერმინები. პირველი ტერმინი მიემართება და გამოიყენება სამეწარმეო საზოგადოების თავდაპირველი ჩამოყალიბების ეტაპზე, ხოლო მეორე ტერმინი გამოიყენება არსებული სამეწარმეო საზოგადოების ბაზაზე ახალი სამართლებრივი ფორმის ჩამოყალიბების მიმართ.

467 *Palmiter*, Corporations, 5th ed., 2006, 581.

1.8.1. რეორგანიზაცია

„რეორგანიზაცია ახლის შექმნის ქმედებას ან პროცესს აღნიშნავს."[468] სხვა სიტყვებით რომ ითქვას, რეორგანიზაცია არის ორგანიზაციული წარმონაქმნის სამართალსუბიექტობის ნორმატიულად განსაზღვრული წესების მიხედვით ორგანიზებული ტრანსფორმაცია. რეორგანიზაციის პროცესში სამეწარმეო საზოგადოების ეკონომიკური აქტივობა არ წყდება. რეორგანიზაციას, ასევე, შეიძლება ეწოდოს „ხელოვნური ქმნილების ეკონომიკური „თამაშის" ბოლო სვლა."[469]

რეორგანიზაციის სახეები კანონით არის განსაზღვრული. სამეწარმეო საზოგადოების რეორგანიზაციის სამი ფორმა არსებობს: გარდაქმნა, შერწყმა (მიერთება ან გაერთიანება) და გაყოფა (დაყოფა ან გამოყოფა).[470] საქართველოს კანონმდებლობა რეორგანიზაციის სახის გამოყენების შესაძლებლობას ყველა ორგანიზაციულად მოწყობილი სამართლებრივი ფორმის მიმართ უშვებს.[471]

რეორგანიზაციის დაწყებას, გარდა სამართლებრივად გაწერილი პროცედურული საკითხებისა, ესაჭიროება დაწყების საფუძველი (მაგალითად, მოტივი). რეორგანიზაციის განხორციელების მოტივი მრავალგვარი შეიძლება იყოს. მაგალითად, პარტნიორებმა შესაძლოა გაანალიზონ, რომ კონკრეტული სამართლებრივი ფორმით მიმდინარე სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება არ არის მოგებიანი და მოისურვონ სხვა, ახალი ისეთი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება (საქმიანობის საგნის ცვლილება), რომელიც სუბსტანციურად მოითხოვს სამართლებრივი ფორმის ცვლილებას (მაგალითად, სპს-ის შპს-დ გარდაქმნას). სხვა მაგალითისთვის გამოდგება შემთხვევა, როდესაც არსებული სამეწარმეო საზოგადოების სამართლებრივი ფორმა შიდაორგანიზაციული სტრუქტურისა თუ გარესამართლებრივი

---

468 *Fletcher*, Fletcher Cyclopedia of the Law of Corporations, rev. ed., vol. 15, 2008, P. 546. მითითებულია: *მახარობლიშვილი გ.*, კაპიტალურ საზოგადოებათა სტრუქტურაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება კორპორაციულ-სამართლებრივ ქმედებათა (შეძენა, შერწყმა) საფუძველზე, 2014, 230.

469 იქვე.

470 *Rosin, Closen*, Agency, Partnerships and Limited Liability Companies, 2003, 48-50.

471 შეად. იქვე. განსხვავებით ზოგიერთი უცხო ქვეყნის კანონმდებლობისა.

რეგულირების გათვალისწინებით, აუცილებელია გარდაიქმნას იმისათვის, რომ დასახული მიზნის მიღწევა რეალური გახდეს. ამის სადემონსტრაციოდ გამოდგება შემთხვევა, როდესაც ფუნქციონირებს სპს-ის სამართლებრივი ფორმა, მაგრამ მისი პარტნიორები გადაწყვეტენ საბანკო საქმიანობის განხორციელებაზე გადასვლას. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" ასეთი საქმიანობის ფორმად იმპერატიულად მოითხოვს სააქციო საზოგადოებას.[472] შესაბამისად, სპს უნდა გარდაიქმნას სააქციო საზოგადოებად, ანუ რეორგანიზირდეს.

რეორგანიზაციის დაწყების სხვა საფუძვლად შეიძლება განხილულ იქნეს რეორგანიზაციის მეორე ფორმა - შერწყმა. ასეთ დროს, რეორგანიზაცია სამეწარმეო საქმიანობის დაფარვის არეალის გაზრდის, ბაზრის მაღალი კონკურენტიანობისა თუ ე.წ. სინერგიული (ეკონომიკური სარგებელი) ეფექტის მიღწევის საშუალება იქნება.[473]

და ბოლოს, რეორგანიზაციის პროცესის დაწყების კიდევ ერთი სამოტივაციო საფუძველი შეიძლება გახდეს სამეწარმეო საქმიანობაში ინვესტირებული კაპიტალის დივერსიფიცირების მიზანშეწონილობა.[474] სამეწარმეო საქმიანობა რისკის მართვის „ხელოვნებას" გულისხმობს, რომელიც, შიდაორგანიზაციულ დონეზე, მოწესრიგებულია საკორპორაციო სამართლით. შედეგად, რისკი ოპტიმალურ ფარგლებში უნდა იმართოს, ხოლო მართვის ერთ-ერთი საშუალება საქმიანობის დივერსიფიცირებაა. ამის ფორმად კი რეორგანიზაცია გაყოფით გამოდგება, როდესაც ხდება ერთი საწარმოს ორ ან მეტ ახალ საწარმოდ დაყოფა ან არსებული საწარმოდან ორი ან მეტი ახალი საწარმოს[475] იმგვარად გამოყოფა,

---

472 იხ. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ", მე-2 მუხლის პირველი პუნქტი.

473 სინერგიზმის ეფექტთან და ეკონომიკურ სარგებელთან დაკავშირებით, იხ. *მახარობლიშვილი*, კაპიტალურ საზოგადოებათა სტრუქტურაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება კორპორაციულ-სამართლებრივ ქმედებათა (შეძენა, შერწყმა) საფუძველზე, 2014, 279-290.

474 ე.წ. პორტფოლიოს დივერსიფიცირება. იხ. *Haas*, Corporate Finance, 2011, 198.

475 მოცემულ შემთხვევაში ტერმინი „საწარმო" გამოყენებულია სამართლებრივ

რომ თავდაპირველი სამეწარმეო საზოგადოება ფუნქციონირებას კვლავ აგრძელებს უწყვეტ რეჟიმში.

ა.) გარდაქმნა

სამართლებრივი ფორმის შეცვლის ნორმატიული საფუძველია სპს-ის გარდაქმნა. გარდაქმნით რეორგანიზაციის დროს, ისევე როგორც რეორგანიზაციის სხვა ფორმების შემთხვევაში, სახეზე გვაქვს სამართლებრივი ფორმის ცვლილება მეწარმე სუბიექტის ლიკვიდაციის გარეშე.[476] ლიკვიდაციის[477] გარეშე რეორგანიზაციის მთავარი მახასიათებელია ის, რომ სამეწარმეო საზოგადოების ქონების ორგანიზებული განაწილების პროცესის გარეშე[478] მიმდინარეობს და სრულდება შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები.[479] რაც მთავარია, გარდაქმნის შემდგომ სამეწარმეო საზოგადოება საქმიანობას აგრძელებს ახალი სამართლებრივი ფორმით. შერწყმისგან განსხვავებით, რისთვისაც მინიმუმ ორი სამეწარმეო საზოგადოებაა აუცილებელი, გარდაქმნის დროს მხოლოდ ერთი სამართლებრივი ფორმა იღებს პროცესში მონაწილეობას.[480]

სპს-ის გარდაქმნის მოტივირებული საფუძველი სხვადასხვა შეიძლება იყოს. მოტივაციის საფუძველი შეიძლება გახდეს სამეწარმეო საქმიანობის საგნის ცვლილება, საგადასახადო პოლიტიკის ცვლილება ან ოპტიმალურ საგადასახადო ადმინისტრირებას დაქვემდებარების სურვილი. ეს ორი გენერალური მიმართულება ბევრ ქვეკატეგორიას შეიძლება აერთიანებდეს საკუთარ თავში.[481]

კატეგორიაში -სამართლებრივი ფორმის სინონიმად.

476 *ჯულელი, გიგუაშვილი,* განმარტებები „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის პროექტზე, 2021, 89.

477 ლიკვიდაციის (დაშლის) შესახებ ქვემოთ ვრცლად იქნება საუბარი.

478 შეად. *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 187.

479 *ჭანტურია,* ევროპის საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივებისა და დადგენილებების მნიშვნელობა ქართულ საკორპორაციო სამართლის კოდიფიკაციისათვის, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009, 476-477.

480 *Kleinberger,* Agency, Partnerships and LLCs, 2nd ed., 2002, 383.

481 მაგალითად, სამეწარმეო საქმიანობის საგნის ცვლილებამ შესაძლოა კაპიტალის გაზრდისა და შესაბამისად, პარტნიორტთა სტრუქტურის

გარდაქმნის პროცესში შესვლის მოტივი ერთია და მეორე საკითხია სამართლებრივად მისი სისრულეში მოყვანა. სპს-ის გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება პარტნიორთა საერთო კრებაზე, სადაც გადაწყვეტილების მიღებისათვის სავალდებულო ყველა პარტნიორის თანხმობა, ანუ პარტნიორთა საერთო კრების ერთსულოვანი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების მიღებისათვის მსგავსი უმაღლესი კვოტის დაწესება განპირობებულია სპს-ის პერსონაფიცირებული ხასიათით და პასუხისმგებლობის იმ მასშტაბით, რაც მისი ფუნქციონირების პროცესში პარტნიორს შეიძლება დაეკისროს.

გარდაქმნის შესახებ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს ახალი სამეწარმეო საზოგადოების სამართლებრივ ფორმას, ახალ საფირმო სახელწოდებას, ახალი წესდების პროექტს, წილების კუთვნილებას და ხელმძღვანელი პირების დანიშვნის გადაწყვეტილებას.[482] გარდაქმნის გადაწყვეტილება, ისევე როგორც რეორგანიზაციის სხვა ფორმების შემთხვევაში, ექვემდებარება გარკვეულ საკანონმდებლო მოთხოვნებს, რაც თავის მხრივ, პარტნიორის, კრედიტორისა თუ დაინტერესებულ პირთა ინტერესების დაცვის ერთიან მექანიზმს ქმნის. ეს მოთხოვნები დაკავშირებულია გარდაქმნის პირობებთან (წილთნ მიმართებაში), გარდაქმნის გადაწყვეტილების რეგისტრირებასა და გამოქვეყნებასთან.

ზოგადად, გარდაქმნის ფორმით რეორგანიზაციის სახასიათო ნიშანია ის, რომ რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული ახალი სამართლებრივი ფორმა რეორგანიზაციამდე არსებული სამეწარმეო საზოგადოების უფლებამონაცვლე ხდება.[483] თუმცა, კანონი სპს-თან მიმართებით საგამონაკლისოდ განსაზღვრავს, რომ სპს-ის კომპლემენტარი პარტნიორი გარდაქმნით რეორგანიზაციის შემდგომაც კი მთელი თვისი ქონები, პირადად და სოლიდალურად აგებს პასუხს სამეწარმეო საზოგადოების იმ ვალდებულებისათვის, რომელიც საზოგადოების გარდაქმნამდე წარმოიშვა.[484] აღნიშნუ-

---

გაფართოების საკითხი დააყენოს დღის წესრიგში.

482 იხ. კანონის 61-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

483 *Rosin, Closen,* Agency, Partnerships and Limited Liability Companies, 2003, 48.

484 იხ. კანონის 62-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

ლი ნორმატიული დანაწესის მიზანი არის ის, რომ რეორგანიზაციის პროცესში დარღვეულ არ იქნეს კრედიტორის ის ლეგიტიმური უფლება, რომელიც მოთხოვნის წარმოშობის ერთ-ერთ საფუძველს და მოთხოვნის დაკმაყოფილების სამიზნე ქონებრივ დოვლათს უკავშირდება.[485] ბუნებრივია, მსგავსი დანაწესი სპს-ის პარტნიორის არაკეთილსინდისიერი განზრახვის პრევენცირებასაც ახდენს. სპს-ს პარტნიორს, ამ დანაწესის პირობებში, არ შეეძლება გარდაქმნით რეორგანიზაციის ფორმა გამოიყენოს მესამე პირისათვის ზიანის მიყენების საშუალებად. კერძოდ, სპს-ის პარტნიორი გარდაქმნის შედეგად ჩამოყალიბებულ, მაგალითად, შპს-ის სამართლებრივ ფორმაში, სპს-ის სახელით წარმოშობილი ვალდებულების შესრულებაზე კრედიტორს ვერ მიუთითებს მხოლოდ შპს-ის ქონებაზე და ის ვალდებული იქნება კვლავ პირადად და სოლიდალურად, მთელი თავისი ქონებით აგოს პასუხი.

და ბოლოს, რეორგანიზაციის გარდაქმნის ფორმით განხორციელების მნიშვნელოვანი ეტაპია მისი ძალაში შესვლა, რაც უკავშირდება ხელმძღვანელი ორგანოს მიერ მარეგისტრირებელ ორგანოში განცხადების წარდგენას. განცხადების საფუძველზე მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ რეგისტრაციაში გატარების მომენტიდან გარდაქმნა ძალაში შედის და არსდება ახალი სამართლებრივი ფორმა.[486]

ბ.) შერწყმა

რეორგანიზაციის მეორე და მნიშვნელოვანი ფორმაა შერწყმა, რომელიც, კონცეფტუალურად კორპორაციის მიმართ გამოყენებადი ინსტიტუტია, თუმცა, განვითარების გარკვეულ ეტაპზე მან სრულად დაფარა ყველა ტიპის ორგანიზაციულად მოწყობილი სამართლებრივი ფორმა.[487] შერწყმა მოიაზრება ე.წ. მოლაპარაკებადაქვემდებრებულ ტრანზაქციადაც.[488]

---

485 პირად და სოლიდალურ, მთელი თავიანთი ქონებით პასუხსიმგებლობას.

486 იხ. კანონის 64-ე მუხლი.

487 *Kleinberger,* Agency, Partnerships and LLCs, 2nd ed., 2002, 381.

488 *Steinberg,* Enhancing Corporate Governance In The Mergers and Acquisitions Context, in: Corporate Governance Post-Enron, (edit. *Norton, Rickford*), 2006, P. 152-154. მითითებულია: *მახარობლიშვილი,* კაპიტალურ საზოგადოებათა

ეკონომიკური ურთიერთობები კონკურენტული გარემოს შექმნის საფუძველია. კონკურენცია ბიზნესურთიერთობებში „ძლიერისა" და „სუსტის" გამოვლენის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ეკონომიკური ურთიერთობები, კაპიტალიზმის ეპოქაში, სამეწარმეო საზოგადოებათა შორის, სამეწარმეო საზოგადოებისა და სახელმწიფოს, სამეწარმეო საზოგადოებათა ტრანსნაციონალურ დონეზე ურთიერთქმედების შედეგად ყალიბდება. შესაბამისად, ჩამოყალიბებული ეკონომიკური ურთიერთობა კონკურენციის პირობებში ქმნის მეწარმე სუბიექტის ალტერნატიული სამომავლო განვითარების წინაპირობას.

მაღალ და ჯანსაღ კონკურენციას აპრიორი თანმდევ ფაქტორად ახასიათებს სუსტი მენეჯმენტის, სუსტი ფინანსური თუ ოპერაციული მართვის სისტემის მქონე, ასევე, სამართლებრივი ფორმის მიხედვით - სუსტი კაპიტალიზაციის მქონე სამეწარმეო საზოგადოების ან ა) ძლიერი მეწარმე სუბიექტის მხრიდან „შთანთქმა" ან ბ) სხვა, მისი თანაბარი განვითარების მქონე კომპანიასთან გაერთიანება სამომავლოდ უფრო ეფექტიანი კონკურენციის გაწევის მიზნით.[489]

ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევისათვის, კანონით დადგენილია რეორგანიზაცია შერწყმის ფორმით, რომელსაც, თვის მხრივ, ორი ქვესახეობა აქვს: ა) შერწყმა მიერთებით და ბ) შერწყმა გაერთიანებით. იურიდიული ლიტერატურაში შერწყმა გაერთიანებით მოაზრებულია კონსოლიდაციად, ხოლო შერწყმა, მისი კლასიკური გაგებით, სახეზეა მაშინ, როდესაც ერთი სამეწარმეო საზოგადოება იერთებს (შთანთქავს) სხვა სამეწარმეო საზოგადოებას ისე,[490] რომ მიმაერთებელი საზოგადოება ჩვეულებრივ განაგრძობს ფუნქციონირებას.[491] მიერთებულ სამეწარმეო საზოგადოებას „შერწყმული" საზოგადოება ეწოდება, ხოლო მიმაერთებელს - „გადარჩენილი" სამეწარმეო საზოგადოება.[492]

სტრუქტურაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება კორპორაციულ-სამართლებრივ ქმედებათა (შეძენა, შერწყმა) საფუძველზე, 2014, 51.

489 *ჯანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 193.

490 *Rosin, Closen,* Agency, Partnerships and Limited Liability Companies, 2003, 49.

491 *Cox, Hazen,* The Law of Corporations, Vol. 4, 2010, 37.

492 იქვე, 38.

შერწყმა მიერთების შემთხვევაში, მიერთებული საზოგადოების აქტივები და ვალდებულებები გადაეცემა მიმაერთებელ საზოგადოება. რა თქმა უნდა, აქტივებისა და ვალდებულებების გადაცემის სანაცვლოდ მიერთებული საზოგადოების პარტნიორები შემძენ საზოგადოებაში მიიღებენ შერწყმის გეგმით გათვალისწინებულ წილებს.[493]

ისევე როგორც გარდაქმნის შემთხვევაში, შერწყმის დროს გაერთიანებულ თუ შემძენ სამეწარმეო საზოგადოებას გაერთიანებული თუ მიერთებული სამეწარმეო საზოგადოების აქტივები და ვალდებულებები გადაეცემა ლიკვიდაციის პროცესის დაწყების გარეშე. რა თქმა უნდა, შერწყმის პროცესის დასრულების შემდგომ ის სამეწარმეო საზოგადოება, რომელიც განაგრძობს ფუნქციონირებს, პასუხს აგებს იმ ვალდებულებებზე, რაც შერწყმაში მონაწილე სამეწარმეო საზოგადოებებს ჰქონდათ.

შერწყმის პროცესის წარმართვას წინასწარ გაწერილი გეგმა სჭირდება, რომელსაც, როგორც წესი, შეიმუშავებს სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო.[494] შერწყმის გეგმას კანონით განსაზღვრული სავალდებული შემადგენელი ნაწილები აქვს, რომელიც მოიცავს: შერწყმაში მონაწილე საზოგადოებათა საიდენტიფიკაციო მონაცემებს, წილთა გადაცვლის თანაფარდობას და მის პირობებს, მიღებული წილის ე.წ. გააქტიურების თარიღსა და ა.შ.[495]

სპს-თან დაკავშირებული შერწყმის პროცესში, ასევე, აუცილებელია შერწყმის გეგმის პროექტის გამოქვეყნება, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული პირებისათვის. შერწყმის გეგმის პროექტის გამოქვეყნება

---

493 ეს არის შერწყმა მიერთებით, სადაც ანაზღაურების სახედ წილები მოიაზრება. თუმცა, არსებობს შერწყმა მიერთების შემთხვევა, როდესაც ანაზღაურება ფულადი სახით არის შეთანხმებული. ვრცლად, იხ. *მახარობლიშვილი,* კაპიტალურ საზოგადოებათა სტრუქტურაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება კორპორაციულ-სამართლებრივ ქმედებათა (შეძენა, შრწყმა) საფუძველზე, 2014, 212-214.

494 *მახარობლიშვილი,* საკორპორციო-სამართლებრივ კომბინაციათა თავისებურებანი სანარმოთა შერწყმის პროცესში, წიგნში: საკორპორაციო სამართლის კრებული, ტომი I, ბურდული (რედ.), 2011, 299-300.

495 იხ. კანონის 67-ე მუხლის მე-2 პუნქტი. შეად. *Rosin, Closen,* Agency, Partnerships and Limited Liability Companies, 2003, 49. ასევე, იხ. *მახარობლიშვილი,* საკორპორციო-სამართლებრივ კომბინაციათა თავისებურებანი სანარმოთა შერწყმის პროცესში, წიგნში: საკორპორაციო სამართლის კრებული, ტომი I, ბურდული (რედ.), 2011, 298-299.

უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული პირის უფლების დაცვას იმდენად, რამდენადაც მათთვის ცნობილი ხდება იმ ძირითადი შედეგების შესახებ, რომელიც მოჰყვება შერწყმის პროცესის წარმატებით დასრულებას. შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ექსკლუზიური უფლებამოსილება პარტნიორთა საერთო კრებას აქვს. აღსანიშნავია, რომ კანონი პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების სავალდებულოობას ადგენს შერწყმაში მონაწილე ყველა სამეწარმეო საზოგადებისათვის.[496]

შერწყმის შესახებ განცხადების მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენა არის შერწყმის დასრულების ბოლო ეტაპის შემადგენელი. შერწყმის განცხადების წარდგენისა და მარეგისტრირებელი ორგანოს შერწყმის რეგისტრაციის მომენტიდან შერწყმა ძალაში შედის, რაც გულისხმობს ყველა იმ პირობის ამოქმედების დაწყებას, რომელიც შერწყმის პროცესში მხარეთა მიერ იქნა შეთანხმებული.[497] შერწყმისას მიერთებული სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრაცია უქმდება ლიკვიდაციის პროცესის დაწყების გარეშე.[498]

გ.) გაყოფა

რეორგანიზაციის ფორმათაგან მესამე არის გაყოფა, რომელსაც აქვს ორი ქვესახე: ა) დაყოფა ან ბ) გამოყოფა. ისევე როგორც რეორგანიზაციის სხვა ფორმებს, გაყოფით რეორგანიზაციასაც აქვს მოტივის საფუძველი და მისი განხორციელების კანონისმიერი პროცედურები.

სამეწარმეო საზოგადოების მიერ არჩეული საქმიანობის საგნის მიხედვით, შესაძლებელია, სამეწარმეო საქმიანობა მრავალფეროვანი იყოს, რაც მის სწორ და დროულ მენეჯმენტს არსებითად აფერხებდეს და მოითხოვდეს მის დიფერსიფიცირებას.[499] შიდაორგანიზაციულ, ანუ საკორპორაციო-

---

496 იხ. კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტი.

497 როგორც მოლაპარაკებადაქვემდებარებული ტრანზაქციის შედეგი.

498 სპს-თან მიმართებით, შერწყმა/გაყოფის ფორმა სხვა, დამატებით რეგულირებას არ ითვალისწინებს. გამონაკლისია სააქციო საზოგადოება, სადაც რეგულირების დამატებითი ელემენტებია გათვალისწინებული, მაგალითად, შერწყმა/გაყოფის ანგარიში. აღნიშნულთან დაკავშირებული ანალიზი სს-ის თავშია წარმოდგენილი.

499 *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 198.

სამართლებრივ დონეზე, აღნიშნულის გადაწყვეტის მეთოდია გაყოფის ფორმით რეორგანიზაცია. ასევე, სამეწარმეო საზოგადოებას საქმიანობის დივერსიფიცირების მიზნით, საბაზრო დაფარვის მასშტაბის გაზრდისა და მაღალი კონკურენტული გარემოს შექმნის მიზნით, შესაძლებელია, რომ სხვადასხვა სამეწარმეო ხაზი დაიყოს ან გამოიყოს და (ან დამატებით) ახალი სამართლებრივი ფორმის მეშვეობით უზრუნველყოფილ იქნეს მისი ფუნქციონალური ამოქმედება. ნებისმიერ შემთხვევაში, გაყოფით რეორგანიზაცია სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობის ფუნქციონალურობის ოპტიმიზაციის მნიშვნელოვანი ნორმატიული მექანიზმია.

გაყოფით რეორგანიზაციის ფორმასა და შერწყმის ფორმით რეორგანიზაციას მრავალი საერთო სახასიათო ელემენტი აქვს. ესენია: მათი დაწყების სამართლებრივი საფუძველი,[500] შერწყმა/გაყოფის გეგმა, ამ გეგმის პროექტის გამოქვეყნება, მისი დამტკიცება, რეგისტრაცია და ძალაში შესვლა. შესაბამისად, აღნიშნული საკითხები მიმდინარე პარაგრაფში არ განმეორდება და აქცენტი გაყოფის მხოლოდ სპეციფიკურ თვისებრივ ნიშნებზე გამახვილდება.

გაყოფის გადაწყვეტილებით (და გეგმით) სამეწარმეო საზოგადოების აქტივები და პასივები გადაეცემა დაყოფის შედეგად ახლად დაფუძნებულ ან უკვე არსებულ სამეწარმეო საზოგადოებას. ისევე როგორც შერწყმის შემთხვევაში, გაყოფის დროსაც აქტივები და პასივები ახლად დაფუძნებულ საზოგადოებას ლიკვიდაციის პროცესის დაწყების გარეშე (ეკონომიკური მხარე) გადაეცემა, ხოლო დაყოფილი საზოგადოების რეგისტრაცია უქმდება (სამართლებრივი მხარე) გაყოფის რეგისტრაციასთან ერთად. გაყოფით რეორგანიზაციის შედეგად, ახლად დაფუძნებული საზოგადოება, ისევე როგორც გამოყოფილი საზოგადოება,[501] გაყოფილი სამეწარმეო საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხს აგებენ

500 პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება. გამონაკლისად შეიძლება მოაზრებულ იქნეს ის შემთხვევა, როდესაც არსებული საზოგადოება უნდა რეორგანიზირდება დაყოფით. დაყოფის დროს გადაწყვეტილების მიმღები მხოლოდ დასაყოფი სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორთა საერთო კრებაა, რადგან ფიზიკურად, მეორე საზოგადოება, ხსენებულ მოცემულობაში, არ არსებობს.

501 ე.წ. შემძენი საზოგადოება.

სოლიდალურად. აღნიშნული ნორმატიული ჩანაწერი იცავს კრედიტორის უფლებებს, რათა არ მოხდეს რეორგანიზაციის ფორმის თვალთმაქცური გარიგების მეთოდად გამოყენება. კერძოდ, გაყოფით რეორგანიზაციის დროს, სამეწარმეო საზოგადოების მენეჯმენტმა შეიძლება აქტივები და ვალდებულებები არაკეთილსინდისიერად გადაანაწილოს. მაგალითად, არსებული სამეწარმეო საზოგადოება დაყონ A და B საზოგადოებად, საიდანაც A საზოგადოებას გადაეცემა აქტივების ძირითადი ნაწილი, ხოლო B საზოგადოებას ვალდებულებების ძირითადი პაკეტი. ასეთი მოცემულობის ფაქტობრივი შედეგია ის, რომ ყალიბდება ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელ იურიდიული პირის სტატუსის მქონე სამართალსუბიექტი, რომელიც კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს მთელი მისი ქონებით. მისი ქონება კი, B საზოგადოების შემთხვევაში, ძირითადად, ვალდებულებით კატეგორიას მოიცავს. შესაბამისად, შეიქმნებოდა კრედიტორის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის რეალური საფრთხე. სწორედ აღნიშნული შემთხვევის პრევენცირების რეგულირებაა გაყოფილი სამეწარმეო საზოგადოების ვალდებულებებზე ახლად დაფუძნებული თუ გამოყოფილი სამეწარმეო საზოგადოებების სოლიდარული პასუხისმგებლობის დაწესება.[502]

რეორგანიზაციის ზემოთ განხილული ფორმების გამოყენების პროცესის ნორმატიული რეგლამენტირება კრედიტორის მოთხოვნის დამცავია. თუმცა, არსებობს დამატებითი დამცავი მექანიზმი, რომელიც რეორგანიზაციაში მონაწილე სამეწარმეო საზოგადოებების კრედიტორებს, რეორგანიზაციის რეგისტრაციიდან 3 თვის ვადაში, უფლებას ანიჭებს

502 ის მოცემულობა, რომ ახლად დაფუძნებული თუ გამოყოფილი სამეწარმეო საზოგადოებების პასუხისმგებლობა იზღუდება გაყოფით მათთვის მიკუთვნებული წმინდა აქტივების ოდენობით (იხ. კანონის 67-ე მუხლის მე-10 პუნქტი), სოლიდალური პასუხისმგებლობის ან ზოგადად, პასუხისმგებლობის მასშტაბის განსაზღვრის პრინციპს არ არღვევს: გაყოფამდე არსებული სამეწარმეო საზოგადოება შეიცავდა იმ მთლიან მიზნობრივ ქონებრივ სიკეთეს, რომლის მიღმა კრედიტორის პასუხისმგებლობა აღარ ვრცელდება. ეს მიზნობრივი ქონება, გაყოფის შედეგად, ნაწილდება ორ ან მეტ სამეწარმეო საზოგადოების ქონებად რაც ნიშნავს იმას, რომ კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველმყოფი მიზნობრივი აქტივის მოცულობა უცვლელი რჩება, რაც პრევენცირებული და გარანტირებულია სოლიდალური პასუხისმგებლობის პრინციპის იმპერატიულად განსაზღვრით.

მოითხოვონ სამეწარმეო საზოგადოებისაგან მათი მოთხოვნის უზრუნველყოფა. ამ უფლების გამოყენება პირობადებულია იმ შემთხვევით, თუ ისინი დაამტკიცებენ, რომ რეორგანიზაცია საფრთხეს უქმნის მათი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ასეთი მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ კრედიტორს ექნება, რომლის მოთხოვნაც წარმოიშვა გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე ან შერწყმა/გაყოფის გეგმის გამოქვეყნებამდე.[503] მიუხედავად იმისა, რომ რეორგანიზაციის სამივე ფორმას კრედიტორის დამცავი სპეციფიკური მექანიზმები აქვს, კრედიტორის დაცვის ხსენებული დამატებითი ბერკეტი ახდენს ისეთი შემთხვევის პრევენცირებას, როდესაც, მაგალითად, შერწყმა მიმართული იყო ეკონომიკური ღირებულების გაზრდისკენ, მაგრამ არასწორად დაგეგმილმა პროცესმა მისი წარუმატებლობის საფრთხე შექმნა. მსგავსი მდგომარეობის დაზღვევის პირველი ნაწილი კრედიტორის მოთხოვნის რეორგანიზაციის პროცესში მყოფი სამეწარმეო საზოგადოების მხრიდან უზრუნველყოფაა, ხოლო მეორე ნაწილი მიემართება ე.წ. პარტნიორის წილის გამოსყიდვას, ანუ მეორე ნაწილი უმცირესობაში მყოფი პარტნიორის უფლების დამცავია. წილის გამოსყიდვა დასაშვებია გარდაქმნით რეორგანიზაციის დროს, თუ უმცირესობაში მყოფმა პარტნიორმა გარდაქმნის საწინააღმდეგოდ მისცა ხმა. წილის გამოსყიდვის უფლების გამოყენების შემთხვევაში, სამეწარმეო საზოგადოება ვალდებულია პარტნიორს წილის სანაცვლოდ გადაუხადოს სამართლიანი ღირებულება.[504]

1.8.2. დაშლა

სპს-ის ფუნქციონირების სამართლებრივად ბოლო საფეხური (ეტაპი) დაშლაა. ის გულისხმობს სამეწარმეო საზოგადოების ფუნქციონირების არეალიდან დადგენილი წესების დაცვით გასვლას.[505] დაშლის დროს სახეზეა დაფუძნების შე-

---

503 იხ. კანონის 74-ე მუხლის პირველი პუნქტი.

504 სამართლიანი ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით, იხ. *მახარობლიშვილი*, კაპიტალურ საზოგადოებათა სტრუქტურაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება კორპორაციულ-სამართლებრივ ქმედებათა (შეძენა, შერწყმა) საფუძველზე, 2014, 184-186.

505 *Kleinberger*, Agency, Partnerships and LLCs, 2nd ed., 2002, 327-329.

ბრუნებული (რევერსული) პროცედურული ქმედებები. ახალი კანონით სამეწარმეო საზოგადოების ფუნქციონირების დასრულების შინაარსობრივი მხარე ტერმინოლოგიურად შესწორდა და გაიმართა. სპს-ის დაშლის პროცესი რამდენიმე ეტაპისაგან შედგება, რომელიც მოიცავს სამართლებრივ მხარეს - გაუქმებას და სამართლებრივ-ეკონომიკურ მხარეს - ლიკვიდაციას. დაშლის პროცესის შემადგენელი აღნიშნული ელემენტების განხილვამდე, სასურველია, გაანალიზდეს თავად დაშლის დაწყების საფუძვლები.

დაშლის დაწყების საფუძველი იყოფა რამდენიმე სეგმენტად. დაშლის დაწყების გენერალური ბაზისია ის, რომ სამეწარმეო საზოგადოება არ უნდა აკმაყოფილებდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების საფუძვლებს.[506] ეს საფუძველი ერთ-ერთ უმთავრესად იმიტომ უნდა ჩაითვალოს, რომ დაშლისა და გადახდისუუნარობის პროცესები კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების უნარის კონტექსტში ერთმანეთისგან თვისებრივად განსხვავებული ინსტიტუტებია - ერთი არსებობა მეორის დაწყების გამომრიცხავია.

დაშლის სამართლებრივად პროცედურული საფუძველი, რეორგანიზაციისგან განსხვავებით, რამდენიმეა: პარტნიორთა გადაწყვეტილება, სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნებისთვის სავალდებულო ფუნდამენტური მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა (მაგალითად, პარტნიორთა რაოდენობა), იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება, პარტნიორის სარჩელის საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაშლის

506 იხ. „რეაბილიტაციისა და კრედიორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" საქართველოს კანონი, მე-7 მუხლი.

შესახებ[507] და წესდებით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.[508] შესაბამისად, მარეგისტრირებელი ორგანო სპს-ის დაშლას არეგისტრირებს ან ხელმძღვანელი პირის მიმართვის, ან სასამართლოს ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართვის შემთხვევაში, რაც დაშლის პროცესის დაწყების საფუძველზეა დამოკიდებული.[509]

სპს-ის დაშლის შესახებ გადაწყვეტილების ნებისმიერი ზემოაღნიშნული საფუძვლით დარეგისტრირების შემდგომ იწყება სამეწარმეო საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესი.[510] ლიკვიდაციის პროცესის დაწყების მომენტიდან საზოგადოების საფირმო სახელწოდებას უნდა დაემატოს „ლიკვიდაციის პროცესში", რაც მესამე პირთათვის გარიგების დადების გადაწყვეტილების მიღებამდე შეცნობადს ხდის სამეწარმეო საზოგადოების სამართლებრივ მდგომარეობას.

ლიკვიდაციის პროცესს ხელმძღვანელობს ლიკვიდატორი, რომელიც, როგორც წესი, სანარმოს ხელმძღვანელი პირია. მაგრამ, პარტნიორთა გადაწყვეტილებით, ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე სამეწარმეო საზოგადოების ლიკვიდატორად შეიძლება სხვა პირი განისაზღვროს. ლიკვიდატორის უფლებამოსილება წარმოიშობა მარეგისტრირებელ ორგანოში მისი რეგისტრაციის მომენტიდან.[511]

---

507 პარტნიორის სარჩელის საფუძველზე სამენარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ სასამართლო მაშინ მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ ერთ-ერთმა პარტნიორმა დაარღვია მასზე დაკისრებული მოვალეობა ან ასეთი მოვალეობის შესრულება შეუძლებელია და საზოგადოების მიზნის მიღწევა ვეღარ ხდება. იხ. კანონის 79-ე მუხლი. აღნიშნულის ინსტიტუტიც მოდიფიცირებული ვარიანტი აშშ-ის მოდელურ კანონში, სადაც პარტნიორს ნებისმიერ შემთხვევაში, მისი სურვილის მიხედვით, შეუძლია (შესაძლებლობის დონეზე, რაც აპრიორი უფლებას არ ნიშნავს) გამოინვიოს საზოგადოების დაშლა, ხოლო ასეთი უფლება პარტნიორთა შეთანხმებით არ შეიძლება გაუქმდეს. იხ. *Kleinberger,* Agency, Partnerships and LLCs, 2nd ed., 2002, 331.

508 იხ. კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტი.

509 შეად. *Kleinberger,* Agency, Partnerships and LLCs, 2nd ed., 2002, 329.

510 მას, აშშ-ის მაგალითზე, ეწოდება "winding up." იხ. *Kleinberger,* Agency, Partnerships and LLCs, 2nd ed., 2002, 330. ასეთ შემთხვევაში, საზოგადოების დაშლის პროცესის შემადგენელი ერთ-ერთი ეტაპი, ასევე, წოდებულია ლიკვიდაციად, როდესაც ხდება საზოგადოების აქტივების რეალიზაცია და მიღებული ქონების პარტნიორებს შორის ფულადი სახით განაილება. ასევე, იხ. *Kleinberger,* Agency, Partnerships and LLCs, 2nd ed., 2002, 337-338.

511 შეად. *Kleinberger,* Agency, Partnerships and LLCs, 2nd ed., 2002, 332.

ლიკვიდატორად დანიშნულ პირს ნორმატიულ დონეზე განსაზღვრული მოვალეობები აქვს. უპირველეს ყოვლისა, მან საზოგადოების კრედიტორებს უნდა აცნობოს საზოგადოების დაშლის პროცესის შესახებ.

ლიკვიდაციის პროცესის შემადგენლობა ლიკვიდატორის უფლებამოსილების ინდუქციური განმარტებიდანაც გამომდინარეობს. კერძოდ, ლიკვიდატორი არის ხელმძღვანელი პირის უფლება-მოვალეობებით აღჭურვილი პირი, რომელმაც ლიკვიდაციის პროცესში უნდა დაასრულოს მიმდინარე საქმეები, გაასხვისოს აქტივები და შეასრულოს სპს-ის მიერ ნაკისრი ვალდებულებები. აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ლიკვიდატორი არ არის შეზღუდული დადოს ახალი გარიგება.[512]

ლიკვიდაციის პროცესის სამართლებრივ-ეკონომიკურ ნაწილად კვალიფიცირებას განაპირობებს ის ფაქტორიც, რომ ლიკვიდაციაში მყოფი სამეწარმეო საზოგადოების ქონება ნაწილდება პარტნიორებს შორის. ეს უკანასკნელი შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების ვალდებულებების დაფარვისა და დაშლის შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან 5 თვის გასვლის შემდგომ. აღნიშნული ორი წინაპირობა კრედიტორის დაცვას უზრუნველყოფს, რათა არ მოხდეს მათი ინტერესების შელახვის ხარჯზე, უპირატესად, პარტნიორთა შორის სამეწარმეო საზოგადოების ქონების სრულად განაწილება.[513]

დაშლის პროცესის შემადგენელი ერთ-ერთი მთავარი სეგმენტი - ლიკვიდაცია - დასრულებულად ითვლება საზოგადოების ქონების განაწილების შემდეგ.[514] თუმცა, სამართ-

---

512 *Kleinberger,* Agency, Partnerships and LLCs, 2nd ed., 2002, 330, 333.

513 აქ საინტერესოა ახალი რეგულაცია: თუ პარტნიორთა შორის სამეწარმეო საზოგადოების ქონების განაწილება არ არის დაწყებული, დაშლილმა სამეწარმეო საზოგადოებამ შეიძლება გააგრძელოს არსებობა, თუ ამის შესახებ პარტნიორთა საერთო კრება მიიღებს გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილება დაშლილი საზოგადოების არსებობის გაგრძელების შესახებ მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციისთვის ლიკვიდატორის მიერ უნდა იქნეს წარდგენილი, ხოლო დაშლილი საზოგადოების არსებობის გაგრძელება ძალაში შედის ხსენებული გადაწყვეტილების რეგისტრაციის შემდეგ.

514 კიდევ ერთი საინტერესო სიახლეა ე.წ. ხელახალი ლიკვიდაციის შესაძლებლობის დაშვება. თუ რეგისტრაციის გაუქმების შემდგომ აღმოჩნდა, რომ ქონება კვლავ დარჩა, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე

ლებრივი შედეგი დგება ლიკვიდატორის მიერ მარეგისტრირებელი ორგანოსათვის ლიკვიდაციის რეგისტრაციის მოთხოვნიდან და მისი რეგისტრაციის მომენტიდან. ლიკვიდაციის რეგისტრაციის მოთხოვნის საფუძველზე მარეგისტრირებელი ორგანო აუქმებს (დაშლის სამართლებრივი მხარე) სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრაციას.

აღსანიშნავია, რომ კანონი ამხანაგობის ტიპის საზოგადოებათა მიმართ (სპს, კს) არ ითვალისწინებს დაშლის პროცესში კრედიტორთა მოთხოვნის სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორის პირად ქონებაზე მიქცევის დამატებით და დეტალურ რეგულირებას, რაც, სამომავლოდ, მთელი რიგი სირთულეების წარმოშობის საფუძველი შეიძლება გახდეს.[515]

2. თავი - კს

2.1. ისტორიული ექსკურსი

სამეწარმეო საზოგადოებათა დოგმატური დაყოფის თვალსაზრისით კს, მიუხედავად მისი, შეიძლება ითქვას, ჰიბრიდული ბუნებისა, ამხანაგური (პერსონალური) ტიპის საზოგადოებათა რიცხვს მიეკუთვნება. გაბატონებული მოსაზრების თანახმად, კს სპს-ის საფუძველზე აღმოცენებულ სამართლებრივ ფორმას და მის ნაირსახეობას წარმოადგენს. შესაბამისად, კს ეყრდნობა სპს-ისთვის გამოსაყენებელ სამართალს გარკვეული მოდიფიცირებით, რომლის შესახებაც სპეციალურ დათქმებს კანონის კს-ისთვის განკუთვნილი სპეციალური დებულებები შეიცავს.

ისტორიულად ქართულ სამართალში აღნიშნულ იურიდიულ კონსტრუქციას „ნდობის ამხანაგობა" ეწოდებოდა და ეკონომიკურ ურთიერთობაში სრული, ანუ სოლიდარული ამხანაგობისაგან განსხვავებით კაპიტალდაბანდების შედეგად განსხვავებულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა ამხანაგობის კრედიტორის წინაშე.[516] საერთოდ, კს-ის წარმოშობა

სასამართლო ხელახლა ნიშნავს ლიკვიდატორს, რის შემდგომაც დარჩენილი ქონების სალიკვიდაციო პროცედურები ხელახლა, ზოგადი წესების მიხედვით განხორციელდება. იხ. კანონის 90-ე მუხლი.

515 შეად. *Kleinberger*, Agency, Partnerships and LLCs, 2nd ed., 2002, 344-345.

516 *ჯაფარიძე*, სავაჭრო სამართალი, 2019, 92.

შუა საუკუნეების სავაჭრო სამართლის განვითარებას უკავშირდება, როდესაც სავაჭრო საქმისადმი ინტერესი, მსგავს საზოგადოებაში ფულის ჩადების შედეგად მოგების მიღების თვალსაზრისით, საზოგადოების იმ ფენისთვისაც ხდება საინტერესო, რომელიც, სხვადასხვა მიზეზის გამო,[517] აქამდე თავს იკავებდა მსგავსი საქმიანობისაგან. ამ უკანასკნელს მხოლოდ წილობრივი მონაწილეობა, ანუ (ანონიმური) კაპიტალდაბანდების ინტერესი ამოძრავებდა, რაც გამორიცხავდა მის უშუალო მონაწილეობასა და ხელმძღვანელობით საქმიანობაში ჩართვას. აღნიშნული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა იძლეოდა სამეწარმეო საქმიანობაში მხოლოდ კაპიტალით მონაწილეობის იურიდიულ შესაძლებლობას თანაც ისე, რომ კაპიტალის ჩამდების პასუხისმგებლობა, განსხვავებით სოლიდარულად მთელი თავისი ქონებით პასუხისმგებელი პირისა, შემოიფარგლებოდა მხოლოდ მის მიერ განხორციელებული შენატანით. ისტორიულად კს იძლეოდა დიფერენცირებული პასუხისმგებლობის საშუალებას, რაც ზრდიდა სავაჭრო საქმისადმი პირთა ინტერესს და კომერციულ საქმიანობაში მეტი ქონების აკუმულირების შესაძლებლობას განაპირობებდა. გასათვალისწინებელია ასევე ისიც, რომ სავაჭრო საქმის განმახორციელებელი სპს-ები, ძირითადად, საოჯახო საწარმოების სახით იყო ჩამოყალიბებული ადრეულ ევროპაში, სადაც პირად ღვაწლსა და უნარს საქმის კეთებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. თუმცა საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებასა და სხვადასხვა სფეროების გაჩენასთან ერთად ცხოვრება დღის წესრიგში აყენებდა ოჯახის წევრთა სხვა პროფესიით დაკავების ინტერესს. რძის პროდუქციის მწარმოებელი სპს „კნაუფის საოჯახო საწარმო", რომელიც ტრადიციულად ხარისხიანი ყველის წარმოებითა და გაყიდვით იყო ცნობილი, კნაუფის ოჯახის უფროსი თაობის პირადი ღვაწლისა და უნარების, საქმის თავისებური ცოდნით იყო განპირობებული. ოჯახის გაფართოვებისა და ახალი თაობის ჩამოყალიბების შედეგად ზოგიერთი მათგანი სრულიად სხვა პროფესიას დაეუფლა, თუმცა საოჯახო ბიზნესთან წვდომის ინტერესს, რამდენადაც იგი მომგებიანია,

517 იქვე.

ოჯახის სხვა წევრიც გამოთქვამს. კს ისტორიულად საუკეთესოდ იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ ოჯახის ასეთი წევრი იურიდიულად დარჩენილიყო ამხანაგობაში, როგორც პარტნიორი, ხოლო საწარმოს მმართველობა და ხელმძღვანელობა მთლიანად ჩაბარებოდა ამ საქმის პროფესიონალს, რომელიც მთელი თავისი ქონებით იქნებოდა პასუხისმგებელი ამხანაგობის კრედიტორების წინაშე, გააგრძელებდა ტრადიციულ საოჯახო საქმეს და კორპორაციული გადაწყვეტილებისა და ნების მაფორმირებელი თავად იქნებოდა.

2.2. ლეგალური დეფინიცია და ძირითადი მახასიათებლები

კანონის 112-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემულია კსის ცნება, რომლის მიხედვითაც, კს არის ამ კანონით დადგენილი სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, ანუ მეწარმე სუბიექტი. იგი ატარებს იურიდიული პირის სტატუსს ე.ი. არის გარე საზოგადოება, სადაც მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დივერსიფიცირებული წესი არსებობს: პასუხისმგებლობა გადანაწილებულია პარტნიორთა ორ კატეგორიაზე - კომპლემენტარსა და კომანდიტზე. შესაბამისად, კს-ას აუცილებლად უნდა ჰყავდეს სულ მცირე ერთი ისეთი პარტნიორი, რომელიც მთელი თავისი ქონებით ინდივიდუალურად იქნება პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებისათვის კრედიტორის წინაშე (კომპლემენტარი) და, სულ მცირე ერთი ისეთი პარტნიორი, რომელიც იკისრებს გარკვეული შენატანის განხორციელების ვალდებულებას, მისი ამ შენატანის - კანონის ტერმინოლოგიით საგარანტიო თანხის - ოდენობა ზუსტად იქნება დადგენილი საზოგადოების ხელშეკრულებით და მისი სრულად განხორციელების პირობებში აღნიშნული პარტნიორის პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე შემოფარგლული იქნება სწორედ ამ შენატანის მოცულობით. მსგავს პარტნიორს კს-ში კომანდიტი ეწოდება.

როგორც ითქვა, ტიპოლოგიური ბუნების თვალსაზრისით კს პერსონალური ტიპის საზოგადოებას განეკუთვნება, რაც ასევე კარგად ვლინდება კანონის 112-ე მუხლის პირველი

პუნქტით. კს-ის ლეგალური დეფინიციის საკანონმდებლო დახასიათებისას ყურადღება შეგნებულად არის გამახვილებული იმაზე, რომ „პარტნიორები ერთობლივად და ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას". გასაგებია, რომ პარტნიორთა უშუალო ჩართვა ბიზნეს საქმიანობაში და პირადი ღვაწლისა და უნარების გამოყენება დიდწილად შეიძლება განაპირობებდეს კიდეც საწარმოს რენტაბელურ საქმიანობას და მის წარმატებას. სწორედ ეს წარმოადგენს კს-ის იდეალტიპურ შემთხვევას.

კანონის სტრუქტურა კს-სთან მიმართებაში იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ ამ სამართლებრივი ფორმის მიმართ პირდაპირ გამოიყენება სპს-ისთვის გათვალისწინებული ნორმები (კანონის 112-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთ თქმულს: კს სპს-ის ნაირსახეობას წარმოადგენს და კანონის მე-12 თავი მხოლოდ კომანდიტთან დაკავშირებულ სამართალურთიერთობას ანესრიგებს. კომპლემენტართან მიმართებით კი გამოიყენება სპს-ის ნორმა-დებულებანი. რა თქმა უნდა, ყურადღების მიღმა არ რჩება კანონის ზოგადი ნაწილის ნორმები, რომელიც ასევე უშუალოდ გამოიყენება კს-ის მიმართ.

მსგავსად სპს-სა, კს-ის მომწესრიგებელი ნორმების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა დისპოზიციურ ხასიათს ატარებს, რაც იმას ნიშნავს, რომ აქაც ბატონობს საწესდებო ავტონომიის სრული თავისუფლების პრინციპი. გარკვეული შეზღუდვები, უფრო სწორედ, აკრძალვები აქაც მოქმედებს და იგი, ძირითადად, პარტნიორის პასუხისმგებლობას უკავშირდება.

2.3. კს, როგორც ჰიბრიდული წარმონაქმნი

2.3.1. პერსონალური და კაპიტალური ტიპის საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ნიშნები

როგორც ზემოთ აღინიშნა, საკორპორაციო სამართალში კს-ას ჰიბრიდულ წარმონაქმნსაც უწოდებენ. მისი ჰიბრიდული ბუნება გამომდინარეობს იქედან, რომ მასში თავმოყრილია პერსონალური პასუხისმგებლობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საფუძვლები. მარტივად, რომ აიხსნას

შეიძლება ერთმანეთს შევადაროთ სპს და შპს. სპს-ის კრედიტორის ინტერესი ძირითადად იმაში გამოიხატება, რომ მის უკან ყოველთვის დგას მისი პარტნიორი, რომელიც საზოგადოების ვალდებულებისათვის პირადად არის პასუხისმგებელი. ამასთან, პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორი იმავდროულად საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმომადგენელი პირია და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ორგანული კომპეტენცია სწორედ ამ უკანასკნელს აქვს და ეს უშუალოდ სპს-ისთვის დამახასიათებელი მართვის პარადიგმა იქნება. კომპლემენტართა ხელმძღვანელობასთან მიმართებით გამოსაყენებელი იქნება სპს-ში არსებული ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განხორციელების შემთხვევა, თუმცა გარკვეული მოდიფიცირებით. თუკი სპს-ში, როგორც წესი, ერთი პარტნიორი მაინც უნდა იყოს ჩართული საწარმოს ხელმძღვანელობით საქმიანობაში, კს-ამ ამისაგან განსხვავებული წესი შეიძლება დაადგინოს. ეს კს-ის სამართლის დისპოზიციურობის პრინციპს ეფუძნება მთლიანად, რაც ნიშნავს იმას, რომ საკანონმდებლო რეგულირების მოდელისაგან განსხვავებით,[518] სახელშეკრულებო (წესდებისმიერი)-სამართლებრივი მოდიფიცირება ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებისა თავისუფლად არის დასაშვები და შესაძლოა საზოგადოების ხელშეკრულებით დადგენილი იყოს შემთხვევა, როდესაც კომპლემენტარი ხელმძღვანელობითი კომპეტენციისაგან მთლიანად ან ნაწილობრივად არის ჩამოშორებული.[519] შპს-ში, მისი კაპიტალისტური ბუნებიდან გამომდინარე, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა შენატანის განხორციელების ვალდებულების კეთილსინდისიერი შესრულება, რის შემდეგაც, როგორც წესი, გამოირიცხება პარტნიორის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა.[520] გარდა ამისა, არაპერსონალური პარტნიორული სტრუქტურის მქონე შპს-ში, (ძირითადად, უმცირესობაში მყოფი) კაპიტალდამბანდებლისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა არა საწარმოს

518 როდესაც საწარმოს კომპლემენტარები ხელმძღვანელობენ.

519 *Oetker* in Oetker (Hrsg.), Handelsgesetzbuch. Komm., (2021), §1 Rn. 26; Hermanns Beck'sches Notar-HdB, 7 Auf. 2019, §20 Rn. 44-45.

520 გამონაკლისი ყოველთვის დაკავშირებულია გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინასთან. ამასთან დაკავშირებით იხ. წიგნის შემდეგი ნაწილი.

ხელმძღვანელობისა და მართვის ინტერესი, არამედ მოგების განაწილებაში მონაწილეობის ინტერესი, რაც მას დივიდენდის მიღების უფლებას მიანიჭებდა. ამასთან,[521] აუცილებლად გასათვალისწინებელია კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში არსებული გამიჯვნის პრინციპი,[522] რომელიც გადამწყვეტია საწარმოს კონტროლის სისტემის, ანუ კორპორაციული მართვის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. პარტნიორის მიერ საზოგადოებისთვის გადაცემული ქონების ზედამხედველობისთვის პარტნიორს, მითუმეტეს არაპერსონალური პარტნიორული სტრუქტურის მქონე კაპიტალურ საზოგადოებაში, დირექტორზე (დირექტორატზე) კონტროლის ეფექტური მექანიზმი ესაჭიროება, რამდენადაც იგი (პარტნიორი), როგორც წესი, თავად არ არის უშუალოდ ჩართული საწარმოს ყოველდღიურ საქმიანობაში და არც მასზე უნდა იყოს პასუხისმგებელი. სწორედ ეს სისტემა განასხვავებს, როგორც წესი, შეზღუდულ პასუხისმგებლობის პრინციპზე დაფუძნებული კაპიტალისტური საზოგადოების ხელმძღვანელობას პერსონალური საზოგადოების მართვის კონცეფციისაგან.

პასუხისმგებლობისა და ხელმძღვანელობის კანონის იდეალტიპური შემთხვევისაგან გადახვევა დასაშვებია წესდებით, თუმცა მას უფრო შიდაორგანიზაციული დატვირთვა აქვს. იგი შიდა კორპორაციული მოქმედების მატარებელია უმეტესწილად, თუმცა შესაძლოა, გარესამართლებრივი დატვირთვაც შეიძინოს. მაგალითად, როდესაც კომანდიტს ენიჭება ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება. კანონის 114-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, როგორც წესი, კომანდიტი გამოთიშულია ხელმძღვანელობითი საქმიანობისაგან. ეს ფუნქცია კოპლემენტარს აქვს. სწორედ ამიტომ კომანდიტს არ აქვს უფლება, გამოვიდეს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში კომპლემენტარის მიერ განხორციელებული ქმედების წინააღმდეგ (114-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება). კომანდიტი მონაწილეობს მხოლოდ იმ გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლე-

521 პარტნიორის შეზღუდული პასუხისმგებლობის დოქტრინის კონტექსტში.

522 ერთმანეთისაგან პრინციპულად გამიჯნულია პარტნიორისა და თავად შპსის, როგორც იურიდიული პირის, ქონება.

ბს. მაგალითად, კს „ირაკლი ბურდულის სასაცხობე წარმოების" საქმიანობის საგანია ფუნთუშეულის წარმოება. ყველა გადაწყვეტილება, რომელიც ამ საქმიანობას უკავშირდება მიჩნეულ უნდა იყოს ჩვეულებრივ საქმიანობად და, შესაბამისად, მასში კომანდიტის მონაწილეობა გამორიცხულია. თუკი აღნიშნული კს გადაწყვეტს გააფორმოს ხელშეკრულება შპს „ქსილოტრეიდთან" მანქანის ძარების შესყიდვასთან და წარმოებასთან დაკავშირებით, აუცილებელი იქნება კომანდიტების მონაწილეობა (თანახმად ამავე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებისა). თუმცა კანონის 114-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კომანდიტს შესაძლოა მიენიჭოს იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებათა განხორციელების უფლებამოსილება, მაგრამ აქ საუბარია არა ორგანულსამართლებრივ წარმომადგენლობაზე, არამედ გარიგებითსამართლებრივზე.

2.3.2. პერსონალური პარტნიორული სტრუქტურა და კს-ის (სხვა) გამოვლინებები

განვითარებული კაპიტალისტური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში კს, ძირითადად, ოპერირებს მცირე და საშუალო ბიზნესში. ევროპის ქვეყნებში აღნიშნული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა საკმაოდ გავრცელებულია, რაც სხვადასხვა ფაქტორით არის განპირობებული.[523] სამწუხაროდ, საქართველოში კს ნაკლებად არის გავრცელებული. ეს, ალბათ, 2021 წლამდე მოქმედი კანონმდებლობით და მისადმი ქართული ბიზნესის ნაკლები ინტერესით უნდა აიხსნას.

კლასიკური კს-ისთვის დამახასიათებელია პერსონალური პარტნიორული სტრუქტურა. ეს ნიშნავს იმას, რომ მასში მცირე რაოდენობის პარტნიორი მონაწილეობს, კომპლემენტართა შორის განსაკუთრებით ახლო ურთიერთობაა და ისინი მათი პირადი უნარებისა და აქტიური ჩართულობის გამოყენებით მართავენ საწარმოს ყოველდღიურ საქმიანობას და, პრინციპში, საწარმოს ძირითადი პოლიტიკის განმ-

523 *Gummert* in Henssler/Strohn (Hrsg.), Gesellschaftsrecht, 5. Auf. 2021, §161 Rn. 3.

საზღვრელნიც თავად არიან.[524] თუმცა არსებობს ამისაგან განსხვავებული მოცემულობაც, როდესაც შეზღუდულად პასუხისმგებელი პარტნიორის მხარეს თავმოყრილია მრავალი (ანონიმური) კაპიტალდამბანდებელი, რომელიც მხოლოდ მისი საგარანტიო თანხით მონაწილეობს კს-ში. ამ შემთხვევაში ყურადღება იქნება გასამახვილებელი 2021 წლის რეფორმით საკანონმდებლო დონეზე შემოტანილ დანაწესზე, რომელიც ე.წ. შეზღუდული პასუხისმგებლობის კს-ას[525] ეხება. ამ მხრივ, საინტერესოა კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი. მრავალ ევროპულ ქვეყანაში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ისეთი ამხანაგური (პერსონალური) ტიპის სავაჭრო საზოგადოება, სადაც პარტნიორის (პირდაპირი შინაარსით) ინდივიდუალური პერსონალური პასუხისმგებლობა არაპირდაპირ შეზღუდულია. სხვა სიტყვით რომ ითქვას, კს-ში კომპლემენტარად წარმოდგენილია კაპიტალური ტიპის საზოგადოება.[526] შესაბამისად, მიუხედავად პერსონალური საზოგადოების კლასიკური ტიპოლოგიური ბუნებისა მასში მისი წევრის პასუხისმგებლობა მაინც შეზღუდულია. ასეთი სახის სამართლებრივ ფორმებს ამხანაგური (პერსონაფიცირებული) ტიპის საზოგადოების მომიჯნავე, მონათესავე ფორმებად მოიხსენიებენ[527] და მისთვის, სპეციალური ამ

524ესიმასუნდანიშნავდეს,რომსაზოგადოებისსაქმიანობასთანდაკავშირებული, პრინციპში, ნებისმიერი საკითხი, მათი გადაწყვეტის კომპეტენციაში შედის, მათ შორის, ე.წ. სტრუქტურულ ღონისძიებებთან დაკავშირებული. შესაბამისად, კანონის 144-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნტი და 234-ე მუხლის მე-2 პუნქტი გამოიყენება მხოლოდ კონკრეტულად ამ ნორმათა რეგულირების ქვეშ შემავალ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე: შპს-სა და კოოპერატივზე. და ვინაიდან აღნიშნულ სამართლებრივ ფორმებში სახელდახელოდ არის რეგულირებული საქმიანობის საგნის ცვლილების გამო პარტნიორის გასვლის უფლება, უნდა ვივარაუდოთ, რომ მსგავსი ინსტიტუტი არ არსებობს კს-ში.

525 ნორმა აწესრიგებს ასევე სპს-სთან დაკავშირებულ შემთხვევასაც.

526 ამხანაგურ საზოგადოებაში ნებისმიერი დონის - იქნება ეს კომპელემენტარი თუ კომანდიტი -პარტნორად წარმოდგენილი შეიძლება იყოს ფიზიკური და იურიდიული პირი (მათ შორის შპს ან სს, როგორც კაპიტალური საზოგადოება, სადაც თავად ამ საზოგადოებათა პარტნიორის პასუხისმგებლობა შეზრუდულია მესამე პირთა წინაშე და იგი (კაპიტალური საზოგადოება) პასუხს აგებს (გამჭოლი პასუხისმგებლობის დოგმატური საფუძვლები შპს-ისა და სს-ის სამართალში იხ. მაგ.: *Knof* in MünHdB GesR V, §13 Rn. 46 f; Lieder in Michalski/Heidinger/Leible/J. Schmidt, GmbH-Gesetz, (2017), §13 Rn. 377 ff; *Grigoleit* in Grigoleit (Hrsg.), AktG. Komm., (2020), §1 Rn. 93 ff.) მთელი თავისი ქონებით).

527 ასე მაგ.: *Koch*, Gesellschaftsrecht, (2019), 127.

ფორმისათვის მომწესრიგებელი ნორმების არარსებობის მიუხედავად, გარკვეული მოწესრიგებები მაინც არის შემოთავაზებული.[528] სწორედ მსგავს სიტუაციასთან გვაქვს ჩვენს შემთხვევაშიც საქმე: იმ კს-ში, სადაც კომპლემენტარად მხოლოდ კაპიტალური საზოგადოება მონაწილეობს (ან ისეთი სპს ან კს, სადაც, თავის მხრივ, კომპლემენტარად მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის სტატუსის მქონე პირი გამოდის და ა.შ.), ბრუნვაში ჩართული ამ სუბიექტის შინაარსის უკეთ გაგებისა და მისი (სუბიექტის) იდენტიფიცირებისთვის აუცილებელია, საფირმო სახელწოდებაზე შემდეგი სახის დამატების გაკეთება - „შეზღუდული პასუხისმგებლობის კს (ან კომანდიტური საზოგადოება)". ეს კონსტრუქცია მჭიდროდ უკავშირდება ე.წ. საჯარო კს-ს. მისი საბაზისო ფორმის მიხედვით, კაპიტალდამბანდებელი უშუალოდ მონაწილეობს კს-ში როგორც კომანდიტი, რომლის პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორი უმრავლეს შემთხვევაში შპს-ა.[529] საჯარო კს-ის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ფორმალურად ეს უკანასკნელი პერსონალური ტიპის საზოგადოებად განიხილება, თუმცა აღჭურვილია კაპიტალის მოზიდვის ფუნქციით, რითიც განსხვავდება კლასიკური კს-ისგან და მისი ორგანიზაციული სისტემის მიხედვით უმეტესწილად კორპორაციულსამართლებრივი (კაპიტალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი) მართვის სტრუქტურისაკენ იხრება.[530] ასეთი ტიპის კს ფუძნდება მცირე ოდენობის ინიციატორი-კომპლემენტარებისაგან და ორიენტირებულია იმაზე, რომ საზოგადოებაში აყვანილ იქნას შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე პარტნიორთა განუსაზღვრელი ოდენობა, რომელიც, როგორც კაპიტალდამბანდებელი პარტნიორი პირდაპირ თუ არაპირდაპირ (მინდობილი პირით) მონაწილეობს კს-ში.[531] საქმეები მსგავსი კონსტრუქციის მქონე კს-ში იწარმოება შპს-ის მიერ, უფრო სწორედ, ხელმძღვანელობა ხორციელ-

528 კერძო სამართლის დუალისტური მოდელის ქვეყნებში უპირატესად სავაჭრო/მეწარმეთა კოდექსებით. მაგალითად გერმანია (HGB), ავსტრია (UGB).

529 *Horbach* in Gummert/Weipert (Hrsg.), MünHdB des GesR., Bd. 2., 5 Auf., 2019, §61 Rn. 14.

530 *Oetker* in Oetker (Hrsg.), Handelsgesetzbuch. Komm., (2021), §161 Rn. 123.

531 იქვე, Rn. 122.

დება კომპლემენტარი შპს-ის დირექტორთა მხრიდან, თუმცა ევროპულ პრაქტიკაში მრავლად არის შემთხვევები, როდესაც კომანდიტის როლი წინა პლანზეა წამოწეული საწარმოს მართვის საქმეში, რის გამოც საზოგადოების წესდება შეიცავს დანაწესს, რომლის მიხედვითაც კომანდიტი აქტიურად არის ჩართული საზოგადოების ხელმძღვანელობაში და საჯარო კს-ის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის კომპეტენცია მას აქვს და იგი ასეთად არის რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში.[532] ამასთან, თავად საჯარო კს-ის ხელმძღვანელ პირთა ხელმძღვანელობითი კომპეტენცია შიდაორგანიზაციულად კომანდიტის მიერ გაცემულ შეზღუდვებზეა დამოკიდებული.[533]

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მსგავსი საჯარო კს-სთვის („შეზღუდული პასუხისმგებლობის კს"[534]) დამახასიათებელია, რომ კაპიტალის მოზიდვა წარმოებს ე.წ. ნაცრისფერ კაპიტალის ბაზარზე პროსპექტის ან განაცხადის მეშვეობით და კომანდიტები აღნიშნულ საზოგადოებაში მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალდამბანდებლად ოპერირებენ.[535] მათი ინტერესიც სწორედ ეს გახლავთ. ამიტომაც ხდება ხოლმე, რომ საგარანტიო თანხის შეტანა (მოზიდვა) შენატანის პარალელური გაზრდის პირნციპის საფუძველზე, როგორც წესი, არ წარმოადგენს საზოგადოების წესდების შემადგენელ ნაწილს, რაც არც მისი შემდგომი ცვლილების საკითხს იწვევს და ამით იგი საზოგადოების ფართო მასისათვის ხდის თავის წილს ისევე ხელმისაწვდომად, როგორც ეს (კომანდიტურ) სს-ში მოხდებოდა, რითიც კომანდიტის ადგილი (სტატუსი) საზოგადოებაში აქციონერისას ემსგავსება.[536]

საქართველოში მსგავსი იურიდიული კონსტრუქცია განვითარებული არ არის. თუმცა შესაძლებელია, რომ 2021 წლის კანონის ახალმა რედაქციამ ბიძგი მისცეს ამ სამართლებრივი

---

532 *Pachte* in Gummert (Hrsg.), MünAnwaltsHdB Personengesellschaftsrecht, 3. Auf., 2019, §2 Rn. 54.

533 მსგავს შეზღუდვებს შიდაკორპორაციული მოქმედების ძალა აქვს.

534 გერმანულენოვანი სამართლის ქვეყნებში მას შემდეგნაირად მოიხსენიებენ: „GmbH & Co. KG".

535 *Liebscher* in Reichert (Hrsg.), GmbH & Co., 8. Auf., 2021, §3 Rn. 25.

536 *Roth* in Baumbach/Hopt (Hrsg.), HGB Komm., (2021), §161 Rn. 12.

ფორმის მოდიფიცირებული ვარიანტების გამოყენებას კორპორაციულ პრაქტიკაში, რაც ამხანაგური ტიპის საზოგადოებაში კაპიტალდაბანდების მეტ ინტერესს გააჩენდა.

2.4. საზოგადოების დაფუძნება

კს-ის დაფუძნების სამართალი ძირითადად ემყარება სპს-ის დაფუძნებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამიტომ მითითება გაკეთდებოდა წიგნის იმ ნაწილზე, რომელიც სპს-ის ჩამოყალიბებას ეხება. გამოსაყენებელია კანონის ზოგადი ნაწილის ნორმები სამეწარმეო საზოგადოების ფორმირებასთან დაკავშირებით. თუმცა აღსანიშნავია, რომ გარკვეული დამატებითი მოთხოვნები არის დადგენილი, რაც აუცილებლად არის გასათვალისწინებელი.

კს-ის ხელშეკრულებაც, მსგავსად ყველა სამეწარმეო საზოგადოების ხელშეკრულებისა შეიცავს სავალდებულო და ფაკულტატურ რეკვიზიტებს. რახან ითქვა, რომ კს სპს-ის ერთგვარ ნაირსახეობას წარმოადგენს, ლოგიკურია, რომ მისი ხელშეკრულება, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიცავდეს მონაცემებს კომპლემენტარ პარტნიორთან დაკავშირებით და (იდეალტიპურ შემთხვევაში) თუ საზოგადოებას პერსონალური პარტნიორული სტრუქტურა აქვს ჩამოყალიბებული მართვის მონაცემს მართვის იმ სისტემის შესახებ, რომელიც სპს-ის საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი. კანონის მე-7 მუხლით რეგისტრაციისათვის, როგორც ითქვა, აუცილებელია იმ სავალდებულო რეკვიზიტების ჩამოყალიბება სადამფუძნებლო შეთანხმებაში, რომელიც კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით არის დადგენილი. კს-ის სადამფუძნებლო შეთანხმების სავალდებულო მონაცემს განსაზღვრავს დამატებით ამავე მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც კს-ის დამფუძნებლებისაგან დამატებით ითხოვს ორი მონაცემის შეტანას. 1. შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე პარტნიორი, ანუ კომანდიტის შესახებ ინფორმაციას. ფიზიკური პირის შემთხვევაში მისი სახელი და გვარი, პირადი ნომერი და ა.შ., ხოლო იურიდიული პირისას - საფირმო სახელწოდება და სარეგისტრაციო მონაცემი. 2. რაკი კომანდიტი საზოგადოების ვალდებულებისათვის მესამე პირის წინაშე შეზღუდულად

აგებს პასუხს და მისი შეზღუდული პასუხისმგებლობის საფუძველი მის მიერვე დათქმული შესატანის სრულყოფილად, კეთილსინდისიერად და ჯეროვნად განხორციელების ვალებულებაა, მითითებას, უფრო სწორედ, საზოგადოების ხელშეკრულებაში საგარანტიო თანხის/შენატანის მკაფიოდ დაფიქსირებას, ანუ შენატანის ოდენობის თაობაზე ინფორმაციის შეტანას. ამასთან შენატანი, იქნება ეს ფულადი თუ არაფულადი სახისა, აუცილებლად გასაგებად უნდა იყოს ჩამოყალიბებული სადამფუძნებლო შეთანხმებაში. მართალია კანონის ტექსტი ყურადღებას ამახვილებს „შენატანის ოდენობაზე", თუმცა აღნიშნული ნორმა ფართოდ უნდა იქნეს გაგებული და კონკრეტულ ციფრთან ერთად (ოდენობა) მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია სანივთო (არაფულადი) შენატანის საგნის თაობაზეც.

2.5. შენატანის განხორციელება კომანდიტურ საზოგადოებაში: განსხვავება შენატანსა და საგარანტიო თანხას შორის

კომანდიტური საზოგადოების სპეციფიკურობა გამოიხატება ორი განცალკევებული, თუმცა ერთმანეთთან გადაჯაჭვული და დაკავშირებული ქონებრივი ინსტიტუტის თანაარსებობაში: შენატანი და საგარანტიო თანხა. აღნიშნულიდან მეორე უშუალოდ ეხება კომანდიტის შეზღუდულ პასუხისმგებლობას, რაც კომანდიტური საზოგადოების ცენტრალური განმსხვავებელი ნიშანია იმავე სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისგან.

შენატანთან დაკავშირებით ზოგადად დადგენილია მოთხოვნა, რომ კომანდიტების ვინაობა და მათ მიერ განხორციელებული შენატანები კომანდიტური საზოგადოების სადამფუძნელო შეთანხმებაში უნდა იყოს შეტანილი.[537] შენატანის შესახებ მოქმედებს განმტკიცებული ზოგადი დანაწესები,[538] რომელთა შორის არის შენატანის პირდაპირი პოზიტიური დეფინიციაც.[539] კონკრეტულად კომანდიტური საზოგადოე-

537 კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

538 იქვე, 21-27-ე მუხლები.

539 იქვე, 21-ე მუხლი.

ბისათვის კომანდიტის ძირითადი ვალდებულება შემოიფარგლება მის მიერ საგარანტიო თანხის შეტანით, რომელიც, თავის მხრივ, აუცილებლად განსხვავებულ უნდა იყოს ჩვეულებრივი შენატანისგან.

როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, კომანდიტი არ მონაწილეობს საზოგადოების მმართველობაში და არ წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში, თუ ეს პირდაპირ არ იქნება გათვალისწინებული მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. მოგებაზე უფლება მას აქვს მხოლოდ საზოგადოებაში მისი საკუთარი წილის საფუძველზე, რითაც ის არ განსხვავდება კომპლემენტარებისგან. კომანდიტი კომანდიტურ საზოგადოებაში რეალურად გამოდის უფრო გარე ინვესტორის სახით, რომლის ინტერესიც როგორც წესი, მხოლოდ ქონებრივი სფეროთი შემოიფარგლება და არ იჭრება მმართველობით საკითხებში.

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს 2021 წლის კანონი, განსხვავებით იმავე შენატანისგან, არ იძლევა საგარანტიო თანხის პირდაპირ პოზიტიურ დეფინიციას, თუმცა მაინც შესაძლებელია მისი ძირითადი მახასიათებლებისა და ფუნქციებისათვის ხაზგასმა: საგარანტიო თანხა პირდაპირ მითითებული უნდა იყოს რეესტრში და კომანდიტი მხოლოდ და მხოლოდ ამ მაქსიმალური რეგისტრირებული ოდენობის ფარგლებში იქნება პასუხისმგებელი კრედიტორების წინაშე.[540]

აღნიშნული საგარანტიო თანხის უმთავრესი განმსაზღვრელი ნიშანი წარმოადგენს იმას, რომ ის უშუალოდ ეხება მხოლოდ საზოგადოების გარესამართლებრივ ურთიერთობებს მესამე პირებთან. კრედიტორისათვის მნიშვნელოვანი არ არის წილების გადანაწილება საზოგადოებაში, მათ აინტერესებთ ის თანხა, რომელიც ხელმისაწვდომია მათ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. შედარებისათვის კომანდიტის შენატანი, წილი და ამ წილიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები განეკუთვნება თვითონ საზოგადოების შიდასამართლებრივ სფეროს.[541] ეს ნიშნავს, რომ მოგებისა და ზა-

540 იქვე, 116-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები. იხ: *Förster*, Gesellschaftsrecht, 2. Aufl., C.F. Müller Verlag, München, 2016, Rn.482, s.114

541 გერმანულ ლიტერატურაში განასხვავებენ სწორედ კომანდიტის

რალის განაწილებაში კომანდიტი მონაწილეობს საზოგადოებაში საკუთარი შენატანით (რითაც ის დიდად არ განსხვავდება ჩვეულებრივი კომპლემენტარისგან) იმ დროს, როდესაც კრედიტორების წინაშე ის მხოლოდ და მხოლოდ იმ მაქსიმალურ ოდენობამდე აგებს პასუხს, რომელიც რეგისტრირებულია რეესტრში (საგარანტიო თანხა).

ამასთანავე, მნიშვნელოვანია ამ ორის დემარკაცია ფუნქციური დატვირთვის ასპექტშიც: საგარანტიო თანხა წარმოადგენს კონკრეტულად მითითებულ, რეგისტრირებულ თანხას, რომელიც გამოიყენება მარტოდმარტო საზოგადოების ვალდებულებათა დასაკმაყოფილებლად. თვითონ დასახელებიდანვე გამომდინარე, მისი მიზანია გარანტიის მიცემა კრედიტორებისათვის და მას სხვა რაიმე დანიშნულება არ აქვს. შენატანის განხორციელებით კი აღნიშნული ქონება პირდაპირ კომანდიტური საზოგადოების კაპიტალში აღირიცხება და სამართლებრივი თვალსაზრისით საზოგადოების ქონება ხდება. მოგებისა და ზარალის განაწილებისას მხედველობაში მიიღება ის თანხა, რომელიც საზოგადოების შიდასამართლებრივ სფეროს განეკუთვნება ანუ კომანდიტის შენატანი, რომლის საზღაურადაც მან შესაბამისი წილი მიიღო. წილისგან განსხვავებით, საგარანტიო თანხა არის მისგან დამოუკიდებელი, ცალკე მდგომი ოდენობა, რომელიც რელევანტურია მხოლოდ და მხოლოდ კომანდიტის მიერ კრედიტორებისათვის მოთხოვნათა დაკმაყოფილების მიზნით და მნიშვნელობა არ აქვს მოგებისა თუ ზარალის განაწილებისას.[542]

კიდევ ერთი განსხვავება არსებობს წილებსა და საგარანტიო თანხაში ცვლილებების შეტანის მხრივაც. წილის შემცირებისათვის საკმარისია წესდებაში შესაბამისი ცვლილების განხორციელება იმ დროს, როდესაც საგარანტიო თანხის ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე (კრედიტორთა დაცვა), მისი შემცირება არ იწვევს კომანდიტის პასუხისმ-

---

შენატანსა (*Einlage, Pflichteinlage*) და საპასუხისმგებლო, საგარანტიო თანხას (*Haftsumme*) შორის, რაც გერმანული სავაჭრო კოდექსის 172-ე პარაგრაფიდან გამომდინარეობს. იხ. *Schade,* Handels- und Gesselschaftsrecht, 2. Aufl., C.F. Müller Verlag, München, 2012, Rn.561, s.141.

542 როგორც უკვე აღინიშნა, კანონის 121-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კომანდიტი მოგებაში მხოლოდ საკუთარი *წილის* ოდენობით მონაწილეობს.

გებლობის შემცირებას რეტროაქტიულად ანუ კრედიტორის იმ ვალდებულების მიმართ, რომლებიც ამ ცვლილებამდე წარმოიშვა.[543] ვინაიდან კომანდიტური საზოგადოების კომპლემენტარები პირადად და შეუზღუდავად აგებენ პასუხს კრედიტორთა წინაშე, სამართალი ნაკლებად არის დაინტერესებული საზოგადოების კაპიტალში მათი წილის ცვლილებებით, მათ შორის შემცირებით, რადგან აღნიშნულით მესამე პირის უფლებას საფრთხე არ ემუქრება, რაც ბუნებრივია, კომანდიტის საგარანტიო თანხის შემთხვევაში განსხვავებული სიტუაციაა.

ამავდროულად არ უნდა წარმოვიდგინოთ ეს ორი როგორც სრულიად გათიშული ერთმანეთისგან: მათ შორის კავშირი და გადაკვეთის წერტილი საკმაოდ ბევრია. რადგანაც კომანდიტის მხრიდან საგარანტიო თანხის შეტანა რეალურად წარმოადგენს მის ერთადერთ მოვალეობას, რომელიც ცენტრალურია საზოგადოების გარესამართლებრივი ურთიერთობებისათვის - კერძოდ კი, კრედიტორთა დაკმაყოფილების მიზნით, კომანდიტის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ის უკვე საზოგადოების მიერ მიღებული ზარალის ანაზღაურებაში მის მიერ შეუტანელი *შენატანითაც* იქნება პასუხიმგებელი აღნიშნულ რეგისტრირებულ საგარანტიო თანხასთან ერთად.[544] კომანდიტი საზოგადოების ზარალის ანაზღაურებაშიც ამგვარადვე მონაწილეობს: საკუთარი საგარანტიო თანხისა და განუხორცელებელი შენატანის ფარგლებში.

მაგალითის სახით, თუ კს „კომიენდას" კომანდიტი პარტნიორი გ არ შეიტანს წესდებით დადგენილ 20 ათას ლარს და მხოლოდ მის ნახევარს გადასცემს საზოგადოებას (10 000 ლარს), აღნიშნული 10 000 ლარი უკვე კრედიტორებისათვისაც იქნება ხელმისაწვდომი რეგისტრირებულ საგარანტიო თანხასთან (ვთქვათ 30 ათასი ლარი) ერთად და კომანდიტის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ოდენობა ამ უკანასკნელ-

---

543 *Westermann*, Ausgleichsansprüche des Kommanditisten, dessen Haftsumme die Pflichteinlage übersteigt, bei Inanspruchnahme von Gläubigern der KG, in: Wirtschaftsfragen der Gegenwart, Festschrift für Hans Carl Barz zum 65. Geburtstag, Fischer, Möhring, Westermann, (Hrsg.), Walter De Gruyter, Berlin, 1974, s.85.

544 კანონის 116-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

თა ჯამი (40 000 ლარი) იქნება. ამგვარი სანქციის მიზანია კომანდიტის წახალისება, რომ მან საკუთარი ვალდებულებები სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი პრივილეგია - შეზღუდული პასუხისმგებლობა - შეკვეცილი იქნება.

იმ შემთხვევაში, თუ წესდებით არ არის განსხვავებული ერთმანეთისგან შენატანი და საგარანტიო თანხა და ისინი ერთი და იმავე ნომინალური ღირებულებით არიან აღნიშნულნი,[545] მიზანშეწონილი იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ ისინი რაოდენობრივად იდენტურნი არიან და ის კონკრეტული მითითებული ოდენობა აჩვენებს როგორც კომანდიტის მონაწილეობას საზოგადოებაში (მის წილს), ასევე მისი პასუხისმგებლობის ფარგლებს კრედიტორების წინაშე (საგარანტიო თანხას). ეს ნიშნავს, რომ თუ კომანდიტ გ-ს აქვს 2000 ლარი და მას შეაქვს ის საზოგადოებაში წილის სახით, მას შეუძლია იგივე თანხა საგარანტიო თანხადაც მიუთითოს. ამგვარი დამთხვევით პრაქტიკაში შეიძლება მართლაც წარმოიშვას გაუგებრობა შენატანსა და საგარანტიო თანხას შორის განსხვავების მხრივ და ისინი ერთმანეთთან იყვნენ გაიგივებულნი თუნდაც იურიდიულად მათ შორის ზღვარი გავლებული იყოს.

თუ საგარანტიო თანხა დაუბრუნდება კომანდიტს, ის ხელმიუწვდომელი ხდება კრედიტორებისათვის. უფრო მეტიც, თუ რეგისტრირებულ თანხას გარკვეული ოდენობა მოემატება, კრედიტორებს შეუძლიათ ამ დამატებული თანხის მოთხოვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მომატების შესახებ მათთვის ცნობილი გახდება ან დამკვიდრებული საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში ან მათ თვითონ კომანდიტური საზოგადოება შეატყობინებს სხვა გზით.[546] აღნიშნული მომატება, რა თქმა უნდა, წარმოადგენს საზოგადოების პარტნიორთა წინასწარი შეთანხმების საგანს, რომელიც თავის მხრივ წესდებაშიც უნდა აისახოს.[547] დამკვიდრებული საქმიანი ურ-

---

545 კომანდიტის შენატანად წესდებაში მითითებულია 1000 ლარი და ასევე 1000 ლარია მითითებული რეესტრში.

546 კანონის 116-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

547 *Brüggemann, Fischer, Ratz, Schilling, Würdinger, Canaris*, HGB, Großkommentar, Zweiter Band, Halbband 2, §§ 145–177, §§ 335–342, 3 Aufl., Walter de Gruyter Gmbh,

თიერთობა კი, როგორც წესი, იმ საკომუნიკაციო არხებისგან შედგება, რომელთა საშუალებითაც კრედიტორებს კავშირი აქვთ კომანდიტურ საზოგადოებასთან (ელ.ფოსტა, პირადი შეხვედრები და ა.შ.). ნორმის სიტყვიერი ფორმულირებიდან გამომდინარე, („მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეყრდნონ"...) უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთი გზავნილი პირდაპირ უნდა იყოს მიმართული საზოგადოების კრედიტორებისადმი და საჯარო განცხადება ამ შემთხვევაში არასაკმარისად უნდა ჩაითვალოს, ისევე როგორც კრედიტორების მიერ რაიმე სხვა გზითა და საშუალებით აღნიშნული მომატების შესახებ გაგება.[548] ამგვარად, თუ სახეზე არ იქნება ინფორმაციის მიწოდება ასეთი კონკრეტული, კანონში დასახელებული მეთოდებით, ნამეტი თანხა მიუწვდომელი იქნება კრედიტორებისათვის, რადგან ის მოკლებულია მის ლეგიტიმაციის წყაროს - რეგისტრაციას და კანონი ამ თანხის სამართლებრივ არსებობას სწორედ მის რეგისტრაციის ფაქტს უკავშირებს.

ამავდროულად კომანდიტური საზოგადოების კრედიტორი სრულიად დაუცველიც ვერ იქნება. როგორც უკვე ითქვა, თუ კრედიტორის წინაშე წარმოიშვება ვალდებულება კომანდიტური საზოგადოების მხრიდან, საგარანტიო თანხა რომც შემცირდეს ამ ვალდებულების აღების შემდგომ, აღნიშნული არ იმოქმედებს კომანდიტის პასუხისმგებლობაზე და ის სულ მცირე იმ საგარანტიო თანხით აგებს პასუხობს, რომელიც ვალდებულების აღების დროს იყო ფიქსირებული.[549] ამგვარად კრედიტორი დაცული არის საზოგადოების პარტნიორების მიერ ამ შეზღუდული ოდენობის განზრახ დაცლისგან. კომანდიტს ასევე არ აქვს კეთილსინდისიერად და სათანადოდ შედგენილი ბალანსის საფუძველზე გაცემული მოთხოვნის დაბრუნების ვალდებულება. როგორც უკვე აღინიშნა სოლიდარული საზოგადოების შესახებ თავში, თუ ბალანსი არ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, უნდა ვიგულისხმოთ რომ

Berlin, 1970, Anm.17, s.219.

548 თუ მაგალითად კრედიტორი შემთხვევით გაიგებს ამ მომატების შესახებ მესამე პირისგან ან სხვანაირად გახდება ცნობილი. ეს არ იქნება საკმარისი ამ მომატების მოსათხოვნად. საზოგადოებამ კრედიტორს რაღაც ფორმით უშუალოდ უნდა გააგებინოს და შეატყობინოს ასეთი მომატების შესახებ.

549 კანონის 117-ე მუხლი.

კომანდიტის, ისევე როგორც კომპლემენტარების ეს უფლება შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს.[550]

თუ პარტნიორების მხრიდან ადგილი ექნება ნივთის გადამეტებით შეფასებას (გერმ. *Überbewertung*) და თანხა ასევე იქნება მითითებული რეესტრში, კრედიტორთა ინტერესების დაცვის მიზნით სწორედ ეს თანხა იქნება კრედიტორებისათვის ხელმისაწვდომი.[551] მოკლედ, მესამე პირთა ინტერესის დაცვის მიზნით, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის თანხა, რომელიც რეესტრში არის მითითებული.

2.6. საზოგადოებისა და პარტნიორის პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე

2.6.1. კომპლემენტარის პასუხისმგებლობა

კს-ში კრედიტორის წინაშე პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის პასუხისმგებლობა არსებითად შეესაბამება სპს-ის პარტნიორის პასუხისმგებლობას. ამ შემთხვევაშიც სახეზეა პირის ინდივიდუალური, პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა საზოგადოების ვალდებულებისათვის მესამე პირის წინაშე მთელი თავისი ქონებით. ამასთან, თუ კს-ას რამდენიმე კომპლემენტარი ჰყავს, მათი პასუხისმგებლობა სოლიდარულია. როდესაც საქმე იურიდიული პირის, ჩვენს შემთხვევაში კს-ის პასუხისგებლობასა და კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ეხება, ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს თავად იურიდიული პირის, როგორც სამოქალაქო სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტის, პასუხისმგებლობა. იურიდიული პირი დამოუკიდებელი ქონების მქონე სუბიექტი შეიძლება იყოს. მაშასადამე, კს-ას, მითუმეტეს, როდესაც საქმე გვაქვს კომანდიტის მიერ აუცილებელი საგარანტიო თანხის შეტანასთან, სულ მცირე კომანდიტის მიერ განხორციელებული შენატანის საფუძველზე

550 იქვე, 121-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

551 *Westermann*, Ausgleichsansprüche des Kommanditisten, dessen Haftsumme die Pflichteinlage übersteigt, bei Inanspruchnahme von Gläubigern der KG, in: Wirtschaftsfragen der Gegenwart, Festschrift für Hans Carl Barz zum 65. Geburtstag, Fischer, Möhring, Westermann, (Hrsg.), Walter De Gruyter, Berlin, 1974, s.84.

ფორმირებული ქონება ექნება. კრედიტორის მოთხოვნისას, როგორც წესი, სწორედ ეს ქონება დგას კრედიტორისათვის გადახდის ეპიცენტრში, თუმცა სარჩელში მოსარჩელის მიერ შეიძლება პირდაპირ მითითებული არ იყოს, რომ გადახდას ექვემდებარება კომპლემენტარის ქონება, რამდენადაც მისი შეხედულებით, კს-ის (პირადი) ქონება სავსებით საკმარისია მისი (კრედიტორის) ვალდებულების დასაკმაყოფილებლად. კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით თავისუფლად იქნება შესაძლებელი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება და გადაწყვეტილების მიღებამდე კს-ის ქონების გადაადგილების შეზღუდვა, რაც გახდება კიდეც, გადაწყვეტილების მის სასარგებლოდ გამოტანის შემთხვევაში, კრედიტორის მოთხოვნის უპირობო დაკმაყოფილების გარანტია. თუმცა, როგორც ითქვა, მოთხოვნის (გადახდის) განხორციელება თავისუფლად არის შესაძლებელი კომპლემენტარის ხარჯზე.

კომპლემენტარის პასუხისმგებლობა შეუზღუდავია, თუმცა აქაც აუცილებლად განსასხვავებელია ორი დონე. კერძოდ, შიდაკორპორაციული და გარესამართლებრივი. საზოგადოების ხელშეკრულებით, როგორც წესი, კომპლემენტარიც კისრულობს გარკვეული შენატანის გადახდის ვალდებულებას, თუმცა მას მხოლოდ შიდა ორგანიზაციულ-სამართლებრივი და კორპორაციულ-ეკონომიკური დანიშნულება აქვს. აქედან გამომდინარე, შიდა ორგანიზაციული ურთიერთობის სფეროში ბატონობს საწესდებო ავტონომიის თავისუფლების პრინციპი, რაც ნიშნავს იმას, რომ პარტნიორები (კომპლემენტარები და კომანდიტები) შესაძლოა შეთანხმდნენ ამა თუ იმ კომპლემენტარის შეზღუდულ პასუხისმგებლობაზეც. მსგავსი დანაწესი იურიდიული ძალმოსილების იქნება შიდაორგანიზაციულ სფეროში, თუმცა ბათილი იქნება გარესამართლებრივ ურთიერთობაში. მაგალითად, როდესაც კს-ის ერთ-ერთი პარტნიორი ირაკლი ბურდული, რომლის სახელზეც საჯარო რეესტრში სამი ბინაა რეგისტრირებული ქ. თბილისში, ვალდებულებას იღებს საზოგადოებას საკუთრებაში გადასცეს სამიდან ერთი ბინა და, ამავდროულად, საზოგადოების ხელშეკრულებაში ჩნდება დანაწესი, რომ

აღნიშნული პარტნიორი სწორედ ამ (ერთი) ბინით იქნება პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებისათვის კრედიტორის წინაშე. მსგავსი დანაწესი იურიდიული ძალის მქონეა პარტნიორთა შორის შიდაკორპორაციულ სფეროში, თუმცა იგი ბათილი იქნება გარესამართლებრივ ურთიერთობაში და კრედიტორის მიერ ბურდულისათვის წაყენებული მოთხოვნის შემზღუდველად, სამართლებრივი თვალსაზრისით, ვერ გამოდგება.

2.6.2. კომანდიტის პასუხისმგებლობა

განსახვავებულ იურიდიულ საფუძველს ემყარება კომანდიტის პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე. კანონის 112-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომანდიტის პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე შემოიფარგლება მისი საგარანტიო თანხის ოდენობით. საგარანტიო თანხის ოდენობა მითითებული უნდა იყოს სადამფუძნებლო შეთანხმებაში და დგინდება რეესტრში (კანონის 117-ე მუხლის პირველი პუნქტი). საგარანტიო თანხის მოცულობის უკან, როგორც წესი, დგას შენატანის საგანი, რომლის განხორციელების ვალდებულებაც კომანდიტს, როგორც ინფერენტს,[552] ეკისრება საზოგადოების წინაშე. შენატანი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად უნდა შესრულდეს მთელი მოცულობით, რაც იურიდიული თვალსაზრისით ქმნის კიდეც კომანდიტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საფუძველს კრედიტორის წინაშე. სწორედ ამ შეზღუდული პასუხისმგებლობით ხასიათდება კომანდიტის განსხვავებული სტატუსი კს-ში და, როგორც იურიდიულ ლიტერატურაშია მართებულად აღნიშნული, ამ საკანონმდებლო ჩანაწერს ლოგიკურად უკავშირდება ის სახასიათო ნიშნები, რაც ჩვეულებრივ კომანდიტის განსხვავებული წევრობიდან გამომდინარეობს[553] (მაგ., მისი გამოთიშვა ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი კომპეტენციისაგან. თუმცა გარკვეული მოდიფიცირებაც შეიძ-

552 ეს ტერმინი ტრადიციულად გამოიყენება კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში და შეტანის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირს აღნიშნავს საზოგადოების წინაშე.

553 *Koch*, Gesellschaftsrecht, (2019), §22 Rn. 1.

ლება, მაგრამ იგი გარიგებითსამართლებრივ წარმომადგენლობას უკავშირდება. კანონის 114-ე, 118-ე, 119-ე მუხლი).

კომანდიტის პერსონალური პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე შემოიფარგლება მხოლოდ საზოგადოების ხელშეკრულებით დადგენილი და რეესტრში გამოქვეყნებული საგარანტიო თანხით, თუმცა კომანდიტს არავინ უზღუდავს მთელი მისი ქონებით პასუხისმგებლობასაც. უბრალოდ, ეს არ გახლავთ რაციონალური კომანდიტის მხრიდან და არც მის ეკონომიკურ ინტერესს შეესაბამება მსგავს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაში. მსგავსი იშვიათი შემთხვევები, როგორც წესი, მხოლოდ შიდა ორგანიზაციულ-პარტნიორულ სამართალურთიერთობას უკავშირდება.[554] შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე პარტნიორის სამართლებრივი სტატუსის მოპოვებისათვის კომანდიტი ვალდებულია სრულად შეიტანოს საგარანტიო, ანუ საზოგადოების ხელშეკრულებით დადგენილი საპასუხისმგებლო თანხა. თუ შენატანი განხორციელებული საერთოდ არ არის, მაშინ კომანდიტის პასუხისმგებლობა კომპლემენტარისას უთანაბრდება. თუკი საგარანტიო თანხა სრულად არ არის შეტანილი, მაშინ სხვაობისთვის კომანდიტი პასუხისმგებელია კრედიტორის წინაშე და მან დარჩენილი თანხა უნდა შეავსოს[555] (კანონის 117-ე მუხლის მე-2 პუნქტის მეორე წინადადება.)

კომანდიტის პასუხისმგებლობის მართებულ გაგებას უკავშირდება ისეთი ცნებები, როგორიც არის შენატანი და საპასუხისმგებლო თანხა, ანუ კანონის ტერმინოლოგიით საგარანტიო თანხა.[556] როგორც წესი, კომანდიტის შენატანი და საგარანტიო თანხა ექვივალენტურ სიდიდეს ქმნის, თუმცა არ არის სავალდებულო, რომ ეს ორი ოდენობა უპირობოდ დაემთხვას ერთმანეთს. კომანდიტის შენატანი შიდაორგანიზაციული მიზნების რეალიზებას და სხვა (პარტნიორთა და

554 *Häublein, Beyer* in Häublein/Hoffmann-Theinert (Hrsg.), BeckOK HGB, 32. Ed. 2021, §171 Rn. 4 ff.

555 როგორც წესი, ფულადი შენატანით.

556 ეს ნორმები უმეტესწილად გერმანული სავაჭრო კოდექსის შესაბამისი პარაგრაფების (161-ე, 171-ე) სამართლებრივ ტრანსპლანტს წარმოადგენს, ამიტომ დაწვრილებით ქართველმა სტუდენტმა აღნიშნულის უკეთ გაგებისათვის შეიძლება იხ.: *შეფერი,* საზოგადოებათა სამართალი, მე-5 გამოც. 2018, მიგრიაული (მთარგ.), §13 ველი 2 და მომდ.

საზოგადოებას შორის) ურთიერთობის საკითხებს უკავშირდება. შენატანს, როგორც წესი, ებმის წილიდან გამომდინარე (განსხვავებული) უფლებათა დადგენა ამა თუ იმ პარტნიორისათვის. შენატანი შესაძლოა საპასუხისმგებლო თანხაზე ნაკლებიც იყოს,[557] მაგრამ მსგავს შემთხვევაში კომანდიტის პასუხისმგებლობა სწორედ რეესტრში ფიქსირებული თანხით განისაზღვრება. ამიტომ დანაკლისის შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, კომანდიტს მისი შევსების ვალდებულება აქვს. მოკლედ, შენატანი კომანდიტის საზოგადოების შიდა ურთიერთობიდან პასუხისმგებლობის პარადიგმას აფუძნებს, საგარანტიო თანხა კი მისი პასუხისმგებლობის მაქსიმუმს გარესამართალურთიერთობაში.[558]

ასევე შესაძლებელია, რომ კომანდიტის მიერ განხორციელებული შენატანი საზოგადოების ხელშეკრულებით დადგენილ საგარანტიო თანხაზე მეტი აღმოჩნდეს. მსგავს იურიდიულ კონსტრუქციას აჯიოს,[559] ანუ ნამეტს ეძახიან და იგი ყველა შემთხვევაში კს-ის ქონებას მიემატება/მიეთვლება. კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებისას კი ამ უკანასკნელის გამოცალკევება საზოგადოების საპასუხისმგებლო ქონებიდან, კომანდიტის საგარანტიო თანხის ოდენობიდან გამომდინარე, არ შეიძლება. კომანდიტს შესაძლოა ჰქონდეს საზოგადოების მიმართ ანაზღაურების მოთხოვნა, მაგრამ ესეც იმ შემთხვევაში, თუკი საზოგადოების ხელშეკრულებით ან პარტნიორთა ცალკე შეთანხმებით ეს დასაშვები იქნება. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი სწორედ სახელშეკრულებო ნორმა იქნება. მაგ., კს-ის ერთ-ერთი პარტნიორის ირაკლი ბურდულის საგარანტიო თანხა 100 000 ლარია. კომანდიტი შენატანად განახორციელებს მის საკუთრებაში აღნიშნულ უძრავ ქონებას და გადასცემს საკუთრების უფლებას ამ უკანასკნელზე კს-ას. უძრავი ქონების ეკონომიკური ღირებულება 120 000 ლარს შეადგენს. საკუთრების ტრანსმისია პარტნიორიდან საზოგადოებაზე ქონების მთლიან მოცულო-

---

557 იქვე.

558 *Schmidt*, MünchKommHGB/K. (2019), §171, 172 Rn. 13, 14; *Saenger*, Gesellschaftsrecht, Franz Vahlen 2010, §5 Rn. 353. .

559 ვრცლად ინსტიტუტის თაობაზე: *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 286 და მომდ.

ბას შეეხება და მისი გამოცალკევება არ შეიძლება. ნამეტი 20 000 ლარი საზოგადოების ქონების კუთვნილება ხდება და მის მატერიალურ მდგომარეობას ზრდის, თუმცა კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მთლიანი ქონება შეიძლება გახდეს სამიზნე და არა მხოლოდ სადამფუძნებლო შეთანხმებაში დაფიქსირებული თანხა.

კს-ის სამართლის დისპოზიციური ბუნებიდან და პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობის დოქტრინიდან გამომდინარე, ქონების შენარჩუნებისა და კრედიტორის დაცვის ის მექანიზმები, რაც დადგენილია კაპიტალური ტიპის საზოგადოებისთვის და, მითუმეტეს, სს-სთვის, მხედველობაში არ მიიღება. კომანდიტისთვის საგარანტიო თანხის უკან დაბრუნება შეიძლება არ წარმოადგენდეს მსგავს სამართლებრივ ფორმაში ანომალიას და იგი, პრინციპში, არც საკანონმდებლო დონეზეა აკრძალული. კომანდიტი შეზღუდული პასუხისმგბელობის ფარგლებით სარგებლობს მხოლოდ მაშინ, როდესაც მის მიერ შეთანხმებაში მითითებული საგარანტიო თანხა შეტანილია სრულად და არც მისი უკან გადახდა/დაბრუნება მომხდარა პარტნიორისათვის. სწორედ ამიტომ კანონის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კომანდიტისთვის საგარანტიო თანხის დაბრუნების შემთხვევაში ეს უკანასკნელი განხორციელებულად, ანუ შეტანილად არ ითვლება, რაც მისი კვლავ შეტანის ვალდებულებას აფუძნებს. საგარანტიო თანხის ნაწილობრივ დაბრუნების შემთხვევაში კი ლოგიკურად გამოიყენება ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მეორე წინადადება.

2.7. კს მართვის პარადიგმა: „საკუთარი ორგანოს" კონცეფცია და კომპლემენტარის მიერ საწარმოს მართვის განხორციელება (იდეალტიპური შემთხვევა)

ორგანიზაციული მართვის სტრუქტურის თვალსაზრისით, კომანდიტურ საზოგადოებაში (კს) ვერ მოიძებნება რადიკალურად განსხვავებული მართვის სისტემა, ვინაიდან ეს სამართლებრივი ფორმაც ამხანაგური, პერსონაფიცირებული ტიპის საზოგადოებათა კატეგორიას განეკუთვნება. საზოგადოება, რომელიც სპს-ს მსგავსად დახურულია, მაშასა-

დამე მკაცრად კონტროლდება პარტნიორთა რაოდენობა და სტრუქტურა. საქმე იმაშია, რომ აქაც პიროვნულ კავშირებზე დაფუძნებულ თანაპარტნიორობას აქვს ადგილი, სადაც როგორც პარტნიორთა განსაკუთრებული ურთიერთნდობა, ასევე მათი პიროვნული უნარები თამაშობს გადამწყვეტ როლს. განსხვავებით სპს-სგან, აქ ორ განსხვავებულ პარტნიორთა კატეგორიასთან გვაქვს საქმე, საიდანაც კომპლემენტარი - სრული პარტნიორი წარმოადგენს აბსოლუტურ ანალოგს სპს-ს პარტნიორისა, ვინაიდან ის პირადად, მთელი თავისი ქონებით შეუზღუდავად აგებს პასუხს საზოგადოების ვალდებულებებისათვის. თუმცა კს-ს მხოლოდ პასუხისმგებლობის ნაწილში არ აიგივებენ სპს-ს პარტნიორთან. წინამდებარე ორ სამართლებრივ ფორმას შორის მრავალი სტრუქტურულ თუ შინაარსობრივ მსგავსებას ამყარებს კანონის 112-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც კს-სთვის ზოგადი ნაწილის გარდა, ითვალისწინებს სპს-ის კერძო ნაწილის ნორმების გამოყენებას.

ამგვარადა, კომპლემენტარი სრულად არის ჩართული მმართველობით საქმიანობაში,[560] ყოველ შემთხვევაში კანონის საფუძველზე მას ამის სრული უფლება აქვს, თუმცა როგორც სპს-ს შემთხვევაში აშკარად გამოჩნდა, წესდებით შესაძლოა შეიზღუდოს ხელმძღვანელობითი[561] ან/და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, საწესდებო ავტონომიის გათვალისწინებით, ვინაიდან კონკრეტულად ამკრძალავ ნორმას კანონი არ იცნობს, მეტიც, კანონის პირდაპირ აკეთებს დაშვებას ასეთი უფლებამოსილების შეზღუდვისა,[562] მაგრამ არა ყველა კომპლემენტარი პარტნიორისა.[563] შესაბამისად, კომანდიტური საზოგადოების ორგანიზაციული მართვის პარადიგმა გადის „საკუთარი ორგანოს" კონცეფციაზე, სადაც ხელმძღვანელობით/მმართველობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებენ თავად კომპლემენტარი პარტნიორები,[564] თავისივე პირადი პასუხ-

560 *O'Neal*, Comments on Recent Development in Limited Partnership Law, 1978, 689.

561 კანონის 101-ე მუხლის პირველი პუნქტი.

562 იქვე, 118-ე მუხლი.

563 იქვე, 101-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

564 *Schneeman*, Law of Corporations, 2008, 59.

ისმგებლობის რისკით. პრინციპში, მართვის ფუნქციის მესამე პირისთვის გადაცემა, გარიგებითსამართლებრივი ხელმძღვანელობაც სავსებით შესაძლებელია, თუმცა არარელევანტური ამ სამართლებრივი ფორმისთვის, როგორც არსობრივად, ასევე პრაგმატული ხედვიდან გამომდინარე, ვინაიდან ასეთ ფინანსურ ხარჯს ნაკლებად მოჰყვება მეწარმის ქონებრივი მაქსიმიზაცია, ვინაიდან მიღებული სარგებელი, ბევრად ჩამორჩება გადასროლილ ფინანსურ რესურსს.[565] ამგვარად, მთავარი ბირთვი კომანდიტური საზოგადოების ორგანიზაციული მართვისა არის კომპლემენტარი პარტნიორი, ასეთი იქნებოდა იდეალური ვარიანტი ამ სამართლებრივი ფორმის ორგანიზაციული მართვისა.

მოკლედ, საკუთარი ორგანოს კონცეფცია, ისევე ორგანულია კს-თვის, როგორც ეს სპს-შია. მხოლოდ ერთი განმასხვავებელი ელემენტი ემატება, რაც დაკავშირებულია პარტნიორის მეორე ტიპთან - ეს არის კომანდიტი, შეზღუდული პარტნიორი, რომელიც საგარანტიო თანხის ფარგლებშია პასუხისმგებელი, როგორც პარტნიორი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში. მას არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ხელმძღვანელობით საქმიანობაში,[566] შესაბამისად ამგვარი ტიპის პარტნიორის არსებობა, ვერ შეუშლის ხელს საკუთარი ორგანოს სტრუქტურირებას. მით უფრო, რომ კომანდიტისთვის მმართველობითი უფლებამოსილების მინიჭება თუ განხორციელდა, რაც სავსებით შესაძლებელია, ეს გარიგებითსამართლებრივი ხასიათის იქნება,[567] როგორც ეს მესამე, გარეშე პირის შემთხვევაში იქნებოდა. აღნიშული კიდევ ერთხელ უსვამს ხაზსს, კომანდიტური საზოგადოების ჰიბრიდულ ბუნებას. კანონის საფუძველზე, კი კომანდიტი მხოლოდ მაშინ ერთვება კომანდიტის ხელმძღვანელობით საქმიანობაში, როდესაც გარკვეული მოქმედება სცილდება

565 *ბერიძე, ბურდული, მახარობლიშვილი, ხარაიშვილი, სიხარულიძე, კიკუტაძე, ლობჟანიძე,* რბილი სამართლის გავლენა კორპორაციული მართვის ეფექტიანობაზე, 2018, 11.

566 *William*, Limited Partnership, 1897, 204.

567 კანონის 114-ე მუხლის მე-2 პუნქტი. აქ საუბარია, იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილების გადაცემაზე კომანდიტისთვის, ამ დროს მისი პასუხისმგებლობა ტოლფასია შპს-ში ხელმძღვანელი ორგანოს პასუხისმგებლობისა.

ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს,[568] თუმცა ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია საერთო კრებაზე გადადის, რომელშიც კომანდიტი საგამონაკლისო ნორმით მონაწილეობს[569] და ემსგავსება ხელმძღვანელობიდან ჩამოშორებულ კომპლემენტარს[570], რომელიც ასევე მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების პროცესში არის ჩართული.

რაც შეეხება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების კომანდიტი პარტნიორისთვის მინიჭებას, ეს აუცილებელია მინდობილობის საფუძველზე უნდა მოხდეს, რომელსაც მხოლოდ კომპლემენტარები გასცემენ.[571] მაშასადამე, მინდობილობის გაცემა შეიძლება მოხდეს საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე - კომპლემენტარი პარტნიორების მიერ. პასუხისმგებლობის მასშტაბის განსაზღვრის განსხვავებულ რეჟიმს ითვალისწინებს იმ შემთხვევაში კანონი, თუ კომანდიტი ასეთი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობის პირობებში დადებს გარიგებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ მომენტს, რომ თუ უფლებამოსილების ნაკლის გამო შესაძლებელია ასეთ პირობებში დადებული გარიგების ბათილობა, კომანდიტს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება გარესამართლებრივი გაგებით, ხოლო შიდა ურთიერთობისთვის შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს სანქციები „პარტნიორული სტატუსის ბოროტად გამოყენებისთვის", თუმცა ეს უკანასკნელი ამ შემთხვევაში არ არის განხილვის საგანი.

2.8. საწარმოს მართვა/ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

კომანდიტური საზოგადოების მართვის სისტემა სპეციფიკურია, რაც განპირობებულია პარტნიორთა სტრუქტუ-

---

568 *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოც., 2002, 256.

569 კანონის 114-ე მუხლის პირველი პუნქტი.

570 ამ ვითარებაში, საყურადღებოა, რომ „მსგავსება" არ ეხება პასუხისმგებლობის მოცულობას. ამ თვალსაზრისით, პარტნიორთა პასუხისმგებლობა რჩება იგივე, როგორც ეს კანონით არის გათვალისწინებული.

571 კანონის 119-ე მუხლი.

რით.[572] მისი მართვის კონცეფცია, სპს-თან შედარებით, მოდიფიცირებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორის განსაზღვრის შედეგად. ისტორიულად, კომანდიტური საზოგადოების საკანონმდებლო დონეზე გაწერის სამართლებრივი აუცილებლობა სპს-ის პრაქტიკული ფუნქციონირების შედეგების ანალიზის შედეგად იქნა დადგენილი.[573] კერძოდ, სპს-ის პარტნიორები მესამე პირის წინაშე პერსონალურად, მთელი თავიანთი ქონებით, პირადად და სოლიდალურად არიან პასუხისმგებელნი სამეწარმეო საზოგადოების მიერ აღებული ვალდებულებებისათვის. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა ნაციონალური სამართლებრივი სივრცე, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობა, დასაშვებად ცნობს ე.წ. საკუთარი ორგანოს კონცეფციისგან განსხვავებული მიდგომის ფორმირებას და პარტნიორების (მაგრამ არა ყველა პარტნიორის[574]) ხელმძღვანელობითი საქმიანობიდან ჩამოშორებას, აქტუალური გახდა პარტნიორის, როგორც ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ აღებული ვალდებულებისა და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების არმქონე პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის ურთიერთმიმართების საკითხი. სამართლებრივი დილემა წარმოიშობა შიდაორგანიზაციულ დონეზე, როდესაც მესამე პირის წინაშე ვალდებულების შესრულების აუცილებლობა დადგა დღის წესრიგში: მესამე პირის მოთხოვნა, სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპის გათვალისწინებით, შეიძლება მიმართულ იქნეს ნებისმიერი პარტნიორისაკენ, ხოლო „სამიზნე" პარტნიორი ვალდებულია გარესამართლებრივი მოთხოვნა დააკმაყოფილოს (რა თქმა უნდა, ქონებრივი შესაძლებლობის შემთხვევაში), ხოლო შემდეგ, სადამფუძნებლო შეთანხმებით დადგენილი პირობების მიხედვით, მოითხოვოს რეგრესული ანაზღაურება დანარჩენი პარტნიორებისაგან. პასუხისმგებლობის ეს ლოგიკური

572 *Rosin, Closen,* Agency, Partnerships and Limited Liability Companies, 2000, 6-7.

573 ამხანაგობის ტიპის საზოგადოებათ პერსონალურ საწყისებთან დაკავშირებით, იხ. *მახარობლიშვილი,* მეწარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამიჯვნა კაპტალურ საზოგადოებათა საწყისებზე, „სამართლის ჟურნალი", №2, 2011, 101-106.

574 იხ. კანონის 101-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

ჯაჭვი ბუნებრივი სახასიათო ელემენტია სპს-ის, როგორც მეწარმე სუბიექტის, ფუნქციონირების პროცესში. მაგრამ, სპს-ის პარტნიორთა შორის „თანაცხოვრების" ეტაპობრივი გართულება და შემდგომ, კს-ის ნორმატიულ დონეზე ფორმირების აუცილებლობა, სწორედ ამ ე.წ. ლოგიკური ჯაჭვის შედეგმა გამოიწვია. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, იმ პარტნიორს, რომელსაც მისივე ნებითა და საწესდებო შეთანხმებით არ აქვს ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება, დროთა განმავლობაში, ხელმძღვანელობითი საქმიანობის განხორციელების სურვილის გაქრობის შემდგომ, ასევე, გაუქრა შეუზღუდავი პასუხისმგებლობის რისკის ტარების სურვილი, ანუ იმ პარტნიორთა ნამდვილი ფუნქციონალური დანიშნულებიდან გამომდინარე, რომლებიც ჩამოშორებულნი იყვნენ ხელმძღვანელობით საქმიანობას, წარმოიშვა კონკრეტული შესატანის ფარგლებში პასუხისმგებლობის აღების საკითხი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სპს, საკანონმდებლო დონეზე, მოდიფიცირდა მმართველობითი სისტემისა და პასუხისმგებლობის შინაარსის მიმართულებით. შედეგად, კს-ის მეწარმე საზოგადოებაში, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მთავარ მატარებელ სუბიექტად განისაზღვრა კომპლემენტარი, ხოლო პასუხისმგებლობაშეზღუდულ პარტნიორად - კომანდიტი.[575]

რაც შეეხება ორგანიზაციული მართვის სისტემურ ხედვას, ის, უპირატესად, გამომდინარეობს ე.წ. საკუთარი ორგანოს კონცეფციიდან. ეს უკანასკნელი ნიშნავს მართვის ისეთ კონსტრუქციას, როდესაც საზოგადოების პარტნიორები პირდაპირ არიან ჩართულნი მეწარმე სუბიექტის ხელმძღვანელობით საქმიანობაში. შედეგად, ამხანაგობის ტიპის საზოგადოებაში სახეზე არ გვაქვს კორპორაციულად მოწყობილი მეწარმე სუბიექტი, სადაც კაპიტალიზაციის წყაროს (ინვესტორის, აქციონერის) მხრიდან ინვესტირებულ ქონებაზე პირდაპირი კონტროლი ჩანაცვლებულია აქციიდან გამომდინარე უფლებათა მეშვეობით კონტროლით. ანუ, ამხან-

575 *მაისურაძე,* ჰიბრიდული ტიპის საზოგადოებების სისტემ-შედარებითი ანალიზი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა უპირატესად დელავერისა და ქართული საკორპორაციო სამართლის მაგალითზე), „სამართლის ჟურნალი", №2, 2012, 196-197.

აგობის ტიპის საზოგადოებაში საკუთრების და კონტროლის გამიჯვნის არც სუბსტანციური და არც ფუნქციონალური საფუძველი არ არსებობს.[576] შედეგად, ვიღებთ მოცემულობას, სადაც არსებობს სამეწარმეო საზოგადოება, რომელსაც აქვს მართვის ორგანოები პარტნიორთა საერთო კრებისა და ხელმძღვანელი ორგანოს სახით.

კს-ის მესამე პირებთან წარმომადგელობასა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი არის კომპლემენტარი და მის მიმართ გამოიყენება იგივე წესები, რაც სპს-ის მიმართ არის გაწერილი.

კომანდიტური საზოგადოების კომანდიტს, სპს-ის ნაწილში წარმოდგენილი განმარტების გაგებით, ხელმძღვანელობის უფლება არ აქვს, რისი დოგმატური საფუძველი კს-ის ფუნქციონალური და პასუხისმგებლობითი კატეგორიებია. თუმცა, კანონი, რეალურად, იმეორებს ძველი რედაქციის ნიშას და განსაზღვრავს, რომ კომანდიტს არ შეუძლია გამოვიდეს კომპლემენტარის მიერ ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული ხელმძღვანელობითი საქმიანობის წინააღმდეგ. აქ ორი საკითხია განსამარტი: რა არის ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობა და მის ფარგლების გადაცდენის შემთხვევაში რა შიდაორგანიზაციული ქმედების განხორციელებაა აუცილებელი.

კს-ის საქმიანობის ჩვეულებრივ საქმიანობად „კვალიფიკაცია" თავისთავად წარმოშობს მის ანტონიმს ე.წ. არაჩვეულებრივი საქმიანობის ცნებას. საქმიანობის ჩვეულებრივ და ე.წ. არაჩვეულებრივ საქმიანობად კლასიფიცირების მთავარი ხაზი სამეწარმეო საქმიანობის საგანზე გადის. სამეწარმეო საზოგადოებას, რომელსაც რეგისტრირების მომენტისათვის მოეთხოვება საქმიანობის საგნის მითითება, ნებისმიერი აქტივობა, რომელიც დაკავშირებულია საქმიანობის საგანთან - იქნება ეს სამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობა თუ დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა - უნდა ჩაითვალოს სამეწარმეო საზოგადოების ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობად. მაგალითად, თუ კს-ის საქმი-

576 *მახარობლიშვილი*, კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, 2015, 54-57, 83-85.

ანობის საგანი ავეჯის დამზადება, ავეჯის დამზადებისთვის განხორციელებული ნებისმიერი სამართლებრივი ქმედება - საჭირო მასალის ნასყიდობა, გადაზიდვის, შენახვის, დაზღვევის, მუშა-ხელის დაქირავება (არასამეწარმეო, დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა) და ბოლოს, დამზადებული ავეჯის მესამე პირისათვის შეთავაზება (სასყიდლიანობის ნაწილი - სამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობა) - თავსდება ჩვეულებრივი საქმიანობის განმარტებაში. შესაბამისად, ნებისმიერი ის საქმიანობა, რომელიც სცილდება სამეწარმეო საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ საქმიანობის საგანს, მიჩნეულ უნდა იქნეს ე.წ. არაჩვეულებრივ სამეწარმეო საქმიანობად.[577]

ე.წ. არაჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობა ორ განზომილებაშია განსახილველი. პირველი, ეს არის შიდაორგანიზაციული ნაწილი და მეორე - გარესამართლებრივი ურთიერთობა.

გარესამართლებრივ ურთიერთობაში, ნებისმიერი ასეთი საქმიანობა შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილად, რის საფუძველსაც ქმნის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ზოგადი უფლებაუნარიანობის ინსტიტუტი. ზოგადი უფლებაუნარიანობის თანახმად, ორგანიზაციულად მოწყობილ სუბიექტს შეუძლია ნებისმიერი საქმიანობის განხორციელება, მიუხედავად იმისა, ის მითითებულია თუ არა მის სადამფუძნებლო დოკუმენტში (წესდებაში).[578] ამას საფუძველს უმყარებს სამოქალაქო კოდექსის სხვა ჩანაწერი, რომელიც განსაზღვრავს, რომ ნებისმიერი საქმიანობა დასაშვებია თუ ის არ არის კანონით აკრძალული.[579] შედეგად, გარესამართლებრივ ურთიერთობაში, სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობის საგნისგან განსხვავებულ საგანთან დაკავშირებით დადებული გარიგება ნამდვილად უნდა ჩაით-

---

577 *დვალიძე, მახარობლიშვილი,* სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი), 2016, 15-20.

578 იხ. სკ-ის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილი. ასევე, იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2017, 195-199.

579 იხ. იქვე, მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი. ასევე, იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2017, 57-58.

ვალოს, თუ საცილოობის ან ბათილობის სხვა საფუძველი არ არსებობს.

რაც შეეხება შიდაორგანიზაციულ ნაწილს, ე.წ. არაჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების „შინაგანი" ნამდვილობისთვის აუცილებელია, რომ მიღებულ იქნეს ე.წ. ზემდგომი ორგანოს, როგორც ძირითადი სტრატეგიის დამსახველი მმართველი ორგანოს, გადაწყვეტილება. შედეგად, კს-ში ისეთი გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს, მონაწილეობას ღებულობენ კომანდიტი პარტნიორებიც. მსგავსი დათქმით, შეიძლება ითქვას, რომ უზრუნველყოფილია კომანდიტი პარტნიორის ირიბი ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება.

კომანდიტის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მნიშვნელოვანი გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც მას მინიჭებული აქვს იურიდიული მნიშვნელობის მოქმედების განხორციელების უფლებამოსილება. „იურიდიული მნიშვნელობის მოქმედების განხორციელების უფლებამოსილება" უტოლდება გენერალურ სავაჭრო მინდობილობას, რომელიც, თავის მხრივ, მეორე დირექტორის სახელწოდებით არის ცნობილი. შესაბამისად, იმგვარი ხასიათის დათქმა, რომ კომანდიტი კს-ის წინაშე პასუხს აგებს როგორც ხელმძღვანელი ორგანო, არაფერია უჩვეულო. კერძოდ, ხელმძღვანელი პირი მთელი თავისი ქონებით არის პასუხისმგებელი სამეწარმეო საზოგადოების წინაშე. ეს კი არის საკორპორაციო სამართლის შიდაორგანიზაციული მოწესრიგების ერთ-ერთი განშტოება, რაზეც გავლენას არ ახდენს არც სამეწარმეო საზოგადოების სამართლებრივი ფორმა და არც ხელმძღვანელი პირის პარტნიორად ყოფნა-არყოფნის საკითხი. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ საკითხი ეხება მხოლოდ შიდაორგანიზაციული ურთიერთობას სამეწარმეო საზოგადოებასა და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს შორის, ხოლო, მაგალითად, კს-ის კომანდიტის პასუხისმგებლობის შეზღუდვა მიმართულია მხოლოდ კს-ის სახელით მესამე პირის წინაშე წარმოშობილი ვალდებულების შესრულების ეტაპისკენ. შედეგად, შეზღუდული პასუხისმგე-

ბლობის ელემენტი პარტნიორისთვის მოქმედებს მხოლოდ სამეწარმეო საზოგადოების გარესამართლებრივ ურთიერთობის მიმართ, ხოლო შიდაორგანიზაციულ ურთიერთობაში კომანდიტსა და სამეწარმო საზოგადოებას შორის პასუხისმგებლობის შეზღუდვის ნიშანი გამოირიცხება.[580]

ისეთ შემთხვევაში, როდესაც კომანდიტ პარტნიორსაც შეიძლება მიენიჭოს მესამე პირებთან ურთიერთობაში საზოგადოების წარდგენის უფლებამოსილება, აუცილებელია ეს განხორციელდეს კომპლემენტარი პარტნიორის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე. კომანდიტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ქვაკუთხედი მის გარიგებითსამართლებრივ წარმომადგენლობით ხასიათშია, რაც არსებითად განასხვავებს კომპლემენტარის ორგანულსამართლებრივი წარმომადგენლობისაგან.[581] გამოსაკვეთია ის გარემოება, რომ კომანდიტის გარიგებითსამართლებრივი წარმომადგენლობა ეხება მხოლოდ კს-ის მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოდგენას და ის პირდაპირ არ ითვალისწინებს ხელმძღვანელობას. გარიგებითსამართლებრივი ხელმძღვანელობის საფუძველი არის არა მინდობილობა, არამედ კომანდიტისთვის იურიდიული მნიშვნელობის მოქმედების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება, რაც სწორედ ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება მიეცეს შეზღუდულ პარტნიორს. ხელშეკრულების საფუძველზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება კს-ის სისტემური და ფუნქციონალური დანიშნულებიდან გამომდინარეობს. მასში კომანდიტს იმიტომ აქვს პასუხისმგებლობა შეზღუდული, რომ ის არ სარგებლობს საზოგადოების წარმოდგენის ორგანული უფლებით. შესაბამისად, როდესაც კანონი გამონაკლისს უშვებს, გამონაკლისი მხოლოდ გარიგების (ხელშეკრულების) საფუძველზე შეიძლება დადგინდეს და არა ორგანულ დონეზე, რისთვისაც აუცილებელია პარტ-

---

580 *მახარობლიშვილი*, მეწარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამიჯვნა კაპტალურ საზოგადოებათა სანყისებზე, „სამართლის ჟურნალი", №2, 2011, 115-120.

581 წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ორგანულსამართლებრივი ადგილისა და შინაარსის ფორმირების საფუძვლების თაობაზე, ერცლად, იხ. *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუზლები, ტომი II, 2013, 374-381.

ნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება და სადამფუძნებულო დოკუმენტში ცვლილებების განხორციელება.

თუ კომანდიტი პარტნიორი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე, მესამე პირთან შეთანხმებით, დადებს გარიგებას, სადაც მესამე პირისთვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არ არსებობის ფაქტი ცნობილი იქნება,[582] მაშინ კომანდიტი პარტნიორი ასეთი გარიგებიდან წარმოშობილი კს-ის ვალდებულებისთვის პასუხს აგებს შეუზღუდავად.[583] სწორედ ეს გამონაკლისი მიემართება გარესამართლებრივ ურთიერთობაში კომანდიტი პარტნიორის შეუზღუდავი პასუხისმგებლობის დადგომის შესაძლებლობას და ამით პასუხისმგებლობის შეზღუდვის ელემენტის გამორიცხვას.[584]

2.9. პარტნიორთა უფლება-მოვალეობები

კომანდიტური საზოგადოება (შემდგომში - კს) სპს-ის მოდიფიცირებულ ნაირსახეობად განიხილება,[585] რომელიც, როგორც წინამდებარე თავის შესავალ ნაწილში აღინიშნა,

---

582 ბათილობის საფუძვლის გამომრიცხავ გარემოებად შეიძლება იქნეს მოაზრებული.

583 კს-ის მსგავსი სამართლებრივი ფორმა, რომელსაც აშშ-ის RULPA ითვალისწინებს, კომანდიტი პარტნიორისათვის პასუხისმგებლობის დაცვის ისეთივე სისტემას უზრუნველყოფს, როგორც კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში აქვს პარტნიორს და ადგენს, რომ შეზღდული პარტნიორი პასუხს აგებს დათქმული შესატანის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, ის სამენარმეო საზოგადოების მენეჯმენტში ჩართული არის თუ არა. იხ. *Kleinberger*, Agency, Partnerships and LLCs, 2nd ed., 2002, 411-413.

584 საინტერესო დადარებადი მაგალითია აშშ-ის მოდელური კანონმდებლობიით განსაზღვრული ორი სამართლებრივი ფორმა: limited liability partnerships (LLPs) და limited liability limited partnerships (LLLPs). მოცემულ სამართლებრივ ფორმებში შეზღუდული პარტნიორის პასუხისმგებლობის მასშტაბი იცვლება იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მიენიჭება მას წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ან თუ ასეთი უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენს კომანდიტი პარტნიორი საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში. იხ. *Kleinberger*, Agency, Partnerships and LLCs, 2nd ed., 2002, 453-458. ასევე, იხ. *მაისურაძე*, ჰიბრიდული ტიპის საზოგადოებების სისტემ-შედარებითი ანალიზი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა უპირატესად დელაუერისა და ქართული საკორპორაციო სამართლის მაგალითზე), „სამართლის ჟურნალი", №2, 2012, 201-208; *ხარაიშვილი*, ამხანაგობის ტიპის საზოგადოებათ სამართლებრივი სტატუსი სისტემ-შედარებით კონტექსტში, „სამართლის ჟურნალი", №2, 2012, 161-163.

585 *ჭანტურია*, შესავალი სამოქალაქო სამართალში, 2011, 272; *ჭანტურია, ნინიძე*, მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 252.

კაპიტალური ტიპის საზოგადოებათა ელემენტების მატარებელიც არის, თუმცა ამხანაგური ტიპის საზოგადოებათა ჯგუფს განეკუთვნება. სწორედ ამგვარი ტიპოლოგიური მიკუთვნებადობის გამო, კს-ის პარტნიორთა ურთიერთობები საკმარისს მსგავსებას ავლენს სპს-ის შიდასამართლებრივ ურთიერთობასთან. კს თავდაპირველად დასავლეთ ევროპაში, შუა საუკუნეებში გაჩნდა, როგორც მეწარმის სტატუსით მონაწილე პირისა (*tractator*) და ქონებრივი შენატანით შეზღუდული პასუხისმგებლობის პირის (*commendator*) ერთობლივი საქმიანობის ფორმა.[586] კომანდიტური საზოგადოების სახელწოდება შეზღუდული პასუხისმგებლობის პირის მონაწილეობას უკავშირდება, თუმცა რაკი *commendator*-ი, რომელიც საზოგადოების საქმიანობაში მონაწილეობას არ იღებდა და უცნობ მესამე პირად რჩებოდა, ამგვარ საზოგადოებას *compagnia secreta*-საც უწოდებდნენ.[587]

თანამედროვე კს-ის დეფინიციური ნორმაც[588] მის ცნებას უპირატესად პარტნიორული სტატუსის რანგირებასა და საზოგადოების ვალდებულებებისათვის მათი პასუხისმგებლობის მოცულობაზე მითითებით ახსნის. პარტნიორული სტატუსის მიხედვით ნევრთა კლასიფიკაცია მათი უფლება-მოვალეობების შინაარსსა და ფარგლებზეც აისახება, რომელიც უმთავრესად საზოგადოების ხელშეკრულებით განისაზღვრება. რაც შეეხება ნორმატიულ რეგულირებას, კს-ის ტიპოლოგიური მიკუთვნებადობის გამო, სპეციალური მონესრიგების სუბსიდიურად, სპს-ის ნორმები (და არა კაპიტალური ტიპის საზოგადოებათა ნორმები) გამოიყენება. პარტნიორთა უფლება-მოველეობებთან მიმართებით წინამდებარე თავში წარმოდგენილი მსჯელობაც ამ პრინციპს მიჰყვება და რიგ საკითხთა განხილვისას მითითებულია თემატურად დაკავშირებული ქვეთავები სპს-ის ნაწილიდან.

---

586 *Суханов*, Сравнительное Корпоративное Право, 2014, 72.

587 იქვე, 72.

588 კანონის 112-ე მუხლის პირველი პუნქტი.

2.9.1. კომპლემენტარისა და კომანდიტის პარტნიორული სტატუსის გამიჯვნა ზოგადუფლებრივ კონტექსტში

კს ორი ტიპის პარტნიორთა: კომპლემენტარისა (სრული პარტნიორის) და კომანდიტის (შეზღუდული პარტნიორის) გაერთიანებას წარმოადგენს.[589] შესაბამისად, სულ მცირე ორი პარტნიორის, კერძოდ, ერთი კომპლემენტარისა და ერთი კომანდიტის არსებობა საზოგადოების დაფუძნებისა და შემდგომი არსებობის სავალდებულო წინაპირობაა. დაუშვებელია ერთი პირის მიერ მისი დაფუძნება. თუკი საზოგადოებაში მხოლოდ სრული ან შეზღუდული პარტნიორი დარჩება, საზოგადოება დაიშლება. დაუშვებელია ერთი პირის მიერ კომპლემენტარისა და კომანდიტის ორმაგი პარტნიორული სტატუსის შეძენა; სხვა სიტყვებით — შეუძლებელია, რომ კომანდიტი და კომპლემენტარი ერთი და იგივე პირი იყოს.[590] მსგავსად სპს-ისა, კს-ის პარტნიორიც შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, მათ შორის, არაიურიდიული პირი გაერთიანებები.

პარტნიორთა კლასიფიკაცია მეტწილად საზოგადოების წინაშე ნაკისრი ვალდებულებისათვის პასუხისმგებლობის ფორმიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, კომპლემენტარის პასუხისმგებლობა სოლიდარული, სრული, უშუალოა, ხოლო კომანდიტის — შეზღუდული, მის მიერ განხორციელებული ან განუხორციელებელი შესატანით შემოფარგლული. კომანდიტის მიერ შესატანის განხორციელება სავალდებულოა მისი პასუხისმგებლობის შესაზღუდად.[591] ამგვარი ვალდებულება კომპლემენტარს არ აკისრია და მისთვის მხოლოდ ფაკულტატურ ხასიათს ატარებს. კომპლემენტარისა და კომანდიტის პარტნიორული სტატუსი არა მხოლოდ პასუხისმგებლობის სამართლებრივ ფორმაში, არამედ წევრობიდან გამომდინარე უფლებრივ კონტესტშიც განსხვავდება. უფლებათა ფარგლები პარტნიორის პასუხისმგებლობის

589 *Bainbridge*, Agency, Partnerships & LLCs, 2014, 191. *Cahn, Donald*, Comparative Company Law, 2018, 113.

590 *Schmidt*, MüKoHGB, 4. Aufl., 2016, HGB § 105 Rn. 77. *Grunewald*, MüKoHGB, 4. Aufl., 2019, HGB § 161 Rn. 4.

591 *ქანტარია, ნინიძე*, მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 253.

მოცულობის პირდაპირპროპორციულია. სწორედ ამიტომ, კომპლემენტარი სპს-ის პარტნიორის მსგავსი, ხოლო კომანდიტთან შედარებით უფრო ფართო უფლებებითაა აღჭურვილი მაშინ, როდესაც კომანდიტის პასუხისმგებლობა და უფლებრივი მდგომარეობა, კომპლემენტართან შედარებით, შეზღუდულია.[592] მართალია, კომპლემენტარისა და კომანდიტის უფლებები ერთმანეთს ემიჯნება, თუმცა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, ერთი და იმავე პარტნიორული სტატუსის წარმომადგენლებს თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვთ. ამ დებულებიდან გამონაკლისს კანონის 34-ე მუხლი, კანონისმიერი საფუძვლით ან წესდებისმიერი შეთანხმებით ადგენს, რომელშიც ასევე აქცენტირდება სამეწარმეო საზოგადოების საუკეთესო ინტერესი.

ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელება კომპლემენტარის არა მხოლოდ უფლება, არამედ ვალდებულებაც არის.[593] კომანდიტი პასიური ინვესტორია.[594] კომპლემენტარისგან განსხვავებით, მას არ აქვს საზოგადოების ხელმძღვანელობით-წარმომადგენლობის *კანონისმიერი* უფლებამოსილება, ხოლო ხმის უფლება მხოლოდ საწესდებო დათქმის პირობებში ენიჭება.[595] საზოგადოების ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში მას მხოლოდ კონტროლის გაწევის, საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაციის შემოწმების უფლება აქვს.[596] უფლებამოსილების გადაჭარბებით საზოგადოების მართვაში ჩარევის გამო კი, შესაძლებელია კომანდიტს პირადი პასუხისმგებლობა დაეკისროს.[597] თუმცა კს-ის ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის მიღმა მისაღებ გადაწყვეტილებებთან მიმართებით კომანდიტი კომპლემენტარის წინააღმდეგ ხმისა და პრეტენზიათა წარდგენის უფლებას იყენებს.[598]

---

592 *Bainbridge*, Agency, Partnerships & LLCs, 2014, 191.

593 ხელმძღვანელი პარტნიორები ვალდებულნი არიან, განახორციელონ ამგვარი უფლებამოსილება, კანონის 101-ე მუხლის პირველი პუნქტი.

594 *Freer, Moll*, Principles of Business Organizations, 2013, 507, 509.

595 კანონის 114-ე, 115-ე და 119-ე მუხლი.

596 იქვე, 113-ე მუხლი.

597 *Grunewald*, MüKoHGB, 4. Aufl., 2019, HGB § 164, Rn. 3.

598 კანონის 114-ე მუხლი. *ჯანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 256-257.

განსხვავებით ამხანაგური ტიპის საზოგადოებებისა, წილის თავისუფალი მიმოქცევა კაპიტალური ტიპის საზოგადოებათა ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია.[599] წილის თავისუფალი განკარგვა კს-შიც კომანდიტის უფლებათა რანგს განეკუთვნება. მას აქვს საკუთარი წილის, კომპლემენტარის წინასწარი ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე, შეხედულებისამებრ, წერილობითი ფორმის დაცვით მესამე პირზე გასხვისების და ასევე, მემკვიდრეობით გადაცემის უფლება.[600] წესდებით კს-ის, როგორც პერსონაფიცირებული საზოგადოების, პარტნიორთა ინდივიდუალური სტრუქტურის შენარჩუნებისა და სამომავლო პარტნიორთა იდენტიფიცირების მიზნით, შესაძლებელია წილის თავისუფალი განკარგვის შეზღუდვა ან სულაც აკრძალვა. *მაგალითად,* კომანდიტის მიერ წილის გასხვისება დაექვემდებაროს დანარჩენ პარტნიორთა წინასწარ თანხმობას.

პარტნიორთა ეკონომიკურ ინტერესებს შორის თანაფადობა მათი ქონებრივი ურთიერთობების წესდებისმიერი მონესრიგებით მიიღწევა. თუმცა ორივე რანგის პარტნიორს აქვს მოგების მიღების უფლება, ზარალში მონაწილეობის ვალდებულება.

2.9.2. არაქონებრივი (თანა)მმართველობითი უფლებები

პარტნიორული სტატუსი როგორც კომანდიტს, ისევე კომპლემენტარს ანიჭებს (თანა)მმართველობით და ქონებრივ უფლებებს. რაკი კომპლემენტარის უფლებრივი კონტექსტი მნიშვნელოვნად თანმხვედრია სპს-ის პარტნიორის უფლებებისა, წინამდებარე თავში მეტწილი ყურადღება კომანდიტის უფლებების წარმოჩენას დაეთმობა.

---

599 თუმცა კაპიტალური ტიპის საზოგადოებაშიც შესაძლებელია წილის თავისუფალ განკარგვაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესებაც, იხ. *კრააკმანი, არმური, დეევისი და სხვა,* საკორპორაციო სამართლის ანატომია, შედარებითი და ფუნქციური მიდგომა, ქოჩიაშვილი, მაისურაძე (მთარგ.), 2019, 14-16. *Palmiter,* Corporations, 2012, 412. *Davis,* Principles of Modern Company Law, 2008, 44-45.

600 კანონის 122-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტი.

ა.) კომანდიტის უფლებრივი მდგომარეობა

დღესდღეობით, დისპოზიციური მოწესრიგების ფარგლებში, დასაშვებია კომენდანტის უფლებათა გაფართოვება, *მაგალითად*, შესაძლებელია, წესდებით მას მიენიჭოს საზოგადოების ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება, თუმცა სპეციალური მინდობილობის გარეშე მას არ შეუძლია საზოგადოების მესამე პირის წინაშე წარდგენა.[601] რამდენიმე კომანდიტის არსებობისას, აგრეთვე შესაძლებელია, პარტნიორთა შეთანხმებით განისაზღვროს ერთ-ერთი შეზღუდული პარტნიორი, რომელსაც დაეკისრება კომანდიტების უფლებამოსილების განხორციელება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უფლება პარტნიორის მიერ ინდივიდუალურადაა გამოსაყენებელი.[602] რაკი კომანდიტი საზოგადოების ხელმძღვანელობას „ჩამოშორებულია", საკუთარი ეკონომიკური ინტერესის დაცვისა და განხორციელების მიზნით, მის დისპოზიციაში შემდეგი არაქონებრივი (თანა)მმართველობითი უფლებები ექცევა:

ა.ა.) კონტროლისა და ინფორმაციაზე წვდომის უფლება

კონტროლის გაწევის, ინფორმაციის მოთხოვნის უფლებები კომანდიტი პარტნიორის კანონისმიერი დაცვის ბერკეტია. იგი პერსონალურად განსახორციელებელი უფლებების კატეგორიას მიეკუთვნება.[603] პარტნიორს აგრეთვე აქვს აუდიტის პროცესში პერსონალურად მონაწილეობის მიღების უფლება, ამგვარი შესაძლებლობის კეთილსინდისიერი გამოყენების პირობით.[604] კომანდიტის კონტროლისა და ინფორმაციის მიღების უფლება შეუზღუდავია[605] და დასაშვებია კანონისმიერი მინიმალური სტანდარტის წესდებით გაფართოვებაც.

---

601 *Суханов*, Сравнительное Корпоративное Право, 2014, 73.

602 *ჭანტურია, ნინიძე*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 257.

603 მიუხედავად უფლების პერსონალური ხასიათისა, საპატიო მიზეზის არსებობისას წარმომადგენლის ან დამოუკიდებელი ექსპერტის ჩართულობითაც შეიძლება განხორციელდეს, იქვე, 255.

604 კანონის 56-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

605 კანონის 113-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

კომანდიტის ინფორმაციაზე წვდომის უფლება ორგვარად, ორი ფორმით ხორციელდება: ა) ინფორმაციის (მიღების) უფლებით, რომელიც ხელმძღვანელი პირების მიმართ შეკითხვით მიმართვის შესაძლებლობასაც და მასზე წერილობითი ან ზეპირი პასუხის მიღებას გულისხმობს; და ბ) შემოწმების უფლებით, რომელიც მოიაზრებს კს-ის საბუღალტრო წიგნებისა და დოკუმენტაციის შემოწმების უფლებას.[606] *მაგალითად*, მას უფლება აქვს, შეამოწმოს წლიური ბალანსის სისწორე და ამ მიზნით გამოითხოვოს შესაბამისი მონაცემები. კომპლემენტართან შედარებით, კომანდიტის მიერ ამ უფლებათა განხორციელება გარკვეულ ფარგლებშია მოქცეული. კომპლემენტარს შეუზღუდავი წვდომა აქვს საზოგადოების ნებისმიერი სახის ინფორმაციასა და შემოწმების შესაძლებლობაზე.[607] ხოლო კომანდიტის კონტროლის უფლება შემოფარგულია წლიური ანგარიშის შემოწმებით, ასლის მიღებითა და მასთან დაკავშირებული მონაცემების გაცნობით.[608] სპს-ის არახელმძღვანელი პარტნიორებისთვის მინიჭებული კონტროლის განხორციელების უფლება კომანდიტისთვის არ არის უზრუნველყოფილი.[609] იგი, როგორც პასიური ინვესტორი, ეყრდნობა იმ ინფორმაციას, რომელიც მას კომპლემენტარისაგან მიეწოდება.[610]

კანონი კომანდიტს სასამართლოსადმი მიმართვის გზით ინფორმაციის მოპოვებისა და შემოწმების ექსკლუზიურ უფლებას ანიჭებს და მის წინაპირობად „მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობას"[611] ასახელებს. მნიშვნელოვანი ან არ-

---

606 *Grunewald*, MüKoHGB, 4. Aufl., 2019, HGB § 166, Rn. 1.

607 *ჭანტურია, ნინიძე*, მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 255.

608 კანონის 113-ე მუხლის პირველი პუნქტი. *Schneeman*, The Law of Corporations and Other Business Organizations, 2010, 119.

609 გერმანული სავაჭრო კოდექსის 166-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი შეიცავს ჩანაწერს, რომლის თანახმად, შეზღუდულ პარტნიორს არ აქვს გარანტირებული ის დამატებითი უფლებები, რომელიც მინიჭებულია არახელმძღვანელი პარტნიორებისთვის 118-ე პარაგრაფით (იგულ. *ღია საავაჭო საზოგადოების* პარტნიორის კონტროლის უფლება), § 166, Abs. 2, HGB. ანალოგიურად, კომანდიტებთან მიმართებით არ გამოიყენება „მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის სპს-ის პარტნიორის კონტროლის უფლების მომწესრიგებელი ნორმა - კანონის 103-ე მუხლი.

610 *Freer, Moll*, Principles of Business Organizations, 2013, 507.

611 კანონის 113-ე მუხლის მე-2 პუნქტი. ანალოგიურად გერმანულ სავაჭრო

სებითი საფუძველი შეფასებითი კატეგორიაა არა მხოლოდ პარტნიორის უფლებრივი მდგომარეობის პერსპექტივიდან - ე. ი. სუბიექტური, არამედ ობიექტური კრიტერიუმითაც, რომელიც სამეწარმეო საზოგადოების საუკეთესო ინტერესებს უკავშირდება. აქვე, სასამართლოსადმი ერთ-ერთი კომანდიტის მიერ მიმართვა, სხვა კომანდიტისთვისაც (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იმავე სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს და ინფორმაციის მოპოვების მიზნით ცალკე მიმართვას აღარ საჭიროებს.

კრებაზე დასასწრებად ყველა პარტნიორს მოსაწვევი და მასზე დართული დღის წესრიგი ეგზავნება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კანონის 113-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფინანსური ინფორმაციის გარდა, კომანდიტს საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლების გამო,[612] კრებაზე განსახილველ საკითხ(ებ)ზე ინფორმაციის მიღების შესაძლებლობაც წარმოეშობა[613]. მით უფრო, თუკი კანონი კომანდიტს კომპლემენტარის შენინააღმდეგებისა და პრეტენზიათა წარდგენის შესაძლებლობას ჩვეულებრივი საქმიანობის მიღმა მისაღებ გადაწყვეტილებებზე ანიჭებს. ხმის უფლება, როგორც პარტნიორის ნამდვილი ნების გაცხადებისა და კრებაზე საზოგადოების საუკეთესო ინტერესის მხარდაჭერის საშუალება,[614] მისაღებ გადაწყვეტილებაზე შესაბამის ინფორმაციასა და მონაცემზე წვდომის პრაქტიკულ საჭიროებას ქმნის. ამდენად, კომანდიტს ფინანსური ინფორმაციის გარდა, უფლება აქვს სხვა მონაცემის მიღების მოთხოვნით მიმართოს თავდაპირველად საზოგადოების ხელმძღვანელებს, ხოლო უარის შემთხვევაში - სასამართლოს მეშვე-

---

კოდექსშიც დასახელებულია „მნიშვნელოვანი მიზეზის არსებობა" (*"wichtige Gründe vorliegen"*), § 166, Abs. 3, HGB.

612 კანონის 115-ე მუხლის პირველი პუნქტი.

613 კრებაზე ხმის უფლების არქონის მიუხედავად, მასაც, მსგავსად სხვა პარტნიორებისა, აქვს განცხადებით მიმართვისა და შეკითხვის დასმის უფლებები. ეს უკანასკნელი დაკავშრებულია შესაბამისი ინფორმაციის გაცნობასთან. იხ. *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 44.

614 უფრო ვრცლად იხ. სახელმძღვანელოს ქვეთავი სპს-ის ნანილიდან სახელწოდებით: *„ხმის უფლება და საერთო კრების ჩატარებასთან დაკავშირებული სხვა უფლებები"*.

ობით განახორციელოს ეს მოთხოვნა.[615]

ა.ბ.) ხმის უფლება და საერთო კრებასთან დაკავშირებული სხვა უფლებები

კს-შიც, მსგავსად სპს-ისა, ხმები პარტნიორთა რაოდენობის მიხედვით ითვლება.[616] პარტნიორთა კრებაში მონაწილეობა კომანდიტის კანონით მინიჭებული უფლებაა[617] და არ არის დამოკიდებული მისი ხმის უფლების კონსტრუქციაზე. კანონი იმპერატიულად ადგენს კრებაზე მონაწილეობის უფლებას. ამდენად, დაუშვებელია მისი ჩამორთმევა ან შეზღუდვა. ზოგადად, კომანდიტს ხმის უფლება არ აქვს, თუმცა შესაძლებელია, მიენიჭოს ან გარიგებითსამართლებრივი (წესდებისმიერი) ან კანონისმიერი საფუძვლებით. გარიგებითსამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს წესდება, რომელიც პირდაპირ უნდა ითვალისწინებს კომანდიტის ხმის უფლებას ან იმ გადაწყვეტილებათა კატეგორიას, რომლის მიღებისას პარტნიორი ხმის უფლებით სარგებლობს. *მაგალითად*, შესაძლებელია წესდებით კომანდიტი აღიჭურვოს ხმის უფლებით მხოლოდ ფუნდამენტური კატეგორიის გადაწყვეტილებების მიღების დროს (საზოგადოების წესდების ცვლილების, მნიშვნელოვანი ოდენობით საზოგადოების ქონების რეალიზაციის, რეორგანიზაციის, სხვა ფუნდამენტურ გადაწყვეტილებათა მიღებისას).[618] ასეთ შემთხვევაში თითოეულ კომანდიტს აქვს ერთი ხმა, მაგრამ კანონი წესდებით მრავალი ხმის მინიჭების შესაძლებლობასაც ითვალისწინებს.[619]

რაც შეეხება კანონისმიერ საფუძველს, 114-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კომანდიტი კრებაზე იძენს ხმის უფლებას იმ მოქმედებასთან მიმართებით, რომელიც კომპლემენტარის მიერ კს-ის ჩვეულებრივი საქმიანობის მიღმა ხორციელდება. სხვა სიტყვებით, კომანდიტს ხმის უფლება ენიჭება კანონის საფუძველზე, კს-ის ჩვეულებრივი საქმი-

---

615 *გიგუაშვილი, ჯუღელი*, განმარტებები „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის პროექტზე, 2021, 139.

616 კანონის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

617 იქვე, 116-ე მუხლის პირველი პუნქტი.

618 *Freer, Moll*, Principles of Business Organizations, 2013, 507.

619 კანონის 115-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადება.

ანობის მიღმა მისაღებ გადაწყვეტილებების ფარგლებში.[620] დასახელებული ნორმა ხმის უფლების გარდა, მას კომპლემენტარის მიმართ პრეტენზიის წარდგენის უფლებასაც და როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, საამისოდ სათანადო ინფორმაციის მიღების უფლებასაც ანიჭებს. სხვა შემთხვევაში, მას პრაქტიკულად არ ექნება კომპლემენტარის შენინააღმდეგების პრაქტიკული შესაძლებლობა. ცხადია, შენინააღმდეგების ამგვარი უფლება არ უნდა იქნეს გაგებული უარყოფითი კონოტაციით, კერძოდ, კომპლემენტარის ან სამეწარმეო საზოგადოების მიმართ არაკეთილსინდისიერი ზრახვის განხორციელების შინაარსით.

ა.გ.) სარჩელის წარდგენის უფლება

"Lex semper dabit remedium" - *„კანონი მუდამ ითვალისწინებს (დაცვის) საშუალებას"*.[621] კომანდიტსაც, მსგავსად კომპლემენტარისა, აქვს ინდივიდუალური სარჩელით სასამართლოსადმი მიმართვის უფლება მისი პარტნიორული სტატუსიდან გამომდინარე უფლებების დაცვისა და მოთხოვნის განხორციელების მიზნით, *მაგალითად,* თუკი კომანდიტს არ ეძლევა მისთვის მინიჭებული რომელიმე უფლების განხორციელების შესაძლებლობა. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, კომანდიტი სარგებლობს კონტროლისა და შემოწმების ექსკლუზიური უფლებითაც. კერძოდ, „მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას" სასამართლოსადმი მიმართვის საფუძველზე საზოგადოებისგან ინფორმაციის გამოთხოვნის შესაძლებლობით. ამას გარდა, მას უფლება აქვს იდავოს ფორმალური ან მატერიალური წინაპირობების დარღვევით ჩატარებული საერთო კრების გადაწყვეტილების ნამდვილობაზე.[622]

საინტერესოა, აქვს თუ არა კომანდიტს საზოგადოების სასარგებლოდ, ე. წ. სოციალური სარჩელის წარდგენის უფლება (*actio pro socio*) კომანდიტს სრული პარტნიორის შენი-

---

620 *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, 2002, 256-257.

621 *ალექსიძე, გაგუა, დანელია, კობახიძე, რუხაძე,* ლათინური იურიდიული ტერნიმოლოგია, 2015, 524.

622 კანონის 39-ე მუხლი.

ნააღმედეგების შესაძლებლობა მხოლოდ ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის მიღმა, კომპლემენტარის უფლებამოსილების გადაჭარბებით მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ აქვს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ასეთ შემთხვევაში, კომანდიტი სარგებლობს საზოგადოების სასარგებლოდ სარჩელის წარგდენის შესაძლებლობით. ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემაში სარჩელის ამგვარ ფორმას ნაწარმოებ (დერივაციულ) სარჩელს უწოდებენ, რომელიც შეზღუდული ამხანაგობის[623] შეზღუდულ პარტნიორს სარჩელის წარდგენის უფლებას ანიჭებს მაშინ, როდესაც სრული პარტნიორი უარს ამბობს საზოგადოების სახელით სასარჩელო წარმოების დაწყებაზე; ან თავად არის დაინტერესებული პირი, რაც საზოგადოების ინტერესის განხორციელების ხელშემშლელი ფაქტორია.[624] ამრიგად, კომპლემენტარს აქვს თანაპარტნიორთა მიერ საზოგადოების წინაშე შეუსრულებელი ვალდებულებების გამო საზოგადოების სახელითა და მის სასარგებლოდ სარჩელის წარდგენის უფლება[625], ხოლო კომანდიტს, რომელიც საზოგადოების ჩვეულებრივი საქმიანობის ხელმძღვანელობაში მონაწილეობას არ იღებს, ამგვარი უფლება, როგორც ითქვა, საგამონაკლისო შემთხვევაში გააჩნია.[626]

ბ.) კომპლემენტარის უფლებრივი მდგომარეობა

კომპლემენტარის მიმართ, სპეციალურ ნორმებთან ერთად, გამოიყენება სპს-ის მარეგულირებელი ნორმები.[627] იგი სპს-ის პარტნიორის მსგავსი უფლებებისა და მოვალეობების მატარებელია. ყველა კომპლემენტარი არის ჩართული ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის მართვის, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. თუკი წესდება სხ-

623 იგულისხმება *Limited Partnership* (LP), რომელიც კომანდიტური საზოგადოების მსგავსი ფორმაა.

624 *Schneeman*, The Law of Corporations and Other Business Organizations, 2010, 143.

625 როგორც ამას კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს.

626 აგრეთვე იხ. *ჟანტურია, ნინიძე,* მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 255.

627 კანონის 112-ე მუხლი. *Freer, Moll*, Principles of Business Organizations, 2013, 501.

ვაგვარ დათქმას არ ითვალისწინებს, მას აქვს მესამე პირების წინაშე საზოგადოების წარდგენის უფლებამოსილება.[628] მსგავსად სპს-ის პარტნიორისა, თითოეულ კომპლემენტარს აქვს მორიგი ან რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის, კრების დღის წესრიგში ცვლილებების ინიცირებისა და კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება, აგრეთვე, სასამართლოში საზოგადოების სახელითა და მის სასარგებლოდ სარჩელის წარდგენის უფლება.[629] კომპლემენტარი აღჭურვილია შეგებებულ პრეტენზიათა და მოთხოვნათა წარდგენის უფლებით როგორც საზოგადოების, ისევე საზოგადოების კრედიტორის მიმართ.[630] ამას გარდა, საზოგადოების ყველა კომპლემენტარი, მათ შორის, ისეთი სრული პარტნიორები, რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას საზოგადოების ხელმძღვანელობაში, სარგებლობს კონტროლის განხორციელებისა და ინფორმაციაზე წვდომის შეუზღუდავი უფლებით.[631]

კომანდიტთან შედარებით კომპლემენტარის უფლებრივი მდგომარეობის შეუზღუდავი შინაარსი მისი პასუხისმგებლობის მოცულობითაც აიხსნება.[632]

2.9.3. ქონებრივი უფლებები

პარტნიორთა მოგებასა და ზარალში მონაწილეობის თემატიკას სახელმძღვანელოს ცალკე თავი ეთმობა. ამდენად, წინამდებარე ქვეთავში ქონებრივ უფლებათა კატეგორია შესაბამისი განზოგადებით იქნება დახასიათებული.

კს-შიც, მსგავსად სპს-ისა, მზადდება შესაბამისი ფინანსური ანგარიში, საბალანსო და წლიური ანგარიშები, რომლის მიხედვით განისაზღვრება საზოგადოების მოგება და ზარალი.[633] მოგების განაწილების მნიშვნელოვანი წინაპირობა არის საზოგადოების გადახდისუნარიანობის შენარჩუნება,

---

628 კანონის 118-ე მუხლი.

629 იქვე, 97-ე, 99-ე, მე-100 და 101-ე მუხლი.

630 იქვე, 98-ე მუხლი.

631 გამოიყენება სპს-ის 103-ე მუხლი. *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 255. *ჭანტურია,* შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2011, 273.

632 *Bainbridge,* Agency, Partnerships & LLCs, 2014, 191-192.

633 *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, 2002, 258.

რომელიც დამოკიდებულია საზოგადოების ვალდებულებათა ნაკლებობაზე მთლიანი აქტივის საბაზრო ღირებულების მიმართ.[634] *მაგალითად,* თუკი კს-ის მთლიანი ქონების საბაზრო ღირებულება შეადგენს 20 000 ლარს, ხოლო ვალდებულების მოცულობა 15 000 ლარის შესატყვისია, მაშინ 5 000 ლარი არის სწორედ გასანაწილებელი წმინდა აქტივი. კომპლემენტარის მონაწილეობა მოგებაში სპს-ის პარტნიორთა მსგავსად წესრიგდება.[635] ხოლო კომანდიტის მონაწილეობა მოგებაში მისი წილის პროპორციულად დგინდება.[636] კომანდიტისთვის მოგების მიღების უფლების განხორციელება დამოკიდებულია მის მიერ შესატანის განხორციელებაზე.[637] კომანდიტზე იმ შემთხვევაში ვრცელდება მოგებაში მონაწილეობის უფლების კანონისმიერი შეზღუდვა, როდესაც მას შესატანის სრულად არ აქვს განხორციელებული. ზარალში კომანდიტი შეუტანელი შესატანის მოცულობითაც მონაწილეობს.[638] 120-ე მუხლი ითვალისწინებს კომანდიტის ნაწილობრივ განხორციელებული საგარანტიო თანხის შევსებას მოგებაში მისი წილით. კომპლემენტარები, მსგავსად სპს-ის სრული პარტნიორებისა, სარგებლობენ ქონების გახარჯვის დამატებითი უფლებით,[639] რის შესაძლებლობას მოკლებულია კომანდიტი.[640] თუმცა საზოგადოების სასარგებლოდ, აუცილებელი ხარჯის გაწევის შემთხვევაში, კომანდიტს აქვს საზოგადოებისადმი ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენის უფლება.[641]

მოგების განაწილების შეპირება ბათილია. მეორე მხრივ კი, აგრეთვე ბათილია კომანდიტისთვის მოგებაში მონაწი-

---

634 *Schneeman*, The Law of Corporations and Other Business Organizations, 2010, 138.

635 *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, 2002, 259. § 168, Abs. 2, HGB.

636 კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი, 121-ე მუხლის პირველი პუნქტი.

637 იქვე, 121-ე მუხლის პირველი პუნქტი. მსგავსი შინაარსის მქონეა გერმანული სავაჭრო კოდექსის HGB, § 169.

638 *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, 2002, 258.

639 იხ. სახელმძღვანელოს ქვეთავი სახელწოდებით: *„საზოგადოების ქონების გახარჯვის უფლება“*.

640 *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, 2002, 260. *შეფერი,* საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), 2019, § 16, ვ. 5, 219.

641 *გიგუაშვილი, ჯულელი,* განმარტებები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, 2021, 143. იხ. სახელმძღვანელოს ქვეთავი სახელწოდებით: *„ხარჯების ანაზღაურებისა და სხვა საკომპენსაციო თანხის მიღების უფლება“*.

ლეობის უფლების აკრძალვა. კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი იმპერატიულად ადგენს კს-ში დივიდენდის გაცემის ზოგადი აკრძალვის დაუშვებლობას. ნებისმიერი სხვა ფინანსური ბენეფიტი (*მაგალითად*, ბონუსი, განეული სამსახურის ანაზღაურება, სხვა) საჭიროებს დამოუკიდებელ შეთანხმებას და წესდებაში შესაბამისი დათქმის არსებობას.[642] ამგვარი შეთანხმების არარსებობის პირობებში, უკანონოდ განაწილებული ნებისმიერი სხვა ქონება ექვემდებარება დაბრუნებას. მოგების მიღების ეტაპზე პარტნიორის კეთილსინდისიერების ხარისხი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. ამიტომ, კანონი იცავს და ანიჭებს შესაბამისი შესაგებლის წარდგენის უფლებას იმ პარტნიორს, რომელმაც სათანადოდ შედგენილ ბალანსზე დაყრდნობით მიიღო მოგება და ფაქტის წინაშე კეთილსინდისიერია.[643] მიღებული მოგება პარტნიორის საკუთრებას წარმოადგენს და დაცულია სამენარმეო საზოგადოების შემდგომი ზემოქმედებისაგან. ამდენად, კომანდიტს არ წარმოეშობა მიღებული მოგების დაბრუნების შემდგომი ვალდებულება იმ შემთხვევაშიც კი, თუ საზოგადოებას არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობა შეექმნა.[644]

კომანდიტს აქვს საზოგადოების ნებაყოფლობით დატოვების შესაძლებლობა, რაც არ იწვევს კს-ის დაშლას.[645] ასეთ შემთხვევაში მასაც, მსგავსად კომპლემენტარისა, უნდა მიეცეს წილის შესაბამისი ის სამართლიანი ღირებულება (საკომპენსაციო თანხა), რომელსაც იგი საზოგადოების დაშლის შემთხვევაში მიიღებდა.[646]

2.9.4. პარტნიორის მოვალეობები (ზოგადად)

ერთგულების ზოგადი მოვალეობა საზოგადოებისა და თანაპარტნიორების მიმართ როგორც კომპლემენტარ, ისე კო-

---

642 *Schneeman*, The Law of Corporations and Other Business Organizations, 2010, 133.

643 კანონის 105-ე მუხლის მე-5 პუნქტი, 121-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

644 *ჭანტურია, ნინიძე*, მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 260.

645 *Bainbridge*, Agency, Partnerships & LLCs, 2014, 198.

646 იხ. სახელმძღვანელოს ქვეთავი სახელნოდებით: „*ბარჯების ანაზღაურებისა და სხვა საკომპენსაციო თანხის მიღების უფლება*". *Schneeman*, The Law of Corporations and Other Business Organizations, 2010, 137.

მანდიტ პარტნიორზე ვრცელდება.[647] თუმცა აღსანიშნავია, რომ ერთგულების მოვალეობა კომანდიტისა და კომპლემენტარის მიმართ „სიმკაცრის" განსხვავებული ხარისხითა და მასშტაბით მოქმედებს. ასე მაგალითად, გერმანული სავაჭრო კოდექსის 175-ე პარაგრაფი პირდაპირ გამორიცხავს კომანდიტის მიმართ ღია სავაჭრო საზოგადოების იმ ნორმათა (112 და 113-ე პარაგრაფები) გამოყენებას, რომელიც თანაპარტნიორთა თანხმობის გარეშე, სრული პარტნიორის მიერ მსგავსი საქმიანობის განხორციელებას ან მსგავს კომერციულ საწარმოში სრული პარტნიორის რანგში მონაწილეობას კრძალავს (კონკურენციის აკრძალავს).[648] საკითხის ისტორიულ რაკურსში წარმოსაჩენად, აქვე უნდა ითქვას, რომ კანონის თავდაპირველი რედაქცია შეიცავდა მსგავს მოწესრიგებას და კომანდიტებზე კონკურენციის აკრძალვა არ ვრცელდებოდა (წესდების საპირისპირო დათქმის არარსებობის პირობებში).[649] კანონის მოქმედი რედაქცია ამგვარ ნორმას აღარ შეიცავს. თუმცა კანონის ზოგად ნორმებზე[650] დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის აკრძალვა ისევე, როგორც სხვა მოვალეობანი, რომლის ადრესატი მხოლოდ ხელმძღვანელი პირ(ებ)ი არიან, კომანდიტზე არ გავრცელდება, ვიდრე *გარიგებითსამართლებრივი* საფუძვლით მას ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება არ ექნება მინიჭებული. მიუხედავად ამისა, საზოგადოების წესდება იმგვარი კომანდიტის მიმართ, რომლის მონაწილეობა საზოგადოებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შესაძლებელია შეიცავდეს კონკურენციისა და ინტერესთა კონფლიქტის ამკრძალველ სპეციალურ დებულებებს.[651]

შიდასამართლებრივ ურთიერთობაში საზოგადოებისა და თანაპარტნიორის წინაშე ნაკისრი ერთგულების მოვალეობის დარღვევა, ორივე რანგის პარტნიორთა პირადი პასუხისმგე-

---

647 კანონის 34-ე მუხლი.

648 HGB, § 165. როგორც სახელმძღვანელოში აღინიშნა, სპს-ის მსგავსი ფორმა გერმანულ სამართალში გახლავთ ღია სავაჭრო საზოგადოება (*Offene Handelsgesellschaft* — oHG), HGB, §§ 105-160.

649 „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი, 28/10/1994, 35-ე მუხლი. *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 254.

650 კანონის 50-ე, 53-ე და 54-ე მუხლი.

651 *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 254.

ბლობის საფუძველია. კომანდიტის სტანდარტული პასუხისმგებლობიდან გამონაკლისს გარესამართლებრივ ურთიერთობაში შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენება წარმოადგენს,[652] რომელიც შიდასამართლებრივ ურთიერთობაშიც თანმდევ სამართლებრივ შედეგს წარმოშობს.

2.10. პარტნიორთა კრება და გადაწყვეტილების მიღების ერთხმოვანების პრინციპი

იმ მიზეზით, რომ კომანდიტური საზოგადოების პარტნიორთა საერთო კრების მოწვევის, ჩატარების, გადაწყვეტილების მიღების და გადაწყვეტილებაუნარიანობის საკითხები სრულ თანხვედრაში მოდის სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საერთო კრების შესაბამის ნაწილებთან, ამ თავში განხილული იქნება პარტნიორთა საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე პირთა და ხმის მიცემის პროცედურის შესახებ.

არაერთხელ აღინიშნა, რომ ამ ორ ამხანაგური ტიპის საზოგადოებას შორის განმასხვავებელი პარტნიორთა ტიპოლოგიაა, კერძოდ კი კომანდიტი - შეზღუდული პარტნიორი, რომელიც როგორც წესი ხმის უფლებით არ სარგებლობს. ანალოგიური მოწესრიგება კანონის წინა რედაქციაში იქნა განმტკიცებული. ამისგან განსხვავებით, კანონის ახალი ტექსტი, საგამონაკლისო შემთხვევაში უშვებს კომანდიტის საერთო კრებაში მონაწილეობის შესაძლებლობას, ანიჭებს მას რა ხმის უფლებას დააფიქსირო მისი პოზიცია. საგამონაკლისო ნორმა ეხება იმ შემთხვევას, როდესაც გადაწყვეტილების მიღება ხდება ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებს გარეთ მოქმედებაზე[653]. იმისთვის, რომ სრულად იქნეს

652 იგულისხმება „გამჭოლი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი". დამატ. იხ. *ბურდული*, საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009; *ჯანტურია*, პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა საზოგადოების საგადასახადო დარღვევისათვის (სამოსამართლო სამართლის სიახლე), საიუბილეო კრებულში: გურამ ნაჭყებია 75, 2016; *მაღრაძე*, მენარმე სუბიექტის დირექტორის/ხელმძღვანელისა და პარტნიორის/აქციონერის პირადი პასუხისმგებლობის საკითხისათვის, „სამართლის ჟურნალი", №1 2017.

653 კანონის 114-ე მუხლის პირველი პუნქტი.

გააზრებული ეს სიახლე, მნიშვნელოვანია სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნებიდან დავიწყოთ.

ამგვარად, სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნება პირდაპირ არის დაკავშირებული პარტნიორთა შეთანხმების, წესდების შინაარსის განსაზღვრასთან, ხოლო ამ შიდაორგანიზაციულ დოკუმენტს, რომელსაც სხვაგვარად სამეწარმეო საზოგადოების კონსტიტუციასაც უწოდებენ, ხელს აწერს, მაშასადამე გამოხატავს ნებას შეურთდეს სხვა ხელმომწერ მხარეებს ერთიანი საფირმო სახელწოდებით აწარმოოს საქმიანობა მოგების მიზნით და დაემორჩილოს ყველა იმ დანაწესს რაც წესდებაშია გათვალისწინებული, თითოეული პარტნიორი.[654] წესდება სავალდებულოა შესასრულებლად ყველა პარტნიორისთვის. პარტნიორები კი როგორც ცნობილია, კს-ში არის კომანდიტი და კომპლემენტარი. ლოგიკურად კომანდიტის ხელმოწერა, მისი მხრიდან ნების გამოხატვა აუცილებელი კომპონენტია მისთვის წევრობის მოპოვების მიზნით. ახლა დავუბრუნდეთ, კანონის იმ დანაწესს, რომელიც კომანდიტს საერთო კრებაში ხმის უფლებით აღჭურვავს. ჩვეულებრივი და „არაჩვეულებრივი" საქმიანობის განმარტებას აქ აღარ დაეთმობა ადგილი, ვინაიდან სპს-ს თავში ყოველივე დეტალურად არის განმარტებული, თუმცა კომანდიტის მონაწილეობა საერთო კრებაში, როდესაც დღის წესრიგი „არაჩვეულებრივი" საქმიანობის ფარგლებში თავსებად საკითხებს მოიცავს, მისი თანხმობა ორგანულად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ამგვარი გადაწყვეტილებების მიღება დიდ წილად დაკავშირებულია წესდებაში ცვლილებების შეტანასთან. წესდებაში, რომელზეც თანხმობა თავის დროზე კომანდიტმა ხელმოწერით დაადასტურა. აქედან გამომდინარე, უსამართლოც იქნება წესდების შინაარსის ცვლილება მოხდეს თითოეული ხელმომწერი პარტნიორის (ყველა პარტნიორის) თანხმობის გარეშე, ვინაიდან პირველ რიგში სწორედ საზოგადოების წევრ-პარტნიორებისთვის არის სავალდებულოდ შესასრულებელი დოკუმენტი. კანონმდებელი, ამ მიზნით და მხოლოდ ამ საგამონაკლისო შემთხვევაში აძლევს კომანდიტს უფლებას მონაწილეობა მიიღოს

654 *მახარობლიშვილი,* კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, 2015, 26-27.

უმაღლესი მმართველობითი ორგანოს საქმიანობაში და ხმის უფლება გამოიყენოს როგორც საკუთარი უფლებების, ასევე მისი და საზოგადოების ინტერესის დაცვის მიზნით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კომანდიტური საზოგადოების პარტნიორთა საერო კრების მნიშვნელოვან კომპეტენციას წარმოადგენს იმგვარ გადაწყვეტილებათა მიღება, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს, ეხება საქმიანობის შეცვლას, წესდებაში ცვლილების შეტანას, მაშასადამე, საუბარია ფუნდამენტურ გადაწყვეტილებებზე, რომელიც გავლენას ახდენს სრულიად საზოგადოებაზე და პირდაპირ პროპორციულად თითოეულ პარტნიორზე. ამიტომ პარტნიორთა კრება გადაწყვეტილების მიღების ერთხმოვანების პრინციპზეა[655] დაფუძნებული[656], ამგვარი გადაწყვეტილებებისთვის კანონმდებელი ყველა პარტნიორის კონსესუალური[657] გადაწყვეტილების აუცილებლობას განსაზღვრავს, მათ შორის კი კომანდიტებისაც.

2.11. კომანდიტური საზოგადოების პარტნიორის ერთგულების მოვალეობა

პარტნიორის ერთგულების მოვალეობა არ არის ხელმძღვანელი პირის ფიდუციური ერთგულების მოვალეობის იდენტური. სწორედ ამიტომ კომანდიტური საზოგადოების საკანონმდებლო კონსტრუქციაში, პრინციპში როგორც სხვა ორგანიზაციულსამართლებრივ ფორმებშიც, პარტნიორის სტატუსი არ არის დატვირთული ზემოთ განხილული ფიდუციური ერთგულების კონკრეტული ქვემოვალეობებით. ზრუნვის მოვალეობა, ისევე, როგორც კონკურენციისა და საქმიანი შესაძლებლობის მისაკუთრების აკრძალვის მოთხოვნები, შეიძლება გავრცელდეს კომპლემენტარზე მხოლოდ როგორც ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირზე, და არა როგორც პარტნიორზე (კანონის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი, 50-54 მუხლი). რაც შეეხება კომანდიტს, მართალია კომანდიტი არ განიხილება ხელმძღვანელობითი

655 იქვე, 29-31.

656 იქვე, მე-100 და 95-ე მუხლი.

657 *Bainbridge*, The New Corporate Governance in Theory and Practice, 2008, 3.

უფლებამოსილების სუბიექტად, თუმცა მას შეიძლება ჰქონდეს მინიჭებული იურიდიული მნიშვნელობის მოქმედების განხორციელების უფლებამოსილება. ასეთ შემთხვევაში კანონის 114-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, კომანდიტი პასუხს აგებს როგორც შპს-ს ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე ორგანო, ანუ მასზე გავრცელდება ზრუნვისა და ერთგულების მოვალეობები. მოკლედ, კომანდიტი, რომელიც არ მონაწილეობს საზოგადოების საქმიანობაში, კანონის მიხედვით არ არის შებოჭილი კონკურენციის, საქმიანი შესაძლებლობის მისაკუთრების თუ ინტერესთან კონფლიქტის აკრძალვის მოვალეობებით.[658]

კანონის 34-ე მუხლი ითვალისწინებს პარტნიორის ვალდებულებას თავისი უფლებების განხორციელებისას მხედველობაში მიიღოს დანარჩენ პარტნიორთა, ასევე თავად საზოგადოების კანონიერი ინტერესები და უფლებები. აღნიშნული შეიძლება განმარტებული იყოს, როგორც პარტნიორის ერთგულების მოვალეობის ზოგადი სტანდარტი,[659] ასევე კერძოსამართლებრივი კეთილსინდისიერების პრინციპის დეკლარირებაც. ერთგულების მოვალეობა, როგორც კორპორაციულსამართლებრივი ფიდუციური ვალდებულება, ალტრუისტულად მიმართულია საზოგადოების (ანუ სხვა სუბიექტის) საუკეთესო ინტერესების უპირატესობაზე, მა-

---

658 აშშ-ს საკორპორაციო სამართალში შეზღუდულ პარტნიორს (limited partner, ქართული სამართლისთვის კომანდიტი) არ ეკისრება ერთგულების მოვალეობა. ერთგულების მოვალეობა ვრცელდება მხოლოდ კონტროლის განმახორციელებელ პარტნიორის მიმართ ან მათი მხრიდან წარმომადგენლობის (due to agency law)განხორციელების შემთხვევაში) იხ.: *Marks*, Piercing the Fiduciary Duties, Lawis and Clark Law Review, Vol: 19:1, 2015, 80. ასევე შეზღუდული ამხანაგობის მოდელური კანონიც ერთგულების მოვალეობით ბოჭავს მხოლოდ იმ პირს, რომლის სტატუსი და როლი მას ანიჭებს სხვა პირის ინტერესებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების ძალაუფლებას (ასეთი ძალაუფლება შეზღუდულ პარტნიორს არ აქვს) იხ.: Rerevised Uniform Limited Partnership Act (2001) with Official Comments, National Conference of Commissioners on Uniform State Laws, Section 305. თუმცა გასათვალისწინებელია ის განსხვავება, რომ აშშ-ს საკორპორაციო სამართალი ერთგულების მოვალეობის მხოლოდ ფიდუციურ გაგებას იცნობს, რის გამოც მის ბენეფიციარად მხოლოდ საზოგადოებას განიხილავს.

659 ვრცლად პარტნიორის ერთგულების მოვალეობის თაობაზე, იხ.: *ბურდული*, ერთგულების მოვალეობა, როგორც უმრავლესობისა და უმცირესობის ქმედების მასშტაბი საკორპორაციო სამართალში (გერმანული სამართლის მაგალითზე), მართლსაჯულება და კანონი, №4(35),12, 2012, 40-69.

შინ, როცა კეთილსინდისიერების კერძოსამართლებრივი გაგება მიმართულია სხვა სუბიექტის კანონიერი ინტერესების გათვალისწინებაზე, მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელიც არ იწვევს თავად პირის ინტერესების არათანაზომიერ შეზღუდვას.[660] ამ კონცეპტუალურ განსხვავებას შეიძლება პრაქტიკული მნიშვნელობაც მიენიჭოს. სამეწარმეო საზოგადოებაში პარტნიორს აქვს უპირატესად ეკონომიკური ინტერესი. ფიდუციური ერთგულების მოვალეობით დატვირთულ პარტნიორს ყოველთვის მოუწევდა საკუთარი ეკონომიკური ინტერესი დაექვემდებარებინა საზოგადოების ინტერესისადმი, მათ შორის ინტერესთა კოლიზიის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭებინა საზოგადოების ეკონომიკური ინტერესისათვის. კეთილსინდისიერების მოვალეობით შებოჭილი პირის ტვირთი უფრო მსუბუქია, რადგან მას მოეთხოვება გაითვალისწინოს საზოგადოების ინტერესი, მაგრამ არ მოეთხოვება საკუთარი ინტერესის დათმობა.

ამ ერთგვარი ტერმინოლოგიური ფორმალობის მიღმა, შეიძლება ითქვას, რომ საკორპორაციო სამართალში არსებობს საჭიროება პარტნიორი ლიმიტირებული იყოს უფრო აღმატებული სიკეთით ვიდრე, მხოლოდ პირადი ეკონომიკური ინტერესია. მაგალითად, აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ბენჟამინ კარდოზო მიიჩნევდა, რომ ამხანგურ გაერთიანებაში, პარტნიორების ქცევის სტანდარტი არის პატიოსნება და ეს უფრო მკაცრი სტანდარტია, ვიდრე საბაზრო მორალი შეიძლება განაპირობებდეს.[661] ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში განმარტებულია, პარტნიორის ერთგულების მოვალეობის შინაარსი, როგორც საზოგადოების საერ-

660 იხ.: სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2017, 50. პარტნიორის კეთილსინდისიერების მოვალეობა არ მოითხოვს მისგან ფიდუციური ერთგულების მოვალეობისთვის დამახასიათებელ ალტრუზმსა და საკუთარი ინეტერსების უარყოფას, ასევე არ უკრძალავს პარტნიორს საკუთარ ინეტერესებში მოქმედებას. იხ.: Rerevised Uniform Limited Partnership Act (2001) with official comments, National Conference of Commissioners on Uniform State Laws, Section 305.

661 ბენჟამინ კარდოზო, ნიუ-იორკის სააპელაციო სასამართლოს, შემდეგომ კი აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. მითითებული მოსაზრება ("... something stricter than the morals of the market place. Not honesty alone, but the punctilio of an honor most sensitive, is then the standard of behavior) დაფიქსირებული აქვს საქმეზე: Meinhard v. Salmon, 249 N.Y. 458, 164 N.E. 545 (1928).

თო მიზნის მიღწევისკენ სწრაფვა.[662] შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს სულისკვეთებაა კონვერტირებული კეთილსინდისიერებსა და ერთგულების მოვალეობაში. იგი წითელ ხაზად გასდევს პარტნიორულ ურთიერთობას, ზღუდავს რა პარტნიორს, მაგალითად, საზოგადოების კომერციული ინფორმაციის პირადი სარგებლისთვის გამოყენებისგან ან სხვა მსგავსი ქმედებისგან. მართალია, კომანდიტური საზოგადოების ნაგულისხმები ორგანიზაციული სტრუქტურა კომანდიტს არ ანიჭებს მნიშვნელოვან ძალაუფლებას, თუმცა კანონით ნაგულისხმები მოცემულობა ხშირად განსხვავდება ფაქტობრივი რეალობისგან, სადაც პასუხისმგებლობა შეზღუდულ პარტნიორსაც შეიძლება გააჩნდეს ოპორტუნისტული ბერკეტები საზოგადოების საუკეთესო ინტერესებზე უარყოფითად ზემოქმედებისთვის. [663]

კანონის 34-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობა პარტნიორს აკისრია, როგორც საზოგადოების, ასევე დანარჩენი პარტნიორების სასარგებლოდ. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, გერმანული სამართლის მაგალითზე, განვითარებულია მოსაზრება, რომ პარტნიორი ერთგულების მოვალეობით შებოჭილია არა მხოლოდ თავისი საზოგადოების მიმართ, არამედ თავისი თანაპარტნიორების მიმართაც.[664] აქ გასათვალისწინებელია ერთი საკითხი. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ერთგულების მოვალეობის კლასიკურ ქვეკომპონენტად მიიჩნევა კონკურენციის ანდა საქმიანი შესაძლებლობების მისაკუთრების აკრძალვა. თუმცა თანაპარტნიორთა მიმართ,

---

662 იხ.: *ბურდული*, ერთგულების მოვალეობა, როგორც უმრავლესობისა და უმცირესობის ქმედების მასშტაბი საკორპორაციო სამართალში (გერმანული სამართლის მაგალითზე), მართლსაჯულება და კანონი, №4(35),12, 2012, 50.

663 განსხვავებული პოზიციისთვის: „...even partners who have controlling voting power are not fiduciaries solely by virtue of that power" იხ. *Ribstein*, Are Partners Fiduciary? The University of Illinois Law Review, Vol 1. 2005, 239.

664 იხ.: ვრცლად პარტნიორის ერთგულების მოვალეობის თაობაზე, იხ.: *ბურდული*, ერთგულების მოვალეობა, როგორც უმრავლესობისა და უმცირესობის ქმედების მასშტაბი საკორპორაციო სამართალში (გერმანული სამართლის მაგალითზე), მართლსაჯულება და კანონი, №4(35),12, 2012, 51; ასევე იხ.: *მიგრიაული*, ერთგულების მოვალეობა, როგორც პარტნიორის ქცევის სტანდარტი საზოგადოებათა სამართალში (გერმანული სამართლის მაგალითზე), შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, №11, 2020, 20.

პარტნიორისათვის კონკურენციის/პარტნიორის საქმიანი შესაძლებლობის აკრძალვის დაკისრება იმდენად გაუმართლებელი ტვირთია, რომ მათი სამართლებრივი დაცვის ინტერესი არ შეიძლება არსებობდეს. სწორედ ამიტომ ერთგულების მოვალეობის თანაპარტნიორებზე გავრცელება შეიძლება მხოლოდ იმ დათქმით, რომ პარტნიორის ერთგულების მოვალეობის სტანდარტი არ არის ხელმძღვანელის ერთგულების მოვალეობის სტანდარტის იდენტური.

კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტი ასევე გასაანალიზებელია კანონის პირველი მუხლის ჭრილშიც. დისპოზიურობის პრინციპის ძალით, პარტნიორთა შეთანხმებით/წესდებით შეიძლება დადგინდეს კომანდიტური საზოგადოების პარტნიორის ერთგულების მოვალეობის სტანდარტი, გაფართოვდეს კონკრეტული ქვემოვალეობების სახით. შიდარეგულირების არარსებობის შემთხვევაში კი იმოქმედებს 34-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის შეფასების მასშტაბს საბოლოოდ სამოსამართლო სამართალი დაადგენს.

2.12 მოგებისა და ზარალის განაწილება

როგორც უკვე აღინიშნა, კომანდიტური საზოგადოების მიმართ გამოიყენება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მომწესრიგებელი ნორმები,[665] თუ სპეციფიკურად კომანდიტური საზოგადოებისათვის სხვა რამ არ იქნება დადგენილი.[666] ეს ბუნებრივად უნდა იყოს მიჩნეული კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში, რომელიც რეალურად მოდიფიცირებულ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას წარმოადგენს, იმ დათქმით, რომ პირთა განსაზღვრული წრე (კომანდიტები) მხოლოდ შეზღუდულ ფარგლებში არის პასუხისმგებელი. კომანდიტურ საზოგადოებაში კომ-

---

665 კანონის 112-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

666 ის მოსაზრება, რომ კომანდიტური საზოგადოების კომპლემენტარების მიმართ ფაქტობრივად იგივე დანაწესები უნდა იყოს გამოყენებული, რაც კომანდიტური საზოგადოების პარტნიორებთან მიმართებაში გამოიყენება, არსებობს სხვა იურისდიქციებშიც და დოქტრინალურად და პრაქტიკაშიც არის განტკიცებული. იხილეთ მაგალითად გერმანიის სავაჭრო კოდექსის 168-ე პარაგრაფი. ასევე: HGB Kommentar, Jabornegg P., (Hrsg.), Springer, Wien, 1997, §168, Rn 1, s. 1361.

პლემენტარ პარტნიორთა უფლებები და ვალდებულებები სრულად შეესაბამება იმ უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც სპს-ს პარტნიორებს გააჩნიათ.[667] კომანდიტის გარკვეულწილად განსაკუთრებული პოზიცია მთლიანად ზეგავლენას ახდენს საზოგადოების სტრუქტურასა და მასში მოცულ კორპორაციულსამართლებრივ ვალდებულებებზე, რაც განაპირობებს სპს-სგან განსხვავებული სამეწარმეო-სამართლებრივი ფორმის არსებობას.

მოგებისა და ზარალის განაწილების მხრივაც, კომანდიტური საზოგადოების, როგორც მისი გარკვეულწილად ჰიბრიდული ბუნების მქონე ერთეულის,[668] მოწესრიგების საჭიროების სპეციფიკურობა გამოხატულებას ჰპოვებს კომანდიტ(ებ)ის მიმართ განსაზღვრულ სპეციალურ დებულებებში,[669] რომლებიც ძირითადად სპს-ში არსებული ნორმების იდენტურია. კომპლემენტართა და კომანდიტთა მიმართ ჩვეულებრივ მოქმედებს სპს-ს ძირითადი ნორმები, მოგების 4%-იანი განაწილების ჩათვლით.[670] გარკვეული გამონაკლისების გარდა, მოგებასა და ზარალის განაწილებაში კომანდიტი რეალურად თითქმის იმგვარივე სახით მონაწილეობს როგორც კომპლემენტარი - საკუთარი წილის საფუძველზე.[671]

მარტივი კაზუსის სახით წარმოვიდგინოთ ისევ კომანდიტური საზოგადოება „კომიენდა" სამი პარტნიორით, რომელთაგან ორი კომპლემენტარია (ა და ბ) და ერთი კომანდიტი გ. კომპლემენტარმა ა-მ და ბ-მ შეიტანეს შესაბამისად 55 და 25 ათასი ლარი, ხოლო კომანდიტ გ-ის მიერ შეტანილი თანხა ამ შემთხვევაში შეადგენს 20 ათას ლარს, რომელიც მას სრულად აქვს შეტანილი. სულ კომანდიტური საზოგადოების ქონება შეადგენს 100 ათას ლარს. სამეურნეო წლის ბოლოს მიღებული მოგება შეადგენს 300 000 ლარს, პარტნიორებს უფლება ექნებათ მოითხოვონ დივიდენდი, რომელიც მათი *წილი*

---

667 *Wien,* Handels-und Gesellschaftsrecht: Eine praxisorientierte Einführung, Springer Verlag, Wiesbaden, 2013, 163.

668 *მაისურაძე,* ჰიბრიდული ტიპის საზოგადოებების სისტემურ-შედარებითი ანალიზი, „სამართლის ჟურნალი", №2, 2012, 194-195.

669 კანონის 112-122-ე მუხლები.

670 აღნიშნულს მაგალითად პირდაპირ ითვალისწინებს გერმანული სავაჭრო კოდექსის (HGB) 168-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი.

671 კანონის 121-ე მუხლის პირველი პუნქტი.

თანხის 4%-ს შეადგენს, ანუ ა - 2200 ლარი; ბ - 1000 ლარი და გ - 800 ლარი. ამ შემთხვევაში კომანდიტი გ-ც კომპლემენტარი პარტნიორებივით საკუთარი წილის პროპორციულად მონაწილეობს საზოგადოებაში, რადგანაც აღნიშნული ფაქტობრივად მთლიანად საკორპორაციო სამართლის ფუძემდებლური პრინციპია: განსაზღვრული შენატანის საზღაურად პირი იღებს საზოგადოებაში მონაწილეობისა და მოგების მიღების უფლებას.

ეს უკანასკნელი უშუალოდ დაკავშირებულია შენატანის სრულად განხორციელებასთან: კომანდიტს არ ექნება უფლება მოითხოვოს მოგება მანამ, სანამ მის მიერ განხორციელებული შენატანი ნაკლები იქნება იმ თანხაზე, რომელიც წესდებით არის გათვალისწინებული. შენატანის განხორციელება შესაძლოა იყოს კაპიტალთან ან ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული,[672] თუმცა საბოლოო ჯამში, რაც არ უნდა იყოს საფუძველი, კომანდიტური საზოგადოების პარტნიორი ვალდებულია თავისი კორპორაციულსამართლებრივი ვალდებულება შეასრულოს. ამავდროულად კომანდიტის მოგება მხოლოდ მისი *წილის* პროპორციული უნდა იყოს და არა საგარანტიო თანხის. ამ ორს შორის განსხვავებაზე დეტალურად ზემოთ უკვე იყო საუბარი.

ბოლოს, საკანონმდებლო დანაწესი იმის შესახებ, რომ კომანდიტის წილი მოგება მხოლოდ მანამდე დაერიცხება წილს, სანამ ის შესაბამისად არ მიაღწევს წესდებაში მითითებული საგარანტიო თანხის ოდენობას[673] უნდა გაგებულ იყოს ისევ სწორედ კრედიტორთა დაცვის კონტექსტში - რეგისტრირებული თანხა აქ არის ყველაზე მნიშვნელოვანი და თუ საჭიროა იქნება ის დადგენილ ოდენობამდე სწორედ მიღებული მოგებით უნდა შეივსოს.

---

672 იხ. *Hippeli*, Der Begriff der Einlage bei der Kommanditgesellschaft, Juristische Ausbildung 2018 (4): 378–383.

673 კანონის 120-ე მუხლის პირველი პუნქტი.

2.13. კს-ის რეორგანიზაცია და დაშლა

2.13.1. რეორგანიზაცია

ამხანაგობის ტიპის საზოგადოების რეორგანიზაცია გამოირჩევა კაპიტალური ტიპის საზოგადოების რეორგანიზაციისგან როგორც საფუძვლებით, ისე განხორციელების ზოგიერთი დეტალით. როგორც წესი, ერთი კატეგორიის ამხანაგობის ტიპის საზოგადოების მეორე სახის ამხანაგობის ტიპის საზოგადოებად რეორგანიზაციას სათანადო წანამძღვარი და მოტივი უნდა ჰქონდეს. მაგალითად, სპს-ის კს-ად გარდაქმნის ფორმით რეორგანიზაციის საფუძველი სპს-ში ერთი ან მეტი პარტნიორის პარტნიორის პასუხისმგებლობის შეზღუდვის ელემენტის უპირატესობით სარგებლობის სურვილი შეიძლება გახდეს, ან კს-ის სპს-დ გარდაქმნის მოტივი, კს-ის კომანდიტ პარტნიორთა მენეჯმენტში სრულფასოვანი, ორგანულსამართლებრივი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მოპოვების სურვილი შეიძლება იყოს. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ საქმიანობის საგანი კონტრასტულად არ იცვლება, ერთი ტიპის ამხანაგობა რეორგანიზირდება მეორე ტიპის ამხანაგობის სამართლებრივ ფორმად. ეს გამომდინარეობს იმ პოსტულატიდან, რომ ამხანაგობის ტიპის საზოგადოება, უპირატესად აირჩევა ე.წ. თავისუფალი პროფესიის[674] წარმომადგენელთა ორგანიზებული გაერთიანების მიზნით.[675] მისი დაფუძნების პერსონალური საწყისები, დაფუძნების ეტაპზევე გამორიცხავს კაპიტალური ტიპის საზოგადოების ფორმით ფუნქციონირებას.[676] თუმცა, ეს მხოლოდ თეორიულ-დოგმატურ დონეზე შეიძლება განიხილებოდეს. ქართული პოზიტიური სამართალი მსგავსი ტრანსფორმაციის არათუ აკრძალვის, არამედ შეუზღუდავი განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. შესაბამისად, კს-ის რეორგანიზაცია ნებისმიერ ორგანიზაციულად მოწყობილ სამეწარმეო

---

674 *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 5-8.

675 საკორპორაციო სამართალი ხომ პირთა შესაძლებლობების, ძალისხმევისა და ეკონომიკური ღირებულების მქონე მატერიალური თუ არამატერიალური ქონებრივი სიკეთის ორგანიზებული გაერთიანებისა და ორგანიზაციული მართვის სისტემის უზრუნველმყოფი კერძო სამართლის უმსხვილესი მიმართულებაა.

676 *Rosin, Closen,* Agency, Partnerships and Limited Liability Companies, 2003, 48-49.

საზოგადოებად არის დასაშვები.

სამეწარმეო საზოგადოების რეორგანიზაციის ყველა ფორმა იგივე სისტემური წყობითა და პროცედურული თანმიმდევრობით ხორციელდება კს-ში, როგორც ეს სპს-ის ნაწილში იქნა განმარტებული, რა თქმა უნდა, ზოგიერთი განმასხვავებელი საკითხის გათვალისწინებით.

კს-ის კომპლემენატერები გარდაქმნის შედეგად ჩამოყალიბებულ საზოგადოებაში გარდაქმნამდე სამეწარმეო საზოგადოების მიმართ წარმოშობილი ვალდებულებისთვის პასუხს აგებენ სოლიდალურად და პირადად, მთელი თავიანთი ქონებით.

კს-ის შერწყმის ფორმით რეორგანიზაციის შემდგომ, გაერთიანებული/შემძენი სამეწარმეო საზოგადოება პასუხს აგებს ყველა იმ ვალდებულებაზე, რომელიც შერწყმულ საზოგადოებებს ჰქონდა.[677] რაც შეეხება გაყოფის შემთხვევას, გაყოფილი სამეწარმეო საზოგადოებები გაყოფამდე არსებული ვალდებულებების გამო სოლიდალურად აგებენ პასუხს. განსხვავებით გარდაქმნისაგან, სადაც გადაწყვეტილების მიღება გარდაქმნის თაობაზე საწესდებო ავტონომიის ფარგლებში დასაშვებია მინიმუმ 3/4 -ის უმრავლესობით, შერწყმა/გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად.

კს-ის რეორგანიზაცია მისი ყველა ფორმით განხორციელების შემთხვევაში, ძალაში შედის მარეგისტრირებელ ორგანოში განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან. რეგისტრაციასთან ერთად, შერწყმა/გაყოფის დროს, მიერთებული ან დაყოფილი სამეწარმო საზოგადოების რეგისტრაცია უქმდება.

კს-ის რეორგანიზაციის პროცესში სპს-ის ანალოგიურად ხდება კრედიტორთა დაცვა და უმცირესობაში მყოფი პარტნიორის უფლების დაცვა წილის გამოსყიდვის უფლების საკანონმდებლო დონეზე გარანტირების მეშვეობით.

2.13.2. დაშლა

კს-ის სამართლებრივი ფუნქციონირების დასრულების ბოლო საფეხური დაშლის პროცესს მოიცავს. კს-ის დაშლის

677 *Kleinberger*, Agency, Partnerships and LLCs, 2nd ed., 2002, 381-383.

შესახებ პარტნიორთა გადაწყვეტილების შემდგომ,[678] მნიშვნელოვანი საფუძველია დაფუძნების იმ სამართლებრივი კრიტერიუმების გაქრობა, რომლის გარეშეც კს ფუნქციონირებას ვერ განაგრძობს. მაგალითად, კს, რომელსაც უნდა ჰყავდეს სულ მცირე ერთი კომპლემენტარი და ერთი კომანდიტი პარტნიორი, რომელიმე პარტნიორის სავალდებულო რაოდენობის მოთხოვნის დარღვევა უკვე ხდება დაშლის პროცესის დაწყების საფუძველი. ასეთ დროს, აქცენტი შეიძლება გაკეთდეს ხარვეზიან საზოგადოებაზეც, რომლის დროსაც მარეგისტრირებელი ორგანოს ინიციატივით ხდება ხარვეზის დადგენა, ხოლო სამეწარმეო საზოგადოებას ენიჭება ხარვეზიანი საზოგადოების სტატუსი და ჩერდება რეგისტრირებული მონაცემების მოქმედება.[679]

კს-ის დაშლის შესახებ გადაწყვეტილების რეგისტრაცია იწვევს სამეწარმო საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყებას. ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისას ინიშნება ლიკვიდატორი, რომელიც ახორციელებს მისთვის მინიჭებულ უფლება-მოვალეობებს. ეს უფლება-მოვალეობები ანალოგიურია იმ უფლებებისა და მოვალეობების, რაც ხელმძღვანელ პირებს აქვთ.

კს-ის ლიკვიდაციის დასრულება ხდება ქონების სრულად განაწილების შემდეგ. ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შემდეგ, ლიკვიდატორმა მარეგისტრირებელ ორგანოს ლიკვიდაციის რეგისტრაციის მოთხოვნით უნდა მიმართოს, რის საფუძველზეც მარეგისტრირებელი ორგანო აუქმებს კს-ის რეგისტრაციას.[680]

---

678 იქვე, 415-416.

679 შეად. იქვე, 408-410.

680 კს-ის რეორგანიზაციისა და დაშლის საკითხები ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ სპს-ის თავში.

III ნაწილი - კაპიტალური ტიპის საზოგადოებები

1. თავი - შპს

ქართული საკორპორაციო სამართალი, მრავალი ევროპული ქვეყნის სამართლის მსგავსად, იცნობს საზოგადოებათა დოგმატურ დაყოფას ორ ძირითად კატეგორიად: ამხანაგურ და კაპიტალურ საზოგადოებად. წიგნის მესამე ნაწილი სწორედ კაპიტალური ტიპის საზოგადოების სამართალს შეეხება, სადაც ორი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა გათვალისწინებული. ამიტომაც წინამდებარე ნაწილი შპს-ის სამართლით იწყება, რამდენადაც ეს უკანასკნელი კაპიტალური საზოგადოების მიმართულებას მიეკუთვნება და საქართველოში „ბიზნესის კეთების" ყველაზე მეტად გავრცელებულ იურიდიულ ფორმას წარმოადგენს. სამწუხაროდ, სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანიზაციულ ფორმებს შორის შპს-ს დომინანტური ადგილი უჭირავს და ქართული კორპორაციული ეკონომიკის თითქმის 90% სწორედ მასზე მოდის.[681] შპს-ის სამართალს შემდეგ თავში მოყვება სს, რომელიც კლასიკური გაგებით კაპიტალის მოზიდვისა და კონცენტრაციის (საჯარო) ფუნქციით ხასიათდება და, როგორც წესი, დიდი ბიზნესის კორპორაციულ ფორმად გვევლინება. წინამდებარე წიგნში არ შეეხებით რკ-ს, რადგან იგი, მიუხედავად მისი კაპიტალური ტიპის საზოგადოებისადმი მიკუთვნებადობისა ქართულ სამართალში,[682] მაინც განსხვავებული ტიპოლოგიური ბუნების მქონე წარმონაქმნია და კონტინენტურ-ევროპული ქვეყნების ტრადიციულ საკორპორაციო სამართლის სახელმძღვანელოებში მას ვერ იხილავთ.

---

681 *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 6.

682 *მიგრიაული,* სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო, 2021, 171.

1.1. შპს-ის ცნება და სახასიათო ნიშნები

1.1.1. ისტორიული ექსკურსი

შპს, როგორც ბიზნესის წარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საქართველოს დამოუკიდებლობის კვლავ მოპოვებასა და სახელმწიფოებრიობის აღდგენას უკავშირდება. საბჭოთა კავშირის დროს მსგავსი სუბიექტი არ არსებობდა და ეს გასაკვირი არც უნდა იყოს: კერძო ბიზნესი და, მითუმეტეს, ამ ბიზნესის წარმოების კერძო სამართლის სუბიექტი სოციალისტურ წყობაში აკრძალული იყო და სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებასაც განეკუთვნებოდა.[683] შესაბამისად, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან პირველი საკანონმდებლო ნაბიჯები, რომელიც ორგანიზაციულ-კორპორაციული ეკონომიკის დაფუძნებისათვის გადაიდგა ქვეყანაში, უკავშირდებოდა კერძო სამართლის მეწარმე სუბიექტების რეგულირებას, სადაც შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპს ბიზნესის წარმართვაში იმთავითვე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ერთ-ერთი პირველი იურიდიული ფორმა სწორედ შპს გახლდათ. ამას ისიც ადასტურებს, რომ კანონმდებელმა მას 1993 წელს ცალკე კანონი შეუქმნა,[684] თუმცა 1995 წელს ამოქმედებული „მეწარმეთა შესახებ" კანონით ამ უკანასკნელმა ბუნებრივად დაკარგა ძალა, რამდენადაც ამ ფორმამ, საბოლოოდ, ბინა სწორედ მეწარმეთა ერთიან საკანონმდებლო აქტში დაიდო. მართალია, თანამედროვე შპს-ის სამართალი დამოუკიდებლობის აღდგენას უკავშირდება, თუმცა მსგავს იურიდიულ კონსტრუქციას იცნობდა ასევე პრე-საბჭოური ქართული სამართალი და მას შეზღუდულ პასუხისმგებლობის ამხანაგობას უწოდებდა.[685] გერმანულ სამართალთან ქართული სამართლის სიახლოვე იმთავითვე განაპირობებდა იმ სამართლებრივი ფორმ(ებ)ის არსებობას

683 მოკლე ისტორიის შესახებ იხ. იქვე, 27 და მომდ.

684 სამეწარმეო (საკორპორაციო) კანონმდებლობის ევოლუციის შესახებ იხ.: *ბურდული*, სამეწარმეო (სავაჭრო) სამართლის განვითარება საქართველოსა და გერმანიაში, 2007, 60 და მომდ.

685 *ჯაფარიძე*, სავაჭრო სამართალი, 2019, 95 და მომდ.

საქართველოში, რომელიც უშუალოდ გერმანიას უკავშირდებოდა: შპს, როგორც სოციალურად სასარგებლო საქმიანობის განხორციელების დამოუკიდებელი და თვითმყოფადი ორგანიზაციულ-სამართებრივი ფორმა სწორედ გერმანული კანონმდებლის „ხელოვნური"ქმნილებაა[686] და მრავალი ევროპული ქვეყნის მიერ იქნა ეს ფორმა გერმანიიდან იმპლანტირებული.[687]

1.1.2. ლეგალური დეფინიცია, ძირითადი მახასიათებლები

შპს-ის ლეგალური დეფინიცია მოცემულია კანონის 127-ე მუხლში, რომლის მიხედვით, შპს არის სამეწარმეო საზოგადოება, რომელსაც აქვს საზოგადოების ხელშეკრულებით დადგენილი კაპიტალი. ეს უკანასკნელი დაყოფილია გარკვეული კლასის წილად. პარტნიორი წილობრივად მონაწილეობს საზოგადოებაში და მისი (პარტნიორის) პასუხისმგებლობა საზოგადოების ვალდებულებისათვის მესამე პირის წინაშე შეზღუდულია. აღნიშნული მუხლის პირველივე პუნქტი ყურადღებას ამახვილებს ამხანაგური საზოგადოებისგან განსხვავებული პასუხისმგებლობის პრინციპზე. კომპლემენტარისაგან განსხვავებით, შეზღუდული პარტნიორი იზღუდავს მის პირდაპირ, უშუალო და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას მთელი მისი ქონებით და ამ უკანასკნელს მისი შეზღუდული პასუხისმგებლობის დიქოტომიას უპირისპირებს. ამიტომაც ამბობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტი, რომ შპს არის ქონების საკუთრებაუნარიანი სუბიექტი, რომელიც კრედიტორის წინაშე პასუხს სწორედ მთელი ამ ქონებით აგებს.

შპს არის გარე საზოგადოება, ანუ გარე ურთიერთობის დამყარებისაკენ მიმართული სოციალური წარმონაქმნი, რომელიც მიიჩნევა იურიდიულ პირად, განიხილება კაპიტალური ტიპის საზოგადოებად, შესაბამისად, კაპიტალზე დაფუძნე-

---

686 *Roth* in Roth/Altmeppen, GmbHG, 7. Auf., 2012, Ein. Rn. 1. ასე, ასევე: *ჯაფარიძე*, სავაჭრო სამართალი, 2019, 96.

687 ერცლად წარმოშობის ისტორიის შესახებ: *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 11 და მომდ.

ბულ სამართლებრივ ფორმად და რომელიც დამოუკიდებლად საკუთარი სახელით გამოდის სამართალბრუნვაში და მისი ორგანოს მეშვეობით ოპერირებს და დებს გარიგებას მესამე პირთან. შპს რეგისტრაციის ძალით იძენს უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობას და, შესაბამისად, სარეგისტრაციო წარმოება განიხილება მისი, როგორც იურიდიული პირის ჩამოყალიბების აუცილებელ წინაპირობად.[688]

კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, შპს არის სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტი. მაშასადამე, მეწარმის ხარისხის მატარებელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. იგი ის სუბიექტია, რომელიც სწორედ რომ ეკონომიკური სამეწარმეო აქტივობით არის დაკავებული. ეს გამომდინარეობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილისა და კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტიდან.

1.1.3. შპს-ის თავისებურება და ტიპოლოგიური ბუნება

ფაქტი, რომ შპს წარმოადგენს კაპიტალური ტიპის საზოგადოებას, არის იურიდიული პირი და კორპორაციულად მოწყობილი სუბიექტი, პირდაპირ განაპირობებს მის ორგანიზაციულ ანატომიას და მართვის სტრუქტურას. მართალია, იგი განსხვავდება კაპიტალური ტიპის საზოგადოების მეორე ფორმისგან - სს-ისაგან, თუმცა მისი განვითარების ისტორიულ წახნაგებს თუ დავაკვირდეთ აუცილებლად დავინახავთ, რომ შპს წააგავს სს-ას ბევრ რამეში. შპს-ში აღიარებულია „უცხო ორგანოს" კონცეფცია (მსგავსად სს-ისა).[689] ეს ნიშნავს, რომ აღნიშნულ სამართლებრივ ფორმაში, წევრთა თვითმართვის პრინციპისაგან განსხვავებით, პარტნიორი იმავდროულად არ არის საწარმოს ხელმძღვანელი და წარმომადგენელი, როგორც ეს ამხანაგური ტიპის საზოგადოებაში გვხვდება. ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის ორგანულსამართლებრივი კომპეტენცია, როგორც წესი, არა

688 *Schäfer* in Bork/Schäfer, GmbHG Kommentar, 2. Auf., 2012, RWS Verlag, Ein. Rn. 1.

689 ამის თაობაზე მაგ.: *Kübler, Asmann,* Gesellschaftsrecht. Die Privatrechtlichen Ordnungstrukturen, 80 ff; *Eisenhardt*, Gesellschaftsrecht, (2007), Rn. 272 ff, 546 ff.

პარტნიორს, არამედ სხვა მესამე პირს - ხელმძღვანელს/დირექტორს აქვს, რომელიც უშუალოდ საქმის სპეციალისტი და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონეა. მართალია, პარტნიორი საზოგადოების ხელშეკრულებით შეიძლება იყოს შპს-ის დირექტორად გამწესებული და დანიშნული, თუმცა ეს არაფერს ცვლის: აღნიშნულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაში ხელმძღვანელ ორგანოს აქვს ორგანულსამართლებრივი წარმომადგენლობა, რომელიც პარტნიორისაგან იურიდიული თვალსაზრისით განცალკევებული და განსხვავებულია, როგორც მისი უფლებამოსილებით, ისე ამოცანითა და ფუნქციით. ეს უკანასკნელი, პრინციპში, დამოუკიდებლად ახორციელებს მის საქმიანობას, მისთვის უზრუნველყოფილია სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების პრინციპი და აქედან გამომდინარე დაცვის სტანდარტი[690] და მისი საქმიანობა, განსხვავებით პარტნიორთა კრებისაგან, მოიცავს საწარმოს მართვის ყოველდღიურ რუტინას. მოკლედ, საწარმოს მართვის კონტექსტში მხედველობაშია მისაღები ორი ძირითადი ორგანო: პარტნიორთა კრება და ხელმძღვანელი ორგანო (დირექტორატი). მათი საქმიანი კავშირურთიერთობა რაციონალური და პრაგმატული მართვის ბაზისი უნდა გახდეს, რასაც კანონმდებლობა უწყობს ხელს.

როგორც წესი, შპს საშუალო ბიზნესში ოპერირებად იურიდიულ ფორმად ითვლება, თუმცა საქართველოში, მისი არნახულად დიდი რაოდენობის (და მისადმი განსაკუთრებული მოწონების)[691] გამო, ეს უკანასკნელი საქმიანობს სამეწარმეო სფეროს ყველა სეგმენტში მცირე ბიზნესიდან დაწყებული, დიდი ბიზნესით დასრულებული. ნიშანდობლივია ასევე, რომ ქართულ კორპორაციულ პრაქტიკაში შპს-ის უმეტესობა პერსონალური პარტნიორული სტრუქტურის მქონეა, რაც, ძირითადად მართვის კონტექსტში, განაპირობებს მის მსგავსებას პერსონალურ სამეწარმეო საზოგადოებასთან. ეს ნიშნავს იმას, რომ მსგავს შპს-ს მხოლოდ რამდენიმე პარტნიორი

690 რასაც ადგენს კანონის 52-ე მუხლი (სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების პრინციპი).

691 რაც სხვადასხვა მიზეზით შეიძლება აიხსნას. იხ.: *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 6 და მომდ.

ჰყავს. ამ უკანასკნელთ შორის, როგორც წესი, ახლო ურთიერთობაა ჩამოყალიბებული და საწარმოსაც ისინი ერთობლივად ხელმძღვანელობენ. ხშირია ჩვენს ქვეყანაში აგრეთვე ე.წ. ერთკაცა საზოგადოებები, ანუ ისეთი შპს, რომელსაც ერთადერთი, ასპროცენტიანი წილის მფლობელი პარტნიორი ჰყავს და ეს ერთადერთი პარტნიორი თავად უძღვება და ხელმძღვანელობს საზოგადოებას. ხშირია ასევე შემთხვევები, როდესაც ამ ერთადერთ პარტნიორს აქვს აგრეთვე წარმომადგენლობითი უფლებამოსილებაც. მსგავსი იურიდიული კონსტრუქცია დასაშვებია, თუმცა კანონი იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ერთი პირის, ანუ ერთკაცა კაპიტალურ საზოგადოებას ეხება, სპეციალურ დათქმებს შეიცავს. ამ მხრივ ნიშანდობლივია კანონის მე-20 და 21-ე მუხლი იმისათვის, რომ დაინტერესებულ პირს მეტი წარმოდგენა შეექმნას მსგავს საზოგადოებაში ამა თუ იმ (შიდა) ურთიერთობის თაობაზე, ერთადერთ პარტნიორს კანონი გარკვეულ ვალდებულებას აკისრებს. მაგ., ყველა გადაწყვეტილება, რომელიც პარტნიორთა კრებაზე მიიღება და რომლის ნების მაფორმირებელი, ბუნებრივია, აღნიშნული ერთადერთი პარტნიორია ერთკაცა საზოგადოებაში, უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით. ისიც აღნიშვნის ღირსია, რომ მსგავს პერსონალური პარტნიორული სტრუქტურის მქონე შპს-ში, ქართული რეალობიდან გამომდინარე, დირექტორები, ანუ საზოგადოების ყოველდღიურ საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირები საზოგადოების პარტნიორის (პარტნიორთა) უშუალო აგენტს წარმოადგენენ.[692] ბევრ შემთხვევაში დირექტორი არასფეროსმიერი პროფესიონალია და პარტნიორის დავალებებისა და მითითებების (ასევე არაკვალიფიციურად) ბრმა შემსრულებელი. ეს კი აზიანებს კორპორაციული მართვის განვითარებას ქვეყანაში

692 სამართლიანად არის აღნიშნული, რომ „ქართველ დირექტორებს ურჩევნიათ, იყვნენ პარტნიორთა აგენტები, ვიდრე გაატარონ დამოუკიდებელი პოლიტიკა კომპანიის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად", და იქვეა აღნიშნული, რომ ეს, რასაკვირველია, არ ემსახურება ჩვენს ქვეყანაში კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრებას. იხ.: *ბაქაქური, გელტერი, ცერცვაძე, ჯულელი,* საკორპორაციო სამართალი. სახელმძღვანელო იურისტებისათვის, 2019, 94. იხ. ასევე კრიტიკულად: *ბურდული,* საკორპორაციო სამართლის რეფორმა საქართველოში (ძირითადი ტენდენციები), ჟურ. „ჩემი ადვოკატი", №5, 2021, 84-106.

და მსგავს შემთხვევაში, დიდწილად საწარმოს ჩრდილოვანი მართვის მოდელის დამკვიდრებას უწყობს ხელს, სადაც ხელმძღვანელი პირი მხოლოდ ფორმალურ როლს ასრულებს. მართალია, შპს, განსაკუთრებით საწარმოს კონტროლის კონტექსტში, პერსონალურ საზოგადოებასთან ახლოს დგას, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი არა სპს-ის რაიმე სპეციალურ, კაპიტალზე დაფუძნებულ სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს, არამედ უშუალოდ განეკუთვნება კაპიტალურ საზოგადოებას და დიდ მსგავსებას სს-თან ავლენს. ამიტომ მართვის სისტემა და საწარმოს კონტროლის არქიტექტურა, როგორც იდეალტიპური შემთხვევა, ბაზირებულია კაპიტალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ მსგავს საფუძველზე. თუმცა არც იმის იგნორირება უნდა მოხდეს, რომ კლასიკური კორპორაციული მართვის სისტემის ჩამოყალიბება პერსონალური შპს-ისთვის ზედმეტად დანახარჯიანია და რაციონალურობის ტესტს მოკლებულია. იგი არც არის აუცილებელი, რადგან პარტნიორი გაცილებით მეტად არის ხოლმე ჩართული საწარმოს მართვის პროცესში,[693] ვიდრე დიდი სს-ის აქციონერი. სწორედ ამიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა ყოველთვის შპს-ის რეალურ (შიდა) მოწყობას/სტრუქტურას და მის სიდიდეს. ამასთან არც ის უნდა იქნეს ყურადღების მიღმა დატოვებული, რომ სს-გან განსხვავებით, სადაც კანონის 203 მუხლის შესაბამისად, ხელმძღვანელი ორგანო საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ მართავს საზოგადოებას, შპს-ში დაიშვება პარტნიორთა პირდაპირი მითითებები დირექტორისადმი (ხელმძღვანელი პირისადმი), რაც ამ უკანასკნელის მხრიდან პარტნიორთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების, უფრო სწორედ, გაცემული მითითებების შესრულების მოვალეობას წარმოშობს. ეს კი კანონის 124-ე მუხლის მე-2 პუნქტით არის გათვალისწინებული.[694]

დიდ კორპორაციაში, რომელსაც მრავალი პარტნიორი ყავს და მართვის სისტემაც მრავალი შრისაგან შედგება, საუბარია საწარმოს კონტროლის, ანუ კორპორაციული მართვის[695] ინ-

693 როგორც ეს ამხანაგურ საზოგადოებაში ხდება.

694 *ბურდული*, საკორპორაციო სამართლის რეფორმა საქართველოში (ძირითადი ტენდენციები), ჟურ. „ჩემი ადვოკატი", №5, 2021, 95.

695 ტერმინისა და ინსტიტუტის თაობაზე იხ.: *ჭოპტი*, კორპორაციული მართვა

ტეგრირებულ სისტემაზე, საწარმოს კონტროლის იმგვარ არქიტექტურაზე, რომელიც საზოგადოების მიზნის მიღწევის ყველაზე უფრო რაციონალურ და ოპტიმალურ შესაძლებლობას იძლევა. როგორც წესი, მსხვილ საწარმოში სს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა მოიაზრება, უფრო სწორედ, იგი სს-ის ორგანიზაციული მოწყობის ფორმად არის ჩამოყალიბებული. სწორედ ასეთი დიდი ბრუნვისა და მოცულობის საზოგადოებაშია საუბარი კორპორაციული მართვის ინტეგრირებული სისტემის დაფუძნებაზე და საჭიროებაზე. გამომდინარე იქედან, რომ შპს-ის ფორმა უფრო მცირე და საშუალო ბიზნესში გამოიყენება, მასში საწარმოს კონტროლის ისეთ სისტემაზე საუბარი, როგორიც ეს მრავალშრიანი დიდი კორპორაციისთვის იქნებოდა დამახასიათებელი, არ შეიძლება. რაღა თქმა უნდა, შპს-ის გამორიცხვა ასეთი დიდი კორპორაციული ჯგუფიდან არ იქნებოდა სწორი. მართალია, როდესაც ლაპარაკია პერსონალური პარტნიორული სტრუქტურის მქონე შპს-ზე, მისი გათანაბრება მართვის თვალსაზრისით არ შეიძლება დიდ კორპორაციასთან. თუმცა, როგორც ითქვა, ისიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ პერსონალური სტრუქტურა არ ნიშნავს საწარმოს კონტროლის ისეთი სისტემის დადგენას შპს-ში, როგორიც ეს პერსონალური ამხანაგური ტიპის საზოგადოებისთვის იქნებოდა უშუალოდ დამახასიათებელი. ასეთი კონცეფციის დამკვიდრება იურიდიულ აზროვნებაში ტიპოლოგიური ფორმის აღრევის საკითხამდე მივიდოდა,[696] რამაც, საბოლოო ჯამში, შესაძლოა საკორპორაციო სამართლის მთელი სისტემის რღვევამდე, მის ანაქრონიზმამდე მიიყვანოს. შპს-ის სამართლის პროგნოზირებისა და განჭვრეტადობის, სტაბილურობის ფუნქციიდან გამომდინარე შპს-ის მართვის მოდელი, რომელიც ორ ძირითად სეგმენტს მოიცავს - შიდაორგანიზაციულს და გარესამართლებრივს - კაპიტალური საზოგადოების, ანუ პირდაპირი გაგებით კორპორაციის მართვის

ევროპაში: რეგულირების ახალი მოდელი და „რბილი სამართალი", ბურდული (მთარგ.), „სამართლის ჟურნალი", №1, 2009, 228-247.

696 იხ. *Burduli*, Gesellschaftsrecht in Georgien und seine Entwicklungstendenzen, Institut für Osteuropäisches Recht der Universität Kiel. Zeitschrift: Kieler Ostrechts-Notizen, 1/2013, 16 Jahrgang, 28-35.

კონცეფციას უნდა ემყარებოდეს. აქ მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის თვალსაზრისით უზრუნველყოფილი იქნეს ისეთი გარესამართლებრივი მექანიზმი ჩამოყალიბებული, რომელიც მესამე პირს დაიცავს იმ საფრთხისგან, რომელსაც იგი არ ელის: პარტნიორის მიერ „მიბარებულ" სამართავად გადაცემულ ქონებაზე დადებული გარიგების ბათილობის რისკი, რადგან პარტნიორსა და ხელმძღვანელ პირს შორის ჩამოყალიბებული ფიდუციური კავშირურთიერთობა ძირითადად შიდაორგანიზაციული, შიდაკორპორაციული ლოკალიზაციით ხასიათდება. ამ ურთიერთობის მიზანს არ წარმოადგენს მისი „გარეთ გატანა" და იგი მხოლოდ შინა სფეროთი შემოიფარგლება. საწარმოს შიდა სფეროს გავრცელება გარესამართლებრივ ურთიერთობის შედეგზე კი ყოველთვის გამონაკლისს წარმოადგენს. საპირისპირო კონცეფცია უკეთ, უფრო მეტიც, ბუნებრივად მიესადაგება პერსონიფიცირებულ სამეწარმეო სუბიექტს, რადგან კორპორაციული მოსასხამის არარსებობა საფრთხეს არ უქმნის მესამე პირს დაიცვას მისი ქონებრივი ინტერესი პირდაპირი სარჩელის საფუძველზე უშუალოდ პარტნიორის მიზანში ამოღებით. გარდა ამისა, როგორც წესი, პარტნიორი ამხანაგურ საზოგადოებაში (სპს) არა მხოლოდ თავად არის ფაქტობრივად ჩართული მართვის საქმეში, არამედ კანონის მიხედვით პირდაპირ აქვს ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება მინიჭებული იმისდა მიუხედავად, „მოწვეული" დირექტორი ყავს თუ არა. შესაბამისად, შპს-ის საწარმოს მართვის სისტემაც წმინდა კორპორაციულის, ანუ კაპიტალური საზოგადოების მართვის სისტემის მსგავსი უნდა იყოს. მოკლედ, კაპიტალურ საზოგადოებაში დამკვიდრებული ეს პრინციპი ვერანაირად ვერ შეცვლის ამგვარ ანატომიას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შპს პერსონალური სტრუქტურის მატარებელია. ასე რომ, გარესამართლებრივ ურთიერთობაზე შიდაკორპორაციულ შეთანხმებათა (შეზღუდვათა) უპირობო გავრცელება არ ხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სამეწარმეო რეესტრის ფუნქციონირებას აზრი ეკარგება და მას სამართალი ვერაფრით აქცევს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის გარანტად. ეს კი ეწინააღმდეგება იმ სამართლებრივ ორბიტას, რომლის ირგვლივაც ქართული საკორპორაციო სამართალი დღემდე ტრიალებს.

1.1.4. გამიჯვნის პრინციპი და პასუხისმგებლობა

ის, რაც შპს-ს განასხვავებს სპს-ისაგან კარგად ვლინდება ე.ნ. გამიჯვნის პრინციპში. მასში მოიაზრება პარტნიორის პერსონალურ ქონებასა და საზოგადოების ქონებას შორის მკაცრი დემარკაციული ზღვარის გავლება, რომელიც, ერთი მხრივ, იცავს საზოგადოებას მისი წევრის (პარტნიორის) პირადი მოვალისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, ასევე იცავს თავად პარტნიორს საზოგადოების ვალდებულებისაგან.[697] ეს კარგად განსახიერდება კანონის 123-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტში, კერძოდ, მესამე პირის წინაშე შპს პასუხს აგებს მხოლოდ მისი მთელი ქონებით (მე-2 პუნქტი). შპს საკუთრებაუნარიანი სუბიექტია. მისი ქონება სხვადასხვა მეთოდისა და ინსტრუმენტის გამოყენების შედეგად ფორმირდება. მაგ., პარტნიორის მიერ განხორციელებული შენატანი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში, მოგების გამოუყენებლობა და რეკაპიტალიზაცია, რასაც შედეგად ქონების აკუმულირება მოყვება და სხვ. შესაბამისად, შპს-ის ქონებაში მოიაზრება ნებისმიერი ფულადი თუ არაფულადი, მატერიალური თუ არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელიც ექცევა საზოგადოების განკარგვის სფეროში და რომლითაც სამეწარმო საზოგადოებას შესწევს უნარი კრედიტორის მოთხოვნა დააკმაყოფილოს. სწორედ ამ ქონებასა და პარტნიორის ინდივიდუალურ სფეროში არსებულ ქონებას შორის მკაცრად არის გავლებული ფარგლები. პარტნიორი კაპიტალურ საზოგადოებაში შემოსილია კორპორაციული მოსასხამით, კორპორაციული ვუალით.[698] მას შემდეგ, რაც პარტნიორი მის ყველაზე ძირითად ვალდებულებას აღებულს საზოგადოების წინაშე - შენატანის განხორციელების ვალდებულებას - კეთილსინდისიერად, სრულად შეასრულებს, იგი იმოსება კორპორაციული გარსით, ანუ შეზღუდული პასუხისმგებლობის

---

697 ამ საკითხთან დაკავშირებით სხვათა ნაცელად იხ. ანატომიის ქართული თარგმანი: *კრააკმანი, არმური, დეევისი, ჰოპტი,* საკორპორაციო სამართლის ანატომია. შედარებითი და ფუნქციური მიდგომა, მე-3 გამოც., 2019, 7 და მომდ.

698 პერსონალური და კაპიტალური საზოგადოებების სისტემის კრიტიკის შესახებ ქართულ სამართალში იხ.: *ქირია,* საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, საკორპორაციო სამართლის კრებული, წიგნი I, ბურდული (რედ.), 2011, 15-69.

მოსასხამით, რაც იცავს კიდეც მას საზოგადოების ვალდებულებისაგან (კანონის 123-ე მუხლის პირველი პუნქტი). პარტნიორის ინდივიდუალური ქონებისა და საზოგადოების ქონების გამიჯვნა იძლევა სწორედ ამის საფუძველს განსაკუთრებით კი პასუხისმგებლობის კონტექსტში. გარდა გამონაკლისისა,[699] კრედიტორს მისი ვალდებულების დაკმაყოფილებისათვის უფლება აქვს მიმართოს შპს-ს და მხოლოდ მისგან, უფრო სწორედ, მისი ქონებისაგან მოითხოვოს ანაზღაურება. შესაბამისად, კრედიტორი სწორედ შპს-ის კორპორაციულ მოსასხამს უპირისპირდება და მისი გარღვევის უფლება, როგორც წესი, პარტნიორის პირადად და უშუალოდ მიზანში ამოღებით, არ აქვს. და თუ სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისა და გადაწყვეტილების მოსარჩელის (საზოგადოების კრედიტორის) სასარგებლოდ გამოტანის შემდეგ საზოგადოების ქონება საკმარისი არ აღმოჩნდება მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, გადაწყვეტილებაც, პრინციპში, „ქონებრივად აღუსრულებელი" დარჩება. პარტნიორი კი პასუხს აგებს მხოლოდ იმ შენატანის ფარგლებში, რაც მან საზოგადოების ხელშეკრულებით იკისრა.

მაგ., შპს „ორიონის" საწესდებო კაპიტალი შეადგენს 100 000 ლარს. საზოგადოებას ოთხი პარტნიორი ყავს, რომელიც თანაბრად მონაწილეობს სამეწარმეო საზოგადოებაში, ანუ თითოეულ მათგანს აქვს 25% წილისა და განხორციელებული შენატანიც პროპორციულია, ანუ 25 000 ლარს მოიცავს. ყველა პარტნიორს სრულად აქვს შესრულებული (ფულადი) შენატანი, რითიც ფორმირებულ იქნა საზოგადოების პირველდაწყებითი ქონება. რენტაბელური საქმიანობის შედეგად „ორიონის" ქონება 100 000 ლარის ღირებულების არაფულადი ქონებით (ვთქვათ, მანქანა-დანადგარით) გაიზარდა. მაშასადამე, 200 000 ლარი შეადგინა. კრედიტორთან აღებული ვალდებულების დარღვევის გამო შპს „ორიონს" სასამართლომ 250 000 ლარის გადახდა დააკისრა, თუმცა გადაწყვეტილება რეალურად ვერ აღსრულდება სრული მოცულობით, რამდენადაც საზოგადოების ქონება საკმარისი არ არის კრედიტორის მოთხოვნის (სრულად) დასაკმაყოფილებლად: 50 000 ლა-

699 რაც გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინას უკავშირდება.

რის ამოღება საზოგადოების ქონებიდან შპს მატერიალური სახსრების არქონის გამო შეუძლებელია. თუმცა კრედიტორი პარტნიორს ვერ მოთხოვს ამ 50 000 ლარის ანაზღაურებას, რადგან ეს უკანასკნელი („ორიონის" პარტნიორი) კორპორაციული მოსასხამით არის დაცული, რამდენადაც მისი პასუხისმგებლობა მისი შენატანით არის შემოფარგლული (კანონის 123-ე მუხლის პირველი პუნქტი ამავე მუხლის მე-2 პუნქტის კონტექსტში), განსხვავებით სპს-ისაგან, სადაც კრედიტორს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფრთხე, თუკი სპს-ის პარტნიორებს საკმარისი პირადი ქონება აქვთ, არაფრით ემუქრება: მოთხოვნის სამიზნე საზოგადოების ქონების მასასთან ერთად, ბუნებრივია, არის პარტნიორის მთლიანი ქონება. სპს-ის პარტნიორი კი არ არის კორპორაციული გარსით, მოსასხამით დაცული კრედიტორის წინაშე, რაც გამორიცხავს კიდეც მის შეზღუდულ პასუხისმგებლობას საზოგადოების ვალდებულებისათვის მესამე პირის წინაშე.

და ბოლოს, (პასუხისმგებლობისა და ქონებრივი სიკეთის) გამიჯვნის პრინციპის ასევე საუკეთესო მაგალითს, როგორც ზემოთ იქნა ნახსენები, წარმოადგენს კანონის 123-ე მუხლის მე-3 პუნქტი, პარტნიორი შპს-საგან განსხვავებული სუბიექტია. მას, ბუნებრივია, დამოუკიდებლად აქვს ურთიერთობა მესამე პირთან და სამოქალაქო ბრუნვაშიც დამოუკიდებლად გამოსვლის შესაძლებლობა გააჩნია. შესაბამისად, იგიც შესაძლოა გახდეს კრედიტორის მხრიდან წაყენებული ანაზღაურების მოთხოვნის ადრესატი. მსგავს სიტუაციაში სახეზე იქნება პარტნიორის პირადი მოვალე, რომელსაც ამ უკანასკნელმა სწორედ მხოლოდ დამოუკიდებელი, მის საკუთრებაში არსებული ქონებით უნდა აუნაზღაუროს მოთხოვნა და მისი (კრედიტორის) მხრიდან მოთხოვნის წაყენების ტრანსმისია შპს-ზე არაფრით შეიძლება. აქ ერთ მომენტზე გამახვილდებოდა ყურადღება: მაგ., შპს „ორიონის" ერთ-ერთ პარტნიორს - ი. ბურდულს მესამე პირის სასარგებლოდ დაეკისრა ანაზღაურება.[700] საქმე გვაქვს ბურდულის პირად მოვალესთან, რომელიც ანაზღაურებას სწორედ

700 ბურდულსა და მახარობლიშვილს შორის არსებული ნასყიდობის ხელშეკრულების დარღვევის შედეგად ბურდულს მახარობლიშვილის სასარგებლოდ დაეკისრა 25 000 ლარის გადახდა.

ბურდულს მოსთხოვს და არა (ამავდროულად) შპს „ორიონს". თუმცა ბურდულს, აღნიშნულ საზოგადოებაში 25% წილის გარდა ქონება არ აქვს. შესაბამისად, ბურდულის საპასუხისმგებლო მასა კრედიტორის წინაშე სწორედ 25 000 ლარით განისაზღვრება, რომელიც „შპს-შია". რა თქმა უნდა, თუკი წილის ეკონომიკური ღირებულება 25 000 ლარით განისაზღვრება, იგი, საბოლოო ჯამში, კრედიტორის მოთხოვნის სასარგებლო მასის განუყოფელი ნაწილი იქნება. მოსარჩელეს (კრედიტორს) ასევე, საკუთარი მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, შეუძლია სასამართლოსაგან მოითხოვოს ბურდულის კუთვნილი წილის დაყადაღება (გასხვისების აკრძალვა) და სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ამ უაკანასკნელის (წილის) მის სახელზე გადაფორმება ან გასხვისება და ამგვარად ამოღება მისი ფულისა. იმ შემთხვევაში, თუკი საზოგადოების ხელშეკრულებით შპს-ში ახალი პარტნიორის შესვლა გართულებულია, ან დამოკიდებულია სხვა პარტნიორების თანხმობაზე და ასეთი თანხმობა არ გაიცემა, მაშინ საზოგადოებამ (ან პარტნიორებმა) უნდა მისცეს ბურდულის მოვალეს კომპენსაცია წილის საბაზრო ღირებულების ოდენობით. თვალნათელია, რომ ბურდულის პირადი მოვალის ინტერესი დაკმაყოფილებულია.

1.1.5. გამჭოლი პასუხისმგებლობა

კაპიტალური ტიპის საზოგადოების პარტნიორი, როგორც ითქვა, პასუხს არ აგებს საზოგადოების კრედიტორის წინაშე. მისი პასუხისმგებლობა შეზღუდულია სადამფუძნებლო შეთანხმებით აღებული და განხორციელებული შენატანის ოდენობის ფარგლებით. თუმცა კორპორაციულ ურთიერთობათა პრაქტიკაში არსებობს ისეთი ვითარება, როდესაც პარტნიორის არამართლზომიერი მოქმედების გამო საზოგადოების კრედიტუნარიანობა და მატერიალური მდგომარეობა იმდენად შელახულია, რომ საწარმოს არ შესწევს უნარი დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნა. თუკი საზოგადოების ქონებრივი მდგომარეობის არსებითი გაუარესების დეტერმინანტი და მისი დაკმაყოფილებაუნარიანობის ხელყოფის მთავარი ფიგურანტი პარტნიორია, მაშინ უსამართ-

ლო იქნებოდა, მისი ეს არამართლზომიერი ქმედება შეზღუდული პასუხისმგებლობის პრივილეგიით გამართლებულიყო. სწორედ ამიტომ საკორპორაციო სამართალს უნდა მოეძებნა იურიდიული მექანიზმი, რომლის დროსაც პასუხისმგებლობის დაკისრება და, მაშასადამე, არარსებული საზოგადოების ქონების ჩანაცვლება კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების თვალსაზრისით პარტნიორის ინდივიდუალური ქონების ხარჯზე მომხდარიყო. გამჭოლი პასუხისმგებლობა არის ის ერთადერთი გამონაკლისი პარტნიორის პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიიდან, რომელსაც თითქმის ყველა ქვეყნის სამართალი (ზოგჯერ კანონმდებლობით, ზოგჯერ კი სამოსამართლო სამართლით) ადგენს. არც საქართველოა ამ მხრივ გამონაკლისი. კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თუკი შპს-ის პარტნიორი მისი პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმას ბოროტად გამოიყენებს, იგი პირადად იქნება პასუხისმგებელი საზოგადოების კრედიტორის წინაშე. ამასთან, პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის ფარგლების ბოროტად გამოყენება უნდა უკავშირდებოდეს საზოგადოების კრედიტუნარიანობის იმგვარ შემცირებას, რის გამოც მესამე პირის მოთხოვნა ვერ კმაყოფილდება. გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა გაბატონებულია კაპიტალურად მონყობილ საზოგადოებაში,[701] თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ პრაქტიკაში იგი, როგორც წესი, პერსონალური პარტნიორული სტრუქტურის მქონე კაპიტალურ საზოგადოებაში გამოიყენება. დიდ ღია კორპორაციებში, რომელსაც მრავალი პარტნიორი (აქციონერი) ყავს და რომელშიც პორტფოლიო ინვესტიცია საზოგადოების ფართო სპექტრს ეკუთვნის (ძირითადად მოსახლეობას), როგორც წესი, ხმათა უბრალო უმრავლესობა გადაწყვეტილებათა მისაღებად არ არსებობს. ასეთ კომპანიებში საუბარია ე.წ. ჩამკეტ უმცირესობაზე[702] (დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში მერყეობს 24-30%-მდე), რა დროსაც ერთი პირის ხელში არ

701 კს-ში კომანდიტის მიმართ გამოიყენება მისი (კს-ის) ჰიბრიდული ბუნებიდან გამომდინარე.

702 ბურდული, მცირე აქციონერის უფლებათა ბოროტად გამოყენება, კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბ. 2009, 269.

არის კონცენტრირებული კორპორაციული (ხმის უფლების) სიძლიერის გადამწყვეტი ვექტორი. შესაბამისად, გამჭოლი პასუხისმგებლობა იმ საზოგადოებაში (და უმეტესწილად შპს-ებში) შეიძლება მოქმედებს, სადაც პარტნიორთა მცირე რაოდენობაა სახეზე და მათ შორის, როგორც წესი, ახლო კავშირურთიერთობაა. გავრცელებულ შემთხვევებში გამჭოლი პასუხისმგებლობის ადრესატი ერთადერთი პარტნიორია ერთკაცა კომპანიაში, რომელმაც შეზღუდული პასუხისმგებლობის ფარგლების ბოროტად გამოყენება შეძლო, ამით დააზიანა სამეწარმეო საზოგადოება და გადახდისუუნარობის ქვეშ დააყენა კომპანია. საქართველოში გამჭოლი პასუხიმგებლობის არსის თაობაზე პირველ ინფორმაციას იურიდიული ლიტერატურა იძლეოდა,[703] რასაც რამდენიმე წლის შემდეგ მოყვა სუს-ს ორი დამაფუძნებელი გადაწყვეტილება,[704] რომელმაც საკითხთან მიმართებით სასამართლო პრაქტიკა დაადგინა.[705] ძირითადი ფაბულა კორპორაციული მოსასხამის გაჭოლვისა იმაში მდგომარეობდა, რომ ერთ შემთხვევაში ერთკაცა შპს-ში, ხოლო, მეორე შემთხვევაში, პერსონალური პარტნიორული სტრუქტურის მქონე საწარმოში (ორი პარტნიორი), პარტნიორმა შპს-ის არსის შელახვა და შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპის ბოროტად გამოყენება შეძლო. პარტნიორის ძალაუფლების სფერო აბსოლუტურად ვრცელდებოდა საზოგადოების ხელმძღვანელობაზე (ერთ შემთხვევაში პარტნიორი იმავდროულად წარმოადგენდა საზოგადოების დირექტორს), რომელსაც შედეგად მოყვა ისეთი

---

703 *ბურდული,* საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009, 236 და მომდ; *გულაშვილი,* კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა ურთიერთობის კონტექსტში, ბურდული (რედ.), საკორპორაციო სამართლის კრებული, წიგნი I, 2011, 69 და მომდევნო; *Jugheli,* Piercing the Corporate Veil in Georgian Company Law, South Caucasus Law Journal, №3, 2012, 192-198.

704 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: №ას-1158-1104-2014, №ას-1307-1245-2014.

705 კრიტიკა იხ. *ჯანტურია,* პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა საზოგადოების საგადასახადო დარღვევისათვის (სამოსამართლო სამართლის სიახლე), წიგნში: თოდუა (რედ.), გურამ ნაჭყებია - 75 (საიუბილეო კრებული), 2016, 406 და მომდ.

საქმიანობის განხორციელება „რომელიც მიზნად ისახავდა გადასახადებისაგან თავის არიდებას, ანუ როდესაც საზოგადოება მისი პარტნიორის მიერ გამოიყენება არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერირებელ წყაროდ."[706] შპს ერთგვარ ინსტრუმენტს წარმოადგენს პარტნიორის ხელში, რათა მან ამ ინსტრუმენტის, უფრო სწორედ, შეზღუდული პასუხისმგებლობის პრივილეგიით ისარგებლოს საზოგადოების კრედიტორის წინაშე და არ აგოს პასუხი მისი (საზოგადოების) ვალდებულებისათვის მაშინ, როდესაც მისი (პარტნიორის) არამართლზომიერი მოქმედებით საზოგადოება „გამოშიგნულია" ქონებრივი თვალსაზრისით და კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების პირისპირ „მატერიალური აქტივისაგან დაცლილი" კომპანია დგას. სწორედ ამ შემთხვევაში კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტის ბოლო სიტყვებისა და მე-2 პუნქტის მოცემულობის იგნორირება ხდება კორპორაციული მოსასხამის გაჭოლვის გამართლებით და პირდაპირ ხდება კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის გამოყენება.

გასათვალისწინებელია ასევე, რომ დირექტორის მიმართ გამჭოლი პასუხისმგებლობა[707] არ გამოიყენება, რადგან ეს უკანასკნელი მისი არამართლზომიერი მოქმედებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის სუბიექტი საზოგადოების, მისი პარტნიორისა და, საგამონაკლისო შემთხვევაში, საზოგადოების კრედიტორის წინაშე სხვა სამართლებრივი საფუძვლით ხდება.[708] ამიტომ ხელმძღვანელ პირთა მიმართ ტერმინის - გამჭოლი პასუხისმგებლობა - გამოყენება არასწორია.

კორპორაციული მოსასხამის იგნორირების წინაპირობა სხვადასხვაა. იგი, როგორც წესი, სამოსამართლო სამართლის ქმნილებაა და სწორედ სასამართლოს მიერ არის დასად-

---

706 ასევე: *ჭანტურია*, პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა საზოგადოების საგადასახადო დარღვევისათვის (სამოსამართლო სამართლის სიახლე), წიგნში: თოდუა (რედ.), გურამ ნაჭყებია - 75 (საიუბილეო კრებული), 2016, 406; საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ას-1158-1104-2014 გადაწყვეტილება.

707 ციტირებულ გადაწყვეტილებებში პასუხისმგებლობა დირექტორსაც დაეკისრა.

708 *ბურდული*, ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხისათვის (დოგმატური გააზრების მცდელობა), ჟურ. „ჩემი ადვოკატი", №2, 2019, 46-62, 48; *ჯუღელი*, დირექტორთა პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, №1, 2013, 1-13.

გენი, თუმცა ზოგადი ფაბულა ამ თვალსაზრისით შესაძლოა მოყვანილ იქნეს. გამჭოლი პასუხისმგებლობის წინაპირობა შეიძლება იყოს: გამიჯვნის პრინციპის ფაქტობრივ-რეალური მორღვევა – საზოგადოებისა და მისი პარტნიორის ქონების ერთმანეთში აღრევა; წილთა განთავსებისას მისი გაცემისა და დარიგების ფორმალური და მატერიალური პროცედურული წინაპირობების ტოტალური იგნორირება; მესამე პირის მხრიდან შთაბეჭდილება იმისა, რომ საწარმოს პარტნიორი პირადად არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებისათვის კრედიტორის წინაშე; კორპორაციის კაპიტალის შევსებისას და შენატანის განხორციელებისას მასთან დაკავშირებული საბუღალტრო დოკუმენტაციის არასათანადო აღრიცხვა და საზოგადოების წიგნების არასათანადო და არასწორი წარმოება; საზოგადოების იმგვარი (შეგნებული) ქვეკაპიტალიზაცია, რომელიც რეალურად ვერ დააკმაყოფილებდა კრედიტორის მოთხოვნებს; ორი სამართლებრივად დამოუკიდებელი საწარმოს ისეთი ფორმალური დაყოფა, საიდანაც ფაქტობრივად შეუძლებელია იმის გამორკვევა, რომელი სუბიექტის ხელში იმყოფება ეკონომიკური კორპორაციული საკუთრება;[709] ასევე, ე.წ. ცივი ლიკვიდაციის შემთხვევები, როდესაც პარტნიორი საზოგადოებას ქონებრივად „გამოშიგნავს", ჩამოართმევს კაპიტალს და მის (ფარულ და არამართლზომიერ) ტრანსფერს მოახდენს საკუთარ თავზე ან მასთან დაახლოვებულ პირზე ან მოუსპობს თავად საზოგადოებას მოგების მიღების შესაძლებლობას საკუთარი მერკანტილური ინტერესისთვის[710] და სხვ.

---

709 ჩამონათვალი ამომწურავი არ არის და, ძირითადად, ეფუძნება აღნიშნულ წიგნში აშშ-ის სამოსამართლო სამართალს. დანვრილებით უცხოურ წყაროებზე შემდგომი მითითებებით იხ. *ბურდული,* საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009, 245 და მომდ.

710 *შეფერი,* საზოგადოებათა სამართალი, მე-5 გამოც., მიგრიაული (მთარგ.), 2018, §33, ველი 10.

1.2. კაპიტალის სტრუქტურა და მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი

კაპიტალურ საზოგადოებებში, განსხვავებით იმავე ამხანაგური საზოგადოებებისაგან, ცენტრალურ მხარეს ექცევა თვით პირთა მოზიდული კაპიტალი, რომელიც სტრუქტურულად განცალკევებულია მასში შემავალი ფიზიკური თუ იურიდიული პირების ქონებისგან. მკაცრად განცალკევებული კაპიტალი წარმოადგენს ასეთი საზოგადოებების სრული „განსხეულების", საკუთარი უფლებაუნარიანობის მქონე ორგანიზებულ წარმონაქმნად მიჩნევის მთავარ განმაპირობებელ ფაქტორს - როდესაც შპს ან სს კრედიტორების წინაშე საკუთარი ქონებით აგებს პასუხს.[711]

კაპიტალის სტრუქტურა შეიძლება მარტივად იქნას დანახული როგორც კორპორაციის აქტივისა და ვალდებულების ურთიერთშეფარდება.[712] სხვაგვარად რომ ითქვას, ადგილი აქვს განსხვავებას საკუთარ და უცხო (ვალდებულებების საფუძველზე ჩამოყალიბებულ) კაპიტალს შორის.[713] კაპიტალის ქვეშ აღინიშნება იმგვარი შეგროვებული (აკუმულირებული) აქტივი (ფულადი სახსრები, არამატერიალური თუ მატერიალური ქონება), რომელიც კორპორაციულად ორგანიზებულ სუბიექტს აძლევს საშუალებას, იმოქმედოს იმ მიზნის მისაღწევად, რომლისთვისაც ის შეიქმნა.[714] იგივე ვალის შეფარდება კაპიტალთან[715] წარმოადგენს მნიშვნელოვან მაჩვენებელს,

---

711 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010,141-142. გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია საზოგადოების ვალდებულებებისათვის თვით პარტნიორებმა აგონ პირადად პასუხი. აღნიშნულ ვითარებაში, კრედიტორთა მოთხოვნა არღვევს, აღწევს კორპორაციული მოსასხამის შიგნით და ამგვარად კორპორაციული საფარველი იჭოლვება (ინგ. *piercing the corporate veil*; გერმ. *Durchgriffshaftung*). იხ: *ბურდული*, საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009, 235-259.

712 *Miglo*, Capital Structure in the Modern World, 2016, 3. *Schneeman*, The Law of Corporations and Other Business Organizations, 5th ed., 2009, 422. *Gullifer, Payne*, Corporate Finance Law: Principles and Policy, 3rd ed., 2020, 55.

713 გერმანულ ლიტერატურაში *Eigenkapital* და *Fremdkapital* შესაბამისად. იხ: *Hirth*, Grundzüge der Finanzierung und Investition, 4. Aufl., De Gruyter Oldenbourg, 2017, 189.

714 *მახარობლიშვილი*, სააქციო საზოგადოების ძირითადი სტრუქტურული ელემენტები, წიგნში: საკორპორაციო სამართლის კრებული, ტომი II, 2014, 105.

715 ინგ. Debt-to-equity ratio, გერმ. Verschuldungsgrad.

რომელიც მიუთითებს კორპორაციის ფინანსურ სიჯანსაღეს და ხშირად კრედიტორისთვის მიმზიდველია, თუმცა სრულიად შესაძლებელია, ასეთი ვალდებულების კაპიტალთან შეფარდების მაღალი მაჩვენებლის მქონე კორპორაციაც თავისუფლად ფუნქციონირებდეს ძირითადად სწორედ ამ სესხით აღებულ კაპიტალზე დაყრდნობით.[716]

თავად კაპიტალის სტრუქტურაშიც კრედიტით აღებული სახსრების როლი მნიშვნელოვანწილად იმით არის განპირობებული, რომ მსხვილი პროექტის დაფინანსებისათვის ბევრ შემთხვევაში მარტო საზოგადოებისათვის ხელთარსებული აქტივი (ე.წ. საკუთარი კაპიტალი) არ არის საკმარისი და კორპორაცია მიმართავს კაპიტალის ბაზარზე უკვე საუკუნეების განმავლობაში აპრობირებულ მეთოდს - სესხის აღებას. კორპორაციული ფინანსების თეორიაში არსებობს რამდენიმე შეხედულება იმის თაობაზე, თუ როგორი კონკრეტული მეთოდით ცდილობენ კომპანიები ვალის კაპიტალთან შეფარდების დაბალანსებას ან ცდილობენ თუ არა ისინი საერთოდ ასეთი ბალანსის მიღწევას.[717]

საკუთარი კაპიტალით დაფინანსებისას, რომლის უმთავრესი ფუნქციური დანიშნულებაც სწორედ მესამე პირების ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობის უზრუნველყოფაა,[718] უპირატესობა პარტნიორთათავის აშკარაა: ამგვარად ნარჩუნდება ვალის კაპიტალთან შეფარდების დაბალი მაჩვენებელი, რაც პოტენციური ინვესტორისა და კრედიტორისათვის უფრო მიმზიდველია და გადახდისუუნარობის დადგომის საშიშროებას ამცირებს. ასევე სესხით დაფინანსებისგან განსხვავებით, საზოგადოება ვალდებული არ არის, მნიშვნელოვანი სახსრები გაიღოს სესხის პროცენტის დასა-

---

716 იგივე ბანკები ხშირად სწორედ ვალზე დაყრდნობით მოქმედებენ და ვალის შეფარდება კაპიტალთან ყოველთვის საკმაოდ მაღალია. იხ.: *DeAngelo, Stulz,* Liquid-claim Production, Risk Management, and Bank Capital Structure: Why High Leverage is Optimal for Banks, Journal of Financial Economic Vol. 116, Issue 2, 2015, 219.

717 კაპიტალის სტრუქტურის შესახებ თეორიების თაობაზე იხილეთ: *მახარობლიშვილი გ.,* სააქციო საზოგადოების ძირითადი სტრუქტურული ელემენტები, ნიგნში: საკორპორაციო სამართლის კრებული, ტომი II, 2014, 114-115. *Meyers,* Capital Structure, Journal of Economic Perspectives, Vol. 15, №2, 2001, 81-100.

718 *Christians (Hrsg),* Finanzierungshandbuch, 2. Aufl., Gabler Verlag, Wiesbaden. 1988, s.501.

ფარავად და, ასევე, რაც მთავარია, ადრე თუ გვიან, უკან დააბრუნოს ძირი თანხაც.[719] საკუთარი კაპიტალი ფაქტობრივად გადამწყვეტ როლს თამაშობს ბანკებისა და სხვა კრედიტორებისათვის, რომლებიც საწარმოს კრედიტუნარიანობას აფასებენ და შემდეგ წყვეტენ, დაიჭირონ თუ არა მასთან საქმე.[720]

ამავდროულად, გაცემული წილების სანაცვლოდ კაპიტალის ჩამოყალიბებას ის უარყოფითი ეფექტი აქვს, რომ ახლადშემოსული პარტნიორი, იღებს რა საზოგადოების მმართველობაში მონაწილეობის უფლებას, ასევე შესაძლოა, წარმოადგენდეს მტრულ მხარეს, ანუ ამგვარად წილების შესყიდვით დაეუფლოს საზოგადოებას, რასაც სესხით დაფინანსებისას ადგილი არ აქვს. უცხო კაპიტალით დაფინანსების კიდევ ერთი დადებითი მახასიათებელი მისი მოქნილობა და სისწრაფეა იმავე საკუთარი კაპიტალით შევსებისგან განსხვავებით, რომელიც შესაძლოა დროში გაიწელოს მსხვილმასშტაბიანი ტრანზაქციების შემთხვევაში.

საბოლოო ჯამში, თითოეულ კონკრეტულ შეზღუდულ პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე იქნება დამოკიდებული, როგორ გადაწყვეტს ის საკუთარი კაპიტალის ჩამოყალიბებას და რამდენად მიმართავს ის საკუთარი კაპიტალით შიდა დაფინანსებას და რამდენად გადაწყვეტს ის, ისესხოს თანხა და უცხო კაპიტალის მეშვეობით იმოქმედოს. აღნიშნული ზოგად მრავალ ეკონომიკურ, ფინანსურ თუ სხვა ფაქტორზე არის დამოკიდებული.

კაპიტალური ტიპის საზოგადოებისათვის კაპიტალის სტრუქტურის სამართლებრივი მოწესრიგება არსებითად მნიშვნელოვანია.[721]

---

719 *Schneeman*, The Law of Corporations and Other Business Organizations, 5th ed., 2010, 422.

720 *Christians (Hrsg)*, Finanzierungshandbuch, 2. Aufl., Gabler Verlag, Wiesbaden. 1988, s.502.

721 უნდა აღინიშნოს , რომ შპს არის ე.წ. დახურული ბიზნესის განხორციელებისთვის განკუთვნილი სამართლებრივი ფორმა, რომელიც, როგორც წესი, გულისხმობს კაპიტალიზაციას მხოლოდ საკუთარი კაპიტალის ფორმით, ანუ პარტნიორთა მხრიდან განხორციელებული შენატანების ფორმატით. კაპიტალის სტრუქტურის დიფერენციაციამაშინაა სახეზე, როდესაც საკუთარ კაპიტალთან ერთად მისი ფორმირება ე.წ. ნასესხები კაპიტალით ხდება. შესაბამისად, შპს-თან მიმართებით ეს საკითხი, როგორც წესი, ნაკლებად

როგორც ითქვა, შპს არის საზოგადოება, რომლის კაპიტალი დაყოფილია წილებად, ხოლო პარტნიორის პასუხისმგებლობა დამოკიდებულია წილთა განაწილების პროპორციულობაზე და ის მესამე პირის მიმართ შეზღუდულია. პარტნიორის პასუხისმგებლობის შეზღუდვა არ ნიშნავს შპს-ის პასუხისმგებლობის შეზღუდვას: შპს მესამე პირის წინაშე, მისი სახელით აღებული ვალდებულებისათვის, პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, შეუზღუდავად. თავის მხრივ, შპს პასუხს არ აგებს პარტნიორის პირადი ვალდებულებისათვის (ე.წ. entity shielding).[722]

კაპიტალიზაციის ფორმა, კაპიტალის გადაცემა (შეტანა), შენატანის სახეები ერთი მიმართულების მაფორმირებელია, ხოლო მეორე მთავარი საკითხია ის, თუ რა სტრუქტურული ფორმით ყალიბდება შპს-ის კაპიტალი, პარტნიორი რა მიზეზობრივ კავშირშია მის მიერ განხორციელებულ ინვესტიციასთან და ეს კავშირი რა სამართლებრივი რეგულირებით გამოიხატება, ანუ პარტნიორს რა უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა საზოგადოებაში. ჩამოთვლილი ყველა საკითხი შპს-ის სუბსტანციის განმსაზღვრელი და მისი სრულფასოვანი ფუნქციონირების გარდაუვალი წინაპირობაა.

კაპიტალის სტრუქტურის ფორმირება სადამფუძნებლო შეთანხმებიდან იწყება. სადამფუძნებლო შეთანხმებაში უნდა აღინიშნოს იმ წილების შესახებ, რომელიც გაცემულ იქნა საზოგადოების მიერ საზღაურის სანაცვლოდ, მიუხედავად იმისა, მიღებული აქვს თუ არა სამეწარმეო საზოგადოებას ასეთი საზღაური. სწორედ საზღაურის გადახდის შემდგომ ითვლება წილი განთავსებულად. ასევე, სადამფუძნებლო შეთანხმება-

---

რელევანტურია, თუმცა, სასესხო დაფინანსებით კაპიტალიზაციის შემთხვევის სამართლებრივი თუ ეკონომიკური დეტალებისათის, დასაშვებია გამოყენებულ იქნეს სააქციო საზოგადოების შესაბამისი პარაგრაფი, სადაც კაპიტალის სტრუქტურის ხსენებული ფორმაცია სრულად იქნება გაანალიზებული. სააქციო საზოგადოების კაპიტალის სტრუქტურასთან დაკავშირებით ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ: იხ. *მახარობლიშვილი,* კაპიტალურ საზოგადოებათა სტრუქტურაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება კორპორაციულ-სამართლებრივ ქმედებათა (შეძენა, შრწყმა) საფუძველზე, 2014, 59-72. ასევე, იხ. *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 233-245.

722 *მახარობლიშვილი,* მეწარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამიჯვნა კაპიტალურ საზოგადოებათა საწყისებზე, „სამართლის ჟურნალი", №2, 2011, 101-106.

ში უნდა განისაზღვროს კაპიტალის (თავის დროზე, ძველი კანონით, სანესდებო კაპიტალის) ის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც შპს-ს შეეძლება წილის განთავსება. აღნიშნული შინაარსით ფორმირდება ე.წ. ნებადართული კაპიტალი. შესაბამისად, დოგმატურად უნდა გაიმიჯნოს წილის გაცემის სამდონოვანი ეტაპი ერთმანეთისაგან.

კაპიტალის სტრუქტურა წილის ფორმირების ეტაპების მიხედვით კლასიფიცირდება. კაპიტალის სტრუქტურის სახეების პირველი ნაწილია ე.წ. ნებადართული კაპიტალი, რომელიც გულისხმობს იმ მაქსიმალური კაპიტალის მოცულობას, რაც სამეწარმეო საზოგადოებას შეიძლება ჰქონდეს, რამდენადაც ის სადამფუძნებლო შეთანხმებით განსაზღვრული კაპიტალის ოდენობაა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ნებადართული კაპიტალი აპრიორი უნდა შეივსოს გარკვეული პერიოდის შემდეგ. ეს ნიშნავს იმას, რომ სამეწარმეო საზოგადოებას დამატებითი/ახალი წილების გამოშვება მხოლოდ ნებადართული კაპიტალის დიაპაზონში შეეძლება. შპს-ის კაპიტალის ის წილები, რომელიც გაცემულია მესამე პირზე, მაგრამ ჯერ მის სანაცვლოდ საზღაური არ არის გადახდილი, შეიძლება იწოდოს პირობადებულ კაპიტალად,[723] ხოლო წილის სანაცვლოდ გადახდილი კაპიტალის წილები - განთავსებულ წილებად.[724] თავის მხრივ, განთავსებული წილების ნომინალურ ღირებულებათა ჯამი განთავსებული კაპიტალის ტოლია. განთავსებული კაპიტალის თავდაპირველი ოდენობა განისაზღვრება შპს-ის წესდებით და მისი შეცვლა პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზეა შესაძლებელი.

შპს-ში წილი არის უფლების საგანი, რომელიც კაპიტალში პირის მონაწილეობას განსაზღვრავს. წილების ფორმირება ხდება შესატანების სახით,[725] ხოლო შენატანი უნდა იყოს წილის პროპორციული, თუ საზოგადოების ხელშეკრულებით სხვა რამ არის განსაზღვრული.

---

723 *Ferran*, Principles of Corporate Finance Law, 2008, 103. ასეთი კაპიტალი სამეწარმეო საზოგადოების ჯერ კიდევ პოტენციურ კაპიტალს შეადგენს. იხ. *მახარობლიშვილი*, კაპიტალურ საზოგადოებათა სტრუქტურაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება კორპორაციულ-სამართლებრივ ქმედებათა (შეძენა, შრნყმა) საფუძველზე, 2014, 59-62.

724 *Ferran*, Principles of Corporate Finance Law, 2008, 101.

725 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2011, 178-214.

1.3. წილი საზოგადოების კაპიტალში, მისი სახეები და მათგან გამომდინარე სამართლებრივი ასპექტები

წილის აღსაქმელად მნიშვნელოვანია მისი კანონისმიერი განმარტება,[726] რომლის თანახმადაც წილი არის, უპირველეს ყოვლისა, პირის უფლება, საკუთრების საგანი, რომელიც განსაზღვრავს პირის მონაწილეობას სამეწარმეო საზოგადოებაში. წილი არის ის ერთეული, რომლითაც დგინდება მეწილის პროპორციული მონაწილეობა საზოგადოებაში.[727] ეს წილი მეწილის სრულ საკუთრებაშია, თუმცა ის შენატანი, რაც მან უკვე განახორციელა ამ შეზღუდულ პასუხისმგებლობაში წილის მისაღებად, უკვე საზოგადოების მფლობელობაში იმყოფება.

შპს-ის წილები შესაძლებელია დაყოფილი იყოს შესაბამის კლასებად. წილთა ამგვარი დივერსიფიკაციით სანარმოს მეწილეს ეძლევა არჩევანის შესაძლებლობა იმასთან დაკავშირებით, თუ კერძოდ როგორ ამჯობინებს ის საზოგადოებაში მონაწილეობას. წილის კლასად მიიჩნევა იმგვარი წილების ერთობლიობა, რომელიც მისი მფლობელისთვის ერთნაირ უფლება-ვალდებულებას წარმოშობს.[728]

კაპიტალის სტრუქტურის თვისებრივი მახასიათებელია წილი, რომელსაც აქვს კლასი, სახე და რომლიდანაც გარკვეული კორპორაციულსამართლებრივი და ვალდებულებითსამართლებრივი უფლება-მოვალეობები გამომდინარეობს.

წილის კლასის განმსაზღვრელია მისგან გამომდინარე უფლება-მოვალეობები. სახელწოდებითი სახესხვაობა უფლება-მოვალეობათა განსხვავებულობიდან შეიძლება ჩამოყალიბდეს, მაგრამ საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთი მთავარი პრინციპიდან - თანაბარი მოპყრობის პრინციპიდან - გამომდინარე, ერთი და იგივე უფლება-მოვალეობის მატარებელ წილს (ერთი კლასის წილებს) უნდა ჰქონდეს ერთი და იგივე ნომინალური ღირებულება, რადგან ისინი ქმნიან წილის ერთიან კლასს. იგივე მოცემულობის შებრუნებული ვარიანტიც ანალოგიურად მოქმედებს. უფლება-მოვალეობათა

---

726 კანონის 29-ე მუხლი და 133-ე მუხლის პირველი პუნქტი.

727 *Bourne*, Bourne on Company Law, 6th ed., 2013, 51.

728 კანონის 135-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ცვალებადობის, ანუ ახალი წილების განსაზღვრის ან არსებული წილის რესტრუქტურიზაციის საკითხი პარტნიორთა მიერ შეიძლება გადაწყდეს და საზოგადოების ხელშეკრულებაში უნდა აისახოს.

წილის სახე დაკავშირებულია კაპიტალის სახესა და მისი გაცემის სამართლებრივ მდგომარეობასთან. წილი განთავსებულად ითვლება, თუ ის შპს-ის მიერ გაცემულ იქნა სხვა პირისათვის გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ. იმ წილს, რომელზეც სამეწარმეო საზოგადოებაში მიღებულ იქნა განთავსების შესახებ გადაწყვეტილება, გამოშვებული წილი ეწოდება.[729] წილის მესამე სახეც კაპიტალის სახით არის განპირობებული და მას ნებადართული წილი ეწოდება. ეს არის ისეთი შემთხვევა, როდესაც შპს თავიდანვე განსაზღვრავს სადამფუძნებლო შეთანხმებაში თუ რა ოდენობის კაპიტალის, შესაბამისად, წილის გამოშვება და განთავსება სურს სამომავლოდ.

წილიდან გამომდინარეობს მრავალი კორპორაციულსამართლებრივი და ვალდებულებითსამართლებრივი უფლება-მოვალეობა. წილი არის პარტნიორის მიერ ინვესტირებული ქონების (შეტანაუნარიანი ობიექტის) კორპორაციულ-სამართლებრივი დავის მექანიზმი, რომელიც გამოიხატება პატნიორისთვის მინიჭებულ უფლებათა კატალოგით. წილის მფლობელობა პარტნიორს ანიჭებს უფლებას მიიღოს პარტნიორთა საერთო კრებაში მონაწილეობა, მიიღოს ქონებრივი სარგებელი დივიდენდის სახით, მიიღოს ინფორმაცია სამეწარმეო საზოგადოების მართვის პროცესის შესახებ, აირჩიოს და არჩეულ იქნეს ხელმძღვანელ ორგანოსა თუ თანამდებობის პირად, მონაწილეობა მიიღოს კაპიტალის გაზრდისას ახალი წილების შეძენაში და ისიც უპირატესი შესყიდვის უფლებითი ფორმით. უფლებათა პარალელურად, პარტნიორს წილის სახისა და კლასის მიხედვით, ევალება შესატანის განხორციელება,[730] რომლის განუხორციელებლობას შეიძლება მოჰყვეს კორპორაციულსამართლებრივი შედეგი - საზოგადოებიდან გარიცხვა. პარტნიორის ყველა ზემოაღ-

729 ე.წ. issued shares.

730 უშუალოდ დათქმული შესატანის განხორციელების პროცესი ვალდებულებითსამართლებრივი კატეგორიაა.

ნიშნულ კორპორაციულსამართლებრივ მოვალეობას ერთგულების მოვალეობის ტერმინოლოგია აერთიანებს.[731]

წილიდან გამომდინარე უფლებებიდან,[732] აღსანიშნავია წილის უპირატესი შესყიდვის უფლება, რომელიც გამოიხატება ნებადართული კაპიტალის ფარგლებში, ახალი წილის გამოშვებისას პარტნიორის შესყიდვის უფლების უპირატეოსაბაში მესამე პირთან მიმართებით. უპირატესი შესყიდვის უფლება პარტნიორის დამცავი მექანიზმია, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს შეინარჩუნოს ის სამართლებრივი სტატუს ქვო, რომელიც კაპიტალის გაზრდის გადაწყვეტილების მიღებამდე ჰქონდა. ხაზგასასმელია ის, რომ ასეთ დროს, პარტნიორის წილობრივ-პროცენტული და შესაბამისად, უფლებრივი მდგომარეობა რჩება უცვლელი (სამართლებრივი მხარე), მაგრამ ქონებრივი მდგომარეობა შესატანის მოცულობის მიხედვით იცვლება (ეკონომიკური მხარე). ბუნებრივია, უპირატესი შესყიდვა არის უფლება და არა ვალდებულება და თუ პარტნიორს არ ექნება მისი გამოყენების ფინანსურ-მატერიალური შესაძლებლობა, მაშინ მისი სამართლებრივი მდგომარეობა შეიცვლება განთავსებული წილის პროპორციის მიხედვით.[733] ახალი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება დისპოზიციურად რეგულირებულია, რაც ნიშნავს იმას, რომ პარტნიორთა შეთანხმებით ის შეიძლება შეიცვალოს ან საერთოდაც გაუქმდეს. წილის უპირატესი შესყიდვის უფლება ე.წ. დახურული სამეწარმეო საზოგადოების იმანენტური თვისებაა, რომელიც ზემოთ ნახსენები მიზნების[734] მიღწევას ემსახურება.

---

731 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 369-373.

732 წილიდან გამომდინარე უფლებები, ძირითადად, იყოფა მმართველობით და ქონებრივ უფლებებად. ამათგან, ასევე, დამატებით გამოიყოფა ხოლმე ინფორმაციის მიღების უფლება. წილიდან გამომდინარე უფლებების კლასიფიკაცია საკონტროლო პაკეტის მქონე პარტნიორისთვის კიდევ ორ ქვეკატეგორიად იყოფა: ე.წ. ფულადი კერძო სარგებელი და ე.წ. არაფულადი კერძო სარგებელი. იხ. *კიკვაძე*, სავალდებულო სატენდერო შეთავაზება, წიგნში: საკორპორაციო სამართლის კრებული, ტომი III, ბურდული/მახარობლიშვილი (რედ.), 2015, 60-66.

733 ეს პროპორცია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალურად უნდა იქნეს დათვლილი.

734 ძირითადად იგულისხმება პარტნიორთა სტრუქტურის შენარჩუნება და მისი კონტროლი, პარტნიორთა საზოგადოების მართვაში ჩართულობის სურვილი.

და ბოლოს, წილი ბრუნვაუნარიანი უფლებრივი საგანია, რომელიც შეიძლება გასხვიდეს ან დაიტვირთოს უფლებრივად, რომლის განხორციელება ფორმასავალდებულოა - წილის გადაცემა უნდა გაფორმდეს წერილობით, ხოლო გადაცემა ძალაში შედის გადაცემის შესახებ შეთანხმების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტისთანავე.

1.4. დაფუძნება

იმისათვის, რომ შპს,[735] როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და მეწარმის ხარისხის მატარებელი სუბიექტი გამოვიდეს სამოქალაქო ბრუნვაში და იყოს ბაზრის ოპერირებადი მონაწილე, აუცილებელია მისი დაფუძნება და საბოლოოდ რეგისტრაცია კომერციულ და არაკომერციულ იურიდიულ პირთა რეესტრში. სარეგისტრაციო პროცედურა კანონმდებლობის შესაბამისი წინაპირობებითა და პროცედურით წარიმართება და იგი გარკვეულ ეტაპებს უკავშირდება. თუმცა იმისდა მიხედვით, თუ დაფუძნების რომელ სახესთან გვაქვს საქმე, ხდება თავად ამ ეტაპების, სხვაგვარად სტადიების იურიდიულ-ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგება.

ყველა სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნების პროცესისთვის, პრინციპში, ზოგადი ხასიათის დანაწესები გამოიყენება, თუმცა იმ სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელიც შეიძლება ამა თუ იმ სამართლებრივ ფორმას ახასიათებდეს. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ კაპიტალური საზოგადოების ჩამოყალიბება, და მით უფრო, სს-ისა გარკვეულ თავისებურებას შეიძლება შეიცავდეს, რაზედაც კაპიტალური საზოგადოების სამართალი ამახვილებს ყურადღებას.

---

735 ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი სამენარმეო საზოგადოება, რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი.

1.4.1. დაფუძნების სახეები

ა.) დაარსება - პირველდაწყებითი დაფუძნება

საკორპორაციო სამართალი განასხვავებს დაფუძნების ორ სახეს.

პირველი უკავშირდება შპს-ის[736] შექმნას „არაფრიდან". მხატვრულად რომ ითქვას, კორპორაციული „ბინგ ბენგის" მიხედვით, მეწარმე სუბიექტამდე არ არსებობდა მისი წინამორბედი, სამართალმემკვიდრე, რომლის საფუძველზეც იგი იქმნება. ამ შემთხვევაში დამფუძნებელი პირები პირველად ქმნიან შპს-ს და მის ნაცვლად ადრე არანაირი მსგავსი მიზნისა და საქმიანობის მქონე იურიდიული კონსტრუქცია არ არსებობდა. სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მსურველი პირები - დამფუძნებელი პარტნიორები თანხმდებიან, რომ მათ სურთ არა უკვე არსებული იურიდიული პირების გაერთიანების ან მათი დაყოფის შედეგად ჩამოაყალიბონ შპს, არამედ პირველად, ყოველგვარი მსგავსი საფუძვლის გარეშე შექმნან იგი. სწორედ ამგვარ დაფუძნებას შპს-ის პირველდაწყებითი ჩამოყალიბება,[737] ანუ მისი დაარსება ეწოდება და იგი განსხვავდება სამეწარმეო საზოგადოების გარდაქმნის შედეგად ჩამოყალიბება-შექმნისაგან.

ბ.) შექმნა გარდასახვით

შპს-ის დაფუძნების მეორე სახეობა უკავშირდება უკვე არსებული სამეწარმეო საზოგადოების გარდასახვას, ანუ მის რეორგანიზაციას. სამეწარმეო საზოგადოებათა რეორგანიზაციის სამართალი შეისწავლის სხვადასხვა მეწარმე სუბიექტების გარდასახვას, ანუ თუ როგორ არის შესაძლებელი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ამა თუ იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის რეორგანიზაცია. მაგ., თუ როგორ უნდა მოხდეს უკვე არსებული ორი სპს-ის ერთ შპს-დ გაერთიანება, ან უკვე არსებული დიდი სს-ის დაყოფა რამდენიმე შპს-დ, რომლის შედეგად სს დაასრულებს მის არსებობას

---

736 და ეს ეხება და ვრცელდება ყველა ტიპის საზოგადოებაზე.

737 მსგავსი შინაარსი სხვა სიტყვით გადმოცემულია: *მიგრიაული*, სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო, 2021, 75.

ან მისგან გამოყოფილი შპს-ების მიუხედავად გააგრძელებს შემდგომ ცხოვრებას. ბაზრისა თუ სხვა ობიექტური თუ თუნდაც სუბიექტური მოსაზრებიდან გამომდინარე, რამდენიმე სამეწარმეო საზოგადოებამ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ იგი ვეღარ უძლებს ბაზარზე არსებულ კონკურენციას დიდი საწარმოების წინააღმდეგ და ჯობს, მათი მსგავსი საქმიანობით დაკავებული საზოგადოებების გაერთიანება ერთ მსხვილ საწარმოდ მოხდეს. ბუნებრივია, რამდენიმე საწარმოს გაერთიანებამ ერთ საზოგადოებაში შეიძლება ამ უკანასკნელს მეტი ეკონომიკურ-მატერიალური რესურსი გამოუნახოს, რაც იქნება კიდეც ძლიერ კონკურენციაში უკეთესი შესაძლებლობით წარდგომის საწინდარი.

საწარმოთა რეორგანიზაციის რამდენიმე სახე არსებობს.[738] თუმცა როდესაც ესა თუ ის სამეწარმეო საზოგადოება ერთმანეთს ერწყმის ან ერთი საწარმო რამდენიმედ იყოფა ან დაყოფის შედეგად ძირითადი (დაყოფილი) საწარმო წყვეტს არსებობას და ლიკვიდირებულია, იქმნება „ახალი" სუბიექტი, რომელიც, როგორც ვხედავთ, არა „არაფრისაგან", არამედ უკვე არსებული სამართლის სუბიექტებისაგან წარმოდგა. სწორედ დაფუძნების ამ სახეს ქვია შპს-ის შექმნა გარდასახვით, ანუ დაფუძნება რეორგანიზაციის მეშვეობით.

სამეწარმეო საზოგადოების როგორც დაარსება, ისე მისი შექმნა გარდასახვის გზით მსგავს სადამფუძნებლო ნორმებს მოიაზრებს თავის თავში. დაფუძნების ორივე სახეობისას აუცილებელია საზოგადოების ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყოველი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისათვის სახასიათო წინაპირობებს ადგენს. თუმცა მისი სამოქალაქოსამართლებრივი საფუძვლები ერთიანია.

საბაზრო ეკონომიკაში დაფუძნების ორივე სახე გამოიყენება, თუმცა, როგორც ამას კორპორაციული პრაქტიკა უჩვენებს, დიდი მსხვილი კორპორაციული სუბიექტის ჩამოყ-

---

738 წინამდებარე სახელმძღვანელოში კონკრეტულ სამართლებრივ ფორმასთან მიმართებით, რა თქმა უნდა, დახასიათებულია რეორგანიზაციის მნიშვნელოვანი და ძირითადი საკითხები, თუმცა აქ რეორგანიზაციის ფორმათა შესახებ მოკლედ და განზოგადებულად იხ. *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 184 და მომდ.

ალიბებისას მხედველობაში უფრო დაფუძნების მეორე სახეობა მიიღება, ანუ შექმნა გარდასახვით.

1.4.2. დაფუძნების სტადიები

კაპიტალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი დაფუძნების სტადიები შედარებით ვრცლად განიხილება წიგნის მომდევნო თავში, როდესაც სს-ის სამართლებრივ ფორმას შევეხებით. დაფუძნებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება მისი ეტაპების დახასიათებით, განსაკუთრებით საინტერესო და პრაქტიკული დანიშნულების მქონეა იმ სამართლებრივ ფორმაში, სადაც მინიმალური სავალდებულო კანონისმიერი განთავსებული (საწესდებო) კაპიტალის დოქტრინა მოქმედებს. ასეთს კი ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით მხოლოდ სს წარმოადგენს. განსხვავებით ბევრი ევროპული ქვეყნისაგან,[739] საქართველოში შპს არ ექცევა ამ დოქტრინის სავალდებულო გამოყენების ქვეშ, რაც იმას ნიშნავს, რომ განთავსებული (საწესდებო) კაპიტალის შექმნა პარტნიორთა მხრიდან წესდებისმიერი ავტონომიის ფარგლებში გადასაწყვეტი საკითხია. არც შენატანის (გარკვეული ნაწილის) განხორციელებას ითხოვს კანონი სავალდებულო წესით რეგისტრაციის მომენტისათვის შპს-ში, განსხვავებით სს-ისაგან, რაც საბოლოო ჯამში, ამ ორ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაში დაფუძნების განსხვავებულ მოწესრიგებას უდებს დასაბამს. თუმცა შპს-ისა და სს-ის მსგავსება ერთმანეთთან ასევე განაპირობებს დაფუძნების ერთიანი კონტურების მოხაზვას. ეს განსაკუთრებით მაშინ არის ანგარიშგასაწევი, როდესაც პარტნიორები თანხმდებიან, რომ შპს-ს ექნება წესდებით განსაზღვრული განთავსებული (საწესდებო) კაპიტალი და მისი შევსება, უფრო სწორედ, შესატანთა განხორციელება აუცილებლად საზოგადოების რეგისტრაციამდე უნდა მოხდეს.[740] ისიც გასათვალისწინე-

---

739 მაგ., გერმანია, ავსტრია, ჩეხეთი და სხვ.

740 „წინარე სადამფუძნებლო" დოქტრინის გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი სწორედ ეს გახლავთ, თუმცა მიზანშეწონილი არ უნდა იყოს, როდესაც ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მისი შემუშავება მხოლოდ გერმანულ სამართალს მიენერება (იხ.: *ბაქაქური, გელტერი, ცერცვაძე, ჯულელი,* საკორპორაციო სამართალი. სახელმძღვანელო იურის-

ბელია, რომ პრაქტიკაში, განსაკუთრებით კაპიტალის მოზიდვის შედეგად ჩამოყალიბებული საზოგადოების შექმნა უფრო მეტ საკანონმდებლო წინაპირობის დაკმაყოფილებას მოითხოვს და, მიუხედავად დადგენილი არაგართულებული პროცედურისა და საწარმოს მცირე დროში რეგისტრაციის შესაძლებლობისა, მისი (სერიოზული განზრახვით) დაფუძნება მაინც გარკვეულ გონივრულ პერიოდს მოიცავს.[741] შეიძლება ითქვას, რომ ქართული სამართლის მიხედვით, გარდა სს-ისა, ყველა სამართლებრივი ფორმის შექმნა თეორიულად რამდენიმე წუთშია შესაძლებელი, თუმცა პრაქტიკულად, ვიდრე სამეწარმეო საზოგადოება (მათ შორის იგულისხმება, რა თქმა უნდა, სს-აც) სრულყოფილ იურიდიულ პირად და, შესაბამისად, სამოქალაქო სამართლის სუბიექტად მოგვევლინება, იგი (მისი) შექმნის გარკვეულ ეტაპებს გადის, რომლის გავლა მისი შექმნის თეორიულ შესაძლებლობას გამორიცხავს. საკორპორაციო სამართალში ამ ეტაპებს შეიძლება დაფუძნების სტადიები დაერქვას და იგი, როგორც ითქვა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კაპიტალური საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.

როგორც წესი, მხედველობაში მიიღება სამეწარმეო საზოგადოების შექმნის სამი ძირითადი სტადია, რომელსაც სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი წარმონაქმნი იურიდიულ პირამდე მიყავს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალური საზოგადოების შექმნისათვის შესაძლე-

---

ტებისათვის, 2019, 54-55.), რამდენადაც წინარე საზოგადოების (სამოქალაქო სამართლისათვის იმ ეპოქაში საუცხოო) კონსტრუქციის შემოტანა საკანონმდებლო დონეზე ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის (1844 წ.) ინგლისში ამოქმედებულ კანონს უკავშირდება, რომელიც რობერტ პილის კანონის სახელით არის ცნობილი საკორპორაციო სამართლის ისტორიაში და რომელსაც შემოჰქონდა სს-თა სახელმწიფო რეგისტრაცია, ხოლო მის მიზანს საზოგადოების სანესდებო კაპიტალის სრული გადახდა წარმოადგენდა. ბუნებრივია, რეგისტრაციამდე სამოქალაქო სამართლის სუბიექტი ჯერ კიდევ არ არსებობდა, არადა დამფუძნებლის (მომავალი აქციონერის) მიერ აუცილებელი იყო ნაკისრი შეკატანის განხორციელების ვალდებულების შესრულება სს-ის რეგისტრაციამდელ პერიოდში. სწორედ ამიტომ შემუშავებულ იქნა წინარე საზოგადოების, როგორც სპეციფიკური სამართლებრივი კონსტრუქციისა და წარმონაქმნის - sui generis - დოქტრინა, რომელიც ინფერენტსა და საზოგადოებას (მომავალ იურიდიულ სს-ს) შორის ამ და სხვა მასთან დაკავშირებულ (მათ შორის, პასუხსმგებლობის) საკითხებს მოანესრიგებდა.

741 *მიგრიაული*, სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო, 2021, 79.

ბელია, გარკვეული გადახვევის დაშვება ამ პროცესიდან, უფრო სწორედ, სტადიიდან. მაგ., როდესაც შპს ან სს ყალიბდება მხოლოდ ერთადერთი დამფუძნებელი პარტნიორის მიერ და სახეზეა ერთკაცა (კაპიტალური ტიპის) საზოგადოება. მსგავს ვითარებაში, გაბატონებული მოსაზრების თანახმად, საზოგადოების დაფუძნების პირველი ეტაპი, რომელიც წინარე სადამფუძნებლო ეტაპად არის ცნობილი, მსგავსი ტიპის საზოგადოებაში ამოვარდნილია.[742]

იმ შპს-ის ჩამოყალიბება, რომელსაც ორზე მეტი პარტნიორი უნდა ჰყავდეს, იწყება წინარე სადამფუძნებლო სტადიით.[743] დაფუძნების წინარე სტადიაზე[744] სამეწარმეო საქმიანობის სურვილის მქონე და მისი განხორციელებით დაინტერესებული პირები ავლენენ ნებას და თანხმდებიან,[745] რომ მათ სურთ შექმნან სამეწარმეო საზოგადოება შპს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით და იღებენ ვალდებულებას, ყველაფერი გააკეთონ ამ მიზნის მისაღწევად. შესაბამისად, მათ შორის ყალიბდება ერთგვარი შიდა საზოგადოება/ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც გამიზნულია შპს-ის ხელშეკრულების დადებისა და სამეწარმეო საზოგადოებასთან დაკავშირებული შიდა თუ გარესამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისაკენ.[746] არსებულ

742 ვრცლად იხ.: *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 56 და მომ.

743 ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 421 და მომდ.

744 *შეფერი,* საზოგადოებათა სამართალი, მე-5 გამოც., მიგრიაული (მთარგ.), 2018, §32, ველი 2. აღნიშნულ ნაშრომში ნათარგმნი გერმანულენოვანი ტერმინი - Vorgründungsgesellschaft - სრულად შეესაბამება ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ბურდულის მიერ დამკვიდრებულ ტერმინს: წინარე სადამფუძნებლო საზოგადოება/წინარე სადამფუძნებლო კონსორციუმი. შეად. *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 421.

745 ამგვარი შეთანხმების სპეციალურ ფორმას კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ იგი შესაძლოა დაიდოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. თუმცა მტკიცების ტვირთვისა და სხვა საკითხების გაადვილების მიზნით მიზანშეწონილია, ეს უკანასკნელიც (სულ მცირე მარტივი) წერილობითი ფორმით გაფორმდეს. თუ მსგავსი ხელშეკრულების ნანილი ისეთი ვალდებულების აღებას ეხბე, რომლისთვისაც წერილობითი შეთანხმებაა საჭირო (მაგ., უძრავ ნივთთან დაკავშირებული), მაშინ ხელშეკრულებაც წერილობით უნდა დაიდოს.

746 სამართლიანად არის აღნიშნული ქართული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ ეს კონსტრუქცია, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მსგავსებას აელენდეს

სტადიაზე შპს, როგორც ასეთი, არ არის ჩამოყალიბებული და თუ შეთანხმების შემდეგ პირები გარკვეულ საქმიანობას განახორციელებენ და შევლენ გარიგებაში მესამე პირთან, მაშინ ისინი მოქმედებენ საკუთარი და არა მომავალი საზოგადოების სახელით და პასუხსაც ყველა ვარიანტში საკუთარი სახელით აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები, მიუხედავად იმისა, რომ მომავალში მათი მოქმედების მიზანი - ჩამოაყალიბონ სრული უფლებაუნარიანი და ქმედუნარიანი შპს - წარმატებით დასრულდება. აღნიშნულ სტადიაზე წარმოშობილი ვალდებულებები ვერ გადავა რეგისტრირებულ სამეწარმეო საზოგადოებაზე, რამეთუ არ არსებობს კონტინუიტეტი წინარე სადამფუძნებლო საზოგადოებასა და რეგისტრირებულ შპს-ს შორის, რაც ვერ ითქმებოდა დაფუძნების შემდგომ, ანუ წინარე საზოგადოების სტადიაზე აღებული ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ.

დაფუძნების შემდეგი სტადია უშუალოდ უკავშირდება საზოგადოების ხელშეკრულების გაფორმებას მომავალ პარტნიორებს - დამფუძნებელ პირებს - შორის, რა დროსაც შპს ფაქტობრივად ყალიბდება, როგორც ორგანიზაციული წარმონაქმნი. საზოგადოების ხელშეკრულების გაფორმებით იურიდიულად განსაზღვრულია პრინციპში ყველაფერი, რაც შპს-ის ფუნქციონირებისათვის, პარტნიორთა შიდა ურთიერთობისათვის და საზოგადოების სტრუქტურისა და საწარმოს მართვა-ხელმძღვანელობისთვის არის მნიშვნელოვანი. სწორედ (წერილობით)[747] საზოგადოების ხელშეკრულების დადების მომენტიდან იქმნება წინარე საზოგადოება, რომე-

---

სკ-ის 930-ე მუხლი. გათვალისწინებულ ამხანაგობასთან, განსხვავდება ამ უკანასკნელისაგან და მათი ერთმანეთთან გაიგივება არასწორი იქნებოდა: „დაფუძნების წინარე ხელშეკრულების (საზოგადოების. ჩამატება ი. ბ.) საგანია სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნება, მისი სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, ხოლო ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების საგანი განსხვავებულია და იგი, ერთობლივი საქმიანობის მეშვეობით, მიმართულია საერთო სამეურნეო და სხვა მიზნის მისაღწევად". *მიგრიაული*, სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო, 2021, 78.

747 როგორც ქართული კორპორაციული პრაქტიკა უჩვენებს ნესდების სანოტარო წესით დამოწმება კელავ ინარჩუნებს მნიშვნელობას და იგი დაფუძნებისას უმეტესწილად გამოიყენება. ამიტომ შემდეგი ეტაპი, როგორც წესი, სწორედ საზოგადოების ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებიდან ინყებს მოქმედებას და წინარე საზოგადოებას უკავშირდება.

ლიც არ არის იურიდიული პირი, თუმცა წარმოადგენს უფლება-მოვალეობის მატარებელ სპეციფიკურ „სუბიექტს". ამ უკანასკნელს აქვს უნარი გამოვიდეს სამოქალაქოსამართაბრუნვაში მომავალი შპს-ის სახელით და შევიდეს გარიგებითსამართლებრივ ურთიერთობაში. წინარე შპს-ს, როგორც sui generis, წარმოადგენს საზოგადოების ხელშეკრულებით განსაზღვრული ხელმძღვანელი პირი ან იმავე დოკუმენტით გათვალისწინებული სპეციალური წარმომადგენელი.[748]

ის, რომ მომავალი სამეწარმეო საზოგადოების სახელით შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერი მოქმედება ეჭვს არ იწვევს და რეგლამენტირებულია კანონის მე-10 მუხლით. აღნიშნული მუხლი ადგენს რეგისტრაციამდე საზოგადოების სახელით განხორციელებული მოქმედებისათვის პასუხისმგებლობას. აღნიშნული, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ შპს ჯერ კიდევ რეგისტრირებული არ არის, მაშასადამე, არ წარმოადგენს იურიდიული პირის სტატუსის მქონე წარმონაქმნს, თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, უფლება-მოვალეობის მატარებელია. იგი შეიძლება დამოუკიდებელად იყოს ბრუნვის მონაწილე სპეციფიკური „სუბიექტი" და ამ სტადიაზე აღებული ვალდებულებები და მოპოვებული უფლებები ავტომატურად გადავა შემდგომში რეგისტრირებულ შპს-ზე. შესაბამისად, დისკონტინუიტეტი წინარე საზოგადოებასა და რაგისტრირებულ სამეწარმეო საზოგადოებას შორის არ არსებობს. შეიძლება ითქვას, წინარე საზოგადოება წარმოადგენს ერთგვარ გარე საზოგადოებას, იგი არ გახლავთ მარტოოდენ დამფუძნებელთა ვალდებულებითსამართალურთიერთობა და აქვს უნარი მესამე პირთან ურთიერთობის დამყარებისა. მართალია, კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი პირდაპირ არ ახდენს ამ ორი სტადიის ერთმანეთისაგან საკანონმდებლო გამოყოფას, თუმცა ნორმის ტელეოლოგიურ-ლოგიკური განმარტება, წინარე სადამფუძნებლო დოქტრინასთან დაკავშირებული დიდძალი საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკისა და დოგმატიკის გამოყენებით, სწორედ ამ ორი სტადიის ერთმანეთისაგან გამიჯვნისაკენ უნდა გადაიხაროს. ქართულ

748 ასეთი შეიძლება იყოს დამფუძნებელი ან სხვა ნებისმიერი გარე (მონეული) პირი.

იურიდიულ ლიტერატურაში ეს შეხედულებაა გაბატონებული.[749]

და ბოლოს, სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნების დამაგვირგვინებელია მისი მესამე სტადია, რომელიც მეწარმე სუბიექტის, როგორც იურიდიული პირის წარმოშობით მთავრდება. ეს არის წინარე საზოგადოების რეგისტრაცია კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირების რეესტრში, ანუ მისი სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია, რითიც იგი დება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების სრულფასოვანი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და სახელმწიფოს მხრიდან მაღალი იურიდიული ლეგიტიმაციის მქონე სამოქალაქო სამართლის სუბიექტი.

როგორც აღინიშნა, წიგნის ამ თავში აღწერილი დაფუძნების სტადიები სრულად შეესაბამება საკორპორაციო სამართლის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს საწარმოს დაფუძნების სამართალთან მიმართებაში და იგი, ქართული სამართლის მიხედვით, პრინციპში, თანაბრად მოქმედია ყველა სამართლებრივი ფორმის მიმართ.[750] თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისი პრაქტიკული დანიშნულება, როდესაც სახეზე არ არის კანონით ან საზოგადოების ხელშეკრულებით დადგენილი საწესდებო კაპიტალისა და რეგისტრაციამდელ ეტაპზე განსახორციელებელი შესატანის მქონე შპს ან სს, სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაში არარელევანტურია, რასაც ქართული პრე-კორპორაციული ურთიერთობაც ადასტურებს: რეგისტრაციამდელ ეტაპზე მომავალი სამეწარმეო საზოგადოების სახელით განხორციელებული გარიგებითსამართლებრივი მოქმედებანი იშვიათობას წარმოადგენს, მაგრამ, რა თქმა უნდა, არსებობს. სწორედ ამიტომ ამ საკითხის თეორიული და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა უკეთ წარმოჩინდება სს-ის თავში. მისი გადმოტანა კი, გარკვეული სახასიათო გამონაკლისების გარდა, სრულად

749 ვრცელი მიმოხილვა შედარებითსამართლებრივ დისკურსში იხ.: *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 421 და მომდ.; *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე*, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 46 და მომდ. ამ მიმართულებას ანვითრებს ასევე: *მიგრიაული*, სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო, 2021, 76 და მომდ.

750 ბუნებრივია, აქ არ იგულისხმება ინდივიდუალური მეწარმე.

შეიძლება შპს-ზე. შესაბამისად, ამ საკითხის თაობაზე წიგნის მომდევნო ნაწილში ვრცლად იქნება საუბარი.

1.4.3. რეგისტრაციის წინაპირობები

როგორც ზემოთ აღინიშნა, შპს-ის დაფუძნების ბოლო სტადია გახლავთ მისი რეგისტრაცია სათანადო სახელმწიფო ორგანოში. ამ შემთხვევაშიც მთლიანად შეიძლება დავეყრდნოთ სპს-ის რეგისტრაციის წინაპირობებს, სადაც ისინი დეტალურად იქნა განმარტებული, თუმცა აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ დამატებით მოთხოვნებს (წინაპირობებს), რომელიც წაყენებული აქვს შპს-ს და რომელიც საზოგადოების ხელშეკრულების სავალდებულო და არა ფაკულტატურ მხარეს წარმოადგენს.

მარეგისტრირებელი ორგანოს მხრიდან აქაც წარმოებს დაფუძნების მხოლოდ ფორმალური კონტროლი. რეგისტრაციაში გატარების წინაპირობას წარმოადგენს სადამფუძნებლო დოკუმენტების წარდგენა სამეწარმეო რეესტრში. ამ დროსაც აუცილებელია სადამფუძნებლო შეთანხმების გაფორმება, რომელიც შპს-ისთვის კანონით დადგენილ დამატებით მოთხოვნებს უნდა შეიცავდეს. კერძოდ, გარდა კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო მონაცემებისა, საჭიროა ასევე მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი მონაცემების დაკმაყოფილება, თუკი პარტნიორები მსგავს ურთიერთობაზე შეთანხმდებიან. პრაქტიკაში ეს სწორედ ასეც ხდება.

გამომდინარე იქედან, რომ შპს კაპიტალზე დაფუძნებული სამეწარმეო საზოგადოებაა და პარტნიორთა შეზღუდული პასუხისმგებლობის პრივილეგიით სარგებლობისათვის მათი მხრიდან დათქმული შესატანების განხორციელების ვალდებულებაა დაწესებული, რომელიც პარტნიორმა უნდა შეასრულოს[751], აუცილებელია სადამფუძნებლო შეთანხმებით თითოეული პარტნიორის (თუკი სახეზე არ არის ერთკაცა შპს) წილის ოდენობის, უფრო სწორედ, მათი პროცენტული მონაწილეობის შესახებ მონაცემი, რომლის ჯამი 100% უნდა

751 წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია პარტნიორი კადუცირების წარმოების პირისპირ დადგეს.

შეადგენდეს. კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის „ა" ქვეპუნ-ქტის თანახმად, აუცილებელია წილთა შესახებ ინფორმაციის დატანა შეთანხმებაში, რომელიც გარკვეული საზღაურის სა-ნაცვლოდ უნდა გაიცეს. ამასთან, ინფორმაცია იმის თაობაზე, რეალურად გადახდილია თუ არა საზღაური და საზოგადოე-ბას იგი მიღებული აქვს თუ არა, არარელევანტურია. წილის და, მაშასადამე, წილიდან გამომდინარე უფლება-მოვალეო-ბათა ერთობლიობის შესაძენად და პარტნიორის სტატუსის მოსაპოვებლად (ასეთად დასარეგისტრირებლად) აუცილე-ბელი არ არის წილისთვის საფასურის გადახდა. არც ხმის უფ-ლებაზე ახდენს ეს გავლენას, თუმცა საზოგადოების ხელშე-კრულებით შესაძლებელია დადგინდეს, რომ საფასურის გა-დაუხდელობის ან მისი ნაწილობრივი გადახდის შემთხვევაში აღნიშნულ პარტნიორს არ აქვს მისი წილის პროპორციულად ხმის უფლება ან შესაძლებელია მას შესატანის გადახდამდე საერთოდ არ ჰქონდეს ხმის უფლება მინიჭებული. მოკლედ, ეს პარტნიორთა საწესდებო ავტონომიის ფარგლებში გადასაწყ-ვეტი საკითხია და იგი გავლენას რეგისტრაციაზე ვერ მოახ-დენს. აქ მთავარია, „ა" ქვეპუნქტი აღნიშნული ფორმალური ინფორმაციის წარდგენა. მისი შინაარსობრივი კონტროლი კი არ შედის მარეგისტრირებელი ორგანოს ზედამხედველობის არეალში. წინამდებარე ქვეპუნქტით დადგენილი მონაცემი რეგისტრაციის სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს და ამით ნებისმიერ შპს-ში საზღაურის სანაცვლოდ გაცემუ-ლი წილი (კაპიტალი) ფორმირდება. შესაბამისად, კანონი მას განთავსებულ წილს უწოდებს და ეს უკანასკნელი განსხვავ-დება ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტ-ში მოყვანილი ნებადართული კაპიტალისაგან. თუკი „ა" ქვე-პუნქტით აუცილებელია ინფორმაცია იმ წილთა ოდენობის შესახებ, რომელიც გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ გა-იცა, „ბ" ქვეპუნქტში გათვალისწინებულია შემთხვევა, რომე-ლიც პარტნიორთა საწესდებო თავისუფლების ფარგლებშია გადასაწყვეტი: სადამფუძნებლო შეთანხმებით მათ შეიძლება გაითვალისწინონ შპს-ის მთლიანი კაპიტალის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც შემდგომში (რეგისტრაციის

შემდეგ) საზოგადოების სათანადო ორგანო[752] მიიღებს წილების განთავსების, ანუ გაყიდვის/გასხვისების გადაწყვეტილებას. სწორედ ამგვარად ფორმირებულ კაპიტალს ნებადართული კაპიტალი, ხოლო მის საფუძველზე ჩამოყალიბებულ წილს - ნებადართული წილი ეწოდება. აუცილებელი არ არის, რომ ნებადართული კაპიტალი დამფუძნებელმა პარტნიორმა მხოლოდ საზოგადოების დაფუძნების დროს გაითვალისწინოს, ხოლო მისმა გაუთვალისწინებლობამ იმთავითვე გამორიცხოს მისი შემდგომში არსებობა. ბუნებრივია, თუ საზოგადოების პირველად შექმნის ეტაპზე ეს გათვალისწინებული არ იქნა, მაშინ პარტნიორს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სადამფუძნებლო შეთანხმებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და დაადგინოს ნებადართული კაპიტალი. ეს გადაწყვეტილება, უფრო სწორედ, განხორციელებული ცვლილება უნდა წარედგინოს სამენარმეო რეესტრს. კორპორაციულ პრაქტიკაში, ნებადართული კაპიტალის სისტემა, კაპიტალის მოქნილი სტრუქტურის შემადგენელი ნაწილია და იგი ელასტიურობითა და მიმზიდველობით გამოირჩევა ინვესტორის თვალში. ამიტომ დასავლეთის განვითარებულ კორპორაციულ ეკონომიკებში და, განსაკუთრებით კი აშშ-ში, იგი დიდი მოწონებით სარგებლობს.

თავდაპირველი წილობრივი მონაწილეობა, წილთა ოდენობა, შემდგომში შესაძლებელია შეიცვალოს და იგი ხელახლა სხვაგვარად იქნეს გადანაწილებული. შესაბამისად, კანონი მოითხოვს, რომ ასეთის არსებობის შემთხვევაში სადამფუძნებლო შეთანხმება შეიცავდეს ინფორმაციას კაპიტალში არსებული პარტნიორთა წილებისა და მათი საზოგადოებაში პროცენტული მონაწილეობის ხელახალი გადანაწილების შესახებ, რასაც კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი ადგენს. მიზანი აღნიშნული ჩანაწერისა მესამე პირის ინფორმირებულობა და სამართლებრივი უსაფრთხოებაა.

შპს-ში შესაძლებელია გაცემული იყოს ნომინალური ღირებულების წილები. ეს ნიშნავს, რომ წილის გაცემის მო-

752 როგორც წესი, პარტნიორთა კრება, თუმცა საზოგადოების ხელშეკრულებით შესაძლებელია, ეს უფლებამოსილება ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის მქონე ორგანოს (დირექტორატს) გადაეცეს. კანონით ეს იმპერატიულად დადგენილი არ არის.

მენტში მას ზუსტად დადგენილი ღირებულება აქვს, რითიც ეს უკანასკნელი უნდა გაიცეს. მაგ., შპს „არტ ჯგუფს" საზოგადოების ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქვს 10 000 ლარის ოდენობის განთავსებული, ანუ საწესდებო კაპიტალი. თუკი თითოეული წილის პირველდაწყებითი ნომინალური ღირებულება იქნება 100 ლარი, აღმოჩნდება, რომ საზოგადოებას გაცემული აქვს 100 წილი. მაშასადამე, თითოეული წილი სწორედ 100 ლარის საფასურად უნდა გაიცეს, ხოლო ამ წილთა ნომინალური ღირებულების ჯამი საწესდებო კაპიტალის ციფრს მოგვცემს. თუმცა შპს იცნობს ასევე ნომინალური ღირებულების გარეშე წილსაც, რომელსაც არ აქვს დადგენილი ნომინალი ღირებულება. კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ თუკი საზოგადოებას გაცემული ექნება ნომინალური ღირებულების წილი, მაშინ ამის თაობაზე მონაცემს აუცილებლად უნდა შეიცავდეს სადამფუძნებლო შეთანხმება. როგორც წესი, ნომინალური ღირებულების მქონე წილთა სისტემაში საუბრობენ შპს-ში საწესდებო კაპიტალის არსებობაზე.

შპს-ში, მისი შესაძლო მეტად პერსონალური პარტნიორული სტრუქტურიდან გამომდინარე, რითიც იგი შესაძლებელია წააგავდეს ამხანაგური ტიპის საზოგადოებას, პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი წილთა გადაცემის შეზღუდვასთან დაკავშირებით. ამას საკორპორაციო სამართალში თანხმობაზე დაკავშირებული წილი, ანუ ვინკულირებული წილი ეწოდება. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ წილის აბსოლუტურ თავისუფალ განკარგვას პარტნიორის მხრიდან უპირისპირდება მისი (გასხვისების) საზოგადოების თანხმობაზე დამოკიდებულება. მაგ., საზოგადოების ხელშეკრულებით დადგენილია ორი სახის (კლასის) წილი და პირველთან მიმართებაში არსებობს საწესდებო ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული კლასის წილის გასხვისება დამოკიდებულია საზოგადოების ხელმძღვანელი პირის წერილობით დასაბუთებულ თანხმობაზე. ამ შემთხვევაში აღნიშნული თანხმობის გარეშე დადებული გარიგება შესაძლოა გაბათილდეს და გარკვეული სამოქალაქოსამართლებრივი შედეგი გამოიწვიოს. კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი ეხე-

ბა სადამფუძნებლო შეთანხმებაში ისეთი პირობის შეტანას, როდესაც წილთა (მთლიანად) ან წილთა რომელიმე კლასის გასხვისება პარტნიორს შეზღუდული აქვს. სწორედ მსგავსი სპეციალური პირობა, როგორც ამას კანონი უწოდებს, მოცემული უნდა იყოს საზოგადოების ხელშეკრულებაში.

საზოგადოების ხელშეკრულებაში, მისი სავალდებულო და ფაკულტატური რეკვიზიტებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, შესაძლებელია მოცემული იყოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ შეიძლება უკავშირდებოდეს შპს-ის ფუნქციონირებას. თუკი ხელშეკრულების რომელიმე სავალდებულო პირობა ბათილია, არ შეესაბამება კანონს და არასწორია, მაშინ მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია დაადგინოს ხარვეზი და მისცეს ვადა დამფუძნებელს ამ ხარვეზის გამოსასწორებლად. ხარვეზის აღმოუფხვრელობა რეგისტრაციაზე უარის საფუძველია, რის შემდგეგაც სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნების პროცესი ბოლომდე ვერ მივა, თუმცა[753] წინარე საზოგადოების ავტომატური ტრანსფორმირება ეკონომიკური საქმიანობის გაგრძელების კვალდაკვალ არ შეიძლება და შესაძლოა სისხლისსამართლებრივი სანქციის შემცველი შედეგიც დააყენოს.

დაფუძნების პროცესის ბოლომდე მიყვანის, ანუ დაფუძნების სტადიათა უხარვეზოდ განვლის შემდეგ პრე-რეგისტრაციამდელი წარმონაქმნი - წინარე საზოგადოება ავტომატურად, ყოველგვარი დამატებითი სამართლებრივი მოქმედების გარეშე გარდაიქმნება რეგისტრირებულ შპს-დ და ოპერირებს როგორც იურიდიული პირის სტატუსის მქონე სამოქალაქო სამართლის სუბიექტი.

1.5. საწარმოს მართვა/ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

შპს-ის მართვის სისტემა კაპიტალური ტიპის საზოგადოების შესატყვისი და ამხანაგობის ტიპის საზოგადოებისგან განსხვავებულია. აქ ნაკლებად მოქმედებს ე.წ. კონსესუალური გადაწყვეტილების მიღების სისტემა - გადაწყვეტილება,

753 ზოგიერთი ქვეყნისაგან განსხვავებით (მაგ., გერმანია, ავსტრია, ნიდერლანდები და სხვა.

პარტნიორთა საერთო კრებაზე, როგორც წესი, მიიღება ხმათა უმრავლესობით. ამხანაგობის ტიპის საზოგადოებისგან განსხვავებით, შპს-ის მიმართ მოქმედებს ე.წ. უცხო ორგანოს კონცეფცია.[754] „უცხო ორგანოს" კონცეფცია კლასიკური სახასიათო ელემენტია კაპიტალური ტიპის საზოგადოებისათვის, რაც თავის თავში, რამდენიმე ნიშანს აერთიანებს. პირველი ნიშანია ის, რომ პარტნიორები იმავდროულად ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებად არ გვევლინებიან (უმრავლესობაში). მეორე ნიშანია ის, რომ სამეწარმეო საზოგადოებას აქვს მესამე პირებთან წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი ცალკე ორგანო ხელმძღვანელი ორგანოს სახით. მესამე ნიშანია ის, რომ ხელმძღვანელ ორგანოში პარტნიორთან ერთად ან მათ გარეშე, შესაძლებელია მოწვეულ იქნეს მესამე პირი, არაპარტნიორული სტატუსის მქონე, რაც მართვის ორგანოს, დამოუკიდებლობის ხარისხს უმაღლებს. მეოთხე და მთავარი ნიშანი,[755] წინა სამი ნიშნის ჰიბრიდული ანალიზის შედეგია, რაც გულისხმობს იმას, რომ შპს-ის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილების დელეგირება დამოუკიდებელ, განცალკევებულ ორგანოზეა სრულად შესაძლებელი. აღნიშნულ ელემენტს უფლებამოსილების ცენტრალიზებას, იგივე, დელეგირებულ უფლებამოსილებასაც უწოდებენ.[756] უფლებამოსილების დელეგირების სისტემით გადანაწილებული და გამიჯნულია სამეწარმეო საზოგადოების კონტროლის უფლებები, საზოგადოების სახელით მესამე პირებთან სამართლებრივად მბოჭავ ურთიერთობაში შესვლის უფლება. „უცხო ორგანოს" კონცეფცია სამეწარმეო საზოგადოების მმართველ ორგანოში, დირექტორატში, დაქირავებით მომუშავე პირთათვის საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭებას გულისხმობს.[757]

---

754 *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 27.

755 შეად. *არმორი, ჰანსმანი, კრაკმანი, პარგენდლერი,* რა არის საკორპორაციო სამართალი? წიგნში: საკორპორაციო სამართლის ანატომია, შედარებითი და ფუნქციური მიდგომა, მესამე გამოც., 2019, 16-19.

756 იქვე, 16-17.

757 იქვე, 17-18.

კაპიტალური ტიპის მმართველობითი სისტემის[758] ზემოაღნიშნული მახასიათებლები თავად კაპიტალური ტიპის საზოგადოებათა კლასიფიკაციის მიხედვით განსხვავდება. შპს-ში, სს-გან განსხვავებით, მართვის სხვა სისტემა მოქმედებს. სს-ში არსებობს საკუთრებისა და კონტროლის გამიჯვნის ფუნდამენტური საფუძველი, რაც მის მართვის სისტემას კორპორაციული მართვის კონცეფციად გარდასახავს. ასეთ მოცემულობაში, სრულად ხდება პარტნიორთა მხრიდან უფლებამოსილების დელეგირება ე.წ. უცხო ორგანოსთვის, რამდენადაც, მრავალპარტნიორული საზოგადოება მოკლებულია სამეწარმეო საზოგადოების უშუალო ოპტიმალური მართვის შესაძლებლობას. ეს ნიშნავს, რომ სს-ის სისტემური, ფუნქციონალური, დანიშნულებითი და მიზნობრივი ელემენტი განაპირობს საკუთრებისა და კონტროლის გამიჯვნას და, შესაბამისად, კორპორაციული მართვის სისტემის ჩამოყალიბებას.[759] ეს კი შპს-ში თვისებრივად არამოგებიანია:[760] მართვის სისტემის გამრავალფუნქციონირება მმართველობითი ხარჯების გაზრდას[761] გამოიწვევს იმ პირობებში, როცა ინვესტირებული კაპიტალის მოცულობა არ ნარმოშობს იმ ხარისხის რისკს,[762] რომელიც აპრიორი მოითხოვდა მართვის დამატებითი მექანიზმის, მაგალითად, სამეთვალყურეო საბჭოს[763] გამოყენების აუცილებლობას.[764] იმ დაშვებიდან გა-

---

758 *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 29-34.

759 *მახარობლიშვილი,* კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, 2015, 68-76.

760 მაგალითად, სამეთვალყურეო საბჭოს ეკონომიკური კონტექსტისთვის, იხ. *ჰოპტი,* გერმანული დუალისტური სისტემა: გამოცდილება, თეორიები, რეფორმირება, საკორპორაციო სამართლის კრებული, ტომი III, ბურდული/ მახარობლიშვილი (რედ.), 2015, 194-198.

761 *ქირია,* სამართლის ეკონომიკური ანალიზი და მისი მეთოდოლოგიური საზღვრები, საკორპორაციო სამართლის კრებული, ტომი II, ბურდული (რედ.), 2014, 41-45.

762 შეად. *Easterbrook, Fischel,* The Economic Structure of Corporate Law, 1991, 43.

763 დუალისტური (ორსაფეხურიანი) მართვის სისტემაში სამეთვალყურეო საბჭოს შესახებ, იხ. *ჰოპტი,* გერმანული დუალისტური სისტემა: გამოცდილება, თეორიები, რეფორმირება, საკორპორაციო სამართლის კრებული, ტომი III, ბურდული/მახარობლიშვილი (რედ.), 2015, 178-184.

764 სამეწარმეო საზოგადოების (ფირმის) ღირებულება კლასიფიკაცირდება ტრანზაქციულ და საკუთრების ხარჯებად, რომელიც, მათ შორის, სამართლის

მომდინარე, რომ შპს მცირე ან საშუალო ბიზნესის საჭიროებისთვისაა შექმნილი,[765] მისი მართვის სისტემა უფრო მარტივი, დისპოზიციური და სახელშეკრულებო ავტონომიის ფარგლებშია მოქცეული.[766]

შპს-ის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობის სამართლებრივი მოწესრიგება კანონის ზოგად და კერძო ნაწილშია მოქცეული. შპს-ში ხელმძღვანელობის უფლება აქვს ასეთად არჩეულ ხელმძღვანელ პირს/პირებს. ისევე როგორც სპს-სა და კს-ში, ხელმძღვანელობა შეიძლება იყოს ერთპიროვნული, რამდენიმე პირის მიერ ერთობლივად ან ცალ-ცალკე და ყველა პირის მიერ ერთობლივად. ხელმძღვანელი პირებით ფორმირებულ ორგანოს ეწოდება ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც შეიძლება იყოს ერთპიროვნული ან კოლეგიური. ერთპიროვნული ხელმძღვანელობითი ორგანოს შემთხვევაში, სამეწარმეო საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ერთ პირს მიენიჭება მხოლოდ და შიდაორგანიზაციული დამატებითი გადაწყვეტილებების მიღება არ ხდება საჭირო. თუ კოლეგიალურია ხელმძღვანელი ორგანო, მაშინ აუცილებელია არჩეულ იქნეს თავმჯდომარე, რომელიც ორგანიზაციულად უხელმძღვანელებს ორგანოს. კოლეგიული ორგანოს შემთხვევაში მისი გადაწყვეტილებაუნარიანობა არსებითია. კოლეგიური ხელმძღვანელობითი ორგანო გადაწყვეტილებუნარიანია, თუ მას წევრთა უმრავლესობა ესწრება.[767]

უცხო ორგანოს კონცეფციის პარალელურად, საინტერესოა ის დანაწესი, რომ ხელმძღვანელი ორგანოს წევრი შეიძლება იყოს როგორც ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, ისე

ეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთ სამიზნე ჯგუფს განეკუთვნება. საკუთრებისა და ტრანზაციული ხარჯების შესახებ, იხ. *მახარობლიშვილი,* კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, 2015, 77-90.

765 *ბურდული,* სანესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები. მცირე აქციონერის უფლებათა ბოროტად გამოყენება, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009, 208-220.

766 *ქირია,* საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, საკორპორაციო სამართლის კრებული ტომი I, ბურდული (რედ.), 2011, 33-34.

767 იხ. კანონის 41-ე მუხლის მე-3 პუნქტი. აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილებუნარიანობის კვოტა სანესდებო ავტონომიით შეიძლება შეიცვალოს, რამდენადაც ეს ნორმა დისპოზიციურია.

- იურიდიული პირი. ფიზიკური ქმედუნარიანი პირის შემთხვევა მარტივი და გასაგებია. რაც შეეხება იურიდიულ პირს, მოცემულობა ოდნავ რთულდება. მაგალითად, თუ შპს-ის ხელმძღვანელი ორგანოს წევრად არჩეულ იქნება სხვა იურიდიული პირი, მაშინ ამ იურიდიული პირის მხრიდან განსაზღვრული ფიზიკური პირი უნდა გამწესდეს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირად.[768] ასეთ პირად კი, ხელმძღვანელ პირად არჩეულმა[769] იურიდიულმა პირმა, უნდა მოიაზროს როგორც მისი ორგანულსამართლებრივი წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, ასევე, შესაძლოა დამატებით მიანიჭოს მესამე პირს ე.წ. გარიგებითსამართლებრივი წარმომადგენლობა. ნებისმიერ შემთხვევაში, ურთიერთობა მაინც დაიყვანება ქმედუნარიან ფიზიკურ პირამდე, რომელთანაც სასამსახურო ხელშეკრულება ფორმდება.

აღსანიშნავია, რომ კანონის კერძო ნაწილი, რომელიც ანესრიგებს შპს-ს ორგანიზაციული მართვას, ითვალისწინებს ე.წ. კორპორაციული მართვის დუალისტურ სისტემას და მის მთავარ მახასიათებელ ორგანოს - სამეთვალყურეო საბჭოს. მსგავსი ჩანაწერი ამტკიცებს იმას, რომ კანონმდებელმა შპს-ის მიმართ დასაშვებად ცნო კორპორაციული მართვის როგორც დუალისტური (ორსაფეხურიანი), ისე მონისტური (ერთსაფეხურიანი) სისტემა.[770] მათ შესახებ მსჯელობა სააქციო საზოგადოების ნაწილშია წარმოდგენილი.

კანონის სიახლედ შეიძლება გამოიყოს შპს-ში ისეთი ხელმძღვანელის არსებობის დასაშვებობა, რომელიც რეგისტრირებული მონაცემების თანახმად, არ არის ხელმძღვანელი პირი, მაგრამ ფაქტობრივად ასრულებს მის ფუნქციებს.[771] ასეთ პირს, მაგალითად, ინგლისურ სამართალში, „ჩრდილოვან" დირექტორს უწოდებენ, რომელიც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დელეგირების სპეციფიკური

768 ხელმძღვანელ პირად დანიშვნასთან დაკავშირებით, იხ. *ჭანტურია, ნინიძე,* მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 302-305.

769 შპს-ში ხელმძღვანელად პირი აირჩევა პარტნიორთა საერთო კრებაზე არაუმეტეს სამი წლის ვადით. იხ. კანონის 44-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტი.

770 *ჰოპტი,* გერმანული დუალისტური სისტემა: გამოცდილება, თეორიები, რეფორმირება, საკორპორაციო სამართლის კრებული, ტომი III, ბურდული/ მახარობლიშვილი (რედ.), 2015, 177-184.

771 იხ. კანონის 124-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

ინსტიტუციონალური წარსულითა და რეალობით არის განპირობებული.[772] ეს მოცემულობა საერთო შეხების წერტილს ნახულობს საქართველოს საკონსტიტუციო სასასამართლოს გადაწყვეტილებასთან,[773] სადაც სასამართლომ იმსჯელა დირექტორის, როგორც ხელმძღვანელი პირის საჯარო და კერძოსამართლებრივ უფლებამოსილებაზე და პრინციპში, გამორიცხა რეგისტრაციის გარეშე (გამწესების გარეშე) კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში პირის უფლებამოსილების არსებობა.[774] ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შინაარსის ეს დანაწესი დამატებითი მსჯელობისა და ანალიზის საკითხია.

და ბოლოს, მნიშვნელოვანი დანაწესია ახალი კანონით განსაზღვრული, რომ ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას, ხელმძღვანელი პირი ვალდებულია დაემორჩილოს პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებას. ზოგადად, საკორპორაციო სამართალში მართვის ორგანოთა შორის ჰორიზონტალური ურთიერთობა არსებობს, რაც ორგანოთა დონეზე მითითების მიცემის დაუშვებლობას და თანასწორობას გულისხმობს. კანონმდებლის ხსენებული დანაწესი უფრო მეტად მიემართება იმ მოცემულობისაკენ, რასაც ხელმძღვანელი/წარმომადგენელი პირისათვის ფიდუციური მოვალეობის სტანდარტი ადგენს. კერძოდ, ხელმძღვანელ პირს ფიდუციური მოვალეობის სტანდარტით, ევალება პარტნიორთა საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების მიმართ, პარტნიორთა საერთო კრებას, წარუდგინოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი რეკომენდაციები. ფიდუციური მოვალეობის ეს სტანდარტი სამეწარმეო საზოგადოების მართვის სისტემიდან გამომდინარეობს, რამდენადაც ხელმძღვა-

---

772 თუმცა, ე.წ. ჩრდილოვან დირექტორად კვალიფიკაციას შესაბამისი კრიტერიუმები აქვს. იხ. *Mayson, French, Ryan,* Company Law, 26th ed., 2010, 429-430.

773 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის №1/2/378 გადაწყვეტილება.

774 *ზოიძე,* მეწარმის ცნება და მისი თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა, საკუთრების უფლების თავისებურებანი კორპორაციულ საზოგადოებაში (საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით), წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თორიული დპრაქტიკული საკითხები, 2009, 65-77.

ნელობასა და წარმომადგელობაზე უფლებამოსილმა პირმა იცის სამენარმეო საზოგადოების ყოველდღიური საქმიანობის შესახებ ყველა დეტალი და შესაბამისად, ისინი არიან ყველაზე კომპეტენტური მიმდინარე მოკლევადიანი თუ სამომავლო-გრძელვადიანი პერსპექტივის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას. შედეგად, თუ ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი პარტნიორთა საერთო კრებაზე წარადგენს ასეთ რეკომენდაციებს, რომელთაც, მაგალითად, არ გაითვალისწინებს პარტნიორთა საერთო კრება, მაშინ ორი შედეგი დადგება: ხელმძღვანელი პირი ვალდებული ხდება პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება „სისრულეში" მოიყვანოს, მაგრამ რეალიზებული, შესრულებული პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების შედეგად წარმოშობილი რაიმე სახის ზიანისთვის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი პასუხს აღარ აგებს, რადგან მას დაცული აქვს ფიდუციური მოვალეობის სტანდარტი.[775] ბუნებრივია, გაწეულ რეკომენდაციას, პარტნიორთა საერთო კრებაზე ხელმძღვანელი პირის ქცევის სტანდარტსა და მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობას არ უნდა ჰქონდეს სამართლებრივი ხარვეზი, რაც ხელმძღვანელი პირის ფიდუციური მოვალეობის დარღვევის დადგენის სხვა საფუძვლად შეიძლება იქნეს მოაზრებული. აღნიშნული კანონისმიერი რეგულატორული დანაწესი მსგავსი შინაარსის მატარებელი უნდა იყოს.

1.6. შპს კორპორაციული და ორგანიზაციული მართვის მიჯნაზე

შპს-ის მართვის სისტემა მუდმივად განხილვის საკითხია იურიდიულ ლიტერატურაში. უფრო სწორად, მისი, შპს-ს არქიტექტურიდან, საკანონმდებლო მოწესირიგებიდან გამომდინარე, სადაც მკვეთრი ზღვარი შპს-სა და სააქციო საზოგადოებას შორის თითქმის არ არსებობდა, გართულებული იყო გადაწყვეტილების მიღება, იმის შესახებ თუ რა სახის

775 ხელმძღვანელი ორგანოს კორპორაციულ-სამართლებრივი მოვალეობების შესახებ, იხ. *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 415-447.

მართვაზე შეიძლებოდა საუბარი ამ სამართლებრივ ფორმაში. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ შპს-სთვის დამახასიათებელია როგორც პერსონალური პარტნიორული სტრუქტურა, ასევე ამის საპირისპირო, ესეიგი არაპერსონალური. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს დახურული ტიპის საზოგადოებასთან, სადაც პარტნიორთა რაოდენობა მცირე და შეზღუდულია, საზოგადოების წილობრივი შეძენა ფაქტიურად გამორიცხულია[776] და მკაცრად კონტროლდება მის წევრთა პიროვნულობა.[777] ამის ერთ-ერთი ცალსახა გამოვლინებაა ახალ წილებზე პარტნიორთა უპირატესი შესყიდვის უფლება წილის პროპორციულად და მეტიც, კანონმდებელი საზოგადოებას უზღუდავს უფლებას განათავსოს გამოშვებული წილები ან განახორციელოს ნებისმიერი პირობით განთავსების შეთავაზება პირთა განუსაზღვრელი წრისათვის.[778] რა თქმა უნდა, საზოგადოების ხელშეკრულებით შესაძლებელია განსხვავებული რეგულირებაც. პარტნიორთა მცირე რაოდენობამ, პრაქტიკაში კაპიტალის ბაზარზე წვდომის არარსებობამ, შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტის უპირატესობის გათვალისწინებასთან ერთად, განაპირობა ის, რომ ქართულ რეალობაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, შპს ყველაზე პოპულარული სამართლებრივი ფორმაა და, ძირითადად, მცირე და საშუალო ბიზნესში გამოიყენება, თუმცა მისი დიდ ბიზნესში ოპერირებაც სრულებით შესაძლებელია. ამ საზოგადოების ამხანაგური ხასიათი[779] მისი ორგანიზაციული მართვის სტრუქტურაზე მიანიშნებს, სადაც მართვის ორგანოების დაკომპლექტება პარტნიორებითვე ხდება. თუმცა, „ინდუსტრიული და წარმოებითი ეკონომიკის სეგმენტში" ოპერირებად[780] შპს-ებს „უცხო ორგანოს", ესეიგი მოწვეულ პირთა მიერ ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი სა-

---

776 *ბურდული, მახარობლიშვილი, ეგნატაშვილი, გიგუაშვილი,* თანამედროვე ქართული სამენარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები), 2016, 90.

777 *მახარობლიშვილი,* კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, 2015, 35-38.

778 კანონის 137-ე მუხლი.

779 *Hamilton,* The Law of Corporations, 2000, 200.

780 *ბერიძე, ბურდული, მახარობლიშვილი, ხარაიშვილი, სიხარულიძე, კიკუტაძე, ლობჟანიძე,* რბილი სამართლის გავლენა კორპორაციული მართვის ეფექტიანობაზე, 2018, 12.

ქმიანობის განხორციელება ახასიათებს, შესაბამისად, ზედამხედველობის (სამეთვალყურეო საბჭო) მექანიზმიც მეტად გამართულია. ამასთან, მიუხედავად შპს-ის ამხანაგური ტიპის საზოგადოების მენეჯმენტთან სიახლოვისა, ერთ-ერთი განმასხვავებელი ფაქტორი აქ პარტნიორთა კრების მხრიდან გადაწყვეტილების მიღების წესია. კერძოდ, კონსესუალური გადაწყვეტილების ნაცვლად, შპს ხმათა უმრავლესობის პრინციპს იზიარებს. მოკლედ, მიუხედავად დახურული ტიპის შპს-ის პერსონალური პარტნიორული სტრუქტურისა, მაინც ვერ იქნება გამართლებული „საწარმოს კონტროლის ისეთი პარადიგმების დაფუძნება, როგორც ეს ამხანაგური ტიპის"[781] საზოგადოებებშია. გარდა ამისა, კორპორაციული მართვის არსი, საზოგადოების მართვასა და კონტროლში გამოიხატება, რაც მიღწეულ უნდა იქნეს მრავალშრიანი მმართველობითი ორგანოებით და სწორად და კონკრეტულად გადანაწილებული უფლება-მოვალეობით. იურიდიული მეცნიერება იცნობს როგორც ერთსაფეხუროვან, მონისტურ (ხელმძღვანელი ორგანო, პარტნიორთა კრება), ასევე ორსაფეხუროვან ანუ დუალისტურ მართვის სისტემას, სადაც სამეთვალყურეო საბჭოს როლი ძალიან მნიშვნელოვანია, დანარჩენ ორგანოებთან ერთად კომბინაციაში.[782] დღეს მოქმედი კანონი, შესაძლებლობას იძლევა ორივე სახის მმართველობითი სისტემა იქნეს დანერგილი შპს-ში, ვინაიდან სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა არ წარმოადგენს კანონმდებელის იმპერატიულ მოთხოვნას. თუმცა აუცილებლად უნდა ითქვას, რომ წარმატებული და ხარისხიანი მართვისა და კონტროლის განხორციელებისათვის სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა მეტად სარგებლიანია, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, დახურული ტიპის შპს-ებისთვის ეს შესაძლოა გაუმართლებელ ხარჯებთან ასოცირდებოდეს.

მოკლედ, კორპორაციული მართვის შესაძლებლობა არ-

---

781 *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 28.

782 *ბერიძე, ბურდული, მახარობლიშვილი, ხარაიშვილი, სიხარულიძე, კიკუტაძე, ლობჟანიძე,* რბილი სამართლის გავლენა კორპორაციული მართვის ეფექტიანობაზე, 2018, 14-15; ასევე, იხ. *ჭანტურია,* კორპორაციული მართვა, 30.

სებობს როგორც ერთდონოვანი, ასევე ორდონოვანი მმართველობით სისტემის საშუალებით, და ორივე შემთხვევაში ორგანოთა იერარქიას აქვს პრაქტიკული დანიშნულება. როგორც წინა თავებში ითქვა, ამ შემთხვევაშიც, კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა საერთო კრება, რაც არათუ გასაკვირი, არამედ სავსებით მოსალოდნელია, იქიდან გამომდინარე, რომ ისინი წარმოადგენენ საზოგადოების ე.წ. მესაკუთრეებს[783], ისინი განსაზღვრავენ ძირითადი საქმიანობის სახეს, პოლიტიკას და მთელ რიგ ფუნდამენტურ საკითხებს.[784] შესაბამისად, პარტნიორთა საერთო კრებას ექვემდებარება როგორც სამეთვალყურეო საბჭო ასევე, ხელმძღვანელი ორგანო (დირექტორატი). ეს უკანასკნელი კი ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან პირველ რიგში, თუკი საბჭო შექმნილია, ამასთან, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საერთო კრებასთანაც. სამეთვალყურეო საბჭო ფაკულტატურ, ნებაყოფლობით ორგანოს წარმოადგენს, შესაბამისად თუ მისი შექმნა გადაწყდა საერთო კრების მიერ ეს უნდა აისახოს სადამფუძნებლო შეთანხმებაში, ხოლო თუ არჩევანი ერთდონოვან სისტემაზე შეჩერდა მაშინ, სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციას ასრულებს ხელმძღვანელი ორგანოს არააღმასრულებელი პირი/პირები[785], ხოლო თუ მხოლოდ აღმასრულებელი პირებით არის დაკომპლექტებული, მაშინ საერთო კრება. თუმცა პარტნიორთა საერთო კრებას სამეთვალყურეო საბჭოს გარკვეული ფუნქციები ნებისმიერ შემთხვევაში გადაეცემა, მიუხედავად იმისა, არააღმასრულებელი ნევრი არსებობს საზოგადოებაში თუ არა. მაგალითად, და ყველაზე მნიშვნელოვანი, ხელმძღვანელთა ზედამხედ-

783 თუმცაღა, „მესაკუთრის" გამოყენება სწორი არ არის, იქიდან გამომდინარე, რომ კაპიტალური ტიპის საზოგადოებები ქონების დანაწილების პრინციპზეა აგებული, სადაც პარტნიორთა პირადი ქონება გამოცალკეევებულია საზოგადოების ქონებისაგან, ხოლო ეს უკანაკნელი, მართალია პარტნიორთა მხრიდან განხორციელებული შენატანების გაერთიანებით არის შექმნილი, მაგრამ ამ შენატანის სანაცვლოდ მათ გადაეცათ საკუთრება წილზე, ხოლო გადაცემული ქონება საზოგადოების პირად ბალანსზე, საკუთრებაში ირიცხება.

784 პარტნიორთა საერთო კრების კომპეტენციის შესახებ დეტალურად იხილეთ მომდევნო თავები.

785 კანონის 209-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ველობა და კონტროლი, მათი დანიშვნა და გათავისუფლების უფლებას, წარმოუდგენელია თავად ხელმძღვანელ ორგანოს გადაეცეს. საბოლოო ჯამში, იმისათვის, რომ ეფექტური მმართველობის განხორციელება შესაძლებელი გახდეს, აუცილებელია მართვისა და ამ მართვაზე ზედამხედველობის ორგანოთა უფლება-მოვალეობები, კომპეტენცია იქნეს კანონის დონეზე გაწერილი და, რაც მთავარია, არ მოხდეს მათი ფუნქციური აღრევა.[786] ახალი კანონი სწორედ ამის მცდელობას წარმოადგენს.

1.6.1. პარტნიორთა საერთო კრება

ა.) პარტნიორთა კრების უფლებამოსილება. ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლები

პარტნიორთა საერთო კრება, როგორც უმაღლესი მმართველობითი ორგანო, მეტად მნიშვნელოვანი რგოლია სამეწარმეო საზოგადოებაში, ვინაიდან მისი როლი ფუნდამენტური და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში ჩაუნაცვლებელია. საერთო კრება განსაზღვრავს საზოგადოების პოლიტიკას, საქმიანობას, მიმართულებას, ეს ყოველივე კი მეწარმის ფუნქციონირებისთვის სასიცოცხლო კომპონენტებია. პარტნიორთა კრების მიერ გამოხატული ნება სავალდებულოა შესასრულებლად (გონივრულობისა და პრაქტიკულობის ფარგლებში) სხვა მმართველობითი ორგანოების წევრებისთვის, ვინაიდან პარტნიორები წარმოადგენენ მეწარმე სუბიექტის, უხეშად რომ ითქვას, „მესაკუთრეებს", ისინი ამ სუბიექტის დამფუძნებლები არიან, შესაბამისად მათი გადასაწყვეტია რა კურსს აირჩევს მეწარმე. თუმცა გარდა საქმიანობის არჩევისა, კრების კომპეტენცია ბევრად ფართოა და ის მოიცავს როგორც სტუქტურული ღონისძიებების შესახებ გადაწყვეტილებებს, ასევე „არაჩვეულებრივ" საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას.

პირველ რიგში აუცილებლად უნდა განიმარტოს სტრუქტურულ ღონისძიებათა არსი. შეზღუდული პასუხისმგე-

---

786 *ბურდული, მახარობლიშვილი, ეგნატაშვილი, გიგუაშვილი,* თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები), 2016, 96.

ბლობის საზოგადოება შედარებით კომპლექსური სტრუქტურის მქონე წარმონაქმნია, სადაც სწორი კორპორაციული მართვის შემუშავება, დანერგვა და განხორციელება პირდაპირ პროპორციულია საზოგადოების წარმატებული საქმიანობისა. აღნიშნული საკითხები, მაგალითად, როგორიც არის ხელმძღვანელ პირთა დანიშვნა/გათავისუფლება, ხელმძღვანელი ორგანოს ჩამოყალიბება,[787] სამეთვალყურეო საბჭო, მისი უფლებამოსილება და წევრთა ანაზღაურება, აუცილებლად პარტნიორთა საერთო კრებამ უნდა გადაწყვიტოს. კანონი 127-ე მუხლში განსაზღვრავს კრების უფლებამოსილებას, კერძოდ პარტნიორის გარიცხვა, ორგანოების მიერ მომზადებული ანგარიშების შემოწმება, ქონების გასხვისება და სხვ. თუმცა გარდა ამისა, კანონი ასევე იცნობს ჩვეულებრივი საქმიანობის ცნებას. აუცილებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ჩვეულებრივი საქმიანობა და საქმიანობა, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს, რათა მოხდეს საკითხთა იდენტიფიცირება და გადაეცეს პარტნიორთა საერთო კრებას გადაწყვეტილების მისაღებად.

ზოგადად, კანონის მოთხოვნაა საქმიანობის მითითება სამეწარმეო საზოგადოების წესდებაში, იქნება ეს ზოგადი თუ კონკრეტული. მიუხედავად ზოგადი უფლებაუნარიანობისა, რომელიც კერძო სამართლის იურიდიულ პირს აქვს, საქმიანობის მითითების მიზანი სწორედ პარტნიორთა საერთო კრების მიერ გადასაწყვეტ საკითხთა ამოცნობისთვის მნიშვნელოვანია. არასწორია მიდგომა, როდესაც განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხებს, როგორიც არის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და სხვა, უკავშირებენ ე.წ. არაჩვეულებრივ საქმიანობათა კატეგორიას, ვინაიდან ჩამოთვლილი ღონისძიებები ფუნდამენტურ სტრუქტურულ გადაწყვეტილებებს მიეკუთვნება და არაფერი აქვს საერთო სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობასთან, რომელიც მოგების მიზნით ხორციელდება. ჩვეულებრივ საქმიანობის ტერმინში იგულისხმება ყველა ის მოქმედება, აქტივობა, დადებული გაარიგება, შეთანხმება რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება საზოგადოების წესდებაში მითითებულ საქმიანობას. პირ-

787 თუ შპს-ში არ არსებობს სამეთვალყურეო საბჭო.

დაპირი კავშირი მეტნაკლებად იოლად იდენტიფიცირებადია, მაგალითად, შპს, რომლის ძირითადი საქმიანობაა ხორბლის მოპოვება, დამუშავება, რეალიზაცია, ადგილობრივი გლეხებისგან შეისყიდის ხორბალს: ხორბლის შესაძენად დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება პირდაპირ უკავშირდება საზოგაოდბეის საქმიანობას. რაც შეეხება არაპირდაპირ კავშირს, იგივე მოცემულობით, შპს-ს ხელმძღვანელი დებს გარიგებას გადამზიდ კომპანიასთან, ან სატვირთო მანქანების გაქირავებით დაკავებულ კომპანიასთან. მიზანი ამ გარიგებისა, არაპირდაპირ მაგრამ მაინც, უკავშირდება ხორბლის მოპოვება, შეგროვებას, ვინაიდან სატვირთო მანქანები სწორედ ამ მიზნის შესრულებისთვის არის აუცილებელი. კიდევ ერთი მაგალითი, შპს-ს წარმომადგენელი დებს სესხის ხელშეკრულებას[788] ბანკთან, რათა მობილიზება მოახდინოს იმ ფინანსური რესურსის, რითაც ის დააკმაყოფილებს გლეხებს, ვისგანაც ხორბალი აიღო შემდგომი რეალიზაციის ან გადამუშავების მიზნით.

განსხვავებით ჩვეულებრივი საქმიანობისა, საქმიანობა, რომელიც სცილდება მის ფარგლებს, არ არის დაკავშირებული საზოგადოების ძირითად საქმიანობასთან. ასეთი შეიძლება იყოს, სრულიად ახალი საქმიანობის, ბიზნესის დაწყება სხვა მიმართულებით, მაგალითად, ხორბლის წარმოების პარალელურად, სარეცხი საშუალების იმპორტი შემდგომი რეალიზაციის მიზნით. რა თქმა უნდა, სამეწარმეო საზოგადოებას შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც კანონით არ არის აკრძალული, შესაბამისად ის (შპს) არ დადგება სისიხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფრთხის ქვეშ. თუმცა ასეთი გადაწყვეტილების მიღების მორალური და სამართლებრივი უფლება საერთო კრების დისკრეციული კომპეტენციაა. როგორც წინამდებარე თავის დასაწყისშივე აღინიშნა, საერთო კრება განსაზღვრავს საქმიანობას, მიმართულებასა და პოლიტიკას, და ახალი საქმიანობის წამოწყება, მაშასადამე, გარკვეულ წილად მიმართულების შეცვლა ან გაფართოება სწორედ მისი უფლებამოსილებაა.

---

788 გონივრული მოცულობითი სესხი.

ბ.) მოწვევისა და ჩატარების წესი

კრების მოწვევისა და ჩატარების წესის უზადო დაცვა განაპირობებს კრების უფლებაუნარიონობისა და გადაწყვეტილებაუნარიანობის დადგენას[789] და ამასთან კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების ნამდვილობას. ცალკე საკითხია გადაწყვეტილებაუნარიანია თუ არა კრება, ხოლო პარალელურად უფლებაუნარიანია თუ არა მიიღოს კონკრეტულ საკითხზე გადაწყვეტილება. პრინციპში, ეს ორი საკითხი ერთდროულად უნდა იქნეს დადგენილი, რათა თავიდან ავიცილოთ გადაწყვეტილების ბათილობის რისკი. თუმცა ბათილობის საშიშროება მოწვევისა და ჩატარების პროცედურის დარღვევის შემთხვევაშიც ცალსახად მოსალოდნელია კანონის ზოგადი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე[790].

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში კრების მოწვევაზე უფლებამოსილია ხელმძღვანელობითი ორგანო ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო. აუცილებელია კრების მოწვევის ვადების დაცვა, დღის წესრიგის განსაზღვრა,[791] პარტნიორთათვის სამდღიანი ვადის მიცემა დამატებების დღის წესრიგში შეტანისთვის. განსხვავებით მორიგი კრებისაგან, რომელიც წელიწადში ერთხელ აუცილებლად უნდა ჩატარდეს,[792] რიგგარეშე კრების მოწვევა შეუძლია ინიციატორს ნებისმიერი საკითხის განსახილველად, რაც საერთო კრების კომპეტენციაში შედის. ამ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ასევე შეიძლება იყოს სულ მცირე 5%-ის ხმის უფლების მქონე პარტნიორ(ებ)ი, რომელმაც მოწვევაზე უფლებამოსილ ორგანოს უნდა მიმართოს წერილობით, განსაზღვრული დღის წესრიგით, რაც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას, შპს-ის საქმიანობას და მიზნებს, თუმცა სავალდებულოდ დასაცავია ერთთვიანი ვადა ბოლო კრების ჩატარებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში პარტნიორი ვერ იქნება ინიციატორი მხარე.

როგორც წესი შპს-ში გადაწყვეტილების მიღება ხმათა უმ-

---

789 *Moye*, The Law of Business Organizaions, 2008, 367.

790 კანონის 39-ე მუხლი.

791 *Hannigan*, Company Law, 2012, 336.

792 *Moye*, The Law of Business Organizaions, 2008, 361.

რავლესობით ხდება,[793] ე.ი. კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტით[794], თუმცა არსებობს გამონაკლისები, მაგალითად, წესდებაში ცვლილებების შეტანა და წილების რომელიმე კლასთან დაკავშირებული უფლების შეცვლა, ამ შემთხვევაში მონაწილე ხმათა ¾-ის უმრავლესობა იქნება საჭირო.[795] ნებისმიერ შემთხვევაში მნიშვნელოვანია დადგინდეს კრების უფლებაუნარიანობა. კრება უფლებაუნარიანია მაშინ, როდესაც ის იღებს გადაწყვეტილებას კანონით საერთო კრების უფლებამოსილებაში შემავალ საკითხებზე, რომლის ძირითადი ნაწილი მოცემულია 127-ე მუხლში, ამასთან სხვა, მთელი რიგი საკითხებისა გაფანტულია კანონის ტექსტში სხვადასხვა ნორმაში. თუმცა, საერთო კრების კომპეტენციის გაფართოება შესაძლებელია წესდების მეშვეობით[796].

უფლებაუნარიანობის საკითხის დადგენამდე კი, კრების მოწვევაზე უფლებამოსილმა ორგანომ უნდა დაადგინოს კრების გადაწყვეტილებაუნარიანობის ნაწილი. მაშასადამე, აქვს თუ არა უფლება კრებას მიიღოს გადაწყვეტილება ამა თუ იმ საკითხზე ისე, რომ მიღებული გადაწვეტილება იქნეს სამართლებრივი ძალის მქონე საზოგადოებისთვის.[797] აღნიშნულს კი განაპირობებს კრებაში მონაწილეთა ოდენობა. პარტნიორთა საერთო კრებას უნდა ესწრებოდეს ხმის უფლების მქონე პარტნიორების უმრავლესობა[798] (კვორუმი[799]), წესდებით შესაძლებელია უფრო მაღალი კვორუმის დადგენაც, თუმცა საეჭვოა უფრო დაბალი ზღვარის წესდებაში ასახვა, რაც საერთაშორისოდ დამკვიდრებული პრაქტიკაა.

---

793 იქვე, 369.

794 აქ გასათვალისწინებელია კრების გადაწყვეტილებაუნარიანობის საკითხი. თუ მონვეული კრება გადაწყვეტილების მიღების უფლებით სარგებლობს, მაშასადამე სახეზეა კვორუმი, მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს აზრი კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების დათვლას ამა თუ იმ გადაწყვეტილების მისაღებად.

795 კანონის 126-ე მუხლი.

796 კანონის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

797 *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 183.

798 კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტი.

799 პარტნიორთა მინიმალური რაოდენობა, რომელიც უფლებამოსილი იქნება მიიღოს ვალიდური გადაწყვეტილება; *Wild, Weinstein,* Smith and Keenan's Company Law, 2016, 251.

მაგალითად, ამერიკაში ბიზნეს ორგანიზაციების მოდელური კანონით გათვალისწინებული კვორუმის შეცვლა შეიძლება შტატების მიხედვით, თუმცა თითქმის ყველა შტატს დადგენილი აქვს მინიმალური ზღვარი, რომლის ქვემოთ ჩამოწევა დაუშვებელია, ეს კი შეადგენს ხმის უფლების მქონე პარტნიორების 1/3-ს. გამონაკლისია მხოლოდ ლუიზიანას შტატი, სადაც კვორუმის მინიმალური ზღვარი ¼-ია.[800] იმ შემთხვევაში თუ არ შედგება კვორუმი, ინიციატორს შეუძლია განმეორებით იმავე დღის წესრიგით მოიწვიოს პარტნიორთა საერთო კრება,[801] რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება პარტნიორთა რაოდენობის მიუხედავად.

აქვე, კიდევ ერთ გარემობასაც უნდა მიექცეს ყურადღება. მიუხედავად კვორუმის არსებობისა, რომელიც დგინდება კრების თავმჯდომარის მიერ, არსებობს შესაძლებლობა რომ პარტნიორმა დატოვოს კრება, შესაბამისად, ვერ მოხდეს სრულად დარჩენილი საკითხების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა სახეზე აღარ იყოს კვორუმი, ანუ საკმარისი ხმათა რაოდენობა გადაწყვეტილების მისაღებად, რაც კრებას გადაწყვეტილებაუუნაროდ აქცევს. მიუხედავად იმისა, რომ კანონით ეს შემთხვევა რეგულირებული არ არის, ლოგიკური მსჯელობა და მრავალფეროვანი ბიზნესს ურთიერთობების არსებობა, იძლევა საშუალებას ასეთი დასკვნის გაკეთებისა.[802] კრების თავმჯდომარე მუდმივად უნდა აკონტროლებდეს კრების გადაწყვეტილებაუნარიანობის საკითხს კრების მიმდინარეობის პროცესში, წინააღმდეგ შემთხვევაში, გადაწყვეტილების ბათილობის სამართლებრივი საფუძვლის არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს მთელ სამუშაო პროცესს.[803]

გ.) საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილობა

პარტნიორთა საერთო კრების მოწვევისა და ჩატარების წესს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კრებაზე მიღებუ-

---

800 *Moye,* The Law of Business Organizaions, 2008, 367.

801 *Wild, Weinstein,* Smith and Keenan's Company Law, 2016, 260.

802 *Hannigan,* Company Law, 2012, 343.

803 იქვე, 344.

ლი გადაწყვეტილების ვალიდურობის თვალსაზრისით. კანონი პირდაპირ მიუთითებს კრების გადაწყვეტილების ან მისი ნაწილის ბათილობის საფუძველზე და მათ შორის მოიაზრება მოწვევისა და ჩატარების წესის დარღვევაც. თუმცა ამ შემთხვევაში ასევე გათვალისწინებულია გამონაკლისი, როდესაც მართალია დაირღვა მოწვევის წესი, მაგრამ კრებას ყველა პარტნიორი ესწრება და ისინი თანახმა არიან ამ პირობებით ჩატარდეს პარტნიორთა საერთო კრება. პარტნიორთა ამგვარი თანხმობით ისინი ერთგვარად უარს ამბობენ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე მოწვევის პროცედურის დარღვევის საფუძვლით. რაც შეეხება, ბათილობის სხვა საფუძვლებს, აქ მოიაზრება კრების ოქმის დამოწმების ხარვეზი, მოწვევის პროცედურის, უფლებამოსილების ხარვეზი, საჯარო წესრიგისა და ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება, კრედიტორთა უფლებების დამცავი ნორმების საწინააღმდეგო ქმედებები, კანონსაწინააღმდეგო დათქმების წესდებაში ცვლილების სახით ასახვა, არაუფლებამოსილი პირის მიერ მოწვეულ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება და საზოგადოების საფირმო სახელწოდების, კრების ჩატარების ადგილის, თარიღის ან დროის არასწორი მითითება ოქმში, და შეცილების საფუძველზე სასამართლოს მიერ ბათილად ცნობილი გარიგება. ყოველივე ხსენებული საფუძველია პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილობისა, რაც საბოლოოდ სასამართლომ უნდა დაადგინოს, აღნიშნული კი უნდა მოხდეს შესაბამისი კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში, კერძოდ კი რეესტრში გადაწყვეტილების რეგისტრაციიდან 3 წლის განმავლობაში.[804] თუმცაღა, ამ უკანასკნელი წესიდანაც არსებობს გამონაკლისი საწარმოს გარდაქმნის[805], შერწყმა/გაყოფის[806] შესახებ მიღებული გადაწყვეტილების კონტექსტში, რომელიც თავისი მნიშვნელობით სტრუქტურულ გადაწყვეტილებათა რიგს მიეკუთვნება და ყველა პარტნიორის ჩართულობას მოითხოვს,[807] შესაბამისად კანონმდებლის მი-

804 კანონის 39-ე მუხლი.

805 იქვე, 64-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

806 იქვე, 73-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

807 *Moye*, The Law of Business Organizaions, 2008, 373.

თითება ასეთი გადაწყვეტილების რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ მის ბათილობაზე აპელირების დაუშვებლობის შესახებ სრულიად ლოგიკური. ასეთ დროს მოლოდინი იმისა, რომ პარტნიორები, მათ შორის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები, რომლებიც რეალურად აღასრულებენ კრების ნებას, დროულად იმოქმედებენ ნებისმიერი გადაცდომის არსებობის შემთხვევაში და თავიდან აიცილებენ ლაფსუსებს. შესაბამისად, გადაწყვეტილების ბათილობაზე აპელირების უფლებამოსილება, ვალდებულებაც კი, ძირითად შემთხვევაში ხელმძღვანელ ორგანოზეა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს პარტნიორის მხრიდან შესაბამისი პროცედურის დაცვის შემთხვევაში, ასეთი მოთხოვნის დაყენების შესაძლებლობას.

ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული სამართლებრივი საფუძველი იძლევა შესაძლებლობას გადაწყვეტილება ან მისი ნაწილი ბათილად იქნეს ცნობილი. თუმცა პრაქტიკაში შესაძლოა არსებობდეს გადაწყვეტილების ბათილობის სხვა საფუძვლებიც, რომელიც კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული და მხოლოდ სასამართლოს შეუძლია გამოაცხადოს ის ასეთად. ასეთ შემთხვევაში უფლებამოსილ პირს ეძლევა შეცილების უფლების გამოყენების შესაძლებლობა, საბოლოო გადაწყვეტილება კი სასამართლოს პრეროგატივაა. კანონის ბოლო რედაქციის ამოქმედებამდე, საკითხი სამოქალაქო კოდექსის რეგულირების ქვეშ ექცეოდა, ვინაიდან შესაბამისი საფუძვლები და წესი სპეციალური კანონით არ რეგულირდებოდა. სამოქალაქო კოდექსის გავრცელება პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებაზე აიხსნება კრების გადაწყვეტილების, როგორც გარიგების კონტექსტში გაყვანა, რაზეც უამრავი მსჯელობა მოიძებნება როგორც იურიდიულ ლიტერატურაში, ისევე სასამართლო პრაქტიკაში. გადაწყვეტილება, როგორც მრავალმხრივი გარიგება ექცევა კოდექსით გათვალისწინებულ გარიგებათა მომწესრიგებელი ნორმების რეგულირების ქვეშ და შესაბამისად ვრცელდება შეცილებისა და ბათილობის ის საფუძვლები, რაც გათვალისწინებულია სხვა ნებისმიერი გარიგებისთვის.[808] კა-

808 *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 189-190.

ნონის ერთ-ერთ ინოვაციას სწორედ ბათილობა/შეცილების საკითხის დარეგულირების მცდელობაც წარმოადგენს, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ პროცესი სამოქალაქო კოდექსისგან სრულად იზოლირებულად წარიმართება. ამას ადასტურებს, ასევე, დღეს მოქმედი კანონის მითითებაც კოდექსის ნორმებზე, მაგალითად 92-ე მუხლის პირველი პუნქტის ბოლო წინადადება ხანდაზმულობის ვადებზე მითითებით. ვინაიდან წინამდებარე თავი ბათილობა/შეცილების საკითხს ეთმობა, მსჯელობა სწორედ კანონით გათვალისწინებულ შესაბამის ნორმებზე გაგრძელდება.

მაშასადამე, ერთია არსებობდეს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი საერთო კრების გადაწყვეტილების შეცილებისა და მეორეა, ვინ არის უფლებამოსილი დააყენოს ასეთი მოთხოვნა. პირველ რიგში, შეცილების საკითხის უკეთ განსამარტად, უნდა გამოიყოს ეს უკანასკნელი ბათილობისაგან. მაშინ, როდესაც ბათილობის საფუძვლები კანონით პირდაპირ განისაზღვრა, ფაქტიურად, სასამართლოსთვის მიმართვა ხდება ბათილობის დადასტურების მიზნით. ე.ი. თუ სახეზეა მოწვევის პროცედურის დარღვევა, კრების ჩატარების წესის დარღვევა და სხვა, ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილება ავტომატურად ბათილია და სასამართლო ამის დადასტურების მექანიზმს წარმოადგენს. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ისეთი გადაცდომა, რომელიც კანონით არ არის გათვალისწინებული, თუმცაღა ცალსახად ეწინააღმდეგება სამართლიანობის, კეთილსინდისიერების პრინციპს, მაგალითად, გადაწყვეტილების მისაღებად შეგნებულად/გაუცნობიერებლად არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდება. ამ შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია საცილო გახადოს გარიგება, გაასაჩივროს სასამართლოში და ამის შემდგომ უკვე სასამართლო იმსჯელებს რამდენად საკმარისი საფუძველი არსებობს გადაწყვეტილების ბათილობისათვის. კანონი აქვე იმაზეც მიუთითებს, რომ გადაცდომა აუცილებლად უნდა იყოს არსებითი, კანონის სიტყვებით „დარღვევა არ უნდა იყოს არარსებითი",[809] ე.ი. არასრული ან მცდარი ინფორმაციის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება

809 კანონის 93-ე მუხლის პირველი პუნქტი.

არსებითად უნდა ლახავდეს საზოგადოების ინტერესს და აყენებდეს ზიანს, თუკი შედეგობრივად გადაწყვეტილება არ არის არსებითად ნეგატიური ზეგავლენის მომხდენი,[810] მაშინ გადაწყვეტილების გასაჩივრებას არ ექნება იურიდიული შედეგი, ვინაიდან დაუშვებელია ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. საბოლოოდ, თუკი გადაწყვეტილება არღვევს საქართველოს კანონმდებლობას ან წესდების მოთხოვნებს, გადაწყვეტილება საცილოა და უფლებამოსილ პირს ეძლევა გასაჩივრების შესაძლებლობა. წესდების მოთხოვნათა დარღვევად ჩაითვლება ასევე, კვორუმის არ არსებობის პირობებში მიღებული გადაწყვეტილება.[811]

რაც შეეხება შეცილების უფლებამოსილების მქონე პირებს, აქ, პირველ რიგში მოიაზრებიან პარტნიორები, რომლებმაც გადაწყვეტილების წინააღმდეგ მისცეს ხმა, ან კრებაზე დასწრებაზე სათანადო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ეთქვათ უარი, კრება წესების დარღვევით იქნა მოწვეული ან საკითხი, რომელიც განიხილეს დღის წესრიგში არ იყო შეტანილი. გარდა პარტნიორებისა, ხელმძღვანელი ორგანო, როგორც საზოგადოების მენეჯმენტზე, სწორ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი ორგანო/პირი, უფლებამოსილია საცილო გახადოს გადაწყვეტილება შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, ასევე ამ ორგანოსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები თუ კონკრეტული გადაწყვეტილება მათ რაიმე ვალდებულებას აკისრებს ან უზღუდავს უფლებას.[812][813]

---

810 *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 190.

811 *Wild, Weinstein,* Smith and Keenan's Company Law, 2016, 253.

812 კანონის 93-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

813 *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 191.

1.6.2. სამეთვალყურეო საბჭო, როგორც საზოგადოების ფაკულტატური ორგანო და მისი უფლება-მოვალეობები

კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში, კონკრეტულად კი შპს-ში,[814] „ხელმძღვანელი ორგანოს/პირის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების მიზნით,[815] კანონით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეიძლება" შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭო (შემდგომი - საბჭო).[816] კანონის როგორც ზოგადი, ასევე კერძო ნაწილი მიუთითებს საზოგადოებაში საბჭოს შექმნის შესაძლებლობაზე, თუმცა არა ვალდებულებაზე. შესაბამისად, ასეთი ორგანოს შექმნა ნებაყოფლობითია და მოითხოვს პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებას და წესდებაში შესაბამისი შინაარსის ასახვას[817]. საბჭოს შექმნის არჩევანი დიდი ალბათობით დამოკიდებული უნდა იყოს შპს-ს საქმიანობის მოცულობასთან და საზოგადოების ტიპოლოგიასთან. იმდენად, რამდენადაც დახურულ სპს-ში ძირითადად პარტნიორებივე ახორციელებენ ხელმძღვანელობას და გამოდიან მესამე პირებთან ურთიერთობაში, საზედამხედველო კონტროლი უადგილო იქნება, თანაც გასათვალსისწინებელია, რომ სამეთვალყურეო საბჭოს დაკომპლექტება თავად პარტნიორების მიერაც შეიძლება, თუმცა განსაზღვრული პროპორციულობით. ამიტომ, გამოვა, რომ პარტნიორების მიერ მოხდება საკუთარი ქმედებებისა და საქმიანობის კონტროლი, რაც იდეაშივე ნონსენსია.

ამგვარად, საბჭოს არსებობა დამახასიათებელი უნდა იყოს ისეთი შპს-თვის, რომელსაც მონვეული მენეჯმენტი ჰყავს. ამ დროს კი ლოგიკურია კონტროლის განხორციელება და ფინანსურადაც გამართლებული, ვინაიდან უცხო პირებისთვის ხდება სამეწარმეო საზოგადოების მართვის გადაბარება. მართალია, ამ შემთხვევაშიც ნებაყოფლობითია სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა, აქ უბრალოდ საუბარია, თუ რამ შეიძლება პარტნიორებს გადააწყვეტინოს ასეთი ორგანოს შექმნა

---

814 კანონის 125-ე მუხლის პირველი პუნქტი.

815 *Wild, Weinstein,* Smith and Keenan's Company Law, 2016, 4.

816 კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტი.

817 იქვე, 126-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტი.

საზოგადოებაში.[818]

მოკლედ, სამეთვალყურეო საბჭო ფაკულტატური ორგანოა, თუმცა თუ მისი შექმნა გადაწყდა, მისი უფლებამოსილების განსაზღვრას დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს. მითუმეტეს, რომ მისი არ არსებობის პირობებში, ეს კომპეტენციები გადანაწილებულია, შესაბამისად პარტნიორთა საერთო კრებაზე და ხელმძღვანელ ორგანოზე/პირზე. შპს-ს სამეთვალყურეო საბჭოზე ვრცელდება სააქციო საზოგადოების კერძო ნაწილის სამეთვალყურეო საბჭოს წესები, რაზეც კანონი პირდაპირ აკეთებს გადამისამართებას[819], წინააღმდეგ შემთხვევაში სწორი არ იქნებოდა კანონის ანალოგიით წასვლა, ვინაიდან ეს ნორმები კერძო ნანილებშია თავმოყრილი, რაც მიუთითებს იმ კონკრეტული სამართლებრივი ფორმის სახასიათო რეგულაციაზე და არა ნებისმიერი სამენარმეო საზოგადოებისა.

მთავარი მიზანი სამეთვალყურეო საბჭოს შექმნისა მისი მხრიდან ხელმძღვანელი პირის/ორგანოს მაქსიმალური კონტროლია. ამ მიზნით საბჭო უფლებამოსილია გამოითხოვოს და შეამოწმოს ხელმძღვანელი ორგანოს წლიური ანგარიშები, მოგების განაწილების შესახებ წინადადებები, საქმიანობის ანგარიში და ინფორმაცია, წარადგინოს საზოგადოება ხელმძღვანელ პირთან ურთიერთობაში, მათ შორის სასამართლოში, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში გაასაჩივროს საერთო კრების გადაწყვეტილება,[820] განსაზღვროს ხელმძღვანელ პირთან ურთიერთობის შინაარსი და მისი ანაზღაურება სასამსახურო ხელშეკურლების ფარგლებში, რომელსაც ხელმძღვანელ პირთან დებს სამეთვალყურეო საბჭო[821]. წესდებით შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს გარკვეული საკითხები, რომელთა გადასაწყვეტად ხელმძღვანელობითი ორგანო საჭიროებს საბჭოს თანხმობას. ასეთ თანხმობაზე უარის შემთხვევაში, საერთო კრება უფლებამოსილია გასცეს თანხმობა კენჭისყრაში მონაწილე ხმათა

818 *Wild, Weinstein,* Smith and Keenan's Company Law, 2016, 162.

819 კანონის 125-ე მუხლი.

820 იქვე, 209-ე მუხლი.

821 იქვე, 127-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

არანაკლებ ¾-ის უმარავლესობით[822].

ვალდებულებების ნაწილში, სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს ეკისრება მისი უფლებამოსილების კეთილსინდისიერად განხორციელების მოვალეობა[823]. კანონის გაგებით, საბჭოს წევრზე მოქმედი კეთილსინდისიერების მოვალეობა გამოიხატება განსაკუთრებულ ვითარებაში ზრუნვის მოვალეობასა[824] და კონკურენციის აკრძალვაში[825]. ორივე შემთხვევაში, დამრღვევი წევრი პასუხს აგებს იმ ზიანისთვის, რაც მისი მოქმედების შედეგად მიადგა საზოგადოებას. აქ საინტერესოა, ასევე ის მომენტიც, რომ კონკურენციის აკრძალვის შემთხვევაში, პირის მიერ იმავე საქმიანობის განხორციელება ან იმავე სფეროში მოქმედი სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობა მხოლოდ მაშინ არ ჩაითვლება კონკურენციის აკრძალვის დარღვევად, თუ ამაზე თანხმობა გაცემულ იქნა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. საბჭოს წევრისთვის ასეთი თანხმობის გაცემა შესაძლებელია საბჭოს დანარჩენი წევრების მიერ კოლექტიურად მოხდეს ხმათა უმრავლესობით, სადაც თანხმობის მომლოდინე პირს შესაძლოა არ ჰქონდეს ხმის უფლება, მაგრამ ინტერესთა კონფლიქტის პირობებში შესაძლებელია ამ კომპეტენციის საერთო კრებისთვის მიკუთვნება. რაც შეეხება პასუხისმგებლობას[826] კეთილსინდისიერების მოვალეობის დარღვევისთვის, კანონი ზემოხსენებულთან ერთად მიუთითებს, როგორც ზრუნვის მოვალეობის,[827] ასევე სოლიდარული პასუხისმგებლობის[828] მუხლზე. პირველ შემთხვევაში, დამრღვევი პირადად აგებს პასუხს, კეთილსინდისიერების მოვალეობის ბრალეული შეუსრულებლობით მიყენებული ზიანისთვის, ხოლო სოლიდარული პასუხისმგებლობის სამართლებრივი შესაძლებლობა დგება მაშინ, როდესაც სახეზეა რამდენიმე დამრღვევი პირი ერთობლივად.

---

822 იქვე, 211-ე მუხლი.
823 იქვე, 47-ე მუხლი.
824 იქვე, 51-ე მუხლი.
825 იქვე, 53-ე მუხლი.
826 იქვე, 210-ე მუხლი.
827 იქვე, 50-ე მუხლი.
828 იქვე, 55-ე მუხლი.

გარდა ამისა, სამეთვალყურე საბჭოს წევრზე მოქმედებს თანამდებობათა შეთავსების დაუშვებლობის პრინციპი.[829] ამით კანონმა აღმოფხვრა ის ჩიხური მდგომარეობა, რაც ძველ რედაქციაში 55-ე მუხლის 3[1] და 7[1] პუნქტების კორელაციით წარმოიშობოდა. საქმე ეხებოდა ურთიერთსაპირისპირო დათქმებს, რომლის მიხედვითაც, საბჭოს თავმჯდომარე არ შეიძლებოდა ყოფილიყო ამავდროულად დირექტორი, პარალელურად კი თავმჯდომარეს ეკრძალებოდა სარჩელის შეტანა დირექტორის წინააღმდეგ, თუკი იგი თავად იყო დირექტორი. მართალია ნორმა გარდამავალი პერიოდისთვის შეიქმნა, თუმცა მაინც გაუგებრობის შემქნელი იყო. ამრიგად, ვინაიდან სამეთვალყურეო საბჭოს მთავარი დანიშნულება ხელმძღვანელობითი ორგანოს კონტროლია, დაუშვებელია საბჭოს წევრი იმავდროულად ხელმძღვანელი ორგანოს წევრი იყოს, რადგან ეს ინტერესთა კონფლიქტს გამოიწვევდა. ამასთან, წესდებით შესაძლოა დამატებით განისაზღვროს თანამდებობათა ნუსხა, რომელთა შეთავსებაც აკრძალული ექნება საბჭოს წევრს.

რაც შეეხება სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობას, წევრების რაოდენობა განისაზღვრა მინიმუმ 3 პირით (ფიზიკური თუ იურიდიული) და მათი არჩევა ხდება პარტნიორთა საერთო კრების მიერ 3 წლის ვადით კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დელეგირებით, დელეგირება კი შესაძლებელია პარტნიორზე, თუმცა ერთი პირობით: დელეგირებულ წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საბჭოს წევრთა 1/3-ს.[830] განსხვავებით კანონის ძველი რედაქციისა[831], მოქმედი კონონმდებლობით არ განისაზღვრება საბჭოს წევრთა მაქსიმალური რაოდენობა.

---

829 იქვე, 214-ე მუხლი.

830 იქვე, 212-ე მუხლი.

831 კანონის ძველი რედაქციის 55-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1.6.3. ხელმძღვანელობითი ორგანო და დირექტორის მხრიდან პარტნიორთა (კანონშესაბამისი) მითითებების შესრულების მოვალეობა

„შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან წარმოადგენს ხელმძღვანელი ორგანო"[832]. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მცდელობა დღეს მოქმედი კანონისა, გამიჯნოს შპს, როგორც გარკვეულწილად პერსონალურ-პარტნიორული ბუნების მატარებელი სუბიექტი, ამხანაგური ტიპის საზოგადოებისგან წარმოადგენს კანონმდებლის მითითება ხელმძღვანელ პირთან ურთიერთობის შინაარსსა და ანაზღაურების გაცემის წესის შესახებ, რომელიც სასამსახურო ხელშეკრულებით[833] უნდა მოწესრიგდეს. ამით, თითქოს მიანიშნებს კანონშემოქმედი, რომ შპს-ში, როგორც კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში, დაქირავებული პროფესიონალი მენეჯერის ხელმძღვანელობა ორგანული მახასიათებელია.

ხელმძღვანელობითი ორგანო შესაძლოა ერთი ან რამდენიმე პირისაგან შედგებოდეს, მათ შორის იყოს ქმედუნარიანი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი და ისინი ერთობლივად მართავდნენ საზოგადოებას ან ცალ-ცალკე. ერთ პირის ხელმძღვანელობა იმით განსხვავდება კოლეგიური ორგანოსგან, რომ პირის შემთხვევაში ხელმძღვანელობა ერთპიროვნულია, ის დამოუკიდებლად უძღვება საქმიანობას, ხოლო კოლეგიური ორგანო გადაწყვეტილებას ხმების უმრავლესობით იღებს, მათივე შემადგენლობიდან არჩეული თავმჯდომარის ორგანიზაციული ხელმძღვანელობის ქვეშ.[834] ორივე შემთხვევაში, ხელმძღვანელი ორგანო/პირი ვალდებულია დაემორჩილოს პარტნიორთა გადაწყვეტილებას[835], თუმცა ეს არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ხელმძღვანელი პირის შემზღუდველი წესი. არაერთხელ აღინიშნა, საერთო კრების, როგორც საზოგადოების პოლიტიკის განმსაზღვრელი ორგანოს ადგილი გაერთიანებისთვის. უმაღლესი მმართველობითი ორგან-

832 კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტი.

833 იქვე, 45-ე მუხლი.

834 იქვე, 44-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

835 იქვე, 124-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ოს გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა და ეს ძირითადად ეხება ფუნდამენტურ და სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს. თუმცა, გამონაკლისი მათ შორის არც ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაა, თუ ასეთს ექნება ადგილი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ როგორც წესი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში მისაღებ გადაწყვეტილებებს პარტნიორთა საერთო კრების თანხმობა არ სჭირდება, თუმცა თუ დადგა საჭიროება ამისა, რა თქმა უნდა, კრება მიიღებს გადაწყვეტილებას.

მოკლედ ხელმძღვანელ პირთა დამოუკიდებელი საქმიანობა ხელშეუხებელია, მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ნორმისა. უფრო მეტიც, კანონი განსაზღვრავს, და ეს კიდვე ერთი მნიშვნელოვანი და სასიხარულო სიახლეა, სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების პრინციპს[836], რაც, არაპირდაპირ თუ მაინც, ხელმძღვანელ პირს სხვა უპირატესობასთან ერთად აძლევს სამართლებრივ საფუძველს, უარი განუცხადოს პარტნიორთა საერთო კრებას კონკრეტული მოქმედების შესრულებაზე, თუკი მას აქვს მოლოდინი, რომ ეს უკანასკნელი არ არის საზოგადოების საუკეთესო ინტერესის მატარებელი და არ მოუტანს საზოგადოებას სიკეთეს, პირიქით, შესაძლოა ზიანის მომტანიც იყოს. „ზრუნვის მოვალეობა არ არის დარღვეული და ხელმძღვანელი პირი არ არის ვალდებული აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც სამეწარმეო საზოგადოებას მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით მიადგა, თუ ხელმძღვანელ პირს გონივრულად შეეძლო ევარაუდა, რომ იგი გადაწყვეტილებას საკმარისი და სანდო ინფორმაციის საფუძველზე, სამეწარმეო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად და ინტერესთა კონფლიქტის ან სხვათა ზეგავლენის გარეშე იღებდა".[837] კანონის ძველ რედაქციაში კეთილსინდისიერე-

836 ე.წ. Business Judgement Rule ამერიკული სამოსამართლო სამართლის პირმშოა. მისი წარმოშობა 1829 წლით თარიღდება, როდესაც ლუიზიანას შტატის უმაღლესი სასამართლოს კედლებში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დირექტორის პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ. ამაზე დეტ. იხ. *ჭანტურია*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 215-219.

837 კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ბის მოვალეობის ტერმინი ჩანაცვლებულია „ზრუნვის მოვალეობით", რომელიც არსობრივად იმავე შინაარსის მატარებელია, ამასთან უკვე კარგად ნაცნობი კეთილსინდისიერების მოვალეობა, თავის თავში ისედაც მოიცავდა ზრუნვის, გულმოდგინეობისა და ერთგულების მოვალეობას, შესაბამისად, შედეგობრივად, მხოლოდ ტერმინში ცვლილებაა სახეზე და არა შინაარსობრივი. „სამეწარმეო გადაწყვეტილების განსჯის წესი"[838] გულმოდგინეობის მოვალეობაზეა დაფუძნებული, რომლის ფარგლებშიც ხელმძღვანელებს ეკისრებათ ვალდებულებები, რის ფარგლებშიც და დაცვით მათ უნდა განახორციელონ თავიანთი უფლებამოსილება.[839] მთავარი არსი ამ ინსტიტუტისა ისაა, რომ დირექტორს არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმ სამეწარმეო, კომერციული გადაწყვეტილების მიღებისთვის, რაც წარუმატებელი აღმოჩნდა, თუმცა მიღებულ იქნა საკმარისი ინფორმაციის საფუძველზე, გონივრულობის ფარგლებში. ახლა, რომ გავაანალიზოთ, პარტნიორთა კრების მიერ ნებისმიერი გაცემული მითითება, რომლის შესრულების ვალდებულებაც დირექტორს ნამდვილად აქვს, მაგრამ თუ ეს კონკრეტული მოქმედება სცდება გონივრულობის ფარგლებს, და ნებისმიერ საღად მოაზროვნე მენეჯერს, იმავე პირობებში შეეძლო ევარაუდა მისი ნეგატიური შედეგები საზოგადოებისთვის, მაშინ ასეთი მითითება არ უნდა შესრულდეს, მიუხედავად გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს იერარქიისა. გამონაკლისია შემთხვევა, თუ კი ხელმძღვანელი პირი მართალია ასრულებს საერთო კრების გადაწყვეტილებას, მაგრამ თავად გადაწყვეტილების მიღება პროვოცირებულ იქნა ხელმძღვანელი პირის მიერ არასწორი ინფორმაციის მიწოდებით, ან მან იცოდა, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება ზიანის მომტანი იქნებოდა და მან არ იმოქმედა შესაბამისად ამის თავიდან ასაცილებლად, მაგალითად, არ შეატყობინა საერთო კრებას გადაწყვეტილების

838 *ჭანტურია*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 215-219.

839 *მაისურაძე*, სამეწარმეო განსჯის წესი საკორპორაციო სამართალში (ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს სამართლის მაგალითზე), ნიგნში: საკორპორაციო სამართლის კრებული, ტომი I, 2011, 112-113.

მიღებამდე ან აღსრულებამდე.[840] განცალკევებით უნდა გამოიყოს შემთხვევა, როდესაც ხელმძღვანელ პირს/ორგანოს არ შეეძლო სცოდნოდა, და ვერც გონივრულობის ფარგლებში ივარაუდებდა მძიმე შედეგებს საზოგადოებისთვის. ასეთი გადაწყვეტილების აღსრულებით გამოწვეულ ზიანზე პასუხისმგებლობის დაკისრებისაგან გათავისუფლების საფუძველზე მიუთითებს კანონი. კერძოდ, ხელმძღვანელმა პირმა შესაძლოა ამ ფაქტობრივი გარემოების არსებობის პირობებში, საერთო კრებისგან მიიღოს უარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე ან მორიგებით დაასრულოს საქმე, იმ საფუძვლით, რომ ამ გადაწყვეტილებას და შესაბამისად მის აღსრულებას, არ შეწინააღმდეგებია პარტნიორთა მინიმუმ 10% მაინც, რაც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების კანონიერი საფუძველია.[841]

მიუხედავად ყველაფრისა, ხელმძღვანელი პირის/ორგანოს მიერ საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობაზე მოწმობს, 51-ე მუხლის პირველი პუნქტის შინაარსი, სადაც პირდაპირ მითითებულია უფლებამოსილების განხორციელების დამოუკიდებელი ხასიათი და ამასთან, ნებისმიერი ზეგავლენის გარეშე. სხვაგავარად წარმოუდგენელიც იქნებოდა, გადაწყვეტილების მიღებაში „შეზღუდული"/ შებოჭილი ხელმძღვანელის მხრიდან საზოგადოებისთვის რაიმე სარგებლის მოტანაზე ფიქრიც კი. სამეწარმეო საქმიანობა რისკის შემცველია, ერთია რა არის მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად ფიდუციური მოვალეობების გათვალისწინებით საქმიანობა, თუმცა მეორეა რეალური შედეგი გაერთიანებისთვის. ხანდახან ხელმძღვანელებს მოუწევთ და უნდა მიდიოდნენ კიდევაც სარისკო გადაწყვეტილების მიღებაზე, რათა შექმნან ფინანსური და მატერიალური დოვლათი სამეწარმეო საზოგადოებისთვის, რაც პარტნიორთა უმთავრეს ინტერესს წარმოადგენს. აქ მხოლოდ ის არის გასათვალისწინებელი, რომ სარისკო გადაწყვეტილების მიღება მოხდეს ზრუნვის მოვალეობის მაქსიმალური გათვალისწინებით, გონივრული ვარაუდის, სანდო და საკმარისი ინფორმაციის საფუძველზე,

840 კანონის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

841 იქვე, 55-ე მუხლის მე-10 პუნქტი.

სამეწარმეო საზოგადოების ინტერესის უპირატესი გათვალისწინებით, დამოუკიდებლად, ინტერესთა კონფლიქტის ან ზეგავლენის გარეშე.

1.7. პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი

კაპიტალური ტიპის საზოგადოებათა სადამფუძნებლო ფორმა რეგისტრირებული, უფლებაუნარიანობის მქონე, კავშირია, რომელიც განსაზღვრული მიზნის მისაღწევად ორგანიზებული და ნევრთა მდგომარეობისგან დამოუკიდებლად მოქმედი გაერთიანებაა.[842] კაპიტალური ტიპის საზოგადოებების ინდიფერენტულობა და დამოუკიდებლობა პარტნიორთა პიროვნულობისადმი არა მხოლოდ მის საბაზისო ორგანიზაციულ სანყისს, არამედ მის სამართლებრივ ბუნებასაც მიეწერება. კორპორაციულად ორგანიზებული, ქონების გაერთიანების შედეგად აღმოცენებული, კაპიტალური გაერთიანებები პარტნიორებისაგან დამოუკიდებელ და განყენებულ პიროვნულობას ავლენენ.[843] ამ თეზისს ისიც მონმობს, რომ განსხვავებით პერსონიფიცირებული საზოგადოებებისაგან, მათი დაფუძნება და სამართლებრივი არსებობა ერთი პარტნიორის — ფიზიკური თუ იურიდიული პირის (მათ შორის, არაიურიდიული პირი გაერთიანებების), ნევრობით და პარტნიორული სტატუსის მარტივი გადაცემითაც მიიღწევა. მიუხედავად ამისა, პარტნიორთა შედარებითი დახურული სტრუქტურის გამო, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში — შპს)[844] გარკვეულ მსგავსებას ავლენს

---

842 *კროპპოლერი,* გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასნავლო კომენტარი, დარჯანია/ჭეჭელაშვილი (მთარგ.), 2014, § 21, ველი 1, 2, 4, 5.

843 „განპიროვნებულობის დოქტრინის" (*"Doctrine of Separate Corporate Personality"*) ან, სხვაგვარად, განყენებული პიროვნულობის დოქტრინის შესახებ, იხ.: *მახარობლიშვილი,* მენარმე სუბიექტთა თეორიულ-დოგმატური გამიჯვნა კაპიტალურ საზოგადოებათა სანყისებზე, „სამართლის ჟურნალი", №2, 2011, 99-133; *ქირია,* საკორპორაციო სამაროლის სისტემა საქართველოში, საკორპორაციო სამართლის კრებული, ბურდული (რედ.), 2011, 26-29; *ბურდული, ეგნატაშვილი,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 25, ველი 26, 29; *Davis,* Introduction to Company Law, 2010, 31-33; *Hansmann, Kraakman, Squire,* Legal Entities, Asset Partitioning, and the Evolution of Organizations, 2004, 1-7; *Roth, Kindler,* The Spirit of Corporate Law, 2013, 27.

844 შპს გერმანული საკორპორაციო (საზოგადოებათა) სამართლის ნიაღში განვითარებულ ორგანიზაციულსამართლებრივ ფორმად მიიჩნევა, *Sethe,* The

პერსონალურ საზოგადოებათა შიდასამართლებრივ ურთიერთობასთან.[845] მისი ტიპოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით, პარტნიორთა ქონებრივი ურთიერთობები, პარტნიორთა და სამეწარმეო საზოგადოების, მესამე პირთა ეკონომიკური ინტერესების თანაფარდობა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს და საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს[846].

ჯერ კიდევ კორპორაციულ ორგანიზაციათა არსებობის გარიჟრაჟზე, თავდაპირველ გაერთიანებათა წევრები „ურთიერთშორისი დამოკიდებულების", თანამედროვე გაგებით კი, შიდასამართლებრივ ურთიერთობას, უფლებებსა და მოვალეობებს საძმოთა შიდა დოკუმენტებით საზღვრავდნენ.[847] დღესდღეობითაც, შპს-ის პარტნიორთა უფლებები და მოვალეობი უპირატესად საზოგადოების წესდებით დგინდება. წილი არის პარტნიორის უფლებება-მოვალეობების ერთობლიობა.[848] წილზე საკუთრების უფლება უზრუნველყოფს პარტნიორის მონაწილეობას საზოგადოების კაპიტალში, შესაბამისად, საზოგადოების წევრობის უფლებას.[849] წილი „განთავსებამდე უფლებებსა და მოვალეობებს არ წარმოშობს".[850] ამას წილიდან გამომდინარე უფლებათა აქცესორული ხასიათიც მოწმობს,[851] რაც თავის მხრივ გამორიცხავს პარტნიორული სტატუსისა და წევრობიდან გამომდინარე უფლებების დაქსაქსვა-განცალკევებას[852]. „თანაბარ

Law of Business Associations, in: Company Law in Germany, Zekoll/Wagner (eds.), 2019, §5.02[C], 175-176.

845 *Pinto, Braton*, Understanding Corporate Law, 2018, 13.

846 *კრააკმანი, არმური, დევისი და სხვ.*, საკორპორაციო სამართლის ანატომია, შედარებითი და ფუნქციური მიდგომა, ქოჩიაშვილი/მაისურაძე (მთარგ.), 2019, 35-38; *Roth, Kindler*, The Spirit of Corporate Law, 2013, 3-7, 71-73.

847 *ჯავახიშვილი*, თხზულებანი თორმეტ ტომად, საკორპორაციო სამართალი, 1984, 242-244.

848 *Sethe*, The Law of Business Associations, in: Company Law in Germany, Zekoll/Wagner (eds.), 2019, §5.02[C], 181.

849 კანონის 29-ე და 133-ე მუხლი.

850 იქვე, 126-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

851 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 6 ივნისის №ას-1328-1170-2010 გადაწყვეტილება.

852 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 257. *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 37-40.

პირობებში პარტნიორებს თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვთ".[853] თანასწორუფლებიანობის ამ პრინციპის გარდა, პარტნიორთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრა მეორე მნიშვნელოვან პრინციპსაც ექვემდებარება: „წილები, რომლებიც იდენტურ უფლებებსა და ვალდებულებებს წარმოშობს, წილების ერთ კლასს ქმნის."[854] შესაბამისად, შპს-ის პარტნიორთა რანგირება და თანასწორუფლებიანობა წილობრივი კლასის მიხედვით შეუზღუდავია. ასევე, თანაბარი მოპყრობის პრინციპის ამგვარი გამოხატულება როგორც უმცირესობაში, ისევე დომინანტური მდგომარეობის მქონე პარტნიორის საკანონმდებლო დაცვის მინიმალური სტანდარტია. ამ უკანასკნელის ლოგიკურ გაგრძელებას წილთა კლასის უფლებრივი კონსტრუქციის ცვლილებაში პარტნიორის მონაწილეობის უფლება წარმოადგენს. კლასის უფლებრივი კონსტრუქციის ცვლილებად წილის კონკრეტული კლასის პარტნიორისათვის მინიჭებული უფლების შინაარსის გაფართოვება, ცვლილება ან შეზღუდვა მიიჩნევა.[855] ამ პროცესში შესაბამისი კლასის პარტნიორების მონაწილეობა და გადაწყვეტილების მათი კვალიფიციური უმრავლესობის თანხმობით მიღება, საკანონმდებლო დაცვის კიდევ ერთი მექანიზმია.[856]

წინამდებარე ქვეთავიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ: ა) პარტნიორთა უფლებრივი მდგომარეობა თანასწორუფლებიანობის პრინციპით განისაზღვრება; ბ) უფლება ხორციელდება თანაპარტნიორთა და სამეწარმეო საზოგადოების კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით; გ) პარტნიორთა დაცვის მინიმალური საკანონმდებლო სტანდარტია უფლებრივი კონსტრუქციის ცვლილებაში მონაწილეობის მიღება. წილიდან გამომდინარე უფლებების სქემატური კლასიფიკაცია კი შემდეგნაირია (იხ. *სქემა № 1*):

---

853 კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

854 კანონის 135-ე მუხლის პირველი პუნქტი.

855 *French*, Mayson, French & Ryan on Company Law, 2017, 416-417.

856 კანონი აღნიშნული ნესისგან გამონაკლისს ითვალისწინებს პარტნიორთა მიერ ერთხმად მიღებული ნესდების შესაბამისი ნაწილით სხვაგვარი განსაზღვრების არსებობის სახით. იხ. კანონის 126-ე მუხლის მე-4 პუნქტი და 135-ე მუხლის მე-4.

სქემა № 1 ნევრობიდან გამომდინარე უფლებების ზოგადი სქემა

არაქონებრივი (თანა)მმართველობითი	ქონებრივი
1. კონტროლის და ინფორმაციაზე ნედომის უფლება	**1. დივიდენდის მიღების უფლება**
• ინფორმაციის მიღების უფლება (147-ე მუხლი); • აუდიტის განხორციელებაში მონაწილეობა (57-ე მუხლის მე-3 პუნქტი); • სპეციალური აუდიტორის დანიშვნა (174 მუხლი).	• წლიური და შუალედური დივიდენდი (31-ე; 32-ე; 34-ე მუხლი; 144-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი; 145-ე მუხლი);
2. ხმის უფლება	**2. უპირატესი შესყიდვის უფლება**
• ხმის უფლების განხორციელება (37-ე მუხლის მე-2 პუნქტი; 127-ე მუხლის მე-2 პუნქტი); • ხმის მიცემის წესი (131-ე მუხლი); • აკუმულირების მეთოდი (132-ე და 199-ე მუხლი); • შეზღუდვა (131-ე მუხლი; 127-ე მუხლის მე-5 პუნქტი; 143-ე მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტი; მე-20 მუხლის პირველი პუნქტი).	• გარიგებითსამართლებრივი საფუძვლით (მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი; 30-ე მუხლი; 141-ე მუხლი); • კანონისმიერსამართლებრივი საფუძვლით (75-ე და 137-ე მუხლი).

3. კრებასთან დაკავშირებული სხვა უფლებები

- კრებაში მონაწილეობა
  (37-ე მუხლის პირველი პუნქტი; 130-ე მუხლი);
- დღის წესრიგის გაცნობა და საკითხის ინიცირება
  (127-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტი);
- რიგგარეშე კრების მოწვევა
  (128-ე მუხლი);
- კრების ოქმის გაცნობა და გასაჩივრება
  (38-ე; 39-ე; 93-ე მუხლი; 129-ე მუხლის მე-5 პუნქტი).

4. სასარჩელო წარმოების უფლება

- ინდივიდუალური სარჩელი
  (92-ე და 93 მუხლი);
- ნაწარმოები (დერივაციული) სარჩელი
  (147-ე მუხლი).

3. წილის საზოგადოებისაგან გამოსყიდვა

- გარიგებითსამართლებრივი საფუძვლით (135-ე მუხლი);
- კანონისმიერსამართლებრივი საფუძვლით
  (75-ე და 142-ე მუხლი).

4. სალიკვიდაციო დისტრიბუცია

5. სხვა კომპენსაცია

1.7.1. პარტნიორის ძირითადი ვალდებულებები

ა.) შენატანის განხორციელების ვალდებულება

წესდებით შეთანხმებული შენატანის განხორციელება არის პარტნიორის ძირითადი ვალდებულება. კანონის 27-ე მუხლი განსაზღვრავს შენატანის განხორციელების ვალდებულებისგან პარტნიორის გათავისუფლების აკრძალვის ზოგად პრინციპს, რომელიც შპს-თან მიმართებით მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შენატანი კრედიტორთა მოთხოვნის ან თავად შპს-ს მნიშვნელოვანი ინტერესის დასაკმაყოფილებლად არის აუცილებელი. ამდენად, საერთო კრების გადაწყვეტილება ან სხვა გარიგება, რომელიც ასეთ პირობებში პარტნიორის ათავისუფლებს შენატანისგან იქნება ბათილი (138-ე მუხლი). ნომინალური ღირებულების მქონე წილის სანაცვლოდ განსახორციელებელი შენატანის ვალდებულებისგან გათავისუფლება იწვევს საზოგადოების განთავსებული კაპიტალის შემცირებას.

ა.ა.) შენატანი და მისი განხორციელების წესი

კანონი შენატანის განხორციელების წესს დისპოზიციურ რეჟიმში არეგულირებს - ანუ განსაზღვრავს ზოგად ჩარჩოს, კონკრეტული პირობების შეთანხმება კი ხდება წესდებით ან პარტნიორთა შეთანხმებით. მაგალითად, შენატანის სრულად ან ნაწილობრივი განხორციელება შეიძლება მოხდეს როგორც წილების განთავსებისთანავე, ასევე განთავსების შემდგომ. შესაბამისად, შენატანის განხორციელების კონკრეტული ვადა შეთანხმების საგანია. იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს ასეთი შეთანხმება, პარტნიორს შენატანის განხორციელება უწევს საზოგადოების მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში. გონივრული ვადის განსაზღვრისას შეიძლება პარტნიორის ფინანსური მდგომარეობისა და შენატანის ოდენობის გათვალისწინებაც, ასევე საზოგადოების საჭიროებების მხედველობაში მიღება. ეს ნიშნავს, რომ გონივრული ვადად არ შეიძლება მიჩნეული იყოს კონკრეტული პერიოდი, ვადა დგინდება კონკრეტული მოცემულობის შესაბამისად.

იმის გათვალისწინებით, რომ შენატანის ფუნქციაა შპს-ს

კაპიტალის ფორმირება, აუცილებელია, რომ შენატანი განსაზღვრული უნდა იყოს ეკონომიკური ღირებულების მქონე ქონებრივი სიკეთის სახით. შესაბამისად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფული ან სხვა სხვა მატერიალური (მოძრავი/უძრავი ქონება) ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთე (უფლებები და მოთხოვნები),[857] ასევე მომსახურების გაწევა და სამუშაოს შესრულება.[858] შენატანის სახის არჩევა ექცევა პარტნიორთა სახელშეკრულებო თავისუფლების სფეროში. პარტნიორები თავად განსაზღვრავენ და თანხმდებიან ვინ რა სახის შენატანს განახორციელებს. პარტნიორთა სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვა ნორმატიული რეგულირებით ხდება მხოლოდ დამატებითი სავალდებულო შენატანების შემთხვევაში, რა დროსაც კანონით ნებადართულია მხოლოდ ფულადი შენატანის განხორციელება (140-ე მუხლის პირველი პუნქტი). შენატანის საგნის მესაკუთრე ხდება საზოგადოება, ამისათვის კი აუცილებელია, ფულადი შენატანი განხორციელდეს უშუალოდ საზოგადოების საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით, ხოლო არაფულადი შენატანის შემთხვევაში, შესრულდეს საკუთრების უფლების გადაცემისათვის საჭირო შესაბამისი მოქმედები. მაგალითად, უძრავი ქონების შემთხვევაში. მოხდეს საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების საზოგადოებაზე გადასვლის რეგისტრაცია, და ა.შ. შენატანის ფუნქციიდან გამომდინარე, აუცილებელია რომ არაფულადი შენატანის ღირებულება იყოს დადგენილი. ამ მიზნით ხდება შენატანის საგნის შეფასება, საბაზრო ფასის დადგენა, რის უზრუნველყოფასაც საზოგადოების ხელმძღვანელი პირი ახდენს. არაფულადი შენატანის საგნის საბაზრო ღირებულება უნდა შეესაბამებოდეს შეთანხმებული შენატანის ოდენობას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასების შედეგად შენატანის საგნის საბაზრო ღირებულება უფრო ნაკლებია ვიდრე

857 იხ. *თოთლაძე,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, 2018, 20-23.

858 განსხვავება მომსახურების განევასა და სამუშაოს შესრულებას შორის უკავშრდება იმ პროდუქტს, რასაც იღებს საზოგადოება, მომსახურების განევისას შესატანი, ანუ საზოგადოების მიერ მისაღები „პროდუქტი" პროცესია, მაგ. საზოგადოებისთვის იურიდიული მომსახურების განევა, ხოლო სამუშაოს შესრულების შემთხვევაში კონკრეტული შედეგი, საზოგადოებისთვის შექმნილი კონკრეტული ქონება მაგ. პარტნიორის მიერ საოფისე ავეჯი დამზადება, ოფისის გარემონტება ან სხვა.

შეთანხმებული შენატანის ოდენობა, პარტნიორი ვალდებულია აანაზღაუროს სხვაობა მხოლოდ ფულადი სახით.

ა.ბ.) დამატებითი შენატანები

საზოგადოების კაპიტალი სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციის გარანტიების უზრუნველყოფას ემსახურება.[859] კაპიტალის ფორმირება საწყის ეტაპზე პარტნიორთა თავდაპირველი შენატანებით ხდება. თუმცა საზოგადოების გაძლიერებისა და კონკურენტუარიანობის შენარჩუნებისათვის შეიძლება დადგეს კაპიტალის გაზრდის საჭიროებაც. მიუხედავად იმისა, რომ კანონიდან არ გამომდინარეობს დამატებითი შენატანების მიზნობრიობა, სასამართლო პრაქტიკით მიჩნეულია, რომ დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდა გამართლებული უნდა იყოს აუცილებლობით ან მინიმუმ მიზანშეწონილობით მაინც.[860] ეს მიდგომა ემყარება იმ გარემოებას, რომ დამატებით შენატანების განუხორციელებლობას შეიძლება მოჰყვეს წილზე საკუთრების უფლების ჩამორთმევა, ამიტომ დამატებითი შენატანის დაწესების უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციის მიზნებისათვის აუცილებელია კაპიტალის გაზრდის აუცილებლობის ან მიზანშეწონილობის დადასტურება. [861]

დამატებითი შენატანი იყოფა სავალდებულო და ნებაყოფლობით დამატებით შენატანებად. სავალდებულო დამატებითი შენატანები შეიძლება მიღებულ იქნეს პარტნიორთა გადაწყვეტილებით, იმ შემთხვევაში თუ ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გათვალისწინებულია ერთხმად მიღებული წესდებით. აქედან გამომდინარე, დამატებითი შენატანების დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს ხმათა უმრავლესობით, რაც ნიშნავს, რომ არ არის აუცილებელი ყველა პარტნიორი დაეთანხმოს მას. მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ საერთო კრების უფლებამოსილება პარტნიორებს დააკისროს დამატებითი

---

859 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 ივნისის №2ბ/183-11 განჩინება.

860 იქვე.

861 იქვე.

ვალდებულება, მკაფიოდ იყოს ფორმულირებული ერთხმად მიღებული წესდებით, ასევე გათვალისწინებული იყოს წილები, რომელთაც წესდების მიღების შემდეგ შეიძლება შეეხოს დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულება და ასევე თავად დამატებითი შენატანის მაქსიმალური ოდენობა. ამდენად, დამატებითი შენატანების დაწესების უფლებაზე წესდების მიღებისას (ან შემდგომ ცვლილების შეტანისას) პარტნიორის მიერ გამოხატული თანხმობა მიიჩნევა საკმარისად უკვე შემდგომ საერთო კრების მიერ დამატებითი შენატანის ვალდებულების უმრავლესობით დაკისრებისთვის. პრაქტიკული თვალსაზრისით ეს ნიშნავს, რომ საერთო კრების უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილება ლეგიტიმური იქნება მიუხედავად იმისა, გადაწყვეტილების მიღების მომენტში უჭერს თუ არა მხარს მას კონკრეტული პარტნიორი. სამაგიეროდ, პარტნიორს, რომელიც არ ეთანხმება სავალდებულო დამატებითი შენატანის დაკისრებას, წარმოეშობა საზოგადოებიდან გასვლის უფლება. ამგვარად დაბალანსებულია პარტნიორისა და საზოგადოების ინტერესების დამატებით სავალდებულო შენატანების თაობაზე. პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით დაკისრებული დამატებითი შენატანები განისაზღვრება წილების პროპორციულად. კანონის თანახმად, წესდება (წესდების ცვლილება) შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ ფულადი სახის დამატებით სავალდებულო შენატანს. ეს მიდგომა განპირობებულია დამატებითი შენატანის ფუნქციური დატვირთვით, რომლის მიხედვითაც ის გამოიყენება საზოგადოებისთვის ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით. ასეთი დახმარების საჭიროების არსებობისას გადამწყვეტია შენატანის სწრაფი ლიკვიდურობა, რაც განაპირობებს კიდეც ფულადი შენატანის გონივრულობას.

აღნიშნულისგან განსხვავებით, დამატებითი ნებაყოფილობითი შენატანი შეიძლება იყოს როგორც ფულადი, ასევე არაფულადი. იგი ხორციელდება მხოლოდ დირექტორის თანხმობით. ნებაყოფლობითი შენატანის განხორციელება შესაძლებელია, მიუხედავად იმისა გათვალისწინებულია თუ არა ესეთი შესაძლებლობა წესდებით. ნებაყოფლობითი და-

მატებითი შენატანები არ არის დაკავშირებული კორპორაციულ სამართლებრივ შედეგებთან, რაზეც მიუთითებს ის გარემოება, რომ მისი განხორციელებისთვის არც წესდებით წინასწარი რეგულირება მოითხოვება და არც პარტნიორთა გადაწყვეტილებას საჭიროებს.

ა.გ.) შენატანის განუხორციელებლობის შედეგები

როგორც უკვე აღინიშნა შენატანის განუხორციელებლობა (იგულისხმება როგორც ძირითადი (თავდაპირველი), ასევე დამატებითი სავალდებულო შენატანი) არის შპს-ს პარტნიორის უმთავრესი ვალდებულება. შენატანის განუხორციელებლობა იწვევს კორპორაციულსამართლებრივ შედეგებს, რადგანაც პირდაპირ დაკავშირებულია წილზე საკუთრების უფლების შენარჩუნებასთან. წილზე საკუთრების უფლება წარმოიშობა მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის გზით. თუმცა შენატანის განუხორციელებლობის შემთხვევაში, საბოლოოდ, პარტნიორი კარგავს წილზე საკუთრების უფლებას.

უპირველესად, შენატანის ვადის გადაცილების დროს პარტნიორს კანონის მიხედვით (139-ე მუხლის პირველი პუნქტი) ეკისრება დამატებითი ფინანსური ტვირთი - ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსების განაკვეთის ორმაგი ოდენობის წლიური პროცენტი. თუმცა წესდებით შეიძლება როგორც პირგასამტეხლოს სხვა ოდენობის დადგენა, ასევე დამატებითი ფინანსური ტვირთის გაუქმება. დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, თუ წესდება ცალსახად არ ათავისუფლებს პარტნიორს ამ ფინანსური ტვირთვისგან, იმოქმედებს კანონის დანაწესი.

შენატანის ვადისგადაცილება ავტომატურად წარმოადგენს წილის ჩამორთმევის პროცესის დაწყების წინაპირობას. ამ პროცედურას ახორციელებს დირექტორი და სწორედ მას ეკისრება პასუხისმგებლობა პროცესის კანონისშესაბამისად წარმართვაზე.

წილის ჩამორთმევის პროცესი იწყება პარტნიორისთვის შენატანის განხორციელების დამატებითი ვადის განსაზღვრით. დამატებითი ვადის პერიოდს განსაზღვრავს დირე-

ქტორი, თავისი შეხედულებით, თუმცა დაცული უნდა იყოს 30 დღიანი მინიმალური პერიოდი. დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ პარტნიორი კარგავს წილს, რაც ხორციელდება პარტნიორისადმი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. აღნიშნულის შემდეგ, დირექტორი უფლებამოსილია შესაბამისი ცვლილება დაარეგისტრიროს მარეგისტრირებელ ორგანოში, რითაც საბოლოოდ სრულდება წილის ჩამორთმევის პროცესი.

წილის ჩამორთმევის შემდეგ ძალაში რჩება შეუტანელ შენატანთან დაკავშირებული მოთხოვნები (139-ე მუხლის მე-3 პუნქტი). აღნიშნული ნიშნავს, რომ საზოგადოებას შეუძლია სასამართლო წესით მოითხოვოს ის ფულადი დანაკლისი, რაც მიადგა შენატანის განუხორციელებლობის შედეგად. ასევე პარტნიორს არ უბრუნდება ნაწილობრივ განხორციელებული შენატანი, ან თავდაპირველი შენატანი (დამატებითი სავალდებულო შენატანის საფუძვლით წილის ჩამორთმევის დროს), იგი ასევე კარგავს ნაწილობრივ განხორციელებულ შენატანიდან გამომდინარე უფლებებს. ამ უფლებებიდან პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დივიდენდის მოთხოვნის უფლება. მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების არსებობის მიუხედავად, პარტნიორს, რომელსაც ჩამოერთვა წილი, არ მიეცემა ჩამორთმეული წილიდან გამომდინარე დივიდენდი, მიუხედავად იმისა, რომ მოგების განაწილების მომენტში მას ეკუთვნოდა დივიდენდი. ამგვარი რეგულირება მიმართულია საზოგადოების ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებისკენ.

ბ.) შპს-ს პარტნიორის ერთგულების მოვალეობა

შპს-ს პარტნიორის კიდევ ერთი ძირითადი ვალდებულებაა ერთგულების მოვალეობის დაცვა.[862] ზემოთ უკვე იყო საუბარი კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორის ერთგულების მოვალეობაზე. შპს-ს პარტნიორის ერთგულების მოვალეობაც იგივე სამართლებრივ ლოგიკას ეფუძნება.

---

862 *ბურდული*, ერთგულების მოვალეობა, როგორც უმრავლესობისა და უმცირესობის ქმედების მასშტაბი საკორპორაციო სამართალში (გერმანული სამართლის მაგალითზე), მართლსაჯულება და კანონი, №4(35),12, 2012, 52.

ამ შემთხვევაშიც ერთგულების მოვალეობის საკანონმდებლო წყაროს კანონის 34-ე მუხლი წარმოადგენს. შპს-ში პარტნიორის ერთგულების მოვალეობის დარღვევა შეიძლება გახდეს საზოგადოებიდან მისი გარიცხვის საფუძველი. თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ერთგულების მოვალეობის ყოველგვარი დარღვევა არ შეიძლება იწვევდეს პარტნიორის ასეთ მძიმე კორპორაციულსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

კანონის 34-ე მუხლით გათვალისწინებული პარტნიორის ვალდებულება შპს-ს ნორმატიულ რეგულირებაში კონკრეტულ გამოვლინებას ჰპოვებს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვის სახით. თუმცა ეს არ ნიშნავს, იმას რომ ერთგულების მოვალეობის შინაარსი შპს-სთან მიმართებით ლიმიტერებულია მხოლოდ ამ სახით. ზემოთ უკვე ითქვა, რომ პარტნიორის კონტექსტში ერთგულების მოვალეობის შინაარსი, არ არის ხელმძღვანელის ერთგულების ქვემოვალეობის იდენტური, მეტადრე იმის გამოც, რომ პარტნიორს ერთგულების მოვალეობა აკისრია არა მხოლოდ საზოგადოების, არამედ დანარჩენი პარტნიორების წინაშეც, რომელთა მიმართ ერთგულების კლასიკური ქვემოვალეობების გავრცელებას სამართლებრივი გამართლება არ ექნებოდა.[863] აღნიშნულის მხედველობაში მიღებით, პარტნიორთა შეთანხმებით დასაშვებია პარტნიორის ერთგულების მოვალეობის განსაზღვრა ქვემოვალეობების სახით (მათ შორის, კონკურენციის, კომერციული შანსების მისაკუთრების აკრძალვის, ინტერესთა კონფლიქტის ან თუნდაც კონფიდენციალურობის დაცვის სახით) საზოგადოების (და არა დანარჩენი პარტნიორის) სასარგებლოდ.

ბ.ა.) ხმის უფლების გამოყენება მართლზომიერად - დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

პარტნიორს მიერ ხმის უფლების მართლზომიერად გამოყენება გულისხმობს ხმის უფლების განზრახ საზოგადოების საზიანოდ გამოყენების დაუშვებლობას და ამგვარად ერ-

863 საუბარია მაგალითად კონკურენციის აკრძალვაზე. ერთი შპს-ს ორ პარტნიორს არ შეიძლება მოეთხოვოს ერთამანეთის მიმართ საზოგადოების მიღმა კონკურენციის აკრძალვა.

თგულების მოვალეობის კომპონენტია. შესაბამისად, ხმის უფლების საზოგადოების საზიანოდ გამოყენება შეიძლება განხილული იყოს ერთგულების მოვალეობის დარღვევად. კანონით დარეგულირებულია, დომინანტი პარტნიორის მხრიდან დომინანტური მდგომარეობის ბოროტად, საზოგადოების საზიანოდ გამოყენება ხმის უფლების რეალიზაციის დროს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა არ შეიძლება შეეხოს მინორიტარ პარტნიორს. უპირველ ყოვლისა გასათვალისწინებელია, რომ დომინანტური მდგომარეობა არ არის დაკავშირებული წილთა მოცულობაზე და შესაბამისად მხოლოდ ხმათა უმრავლესობას არ გულისხმობს. დომინანტურ მდგომარეობად ითვლება საერთო კრების კენჭისყრის შედეგებზე გადამწყვეტი გავლენის პრაქტიკული შესაძლებლობა. შესაბამისად, ამ კონტექსტში შეიძლება მოვიაზროთ ე.წ. ჩამკეტი უმცირესობაც.[864] დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შედეგად საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანი ექვემდებარება დომიმანტი პარტნიორის მიერ ანაზღაურებას. აღნიშნული წარმოადგენს შიდასამართლებრივ ურთიერთობაში პარტნიორის პირადი ქონებრივი პასუხისმგებლობის გამოვლინებას. რაც შეეხება დანარჩენი პარტნიორების მიმართ დამდგარ ზიანს, უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ პარტნიორის ის ზიანი, რომელიც საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანიდან გამომდინარეობს არ ანაზღაურდება (177-ე მუხლის მე-2 პუნქტი). მაგალითად, წილის ღირებულების შემცირებით დამდგარი ზიანი პარტნიორს არ უნაზღაურდება, რადგან ეს განიხილება საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ნაწილად. ამდენად, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შედეგად ანაზღაურება ეხება მხოლოდ პირდაპირი ზიანს.

---

864 უმცირესობაში მყოფი პარტნიორი ან პარტნიორთა ჯგუფი, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას და ამით შეიძლება აყდენებდეს ზიანს. იხ.: *ბურდული*, ერთგულების მოვალეობა, როგორც უმრავლესობისა და უმცირესობის ქმედების მასშტაბი საკორპორაციო სამართალში (გერმანული სამართლის მაგალითზე), მართლსაჯულება და კანონი, №4(35),12, 2012, 57.

ბ.ბ.) ძალაუფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვა

გარდა ხმის უფლების მართლზომიერად გამოყენებისა, საერთო კრების ფორმატის მიღმა პარტნიორს ასევე ეკისრება ვალდებულება თავისი ძალაუფლება არ გამოიყენოს საზოგადოების საზიანოდ ან საზოგადოების სანინააღმდეგო ქმედების მისაღწევად ზემოქმედება მოახდინოს მმართველი ორგანოს წევრებზე. ასეთ დროს, პასუხისმგებელ პირთა წრე ძალიან ფართოა. პირველ რიგში, გარდა პარტნიორის პასუხისმგებლობისა, ასევე დგება მმართველი ორგანოს წევრის პასუხისმგებლობაც, რადგან ეს წარმოადგენს ზრუნვის მოვალეობის დარღვევას. მმართველი ორგანოს წევრი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება, თუკი ზიანი დადგა თავად პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების აღსრულების შედეგად. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ასეთი გადაწყვეტილება უნდა აკმაყოფილებდეს გადაწყვეტილების ფორმალური კანონიერების მოთხოვნებს. ანუ, კანონის დარღვევით მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შედეგად დამდგარი ზიანისათვის ხელმძღვანელი არ გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან.

გარდა პარტნიორისა და მმართველი ორგანოს წევრებისა, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს იმ პირსაც, რომელმაც, ზიანის გამომწვევი ქმედების შედეგად მიიღო სარგებელი და განზრახ მოახდინა ზემოქმედება მმართველი ორგანოს წევრებზე. ამდენად, პასუხისმგებლობა შეიძლება დაიკისროს მესამე პირს, რომელიც ორგანულ ურთიერთობაში არ არის საზოგადოებასთან.

მოკლედ, პარტნიორი, რომელმაც ბოროტად გამოიყენა ძალაუფლება, მმართველი ორგანოს წევრი, რომელიც ზეგავლენის ქვეშ მოექცა და პირი, რომელმაც აქედან ნახა სარგებელი, სოლიდარულად აგებენ პასუხს საზოგადოებისა და დანარჩენი პარტნიორებისათვის მიყენებული პირდაპირი ზიანისათვის.

კანონის 177-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, „კრედიტორისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ უქმდება სააქციო საზოგადოების მიერ შესაბამის მოთხოვნებზე

უარის თქმით ან იმაზე მითითებით, რომ ზიანის გამომწვევი ქმედება საერთო კრების გადაწყვეტილებას ეფუძნებოდა." მთლიანობაში, 177-ე მუხლი არ აყალიბებს გარესამართლებრივ ურთიერთობაში, ე.ი. საზოგადოების კრედიტორებისათვის დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. პირთა წრე, რომელიც სარგებლობს ასეთი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებით (კრედიტორები), არის ვიწრო და მასში უპირველესად მოიაზრება საზოგადოება, ხოლო დანარჩენი პარტნიორები იმ ზიანის ფარგლებში, რომელიც საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანისგან განცალკევებულია. შესაბამისად, 177-ე მუხლის მე-7 პუნქტში მითითებული კრედიტორი არ გულისხმობს საზოგადოების კრედიტორის და მასში შეიძლება მოიაზრებდეს საზოგადოების მხოლოდ ის პარტნიორი, რომელიც ზიანის გამომწვევი პარტნიორის, მმართველი ორგანოს წევრის ან იმ პირის კრედიტორად განიხილება, რომელმაც სარგებელი მიიღო პარტნიორის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შედეგად.

გ.) პარტნიორის გარიცხვა შპს-დან

პარტნიორის გარიცხვა გულისხმობს პარტნიორის იძულებით გაძევებას საზოგადოებიდან.[865] ეს არის უკიდურესი ღონისძიება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პარტნიორთა შორის შეუძლებელია პარტნიორული ურთიერთობის შენარჩუნება.[866] შესაბამისად, გარიცხვა დაკავშირებულია პარტნიორის ისეთ ქმედებასთან, რაც არა მხოლოდ საზოგადოებისთვისაა ზიანის მომტანი, არამედ დანარჩენ პარტნიორებს უსპობს განზრახვას გასარიცხ პარტნიორთან გააგრძელონ ურთიერთობა. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ კანონის 143-ე მუხლით დად-

865 გარიცხვა შედარებითსამართლებრივ ჭრილში, იხ.: *ბურდული, მაღრაძე,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საფუძვლები, სამართლისა და ეკონომიკის ცენტრი, ნელინდეული, 2019, 26–48.

866 იხ. *ჯანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 286-288. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით ასეთ დროს „საუბარია პიროვნულ თვისებებსა და ურთიერთობებზე, როგორიცაა, მაგალითად, ნდობის დეფიციტი, ვალდებულებების მძიმე დარღვევა, დანაშაულებრივი საქმიანობა, ნდობის ბოროტად გამოყენება და სხვა პარტნიორებთან დაძაბული ურთიერთობები.". საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ას-324-2021 გადაწყვეტილება.

გენილი გარიცხვის მექანიზმი, არ არის დაკავშირებული შენატანის განუხორციელებლობასთან, რითაც კანონმა საბოლოოდ მოჰფინა ნათელი პარტნიორის გარიცხვის მექანიზმის პროცედურულ მხარესა და მისი გამოყენების წინაპირობებს.[867] ამდენად, კანონის 143-ე და 139-ე მუხლები ადგენენ განსხვავებულ სამართლებრივ მექანიზმებს და შედეგებს. 139-ე მუხლის მიხედვით შენატანის განუხორციელებლობის შედეგია წილის ჩამორთმევა, რა პროცედურასაც წარმართავს ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე ორგანო/პირი, პროცედურულად ამას არ სჭრიდება საერთო კრების გადაწყვეტილება წილის ჩამორთმევის თაობაზე და არც სასამართლოსთვის მიმართვა პარტნიორის გარიცხვის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნით. რაც შეეხება, პარტნიორის გარიცხვას, ის დაკავშირებულია ორ გარემოებასთან („მნიშვნელოვანი საფუძველი") ა) პარტნიორის მხრიდან საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება ან ბ) პარტნიორად დარჩენა საზიანოა შპს-ს შემდგომი საქმიანობისთვის. პროცედურულად გარიცხვა ხორციელდება შემდეგი ეტაპების გავლით: 1. საზოგადოების მიერ გასარიცხი პარტნიორის გაფრთხილება ზიანის მომტანი ქმედების არშეწყვეტის

867 1994 წლის კანონი არასდროს შეიცავდა შპს-ში პარტნიორის გარიცხვის სპეციალურ მომწესრიგებელ ნორმებს. თავდაპირველად, ტერმინი „პარტნიორის გარიცხვა" გათვალისწინებული იყო შენატანის განუხორციელებლობის ზოგად ნანილში მოცემულ ნორმასთან, რომელიც ასევე გამოიყენებოდა შპს-თან მიმართებით. თუმცა ამ პერიოდის სასამართლო პრაქტიკით, შენატანის განუხორციელებლობის გამო პარტნიორის გარიცხვა არ საჭიროებდა სასამართლოსთვის მიმართვას. იხ.: *ჯანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 288. შემდგომ წლებში, კანონიდან გარიცხვის ტერმინის ამოღებასთან ერთად (2005-2008 წლებში) სასამართლო პრაქტიკაში, გარკვეულნილად დაიკარგა პროცედურული განსხვავება, შენატანის განუხორცილებელობის გამო და სხვა დანარჩენ შემთხვევებში გარიცხვის პროცედურას შორის. მაგ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ას-771-732-2013 გადაწყვეტილება, რომელიც ეხებოდა პარტნიორის გარიცხვას კაპიტალის შეუვსებლობის გამო, სასამართლომ აღნიშნა, რომ ასეთ დროს საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად საერთო კრების გადაწყვეტილება საკმარისი არ იყო და გარიცხვისთვის საჭირო იყო სასამართლო გადაწყვეტილებაც. ბოლო წლების გადაწყვეტილებში უზენაესი სასამართლო კვლავ დაუბრუნდა თავდაპირველ მიდგომას, და შენატანის განუხორციელეობის საფუძვლით გარიცხვას აღარ აქცევს სასარჩელო წარმოებაში იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ას-1841-2019 გადაწყვეტილება.

შემთხვევაში მისი გარიცხვის თაობაზე;[868] კანონი არ აზუსტებს გაფრთხილების გაგზავნიდან რა ვადაში წარმოეშობათ პარტნიორებს გარიცხვის საკითხის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება. ივარაუდება, რომ გონივრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ საზოგადოებას წარმოეშობა უფლება მიიღოს გადაწყვეტილება გარიცხვის თაობაზე. კონკრეტული ვადა პარტნიორისთვის გაგზავნილი გაფრთხილებით უნდა იყოს განსაზღვრული. 2. უშედეგო გაფრთხილების შემდეგ, პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღება პარტნიორის გარიცხვის თაობაზე. პარტნიორთა გადაწყვეტილება პარტნიორის გარიცხვის თაობაზე მიიღება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, რომელიც უნდა შეადგენდეს ხმების საერთო ოდენობის არანაკლებ ნახევარს.[869] აღსანიშნავია, რომ კანონი უშვებს შესაძლებლობას წესდებით, საკითხის გადასაწყვეტად, განისაზღვროს ხმების უფრო დიდი ოდენობა. ეს განპირობებულია საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე და წარმოადგენს გასარიცხი პარტნიორისთვის საკუთრების უფლების დაცვის ბერკეტს. თავად გასარიცხ პარტნიორს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება კანონით შეზღუდული აქვს. 3. პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის ვადაში, საზოგადოების მიერ (მოსარჩელე) გასარიცხი პარტნიორის (მოპასუხე) წინააღმდეგ სასამართლოსთვის მიმართვა (სარჩელის წარდგენა) პარტნიორის გარიცხვის მოთხოვნით. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად, მოსარჩელის მოთხოვნით შეიძლება გამოყენებული იყოს გასარიცხი პარტნიორისთვის ხმის უფლების შეჩერება ან მისთვის სხვა არაქონებრივი უფლებების შეზღუდვა. სასარჩელო წარმოება გულისხმობს, რომ სარჩელი უნდა იყოს დასაბუთებელი, შესაბამისად, სათანადო მტკიცებულებით უნდა დასტურდებოდეს საზოგადოებისთვის ზიანის მიყენების ფაქტი ან პარტნიორის დარჩენა საზოგადოებაში რატომ

868 იმ შემთხვევაში, თუ გაფრთხილების შედეგად აღმოიფხვრება პარტნიორთან დაკავშირებული პრობლემა, გარიცხვის პროცედურა უნდა შეწყდეს.

869 იგულისხმება მხოლოდ ისეთი ნილების ხმები, რომლებიც წესდების მიხედვით იძლევიან ამ საკითხზე კენჭრისყრაში მონაწილეობის ხმის უფლებას უფლებას (კანონის 143-ე მუხლის მე-3 პუნქტი). აღნიშნული მიანიშნებს, რომ ნილების კლასების შესაბამისად, პარტნიორის გარიცხვის უფლება შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ რომელიმე კლასის ნილების მქონე პარტნიორებს.

არის საზიანო საზოგადოებისთვის.[870] 4. სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილება. 5. საბოლოოდ, სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რა მომენტიდანაც მიიჩნევა პარტნიორი გარიცხულად. მისი წილი გადაეცემა საზოგადოებას, ან წესდებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება პროპორციულად განაწილდეს დანარჩენ პარტნიორებს შორის ან გაუქმდეს. კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება გულისხმობს მარეგისტრირებელ ორგანოში შესაბამის ცვლილების რეგისტრაციას. იმის გათვალისწინებით, რომ გარიცხული პარტნიორის ამოშლა პარტნიორთა რიგებიდან და წილების ცვლილების ასახვა მხოლოდ მარეგისტრირებელ ორგანოში ხდება, შეიძლება ითქვას, რომ გარიცხვის საბოლოო ეტაპი სწორედ შესაბამისი ცვლილების რეგისტრაციაა. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე მარეგისტრირებელ ორგანოში ცვლილების განხორციელებამდე, გარე სამართლებრივ ურთიერთობაში პარტნიორი ინარჩუნებს პარტნიორის სტატუსს. პრაქტიკული თვალსაზრისით ეს ნიშნავს იმას, რომ თუ გარიცხვის სასამართლო წარმოების ფარგლებში, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად არ არის გამოყენებული პარტნიორისათვის წილის განკარგვის შეზღუდვა (ან გამოყენებულია, მაგრამ რეესტრში არ არის რეგისტრირებული გასარიცხი პარტნიორის წილის განკარგვაზე შეზღუდვა), პარტნიორს არაფერი დააბრკოლებს, გარიცხვის წარმოების პარალელურად, მესამე პირზე გაასხვისოს წილი.[871] მდგომარეობის ასეთი ცვლი-

870 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ას-1841-2019 გადაწყვეტილება. ასევე ერთ-ერთ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა რომ გარიცხვისას ზიანის მტკიცებულებიდან უნდა დასტურდებოდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსი, მატერიალური ზიანის, როგორც სუბსტანციური კატეგორიის არსებობა, ზიანის სახეობა, ზიანის ოდენობის გამოთვლის კრიტერიუმები და ა. შ. თუ ზიანის დამადასტურებელი მტკიცებულება იმდენად არაინფორმაციულია, რომ სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას აღნიშნულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით დაადგინოს ზიანის მიყენების ფაქტი, სასამართლო არ დააკმაყოფილებს გარიცხის სასარჩელო მოთხოვნას. იხ.: თბილისის სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის №2ბ/2745-11 გადაწყვეტილება.

871 თვალთმაქცური გარიგების შემთხვევაში, როცა პარტნიორმა წილი გაასხვისა დაკავშირებულ პირზე, იმისთვის რომ თავი აერიდებინა გარიცხვისთვის, შესაძლებელია საზოგადოებამ იდაოს წილის გასვიხსების ბათილობაზე და

ლების შემთხვევაში გარიცხვის საქმის წარმოება შეწყდება. თუმცა ეს გავლენას არ მოახდენს გასარიცხი პარტნიორის მიერ საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხზე. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ძალაში რჩება გასარიცხი პარტნიორისთვის და წილის გასხვისებასთან ერთად არ გადადის ახალ შემძენზე.

კანონის ახალი რეგულაციის სიახლეს წარმოადგენს გარიცხული პარტნიორისთვის კომპენსაციის გახდა, ჩამორთმეული წილის სამართლიანი ფასის ანაზღაურების სახით. კანონი სამართლიანი ფასის დადგენის საჭიროებას ითვალისწინებს სხვა შემთხვევებშიც (მაგ. წილის გამოსყიდვის დროს 75-ე მუხლი) სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული იქნა (კოდექსის 309[27] მუხლი) წილის გამოსასყიდი სამართლიანი ფასის სასამართლოს მიერ განსაზღვრის კრიტერიუმები: ა) წილის ღირებულება; ბ) სამეწარმეო საზოგადოების მიერ მისაღები სავარაუდო შემოსავლები; გ) სამეწარმეო საზოგადოების აქტივები (მათ შორის, სამეწარმეო საზოგადოების რეზერვები, საქმიანი რეპუტაცია, გამოცდილება, პერსპექტივები და საქმიანი კავშირები) და პასივები. კანონის 143-ე მუხლი არ იძლევა მითითებას გარიცხვისას გამოსაყენებელი სამართლიანი ფასის კონკრეტული კრიტერიუმების თაობაზე, წილის გამოსყიდვის დროს გადასახდელი სამართლიანი ფასის[872] განსაზღვრის კრიტერიუმების ანალოგიით გამოყენებაც არაა ცალსახა, რადგან გარიცხვის წინაპირობა არის გარიცხული პარტნიორის მიერ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება, რაც თავის მხრივ, საზოგადოებას ანიჭებს უფლებას დამატებით იდავოს ზიანის ანაზღაურებაზეც. საზოგადოების ქონებრივი ინტერესების დაცვის უპირატესობის კონტექსტში, სამართლიანი ფასში უნდა იყოს გათვალისწინებული საზოგადოებისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობაც, ან მხარეთა შორის მოხდეს ვალდებულებათა (ერთი მხრივ, საზოგადოების მიერ სამართლიანი ფასი გადახდის ვალდე-

---

შემძენის არაკეთილსინდისიერებაზე.

872 წილის გამოსყიდვის დროს სასამართლოს მიერ სამართლიანი ფასის დადგენა, გარიცხვისგან განსხვავებით, ხდება არასასარჩელო წარმოების გზით (განცხადების საფუძველზე ზეპირი მოსმენის გარეშე).

ბულება, მეორე მხრივ, გარიცხული პარტნიორის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება) ურთიერთგაქვითვა (სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლი). ასევე არ არის ცალსახა, სამართლიანი ფასი, პარტნიორთა მიერ გარიცხვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებით თავიდანვე დგინდება და შესაბამისად, სასარჩელო წარმოების ნაწილი ხდება თუ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ გარიცხული პარტნიორის ახალი სასამართლო დავის წინაშე დადგება ჩამორთმეული წილის კომპენსაციის მისაღებად. საბოლოოდ, ამ საკითხებს პასუხს სასამართლო პრაქტიკა გასცემს.

დ.) პარტნიორის გარიცხვის უფლების მოქმედების ფარგლები

კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პარტნიორმა თავისი უფლებებით სარგებლობისას მხედველობაში უნდა მიიღოს სამეწარმეო საზოგადოებისა და დანარჩენ პარტნიორთა კანონიერი ინტერესები და უფლებები. გასაანალიზებელია, რა მასშტაბს იძენს ეს ვალდებულება პარტნიორების მიერ გარიცხვის უფლების გამოყენებისას.

გარიცხვის უფლება, საკუთრების უფლების შემზღუდავი უკიდურესი სამართლებრივი მექანიზმია.[873] მხოლოდ ის

---

873 სასამართლო პრაქტიკით, პარტნიორის გარიცხვა წარმოადგენს საკუთრების უფლების ჩამორთმევას, სწორედ საკუთრების უფლების კონსტიტუციური ღირებულებიდან გამომდინარე მიიჩნევა გარიცხვისთვის აუცილებლად სასამართლო გადაწყვეტილება „... *გარიცხვა იწვევს გარიცხული პირის საკუთრების უფლების დაკარგვას წილზე, რის გამოც საკუთრების უფლების ამგვარი შეზღუდვის კონსტიტუციურობა მოითხოვს, რომ პირი საზოგადოებიდან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაირიცხოს*" იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებები: №3კ/303-01; №ას-614-951-07; №ას-220-212-2012; №ას-771-732-2013. გამონაკლისია შენატანის განუხორციელებლობის საფუძვლით გარიცხვა, რაც სასამართლოსთვის მიმართვას არ საჭიროებს იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ას-1841-2019 გადაწყვეტილება. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ საკუთრების უფლების პრობლემა ნაკლებად დგას შენატანის განუხორციელებლობის საფუძვლით წილის ჩამორთმევისას. პარტნიორს წილი საკუთრებაში გადაეცემა შენატანის სანაცვლოდ. მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების გადასვლა (რეგისტრაცია) წინ უსწრებს შენატანის განხორციელებას, შენატანის განხორციელება მაინც წარმოადგენს წილზე საკუთრების გადაცემის პირობას. შესაბამისად, შენატანის განუხორციელებლობის დროს, წილზე საკუთრების უფლების დაკარგვას ამართლებს წილის შენარჩუნების მკაფიო ვალდებულების შეუსრულებლობა.

გარემოება, რომ გასარიცხმა პარტნიორმა ზიანი მიაყენა საზოგადოებას თავისთავად საკმარისი არაა, რადგან ასეთი მოცემულობისთვის საზოგადოების ინტერესების დასაცავად არსებობს სხვა ნაკლებ ტრავმული მექანიზმი - ზიანის ანაზღაურების სახით. მაგალითად, ზიანის ანაზღაურების მექანიზმი, საკმარისად მიიჩნევა საზოგადოების ინტერესების დასაცავად დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დროს. შესაბამისად, ივარაუდება, რომ გარიცხვის დროსაც ზიანთან ერთად სხვა მნიშვნელოვანი საფუძველიც არსებობს, როგორიცაა, *„საზოგადოების წინაშე ნაკისრი ვალდებულების დარღვევა - საზოგადოების მიზნის შელახვა, რის შედეგადაც შეუძლებელი ხდება ურთიერთობის შენარჩუნება,* ასევე *„ნდობის დეფიციტი, ვალდებულებების მძიმე დარღვევა, დანაშაულებრივი საქმიანობა, ნდობის ბოროტად გამოყენება და სხვა პარტნიორებთან დაძაბული ურთიერთობები.'*[874] გარემოება, რომ გარიცხვას საფუძვლად უდევს პარტნიორის მხრიდან საზოგადოების ინტრესების საწინააღმდეგო არაკეთილსინდისიერი ქმედება, გარიცხვას *ipso facto* არ ანიჭებს კეთილსინდისიერი ქმედების სტატუსს, მნიშვნელოვანია, რომ თავად პარტნიორებმაც მართლზომიერად, კეთილსინდისიერად გამოიყენონ გარიცხვის მექანიზმი, რამეთუ კანონიერი უფლება არ შეიძლება ნარმოშვას უკანონო/არაკეთილსინდისიერმა ქმედებამ *("ex dolo malo non oritum actio").*[875] გარიცხვის მარლთზომიერება სახეზე იქნება, თუ პროცედურულად დაცულია კანონის მოთხოვნები (ე.ი 142-ე მუხლი), ხოლო გარიცხვის გადაწყვეტილების მიმღები პარტნიორების კეთილსინდისიერება შეიძლება შეფასდეს შემდეგი კუმულატიური ფაქტორებით: ა) გამართლებულია თუ არა გარიცხვა ლეგიტიმური სამეწარმეო მიზნით და ბ) ხომ არ არის მოტივირებული პირადი ინტერესებით.[876] უკანასკნელ წლებში, საქართველოს უზენაესმა სასამართ-

---

874 ზიანთან ერთად სწორედ ამ გარემოებების არსებობა მიიჩევა გარიცხვის პირობად იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ას-1841-2019 გადაწყვეტილება.

875 იხ. *ზუბიტაშვილი,* პარტნიორის გარიცხვა შპს-დან, ნიგნში: საკორპორაციო სამართლის კრებული, ბურდული (რედ.), ტომი II, 2014, 137.

876 იქვე, 138.

ლომ სწორედ ეს სტანდარტი დაადგინა, გარიცხვისას „...*სასამართლო ამოწმებს რამდენად კეთილსინდისიერად იქნა გამოყენებული გარიცხვის უფლება, ხომ არ იყო გადაწყვეტილება მოტივირებული ცალკეული ჯგუფის პირადი ინტერესებით, პირადი სარგებლის ან ქონებრივი უპირატესობის მოსაპოვებლად*".[877] ამდენად, გარიცხვის უფლების მოქმედების ფარგლები შებოჭილია მართზომიერებითა და კეთილსინდისიერების პრინციპით.

ე.) პარტნიორის გასვლა შპს-დან წილის გამოსყიდვის გზით

შპს-დან პარტნიორის გასვლა შეიძლება განხორციელდეს როგორც პარტნიორის მიერ წილის გასხვისების, ასევე შპს-ს მიერ წილის გამოსყიდვის გზით. ორივე შემთხვევაში საზოგადოებიდან გასვლა პარტნიორის უფლებაა და შესაბამისად, ნებაყოფლობითი აქტია.[878] კანონის 144-ე მუხლი არეგულირებს პარტნიორის გასვლას წილის გამოსყიდვის გზით. მიუხედავად იმისა, რომ პარტნიორი საზოგადოებისგან გადის საკუთარი ინიციატივით, ის მაინც მოტივირებულია არახელსაყრელი/არაკომფორტული სიტუაციით. საზოგადოების მხრიდან წილის გამოსყიდვის სანაცვლოდ, პარტნიორი უმიზეზოდ ვერ გავა საზოგადოებიდან. წილის გამოსყიდვის გზით გასვლის უფლება წარმოიშობა წესდებით და კანონით გათვალისწინებული წინაპირობებით. ეს მიდგომა განპირობებულია საზოგადოების ქონებრივი ინტერესის დაცვით, რადგან გამსვლელ პარტნიორს უნაზღაურდება წილის ღირებულება, რაც შეიძლება საზოგადოებისთვის იქცეს ფინანსურ ტვირთად. კანონის მიხედვით, გასვლის უფლების წარმოშობის წინაპირობაა, გამსვლელი პარტნიორის ინტერესების ხელყოფა (ხელმძღვანელის ან სხვა პარტნიორის ქმედებებით) ანდა ისეთი მნიშვნელოვანი გარემობები, როგორიცაა ა) შპს-ს საქმიანობის საგნის მნიშვნელოვანი შეცვლა; აქ იგულისხმება

---

877 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ას-1841-2019 გადაწყვეტილება.

878 გასელასა და გარიცხვას შორის განსხვავებაზე იხ.: *ბურდული, მაღრაძე,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საფუძვლები, სამართლისა და ეკონომიკის ცენტრი, ნელინდეული, 2019, 31-32.

რადიკალურად განსხვავებული საქმიანობის დაწყება, მაგალითად, საზოგადოება აწარმოებდა ტელევიზორებს, ცვლილების შედეგად დაიწყებს ავტომანქანების წარმოებას, ან საერთოდ წარმოებიდან გადაინაცლებს მომსახურების სფეროში. ბ) დივიდენდის არგანაწილება მინიმუმ ბოლო 3 წლის განმავლობაში; წევრობიდან გამომდინარე პარტნიორის ეკონომიკური ინტერესის რეალიზება შპს-ში ხდება დივიდენის მეშვეობით. მოგების არსებობის პირობებში დივიდენდის არ განაწილება ხელყოფს პარტნიორის ქონებრივ ინტერესს, რითაც ამართლებს გასვლის უფლების გამოყენებას. გ) წილების კლასიდან გამომდინარე უფლებების ცვლილება; საზოგადოებაში პარტნიორად შესვლით პარტნიორმა გამოთქვა თანხმობა იმ უფლებებზე, რომელიც მისი კუთვნილი წილის კლასიდან გამომდინარეობს. ამ კლასის წილის უფლებების ცვლილება, პარტნიორის თანხმობის გარეშე, „იძულებით" ცვლის მის სამართლებრივ მდგომარეობას და წარმოშობს გასვლის მოთხოვნას. დ) პარტნიორებმა მიიღეს დამატებითი შენატანის განხორციელების ვალდებულება; დამატებითი სავალდებულო შენატანი, პარტნიორებმა შეიძლება მიიღონ იმ შემთხვევაში თუ ეს შესაძლებლობა გათვალისწინებულია წესდების ისეთი დებულებით, რომელიც თავის მხრივ თანხმობა გამოხატული იყო თითოეული პარტნიორის მიერ. მიუხედავად, იმისა, რომ პარტნიორს თავიდანვე ჰქონდა გაცნობიერებული და თანხმობა გაცხადებული, რომ გარკვეულ ეტაპზე შეიძლება დამატებითი ფულადი ვალდებულება დაკისრებოდა საზოგადოების სასარგებლოდ, მას მაინც ენიჭება უფლება, ასეთი ვალდებულების დაკისრების შემდეგ, მოითხოვოს გასვლა და ამ გზით უარი თქვას დამატებითი ვალდებულების შესრულებაზე. დასახელებული მნიშვნელოვანი გარემოებები არაა კუმულატიური ხასიათის და ერთ-ერთის არსებობა საკმარისია წილის გამოსყიდვის მოთხოვნისა და გასვლის უფლების წარმოშობისთვის გასვლის უფლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ პარტნიორი არ ეთანხმებოდეს ამ გარემოებებს. შესაბამისად, თუ გარემოებები დამდგარი იქნება პარტნიორთა გადაწყვეტილებით, გასვლის უფლება დამოკიდებული იქნება იმაზე, დაუჭირა თუ არა მხარი პარტნიორმა ასეთ გადაწყვე-

ტილებას. გამსვლელ პარტნიორს უნაზღაურდება წილის ღირებულება.[879] წილის ღირებულება პარტნიორთა შეთანხმების საგანია. თუმცა კანონი ასევე არეგულირების შეუთანხმებლობის გადაწყვეტის გზას. შეუთანხმებლობის შემთხვევაში ღირებულებას დაადგენს აუდიტორი. საინტერესოა, როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, თუ გამსვლელ პარტნიორს არ დააკმაყოფილებს აუდიტორის მიერ დადგენილი ღირებულება. გასვლის უფლების ნებაყოფლობითი ხასიათიდან გამომდინარე, პარტნიორის იძულება დათანხმდეს აუდიტორის მიერ შემოთავაზებულ ღირებულებას არ იქნებოდა სწორი. ზემოთ უკვე ითქვა, რომ შპს-დან გასვლა საჭიროებს დანარჩენი პარტნიორებისგან თანხმობას. უარის შემთხვევაში გამსვლელი პარტნიორის ინტერესების უზრუნველსაყოფად, გასვლის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო (გამსვლელი პარტნიორის განცხადების საფუძველზე, მნიშვნელოვანი გარემოების არსებობისას)

ვ.) შპს-ის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მოვალეობები და მათ წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის განხორციელება შპს-ში

ხელმძღვანელი პირის ფიდუციური მოვალეობების მასშტაბი თვისობრივად შპს-ს ჭრილში, ცალკე განხილვას საჭიროებს მხოლოდ ფიდუციური მოვალეობების დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანისათვის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ მოთხოვნის განხორციელების კონტექსტში. ზემოთ უკვე ითქვა, რომ გულმოდგინების და ერთგულების მოვალეობის დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გამოყენება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ეკუთვნის თითოეულ პარტნიორს (50-ე მუხლის მე-3 პუნქტი, 53-ე მუხლის პირველი პუნქტი, 54-ე მუხლის მე-4 პუნქტი). შპს-ს შემთხვევაში ეს უფლება გათვალისწინებულია 144-ე მუხლით და იგი ხორციელდება სს-სთვის 222-ე მუხლში დადგენილი წესით.

ხელმძღვანელთა მხრიდან მოვალეობების დარღვევის შედეგად საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურე-

879 იქვე, 32.

ბის მიღწევის მექანიზმია ხელმძღვანელთა სამართლებრივი დევნა.[880] იმის გათვალისწინებით, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ეკუთვნის თავად საზოგადოებას, ხოლო საზოგადოებას წარმოადგენს ხელმძღვანელი, საზოგადოების ინტერესების უზრუნველსაყოფად არსებობს საჭიროება, უფლების განხორციელება გადაეცეს პარტნიორს. ამ მექანიზმს აშშ-ს სამართალში დერივატიული (არაპირდაპირი, ნაწარმოები) სარჩელი ეწოდება (კანონის 222-ე მუხლი)[881] დერივატიული სარჩელის დამახასიათებელ ნიშანს, წარმოადგენს ის, რომ პარტნიორს სარჩელი შეაქვს საკუთარი სახელით, თუმცა საზოგადოების სასარგებლოდ. შესაბამისად, მან უნდა დაადასტუროს საზოგადოებისთვის ხელმძღვანელის ქმედებით საზოგადოებისთვის ზიანის მიყენების ფაქტი. მარტივად რომ ითქვას, დერივატიული სარჩელი საზოგადოების სპეციალურ კანონისმიერ წარმომადგენლობას გულისხმობს, ისეთი შემთხვევებში, როცა წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი უარს აცხადებს ან აფერხებს მოთხოვნის განხორციელებას. თუმცა ჩვეულებრივი წარმომადგენლობის წესებისგან განსხვავებით, მას სარჩელი შეაქვს არა წარმოდგენილი პირის (ე.ი. საზოგადოების), არამედ საკუთარი სახელით, ანუ პარტნიორი თავად არის მოსარჩელე და არა მოსარჩელის წარმომადგენელი. აშშ-ს საკორპორაციო სამართლისგან განსხვავებით, სადაც დერივატიული სარჩელის გამოყენების ერთ-ერთი კუმულატიური წინაპირობაა, მოსარჩელე, როგორც ზიანის დადგომის, ასევე სარჩელის წარდგენის მომენტში იყოს კორპორაციის პარტნიორი,[882] 222-ე მუხლის საფუძველზე, შპს-ს პარტნიორს, შესაბამისი წინაპირობების დაცვით, შეუძლია საზოგადოების კუთვნილი ნებისმიერი მოთხოვნის განხორციელება, მიუხედავად იმისა, მოთხოვნის წარმოშობის მომენტში თავად იყო თუ არა საზოგადოების წევრი. კანონის მიდგომა ორიენტირებულია საზო-

---

880 იხ. *ჟანტურია,* კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 411.

881 დერივატიული სარჩელი განსხვავდება პირდაპირი ინდივიდუალური სარჩელისგან, რომელსაც პარტნიორი იყენებს საკუთარი უფლებების დასაცავად. ვრცლად, იხ. იქვე, 414–422.

882 იხ. იქვე, 418.

გადოების ინტერესების დაცვაზე. თუკი დევივატიული სარჩელი მხოლოდ ისეთი პარტნიორის უფლება იქნება, რომელიც ზიანის მიყენების მომენტში იყო პარტნიორი, არსებობს შესაძლებლობა, პარტნიორთა ცვლილებების შედეგად საზოგადოების მოთხოვნები დარჩეს განუხორციელებელი, რაც თავისთავად ისახება საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე და საბოლოოდ შეიძლება გავლენა მოახდინოს საზოგადოების კრედიტორებზეც. მიუხედავად აღნიშნულისა, საკანონმდებლო მოცემულობით დერივატიული სარჩელი წარმოადგენს პარტნიორის უფლებას, არ არსებობს ნორმა რომლის საფუძველზე, პარტნიორის მიერ საზოგადოების ინტერესების დაცვა დერივატიული სარჩელის გზით, განიხილებოდა მის ვალდებულებად. თეორიულად ამ საკითხის განხილვა შეიძლება პარტნიორის ერთგულების მოვალეობის ჭრილში, მით უფრო თუ ერთგულების მოვალეობის მასშტაბად განიხილება საზოგადოების საუკეთესო ინტერესებში მოქმედება.

ზ.) პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა

გამჭოლი პასუხისმგებლობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს პარტნიორის მხრიდან პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენება (27-ე მუხლის მე-2 პუნქტი). მიუხედავად იმისა, რომ პარტნიორის პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმა ქართულ კანონმდებლობაში 1994 წლიდან არსებობდა,[883] კრედიტორის სასარგებლოდ ამ ნორ-

883 გამჭოლი პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლის საკანონმდებლო რეტროსპექტივა: 1994 წლის კანონის პირველი რედაქციით (მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი) „...შესატანის შეტანა არ ათავისუფლებს მათ პასუხისმგებლობისაგან, თუ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმები ბოროტად იქნა გამოყენებული. ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოების ქონების შერევა სხვა ქონებასთან ან საწარმოს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი კაპიტალის არასრული ფორმირება." 1999 წლის ცვლილებით (მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი): „...ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება, თუ არ იქნა უზრუნველყოფილი საბუღალტრო წიგნების ისეთი წარმოება, საიდანაც ცალსახად გამომდინარეობს თუ რომელი ქონება ეკუთვნის და რა ვალდებულებები აკისრია საზოგადოებას და რომელი – არა." 2008 წლის ცვლილებით იგივე ნორმა (მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი) : „კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ

მის გამოყენების სასამართლო პრეცედენტი პირველად 2015 წელს დადგა.[884]

ზ.ა.) გამჭოლი პასუხისმგებლობის ნორმატიული მოდელი

კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს საზოგადოების კრედიტორის სასარგებლოდ პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობის ორ გარემოებას. პირველი, პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენება, ხოლო მეორე, საზოგადოების უუნარობა თავად დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნები. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, წარმოადგენს გამჭოლი პასუხისმგებლობის სუბსიდიური ხასიათის დეკლარირებას. კრედიტორის უპირატესი ინტერესი არის მოთხოვნის დაკმაყოფილება, კრედიტორის კერძოსამართლებრივი ინტერესი ვერ იქნება საზოგადოების პარტნიორის დასჯა. ამდენად, გამჭოლი პასუხისმგებლობის სუბსიდიურობა ამცირებს კრედიტორის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენების ალბათობას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული მიდგომით, გამჭოლი პასუხისმგებლობის წინა-

---

ფორმებს" (ეს რედაქცია მოქმედება 2021 წლის კანონის ამოქმედებამდე). 2021 წლის კანონით (26-ე მუხლის მე-2 პუნქტი) „გამონაკლის შემთხვევაში კომანდიტური საზოგადოების კომანდიტი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების, კოოპერატივის პარტნიორი სამეწარმეო საზოგადოების კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს პირადად, თუ ის პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმას ბოროტად იყენებს და სამეწარმეო საზოგადოებას არ შეუძლია კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

884 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის №ას-1158-1104-2014 გადაწყვეტილება. მოცემული მომენტისთვის კორპორციული საფარველის გაჭოლვის ერთადერთი პრეცედენტი. ამის შემდეგ მიმდინარე პერიოდამდე უზენაესმა სასამართლომ შვიდ საქმეზე დაუშვებლად ცნო გამჭოლი პასუხისმგებლობის თაობაზე საკასაციო საჩივრები: №ას-203-2020 24/12/2020, №:ას-433-2020 19/11/2020, №:ას-246-2020 12/11/2020, №:ას-588-2020 06/11/2020, №:ას-1741-2019 28/07/2020, №:ას-1790-2019 24/02/2020, №ას-692-663-2016. რაც მიუთითებს გამჭოლი პასუხისმგებლობის საგამონაკლისო ხასიათზე, სათანადო წინაპირობების დადასტურების სირთულესა და კრედიტორისთვს განსაკუთრებით რთულ მტკიცების ტვირთზე. იგივე ტენდენცია შემჩნევა აშშ-ს სასამართლო პრაქტიკაშიც, სადაც გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრონის გამოყენების ცალკეული წარმატების მიუხედავად, სასამართლო, კრედიტორის დაცვაზე უპირატესად, პარტნიორის დაცვას მიიჩნევს იხ.: *Presser*, Piercing the Corporate Veil, 2011, 87.

პირობების შემოწმებამდე, სასამართლომ უნდა დაადგინოს მოვალის (ე.ი საზოგადოების) გადახდისუუნარობა.[885] საქართველოს კანონმდებლობით, მოვალე გადახდისუუნაროდ მიიჩნევა, როდესაც ვერ ფარავს ვადამოსულ ვალდებულებებს.[886] კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ტერმინი „საზოგადოების უუნარობა" (და არა გადახდისუუნარობა) მიანიშნებს, რომ საზოგადოების გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება/მიმდინარეობა არ არის პარტნიორის წინააღმდეგ გამჭოლი პასუხისმგებლობის წინაპირობა. გამჭოლი პასუხისმგებლობის სასარჩელო მოთხოვნისათვის საზოგადოების უუნარობის დამადასტურებელ სათანადო გარემოებად შეიძლება იყოს მიჩნეული მოვალეთა რეესტრში საზოგადოების რეგისტრაცია გარკვეული პერიოდის განმავლობაში უწყვეტად.[887]

კანონი არ განმარტავს, თუ რა მოცემულობა შეიძლება ჩაითვალოს პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენებად. განმარტებისთვის გამოიყენება გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა.

ზ.ბ.) გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინალური მოდელი

გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა წარმოადგენს პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის დასაბუთების თეორემის, ტესტებისა და წინაპირობების ერთობლიობას. დოქტრინის ფარგლებში მეტნაკლებად სისტემატიზირებულია პარტნიორის ისეთი ქმედებები, რომლებიც ქმნიან პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენების მოცემულობას.

გამჭოლი პასუხისმგებლობის დასაბუთების თეორემის მიზანია შექმნას სათანადო გარემო გამჭოლი პასუხისმგე-

---

885 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 28 ივლისის №ას-1741-2019 გადაწყვეტილება.

886 დეტალურად იხ.: „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლი.

887 მაგ. რეაბილიტაციის/გაკოტრების რეჟიმისათვის მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის ხანგძლივობა არანაკლებ 12 თვეა.

ბლობისათვის და ამ გაგებით წარმოადგენს კორპორაციული საფარველის გაჭოლვის პირველ საფეხურს (წინაპირობათა წინაპირობას). გამჭოლი პასუხისმგებლობის დასაბუთების თეორიიდან შეიძლება გამოიყოს „ალტერ ეგო" და „ინსტრუმენტალურობის" თეორია."[888] „ალტერ ეგოს" თეორიის თანახმად, კორპორაციული მოსასხამის გაჭოლვა გამართლებულია, როდესაც საზოგადოებასა და მის პარტნიორს შორის ქონებრივი დემარკაციის არარსებობის პირობებში, საზოგადოების დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის შენარჩუნება კრედიტორებისთვის გამოიწვევს უსამართლო შედეგს. „ინსტრუმენტალურობის თეორია" ეფუძნება პარტნიორის დომინირებას, რომელიც ვლინდება, საზოგადოების საქმიანობის ყველა მნიშვნელოვანი/საკვანძო ასპექტის კონტროლით. ინსტრუმენტალურობის თეორია გამჭოლი პასუხისმგებლობას ამართლეს, როცა კონტროლი და დომინირება პარტნიორის მიერ გამოიყენება თაღლითობის ჩასადენად, ვალდებულებისგან თავის ასარიდებლად.[889] მოკლედ, გამჭოლი პასუხისმგებლობის დასაბუთების ძირითად თეზისს წარმოადგენს პარტნიორის მხრიდან საზოგადოებაზე დომინირება, დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობისა და განცალკევებულობის დარღვევა.

საინტერესოა, პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენების გააზრება საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენების კონტექსტში. პარტნიორი არ არის საზოგადოების მესაკუთრე, არც საზოგადოების ქონებაზე აქვს პირდაპირი საკუთრების უფლება.[890]

---

888 იხ. *გულაშვილი,* კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსხვავებულიღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა ურთიერთობის კონტექსტში, გულაშვილი ნიკოლოზ, საკორპორაციოს სამართლის კრებული, ტომი I, ბურდული (რედ.), 2011, 83-84. დამატებით ანგლო-ამერიკულ სამართალში ჩამოყალიბებულია სხვა თეორებიც, მაგ. „იდენტურობის თეორია", „ერთიანი ეკონომიკური კავშირის თეორია" და სხვა იხ.: *ზუბიტაშვილი,* პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, 2016, 67, 73-74, 88.

889 იქვე, 130-131.

890 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 29 იანვრის №2/36-7 გადაწყვეტილება.

პარტნიორს, საკუთრების უფლება გააჩნია წილზე (133-ე მუხლი), რომელიც წარმოშობს მის უფლებებს და მოვალეობებს. პარტნიორის ქმედება უნდა ჯდებოდეს სწორედ მისი წილიდან გამომდინარე უფლებების ფარგლებში. ამ გაგებით პარტნიორის მიერ მისი წილიდან გამომდინარე უფლებების განხორციელება წარმოადგენს საკუთრების უფლების გამოყენება/რეალიზებას. საკუთრების უფლების კერძოსამართლებრივი სუბსტანცია გამორიცხავს ბოროტად გამოყენებას, რაც ასახულია კიდეც სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის მე-2 ნაწილში, რომლის თანახმად, საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენებად ითვლება საკუთრებით ისეთი სარგებლობა, რომლითაც მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი და არ არის გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა. აქ იგულისხმება მესაკუთრის მხოლოდ კანონიერი ინტერესი.[891] ამის გარდა, მიიჩნევა, რომ უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა მესაკუთრების ზნეობრივი მოვალეობაა.[892] თავის მხრივ, პარტნიორის, როგორც წილის მესაკუთრეს ყოველთვის ამოძრავებს ეკონომიკური ინტერესი (რაც კანონიერი ინტერესია). ამდენად, პარტნიორი, რომელიც წილის (თუ მისგან უფლებების) არამართლზომიერი გამოყენებით[893] იღებს ისეთ ფინანსურ სარგებელს, რასაც ვერ მიიღებდა მარლთზომიერების ფარგლებში, მისი როგორც მესაკუთრის ინტერესი, იძენს არაკონონიერ ხასიათს, აღნიშნულის საილუსტრაციოდ გამოდგება პარტნიორის უფლება დივიდენდზე.[894] საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება სახეზე იქნებოდა, როდესაც პარტნიორები დივიდენდებს მიიღებდნენ მოგების არარსებობის პირობებში (იხ. კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი) ასეთი ქმედება იწვევს საზოგადოებისთვის აქტივების გამოცლას, რაც თავის მხრივ, გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება გახდეს.

---

891 დაცვის ღირსი სამართლებრივი ინტერესი იხ. ზარანდია, სანივთო სამართლის საფუძველი, 2016, 159.

892 დივიდენდის სამართლებრივი ბუნების თაობაზე იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 21 სექტემბრის №2ბ/2821-12 გადაწყვეტილება.

893 მაგ. კონტროლისა და დომინირების მეშვეობით ინსტრუმენტად იყენებს საზოგადოებას.

894 იხ. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 6 ივნისის №ას-1328-1170-2010 გადაწყვეტილების მნიშვნელოვანი განმარტებები.

ზ.გ.) ხელშეკრულებისმიერი და დელიქტისმიერი კრედიტორები

გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა განსხვავებულად გამოყენება ხელშეკრულებისმიერი და დელიქტისმიერი კრედიტორების მიმართ.[895] ხელშეკრულებისმიერ ე.ი ნებაყოფლობით კრედიტორს შეუძლია გამოიკვლიოს/შეაფასოს საზოგადოება და მისი უნარი შეასრულოს სახელშეკრულებო ვალდებულებები და აიცილოს სახელშეკრულებო რისკები.[896] ივარაუდება, რომ ნებაყოფლობით კრედიტორი გაცნობიერებულად იღებს პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან გამომდინარე მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შესაძლო რისკებს, რაც არ ამართლებს მის სასარგებლოდ კორპორაციული საფარველის გაჭოლვას.[897] მაგალითად, როდესაც კრედიტორი, სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლამდე, ფლობდა გარკვეულ ინფორმაციას საზოგადოების ფინანსური პრობლემების შესახებ, თუმცა თავისუფალი ნების საფუძველზე, გაცნობიერებულად შევიდა სახელშეკრულებო ურთიერთობაში. ან მეორე შემთხვევა, როცა, კრედიტორს შეეძლო კონტრაჰენტის შემოწმების გზით დარწმუნებულიყო მის სანდოობაში, თუმცა ეს მექანიზმი არ გამოუყენებია. ამ შემთხვევაში ივარაუდება, რომ კრედიტორის უნდა სცოდნოდა კონტრაჰენტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება მოვალეთა რეესტრის მონაცემთა საჯაროობა. ამდენად, სახელშეკრულებო კრედიტორების სასარგებლოდ გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენება გამართლებულია ისეთ ვითარებაში, როდესაც კრედიტორი, მისგან დამოუკიდებელი მიზეზით, მოკლებული იყო კონტრაჰენტის შეფასების შესაძლებლობას, საზოგადოების შესახებ პარტნიორის მხრიდან განზრახ არასწორი წარმოდ-

---

895 იხ. *Presser,* Piercing the Corporate Veil, 2011, 87. ასევე: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის №ას-1158-1104-2014 გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის №ას-1307-1245-2014 გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 19 ნოემბრის №ას-433-2020 გადაწყვეტილება.

896 ე.წ. bargaining power, დეტალურად იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 19 ნოემბრის №ას-433-2020 გადაწყვეტილება.

897 იხ. *Presser,* Piercing the Corporate Veil, 2011, 89-99.

გენების შექმნით.[898] სრულად განსხვავებული მოცემულობაა დელიქტისმიერ კრედიტორებთან მიმართებით. მათ არ აქვთ თავისუფლება/შესაძლებლობა აირჩიონ მოვალე, სწორედ ამიტომ მეტად საჭიროებენ დაცვას, ვიდრე სახელშეკრულებო კრედიტორები.[899]

ზ.დ.) გამჭოლი პასუხისმგებლობის წინაპირობები

გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა სხვადასხვა ნაციონალურ იურისდიქციებსა და სასამართლო პრაქტიკაში განსხვავებულად არის განვითარებული. თუმცა ამ განსხვავებების მიუხედავად იკვეთება საერთო გარემობები[900], რაც შეიძლება დაკვალიფიცირდეს პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ბოროტად გამოყენება. [901]

ზ.დ.ა.) კონტროლი, როგორც წინაპირობათა წინაპირობა

პარტნიორი საზოგადოების საქმიანობაში მონაწილეობს საერთო კრების ფორმატში, იმ კომპეტენციებისა და უფლებამოსილებების ფარგლებში, რაც საერთო კრებას გააჩნია

---

898 იხ. *ზუბიტაშვილი*, პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, 2016, 130-131.

899 იხ. *Presser*, Piercing the Corporate Veil, 2011, 88.

900 იხ.: *ზუბიტაშვილი*, პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, 2016, 132-155.

901 საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ბოროტად გამოყენებას წარმოადგენს, არაადეკვატური კაპიტალიზაცია, კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა და სხვა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 28 ივლისის №ას-1741-2019 გადაწყვეტილება. ამ კონტექსტში საინტერესოა კანონის ნორმის ისტორიული განმარტებაც, რომლის მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენებაში, თავიდვე მოიაზრებოდა, როგორც მინიმუმ შემდეგი შემთხვევები: „საზოგადოების ქონების შერევა სხვა ქონებასთან ან საწარმოს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი კაპიტალის არასრული ფორმირება." (1994 წლის რედაქცია) და „..არ იქნა უზრუნველყოფილი საბუღალტრო წიგნების ისეთი წარმოება, საიდანაც ცალსახად გამომდინარეობს თუ რომელი ქონება ეკუთვნის და რა ვალდებულებები აკისრია საზოგადოებას და რომელი – არა. " (1999 წლიდან 2008 წლამდე მოქმედი რედაქცია). ამდენად, გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინით გათვალისწინებული კლასიკური წინაპირობები ქართული კანონმდებლობისთვის

კანონით და წესდებით. შესაბამისად, საერთო კრების მიღმა, პარტნიორის ჩარევა საზოგადოების საქმიანობაში არ იქნება მარლთზომიერი. საზოგადოების საქმიანობაში ისეთი ჩარევა, რომელიც ხელყოფს საზოგადოების დამოუკიდებლობას და მიზნად ისახავს საზოგადოების გამოყენებას პირადი სარგებლისთვის მიიჩნევა პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენებად. ეს შეიძლება გამოვლინდეს ქვემოთ განხილული გარემობების სახით (არასათანადო კაპიტალიზაციის, კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობის, ქონებათა აღრევის, სხვა გარემოებების სახით).[902] ამდენად, კონტროლი წარმოადგენს წინაპირობათა წინაპირობას, რომელიც საერთოა ყველა ქვემდგომი გარემოებისთვის. მეორე მხრივ, კონტროლის ისეთი გამოვლინება, რომელსაც არ მოჰყვება ზიანი, არ შეიძლება იქნეს მიჩნეული გამჭოლი პასუხისმგებლობისთვის საკმარის წინაპირობად. კონტროლის საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია ერთი პირის საზოგადოებაში, სადაც ძალაუფლება სრულად მოქცეულია ერთი პარტნიორის ხელში (ანუ სახეზეა მხოლოდ ერთი პარტნიორი, რომელიც ამავდროულად შეიძლება იყოს დირექტორიც). ასეთ სიტუაციაში, პარტნიორის პასუხისმგებლობაზე საუბარი შეიძლება მაშინ, როდესაც დასტურდება საზოგადოების პირადი სარგებლისათვის ინსტრუმენტად გამოყენება.[903]

ზ.დ.ბ.) ქონების აღრევა

საზოგადოება და მისი პარტნიორები არიან დამოუკიდებელი, განცალკევებული სუბიექტები. განცალკევებულობა უპირატესად გამოიხატება ქონების დემარკაციაში - საზოგადოების ქონება გამიჯნული უნდა იყოს პარტნიორის ქონე-

---

902 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 19 ნოემბრის №ას-433-2020 გადაწყვეტილება.

903 იქვე. ეს მიდგომა აღიარებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკითაც, „კორპორაციული საფარველის გაჭოლვისთვის არ არის საკმარისი ერთი კორპორაციის 100%-იანი მონაწილეობა მეორე კორპორაციაში, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ მოცემულობაში კონტროლი და საკუთრება შეიძლება ერთი პირის ხელში იყოს მოქცეული. ამისათვის საჭიროა კონტროლის გამოყენება არამართლზომიერი ქმედებისთვის - კანონისმიერი ან სახელშეკრულებო ვალდებულებისგან თავის ასარიდებლად.".

ბისგან და პირიქით, პარტნიორის ქონება განცალკევებული უნდა იყოს საზოგადოების ქონებისგან.[904] ქონებრივი დემარკაციის დაუცველობა, გამოხატული ქონების აღრევით, კრედიტორს აცლის შესაძლებლობას განსაზღვროს ვისთან აქვს ურთიერთობა - საზოგადოებასთან თუ პარტნიორთან. ეს ვითარება ასევე დაკავშირებულია კრედიტორის შეცდომაში შეყვანასთან და შეიძლება იწვევდეს გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებისთვის სათანადო პირობას.[905] ცალკე უნდა აღინიშნოს, ქონების აღრევის ისეთი შემთხვევა, როდესაც საზოგადოების ქონებაზე პარტნიორს მიუწვდება ხელი და მას განკარგავს ისე როგორც პირად ქონებას. ეს მოცემულობა შეიძლება იწვევდეს პარტნიორის მიერ საზოგადოების ქონების გაფლანგვას/შემცირებას. საბოლოოდ, ქონების აღრევამ შეიძლება შექმნას სისხლისსამართლებრივი დანაშაულის შემადგენლობაც. [906]

ზ.დ.გ.) არასათანადო კაპიტალიზაცია [907]

იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ ნომინალურ და მატერიალურ კაპიტალიზაციის ცნებებს. ნომინალური კაპიტალიზაცია სახეზეა, როცა დაცულია კანონით გათვალისწინებული მინიმალური თავდაპირველი კაპიტალის ოდენობა. მატერიალური კაპიტალიზაცია სახეზეა, როცა კორპორაციის ფინანსური ბერკეტები კონკრეტულ საქმიანობასთან მიმართებით ადეკვატურია.[908] ამავდროულად კონკრეტუ-

---

904 *ზუბიტაშვილი,* პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, 2016, 35-36.

905 *მახარობლიშვილი,* კორპორაციის სამართალსუბიექტობით დიფერენცირებული ორი ელემენტი: შეზღუდული პასუხისმგებლობა (Limited Liability) და კორპორაციის საფარელით (EntityShielding) დაცულობა, წიგნში: *თოდუა* (რედ.), გურამ ნაჭყებია - 75 (საიუბილეო კრებული), 2016, 444.

906 მაგ. საბუღალტრო აღრიცხვის წესების დარღვევა 404-ე (პრიმა) მუხლი სისხლის სამართლის კოდექსი, ასევე სხვისი ნივთის/ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისება/გაფლანგვა სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლი.

907 იგივე ქვეკაპიტალიზაცია.

908 *Alting.,* Piercing the Corporate Veil, In American and German Law – Liability of Individuals and Entities: A Comparative View, 2 Tulsa J. Comp. 7 Int'l L. 187, 1995, 198; *Graefe,* Changing Paradigms: The Liability of Corporate Groups in Germany, 37

ლი სამეწარმეო საქმიანობისთვის ადეკვატური კაპიტალის ფორმულა წინასწარ განსაზღვრადი ვერ იქნება, რაც ნიშნავს იმას, რომ არასათანადო კაპიტალიზაცია გამჭოლი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის დაკავშირებულია მხოლოდ მატერიალურ ანუ შეფასებით კაპიტალიზაციასთან. არასათანადო კაპიტალიზაციად (მატერიალური გაგებით) მიიჩნევა შემთხვევა, როცა პარტნიორები, ნომინალური კაპიტალიზაციის მიღმა (საწესდებო კაპიტალის არსებობის შემთხვევაში) არ ახდენენ საზოგადოების საქმიანობაში ადეკვატურ ინვესტირებას.[909] ამავდროულად, ნომინალური კაპიტალიზაციის მოთხოვნის დაცვაც არ გამორიცხავს არასათანადო კაპიტალიზაციის საფუძვლით გამჭოლ პასუხისმგებლობას.

ზ.დ.დ.) კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა

კორპორაციულ ფორმალობათა ერთი ნაწილი ჩვეულებების შედეგად დამკვიდრებული პრაქტიკაა[910], მეორე ნაწილი კი პირდაპირ ან არაპირდაპირ გამომდინარეობს კანონმდებლობიდან. კორპორაციულ ფორმალობად განიხილება, მაგალითად, საფირმო სახელწოდება, იურიდიული მისამართი, დამოუკიდებელი საბანკო ანგარიშების, საბუღალტრო წიგნების წარმოება, საერთო კრებების ჩატარება, კრების ოქმების შედგენა, პარტნიორსა და საზოგადოებას შორის ხელშეკრულების სათანადოდ გაფორმება და სხვა.[911] კორპორაციულ

Connecticut law Review 785, 2005, 809.

909 არასათანადო კაპიტალიზაციის განმარტებისთვის შეიძლება საგადასახდო სამართალში ცნობილი სუსტი კაპიტალიზაციის ცნების გამოყენებაც. კაპიტალშენატანის ნაცვლად, პარტნიორების მიერ საზოგადოების დაფინანსება სასესხო მექანიზმებით, რის შედეგადაც საზოგადოების სასესხო ვალდებულებები მნიშვნელოვნად აღემატება კაპიტალის ოდენობას. იხ.: საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წინგი I, 2012, 640. საგადასახადო კოდექსის 123-ე მუხლი, რომელიც ადგენდა სუსტი კაპიტალიზაციის შინაარს, 2016 წლის ცვლილებით ამოღებულ იქნა კოდექსისგან.

910 *Miguens,* Liability of a Parent Corporation for the obligations of an Insolvent Subsidiary, American Bankruptcy Institute Law Review 217, 2002, 288.

911 კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა ასევე სახეზეა, როცა პარტნიორებისა და დირექტორების მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები არ არის ნათლად გამიჯნული. ასევე კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა დაკავშირებულია ქონების აღრევასთან, როცა კომპანიის სახსრები გამოიყენება პარტნიორთა პირადი მიზნებისათვის, ხოლო პირადი ხარჯები მიიჩნევა კომპანიის ხარჯებად ბუღალტრული ანგარიშგების

ფორმალობათა დაუცველობა გამჭოლი პასუხისმგებლობის ყველაზე სუსტი წინაპირობაა. საზოგადოებებს არ შეიძლება მოეთხოვოს ყველანაირი ფორმალობის დაცვა,[912] მით უფრო დისპოზიციური რეგულირების რეჟიმში. კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა გამჭოლი პასუხისმგებლობის მიზნებისთვის, შეიძლება განხილული იყოს, კრედიტორის შეცდომაში შეყვანისას (საზოგადოების თაობაზე არასწორი წარმოდგენების შექმნის). ასეთ დროს, გამჭოლი პასუხისმგებლობისთვის მნიშვნელოვანია არა თავად კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა, არამედ კრედიტორის შეცდომაში შეყვანის მოტივი იყო თუ არა ვალდებულების თავიდან არიდება. მაგალითად, მშობელ-შვილობილი კომპანიები იყენებენ ერთ მისამართს, ერთ საფირმო სახელს, ჰყავთ საერთო დირექტორი. დედა კომპანიის მხრიდან ამ ფორმალობებით მანიპულირების გამო, კონტრაჰენტი, თავის მხრივ, ფიქრობს რომ სამართალურთიერთობაში შედის დედა კომპანიასთან, თუმცა საბოლოოდ ხელშეკრულების მხარედ აღმოჩნდება შვილობილი, რომელიც გადახდისუუნაროა. 1994 კანონის ბოლო მოქმედი რედაქციით, საფირმო სახელწოდებებზე არ ვრცელდებოდა შეზღუდვა და ერთიდაიგივე საფირმო სახელწოდება შეიძლება გამოეყენებინა სხვადასხვა კომპანიებს. შესაბამისად, კორპორაციული ფორმალობის დაუცველობას არ წარმოადგენდა მშობელ-შვილობილ კომპანიებს ერთი და იგივე საფირმო სახელწოდება ჰქონოდათ. 2021 წლის კანონით აღნიშნული საკითხი შეიცვალა, მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, საფირმო სახელწოდება უნდა განსხვავდებოდეს უკვე რეგისტრირებული მენარმის საფირმო სახელწოდებისგან.

წესების დარღვევით, ან როცა არ ხდება სათანადო ბუღალტრული და ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 19 ნოემბრის №ას-433-2020 გადაწყვეტილება. კორპორაციულ ფორმალობებად ასევე განიხილება საკოპორაციო ჩვეულებები იხ.: *Dobson*, Lifting the Veil in Four Countries: the Law of Argentina, England, France and the United States, International and Comparative Law Quarterly, Vol. 35, №4, 1986, 863; Kinney Shoe Corp. v. Polan, 939 F.2d 209, 210, 212 (4th Cir. 1991). Sea-Land Servs., Inc. v. Pepper Source, 941 F.2d 519, 521 (7th Cir. 1991). DeWitt Truck Brokers v. W. Ray Flemming Fruit Co., 540 F.2d 681 (4th Cir. 1976).

912 Crane v. Green & Freedman Baking Co., Inc., 134 F.3d 17, 25 (1st Cir. 1998).

მოკლედ, კორპორაციულ ფორმალობათა დარღვევა, იმ შემთხვევაში უნდა იქნეს განხილული გამჭოლი პასუხისმგებლობის წინაპირობად, როცა ამ დარღვევის შედეგად კრედიტორს შეექმნა ცრუ წარმოდგენები, ვერ მოახდინა კონტრაჰენტის იდენტიფიკაცია და ამას მოჰყვა ზიანი. ცალკე აღებული კორპორაციულ ფორმალობათა ისეთი დაუცველობა, რომელსაც არ მოჰყოლია კრედიტორისთვის უარყოფითი შედეგი, არ წარმოადგენს გამჭოლი პასუხისმგებლობის წინაპირობას.[913]

ზ.ე.) დელიქტური პასუხისმგებლობის მიმართება გამჭოლ პასუხისმგებლობასთან

ზემოთ უკვე ითქვა, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინით გათვალისწინებული პარტნიორის ქმედებები ამავდროულად შეიძლება ქმნიდეს სისხლისსამართლებრივი დანაშაულის შემადგენლობასაც. სისხლის სამართლის დანაშაულის შედეგად დამდგარი ზიანისათვის სამოქალაქო წესით ანაზღაურების საფუძველი კი სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დელიქტური პასუხისმგებლობის ნორმაა (992-ე მუხლი) აღიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ზემოთ ნახსენები გამჭოლი პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი პრეცედენტების შედეგად, სადაც მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნებოდა დელიქტურ ნორმას, თუმცა სასამართლოს მიერ ჩაითვალა, რომ გადასახადისთვის თავის არიდება[914] სადავო სამართალურთიერთობაში წარმოადგენდა კონტროლის განმახორციელებელი პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობის წინაპირობას და შესაბამისად, ასეთი პასუხისმგებლობის საფუძველი იყო იმჟამინდელი კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი და არა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენი კი ერთ-ერთ მტკიცებულებაა, რომელიც საჭიროებ-

913 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 19 ნოემბრის №ას-433-2020 გადაწყვეტილება.

914 რომელიც ამავდროულად სისხლის სამართლის დანაშაულია, სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლი

და შეფასებას სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში[915] (შესაბამისად, არ ჰქონდა პრეიუდიციული ძალა). გამჭოლი პასუხისმგებლობისა და დელიქტური პასუხისმგებლობის ეს კონკურენცია შეიძლება დაძლეული იყოს გამჭოლი პასუხისმგებლობის კონცეპტუალური გააზრებით. გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა დაფუძნებულია მიდგომაზე, რომ პარტნიორის კორპორაციული მოსასხამის გაჭოლვა არ უნდა მოხდეს უმიზეზოდ, ანუ გამჭოლი პასუხისმგებლობა გამოიყენება ისეთ ვითარებაში, როდესაც კრედიტორის დაცვის სხვა სამართლებრივი მექანიზმი არ არსებობს. სისხლის სამართლის დანაშაულზე დაზარალებულად ცნობილი კრედიტორისთვის, ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი არ ცვლის სამართლებრივ შედეგს - პარტნიორის ქონებრივი პასუხისმგებლობა მაინც დადგება. ზიანის ანაზღაურების სათანადო წინაპირობების დადასტურებისას, კრედიტორი ანაზღაურებას ისევე მიიღებს დელიქტური საფუძვლით, როგორც ამას მიიღებდა გამჭოლი პასუხისმგებლობის შემთხვევაში. თუმცა პრაქტიკული თვალსაზრისით კრედიტორისთვის მაინც არის ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება. გამჭოლი პასუხისმგებლობის მტკიცება ბევრად უფრო რთულია (უნდა დადასტურდეს პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენება), ვიდრე დელიქტური პასუხისმგებლობის შემთხვევაში შეიძლება იყოს (რა დროსაც მართლწინააღმდეგობა (უკვე დადგენილი სისხლის სამართლის განაჩენით), ზიანი, ბრალი და მიზეზშედეგობრივი კავშირი ჩაითვლება საკმარისად.[916] ამდენად, პარტნიორის ისეთი ქმედებებისათვის, რომელიც ამავდროულად სისხლის სამართლის დანაშაულია, კრედიტორისთვის უფრო გამართლებული დელიქტური საფუძვლის გამოყენებაა. ყოველ შემთხვევაში, პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენებისგან განსხვავებით, დელიქტური პასუხისმგებლო-

915 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: №ას-1158-1104-2014, №ას-1307-1245-2014. კრიტიკა იხ. ჭანტურიასთან: *ჭანტურია*, პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა საზოგადოების საგადასახადო დარღვევისათვის (სამოსამართლო სამართლის სიახლე), წიგნში: თოდუა (რედ.), გურამ ნაჭყებია - 75 (საიუბილეო კრებული), 2016, 406 და 8მდ.

916 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: №ას-769-737-2016; №ას-176-163-2015; №ას-1426-2018.

ბა, მტკიცების ტვირთის კუთხით, სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებული კრედიტორისთვის უფრო ეფექტური მექანიზმია. უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ 2015 წლის გამჭოლი პასუხისმგებლობის ზემოთ ნახსენებები დამაფუძნებელი გადაწყვეტილებების შემდეგ, რომლითაც დელიქტისმიერი კრედიტორის სასარგებლოდ მოხდა კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, არ დამდგარა ხელშეკრულებისმიერი კრედიტორების სასარგებლოდ გამჭოლი პასუხისმგებლობის პრეცედენტი. რაც შეეხება დელიექტისმიერ კრედიტორებს, შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკა ცალსახად შეიცვალა და დელიქტის შემთხვევაში, პარტნიორის პასუხისმგებლობის დასადგენად, გამჭოლი პასუხისმგებლობის ნაცვლად ხდება დელიქტური ნორმის გამოყენება. მაგალითად, ერთ-ერთ გახმაურებელ საქმეზე, რომელიც ეხებოდა დამფუძნებლების მიერ საკრედიტო კავშირის მეანაბრეთა თანხების გაფლანგვა/მითვისებას, სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ცნობილ კრედიტორების (საქმეზე 3000-ზე მეტი დაზარალებულია) ზიანის ანაზღაურების სარჩელების დაკმაყოფილება მოხდა სამოქალაქო კოდექსის დელიქტური ნორმის და არა მეწარმეთა შესახებ კანონის (პასუხიხსმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენების) საფუძველზე.[917]

1.7.2. არაქონებრივი (თანა)მმართველობითი უფლებები

შპს-იც წევრობიდან გამომდინარეობს არაქონებრივი უფლებები, რომელთა ცალკეული ქვეკატეგორია უზრუნველყოფს პარტნიორის მართვაში მონაწილეობის, კონტროლის და კანონიერი ინტერესის დაცვის, შეცილების უფლებებს.[918] შპს-ის პარტნიორი სს-ის აქციონერს საწარმოს მართვაში აქტიური მონაწილეობისა, ასევე, მონიტორინგის ფართო შესაძლებლობით ემიჯნება, რასაც, გარკვეულწილად, შპს-ში არსებული ორგანიზაციული მართვის სპეციფიკა, დახურული პარტნიორული სტრუქტურა, წევრთა სიმცირე და მათი უფლებების განხორციელების ხასიათი განაპირობე-

917 საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ას-203-2020 გადაწყვეტილება.

918 *შეფერი*, საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), 2019, § 36, ველი 3, 444.

ბს.[919] თავის მხრივ არაქონებრივი უფლებებიც არ გახლავთ შეუზღუდავი ხასიათის. კანონი ითვალისწინებს ცალკეულ შემთხვევებს,[920] როდესაც შპს-ის პარტნიორს მათი განხორციელება შეზღუდული ან დროებით შეჩერებული აქვს. პარტნიორის ჩვეულებრივი უფლებების პარალელურად კანონი ადგენს სპეციალურ უფლებებსაც.[921]

ა.) კონტროლისა და ინფორმაციაზე წვდომის უფლება

შპს-ში ორგანიზაციული მართვისა და გადაწყვეტილებათა კონსესუალური მიღების სტრუქტურა, თავისთავად ქმნის წევრთა სათანადო ინფორმირებულობის საჭიროებას.[922] შპს-ში მაკონტროლებელ ფუნქცია საერთო კრების მეშვეობითაც ხორციელდება.[923] *მაგალითად,* საერთო კრება ამტკიცებს წლიურ ფინანსურ ანგარიშს, აგრეთვე ხელმძღვანელთა ანგარიშებს.[924] ზოგადად, კონტროლის გაწევისა და სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული საბუღალტრო წიგნების, ფინანსური ჩანაწერების თუ სხვა კატეგორიის ინფორმაციის მიღების უფლება შეუზღუდავია. იგი მეწილეთა, განსაკუთრებით კი მინორიტართა, დაცვის სამართლებრივ ბერკეტად სახელდება და ნებისმიერ დროს შე-

---

919 იგულისხმება ნევრობის სტატუსისა და მისგან გამომდინარე უფლებების სამართლებრივი ბუნება, რომელიც ნარმოადგენს კაპიტალური და პერსონალურ საზოგადოებებში არსებული მართვის სტილის ჰიბრიდულ დიქოტომიას, *ბურდული, მახარობლიშვილი, მალრაძე,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 107, 106-108. შპს-ში არსებული ორგანიზაციული მართვა გარკვეულ მსგავსებას ავლენს ამხანაგური ტიპის საზოგადოების მართვისადმი და თავისთავად განსხვავდება კორპორაციული მართვისგან, იხ.: *ბურდული, მახარობლიშვილი, ეგნატაშვილი, გიგუაშვილი,* თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართლის განვითარება, 2016, 90-93.

920 *მაგალითად,* ვიდრე მნიშვნელოვანი საფუძვლით პარტნიორის გარიცხვის საკითხი განიხილება, შპს-ის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია დროებით შეაჩეროს დავის მონაწილე პარტნიორის არაქონებრივი უფლების განხორციელება, მათ შორის, შეუჩეროს ხმის უფლება. იხ. კანონის 143-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

921 *Wirth, Arnold, Greene,* Corporate Law in Germany, 2004, 18.

922 *მახარობლიშვილი,* კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, 2015, 36-37.

923 *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 289.

924 კანონის 126-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „კ" ქვეპუნქტი.

იძლება განხორციელდეს.[925] ინფორმაციის მიღების უფლება იმპერატიული მოწესრიგებით არის უზრუნველყოფილი, არ არის დამოკიდებული წილთა კლასობრივ რანგირებაზე და 147-ე მუხლის შესაბამისად, „ნებისმიერ პარტნიორს" აქვს ხელმძღვანელი ორგანოსადმი მოთხოვნით მიმართვის უფლება. დასახელებული ნორმით განისაზღვრება ხელმძღვანელის საპასუხო ვალდებულება პარტნიორის მოთხოვნის „გონივრულ ვადაში" დაკმაყოფილებაზე. ვადის გონივრულობა უკავშირდება ინფორმაციის კატეგორიასა და მოცულობას. შესაბამისად, პარტნიორის მოთხოვნა ხელმძღვანელ პირთა ბრალეული გაჭიანურების გარეშე უნდა დაკმაყოფილდეს.[926] ინფორმაციის მიღების უფლება მოიცავს როგორც სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის, ისევე მისი შემოწმების შესაძლებლობას. ხელმძღვანელმა ორგანომ ხელი არ უნდა შეუშალოს ამგვარი შემოწმების პროცესს, თუმცა კომენტატორული ლიტერატურის თანახმად, დოკუმენტაციის შემოწმებაზე უარი შესაძლებელია ითქვას, თუკი მიწოდებული მონაცემი სრულად აკმაყოფილებს პარტნიორის უფლებას ინფორმაციის მიღებაზე.[927] მეტი გამჭვირვალობისათვის, პარტნიორს შესაძლებლობა აქვს დამოუკიდებელი აუდიტორის მეშვეობითაც შეამოწმოს სამეურნეო მოქმედების ან წლიური ფინანსური დოკუმენტაციის ჭეშმარიტება.[928] კანონი ითვალისწინებს პარტნიორის მიერ სპეციალური აუდიტორის მოწვევასა და დანიშვნას.[929] სპეციალური შემოწმების ამგვარი უფლება შესაძლოა, განხორციელდეს სასამართლოს მეშვეობითაც.[930]

როგორც აღინიშნა, კონტროლისა და ინფორმაციის მიღე-

---

925 *Schulz, Wasmeier*, The Law of Business Organizations, 2012, 108. *შეფერი*, საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), 2018, § 36, ველი 8, 451.

926 გერმანიის შპს-ის სამართალიც ითვალისწინებს ხელმძღვანელთა მიერ ინფორმაციის დაუყონებლივ/მყისიერად ("*unverzüglich*") მიწოდებას, რომელიც კომენტატორულ ლიტერატურაში, გარდა სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობისა, განიმარტება როგორც „მიწოდება ბრალეული გაჭიანურების გარეშე", *Baumbach, Hueck, Zöllner, Noack*, 22. Aufl., 2019, GmbHG § 51a, Rn. 17.

927 *Wirth, Arnold, Greene*, Corporate Law in Germany, 2004, 18.

928 *Davies*, Introduction to Company Law, 2010, 115-117.

929 კანონის 146-ე მუხლის მე-3 პუნქტით ხდება გადამისამართება 174-ე მუხლზე.

930 იქვე, 174-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

ბის უფლების შეზღუდვა წესდებით დაუშვებელია.[931] თუმცა კანონი მაინც აღჭურვავს ხელმძღვანელ ორგანოს უფლების განხორციელებაზე უარის თქმის შესაძლებლობით. საამისოდ სავალდებულოა ლეგიტიმური საფუძვლის არსებობა, რომელიც საზოგადოების საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით, ქმნის უფლების განხორციელებაზე უარის თქმის აუცილებლობას. ამგვარი ლეგიტიმური საფუძველი საზოგადოების არსებითი ინტერესის შელახვის თავიდან არიდებას უკავშირდება.[932] *მაგალითად,* როდესაც არსებობს საფრთხე პარტნიორის მიერ ინფორმაციის საზოგადოების საზიანოდ გამოყენებისა;[933] ან პარტნიორი კონკურენტ საწარმოსთან დაკავშირებული პირია, ან საზოგადოების კომერციული საიდუმლოების კონფიდენციალურობის დაცვა მოითხოვს ასეთ გადაწყვეტილებას.[934] ხელმძღვანელი ორგანოს უარი წერილობითი ფორმით უნდა შესრულდეს და შესაბამის არგუმენტაციას შეიცავდეს.[935]

ბ.) ხმის უფლება და საერთო კრებასთან დაკავშირებული სხვა უფლებები

შპს-ის მართვის უმაღლესს და ფუნდამენტური კატეგორიის გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოდ საერთო კრება სახელდება.[936] საზოგადოების ნების ფორმირებაში, მის მართვაში პარტნიორის მონაწილეობა შეუზღუდავი უფლებაა და ზემოხსენებული ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის გაწევის გარდა, იგი მოიაზრებს კრების მოწვევის, მასში მონაწილებისა და ხმის უფლებებს.[937]

---

931 მსგავს დებულებას ითვალისწინებს გერმანიის შპს-ის სამართალი, § 51a, Abs. 3, GmbHG.

932 კანონის 146-ე მუხლის მე-2 პუნქტი. *Schulz, Wasmeier,* The Law of Business Organizations, 2012, 97.

933 *ჯანტურია, ნინიძე,* მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 290.

934 *Wirth, Arnold, Greene,* Corporate Law in Germany, 2004, 18.

935 შეად. კანონის თავდაპირველი რედაქციის 46-ე მუხლის მე-10 პუნქტს „მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი, 28/10/1994; გერმანიის შპს-ის კანონის 51ა მუხლის მე-2 აბზაცს, § 51a, Abs. 2, GmbHG.

936 *ლილუაშვილი,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 2005, 143-144.

937 *შეფერი,* საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), 2018, § 36, ველი

ბ.ა.) პარტნიორის ხმის უფლება

საერთო კრების გადაწყვეტილება მრავალმხრივ გარიგებად მიიჩნევა, რომელიც უმრავლესობის მიერ გამოვლენილი ნებით ფორმირდება.[938] ამ პროცესში ყველა პარტნიორს აქვს მონაწილეობის უფლება.[939] ხმის უფლების განხორციელებისას მნიშვნელოვანია პარტნიორის ნების სამართლებრივი ვარგისიანობა — ნამდვილობა და გარეგნული გამოხატვის ფორმით, მათ შორის, კონკლუდენტური მოქმედებით, მისი ადრესატამდე მისვლა — მიღება[940]. კენჭისყრაში მონაწილეობა და ხმის უფლების განხორციელება შპს-ის პარტნიორის ორგანიზაციულ მართვაში ინტეგრირების შესაძლებლობაა. პარტნიორი მას შესატანის განხორციელების შედეგად იძენს,[941] ხოლო კარგავს წევრობის სტატუსის შეწყვეტასთან ერთად. განსხვავებით ამხანაგური ტიპის საზოგადოებებისაგან, კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში ხმის რაოდენობა საზოგადოების კაპიტალში პარტნიორის წილის მოცულობის შესაბამისია.[942] ხმის უფლების რეალიზაცია ექვემდებარება პრინციპს, რომლის თანახმად, ერთი წილი/აქცია უზრუნველყოფს ერთ ხმას, რომელსაც ევროპის კავშირის სამართალიც განამტკიცებს.[943] შპს-იც ერთი წილი, როგორც წესი, უზრუნველყოფს ერთ ხმას.[944]

ხმის უფლების განხორციელებისაგან, ე. ი. კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავის შეკავების უფლება პარტნიორს არ

8, 450.

938 თუმცა ასევე არსებობს იმგვარი გადაწყვეტილებები, რომლებიც საჭიროებს ყველა პარტნიორის თანხმობას: *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი 2011, 304-305. განსხვავებული აზრი, კრების გადაწყვეტილების შიდაორგანიზაციულ ბუნებაზე იხ.: *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე*, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 189-191.

939 კანონის 36-ე და 130-ე მუხლი. *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 48.

940 ნების გამოვლენასა და მის ნამდვილობაზე, იხ.: *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 316-320.

941 *Grudmann*, European Company Law, 2012, 301.

942 კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 126-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

943 *Grudmann*, European Company Law, 2012, 301.

944 *შეფერი*, საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), 2018, § 36, ველი 8, 450-451.

აქვს: იგი ან მხარს უჭერს მისაღებ გადაწყვეტილებას, ან — არა.[945] აგრეთვე, პარტნიორის კენჭისყრაში მონაწილეობის მიუღებლობა კონკლუდენტურად გაცხადებულ თანხმობასთან არ ასოცირდება. *მაგალითად*, კანონის 129-ე მუხლი ითვალისწინებს წესდებით საკითხთა იმ კატეგორიის განსაზღვრის შესაძლებლობას, რომელზე გადაწყვეტილება კრების ორგანიზების გარეშეც მიღება. ამ ფორმით გადაწყვეტილების მიღებისას, კრების მომწვევი ორგანო/პირები პარტნიორებს, გადაწყვეტილების პროექტთან ერთად, შესაბამის ინფორმაციას აწვდიან, ხოლო პარტნიორები წინასწარ დადგენილ ვადაში წერილობით აცხადებენ საკუთარ მოსაზრებას განსახილველ საკითხზე.[946] მოსაზრების წარსადგენად ვადის გაშვება პარტნიორის მიერ გაცხადებულ თანხმობად არ გარდაიქმნება.[947] ამგვარი მოწესრიგება ორგანიზაციული მართვის სიმარტივეს უზრუნველყოფს და კრების ორგანიზებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ხარჯის დაზოგვის ერთგვარ საშუალებადაც განიხილება.[948]

წესდება ადგენს პარტნიორის მიერ ხმის უფლების განხორციელების წესს, რომლის შესახებ ინფორმაცია პარტნიორს მოსაწვევთან ერთად ეგზავნება.[949] დასაშვებია კენჭისყრაში წერილობითი,[950] მათ შორის, ელექტრონული ფორმით მონაწილეობა.[951] კანონი დისპოზიციური მოწესრიგების ფარგლებში, დისტანციური ფორმით კენჭისყრაში მონაწილეობის შესაძლებლობას, შესაბამისი ფორმალური წინაპირობების დაცვით, უშვებს.[952] ასევე, შესაძლებელია კენჭისყრაში როგორც ინდივიდუალურად (პირადად), ისევე წარმო-

945 *Wirth, Arnold, Greene*, Corporate Law in Germany, 2004, 29.

946 კანონის 129-ე მუხლი.

947 იქვე, 129-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

948 *გიგუაშვილი, ჯულელი*, განმარტებები „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის პროექტზე, 2021, 150.

949 კანონის 131-ე მუხლის პირველი პუნქტი.

950 *Schulz, Wasmeier*, The Law of Business Organizations, 2012, 92.

951 განსაკუთრებით კი, საკორპორაციო სამართლის დიჯიტალიზაციის ეპოქაში, *European Commission*, The Informal Company Law Expert Group, Report on Digitalisation in Company Law, 2016.

952 ნების ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით გამოვლენა უნდა დადასტურდეს ნორტარიუსის მიერ ან ელ. ხელმონერით, კანონის 131-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტი.

მადგენლის მეშვეობით მონაწილეობას. წარმომადგენლობა შესაძლოა განხორციელდეს როგორც თანაპარტნიორის, ისე მინდობილობის საფუძველზე, არაპარტნიორი (ფიზიკური თუ იურიდიული) პირის მიერ.[953]

დახურული ტიპის კაპიტალური საზოგადოების წესდება შესაძლებელია, ითვალისწინებდეს უმცირესობაში მყოფი პარტნიორის დაცვის დამატებით, სახელშეკრულებოსამართლებრივ მექანიზმებს. ერთ-ერთ ამგვარ ინსტრუმენტს „ვეტოს უფლება" წარმოადგენს. იგი წესდებით გათვალისწინებულ საკითხებზე საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს, უმცირესობაში მყოფ პარტნიორ(ებ)ს ვეტოს დადების უფლებით აღჭურვავს.[954] გარდა ამისა, უმცირესობაში მყოფ პარტნიორებს შესაძლებლობა აქვთ, „ხმების გაერთიანების ხელშეკრულების" საფუძველზე არსებითი ზეგავლენა მოახდინონ კენჭისყრის პროცესზე.[955] კანონის 149-ე მუხლის თანახმად, წესდების მიღმა სხვა პარტნიორული შეთანხმებების დადება სავსებით შესაძლებელია. ცხადია, ამგვარი ხელშეკრულების არსებობის შესახებ სავალდებულოა შპს-ის ინფორმირება, მაგრამ მისი იურიდიული მოქმედება მხოლოდ ამგვარი ხელშეკრულების მონაწილე მხარეებით შემოიფარგლება.[956]

კაპიტალური ტიპის საზოგადოებათა სამართალში ხმის უფლება და მისი რაოდენობრივი მაჩვენებელი ცალკეულ დამატებით უფლებათა განხორციელების ინდიკატორიც გახლავთ. *მაგალითად*, ხმის უფლების მქონე წილების სულ მცირე 5%-ის მფლობელ პარტნიორ(ებ)ს შეუძლია(თ) რიგგარეშე კრების მოწვევა.[957] მეორე მხრივ, ხმის უფლება პარტ-

---

953 იქვე, 126-ე მუხლის მე-5 პუნქტის ბოლო წინადადება. კენჭისყრაში წარმომადგნელობითი მონაწილეობის შესახებ დამატებით იხ. მომდევო ქვეთავი სახელწოდებით: *„ა) კრებაში მონაწილეობის უფლება წარმომადგენლის მეშვეობით"*.

954 *Bachmann, Eidenmüller, Engert, Fleischer,* Regulating the Closed Corporation, 2014, 42-43.

955 იგულისხმება "*Vote-Pooling Agreements*", *Palmiter*, Corporations, 2012, 536-540.

956 კანონის 177-ე მუხლი. საზოგადოების წესდებასთან ერთად პარტნიორული შეთანხმებები დამატებით შიდაორგანიზაციული ურთიერთობის მონესრიგების წყაროა, დამატებით იხ.: *Miliauskas*, Company Law Aspects of Shareholders' Agreements in Listed Companies, 2014, 123-126.

957 კანონის 128-ე მუხლი.

ნიორული ინტერესის დაცვის მექანიზმს წარმოადგენს. როგორც სახელმძღვანელოს წინა თავებში აღინიშნა, რიგ საკითხთა დადებითი გადაწყვეტილება საჭიროებს პარტნიორთა სრულ, კვალიფიციურ ასევე უბრალო უმრავლესობას. შპს-შიც, მსგავსად სხვა ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმებისა, ხმის უფლების თავისუფლად განხორციელება „შებოჭილია" პარტნიორის ერთგულების მოვალეობის ზოგადი სტანდარტით[958].

ბ.ა.ა.) ხმის უფლების განხორციელება აკუმულირების მეთოდით

აკუმულირების ხმის მიცემის მეთოდი გამოიყენება ხელმძღვანელი ორგანოსა ანდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევის მიზნით, ისიც წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან კრების გადაწყვეტილებით.[959] განასხვავებენ კენჭისყრის პირდაპირ და აკუმულირების სისტემებს.[960] პირდაპირი სისტემის თანახმად, პარტნიორი კენჭისყრაში მონაწილეობს მის საკუთრებაში არსებული ხმების მთლიანი მოცულობით და კონკრეტული საკითხის დადებითად გადაწყვეტას ან უჭერს მხარს, ან — არა. ამ სისტემისგან განსხვავებით, აკუმულირების მეთოდი პარტნიორის საკუთრებაში არსებული ხმების გადანაწილების საშუალებას იძლევა.[961] იგი უმცირესობაში მყოფი პარტნიორების დაცვის მექანიზმია, რადგან მათთვის სასურველი ხელმძღვანელი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის მეტ შესაძლებლობას ქმნის.[962] განსხვავებით პირდაპირი ხმის მიცემის მეთოდისაგან, პარტნიორს შესაძლებლობა აქვს, საკუთარი ხმების რაოდენობა სხვადასხვა ასარჩევ კანდიდატზე გადაანაწილოს.[963]

---

958 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომის II, 2013, 166-167.

959 კანონის 132-ე მუხლი, გადამისამართება ხდება სააქციო საზოგადოების სპეციალურ ნორმაზე, 199-ე მუხლი.

960 *Pinto, Braton*, Understanding Corporate Law, 2018, 113.

961 *ჭანტურია, ნინიძე*, მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 279.

962 *კრააკმანი, არმური, დევისი და სხვ.*, საკორპორაციო სამართლის ანატომია, შედარებითი და ფუნქციური მიდგომა, ქოჩიაშვილი/მაისურაძე (მთარგ.), 2019, 121-123.

963 *Palmiter*, Corporations, 2012, 140.

ხმის მიცემა აკუმულირების მეთოდით, საკანონმდებლო მოწესრიგების თანახმად, შემდეგი პრინციპების დაცვით ხორციელდება[964]:

ა) პარტნიორი ანაწილებს მის განკარგულებაში არსებულ ხმებს ნებისმიერი ოდენობით კენჭისყრაში მონაწილე **ყველა** ან **ზოგიერთ** კანდიდატზე, თუმცა ისე, რომ მის მიერ განაწილებული ხმების ჯამი არ აღემატებოდეს მის განკარგულებაში არსებული ხმების საერთო რაოდენობას. კენჭისყრაში მონაწილე კანდიდატებზე ერთი პარტნიორის მიერ **გადანაწილებული ხმების ჯამურ ოდენობას** თუკი აღვნიშნავთ X-ით, ხოლო ამავე პარტნიორის **ხმების ჯამურ ოდენობას** Y-ით, მაშინ ზემოხსენებული პრინციპის ფორმულირება შემდეგნაირი იქნება:

$X \leq Y$

ე. ი. კენჭისყრაში მონაწილე კანდიდატებზე ერთი პარტნიორის მიერ გადანაწილებული ხმების ჯამური ოდენობა (X) უნდა იყოს **ნაკლები** ან **ტოლი** ამავე პარტნიორის საკუთრებაში არსებული ხმების საერთო რაოდენობისა (Y). აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარეობს მომდევნო დასკვნა, რომ თავად აკუმულირების სისტემა შეიძლება დავაჯგუფოთ **ხმის გადანაწილების თანაბარ** და **არათანაბარ** მეთოდებად.

მაგალითად: თუკი პარტნიორი „ა" ფლობს **100 ხმას**, ხოლო ასარჩევია სამეთვალყურეო საბჭოს **5 წევრი**, მას შეუძლია მის საკუთრებაში არსებული 100 ხმა **თანაბარი** ან **არათანაბარი პროპორციით** გადაანაწილოს კენჭისყრაში მონაწილე 5 კანდიდატზე. ე. ი., **თანაბარი განაწილების შემთხვევაში** თითოეულ კანდიდატს მხარი დაუჭიროს 20-20 ხმით (5 კანდიდატი × 20 ხმა = 100 ხმა), ხოლო **არათანაბარი განაწილების შემთხვევაში**, სურვილისამებრ, პირობითად, კენჭსყრაში მონაწილე 5 კანდიდატიდან I კანდიდატს მხარი დაუჭიროს 10 ხმით, II კანდიდატს — 30 ხმით, III კანდიდატს — 40 ხმით, IV კანდიდატს — 5 ხმით, V კანდიდატს — 15 ხმით (10 ხმა + 30 ხმა + 40 ხმა + 5 ხმა + 15 ხმა = 100 ხმა).

ბ) პარტნიორს არ აქვს კენჭისყრაში რომელიმე კანდიდატის საწინააღმდეგოდ ხმის მიცემის უფლება.

---

964 კანონის 199-ე მუხლი.

გ) კენჭისყრაში გამარჯვებულ წევრთა დასადგენად, ყურადღება ექცევა მონაწილე კანდიდატთა (**a**) და ასარჩევ წევრთა (**b**) რაოდენობის ურთიერთმიმართებას, ე. ი. უნდა განისაზღვროს, თუ რამდენი კანდიდატი იღებს კენჭისყრაში მონაწილეობას და რამდენი წევრია ასარჩევი. თუკი კონკურენცია ასარჩევ წევრთა შორის არ არსებობს, რადგან ასარჩევ წევრთა რაოდენობა **მეტი** ან **ტოლია** კენჭისყრაში მონაწილე კანდიდატთა რაოდენობისა (**b ≥ a**), ყველა მონაწილე კანდიდატი, რომელმაც აკუმულირების მეთოდით მინიმუმ 1 ხმა მაინც მიიღო, აირჩევა. აქედან გამომდინარე, ვადგენთ, რომ **მხარდაჭერის მინიმალური ზღვარი არის 1 ხმა**. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ასარჩევ წევრთა რაოდენობა ნაკლებია კენჭისყრაში მონაწილე კანდიდატთა რაოდენობისა (**b < a**), ამგვარი კონკურენციის პირობებში, წევრად აირჩევა მხოლოდ ის კანდიდატ(ებ)ი, რომელმაც აკუმულირების მეთოდით ხმათა უმრავლესობა მიიღო.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ კენჭისყრის აკუმულირების სისტემა უფრო მეტად დახურული ტიპის კაპიტალურ საზოგადოებებში (იგულისხმება შპს და დახურული ტიპის სს) გამოიყენება, მინორიტარ პარტნიორთა კანონიერი ინტერესის დაცვისა და ორგანიზაციულ მართვაში მათი წარმომადგენლობის ეფექტიანი უზრუნველყოფის გამო.

ბ.ა.ბ.) ხმის უფლების შეზღუდვა

ერთმანეთისაგან განსხვავდება ხმის უფლების შეზღუდვის კანონისმიერი და გარიგებითსამართლებრივი (წესდებისმიერი) საფუძველი. წესდებით შესაძლებელია დაკონკრეტდეს ხმის უფლების შეზღუდვის ცალკეული შემთხვევები.[965] შესაძლებელია წილთა იმგვარი კლასის გამოშვება, რომელიც თავისთავად არ უზრუნველყოფს ხმის უფლებას.[966]

---

965 იქვე, 131-ე მუხლი.

966 იქვე, 135-ე მუხლი. *შეფერი,* საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), 2019, § 36, ველი 8, 451.

თუმცა ხმის უფლების არმქონე განთავსებულ წილთა კლასის უფლება-მოვალეობების ცვლილება (მათ შორის, უფლების მინიჭება ან ვალდებულების დაკისრება), ამავე კლასის პარტნიორების თანხმობას საჭიროებს.[967] ამდენად, ხმის უფლების მინიჭების კანონისმიერ საფუძვლად უნდა დასახელდეს.

კანონის 127-ე მუხლი საზღვრავს იმ შემთხვევებს, როდესაც პარტნიორს არ აქვს ხმის უფლების გამოყენების შესაძლებლობა. გადაწყვეტილებებში, რომლის მიმართ შპს-ის პარტნიორი ინტერესთა კონფლიქტს განიცდის, კენჭისყრაში იგი მონაწილეობას არ იღებს.[968] *მაგალითად*, კანონის 37-ე მუხლი იცნობს ხელმძღვანელი ორგანოს ანდა სამეთვალყურეო საბჭოს გაწეული სამუშაოს საერთო კრების მიერ მოწონების ინსტიტუტს. თუკი ხელმძღვანელი პირი ამავდროულად საზოგადოების პარტნიორია, ცხადია, კრებაზე მას შეეძლება დასწრება და კრებასთან დაკავშირებული „მონაწილეობითი" უფლებების განხორციელება (შეკითხვის დასმა, აზრის გამოთქმა, სხვა), თუმცა ხმის უფლებით იგი ვერ ისარგებლებს, რადგან მისაღები გადაწყვეტილებისადმი დაინტერესებულ პირად მიიჩნევა. ინტერესთა კოლიზიის გამო, პარტნიორი ვერც თანაპარტნიორის წარმომადგენლის რანგში წარმოდგება და თანაპარტნიორის ხმის უფლების განმახორციელებელი ვერ იქნება, გარდა შემთხვევისა, როდესაც თანაპარტნიორისგან წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მას მინდობილობის საფუძველზე აქვს მინიჭებული.[969] ანალოგიური გადაწყვეტა ექნება შემთხვევას, როდესაც კრება განიხილავს პარტნიორსა და საზოგადოებას შორის დავას, მისი ვალდებულების მოცულობის შემცირებას ან მასთან ხელშეკრულების დადების საკითხს. *მაგალითად*, ხელმძღვანელ პირად მის არჩევას, საზოგადოებიდან მის გარიცხვას[970]. განსაკუთრებული სენსიტიურობით გამოირჩევა შემთხვევა, როდესაც შპს-ს მხოლოდ ორი პარტნიორი ჰყავს და გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე, ხმათა თანაბარი გადანაწილების გამო „ჩიხური მდგომარეობა" იქმნება. ამგვარი

967 კანონის 135-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

968 *Andenas, Wooldridge*, European Comparative Company Law, 2009, 306.

969 კანონის 126-ე მუხლის მე-5 პუნქტის ბოლო წინადადება.

970 იქვე, 126-ე მუხლის მე-5 პუნქტი, 143-ე მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტი.

ვითარების არიდების მიზნით, განსახილველი საკითხისადმი ინტერესთა კონფლიქტის მქონე პარტნიორს ხმის უფლების განხორციელება შეზღუდული აქვს და გადაწყვეტილება მიიღება სწორედ ისე, როგორც ერთკაცა შპს-ში.[971] რაც შეეხება ერთკაცა შპს-ს, მასში ხმის უფლების შეზღუდვის ინსტიტუტი, ზოგადად, არ მოქმედებს.[972]

ბ.ბ.) საერთო კრებასთან დაკავშირებული სხვა უფლებები

ბ.ბ.ა.) კრებაში მონაწილეობის უფლება წარმომადგენლის მეშვეობით

პარტნიორის მონაწილეობა საერთო კრებაზე შეუზღუდავია. ამ პრინციპს განამტკიცებს კანონის, რომლის თანახმად, დაუშვებელია კრების იმგვარად ორგანიზება, რომ გამოიწვიოს პარტნიორის მონაწილეობის უფლების გაუმართლებელი ხელშეშლა.[973] ინდივიდუალურად მონაწილეობის გარდა, კანონი უზრუნველყოფს პარტნიორის მონაწილეობას წარმომადგენლის მეშვეობით.[974] *მაგალითად,* როდესაც შპს-ის პარტნიორი იურიდიული პირია, საერთო კრებაზე იგი ნებას წარმომადგენლის მეშვეობით ავლენს. კრებაზე არაინდივიდუალური მონაწილეობა კრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა უფლების წარმომადგენლის მეშვეობით განხორციელებას გულისხმობს. *მაგალითად,* ხმის მიცემის გარდა, შეკითხვითა და განცხადებით მიმართვა, დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვა, სხვა. კრებაზე წარმომადგენლობითი მონაწილეობა სამ სავალდებულო წინაპირობას ექვემდებარება: ა) წარმოდგენილი პარტნიორის წევრობის სტატუსის არსებობა და შეუზღუდავი უფლებამოსილება (*მაგალითად,* კანონი იცნობს შემთხვევას,[975] როდესაც სასამართლომ სა-

971 იქვე, 143-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

972 *Wirth, Arnold, Greene*, Corporate Law in Germany, 2004, 30.

973 კანონის 127-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

974 იქვე, 130-ე მუხლი.

975 იქვე, 143-ე მუხლის მე-5 პუნქტი. თუმცა ასეთ შემთხვევაშიც, პარტნიორს აქვს საერთო კრებაზე მონაწილეობის, აზრის გამოხატვის, შეკითხვის დასმის (და სხვ.) უფლებები.

ზოგადოების მიმართვის საფუძველზე შეუძლია პარტნიორს დროებით შეუზღუდოს ხმის უფლება და შეუჩეროს სხვა არაქონებრივი უფლებებით სარგებლობა); ბ) წარმომადგენლობითსამართლებრივი ურთიერთობის ნამდვილობა, რომლის საფუძველი პარტნიორის მიერ უფლებამოსილების გარკვეული ვადით მინიჭების წერილობითი აქტია (რწმუნებულება[976]); და გ) წარმომადგენლობითი მონაწილეობის თაობაზე საერთო კრების მომწვევი ორგანოს ან პირ(ებ)ის დროული ინფორმირება, მათ შორის, მინდობილობის გადაცემა. წარმომადგენლობის მეშვეობით კრებაში მონაწილეობის უფლება ვრცელდება როგორც მორიგ, ისევე რიგგარეშე საერთო კრებაზე და მასში არა მხოლოდ გარიგებით, არამედ კანონით წარმომადგენლობაც იგულისხმება.

ამგვარი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები, მისი დასაწყისი და დასასრული სამოქალაქოსამართლებრივი ნორმებით განისაზღვრება. თავის მხრივ პარტნიორის წარმომადგენელიც შეიძლება იყოს როგორც თანაპარტნიორი, ისე არაპარტნიორი პირი, მეორე მხრივ, როგორც ფიზიკური, ისევე იურიდიული პირი. წარმომადგენელსა და წარმოდგენილ პირს შორის არსებული ურთიერთობა კეთილსინდისიერების პრინციპს ეყრდნობა და წარმომადგენელს პარტნიორის ინტერესით მოქმედების მოვალეობას აფუძნებს.[977] თავისთავად, აღნიშნული არ გულისხმობს წარმომადგენლობის განხორციელებისას პარტნიორის ერთგულების ზოგადი მოვალეობის სტანდარტიდან გადახვევას და საზოგადოების თუ სხვა პარტნიორთა კანონიერი ინტერესისა და უფლებების უგულებელყოფას.

---

976 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართალის ზოგადი ნაწილი, 2011, 425-426.

977 წარმომადგენლის მეშვეობით კენჭისყრაში მონაწილეობას ევროპის საკორპორაციო სამართლითაც იცნობს, კერძოდ, აქციონერთა უფლებათა დირექტივით განისაზღვრება ის მინიმალური სტანდარტი, რომელსაც წარმომადგენელი (*"Proxy"*) უნდა აკმაყოფილებდეს, *Grudmann*, European Company Law, 2012, 305-306. ცხადია, დირექტივის მოქმედება არ ვრცელდება დახურული ტიპის კაპიტალურ საზოგადოებებზე. მათთვის მხოლოდ საორიენტაციო და სარეკომენდაციო ხასიათის მქონეა. წარმომადგენელსა და წარმოდგენილს შორის ყალიბდება ე. წ. „აგენტ-პრინციპალის" ურთიერთობა, *Palmiter*, Corporations, 2012, 136.

ბ.ბ.ბ.) დღის წესრიგში ცვლილების ინიცირებისა და რიგგარეშე კრების მოწვევის უფლება

ამ ორ უფლებას შორის კავშირ-ურთიერთობა განპირობებულია იმით, რომ ორივე უზრუნველყოფს პარტნიორის ორგანიზაციულ მართვაში მონაწილეობის ფართო შესაძლებლობას, კრებაზე განსახილველ საკითხთა ინიცირებასა და რიგგარეშე (სპეციალური) კრების ორგანიზებას. აღნიშნული განსაკუთრებულ ყურადღებას უმცირესობაში მყოფი პარტნიორის პერსპექტივიდან იქცევს და მათი კანონიერი ინტერესის დაცვის მექანიზმად განიხილება.

ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად, პარტნიორებს ეგზავნებათ საერთო კრებაზე განსახილველ საკითხთა დღის წესრიგი, რომელთა შინაარსში დამატებებისა და ცვლილების შეტანა, კრების ჩატარებამდე გონივრული ვადის დაცვით (სამი დღით ადრე) არის უზრუნველყოფილი.[978] წესდებით ამ უფლების შეზღუდვა ან გაუქმება დაუშვებელია. სულ მცირე სამდღიანი ვადის დაცვა განსახილველი საკითხების გაცნობისა და შესწავლისთვის განკუთვნილ მინიმალურ ვადად არის მიჩნეული. პარტნიორს უფლება აქვს თითოეულ განსახილველ საკითხზე გამოითხოვოს განმარტება, დამატებითი ინფორმაცია კრების მომწვევი ორგანოს ან პირ(ებ)ისგან. მომწესრიგებელი ნორმის თანახმად, დღის წესრიგში ცვლილებისა და დამატებების შეტანაზე, განსახილველ საკითხებზე დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვნის შესახებ უარი სამეწარმეო საზოგადოების „არსებითი ინტერესებით" უნდა იყოს არგუმენტირებული. ასეთ შემთხვევაში, ხელმძღვანელ ორგანოს აკისრია წერილობითი დასაბუთების წარდგენის ვალდებულება. უარი შესაძლებელია, გამომდინარეობდეს განსახილველი საკითხის შინაარსიდან, მისი კონფიდენციალურობის დაცვის მიზნიდან, ასევე, განსახილველი საკითხისადმი პარტნიორის ინტერესთა კოლიზიიდან. ამრიგად, 127-ე მუხლში დასახელებული საზოგადოების „არსებითი ინტერესი" ინდივიდუალური შემთხვევისდა მიხედვით, სამეწარმეო საზოგადოების საუკეთესო ინტერესით განმარტების საგანია.

---

978 კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

რიგგარეშე კრების პროცედურულ ორგანიზებას კანონის 128-ე მუხლი ეთმობა. რიგგარეშე კრების მოწვევა საზოგადოების საუკეთესო ინტერესით უნდა იყოს ნაკარნახევი.[979] სულ მცირე 5%-ის მფლობელ პარტნიორს ან პარტნიორთა ჯგუფს აქვს რიგგარეშე კრების მოწვევის მოთხოვნითა და შესაბამისი წერილობითი დასაბუთებით კრების მომწვევი ორგანოსადმი მიმართვის უფლება.[980] მოწვევაზე მოთხოვნის უფლება არსებობს იმ შემთხვევაში, თუკი ბოლო კრების ჩატარებიდან გასულია სულ მცირე 1 თვე.[981] 128-ე მუხლის მიზნებისათვის არ იმიჯნება ხმის უფლების მქონე ან ხმის უფლების არმქონე წილობრივი კლასი. რიგგარეშე კრების უშუალოდ მოწვევა პარტნიორს მხოლოდ მას მერე შეუძლია, როდესაც კანონით დადგენილ ვადაში თავდაპირველ მიმართვას შესაბამისი რეაგირება არ მოჰყვება. ამასთანავე, რიგგარეშე კრების დღის წესრიგის შინაარსი ვერ გადაუხვევს შპს-ის სამეწარმეო საქმიანობის არსს და მისი საქმიანობის ხასიათს.[982]

ბ.ბ.გ.) კრების ოქმის გაცნობისა და გასაჩივრების უფლება

კრების ოქმის წერილობითი შედგენა და მისი ასლის პარტნიორებისათვის გაგზავნა ყველა ორგანიზაციულსამართლებრივ ფორმაში სავალდებულოა.[983] ოქმი ფორმალური წინაპირობების დაცვით, წერილობით უნდა იქნეს შედგენილი; წესდებით განსაზღვრულ შემთხვევაში მას ადგენს/ამოწმებს ნოტარიუსი და კრების დასრულებიდან 15 დღის ვადაში პარტნიორებთან იგზავნება.[984] ოქმის წერილობითი წარმოება ასევე სავალდებულოა ერთკაცა შპს-ში.[985] კანონი იმპერატიულად

---

979 *Schultz, Wasmeier*, The Law of Business Organizations, A Concise Overview of German Corporate Law, 2012, 92.

980 ამგვარ უფლებას ანიჭებს გერმანიის შპს-ის კანონი, იმ განსხვავებით, რომ ნილის 5%-ის ნაცვლად სავალდებულოა ნილის სულ მცირე კაპიტალის 10% ნილის მფლობელობა, § 50, Abs. 1, GmbHG.

981 კანონის 128-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

982 იქვე, 127-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

983 იქვე, 38-ე მუხლი.

984 იქვე, 38-ე მუხლის პირველი პუნქტი.

985 *Andenas, Wooldridge*, European Comparative Company Law, 2009, 307.

ადგენს, იმ კრების ოქმის ასლის გაგზავნის ვალდებულებას, რომელიც საერთო კრების ორგანიზებისა და მოწვევის გარეშე იქნა მიღებული.[986] ამგვარი ასლის გაგზავნა სპეციალურ ვადაში, გადაწყვეტილების ოქმის შედგენიდან არაუგვიანეს 5 კალენდარულ დღეში ხორციელდება. როგორც ზემოთ აღინიშნა, თითოეულ პარტნიორს აქვს შპს-ის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის, ჩანაწერების გაცნობის შესაძლებლობა. სწორედ ამ უფლებით რეალიზდება საერთო კრების ოქმის გაცნობის უფლებაც.[987]

ოქმის გაცნობის უფლება მჭიდროდ უკავშირდება კრების გადაწყვეტილების ბათილობისა და შეცილების საკითხს. გადაწყვეტილების სრულად ან მისი ნაწილის ბათილობაზე მითითების უფლებით ყველა პარტნიორი სარგებლობს, მათ შორის, ისინი, ვინც არ ესწრებოდნენ კრებას.[988] აღნიშნულს განამტკიცებს ისიც, რომ საერთო კრების გადაწყვეტილების მოქმედების სავალდებულო ხასიათი არ შემოიფარგლება მხოლოდ კრებაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე პარტნიორებით. მისი შესრულება ხელმძღვანელი ორგანოსთვისაც არის სავალდებულო.[989] შესაბამისად, პარტნიორთა უფლება კრების ხარვეზიანი გადაწყვეტილების მიმართ მოიაზრებს გასაჩივრებას: გადაწყვეტილების სრულად ან მისი ნაწილის ბათილობის, შეცილების საფუძვლის არსებობის ან იურიდიული ძალის არქონის შემთხვევაში.[990] კანონი ბათილობაზე მითითების უფლებიდან გამონაკლისს ფორმალური და მატერიალური კრიტერიუმებით ადგენს. კერძოდ, ფორმალური უკავშირდება ხანდაზმულობის სპეციალური ვადის უშედეგო გაშვებას, ხოლო მატერიალური (შინაარსობრივი) — გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის დაუშვებლობას არარსებითი ხარვეზის გამო.[991]

---

986 კანონის 129-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

987 იქვე. *Römermann/MHLS*, GmbHG, 3. Aufl. 2017, § 48 Rn. 197.

988 *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 192. კანონის 93-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „ბ" პუნქტი.

989 კანონის 36-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

990 *შეფერი,* საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), 2018, § 36, ველი 9-18, 452-457.

991 კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 93-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ბ.გ.) ინდივიდუალური და ნაწარმოები (დერივაციული) სარჩელის უფლება

გასაჩივრების უფლება პარტნიორის ნებართვიდან გამომდინარე უფლებათა დაცვის ან რიგ შემთხვევაში, განხორციელების საშუალებაა. *მაგალითად,* თუკი არაარსებითი საფუძვლით ეთქვა პარტნიორს უარი საერთო კრების დღის წესრიგში ცვლილებისა და დამატების შეტანაზე, ასევე, თუკი უსაფუძვლოდ ეთქვა უარი საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის უფლებაზე, მას აქვს სასამართლოსადმი მიმართვის გზით უფლების განხორციელების საშუალება. საერთო კრების გადაწყვეტილებათა გასაჩივრების გარდა, პარტნიორს აქვს ხელმძღვანელ ორგანოთა, მათ შორის, სამეთვალყურეო საბჭოს (შპს-ში ამგვარი ორგანოს არსებობის შემთხვევაში) გადაწყვეტილებათა შეცილების უფლებაც.[992] როგორც ამას კანონის 93-ე მუხლი განსაზღვრავს, შეცილებული გადაწყვეტილება პარტნიორის უფლებრივ მდგომარეობაზე არსებით ზეგავლენას უნდა ახდენდეს. კერძოდ, აკისრებდეს დამატებით ვალდებულებას ან ზღუდავდეს მის უფლებას. საკუთარი სახელით პარტნიორს ასევე თანაპარტნიორის მიმართ აქვს მოთხოვნათა წარდგენის შესაძლებლობა; *მაგალითად,* დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამო, მოთხოვნები თანაპარტნიორის ერთგულების ზოგადი მოვალეობის დარღვევიდან გამომდინარე.[993] ინდივიდუალური სარჩელის გარდა, არსებობს კლასობრივი სარჩელიც, რომელსაც პარტნიორთა კონკრეტული კლასის წარმომადგენლები აღძრავენ, თუმცა ფაქტობრივად ხორციელდება ამ კლასის წარმომადგენელი ერთი ან ორი პარტნიორის მიერ.[994]

დერივაციული, იგივე ნაწარმოები სარჩელი პარტნიორს საკუთარი სახელითა და საზოგადოების სასარგებლოდ როგორც შიდა, ისევე გარესამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიმართ წარმოშობილი მოთხოვნის გამო სარჩელის

---

992 იქვე, 93-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტი.

993 იქვე, 148-ე და 34-ე მუხლი. *Wirth, Arnold, Greene*, Corporate Law in Germany, 2004, 19.

994 *Schneeman*, The Law of Corporations and Other Business Organizations, 2010, 382.

წარდგენას გულისხმობს.[995] ამგვარი სარჩელი ხელმძღვანელთა კონტროლის ერთგვარ მექანიზმადაც კი შეიძლება იქნეს განხილული იმდენად, რამდენადაც დერივაციული სარჩელის მოპასუხე საზოგადოების ხელმძღვანელიც შეიძლება იყოს. პირი სათანადო მოსარჩელედ იმ შემთხვევაში მიიჩნევა, თუკი უპირველესად იგი პარტნიორული სტატუსის მატარებელია. აღნიშნული არ გამორიცხავს პარტნიორის მინდობილობის საფუძველზე წარმომადგენლობას. დერივაციული სარჩელის აღძვრა შესაძლოა, მოხდეს ერთად მოქმედი პარტნიორების მიერ, საზოგადოების კაპიტალში მათი წილობრივი მონაწილეობის მოცულობისა და წილის კლასით უზრუნველყოფილი ხმის უფლებისაგან დამოუკიდებლად. სავალდებულოა იმ ფორმალური პროცედურის დაცვა, რომელსაც კანონი დერივაციული სარჩელის აღძვრის ბოროტად გამოყენების აღკვეთას ემსახურება. თავდაპირველად, პარტნიორი სარჩელის აღძვრის მოთხოვნით სნორედ საზოგადოებას მიმართავს და თუკი სავალდებულო ვადის (90 დღე) გასვლის შემდგომ მის ამგვარ მიმართვას რეაგირება არ მოჰყვება, მას წარმოეშვება სარჩელის აღძვრის მიზნით დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობა.[996] მიმართვისთვის წერილობითი ფორმაა დადგენილი, რომელიც მიღებასავალდებულო ხასიათისაა, ხოლო ადრესატი თავად სამეწარმეო საზოგადოება გახლავთ.[997] ვადის ათვლის მიზნებისთვის, მხედველობაში მიიღება წერილობითი მიმართვის მიღების მომენტი. პარტნიორის მიმართვის საპასუხო გადაწყვეტილებას საზოგადოების საერთო კრება, როგორც შპს-ის ნების განმსაზღვრელი უმაღლესი ორგანო[998], იღებს. მომწესრიგებელი ნორმის მიხედვით, დადგენილიდან გამონაკლისს დასახელებული ვადის გასვლამდე წარდგენილ მოთხოვნაზე საზოგადოების წინასწარი უარი ანდა ზემოხსენებული ვადის დაცვით გამოუსწორებელი ზიანის საფრთხე წარმოადგენს. „გამოუსწორებელი ზიანი" გუ-

---

995 კანონის 222-ე მუხლი. *Wirth, Arnold, Greene*, Corporate Law in Germany, 2004, 19.

996 იქვე, 222-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

997 იქვე.

998 *Schultz, Wasmeier*, The Law of Business Organizations, A Concise Overview of German Corporate Law, 2012, 91.

ლისხმობს აუნაზღაურებელი კატეგორიის ზიანს[999], *მაგალითად*, მოთხოვნის განუხორციელებლობა ხანდაზმულობის ან აღსრულების შეუძლებლობის გამო,[1000] ბაზარზე დამკვიდრებული რეპუტაციის დაკარგვა. ასეთ შემთხვევაში მტკიცების ტვირთის მატარებელი თავად პარტნიორია. ცხადია, ამგვარი სასარჩელო წარმოების უფლება ხორციელდება პარტნიორის ერთგულების მოვალეობის დაცვით და ამდენად, მისი კეთილსინდისიერების ხარისხი სასამართლო კონტროლსაც ექვემდებარება. 222(2.ა)-ე მუხლის თანახმად, პარტნიორი სათანადო მოსარჩელად მიიჩნევა, თუკი სასამართლო დაადგენს, რომ პარტნიორის მოთხოვნა შპს-ის უპირატესი ინტერესის თანმხვედრია.

დერივაციული სარჩელი პარტნიორის ინდივიდუალური ან კლასობრივი სარჩელისაგან წარმოების შედეგების ადრესატების მიხედვით განსხვავდება.[1001] აღსანიშნავია, რომ დერივაციული სარჩელის აღძვრისას პარტნიორი მხოლოდ „ალტრუისტული" განზრახვით სულაც არ არის გამსჭვალული. ამგვარი სარჩელით სამეწარმეო საზოგადოების კანონიერი ინტერესის განხორციელება ინარჩუნებს კაპიტალის საერთო ღირებულებას, რაც არაპირდაპირ პარტნიორის წილის საბაზრო ღირებულებაზეც დადებითად აისახება.[1002] ინდივიდუალური ან კლასობრივი სარჩელის შემთხვევაში კი, ეკონომიკური შედეგები მხოლოდ პარტნიორზე პირდაპირ და უშუალოდ აისახება.[1003] ერთი პარტნიორის მიერ დერივაციული სარჩელის აღძვრა იმავე ეკონომიკურ და სამართლებრივ შედეგს წარმოშობს თანაპარტნიორების მიმართ. კანონი ასევე ადგენს დერივაციული სარჩელის აღძვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების საკითხს. შპს, პარტნიორთან

---

999 კანონის 222-ე მუხლის ანალოგიურ მონესრიგებას ითვალისწინებს „ბიზნეს კორპორაციათა მოდელური აქტი", რომელიც გამონაკლისის სახით ასევე ასახელებს ისეთ „გამოუსწორებელ ზიანს" (*"irreparable damages"*), რომლის ფულადი კომპენსაციის შეფასება შეუძლებელია. Model Business Corporation Act (2016 Revision), § 7.42.

1000 *ჯუღელი*, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, 2010, 175.

1001 *Schneeman*, The Law of Corporations and Other Business Organizations, 2010, 382.

1002 *Davies*, Introduction to Company Law, 2010, 176-177.

1003 *ზარანდია, მახარობლიშვილი*, საკუთრების ცნების ტრანსფორმაცია თანამედროვე სანივთო და საკორპორაციო სამართალში, 2018, 89-91.

შეთანხმებით, სასარჩელო წარმოების ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება, რომ ჩაენაცვლოს მას, მეორე მხრივ კი — სათანადო მოსარჩელედ პარტნიორის ცნობა წარმოშობს საზოგადოების ვალდებულებას სარჩელთან დაკავშირებული ხარჯის გონივრულ ფარგლებში ანაზღაურებას, ხოლო არცნობის შემთხვევაში კი — პირიქით.[1004]

1.7.3. ქონებრივი უფლებები

ა.) ქონების დისტრიბუცია და დივიდენდის გაცემის შემზღუდველი ნორმები

საზოგადოების კაპიტალის ფორმირების სამ ძირითად მეთოდს: შიდა, გარე და შერეულ დაფინანსებას განასხვავებენ.[1005] დახურული ტიპის საზოგადოებებში კაპიტალიზაციის და მისი მოზიდვის არცთუ ისე ფართო არჩევანია.[1006] შესაბამისად, სავალდებულოა საზოგადოების გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა, რომელიც საზოგადოების კაპიტალის დაცვის საკანონმდებლო თუ სახელშეკრულებო მექანიზმების საშუალებით გარესამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა — კრედიტორთა ქონებრივი ინტერესების დაცვასაც ემსახურება. ქონების დისტრიბუციად მიიჩნევა საზოგადოების მიერ პარტნიორისათვის გადაცემული ეკონომიკური ღირებულების მქონე სამართლებრივი სიკეთე, რომელიც შეიძლება იყოს მატერიალური თუ არამატერიალური კატეგორიის, ფულადი თუ არაფულადი ობიექტი.[1007] განცალკევებით უნდა აღინიშნოს კორპორაციული დისტრიბუციის ცნებაც, რომელიც პარტნიორული სტატუსიდან გამომდინარე ქონებრივი უფლებების შესაბამისად რეალიზდება.[1008] საზოგადოე-

---

1004 კანონის 199-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

1005 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, 2010, 233-236. *ზარანდია, მახარობლიშვილი*, საკუთრების ცნების ტრანსფორმაცია თანამედროვე სანივთო და საკორპორაციო სამართალში, 2018, 66-73. *Mäntysaari*, The Law of Corporate Finance: General Principles and EU Law, Vol. III: Funding, Exit, Takeovers, 2010, 7-10.

1006 *ზოიძე, ბურდული*, თანამედროვე სახელშეკრულებო სამართლის აქტუალური საკითხები, 2018, 94-103.

1007 *Ferran, Chan Ho*, Principles of Corporate Finance Law, 2014, 212-213.

1008 კორპორაციულ დისტრიბუციაში იგულისხმება ყველა ის დისტრიბუცია, რომელიც პარტნიორს საზოგადოების ქონებიდან მიეცემა, *Tokhadze*,

ბის ლიკვიდაციის შემდგომ ქონების მიღების გარდა, ქონების განაწილების ან საზოგადოებისგან წილის საკომპენსაციოდ გაცემული სამართლიანი ღირებულება პარტნიორს საზოგადოების კრედიტორთა მოთხოვნის უპირატესად გადაიცემა.[1009] კრედიტორთა და პარტნიორთა ეკონომიკური ინტერესების კონკურენციის მიუხედავად, სალიკვიდაციო ქონების მიღმა სხვა დისტრიბუციის შემთხვევაში მათი მოთხოვნები რაიმე იერარქიულ დაქვემდებარებას არ განიცდიან. პარტნიორების შეზღუდული პასუხისმგებლობის კვალობაზე აღნიშნული უფრო ამძაფრებს კაპიტალის შენარჩუნების ვალდებულებასა და ამგვარად კრედიტორის კანონიერი ინტერესების არაპირდაპირი დაცვის საჭიროებას. სწორედ ამიტომ, საზოგადოების ქონების შენარჩუნების მავალდებულებელი ნორმები რეგულირების იმპერატიული მეთოდით გამოირჩევა და პარტნიორებზე განაწილების ფორმალურ-მატერიალურ წინაპირობებს ზუსტად საზღვრავს.[1010, 1011]

ა.ა.) დივიდენდი, როგორც წილში გამოხატული ქონებრივი სიკეთე

ა.ა.ა.) დივიდენდის მიღება, როგორც პარტნიორის უფლება

დივიდენდი[1012] არის პარტნიორის წილი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების დადებით ეკონომიკურ შედეგებში.

Transforming Georgia's Regulations on Shareholders' Right to Interim Dividend Confronting the European Company Law, TalTech Journal of European Studies, Vol. 10, №2(31), 2020, 60-61; Council Directive 2017/1132, Art. 56.4

1009 *Boros, Duns,* Corporate Law, 2008, 328.

1010 რეგულირების სიხისტით განსაკუთრებით ღია (საჯარო) სააქციო საზოგადოების მოწესრიგება გამოირჩევა, *De Luca,* European Company Law, 2017, 29-31.

1011 წინამდებარე ქვეთავის შინაარსიდან გამომდინარე, მიზაშეწონილია რამდენიმე ტერმინოლოგიური განმარტებება: საზოგადოების ქონებაში იგულისხმება კაპიტალი მისი ეკონომიკური (ფართო) მნიშვნელობით [იხ. *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, 2010, 142-147, 149-151]; კორპორაციული დისტრიბუცია — პარტნიორის ქონებრივი უფლების რეალიზაციის ეკონომიკური შედეგია; ხოლო განთავსებული კაპიტალი — საწესდებო (წესდებისმიერი) კაპიტალი, საზოგადოების მთლიანი ქონების ნაწილი.

1012 ლათ. "*dividendum*" ნიშნავს გასაყოფს. ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, სილაგაძე (რედ.), 2005, 206.

დივიდენდის გაცემის ეკონომიკური საფუძველი ვალდებულებისაგან თავისუფალი ქონების არსებობაა. შესაბამისად, დაუშვებელია დივიდენდის განაწილების გარე-სასესხო ინსტრუმენტებით დაფინანსება ან გასანაწილებელი ქონების სასესხო დაფინანსების გზით შექმნა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დივიდენდის არსი კაპიტალური ტიპის საზოგადოების ქონების დაცვის კონტექსტით განმარტა და ჩამოაყალიბა მისი ცნება, როგორც: „ [...] *მოგების ნაწილი, რომელსაც კომერციული იურიდიული პირი სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით ანაწილებს პარტნიორთა შორის, აგრეთვე, იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ან აქციების გამოსყიდვისას ქონების განაწილებით მიღებული შემოსავალი, გარდა საწესდებო და საემისიო კაპიტალის ქონებისა ან/და იმ ქონებისა, რომელიც პარტნიორმა ადრე განახორციელა საწესდებო კაპიტალში შენატანის სახით*".[1013] წინამდებარე განმარტებაში ინტეგრირებულია ძირითადი ასპექტები: ა) დივიდენდი არის სამეურნეო წლის ეკონომიკური შედეგის ნაწილი[1014]; ბ) დივიდენდი არის პარტნიორებზე განაწილებული ქონება; გ) დივიდენდი ფართო კონტექსტით მოიაზრებს სხვაგვარ კორპორაციულ დისტრიბუციასაც, როგორიცაა: სალიკვიდაციო ქონება, წილის გამოსყიდვის შედეგად მიღებული სამართლიანი ფასი; დ) დივიდენდის განაწილების წყარო ვერ იქნება პარტნიორთა მიერ განხორციელებული შენატანები, სხვა სიტყვებით, დივიდენდის სახით განხორციელებული შენატანი პარტნიორს არ უბრუნდება.

„მეწარმეთა შესახებ" კანონიც დივიდენდის არსს სამართლებრივი კატეგორიებით განსაზღვრავს, ერთი მხრივ, პარტნიორის წილიდან გამომდინარე უფლების, მეორე მხრივ — მოთხოვნის კონტექსტში. დივიდენდის მიღების უფლების საბაზისო უფლება წილზე საკუთრება წარმოადგენს. აქცესორული ბუნების გამო[1015] დივიდენდის მიღების უფლება

1013 საქართველოს უზენაესი სასამართლო, ბიზნეს დავები და სასამართლო პრაქტიკა, თოდუა/გაგუა (რედ.), 2017, 17-18.

1014 აქვე, აღსანიშნავია, რომ დივიდენდის განაწილება შესაძლებელია შუალედური ფინანსური ანგარიშის საფუძველზეც, შუალედური დისტრიბუციის სახით. ე.ი. დივიდენდი მხოლოდ სამეურნეო წლის ბოლოს არ ნაწილდება.

1015 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 6 ივნისის №ას-1328-

დაკავშირებულია წილთან და ჯერ კიდევ უფლებად არსებობის ეტაპზე, შეუძლებელია სანივთო უფლებებით მასზე ზემოქმედება. *მაგალითად*, დივიდენდის უფლების დაგირავება, გასხვისება. მოკლედ, წილის გასხვისებასთან ერთად, ხდება წილიდან გამომდინარე უფლებების გასხვისებაც; ცალკე რომელიმე უფლების წილისაგან დამოუკიდებელი განკარგვა — დაუშვებელია. იმპერატიული მოწესრიგებით დგინდება, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორის მიმართ დაუშვებელია დივიდენდის მიღების უფლების ზოგადი აკრძალვა.[1016] ეს დებულება კაპიტალური ტიპის საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობასა და სამეწარმეო საქმიანობის მიზნის კატეგორიას მიეწერება. „ზოგად აკრძალვაში" კი არათუ ერთჯერადად დივიდენდის გაუნაწილებლობა, არამედ წილზე საკუთრების უფლების არსებობის განმავლობაში დივიდენდის მიღების უფლების გაუქმება იგულისხმება. შპსში დივიდენდის მიღების უფლება წილის განთავსებისთანავე წარმოიშობა,[1017] რაც გულისხმობს იმას, რომ შესატანის სრულად განხორციელება დივიდენდის მიღების უფლების რეალიზაციის წინაპირობა არ არის.

დივიდენდი შესაძლებელია გაიცეს როგორც ფულადი, ისევე არაფულადი, ნივთობრივი, მატერიალური ან არამატერიალური სამართლებრივი სიკეთის სახით.[1018] აღნიშნული არ გამორიცხავს რამდენიმე ფორმის კომბინაციასაც, *მაგალითად*, ფასიანი ქაღალდი და გარკვეული ოდენობის თანხა.[1019] თუმცა აქვე გასათვალისწინებელია, არაფულადი სახით დისტრიბუციის ფულადი რეალიზაციის მოთხოვნის უფლება პარტნიორს არ აქვს და საბოლოო ჯამში დივიდენს იღებს იმ

1170-2010 გადაწყვეტილება.

1016 კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

1017 იქვე, 138-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

1018 *French*, Mayson, French & Ryan on Company Law, 2017, 287.

1019 დივიდენდის ფორმასა და გაცემის სიხშირეს საზოგადოების ქონების ეკონომიკურ ღირებულებაზე შესაბამისი ზეგავლენა აქვს, რაც წილის/აქციის საბაზო ღირებულებაზეც აისახება. სწორედ ამგვარი ზეგავლენის გათვალისწინებით ფორმირდება საზოგადოებაში სადივიდენდო პოლიტიკა. აღნიშნულზე მოკლედ იხ. *Tokhadze*, Transforming Georgia's Regulations on Shareholders' Right to Interim Dividend Confronting the European Company Law, TalTech Journal of European Studies, Vol. 10, №2(31), 2020, 60-62.

ფორმით, რა ფორმითაც იგი გაიცემა.[1020] ამ თვალსაზრისით კანონი მოქნილია და სადისტრიბუციო ქონების სახეს იმპერატიულად არ განსაზღვრავს.

დივიდენდის გაცემის სიხშირის მიხედვით ჯგუფდება ორი სახე: წლიური და შუალედური.[1021] წლიური დივიდენდი გაიცემა სამეურნეო წლის დასასრულს, ხოლო შუალედური დივიდენდი სამეურნეო წლის დასრულებამდე ნებისმიერ დროს ფინანსური ანგარიშების მონაცემის გათვალისწინებით.[1022]

შსპ-ში დაშვებულია წილის სხვადასხვა კლასის არსებობა.[1023] შესაძლებელია, რომ დივიდენდის უფლების კონტექსტში კონკრეტული კლასის წილი სხვა კლასთან მიმართებით დარკვეულ პრეფერენციებსაც ითვალისწინებდეს.[1024] *მაგალითად,* კონკრეტული კლასის წილი უზრუნველყოფდეს დივიდენდის უპირატესად მიღების უფლებას სხვა კლასის წილთან შედარებით. დაუშვებელია დივიდენდის გაცემა საკუთარ, გამოსყიდულ წილზე.[1025]

ა.ა.ბ.) დივიდენდის მიღება, როგორც კრედიტორული მოთხოვნა

დივიდენდის მიღების მოთხოვნა წარმოიშობა შსპ-ის მიერ წმინდა მოგების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების მომენტიდან.[1026] მიღების მოთხოვნას იძენს მოქმედი პარტნიორული სტატუსის მქონე პირი.[1027] საზოგადოების გადაწყვეტილება დივიდენდის განაწილების თაობაზე ორ სამართლებრივ შედეგს იწვევს: ა) *დივიდენდის მიღების მოთხოვნის*

1020 *Fletcher, Jones,* Fletcher Cyclopedia of the Law of Corporations, Vol.11, 2011, 646.

1021 კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1022 *ჯუღელი, ნადარაია,* საგადასახადო რისკების გავლენა სამეწარმეო გადაწყვეტილებებზე -შუალედური დივიდენდის მაგალითი, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, 2013, 2-6.

1023 კანონის 135-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1024 იხ. პრივილეგირებული კლასის აქცია სააქციო საზოგადოებაში, იხ. *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, 2010, 231, 333, 337. *Sethe,* The Law of Business Associations, in: Company Law in Germany, Zekoll/Wagner (eds.), 2019, §5.02[C], 182.

1025 *Pinto, Braton,* Understanding Corporate Law, 2018, 75.

1026 კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1027 იქვე, 145-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

წარმოშობას — კერძოდ, დივიდენდის მიღების პარტნიორული უფლება გარდაიქმნება დივიდენდის მიღების მოთხოვნად; ბ) *პარტნიორის მიმართ საზოგადოების ვალდებულების წარმოშობას* — სახელდობრ, დივიდენდის მიღების მოთხოვნა წარმოშობს პარტნიორის სასარგებლოდ საზოგადოების საპასუხო შესრულების ვალდებულებას. აქედან გამომდინარე, პარტნიორი აღიჭურვება საზოგადოების კრედიტორის სტატუსით.[1028] კრედიტორული სტატუსის წარმოშობის საფუძველი კორპორაციულსამართლებრივი ხასიათისაა, რომელიც ეყრდნობა, ერთი მხრივ, კორპორაციულსამართლებრივ აქტს — საზოგადოების მიერ დივიდენდის განაწილების საკითხის დადებით გადაწყვეტილებას, მეორე მხრივ, პარტნიორული სტატუსიდან გამომდინარე ქონებრივი უფლების განხორციელებას. შესაბამისად, პარტნიორის წინაშე საზოგადოების ვალდებულებაც არათუ სახელშეკრულებოსამართლებრივი, არამედ კორპორაციულსამართლებრივი ხასიათისაა. სწორედ აქ იძენს კანონის 145-ე მუხლის მე-7 პუნქტი საზოგადოებისადმი პარტნიორის კორპორაციულისამართლებრივი მოთხოვნებისა და ჩვეულებრივი ვალდებულებითსამართლებრივი (გარიგებისმიერი თუ კანონისმიერი) მოთხოვნების გამიჯვნის ფუნქციას. დასახელებული ნორმის მიხედვით, პარტნიორს შესაძლოა საზოგადოებასთან ჰქონდეს სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელიც, როგორც ნებისმიერი სხვა კერძოსამართლებრივი ხასიათის ურთიერთობა, ორმხრივი მოთხოვნებისა და უფლებების საფუძველი იქნება. თუმცა ამ ტიპის კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში, პარტნიორის მიერ შეძენილი კრედიტორული სტატუსი არ არის კორპორაციულსამართლებრივი აქტიდან გამომდინარე კრედიტორული სტატუსის იდენტური. საზოგადოებასთან ჩვეულებრივი კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში პარტნიორი უტოლდება საზოგადოების კრედიტორს. შესაბამისად, მათი მოთხოვნები რანგით ერთმანეთის ტოლფასია. პარტნიორის დივიდენდის მიღების მოთხოვნა საზოგადოების არაპარტნიორი კრედიტორის მოთხოვნასთან უპირატესობას იმით განიცდის, რომ საზოგადოების საპასუხო

1028 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, 2010, 366-369.

შესრულება (დივიდენდის პარტნიორისათვის ფაქტობრივი გადახდა) უნდა განხორციელდეს წინასწარ დადგენილ ვადაში. კანონი დივიდენდის გადახდის მაქსიმალურ ვადად 9 თვეს განსაზღვრავს, რომელიც კრების გადაწყვეტილებით ან წესდების შესაძლებელია, რომ შემცირდეს.[1029] რაც შეეხება თავად პარტნიორის მიერ დივიდენდის მოთხოვნის განხორციელების ხანდაზმულობის ვადას, კანონი მას, სააქციო საზოგადოების მომწესრიგებელი ნორმისგან განსხვავებით, არ ადგენს.[1030] დივიდენდის მიღების მოთხოვნა პარტნიორის ინდივიდუალური მოქმედების შესაძლებლობას გულისხმობს, რაც მოთხოვნის განხორციელებაზე უარის გაცხადების უფლებასაც ნიშნავს. პარტნიორის მიერ დივიდენდის მიღებაზე უარის შემთხვევას, მართალია, არ აწესრიგებს „მეწარმეთა შესახებ" კანონი, თუმცა ფორმალური მხარის დაცვის ვალდებულებას შესაძლოა, ითვალისწინებდეს წესდება. *მაგალითად,* უარის გაცხადების წერილობით ფორმას, უარის გაცხადების ვადას, სხვა.

ა.ბ. დისტრიბუცია *Intra Legem*

წინამდებარე პარაგრაფში განიხილება დივიდენდის გაცემის მატერიალური და ფორმალური წინაპირობები, რომელთა კუმულაციური დაცვა უზრუნველყოფს დისტრიბუციის კანონიერებას.

ა.ბ.ა.) უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება

წლიური დივიდენდის განაწილების შესახებ გადაწყვეტილებას საზოგადოების საერთო კრება, წლიური ფინანსური ანგარიშის დამტკიცებასთან ერთად იღებს.[1031] გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე, საერთო კრება ეყრდნობა მოგების განაწილების შესახებ წარდგენილი წინადადების პროექტის, რომლის მომზადება, ფინანსური მდგომარეობის ამსახველ

1029 თუმცა არ გაიზარდოს. კანონის 145-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

1030 იქვე, 181-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

1031 *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, 2013, 259. *შეფერი,* საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (რედ.), § 36, ველი 4, 445. კანონის 126-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

დოკუმენტზე დაყრდნობით, საზოგადოების ხელმძღვანელი პირ(ებ)ის ვალდებულებაა.[1032] კენჭისყრაში პარტნიორთა ინფორმირებული მონაწილეობისთვის სავალდებულოა წარდგენილი მონაცემის სისწორე და გამჭვირვალობა. წლიური ფინანსური ანგარიში მოიცავს საბალანსო დოკუმენტაციას, პასივი და აქტივის ანგარიშსა და სხვა ჩანაწერებს წლიურ ანგარიშზე; იგი უნდა ასახავდეს სამართლიან და მართებულ ინფორმაციას სამეწარმეო საზოგადოების აქტივისა და პასივის შესახებ.[1033] საზოგადოების მოგების სტრატეგიული განკარგვის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, საერთო კრებას აგრეთვე წარედგინება განცხადება დივიდენდის განაწილების შემდგომ მომდევნო წლის განმავლობაში საზოგადოების გადახდისუნარიანობის შენარჩუნების შესახებ. განცხადება ხელმძღვანელთა მიერ საზოგადოების შემდგომი ფინანსური მდგომარეობის გულმოდგინე შესწავლის შედეგებს ეყრდნობა.[1034] კანონის 33-ე მუხლი აგრეთვე საზღვრავს დივიდენდის გაცემის ერთ-ერთ ეკონომიკურ-სამართლებრივ წინაპირობას და ადგენს დისტრიბუციის დაუშვებლობას გადახდისუუნარობის გამოწვევის შემთხვევაში. საზოგადოების სამომავლო გადახდისუნარინაობის შენარჩუნების შეფასების ძირითადი კრიტერიუმია: ა) საზოგადოების ჩვეულებრივი, ასევე, დაგეგმილი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ვადამოსული ვალდებულებების დაკმაყოფილების მატერიალური შესაძლებლობა[1035]; ბ) გასანანილებელი ქონების არსებობა. სამომავლო გადახდისუნარიანობის დადგენაში შესაძლებელია, მონანილეობას დამოუკიდებელი აუდიტორიც იღებდეს.

მოგების განაწილების წინადადების პროექტის დამტკიცებაზე ან უარყოფაზე საერთო კრება გადაწყვეტილებას უბრალო უმრავლესობით იღებს.[1036] აღნიშნული წარმოადგენს

1032 კანონის 126-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი და 145-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1033 *De Luca*, European Company Law, 2017, 172-173.

1034 *ჯუღელი*, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, 2010, 265-267.

1035 ნიშანდობლივია, რომ ამავე კრიტერიუმს ითვალისწინებს ითვალისწინებს „ბიზნეს კორპორაციათა მოდელური აქტი" Model Business Corporation Act (2016 Revision), § 6.40 (c)(1)).

1036 კანონის 126-ე მუხლის მე-2 პუნქტი. *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, 2013, 259-262.

მინიმალურ საკანონმდებლო სტანდარტს, რომლის „გამკაცრება" (და არა შემსუბუქება) შესაძლებელია წესდებით. 127-ე მუხლი არ აკონკრეტებს გასანაწილებელი ქონების კატეგორიას და არც დისტრიბუციის სიხშირეს. ამიტომ, ნორმაში ფართო გაგებით მოიაზრება კორპორაციული დისტრიბუცია, მათ შორის, წლიური და შუალედური დივიდენდი. შესაბამისად, შუალედური დივიდენდის განაწილების საკითხიც, მისი ეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, კრების კომპეტენციაში უნდა მოიაზრებოდეს და ეყრდნობოდეს შუალედური ფინანსური დოკუმენტაციით წარდგენილ მონაცემებს[1037].

ა.ბ.ბ.) კაპიტალის შენარჩუნების ვალდებულება და დივიდენდის გაცემის შეზღუდვა

შპს-ის სადამფუძნებლო დოკუმენტით განისაზღვრება განთავსებული წილებისა და ნებადართული კაპიტალის ოდენობა,[1038] რომლის საჯარო ხელმისაწვდომობა კრედიტორთა ინტერესის დაცვის ბერკეტია. შპს-ში განთავსებული (საწესდებო) კაპიტალის მინიმალური კანონისმიერი ოდენობისა და მისი დაფუძნებისთანავე შევსების ვალდებულების არარსებობა, სულაც არ გულისხმობს ზოგადად კაპიტალის გარეშე მის ფუნქციონირებას[1039]. წინაალმდეგ შემთხვევაში, მივიღებდით კაპიტალური ტიპის საზოგადოებისათვის ძალზე არაბუნებრივ მდგომარეობას — მის არსებობას კაპიტალის გარეშე. ქონების შენარჩუნების მავალდებულებელი ნორმები

1037 მოსაზრება შუალედური დივიდენდის გამარტივებული პროცედურით განაწილებაზე, იხ. *ჯულელი, ნადარაია,* საგადასახადო რისკების გავლენა სამეწარმეო გადაწყვეტილებებზე შუალედური დივიდენდის მაგალითი, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, 2013, 2-6.

1038 ასეთის არსებობის შემთვევაში, კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის „ა"-„დ" პუნქტები. განსხვავებით ქართული მოწესრიგებისაგან გერმანულ შპს-ში მოქმედი წილის მინიმალურ ნომინალურ ღირებულებასა და მინიმალური კანონისმიერი საწესდებო კაპიტალის კონცეფციას 2008 წელს შპს-ის (ე. წ. „მომიგის") რეფორმა, არ შეხებია. *Wedemann*, Reforming the Law of Limited Liability Companies in Germany, German and Nordic Perspectives on Company Law and Capital Markets Law, Fleischer/Hansen/Ringe (eds.), 2015, 41-44.

1039 განთავსებული (საწესდებო) კაპიტალის შესახებ, იხ. *ბურდული,* საწესდებო კაპიტალი, მისი მნიშვნელობა და ფუნქციები, კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2008.

საზოგადოების გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფისა და კრედიტორთა დაცვის მაღალი ხარისხის ერთ-ერთი ინდიკატორია.[1040] საკანონმდებლო მოწესრიგებასთან ერთად, საწესდებო ავტონომიის ფარგლებშიც შესაძლებელია კაპიტალის დაცვის მექანიზმების ინტეგრირება, *მაგალითად,* შპს-ში კაპიტალრეზერვის შექმნა და გარკვეული ვადით მისი განაწილების აკრძალვა ან მიზნობრივი ფუნქციის მინიჭება (*მაგალითად,* წილის გამოსყიდვის დაფინანსება, ზარალის დაფარვა). კაპიტალის დაცვის კონცეფცია ორიენტირებულია საზოგადოების კაპიტალის ღირებულის შენარჩუნებაზე.[1041] იგი სამეწარმეო საზოგადოებას გადახდისუუნარობისგან იცავს. მას აქვს ბოჭვდითი ფუნქციაც, შპს-ის ხელმძღვანელის მიერ ქონების თავისუფალი განკარგვის თვალსაზრისით.[1042] ამიტომაც საზოგადოების ქონების შენარჩუნებაზე ზრუნვა მის ვალდებულებათა უპირატესი ამოცანაა.

(1) კაპიტალის დაცვის სისტემები

საზოგადოების ქონების განაწილებისას კაპიტალის დაცულობის შეფასება ორი ძირითადი მეთოდით ხორციელდება: *გადახდისუნარიანობის ტესტითა* და *საბალანსო ტესტით.*[1043] გადახდისუნარიანობის, იგივე ლიკვიდურობისაგან დაცვის სისტემა უშვებს ქონების პარტნიორებზე განაწილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საზოგადოება ვადამოსული ვალდებულებების დაფარვას შეძლებს.[1044] ვალდებულებებში იგულისხმება გარე და შიდასამართლებრივ ურთიერთობაში

1040 კაპიტალის შენარჩუნება და დაცვა იდენტური მნიშვნელობით გამოიყენება. გერმ. "*Kapitalerhaltung*", ინგ. "*Capital Maintenance*", *Bachner*, Creditor Protection in Private Companies. Anglo-German Perspectives for a European Legal Discourse, 2009, 94, 97-98.

1041 *ჯუღელი,* კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, 2010, 76.

1042 *Bachner*, Creditor Protection in Private Companies, 2009, 148.

1043 "*Insolvency Test*" და "*Balance Sheet Test*", ეს უკანასკნელი ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში „ნმინდა აქტივის ტესტის" სახელწოდებითაც არის ცნობილი, იხ.: *ჯუღელი,* კაპიტალის დაცვა სააქციო სამართალში, 2010. ლიტერატურაში ამ ორი ძირითადი მეთოდის სხვადასხვა ვარიაციაც გვხვდება, მაგალითად, „*დეკაპიტალიზაციის ტესტი*", *Eisenberg, Cox*, Corporations and Other Business Organizations, 2011, 1383-1384.

1044 *Veil*, Capital Maintenance - Regime of the Capital Directive Versus Alternative System, in: Legal Capital in Europe, Lutter (ed.), 2006, 79-80.

წარმოშობილი მოთხოვნები.[1045] *მაგალითად,* თუკი შპს-ში გადაწყვეტილება იქნა მიღებული შუალედური დივიდენდის განაწილების თაობაზე, ზემოხსენებულ ვალდებულებებში იგულისხმება პარტნიორთა მიერ წარდგენილი მოთხოვნაც. გადახდისუნარიანობის სისტემა ასევე მოიაზრებს იმ სავალდებულო კაპიტალის შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს სამეწარმეო საქმიანობისთვის საჭირო ფულადი სახსრების თავისუფალ მიმოქცევას.[1046]

საბალანსო ტესტი კანონიერად მიიჩნევს ქონების პარტნიორებზე განაწილებას, თუ ამგვარი დისტრიბუცია იქნება ნაკლები ან ტოლი აქტივისა და პასივის სხვაობის (პასივში იგულისხმება განთავსებული (საწესდებო) კაპიტალიც).[1047] სხვა სიტყვებით, მხოლოდ პასივისა და აქტივის სხვაობის ფარგლებში არის დაშვებული მოგების განაწილება. ამრიგად, საბალანსო ტესტის სისტემა საზოგადოების ქონებას საწესდებო კაპიტალისა და სავალდებულო კაპიტალრეზერვების გაუნაწილებლობით იცავს.[1048]

შპს-ის სამართალში ორივე სისტემა ინტეგრირებულად მუშაობს. კანონის 33-ე მუხლი *გადახდისუუნარობის ტესტის* ძირითადი მიზნის მატარებელია. დაუშვებელია დივიდენდის განაწილება, თუკი ამგვარი განაწილების შემდეგ საზოგადოება ვეღარ დაფარავს ვალდებულებებს.[1049] კაპიტალის დაცულობის შეფასების ამავე სისტემის გაგრძელებაა კანონის 145-ე მუხლით დადგენილი ხელმძღვანელის ვალდებულება დისტრიბუციის შემდგომ გადახდისუნარიანობის წინასწარი შეფასებისა და განცხადების წარდგენაზე. ამ ნორმის მიხედვით განაწილების შესახებ დადებითი გადაწყვეტილება ეყრდნობა პრეზიუმირებულ მოცემულობას. კერძოდ, სამომავლო გადახდისუნარიანობა ფასდება საზოგადოების ჩვეუ-

---

1045 მოიაზრებს პრივილეგირებული კლასის წილიდან გამომდინარე მოთხოვნებსაც, *Fletcher, Jones,* Fletcher Cyclopedia of the Law of Corporations, Vol. 11, 2011, 577-579.

1046 *Rickford,* Legal Approaches to Restricting Distributions to Shareholders: Balance Sheet Tests and Solvency Tests, in: The Law and Economics of Creditor Protection, Eidenmüller/Schön (eds.), 2008, 144-146.

1047 იქვე, 140-141.

1048 *De Luca,* European Company Law, 2017, 173.

1049 *Pinto, Braton,* Understanding Corporation, 2018, 76-77.

ლებრივი/დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ვადამოსული ვალდებულებების დაკმაყოფილების ალბათობის ხარისხით. შესაბამისად, საერთო კრების მიერ დივიდენდის განაწილებაზე დადებითი გადაწყვეტილება ამავდროულად გულისხმობს პრეზუმფციის დაშვებას, რომ მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში საზოგადოების ქონება დაფარავს ვალდებულებებს. ცხადია, მიღებული გადაწყვეტილება ოქმის სახით შედგება, რომელიც შესაბამის დასაბუთებასაც მოიცავს.

კანონის 145-ე მუხლი გადახდისუუნარობის შეფასების სისტემასთან აერთიანებს *საბალანსო ტესტსაც*. როგორც აღინიშნა, საბალანსო შეფასების სისტემით კაპიტალის დაცულობა ეყრდნობა პასივისა და აქტივის ურთიერთმიმართებას. მნიშვნელოვანია „პასივის" ცნების მართებული განსაზღვრა, რადგან მასში საზოგადოების ვალდებულებებთან ერთად განთავსებული (საწესდებო) კაპიტალიც მოიაზრება.[1050] დასახელებული ნორმის მე-7 პუნქტის მიხედვით, თუკი შპს-ის წესდებით განსაზღვრულია კაპიტალრეზერვი და წესდებით საზოგადოება შებოჭილია მისი განაწილების შემზღუდავი ნორმებით — პასივში განთავსებულ კაპიტალთან ერთად, კაპიტალ რეზერვიც ითვლება.

დასახელებული 145-ე მუხლის მიზნებისათვის აგრეთვე საინტერესოა აქტივის მნიშვნელობაც, რადგან აქტივის ფორმირების წყარო. „მოგება" გაცილებით ფართო მნიშვნელობისაა, ვიდრე „წმინდა მოგება"[1051], რომელიც მხოლოდ საბალანსო აქტივისა და პასივის სხვაობის ტოლია. „მოგებაში", რომელიც ამავდროულად საზოგადოების ქონებაში აღირიცხება, შესაძლებელია მოვიაზროთ, *მაგალითად*, წარმატებული სამეწარმეო საქმიანობით მიღებული მოგება ისევე, როგორც კაპიტალნამატით (აჯიო) შექმნილი კაპიტალ რეზერვი;[1052]

1050 კანონის 145-ე მუხლის მე-6 პუნქტი. *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, 2010, 152-159.

1051 ტერმინოლოგიური მნიშვნელობაზე ქართული საკორპორაციო სამართლის ისტორიულ რაკურსში, იხ. *ჯულელი*, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, 2010, 261-264.

1052 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, 2010, 241-242. *Pinto, Braton*, Understanding Corporate Law, 2018, 76-77.

სამეწარმეო საზოგადოების ქონების გაყიდვაც ან სულაც, გადაფასება (ხელმეორედ შეფასება და აქტივის საბალანსო ჩანაწერის ცვლილება) წარმოშობს დამატებით ფინანსურ რესურსს;[1053] განთავსებული (საწესდებო) კაპიტალის შემცირება წილის ნომინალური ღირებულების შემცირებით[1054] — აგრეთვე წარმოშობს დამატებით სახსრებს. მოკლედ, კანონის 145-ე მუხლი, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, არც „მოგებას" და არც „წმინდა მოგებას" აკონკრეტებს. რაც შეეხება დივიდენდის განაწილების სადამფუძნებლო ნორმას (31-ე მუხლი), დისტრიბუციის წყაროდ ასახელებს როგორც საზოგადოების ქონებას, ისევე მოგებას. შესაბამისად, დივიდენდი შეიძლება განაწილდეს როგორც „წმინდა მოგებიდან", ისე, ზოგადად, „ქონებიდან" და სწორედ ასეთი შემთხვევისთვის არის გათვალისწინებული კაპიტალის დაცვის ზემოხსენებული სისტემები. წინამდებარე მსჯელობის ნათელი მაგალითია, 145-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც ერთი მხრივ ითვალისწინებს განთავსებული კაპიტალის შემცირებით წარმოშობილი თავისუფალი სახსრების დივიდენდის სახით განაწილებას, თუმცა მეორე მხრივ — უზრუნველყოფს საზოგადოების ქონების დაცვას დივიდენდის განაწილებამდე სავალდებულო ვადის დაწესებით. კერძოდ, განთავსებული კაპიტალის შემცირებიდან 7 თვის განმავლობაში დაუშვებელია დივიდენდის გათავისუფლებული სახსრებიდან დისტრიბუციის განხორციელება. ამგვარი შემცირების შესახებ ინფორმაცია საჯარო რეესტრს წარედგინება, რაც შპს-ს კრედიტორთა დაცვის დამატებითი გარანტიაა.[1055] განხილული მაგალითი წარმოადგენს შპს-ის განთავსებული კაპიტალის *ჩვეულებრივი შემცირების ფორმას* მაშინ, როდესაც *გამარტივებული შემცირების ფორმით* გამოთავისუფლებული სახსრები პარტნიორებზე განაწილებას არ ექვემდებარება.[1056]

1053 *Mäntysaari*, The Law of Corporate Finance: General Principles and EU Law, Vol. III: Funding, Exit, Takeovers, 2010, 136. *Pinto, Braton,* Understanding Corporate Law, 2018, 77-78. *Tokhadze*, Transforming Georgia's Regulations on Shareholders' Right to Interim Dividend Confronting the European Company Law, TalTech Journal of European Studies, Vol.10, №2(31), 2020, 64.

1054 *Eisenberg, Cox*, Corporations and Other Business Organizations, 2011, 1387.

1055 კანონის 145-ე მუხლის მე-5 პუნქტი, 169-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

1056 *გამარტივებულია შემცირება* ემსახურება პასიისა და აქტივის

(2) დივიდენდის გაუცემლობის შედეგი

უმცირესობაში და უმრავლესობაში მყოფ პარტნიორთა ინტერესების კოლიზია საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთი თავსატეხია.[1057] განსაკუთრებით დახურული ტიპის კაპიტალურ საზოგადოებებში და მით უფრო, რომ ქონების განაწილების საკითხთან მიმართებით. როგორც ითქვა, საზოგადოების ქონების განაწილების გადაწყვეტილებას საერთო კრება უბრალო უმრავლესობით იღებს, თუკი წესდება უფრო მაღალ უმრავლესობას არ ადგენს. კრებამ შესაძლოა, დივიდენდის განაწილების შესახებ წარდგენილი წინადადება არ დაამტკიცოს, არამედ დივიდენდის გაუნაწილებლობის შესახებ მიიღოს გადაწყვეტილება და გასანაწილებელი ქონება ისევ საზოგადოების კაპიტალში ჩააბრუნოს. გაუნაწილებელი მოგება კი გათვალისწინებული იქნება ახალი ანგარიშის დროს.[1058] ასეთ შემთხვევას *ნებაყოფლობითი რეინვესტიციაც*[1059] შეიძლება ვუწოდოთ. მის საპირწონედ *სავალდებულო რეინვესტიცია* გულისხმობს წმინდა მოგების ჩაბრუნებას კანონით დადგენილი კაპიტალ რეზერვის შევსების მიზნით.[1060] უმრავლესობაში მყოფი პარტნიორის კენჭისყრაზე ზეგავლენის მეტი შესაძლებლობის გამო, უმცირესობაში მყოფი პარტნიორი სამართლებრივი დაცვის ეპიცენტრში ექცევა.

დაბალანსებას ან გამოთავისუფლებული სახსრებით საზოგადოების კაპიტალ რეზერვის შესაქმნას (როგორც ნესი, საწესდებო კაპიტალის კანონით დადგენილი პროცენტული მაჩვენებლის ფარგლებში [*მაგ.*, გერმანიაში — 10%]). *Sethe*, The Law of Business Associations, in: Company Law in Germany, Zekoll/Wagner (eds.), 2019, §5.02[C], 184.

1057 *Bachmann, Eidenmüller, Engert, Fleischer*, Regulating the Closed Corporation, 2014, 31. *ქრااკმანი, არმური, დევისი და სხვ.*, საკორპორაციო სამართლის ანატომია, შედარებითი და ფუნქციური მიდგომა, ქოჩიაშვილი, მაისურაძე (მთარგ.), 2019, 120-121.

1058 *ჭანტურია, ნინიძე*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 138.

1059 "*Dividend Reinvestment Plan*", "*Direct Purchase Plan* (*DPP*)" *Forde, Kennedy*, Company Law, 2017, 300.

1060 ამ მოდელს მისდევს ევროპის ნევრი რამდენიმე სახელმნიფო, მათ შორის, გერმანია, საფრანგეთი ძირითადად სააქციო საზოგადოებასთან მიმართებით. მოგების სავალდებულოდ ჩასაბრუნებელი პროცენტი ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგალითად, წმინდა მოგების 5% უნდა იყოს ყოველ ჯერზე რეინვესტირებული, ვიდრე კანონისმიერი სარეზერვო კაპიტალი არ მიაღნევს რეგისტრირებული კაპიტალის 10%-ს მაინც. § 150(2), AktG. *Siems*, Convergence in Shareholder Law, 2007, 73.

დივიდენდის გაუცემლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა არსებობდეს იმგვარი ლეგიტიმური საფუძველი, რომელიც საზოგადოების საუკეთესო ინტერესის,[1061] ასევე, ქონების შენარჩუნების აუცილებელი საჭიროების ანარეკლი იქნება და არა მინორიტარის არაპირდაპირი განდევნის შენიღბული გეგმა. უმცირესობაში მყოფ აქციონერს კანონიერი ინტერესის არსებითად შელახვის საპასუხოდ, აქვს საზოგადოებიდან გასვლის უფლება წილის დადგენილი წესით გამოსყიდვის შემთხვევაში.[1062] გამოსყიდულ წილზე საზოგადოება დივიდენდს არ გასცემს.[1063]

ა.გ.) დისტრიბუცია *Contra Legem*

ა.გ.ა.) დივიდენდის უცილობელი გაცემის პირობის აკრძალვა

შპს-სა და პარტნიორს შორის შეთანხმება დივიდენდის უცილოდ გაცემის თაობაზე, თუნდაც იგი იყოს მიღწეული წესდების ან პარტნიორული შეთანხმების (149-ე მუხლი) ფარგლებში, იქნება იურიდიული ძალის არმქონე, მაშასადამე, ბათილი. საზოგადოების ქონების დაცვის ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპია დივიდენდის უცილოდ გაცემის შეპირების აკრძალვა. ამგვარი შეპირების დაუშვებლობა სათავეს პარტნიორის მიერ უმთავრესი, კორპორაციულ-სამართლებრივი მოვალეობის — შესატანის განხორციელების აქტის ცალმხრივობიდან იღებს.[1064] ჰიპოთეტურად დადებითი ეკონომიკური შედეგები მეწარმე სუბიექტის საქმიანობის მიზნის დონეზეა ჯერარსული. შესაბამისად, მარტოოდენ პარტნიორული კავშირის გამო, მეწარმე სუბიექტი შესაძლო მოგების სახით სამომავლო ქონების განაწილების ვალდებულების მატარებელი ვერ იქნება.

1061 მოგების სრული ან ნაწილობრივი რეინვესტიცია გონივრულ მოტივაციას, სამეწარმეო მიზნების განხორციელების აუცილებლობას უნდა ემყარებოდეს. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 27 იანვრის №ას-1134-1067-2015 გადაწყვეტილება.

1062 კანონის 144-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1063 იქვე, 142-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

1064 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 189-192.

ა.გ.ბ.) შენიღბული დივიდენდი

შენიღბული დივიდენდის აღმკვეთი დებულებების პირველწყაროდ გერმანიის საკორპორაციო (საზოგადოებათა) სამართალი სახელდება[1065] და გარკვეულწილად, შეფარული და „ვუალიზებული" შესატანის თემატიკასაც ეხმიანება[1066]. საზოგადოების ლიკვიდაციის შედეგად განაწილებული ქონების გარდა, პარტნიორი მხოლოდ კორპორაციულ დისტრიბუციას იღებს.[1067] საზოგადოების ქონების განაწილება დასაშვებია მხოლოდ პარტნიორული სტატუსიდან გამომდინარე ქონებრივი უფლებების ფარგლებში. შესაბამისად, აკრძალულია დივიდენდის სახით საზოგადოების იმგვარი ქონების გაცემა, რომლის განაწილება აკრძალულია. *მაგალითად,* არაფულადი შენატანის ნივთობრივი დივიდენდის სახით ფარული დაბრუნება. განხორციელებული შენატანი საზოგადოების საკუთრებაა.[1068] ამდენად, დაუშვებელია განხორციელებული შენატანების პარტნიორებისთვის ფარული დაბრუნება[1069] ან განხორციელებული შენატანის სანაცვლოდ სხვა ეკონომიკური ბენეფიტების გაცემა.[1070] განთავსებული კაპიტალის შემცირების შედეგად გათავისუფლებული ქონების განაწილებაც მხოლოდ შესაბამისი წინაპირობების დაცვით ხორციელდება.[1071] შპს-ის სამართალში უპირატესად სავალდებულოა საწესდებო კაპიტალის შენარჩუნება, ხოლო მის შესავსებად საჭირო სახსრების პარტნიორებზე განაწილება აკრძალულია.[1072]

1065 *Fleischer*, Disguised Distributions and Capital Maintenance in European Company Law, in: Legal Capital in Europe. European Company and Financial Review-Special Issue, Lutter (ed.), 2006, 95.

1066 *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 220-226, 233.

1067 *ჭანტურია,* კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 259-262.

1068 *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 180-192.

1069 *ჯუღელი,* კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, 2010, 89-90. *Sethe*, The Law of Business Associations, in: Company Law in Germany, Zekoll/Wagner (eds.), 2019, §5.02[C], 182-183.

1070 *ჭანტურია,* ნინიძე, მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 439.

1071 კანონის 145-ე მუხლის მე-5 პუნქტი, 169-ე მუხლი.

1072 *შეფერი,* საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), 2018, § 35, ველი 26, 404-405.

შენიღბული დივიდენდი საზოგადოების ქონების უკანონო განაწილების ან შემცირების სხვადასხვა ვარიაციით გაიცემა. ამგვარი ფარული დისტრიბუციის კატეგორიას განეკუთვნება, *მაგალითად*, საზოგადოების მიერ პარტნიორისათვის სესხის საშეღავათო პირობით გაცემა,[1073] ასევე დისტრიბუციის შენიღბული გაცემა პარტნიორთან დაკავშირებულ მესამე პირთან არაობიექტური არსებითი პირობების მქონე სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარებისას[1074], პარტნიორსა და საზოგადოებას შორის არაობიექტური არსებითი პირობების მქონე სახელშეკრულებო ურთიერთობა.[1075] ცხადია, ამგვარი კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სცდება კაპიტალის დაცვის ზემოხსენებული სისტემების არეალს, თუმცა მათი ნამდვილობა ფასდება სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნორმებით. შენიღბული დივიდენდის გაცემის მიზნით დადებული გარიგება ბათილია.

ა.გ.გ.) უკანონო დისტრიბუციის დაბრუნების ვალდებულება

კანონის 32-ე და 145(8)-ე მუხლები შპს-სა და პარტნიორის ქონების გამიჯვნისა ნათელი მაგალითია. დასახელებული ნორმებით წესრიგდება საზოგადოებასა და პარტნიორს შორის წარმოშობილი კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობა. 32-ე მუხლი იცავს პარტნიორის საკუთრებას (მიღებულ დივიდენდს) საზოგადოების უსაფუძვლო მოთხოვნისაგან, ხოლო 145(8)-ე მუხლი — საზოგადოების ქონებას უკანონო დისტრიბუციისაგან, ადგენს პასუხისმგებლობის ფორმასა და მის ადრესატ(ებ)ს შელახული კანონიერი ინტერესის რესტიტუციისთვის. უკანონო დისტრიბუციაში იგულისხმება როგორც შეუფარავად, ღიად, თუმცა უკანონოდ გაცემული საზოგადოების ქონება, ისევე შენიღბული დივიდენდი. 145(8)-ე მუხლიც ტერმინოლოგიურად იყენებს დივიდენდს და საზღაურს. წინა პარაგარაფები კანონიერი და

1073 *Wirth, Arnold, Greene*, Corporate Law in Germany, 2004, 49-50.

1074 *Bachner*, Creditor Protection in Private Companies, 2009, 131, 133.

1075 ვრცლად იხ. სახელმძღვანელოს ქვეთავი სახელწოდებით: *„სხვა საზღაურის ცნება"*.

უკანონო დისტრიბუციის შინაარსობრივ გამიჯვნას დაეთმო. მომდევნო ქვეთავებში კი მსჯელობა ორი მიმართულებით — კეთილსინდისიერი პარტნიორის დაცვისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრის ჭრილში წარიმართება.

(1) კეთილსინდისიერი პარტნიორის დაცვა

უკანონო დივიდენდის უკან დაბრუნების თაობაზე საზოგადოების მოთხოვნა ვერ განხორციელდება *bona fide* პარტნიორის მიმართ, მაშინაც კი, როცა დარღვეულია ქონების განაწილების ფორმალურ-მატერიალური წინაპირობები, თუმცა პარტნიორი არ იყო ინფორმირებული ან ობიექტური თვალსაზრისით არ შეიძლებოდა ჰქონოდა სათანადო ინფორმაცია. პარტნიორის კეთილსინდისიერება განისაზღვრება კანონის ან წესდების ნორმათა დარღვევის ფაქტის და არა საკანონმდებლო თუ საწესდებო დებულებების ცოდნის მიმართ. მისი პარტნიორული სტატუსი თავისთავად მოწმობს წესდების შინაარსზე მის ინფორმირებულობას. მეორე მხრივ კი, განაწილების საკანონმდებლო და საწესდებო ნორმების დარღვევის შესახებ ინფორმაცია და პარტნიორის უმოქმედობა ცალსახად აქარწყლებს მის კეთილსინდისიერებასაც. 32-ე და 145(8)-ე მუხლები იცავს იმ პარტნიორს, რომელსაც ობიექტური მიზეზებისდა გამო არ შეეძლო ჰქონოდა ინფორმაცია ამგვარი დაღვევის შესახებ. *მაგალითად,* შპს-ის ხელმძღვანელმა განზრახ წარადგინა არასწორ ფინანსურ მონაცემზე დაყრდნობილი მოგების განაწილების პროექტი. შპს-ის ხელმძღვანელი ადგენს საზოგადოების წლიურ ბალანსს, წლიურ ანგარიშს, ასევე წლიური შემოსავლისა და ზარალის ამსახველს დოკუმენტაციას.[1076] საპირწონედ, პარტნიორს არ აქვს ფინანსური მონაცემის წარმოების, კალკულაციის ან მისი სისწორის გადამოწმების ვალდებულება.[1077] ამგვარი ვალდებულების არსებობა პარტნიორისათვის ძალზე „ძვირადღირებული" იქნებოდა. თუმცა ინფორმაციის მიღება და შემოწმება პარტნიორის

1076 *Sethe*, The Law of Business Associations, in: Company Law in Germany, Zekoll/Wagner (eds.), 2019, §5.02[D], 188.

1077 *Bachmann, Eidenmüller, Engert, Fleischer,* Regulating the Closed Corporation, 2014, 168.

არაქონებრივი უფლებებიდან გამომდინარეობს და შეუძლია შეუზღუდავად მისი განხორციელება. პარტნიორი ეყრდნობა სნორედ იმ ფინანსურ მონაცემს, რომელსაც ხელმძღვანელი მოგების განაწილების წინადადებასთან ერთად კრებას წარუდგენს. შესაბამისად, დაცვის ქვეშ მოექცევა ის კეთილსინდისიერი პარტნიორი, რომელიც სადივიდენდო პოლიტიკის განსაზღვრისას, ფაქტობრივ გარემოებათა დამახინჯების გამო შეცდომაში იქნა შეყვანილი და ამის საფუძველზე მხარი დაუჭირა საზოგადოების ქონების უკანონო განაწილებას.[1078] მტკიცების ტვირთი საზოგადოებას აკისრია.[1079]

(2) პასუხისმგებლობის საკითხისათვის

არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში, პარტნიორი, როგორც საზოგადოების ვითომ-კრედიტორი, ვალდებულია დააბრუნოს უკანონოდ გაცემული დივიდენდი თუ სხვა საზღაური. ამგვარი დისტრიბუცია ბრუნდება სრულად.[1080] თუკი დადასტურდა პარტნიორის მიერ ერთგულების ზოგადი მოვალეობის დარღვევის ფაქტი, უკანონოდ მიღებული დისტრიბუციის გარდა, კანონის 34-ე და 148-ე მუხლებზე დაყრდნობით, ვალდებული იქნება, აანაზღაუროს საზოგადოებისთვის, თანაპარტნიორისთვის მიყენებული ზიანი. პასუხისმგებლობის თანაზიარი არის ხელმძღვანელი პირი საზოგადოების წინაშე ნაკისრი ფიდუციური მოვალეობებიდან გამომდინარე.[1081] ხელმძღვანელი საზოგადოების ქონების უკანონო განკარგვის გამო პასუხისმგებელია სოლიდარულად, პირდაპირ და უშუალოდ, მთელი თავისი ქონებით.[1082] აქვე, დაუშვებელია საზოგადოების მიერ არაკეთილსინდისიერი პარტნიორის ან ხელმძღვანელის მიმართ ამგვარი მოთხოვნის განუხორციელებლობა, *მაგალითად*, პატიებით

1078 *Council Directive* 2017/1132, Art. 57. *ჯულელი*, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, 2010, 36.

1079 *De Luca*, European Company Law, 2017, 174.

1080 მიუხედავად იმისა, რომ აქტივისა და პასივის საბალანსო სხვაობა დადებითი მაჩვენებლის ტოლი შეიძლება იყოს. *შეფერი*, საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (რედ.), 2018, § 35, ველი 36, 417.

1081 *Pinto, Braton*, Understanding Corporate Law, 2018, 241.

1082 კანონის 145-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

ან მოთხოვნათა გაქვითვით. საზოგადოების უმოქმედობის შემთხვევაში, კანონის შესაბამისი წინაპირობების დაცვით, თანაპარტნიორი აღიჭურვება დერივაციული სარჩელის აღძვრის უფლებით. აქვე, საინტერესოა, არაფულადი ფორმით გაცემული დივიდენდის/საზღაურის დაბრუნების საკითხი, *მაგალითად,* თუკი დივიდენდი ან სხვა საზღაური დემატერიალიზებული ან ნივთობრივი სახით იქნა გაცემული, რომელიც ბაზარზე მაღალი ლიკვიდურობის გამო შესაძლოა კეთილსინდისიერ შემძენზე მყისიერად რეალიზდეს. ასეთ შემთხვევაში, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელი იქნება არათუ მესამე პირი, არამედ არაკეთილსინდისიერად მიჩნეული პარტნიორი და სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების მიხედვით, ნატურით ანაზღაურების შეუძლებლობის შემთხვევაში, ნარმოიშობა ფულადი კომპენსაციის ვალდებულება.

ბ.) უპირატესი შესყიდვის უფლება, როგორც წილობრივი მონაწილეობის ზრდის საშუალება

საზოგადოების პარტნიორს წილის შეძენა შეუძლია როგორც თანაპარტნიორისგან, ისევე გამოშვებული ახალი წილის ფარგლებში. უპირატესი შესყიდვის ინსტიტუტი პარტნიორის კაპიტალში წილობრივი მონაწილეობის პროპორციული ზრდისკენაა მიმართული და ამიტომ, ქონებრივი რანგის უფლებების კატეგორიას მიეკუთვნება.[1083]

ბ.ა.) უფლების განხორციელების სამართლებრივი საფუძველი

„მეწარმეთა შესახებ" კანონის ახალი რედაქციის მიღებამდე შპს-ის სამართალში უპირატესი შესყიდვის ინსტიტუტი განსხვავებული წესით მოქმედებდა. კანონი ადგენდა წილის გასხვისების მსურველი პარტნიორის კანონისმიერ ვალდებულებას თანაპარტნიორის მიმართ გასასხვისებელი წილის შესყიდვის სავალდებულო და უპირატეს შეთავაზებაზე.[1084]

1083 *შეფერი,* საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), 2018, § 36, ველი 7, 450.

1084 კანონი (1994), 46[1] მუხლი. *Tokhadze*, Comparative Analysis of Preemptive Rights in Georgian and Ukrainian LLCs' – a Statutory Rule or a Contractual Privilege,

მოქმედი რედაქცია შპს-ის პარტნიორის უპირატესი შესყიდვის უფლებას მხოლოდ გამოშვებული ახალი წილის მიმართ ადგენს.[1085] უპირატესი შესყიდვის უფლებით ასევე შეიძლება გასხვისდეს შპს-ის მიერ პარტნიორისაგან გამოსყიდული წილი.[1086] 317-ე მუხლის დისპოზიციული ხასიათი ამგვარი უფლების გაუქმების ან შესყიდვის პირობების დაკონკრეტების საშუალებას წესდებით უზრუნველყოფს. მაშასადამე, ახალი წილის შეძენის მიმართ უპირატესი შესყიდვის უფლების სამართლებრივი საფუძველი არის *კანონისმიერი*, თუმცა თანაბრად არის შესაძლებელი უპირატესი შესყიდვის ინსტიტუტის *გარიგებითსამართლებრივი (წესდებისმიერი)* საფუძვლით ამოქმედება. კერძოდ, 141-ე მუხლის თანახმად, წილის გასხვისება შეუზღუდავია. ნორმის ლიბერალური მოწესრიგების გამო, წესდებით შესაძლებელია გასხვისების უფლების მოდიფიცირება იმგვარად, რომ წილის განკარგვა დამოკიდებული გახდეს, პირობითად, თანაპარტნიორთა თანხმობაზე ან თუნდაც, დაწესდეს წილის გამსხვისებელი პარტნიორის ვალდებულება თანაპარტნიორისათვის წილის შეძენის უპირატესად შეთავაზებაზე. აქედან გამომდინარე, უპირატესი შესყიდვის *კანონისმიერი უფლება* მოქმედებს მხოლოდ საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში — ახალი წილის მიმართ, ხოლო უპირატესი შესყიდვის *წესდებისმიერი უფლება* შეიძლება ასევე ამოქმედდეს პარტნიორის მიერ წილის გასხვისების შემთხვევაში.

ზოგადად, უპირატესი შესყიდვის ინსტიტუტი პარტნიორული სტრუქტურის შენარჩუნების ინსტრუმენტია.[1087] გამოშვებული ახალი წილის თავისუფალი განკარგვის უპირატესი შესყიდვის ინსტიტუტით შებოჭვა, შპს-ში პარტნი-

---

International Journal: Law and Society, №8, 2018, 116-122.

1085 კანონის 137-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1086 ან ამგვარი წილი გაუქმდება. იქვე, 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბოლო წინადადება.

1087 პერსონალურ და კაპიტალურ საზოგადოებებში უპირატესი შესყიდვის ინსტიტუტს მოქმედებას განსხვავებული ბუნება და ფორმა აქვს. იხ. *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, 2013, 248, სქოლიო 216. დასახელებული ინსტიტუტის კორპორაციულსამართლებრივი თავდაცვის ღონისძიების რანგში მსჯელობაზე იხ.: *მაისურაძე*, კორპორაციულ-სამართლებრივი თავდაცვის ღონისძიებები კაპიტალური საზოგადოების რეორგანიზაციისას, 2015, 237-245.

ორული სტრუქტურის შენარჩუნების ერთგვარი საშუალებაა. მეორე მხრივ, კი იგი უზრუნველყოფს პარტნიორის წილის კაპიტალში პროპორციულ შენარჩუნებასა და გაუფასურებისაგან დაცვას.[1088]

ბ.ბ.) წილის შეძენის პირობები

უპირატესი შესყიდვის უფლება არის უფლებრივი კატეგორია, რომელიც სუბიექტის ინდივიდუალური მოქმედების დაშვებას გულისხმობს. პარტნიორის „იძულება" ახალი წილის შეძენაზე, ამგვარი გარიგების ბათილობას გამოიწვევს.[1089] ნებადართული წილის ფარგლებში ახალი წილების გამოშვებაზე გადაწყვეტილებას საზოგადოების საერთო კრება ან წესდებით განსაზღვრული ორგანო იღებს.[1090] უპირატესი შესყიდვის უფლება უნდა განხორციელდეს თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვით.[1091] კანონი უშვებს სხვადასხვა კლასის ფარგლებში ახალი წილების გამოშვებისა და სხვა კლასის მეწილე პარტნიორებზე განთავსების შესაძლებლობასაც, თუ გამოშვებამდე ამგვარ განთავსებაზე არსებობს თანხმობა წესდების ან შესაბამისი კლასის წარმომადგენელ პარტნიორთა გადაწყვეტილების სახით.[1092] გამოშვებული ახალი წილის შეძენის უფლება აქვთ მხოლოდ მოქმედ პარტნიორებს. შეთავაზება უპირველესად მათ მიმართ ხორციელდება. ამგვარი პირველადი შეთავაზების შედეგების გათვალისწინებით, დასაშვები ხდება განუსაზღვრელ პირთა წრისათვის შეთავაზების განხორციელება.[1093] საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით, პარტნიორებთან შეძენის შეთავაზება ინარმოებს წერილობითი ფორმით და იმ ობიექტურად დადგენილი პირობებით, რომელსაც საზოგადოება წილის შეთავაზების ეტაპზე მესამე პირებსაც წარუდგენს. *მაგალითად*, პირობებში

1088 *Ventoruzzo*, Issuing New Shares and Preemptive Rights: A Comparative Analysis, Richmond Journal of Global Law & Business, №12(4), 2013, 520-522.

1089 აგრეთვე დაუშვებელია წესდებით უპირატესი შესყიდვის უფლების პარტნიორის ვალდებულებად გარდაქმნა. იქვე, 253.

1090 კანონის 136-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

1091 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, 2013, 249.

1092 კანონის 136-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

1093 იქვე, 137-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

მოიაზრება წილის მინიმალური და მაქსიმალური ღირებულება, ღირებულების დადგენის მეთოდი, შეძენის განხორციელების ვადა[1094]. შეძენისათვის დადგენილ ვადაში პარტნიორს ასევე აქვს უფლება, უპირატესი შესყიდვის უფლება დათმოს, გადასცეს მესამე პირს, მათ შორის, თანაპარტნიორს ან განაცხადოს უარი უფლებით სარგებლობაზე.[1095]

ბ.გ.) უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება

კრების გადაწყვეტილებით შესაძლებელია უპირატესი შესყიდვის უფლების სრული გაუქმება ან ნაწილობრივი ჩამორთმევა, მათ შორის, გარკვეული ვადით შეზღუდვა. ამგვარი გადაწყვეტილება უნდა ემსახურებოდეს საზოგადოების საუკეთესო ინტერესის დაცვას, როგორც ამ მიზნის შესაბამისი, პროპორციული და გონივრული ღონისძიება.[1096] *მაგალითად*, ინვესტიციების მოზიდვა ახალი გამოშვებული წილის განთავსებით. კანონი ითვალისწინებს უპირატესი შესყიდვის ინსტიტუტის მხოლოდ *de jure* გაუქმებას, კერძოდ, წესდების ან პარტნიორთა კრების კვალიფიციური უმრავლესობის მხარდაჭერით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. უპირატესი შესყიდვის *de facto* გაუქმება დაუშვებელია. *de facto* გაუქმებაში იგულისხმება პარტნიორებისათვის შეთავაზების განხორციელება იმგვარი პირობებით, რომელიც პარტნიორების მიერ უპირატესი შესყიდვის უფლების ხელოვნურ გაუმოყენებლობას ან არაპირდაპირ შეზღუდვას გამოიწვევს.[1097] *მაგალითად*, არაობიექტურად მაღალი ფასით შეთავაზების განხორციელება, შეთავაზებული ფასის ოდენობასთან მიმართებით არაგონივრულად მინიმალური ვადის განსაზღვრა, ერთი კლასის წარმომადგენელ მეწილეთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დარღვევა — მოკლედ, ყველა ის ხერხი, რომელიც საბოლოო ჯამში უპირატესი შესყიდვის უფლების სარგებლობის შეუძლებლობას იწვევს.

1094 კანონი გონივრულ ვადას მინიმალურ 14 დღეს უკავშირებს, იხ. კანონის 137-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

1095 იქვე, 137-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

1096 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, 2013, 254-255.

1097 *Wirth, Arnold, Greene*, Corporate Law in Germany, 2004, 154-155.

ცხადია, უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების ეტაპზე ობიექტური პირობების განსასაზღვრად, პარტნიორის უფლების დაცვის მექანიზი სათანადო ინფორმაციის მიღებასა და შემოწმებაში მდგომარეობს.

გ.) სამართლიანი ფასისა და წილის ღირებულების მიღების უფლება

პარტნიორს შპს-დან გასვლა შეუძლია წილის თანაპარტნიორზე ან მესამე პირზე გასხვისების გზით.[1098] აღსანიშნავია, რომ პარტნიორის „გასვლა", „განდევნა" და „გარიცხვა" განსხვავებული შინაარსის ტერმინებია და ერთი მეორეს არ მოიცავს.[1099] გასვლა წევრობის ნებაყოფლობითი შეწყვეტის საფუძველია, რომელიც საზოგადოების ქონებიდან წილის შესატყვისი ღირებულების გაცემის ხარჯზე ხორციელდება. გასვლა წილის გამოსყიდვით შესაძლებელია საზოგადოებისაგან სამართლიანი ფასის მიღების საფუძველზე. საპირწონედ, კანონი ასევე უშვებს საზოგადოების მიერ საკუთარ კაპიტალში წილის შეძენის შესაძლებლობას. წილის შესატყვისი ღირებულება კორპორაციული დისტრიბუციის კატეგორიას განეკუთვენება. შესაბამისად, ამგვარი კომპენსაციის ადეკვატურობა დგინდება, ერთი მხრივ, საზოგადოების კაპიტალის დაცვის ზემოხსენებული სისტემებით, ხოლო მეორე მხრივ, პარტნიორის წილის რეალური ღირებულების განსაზღვრით.

გ.ა.) უფლების განხორციელების სამართლებრივი საფუძველი

პარტნიორის გასვლისა და წილის გამოსყიდვის ინსტიტუტი კვლავ ორ ძირითად საფუძველს ეყრდნობა: *კანონისმიერს*, როდესაც *ipso iure* წარმოიშობა გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება საზოგადოების მიმართ და - *წესდებისმიერს*, როდესაც საზოგადოების ან პარტნიორის მიერ წილის გამოსყიდვა ნი-

---

1098 *ჭანტურია, ნინიძე*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 280.

1099 დამატებით იხ. *ბურდული, მახარობლიშვილი, მალრაძე*, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 136-153.

ნასწარ დადგენილი პირობებით არის შესაძლებელი (*მაგალითად*, „გამოსყიდვადაქვემდებარებული წილით"[1100]). გარიგებითსამართლებრივი გამოსყიდვის პირობები და ვადა საწესდებო ავტონომიის ფარგლებში შეთანხმების საგანია. რაც შეეხება კანონისმიერი საფუძვლით გამოსყიდვას, ნორმატიული მოწესრიგება ზომიერად იცავს საზოგადოების ქონების დაცვის იმპერატიულობას წილის ღირებულების დადგენის თავისუფლებასთან მიმართებით.

პარტნიორს შპს-დან გასვლისა და წილის გამოსყიდვის უფლება წარმოეშობა მისი ინტერესების არსებითი შეზღუდვის შემთხვევაში, ასევე, თუკი საზოგადოებაში რეორგანიზაციის გადაწყვეტილებას მან მხარი არ დაუჭირა.[1101] პარტნიორის ინტერესის არსებითი შეზღუდვა უკავშირდება უფლებიდან გამომდინარე კანონიერი ინტერესის შელახვას, რომელიც შეიძლება გამოიხატოს: ა) ხელმძღვანელი ან თანაპარტნიორის ზიანის გამომწვევი ქმედებით; ბ) საზოგადოების სამეწარმეო საქმიანობის არსებითი ცვლილებით; გ) საზოგადოების დადებითი ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, 3 წლის განმავლობაში წლიური თუ შუალედური დივიდენდის გაუნაწილებლობით; დ) მისი წილის უფლებრივი კონსტრუქციის ცვლილებით; ე) დამატებითი შესატანის განხორციელების ვალდებულების შესახებ გადაწყვეტილებით.[1102] დასახელებული შემთხვევა წარმოადგენს იმ მნიშვნელოვან საფუძველს, რომელიც პარტნიორს საზოგადოებიდან გასვლის შესაძლებლობას ანიჭებს. ამას გარდა, მნიშვნელოვანია იმგვარი საფუძველი, რომელიც შეუძლებელს ხდის პარტნიორის საზოგადოებაში დარჩენასა და პარტნიორული ურთიერთობების

1100 იგულ. "*Redeemable Shares*", რომელიც იძლევა საშუალებას გარკვეულ პერიოდში ან პარტნიორის, ან საზოგადოების მოთხოვნით გამოსყიდულ იქნას, *Davies*, Introduction to Company Law, 2010, 80, ft. 26. შეად. წილის „ამოღების" (ამორტიზაციის) ინსტიტუტს, რომელსაც ახორციელებს როგორც საზოგადოება — წილის ამოღების იძულებითი წესით. იხ.: *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე*, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 141-148. *შეფერი*, საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), 2018, § 36, ველი 6, 446.

1101 კანონის 75-ე მუხლი, 144-ე მუხლი.

1102 იქვე, 144-ე მუხლის პირველი პუნქტი.

შენარჩუნებას.[1103]

წილის გამოსყიდვისა და გასვლის მოთხოვნა ხორციელდება ნების გამოხატვით — საზოგადოებისადმი მიმართვით, რომელიც საჭიროებს გასვლისა და გამოსყიდვის მიზეზების შესაბამისი არგუმენტაციის შემცველი წერილობითი ფორმისა და კანონით დადგენილი ვადის დაცვას.[1104] ფორმალურ მოთხოვნათა დაუცველობა უფლების განუხორციელებლობას იწვევს. თუკი ამგვარი მოთხოვნის საფუძველი უკავშირდება კრების გადაწყვეტილებას, უფლების ნარმოშობის წინაპირობაა გასვლის ან წილის გამოსყიდვის მსურველი პარტნიორის უარი კრების გადაწყვეტილების მხარდაჭერაზე.[1105] პარტნიორის გასვლის შესახებ გადაწყვეტილებას, მათ შორის, გამოსყიდული წილის შემდგომი განკარგვის ან გაუქმეს თაობაზე, საერთო კრება იღებს.[1106]

გ.ბ.) სამართლიანი ფასი და საზოგადოების ქონების დაცვა

ზოგადად, წილის ღირებულება დამოკიდებულია იმ უფლებრივ კონსტრუქციაზე, განსაკუთრებით „პრემიალური კონტროლის" მექანიზმებზე, რომელსაც წევრობის სტატუსი პარტნიორს ანიჭებს.[1107] კანონის 144-ე მუხლი განსაზღვრავს გასვლის სურვილის მქონე პარტნიორის წილის საკომპენსაციო ღირებულების დადგენისა და გაცემის პირობებს. 75-ე მუხლი კი ადგენს საზოგადოების რეორგანიზაციის შემთხვევაში წილის გამოსყიდვის პროცედურულ მხარესა და სამართლიანი ფასის განსაზღვრის წესს. პარტნიორის გასვლის დროს, მისი წილის კომპენსაციის გადაცემა ექვემდებარება საზოგადოების ქონების შენარჩუნების მავალდებულებელ

1103 *ჭანტურია, ნინიძე,* მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 280.

1104 იქვე, 281. რეორგანიზაციის გადაწყვეტილების მიღებიდან 20 დღის ვადაში ხორციელდება ნერილობითი მიმართვა გამოსყიდვაზე, კანონის 75-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1105 კანონის 75-ე მუხლის პირველი პუნქტი, 144-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

1106 იქვე, 126-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი, 144-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

1107 *მაგალითად,* მრავალხმიანი აქცია. *Lin,* Revisiting Corporate Control-Enhancing Mechanisms, in: Global Capital Markets, A Survey of Legal and Regulatory Trends, Vasudev/Watson (eds.), 2017, 106.

მოთხოვნებს და გამოიყენება დივიდენდის განაწილებისათვის დადგენილი ნორმები.[1108] რაც შეეხება რეორგანიზაციის მიზეზით წილის გამოსყიდვას, სამართლიან ფასს განსაზღვრავს ხელმძღვანელი ორგანო.[1109] გამოსყიდვა ხორციელდება ფინანსური ანგარიშგების მონაცემთა და სამომავლო გადახდისუნარიანობის შეფასებით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გამოსასყიდი წილის პროპორციული შესატანი სრულადაა განხორციელებული.[1110] ასევე, კანონის 142-ე მუხლი კრძალავს ხმის ან სალიკვიდაციო ქონების მიღების უფლების მქონე წილების სრულ შეძენას.

გამსვლელი პარტნიორის წილის საკომპენსაციო ღირებულება, მათ შორის ფორმა (*მაგალითად*, გაცემული იქნება იგი ფულადი თუ არაფულადი სახით), გასვლის მსურველი პარტნიორისა და საზოგადოების შეთანხმების საგანია.[1111] როგორც წესი, პარტნიორს არ აქვს სამართლიანი ღირებულების სახით, განხორციელებული სანივთო შენატანის უკან დაბრუნების მოთხოვნა.[1112] წილის ღირებულება შესაძლებელია განისაზღვროს საბალანსო ან საბაზრო ღირებულებითაც[1113] ან წესდებით დადგინდეს საკომპენსაციო თანხის ფიქსირებული ოდენობა. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, საზოგადოებიდან გამსვლელი პარტნიორისთვის გადასახდელ სამართლიან ფასს ადგენს დამოუკიდებელი აუდიტორი.[1114] რეორგანიზაციის საფუძვლით წილის გამოსყიდვის მსურველი პარტნიორის დაცვის მექანიზმს წარმოადგენს სასამართლოსადმი მიმართვა, დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ სამართლიანი ფასის ოდენობისა და ფორმის განსაზღვრის მიზნით.[1115] წილის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას უპირატესობა ენიჭება საბაზრო ღირებულების პრინციპს,

---

1108 იგულისხმება კანონის 135-ე მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტი.

1109 იქვე, 75-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

1110 იქვე, 142-ე მუხლის პირველი პუნქტი და 147-ე მუხლის პირველი პუნქტი. *Wirth, Arnold, Greene*, Corporate Law in Germany, 2004, 26.

1111 კანონის 144-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

1112 *ჭანტურია, ნინიძე*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 282-283.

1113 იქვე.

1114 კანონის 144-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

1115 იქვე, 75-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

რომლის მეშვეობით მხედველობაში მიიღება წილის რეალურ ფასზე მოქმედი ფაქტობრივი გარემოებანი.[1116] სამართლიანი ფასის განსაზღვრისას სასამართლო ხელმძღვანელობს როგორც წილის საბაზრო ღირებულებით, ისევე საზოგადოების მიერ მისაღები სავარაუდო სამომავლო შემოსავლების, არსებული აქტივისა და პასივის ურთიერთმიმართებით.[1117]

გ.გ.) სალიკვიდაციო დისტრიბუცია

ლიკვიდაციის პროცესში საზოგადოების ქონებიდან უპირველესად ხდება ვალდებულებათა დაფარვა, კრედიტორთა დაკმაყოფილება, ხოლო დარჩენილი ქონების ფარგლებში — პარტნიორთა წილის პროპორციული დისტრიბუცია.[1118] „ქონებაში" იგულისხმება საზოგადოების მთლიანი აქტივი და მისი განაწილების ეტაპზე თავისთავად აღარ გავრცელდება კაპიტალის დაცვის ზემოხსენებული სისტემები. რაც შეეხება ვალდებულებებს, მათ კატეგორიას განეკუთვნება სალიკვიდაციო პროცესისთვის განკუთვნილი ხარჯებიც (*მაგალითად*, ლიკვიდატორის ანაზღაურება, სხვა).[1119] კრედიტორთა დაცვის მიზნით დადგენილია საზოგადოების ქონების განაწილებამდე „სავალდებულო მოცდის" ხუთთვიანი პერიოდი.[1120] საზოგადოების დარჩენილი ქონება ნაწილდება პარტნიორთა წილის პროპორციულად და მათი კლასობრივი უფლებების გათვალისწინებით.[1121] *მაგალითად*, თუკი შპს-ში არსებობს კონკრეტული კლასის წილი, რომელიც სალიკვიდაციო პრეფერენციებს, ე. ი. საზოგადოების ლიკვიდაციის შემდგომ ქონების უპირატესად მიღების უფლებას უზრუნველყოფს, ცხადია, სალიკვიდაციო დისტრიბუცია უპირატესად ამგვარად პრივილეგირებული კლასის მეწილეს გადაეცემა. საგუ-

---

1116 *ჭანტურია, ნინიძე,* მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 358-359.

1117 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309[2]-მუხლის მე-6 ნაწილი.

1118 *შეფერი,* საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), 2018, § 36, ველი 5, 446. *Schultz, Wasmeier,* The Law of Business Organizations, A Concise Overview of German Corporate Law, 2012, 113.

1119 *Schultz, Wasmeier,* The Law of Business Organizations, A Concise Overview of German Corporate Law, 2012, 113.

1120 კანონის 86-ე მუხლის პირველი პუნქტი. *მაგალითად,* გერმანიის შპს-ის კანონი ადგენს ერთნლიან სავალდებულო ვადას, § 73, GmbHG.

1121 იქვე, 85-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ლისხმოა, რომ კანონი მხოლოდ ამ ეტაპზე, საზოგადოების ქონების განაწილების პროცესში უშვებს პარტნიორის მიერ სრულად ან ნაწილობრივ განხორციელებული, მათ შორის, ფულადი თუ არა ფულადი კატეგორიის შენატანის უკან დაბრუნებას.[1122]

გ.დ.) სხვა საზღაურის ცნება

პარტნიორსა და საზოგადოებას შორის, კორპორაციულ-სამართლებრივის გარდა, შეიძლება დამყარდეს ჩვეულებრივი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა როგორც სახელშეკრულებოსამართლებრივი, ისე კანონისმიერი საფუძვლით. სწორედ ამგვარი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში პარტნიორი იძენს მისი წევრობისაგან დამოუკიდებელ, საზოგადოების კრედიტორის სტატუსს. პრინციპულად მნიშვნელოვანია ამგვარი საფუძვლით წარმოშობილი მოთხოვნებისა და მათი დაკმაყოფილების მიზნით გაცემული კომპენსაციის გამიჯვნა წევრობიდან გამომდინარე კორპორაციული დისტრიბუციის მიღების უფლებისაგან. პარტნიორსა და საზოგადოებას შორის ამგვარად სუბიექტურ-ინდივიდუალური ურთიერთობა თავისთავად ქმნის ამ ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილი კომპენსაციის ობიექტურად მსაზღვრელი კრიტერიუმის საჭიროებას. შესაბამისად, კანონის 145(7)-ე მუხლი ადგენს სახელმძღვანელო პრინციპს, რომლის თანახმად, ცალკეული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე საზღაური უნდა შეფასდეს საზოგადოებასა და დამოუკიდებელ მესამე პირებს შორის არსებული ურთიერთობის პირობებით — „მკლავის სიგრძის პრინციპით"[1123], მაშასადამე, ობიექტური კრიტე-

---

1122 იქვე, მე-3 პუნქტი.

1123 იგულისხმება "*Arm's Length Principle*", რომლის კონოტაციაა დადებული გარიგების მონაწილემხარეთადაუინტერესებლობადადამოუკიდებლობა, *Wirth, Arnold, Greene*, Corporate Law in Germany, 2004, 50. პრინციპის სახელწოდების თარგმანის ვარიაციებია: *„მოლაპარაკებადაქვემდებარებული ტრანზაქცია"* იხ. *მახარობლიშვილი*, კაპიტალურ საზოგადოებათა სტრუქტურაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება კორპორაციულ-სამართლებრივ ქმედებათა (შეძენა, შენყმა) საფუძველზე, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, 2014; ასევე *„გაშლილი მკლავის პრინციპი"*, იხ. *გიგუაშვილი, ჯულელი*, განმარტებები „მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის პროექტზე, 2021, 169.

რიუმით. ნორმის მიზანი ცხადად ემსახურება სამეწარმეო საზოგადოების ქონების დაცვას უკანონო განაწილებისგან, კერძოდ, „შენილბული დისტრიბუციისგან"[1124].

კანონის 148-ე და 177-ე მუხლები, რეგულირების იმპერატიული მეთოდით, პარტნიორის საკომპენსაციო მოთხოვნის კანონისმიერ ადრესატად თანაპარტნიორსაც ასახელებს. კერძოდ, ნორმა ითვალისწინებს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამო ხელყოფილი ინტერესის აღდგენას, მათ შორის, წილის გაუფასურებით გამოწვეული ზიანის არსებობის შემთხვევაში. ამგვარი კომპენსაცია არ წარმოადგენს საზოგადოების ქონების განაწილებას იმდენად, რამდენადაც კომპენსაციის მოთხოვნის მიმღები (ადრესატი) არათუ სამეწარმეო საზოგადოება, არამედ თანაპარტნიორია.

1.8. შპს-ის რეორგანიზაცია და დაშლა

1.8.1. რეორგანიზაცია

შპს-ის რეორგანიზაციის სამართლებრივად უზრუნველყოფილი ფორმები მისი ფუნქციონირების სხვა ფორმატში გაგრძელება-განხორციელების საშუალებაა. შპს-ის როგორც კაპიტალური ტიპის სამეწარმეო საზოგადოების რეორგანიზაციის საფუძველი მრავალგვარი შეიძლება იყოს. მაგალითად, თუ შპს-ის არსებული პარტნიორები გაანალიზებენ და მივლენ იმ დასკვნამდე, რომ საშუალო ბიზნესი უნდა გაზარდონ და მსხვილი ბიზნესის სტატუსი მოიპოვონ, ამისათვის მათ დასჭირდებათ შპს-ის სს-ად გარდაქმნა. ასევე, თუ შპს-ის მმართველი რგოლი საბაზრო ეკონომიკის პირობებში გაანალიზებს ახალი სამეწარმეო საქმიანობის ხაზის ათვისებას უკვე არსებული საწარმოს შეძენის გზით, ის (შპს) მიმართავს შერწყმით რეორგანიზაციის ფორმას. ხოლო თუ შპს-ის მენეჯმენტი მივა იმ დასკვნამდე, რომ სამეწარმეო საზოგადოება სწრაფი ეკონომიკური ზრდითა და დინამიკაში მზარდი საბაზრო ღირებულებით გამოირჩევა, შეიძლება მი-

1124 *Fleischer*, Disguised Distributions and Capital Maintenance in European Company Law, in: Legal Capital in Europe. European Company and Financial Review-Special Issue, Lutter (ed.), 2006, 94-111.

ღებულ იქნეს გადაწყვეტილება კაპიტალისა და სამეწარმეო საქმიანობის დივერსიფიცირების მიზნით სამეწარმეო საზოგადოების გაყოფით რეორგანიზაციის თაობაზე.

შპს-ის შემთხვევაში, გარდაქმნის გადაწყვეტილება მიიღება პარტნიორთა საერთო კრებაზე, თუმცა, ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებისგან განსხვავებით, შპს-ის სპს-დ გარდაქმნას ერთხმიანი გადაწყვეტილება ესაჭიროება, ხოლო კს-დ გარდაქმნას - კენჭისყრაში მონაწილე ხმების ¾-ის უმრავლესობით და იმ პირობით, რომ ასეთ გადაწყვეტილებას მხარი უნდა დაუჭიროს ყველა იმ პარტნიორმა, რომელიც კომპლემენტარი უნდა გახდეს.[1125]

შპს-ის შერწყმის ან გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრაში მონაწილე ხმების ¾ -ის უმრავლესობით. რეორგანიზაციის რომელიმე ფორმით განხორციელება სრულდება მისი რეგისტრაციის მომენტიდან. ყველა დანარჩენი შემთხვევის მიმართ გამოიყენება რეორგანიზაციის ზოგადი წესები, რაც საერთოა ყველა სამართლებრივი ფორმისათვის.

1.8.2. დაშლა

შპს-ის დაშლა მისი ფუნქციონირების დასრულების ბოლო ეტაპია. ის გულისხმობს სამეწარმეო საზოგადოების ფუნქციონირების არეალიდან დადგენილი წესების დაცვით გასვლას. ახალი კანონით სამეწარმეო საზოგადოების ფუნქციონირების დასრულების შინაარსობრივი მხარე ტერმინოლოგიურად შესწორდა და გაიმართა.

დაშლის პროცესი რამდენიმე ეტაპისაგან შედგება, რომელიც მოიცავს სამართლებრივ მხარეს - გაუქმებას და სამართლებრივ-ეკონომიკურ მხარეს - ლიკვიდაციას. დაშლის პროცესის შემადგენელი აღნიშნული ელემენტების განხილვამდე, სასურველია, გაანალიზდეს თავად დაშლის დაწყების საფუძვლები.

1125 აქ მნიშვნელოვანია ის დეტალი, რომ გარდაქმნილ სამეწარმეო საზოგადოებაში პარტნიორის წილი იმის პროპორციული უნდა იყოს, რაც მას ჰქონდა წინა სამეწარმეო საზოგადოებაში. თუ წილთა პროპორცია არ იქნება დაცული, მაშინ გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ერთხმად. იხ. კანონის 62-ე მუხლი.

დაშლის დაწყების საფუძველი იყოფა რამდენიმე სეგმენტად. დაშლის დაწყების გენერალური საფუძველია ის, რომ სამეწარმეო საზოგადოება არ უნდა აკმაყოფილებდეს იყოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების საფუძვლებს.[1126] ეს საფუძველი ერთ-ერთ უმთავრესად იმიტომ უნდა ჩაითვალოს, რომ დაშლისა და გადახდისუუნარობის პროცესები კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების უნარის კონტექსტში ერთმანეთისგან თვისებრივად განსხვავებული ინსტიტუტებია.

დაშლის სამართლებრივად პროცედურული საფუძველი, რეორგანიზაციისგან განსხვავებით, რამდენიმეა: პარტნიორთა გადაწყვეტილება, სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნებისთვის სავალდებულო ფუნდამენტური მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა (მაგალითად, პარტნიორთა რაოდენობა), იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება, პარტნიორის სარჩელის საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაშლის შესახებ და წესდებით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.[1127] შესაბამისად, მარეგისტრირებელი ორგანო დაშლას არეგისტრირებს ან ხელმძღვანელი პირის მიმართვის, ან სასამართლოს ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართვის შემთხვევაში, რაც დაშლის პროცესის დაწყების საფუძველზეა დამოკიდებული.

შპს-ის დაშლის შესახებ გადაწყვეტილების ნებისმიერი ზემოაღნიშნული საფუძვლით დარეგსტრირების შემდგომ იწყება სამეწარმეო საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესი. ლიკვიდაციის პროცესის დაწყების მომენტიდან საზოგადოების საფირმოს სახელწოდებას უნდა დაემატოს „ლიკვიდაციის პროცესში", რაც მესამე პირთათვის გარიგების დადების გადაწყვეტილების მიღებამდე შეცნობადს ხდის სამეწარმეო საზოგადოების სამართლებრივ მდგომარეობას (რეჟიმს).

ლიკვიდაციის პროცესს ხელმძღვანელობს ლიკვიდატორი, რომელიც, როგორც წესი, საწარმოს ხელმძღვანელი პირია. მაგრამ, პარტნიორთა გადაწყვეტილებით, ან სასამართლოს

1126 იხ. „რეაბილიტაციისა და კრედიორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლი.

1127 იხ. კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტი.

კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე სამეწარმეო საზოგადოების ლიკვიდატორი შეიძლება სხვა პირი განისაზღვროს. ლიკვიდატორის უფლებამოსილება წარმოიშობა მარეგისტრირებელ ორგანოში მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

ლიკვიდატორად დაშნული პირს ნორმატიულ დონეზე განსაზღვრული მოვალეობები აქვს. უპირველეს ყოვლისა მან საზოგადოების კრედიტორებს უნდა აცნობოს საზოგადოების დაშლის პროცესის შესახებ.

ლიკვიდაციის პროცესის შემადგენლობა ლიკვიდატორის უფლებამოსილების განმარტებიდანაც გამომდინარეობს. კერძოდ, ლიკვიდატორი არის ხელმძღვანელი პირის უფლება-მოვალეობებით აღჭურვილი პირი, რომელმაც ლიკვიდაციის პროცესში უნდა დაასრულონ მიმდინარე საქმეები, გაასხვისონ აქტივები და შეასრულონ შპს-ის მიერ ნაკისრი ვალდებულებები. აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ლიკვიდატორი არ არის შეზღუდული დადოს ახალი გარიგება.

ლიკვიდაციის პროცესის სამართლებრივ-ეკონომიკურ ნაწილად კვალიფიცირებას განაპირობებს ის ფაქტორიც, რომ ლიკვიდაციაში მყოფი სამეწარმეო საზოგადოების ქონება ნაწილდება პარტნიორებს შორის. ეს უკანასკნელი შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების ვალდებულებების დაფარვისა და დაშლის შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან 5 თვის გასვლის შემდგომ. აღნიშნული ორი წინაპირობა კრედიტორის დაცვას უზრუნველყოფს, რათა არ მოხდეს მათი ინტერესების შელახვის ხარჯზე, უპირატესად, პარტნიორთა შორის სამეწარმეო საზოგადოების ქონების სრულად განაწილება.[1128] შპს-ში პარტნიორთა შორის წილების განაწილება მათ წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად

1128 თუ პარტნიორთა შორის სამეწარმეო საზოგადოების ქონების განაწილება არ არის დაწყებული, დაშლილმა სამეწარმეო საზოგადოებამ შეიძლება გააგრძელოს არსებობა, თუ ამის შესახებ პარტნიორთა საერთო კრება მიიღებს გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილება დაშლილი საზოგადოების არსებობის გაგრძელების შესახებ მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციისთვის ლიკვიდატორის მიერ უნდა იქნეს წარდგენილი, ხოლო დაშლილი საზოგადოების არსებობის გაგრძელება ძალაში შედის ხსენებული გადაწყვეტილების რეგისტრაციის შემდეგ.

უნდა მოხდეს, თუმცა, თუ შესატანი სრულად არ იყო შეტანილი, თავდაპირველად ხდება შენატანის ღირებულების საზოგადოებისთვის დაბრუნება, ხოლო ნარჩენი ქონება განაწილდება წილიდან გამომდინარე უფლებების შესაბამისად.[1129]

დაშლის პროცესის შემადგენელი ერთ-ერთი მთავარი სეგმენტი - ლიკვიდაცია - დასრულებულად ითვლება საზოგადოების ქონების განაწილების შემდეგ.[1130] თუმცა, სამართლებრივი შედეგი დგება ლიკვიდატორის მიერ მარეგისტრირებელი ორგანოსათვის ლიკვიდაციის რეგისტრაციის მოთხოვნიდან და მისი რეგისტრაციის მომენტიდან. ლიკვიდაციის რეგისტრაციის მოთხოვნის საფუძველზე მარეგისტრირებელი ორგანო აუქმებს (დაშლის სამართლებრივი მხარე) სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრაციას.

2. თავი - სს

კაპიტალური ტიპის საზოგადოების სამართალი სს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიმოხილვით დასრულდება. როგორც წესი, აღნიშნული იურიდიული ფორმა დიდი ბიზნესის წარმოებისათვის არის დადგენილი და ძირითადად ოპერირებს საბანკო-სადაზღვევო, საჰაერო, საზღვაო და სარკინიგზო მიმოსვლის, მანქანათმშენებლობისა და მძიმე მრეწველობის, მაღალი ტექნოლლოგიური პროდუქციის წარმოების სფეროში. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ მსგავსი ორგანიზაციული ფორმისათვის სხვა სფეროებში და საშუალო თუ მცირე ბიზნესში კარი დაკეტილია. უბრალოდ, თუკი თვალი გადაევლება განვითარებული კორპორაციული ეკონომიკის მქონე ქვეყნებს და, მითუმეტეს, ისეთ სახელმწიფოებს, სადაც კაპიტალის ბაზარიც არის კარგად განვითარებული, ადვილი დასანახი იქნება, რომ სს სწორედ რომ კორპორაციათა ავანგარდს განეკუთვნება და მათ მიერ კაპიტალიზაციის ბრუნვის სიდიდე საგრძნობია

1129 იხ. კანონის 85-ე მუხლი.

1130 თუ რეგისტრაციის გაუქმების შემდგომ აღმოჩნდა, რომ ქონება კვლავ დარჩა, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე სასამართლო ხელახლა ნიშნავს ლიკვიდატორს, რის შემდგომაც დარჩენილი ქონების სალიკვიდაციო პროცედურები ხელახლა, ზოგადი წესების მიხედვით განხორციელდება. იხ. კანონის 90-ე მუხლი.

ქვეყნის ორგანიზაციული ეკონომიკისათვის სხვა სამართლებრივ ფორმებთან შედარებით. სამწუხაროდ საქართველოში, სხვადასხვა ობიექტური ისტორიულ-სოციო-ეკონომიკური და იურიდიულ-საკანონმდებლო ფაქტორიდან გამომდინარე, სს-ის ორგანიზაციული ფორმა ნაკლებად იყო განვითარებული. იმედია, 2021 წლის „მეწარმეთა შესახებ" კანონის ახალი რედაქცია, მისი მწყობრი და რაციონალური სისტემა და სხვა მასთან მჭიდროდ დაკავშირებული გარემოებები, აღნიშნულ ფორმას მეტ გასაქანს მისცემს, რაც ინვესტორის მხრიდან მის მიმართ ინტერესს გააღვივებს. ისიც უნდა ითქვას, რომ მხოლოდ მეწარმეთა შესახებ კანონის რეფორმით ეს მიზანი ვერ მიიღწევა. შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან იდგმება სხვადასხვა ნაბიჯი, რათა ადგილობრივი სს-ის მიმართ ინტერესი გაჩნდეს, პირველ ყოვლისა, შიდა კაპიტალდამბანდებლის და, რასაკვირველია, უცხოელი ფულის ჩამდების მხრიდან. ამისთვის კი სხვადასხვა ეკონომიკური სტიმულირების პაკეტი იქმნება,[1131] ცვლილება-დამატება შედის კანონმდებლობაში.[1132]

საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისითაც სს გამოირჩევა მისი (მოჭარბებული) მოწესრიგების რეჟიმით და კანონი მის (შიდა) ურთიერთობასთან დაკავშირებულ მრავალ ნორმა-დებულებას გვთავაზობს. ამასთან, აღნიშნულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმასთან მიმართებით გამოიყენება ე.წ. საწესდებო სიხისტე,[1133] რაც კარგად ვლინდება კანონის პირველი მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტის კორელაციის შედეგად: წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტი პირდაპირ ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ სახელშეკრულებო თავისუფლების, ანუ საწესდებო ავტონომიის ფარგლები კანონით დასაშვები პოსტულატებით არის შეზღუდული. ეს ნიშნავს, რომ სს-ის ხელშეკრულებით (წესდებით)

1131 მაგ., კაპიტალის ბაზრის განვითარებასთან და მის შემაფერხებელ ფაქტორებთან დაკავშირებით მიმოხილვა იხ.: *ბურდული, მახარობლიშვილი, ეგნატაშვილი, ებანოიძე,* კაპიტალის ბაზრის ფუნქციაუნარიანობა: არსებული რეალობა და რეფორმის აუცილებლობა, 2017, 6 და მომდ.

1132 მაგ.: საინვესტიციო ფონდების შესახებ კანონი და სხვ.

1133 MünchKommAktG/Pentz, (2019), §23 Rn. 160 ff; *Vetter* in Henssler/Strohn, Gesellschafstrecht, (2021), AktG §23 Rn. 22 ff.

ან აქციონერთა ცალკე შეთანხმებით შესაძლებელია განისაზღვროს მეწარმეთა კანონისაგან განსხვავებული მოწესრიგებები (წესები), თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ ფარგლებში, რასაც თავად კანონი დაუშვებს. ამას თავისი შინაარსობრივ-ლოგიკური ახსნაც აქვს: სხვა სამართლებრივი ფორმებისაგან, როგორც ამხანაგური, ისე შპს-ის იურიდიული კონსტრუქციისაგან განსხვავებით, სს-ის დამფუძნებელი პარტნიორები წესდების შინაარსის ჩამოყალიბება-დადგენის ფარგლებით არიან შეზღუდული, რაც იმას ნიშნავს, რომ პრინციპში სს-ის მომწესრიგებელი ნორმები, როგორც წესი, იმპერატიულ ხასიათს ატარებს. იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ამით მიიღწევა აქციის, როგორც კორპორაციული პროდუქტის სტანდარტიზება, რაც კაპიტალის ბაზარზე ამ პროდუქტის ფუნქციაუნარიანი ბრუნვისა და ვაჭრობის წინაპირობაა.[1134] სწორედ ეს უნდა იყოს მისი კაპიტალის ბაზრის მეშვეობით დაფინანსების მიმზიდველი და ეფექტური პირობაც. ამასთან, გამომდინარე სს-ის ტრადიციულად არაპერსონალური პარტნიორული სტრუქტურისა, მრავალი კაპიტალდამბანდებლისა და კლასიკური კორპორაციული მართვის არქიტექტურისა, მნიშვნელოვანი ხდება მსგავს ორგანიზაციულ ფორმაში მინორიტარი აქციონერის დაცვის საკანონმდებლო მექანიზმების ჩამოყალიბება, რომლის უზრუნველყოფა მხოლოდ (მაჟორიტარ) აქციონერის ინტერესზე, სურვილსა და კეთილ ნებაზე დამოკიდებული არ უნდა იყოს. წინაალმდეგ შემთხვევაში ინტერესი იკარგება სს-ში მცირე კაპიტალდაბანდებისა, რაც ე.წ. პორტფოლიო (საზოგადოებრივი) ინვესტიციის შემაფერხებელ და საწინააღმდეგო მოვლენად შეიძლება განიხილებოდეს.

2.1. სს-ის ცნება, ძირითადი მახასიათებლები და მისი ეკონომიკური მნიშვნელობა

სს-ის ლეგალური დეფინიცია მოცემულია კანონის 150-ე მუხლში, რომელიც მის რამდენიმე სახასიათო ნიშანს გამოყოფს: სს არის სააქციო კაპიტალზე დაფუძნებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული პირი

1134 *Koch*, Gesellschaftsrecht, (2019), §29 Rn. 12.

კანონის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტის და სკ-ის 24-ე მუხლის თანახმად, კაპიტალურად მოწყობილი სუბიექტი, რომელიც დაფუძნებულია საწარმოს კონტროლის საკანონმდებლო მოწესრიგების სისტემაზე, აქვს წევრობის უფლებამოსილებათა ერთობლიობის დამადასტურებელი კორპორაციული ფასიანი ქაღალდი, რომელიც (მათ შორის, ბირჟაზე/ფასიანი ქაღალდების ბაზარზე) ბრუნვაუნარიან ობიექტს წარმოადგენს. ქონების გამიჯვნის პრინციპითა და კორპორაციული საფარველის დაცვის დოქტრინით არის ქონებაუნარიანი და კრედიტუნარიანი სამოქალაქო სუბიექტი, რომელიც დამოუკიდებლად აგებს პასუხს კრედიტორის წინაშე საზოგადოების ვალდებულებისათვის.

2.1.1. სამეწარმეო საზოგადოება და სუბტიპები

სს წარმოადგენს (გარე) საზოგადოებას, რომელიც სრულად აკმაყოფილებს სკ-ის 24-ე მუხლით დადგენილი იურიდიული პირის ელემენტებს და საკუთარი სახელითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი მართვისა და წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით მიმართულია მესამე პირებთან ურთიერთობის დამყარებისაკენ. სს სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტია და მისი სათანადო ორგანოში - კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირების რეესტრში - რეგისტრაციით იძენს მეწარმის ხარისხს. აღნიშნული ხარისხის (სტატუსის) მოპოვება ფორმალურად არის დაკავშირებული სს-ის რეგისტრაციის ფაქტთან, რამდენადაც რეგისტრაციის შემდეგ მის მიერ განხორციელებული საქმიანობა (მიუხედავად მისი სხვაგვარი შინაარსისა) ნებისმიერ შემთხვევაში (ფორმალურ-სამართლებრივად) სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა. ეს არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, სს-ის მიერ საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების შეუძლებლობას, თუმცა აქ მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი საქმიანობა არ უნდა წარმოადგენდეს მეწარმე სუბიექტის დომინანტ/ძირითად სახეს. წინაღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით შერჩეული ფორმის აღრევას,[1135] რაც ენი-

1135 საქველმოქმედო საქმიანობისათვის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულია ერთადერთი სამართლებრივი ფორმა არაკომერციული

ნააღმდეგება სამართლის პოლიტიკისა და შესაბამისი საქმიანობის განხორციელებას სათანადო კანონმდებლობით დადგენილი ფორმის პრინციპს. ეს კი დაუშვებელია. მაშასადამე, პროდუქციის მწარმოებელ სს „ხილ-ფაფა 2021"-ს უფლება აქვს უდედმამო ბავშთა სახლს უფასოდ დაურიგოს პროდუქტი, თუმცა ეს არ უნდა წარმოადგენდეს მის ძირითად საქმიანობას. მისი მიზანი, გამომდინარე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტიდან, უნდა იყოს პროდუქციის ბაზარზე გატანა მისი შემდგომი რეალიზაციის, გასაღების მოტივით - ეკონომიკურობის, უფრო სწორედ, სასყიდლიანობის ხასიათი.[1136]

სს, კლასიკური გაგებით, ხანგრძლივი ინვესტიციის მოზიდვაზე ორიენტირებულ იურიდიულ კონსტრუქციას წარმოადგენს და ისტორიულად იგი სწორედ ამ ფუნქციის განსახორციელებლად იქმნებოდა.[1137] არ დაუკარგავს მას ეს მნიშვნელობა თანამედროვე კაპიტალისტურ ორგანიზაციულ ეკონომიკაშიც. როგორც წესი, სს დიდი ბიზნესის, მსხვილი საწარმოს ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს და, შეიძლება ითქვას, კანონი ეყრდნობა მის „მოსაზიდი კაპიტალრეზერვების"[1138], კაპიტალის შემანარჩუნებელ[1139] და შემაკავშირებელ ფუნქციას,[1140] რაც, საბოლოო ჯამში, საწარმოს რენტაბელობისთვის, ბაზარზე ქონებრივად გამართული პოზიციონირებისათვის და ეკონომიკურ-საბაზრო ურთიერთობაში კონკურენტუნარიანად წარდგენის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. აღნიშნული სამეწარმეო საზოგადოების ფორმა მოტივირებულია მისი საჯარო დაფინანსების წყაროების მოძიებით, კაპიტალიზაციის სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებაზე, სადაც კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ორგანიზებულ ბაზარზე სწრაფ და ეფექტურ ბრუნვას გადამწყვეტი

იურიდიული პირის სახით.

1136 მიუხედავად იმისა, რეალურად იგი (სს) საზღაურს მიიღებს თუ არა.

1137 *Koch*, Gesellschaftsrecht, (2019), §29 Rn. 1.

1138 Kapitalsammelbecken. Koch, Gesellschaftsrecht, (2019), §29 Rn. 1; *Saenger*, Gesellschaftsrecht, (2010), §15 Rn. 521.

1139 მნიშვნელობის თაობაზე: *Koch* in Hüffer/Koch, AktG. Komm, (2021), §1 Rn. 12.

1140 *Kübler, Assmann*, Gesellschaftsrecht. Die Privatrechtlichen Ordnungsstrukturen und Regelungsprobleme von Verbänden und Unternehmen, (2006), 164; *Grigoleit* in Grigoleit, AktG. Komm., (2020), §1 Rn. 27; *Fischer* in Heidel, Aktienrecht und Kapitalmarktrecht, (2020), §1 Rn. 2 f.

მნიშვნელობა ენიჭება.

სს-ის ორი ძირითადი სუბტიპი არსებობს. მათი განსხვავება ხდება იმისდა მიხედვით, აქვს თუ არა მას გატანილი მისი კორპორაციული ქაღალდი (აქცია) საჯარო გაყიდვისთვის და შეთავაზებული საზოგადოების ფართო მასისათვის, მაშასადამე, არის თუ არა ხსნილი სამეწარმეო საზოგადოება კაპიტალის ბაზრისთვის და ნებისმიერი (გარე) კაპიტალდამბანდებლისათვის. შესაბამსიად, განასხვავებენ საჯარო (ღია) და არასაჯარო (დახურულ) სს-ას.[1141] არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას. ამიტომაც სს-ის ამგვარ გამოვლინებებს აქ სუბტიპი დაერქმევა. დასაწყისშივე უნდა ითქვას, რომ ზოგადად სს განხილულია იმ სამართლებრივ ფორმად, რომელსაც იმთავითვე აქვს შესაძლებლობა წვდომა ჰქონდეს კაპიტალის ბაზარზე და სწორედ ორგანიზებული ბაზრის მეშვეობით მიიღოს დამატებითი კორპორაციული დაფინანსება. მართალია, „მეწარმეთა შესახებ" კანონის სულისკვეთებით შპს-აც ბირჟაუნარიანი სუბიექტი შეიძლება იყოს, თუმცა შპს-ის წილი, მისი ფორმალურ-ფუნქციონალური სტრუქტურიდან გამომდინარე, კანონმდებლის მიერ ფასიან ქაღალდად არ განიხილება. კანონის 151-ე მუხლის თანახმად, მხოლოდ აქცია განეკუთვნება ფასიანი ქაღალდის კატეგორიას, რომელიც სს-ის კაპიტალში პარტნიორის მონაწილეობას უზრუნველყოფს. მაშასადამე, სს, მისი კლასიკურ-ტრადიციული გაგებით, აპრიორი კონსტრუირებულია, როგორც ბირჟაუნარიანი სუბიექტი. თუმცა კაპიტალის ბაზარზე მის შესვლას გარკვეული, ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობით (დამატებითი და საკმაოდ მკაცრი) დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება ესაჭიროება. თეორიულად ყველა სს აქვს უნარი მსგავსი მოთხოვნები დააკმაყოფილოს, მაგრამ რეალურად, იმისათვის, რომ სს გახდეს სინერგიული დაფინანსების ბენეფიციარი იგი ფინანსურად და ადამიანური

1141 შესაძლებელია სს-ის კლასიფიკაციის კიდევ უფრო დანერილმანება. იხ. მაგ.: *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 126 და მომდ. თუმცა სააქციო სამართალში (მისი ვინრო გაგებით), ფუნქციის თვალსაზრისით, ძირითადად, სწორედ ამ ორ სუბტიპს გამოყოფენ: *Fischer, Ammon* in Heidel (Hrsg.), Aktienrecht und Kapitalmarktrecht, 5. Auf. 2020, AktG §3 Rn. 5f.

რესურსით საკმაოდ უზრუნველყოფილი ორგანიზაცია უნდა იყოს. უნდა ითქვას, რომ კაპიტალის ბაზარზე ოპერირება, უფრო სწორედ, შესვლა საკმაოდ დანახარჯიანია და სხვადასხვა ეკონომიკურ-სამართლებრივ ფაქტორს მოიცავს. შესაბამისად, მსგავსი ძლიერი სუბიექტი უფრო ნაკლებია და იგი, როგორც ზემოთ ითქვა, კორპორაციულ ავანგარდს მიეკუთვნება. სწორედ ამიტომ შეიძლება იქნეს აღიარებული ბირჟაზე ნოტირებული (დარეგისტრირებული) სს კორპორაციული ელიტის შემადგენელ ნაწილად, მითუმეტეს, როდესაც საუბარია მაღალრეიტინგული და მაღალი ლიკვიდურობის მქონე საერთაშორისო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე სსების ოპერირებაზე. მაგ., საქართველოს დამოუკიდებლობის კვლავ მოპოვების შემდეგ ორიოდე კომპანიამ მოახერხა ისეთ პრესტიჟულ საერთოაშორისო ბირჟაზე კორპორაციული ქაღალდების გატანა, როგორიც ლონდონის ფასიანი ქაღალდების ბაზარია. ეჭვი არ უნდა არსებობდეს, რომ იქ მოხვედრა ნებისმიერ „მოკვდავს" არ ძალუძს. ასევე არ არსებობს ეჭვი იმისა, რომ სს „თიბისი ბანკი" და სს „საქართველოს ბანკი" ქართულ ეროვნულ სიამაყესა და, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, მაღალი განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის დამახასიათებელ კორპორაციებს წარმოადგენენ და თავისუფლად შეუძლიათ ჯანსაღი კონკურენცია გაუწიონ მათ ფინანსურ-ორგანიზაციული სტრუქტურით, მატერიალურ-ქონებრივი და ინტელექტუალურ-ადამიანური რესურსით, დამკვიდრებული კორპორაციული მართვის სისტემით და პრაქტიკით და ა.შ. მოკლედ, ღია, ანუ საჯარო სს ეწოდება ისეთ სს-ას, რომლის წილობრივი მონაწილეობის დამადასტურებელი კორპორაციული ქაღალდი, როგორც ფასიანი ქაღალდი, საჯარო ვაჭრობისათვის არის დაშვებული კაპიტალის ბაზარზე და შეთავაზებულია გასაყიდად საზოგადოების ფართო მასისათვის ორგანიზებული ბაზრის მეშვეობით. ამის საპირისპიროდ დახურული სს-სთვის დამახასიათებელია აქციონერთა „ჩაკეტილი", შედარებით პერსონაფიცირებული სტრუქტურა და მისი აქცია ნოტირებული არ არის ბირჟაზე. არ უნდა დაგვაბნიოს ასევე სს-ის შედარებით პერსონალურმა პარტნიორულმა სტრუქტურამ: აქციონერთა

მცირე ოდენობა იმთავითვე არ ნიშნავს სს-ის დახურულ სს-ის სუბტიპად დაკვალიფიცირებას. თუმცა, როდესაც აქციები უკვე ე.წ. თავისუფალ ცურვაშია, ანუ ბაზარზე თავისუფალ მიმოსვლაში, როგორც წესი, აქციონერთა სტრუქტურა მრავალფეროვანი ხდება. მაგ., სს „თბილსერვისის შემნახველი ბანკი"-ს ერთადერთი აქციონერი, ანუ 100%-ანი წილის მფლობელი შპს „თეილპარკია". მას შემდეგ, რაც აღნიშნული სს მოახერხებს ნიუ-იორკის ფასიანი ქაღალდების მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ბაზარზე მისი აქციის 30%-ის გატანას და ეს უკანასკნელი გაიყიდება, ბუნებრივია, შეიცვლება მესაკუთრე აღნიშნულ 30%-ან მონაწილეობაში და სავარაუდოა, რომ წინამდებარე 30% სხვადასხვა ახალ პირზე (პარტნიორზე) გადანაწილდება. კაპიტალის ბაზარზე სს-ის აქციის ბრუნვა შესაძლებლობას იძლევა, კორპორაციამ დამატებითი სახსრები მოიზიდოს ძალიან სწრაფად და ეფექტურად. თანამედროვე ბირჟებზე, განსაკუთრებით მაღალი ტექნოლიგიური მიღწევების დანერგვის შემდეგ, აქციათა ტრანზაქციების სისწრაფე გამაოგნებელია: წარმატებული და ინვესტორისათვის მეტად მიმზიდველი სს-ის აქცია შეიძლება წუთში რამდენჯერმე იყიდებოდეს, რაც აღნიშნულ პროდუქტზე მოთხოვნას ზრდის. ეს კი, თავის მხრივ, მსგავსი აქციის საბაზრო-საკურსო ღირებულების ზრდის საფუძველია, რაც, ზოგადად, სს-ის ქონებრივ მდგომარეობაზე ახდენს დიდ გავლენას.

კაპიტალის ბაზრისა და წარმატებული საჯარო სს-თა არსებობა ქვეყანაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კორპორაციული ეკონომიკის განვიარებისათვის. ორგანიზებული ბაზრის მეშვეობით სამეწარმეო საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა დამატებითი ინვესტიცია და კაპიტალდაბანდება მიიღოს საზოგადოების ფართო მასისაგან, რაც მისი კორპორაციული კაპიტალის ოპტიმიზაციას უწყობს ხელს. მსგავს ვითარებაში ბიზნესის განმახორციელებელი კომპანია დაფინანსების მხოლოდ შიდა (მაგ., აქციონერთა შენატანები) და (შეზღუდულად) გარე (მაგ., საბანკო სასესხო დაფინანსება) წყაროთი არ შემოიფარგლება. მისთვის თავისუფალ განკარგვაშია კაპიტალის ბაზარი, რაც საბანკო სესხის ალ-

ტერნატიულ მექანიზმს უზრუნველყოფს. თავის მხრივ, დაფინანსების სეგმენტში კონკურენცია საპროცენტო სესხის დაკლების საწინდარია. იაფი კრედიტი კი კაცობრიობისთვის მეტი და დივერსიფიცირებული ბიზნესის კეთებისა[1142] და, საბოლოო ჯამში, ორგანიზებული ეკონომიკის განვითარების ქვაკუთხედია.[1143]

2.1.2. „აქციონერული" კაპიტალი

ისტორიულად სს საქართველოშიც არსებობდა. მისი ჩამოყალიბება, ისევე, როგორც მრავალ ევროპულ ქვეყანაში, რკინიგზათა შექმნას, კერძოდ კი, ფოთი-თბილისის სარკინიგზო ქსელის აგებას უკავშირდებოდა.[1144] მას რუსეთის იმპერიის დროინდელი ქართული საკორპორაციო სამართალი აქციონერულ კომპანიას უწოდებდა[1145] და სხვა განმასხვავებელ ნიშნათან ერთად ძირითადი, რითიც იგი განსხვავდებოდა ამხანაგობებისა და შეზღუდული ამხანაგობის სამართლებრივი ფორმებისაგან, გახლდათ აქციებად დაყოფილი კაპიტალი, ანუ აქციონერული კაპიტალი.[1146] ეს ნიშნავს იმას, რომ სს-ას, როგორც კაპიტალურ საზოგადოებას, უნდა ჰქონდეს საზოგადოების ხელშეკრულებით/წესდებით დაყოფილი სააქციო კაპიტალი, ანუ აქციებში გამოხატული კაპიტალი. აქციის მფლობელი სს-ის მენილეს/პარტნიორს წარმოადგენს და შესაბამისად არის აქციიდან გამომდინარე უფლება-მოვა-

---

1142 *Harari,* Eine kurze Geschichte der Menschheit, Verlag Random Hous 2015, 374 ff.

1143 ვრცლად აღნიშნული საკითხების თაობაზე: *ბურდული, მახარობლიშვილი, ეგნატაშვილი, გიგუაშვილი,* თანამედროვე ქართული სამენარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები), 2016, 112 და მომდ.; *ზოიძე, ბურდული,* თანამედროვე სახელშეკრულებო სამართლის აქტუალური საკითხები. თეორია, პრაქტიკა და განვითრების ტენდენციები, 2018, 80 და მომდ.

1144 ისტორიული მიმოხილვა: *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 79 და მომდ.

1145 *გუგუშვილი,* საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს, 268 და მომ.; Уставъ Акционерного общества кожеваннаго и вайлочного производстъ на закавказъ Г. Г. Адельханова, Тифлисъ 1896; Уставъ Уставъ Акционерного общества закавказской мануфактуры, Тифлисъ 1899 და ა.შ. ცოტა მოგვიანებით ჯაფარიძემ მის სახელმძღვანელოში აღნიშნული სამართლებრივი ფორმა სააქციო საზოგადოებად, სააქციო კომპანიად ან სააქციო ამხანაგობად მოიხსენია. *ჯაფარიძე,* სავაჭრო სამართალი, 2019, 104. შესაბამისად, თანამედროვე სააქციო საზოგადოების სახელწოდებაც სნორედ აქედან მოდის.

1146 *ჯაფარიძე,* სავაჭრო სამართალი, 2019, 115.

ლეობათა მატარებელი. აქციიდან, როგორც წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტიდან, გარკვეული უფლებები (და მოვალეობები) გამომდინარეობს. ძირითადად, აქციის უკან მდგარ ორ უფლებას გამოყოფენ. ეს არის ქონებრივი და (თანა)მმართველობითი უფლებები. აქციიდან გამომდინარე ქონებრივი უფლებები უზრუნველყოფენ, როგორც წესი, აქციონერს მოგების განაწილებისას დივიდენდის მიღებისა და სალიკვიდაციო (ქონებრივ) ნარჩენში მონაწილეობის უფლებას. მმართველობითი უფლება კი აქციონერს შესაძლებლობას ანიჭებს მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და თანამოზიარე გახადოს საწარმოს პოლიტიკისა. თავის მხრივ, ეს უფლებები ქვეკატეგორიებად იყოფა,[1147] რაზედაც აქ არ შევჩერდებით.

2.1.3. კაპიტალური საზოგადოება და კანონით დადგენილი სავალდებულო (განთავსებული) კაპიტალის სისტემა

სს კაპიტალური ტიპის საზოგადოებაა. ნებისმიერი ბიზნესის დაწყებისთვის და მისი შემდგომი წარმოებისთვის, რა თქმა უნდა, აუცილებელია ფინანსური სახსრების მოზიდვა, რომლის გარეშეც, უბრალოდ, წარმოუდგენელია სამეწარმეო საქმიანობის (და მითუმეტეს, რენტაბელურად) განხორციელება. ამხანაგურ საზოგადოებაში პარტნიორის შენატანზე შეთანხმება შიდაორგანიზაციულ საკითხს განეკუთვნება და მისი შეტანა/არშეტანა, უფრო სწორედ, დათქმა მისი განხორციელების ვალდებულების აღების თაობაზე, არ წარმოადგენს საზოგადოების შექმნისათვის საჭირო ელემენტს. შპს, რომელიც კაპიტალურ საზოგადოებას მიეკუთვნება, პარტნიორთა შენატანის განხორციელების სისტემაზე დაფუძნებული სამართლებრივი ფორმაა, თუმცა სავალდებულო განთავსებული (საწესდებო) კაპიტალის შექმნა არც აქ წარმოადგენს დამფუძნებელთა ვალდებულებას და იგი

1147 ვრცლად იხ.: *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 37 და მომდ.

ფაკულტატურ ხასიათს ატარებს.[1148] სს ისეთი კაპიტალური ტიპის საზოგადოებაა, რომელიც დაფუძნებულია კანონით დადგენილი სავალდებულო მინიმალური განთავსებული (საწესდებო) კაპიტალის სისტემაზე. ეს ნიშნავს, რომ მისი ეგზისტენციალური ხასიათის განმსაზღვრელი არის (საზოგადოების ხელშეკრულებით) შეთანხმება საწესდებო კაპიტალის იმ მინიმალურ ოდენობაზე, რომელსაც კანონი ადგენს. სამეწარმეო საზოგადოება, რომლისთვისაც კანონმდებლობა დაფუძნების ეტაპზევე (რაც ხდება კიდეც რეგისტრაციის პირობა) სავალდებულოდ მიიჩნევს კაპიტალის უმცირეს ოდენობაზე შეთანხმებას, მინიმალურ სავალდებულო საწესდებო კაპიტალის სისტემაზე დაფუძნებულ საზოგადოებად იწოდება. ასეთს კი ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით მხოლოდ ერთადერთი ორგანიზაციულ-სამართებრივი ფორმა - სს წარმოადგენს. მაშასადამე, სს განეკუთვნება იმგვარი ტიპის კაპიტალურად მოწყობილ საზოგადოებას, სადაც არა მხოლოდ ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იყოს შეთანხმება გარკვეული კაპიტალის შევსებაზე, თუმცა მას არასავალდებულო დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს (მაგ., შპს), არამედ ისეთს, რომელშიც დამფუძნებლის მხრიდან უნდა მოხდეს კანონით გათვალისწინებულ საწესდებო კაპიტალზე შეთანხმება მისი შევსების ვალდებულების აღებით.

კანონის 157-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სს-ის განთავსებული (საწესდებო) კაპიტალის მინიმალური ოდენობა საწარმოს რეგისტრაციის მომენტისათვის 100 000 ლარს უნდა შეადგენდეს. კიდევ ერთხელ განიმარტება, რომ წიგნში განთავსებული კაპიტალი საწესდებო კაპიტალის სინონიმად არის დასახელებული. ეს გამომდინარეობს იქედან, რომ 2021 წლამდე საქართველოს კანონმდებლობაში და მისი გავლენით იურიდიულ ლიტერატურაში, მყარად დადგენილი კაპიტალის სისტემის გამოსახატავად, დამკვიდრებული იყო ერთიანი იურიდიული ტერმინი, რომელიც საწესდებო კაპიტალის სახელწოდებით იყო ცნობილი.[1149] გამომდინარე იქე-

---

1148 თუმცა, ბუნებრივია, შენატანის გარკვეულ ოდენობაზე შეთანხმება აუცილებელია. აქედან მოდის თეორიულად ე.წ. ერთლარიანი საზოგადოებაც.

1149 მაგ.: *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 59 და მომდ.; *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 142 და

დან, რომ ქართული საკორპორაციო სამართალი უპირატესად გერმანული საზოგადოებათა სამართლისა და სავაჭრო სამართლის ლოგიკური სინთეზის შედეგად ჩამოყალიბებულ იურიდიულ მატერიას წარმოადგენდა,[1150] კაპიტალური ტიპის საზოგადოება საწესდებო, უფრო სწორედ, მინიმალურ კანონისმიერ საწესდებო კაპიტალის სისტემაზე იყო დაფუძნებული. დროთა განმავლობაში[1151] აღნიშნული სისტემა ჩანაცვლდა და ტერმინმა - საწესდებო კაპიტალი - მეტად ამბივალენტური ბუნება მიიღო. ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერითა და ევროკავშირის სუპრანაციონალურ საკორპორაციო სამართალთან ნაციონალური კანონმდებლობის მიახლოვების ვალდებულებამ (2015 წელი) დღის წესრიგში დააყენა იმ სახელმძღვანელო პრინციპების კანონმდებლობაში ინკორპორირება, რომელიც საქართველოს აუცილებლად ჰქონდა შესასრულებელი. ერთ-ერთ ასეთ დირექტივას მიეკუთვნება 2017 წლის კონსოლიდირებული დირექტივა.[1152] მასში ერთ-ერთ საკითხად სწორედ კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო საწესდებო კაპიტალის სისტემაა წარმოჩენილი. სწორედ მისი გავლენით მსგავსი სისტემა 2021 წელს, კანონის (ახალ) რედაქციაში იქნა გათვალისწინებული, რასაც[1153] განთავსებული კაპიტალი ეწოდა.

რეგისტრაციის მომენტისთვის აუცილებელი არ არის, რომ სს-ის საწესდებო კაპიტალი უპირობოდ 100 000 ლარს შეადგენდეს. ეს არის ის უმცირესი ოდენობა, რომელზე შეთანხმებაც და რომლის დაფიქსირებაც დამფუძნებლის მხრიდან საზოგადოების ჩამოყალიბების ეტაპზე უნდა მოხდეს. თუმცა

მომდ.

1150 *ზოიძე,* ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, 2005, 182-188; *Burduli,* FS Prütting, 3-15.

1151 მოკლე მიმოხილვა: *მიგრიაული,* სამენარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო, 2021, 87-88.

1152 მანამდე მე-2 საკორპორაციოსამართლებრივ ე.წ. კაპიტალის დირექტივად ცნობილი. ამაზე იხ.: *ჯულელი,* კაპიტალის დაცვა სს-ში, 2010, 21 და მომდ.; *ჭანტურია,* ევროპის საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივებისა და დადგენილებების მნიშვნელობა ქართული საკორპორაციო სამართლის კოდიფიკაციისთვის, კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ლილუაშვილი (რედ.), 2009, 463 და მომდ., განსაკუთრებით კი 466-472.

1153 ინგლისური (პირდაპირი) თარგმანის უპირატესობის გამო.

განთავსებული კაპიტალის მაქსიმალური ზღვარი კანონმდებლობით დადგენილი არ არის. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განთავსებულ კაპიტალში აქციათა ღირებულების სისტემაც, სხვა ქვეყნებისაგან[1154] განსხვავებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონი იცნობს საწესდებო კაპიტალის ფორმირებას, როგორც ნომინალური ღირებულების მქონე აქციებით, ისე, ცალობითი და შერეული ფორმითაც,[1155] რასაც კანონის 158-ე მუხლი განსაზღვრავს.

2.1.4. კორპორაციული მართვის სისტემა

როგორც დიდი ბიზნესის წარმოებისა და დიდი კაპიტალის მოზიდვაზე ორიენტირებული კლასიკური ფორმა, სს აგებულია საწარმოს კონტროლის იმგვარ სისტემაზე, სადაც კაპიტალდამბანდებელს, რომელსაც, როგორც წესი, ნაკლები ბერკეტი აქვს აკონტროლოს და თავად იყოს უშუალოდ ჩართული საწარმოს მართვის პროცესში, უნდა ჰქონდეს მისი მხრიდან საზოგადოებისათვის გადაცემული ქონების ზედამხედველობისა და მასზე ზემოქმედების მექანიზმი. ეს უკავშირდება ასევე ზემოთ აღნიშნულ გამიჯვნის პრინციპსაც, სადაც პარტნიორისა და თავად კაპიტალური საზოგადოების ქონება (განსაკუთრებით (გარე) პასუხისმგებლობის კონტექსტში) ერთმანეთისაგან განცალკევებულია და მათ შორის მკვეთრი დემარკაციული ზღვარი არსებობს. ამ შემთხვევაში აქციონერი კაპიტალდამბანდებელი/ინვესტორია, რომელიც მის მიერ განხორციელებული ინვესტიციის სარფიანად უკან დაბრუნების სურვილით არის გამსჭვალული.[1156] დიდ და მრა-

1154 მაგ., გერმანია, ავსტრია და ა.შ.

1155 ნომინალური ღირებულებისა და ცალობითი აქციების თაობაზე: *ჯულელი*, კაპიტალის დაცვა სს-ში, 2010, 79-80, 151 და მომდ.; *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 282 და მომდ.

1156 ძირითადად, ეს დივერსიფიცირებული აქციონერული სტრუქტურის მქონე სააქციო საზოგადოებებში ხდება, სადაც მრავალი (წვრილი) აქციონერი, რომელსაც მსხვილი (მაჟორიტარი) აქციონერისაგან განსხვავებით, როგორც ლიტერატურაშია დადგენილი, მხოლოდ კაპიტალდაბანდების ბედი აღელვებს. საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნის იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო გადაწყვეტილებებზე მითითებით იხ.: *ბურდული*, სავალდებულო სატენდერო შეთავაზება, აქციათა სავალდებულო გაყიდვა: აქციით მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენება თუ კაპიტალის ბაზრის განვითარების სავალდებულო წინაპირობა?!, ჟურ. „მართლმსაჯულება", 2007, №2, 10-39.

ვალშრიან კორპორაციებში რეალურად ძალაუფლების მნიშვნელოვანი ნაწილი ყოველდღიურ საქმიანობაზე პასუხისმგებელი ორგანოს - საწარმოს ხელმძღვანელი ორგანოს ხელშია თავმოყრილი. აქციონერი, მითუმეტეს კი, არაპერსონალური აქციონერული სტრუქტურის მქონე სს-ში,[1157] ნაკლებად არის ჩართული საზოგადოების მართვის პროცესში და შესაბამისად შეიძლება ინფორმაციულ „ვაკუუმშიც" იმყოფებოდეს და დამოუკიდებლად არ ჰქონდეს საკმარისი ბერკეტი ხელმძღვანელი პირების კონტროლისა. სწორედ ამიტომ საწარმოს კონტროლის საკანონმდებლო სისტემა უზრუნველყოფს აქციონერის ინტერესის გატარებას კორპორაციაში - ჰქონდეს შესაძლებლობა იმგვარად აკონტროლოს მმართველი რგოლი, რომ ამ უკანასკნელმა დაიცვას მისი (უპირატესად, ქონებრივი) ინტერესი. საწარმოს კონტროლის ინტეგრირებულ სისტემას კორპორაციული მართვა ეწოდება, რომელიც, საბოლოო ჯამში, ორიენტირებულია არა მხოლოდ აქციონერის, არამედ საზოგადოების, მისი სტეიქჰოლდერის, მუშა-მოსამსახურეთა და საზოგადოებრივ ინტერესზე. სწორედ ეს წარმოადგენს დღეს გაბატონებულ მოსაზრებას.

ქართული საკორპორაციო სამართალი უშვებს სს-ში კორპორაციული მართვის ერთსაფეხურიან და ორსაფეხურიან სისტემას.[1158] ორსაფეხურიანი (იგივე დუალისტური) კორპორაციული მართვის სისტემა სავალდებულო წესით ითვალისწინებს სს-ში, ასე ვთქვათ, შეუალედური რგოლის არსებობას სამეთვალყურეო საბჭოს სახით. მისი ძირითადი ფუნქცია საწარმოს ყოველდღიურ საქმიანობაზე პასუხისმგებელი ორგანოს - ხელმძღვანელობითი ორგანოს (დირექტორატის) ზედამხედველობით განისაზღვრება. სამეთვალყურეო საბჭო აქციონერთა ერთგვარ დელეგატურ ორგანოს წარმოადგენს, რისი მეშვეობით აქციონერები უკეთ აკონტროლებენ საწარმოს მართვას. ერთსაფეხურიანია კორპორაციული მართვის სისტემა, რომელიც სს-ში მხოლოდ ორი ორგანოს - აქციონერთა საერთო კრებას (იგივე პარტნიორთა კრება)

1157 რაც დასავლეთის ქვეყნებში უმრავლესობას წარმოადგენს.

1158 სისტემურად კორპორაციული მართვის სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტების თაობაზე იხ. *მახარობლიშვილი,* კორპორაციულ მართვის ზოგადი ანალიზი, 2015, 38-75.

და ხელმძღვანელ ორგანოს - ითვალისწინებს. ხელმძღვანელ ორგანოში (ხშირად მას დირექტორთა საბჭოს/ბორდს უწოდებენ) თავმოყრილია მართვისა და კონტროლის ფუნქციები და, როგორც წესი, აღმასრულებელ პირებსა და არააღმასრულებელ პირებს შორის ფუნქცია-კომპეტენცია (საზოგადოების ხელშეკრულებასთან ერთად) დამატებით არის განსაზღვრული შიდაორგანიზაციული დოკუმენტებით (მაგ.: დირექტორთა საბჭოს შინაგანაწესი, დებულება და სხვ.). რაც შეეხება ე.წ. შერეულ სისტემას[1159] - ამ დროს კანონმდებლობა პარტნიორს კორპორაციული სისტემის არჩევის სრულ თავისუფლებას ანიჭებს ერთსაფეხურიანსა და ორსაფეხურიანს შორის. კორპორაციული მართვის მსგავსი სისტემა გამოიყენება, მაგალითად, ევროპის ერთ-ერთ სუპრანაციონალურ სამართლებრივ ფორმაში - ესს-ში.[1160]

კორპორაციული მართვის სისტემა კაპიტალური ტიპის ყველა საზოგადოებისთვის არის დამახასიათებელი, თუმცა მისი სიდიდისა და რეალური სტრუქტურის გათვალისწინებით, როგორც ამას კორპორაციული პრაქტიკა უჩვენებს, ეს უკანასკნელი არსებითად და ფუნქციურად გამოიყენება სწორედ სს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაში. შეიძლება ითქვას, რომ კლასიკური საწარმოს კონტროლის საკანონმდებლო სისტემის ჩამოყალიბება, რომლითაც სს იფუნქციონირებს, სწორედ რომ სს-შია დაფუძნებული.

კორპორაციული მართვის სისტემა შეიძლება განვასხვავოთ ორგანიზაციული მართვის სისტემისაგან და ეს ბუნებრივიცაა: ამხანაგურ/პერსონალურ საზოგადოებაში არ საუბრობენ საწარმოს კონტროლის საკანონმდებლო ინტეგრირებულ სისტემაზე,[1161] თუმცაღა აღნიშნულ იურიულ

1159 რომელიც პირველად დასახელდა 2013 წელს: *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, XVI.

1160 ამის თაობაზე მაგ.: *ჭანტურია*, ევროპის სააქციო საზოგადოება (SOCIETAS EUROPAEA) - უნივერსალური მოდელი თუ საკანონმდებლო კომპილაცია, ჟურ. „ადამიანი და კონსტიტუცია" №4 2004; *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 132-141.

1161 ეს აუცილებელია არ არის, იგი მეტად დანახარჯიანია და მისი არსებობა, მსგავსი პერსონალური ტიპის საზოგადოებაში (მათ შორის, პერსონალური პარტნიორული სტრუქტურის მქონე შპს-ში), რაციონალურობის ტესტს ვერ დააკმაყოფილებდა.

ფორმასაც ესაჭიროება, რა თქმა უნდა, მართვისა და ხელმძღვანელობის მოდელი. და მასშიც აუცილებელია ორგანიზაციული სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც საწარმოს მართავს. მაშასადამე, ორგანიზაციული სისტემა დამახასიათებელია ყველა ბიზნეს სუბიექტისათვის დაწყებული მცირე პერსონალური სპს-ით, დიდი სს-ით დასრულებული. მაგრამ ამ დიდ სს-ას აღნიშნული ორგანიზაციული სისტემა ჩამოყალიბებული აქვს როგორც კორპორაციული მართვის სისტემა, რათა ყველა იმ ცხოვრებისეულ და პერაქტიკულ გამოწვევას გაუმკლავდეს, რაც მის წინაშე დგას.

2.1.5. საკუთარი ქონებით პასუხისმგებლობა

სს, როგორც სამეწარმეო საზოგადოება და იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაციული წარმონაქმნი, დამოუკიდებელი ქონების მატარებელი და კრედიტუნარიანი სუბიექტია. იგი საკუთარი სახელით გამოდის გარიგებითსამართლებრივ ურთიერთობაში და მთელი თავისი ქონებით არის კიდეც პასუხისმგებელი მისი კრედიტორის წინაშე. წინა თავში შპს-თან მიმართებაში აღნიშნული პასუხისმგებლობის დოქტრინა სრულად მოქმედებს სს-ის მიმართაც და დოგმატურად მისი პირდაპირი გამოყენების შესაძლებელობას აფუძნებს. კანონის 150-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტი სს-ის საკუთარი ქონებით პასუხისმგებლობისა და კორპორაციული მოსასხამის დოქტრინის მომწესრიგებელი ნორმებია. მიჩნეულია, რომ წინამდებარე დებულებები გამიჯვნის პრინციპის უშუალო გამოვლენას წარმოადგენს სააქციო სამართალში და საკანონმდებლო დონეზე ავლებს აქციონერისა და საზოგადოების პასუხისმგებლობის მკვეთრ ზღვარს.[1162] პირველ რიგში მნიშვნელოვანია წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტი, სადაც ნათქვამია, რომ კრედიტორის წინაშე სს-ის პასუხისმგებლობა მხოლოდ მისი მთელი ქონებით შემოიფარგლება. აღნიშნული ნორმის (განვრცობითი) განმარტება მომდინარეობს მე-2 და მე-4 პუნქტიდან, რომელიც აღიარებს აქციონერისა და სს-ის ინდივიდუალურ კრედიტორთა წინაშე მხოლოდ განცალკევებულ პასუხისმგებლობას. ეს, თავის მხრივ,

1162 *Heider*, MünchKommAktG, 5 Auf., 2019, §1 Rn. 46.

კორპორაციულსამართლებრივი იურიდიული პირის მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც იცავს პარტნიორს პირადი მოვალისაგან, ისევე, როგორც ამ უკანასკნელის დაცვა ხდება აქციონერის პირადი მოვალისაგან. და მათი გამიჯვნა კაპიტალურ საზოგადოების სამართალში თავად ამ ტიპის საზოგადოების სუბსტანციური ნიშანია. სწორედ ამიტომ კანონის სტრუქტურა სს-ასთან მიმართებით იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც პირველდაწყებითი კაპიტალის, ანუ ნებადართული (საწესდებო) კაპიტალის ფორმირებას, ისე, მის შემდგომ შენარჩუნებასა და ფუნქციონირებას. შენატანის განხორციელების მომწესრიგებელი ნორმები, მათ შორის, შეტანაუნარიანი ობიექტის დადგენის პოზიტიური შინაარსი, ფულადი თუ არაფულადი შენატანების საზოგადოებისათვის გადაცემის კანონით დადგენილი იმპერატიული დანაწესები (რეგისტრაციამდელი თუ რეგისტრაციის შემდგომ ზუსტად განსაზღვრულ დროში), დივიდენდის განაწილების შემზღუდველი, კაპიტალის გაზრდისა და შემცირების მომწესრიგებელი ნორმები გვაძლევს კანონით გათვალისწინებულ სისტემას, რომელიც, შეიძლება ითქვას, პირდაპირ უკავშირდება საწესდებო კაპიტალის სისტემას და სააქციო სამართალში მის ფუნქციურ საკანონმდებლო გამოხატულებას წარმოადგენს. ყოველივე ამან უნდა უზრუნველყოს აფილირებული ქონების მქონე სოციალური წარმონაქმნის იმგვარი პოზიციონირება ბრუნვაში, რომ კრედიტორის მიერ კანონიერი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში სს-ას ჰქონდეს უნარი დააკმაყოფილოს მესამე პირი. მართალია, რისკის აბსოლუტური განეიტრალება არც ერთ მართლწესრიგს არ ძალუძს, თუმცა საკორპორაციო სამართალი, ზემოთ მოყვანილი ქონების შენარჩუნების სისტემით, ცდილობს, შეძლებისდაგვარად დაიცვას კრედიტორი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობისაგან. და თუ დადგენილი დებულებების განუხრელ დაცვას აქვს ადგილი სს-ის პარტნიორის მხრიდან, მაშინ გამოიყენება მხოლოდ კანონის 157-ე მუხლის მე-3, მე-2 და მე-4 პუნქტი ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. გამონაკლისი კი უკავშირდება შპს-ის თავში განხილულ გამჭოლ პასუხისმგებლობას. კორპორაციული მოსასხამის

გარღვევა მიგვიყვანს აქციონერის პირად და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობამდე, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კორპორაციული საფარველის გაჭოლვის დოქტრინა დასავლეთის განვითარებულ მართლწესრიგებში ძირითადად ჩამოყალიბდა პერსონალური პარტნიორული სტრუქტურის მქონე დახურულ კორპორაციებში, ანუ შპს-ებში. პრაქტიკაში მისი გამოყენება პირდაპირ უკავშირდებოდა ე.წ. ერთკაცა კომპანიებს. გამომდინარე სს-ის მახასითებლიდან კორპორაციულ ეკონომიკაში - მისი, როგორც დიდი ბიზნესის მწარმოებელი ფორმისა და არაპერსონალური პარტნიორული სტრუქტურისა, რომელშიც მრავალი აქციონერი შეიძლება მონაწილეობდეს - აღნიშნული დოქტრინის გამოყენება აქ ყოველთვის იშვიათობას წარმოადგენს. მითუმეტეს თუ დავაკვირდებით ამერიკული თუ ევროპული მსხვილი კორპორაციების აქციონერთა სტრუქტურას, დავინახავთ, რომ ერთი კონკრეტული პირის ხელში არ არის თავმოყრილი იმგვარი ძალაუფლება, რომ ამ უკანასკნელმა კორპორაცია საკუთარი მერკანტილური ინტერესის გასატარებლად გამოიყენოს. მართალია, იგნორირება არ შეიძლება ისეთი შემთხვევისა, როდესაც დომინანტი (ან ჩამკეტი უმცირესობის მქონე) აქციონერი ან (თუნდაც წვრილ) აქციონერთა ჯგუფი ბოროტად იყენებს უფლებას, რითიც ზიანს აყენებს სს-სა და მის აქციონერს. ამ დროს მან (ზიანის მიმყენებელმა პარტნიორმა) ზიანი უნდა აუნაზღაუროს დანარჩენ აქციონერს, რასაც კანონის ცალკე 177-ე მუხლი. ეხება და რომელიც შინაარსობრივად არა გამჭოლ პასუხისმგებლობას, არამედ აქციონერის მიერ შიკანის ერთგვარი განეიტრალების მცდელობას წარმოადგენს. საქართველოშიც გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა სწორედ პერსონალური პარტნიორული სტრუქტურის მქონე შპს-ში ჩამოყალიბდა.[1163] მისი გამოყენება სარკისებურად შეიძლება სს-ის მიმართაც.

1163 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებები: №ას-1158-1104-2014; №ას-1307-1245-2014.

2.2. დაფუძნება

2.2.1. შესავალი სს-ის დაფუძნების სამართალში

სს-ის შექმნის მიმართ, ძირითადად, გამოიყენება შპს-ის შექმნისათვის დამახასიათებელი ნიშნები, თუმცა გარკვეული განსხვავებების გათვალისწინებით. ეს განსხვავებანი აირეკლება რეგისტრაციის წინაპირობებში და იმ მოთხოვნებში, რასაც კანონი სს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირებისთვის ადგენს. სხვა დანარჩენ მიმართულებაში სს-ის ჩამოყალიბება არსებითად ემთხვევა შპს-ის შექმნის პარადიგმას და, შეიძლება ითქვას, ზოგადად, დამახასიათებელია კაპიტალური ტიპის საზოგადოების დაფუძნებისათვის.[1164] თუმცა ზემოთ აღინიშნა, რომ წიგნის ამ ნაწილში უფრო ვრცლად იქნებოდა საუბარი კაპიტალური საზოგადოების დაფუძნების თაობაზე, რამდენადაც დაფუძნების ეს სისტემა და სადამფუძნებლო დოქტრინა პირდაპირ მიესადაგება ისეთ სამეწარმეო საზოგადოებას, სადაც (კანონისმიერი) განთავსებული (საწესდებო) კაპიტალის ფორმირება უნდა მოხდეს. მართალია, ქართულ საკორპორაციო სამართალში, დაფუძნების სამართალი შესაძლებელია იგივეობრივი იყოს ყველა სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სამართლებრივი ფორმისათვის,[1165] მაგრამ აღნიშნული დოქტრინა პრაქტიკულად ძირითადად სწორედ ამ უკანასკნელისათვის, ანუ სს-ისთვის უნდა იყოს გამოყენებული, რასაც თავისი ლოგიკური ახსნა აქვს და რის თაობაზეც ზემოთ უკვე ითქვა: დაფუძნების სტადიათა მნიშვნელობა, პასუხისმგებლობის პარამეტრები, რეგისტრაციის მიზნის მიღმა მიმავალი საქმიანობა, სპეციფიკური „სუბიექტის" შექმნა და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება იურიდიული დოქტრინით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფორმაში, რომელშიც პარტნიორის მხრიდან უნდა მოხდეს შესატანის განხორციელების ვალდებულების უპირობო აღება და მისი (გარკვეული ნაწილის) შესრულება

1164 შესაბამისად იხ. წიგნის წინა თავი შპს-ის დაფუძნებასთან დაკავშირებით.

1165 ასეა ჩამოყალიბებული ეს ერთ-ერთ ქართულ სახელმძღვანელოში. იხ.: *მიგრიაული,* სამენარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო, 2021, 75 და მომდ.

საწარმოს რეგისტრაციამდელ ეტაპზე. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა, როგორც ითქვა, ისტორიულად, სამოქალაქო სამართლისათვის ისეთი უცხო „სუბიექტის", წარმონაქმნის გამოგონება, როგორიც, წინარე საზოგადოებაა. კაპიტალის (გარკვეული ნაწილის) ფორმირება მანამ, სანამ იურიდიული პირი ჯერ კიდევ არ არსებობს, შეიძლება პრობლემური ყოფილიყო, რამდენადაც დამფუძნებლის მხრიდან საზოგადოებისთვის მისი ქონების ტრანსმისიის კერძოსამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს. გარდა ამისა, განსაკუთრებით სს-ის შექმნა კორპორაციულ პრაქტიკაში არასდროს ხდება რამდენიმე წუთში. მას ხშირად არც თუ ისე მცირე დრო ჭირდება. აქ გასათვალისწინებელია კაპიტალის კონცენტრაციის, დამფუძნებელთა სამომავლო შეთანხმებისა და მათსა და საზოგადოებას, ასევე, მმართველ რგოლს შორის ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების შინაარსის დადგენა, განსახორციელებელი შესატანის ეკონომიკური ღირებულების განსაზღვრა და მისი მოქცევა სს-ის საკუთრებით სფეროში და ა.შ. მოკლედ, სანამ სს, როგორც სრულფასოვანი სამოქალაქო სამართლის სუბიექტი, იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაციული წარმონაქმნი ჩამოყალიბდება, გარკვეული დრო გავა. არადა დროის ამ მონაკვეთში, მომავალი სამეწარმეო საზოგადოების შემდგომი რენტაბელური საქმიანობისათვის სხვადასხვა ნაბიჯის გადადგმა შეიძლება იყოს საჭირო. მაგ., გარკვეული მოწყობილობებისა და მანქანა-დანადგარების შემოტანა ქვეყანაში, რათა სს-ის საქმიანობის საგანი - თანამედროვე ტექნოლოგიაზე დამყარებული სხვადასხვა ხილ-ფაფის წარმოება - უკეთ განხორციელდეს; მომავალი თანამშრომლობის დასამყარებლად მესამე პირთან ურთიერთობაში შესვლა არა პარტნიორთა (მონაწილეთა), არამედ (მომავალი) სს-ის სახელით და ა.შ. ამ ყველაფერს მოწესრიგებული იურიდიული სისტემა სჭირდება, რომელზედაც ქვემოთ იქნება საუბარი.

მთავარი ფიგურანტი დაფუძნების სამართალში არის წინარე საზოგადოება.[1166] წინარე საზოგადოების საკანონმდე-

1166 ვრცლად: *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 426 და მომდ.

ბლო დეფინიცია არ არსებობს ქართულ კანონმდებლობაში. შესაბამისად, კანონი არ განსაზღვრავს ამგვარი საზოგადოების იურიდიულ ბუნებას. იგი სასამართლო პრაქტიკის[1167] და იურიდიული ლიტერატურის შემოქმედების შედეგია დოგმატიკაში და უმეტესწილად განმარტების მეშვეობით აიხსნება. წინარე საზოგადოება, შეიძლება ითქვას, ევროპული, მეტწილად, გერმანული, ავსტრიული საკორპორაციო, უფრო სწორედ, კაპიტალური ტიპის საზოგადოების სამართლისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ორგანიზაციული წარმონაქმნია[1168] და მსგავსი იურიდიული კონსტრუქცია ჯერ კიდევ დასავლეთ ევროპაში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა. სს-ის დაფუძნების, მისი იურიდიულ პირად ფორმირების გზაზე წინარე საზოგადოებას გადამწყვეტი ფუნქცია აქვს. საქმე ისაა, რომ კაპიტალური საზოგადოება (სს) იურიდიული პირის სტატუსს მხოლოდ კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის დასრულებული ფაქტით იძენს. მაშასადამე, სს, როგორც დამოუკიდებელი უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მფლობელი სამართალსუბიექტობის მქონე პირი, სამოქალაქოსამართლებრივ ბრუნვაში მხოლოდ აღნიშნულ ორგანოში რეგისტრაციის, ანუ სახელმწიფო ლეგიტიმაციის შემდეგ იძენს. რეგისტრაციამდე იურიდიული პირი ჯერ არ არსებობს, თუმცა მომავალი იურიდიული პირის, მომავალი სს-ის სახელით გარკვეული მოქმედებისა და გარიგების დადების უფლებამოსილება კანონმდებლობით უზრუნველყოფილია. კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი იძლევა ზემოთქმულის შესაძლებლობას. კერძოდ, რეგისტრაციამდელ პერიოდში შესაძლებელია გარკვეული მოქმედების განხორციელება საზოგადოების სახელით. მართალია, ამ მოქმედებაში ძირითადად იგულისხმება საწარმოს რეგისტრაციისათვის გარკვეული ნაბიჯების გადადგმა, თუმცა კანონის

1167 მაგ., გერმანიაში. BGHZ 80, 129 და BGHZ 134, 333 = NJW 1997, 1507. ციტ. ფასტრიჰის მიხედვით: Baumbach/Hueck/Fastrich, GmbHG, (2017), §11 Rn. 5, Fnt. 4.

1168 მისი იურიდიული ბუნებისა და მისი, როგორც sui generis შესახებ იხ. მაგ.: *Heidinger* in Spindler/Stilz, AktG, (2015),), §41 Rn. 25 ff; *Wachter* in Wachter (Hrsg.), AktG, (2012), §41 Rn. 7 ff; *Schroeter* in Bork/Schäfer (Hrsg.), GmbHG, §11 Rn. 10 ff. და ა.შ.

მოცემულობით დასაშვებია, ასევე, სხვა შეთანხმებებისა და გარიგებების დადება. მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ წინარე საზოგადოების ეტაპზე განხორციელებული ქმედების შედეგი შესაძლოა გადავიდეს რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე, ხოლო იმ ეტაპზე წარმოშობილი ვალდებულებისათვის პასუხისმგებლობა, მიუხედავად იურიდიული პირის ჩამოყალიბებისა, ეკისრება საზოგადოების დამფუძნებელსა (საწარმოს მომავალი პარტნიორი) და შემსრულებელს (მაგალითად, დირექტორს), რასაც წინამდებარე მუხლის პირველივე პუნქტი ადგენს. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ პასუხისმგებლობის სტრუქტურა დისპოზიციურია, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველი პუნქტის შინაარსის ბოლო ნაწილი აძლევს წინარე საზოგადოებას, უფრო სწორედ, მისი სახელით მოქმედ პირს კრედიტორთან სხვაგვარი შეთანხმების შესაძლებლობას.

2.2.2. წინარე სადამფუძნებლო კონსორციუმი

იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ საზოგადოების დაფუძნება რამდენიმე ეტაპისაგან შედგება.[1169] კერძოდ, გამოსაყოფია სამი ძირითადი სტადია, რომელსაც სამეწარმეო სუბიექტის იურიდიულ პირად ჩამოყალიბებამდე მივყავართ.[1170] პირველ რიგში საუბარია ე.წ. წინარე დაფუძნების საზოგადოებაზე, რასაც აქ წინარე სადამფუძნებლო კონსორციუმი დაერქმევა და რომელიც, როგორც წესი, მიზნად ისახავს დამფუძნებლების მხრიდან სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი მეწარმე სუბიექტის დაფუძნებას. მანამ, სანამ დამფუძნებელი პარტნიორები სს-ის წესდებას მიიღებენ და ნოტარიულად დაამოწმებენ[1171] ისინი შესაძლოა მო-

---

1169 იხ. მაგ.: *Koch*, Gesellschaftsrecht, (2019), §29 Rn. 8 ff; Link in Gehrlein/Ekkenga/Simon, GmbHG, (2012), §11 Rn. 3 ff.

1170 Münch. Hdb. GesR, (2009), III/Priester §15 Rn. 1.

1171 ქართული სამართლის მიხედვით, სადამფუძნებლო შეთანხმებაზე დამფუძნებელთა ან მათ წარმომადგენელთა ხელმოწერა უნდა დამონმდეს სანოტარო წესით. სანოტარო მოქმედება აუცილებელი არ არის, თუკი მოქმედება სრულდება მარეგისტრირებელი ორგანოს ან ამ უკანასკნელის მიერ უფლებამოსილების მქონე სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ან სხვა (ავტორიზებული) პირის მიერ ან თუკი ხელმოწერა შესრულებულია ელექტრონული ხელმოწერის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად (კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი). პრაქტიკაში ისევ ხშირია შემთხვევები, როდესაც

ქმედებდნენ წინარე სადამფუძნებლო კონსორციუმის[1172] სახით, რომლის ძირითად მიზანს საზოგადოების ხელშეკრულების შექმნის[1173] და სამეწარმეო საზოგადოების ფაქტობრივი ჩამოყალიბების ვალდებულება წარმოადგენს.[1174] შეთანხმება, რომლითაც მომავალი პარტნიორები საერთო სახელწოდებით საზოგადოების ფორმირებით მიზნად ისახავენ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას, ატარებს სამოქალაქოსამართებრივ/ვალდებულებითსამართებრივი ხელშეკრულების (შიდა საზოგადოების) ფორმას. სწორედ ამიტომ იურიდიულ ლიტერატურაში, „ნამდვილი წინარე ხელშეკრულების მიუხედავად, წინარე სადამფუძნებლო სტადიაზევე მონაწილეთა შორის წარმოიშობა სპეციალური სამართალურთიერთობა, რომელსაც მონაწილეთა (სამომავლო) მოთხოვნების მხედველობაში მიღების/მათი გათვალისწინების „მოჭარბებულ მოვალეობამდე" მივყავართ."[1175] იგი (პირთა ეს გაერთიანება) აღიარებულია სამოქალაქო ბრუნვის თავისებურ მონაწილედ და მისი საერთო მიზანი, რომელიც უნდა იქნეს მიღწეული, სს-ის დაფუძნებაში გამოიხატება.[1176]

წინარე სადამფუძნებლო საზოგადოება შესაძლოა წერილობითი ფორმის გარეშეც ჩამოყალიბდეს, თუმცა, როგორც ეს უცხოურ კომენტატორულ ლიტერატურაშია აღნიშნული, მტკიცების ტვირთისა და სხვა სამართლებრივი საკითხების გაიოლების მიზნით, შემოთავაზებულია მისი წერილობითი ფორმით დადება.[1177] აქ ის აზრია გატარებული, რომ რადგან წინარე საზოგადოების ჩამოყალიბებას ესაჭიროება წერილობითი ფორმა, რამდენადაც საზოგადოების ხელშეკრულების

დამფუძნებლები სწორედ ნოტარიუსის მონაწილეობით ახორციელებენ საზოგადოების ხელშეკრულების დამტკიცებას, მითუმეტეს, როდესაც საქმე სს-ის შექმნას ეხება.

1172 იხ.: *Fritz*, Gesellschafts- und Unternehmensformen, 349. მით.: ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 423.

1173 სადამფუძნებლო შეთანხმების ყველა არსებით თუ არაარსებით პირობაზე შეთანხმების.

1174 *Grunewald*, Gesellschaftsrecht, (2014), 349.

1175 MünKommAktG/Pentz, (2019), §41 Rn. 12.

1176 სასამართლო პრაქტიკაზე მითითებით: *Eisenhardt*, Gesellschaftsrecht, (2007), Rn. 218 ff.

1177 *Pfisterer* in Saenger/Inhester, GmbHG, §11 Rn. 31 ff.; *Heidinger* in Spindler/Stilz, AktG Komm., (2015), §41 Rn. 20.

ფორმირებაზეა საუბარი, ასევე საჭიროა ამ ფორმის დაცვა წინარე საზოგადოების ჩამოყალიბებამდე, ანუ წინარე სადამფუძნებლო კონსორციუმის ეტაპზე.[1178] წინარე სადამფუძნებლო საზოგადოება წინ უსწრებს წინარე საზოგადოების დაარსებას. შესაბამისად, იგი საზოგადოების დაფუძნების პირველ სტადიას მოიცავს, რამდენადაც ამ შემთხვევაში საუბარია „რამდენიმე პირის სახელშეკრულებოსამართლებრივ გაერთიანებაზე, რომელიც მიზნად ისახავს შპს-ის/სს-ის დაფუძნებას".[1179] ყურადღება გასამახვილებელია „რამდენიმე მონაწილე პირზე" - საზოგადოების მომავალ პარტნიორზე, რადგან „ერთკაცა" კაპიტალურ საზოგადოებაში წინა სადამფუძნებლო საზოგადოებაზე არ უნდა იყოს საუბარი. თუკი წინარე სადამფუძნებლო კონსორციუმის გაიგივება მოხდებოდა ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებასთან,[1180] ნებისმიერ შემთხვევაში საუბარი ხელშეკრულების მონაწილე მინიმუმ ორ პირზე უნდა იყოს. ამხანაგობის ჩამოყალიბება მხოლოდ ორი ან მეტი პირის მონაწილეობით არის შესაძლებელი, რაც გამორიცხავს კიდეც ერთი პირის მიერ სს-ის დაფუძნების პირობებში პირველ ეტაპს, ანუ წინარე სადამფუძნებლო მდგომარეობას. ბუნებრივია, ერთი პირის მიერ საზოგადოების დაფუძნების შემთხვევაში მისი თანმხვედრი ნება არავისკენაა მიმართული, გარდა საკუთარი თავისა. ეს გამორიცხავს მსგავსი სამოქალაქო ხელშეკრულების არსებობას.

წინარე სადამფუძნებლო საზოგადოების არსებობა, მიუხედავად იმისა, რომ იგი დაფუძნების ერთ-ერთ (პირველ) ეტაპს წარმოადგენს, არ არის აუცილებელი წინაპირობა სს-ის დაფუძნებისა. ერთი პირის მიერ საზოგადოების შექმნის

1178 წინარე სადამფუძნებლო სახელშეკრულებო ეტაპზე შესაძლოა სხვადასხვა შინაარსის შეთანხმება იქნეს ჩამოყალიბებული ხელშეკრულების მონაწილეებს შორის. იმ შემთხვევაში, თუკი მონაწილეებს შორის არსებული შეთანხმება პირდაპირ ავალდებულებს მხარეებს სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნებასა და მის რეგისტრაციაში გატარებას, მაშინ აღნიშნული შეთანხმებაც აუცილებლად წერილობითი ფორმით უნდა დაიდოს. სხვა შემთხვევაში შესაძლებელია მისი გაფორმება ფორმის დაცვის გარეშეც. *Pfisterer* in Saenger/Inhester, GmbHG, §11 Rn. 31.

1179 სხვადასხვა კომენტარზე მითითებით: *Pfisterer* in Saenger/Inhester, GmbHG, §11 Rn. 31.

1180 რომლის საგანიც, როგორც ზემოთ ითქვა, სხვა არის.

შემთხვევაში, იგი გამოირიცხება. რამდენიმე პარტნიორის შემთხვევაში კი საკითხი ალტერნატიულად დგას: მონაწილეთა (მომავალი პარტნიორების) შეთანხმების შემთხვევაში იგი ჩამოყალიბებულად ითვლება. თუ მსგავსი შეთანხმება არ შედგა საზოგადოების დაფუძნება პრინციპში ამ იურიდიული კონსტრუქციის გარეშეც არის შესაძლებელი. შესაბამისად, დოქტრინალურად წინარე სადამფუძნებლო საზოგადოება მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს წინარე საზოგადოებისაგან.[1181] ამ უკანასკნელის გარეშე სს-ის დაფუძნება წარმოუდგენელია,[1182] რამდენადაც წინარე საზოგადოების გაჩენა პირდაპირ უკავშირდება სადამფუძნებლო შეთანხების მიღებას და სს-ის ფაქტიურ შექმნას. მართალია, იგი ჯერ კიდევ არ სარგებლობს იურიდიული პირის სტატუსით, თუმცა მისი სპეციფიკურ წარმონაქმნად მიჩნევა განაპირობებს მის მონაწილეობას სამოქალაქო ბრუნვაში. დამფუძნებელ-პარტნიორთა მხრიდან წესდებაზე შეთანხმება თვით სს-ის რეგისტრაციის აუცილებელ ელემენტს ქმნის. საზოგადოების ხელშეკრულების გარეშე წარმოუდგენელია სამეწარმეო სუბიექტის არსებობა. მაშასადამე, წინარე საზოგადოებას მართლწესრიგი ვერსად გაექცევა. რაც შეეხება წინარე სადამფუძნებლო საზოგადოებას, იგი არ წარმოადგენს წინარე საზოგადოების წინამორბედს.[1183] შესაბამისად, არც მომავალი (რეგისტრირებული იურიდიული პირის) საზოგადოების სამართალმემკვიდრეა[1184] და მისი (წინარე სადამფუძნებლო კონსორციუმის) ქონება უნივერსალური (პირდაპირი) გადაცემით არ გადადის სს-აზე.[1185] აქ საინტერესოა ერთი მომენტი: თუკი წინარე სადამფუძნებლო საზოგადოების ეტაპზე მაინც არის განხორ-

---

1181 *Baumbach, Hueck, Fastrich,* GmbHG, (2017), § 11 Rn. 35.

1182 *Koch* in Hüffer/Koch, AktG. Komm, (2021), §41 Rn. 3.

1183 BGHZ 91,151; WM 1996, 722; NJW 1998, 1645; NJW-RR 2001, 1042; და შემდგომი მით.: *Baumbach, Hueck, Fastrich,* GmbHG, (2017), § 11 Rn. 38.

1184 გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს გამოთქმით მას (წინარე სადამფუძნებლო საზოგადოებას) „ჯერ არაფერი აქვს საერთო" შემდგომ შპს-სთან და მასზე არანაირად არ ვრცელდება შპს-ის სამართლის ნორმადებულებები. BGH 7.5.1984, BGHZ 91, 148. განმარტებულია „ახალ იურიდიულ ყოველკვირეულში": NJW 1984, 2164.

1185 *Baumbach, Hueck, Fastrich,* GmbHG, (2017), §11 Rn. 38; MünKommAktG/Pentz, (2019), §41 Rn. 17.

ციელებული ქონებრივი ობიექტები[1186], მაშინ წინარე საზოგადოებაზე და, შესაბამისად, შემდგომ უკვე რეგისტრირებულ სს-ზე მათი გადასვლა უნდა მოხდეს მისთვის ცალკეული ობიექტების გადასვლისათვის საჭირო იურიდიული პროცედურების დაცვით, ანუ ქონებრივ ობიექტზე საკუთრება უნდა გადავიდეს ცალ-ცალკე, თუმცა ეს ქმედება შესაძლოა კონკლიუდენტური ქმედებითაც განხორციელდეს.[1187] მოკლედ, აქტივი და პასივი წინარე სადამფუძნებლო საზოგადოებიდან წინარე საზოგადოებაზე (და შესაბამისად რეგისტრირებულ სს-ზე) არ გადადის ავტომატურად კანონისმიერი სამართალმემკვიდრეობის გზით.[1188]

წინარე სადამფუძნებლო ეტაპზე, როგორც წესი, ხდება სხვადასხვა სახის მოლაპარაკებათა წარმართვა და შეთანხმების ჩამოყალიბებისთვის მზადება, დაგეგმვა მოსალოდნელი შემდგომი საქმიანობის, საწარმოს საქმიანობის საგანზე შეთანხმების და ა.შ. თაობაზე. მოკლედ, ამ პერიოდში მიმდინარეობს მოსამზადებელი ეტაპი, რათა სამეწარმეო სუბიექტის (იურიდიულად) შექმნა ლოგიკურ დასასრულამდე მივიდეს. ამ თვალსაზრისით, პრინციპში, წარმოუდგენელი უნდა იყოს იურიდიული პირის შექმნა დაფუძნებითი კონსორციუმის გარეშე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთადერთ გამონაკლისს აქედან უნდა წარმოადგენდეს ერთი პირის მიერ საზოგადოების დაფუძნება. სხვა (რამდენიმე პირის მიერ საწარმოს დაარსების) შემთხვევაში, იურიდიულ ლიტერატურაში ალტერნატიული სახით წარმოჩენილი ვითარება, თითქოსდა წინარე სადამფუძებლო საზოგადოების გარეშეც უნდა ყოფილიყო მეწარმე სუბიექტის ჩამოყალიბება რეალობას არ შეესაბამება, რამდენადაც მანამ, სანამ საზოგადოების ხელშეკრულება იქნება ფორმირებული და მასში აისახება ყველა ის პირობა,

---

1186 აქ იგულისხმება ამ პერიოდში ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება ქონებრივი სიკეთის, მაგალითად, შეძენასთან დაკავშირებით.

1187 კომენტატორულ ლიტერატურაში მოყვანილი საბანკო ანგარიშის შემდგომი გამოყენება (გადასვლა) წინარე საზოგადოებაზე. აღნიშნული პრაქტიკა გერმანიის ფედერაციის ერთ-ერთმა მინის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა: OLG Hamm GmbHR 1997, 602. ციტ.: *Baumbach, Hueck, Fastrich*, GmbHG, (2017), §11 Rn. 38.

1188 *Wachter* in Wachter (Hrsg.), AktG, (2012), §41 Rn. 6; *Heidinger* in Spindler/Stilz, AktG, (2015),), §41 Rn. 23.

რომელიც (მომავალ) აქციონერებს შორის იქნება მიღწეული, იდეათა დონეზე აუცილებლად ფორმირდება თვით ამ შეთანხმების მონაწილეებს შორის. მაშასადამე, პრაქტიკულად ამ ეტაპის გამორიცხვაც, ანუ წინარე სადამფუძნებლო საზოგადოების ჩამოყალიბება, საზოგადოების დაფუძნების პროცესიდან საფუძველს მოკლებული უნდა იყოს. სადამფუძნებლო შეთანხმების შედგენას რეალურ ცხოვრებაში ყოველთვის წინ უსწრებს საზოგადოების ხელშეკრულებაში გასათვალისწინებელი პირობების წინასწარი შეთანხმება (მომავალ) აქციონერებს შორის. სრულიად მართებულად არის აღნიშნული ლიტერატურაში, რომ პირველ რიგში საწარმოს ფორმირებისას მხედველობაში მიიღება საზოგადოების მომავალ პარტნიორებს შორის წარმართული საუბრები და მოლაპარაკებანი ყოველი დამფუძნებლის შესატანის ოდენობის, სახისა და განსახორციელებელი წესის, საზოგადოების განთავსებული (საწესდებო) კაპიტალის მოცულობის, საქმიანობის იდენტიფიცირების (საგნის), საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, ასევე, მომავალი თანამშრომლების/მუშა-მოსამსახურეთა და სხვა საკითხების თაობაზე.[1189] ამგვარ მოსამზადებელ პროცესს კი ვერც ერთი ბიზნესის დაწყების მსურველი ვერ გაექცევა. უშუალოდ საწარმოს დაფუძნების თაობაზე მოსამზადებელი პროცესის გარდა ამ სტადიაზე შესაძლოა, ასევე მხედველობაში მიიღებოდეს გარიგებითსამართლებრივ ურთიერთობაში შესვლა კონტრაჰენტებთან გარკვეული ფართის დაქირავების, საკრედიტო დანესებულებასთან საბანკო ანგარიშის შემდგომი გახსნისა და სესხის გაცემის თაობაზე და ა.შ.[1190] ბუნებრივია, აღნიშნული პროცესი ლოგიკურ დასასრულამდე უნდა მივიდეს, რომელიც, ერთი მხრივ, მონაწილეთა შეთანხმებას ვალდებულებითსამართლებრივ კატეგორიად აქცევს და მას ფორმის დაცვით ჩამოყალიბებულ შეთანხმებამდე მიიყვანს და, მეორე მხრივ, ფაქტობრივად შექმნის სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელ იმ სუბიექტს (საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას - სს-ას), რომლის შექმნაც

1189 Münch. Hdb. GesR, (2009), III/Priester §15 Rn. 3.
1190 Münch. Hdb. GesR, (2009), III/Priester §15 Rn. 3.

მისი შერჩევის თავისუფლებისა და სახელმწიფოს მხრიდან დადგენილი numerus clausus პრინციპის გათვალისწინებით სავალდებულო კომპონენტი იქნება პარტნიორთათვის. მხოლოდ ასე იქმნება ის სოციალური წარმონაქმნი, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან აღიარებულია სრულფასოვან უფლებაუნარიან და ქმედუნარიან სუბიექტად და განიხილება იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაციად.

2.2.3. წინარე საზოგადოება

ა.) იურიდიული ბუნება

კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სს-ის რეგისტრაციამდე მისი სახელით შესაძლებელია დაიდოს გარიგებები. მაშასადამე, მომავალი იურიდიული პირის სახელით აღებულ იქნეს გარკვეული ვალდებულებები, რომლის შესრულებაც მნიშვნელოვანია. ბუნებრივია, გარიგებაში შესვლას სხვადასხვა სახის ვალდებულება და ამ უკანასკნელის შესრულება ესაჭიროება, ხოლო შეუსრულობლობის შემთხვევაში შეიძლება პასუხისმგებლობის დაყენება გახდეს აუცილებელი. ცხოვრებისეულ რეალობაში მესამე პირს უფრო ის აინტერესებს, თუ ვინ იქნება მისი ვალდებულების შემსრულებელი, შეუსრულებლობის შემთხვევაში კი პასუხისმგებელი სუბიექტი, ვიდრე ის, რეგისტრაციამდელ პერიოდში რა (სპეციფიკური) ხასიათის წარმონაქმნთან შევიდა იგი სამართალურთიერთობაში. თუმცა პასუხისმგებლობის პარადიგმის მართებული აღქმისთვის იურიდიულ ლიტერატურაში პრე-რეგისტრაციამდელ პერიოდში განხორციელებული ქმედებების სამართლებრივი ბედი და ამ მოქმედების შემსრულებლის კვალიფიკაციის თაობაზე გამოითქმის მოსაზრებანი. პასუხისმგებლობის საკითხი შემდგომ ქვეთავში განიხილება. აქ კი ისეთი იურიდიული კონსტრუქციის შესახებ იქნება საუბარი, როგორიც წინარე საზოგადოებაა.

საზოგადოების ხელშეკრულების წერილობით მიღებისა და მასზე დამფუძნებელთა ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმების მომენტსა და სს-ის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციით იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებას შორის პერიოდში ყალიბდება სოციალური წარმონაქმნი, რომელსაც

უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაში სპეციფიკური ხასიათის „იურიდიულ წარმონაქმნად" მოიხსენიებენ[1191] და ამ წარმონაქმნს წინარე სს-ას ან უბრალოდ წინარე საზოგადოებას ეძახიან.[1192] სადამფუძნებლო ხელშეკრულებაზე სანოტარო მოქმედების განხორციელების შემდეგ წარმოიქმნება სპეციფიკური გაერთიანება - sui generis.[1193] აღნიშნული სპეციფიკური იურიდიული კონსტრუქცია არ წარმოადგენს არც ამხანაგობას და არც იურიდიულ პირს. იგი გახლავთ კორპორაციულსამართლებრივად მოწყობილი იურიდიული აგებულების პერსონალური გაერთიანების მქონე[1194] სპეციალური სახის ორგანიზაცია,[1195] რომელიც შეიძლება იყოს უფლებისა და მოვალეობის მატარებელი,[1196] ჰქონდეს პასიური და აქტიური საპროცესოუნარიანობ, ასევე, იყოს ისეთი უფლებაუნარიანი წარმონაქმნი, რომელსაც აქვს იურიდიული შესაძლებლობა ქონდეს საბანკო ანგარიში და იყოს მესაკუთრედ წარმოდგენილი საჯარო რეესტრში, ანუ იყოს უძრავი ქონების საკუთრებაუნარიანი გაერთიანება.[1197] მიჩნეულია, რომ წინარე საზოგადოება არის გარიგებაუნარიანი წარმონაქმნი, რაც აძლევს კიდეც მას შესაძლებლობას, განხორციელებული შენატანის შემთხვევაში[1198] გამოიყენოს ეს უკანასკნელი მისი (წინარე საზოგადოების) ინტერესის შესაბამისად.[1199] განხორციელებული ქონება (შენატანის სახით) მიეთვლება წინარე საზოგადოებას და იგი კანონის მე-10 მუხლის მიზნობრივი განმარტებიდან ავტომატურად შეიძლება გადავიდეს რეგისტრირებულ სამეწარმეო საზოგადოებაზე.[1200] წინარე სა-

1191 ვრცლად მისი იურიდიული ბუნების, ასევე, ლიტერატურაში არსებული საკითხის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობის შესახებ იხ. მაგ.: *Schmidt* in Scholz, GmbHG, (2018), §11 Rn. 30 ff.

1192 Münch. Hdb. GesR, (2009), III/Gummer §16 Rn. 1.

1193 *Heidinger* in Spindler/Stilz, AktG, (2015), §41 Rn. 25, 27.

1194 *Baumbach, Hueck, Fastrich*, GmbHG, (2017), §11 Rn. 6.

1195 *Spindler, Stilz, Heidinger*, AktG, (2015), §41 Rn. 27.

1196 *Link* in Gehrlein/Ekkenga/Simon, GmbHG, (2012), §11 Rn. 1.

1197 *Wachter* in Wachter (Hrsg.), AktG, (2012), §41 Rn. 10.

1198 რომელიც არ იქნება მიჩნეული ე.წ. „საერთო ხელის საკუთრებად/საერთო საკუთრების გაერთიანება" (თანაზიარ საკუთრებად). იხ.: *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 111.

1199 *Bayer* in Lutter/Hommelhof, GmbH-Gesetz, (2012), §11 Rn. 5.

1200 აქვე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ წინარე საზოგადოებაზე საუბარია

ზოგადოების კონსტრუქციის გამოყენება შეიძლება მრავალი მიზნისთვის, თუმცა მისი ძირითადი მიზანი მდგომარეობს სს-ის დაფუძნებაში, ანუ მის იურიდიულ პირად ჩამოყალიბაში, რაც სამეწარმეო რეესტრში კაპიტალური ტიპის საზოგადოების რეგისტრაციით სრულდება. მიუხედავად ძირითადი იურიდიული მიზნისა - სამეწარმეო საქმიანობა განხორციელდეს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით[1201] - მხედველობაში მიიღება მომავალი საზოგადოების ფუნქციონირებისათვის საჭირო მოქმედებები: როგორც ზემოთ ითქვა, აუცილებელი ხდება რეგისტრაციამდელ პერიოდში, გარკვეული ეკონომიკური აქტივობის დაწყება და გარიგებითსამართლებრივი ნაბიჯების გადადგმა. შესაძლებელია, დადებულ იქნეს გარკვეული სახის გარიგება, რომელიც საწარმოს სამომავლო რენტაბელობას მოემსახურება. გამომდინარე იქედან, რომ ამ მიზნის მიღწევისას წინარე საზოგადოება შესაძლოა გახდეს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე, სამართალმა უნდა უზრუნველყოს ისეთი პირობის დადგენა, რომელიც ბრუნვის მონაწილეთა სტაბილურობის უზრუნველმყოფიც იქნება და მისი (ბრუნვის) ინტერესის გამტარებელი. სწორედ ამიტომ უმჯობესია, რომ წინარე საზოგადოება მოექცეს საფირმო სამართლის დაცვის ქვეშ, რაც ასევე გულისხმობს რეგისტრაციამდელ ეტაპზე განხორციელებული მოქმედების შემთხვევაში სათანადო აღმნიშვნელის - „დაფუძნების პროცესში" ან „რეგისტრაციამდელ ეტაპზე" ან „წინარე სს-ის" - დართვას.[1202] ეს, ბუნებრივია, ხელს უწყობს მესამე პირის ინტერესს, რომ სრული წარმოდგენა

ასევე რეფორმის შემდეგ შპს-ის კანონის მე-5ა პარაგრაფით მოწესრიგებულ საკითხზე (ამის შესახებ იხ.: *ბურდული, კრებულში*: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 217 და მომდ.), რომელიც გაიგივებულია „ჩვეულებრივ" შპს-სთან. ამაზე: *Schmidt* in Scholz, GmbHG, (2018), §11 Rn. 27.

1201 მოგების მიღებისა.

1202 შეად. *Link* in Gehrlein/Ekkenga/Simon, GmbHG, (2012), §11 Rn. 6. სხვათა შორის, მეწარმეთა შესახებ კანონპროექტის ერთ-ერთ ვერსიაში, რომელიც შემდგომ ამ სახით აღარ წარედგინა პარლამენტს, ეს პირდაპირ იყო გათვალისწინებული მე-11 მუხლის მე-2 პუნქტში, სადაც ნათქვამი იყო: „წინარე საზოგადოება ატარებს წესდებით გათვალსიწინებულ საფირმო სახელწოდებას დანამატით „დაფუძნების პროცესში". აღნიშნული ჩანაწერი უფრო ნათელი იყო, ვიდრე ძალაში შესული კანონის ახალი რედაქციის შესაბამისი მე-10 მუხლი.

ჰქონდეს თუ რა სახის გაერთიანებასთან აქვს მას საქმე, ვინ მონაწილეობს ბრუნვაში და, შესაბამისად, ვინ არის წინარე საზოგადოების სახელით გარიგების დამდები პირი და აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობის მატარებელი სუბიექტი. წინარე საზოგადოება, პრინციპში, სამოქალაქო ბრუნვაში გამოდის ისე, როგორც რეგისტრირებული სს, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებათა გათვალისწინებით. მას აქვს უფლება დადოს ხელშეკრულებები, შეიძინოს უძრავი და მოძრავი ქონება, იყოს არსებული საწარმოს მფლობელი და სხვა სამეწარმეო (მათ შორის პერსონალური/ამხანაგური) საზოგადოების პარტნიორი.[1203] ყველაფერი ეს კი უკავშირდება პერიოდს, როდესაც სს-ის ხელშეკრულება იქმნება, იგი ნოტარიულად მოწმდება და მას ყველა დამფუძნებელი პარტნიორი აწერს ხელს. წესდება, მასში ინტეგრირებული ნორმა-დებულებებით, ფაქტობრივად აღჭურვავს საზოგადოებას იმ სამართლის გამოყენების სფეროთი, რომელიც მაშინ იქნებოდა გამოყენებული, სს რეგისტრირებული და იურიდიული პირის სტატუსის მქონე რომ ყოფილიყო.[1204] სულ მცირე შიდა ორგანიზაციულ სფეროში წინარე საზოგადოების მიმართ, ძირითადად, გამოიყენება სს-ის სამართალი. სს-ის სამართლის გამოყენებას, წმინდა რეგულატორული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ერთგვარი სუბსიდიური გამოყენება აქვს, რადგანაც მასთან ერთად გამოიყენება საზოგადოების წესდების მომწესრიგებელი ნორმა-დებულებები.[1205] ამ უკანასკნელს, ბუნებრივია, სახელშეკრულებოსამართლებრივი მნიშვნელობა აქვს უპირველეს ყოვლისა მხარეთათვის, ანუ საზოგადოების პარტნიორთათვის. თუმცა აქვე გასათვალისწინებელია, რა თქმა უნდა, ის გარემოება, რომ

1203 *Link* in Gehrlein/Ekkenga/Simon, GmbHG, (2012), §11 Rn. 6.

1204 *Solveen* in Hölters, AktG. Komm., (2017), §41 Rn. 2.

1205 ფასტრიხი წინარე საზოგადოების მიმართ პირველ რიგში წესდების პოსტულატების გამოყენებაზე ამახვილებს ყურადღებას და მხოლოდ მას შემდეგ ხაზს უსვამს ასევე შპს-ის სამართლის გამოყენებას, ესეც იმ შემთხვევაში, როდესაც წესდებისმიერი ნორმები შეესაბამება საწარმოს რეგისტრაციის წინაპირობებს ან დაფუძნების სტადიაზე არსებულ საკანონმდებლო შეზღუდვებთან მოდის სრულ შესაბამისობაში. სხვადასხვა ლიტერატურაზე შემდგომი მით. იხ.: *Baumbach, Hueck, Fastrich*, GmbHG, (2017), §11 Rn. 6. იგივე ითქმებოდა სს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე.

წესდებით, როგორც ზემოთ ითქვა, ფაქტობრივად იქმნება სს. ამ უკანასკნელს კი ის კორპორაციულსამართლებრივი სტრუქტურა აქვს, რომელიც აუცილებელია და დამახასიათებელია კანონის მიხედვით სს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისთვის. ამიტომ აქ წესრიგდება არა მხოლოდ პარტნიორებს შორის ურთიერთობა, არამედ პარტნიორსა და კორპორაციას, კორპორაციასა და დირექტორს, სხვა სტეიქჰოლდერს შორის. მაშასადამე, რეგისტრაციამდელ ეტაპზე ძირითადად გამოსაყენებელი იქნება საზოგადოების ხელშეკრულებისა და სს-ის მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმები სუბსიდიურად.[1206] საზოგადოების ხელშეკრულება, როგორც გარიგებითსამართლებრივი აქტი, უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო კოდექსის ნორმებს და იგი მასთან წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის ნორმებს უპირატესი იურიდიული ძალა ენიჭება. ესეც იმ შემთხვევაში, თუკი საქმე არადისპოზიციური ხასიათის ნორმასთან გვაქვს. გამომდინარე იქედან, რომ წესდება მისი ჩამოყალიბების პირველივე ეტაპზე უნდა შეესაბამებოდეს არა მხოლოდ ზოგად კერძო სამართალს, არამედ შესაბამისობაში უნდა მოვიდეს სპეციალურ კერძო სამართალთან[1207], მის მიმართ აუცილებლად უნდა იყოს გამოყენებული სს-ის მომწესრიგებელი ნორმები.

ბ.) „ერთკაცა" სს-ის დაფუძნების თავისებურება

საკორპორაციო სამართალი შესაძლებელს ხდის, რომ კაპიტალური სამეწარმეო საზოგადოება ერთი პირის მიერაც შეიქმნას. როგორც წესი, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ნებისმიერი სამართლებრივი ფორმა რამდენიმე

1206 თუ რომელი კონკრეტული საკანონმდებლო ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული, ანუ მიენიჭოს წესდების დებულებასთან შედარებით უპირატესი იურიდიული ძალა, დამოკიდებულია ცალკეულ შემთხვევაზე, როემლიც დეტალურად არის მიმოხილული მაგ.: *Henssler, Strohn, Schäfer,* Gesellschaftsrecht, GmbHG, (2014), §11 Rn. 15. აქ ყურადღება, ძირითადად, გამახვილებულია კაპიტალის შევსების მავალდებულებელ საკანონმდებლო ნორმებზე. ისინი რეგისტრაციის აუცილებელ წინაპირობას წარმოშობენ. აქედან გამომდინარე, სარეგისტრაციო სამართლით დადგენილი იმპერატიული ხასიათის ნორმები, რომელიც ვერაფრით „გადაიწონება" წესდებისმიერი დებულებებით.

1207 ამ შემთხვევაში საკორპორაციო სამართალთან.

დამფუძნებელი პარტნიორისაგან შედგება, თუმცა განსხვავება - პერსონალურ სამეწარმეო საზოგადოებასა და კაპიტალური ტიპის საზოგადოებას შორის - იძლევა დოგმატური სხვაობისა და ფორმათა ტიპოლოგიური ბუნების წარმოჩენის შესაძლებლობას საზოგადოებათა დაყოფის თვალსაზრისით იმისდა მიხედვით, თუ რამდენი მონაწილეა მათში. პერსონალური სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნებისა და ფუნქციაუნარიანობისთვის აუცილებელია სულ მცირე ორი დამფუძნებელი პარტნიორის არსებობა. პარტნიორთა რაოდენობა, შეიძლება ითქვას, განაპირობებს კიდეც ამგვარი ტიპოლოგიური ბუნების მქონე საზოგადოების დოგმატურ თავისებურებას, რამდენადაც ეს არარელევანტურია კაპიტალური საზოგადოების შემთხვევაში. სს-ის დაფუძნებაში შეიძლება მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ ერთადერთმა დამფუძნებელმა პირმა.[1208] საკანონმდებლო დონეზე არ ხდება განსხვავება ერთი პირის მიერ საზოგადოების ჩამოყალიბებასა და რამდენიმე პირის მიერ მის დაფუძნებას შორის.

წინა სადამფუძნებლო კონსორციუმი, როგორც ზემოთ ითქვა, მიუხედავად მისი არაიდენტობისა,[1209] ახლოს დგას ერთობლივ საქმიანობასთან. როგორც შიდა საზოგადოების ნაირსახეობა, ანუ ვალდებულებითსამართლურთიერთობა მის მონაწილეებს შორის, იგი დადებულია რამდენიმე პირის მიერ. შესაბამისად, იგი პირდაპირ გამორიცხავს მის ჩამოყალიბებას მხოლოდ ერთი წევრის მიერ. „ერთკაცა სს-ის" დაფუძნებისას წინარე სადამფუძნებლო კონსორციუმის ეტაპი გამოირიცხება. მაშასადამე, საზოგადოების ხელშეკრულების შედგენისა და ერთადერთი პარტნიორის მიერ მასზე ხელმოწერისა და სანოტარო წესით დამოწმების შემდეგ უნდა მივიღოთ წინარე საზოგადოება, რომელიც სპეციფიკურ წარმონაქმნად უნდა მივიჩნიოთ და განვასხვავოთ კონსორციუმისაგან.[1210]

1208 ფიზიკური თუ იურიდიული პირი.

1209 ე.წ. დისკონტინუიტეტი წინარე სადამფუძნებლო საზოგადოებასა და წინარე საზოგადოებას შორის. *Vedder* in Grigoleit, AktG. Komm., 2. Auf., 2020, §41 Rn. 3 f.

1210 ვრცელი დასაბუთება შედარებით-სამართლებრივ ჭრილში იხ.: *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 56-

2.2.4. პასუხისმგებლობა

ა.) პასუხისმგებლობის საკანონმდებლო სტანდარტი

როგორც ზემოთ ითქვა, პრე-რეგისტრაციამდელ პერიოდში საზოგადოების სახელით განხორციელებულ მოქმედებას ვალდებულების აღება და, შესაბამისად, მისი დაკმაყოფილება შეიძლება მოყვეს. თუ აღიარებულია რეგისტრაციამდელ ეტაპზე გარიგების დადების შესაძლებლობა წინარე საზოგადოების იურიდიული კონსტრუქციის, როგორც უფლება-მოვალეობის მატარებლის, გამოყენებით და ამ ურთიერთობაში განხორციელებული საქმიანობიდან გამომდინარე გარკვეული ვალდებულების აღება, სახეზე უნდა იყოს ასევე ამ ვალდებულების შესრულების, ხოლო ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის განსაზღვრის წესი. მხოლოდ ამგვარად შეიძლება იმ მიზნის მიღწევა, რასაც კრედიტორის დაცვის სათანადო გარანტიის შექმნა ჰქვია. საკორპორაციო სამართალმა უნდა ჩამოაყალიბოს ისეთი სისტემა, რომელშიც ბრუნვის მონაწილეს გარკვეული ნდობა ექნება ურთიერთობაში ჩაბმული „სუბიექტის" მიმართ. ამ „სუბიექტის" მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კი გარანტირებული იქნება მისი უფლების დაცვა, რომელიც რეგისტრაციამდელ პერიოდში დადებული გარიგებიდან წარმოშობილ ვალდებულებას და მის შეუსრულებლობას შეიძლება თან ახლდეს. შესაბამისად, სამართალი ცდილობს მოაწესრიგოს ეს საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ მის ირგვლივ, იმ დოქტრინებში, სადაც წინარე საზოგადოება ცალსახად აღიარებულ კონსტრუქციას წარმოადგენს და მისი შექმნის გარეშე წარმოუდგენელია თავად სს-ის წარმოშობა, დღესაც აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.[1211]

კანონის მე-10 მუხლი მთლიანობაში პრე-რეგისტრაციამდელ პერიოდში პასუხისმგებლობის საკითხს აწესრიგებს. აღნიშნული ნორმა ამ ეტაპზე პასუხისმგებლობის სხვადასხვაგვარ შესაძლებლობას აფუძნებს და, შეიძლება ითქვას,

---

63.

1211 საკმარისია მხოლოდ კარსტენ შმიტის მრავალგვერდიანი კომენტარი შპს-ის კანონის იმ მუხლისა, რომელიც ამ საკითხს ეხება. *Schmidt* in Scholz, GmbHG, (2018), §11, S. 593-695.

განსხვავდება ასევე მრავალი ევროპული ქვეყნის კანონმდებლობით მოცემული პასუხისმგებლობისაგან. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად პასუხისმგებლობის რეჟიმის განსხვავებული საკანონმდებლო მოწესრიგებისა, იგი მაინც მსგავს პრინციპს ეფუძნება. კანონის მე-10 მუხლი იძლევა კრედიტორთან პასუხისმგებლობაზე შეთანხმების შესაძლებლობას და შეიძლება ითქვას, რომ მეწარმეთა შესახებ კანონი პასუხისმგებლობის ორ ძირითად სახეს განასხვავებს. პირველი, ეს არის ის შემთხვევა, როდესაც რეგისტრაციამდელ ეტაპზე საზოგადოების სახელით მესამე პირთან დადებულია გარიგება, თუმცა ამ გარიგებიდან წარმოშობილი ვალდებულების შეუსრულებლობის ან მისი არაჯეროვანი შესრულების თაობაზე პასუხისმგებლობის განსაზღვრა კრედიტორსა და წინარე საზოგადოებას შორის არ მომხდარა. კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თუკი პრე-რეგისტრაციამდელ ეტაპზე საზოგადოების სახელით წინარე საზოგადოების წარმომადგენლის მიერ დადებულ იქნა გარიგება, მაშინ ამ გარიგებიდან წარმოშობილი ვალდებულებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ უკანასკნელს და საზოგადოების დამფუძნებელ პარტნიორს. კანონი ამგვარი წარმომადგენლობით აღჭურვილ პირს მოქმედების შემსრულებელს უწოდებს. გამომდინარე იქედან, რომ წინარე საზოგადოების მიმართ შეიძლება გამოიყენებოდეს (რეგისტრირებული) სს-ის სამართალი, კანონის მე-10 მუხლის პირველ პუნქტში მოცემული მოქმედების შემსრულებელი სწორედ საზოგადოების ხელშეკრულებით განსაზღვრული ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი იქნება, რადგან სს-ას გარესამართალურთიერთობაში სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს. თუმცა წინარე საზოგადოებაში შესაძლებელია მოხდეს წარმომადგენლობის მოდიფიცირება. კერძოდ, მართალია, საზოგადოების ხელშეკრულებით დადგენილი იქნება ხელმძღვანელობითი ორგანოს ფორმირების, უფრო სწორედ, პირთა ვინაობის შესახებ მონაცემები, თუმცა იქვე შეიძლება დათქმის გაკეთება, რომ რეგისტრაციამდელ ეტაპზე საზოგადოების სახელით მოქმედების უფლება არა მათ, არამედ ამისათვის სპეციალურად

განსაზღვრულ პირს აქვს (სპეციალური წარმომადგენლობა). მსგავს შემთხვევაში ორგანულსამართლებრივი წარმომადგენელი რეგისტრაციამდელ პერიოდში „მიძინებულ" მდგომარეობაში ექცევა, ხოლო რეგისტრაციის შემდეგ იგი ასეთად (სს-ის ხელმძღვანელად და წარმომადგენლად) იქნება აღრიცხული რეესტრში და მაშასადამე, მას საზოგადოების წარმოდგენის უფლებამოსილება ენიჭება.[1212] აღნიშნული მიდგომა მთლად სტაბილური შეიძლება არ იყოს მესამე პირისათვის, რადგან ძირითადი ვექტორი წარმომადგენლობითი კომპეტენციის შემოწმებისა მთლიანად გადადის მისი (განსაკუთრებული) შემოწმების რისკზე, თუმცა კანონის გრამატიკული და ლოგიკური განმარტება ამის შესაძლებლობას იძლევა.[1213] მაგ., სს „ტესტილ გეშეფტის" მიერ დაიდო სასაწყობე ფართის იჯარის ხელშეკრულება მესამე პირთან, რომელსაც შედეგად ვალდებულების აღება მოყვება. ამ ვალდებულელბისათვის პასუხისმგებელი ორი სუბიექტი გვყავს: სამეწარმეო საზოგადოების დამფუძნებელი პირი და თავად ამ მოქმედების (ანუ გარიგების დადების) განმხორციელებელი. საყურადღებოა აქ ასევე ისიც, რომ შესაძლოა მოქმედების შემსრულებელი და დამფუძნებელი ერთი და იგივე პირი იყოს. ბუნებრივია, პასუხისმგებლობა მხოლოდ ამ უკანასკნელს დაეკისრება. მოკლედ, ჩვეულებრივ საწესდებო კონსტრუქციაში წინარე საზოგადოების სახელით დადებული გარიგებიდან წარმოშობილი ვალდებულებისათვის პასუხისმგებლობის სუბიექტია საზოგადოების დამფუძნებელი და სს-ის წარმომადგენელი. ისინი ერთობლივად აგებენ პასუხს კრედიტორის წინაშე უშუალოდ და შეუზღუდავად. კანონის იდეით სწორედ ამგვარი პასუხისმგებლობა უნდა ემსახურებოდეს კრედიტორის

1212 თუმცა შეიძლება ორივეს ცალ-ცალკე გააჩნდეს მსგავსი მოქმედების შესრულების უფლებამოსილება.

1213 კანონპროექტის პირველად რედაქციაში მე-11 მუხლი სხვაგვარად იყოს კონსტრუირებული, რაც ბევრ კითხვაზე იძლეოდა ზუსტ პასუხს, თუმცა საკანონმდებლო ინიციატივის სახით იგი ამჟამინდელი ვორდინგითა და შინაარსით წარედგინა პარლამენტს და იგი მის მიღებამდე შეცვლილი არ ყოფილა. საკანონმდებლო ინიციატივამდე არსებული მდგომარეობის მიმოხილვა, როგორც de lege ferenda იხ.: *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 63 და მომდ.

დაცვას, რამდენადაც ამ დაცვის ეპიცენტრში დამფუძნებლისა და წინარე საზოგადოების წარმომადგენლის სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპი დგას. თუმცა, როგორც ამ ქვეთავის დასაწყისში ითქვა, ეს არის ის შემთხვევა, როდესაც პასუხისმგებლობის თაობაზე წინარე საზოგადოებასა და მის კრედიტორს შორის სხვაგვარი შეთანხმება არ მომხდარა. რაც შეეხებ ამ სხვაგვარ შეთანხმებას: იგი სახელშეკრულებო ავტონომიის ფარგლებში გადასაწყვეტია და პასუხისმგებლობის მრავალფეროვან პარადიგმას შეიძლება აფუძნებდეს. მაგ., შეიძლება სს „ტესტილ გეშეფტსა", უფრო სწორედ, სს „დაფუძნების სტადიაზე ტესტილ გეშეფტსა" და მესამე პირს შორის შედგეს შეთანხმება, რომ მათ შორის ურთიერთობაში, პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, გამოყენებული იქნება (რეგისტრირებული) სს-ისთვის დადგენილი პასუხისმგებლობის რეჟიმი. ბუნებრივია, ასეთ დროს გამოიყენება ის სამართალი, რომელიც მაშინ იქნებოდა გამოყენებული, სს რეგისტრირებული რომ ყოფილიყო. მსგავს შეთანხმებათა დადება კრედიტორსა და წინარე საზოგადოებას შორის სხვადასხვა ფაქტორზე შეიძლება იყოს დამოკიდებული.[1214]

ბ.) შედეგის გადასვლა რეგისტრირებულ სს-ზე

საკორპორაციო სამართალში ასევე მნიშვნელოვანია პრე-რეგისტრაციამდელ პერიოდში აღებული ვალდებულებისა და შეძენილი უფლების ბედი. კერძოდ, საკითხი იმის თაობაზე, რა მოსდის წინარე საზოგადოების უფლება-მოვალეობებს, როდესაც იგი დაასრულებს სიცოცხლეს და საბოლოოდ მივიღებთ რეგისტრირებულ სს-ს. კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი აწესრიგებს ამ შემთხვევას და აღნიშნავს, რომ სს-ის სახელით რეგისტრაციამდე მოპოვებული უფლება-მოვალეობა გადადის იურიდიულ პირზე, თუმცა ნორმის შინაარსი მის ავტომატურ ტრანსმისიას არ ითვალისწინებს

1214 თუკი ამგვარი შეთანხმება მოხდება, შესაძლებელია დავეყრდნოთ გერმანულ, ავსტრიულ დოქტრინებს. შედარებით-სამართალებრივ პერსპექტივაში იხ.: ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 451 და მომდ.; *ბურდული*, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში (განსაკუთრებით მისი ჩამოყალიბების პროცესში ქართული და ავსტრიული სამართლის მაგალითზე), სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, 2008, 93 და მომდ.

(მე-2 პუნქტის პირველი წინადადება). ეს უკანასკნელი დამოკიდებულია თავად (რეგისტრირებული) სამეწარმეო საზოგადოების მოწონებაზე. მაგ., სს „კომპიუტერული ტექნიკა 2021" სამეწარმეო რეესტრში 2021 წლის 10 ოქტომბერს დარეგისტრირდა, თუმცა მანამდე 1 ოქტომბერს მის მიერ შპს „ლეპტოპების მიმწოდებელ კომპანიასთან" გაფორმდა კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის ხელშეკრულება, რომლის ვადად 1 თვე განისაზღვრა. შესაბამისად, წარმოიშვა უფლება-მოვალეობა. იმისათვის, რომ დაფუძნების ეტაპზე მყოფ კომპიუტერული ტექნიკა 2021-თან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და ნაკისრი ვალდებულებები გადავიდეს რეგისტრირებულ სამეწარმეო საზოგადოებაზე საჭიროა სს „კომპიუტერული ტექნიკა 2021"-ის შესაბამისი გადაწყვეტილება. თუკი საზოგადოების ხელშეკრულებით სხვ რამ არ არის დადგენილი, მაშინ მოწონების გამცემი ორგანო იქნება სს-ის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო (დირექტორატი), რადგანაც პირველ რიგში სწორედ ეს უკანასკნელი დგას საზოგადოების ინტერესის სადარაჯოზე და წარმოადგენს მას.

იმ შემთხვევაში, თუკი წინარე საზოგადოებასა და კრედიტორს შორის მოხდა შეთანხმება უფლება-მოვალეობის გადასვლის სხვაგვარ წესზე, მაშინ, როგორც წესი, ივარაუდება, რომ გარიგებიდან წარმოშობილი უფლებები და მოვალეობები ავტომატურად გადადის აწ უკვე რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე. მაგრამ პასუხისმგებლობა ამ შემთხვევებში შეიძლება განსხვავებული იყოს. კერძოდ, თუკი უფლება-მოვალეობა ავტომატურ რეჟიმში არ გადადის რეგისტრირებულ სს-ზე და არც კრედიტორთან მომხდარა პასუხისმგებლობის სხვა რეჟიმზე შეთანხმება, მაშინ გამოიყენება კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი და სახეზეა დამფუძნებლისა და შემსრულებლის პირადი და უშუალო პასუხისმგებლობა (სოლიდარულად ეგებენ პასუხს). იმ შემთხვევაში, როდესაც უფლება-მოვალეობათა ავტომატურ ტრანსმისიას აქვს ადგილი, მაშინ პასუხისმგებლობაზე მაინც უნდა მოხდეს შეთანხმება, ვინაიდან შეუთანხმებლობის შემთხვევაში პრე-რეგისტრაციამდელ პერიოდში ნაკისრი ვალდებულების შესრულების და,

შესაბამისად, პასუხისმგებლობის ადრესატიც რეგისტრირებული სს-ა მთელი თავისი ქონებით. კრედიტორმა ამ დროს კარგად უნდა შეაფასოს სს-ის მიერ შესასრულებელი ვალდებულების ღირებულებითი მოცულობა და ამის მიხედვით იმოქმედოს. მაგ., სს „ტრანსჰოტელმა" რეგისტრაციამდელ ეტაპზე სპს „მაიერი და კომპანიის" წინაშე იკისრა 500 000 ლარის ღირებულების ვალდებულების შესრულება. სადამფუძნებლო და სარეგისტრაციო დოკუმენტებიდან (სხვა ცალკე შეთანხმებებს საზოგადოების შიგნით ადგილი არ ჰქონია. ვთქვათ, აქციონერთა ცალკე შეთანხმებას რეგისტრაციის შემდეგ დამატებითი შენატანის განხორციელების თაობაზე) ნათელია, რომ რეგისტრაციის შემდგომ, ანუ მალევე, როდესაც მოსული იქნება ვალდებულების შესრულების დრო, სს-ის მთლიანი ქონება, საწესდებო კაპიტალის ჩათვლით, 150 000 ლარს ვერ ცდება. ბუნებრივია, მსგავს ვითარებაში კრედიტორი მისი მოთხოვნის რეალური დაკმაყოფილების რისკის ქვეშ შეიძლება დადგეს იმ შემთხვევაში, თუკი სამეწარმეო საზოგადოება ვადამოსულ ვალდებულებას არ შეასრულებს.

მოკლედ, უფლება-მოვალეობათა გადასვლის თვალსაზრისით კონტინუიტეტი წინარე საზოგადოებასა და რეგისტრირებულ სს-ს შორის პირდაპირ არის დამოკიდებული თავად ამ საზოგადოების მოწონებაზე,[1215] რამაც ბრუნვაში გარკვეული პრობლემები შეიძლება წარმოშვას, თუმცა ეს აქ ამჯერად არ განიხილება.[1216]

1215 სხვათა შორის იმ ქვეყნებში, სადაც რეგისტრაციამდელი პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმები არსებობს, ისტორიულად მსგავსი დებულებების შინაარსი იმგვარად იყო კონსტრუირებული, რომ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მომხდარიყო პირდაპირი (პასუხისმგებლობასამართლებრივი) კონტინუიტეტის არსებობა რეგისტრაციამდელ პერიოდში არსებულ დამფუძნებელთა გაერთიანებასა და რეგისტრირებულ სს-ას შორის. *Schmidt* in Hirte/Müllbert/Roth (Hrsg.), s GK-AktG, 5. Auf., 2019, §41, Rn. 15. თუმცა დროთა განმავლობაში ეს მიდგომა საკოპრორაციო სამართლის დოგმატიკის განვითარებასთან ერთად შეიცვალა, რითიც, შეიძლება ითქვას, საკითხის იურიდიული მოწესრიგება გაცილებით მრავალშრიანი და რთული გახდა.

1216 შედარებით-სამართლებრივი დისკურსი იხ.: *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 46 და მომდ.

2.2.5. რეგისტრაციის წინაპირობები

სს-ის რეგისტრაციასთან მიმართებაში გამოიყენება სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრაციის ის ზოგადი მოთხოვნები, რომელიც აქამდე განხილულ ორგანიზაციულ-სამართელბრივ ფორმებს შეეხებოდა. შესაბამისად, საყურადღებოა კანონის მე-4, მე-5, მე-7, მე-8 მუხლი განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანია სადამფუძნებლო შეთანხმების მომწერსიგებელი ნორმა - მე-5 მუხლი, რომელშიც სს-სთან დაკავშირებით დამატებითი მოთხოვნებია დადგენილი. კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სს-ის საზოგადოების ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს მე-7 მუხლით გათვალისწინებული საზოგადოების წესდების (სავალდებულო) მონაცემებს და კანონის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს. სწორედ ეს ორი კუმულაციური წინაპირობა - წესდება/სადამფუძნებლო შეთანხმების სავალდებულო (თუ, არსებობის შემთხვევაში, ფაკულტატიური) რეკვიზიტი იწვევს კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული შედეგის დადგომას: სს-ის რეგისტრაციას კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირების რეესტრში, რასაც იურიდიული პირის გაჩენა მოყვება. რეგისტრაციამდელ ეტაპზე, როგორც ზემოთ ითქვა, საზოგადოების ხელშეკრულების მიღებით ფაქტიურად ფორმირებულია სს, რაც პირდაპირ[1217] წინარე საზოგადოებასა და იურიდიულ პირს შორის კონტინუიტეტს ქმნის. პრე-რეგისტრაციამდელ პერიოდში სს-ისთვის გათვალისწინებული სადამფუძნებლო მონაცემები, თუკი ისინი ხარვეზის მქონე არ არის, ავტომატურად ხდება რეგისტრირებული სს-ის სამართლებრივი ფორმის კუთვნილება.

ყველა სხვა დანარჩენ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმასთან შედარებით სს-ის სარეგისტრაციოდ მოთხოვნილი მონაცემები, ე.ი. რეგისტრაციის აუცილებელი წინაპირობები, უფრო ბევრია. ეს ნაწილობრივად თავად სს-ის იურიდიული კონსტრუქციის სირთულიდან, ნაწილობრივ კი ეროვნული კანონმდებლობის ევროპული კავშირის საკორპორაციო სამართალთან მიახლოვების ვალდებულებიდან გამომდინარეობს, რამდენადაც ევროკავშირის 2017 წლის კონსოლიდი-

1217 პასუხისმგებლობა აქედან შეიძლება გამონაკლისს წარმოადგენდეს.

რებული დირექტივა შეიცავს მოწესრიგებებს სწორედ სს-ის ფორმისათვის, ხოლო ამ რეგულაციების იმპლემენტირება კავშირის ყველა წევრ-სახელმინიფოსათვის და საქართველოსთვის, როგორც ასოცირების ხელშეკრულების მონაწილე მხარისათვის, არის სავალდებულო.

გამომდინარე იქედან, რომ სს კანონის შესაბამისად კონსტრუირებულია როგორც კანონისმიერ მინიმალურ სავალდებულო კაპიტალზე დაფუძნებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, მისი რეგისტრაციაში გატარების ერთ-ერთი სავალდებულო და მნიშვნელოვანი წინაპირობა არის სადამფუძნებლო შეთანხმებაში სს-ის განთავსებული (საწესდებო) კაპიტალის თაობაზე მონაცემის მითითება. როგორც ზემოთ ითქვას, განთავსებული (საწესდებო) კაპიტალის მინიმალურ ოდენობას 100 000 ლარი შეადგენს. სს მინიმალურ ოდენობის ზღვარს ქვემოთ ვერ დაფუძნდება. საწესდებო კაპიტალის მაქსიმალური ზღვარი დადგენილი არ არის. შესაბამისად, დამფუძნებელს შეუძლია საზოგადოების ხელშეკრულებით დაადგინოს 100 000 ლარზე მეტი ოდენობის განთავსებული კაპიტალი, თუმცა მისი ზუსტი მითითება რეგისტრაციის მომენტისათვის სს-ის რეგისტრაციის სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს, რასაც კანონის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი აწესრიგებს. საზოგადოების კაპიტალთან დაკავშირებულია ასევე ამავე პუნქტის შემდეგი ქვეპუნქტი სხვადასხვა ეკონომიკურ-საინვესტიციო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სს-ას კაპიტალის მოქნილი სისტემა ესაჭირეობა. მომავალში, მისი მიზნის უკეთ განხორციელებას შესაძლოა კორპორაციის აქციების გარკვეული რაოდენობის განთავსება დასჭირდეს, რომლის თაობაზეც გადაწყვეტილება დაფუძნების პროცესშივე იქნება მიღებული. ეს უადვილებს სს-ას მისთვის სასურველ და საჭირო დროს მარტივად მოახდინოს დამატებითი კაპიტალის რეალური მოზიდვა. მოკლედ, საკითხი ეხება სს-ის კაპიტალის[1218] იმ მაქსიმალურ ოდენობას, რომლის ფარგლებშიც სს-ას უფლება აქვს მომავალში მიიღოს, ე.ი. დაფუძნებისა და საზოგადოების რეგისტრაციაში გატარების შემდეგ, აქციის

1218 და არა განთავსებული კაპიტალის.

განთავსების თაობაზე გადაწყვეტილება. მსგავსი შინაარსის მქონე კაპიტალს სს-ის სამართალში განთავსებული კაპიტალი, ხოლო მის საფუძველზე ფორმირებულ აქციებს - ნებადართული აქციები ეწოდება. გამომდინარე იქედან, რომ კანონმდებლობა იცნობს ნომინალური ღირებულებისა და მისგან თავისუფალ აქციებს[1219] (კანონის 154-ე და 155-ე მუხლი), მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით დადგენილი უნდა იყოს განთავსებული კაპიტალის, ანუ კაპიტალის მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში გასაცემი აქციების ნომინალური ღირებულების შესახებ მონაცემი, თუკი, რასაკვირველია, სს-ის ხელშეკრულებით ნომინალური ღირებულების აქციებია მოცემული.[1220]

კაპიტალის ფორმირებას, უფრო სწორედ, კაპიტალის სტრუქტურის შესახებ ინფორმაციას ეხება ასევე მე-7 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი, სადაც აუცილებელია აქციის ღირებულების (ფასისი) თაობაზე მონაცემის მითითება. რახან სს-ში დაშვებულია როგორც ნომინალური, ისე, არანომინალური ღირებულების მქონე აქციების გაცემა, აუცილებელია სადამფუძნებლო შეთანხმებაში მოცემული იყოს თუ რომელი კლასის აქცია წარმოადგენს ნომინალურ აქციას და რომელი არანომინალურს და მათ ღირებუელბას. მაშასადამე, ნომინალური აქციის შემთხვევაში მოცემული უნდა იყოს ამ უკანასკნელის ნომინალური ღირებულება (მაგ., სს „ქსილოტრანსის" აქვს 10 ლარის ღირებულების 50 000 აქცია. გამომდინარე იქედან, რომ ნომინალრი ღირებულების აქციათა ჯამი შეადგენს განათავსებული კაპიტალის ციფრს, მივიღებთ, რომ სს-ის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 500 000 ლარს), ხოლო ნომინალის გარეშე დადგენილი აქციის შემთხვევაში - მხოლოდ მათი ოდენობა (მაგ., იგივე სს-ას დადგენილი აქვს 500 000 ლარიანი განთავსებული კაპიტალი და 5000 აქცია). ნომინალური ღირებუელბის არარსებობის შემთხვევაში აუცილე-

---

1219 ვრცლად ამის თაობაზე შედარებით-სამართლებრივ დისკურსში იხ. *ჯულელი*, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, (2010), 21 და მომდ., 79 და მომ., 131 და მომ.; *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 282-298.

1220 ნომინალის გარეშე მქონე აქციის თაობაზე მონაცემის მითითება სავალდებულო არ არის.

ბელი იქნება მხოლოდ 5000, ანუ აქციის საერთო რაოდენობის მითითება. აქციათა საერთო რაოდენობასა და განთავსებულ კაპიტალს შორის პირდაპირ კორელაცია შეიძლება არ არსებობდეს, რაც სააქციო კაპიტალის სტრუქტურას მეტ ელასტიურობას მატებს. რაც შეეხება ნომინალური ღირებულების ზემოთ მოყვანილ შემთხვევას, აუცილებელი იქნება იმის მითითება, რომ საზოგადოებას აქვს 10 ლარის ღირებულების აქცია, რომელიც სწორედ ამ (პირველდაწყებით) ფასად იქნება გაცემული აქციონერზე (გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ).

არასაჯარო ე.წ. დახურულ სს-ში ხშირია შემთხვევები, როდესაც პერსონალური აქციონერული სტრუქტურის შეცვლა შეიძლება არ შედიოდეს საზოგადოების ინტერესში. ზოგადად, აქციონერთა სტრუქტურას, მათი ვინაობის დადგენას, უპირატესად, სახელობითი ფასიანი ქაღალდი ემსახურება.[1221] თუმცა აგრეთვე ისეთი მექანიზმი მიიღება მხედველობაში, რომელიც აქციის გასხვისების შეზღუდვით ახდენს გარკვეულწილად ამის კონტროლს. ასეთ ინსტრუმენტს სააქციო სამართალში ვინკულირებული აქცია ეწოდება. საერთოდ კაპიტალური ტიპის სამართალში დადგენილია კორპორაციული მონაწილეობიტსამართლებრივი უფლების (წილის/აქციის) თავისუფალი განკარგვის პრინციპი. მაგრამ იგი არ არის დეკლარირებული ხასიათის აბსოლუტური პრინციპი და გარკვეულ შემთხვევაში შეძილება შეიზღუდოს. ეს ნიშნავს, რომ აქციის (თავისუფალი) გასხვისება დამოკიდებული ხდება საზოგადოების თანხმობაზე.[1222] თანხმობის გაცემის წესი და პირობები შესაძლოა დადგენილ იქნეს საზოგადოების ხელშეკრულებით, თუმცა თუკი ამა თუ იმ კლასის აქციის გასხვისება ამგვარ თანხმობაზეა დამოკიდებული, ეს აუცილებლად უნდა აღინიშნოს სადამფუძნებლო შეთანხმებაში. მესამე პირი უნდა ფლობდეს ინფორმაციას ვინკულირებული, ე.ი. საზოგადოების თანხმობაზე დაკავშირებული აქციის თაობაზე. სწორედ აღნიშნულს აწესრიგებს კანონის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.

1221 იხ. *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 299 და მომდ.

1222 ან მოწონებაზე. ვთქვათ, შემდგომი თანხმობის მოპოვების შემთხვევაში.

სს-ის კაპიტალის სტრუქტურა საკმაოდ მრავალფეროვანია, რაც მისი კორპორაციული ქაღალდის უკან მდგარი შინაარსის დივერსიფიცირებაში შეიძლება გამოიხატებოდეს. ამ დივერსიფიცირებული შინაარსის კორპორაციულ გამოხატულებას სააქციო სამართალში აქციის კლასი წარმოადგენს. კლასი განსაზღვარვს, თუ რა უფლება-მოვალეობის მატარებელი შეიძლება იყოს ესა თუ ის აქცია, რამაც შეიძლება ინვესტორს მის მიმართ ინტერესი გაუჩინოს ან, პირიქითაც, დააკარგვინოს. სწორედ ამიტომ აქციის შინაარსის ცოდნას, უფრო სწორედ, მისი კონკრეტული კლასის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას საკორპორაციო სამარათალში მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს და თავად აქციისადმი, როგორც სტანდარტიზებული კორპორაციული ქაღალდისადმი, ინტერესის გაღვივებას უნდა ემსახურებოდეს. კანონის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, სადამფუძნებლო შეთანხმება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კორპორაციაში არსებული თითოეული აქციის კლასის შესახებ. მაგ., სს „ინტერკონტინენტალს" განთავსებული აქვს ორი სხვადასხვა შინაარსის მქონე აქცია. აქციათა ერთი ჯგუფი იმ კატეგორიას ქმნის, რომლის შინაარსიდან გამომდინარე, აქციონერს აძლევს აქციონერთა საერთო კრებაში ხმის უფლებას, რითიც მას შესაძლებლობა აქვს ხმის მიცემით დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია ამა თუ იმ გადაწყვეტილებასთან, უფრო სწორედ, პარტნიორთა კრებაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით. აქციათა მეორე ჯგუფი კი არ იძლევა ამგვარ ხმის უფლებას კრებაზე, თუმცა აქციონერს კორპორაციის მოგების განაწილებისას მოჭრილი დივიდენდის მიღების მოთხოვნის უფლებით აღჭურვავს. აქციათა პირველი კატეგორია, რომელიც ხმის უფლებას უზრუნველყოფს სს-ში ჩვეულებრივ აქციას განეკუთვნება, ხოლო მეორე - პრივილეგირებულს. აქციათა პირველი კატეგორია აქციის ერთ კლასს - ჩვეულებრივი აქციის კლასს (ანუ სახეს) ქმნის, რომლის შინაარსი ზემოთ აღიწერა: ხმის უფლების მქონე მონაწილეობითსამართლებრივი უფლება. მეორე კატეგორია კი ქმნის პრივილეგირებული აქციის კლასს (სახეს), რომლის შეინაარსი მდგომარეობს აქციონერისათვის

არა ხმის უფლების მინიჭებაში, არამედ მისთვის მყარად დადგენილი დივიდენდის გაცემაში. თუ რომელი აქციის კლასზე იქნება კორპორაციში მოთხოვნა სხვადასხვა ფაქტორზე შეიძლება იყოს დამოკიდებული. გარდა ჩვეულებრივი და პრივილეგირებული კლასის აქციისა სს-ას შეიძლება გააჩნდეს სხვა შინაარსის მქონე აქციებიც, რომლის შესახებაც მონაცემი ასევე რეგისტრაციის სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ერთი და იგივე შინაარსის მქონე აქცია ერთ კლასს ქმნის, თუმცა სხვადასხვა კლასის აქციის ნომინალური თუ არანომინალური ღირებულება შესაძლოა სხვადასხვა იყოს.

სს-ის დაფუძნებისას აუცილებელია განთავსებული კაპიტალის შესავსებად მომავალი აქციონერის მიერ შესატანის განხორციელების ვალდებულების აღება და შემდგომ მისი შესრულება. შეუსრულებლობის შემთხვევაში კი შესაძლოა დადგეს ვალდებულებითსამართლებრივი და კორპორაციულსამართლებრივი სანქციის შემცველი შედეგი. შენატანი სააქციო კაპიტალში განისაზღვრება ე.წ. შეტანაუნარიანი საგნის პოზიტიური შინაარსით. ეს ნიშნავს, რომ შენატანად შეიძლება წარმოდგენილი იყოს ფულადი და არაფულადი, სანივთო, ანუ არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, გარდა სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევისა. ამ შეზღუდვას კანონის 152-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს. იმ შემთხვევაში, როდესაც ნომინალური ღირებულების ან ნომინალის გარეშე აქციის „სანაცვლოდ" უნდა გაიცეს არაფულადი შენატანი, ანუ შესატანის განხორციელების ხელშეკრულება დადებული ინფერენტსა და სს-ას შორის მიზნად ისახავს საზოგადოებისათვის დამფუძნებელი პარტნიორის მიერ არაფულადი შესატანის განხორციელებას (მაგ., სატვირთო ავტომობილი ან უძრავი ქონება), მაშინ სადამფუძნებლო შეთანხმებაში მითითებული უნდა იყოს აქციათა რაოდენობა, (არაფულადი) შენატანის სახე (მაგ., ზემოთ ხსნებული ავტომობილი) და ამ სანივთო შენატანის განხორციელებაზე ვალდებული პირის მონაცემები - ფიზიკური პირის შემთხვევაში მისი სახელი და გვარი (პირადი ნომრის მითითებით), ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში ამ იურიდიული პირის

(საფირმო) სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი. ეს მოთხოვნაც ევროკავშირის 2017 წლის დირექტივით არის ნაკარნახები. აღნიშნული წინაპირობა კანონის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით არის დადგენილი.

კანონის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის მოთხოვნა ასევე კავშირშია სააქციო კაპიტალის კონცეფციასთან. საწესდებო კაპიტალის ოდენობის აღნიშვნასთან ერთად, სარეგისტრაციო მოთხოვნა ავალდებულებს დამფუძნებელს, რეესტრში წარადგინოს ინფორმაცია დაფუძნების მომენტისათვის (აქ იგულისხმება რეგისტრაციის მომენტი) განთავსებული კაპიტალის განაღდებული ნაწილის ოდენობის თაობაზე. მაგ., სს „დასტ ინდუსტრის" განთავსებული კაპიტალის ოდენობა შეადგენს 200 000 ლარს. გაცემულია შესაბამისი რაოდენობის 10 ლარის ნომინალური ღირებულების მქონე აქციები. სს-ას ჰყავს ორი პარტნიორი. ერთ-ერთი პარტნიორი იღებს ვალდებულებას, განახორციელოს ფულადი შენატანი. კანონის 152-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ფულადი შენატანი განხორციელებული უნდა იყოს შესაბამისი გამოშვებული აქციის ნომინალური ან გამოთვლილი ღირებულების (არანომინალური აქციის შემთხვევაში) სულ მცირე ¼-ის ოდენობით. ეს მოთხოვნა სათავეს 2017 წელს ევროკავშირის დირექტოივიდან იღებს, რომლის იმპლემენტაციის ვალდებულებაც საქართველოს მიერ 2015 წელს ასოცირების ხელშეკრულებით იქნა აღებული. განაღდებული კაპიტალის თაობაზე აღნიშვნას აკეთებს ასევე კანონის 174-ე მუხლი, რომელიც დამატებითი აქციების გამოშვების გზით სააქციო კაპიტალის მომატებას აწესრიგებს. მე-3 პუნქტის მიხედვით, დამატებით გამოშვებული აქცია მისი განთავსების მომენტისათვის უნდა იყოს განაღდებული ნომინალური ღირებულების ან გამოთვლილი ღირებულების სულ მცირე 25%-ის ოდენობით. შესაძლებელია, რომ არაფულადი შენატანის სრულად განხორციელება (მაგ., სატვირთო ავტომანქანის შეტანა) საზოგადოების ხელშეკრულების მიხედვით უნდა მოხდეს რეგისტრაციამდელ ეტაპზე. აღნიშნულ შემთხვევაშიც ეს მონაცემი დაფიქსირებული უნდა იყოს სადამფუძნებლო შეთანხმებაში. განაღდებული კაპიტალის შინაარსი პირდაპირ უნდა

გავიგოთ: ეს არის განთავსებული კაპიტალის მთლიანად ან მისი რომელიმე ნაწილი, რომელიც რეალურად აქციონერის მიერ განხორციელებულია. თავის მხრივ, მონაცემი ამის თაობაზე მესამე პირის ინტერესსაც ემსახურება, რამდენადაც უკეთესი წარმოადგენა აქვს სს-ის რეალურად შევსებული კაპიტალის თაობაზე. ვფიქრობთ, ამ კონტექსტშია განსახილველი ასევე კანონის მე-17 მუხლი, რომელიც კს-ის, შპს-ისა და სს-ის საქმიან წერილს შეეხება. კერძოდ, მე-2 პუნქტის თანახმად, თუ (სს-ის) საქმიან წერილზე[1223] ხდება კაპიტალზე მითითება, მაშინ ეს მონაცემი უნდა ეხებოდეს განთავსებული კაპიტალის ოდენობას და მის სრულად ან ნაწილობრივ განაღდებულ ღირებულებას.

სს-ის დაფუძნება გარკვეულ ხარჯთან არის დაკავშირებული, რომელიც, საბოლოო ჯამში, როგორც წესი თავად საზოგადოების მიერ გადაიხდება. ასევე, სს-ას მომავალი საქმიანობის განხორციელებისათვის, მისი საქმიანობის საგნიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული ნებართვის/ლიცენზიის მოპოვება შესაბამისი ორგანოსაგან, რაც გარკვეულ ხარჯთან არის დაკავშირებული. დაფუძნების პროცესში აუცილებელია დადგინდეს და გაიწეროს ის არსებული ან სავარაუდო ხარჯი, რომლის გაღებაც შემდგომ სს-ას მოუწევს. შეიძლება ითქვას, რომ მოთხოვნა კაპიტალის რეალური შევსების პრინციპისა და სააქციო ქონების შექმნის სიცხადის გამოხატულებას წარმოადგენს და კანონის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით არის გათვალისწინებული.

და ბოლოს, მე-7 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ავალდებულებს დამფუძნებელს, სადამფუძნებლო შეთანხმებაში შეიტანოს ინფორმაცია საზოგადოების დაფუძნების, ასევე, ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებული მოქმედების განხოციელების პროცესში მონაწილეთა მიერ სს-ისაგან უკვე მიღებული ან მომავალში მისაღები ეკონომიკური სარგებლის თაობაზე. ბუნებრივია, წინაპირობა იმ შემთხვევაში მოქმედებს, თუკი მსგავს სარგებელს აქვს ადგილი. შესაბამისად, იგი ყოველთვის არ არის რეგისტრაციის სავალდებულო წინაპირობა. აღ-

1223 მაგ., ასეთი შესაძლოა იყოს საზოგადოების ოფიციალური ბლანკი.

ნიშნული მოთხოვნა თავად აქციონერისა და მესამე პირის ინ-ფორმირებულობის ინტერესს იცავს.

2.3. სააქციო საზოგადოების ქონებრივი სტრუქტურა

2.3.1. კაპიტალი

ა.) კაპიტალის სტრუქტურა და მისი ფორმირების ფინანსური მექანიზმები[1224]

კაპიტალი და მისი მოზიდვის ფინანსური მექანიზმები სს-ის ფუნქციონალური დანიშნულების მთავარი განმსაზღვრელი კრიტერიუმია.[1225] კონკრეტული განმარტების მიხედვით, კაპიტალი სს-ის ფორმით მოგების მიღების მიზნით ქონების ეკონომიკური მართვაა.[1226] სს-ში კაპიტალი მის მაფორმირებელ ელემენტთაგან ერთ-ერთია, რომელიც იყოფა წილებად, ხოლო წილები გამოიხატება აქციების სახით. კაპიტალური ტიპის საზოგადოების მეორე მნიშვნელოვანი ელემენტი შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმით, სს-ის ე.წ. საკუთარი კაპიტალით აღჭურვის შედეგია. საკუთარი კაპიტალით კაპიტალიზაცია კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც შესატანი ხორციელდება პარტნიორის სტატუსი მქონე პირის მიერ. შესატანის ხელშეკრულება კორპორაციულსამართლებრივი გარიგებაა, რომელიც საზოგადოების წევრობასა და მისი კორპორაციული „მოსასხამით შემოსვას" განაპირობებს.[1227]

სს-ის საკუთარი კაპიტალით კაპიტალიზაციის ფინანსურ-სამართლებრივი მექანიზმი აქცია და მისი ნომინალური ღირებულებაა.[1228] აქცია არის რეგისტრირებული დემატერი-

---

1224 კაპიტალის სტრუქტურასთან და კაპიტალის სახეებთან დაკავშირებით მსჯელობა წარმოდგენილია შპს-ის თავში, რომელიც ტერმინოლოგიურ და შინაარსობრივ დონეზე სრულ შესაბამისობაშია სს-ის კაპიტალის სტრუქტურასა და სახეებთან. შედეგად, ეს ნაწილი სს-ის მიმდინარე პარაგრაფში არ განმეორდება.

1225 *Cox, Hazen,* The Law of Corporations, Vol. 3, 2010, 351.

1226 *Fletcher,* Fletcher Cyclopedia of the Law of Corporations, Vol. 11, 2011, 10.

1227 *მახარობლიშვილი,* კაპიტალურ საზოგადოებათა სტრუქტურაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება კორპორაციულ-სამართლებრივ ქმედებათა (შეძენა, შერწყმა) საფუძველზე, 2014, 24-25.

1228 *Cox, Hazen,* The Law of Corporations, Vol. 3, 2010, 350-352.

ალიზებული სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც განსაზღვრავს სს-ში პირის მონაწილეობას.[1229] პირის კაპიტალში მონაწილეობით წარმოიშობა ორი თანმდევი შედეგი: განხორციელებული ინვესტიციის საერთო კრების კომპეტენციის ფარგლებში კონტროლისა და მოგების დივიდენდის სახით მიღების უფლება.[1230] აღსანიშნავია, რომ სს-ში შეტანაუნარიან ობიექტად ახალი კანონი[1231] აღარ განიხილავს სამუშაოს შესრულებასა და მომსახურების გაწევას.[1232]

კაპიტალის სტრუქტურის ფორმირების მეთოდი რამდენიმეა: საკუთარი კაპიტალით ფორმირება, უცხო კაპიტალით, ე.წ. სასესხო ფასიანი ქაღალდებით კაპიტალის ფორმირება, პირველი და მეორე მეთოდის კომბინირებული (ჰიბრიდული) სახით ფორმირება და ბოლო, საკუთარი კაპიტალის შემცველი სესხი. სადამფუძნებლო შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს კაპიტალის მოზიდვის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება, თუმცა, საკუთარი კაპიტალით ფორმირების მეთოდი სს-ის თანმდევი, გარდაუვალი მეთოდია. საკუთარი კაპიტალია პირის პარტნიორად შესვლის საფუძველი. შესაბამისად, მისი არ არსებობა სს-ის არ არსებობას გაუტოლდებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ სს-ის კაპიტალიზაციის ეტაპზე აქციის განთავსების ფორმით კაპიტალის მოზიდვა ყველა ვარიანტში სრულდება.

საკუთარი კაპიტალით სს-ის კაპიტალიზაციას სამართლებრივი და ეკონომიკური უპირატესობა აქვს. სამართლებრივი უპირატესობაა ის, რომ პირი ხდება პარტნიორი და განხორციელებული ინვესტიციის არაპირდაპირი ფორმით[1233] კონტროლის უფლებას მოიპოვებს. რაც შეეხება ეკონომიკურ უპირატესობას, მასში მოიაზრება სს-ის უპირატესობა: სს-ს

1229 იხ. კანონის 151-ე მუხლი.

1230 *მახარობლიშვილი,* კაპიტალურ საზოგადოებათა სტრუქტურაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება კორპორაციულ-სამართლებრივ ქმედებათა (შეძენა, შერწყმა) საფუძველზე, 2014, 25.

1231 იხ. კანონის 152-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1232 შეტანაუნარიანი ობიექტების პოზიტიურ და ნეგატიურ შინაარსთან დაკავშირებით, იხ. *მახარობლიშვილი,* შეტანაუნარიანი ობიექტების განსაზღვრის პოზიტიური და ნეგატიური შინაარსი, ურ. „მართლმსაჯულება და კანონი", №1, 2012, 102-111.

1233 აქციონერთა საერთო კრებაზე ხმის უფლების გამოყენებით.

აქციონერისათვის მოგების სავალდებულო განაწილება არ მოეთხოვება. შედეგად, სს იღებს ე.წ. უფასო კაპიტალიზაციას, რომლის „სანაცვლოდაც" არც მოგების გაცემა მოეთხოვება და არც შენატანით სარგებლობისთვის რაიმე ფიქსირებული პროცენტის გადახდა.[1234] შედეგად, საკუთარი კაპიტალის ფორმით სს-ის კაპიტალიზაცია და მასთან დაკავშირებული აქციონერთა სიმრავლე ამ სამართლებრივი ფორმის, როგორც მსხვილი კაპიტალის აკუმულირებისა და მართვის სისტემის მქონე სამეწარმეო საზოგადოების უპირატესობას უსვამს ხაზს.[1235]

კაპიტალის მოზიდვის მეორე მეთოდია ე.წ. უცხო, სასესხო კაპიტალიზაცია.[1236] ეს შემთხვევა საინტერესოა სს-ის ფუნქციონირების ყველა ეტაპზე, რამდენადაც მისი მოდინების წყარო შედარებით სპეციფიკურია. თუ საკუთარი კაპიტალის მეთოდით კაპიტალიზაცია აქციის ფორმით ხდება, აქციის გასხვისების არეალი ფართოა და მისი უმაღლესი წერტილი კაპიტალის მეორადი ბაზარი და საფონდო ბირჟაა. კაპიტალის მეორადი ბაზარი კაპიტალის მოზიდვის იდეალური და კლასიკური წყაროა, რომლის განვითარება ეკონომიკის მთავარი მასტიმულირებელი ფაქტორი შეიძლება გახდეს. მის საპირწონედ და ნაკლები ეკონომიკური რენტაბელობით გამორჩეული, მაგრამ მაინც კაპიტალის ერთ-ერთი წყარო,

---

1234 *Fletcher*, Fletcher Cyclopedia of the Law of Corporations, Vol. 11, 2011, 11.

1235 უნდა აღინიშნოს, რომ მოგების გაცემის არასავალდებულო ხასიათი უსაზღვრო უფლებას არ გულისხმობს: თუ საზოგადოებას წმინდა შემოსავალი დაუფიქსირდება ეკონომიკური ბრუნვის შედეგად და ამ კაპიტალის რეინვესტირების, ანუ საზოგადოების კაპიტალად გარდაქმნის საჭიროებას სათანადო სტრატეგიული ხედვით თუ გეგმით ვერ დაასაბუთებს, სს-ის მენეჯმენტი, ან დომინანტი აქციონერი ბოროტად გამოიყენებს მის დომინანტურ მდგომარეობას მცირე აქციონერისათვის ზიანის მიყენების მიზნით, მაშინ სს-ის შიდაორგანიზაციულ დონეზე, სასამართლოს მეშვეობით, შეიძლება დაინყოს პარტნიორის ერთგულების მოვალეობის ან მენეჯმენტის ფიდუციური მოვალეობის დარღვევასთან დაკავშირებული დავა, რომელსაც, ასევე, შესაძლოა მოჰყვეს წმინდა შემოსავლის დივიდენდის სახით გაუნაწილებლობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილობა. დამატებით უნდა ითქვას, რომ სასამართლოს დისკრეციაშია მხოლოდ მიღებული გადაწყვეტილების გაბათილების შესაძლებლობა, ხოლო ახალი გადაწყვეტილება კვლავ უნდა დარჩეს კერძო სამართლის იურიდიული პირის „ექსკლუზიურ" უფლებამოსილებათა კატალოგში.

1236 *Cox, Hazen*, The Law of Corporations, Vol. 3, 2010, 388-390.

არის ინსტიტუციონალური ინვესტორისაგან სესხის ფორმით კაპიტალის მოზიდვა. განვითარების პროცესში მყოფი სახელმწიფოსათვის ასეთი ინვესტორის სახით კომერციული ბანკები გვევლინებიან. სასესხო კაპიტალი „ღია" ბიზნესს სუბიექტისთვის არ არის კაპიტალის მოდინების სასურველი და მიმზიდველი წყარო, თუმცა, მაინც მისაღებია, განსხვავებით სხვა სამართლებრივი ფორმებისაგან (მაგალითად, შპს), რომელსაც, როგორც წესი, კაპიტალის მეორად ბაზართან წვდომა ნაკლებად აქვს. შედეგად, სს-ის მიმართ შეიძლება წარმოიქმნას შემდეგი სამართლებრივი და ეკონომიკური მდგომარეობა: სს, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი ღებულობს ინსტიტუციონალური ინვესტორისაგან სესხს, რომლის „სანაცვლოდაც" გასცემს სასესხო ფასიან ქაღალდს - ობლიგაციას - რომელიც გამსესხებლის მიმართ სს-ის სესხის ძირი და პროცენტული თანხისაგან შედგება. ასეთ კაპიტალიზაციის ფორმას შეიძლება ეწოდოს სამოქალაქო ხასიათის მქონე სასესხო ხელშეკრულება, რომელიც აყვანილია კორპორაციულ-სამართლებრივ განზომილებაში და ემსახურება სამეწარმეო საქმიანობის კაპიტალიზაციას.[1237]

სასესხო დაფინანსებით ფორმირდება სს-ის კაპიტალი და არა განთავსებული კაპიტალი.[1238] სს-ის მიერ ამ ფორმით მოზიდული კაპიტალი შეიძლება გარდაიქმნას საზოგადოების საკუთარ კაპიტალად და უზრუნველყოფილ იქნეს ახალი აქციების გამოშვება, მაგრამ ეს ქმედება ყოველთვის დროში შემდგომია სასესხო კაპიტალის მოზიდვის მიმართ.

სასესხო, ანუ უცხო კაპიტალით სს-ის კაპიტალიზაციას თავისი უპირატესობა აქვს. ობლიგაციის მფლობელს საერთო კრების ფორმატში გასესხებული თანხის კონტროლის შესაძლებლობა არ წარმოეშობა. მას ასევე არ აქვს მოგების სახით რაიმეს მოთხოვნის უფლება. თუმცა, ობლიგაციონერი, აქციონერთან მიმართებით უპირატესობითც სარგებლობს. კერძოდ, ობლიგაციის მფლობელი წინასწარ განსაზღვრული მაჩვენებლით ღებულობს გასესხებული თანხის ფიქსირებულ პროცენტს, როგორც შემოსავალს, ამიტომ, ის არ არის და-

1237 *Ferran*, Principles of Corporate Finance Law, 2008, 54-56.

1238 ის, რასაც ყოველთვის სანესდებო კაპიტალი ეწოდებოდა.

მოკიდებული საზოგადოების მენეჯმენტის მხრიდან წმინდა შემოსავლის განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე. ასევე, ობლიგაციის, მფლობელი აქციონერთან შედარებით, სს-ის მიმართ კრედიტორთა მოთხოვნის რიგითობაში სარგებლობს უპირატესობით, რამდენადაც, მაგალითად, ლიკვიდაციისა თუ გადახდინუუნარობის საქმის წარმოების პროცესში ჯერ სასესხო ფასიანი ქაღალდის მფლობელი უნდა დაკმაყოფილდეს.[1239] და ბოლოს, თუ საკუთარი კაპიტალით მოზიდული კაპიტალის საფუძველზე წმინდა შემოსავალი იბეგრება, ხოლო აქციონერამდე დივიდენდის სახით მიტანისას კვლავ საგადასახო დაბეგვრის რეჟიმში ექცევა, სასესხო ფასიანი ქაღალდის დროს, ე.წ. მეორე დონის დაბეგვრისგან საზოგადოების კაპიტალი თავისუფლდება, ანუ მიიღწევა ერთგვარი საგადასახადო ეფექტი.[1240]

რაც შეეხება კაპიტალის სტრუქტურის ფორმირების ჰიბრიდულ მეთოდს (საკუთარი და უცხო კაპიტალი), მისი ეკონომიკური რენტაბელობის განმსაზღვრელია ორივე მეთოდის უპირატესობათა გაერთიანება და სს-ის კაპიტალიზაციის პროცესში სს-ის სასარგებლოდ გამოყენება. ასეთ დროს, სს-ის მენეჯმენტი, შეიძლება ითქვას, რომ არც მთლად მინდობილია საკუთარი კაპიტალის უპირატესობას, რადგან მას აქვს ნასესხები კაპიტალი, რომელიც აპრიორი უნდა დააბრუნოს, ხოლო მეორე მხრივ, ის სრულად არ არის დამოკიდებული სესხზე და პერმანენტულად არ „ფიქრობს" სესხის მომსახურე პროცენტის დაფარვაზე.

კაპიტალიზაციის ბოლო ფორმად აღიარებული საკუთარი კაპიტალის შემცველი სესხი, რომლის მთავარი განმასხვავებელი ნიშა თავად აქციონერისათვის არის: აქციონერი ინვესტიციის განხორციელების შედეგად მას რისკავს და რჩება ე.ნ. ბოლო ინსტანციის კრედიტორად.[1241] იმ შემთხვევაში, როდე-

---

1239 *Renneboog, Szilagyi,* Corporate Restructuring and Bondholder Wealth, TILEC Discussion Paper, DP 2006-007, 2006, 6.

1240 *მახარობლიშვილი,* კაპიტალურ საზოგადოებათა სტრუქტურაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება კორპორაციულ-სამართლებრივ ქმედებათა (შეძენა, შერწყმა) საფუძველზე, 2014, 69-72.

1241 *Hansmann,* Ownership of the Firm, in: Corporate Law and Economic analysis, 1991, 283.

საც სს-ს დასჭირდება სესხის ფორმით კაპიტალის მოზიდვა, აქციონერს შეუძლია მისი ქონება დააზღვიოს რისკისაგან და სს-ის მიმართ კრედიტორთა მოთხოვნის რიგითობაში სხვა პარტნიორებთან შედარებით, დაიკავოს უპირატესი პოზიცია. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უპირატესობა შეეხება მხოლოდ სასესხო კაპიტალს და ის გავლენას არ ახდენს უკვე განხორციელებულ შესატანზე, რომლითაც ფორმირდა სს-ის საკუთარი კაპიტალი.[1242]

კანონი სს-ის კაპიტალთან მიმართებით ე.წ. მყარი კაპიტალის დოქტრინას ადგენს და განსაზღვრავს, რომ სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის მომენტისათვის განთავსებული კაპიტალის მიმალური ოდენობა სულ მცირე 100 000 ლარს უნდა შეადგენდეს.[1243] კანონით დადგენილი „მყარი" კაპიტალის დოქტრინა კაპიტალური ტიპის საზოგადოების დაფუძნების ერთ-ერთი ბაზისური ელემენტი და სს-ის ფუნქციონალური დანიშნულების მიღწევის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.[1244]

ბ.) კაპიტალის გაზრდა/შემცირება

სს-ის კაპიტალის მოზიდვის შიდაორგანიზაციული ეტაპები კანონით არის განსაზღვრული და ის დაიყვანება აქციის გაცემის[1245] სამ ეტაპამდე: ნებადართული, გამოშვებული და განთავსებული აქციები. ნებადართული აქციებია იმ მოცულობით განსაზღვრული აქციები, რა მაქსიმალური კაპიტალის მოზიდვაც შეუძლია სს-ს და რომელიც განსაზღვრული უნდა იყოს სადამფუძნებლო შეთანხმებაში. ნებადართული

1242 სს-ის კაპიტალის სტრუქტურის, მისი სამართლებრივი და ეკონომიკური კატეგორიისათვის ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ: *მახარობლიშვილი,* კაპიტალურ საზოგადოებათა სტრუქტურაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება კორპორაციულ-სამართლებრივ ქმედებათა (შეძენა, შერწყმა) საფუძველზე, 2014, 59-72.

1243 იხ. კანონის 156-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1244 კაპიტალური ტიპის საზოგადოების დაფუძნების კორპორაციულსამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებით, იხ. *მახარობლიშვილი,* მენარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამიჯვნა კაპტალურ საზოგადოებათა საწყისებზე, „სამართლის ჟურნალი", №2, 2011, 106-110.

1245 სიტყვა „გაცემა" აქციის მიმართ ზოგად ტერმინად შეიძლება იქნეს გამოყენებული, რამდენადაც კანონი აქციის „გაცემის" ეტაპებს ზუსტად ჩამოთვლის.

აქციების გაზრდას სჭირდება სადამფუძნებლო შეთანხმებაში ცვლილების განხორციელება, რომელიც საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება. სს-ის ორგანოებს ხსნებული ცვლილების გარეშე ნებადართულ აქციათა რაოდენობის გაზრდა არ შეუძლიათ, ხოლო ასეთი გადაწყვეტილების გარეშე ნებადართული აქციათა გაზრდის გადაწყვეტილება იქნება *ultra vires*. აქციათა მაქსიმალური ნებადართული რაოდენობის განსაზღვრა იმ რაოდენობრივი მაჩვენებლის მომნიშვნელია, რომლის დიაპაზონშიც სს-ის მმართველი ორგანო უფლებამოსილია გამოუშვას აქცია. გამოშვებულია აქციები, რომლის მესამე პირებზე გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება უფლებამოსილი ორგანოს მიერ. გამოშვებულ აქციათა რაოდენობა დამოკიდებულია საზოგადოების სურვილზე თუ რა მოცულობის კაპიტალის მოზიდვა სურს მას დაფუძნების თუ ფუნქციონირების კონკრეტულ ეტაპზე. როგორც წესი, ნებადართული აქციების რაოდენობა გაცილებით მეტია ხოლმე, ვიდრე გამოშვებული აქციების რაოდენობა. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, გამოშვებული აქცია „გასაყიდად გამზადებულ აქციათა რაოდენობაა." კაპიტალის უშუალოდ მოზიდვისა და აქციის გაცემის ბოლო, მესამე ეტაპია აქციის განთავსება, რომელიც გულისხმობს მესამე პირისათვის აქციის საკუთრებაში გადაცემას და ამ უფლების აქციათა რეესტრში რეგისტრაციას. იმისათვის, რომ აქცია განთავსებულად ჩაითვალოს, აუცილებელი არ არის მისი ნომინალური ღირებულება გადახდილი იქნეს[1246] განთავსების მომენტისთანავე.[1247]

ერთი საკითხია კაპიტალიზაციის მეთოდები და სს-ის თვდაპირველი კაპიტალიზაცია და მეორე - ფორმირებული კაპიტალის გაზრდა ან შემცირება. ფორმირებულ კაპიტალს, საკანონმდებლო დონეზე, განთავსებული კაპიტალი ეწოდება. სს-ის ფუნქციონირების პროცესში შეიძლება წარმოიშვას ფაქტობრივი მდგომარეობა, როდესაც საჭირო გახდება განთავსებული კაპიტალის გაზრდა ან გარდაუვალი გახდე-

1246 *Ferran*, Principles of Corporate Finance Law, 2008, 101.

1247 იხ. კანონის 153-ე მუხლი. იხ. *მახაროძლიშვილი*, კაპიტალურ საზოგადოებათა სტრუქტურაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება კორპორაციულ-სამართლებრივ ქმედებათა (შეძენა, შერწყმა) საფუძველზე, 2014, 62.

ბა მისი შემცირება. განთავსებული კაპიტალის გაზრდა სს-ის თვისებრივად მახასიათებელი ასპექტია, რამდენადაც ის სწორედ მსხვილი კაპიტალის აკუმულირების მიზნით „შექმნილი" სამეწარმეო საზოგადოების სამართლებრივი ფორმაა. განთავსებული კაპიტალის გაზრდის გადაწყვეტილება საერთო კრების უფლებამოსილებაში შედის, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს ნებადართული აქციებიდან ახალი აქციების გამოშვებითა და განთავსებით. აქციათა გამოშვებასა და განთავსებას ორი ასპექტი უნდა ამყარებდეს: ის გაცემულ უნდა იქნეს მესამე პირზე იმგვარად, რომ მისგან მოზიდულ იქნეს დამატებითი ინვესტიცია ან ახალი აქციების გამოშვება და განთვსება ეკონომიკურად მხარდაჭერილი უნდა იყოს სს-ის საკუთარი ქონებით. საზოგადოების განთავსებული კაპიტალის გაზრდის მესამე სახე განთავსებული აქციების ნომინალური ღირებულების მომატების ხარჯზე შეიძლება განხორციელდეს. აქციის ნომინალური ღირებულება გამოითვლება ნებადართული და გამოშვებული აქციის რაოდენობის იმ კაპიტალის მოცულობასთნ შეფარდებით, რომლის მოზიდვის მიზნითაც იქნა ეს აქციები გამოშვებული. მაგალითად, თუ 1 მილიონი ლარის მოზიდვა სურს სს-ს და გამოუშებს ასევე 1 მილიონ აქციას, მაშინ ასეთ ერთ აქციაში, განთავსების შემდგომ, გადასახდელი მინიმალური ღირებულება[1248] იქნება 1 ლარი. შედეგად, თუ სს-ის საერთო კრებაზე მიღებულ იქნება განთავსებული კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება განთავსებული აქციების ნომინალური ღირებულების გაზრდის სახით, ამისთვის, ანუ დამატებითი ქონების მოზიდვის მიზნით, გამოყენებულ იქნება საზოგადოების არსებული ქონება. შედეგობრივად მიღებულ იქნება მდგომარეობა, სადაც სს-ის განთავსებული კაპიტალის სს-ის ქონებითვე იქნება უზრუნველყოფილი.[1249] კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი კანონით განსაზღვრული ის მაქსიმალური 5 წლიანი ვადა, რომლის განმავლობა-

1248 ანუ, ნომინალური ღირებულება.

1249 ერთგვარი რეინვესტირების ფორმაა, რამდენადაც ის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ან სარეზერვო კაპიტალის გარდაქმნით ან გაუნაწილებელი მოგების გამოყენებით. იხ. კანონის 165-ე მუხლი.

შიც აქციონერმა შესატანი უნდა შეიტანოს.[1250]

კაპიტალის დამატებითი აქციების გამოშვებით განთავსება ერთი მთავარი სპეციფიკაციით ხასიათდება: გამოშვებული აქციები განთავსების მომენტისათვის განაღდებული უნდა იყოს მისი ნომინალური ღირებულების სულ მცირე 25 პროცენტით, ხოლო თუ აქციები არაფულადი შენატანის სანაცვლოდ გაიცემა, მაშინ ასეთი შენატანი სრულად უნდა განხორციელდეს კაპიტალის გაზრდის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 წლის ვადაში.

მნიშვნელოვანია ახალი აქციების განთავსების პროცედურული უფლებამოსილების დელეგირების საკითხი. კერძოდ, სს-ის ნესდებით ან აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, ეს უფლებამოსილება შეიძლება გადაეცეს ხელმძღვანელ ორგანოს.[1251] სს-ის ყოველდღიური ზრდადი და სწრაფი განვითარების პროცესში, ახალი კაპიტალის მოზიდვის შიდაორგანიზაციული ბიუროკრატიული, დროში გაწელილი პროცედურა შესაძლოა სს-ის განვითარებისთვის ხელშემშლელი აღმოჩნდეს. ამიტომ, სს სადამფუძნებლო დოკუმენტით ან შემდგომი გადაწყვეტილებით ხელმძღვანელ ორგანოს ანიჭებს მისი პასუხისმგებლობის ფარგლებსა და ნებადართული აქციების მასშტაბით, გამოუშვას და განათავსოს და ამით მოიზიდოს დამატებითი კაპიტალი.[1252] კანონით კონკრეტული შეზღუდვებია გაწერილია, რომ ხელმძღვანელ ორგანოს არ შეუძლია ახალი აქციების გამოშვების გადაწყვეტილება მიიღოს ისე, რომ მისი რაოდენობა ნებადართული აქციების რაოდენობის 50 პროცენტს აღემატებოდეს. ხელმძღვანელი ორგანოს ე.წ. ბლანკეტური უფლებამოსილება შეზღუდულია დროშიც და ის არ შეიძლება აღემატებოდეს 5 წელს.[1253]

ახალი აქციების გამოშვებით განთავსებული კაპიტალის

1250 იქვე, 152-ე მუხლი, მე-3 პუნქტი.

1251 ასეთი უფლებამოსილება ცნობილია *„blank stock"* ტერმინით. იხ. *მახარობლიშვილი,* კაპიტალურ საზოგადოებათა სტრუქტურაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება კორპორაციულ-სამართლებრივ ქმედებათა (შეძენა, შერწყმა) საფუძველზე, 2014, 161-162.

1252 *Cox, Hazen,* Treatise on The Law of Corporations, 3rd ed., Vol. 3, 2010, 406-408.

1253 იხ. კანონის 166-ე მუხლის პირველი პუნქტი.

გაზრდა არსებულ აქციონერთა წილობრივ მდგომარეობაზე აისახება იმდენად, რამდენადაც იზრდება კაპიტალი და მცირდება პროცენტული მაჩვენებლები. არსებულ აქციონერთა წილობრივი მდგომარეობის გაუარესების პრევენცირების კორპორაციული მექანიზმია აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლება.[1254] მისი არსი მარტივია: თუ სს მიიღებს გადაწყვეტილებას განთავსებული კაპიტალის გაზრდის თაობაზე ახალი აქციების გამოშვების გზით, მაშინ თითოეული კლასის მქონე აქციონერი, მისი კლასის შესაბამისად,[1255] უფლებამოსილი ხდება მესამე, არაპარტნიორ პირთან შედარებით ისარგებლოს უპირატესობით[1256] და ეკონომიკური (ფინანსური) შესაძლებლობიდან გამომდინარე, დამატებით შეიძინოს ახალი აქციები, რითიც მის პირვანდელ სამართლებრივ მდგომარეობას მინიმუმ შეინარჩუნებს.[1257]

სს-ის განთავსებული კაპიტალის გაზრდის საპირწონედ, არსებობს მისი შემცირების შესაძლებლობა. განთავსებული კაპიტალის შემცირება, ისევე როგორც გაზრდის შემთხვევაში, შესაძლებელია ან აქციათა ნომინალური ღირებულების შემცირებით ან აქციათა რაოდენობის შემცირებით. განთავსებული კაპიტალის შემცირება ნომინალური ღირებულების შემცირებით, საჭიროებს სს-ის აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს შესამცირებელი განთავსებული კაპიტალის ოდენობას, აქციათა სახეს, რომელთა ღირებულებაც მცირდება და შემცირების შედეგად ფორმირებული აქციის ღირებულებას, ანუ აქციის შემცირებული ღირებულებას.[1258]

განთავსებული კაპიტალის შემცირება სს-ის უფლებამოსილებითი პანაცეა არ არის და მისი შეზღუდვა ნორმატიულ

1254 იხ. იქვე, 167-ე მუხლი.

1255 იხ. იქვე, 167-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

1256 *Cox, Hazen*, Treatise on The Law of Corporations, 3rd ed., Vol. 3, 2010, 34-36.

1257 ბუნებრივია, სამართლებრივი მდგომარეობა, ანუ წილობრივი მაჩვენებელი შეიძლება იგივე დარჩეს აქციონერს, თუ ყველა დანარჩენი აქციონერიც ანალოგიური ნარმატებით გამოიყენებს უპირატესი შესყიდვის უფლებას, მაგრამ მისი უცვლელი წილის „უკან" მდგომი ეკონომიკური მაჩვენებელი განხორციელებული შესატანის მიხედვით გაიზრდება.

1258 ასევე, უნდა მიეთითოს ის თანხა, რომელიც სს-ს სჭირდება აქციონერთათვის ანაზღაურების მისაცემად. იხ. კანონის 169-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

დონეზეა გაწერილი. სს-ს, როგორც კაპიტალურად მონყობილ სამეწარმეო საზოგადოებას, კანონით მოეთხოვება მინიმალური კაპიტალის არსებობა. განთავსებული კაპიტალის შემცირებისას, პირველ რიგში გათვალისწინებულ უნდა იქნეს მინიმალური კაპიტალის კანონით განსაზღვრული ოდენობა, რამდენადაც მის ქვემოთ საზოგადოების განთავსებული კაპიტალის ჩამოცდენა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების საფუძველი შეიძლება გახდეს. ასევე, დაუშვებელია სს-ის მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვის პროცესის დასრულებამდე განთავსებული კაპიტალის შემცირება და დაუშვებელია მისი იმ შემთხვევაშიც შემცირება, თუ ეს საფრთხეს შეუქმნის საზოგადოების კრედიტუნარიანობას. მაგალითად, სს-ის მიერ აქციათა გამოსყიდვის შემდგომ,[1259] სს საკუთარი თავის მევალე ხდება, რაც ანომალიურ მდგომარეობად არის აღქმული საკორპორაციო სამართალში. იმ ეტაპზე, როდესაც აქციონერის შენატანით ფორმირდება განთავსებული კაპიტალი, სს-ის საბალანსო მონაცემებში, ეს კაპიტალი პასივის მხარეს არის - სს-ს აქვს ვალდებულება მისივე აქციონერის წინაშე. საკუთარი აქციის გამოსყიდვის შედეგად, სს თავისივე თავის მოვალე ხდება, მიუხედავად იმისა, რომ მან საბალანსო მონაცემის აქტივიდან უკვე აიღო ფულადი საზღაური ან დათმო მოთხოვნა (მაგალითად, განთავსებული კაპიტალის სანაცვლო საზღაურის მოთხოვნა), აქციონერის მიმართ ვალდებულება დაიფარა, მაგრამ სს-ას ვალდებულება კვლავ შესასრულებელი დარჩა. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, სს-ამ აქტივიდან აიღო X თანხა აქციონერის Y ღირებულები მოთხოვნის დასაფარავად, გადაუხადა კიდეც აქციონერს, მაგრამ Y ღირებულების მოცულობის ვალდებულების შემსრულებელ პირად თვითონ ხდება სააქციო საზოგადოება. ფინანსურ-შედეგობრივი თვალსაზრისით, სს-ს შეუმცირდა აქტივი X თანხით, ხოლო Y ღირებულება კვლავ გადასახადი დარჩა. ასეთ მოცემულობაში სს ორმაგ დისბალანსშია,[1260] რის გა-

1259 იქვე, საკუთარი აქციების შეძენის ნორმატიულ მოწესრიგებასთან დაკავშირებით, 161-ე მუხლი.

1260 იქვე, ამიტომაც არის კანონით დადგენილი, რომ აქციათა გამოსყიდვისთვის გადასახდელი თანხა არ უნდა აღემატებოდეს საკუთარი კაპიტალის 25 პროცენტს. 179-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

მოც, აქციათა გამოსყიდვის პროცესში კანონით იზღუდება კიდეც განთავსებული კაპიტალის შემცირება.[1261] აღწერილი სიტუაციიდან სს-ის გამოსავალი ორი მიმართულებით წარმოესახება. პირველი, გამოსყიდული აქციები კვლავ გაასხვისოს მესამე პირზე (განთავსებულ აქციათა კატეგორიაში გადაიტანოს)[1262] და მეორე, შეამციროს კაპიტალი აქციათა გაუქმებით. ორივე მექანიზმის შედეგი იქნება სს-ის დარღვეული ქონებრივი (და კორპორაციულ-სამართლებრივი)[1263] ბალანსის აღდგენა.[1264]

1261 შეად. კანონის 161-ე მუხლით განსაზღვრულ მონესრიგებას.

1262 სს-ს ეს უფლება საკუთარი თავის მიმართ ეზღუდება იმის ანალოგიურად, როგორც მას ახალი აქციების საკუთარი თავის სასარგებლოდ განთავსება აქვს შეზღუდული. კანონის 160-ე მუხლი.

1263 სს-ს საკუთარი აქციების მფლობის შემთხვევაში მათი გამოყენება არ შეუძლია. კანონის 161-ე მუხლის მე-2 პუნქტი. შესაბამისად, ნორმალურ ნილობრივ მდგომარეობასა და ფუნქციონირებაში დასაბრუნებლად, აუცილებელია ასეთი აქციების ან კვლავ განთავსება (მესამე პირზე) ან ცვლილების განხორციელება და აქციათ გაუქმებით კაპიტალის შემცირება. შედეგად, აქციათა ბალანსის აღდგენას სს-ის წილობრივ მაჩვენებელში, შეიძლება ეწოდოს კორპორაციულ-სამართლებრივი ბალანსის აღდგენა.

1264 საინტერესოა კანონით გათვალისწინებული შემთხვევა, რომ სხვადასხვა კლასისი აქციის გაუქმების შემთხვევაში, გაუქმებული აქციების ნომინალური ღირებულების ოდენობით უნდა შეიქმნას რეზერვი, რომელიც არ შეიძლება განაწილდეს აქციონერებზე და რომლის გამოყენება დასაშვებია სს-ის ზარალის დასაფარავად ან განთავსებული კაპიტალის გასაზრდელად. იხ. კანონის 170-ე მუხლის მე-6 პუნქტი. თუმცა, ისმის კითხვა: თუ აქციათა გაუქმებით კაპიტალის შემცირება, როგორც წესი, დამატებითი ფინანსების მოზიდვის შეუძლებლობისა და სს-ის კაპიტალიზაციის პრობლემების შედეგია, მაშინ სს-მ რის საფუძველზე უნდა შექმნას გაუქმებული აქციების ნომინალური ღირებულების რეზერვი? (ასეთის არსებობის შემთხვევაში, ისევ წესდებით განსაზღვრული სარეზერვო კაპიტალის გამოყენებით! იხ. კანონის 168-ე მუხლი.) კანონის ამგვარი დანანესის ლოგიკური პასუხია ის, რომ სს-ს აქციათა გაუქმებით კაპიტალის შემცირების ეტაპზეც ესაჭიროება სარეზერვო კაპიტალი ან გაუნანილებელი მოგება, რომელსაც გაუქმებულ აქციათა ნომინალური ღირებულების რეზერვად გამოიყენებს. მსგავსი დანანესის დადებითი ნანილია ის გარემოება, რომ ასეთი რეზერვის გამოყენება მხოლოდ ან განთავსებული კაპიტალის გასაზრდელად ან საზოგადოების ზარალის დასაფარავად გამოყენებაა დასაშვები.

2.3.2. მინიმალური განთავსებული (საწესდებო) კაპიტალი

როგორც კორპორაციული ორგანიზაციის მქონე[1265] კაპიტალური საზოგადოება[1266] რომლის კაპიტალიც აქციებად არის დაყოფილი[1267], სააქციო საზოგადოების კაპიტალი სტრუქტურულად ყველაზე უფრო კომპლექსურობით გამოირჩევა და მას მეწარმეთა შესახებ კანონიც ზედმიწევნით ანესრიგებს.

კაპიტალი უნდა გაგებულ იქნას, როგორც საწარმოს მიზნებისათვის გამოყოფილი სახსრების მთლიანი ოდენობა ან საწარმოს კუთვნილი, ფულად ერთეულში გამოსახული ყველა სიკეთის ერთობლიობა.[1268] საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს იმ ოდენობას, რომელიც თვითონ სააქციო საზოგადოების პარტნიორებს აქვთ მითითებული საზოგადოების ჩამოყალიბების მომენტში ანუ ეს არის ფულად ერთეულში გამოსახული აქტივები, რომლითაც საზოგადოება ფუნქციონირებას იწყებს. საწესდებო კაპიტალი რაღაც ოდენობით მაინც აბსოლუტურად ყველა სააქციო საზოგადოებას უნდა ჰქონდეს, თუმცა უნდა არსებობდეს თუ არა მინიმალური ოდენობის მოთხოვნა, საკორპორაციო სამართალში მწვავე კამათის საგანია.

ტერმინოლოგიური თვალსაზრისით „საწესდებო კაპიტალს", როგორც ინსტიტუტს, დღევანდელი ქართული საკორპორაციო სამართალი უკვე აღარ იცნობს და მის ნაცვლად შემოღებულია „განთავსებული კაპიტალის" ცნება, როგორც სამეწარმეო საზოგადოების მიერ განსაზღვრული ფულადი ოდენობა.[1269] ფუნქციურად ეს ორი ქართულ რეალობაში იდენტურია, თუმცაღა, რა თქმა უნდა, წესდებაში მითითებუ-

---

1265 *Goette, Habersack, Kalss, Heider,* Münchener Kommentar zum Aktiengesetz, Band 1, §§1-75, 5. Aufl., C.H.Beck, München, 2019, §1, Rn.13, s.129-130.

1266 *Bachmann* in *Hirte/Mülbert/Roth.*, AktG, Großkommentar, Band 1, §§1-22, 5. Auflage, De Gruyter, Berlin, 2017, §1, Rn. 30, s.11.

1267 *Hüffer, Koch,* Aktiengesetz, 12. Auflage,Verlag C.H.Beck, München, 2016, §1, Rn.13, s.5.

1268 *Gutenberg,* Einführung in die Betriebswirtschaftslehre, Gabler Verlag, Wiesbaden, 1958, s.99.

1269 კანონის 29-ე მუხლი.

ლი, საწყისი, საწესდებო კაპიტალი არ წარმოადგენს განთავსებული თუ გაწერილი კაპიტალის სრულ გრამატიკულ ექვივალენტს, თუმცა ისინი ხშირად სწორედ სინონიმების სახით გამოიყენება.[1270] ასევე მნიშვნელოვანია, რომ საწესდებო კაპიტალი განსხვავებული უნდა იყოს საზოგადოების მთლიანი ქონებისგან, რომელიც, როგორც წესი, კაპიტალთან შედარებით უფრო ფართო და ყოვლისმომცველი ცნებაა, წარმოადგენს რა საწარმოს მფლობელობაში არსებულ აბსოლუტურად ყველა მატერიალური თუ არამატერიალური ქონების ღირებულებათა ჯამს,[1271] თუმცა ამ ორს შორის გადაკვეთა და რაც მთავარია ტოლობა, განსაკუთრებით კი საზოგადოების დაფუძნებისას, იშვიათი არ არის.[1272] გერმანულ სამართალში საწესდებო კაპიტალის გარდა ასევე განასხვავებენ ე.წ. საკუთარ კაპიტალსაც, რომელიც მოიცავს საწარმოს კუთვნილებაში არსებულ, საკუთარ ძირითად ხელთარსებულ მატერიალურ თუ არამატერიალურ სიკეთეს.[1273] სიმარტივისათვის ტერმინ "კაპიტალის" ქვეშ ნაგულისხმები იქნება სწორედ განთავსებული (საწესდებო) კაპიტალი, როგორც ეს ქართულ საკორპორაციო სამართალში არის განმტკიცებული.

მინიმალური განთავსებული (საწესდებო) კაპიტალის მოთხოვნა შესაძლოა ორი მთავარი ასპექტისგან შემდგარად წარმოვიდგინოთ: კაპიტალის მოზიდვისა და კაპიტალის შენარჩუნების ვალდებულებებად. პარტნიორებს ევალებათ არა მარტო განსაზღვრული მინიმალური ოდენობის ერთჯერადად მოზიდვა, არამედ მისი შენარჩუნებაც. ეს უკანასკნელი შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ დივიდენდის გაცემა დაუშვებელი იქნება, თუ საზოგადოებას არასაკმარისი აქტივები აქვს ამგვარ საგარანტიო კაპიტალის მინიმალური ოდენობის

1270 *Jannott, Hagemann* in *Henn/Frodermann/Jannott.*, Handbuch des Aktienrechts, 8. Aufl., C.F. Müller Verlag, Heidelberg, 2009, Rn.43, s.37. საწესდებო კაპიტალისა და ასევე მაგალითად "გაწერილი" კაპიტალის ურთიერთმიმართების შესახებ იხ: *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 238-240.

1271 *Gutenberg*, Einführung in die Betriebswirtschaftslehre, Gabler Verlag, Wiesbaden, 1958, s.106.

1272 *Klunzinger*, Grundzüge des Gesellschaftsrechts, 16 Aufl., Verlag Vahlen, Munchen, 2012, s.158.

1273 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 149.

შენარჩუნებისათვის.[1274]

ნებისმიერ სააქციო საზოგადოებას ამა თუ იმ ფორმით უნდა გააჩნდეს კაპიტალი, რომელიც აქციებად (სულ მცირე ორი მაინც) იქნება დაყოფილი. კაპიტალის მოსაზიდად და საზოგადოების აქტივობათა დასაფინანსებლად შესაძლოა გამოყენებულ იქნას მრავალგვარი ხერხები და მეთოდები, რომლებიც საბოლოო ჯამში ემსახურება პარტნიორების მიერ დასახული მიზნის მიღწევას - სააქციო საზოგადოების ბაზარზე ფუნქციონირებით მოგების მიღება.

განსხვავებით მეწარმეთა შესახებ 1994 წლის კანონის ბოლო რედაქციისა, ახალი კანონი ითვალისწინებს მინიმალური კაპიტალის ოდენობას - საზოგადოებას რეგისტრაციის მომენტში უნდა ჰქონდეს განთავსებული კაპიტალი 100 000 ლარის ოდენობით.[1275] ამგვარი დანაწესით მეწარმეთა შესახებ ახალი კანონმა დააბრუნა სავალდებულო მინიმალური საწესდებო კაპიტალი სააქციო საზოგადოებისათვის, რომელიც 1994 წლის კანონში თავიდან 10 000, ხოლო შემდეგ კი 15 000 ლარით იყო განსაზღვრული.[1276] მინიმალური განთავსებული (საწესდებო) კაპიტალის მოთხოვნა დღესაც არაერთმნიშვნელოვანია თემა, რომელსაც მოწინააღმდეგებიც ჰყავს და მომხრეებიც. ევროკავშირის დონეზე იგივე სავალდებულო საკანონმდებლო კაპიტალი ერთ-ერთი მწვავე სადავო საკითხად რჩება.[1277] სავალდებულო განთავსებული (საწესდებო) კაპიტალის დადგენის მოწინააღმდეგეები მიუთითებენ ამ ინსტიტუტის არაეფექტურობაზე, იმ ფაქტზე რომ ძალიან მცირე რაოდენობით დადგენისას ის კრედიტორის დაცვას ვერ უზრუნველყოფს, არამედ დაცულობის მხოლოდ ილუზიას ქმნის, ხოლო გადამეტებული რაოდენობით ის საერთოდ სანარმოს დაფუძნებასა და ეკონომიკურ განვითარებას უშ-

---

1274 *Wilhelm*, Kapitalgesellschaftsrecht, 3. Aufl., De Gruyter, Berlin, 2009, Rn.16, s. 8-9.

1275 კანონის 156-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1276 *ბურდული, მახარობლიშვილი, ეგნატაშვილი, გიგუაშვილი*, თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები), 2016, 62.

1277 *ჰოპტი*, ევროპის კომპანიათა სამართლის მოქმედების გეგმის გადასინჯვა, მახარობლიშვილი (მთარგ.), „სამართლის ჟურნალი", №2, 2014, 321.

ლის ხელს.[1278] მინიმალური განთავსებული (საწესდებო) კაპიტალის მიმართ დამოკიდებულება განსხვავებულია მსოფლიოს სამართლის სხვადასხვა სისტემასა და ამ სისტემების შიგნით არსებულ ცალკეულ ქვეყნებშიც. თუ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მინიმალური საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს სააქციო სამართლის ერთ-ერთ ქვაკუთხედს, იმავე აშშ-ს სამართალში ის ცნობილი, თუმცა მთლიანობაში უგულებელყოფილი კონცეფციაა, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში მოქმედებს, როდესაც, მაგალითად, საზოგადოება საბანკო ან სადაზღვევო სექტორში ფუნქციონირებს და აღნიშნული დარგი შედარებით უფრო რეგულირებულია საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.[1279] მიუხედავად ამერიკულ სამართალში მინიმალური საწესდებო (განთავსებული) კაპიტალის ვალდებულების არარსებობისა, კაპიტალის ფორმირება იქაც დეტალურად არის მოწესრიგებული.[1280]

მეორე მხრივ, მინიმალური კაპიტალის მხარდამჭერები ხაზს უსვამენ საჭიროებას, საზოგადოებამ შეინარჩუნოს კაპიტალი იმ საქმიანობის გასაგრძელებლად, რომლის განსახორციელებლადაც ის ჩამოყალიბდა და რომ დაცული უნდა იყოს როგორც კრედიტორთა, ასევე აქციონერთა ინტერესები და უფლებები, რაც საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნის შემთხვევაში უფრო მარტივია.[1281] მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა ასევე უნდა იყოს განხილული შეზღუდული პასუხისმგებლობის მიღების კონტექსტშიც: როგორც თავისებური საზღაური ამ პრივილეგიის სანაცვლოდ.[1282]

1278 *ჯულელი,* კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, 2016, 122.

1279 *Cahn, Donald,* Comparative Company Law: Text and Cases on the Laws Governing Corporations in Germany, the UK and the USA, 2017, 166.

1280 *ბურდული,* საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009, 209. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული განსაკუთრებით ეხება ღია სააქციო საზოგადოებებს, რომლებიც ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ვაჭრობენ.

1281 *Cox, Hazen,* Cox and Hazen on Corporations: Including Unincorporated Forms of Doing Business, 2nd ed., 2003, 1221.

1282 *Cahn, Donald,* Comparative Company Law: Text and Cases on the Laws Governing Corporations in Germany, the UK and the USA, 2017, 168. მინიმალური საწესდებო

სააქციო საზოგადოების ფინანსირების საშუალებებზე ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი. ასეთი ძირითადი საშუალებებია აქციების გამოშვება (საკუთარი კაპიტალი), კრედიტის აღება, ვთქვათ სასესხო ობლიგაციების გაცემის გზით (უცხო კაპიტალი) და ასევე შესაძლებელია შენარჩუნებული მოგების გამოყენება ისევ საზოგადოებაში რეინვესტირებისათვის.[1283] პირველის დროს სააქციო საზოგადოება შენატანის სანაცვლოდ ინვესტორებს შესაბამის წილს სთავაზობს საზოგადოებაში. მეორის შემთხვევაში ხდება კრედიტის აღება ვალდებულებთ-სამართლებრივ (სესხის ჩვეულებრივი ხელშეკრულება) ან კორპორაციულსამართლებრივ საწყისებზე (ობლიგაციებისა და სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდების გაცემა). აღნიშნულის შესაბამისად საკუთარი კაპიტალით დაფინანსებასა (*equity financing*)[1284] და ვალდებულებებით (უცხო კაპიტალით) დაფინანსებას (*debt financing*) უწოდებენ.[1285] გარდა საკუთარი და სესხით მოზიდული კაპიტალისა, შესაძლებელია კორპორაციას ჰქონდეს დაფინანსების სხვა შიდა წყაროებიც. შეიძლება იმავე მიღებული მოგების აქციონერებზე დივიდენდების სახით განაწილების ნაცვლად აღნიშნული მოგება კორპორაციული კაპიტალის გაძლიერებას მოხმარდეს[1286] ან საზოგადოების ანგარიშზე არსებული ქონება და აქტივები გასხვისდეს და მიღებული სახსრებით კაპიტალი შეივსოს.[1287]

განთავსებული კაპიტალის, როგორც საზოგადოების მიერ განსაზღვრული კაპიტალის, ფულადი ოდენობა მოცემული უნდა იყოს იმ ნომინალური ოდენობით, რომელიც განთავსებული წილების ღირებულებათა დაჯამების ტოლფასია.

კაპიტალის თაობაზე ამ ორი საპირისპირო მოსაზრების შესახებ ასევე იხ: *ბურდული, მახარობლიშვილი, ეგნატაშვილი, გიგუაშვილი,* თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები), 2016, 61.

1283 *Gullifer, Payne,* Corporate Finance Law: Principles and Policy, 3rd ed., 2020, 9.

1284 ასევე ცნობილი როგორც შიდა დაფინანსება *(internal financing).*

1285 *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 234-236. გერმანულ სამართალში შესაბამისად *Eigenfinanzierung* და *Fremdfinanzierung.* იხ: *Christians (Hrsg),* Finanzierungshandbuch, 2. Aufl., Gabler Verlag, Wiesbaden. 1988, s. 566.

1286 *Gullifer, Payne,* Corporate Finance Law: Principles and Policy, 3rd ed., 2020, 52-54.

1287 *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 236.

იმ შემთხვევაში თუ სააქციო საზოგადოების მიერ გამოშვებულია მხოლოდ ნომინალური ღირებულების აქციები, მაშინ განთავსებული კაპიტალი უნდა იყოს ასეთი ნომინალური აქციების ღირებულებათა ჯამის ტოლი.[1288] აქციის გაცემა ნომინალურ ღირებულებაზე ნაკლებად არის დაუშვებელი, რადგან ამგვარად განთავსებული კაპიტალი უბრალოდ ვერ შეივსება, თუმცა ნომინალურ ღირებულებაზე მეტად აქციების გამოშვება შესაძლებელია, ნამეტი კი კაპიტალურ რეზერვებში ჩაიწერება.[1289] მაგალითად, თუ სააქციო საზოგადოების მიერ გამოცემულია 50 აქცია, თითოეული 10 000 ლარის ნომინალური ღირებულებით, მაშინ განთავსებული კაპიტალი აუცილებლად უნდა შეადგენდეს 500 000 ლარს. თუ განთავსებული 50 აქციის რეალური საბაზრო ღირებულება 10 ათასი ლარის ნაცვლად 20 ათასი ლარია, 500 000 შეადგენს განთავსებულ კაპიტალს, ხოლო ნამეტი (დანარჩენი 500 000 ლარი) იქნება ნამეტი კაპიტალი, რომელიც სარეზერვო კაპიტალად იქნება აღრიცხული.

სააქციო საზოგადოების კაპიტალის სტრუქტურის ჩამოყალიბების განხილვისას ერთმანეთისგან უნდა განსხვავებულ იყოს ნებადართული, გამოშვებული და განთავსებული აქციები.[1290] ამ სამი სხვადასხვა ტიპის აქციის უკეთესად გაგების მიზნით ისინი ერთიანი ჰიპოთეტური პროცესის თანმიმდევრულ ეტაპებად შეგვიძლია რომ წარმოვიდგინოთ. ნებადართულია ყველა აქცია, რომელიც განთავსებისათვის განისაზღვრება საზოგადოების წესდების მიერ. წესდებითვე განისაზღვრება მომავალში ასეთი განსათავსებელი აქციების მაქსიმალური ოდენობა. შემდგომში გამოშვებულ აქციებთან დაკავშირებით კონკრეტულ გადაწყვეტილებას იღებს სააქციო საზოგადოების უფლებამოსილი ორგანო (როგორც წესი, დირექტორატი (გამგეობა)). გამოშვებული აქციების რაოდენობა, ბუნებრივია, არ უნდა აღემატებოდეს ნებადართულ რაოდენობას. გამოშვებული აქციების შესახებ გადაწყვეტილებაშივე მიეთითება ასეთი აქციების განთავსებისა და შესყ-

1288 კანონის 156-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

1289 *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 314.

1290 კანონის 153-ე მუხლი.

იდვის პირობები საბოლოო ჯამში ასეთი აქციები, რომლებიც ნებადართულია და ასევე გამოშვებულიც, შესაძლოა იყოს განთავსებული. რომელიმე აქციის გამოშვებამდე სწორედ ნებადართული აქციების რაოდენობით განისაზღვრება აქციების შესაძლო სიმრავლე.[1291]

2.3.3. მინიმალური განთავსებული კაპიტალის ფუნქციები

მინიმალური განთავსებული კაპიტალის მოთხოვნის დაწესების გზით კანონმდებლობა და სამართალი გარკვეული მიზნების მიღწევას ცდილობს და საწარმოს დაფუძნებისას ამგვარი მინიმალური საბაზისო კაპიტალის არსებობით რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია სრულდება, რომლებიც როგორც მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში, ასევე დოქტრინაში მნიშვნელოვნად არის მიჩნეული. ის რომ ასეთი მინიმალური საწესდებო კაპიტალი მართლაც ატარებს ამგვარ ფუნქციებს, ეჭვს არ იწვევს - დისკუსია უფრო ასეთი სავალდებულო ინსტიტუტის ეფექტურობას ეხება.

მინიმალური განთავსებული (საწესდებო) კაპიტალის ფუნქციებიდან აღსანიშნავია ორი ძირითადი. პირველი არის საწარმოს ეკონომიკური მხარის გაძლიერება, საზოგადოების არსებობის თავდაპირველ ეტაპზევე განსაზღვრული ოდენობის კაპიტალის მოთხოვნის გზით, რაც ზრდის ამგვარი საზოგადოების მიერ ქონების შენარჩუნებისა და ხანგრძლივი მოქმედების ალბათობას. მეორე ფუნქცია არის კრედიტორებისათვის მინიმალური დაცვა, რომელიც, თუმცა სრულ გარანტიას არ წარმოადგენს, მაინც ზრდის ალბათობას იმისა, რომ მესამე პირები გადახდისუუნარო საზოგადოებასთან საქმიან ურთიერთობაში ვერ შევლენ.

ა.) ქონების შევსებისა და შენარჩუნების ფუნქცია

მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნის ან ზოგადად მინიმალური კაპიტალის შენარჩუნების შესახებ ნორმების დადგენით შესაძლებელი ხდება სამეწარმეო საზოგა-

1291 *ჯულელი*, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, 2016, 151.

დოების თავდაპირველი დადგენილი მიზნის მიღწევის ალბათობის გაზრდა. სამეწარმეო საზოგადოება და იურიდიული პირი ზოგადად, როგორც უკვე ითქვა, არ იქმნება ციდან, ის არ არის ნატურალური, ბუნებრივი წარმონაქმნი, არამედ ხელოვნური ერთეულია,[1292] რომელსაც დასაბამს ფიზიკური პირების მოქმედებები უდევს. ის იქმნება განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, რაც სააქციო საზოგადოებისა და კომერციული სუბიექტების შემთხვევაში არის მოგების მიღება. ამგვარი თელეოლოგიური ფუნქციით შექმნილი საზოგადოების გრძელვადიანი, მდგრადი ფუნქციონირებისათვის საბაზისო კაპიტალის არსებობა და შემდგომში მისი შენარჩუნება კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

ბუნებრივია, მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა არა საზოგადოების ჩამოყალიბებისას, არამედ რომელიმე შემდგომ ეტაპისთვისაც დადგენილიყო, თუმცა თავიდანვე ასეთი სახსრების არსებობა მნიშვნელოვნად ხელს უწყობს საზოგადოების სტაბილურ ფუნქციონირებას და კაპიტალის შენარჩუნებისათვის, კაპიტალის მინიმალური ოდენობის გარდა, გათვალისწინებული არის სხვა დანაწესებიც.[1293]

მინიმალური საწესდებო კაპიტალის არსებობით იქმნება საბაზისო დონე, რომელიც აქციონერებს საშუალებას აძლევს უფრო ეფექტურად გამოითვალონ მოგება, წილები და ასევე კრედიტორებთან კომუნიკაციის მიზნით, მათ მიანიშნონ, თუ რამდენად პასუხისმგებლობაუნარიანი ასეთი სააქციო საზოგადოება.[1294] საწესდებო კაპიტალის განსაზღვრული ოდენობის დაკმაყოფილებით საზოგადოების პარტნიორები საქმით ადასტურებენ, რომ ისინი სერიოზულად არიან განწყობილნი საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის მიმართ და სრულად აც-

---

1292 *ბურდული, ეგნატაშვილი,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2017, მუხლი 24, ველი 6, 186.

1293 მაგალითად, ზემოთ უკვე აღნიშნულ ნომინალურ ღირებულებაზე ნაკლებად აქციების გამოშვებისა *(Unterpari-emission)* და ასევე სააქციო საზოგადოების თანდათანობითი, ნაბიჯ-ნაბიჯ დაფუძნების *(Stufengründung)* აკრძალვა. იხ: *Westermann* in *Bürgers/Körber,* Heidelberg Kommentar zur Aktiengesetz, 4. Aufl., C.F.Müller Verlag, Heidelberg, 2017, §1, Rn.15, s. 43.

1294 *ბურდული,* საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009, 230-231.

ნობიერებენ საკუთარ ნაბიჯებს.[1295]

ბ.) კრედიტორის მინიმალური დაცვის ფუნქცია

სააქციო საზოგადოების საბაზისო ქონების მოზიდვისა და შენარჩუნების გარდა, საწესდებო კაპიტალით ასევე ადგილი აქვს კრედიტორებისათვის მინიმალური დაცვის დონის უზრუნველყოფას: კრედიტორს საშუალება აქვს შეამოწმოს, თუ რა კაპიტალს ფლობს ესა თუ ის სააქციო საზოგადოება და ამგვარად მიიღოს გადაწყვეტილება მასთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების თაობაზე.[1296] თუ საზოგადოების მიერ დაკმაყოფილებულია ის მინიმალური დონე, რომელიც კანონმდებლობით არის დადგენილი კრედიტორისათვის, ეს წარმოადგენს ნიშანს იმისა, რომ საზოგადოების დამფუძნებლები და პარტნიონერების ბიზნეს-საქმიანობის მიმართ არა მარტო სერიოზულად არიან განწყობილნი, არამედ გარკვეულ სახსრებსაც ფლობენ, რომ საკუთარი სერიოზული დამოკიდებულება საქმითვე გაამყარონ.

ზოგადი პრაქტიკული თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ კრედიტორები, როგორც წესი, სიფრთხილით გამოირჩევიან და ამგვარად მინიმალური საწესდებო (განთავსებული) კაპიტალი, ფორმულირებული ძირითადად საკუთარი კაპიტალით მათში ნდობას იწვევს და უფრო განაწყობს საქმიანი ურთიერთობების დაჭერისკენ. მათ იციან, რომ მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობა უფრო მეტია. ამგვარად კრედიტორებისათვის მინიმალური დაცვის ფუნქცია თვითონ საზოგადოების წისქვილზეც ასხამს წყალს და მას ერთგვარი ფინანსური სიმყარის გარანტიასაც აძლევს.[1297]

მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ ეს ინსტიტუციონალური სისტემა დამყარებული ასეთ საწესდებო კაპიტალის

1295 ამგვარი სერიოზულობის (*Seriositatsschwelle)* ფუნქციის შესახებ იხილეთ: *Schmidt, Lutter,* AktG, Kommentar, I. Band §1-149, 3. Auflage, Otto Schmidt, Köln, 2015, Rn.24, s. 181.

1296 კრედიტორების დაცვითი და საინფორმაციო (გამაფრთხილებელი) დატვირთვის შესახებ იხ. *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 147-148.

1297 *ბურდული,* საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009, 230, 234-235.

ვალდებულებაზე პირდაპირ მიმართულია სწორედ კრედიტორებისათვის გარკვეულ დონეზე დაცვის უზრუნველყოფისა და საწარმოს გადახდისუნარიანობის შენარჩუნებისაკენ, როგორც თავისებური აბსტრაპირებული მექანიზმი,[1298] მიუხედავად იმისა, რომ ის სრულიად ეფექტური არ არის და ვერ უზრუნველყოფს სრულ, გარანტირებულ დაცვას.

2.3.4. შეტანაუნარიანი ობიექტის განსაზღვრის პოზიტიური შინაარსი

შესატანის განხორციელების ვალდებულება წარმოადგენს აქციონერის ძირითად მოვალეობას.[1299] პარტნიორის ამ ვალდებულებისგან გათავისუფლება არა მარტო კანონმდებლობით არის დაუშვებელი, არამედ წინააღმდეგობაში მოდის თვითონ ძირითად საკორპორაციო-სამართლებრივ პრინციპებთან: კაპიტალურ საზოგადოებაში მონაწილეობისა და შესაბამისად ე.წ. კორპორაციული მოსასხამით შემოსვისათვის, რისი შედეგიც არის შეზღუდული პასუხისმგებლობის პრივილეგია, პირმა უნდა გაიღოს შესაბამისი საზღაური. ამ ფუძემდებლური კონცეფციის სხვაგვარი ინტერპრეტაცია შეუძლებელია.

შენატანის განხორციელება საზოგადოებაში ატარებს როგორც ვალდებულებით-სამართლებრივ, ასევე საკორპორაციო-სამართლებრივ და სანივთო-სამართლებრივ ხასიათსაც, რადგან სააქციო საზოგადოება ხდება შეტანილი სიკეთის მესაკუთრე, სანაცვლოდ კი შენატანის შემტანი იღებს საზოგადოებაში მონაწილეობიდან გამომდინარე უფლებამოსილებებს, იქნება ეს ქონებრივი, მმართველობითი თუ ორივე.[1300] შენატანის ზოგადი ბუნება გამტკიცებულია კანონით და კონკრეტულ შემთხვევაში - საზოგადოების წესდებით. 1994 წლის კანონის უკანასკნელი რედაქციით უარი ითქვა შეტანუნარიანი ობიექტების რაიმე პოზიტიურის შინაარსის ჩამოყალიბებაზე და ფაქტობრივად ასეთ ობიექტე-

---

1298 *ჯულელი*, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, 2016, 121.

1299 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 369.

1300 *თოხაძე*, შესატანი - მეწარმე სუბიექტის საკუთრების უფლების გარანტის კონტექსტში, ჟურ. „სარჩევი", №1-2(3-4), 2012, 28.

ბად აღიარებულ იქნა ყველაფერი, მათ შორის მომსახურების გაწევაც და სამუშაოს შესრულებაც.[1301] მეწარმეთა შესახებ ახალი კანონით[1302] პირდაპირ დადგინდა შენატანის პოზიტიური შინაარსი, როგორც „სამეწარმეო საზოგადოებისთვის საკუთრებაში გადაცემული ქონება, რომლის ეკონომიკური ღირებულება აისახება სამეწარმეო საზოგადოების ბალანსში." რაც მთავარია, ასევე განისაზღვრა, რომ რაიმე სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა არ შეიძლება წარმოადგენდეს არამატერიალური შენატანის სახეს სააქციო საზოგადოების შემთხვევაში.[1303]

ამგვარად, დღევანდელი ქართული საკორპორაციო სამართლის შემთხვევაში შეიძლება ითქვას,[1304] რომ სააქციო საზოგადოების შენატანი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი მატერიალური თუ არამატერიალური ქონება *გარდა* სამუშაოს შესრულებისა ან მომსახურების გაწევისა. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ერთადერთ პირდაპირ გამონაკლისს და საფიქრებელია რომ ეს ასევე დარჩება. მაშასადამე, სააქციო საზოგადოებაში შესაძლებელია სხვა ნებისმიერი კერძოსამართლებრივი ბრუნვაუნარიანი ობიექტის შენატანად მიჩნევა. აქ უნდა ვიგულისხმოთ როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური სიკეთე, უფლებებისა და მოთხოვნების ჩათვლით.

აღსანიშნავია, რომ სააქციო საზოგადოებაში სამუშაოს შესრულების და მომსახურების გაწევის შეტანაუნარიანი ობიექტებიდან გამორიცხვა შეესაბამება ევროპულ და გერმანულ სამართალს. მაგალითად, იგივე სააქციო საზოგადოების შესახებ გერმანული კანონი[1305] პირდაპირ და ცალსახად გამორიცხავს მომსახურების გაწევის შენატანად მიჩნევას. მიზეზად ლიტერატურაში სახელდება ის ფაქტი, რომ ძალიან ხშირად მომსახურების გაწევა, რომელსაც, ბუნებრივია გააჩნია გარკვეული ღირებულება, რომელიც შეიძლება ფუ-

1301 კანონის მე-3 მუხლის მე-5 ქვეპუნქტი.

1302 იქვე, 21-ე მუხლი.

1303 იქვე, 152-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1304 კანონის 152-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ასევე კანონის 23-ე მუხლის ანალიზზე დაყრდნობით.

1305 §27.2, Aktiengesetz (AktG), 1965.

ლად ერთეულში იქნას გამოხატული, მაინც საზოგადოების დაფუძნებისას უფრო ხარჯების კატეგორიას განეკუთვნება, ვიდრე ნამდვილი შენატანის და ბუღალტრულად ამგვარადვე აღირიცხება.[1306] გართულებას შეიძლება იწვევდეს როგორც ასეთი შენატანის სამართლებრივი კატეგორია (არამატერიალური თუ მატერიალური), არამედ ისიც, თუ როგორ და რა საშუალებებით შესაძლებელია რომ დადგინდეს ასეთი სამუშაოსა თუ მომსახურების ღირებულების შესაბამისობა და თანხმობა აქციების ნომინალურ ღირებულებასთან.[1307] ამგვარად მათი ამოღება შეტანაურიანი ობიექტებიდან სააქციო საზოგადოებაში მაინც უფრო ნინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს, რომელსაც უფრო მეტი გარკვეულობა და სინათლე შემოაქვს ამ მეტად სადავო საკითხში, თუნდაც ამგვარი გადაწყვეტით პარტნიორთა არჩევანის თავისუფლება იზღუდება.

2.3.5. შენატანის კონკრეტული სახეები

შენატანის ყველაზე ცალსახა მაგალითი არის ფულადი შენატანი, რაც მარტივად გამოთვლადი და ამგვარად ყველაზე უფრო მოქნილია ბუღალტრული აღრიცხვის მიზნით. თუმცაღა პრაქტიკაში იშვიათი არ არის არაფულადი მატერიალური და არამატერიალური შენატანებიც, რომელთა მიმართაც კონკრეტული ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია პრობლემატური იყოს. გაცემული აქციების სანაცვლოდ საზოგადოებამ უნდა მიიღოს შესაბამისი ოდენობის სიკეთე, რაც საშუალებას მისცემს მას დააკმაყოფილოს კრედიტორების მოთხოვნები და ზოგადად იფუნქციონიროს ბაზარზე, საჭიროა აქციათა ღირებულებასა და შენატანს შორის შესაბამისობა დადგინდეს. ამ მიზნით პრაქტიკაში დადგენილი არის ექსპერტის შეფასება.

თვითონ შენატანებიდან განსხვავებულ უნდა იყოს ორი ძირითადი კატეგორია: ზემოთ უკვე აღნიშნული ფულადი შენატანი და ასევე არაფულადი (არაფულადი, ნივთობრივი,

---

1306 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 213.

1307 *მახარობლიშვილი*, შეტანაუნარიანი ობიექტების განსაზღვრის პოზიტიური და ნეგატიური შინაარსი, ჟურ. „მართლმსაჯულება და კანონი", №1, 2012, 108.

ქონებრივი შენატანი). თუ ფულადი შენატანის ცნება თავისთავად ცხადია, არაფულად შენატანად, ნეგატიური გაგებით, მიიჩნევა ყველაფერი სხვა, რაც არ არის ფულადი შენატანი.[1308] სხვაგვარად რომ ვთქვათ, შენატანის შინაარსის განმსაზღვრელად აქ სწორედ ნეგატიური პრინციპია აღებული.[1309] ფულადი შენატანის განხორციელება პროცესუალურად გაცილებით უფრო მარტივია არაფულადთან შედარებით, რადგან აუცილებელი ქონებრივი შეფასებისა და აუდიტის ჩატარება საჭირო არ არის. აქციას ღირებულებასა და შეტანილ თანხას შორის, როგორც წესი, სრული შესაბამისობაა იმ დროს, როდესაც არაფულადი შენატანისას შესაძლებელია აღნიშნულს ადგილი არ ჰქონდეს და შეტანილი ნივთი, ქონება ან სხვა არაფულადი ობიექტი არ შეესაბამებოდეს აქციათა კონკრეტული ოდენობის ღირებულებათა ჯამს.

რაც შეეხება არაფულად შენატანებს, აქაც შესაძლებელია განსხვავებულ იყოს სააქციო საზოგადოებისათვის არაფულადი, თუმცა მატერიალური ქონების გადაცემა (მაგ. უძრავი ქონება ან ინტელექტუალური საკუთრება, როგორიცაა საავტორო უფლებები) და ასევე ისეთი სიტუაცია, როდესაც საზოგადოება იღებს არაფულად საშუალებებს, რომელიც არ არის უშუალოდ დაკავშირებული აქციების გაცემასთან, მაგალითად, თუ აქციების გამოშვების შემდგომ საზოგადოება მიიღებს აქციონერისგან ფინანსურ აქტივებს, რომელიც პირდაპირ გამოშვებული აქციის სანაცვლო გადახდას არ წარმოადგენს (გერმანულ სამართალში ცნობილი, როგორც *Sachübernahme).*[1310] აქ ყურადსაღებია, რომ ამ ორისგან განსხვავებით შესაძლებელია საზოგადოებას და პარტნიორს შორის დაიდოს ჩვეულებრივი სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებაც, მაგალითად, პირმა სააქციო საზოგადოებას უსასყიდლოდ, ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გა-

---

1308 *Hauschild* in *Henn/Frodermann/Jannott.*, Handbuch des Aktienrechts, 8. Aufl., C.F. Müller Verlag, Heidelberg, 2009, Rn.55, s.117. იხ. ასევე: *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 194.

1309 *მახარობლიშვილი*, შეტანაუნარიანი ობიექტების განსაზღვრის პოზიტიური და ნეგატიური შინაარსი, ჟურ. „მართლმსაჯულება და კანონი", №1, 2012, 105-106.

1310 *Müller*, Zur Sachübernahme: Funktion, Voraussetzungen, Rechtsfolgen bei Verletzung und Revisionsvorschlag, Akruelle Juristische Praxis, 21 (10), 1412-1413.

დასცემს რაიმე სიკეთეს, რაც საერთოდ არანაირად არ წარმოშობს საზოგადოების მხრიდან რაიმე ვალდებულებას ამ პირს საკორპორაციო-სამართლებრივი უფლებამოსილებები მიანიჭოს, რადგან ეს არის მხოლოდ ორ პირს შორის დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც არ ითვალისწინებს პირისათვის წილის მიკუთვნებას ან უკვე არსებულ წილში ცვლილებების შეტანას.[1311]

არაფულადი, ქონებრივი შენატანის თაობაზე უკვე ითქვა, რომ მის მიმართ ნეგატიური დეფინიციის გამოიყენება - რომ ყველაფერი რაც არ არის ფულადი შენატანი, წარმოადგენს არაფულად შენატანს. ამგვარი სახით შესაძლებელია ამ ორს შორის მარტივი სამართლებრივი საზღვრის გავლება.[1312] რადგანაც არაფულადი შენატანის დროს შესაძლოა არსებობდეს გარკვეული შეუსაბამობა ამ არაფულადი შენატანის ღირებულებასა და აქციების ღირებულებას შორის, არაფულადი შენატანის განხორციელებისას ადგილი უნდა ჰქონდეს მისი ღირებულების შეფასებას, რომელიც ქართული კანონმდებლობით საზოგადოების ხელმძღვანელობით ორგანოს ეკისრება.[1313] თვითონ ქონებრივი შენატანიც ისეთი საგანი უნდა იყოს, რომელიც შეფასებაც შესაძლებელია.[1314] ასეთი პრაქტიკა შესაბამისობაშია თანამედროვე საკორპორაციო სამართლის მოთხოვნებთან და ასევე დადგენილია ევროპის პარლამენტისა და ევროსაბჭოს (EU) 2017/1132 დირექტივის 49-ე მუხლით, რომელიც წინასწარ საექსპერტო დასკვნას მოითხოვს ასეთი არაფულადი შენატანის განხორციელებისას.[1315] აღნიშნული საექსპერტო დასკვნისა და შეფასებების საბოლოო მიზანი არის არაფულადი ქონებრივი შენატანის ეფექტური და სამართლიანი ინტეგრაცია საზოგადოების ბალანსსა და შესაბამისად კაპიტალბრუნვაში, რაც როგორც სააქციო საზოგადოების აქციონერების, ასევე კრედიტორე-

1311 *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 199.

1312 *Schall* in *Hirte/Mülbert/Roth.*, AktG, Großkommentar, Zweites Band, Teilband I, 5.Aufl. Walter de Gruyter GmbH, Berlin, 2016, §27, Rn.98 s.169.

1313 კანონის 25-ე მუხლი.

1314 *Wilhelm,* Kapitalgesellschaftsrecht, 3. Aufl., De Gruyter, Berlin, 2009, Rn.241, s.91.

1315 Directive (EU) 2017/1132 of the European Parliament and of the Council of 14 June 2017 Relating to Certain Aspects of Company Law.

ბის ინტერესებშია.

ფულადი და არაფულადი შენატანისგან განსხვავებით, ზემოთ უკვე ხსენებული საზოგადოების მიერ პირისგან ქონების მიღების შემთხვევაში, რაიმე სამაგიერო მოქმედების შესრულების ვალდებულება არ წარმოიშვება. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება ერთმნიშვნელოვნად იღებს ქონებრივ სიკეთეს, არ წამოიშვება კორპორაციულსამართლებრივი ვალდებულება, წევრობის უფლება მიენიჭოს იმ პირს, რომლისგანაც მიღებულ იქნა აღნიშნული ქონება.[1316] ზოგადად, განსხვავებით იმავე ფულადი თუ არაფულადი შენატანებისა, რომლებიც სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალწარმოებაში დიდ როლს თამაშობენ, *Sachübernahme* არ წარმოადგენს რაიმე დიდ ქვაკუთხედს თუ აგურს სააქციო საზოგადოების შენობაში.[1317] ის მხოლოდ და მხოლოდ გარეგნული დანამატია, საზოგადოების დაფუძნების ეტაპზე დადებული შეთანხმება საზოგადოების მიერ აქტივების მიღების თაობაზე იყოს,[1318] რომლის საფუძველი საბოლოო ჯამში არის არის ცალკე დამოუკიდებელი გარიგება და ამგვარად ის რეალურად განცალკევებულია კორპორაციულსამართლებრივი ურთიერთობებისგან.[1319]

კორპორაციაში შენატანის სახეთა მრავალგვარობა ფუნქციურად დაკავშირებულია საკორპორაციო სამართლის დემოკრატიულობის პრინციპთან - რომ მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ პირს ნებისმიერ შენატანით, თუ არ ჩავთვლით გარკვეულ გამონაკლისებს. ასეთი მრავალფეროვნებამ პრაქტიკაში დასაბამი დაუდო შენატანის სხვა სახეებს, რომლებიც პირდაპირ კანონით ან სასამართლო პრეცედენტებით დადგენილი არ არის, თუმცაღა შენატანის ბუნების აღსაქმელად საყურადღებო ასპექტებს შეიცავენ.

1316 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 214-215.

1317 *Hauschild* in *Henn/Frodermann/Jannott.*, Handbuch des Aktienrechts, 8. Aufl., C.F. Müller Verlag, Heidelberg, 2009, Rn.55, s.117.

1318 *Wilhelm*, Kapitalgesellschaftsrecht, 3. Aufl., De Gruyter, Berlin, 2009, Rn.242, s.91. თვითონ ტერმინოლოგიურადაც *Sachübernahme* პირდაპირი სიტყვასიტყვითი თარგმნისას აღნიშნავს უფრო პროაქტიურ „ნივთის დაუფლებას," ვიდრე საზოგადოების მიერ ქონების პასიურ მიღებას, ანუ საზოგადოება უფრო ეუფლება ამ ნივთს, ხდება მისი ახალი მესაკუთრე.

1319 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 215-216.

ვინაიდან შენატანი კონკრეტულ უფლებებსა და ვალდებულებებს წარმოშობს, ალბათ მოსალოდნელიც იყო, რომ პრაქტიკაში აღმოცენდებოდა შემთხვევები, როდესაც პირებს ამ შენატანის განხორციელებისგან სარგებლის მიღების სურვილი ექნებოდათ შესაბამისი ვალდებულებებით დატვირთვის გარეშე. ასეთ შემთხვევას წარმოადგენს შეფარული შენატანი. შეფარული შენატანის ქვეშ რეალურად იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც შენატანი სამოქალაქო-სამართლებრივი (ძირითადად ნასყიდობის) გარიგების ან საზოგადოების მიერ აქტივების მიღების ქვეშ ინიღბება და ამგვარად პირები კაპიტალის შევსების მოთხოვნის ვალდებულებისათვის გვერდის ავლას ცდილობენ.[1320] იმისათვის რომ დადგინდეს ასეთი შეფარული შენატანის განხორციელების ფაქტი სახეზე უნდა იყოს როგორც ეს სამოქალაქო-საამრთლებრივი გარიგება ასევე მასთან დროში თანმხლები ფულადი ტრანზაქცია, რომელიც სწორედ შეფარულ შენატანს წარმოადგენს.[1321]

პრაქტიკაში ასევე შესაძლებელია შენატანი იყოს აღრეული ანუ ამ შემთხვევაში აქციის ღირებულების სანაცვლოდ საზღაური განხორციელებულია კომბინირებულად - ნაწილობრივ როგორც ფულადი, ნაწილობრივ არაფულადი სანივთო საშუალებებით.[1322] აღნიშნული კანონით პირდაპირ ხსენებული არ არის, თუმცა არც აკრძალულია და შესაბამისად დაშვებული არის სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში.

2.3.6. სარეზერვო კაპიტალი

გარდა განთავსებული (საწესდებო) კაპიტალისა, საკორპორაციო სამართალი ასევე ითვალისწინებს სარეზერვო კაპიტალის არსებობაც. მეწარმეთა შესახებ საქართველოს 2021 წლის კანონით[1323] დადგენილია სარეზერვო კაპიტალის ოდენობა განთავსებული კაპიტალის სულ მცირე 10%-ის ოდენო-

---

1320 *Frodermann, Becker* in *Henn/Frodermann/Jannott.*, Handbuch des Aktienrechts, 8. Aufl., C.F. Müller Verlag, Heidelberg, 2009, Rn.53, s.182.

1321 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 224.

1322 იქვე, 232.

1323 კანონის 168-ე მუხლი.

ბით მაინც ანუ თუ განთავსებული კაპიტალი შედგენს 1 მილიონ ლარს, მინიმალური მოთხოვნა იქნება 100 ათასი ლარი სარეზერვო კაპიტალად დადგენა. პარტნიორებს შეუძლიათ უფრო მაღალი ოდენობით განსაზღვრონ რეზერვები, თუმცა არა ამ 10%-იან ზღვარზე უფრო ნაკლებად.

სარეზერვო კაპიტალად უნდა მივიჩნიოთ ის პასიური ქონება, რომელიც თავისებურ ბუფერულ ფუნქციას ასრულებს და ძირითადად გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარავად არის გამიზნული.[1324] მისი მთავარი ფუნქციები არის კაპიტალის შენარჩუნება და მისი გაძლიერება. სარეზერვო კაპიტალის არსებობაც თავისებურად მეტყველებს საწარმოში მოგებისა და დივიდენდის განაწილების პოლიტიკაზეც და მასზე ახდენს ზეგავლენას.

კაპიტალური რეზერვები უნდა განსხვავებულ იყოს მოგების რეზერვებისგან: პირველი აღნიშნავს აქციონერების მიერ შეტანილი შენატანების საფუძველზე ჩამოყალიბებულ რეზერვებს, ხოლო მეორეს დროს რეზერვები ყალიბდება სამეურნეო წლის განმავლობაში მიღებული მოგებისგან,[1325] რომელიც საწარმოს წარმატებული საქმიანობის შედეგია.[1326]

კაპიტალური რეზერვის დადგენილი ზღვრის მიღწევამდე კანონი ითვალისწინებს ყოველწლიური მოგებიდან გარკვეული ოდენობის (სულ მცირე 5%-ის) აღნიშნულ რეზერვში გადატანას, რაც თავისებურ კონტრასტს ქმნის სხვა ქვეყნების სამართალთან, სადაც აღნიშნული კაპიტული რეზერვის გარეშე მოგების განაწილება საერთოდ დაუშვებელია.[1327]

2.4. შენატანის განუხორციელებლობის სამართლებრივი შედეგი სს-ში. დამატებითი შესატანის განხორციელების დანესების უფლება

აქციონერის ვალდებულებები, სამართლებრივი საფუძვლის მიხედვით, შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად (კანონის 175-

1324 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 152-153.

1325 *Klein, Schreiner* in *Henn/Frodermann/Jannott.*, Handbuch des Aktienrechts, 8. Aufl., C.F. Müller Verlag, Heidelberg, 2009, Rn.26, s.612.

1326 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 242-243.

1327 AktG §233. იხ. ასევე: *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 152.

ე მუხლი): ვალდებულებები, რომლებსაც კანონი პირდაპირ აწესებს - „კანონისმიერი ვალდებულებები" და ვალდებულებები, რომლებიც სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში იკისრა აქციონერმა - „წესდებისმიერი (სახელშეკრულებო) ვალდებულებები". წესდებისმიერი ვალდებულება, კანონით პირდაპირ არ არის დადგენილი, თუმცა აუცილებლად უნდა გამომდინარეობს კანონიდან.[1328]

აქციონერის კანონისმიერ ვალდებულებებს განეკუთვნება: ა) შენატანის განხორციელებასთან დაკავშირებული ვალდებულებები; ბ) აქციის სარეგისტრაციო მონაცემის ცვლილებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება; გ) კანონით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები, რომელთაგან შეიძლება გამოიყოს: გ.ა) კანონის 34-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობის დაცვა - საკუთარი უფლებების განხორციელებისას დანარჩენი აქციონერებისა და თავად საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება; გ.ბ) დომინანტური მდგომარეობის ბოროტად, ასევე ძალაუფლების საზოგადოების წინააღმდეგ გამოყენების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.[1329]

2.4.1. შენატანის განხორციელებასთან დაკავშირებული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა დარღვევისათვის

შენატანის განხორციელებასთან დაკავშირებული ვალდებულებები გულისხმობს როგორც უშუალოდ შენატანის განხორციელების ვალდებულებას, შენატანის საგნის შეფასების აუდიტორული დასკვნის უზრუნველყოფას (152-ე მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტი) [1330] ასევე შენატანის ვადაგაცილებისათვის დარიცხული პროცენტის/შეთანხმებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებას.

შენატანის განხორციელება აქციონერის ძირითადი ვალდებულებაა, რომელიც წარმოიშობა დაფუძნების დროს, აქ-

1328 ვალდებულებას, რომელიც არ გამომდინარეობს კანონიდან საკალდებულო სამართლებრივი ძალა არ ექნება (კანონის 175-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტი).

1329 დასახელებული მოვალეობები წარმოადგენს აქციონერის ერთგულების მოვალეობის კომპონენტს და სწორედ ამ კონტექსტში იქნება განხილილი.

1330 ეხება მხოლოდ არაფულად შენატანს.

ციების მიღების მომენტში ან ახალი აქციების განთავსებისას მისი შეძენის მომენტში.[1331] ამდენად, შენატანის განხორციელება ხდება კუთვნილი აქციების მიღების სანაცვლოდ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ შენატანი დაფუძნების მომენტში დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს. შენატანი უნდა განხორციელდეს რეგისტრაციიდან არაუმეტეს 5 წლის ვადაში (კანონის 152-ე მუხლი), რის ფარგლებშიც კონკრეტული ვადა მხარეთა სახელშეკრულებო თავისუფლების საგანია. სახელშეკრულებო პირობის არ არსებობისას, აქციონერის მიერ შენატანის განხორციელება უნდა მოხდეს სს-ს მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში. გონივრული ვადის ფარგლებში კონკრეტულ ვადას შენატანის მოთხოვნის თაობაზე შეტყობინებით სს-ს თავად დაადგენს.

შენატანთან დაკავშირებით სააქციო საზოგადოების ძირითად მოთხოვნის უფლებას წარმოადგენს უშუალოდ შენატანის განხორციელების მოთხოვნა. თუმცა, აქციონერის მხრიდან შენატანის ვადაგადაცილების დროს სს-ს ასევე წარმოიშობა მეორადი მოთხოვნის უფლებებიც. მეორად მოთხოვნის უფლებები იწვევს აქციონერის პირველად პასუხისმგებლობას (პასუხისმგებლობის პირველი სახე): ა) ფულადი შენატანის ვადის გადაცილების დროს აქციონერს კანონის მიხედვით (კანონის 152-ე მუხლი) ეკისრება დამატებითი ფინანსური ტვირთი - ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსების განაკვეთის ორმაგი ოდენობის წლიური პროცენტი. თუმცა წესდებით შეიძლება, როგორც პირგასამტეხლოს სხვა ოდენობის დადგენა, ასევე პირგასამტეხლოს გავრცელება არაფულად შენატანებზე ან დამატებითი ფინანსური ტვირთის საერთოდ გაუქმებაც. როგორც ითქვა, შენატანის განხორციელება კანონისმიერი ვალდებულებაა, თუმცა მისი დარღვევისთვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი სახელშეკრულებო ხასიათის შეიძლება იყოს. დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, თუ წესდება ცალსახად არ ათავისუფლებს აქციონერს დამატებითი ფინანსური ტვირთვისგან, იმოქმედებს კანონის დანაწესი პროცენტის დაკისრების თაობაზე. ბ) შპს-გან გან-

1331 იხ. *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 90-94.

სხვავებით, სს-ში შენატანის ვადაგადაცილება პროცენტის/ პირგასამტეხლოს გარდა, წარმოშობს დამატებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებასაც. პირგასამტეხლოსა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ერთდროულად გამოყენების საფუძველს, თავის მხრივ, სამოქალაქო კოდექსი იძლევა (სკ-ის 419-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

აქციონერის მიერ შენატანის განუხორციელებლობის საბოლოო პასუხისმგებლობის ფორმაა აქციების ჩამორთმევა, რომელიც შპს-ს შემთხვევაში დადგენილი პროცედურის იდენტურია (იხ. შესაბამისი ქვეთავი). თუმცა შპს-გან განსხვავებით, კანონი, სს-თან მიმართებით ამ მექანიზმს პირდაპირ ადგენს მხოლოდ ფულადი შენატანის (და არა ზოგადად შენატანის) ვადაგაცილების დროს. ამიტომ, საინტერესოა, არაფულადი შენატანის შემთხვევაში აქციების ჩამორთმევის ლეგიტიმურობა. ეს საკითხი გასაანალიზებელია დისპოზიციურობის პრინციპის ჭრილში. სს-ში კანონით მოუწესრიგებელი ან ნაწილობრივ მოწესრიგებელი საკითხების წესდებით რეგულირება/განვრცობა დასაშვებია, თუმცა კანონისგან განსხვავებული წესდებისმიერი რეგულირება შესაძლებელია მხოლოდ კანონისმიერი მითითების დროს, კანონითვე გათვალისწინებულ ფარგლებში. იმის გამო, რომ არაფულადი შენატანის ვადაგაცილებისთვის წილის ჩამორთმევას კანონი ან საერთოდ არ აწესრიგებს, ეს საკითხი კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე შეიძლება მოწესრიგდეს წესდებითაც. თუმცა, არაფულადი შენატანის ვალდებულების დარღვევის შედეგების წესდებით გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, აქციების ჩამორთმევის ლეგიტიმურობა კითხვის ქვეშ დადგება.

რაც შეეხება არაფულადი შენატანის აუდიტორული შეფასების უზრუნველყოფას, კანონის 152-ე მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით არის აქციონერის ერთ-ერთი მოვალეობა. ზემოთ უკვე ითქვა, რომ შენატანის საგანს უნდა გააჩნდეს ეკონომიკური ღირებულება, შესაბამისად, აუცილებელია, რომ არაფულადი შენატანის შემთხვევაში, განსაზღვრული იყოს ობიექტური ღირებულება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება აუდიტორის მიერ არაფულადი შენატანის შეფასება. იმის

გამო, შენატანი არ შეიძლება არსებობდეს ღირებულების გარეშე, ხოლო ღირებულების შეფასება დამატებითი ხარჯია, ლოგიკურია, რომ ეს ხარჯი გასწიოს სწორედ იმ აქციონერმა, რომელსაც სურს არაფულადი შენატანის განხორციელება.

2.4.2. დამატებითი შენატანი სს-ში და მისგან გამომდინარე პასუხისმგებლობა

იურიდიულ დოგმატიკაში, სს-თან მიმართებით დამატებითი შენატანის საკითხი კონცეპტუალურ პრობლემად განიხილება.[1332] მოკლედ რომ ითქვას, სს-ში კაპიტალის გაზრდის საშუალებაა დამატებითი აქციების გამოშვება, რომელიც არ წარმოშობს აქციონერის ვალდებულებას კვლავ შენატანის გადახდის გზით მოიპოვოს საკუთრება ახალ აქციებზე.[1333] ახალ აქციებზე საკუთრების უფლების მოპოვება და შენატანის გადახდა არის აქციონერის უფლებრივი პრივილეგია, რომელიც საზოგადოების წევრობიდან გამომდინარე ენიჭება. ეს პრივილეგია უპირატესი შესყიდვის უფლების სახით გვევლინება (177-ე მუხლი) და გამორიცხავს პარტნიორის იძულებას შეიტანოს ახალი შენატანი ახალი აქციების სანაცვლოდ. პრინციპში, ეს კონცეპტუალური წინააღმდეგობა საერთოდაც გამორიცხავს აქციების სანაცვლოდ სავალდებულო დამატებითი შენატანის არა მხოლოდ საკანონმდებლო, არამედ სახელშეკრულებო საფუძვლის არსებობასაც. სახელშეკრულებო თავისუფლებისა და სს-ს სპეციალური დისპოზიციურობის პრინციპის ურთიერთქმედებით, შეიძლება საუბარი ორმხრივ ნებაზე (სს-ს და აქციონერის) დაფუძნებულ დამატებითი ქონებრივი ვალდებულების აღებაზე, რაც გავლენას ვერ მოახდენს აქციონერის საკუთრებაში უკვე არსებულ აქციებთან. ნებისმიერ შემთხვევაში, სს-ს მიერ გამოშვებული

1332 ამ საკითხზე ვრცლად იხ.: *ბურდული*, შენატანის განუხორციელებლობის სამართლებრივი შედეგი: უტოპიური შეხედულება სს-დან პარტნიორის გარიცხვის შესახებ, „სამართლის ჟურნალი", №1-2, 2010, 41-53.

1333 ამისგან განსხვავებით, შპს-ში წესდების ერთხმად მიღებული დანაწესის არსებობის შემთხვევაში, პარტნიორთა გადაწყვეტილებით შეიძლება სავალდებულო დამატებითი შენატანების დაკისრება პარტნიორსთვს ისე, რომ მისი თახმობა უშუალოდ ვალდებულების დაკისრებაზე არ მოითხოვება. თუმცა ამის საპირწონედ შპს-ში დადგინდება პარტნიორსთვის საზოგადოებიან გასვლის უფლების მინიჭება, საზოგადოებისგან წილის გამოსყიდვის მოთხოვნის გზით.

ახალი აქციების შეძენა არის აქციონერის უფლება.[1334] ახალი აქციების შეძენისა და შესაბამისი ახალი შენატანის შეტანის თაობაზე აქციონერის ნების არარსებობის შემთხვევაში, აქციონერისთვის დამატებითი სავალდებულო შენატანის დაკისრება ბათილი იქნება. საბოლოო, აქციონერის მიერ წესდებით ან შემდგომი სხვა დამატებითი შეთანხმებით ნებაყოფლობით (იძულებით, აქციონერთა გადაწყვეტილებით ასეთი ვალდებულების დაკისრება გამორიცხულია) აღებული დამატებითი ქონებრივი ვალდებულება ვერ დაკვალიფიცირდება დამატებით შენატანად და მისი შეუსრულებლობა არ გამოიწვევს წილის ჩამორთმევას.

2.5. აქცია, როგორც ფინანსური ინსტრუმენტი და ფასიანი ქაღალდი

როგორც უკვე აღინიშნა, აქციას, როგორც ფინანსურ საშუალებას, აქვს დაფინანსების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტალური ფუნქცია კაპიტალის დიდი რაოდენობით ეფექტური მოზიდვისთვის.[1335] ის, რომ აქცია არსობრივად სწორედ ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოადგენს და ის ისტორიულად ამგვარი სახით წარმოიშვა და განვითარდა, ეჭვგარეშეა.[1336] აქციებით ხდება სააქციო საზოგადოების კაპიტალში განსაზღვრული სტანდარტიზირებული ნაწილების (წილების) არსებობის დამოწმება[1337], რომელთა გარკვეული რაოდენობის ფლობითაც დგინდება პირის მონაწილეობა საზოგადოებაში. ამასთანავე აქცია წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ერთ-ერთ სახეობას, შეიძლება ითქვას ყველაზე გავრცელებულს და მიღებულს, რომლის მოქნილობა ხელს უწყობს ფასიანი ქაღალდების ბაზრებისა და შეიძლება ითქვას გლობალური ეკონომიკის განვითარებას.

თვითონ ტერმინი აქცია შესაძლებელია სამგვარად იყოს

1334 ამ საკითხზე ვრცლად იხ. *ბურდული,* შენატანის განუხორციელებლობის სამართლებრივი შედეგი: უტოპიური შეხედულება სს-დან პარტნიორის გარიცხვის შესახებ, „სამართლის ჟურნალი", №1-2, 2010, 48.

1335 *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 264-265.

1336 *Lavelle,* The Politics of Equity Finance in Emerging Markets, 2004, 28-44.

1337 *Christians (Hrsg.),* Finanzierungshandbuch, 2. Aufl., Gabler Verlag, Wiesbaden. 1988, s.79.

გაგებული: როგორც აქციონერის რეალური მონაწილეობა სააქციო საზოგადოებაში, როგორც დოკუმენტის სახით არსებული ფასიანი ქაღალდი და როგორც წილობრივი მაჩვენებელი, წილი.[1338] კანონით დადგენილ დეფინიციად ზემოაღნიშნულიდან ამ უკანასკნელის ორის კომბინაცია განისაზღვრა - ფასიანი ქაღალდი, რომელიც მიუთითებს პირის მონაწილეობაზე საზოგადოებაში. კორპორაციულსამართლებრივ და ზოგადად სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში, აქციის გასხვისება ნიშნავს არა რომელიმე კონკრეტული ნივთის (მაგალითად, აქციის სერტიფიკატის) გასხვისებას, არამედ სწორედ უფლების.[1339] იგივე აქციის სერტიფიკატიც მხოლოდ და მხოლოდ მატერიალიზებული მოწმობაა, რომელიც ადასტურებს შესაბამისი აქციების - არამატერიალური უფლების - ქონას.

აქციის განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, მისი ფლობის თემას უნდა შევეხოთ. აქციას, როგორც უფლების საგანს, ფლობს პირი, პარტნიორი, თუმცაღა ის შენატანი (ფულადი თუ არაფულადი), რომელიც მან უკვე განახორციელა საზოგადოების საკუთრებად გადაიქცევა. ქონება ოფიციალურად არის სწორედ სააქციო საზოგადოების განკარგულებასა და მფლობელობაში, მას სააქციო საზოგადოების სახელით მართავენ კორპორაციის მმართველი ორგანოები, მაგრამ თვითონ სააქციო საზოგადოებაში აქციებს ანუ ამ საზოგადოების ნაწილებს ფლობენ ცალკეული პირები - საზოგადოების პარტნიორები. სააქციო საზოგადოებაში შენატანის განხორციელებითა და შესაბამისი აქციის მიღებით პირი კარგავს უშუალო უფლებას ქონებაზე და აქციაში გადახდილი საფასურიც დაბრუნებას არ ექვემდებარება. აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აქციონერი იმავე სააქციო საზოგადოებაში ფლობს აქციას, როგორც ფასიან ქაღალდს, სააქციო საზოგადოებაში, თუმცა უშუალოდ ის არ განკარგავს საზოგადოების ქონებას.[1340]

აქციის ფლობის საკითხიდან გამომდინარეობს აგრეთვე

1338 *Hüffer, Koch.*, Aktiengesetz, 12. Aufl.,Verlag C.H.Beck, München, 2016, §1,Rn.13, s.5

1339 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 305.

1340 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 6 სექტემბრის №3კ/859-02 განჩინება.

კითხვაც, შეიძლება თუ არა თვითონ სააქციო საზოგადოება ფლობდეს საკუთარ აქციას. ვინაიდან თვითონ სააქციო საზოგადოებაში მონაწილეობა მთლიანად ამ აქციებში არის გამოხატული, მხატვრულად რომ ვთქვათ შედგება ამ „აგურებისაგან", რომლისგანაც საბოლოო ჯამში ვიღებთ სააქციო საზოგადოების „სახლს", უფრო იოლი გასაგები გახდება, თუ რამდენად პრობლემატური იყო ეს კითხვა. ისტორიულად ამ კითხვაზე პასუხი ხშირად უარყოფითი იყო მრავალი ობიექტური მიზეზის გამო, რომელთაგან თაღლითობისა და კრედიტორების შეცდომაში შეყვანის საშიშროება პირველ ადგილს იკავებდა: თუ ასეთ აქციებს განათავსებდა და შეიძენდა თვითონ კორპორაცია, ასეთი ცირკულარული გარიგება გარეგნულად მიუთითებდა საზოგადოების მხრიდან ზრდასა და ილუზორულ ნარმატებაზე იმ დროს, როდესაც რეალურად ასეთი აქციების შესყიდვას თვითონ საზოგადოება ახორციელებდა და შენატანის სახით კორპორაციაში არანაირი ხელშესახები, რეალური ოდენობა არ შედიოდა.[1341] ამდენად სააქციო საზოგადოების მიერ საკუთარი აქციის ფლობა მიიჩნეოდა არაბუნებრივად, შეუსაბამოდ, რომ არ შეიძლებოდა საზოგადოება ყოფილიყო საკუთარი თავის წევრი, მონაწილეობა მიეღო საკუთარ ქონებაშივე და შენატანით ყოფილიყო საკუთარი თავის მოვალე.[1342]

დღესდღეობით ასეთი შეზღუდვები გარკვეულწილად შემსუბუქებულია. საქართველოშიც მეწარმეთა შესახებ კანონიც უშვებს სააქციო საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების შეძენისა და გასხვისების შესაძლებლობას, თუმცა გარკვეულწილად იზიარებს რა იმ საფრთხეებს, რაც შეიძლება მოჰყვეს სააქციო საზოგადოების მმართველი ორგანოების მხრიდან აღნიშნულის ბოროტად გამოყენებას. პრაქტიკაში, მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც სააქციო საზოგადოებას გამოშვებული აქციების უკან გამოსყიდვა სურს აქციონერებისგან, რადგან ასეთ აქციებზე მომავალში დივიდენდის გაცემის ვალდებულება აღარ იქნება ან როდესაც ფინანსური თვალსაზრისით ასეთი აქციები უკვე მომგებიანი

1341 *Dine, Koutsias,* Company Law, 8th ed., 2014, 104.

1342 *ჯულელი,* კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, 2016, 39.

აღარ არის.[1343] შესაბამისად, თვითონ სააქციო საზოგადოება გამოისყიდის ამ აქციებს და სამართლებრივი თვალსაზრისით, ის, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ეღერდეს, მისივე მფლობელი იქნება. ამავდროულად ასეთი გამოსყიდვის დროს მოქმედებს მთელ რიგი შეზღუდვებიც, რომ თავიდან იქნას აცილებული რაიმე თაღლითური მოქმედება.

მაგალითად, საზოგადოებას საკუთარი აქციებიდან აქციონერის უფლებები (უნდა ვიგულისხმოთ როგორც ქონებრივი, ასევე მმართველობითი) არ წარმოეშობა,[1344] რაც გასაგებიცაა, რადგან რთული წარმოსადგენი იქნებოდა პრაქტიკაში მათი გამოყენება როგორ იქნებოდა შესაძლებელი. ამგვარი შეზღუდვით სააქციო საზოგადოებას ამ საკუთარ საკუთრებაში არსებული აქციების მხოლოდ გარკვეული მიზნებისათვის გამოყენება შეუძლია: აქციათა გამოსყიდვის შესახებ კრების გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გამოსყიდული აქციები უნდა აკმაყოფილებდნენ მთელ რიგ მოთხოვნებს, რომელთა საბოლოო დანიშნულებაც არის ის, რომ თავიდან იქნას აცილებული რაიმე უკანონობა ან თაღლითობა და სააქციო საზოგადოების კრედიტორები არ დაზარალდნენ.[1345]

აქცია არის საკმაოდ მოქნილი ფინანსური მექანიზმი, რომლის როგორც დანაწევრება, ასევე კონსოლიდაციაც და შეკრებაც შეიძლება, ბუნებრივია ნომინალურ ღირებულებასა და რაოდენობაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებასთან ერთად. ასეთი ცვლილება სააქციო საზოგადოების კაპიტალის სტრუქტურაში უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ საფრთხე არ დაემუქროს და არ შეილახოს არსებულ აქციონერთა უფლებები. შესაძლებელია ასეთი აქცია რამდენიმე პირის თანასაკუთრებასაც წარმოადგენდეს და

1343 *Schneeman*, The Law of Corporations and Other Business Organizations, 5th ed., 2010, 409.

1344 კანონის 161-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

1345 ამ შეზღუდვებიდან აღსანიშნავია გამოსყიდული აქციების უკვე აღნიშნული ლიმიტი - არაუმეტეს განთავსებული აქციების ნომინალური ღირებულების მეოთხედისა, ასევე ისიც, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თუ საზოგადოება გადახდისუუნაროა ან დადგება ამ საშიშროების წინაშე, მაშინ ასეთი გამოსყიდვა საერთოდ აკრძალულია. ასეთი გამოსყიდული აქციები საბოლოო ჯამში უნდა გაუქმდეს, ხოლო შეძენილზე კი უფლებების მოქმედება შეწყდეს. კანონი ასევე ითვალისწინებს სანქციასაც მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში.

ითვალისწინებდეს მთელ რიგ უფლებებს, თუმცა როგორც კანონით, ასევე პრაქტიკით დადგენილია გარკვეული ფარგლები, რომელსაც პარტნიორებს ვერ გადასცდებინ.

აქციას შესაძლოა ჰქონდეს ნომინალური ღირებულება, რომელიც წესდებაში იქნება მითითებული[1346] ან იყოს ამგვარი ნომინალური ღირებულების გარეშე.[1347] ნომინალური ღირებულების დადგენით უზრუნველყოფილია ყველა აქციონერისგან თანაბარი შენატანების განხორციელება, რამდენადაც ისინი გამოხატულნი იქნებიან კონკრეტულ სავალუტო ერთეულში და ასევე ამგვარი ღირებულების დადგენით მყარდება თვით კორპორაციის კაპიტალიც, რომელზედაც დაყრდნობა და ორიენტაცია სააქციო საზოგადოების კრედიტორებს შეუძლიათ.[1348] ამგვარი დაწესებული ნომინალური ღირებულება მიუთითებს თვითონ სს-ში (და ზოგადად კაპიტალურ საზოგადოებაში) დივიდენდების გასაცემ პოლიტიკაზეც.[1349] ნომინალური ღირებულება ყველა კლასის აქციისათვის უნდა იყოს ერთი და იგივე, რადგანაც, როგორც ქვემოთ იქნება აღნიშნული, აქციათა კლასი წარმოადგენს იდენტური უფლებებისა და მოვალეობების მიმანიჭებელი აქციების ერთობლიობას. უმეტეს შემთხვევაში ნომინალური ღირებულება საკუთარ სახელს ამართლებს - რეგისტრირებული ღირებულება რეალურ საბაზრო ღირებულებას არ ემთხვევა.[1350] ნომინალური ღირებულების მიზანს არც წარმოადგენს რაიმე მყარი, უცვლელი ღირებულების დადგენა. მისი ფუნქცია არის იმ საბაზისო ნიშნულის განსაზღვრა, რომელზე ნაკლებად აქციის გამოშვება დაუშვებელია[1351]

ამავდროულად შესაძლებელია აქციას არც გააჩნდეს ნომინალური ღირებულება და მაგალითად, ცალობითი სახით

1346 კანონის 154-ე მუხლი.

1347 იქვე, 155-ე მუხლი.

1348 *Schneeman,* The Law of Corporations and Other Business Organizations, 5th ed., 2010, 403.

1349 *მახარობლიშვილი,* სააქციო საზოგადოების ძირითადი სტრუქტურული ელემენტები, წიგნში: საკორპორაციო სამართლის კრებული, ტომი II, 2014, 105.

1350 *ჭანტურია, ნინიძე,* მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოც., 2002, 338.

1351 კანონის 154-ე მუხლი. იხ.: *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 283-286.

იყოს წარმოდგენილი. ცალობითი აქცია წარმოადგენს ნომინალური ღირებულების არმქონე აქციის ერთ-ერთ სახეობას.[1352] ამგვარ აქციას საკუთარი ღირებულება აქვს, მაგრამ ის წესდებით დადგენილი ნომინალური ღირებულება არ არის. ცალობითი აქციების ღირებულება დამოკიდებული იქნება, ერთის მხრივ, განთავსებულ კაპიტალზე და მეორეს მხრივ, ცალობითი აქციების რაოდენობაზე. მაგალითად, თუ გამოშვებულია 50 ცალობითი აქცია და განთავსებული კაპიტალი 200 000 ლარს შეადგენს, მაშინ მიუხედავად ნომინალური ღირებულების არქონისა, ასეთი აქციის ფასი იქნება 4 000 ლარი, რომელიც, რა თქმა უნდა, ასევე დაექვემდებარება კაპიტალის ბაზარზე ცვლილებებს.[1353]

2.5.1. აქციათა ტიპები

ტიპოლოგიური კლასიფიცირებისას განსხვავებული უნდა იყოს აქციათა სახეები (ტიპები) და კლასები. დღესდღეობით ქართული საკორპორაციო სამართალი მხოლოდ ერთი სახის (ტიპის) აქციას - სახელობითს იცნობს. მეწარმეთა შესახებ წინა კანონი 1994-1999 წლებში იცნობდა ასევე საწარმდგენლო (წარმომდგენის) აქციებსაც. მას დიდი ხნით არსებობა არ ეწერა: 1999 წელს შეტანილი ცვლილებების შედეგად საწარმდგენლო აქციის შესახებ დებულება ამოღებულ იქნა,[1354] გარკვეული ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო. მეწარმეთა შესახებ დღევანდელი კანონიც აქციას განმარტავს მხოლოდ როგორც „*სახელობით* ფასიან ქაღალდს" და არ უშვებს საწარმდგენლო აქციებს. საწარმდგენლო აქციები ჯერ კიდევ არსებობს ბევრ სხვა იურისდიქციაში, როგორიცაა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა,[1355] თუმცა

1352 იქვე, 264-265.

1353 ნომინალური და არანომინალური ღირებულების მქონე აქციების შესახებ იმავე გერმანულ სამართალში იხილეთ: *Schulz, Wasmeier,* The Law of Business Organizations. A Concise Overview of German Corporate Law, Springer Verlag, Berlin, 2012, 55-56. *Tegen, Heidinger, Reul, Tersteegen,* Unternehmensrecht: Handelsrecht, Gesellschaftsrecht, Umwandlungsrecht, Unternehmenssteuer, Arbeitsrecht, Verlag Vahlen, München, 2009, 269.

1354 *ჯანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოც., 2002, 329-330

1355 *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 298.

იქაც ისინი მკაცრად არიან რეგულირებულნი. სხვადასხვა მიზეზის გამო, რომლის შესახებაც დაწვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი, საწარმდგენლო აქციები ნაკლებად გამოიყენება დღევანდელი კაპიტალის ბაზრის ტრანზაქციებში და უპირატესობა სწორედ სახელობით აქციებს ენიჭება.

ა.) საწარმდგენლო (წარმომდგენის) აქცია

საწარმდგენლო (წარმომდგენის) აქციაზე მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი ტიპის აქციას არ აღენიშნება ვინაობა და მისი გამოყენების უფლება აბსოლუტურად ყველას აქვს, ვინც მას ფლობს. ეს უკიდურესად ამარტივებს აღნიშნული აქციის ბრუნვაუნარიანობას.[1356] საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის კლასიკური მაგალითი არის ფული, რომელსაც არ აღენიშნება მისი მფლობელის კონკრეტული ვინაობა და რომელიც ნებისმიერ პირს უფლებას აძლევს, შეიძინოს ასე თუ ის ქონება ყოველგვარი შეფერხების გარეშე.[1357] საწარმდგენლო შეიძლება იყოს ასევე იყოს არა მარტო აქციებიც, არამედ სხვა ფასიანი ქაღალდებიც მაგალითად, არაგარანტირებული სასესხო ობლიგაციები,[1358] რომელიც ასევე სრული ანონიმურობით ხასიათდება. საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდებით შესაძლებელი არის მზარდი მოცულობის ფინანსური ოპერაციების სწრაფად განხორციელება, რაც ძირითადად განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებისათვის არის რელევანტური. საფიქრებელია, რომ იმავე ფულისგან განსხვავებით, საწარმდგენლო აქციების გამოყენების მასშტაბი საქართველოს რეალობაში ძალიან მწირი იყო,[1359] რამაც ნაწილობრივ გამოიწვია მისი, როგორც აქციის ტიპის გაუქმება. თუმცა ასევე არსებობს სხვა მიზეზები, რომლებიც არა მარტო საქართველოში, არამედ ზოგადად მსოფლიოს

1356 *ჭანტურია, ნინიძე,* მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოც., 2002, 329-330.

1357 იხ. მაგალითად, *ბურდული,* ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში (განსაკუთრებით მისი ჩამოყალიბების პროცესში ქართული და ავსტრიული სამართლის მაგალითზე), სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, 2008, 144-145.

1358 *Wild, Weinstein,* Smith and Keenan's Company Law, 17th ed, 2016, 390.

1359 *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 299.

მასშტაბით საწარმდგენლო აქციების მიმართ მზარდ სკეპტიციზმსა და ეჭვებს განაპირობებს.

თუ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში საწარმდგენლო აქციები წარმოადგენდა მოქნილ და გავრცელებულ კორპორაციულ ფინანსურ ინსტრუმენტს (განსაკუთრებით იმავე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში), დღესდღეობით მათი პოპულარობა დაცემულია მეტწილად იმავე მიზეზების გამო, რის გამოც ისინი თავდაპირველად გავრცელდნენ. მათი სრული ანონიმურობა და ტრანზაქციების განხორციელების სისწრაფე იწვევს გაუმჭვირვალობის საშიშროებას და შესაძლებელი ხდება მათი გამოყენება უკანონო მიზნებისათვის, როგორიცაა გადასახადების გადახდისგან თავის არიდება და ფულის გათეთრება.[1360] ამ მიზეზით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის *(OECD)* საგადასახადო მიზნებისათვის ინფორმაციის გამჭირვალობისა და გაცვლის გლობალური ფორუმის *(FATF)* 24-ე რეკომენდაცია იძლევა რჩევას, რომ არსებობდეს ეფექტური ზომები ამგვარი აქციების საშუალებით ფულის გათეთრებისა და არალეგალური დაფინანსების თავიდან აცილებისათვის.[1361] ბევრი ქვეყანა დღესდღეობით ასევე ან საერთოდ აუქმებს ამგვარი ტიპის აქციას ან მათ მიმართ მკაცრ რეგულაციებს განსაზღვრავს.[1362] საქართველოც დღესდღეობით განეკუთვნება იმ ქვეყნებს, რომელიც არ უშვებს საწარმდგენლო აქციებს და საბაზრო-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით არც აღნიშნულის საჭიროებას განიცდის.

ბ.) სახელობითი აქცია

როგორც აღინიშნა, 1999 წლის შემდეგ საქართველოს რე-

1360 Behind the Corporates Veil: using Corporate Entities for Illicit Purposes, OECD Report, 2001, 29-31, <https://www.oecd.org/daf/ca/43703185.pdf>.

1361 <http://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/recommendations/pdfs/FATF%20Recommendations%202012.pdf>.

1362 მაგალითად, 2019 წლის 21 ივნისადან შვეიცარიის კონფედერაციის ფედერალური აქტით აიკრძალა საწარმდგენლო აქციების გამოშვება და დადგინდა არსებული საწარმდგენლო აქციების სახელობით (რეგისტრირებულ) აქციებად კონვერტირების ვალდებულება.
იხ.: <https://www.mondaq.com/shareholders/826372/swiss-bearer-shares-no-longer>.

ალობაში მხოლოდ სახელობითი აქციის ტიპი არსებობს. სახელობით აქციას (ან უფრო სწორად რომ ვთქვათ აქციის სერტიფიკატს) თვით სახელწოდებიდან გამომდინარე მითითებული აქვს მისი მფლობელის ვინაობა. აქციის სერტიფიკატს უკანა ნაწილზე აღენიშნება სწორედ ამ მფლობელის ვინაობა და ამ წარწერას ინდოსამენტი[1363] ეწოდება.[1364] გარდა ამისა, სახელობითი ტიპის აქცია დაკავშირებული არის რეგისტრაციასთან, რადგან მხოლოდ და მხოლოდ აქციის სერტიფიკატზე მისი მფლობელის ვინაობის აღნიშვნა ამგვარი სახის აქციაზე უფლებამოსილი პირის დადგენისათვის არასაკმარისად უნდა იყოს მიჩნეული. სწორედ აქციათა რეესტრში მითითება და რეგისტრაცია ზოგადად პირდაპირ წარმოშობს აქციის მფლობელობიდან გამომდინარე ქონებრივ თუ მმართველობით უფლებებს.[1365]

სახელობითი აქციის შეძენა-გაყიდვის შემთხვევა განსხვავდება იმავე საწარმდგენლო აქციის გასხვისებისაგან, რადგან ამ სახელობითი აქციის მოწმობაზე (სერტიფიკატზე) აღნიშნულია მისი მფლობელი პირი და ის, დიდი ალბათობით, რეესტრშიც არის მითითებული. რადგანაც აქცია არსობრივად უფლებაა და არა რაიმე მატერიალური ნივთი, მხოლოდ და მხოლოდ ამ უფლების დათმობა საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ სახელობით აქციას ახალი მფლობელი ჰყავდეს. საკითხი იმის თაობაზე, საკმარისია თუ არა მხოლოდ ეს გარიგება თვით აქციის სერტიფიკატების გადაცემის გარეშე, ლიტერატურაში გარკვეულწილად სადავოა, თუმცა თვით ამ

1363 იტალიურიდან *in dosso* რაც ნიშნავს „ზურგზე, უკან". ამ სიტყვის ფუძე ლათინურიდან მომდინარეობს.

1364 *ქანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოც., 2002, 322. ინდოსამენტებით საორდერო ფასიან ქაღალდებზე ასევე შეიძლება იყოს აღნიშნული მფლობელის გარდა სხვა უფლებამოსილი პირის სახელიც. იხ: *ზარნაძე,* ფასიანი ქაღალდების ცნება და მათი კლასიფიკაცია, ნიგნში: პროფესორ ზურაბ ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული - 70, 2004, 96.

1365 *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 303. თუმცა აღნიშნული მოსაზრება საყოველთაოდ გაზიარებული არ არის. იხ. იქვე. აქვე უნდა აღინიშნოს რომ ინგლისურენოვან სივრცეში სახელობით აქციებს "*registered share*" ანუ სწორედ "რეგისტრირებულ აქციებს" უწოდებენ, რაც კიდევ ხაზს უსვამს სახელობითი აქციის კავშირს მის რეესტრში შეტანასთან. იხ.: *Cahn, Donald,* Comparative Company Law: Text and Cases on the Laws Governing Corporations in Germany, the UK and the USA, 2017, 268.

გარიგების ცენტრალურ ადგილს არავინ უარყოფს.[1366]

სახელობითი აქცია იმავე საწარმდგენლო აქციასთან შედარებით ნაკლებად მოქნილია და ბუნებრივია, არც ანონიმური, თუმცა იძლევა უსაფრთხოებისა და მდგრადობის გარანტიას, რაც საკორპორაციო-სამართლებრივ სივრცეში არანაკლებ მნიშვნელოვანია. რეესტრში შეტანაც წარმოადგენს მარტივ და მისაღებ მეთოდს, რომელიც სტაბილურობასა და გაუგებრობის თავიდან აცილებას უზრუნველყოფს. ამ უპირატესობათა გამო და ასევე იმ საშიშროებათა მიზეზით, რომელიც შესაძლოა მოჰყვეს ანონიმური საწარმდგენლო აქციების გავრცელებას, სახელობითი აქციები დღევანდელ საკორპორაციო სამართალში აქციის სტანდარტულ (თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, არა ერთადერთ) არჩევანად მიიჩნევა.სახელობითი აქცია იცავს კარგ ბალანსს როგორც ერთის მხრივ ბრუნვაუნარიანობისა და მოქნილობის საკმარისი დონის უზრუნველყოფასა და მეორეს მხრივ უკანონობისა და თაღლითობის თავის აცილებას შორის, რაც მის ფართო მიმოქცევასა და გამოყენებას განაპირობებს.

2.5.2. აქციათა კლასები

როგორც უკვე ითქვა, აქცია არსობრივად უკავშირდება წევრობის უფლებას და ერთნაირი უფლების განმტკიცებელი აქციების სახეობას კლასი ეწოდება.[1367] სხვადასხვა კლასის აქციის არსებობით სააქციო საზოგადოებას ეძლევა შესაძლებლობა ასევე სხვადასხვა სახის ინვესტორიც მოიზიდოს, რომელთა ინტერესებიც შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს.[1368] ამგვარი დივერსიფიკაცია, განსაკუთრებით კი დიდი კაპიტალის მოსაზიდად განკუთვნილ ღია სააქციო საზოგადოებაში, აძლიერებს ეკონომიკური სინერგიის ეფექტს.

სააქციო საზოგადოებაში პარტნიორებს საერთო კრების საშუალებით აქციათა კლასების შექმნის სრული თავისუფლება აქვს. შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს მრა-

1366 იხ. *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 306-309.

1367 *Cahn, Donald*, Comparative Company Law: Text and Cases on the Laws Governing Corporations in Germany, the UK and the USA, 2017, 267. იხ. ასევე *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 328.

1368 *Dine, Koutsias*, Company Law, 8th ed., 2014, 67.

ვალი კომბინაცია, თუმცა სამართლებრივად მხოლოდ მათი ყველაზე გავრცელებული სახეების მოწესრიგება არის შესაძლებელი. მეწარმეთა შესახებ 2021 წლის კანონი წინა კანონის მსგავსად და საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, აღნიშნავს და არეგულირებს ორ ძირითად კლასს: აქცია შესაძლოა იყოს ჩვეულებრივი ან პრივილიგირებული.[1369] ამ აქციათა ორი კლასის უკეთესად გასაგებად საჭიროა მათი ძირითადი ფუნქციური დატვირთვისთვის ხაზგასმა.

ა.) ჩვეულებრივი აქცია

ჩვეულებრივი აქციის უკეთ აღსაქმელად ის უმჯობესია შედარდეს პრივილეგირებულ აქციასთან, რის საშუალებითაც უფრო მარტივად შეიძლება ამგვარი „სტანდარტული" სახის აქციის მთავარი დამახასიათებელი ნიშნების გამოკვეთა.[1370] ჩვეულებრივი კლასის აქცია იძლევა როგორც ხმის, ასევე მოგების მიღების უფლებას, იმ დროს, როდესაც პრივილიგირებული აქცია მხოლოდ უკანასკნელის უფლებას იძლევა, ოღონდ უფრო შეღავათიანი პირობებით.

ჩვეულებრივი აქცია წარმოადგენს აქციის „სტანდარტულ" სახეს, რომელიც თითო აქციაზე თითო ხმის უფლებას იძლევა და ასევე საშუალებას იძლევს მის მფლობელს მიიღოს დივიდენდი, თუმცა აღნიშნული არ არის რაიმე განსაზღვრული ოდენობა და საზოგადოებაში პრივილეგირებული აქციების არსებობისას, ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდი მხოლოდ მოგების არსებობისა და ამ პრივილეგირებული აქციონერების დაკმაყოფილების შემდეგ შეიძლება რომ განაწილდეს.[1371]

მიუხედავად იმისა, რომ დივიდენდის მიღება ჩვეულებრივი აქციის შემთხვევაში შესაძლებელია ნაკლებად უზრუნველყოფილი იყოს, ჩვეულებრივი აქციების ხმის უფლება საშუალებას აძლევს აქციონერს ზეგავლენა მოახდინოს სააქციო საზოგადოების მმართველობაზე, რასაც პრივილეგირებული აქციების მფლობელი, როგორც წესი, მოკლებულია. ჩვეულე-

1369 კანონის 158-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1370 *Wild, Weinstein,* Smith and Keenan's Company Law, 17th ed, 2016, 296.

1371 *Gullifer, Payne,* Corporate Finance Law: Principles and Policy, 3rd ed., 2020, 64-66.

ბრივი აქციის მქონე აქციონერებს, ბუნებრივია, უნდა ჰქონდეთ იდენტური უფლებები და ვალდებულებები, რაც პირდაპირ აქციის კლასის ცნებიდან გამომდინარეობს, თუმცა პარტნიორებს სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ კლასების სხვადასხვა კომბინაციებით მიაღწიონ ამ აქციების მინიჭებული უფლებების დივერსიფიცირებას.[1372]

ამგვარი დიქტომია საწარმოში პარტნიორთა მმართველობით და ქონებრივ უფლებებს შორის წინამდებარე სახელმძღვანელოში მანამდეც იყო ნაწილობრივ ნაჩვენები კომანდიტური საზოგადოებაში. კომანდიტი პარტნიორი მმართველობაში არ მონაწილეობს, გამოდის ძირითადად გარე ინვესტორის როლში და კომპლემენტარებისგან განსხვავებით სარგებლობს შეზღუდული პასუხისმგებლობის პრივილეგიით (ქონებრივი სფერო). გარკვეული პარალელების გავლება შეიძლება აქ პრივილეგირებული აქციების მფლობელთან, რომელიც ასევე, როგორც წესი, არ მონაწილეობს საზოგადოების მართვაში, რადგან არ აქვს ხმის უფლება და სარგებლობს დივიდენდის მიღების შეღავათიანი პირობებით (ასევე ქონებრივი სფერო). რა თქმა უნდა, ეს ანალოგია მხოლოდ ძალიან განზოგადებული ფორმით თუ შეიძლება რომ სწორად ჩაითვალოს: კომანდიტი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, იმ დროს როდესაც აქცია წარმოადგენს უფლების საგანს. ამავდროულად ორივე შემთხვევაში შესაძლებელია წესდებით სრულიად განსხვავებული დანაწესებიც იყოს გათვალისწინებული.

იძლევა რა როგორც ხმის, ასევე დივიდენდის გაცემის უფლებას, ჩვეულებრივი აქცია ასევე გარკვეულწილად საფრთხის შემცველიც არის. იმავე პრივილეგირებული აქციისგან განსხვავებით, რომელიც თუმცაღა კი თმობს ხმის უფლებას დივიდენდის მიღების უფრო მაღალი გარანტიების სანაცვლოდ, ჩვეულებრივი აქციის შემთხვევაში პრაქტიკაში აღნიშნული დივიდენდების მიღება უფრო პრობლემატურია და

1372 ამერიკულ საკორპორაციო სამართალში აღნიშნული მიიღწევა ჩვეულებრივი აქციების (*common stock*) ანბანური ასოებით აღნიშნულ (A, B, C) ქვეკლასებად დაყოფით. იხ: *Schneeman*, The Law of Corporations and Other Business Organizations, 5th ed., 2009, 399. *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 345-346.

ჩვეულებრივი აქციონერი საკუთარი აქტივების დაკარგვის უფრო დიდი საფრთხის ქვეშ დგას.[1373]

ბ.) პრივილეგირებული აქცია

პრივილეგირებული აქცია ჩვეულებრივი აქციისგან განსხვავებით იძლევა მარტო დივიდენდის მიღების და არა ხმის უფლებას. მარტივ შეკითხვას იმის თაობაზე, თუ კერძოდ რაში გამოიხატება პრივილიგირებული აქციის „პრივილიგირებულობა", თუ კი მას ხმის უფლება არ გააჩნია, პასუხობს მენარმეთა შესახებ კანონი,[1374] რომელიც ადგენს რომ პრივილეგირებული აქციის მფლობელი სარგებლობს უპირატესობით როგორც აქციის განაკვეთის, ასევე მისი მიღების რიგითობის მხრივ. რეალურად ამგვარი აქციის „პრივილეგირებული" ბუნება იმდენად მნიშვნელოვანია და იმდენად ზეგავლენას ახდენს კორპორაციული დივიდენდების განაწილებაზე, რომ მისი რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს განთავსებული აქციების ნახევარს. პრივილეგირებული აქცია მის მფლობელს, როგორც წესი, გადასცემს უფლებას, დივიდენდი უფრო სარგებლიანი განაკვეთით მიიღოს ჩვეულებრივი აქციის მფლობელ პარტნიორამდე. ხმის უფლების არქონის გამო იგი ძირითადად სწორედ ამ ქონებრივი სფეროთი შემოიფარგლება და ზეგავლენას არ ახდენს კორპორაციულ მმართველობაზე.

აქციის „პრივილეგირებულებამ" და აქციათა „პრივილეგირებული" კლასის არსებობამ არ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში და აღნიშნული არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას გაგებული იმგვარად, თითქოს ადგილი აქვს აქციონერთა თანასწორუფლებიანობის ფუნდამენტური საკორპორაციოსამართლებრივი პრინციპის დარღვევას. აქციის „პრივილეგირებული" ხასიათი არ ნიშნავს იმას, რომ სამართლებრივად მისი მფლობელი რაიმე სახით უფრო მაღლა დგას სხვა აქციონერებზე.[1375] სააქციო სამართალში მყარად არის განმტკიცებუ-

---

1373 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 337-338.

1374 კანონის 158-ე მუხლის მეორე პუნქტი.

1375 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 2010, 330.

ლი აქციონერთა თანაბარი მოპყრობის პრინციპი,[1376] რომლის საწყისი წყარო კონსტიტუციური ხასიათისაა.[1377] თუ პრივილეგირებული აქციის მიმართ ან წესდებით ან/და კანონით არ არის გათვალისწინებული რაიმე უპირატესობა ან/და დამატებითი უფლება უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთი უპირატესობა აქციათა ამ კლასს არ აქვს. შესაბამისად პარტნიორებმა წესდებით ზუსტად და ამომწურავად უნდა განსაზღვრონ პრივილეგირებულ აქციებთან მიმართებაში მოქმედი დებულებანი და პირდაპირ აღნიშნონ აქციათა რომელიმე კლასის პრიორიტეტული პოზიცია.[1378]

პრივილეგირებული აქცია ასევე არ უნდა იყოს გაგებული იმგვარადაც, თითქოს ის დივიდენდის მიღების გარანტიას იძლევიან - იმისათვის რომ ასეთი დივიდენდი საერთოდ იყოს გაცემული საწარმოს მიერ, სამეურნეო წლის ბოლოს უნდა დაფიქსირდეს მოგება გასანაწილებად და დივიდენდის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული საერთო კრების მიერ.[1379] თუ მოგება არ დაფიქსირდება, პრივილეგირებული აქციონერი მოგებას ან არ მიღებს ან მიუღებელი მოგება აკუმულირდება და შემდეგ იქნება გაცემული.

ვინაიდან პრივილეგირებულ აქციათა მფლობელების „განსაკუთრებული" უფლებები[1380] წესდებით არის განსაზღვრული, ლოგიკური შეკითხვა ისმის, თუ რა მასშტაბით და როგორ სიტუაციებში შეუძლიათ ამ აქციათა მფლობელებს ამგვარი მოთხოვნების დაყენება. მეტად საჩოთიროა შეკითხვა მაგალითად იმის თაობაზე, უფლება აქვს თუ არა პრივილეგირებული აქციებს მფლობელს საწარმოს არსებობის შეწყვეტის შემთხვევაშიც კი დივიდენდი უკეთესი განაკვეთით მიიღოს. დღევანდელი კანონით განსაზღვრულია რომ, თუ წესდებით სხვა რამ არ არის აღნიშნული, საწარმოს დაშლის შემთხვევაშიც კი პრივილეგირებული აქციის მფლობელი მართლაც

1376 გერმ. *Gleichbehandlung*. იქვე, 330-331.

1377 საქართველოს შემთხვევაში, კონსტიტუციის მე-11 მუხლი (თანასწორობის უფლება).

1378 *Gullifer, Payne,* Corporate Finance Law: Principles and Policy, 3rd ed., 2020, 67.

1379 *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოც., 2002, 332. იხ. ასევე კანონის 181-ე მუხლი.

1380 ყოველ შემთხვევაში, „განსაკუთრებული" დივიდენდის მიღებასთან მიმართებაში.

იღებს დივიდენდს უკეთესი განაკვეთითა ან/და უპირატესი რიგითობით,[1381] თუმცა აღნიშნული მიდგომა იურიდიულ დოქტრინაში საყოველთაოდ გაზიარებული არ არის.[1382]

ამასთანავე კითხვა ისმევა ასეთი აქციებიდან დაგროვებული დივიდენდის კუმულაციურ გადახდაზეც, რომელიც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული. გაბატონებული მოსაზრებით პრივილეგირებული დივიდენდი კუმულაციურია ანუ წინა წლების დავალიანებანი სრულად უნდა იყოს გადახდილი ჩვეულებრივი აქციის მფლობელთათვის დივიდენდის გაცემამდე.[1383] ბუნებრივია, აღნიშნული შესაძლებელია უარყოფითად აისახოს ჩვეულებრივი აქციების მფლობელებზე, რადგან რამდენიმე წლის კუმულაციური დივიდენდის გაცემით დივიდენდი აღარც დარჩება. ამასთანავე არსებობს პრეზუმფცია, რომ საწარმოს დაშლის შემთხვევაში გამოუყენებელ კუმულაციურ მოგებაზე პრივილეგირებული აქციის მფლობელებს უფლება აღარ აქვთ, თუ აღნიშნულს პირდაპირ არ გაითვალისწინებს წესდება.[1384]

პრივილეგირებული აქციების მოქმედება იმ შემთხვევებზეც ვრცელდება, როდესაც საწარმო იშლება და არსებობას წყვეტს. საწარმოს დაშლის შემთხვევაშიც პრივილეგირებული აქციის მფლობელი იღებს დივიდენდს უკეთესი განაკვეთითა ან/და უპირატესი რიგითობით.[1385]

გ.) სხვა კლასის აქციები

გარდა ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციებისა, პარტნიორებმა შესაძლოა გაითვალისწინონ სხვა კლასის აქციების კომბინაციებიც, რაშიც ისინი ხშირად მხოლოდ თავიანთი ფანტაზიით არიან შეზღუდულნი.[1386] კანონის დისპოზი-

---

1381 კანონის 158-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

1382 აღნიშნული პრობლემის შესახებ იხ. *Pickering*, The Problem of the Preference Share, The Modern Law Review, Vol. 26, №5, 1963. 499-519.

1383 *Dine, Koutsias*, Company Law, 8th ed., 2014, 69.

1384 *Gullifer, Payne*, Corporate Finance Law: Principles and Policy, 3rd ed., 2020, 68.

1385 კანონის 158-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

1386 იქვე, 158-ე მუხლის მე-4 პუნქტი. რა თქმა უნდა, სხვა კლასის აქციების შექმნისას არ უნდა დაირღვეს კანონისა და სამართლიანობის ზოგადი მოთხოვნები, ასევე ზოგადი სამოქალაქოსამართლებრივი პრინციპები.

ციურ ნორმაში კონკრეტულად არაა მითითება იმაზე, თუ რა სახის შეიძლება იყოს ასეთი აქციები, რაც კერძოსამართლებრივი ურთიერთობების კომპლექსურობიდან გამომდინარე გასაგებიცაა. განვითარებულ ეკონომიკურ და ბიზნესგარემოში სრულიად შესაძლებელია რომ მარტო ორი კლასის აქცია არასაკმარისი აღმოჩნდეს და შეიქმნას სხვა ფინანსური ინსტრუმენტები, რომელიც საშუალებას მისცემს პარტნიორებს ბაზრის მოთხოვნებს უფრო ეფექტურად და მოქნილად უპასუხონ.

პრაქტიკაში არსებობს ე.წ. ჰიბრიდული აქციების კატეგორია, რომლითაც პარტნიორები ცდილობენ აქციიდან გამომდინარე ქონებრივი და მმართველობითი უფლებების ზუსტი და საჭირო კომბინაციის შექმნას. ხშირად ამგვარი ჰიბრიდული აქციების კონვერტირების საშუალებასაც არსებობს, მაგალითად, როდესაც პრივილეგირებული აქციები შესაძლოა კონვერტირებულ იყოს ჩვეულებრივ აქციებში ან პირიქით.[1387] აგრეთვე შესაძლებელია კომპანიის მიერ გათვალისწინებული იყოს გამოსყიდვადი პრივილეგირებული აქციები ან აქციები, რომელთაც ხმის დამატებით უფლებები აქვთ იმავე ჩვეულებრივ აქციებთან შედარებით ან ისეთ აქციებს რომლებიც პრივილეგირებული აქციების ფაქტობრივად დიამეტრულად საპირისპირონი - ითვალისწინებენ რა დივიდენდის მიღებას მხოლოდ ჩვეულებრივ აქციებზე მისი გაცემის შემდეგ, სანაცვლოდ იძლევიან ხმის დამატებითი უფლებებს.[1388]

როგორც აქციათა კლასების „კლასიკური" მაგალითები (ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციები), ასევე პარტნიორების მიერ განსაზღვრული კლასის აქციები, საბოლოო ჯამში იქნებიან ქონებრივი და მმართველობითი უფლებების მომანიჭებელი სხვადასხვა კომბინაციები. რა თქმა უნდა, არ

1387 მაგალითად იმავე გერმანიის სააქციო საზოგადოების შესახებ კანონში (AKtG), 134-ე პარაგრაფის პირველი პუნქტი ითვალისწინებს აქციებს ხმის შეზღუდული უფლებით (*Aktien mit beschränktem Stimmrecht).*

1388 მაგალითად, მმართველობითი აქციები (*management shares*), რომლებიც ჩვეულებრივ აქციებთან შედარებით, ხმის დამატებით უფლებებს იძლევიან ან ე.წ. გადატანილი აქციები (*deferred shares*), რომლებიც დივიდენდის მიღებას რიგითობით მხოლოდ ჩვეულებრივი აქციების შემდეგ ითვალისწინებენ ან მის მიღებას რაიმე ვადის გასვლას უკავშირებენ, სამაგიეროდ კი ხმის დამატებით უფლებებს იძლევიან. იხ: *Bourne,* Bourne on Company Law, 6th ed., 2013, 52.

შეიძლება გათვალისწინებული იქნას აქციის ისეთი კლასი, რომელიც, მაგალითად, საერთოდ არანაირ უფლებას არ იძლევა ან სხვანაირად ბღალავს ადამიანთა ძირითად უფლებებს და არღვევს საკორპორაციოსამართლებრივ პრინციპებს.

2.5.3. აქციაში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდი

რაც უფრო ფართო და ყოვლისმომცველია საბაზრო და ეკონომიკური ურთიერთობები, მით უფრო მრავალმხრივია ფინანსური ინსტრუმენტების ასორტიმენტი, რომელთაგან აქცია მხოლოდ ერთ-ერთს წარმოადგენს - სააქციო საზოგადოება უფლებამოსილი არის აქციის გარდა მოახდინოს აქციაში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვება.[1389] „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონი ადგენს ფასიანი ქაღალდის ცნებას ზოგადად: „ფასიანი ქაღალდი არის მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტები და უფლებები, რომელთა საჯარო შეთავაზებაც შესაძლებელია წილობრივი თუ სასესხო ფასიანი ქაღალდების სახით".[1390] ფასიან ქაღალდად შეიძლება მივიჩნიოთ ისეთი განსაზღვრული ფორმის საბუთი, რომლის წარმოდგენაც აუცილებელია ამავე ქაღალდით განმტკიცებული უფლებების შესრულების მისაღებად.[1391] ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (მაგ. ჩეკი) საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების ასორტიმენტი საკმაოდ ფართოა.[1392] აქციის კონვერტირების შესაძლებლობას, როგორც წესი, აქციონერები წინასწარ ითვალისწინებენ და პირობები შესაძლებელია თვითონ აქციის სერტიფიკატზეც იყოს მითითებული, რაც მთლიანობაში ამარტივებს გარდაქმნის პროცესს.[1393]

1389 კანონის 158-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

1390 „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 32-ე პუნქტი.

1391 *ზარნაძე,* ფასიანი ქაღალდების ცნება და მათი კლასიფიკაცია, ნიგნში: პროფესორ ზურაბ ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული - 70, 2004, 95.

1392 აქციის გარდა სხვა კორპორაციული ფასიანი ქაღალდების კატეგორიების მიმოხილვისათვის, იხილეთ: *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 338-354.

1393 *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოც.,

ფასიანი ქაღალდების კომბინაციები რომელიც შესაძლოა საზოგადოებამ მიზანშეწონილად მიიჩნიოს ძალიან ფართოა: შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს ფასიანი ქაღალდიდან მიღებული დივიდენდების აკუმულირება (კუმულაციური ფასიანი ქაღალდი), დადგინდეს აქციების თუ სხვა ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის შესაძლებლობა ან ასევე მისი კონვერტირება სხვა ფასიან ქაღალდად.[1394] აქციების კონვერტაციის შესაძლებელი ხდება მისი სხვა კლასის აქციად გარდაქმნა განსაზღვრული პირობების დაცვით. ასევე შესაძლებელია სხვა ფასიანი ქაღალდებიც აქციებად გარდაქმნა.

არსობრივად სახეზეა ერთ მნიშვნელოვანი დათქმა: სააქციო საზოგადოებას აქვს უფლება გამოსცეს ფასიანი ქაღალდი, რომლის კონვერტირებაც, გარდაქმნაც შესაძლებელია აქციად ანუ ფასიანი ქაღალდები კონვერტირების შესაძლებლობა სააქციო საზოგადოების მიერ აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული. როგორც წესი კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდებიც ჰიბრიდულ ქაღალდებად მიიჩნევიან, რადგან მათ შეუძლიათ თავიდან იყვნენ გამოშვებულნი, მაგალითად, სასაესხო ობლიგაციების სახით, თუმცა შემდგომში აქციებად გარდაიქმნენ. იგივე „კლასიკური" პრივილეგირებული აქციებიც, რომლებიც იძლევიან დივიდენდის, მაგრამ არა ხმის უფლებას, შესაძლებელია გარკვეული თვალსაზრისით მიჩნეული იყოს ჰიბრიდულ ფასიან ქაღალდად.[1395] ჰიბრიდული ფასიანი ქაღალდები ასევე შესაძლებელია ატარებდნენ როგორც აქციის, ასევე ობლიგაციის ნიშნებს, რის შედეგადაც მათ შორის მკვეთრი დემარკაცია უკვე გართულებულია.[1396]

სააქციო საზოგადოების ხელში არსებული იმ ფინანსური ინსტრუმენტებიდან რომელთა აქციებად კონვერტირებაც შესაძლებელი არის, უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია სასესხო ფასიანი ქაღალდები - ობლიგაციები და საბაზისო აქტივებზე ან მაჩვენებელზე დამოკიდებული ფასიანი ქაღალდები - დერივატივები.

2002, 337.

1394 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 343-346.

1395 *Gullifer, Payne*, Corporate Finance Law: Principles and Policy, 3rd ed., 2020, 50.

1396 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 352-354.

ა.) სასესხო ფასიანი ქაღალდები — ობლიგაცია

აქციის გარდა, ფასიანი ქაღალდების სახით არსებული ინსტრუმენტებიდან ყველაზე გავრცელებულია სასესხო ფასიანი ქაღალდები,[1397] რომელთა შორის ცენტრალურ ადგილს ობლიგაციები იკავებენ. თუ აქცია აჩვენებს პირის მონაწილეობას სააქციო საზოგადოებაში, ობლიგაცია არის სესხის გაცემის დამადასტურებელი მოწმობა: სააქციო საზოგადოება სესხულობს თანხას და ამ სესხის სანაცვლოდ იგი გასცემს სწორედ ობლიგაციას, რომელიც თავის მხრივ ადასტურებს როგორც ამ სესხის გაცემის ფაქტს, აგრეთვე მოიცავს ამ სესხის დაბრუნებას იმ პირობებით რომელიც ამავე ობლიგაციით არის გათვალისწინებული.[1398] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ აქციის გაყიდვით, სააქციო საზოგადოება ასხვისებს უფლებას და მყიდველს საშუალება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებაში, ობლიგაციების შემთხვევაში ასეთი კორპორაციული მონაწილეობითსამართლებრივი (წილობრივსამართლებრივ) ურთიერთობის ნაცვლად ადგილი აქვს სახელშეკრულებო, კერძოდ სასესხო-სამართლებრივ სამართალურთიერთობას.[1399] ამ შემთხვევაში ობლიგაციის მფლობელი სააქციო საზოგადოების კრედიტორის როლში გვევლინება. ობლიგაციის ძირითადი მახასიათებლებია მისი ნომინალური ღირებულება, პროცენტი და ძირი თანხის დაბრუნების თარიღი. თვითონ ობლიგაციები შესაძლოა იყოს მოკლე (30 დღიდან 5 წლამდე), საშუალო (5-დან 12 წლამდე) და გრძელვადიანი (12 წელი და მეტი) და ასევე შესაძლოა იყოს გამოსყიდვადიც.[1400]

ობლიგაციის გაცემით საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა, სწრაფად მოიზიდოს საჭირო კაპიტალი, თუმცა ასეთი კაპიტალი იქნება არა საზოგადოების საკუთარი სახსრებით მოზიდული აქტივები, საკუთარი კაპიტალი (*equity capital*), არამედ სესხის საშუალებით ფორმულირებული კაპიტა-

---

1397 *Debt securities.*

1398 *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოც., 2002, 337.

1399 *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 341-342.

1400 *Rechtschaffen,* Capital Markets, Derivatives and the Law, 2009, 146.

ლი (*debt capital*). მიუხედავად იმ ნეგატიური კონოტაციისა, რომელიც ზოგადად სესხისა და კრედიტის აღებასთან არის დაკავშირებული (გარკვეულწილად სამართლიანადაც), სესხის აღება საზოგადოების არსენალში არსებული ერთ-ერთი ეფექტური მექანიზმია კაპიტალის მოზიდვისათვის, რადგან საკუთარი სახსრებით დაფინანსება ხშირად არასაკმარისია და ვალის აღების გარეშე კორპორაციის ზრდა ხშირად შეუძლებელიც.[1401] ასეთი სახსრების მოზიდვა იმავე აქციების გამოშვებით არაპრაქტიკულიც არის და ამგვარად ან სესხის აღება ან ობლიგაციების საშუალებით კრედიტორების მოზიდვა წარმოადგენს ქმედით ალტერნატივას.

საზოგადოება სარგებლობს მართლაც-და თითქმის შეუზღუდავი თავისუფლებით, ამგვარი ობლიგაციების გაცემისას მათი პირობებისა და ვადების დადგენასთან მიმართებაში. შედეგად ობლიგაციები მრავალგვარი შეიძლება იყოს და შეიძლება ითვალისწინებდეს სხვადასხვა პროცენტებს, ვადებს, აქციაში კონვერტირების პირობებსა და ა.შ. ასევე, როგორც უკვე აღინიშნა, გამორიცხული არ არის ე. წ. ჰიბრიდული ფასიანი ქაღალდების ემისიაც, რომელთაც ახასიათებთ როგორც აქციების, ასევე ობლიგაციების ნიშნები.[1402]

არსობრივად ასეთი სასესხო ფასიანი ქაღალდები შესაძლოა იყოს გარანტირებული ან არაგარანტირებული. არაგანტირებული სასესხო ფასიანი ქაღალდი (*debenture*), განსხვავებით იმავე ჩვეულებრივი გარანტირებულისგან (*bond*), გაცილებით უფრო მაღალი რისკის შემცველია, რომელიც მთლიანად შემძენზე გადადის.[1403] რეალურად არაგარანტირებული სასესხო ფასიანი ქაღალდის დროს ერთადერთი, რასაც შესაძლო დაეყრდნოს ობლიგაციონერი არის სესხის ამღების დაპირება. შედეგად, დიდ საკორპორაციო სამართლებრივ გარიგებებში ფასიანი ქაღალდები, რომელთა უკანაც რაღაც გარანტია დგას, უფრო ხშირია.

გარდა თვით სააქციო საზოგადოების მიერ გაცემული ობლიგაციების აქციებად კონვერტირებისა, ასევე შესაძ-

---

1401 *Gullifer, Payne,* Corporate Finance Law: Principles and Policy, 3rd ed., 19.

1402 ანუ აქვთ როგორც *equity security*-ს, ასევე *debt security*-ს მსგავსი მასახიათებლები. იქვე, 383.

1403 *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 348-349.

ლებელია საზოგადოებასა და კრედიტორს დადებული სესხის ხელშეკრულების გარკვეული პირობებით, კრედიტორმა მოვალეს (საზოგადოებას) სესხის ნაცვლად აქციები მოითხოვოს. აღნიშნულს ოფციური სესხი ეწოდება.[1404]

ბ.) დერივატივები

კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდებიდან ასევე აღნიშვნის ღირსნი არიან დერივატივები. დერივატიულ ტრანზაქციად მიიჩნევა ისეთი გარიგება, რომლის ღირებულებაც გამომდინარეობს[1405] რომელიმე საბაზისო აქტივიდან ან რაიმე საბაზისო მაჩვენებლიდან.[1406] სულ დერივატავების რამდენიმე სახეობა არსებობს, რომლებიც ძირითადად ანგლო-ამერიკული სამართლის წიაღში ჩაისახნენ და შესაბამისად ინგლისური ტერმინებით აღინიშნებიან: ფორვარდი (*forward*, ინგ. „წინ"), სვოპი (*swap*, "გაცვლა") და ფიუჩერსი (*futures*, ამ შემთხვევაში „სამომავლოები", „სამომავლო ფასიანი ქაღალდები").[1407] მათი დეტალური განხილვა სცილდება წინამდებარე სახელმძღვანელოს ფარგლებს. მხოლოდ ერთ-ერთ დერივატივზე-ოფციონზე გამახვილდება ყურადღება.

ოფციონი წარმოადგენს უფლებას, რომელიც საშუალებას აძლევს ამ უფლების მფლობელს მომავალში გარკვეული პირობების არსებობისას, დააყენოს ამ ოფციონით გათვალისწინებული მოთხოვნა და განსაზღვრულ დროს დადგენილ ფასად შეიძინოს ნივთი ან სხვა ქონება (შეძენის ოფციონი) ან მიყიდოს მეორე მხარეს აქტივი (გასხვისების ოფციონი).[1408] სტანდარტული ოფციონი შესაძლოა ითვალისწინებდეს გარკვეულ ვადას, მაგალითად, ერთ ან რამდენიმე წელიწადს,

---

1404 *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოც., 2002, 337.

1405 ინგლისურად "*derive*" და შესაბამისად აქედან ტერმინი „დერივატივიც".

1406 *Rechtschaffen,* Capital Markets, Derivatives and the Law, 2009, 19, 159. დერივატივების განმარტება ასევე მოცემულია „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში.

1407 *Rechtschaffen,* Capital Markets, Derivatives and the Law, 2009, 165-174.

1408 ოფციონის განმარტება მოცემულია „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „მ" ქვეპუნქტში.

რის შემდგომაც უნდა განხორციელდეს კონკრეტული მოქმედება. ამგვარადვე ოფციონი, როგორც დერივატავი და უფლება, შესაძლოა იყოს ფასიანი ქაღალდის სახით მიმოქცევადი და ბრუნვაუნარიანი და შესაძლებელია მისი კონვერტირება სხვა ფასიან ქაღალდადაც, მათ შორის აქციადაც. შესაძლებელია ოფციონის პირობები უშუალოდ დაკავშირებული იყოს აქციების შეძენასთან ან გასხვისებასთან ან ეხებოდეს სრულიად განსხვავებულ გარიგებას. თუ სახეზეა პირველი შემთხვევა, მხოლოდ ოფციონის ფლობით პირი საზოგადოების აქციონერი არ ხდება, ოფციონი მარტოდმარტო იმის დამადასტურებელი მოწმობაა, რომ პირი შესაძლებელია მომავალში გახდეს აქციონერი, თუ ის ამ ოფციონის გამოყენებას ან მის აქციებად კონვერტირებას გადაწყვეტს.

2.5.4. ვინკულირებული აქციები

აქციები ზოგადად თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის საგანს წარმოადგენს. როგორც უფლება, აქციაც ჩვეულებრივ ექვემდებარება თავისუფალ სამოქალაქო-სამართლებრივ ბრუნვას. აქციათა თავისუფალი გადაცემა თამამად შეიძლება მიჩნეული იყოს სააქციო სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტალურ პრინციპად.[1409]

ამავდროულად შესაძლებელია არსებობდეს ასეთი თავისუფალი გასხვისების შეზღუდვის ინტერესიც და აქციონერს აეკრძალოს აქციის გასხვისება საზოგადოებისგან თანხმობის გარეშე. ასეთი აქციები ვინკულირებულ[1410] აქციებად იწოდება. ვინკულირება აღნიშნავს, რომ აქცია მხოლოდ საზოგადოების თანხმობის მიღების შემდეგ შეიძლება რომ იყოს გასხვისებული.[1411] აქციათა ვინკულირება ეხება მხოლოდ და მხოლოდ სახელობით და არა საწარმდგენლო აქციებს, რათა ამ უკანასკნელთა სრული ანონიმურობის გამო მათ მიმართ აღნიშნული მბოჭავი ვალდებულების დადგენა შეუძლებელი

1409 *ჯანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოც., 2002, 333.

1410 ლათინურიდან *vinculare*, რაც ნიშნავს „შეკავშირებას", „შებოჭვას". ანუ აქციონერი შებოჭილია ვალდებულებით და თავისი ნებით ვერ გაასხვისევს მის მფლობელობაში არსებულ აქციებს.

1411 *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 318.

იქნებოდა. ამავდროულად მნიშვნელოვანია იმის დამახსოვრება რომ ვინკულირებული აქციები რაიმე ცალკე კლასს არ წარმოადგენენ - როგორც ჩვეულებრივი, ასევე პრივილეგირებული აქციების გასხვისება შესაძლებელია შეიზღუდოს.[1412] ამგვარად ვინკულირებული აქციები შესაძლებელია ეფექტურად გამოყენებული იყოს შესაძლო მტრული დაუფლების წინაღმდეგ,[1413] რომ უცხო პირებმა ხელთ არ ჩაიგდონ სააქციო საზოგადოებაში ხმათა საკონტროლო პაკეტი.

აქციათა ვინკულირებასას პირებს ამ კონკრეტული „შებოჭილი" აქციების ჯგუფის განსაზღვრის სრული თავისუფლება გააჩნიათ. შესაძლებელია მაგალითად პირთა გარკვეულ ჯგუფების მიმართ ამ აქციების მიყიდვის ვალდებულების დადგენა ან გაუქმება ან საერთოდ გამონაკლისების გათვალისწინებაც (მაგალითად, მემკვიდრეობის გაყოფისას აღნიშნული აქციების ვინკულირებიდან ამორიცხვა).[1414]

საქართველოში აქციათა ვინკულირებას ითვალისწინებს მეწარმეთა შესახებ კანონი,[1415] რომლის თანახმადაც საზოგადოების აქციის გასხვისებაზე წესდებით შესაძლებელია დადგინდეს საზოგადოების თანხმობის მიღების ვალდებულება. თუმცა ზოგიერთი ფასიანი ქაღალდისათვისაც აქციის ვინკულირება დაუშვებელია და გადაცემის სრულიად აკრძალვა კი პირდაპირ წინაალმდეგობაში მოდის საკანონმდებლო დანანესთან.[1416] თუ თვითონ წესდებაში აქციათა ვინკულირების შესახებ შესატანად საჭიროა საერთო კრების გადაწყვეტილება,[1417] თვითონ ვინკულირებული აქციების შესახებ თანხმობის გაცემას, როგორც წესი, საზოგადოების სახელით ახორციელებს დირექტორატი (გამგეობა). თანხმობაზე უარის შემთხვევაში აქციონერს არც განმეორებითი თხოვნის და არც სასამართლოში სარჩელის შეტანის შესაძლებლობა ერთმევა

1412 *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოც., 2002, 333.

1413 *Schulz, Wasmeier,* The Law of Business Organizations, A Concise Overview of German Corporate Law, Springer Verlag, Berlin, 2012, 58.

1414 *Wienecke* in *Bürgers/Körber.*, Heidelberg Kommentar zur Aktiengesetz, 4. Aufl., C.F.Müller Verlag, Heidelberg, 2017, §68, Rn.17, s. 636.

1415 კანონის 159-ე მუხლი.

1416 იქვე, 30-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1417 იქვე, 184-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

და თუ ვინკულირებული აქციის გასხვისების შესახებ რაიმე გარიგება თანხმობამდე დაიდო, ასეთი გარიგება სამოქალაქო-სამართლებრივად მერყევ ბათილ გარიგებად მიიჩნევა.[1418]

2.6. აქციონერის უფლებანი

პროფ. ჰოჰფელდის სამართლებრივ ურთიერთობათა მატრიცაში „უფლების" სამართლებრივი კორელატი „მოვალეობაა", ხოლო სამართლებრივ უარყოფას „უფლების არარსებობა" წარმოადგენს.[1419] უფლება ეს არის ნებელობითი მოქმედების მასშტაბი ან უმოქმედობის შესაძლებლობა. მისი რეალიზაცია, მართალია, მოწმობს უფლების მატარებელი სუბიექტის ნების სამართლებრივი საყრდენის არსებობას, თუმცა შებოჭილია კანონით დადგენილ ფარგლებში განხორციელების მოვალეობით. აქციონერისათვის ამგვარ სამართლებრივ საფუძველს აქციაზე საკუთრების უფლება, მაშასადამე, საზოგადოებაში წევრად ყოფნის უფლება წარმოადგეს, ხოლო მისი უფლების სამართლებრივ კორელატს — ერთგულების მოვალეობის ზოგადი სტანდარტი. ერთგულების მოვალეობა, სხვა ინდივიდუალური მოქმედების პრივილეგიებთან [უფლებებთან] ერთად, აქციონერული სტატუსის თანმხლები მორალური ვალდებულებაა. აქციონერთა შიდასამართლებრივი ურთიერთობა, სწორედ ისე როგორც სხვა კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში, კაპიტალის ნებაყოფლობითი გაერთიანების შედეგია.[1420] მიუხედავად ამისა, მაინც შენარჩუნებულია ურთიერთობის პარტნიორული (და არა სამსახურებრივი ანდა სხვაგვარი), თუმცა არაპერსონაფიცირებული ხასიათი.

1418 *ქანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოც., 2002, 335.

1419 *Cook*, Introduction, in: *Hohfeld*, Fundamental Legal Conceptions as Applied in Judicial Reasoning and Other Legal Essays, Cook (ed.,), 1923, 4-5. უფლებებისა და მოვალეობების სამართლებრივი შემეცნებისა და ანალიტიკური იურისპრუდენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუში, ამერიკელი იურისტის, *პროფ. უესტლი ნიუკომბ ჰოჰფელდის* (1879-1918) *magnus opus* პუბლიკაცია გახლავთ: "*Fundamental Legal Conceptions as Applied in Judicial Reasoning and Other Legal Essays*". ნაშრომში ჩამოყალიბებულია *უფლების, პრივილეგიის, უფლებამოსილებისა* და *იმუნიტეტის* „სამართლებრივი ოპოზიციები" *("Legal Opposites")* და „სამართლებრივი კორელატები" *("Legal Correlatives")*.

1420 *ჯაფარიძე,* სავაჭრო სამართალი, ძირითადი დებულებანი, 2019, 104-106.

ეს განპირობებულია აქციონერის სტატუსის მატარებელ სუბიექტთა კატეგორიით და მათი რაოდენობრივი მაჩვენებლითაც. კერძოდ, აქციონერის საზოგადოებაში არსებობა ფიზიკური თუ იურიდიული პირის სახით[1421] გადამწყვეტი მნიშვნელობის არ არის ისევე, როგორც მისი რაოდენობრივი მაჩვენებელი[1422], ვიდრე სააქციო საზოგადოებაში (შემდგომში — სს) სულ მცირე ერთი პარტნიორი მაინც არის გაწევრიანებული. თავად საზოგადოება კი ვერ იქნება საკუთარი თავის აქციონერი. კანონი ზღუდავს საზოგადოების სასარგებლოდ აქციის განთავსებას.[1423]

აქცია აქციონერის უფლება-მოვალეობების გამომხატველია.[1424] ეკონომიკურ-სამართლებრივი მნიშვნელობით აქციონერი საზოგადოების მთავარი ბირთვია.[1425] აქციაზე საკუთრების მოპოვება შესაძლებელია როგორც რეგისტრაციამდელ, ისევე რეგისტრაციის შემდგომ პერიოდში[1426] და აქციათა რეესტრში შესაბამისი ჩანაწერის შექმნიდან[1427]. ე.ი. მინიმალური კანონისმიერი შესატანის განხორციელების შედეგად აქციონერს უფლება-მოვალეობები წარმოეშობა არა მხოლოდ პოსტინკორპორაციულ, არამედ პრეინკორპორაციულ რეჟიმშიც.[1428]

1421 აქციონერიც შეიძლება იყოს იურიდიულ პირთა გაერთიანებით შექმნილი უფლებაუნარიანი (არა)რეზიდენტი იურიდიული პირი. გარკვეული სპეციფიკით ხასიათთდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის მონაწილეობა სს-ში. *Heider*, MüKoAktG, 5. Aufl. (2019), AktG § 2, Rn. 13.

1422 სს-ს შესაძლებელია ჰყავდეს როგორც ერთი, ისე შეუზღუდავი რაოდენობით აქციონერები, რომელთა მონაწილეობა კაპიტალში წვრილ-წერილი პროცენტული მაჩვენებლით არის წარმოდგენილი. საპირწონედ, აქციონერთა კონცენტრირებული სტრუქტურა გულისხმობს, მსხვილი პროცენტული მაჩვენებლის, ანუ აქციათა ბლოკის ერთი აქციონერის საკუთრებაში არსებობას. *Siems*, Convergence in Shareholder Law, 2007, 277.

1423 კანონმდებლის მიზანი აქციათა ხელოვნური განთავსების, ბაზარზე მისი ღირებულებით მანიპულირების და მოთხოვის ხელოვნურად შექმნის აკრძალვაა. იხ. კანონის 160-ე მუხლი.

1424 *ჯაფარიძე*, საეაქრო სამართალი, ძირითადი დებულებანი, 2019, 115.

1425 *Freer, Moll*, Principles of Business Organizations, 2013, 198.

1426 ამ თვალსაზრისით განირჩევა წილის თავდაპირველი და მიმდინარე შეძენის სახეები, დამფუძნებელი და შემდგომი პარტნიორები. *ბურდული*, სამენარმეო საზოგადოებაში წილის კეთილსინდისიერი მოპოვება, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი", №2, 2019, 26.

1427 კანონის 162-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

1428 იგულ. შესატანის განხორციელებით გამოშვებული, ნორმინალური ღირებუ-

2.6.1. უფლებათა კლასობრივი სტრუქტურა

აქციები უფლებათა შინაარსისა და ფარგლების მიხედვით იყოფა კლასებად.[1429] აქციათა კლასობრივი სტრუქტურა პირდაპირ კავშირშია სს-ის კაპიტალის სტრუქტურასთან და კლასიდან გამომდინარე უფლებრივი პრივილეგიები ხელს უწყობს საზოგადოებაში დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას.[1430] შეზღუდვა კლასთა მაქსიმალურ რაოდენობაზე არ არსებობს,[1431] თუმცა აუცილებელია საზოგადოებაში სულ მცირე ერთი კლასის აქციის არსებობა[1432]. თანასწორუფლებიანობის პრინციპის დარღვევად არ უნდა შეფასდეს აქციის კლასის სერიებად დანაწევრებაც.[1433] კლასთა უფლებები განისაზღვრება წესდებითა და აქციის პროსპექტით, მის განთავსებამდე.[1434] სს-ის სამართალი განასხვავებს აქციათა ორ ძირითად კლასს: ჩვეულებრივსა და პრივილეგირებულს. თუმცა წესდებით შეიძლება სხვა კლასის აქციის ან ფასიანი ქაღალდის[1435] გამოშვება.

ინტერესთა თანაფარდობის პრობლემა ნებისმიერ ორგანიზაციაშია აქტუალური.[1436] საპირწონედ, ამგვარი ინტერესთა კოლიზია გაცილებით შემცირებულია იმგვარ საზოგადოებაში, სადაც პარტნიორის ოდენობა ერთს არ აღემატება. ჩვეულებრივი და პრივილეგირებული კლასის აქციონერთა ინტერესებიც, ერთი შეხედვით, ერთმანეთთან კონკურირებს. თუმცა საკანონმდებლო და წესდებისმიერი მოწესრიგება თითოეული კლასის უფლების განხორციელების მასშტაბს

ლების მქონე თუ ცალობითი აქციის ღირებულების სულ მცირე 25%-ის გადახდა საზოგადოების რეგისტრაციის ან კაპიტალის გაზრდის მომენტისათვის, კანონის 152-ე და 156-ე მუხლი.

1429 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 328-330.

1430 *Hudson*, Understanding Company Law, 2012, 81.

1431 *Bourne*, Bourne on Company Law, 2016, 55-56, 114-115.

1432 *Rodrigues*, in: Shareholders' Liability, Dennis (ed.), 2017, 70.

1433 *Waren*, Introduction to Corporate Law, 1991, 151-152.

1434 კანონის 158-ე მუხლის მე-5 პუნქტი. *Hudson*, Understanding Company Law, 2012, 79-81.

1435 მაგ., კონვერტირებადი, (არა)კუმულაციური, გამოსყიდვადაქვემდებარებული, არაჰიბრიდული, იხ.: *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 338-344.

1436 *Jensen*, Foundations of Organizational Strategy, 1998, 46-59.

წინასწარ ადგენს და უფლებრივი კონსტრუქციის ცვლილებაში მონაწილეობის უფლებას ანიჭებს. სხვაობა ჩვეულებრივი და პრივილეგირებული კლასის აქციონერთა შორის უფლებრივ კონტექსტში ვლინდება. საზოგადოების მართვაში შეზღუდული მონაწილეობის სანაცვლოდ, აქციის პრივილეგირებული კლასი ქონებრივ უფლებათა უპირატესად დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს.[1437] თუკი წესდება განსხვავებულ შეთანხმებას არ შეიცავს, პრივილეგირებული კლასის აქციონერი დივიდენდის თუ სალიკვიდაციო დისტრიბუციის პირველი რიგის ბენეფიციარია.[1438] განსხვავებით პრივილეგირებული აქციონერისაგან, ჩვეულებრივ აქციონერთა ქონებრივი ინტერესი არაა ფიქსირებული მოცულობის და მისი კრედიტორული მოთხოვნა საზოგადოების მთელს ქონებას მიექცევა.[1439] ეს კლასი საზოგადოების მართვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას უზრუნველყოფს.[1440] სწორედ ამგვარი მონაწილეობითსამართლებრივი უპირატესობის გამო შესაძლებელია, რომ დახურულ სს-ში ჩვეულებრივი კლასის აქციის გასხვისება შეიზღუდოს საზოგადოების თანხმობით ან იმავე კლასის აქციონერთა უპირატესი შესყიდვის უფლებით. ამდენად, შესაძლებელია გამოშვებულ იქნას იმგვარი კლასის აქციაც, რომლის გასხვისების წინაპირობა საზოგადოების თანხმობა იქნება („*ვინკულირებული აქცია*").[1441] თანხმობის გაცემაზე უფლებამოსილ ორგანოს, მათ შორის, თანხმობის გაცემის წესს აკონკრეტებს წესდება.[1442] მიუხედავად ამისა, დაუშვებელია აქციის გასხვისების სრული აკრძალვა. აქციათა მიმოქცევა თავისუფალია[1443] — უფრო მეტიც, შესაძლებელია გასხვისდეს როგორც კერძო, ისევე საჯარო განთავსების გზით.[1444] სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე დაშვებული ანდა

1437 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 333.

1438 კანონის 158-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

1439 *Haas*, Corporate Finance in a Nutshell, 2011, 496.

1440 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 337-338

1441 იქვე, 318-324.

1442 კანონის 159-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1443 *Davies*, Principles of Modern Company Law, 2008, 44-45. *Palmiter*, Corporations, 2012, 412-413.

1444 *ზოიძე, ბურდული*, თანამედროვე სახელშეკრულებო სამართლის აქტუალური საკითხები, 2018, 113-119.

საჯარო შეთავაზების საფუძველზე განთავსებული აქციის ან სხვა ფასიანი ქაღალდის გასხვისება ვერ იქნება საზოგადოების თანხმობაზე დამოკიდებული.[1445]

2.6.2. უფლების განხორციელების ზოგადი პრინციპები

უპირველეს პრინციპად აღსანიშნავია, პარტნიორული სტატუსისა და წევრობიდან გამომდინარე უფლებების დაქსაქსვა-განცალკევების დაუშვებლობა[1446]. უფლებათა დანაწევრების აკრძალვის პრინციპის თანახმად, შეუძლებელია წევრობისაგან უფლებების გამიჯვნა.[1447] წევრობაც, თავის მხრივ, სუბიექტური უფლების საგანია, აქცია კი მოწმობს საზოგადოებაში წევრობის სტატუსს.[1448] ასევე შეუძლებელია აქციის გასხვისების გარეშე, მისგან გამომდინარე ცალკეულ უფლებათა მესამე პირზე გადაცემა ან გასხვისება. გამონაკლისის სახით აღსანიშნავია „კრედიტორული სტატუსი", რომელიც აქციონერს საზოგადოების მიმართ ქონებრივი უფლებიდან უკვე წარმოშობილი მოთხოვნის განხორციელებას უზრუნველყოფს.[1449] პარტნიორს ამგვარი მოთხოვნის, როგორც დამოუკიდებელი უფლების, გადაცემა, დაგირავება, გასხვისება თავისუფლად შეუძლია.[1450]

„ერთი კლასის აქციები მათ მფლობელებს თანაბარ უფლებებს ანიჭებს".[1451] თანაბარი მოპყრობისა და თანასწორუ-

---

1445 კანონის 159-ე მუხლის მე-2 პუნქტი. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 36-ე პუნქტი.

1446 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 257. *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 37-40.

1447 იგულისხმება *"Abspaltungsverbot", Wirth, Arnold, Greene,* Corporate Law in Germany, 2004, 78.

1448 *შეფერი*, საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), 2018, § 43, ველი 1, 595.

1449 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 367-369.

1450 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 6 ივნისის №ას-1328-1170-2010 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლომ 2015 წლის 28 სექტემბრის №ას-747-707-2015 გადაწყვეტილებაში განმარტა: [დივიდენდის] *„ამ უფლების გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ წილთან ერთად, ამიტომ წილის დათმობით ამ უფლების დათმობაც ხდება. სხვა საკითხია დივიდენდის მოთხოვნის უფლების გადაცემა, ვინაიდან, იგი დამოუკიდებელი უფლებაა და წილის გადაცემის შემთხვევაში ავტომატურად არ გადადის წილის მიმღებზე."*

1451 კანონის 158-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

ფლებიანობის პრინციპი ერთ-ერთი სახელმძღვანელო დებულებაა აქციონერის უფლების განხორციელების ეტაზე. პრინციპი შეეხება საზოგადოებისა და აქციონერის ურთიერთობას და ამრიგად, მისი უპირველესი ადრესატი საზოგადოება, მისი ხელმძღვანელი ორგანო გახლავთ.[1452] დასახელებული პრინციპი კრძალავს ერთი და იმავე კლასის (სერიის) წარმომადგენელ აქციონერთა უფლება-მოვალეობების სხვადასხვაობას შინაარსობრივი თვალსაზრისით და არა რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით. ასე *მაგალითად*, თანაბარი მოპყრობის პრინციპის დარღვევად ვერ მივიჩნევთ, თუკი ჩვეულებრივი კლასის აქციების 70%-ის მესაკუთრეა აქციონერი „ა", ხოლო დანარჩენი 40%-ის — აქციონერი „ბ". მაგრამ ორივე აქციონერი, როგორც ერთი და იმავე კლასის მესაკუთრენი, ერთი და იმავე უფლება-მოვალეობის მატარებელია. დაუშვებელია ამგვარი დისკრიმინაცია როგორც უფლების განხორციელების, ისევე ვალდებულების დაკისრების თვალსაზრისით.[1453] გამონაკლისს წარმოადგენს კანონის პირდაპირი მითითება ან საწესდებო ავტონომიის ფარგლებში მიღწეული პარტნიორთა შეთანხმება და სამეწარმეო საზოგადოების ინტერესების დაცვის აუცილებლობა.[1454]

თანაპარტნიორთა და საზოგადოების კანონიერი ინტერესების გათვალისწინების პრინციპი ყველა აქციონერს ეხება.[1455] „უფლება ავალდებულებს".[1456] უფლების ვალდებულებად ტრანსფორმაცია დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოცულობით შეიცავს იგი მოვალეობათა ელემენტებს.[1457] ერთგულების მოვალეობა, როგორც პარტნიორის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობა, საზღვრავს აქციონერის ქმედების მასშტაბს და საზოგადოების ინტერესებისადმი უპირატესობის მინიჭებას ეთიკურ კატეგორიად აქცევს.[1458] ერთგულების

1452 *Götze*, MüKoAktG, 5. Aufl. (2019), AktG § 53a, Rn. 5, Rn. 6.

1453 *ჯანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 330-332.

1454 კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

1455 იქვე, 34-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1456 "*Eigentum verpflichtet*", Art. 14, GG.

1457 *ზოიძე,* უფლების მოვალეობად ტრანსფორმაცია და პირიქით, ესეების კრებულში: სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, 2013, 161.

1458 *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 156-160.

მოვალეობა საზოგადოების ყოფილი წევრების, მათ შორის, კრედიტორების მიმართ არ არსებობს.[1459] შესაბამისად, ერთგულების მოვალეობის ზოგადი სტანდარტის დარღვევიდან გამომდინარე მოთხოვნის წარმდგენი ან საზოგადოება, ან თანაპარტნიორია. ერთგულების მოვალეობის ინსტიტუტი, მართალია, პერსონიფიცირებული ტიპის საზოგადოებათა პირმშოა, მაგრამ მის კორპორაციულსამართლებრივ ბუნებას საჯარო სააქციო საზოგადოებაში თანამედროვე სამეცნიერო კვლევები ადასტურებენ.[1460] ერთგულების მოვალეობის ზოგადი სტანდარტი რამდენიმე ელემენტს მოიცავს: ა) საზოგადოების საერთო მიზნის, ინტერესის ხელშეწყობა; ბ) საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების აკრძალვა; გ) თანაპარტნიორთა ინტერესების გათვალისწინება; დ) პასუხისმგებლობით მოქმედება წევრობიდან გამომდინარე უფლებების განხორციელებისა და ზეგავლენის მოხდენის მიზნით შესაძლებლობათა გამოყენების დროს.[1461] აქციონერის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა ერთგულების მოვალეობის სტანდარტზე მსჯელობის თანმიმდევრული გაგრძელებაა. როგორც აღინიშნა, წევრობიდან გამომდინარე უფლებებით კეთილსინდისიერი სარგებლობა ერთგულების მოვალეობის განშტოებაა. დომინანტური მდგომარეობის ლეგალური დეფინიცია არ უკავშირდება პარტნიორის მონაწილეობითსამართლებრივი უფლების რაოდენობრივ, პროცენტულ მაჩვენებელს. დომინანტურ მდგომარეობაში მოიაზრება მინორიტარი თუ მაჟორიტარი, აქციონერი ან აქციონერთა ჯგუფი და საამისოდ მხედველობაში მიიღება მათ მიერ საერთო კრებაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგზე გადამწყვეტი ზეგავლენის მოხდენის პრაქტი-

1459 *Balouziyeh,* A Legal Guide to United States Business Organizations, The Law of Partnerships, Corporations, and Limited Liability Companies, 2013, 40-41.

1460 *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 161-166. *ბურდული,* ერთგულების მოვალეობა, როგორც უმრავლესობისა და უმცირესობის მოქმედების მასშტაბი საკორპორაციო სამართალში, ურ. „მართლმსაჯულება და კანონი", №4 (35), 2012, 52-58. *მიგრიაული,* ერთგულების მოვალეობა, როგორც პარტნიორის ქცევის სტანდარტი საზოგადოებათა სამართალში (გერმანული სამართლის მაგალითზე), „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ურნალი", №11, 2020, 20-25. *შეფერი,* საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), 2018, § 43, ველი 18, 612.

1461 *Wirth, Arnold, Greene,* Corporate Law in Germany, 2004, 81-82.

კული შესაძლებლობა.[1462]

და ბოლოს, აქციონერის უფლების *დამოუკიდებლად განხორციელების პრინციპი.* აღნიშნული, მართალია, ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ ზოგადსამართლებრივი აქსიომებიდან გამომდინარეობს, თუმცა კორპორაციულსამართლებრივი გაგებით შეიძლება განიმარტოს, როგორც აქციონერის მიერ უფლებათა დამოუკიდებლად, საკუთარი კანონიერი ინტერესის შესაბამისად, ნებაყოფლობითი განხორციელება სამეწარმეო საზოგადოების, კორპორაციის ორგანიზაციული ორგანოების, თანაპარტნიორ(ებ)ის თუ მესამე პირთა პირდაპირი ან არაპირდაპირი ზეგავლენისგან გარეშე. უფლების დამოუკიდებლად განხორციელების პრინციპის ერთ-ერთი ნორმატიული გამოხატულებაა კანონის 197-ე მუხლი: „ხმის უფლების დამოუკიდებლად განხორციელების პრინციპი".

2.6.3. უფლებათა ზოგადი კლასიფიკაცია

კანონი ასხვავებს აქციონერის *ძირითად* და *დამატებით* უფლებებს.[1463] აქციონერთა უფლებების ზოგადი კლასიფიკაცია სტანდარტულია და ჯგუფდება *(თანა)მმართველობით* და *ქონებრივი უფლებებად.*[1464] ასევე გამოიყოფა უფლებათა კიდევ ორი ქვეკატეგორია: ა) აქციონერთა *განსაკუთრებული უფლებები,* რომელიც წესდების საფუძველზე კონკრეტული აქციონერისთვის ან აქციონერთა ჯგუფისთვის მინიჭებულ სპეციალურ უფლებებს ადგენს.[1465] შესაძლოა, რომ ამგვარ უფლებებს აქციონერთა ცალკეული შეთანხმებაც შეიცავდეს, რომლის ხელშემკვრელ მხარედ საზოგადოების ყოფნა დასაშვებია, ვიდრე ამას კანონი ან წესდება არ კრძალავს.[1466]

1462 კანონის 176-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

1463 იქვე, 172-ე და 173-ე მუხლი.

1464 *ჯანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 345, 348.

1465 *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 367; გერმანულ სამართალში ინოდება, როგორც "*Sonderrechte*", *Wirth, Arnold, Greene,* Corporate Law in Germany, 2004, 79.

1466 კანონის 177-ე და 178-ე მუხლი. ამგვარ შეთანხმებაზე ვრცელდება ვალდებულებითსამართლებრივი ნორმები და მისი პირობების შეცვლა წესდების ცვლილებისათვის გათვალისწინებული ფორმალობის დაცვით არ ხორციელდება. *Sealy, Wrthinhton,* Cases and Materials in Company Law, 2008, 229-

ბ) *კრედიტორული უფლებები*, რომლის მატარებელია აქციონერი შიდასამართლებრივ ურთიერთობაში ქონებრივი უფლების მოთხოვნად გარდაქმნის გამო.[1467] აქციონერთა უფლებების კლასიფიკაცია აგრეთვე შესაძლებელია მათი მონაწილეობით-სამართლებრივი უფლების რაოდენობრივი მაჩვენებლით. სხვა სიტყვებით, იმისდა მიხედვით, თუ რა მოცულობით ფლობს წილს საზოგადოების კაპიტალში, ე. ი. *კვოტაზე დამოკიდებული უფლებები.*[1468]

2.6.4. არაქონებრივი (თანა)მმართველობითი უფლებები

თანამედროვე ტენდენციის გათვალისწინებით, მზარდია აქციონერთა აქტიური მონაწილეობა და გრძელვადიანი ჩართულობა კორპორაციულ მართვაში,[1469] რაც აქციიდან გამომდინარე უფლებების, განსაკუთრებით კი (თანა)მმართველობითი უფლებების აქტიური განხორციელებით მიიღწევა.

ა.) კონტროლისა და ინფორმაციაზე წვდომის უფლება

ინფორმაციის მიღება ინდივიდუალური კატეგორიის უფლებაა.[1470] იგი აქციონერის უფლებების დაცვისა და განხორციელების, მაშასადამე, საზოგადოების საქმიანობაზე კონტროლის განევის ერთგვარი მექანიზმია.[1471] ინფორმაციაზე შეუზღუდავი წვდომა აქციონერის ცალკეულ უფლებათა ეფექტიანი განხორციელების წინაპირობა *(მაგალითად,* ხმის მიცემის უფლება, დერივაციული ან კლასობრივი სარჩელის აღძვრის უფლება, აუდიტის დანიშვნის, სხვა).[1472] დაუშვებელია ინფორმაციაზე წვდომის უფლების წესდებით ჩამორთმევა. ამგვარი უფლება ყველა აქციონერს, განურჩევ-

---

230.

1467 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 367-369.

1468 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 41 და შემდგომი.

1469 *მახარობლიშვილი*, კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, 2015, 229-238. Directive (EU) 2017/828.

1470 *Wirth, Arnold, Greene,* Corporate Law in Germany, 2004, 125.

1471 *Magnier,* Comparative Corporate Governance, Legal Perspectives, 2017, 124-125.

1472 *Palmiter,* Corporations, 2012, 132-133.

ლად მისი აქციის კლასისა, აქვს მინიჭებული.[1473] მათ შორის, ხმის უფლების არმქონე კლასის აქციასაც.[1474]

ინფორმაციის მიღების უფლებას ორგვარი გამოხატულება აქვს. ერთი მხრივ, აქციონერს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია საკუთარი კლასობრივი უფლებებისა და თანაპარტნიორთა ვინაობის შესახებ. კერძოდ, აქციონერთა იდენტიფიკაცია და მათი ვინაობის დადგენა აქციათა რეესტრის, ხოლო საჯარო სს-ში დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით ხორციელდება.[1475] აქციონერთა სიის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია ერთმანეთთან კომუნიკაციის გამარტივების და კოლექტიური უფლებების განსახორციელების მიზნით,[1476] *მაგალითად,* კლასობრივი სარჩელის აღძვრა, ხმათა გაერთიანების ან პარტნიორული ხელშეკრულების დადება. ხოლო რაც შეეხება კლასობრივი უფლებების შესახებ ინფორმაციას, მას სს-ის სადამფუძნებლო დოკუმენტი შეიცავს.[1477] ინფორმაციის მიღების უფლების მეორე გამოხატულებაა, აქციონერის უფლება გაეცნოს სს-ის საქმიანობასთან დაკავშირებულ მასალებს და შემოწმების მიზნით მიიღოს მათი ასლებიც.[1478] ეს გულისხმობს საზოგადოების დოკუმენტაციის, მათ შორის, ფინანსური მდგომარეობის ამსახველი მასალების, ანგარიშების, დადებულ გარიგებათა გაცნობის შესაძლებლობას.[1479] გაცნობისა და შემოწმების უფლების წინაპირობა აქციონერის კეთილსინდისიერი ზრახვაა, რომელიც კანონიერი ინტერესის დაცვას ემსახურება.[1480] შესაბამისად, უნდა არსებობდეს „სათანადო მიზეზი", რომელიც იქნე-

---

1473 *ქანტარია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 350; *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 362.

1474 *Wirth, Arnold, Greene,* Corporate Law in Germany, 2004, 125.

1475 კანონის 153-ე მუხლის მე-3 პუნქტი. ხმის ან წილის 0,5%-ის მქონე აქციონერთა იდენტიფიცირება „აქციონერთა უფლებების" სახელწოდებით ცნობილი ევრო-დირექტივის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, Directive (EU) 2017/828, Art. 3a.

1476 *Pinto, Braston,* Understanding Corporate Law, 2018, 130.

1477 კანონის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი; 153-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

1478 იქვე, 172-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.

1479 *Palmiter,* Corporations, 2012, 131.

1480 იქვე, 132.

ბა გაცემული ინფორმაციის რევიზიის, შემოწმების მიზანი.[1481] ინფორმაციის მიღების უფლება გამომდინარეობს წევრობის უფლებიდან. შესაბამისად, დაუშვებელია მისი გადაცემა ან გასხვისება წევრობის უფლებისაგან დამოუკიდებლად.

ინფორმაციის გაცემასა და მის სისრულეზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ორგანოა.[1482] კანონი საზღვრავს უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ საფუძვლებს, რომელიც საზოგადოების საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით ქმნის ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის აუცილებლობას. საზოგადოების არსებით ინტერესში მოიაზრება მნიშვნელოვანი ზიანის არიდება და კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებისაგან დაცვა.[1483] ცხადია, აღნიშნული საჭიროებს უარის მიზეზების კომუნიცირებას, რაც აგრეთვე ხელმძღვანელი ორგანოს ვალდებულებას განეკუთვნება. დასახელებულ მიზეზებს მიღმა გაცხადებული უარი, შესაძლებელია, გახდეს კლასობრივი ან ინდივიდუალური სარჩელის აღძვრის საფუძველი.

მცირე აქციონერთა უფლებების დაცვის მიზნებისათვის, კანონი საგანგებოდ ადგენს ხმის უფლების სულ მცირე 5%-ის მქონე აქციონერის ან აქციონერთა ჯგუფის უფლებას საზოგადოების სახელით დადებული გარიგებების ასლების გამოთხოვნის თაობაზე.[1484] გარდა ამისა, საწესდებო ავტონომიიის ფარგლებში შესაძლებელია, სპეციალურ უფლებათა კატეგორიის გაფართოვება და 5%-იანი კვოტის შემცირება.[1485]

ა.ა.) ინფორმაციის მიღების უფლების მიმართება საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლებასთან

აქციონერის კრებაში მონაწილეობის უფლება მჭიდრო

1481 *Pinto, Braston*, Understanding Corporate Law, 2018, 130.

1482 კანონის 202-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

1483 იქვე, 202-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტი. აღსანიშნავია, რომ აქციონერი ვალდებულია საზოგადოებას ან აქციათა რეგისტრატორს შეატყობინოს იმ მონაცემის ცვლილება, რომელიც რეგისტრირებულია აქციათა რეესტრში. კანონის 175-ე მუხლი.

1484 კანონის 173-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

1485 იქვე, მე-2 პუნქტი.

კავშირშია საერთო კრებასთან დაკავშირებულ სხვა უფლებთან, როგორიცაა: ხმის მიცემის, შეკითხვითა და განცხადებით მიმართვის, აზრის გამოთქმის უფლება.[1486] თითოეული მათგანის განხორციელება ინფორმაციაზე წვდომას საჭიროებს. ამასთანავე, როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთგულების მოვალეობის ზოგადი სტანდარტი ითვალისწინებს აქციონერის პასუხისმგებლიანი მოქმედების ვალდებულებას, წევრობიდან გამომდინარე უფლებების განხორციელებისა და ზეგავლენის მოხდენის მიზნით შესაძლებლობათა გამოყენების დროს.[1487] პასუხისმგებლიანი მოქმედება ამავდროულად მოიაზრებს უფლების შესაბამის ინფორმაციაზე დაყრდნობით, ე. ი. უფლების ინფორმირებულ განხორციელებასაც.

კანონი განსაზღვრავს აქციონერთა საერთო კრების ჩატარების ფორმალურ წესებს, მათ შორის, აქციონერთა მოწვევის, კენჭისყრაში მონაწილეობის საკითხს. საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, შესაძლებლობის შემთხვევაში, სს-ის ოფიციალურ ვებრგვერდზე, კრების ჩატარების თარიღამდე, მინიმალური შუალედური ვადის დაცვით ქვეყნდება; ასევე ქვეყნდება დღის წესრიგი.[1488] საჯარო სს-ში, დამატებით ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია კრების მოწვევის თარიღისათვის არსებულ აქციათა საერთო რაოდენობის, ხმების, კლასობრივი უფლებების, კენჭისყრაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის პროცედურის შესახებ, აგრეთვე, გადაწყვეტილების პროექტი, ხელმძღვანელთა ახსნა-განმარტებები განსახილველ საკითხებზე.[1489] გადაწყვეტილების პროექტი უნდა იქნეს შედგენილი იმგვარად, რომ კრებაზე პარტნიორებმა განაცხადონ მხარდაჭერის დასტური ან უარყოფა.[1490] ასევე იმპერატიულადაა დადგენილი ხელმძღვანელის მიერ კრებაზე განსახილველ საკითხთა შესახებ სათანადო მასალისა და საჭირო ინფორმა-

1486 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 41-59.

1487 *Wirth, Arnold, Greene*, Corporate Law in Germany, 2004, 82.

1488 კანონის 189-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტი.

1489 იქვე, მე-6 პუნქტი.

1490 *Schultz, Wasmeier*, The Law of Business Organizations, A Concise Overview of German Corporate Law, 2012, 49.

ციის გამჟღავნების ვალდებულება.[1491] მასალების გაცნობის უფლება უკავშირდება შეკითხვის დასმისა და განცხადებით მიმართვის უფლებებს. მათი განხორციელება შეუზღუდავია, ვიდრე ამგვარი კითხვა ან განცხადება თემატურად ეხმიანება კრებაზე განსახილველ საკითხს.[1492] მართალია, შეკითხვის დასმისა და სიტყვით მიმართვის უფლებები კონტროლის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია, თუმცა აქციონერის მიერ მათი ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, ექვემდებარება შეზღუდვას.[1493] კრების ეფექტიანად და ორგანიზებულად წარმართვის ინტერესიდან გამომდინარე, ხელმძღვანელ ორგანოს უფლება აქვს უარი განაცხადოს, პასუხი გასცეს დასმულ შეკითხვას; ასევე, უფლებამოსილია, არ დააკმაყოფილოს პარტნიორის სიტყვით გამოსვლის უფლება, თუკი განცხადების შინაარსი სცილდება დღის წესრიგის ფარგლებს.[1494] აქციონერთა თანაბარი მოპყრობის პრინციპი ინფორმაციის მიწოდების ეტაპზეც უნდა იქნეს დაცული. საზოგადოების ინიციატივით რომელიმე აქციონერისათვის ინფორმაციის მიწოდება წარმოშობს კრების ყველა მონაწილე პარტნიორისთვის იდენტური ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულებას.[1495] ინფორმაციის უფლება ასევე რეალიზდება საერთო კრების ოქმის ასლის აქციონერებისათვის მიწოდებისა და კენჭისყრის შედეგების გამოქვეყნების ვალდებულებით.[1496] აღნიშნული გამომდინარეობს აქციონერის მიერ საერთო კრების გადაწყვეტილების შეცილების ან ბათილად ცნობის მოთხოვნის, გასაჩივრების უფლებიდანაც.[1497]

1491 დღის წესრიგის ძველი და ახალი რედაქცია, ხელმძღვანელი ორგანოსა და სამეთვალყურეო საბჭოს კანონი მიერ მომზადებული გადაწყვეტილების პროექტი და შესაბამისი ახსნა-განმარტება, კანონის 190-ე მუხლი.

1492 *Grudmann*, European Company Law, 2012, 299-300.

1493 *შეფერი,* საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), 2018, § 43, ველი 9, 601.

1494 კანონის 198-ე მუხლის მე-5 პუნქტი და 202-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.

1495 იქვე, 202-ე მუხლის მე-4 პუნქტი

1496 იქვე, 201-ე მუხლი.

1497 *შეფერი,* საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), 2018, § 43, ველი 10, 601-602. აღნიშნულის თაობაზე ასევე იხ. სახელმძღვანელოს ქვეთავი სახელწოდებით: *„კრების ოქმის გაცნობისა და გასაჩივრების უფლება"*.

ა.ბ.) კონტროლის სპეციალური უფლება

საზოგადოების სამეურნეო მოქმედების და წლიური ფინანსური ანგარიშების სპეციალური შემოწმების ინიცირება მინორიტარ აქციონერთა ქონებრივ უფლებათა დაცვას ემსახურება. წლიური ანგარიშისა და სამეურნეო მდგომარეობის შესახებ ანგარიშს საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ადგენენ.[1498] შესაბამისად, აღნიშნული ინსტიტუტი არაპირდაპირ ხელმძღვანელ ორგანოთა მონიტორინგის ერთგვარი მექანიზმიც არის. სპეციალური კონტროლის მიზანია ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა მოქმედებების შემოწმება და მასზე დაყრდნობით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მომზადება.[1499] ამგვარი სპეციალური უფლება ნებისმიერი კლასის, ხმის უფლების მქონე თუ არმქონე აქციის სულ მცირე 5%-ის მქონე აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს აქვს მინიჭებული.[1500] პროცედურული თვალსაზრისით, უმცირესობაში მყოფი აქციონერი სპეციალური აუდიტორის დანიშვნის ინიციატივით უპირველესად მიმართვას საზოგადოებას, ხოლო საერთო კრების გადაწყვეტილებით მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მას სასამართლოსადმი მიმართვის უფლება წარმოეშობა.[1501] სპეციალური შემოწმების უფლება გამორიცხულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი კანონმდებლობა ანგარიშგების აუდიტორულ შემოწმებას ისედაც ითვალისწინებს.[1502] აუდიტორის არჩევა და დანიშვნა საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება.[1503] რადგან სპეციალური აუდიტორის დანიშვნის საკითხს საერთო კრება წყვეტს, ინიციატორს ხმის უფლება შეზღუდული აქვს.[1504] აუდიტორის ანაზღაურების საკითხს ასევე საერთო კრება

1498 კანონის 180-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1499 *ჯანტურია, ნინიძე,* მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, 2002, 385-386.

1500 კანონის 174-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1501 *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 63.

1502 *ჯულელი, გიგუაშვილი,* განმარტებები „მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის პროექტზე, 2021, 209-210.

1503 *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 294, 297.

1504 კანონის 174-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

წყვეტს.[1505] დანიშვნა აუდიტორის უფლებამოსილების ნარმოშობის საფუძველია.[1506] იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კრება დააკმაყოფილებს მინორიტარი აქციონრის მოთხოვნას, ამ უკანასკნელს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით ჩაანაცვლოს დანიშნული აუდიტორი, თუკი ამის ობიექტური საჭიროება (*მაგალითად*, აუდიტორის კვალიფიკაცია, დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის პრობლემა) რეალურად არსებობს.[1507] საზოგადოებრივი დაინტერესების პირში სწორედ ამავე მიზეზით ნებისმიერი კლასის წარმომადგენელ 5%-ის მქონე აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს შეუძლია სასამართლოსადმი მიმართვის გზით მოითხოვოს აუდიტორთან ან აუდიტორულ ფირმასთან დადებული ხელშეკრულებიდან გასვლა.[1508]

მინორიტარ აქციონერთა კონტროლის ერთგვარ მექანიზმს ასევე წარმოადგენს ხელმძღვანელი პირებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ გაწეული მუშაობის მოწონების ინსტიტუტი. კერძოდ, მორიგ საერთო კრებაზე, წლიური ანგარიშის, ბალანსის და მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ხმის უფლების სულ მცირე 10%-ის მქონე აქციონერის ან აქციონერთა ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, თითოეული ხელმძღვანელი პირისა და სამეთვალყურეო საბჭოს ცალკეული წევრების მიერ ინდივიდუალურად გაწეული მუშაობის მოწონების საკითხს ცალკე ეყრება კენჭი.[1509] საწესდებო ავტონომიის ფარგლებში შესაძლებელია, კვოტაზე დამოკიდებული კონტროლის მექანიზმების გაფართოვება, თუმცა არა შეზღუდვა.[1510]

1505 *Davies*, Principles of Modern Company Law, 2008, 775-776.

1506 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 297.

1507 კანონის 174-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

1508 იქვე, 58-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

1509 იქვე, 185-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1510 დაწერილებით იხ. *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 61-68, 68-72, 72-73.

ა.გ.) უფლების განხორციელება სასამართლოს მეშვეობით

საზოგადოების ხელმძღვანელის უარი ინფორმაციის გაცემაზე შესაძლებელია გასაჩივრდეს როგორც ინდივიდუალური, ისე კლასობრივი სარჩელით. 202-ე მუხლი ადგენს სასამართლოს მეშვეობით ინფორმაციის მიღების უფლების განხორციელების შესაძლებლობას. სასამართლოს მიერ აქციონერის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ინფორმაციის გაცემა არ მოითხოვს რიგგარეშე კრების მოწვევას, რაც ამარტივებს გადაწყვეტილების აღსრულებას და ხელს უწყობს გამოთხოვილი ინფორმაციის დროულად მიღებას. ამავე ნორმაში ინტეგრირებულია აქციონერთა თანაბარი მოპყრობის პრინციპი, რომლის გამოხატულებაა სასამართლოს მეშვეობით მოპოვებული ინფორმაციის სხვა დაინტერესებული აქციონერისთვის შეუფერხებელი წვდომის უზრუნველყოფა.[1511] დაინტერესებული აქციონერი არ არის ვალდებული, ცალკე დაიწყოს სასარჩელო წარმოება იგივე ინფორმაციის მოპოვების მიზნით. აღნიშნული ასევე გულისხმობს, იგივე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის დაუშვებლობას.

ბ.) ხმის უფლება და საერთო კრებასთან დაკავშირებული სხვა უფლებები

აქციონერის ხმის უფლება სამეწარმეო საზოგადოების ნების მაფორმირებელი ძირითადი ინსტრუმენტია.[1512] საერთო კრების გადაწყვეტილებათა მიღება ხმის უფლების განხორციელებაზეა დამოკიდებული. ამიტომაც, იგი ინდივიდუალური თანამმართველობითი რანგის უფლებად მიიჩნევა.[1513] ერთი მხრივ, კაპიტალური ტიპის საზოგადოებათა სამართალში ხმის უფლება აქციონერის ცალკეულ უფლებებათა განხორციელების წინაპირობაა. *მაგალითად,* კანონის 177-ე მუხლის თანახმად, ხმის უფლების სულ მცირე 1%-ის მქონე აქციონერს შეტყობინება უპირატესი შესყიდვის უფლების

1511 კანონის 202-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

1512 *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 48-50.

1513 *Sethe*, The Law of Business Associations, in: Company Law in Germany, Zekoll/Wagner (eds.), 2019, §5.02[A], 167.

შესახებ დაზღვეული წერილით ეგზავნება. მეორე მხრივ კი ხმის უფლება აქციონერის უფლებების დაცვის საშუალებას წარმოადგენს, განსაკუთრებით მინორიტარ აქციონერთა პერსპექტივიდან. *მაგალითად,* საწესდებო ავტონომიის ფარგლებში უმცირესობაში მყოფი აქციონერებისათვის ვეტოს უფლების მინიჭების შემთხვევაში[1514] ან „ხმის გაერთიანების ხელშეკრულების" დადებით[1515], ასევე, კლასობრივი უფლებათა ცვლილებისას კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების უზრუნველყოფით[1516].

აქციონერი ხმის უფლებას საზოგადოების საერთო და რიგგარეშე კრებაზე ახორციელებს. ხმის მიცემის ორ ძირითად მეთოდს: პირდაპირსა და ხმების აკუმულირების მეთოდებს განარჩევენ.[1517] როგორც წესი, ხმას მხოლოდ ჩვეულებრივი კლასის აქცია უზრუნველყოფს. თუ პრივილეგირებული კლასის აქციას ხმის უფლება არ აქვს წესდებით მინიჭებული, შესაძლებელია, რომ პრივილეგირებულ აქციონერს კანონის საფუძველზე მიენიჭოს იგი.[1518] *მაგალითად,* 158-ე მუხლის თანახმად, პრივილეგირებული კლასის აქციის განთავსების შემდგომ უფლებებისა და მოვალეობების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ პრივილეგირებული კლასის აქციონერთა კვალიფიციური უმრავლესობით. ასევე პირიქით, კრებაზე მისაღები გადაწყვეტილების მიმართ აქციონერის ინტერესთა კონფლიქტი იწვევს მისი ხმის უფლების შეზღუდვას, *მაგალითად,* 174-ე მუხლის თანახმად, სპეციალური აუდიტორის დანიშვნის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას, ინიციატორი აქციონერი კენჭისყრაში მონაწილეობას არ იღებს. ფართო გაგებით ხმის უფლების ქვეკატეგორიებს წარმოადგენს სიტყვით, განცხადებითა და შეკითხვით მიმართვის უფლებები.[1519]

1514 *Bachmann, Eidenmüller, Engert, Fleischer,* Regulating the Closed Corporation, 2014, 42-43.

1515 *Palmiter,* Corporations, 2012, 539-540.

1516 კანონის 157-ე და 158-ე მუხლი.

1517 ხმის უფლების აკუმულირების მეთოდით განხორციელებაზე დამატებით იხილეთ სახელმძღვანელოს ქვეთავი სახელწოდებით: *„ხმის უფლების განხორციელება აკუმულირების მეთოდით"*.

1518 *French,* Mayson, French & Ryan on Company Law, 2017, 169.

1519 *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 50.

დაუშვებელია საზოგადოებაში ყველა კლასის აქციისთვის ხმის უფლების ჩამორთმევა. ერთ-ერთი კლასი მაინც უნდა უზრუნველყოფდეს ხმის უფლებას.[1520] კრებაში მონაწილეობისა და ხმის უფლების განხორციელების წინაპირობაა საერთო კრების სააღრიცხვო დღისათვის აქციაზე საკუთრების უფლება.[1521] სტანდარტულად, ხმის უფლება განისაზღვრება აქციათა რაოდენობის მიხედვით და წარმოიშობა შესატანის სრულად განხორციელების მომენტიდან, თუკი წესდებით ნაწილობრივი შესატანის განხორციელებაც არ იწვევს ამავე შედეგს.[1522] ასევე, დასაშვებია, რომ ნომინალური ღირებულის მქონე აქციის ხმის უფლების მოცულობა ნორმინალურ ღირებულებაზე იყოს დამოკიდებული, ხოლო ცალობითი აქციის შემთხვევაში — მხედველობაში აქციათა რაოდენობა მიიღება.[1523] თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, კანონი შესაბამისი წინაპირობების დაცვით, ითვალისწინებს აქციონერის ელექტრონული საშუალებით კენჭისყრაში მონაწილეობას და ამავე ფორმით ხმის უფლების განხორციელებას.[1524]

ბ.ა.) ხმის უფლების განხორციელების პრინციპები

„ერთი აქცია ერთ ხმას უზრუნველყოფს".[1525] ამ პრინციპს ევროპის საკორპორაციო სამართალიც განამტკიცებს.[1526] იგი

1520 *Pinto, Braton*, Understanding Corporate Law, 2018, 113.

1521 კანონის 192-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1522 იქვე, 196-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტი.

1523 *Wirth, Arnold, Greene*, Corporate Law in Germany, 2004, 128.

1524 კანონის 194-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტი.

1525 იქვე, 158-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1526 § 12, Abs. 2, AktG. *Wirth, Arnold, Greene*, Corporate Law in Germany, 2004, 128. *Grudmann*, European Company Law, 2012, 301. თანამედროვე ტენდენციების კვალდაკვალ აღსანიშნავია ამ პრინციპის გამონაკლი, რომელიც 2014 წელს იტალიაში საკანონმდებლო ცვლილების შედეგად განხორციელდა და ღია (საჯარო) სს-ში ისეთი „მრავალხმიანი კლასის" აქციის გამოშვება დაუშვა, რომელიც მაქსიმუმ 3 ხმას უზრუნველყოფს. მას „ერთგულების აქციებსაც" უწოდებენ და ძირითადად, დამფუძნებელ პარტნიორებზე ან ხანგრძლივი კავშირ-ურთიერთობის მქონე აქციონერებზე გაიცემა, იხ.: *Santoro, Palma, Guarnri, Capogrosso*, Deviations from the «One Share — One Vote» Principle in Italy: Recent Developments — Multiple Voting Rights Shares and Loyalty Shares, Bocconi Legal Papers, №5, 2015, 141-170. მრავალხმიანი აქციები შეერთებული შტატების სამართლის პირმშოა და შესაძლოა ერთი აქცია ხმის უფლება შეუზღუდავი

თანაბარი კონტროლის შესაძლებლობის უზრუნველყოფითა და ეკონომიკური რისკის განაწილების მიზნით არის ნაკარნახევი.[1527] ინდივიდუალური ხასიათიდან გამომდინარე, დაუშვებელია ხმის უფლების შეძენა, დათმობა ან სხვა ფორმით მესამე პირზე ან თანაპარტნიორზე გასხვისება. თუმცა სამართლებრივად ნამდვილი იქნება ხმების გაერთიანების მიზნით დადებული პარტნიორული ხელშეკრულება.[1528] ამგვარი შეთანხმება სამართლებრივ შედეგს მხოლოდ ხელშემკვრელი პირებისათვის წარმოშობს. თუმცა აკრძალულია იმგვარი ხელშეკრულების დადება, რომლის თანახმად, აქციონერი საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს მითითებისამებრ ახორციელებს ხმის უფლებას.[1529] ამ უკანასკნელს მივყავართ მომდევნო პრინციპთან, რომლის თანახმად, აქციონერი ხმის უფლებას ახორციელებს დამოუკიდებლად.[1530] აღნიშნული გულისხმობს ნებისმიერი პირის მხრიდან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზემოქმედების აკრძალვას. ხმის უფლების დამოუკიდებლად განხორციელება მოიაზრებს ხელმძღვანელი ორგანოს მიერ მიწოდებულ მონაცემსა და მასალებზე დაყრდნობით უფლების ინფორმირებულ რეალიზაციას. შესაბამისად, ხელმძღვანელი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მცდარი ან არასრული ინფორმაციის მიწოდება, ხმის უფლებაზე არაპირდაპირ ზემოქმედებას წარმოადგენს. ამდენად, დამოუკიდებლად განხორციელების პრინციპი იცავს აქციონერის მიერ ხმის უფლებით ნებელობით სარგებლობას. გამონაკლისს წარმოადგენს ხმის უფლების ლეგიტიმური შეზღუდვა განსახილველი საკითხის მიმართ ინტერესთა კონფლიქტს გამო.[1531] დამოუკიდებლად განხორციელების პრინციპი მჭიდრო კავშირშია დომინანტური მდგომაროების ბოროტად გამოყენების აკრძალვის პრინ-

---

ოდენობით ითვალისწინებდეს. *Haas*, Corporate Finance in a Nutshell, 2011, 498.

1527 *კრااკმანი, არმური, დევისი და სხვა*, საკორპორაციო სამართლის ანატომია, შედარებითი და ფუნქციური მიდგომა, ქოჩიაშვილი, მაისურაძე (მთარგ.), 2019, 123.

1528 *Palmiter*, Corporations, 2012, 539-540.

1529 *Wirth, Arnold, Greene*, Corporate Law in Germany, 2004, 130.

1530 კანონის 197-ე მუხლი.

1531 იქვე, მე-3 პუნქტი.

ციპთანაც. წინამდებარე თავის დასაწყისში უკვე აღინიშნა, დასახელებული პრინციპის შინაარსი და მისი დარღვევის სამართლებრივი შედეგი. დაუშვებელია კენჭისყრის შედეგზე გადამწყვეტი ზეგავლენის მოხდენის პრაქტიკული შესაძლებლობის მქონე აქციონერის მიერ დომინანტური მდგომარეობის გამოყენება საზოგადოების ან თანაპარტნიორთა საზიანოდ. ამგვარი ზემოქმედების მოხდენა უმცირესობაში მყოფ აქციონერთა ჯგუფსაც შეუძლია. კრება გადაწყვეტილებს ხმათა უმრავლესობის პრინციპზე დაყრდნობით იღებს,[1532] როგორც წესი, უბრალო უმრავლესობით. წესდებით შესაძლებელია უფრო მაღალი სტანდარტის დაწესებაც (*მაგალითად*, კვალიფიციური ან სრული უმრავლესობა).

ბ.ბ.) ხმის უფლების განხორციელება წარმომადგენლის მეშვეობით

აქციონერის მიერ საერთო კრებაზე მონაწილეობა შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ისევე წარმომადგენლის მეშვეობით.[1533] წარმომადგენლობის ინსტიტუტი უფრო მეტი პოპულარობით საჯარო სს-ში სარგებლობს, სადაც აქციონერთა სტატუსს იურიდიული პირები, ინსტიტუციური ინვესტორებიც[1534] ირგებენ.[1535] მონაწილეობის ფორმაზე გადაწყვეტილებას თავად აქციონერი იღებს. დაუშვებელია აქციონერისათვის წარმომადგენლის მეშვეობით კენჭისყრაში მონაწილეობის აკრძალვა. აქციონერის მიერ ხმის უფლების წარმომადგენლის მეშვეობით განხორციელების წინაპირობა არის წარმომადგენლობითსამართლებრივი ურთიერთობის ნამდვილობა და წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ საზოგადოების ინფორმირება. 193-ე მუხლის შესაბამისად ამგვარი

1532 იქვე, 195-ე მუხლი.

1533 იქვე, 193-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1534 აქციონერები კლასიფიცირდებიან ინდივიდუალურ და ინსტიტუციურ ინვესტორებად ("*Institutional Investors*"), რომელთაც წარმოადგენენ საპენსიო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები, საინვესტიციო ფონდები. *Siems*, Convergence in Shareholder Law, 2007, 288; *Palmiter*, Corporations, 2012, 122.

1535 ამგვარ ტენდენციას *„ინსტიტუციურ ინვესტორთა მეინსტრიმსაც"* უწოდებენ, *Cheffins*, The Public Company Transformed, 2019, 374; *Davies*, Principles of Modern Company Law, 2008, 459.

ინფორმაციის მიწოდება უნდა განხორციელდეს ან წერილობით, ან ელექტრონულად. წარმომადგენლობის ინსტიტუტი არ გულისხმობს ხმის უფლების გასხვისებას ან დათმობას. წარმომადგენელს მინდობილობის საფუძველზე აქვს კრებაში მონაწილებისა და ხმის მიცემის უფლება მინიჭებული.[1536] აღნიშნული ასევე მოიაზრებს კრებასთან დაკავშირებული „მონაწილეობითი" უფლებების განხორციელებას, *მაგალითად*, შეკითხვითა და განცხადებით მიმართვა (193(4)-ე მუხლი), დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვა (202-ე მუხლი). ამგვარი უფლებების შეზღუდვა დაშვებულია მხოლოდ ლეგიტიმური საფუძვლით.

კანონი არ ადგენს წარმომადგენლის მინიმალური კომპეტენციის ჩარჩოს. თუმცა პრაქტიკაში, ხშირად, ამგვარი წარმომადგენლები *ინვესტიციების მრჩევლები* არიან.[1537] წარმომადგენლის მეშვეობით კრებაში მონაწილეობის უფლება ვრცელდება როგორც მორიგ, ისევე რიგგარეშე საერთო კრებაზე. თავად წარმომადგენელიც შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისევე იურიდიული პირი, ინდივიდუალური თუ ინსტიტუციური ინვესტორი. ამ თვალსაზრისით კანონი იმპერატიულად გამორიცხავს საზოგადოების ფიდუციარის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვას. კერძოდ, დაუშვებელია ხელმძღვანელი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვა.[1538] ინტერესთა კონფლიქტის აღკვეთის მიზნით, კანონით განსაზღვრულია პირთა წრე, რომელსაც ეკრძალება აქციონერის კრებაზე წარმომადგენლობა. შეზღუდვა, ძირითადად, საზოგადოების საკონტროლო პაკეტის მქონე აქციონერს მიემართება, ასევე მასთან დაკავშირებულ პირებს (ოჯახის წევრები), მის კონტროლთან დაკავშირებულ სხვა სამეწარმეო საზოგადოებას, ამგვარი საწარმოს აუდიტორს

1536 ასეთ მინდობილობას უწოდებენ "*Proxy Card*" და შეიცავს ხმის მიცემის ინსტრუქციას, *Bainbridge*, Corporate Law, 2015, 274-275. *Davies*, Principles of Modern Company Law, 2008, 455.

1537 იგულისხმება "*Investment Advisor*", *Davies*, Principles of Modern Company Law, 2008, 459.

1538 კანონის 193-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

და დასაქმებულს.[1539]

აქციონერსა და მის წარმომადგენელს შორის ფიდუციური ურთიერთობა ყალიბდება.[1540] სწორედ ამ სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობს წარმომადგენლის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი, აქციონერის საუკეთესო ინტერესისა და მისი ინსტრუქციის შესაბამისად განხორციელება. ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ამ ხარისხით განხორციელების შეუძლებლობისას, დამაბრკოლებელ გარემოებათა შესახებ წარმოდგენილი აქციონერის დროული და სრული ინფორმირება. ამ პათოსის მატარებელია კანონის 193(7)-ე მუხლიც. მიუხედავად ამისა, ერთ წარმომადგენელს შეუძლია რამდენიმე აქციონერის წარმომადგენლობა,[1541] — როგორც მაჟორიტარის, ისევე მინორიტარი აქციონერის.

აქციონერის მიერ კრებაში მონაწილეობისა და ხმის უფლების ინდივიდუალური განხორციელება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფაქტობრივ შეწყვეტას იწვევს,[1542] თუმცა კანონის მოთხოვნის თანახმად, უფლებამოსილების შეწყვეტა საჭიროებს წერილობითი ფორმის დაცვასა და საზოგადოების ინფორმირებას.[1543]

ბ.გ.) დღის წესრიგში ცვლილების ინიცირებისა და კრების მოწვევის უფლება

დღის წესრიგში ცვლილების შეტანის, საკითხის ინიცირებისა და კრების მოწვევის უფლებებით სარგებლობა ნებისმიერი კლასის აქციის სულ მცირე 5%-ის მქონე აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს შეუძლია.[1544] ორივე უფლება უზრუნველყოფს აქციონერის, განსაკუთრებით კი უმცირესობის წარმომადგენელთა, კორპორაციულ მართვაში მონაწილეობას და კანონიერი ინტერესის დაცვას.

1539 იქვე, მე-7 პუნქტი.

1540 სხვა სიტყვებით „აგენტ-პრინციპალის" ურთიერთობა, *Palmiter*, Corporation, 2012, 136.

1541 კანონის 193-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

1542 *Davies*, Principles of Modern Company Law, 2008, 458.

1543 კანონის 193-ე მუხლის მე-10 პუნქტი.

1544 იქვე, 187-ე და 191-ე მუხლი.

დღის წესრიგის განვრცობის, მასში ცვლილება-დამატების შეტანის ძირითადი წინაპირობა აქციის მინიმუმ 5%-იანი კვოტა, ინიცირების ვადისა და წერილობითი ფორმის დაცვა გახლავთ.[1545] უფლების ბოროტად გამოყენების აღკვეთის მიზნით, დღის წესრიგის განვრცობის წინაპირობად კანონი შესაბამისი დასაბუთების, მიზეზების წარდგენის ვალდებულებას ადგენს.[1546] ცვლილების განხორციელება წარმოშობს განახლებული დღის წესრიგის აქციონერებისათვის გაგზავნის, მათი ინფორმირების ვალდებულებასაც. კანონი ითვალისწინებს ცვლილების განხორციელებაზე უარის გასაჩივრების უფლებასა და დღის წესრიგში საკითხის სასამართლოს მეშვეობით შეტანის შესაძლებლობას.[1547] მომწესრიგებელი ნორმა ასევე განსაზღვრავს ხმის უფლების მქონე აქციის მინიმუმ 5%-იანი კვოტის სპეციალურ უფლებას, რიგგარეშე კრების ჩატარების თარიღამდე, 14 დღით ადრე ხელმძღვანელი ორგანოს (მონისტური მართვის სისტემაში) ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა (დუალისტური მართვის სისტემაში) კანდიდატურების ნომინირებას და ამ მიზნით დღის წესრიგში საკითხის დამატების შესაძლებლობას.[1548]

აქციონერის მიერ კრების მოწვევის მომწესრიგებელი ნორმა არ აკონკრეტებს კრების სახეს. შესაბამისად, კრების მოწვევაში იგულისხმება როგორც რიგგარეშე, ისევე მორიგი, თუკი ამ უკანასკნელის მოწვევა და ორგანიზება უფლებამოსილი ორგანოს მიერ არ ხორციელდება.[1549] კრების მოწვევის ძირითადი წინაპირობაა აქციის 5% და მოწვევის მიზეზების განმარტება.[1550] იმდენად, რამდენადაც 195-ე მუხლით შესაძლებელია კენჭისყრის კლასთა მიხედვით წარმოება, კრების მოწვევის უფლებაში უნდა მოვიაზროთ კლასთა რიგგარეშე კრების მოწვევის შესაძლებლობაც. რიგგარეშე კრება მოიწვევა მაშინ, როდესაც ამას საზოგადოების საუკეთესო ინტერე-

---

1545 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 71.

1546 კანონის 191-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1547 იქვე, მე-5 პუნქტი.

1548 იქვე, მე-3 და მე-4 პუნქტი.

1549 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 70.

1550 *შეფერი*, საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), 2018, § 43, ველი 9, 600.

სი მოითხოვს.[1551] კანონი რიგგარეშე კრების ჩატარებას აუცილებელ საჭიროებას უკავშირებს, რაც თავის მხრივ არ გამორიცხავს კონკრეტული კლასის აქციონერთა ან აქციონერის ინდივიდუალურ, თუმცა გადაუდებელ საჭიროებას. რაკი რიგგარეშე კრება საზოგადოების სახსრებით იწარმოებს, უფლების ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად, ინიციატორს მოწვევის მიზნების, მიზეზისა და აუცილებლობის წერილობითი დასაბუთების ვალდებულება აქვს.[1552] მნიშვნელოვანია მოწვევის ფორმალური წინაპირობების დაცვა. რიგგარეშე კრების მოწვევის ინიციატორი მოწვევის მოთხოვნით უპირველესად მიმართავს საზოგადოებას, ხოლო ხელმძღვანელი ორგანო, მოწვევის მიზეზისა და დასაბუთების გათვალისწინებით, 10 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას კრების მოწვევის თაობაზე და შესაბამისი წესით აქვეყნებს მას.[1553] დღის წესრიგში ცვლილება-დამატების უფლება სხვა აქციონერებს შეზღუდული აქვთ.[1554] ხოლო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს მხოლოდ საკითხის დამატების უფლება აქვს მინიჭებული.[1555] სასამართლოს მეშვეობით უფლების განხორციელება, ერთი მხრივ, ხელმძღვანელის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შინაარსობრივი კონტროლის ბერკეტია, ხოლო მეორე მხრივ, უფლების განხორციელების საშუალება. აქციონერს სასამართლოსთვის მიმართვის უფლება მხოლოდ ხელმძღვანელი ორგანოს უარის შემდგომ წარმოეშობა.

გ.) გასაჩივრების უფლება

არაერთხელ აღინიშნა პარტნიორთა უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების ურთიერთდამოკიდებულება.[1556] გასაჩივრების უფლება როგორც დახურული ტიპის, ისევე ღია ტიპის სს-ში აქციონერის კანონიერი ინტერესის დაცვის მექანიზმია. აქციონერიც, მსგავსად შპს-ის პარტნიორისა,

---

1551 *ჯანტურია, ნინიძე,* მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 366.

1552 კანონის 187-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტი.

1553 იქვე, პირველი პუნქტი.

1554 *French*, Mayson, French & Ryan on Company Law, 2017, 395.

1555 კანონის 187-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

1556 *QC, Drake, Richardson, Lightman, Collingwood,* Minority Shareholders Law, 2010, 2.

სარგებლობს ინდივიდუალური, ნაწარმოები (დერივაციული) და კლასობრივი სარჩელის აღძვრის შესაძლებლობით.[1557] საერთო კრების გადაწყვეტილების შეცილების უფლება ან ბათილად ცნობის მოთხოვნა კორპორაციულსამართლებრივი უფლებათა რანგს განეკუთვნება და ამდენად, კონტროლის უფლების შემადგენელ ნაწილად სახელდება.[1558]

ზოგადად, საზოგადოების სახელით სარჩელის აღძვრის უფლება ხელმძღვანელ ორგანოს აქვს,[1559] ხოლო კორპორაციული მართვის დუალისტურ სისტემაში — სამეთვალყურეო საბჭოს[1560]. როგორც სახელმძღვანელოში უკვე აღინიშნა, ამგვარი არაპირდაპირი სარჩელი პარტნიორს საზოგადოების კანონიერი ინტერესის დაცვისა და ხელმძღვანელი ორგანოს ან საზოგადოების კრედიტორთა მიმართ მოთხოვნის განხორციელების შესაძლებლობას ანიჭებს.[1561] სს-ში დერივაციული სარჩელის აღძვრა შეუძლია როგორც ერთ, ისევე ერთად მოქმედ, ნებისმიერი კლასის წარმომადგენელ აქციონერს.[1562] მისი წარმატებული განხორციელება კანონით განსაზღვრული წინაპირობების დაცვასთანაა დაკავშირებული (საზოგადოებისადმი წერილობითი მიმართვის განხორციელება, სავალდებულო ვადის დაცვა, სხვ.).

კაპიტალის კლასობრივი სტრუქტურიდან გამომდინარე, ერთი კლასის წარმომადგენელ აქციონერთა კანონიერი ინტერესის დაცვა კოლექტიური, იგივე კლასობრივი სარჩელის აღძვრით მიიღწევა. სხვა სიტყვებით, კლასობრივი სარჩელი ცალკეულ აქციონერთა ინდივიდუალური სარჩელის გაერთი-

---

1557 რაკი შპს-ის თავში უკვე განვიხილეთ ინდივიდუალური და ნაწარმოები (დერივაციული) სარჩელის უფლებები, სახელმძღანელოს წინამდებარე თავში ყურადღება კლასობრივი სარჩელის აღძვრასა და მინორიტარი აქციონერის დაცვის საკითხს დაეთმობა. იხ.: სახელმძღვანელოს ქვეთავი სახელწოდებით: *„კრების ოქმის გაცნობისა და გასაჩივრების უფლება"* და ქვეთავი სახელწოდებით: *„ინდივიდუალური და ნაწარმოები (დერივაციული) სარჩელის უფლება"*.

1558 *ბურდული*, მცირე აქციონერის უფლებათა ფარგლების ბოროტად გამოყენება და მისი გავლენა საკორპორაციო სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებაზე (მცირე აქციონერთა დაცვის თანამედროვე მექანიზმები), 2009, 292.

1559 *Hannigan*, Company Law, 2012, 418.

1560 კანონის 209-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.

1561 *Hannigan*, Company Law, 2012, 418, 423.

1562 კანონის 222-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ანების შესაძლებლობას გულისხმობს.[1563] კონკრეტული კლასის აქციონერი მოქმედებს საკუთარი სახელით და წარმოადგენს ამავე კლასის დანარჩენ აქციონერებს.[1564] ნაწარმოები (დერივაციული) სარჩელისაგან განსხვავებით, კლასობრივი სარჩელის აღძვრა არ საჭიროებს უპირველესად საზოგადოებისადმი მიმართვას, თუმცა მნიშვნელოვანია ერთი კლასის წარმომადგენელ აქციონერთა გაერთიანება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.[1565] ამასთანავე, საზოგადოებას არ წარმოეშობა კლასობრივი სარჩელის აღძვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება.

გასაჩივრების უფლება მინორიტარ აქციონერთა უფლების დაცვასა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას უზრუნველყოფს. თუმცა გასაჩივრების უფლების ბოროტად გამოყენების ტენდენციამ განაპირობა საზოგადოების „მომპარავი" მინორიტარი აქციონერებისაგან დაცვის საჭიროებაც.[1566] ასეთ აქციონერთა მიზანი, ძირითადად, საერთო კრების გადაწყვეტილების გასაჩივრებით მისი აღსრულების გართულება და დაბრკოლებაა.[1567]

2.6.5. ქონებრივი უფლებები

ა.) ქონების დისტრიბუცია და დივიდენდის გაცემის შეზღუდვები

კაპიტალის დაცვის დოქტრინა აქციონერთა ქონებრივი უფლების კანონიერი განხორციელებისა და საზოგადოების ქონების შენარჩუნების ქვაკუთხედია. საზოგადოების ქონების ნებისმიერი სახით განაწილება საკუთარი კაპიტალის შემცირების ხარჯზე ხორციელდება. *მაგალითად,* დივიდენ-

---

1563 *ზარანდია, მახარობლიშვილი,* საკუთრების ცნების ტრანსფორმაცია თანამედროვე სანივთო და საკორპორაციო სამართალში, 2018, 91.

1564 *Palmiter*, Corporations, 2012, 381.

1565 იქვე.

1566 *ბურდული,* მცირე აქციონერის უფლებათა ფარგლების ბოროტად გამოყენება და მისი გავლენა საკორპორაციო სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებაზე (მცირე აქციონერთა დაცვის თანამედროვე მექანიზმები), 2009, 264.

1567 *შეფერი,* საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), 2018, § 43, ველი 16, 608.

დი მის განაწილებამდე საზოგადოების საკუთარი კაპიტალის ნაწილია. საზოგადოების მიმართ დივიდენდის მიღების თაობაზე მოთხოვნა, აქციონერს საბალანსო მოგების განაწილებაზე გადაწყვეტილების მიღებისთანავე წარმოეშობა. აქციონერს საზოგადოების ქონებაზე პირდაპირი წვდომა არ აქვს.[1568] მოგებას არათუ რომელიმე მაჟორიტარი ან მინორიტარი აქციონერი განკარგავს, არამედ კორპორაციული ორგანო, ისიც ქონების შენარჩუნების მავალდებულებელი ნორმების განუხრელი დაცვით. ანგარიშვალდებულ საწარმოში, მისი ეკონომიკურ-სამართლებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ქონების დისტრიბუციის საკანონმდებლო მონესრიგება უფრო მეტი სიხისტითა და იმპერატივიზმით გამოირჩევა.[1569] ღია ტიპის სს-ში გამომდინარე იქიდან, რომ აქციის ლიკვიდურობა ფინანსური სარგებლის მიღებას უფრო მეტად ხდის შესაძლებელს, დივიდენდის დისტრიბუცია იშვიათია და აქციონერები ფინანსურ ამონაგებს აქციათა ხშირი გასხვისებით იღებენ.[1570] დახურული ტიპის სს-ში აქციათა გასხვისების არცთუ ისე ფართო შესაძლებლობის გამო, დივიდენდის გაუცემლობა სენსიტიურია მინორიტარი აქციონერებისთვის[1571] და ამიტომ, მათი არჩევანი უფრო მეტად აქციათა გამოსყიდვის ინსტიტუტზე კეთდება.[1572]

1568 *Lewis*, Issue of Shares and Share Capital, in Butterworths Company Law Guide, 2002, 63.

1569 *Wilkinson*, Company Law, 1996, 42.

1570 *Ferran, Chan,* Principles of Corporate Finance Law, 2014, 202.

1571 დახურული ტიპის სს-ში დივიდენდის გაუცემლობას მცირე აქციონერის შევიწროვების დოქტრინის ერთგვარ გამოხატულებად და მინორიტართა „გარიყვის" ტიპურ ღონისძიებად მიიჩნევენ. იხ.: *ბაქაქური, გელტრი, ცერცვაძე, ჯუღელი,* საკორპორაციო სამართლის სახელმძღვანელო, 2019, 127-130.

1572 *Tokhadze*, Transforming Georgia's Regulations on Shareholders' Right to Interim Dividend Confronting the European Company Law, TalTech Journal of European Studies, Vol.10, №2(31), 2020, 60.

ბ.) დივიდენდი, როგორც კორპორაციული დისტრიბუცია[1573]*

აქციონერის ქონებრივ უფლებას განეკუთვნება საბალანსო მოგების წილზე, სხვა სიტყვებით, დივიდენზე, უფლება.[1574] *„კაპიტალის დირექტივა"* დისტრიბუციის ცნებაში მოიაზრებს დივიდენდსა და ნებისმიერ სხვა საზღაურს, რომელიც უკავშირდება საზოგადოებაში აქციონერის ფინანსურ ინტერესს.[1575] შესაბამისად, დირექტივა განამტკიცებს კოროორაციული დისტრიბუციის ფართო ცნებას და მასში დივიდენდის მიღებასაც მოიაზრებს. ამგვარი ტერმინოლოგიური განმარტება ქონების შენარჩუნების მავალდებულებელი ნორმების დაცვის საკითხს უკავშირედება, რომლის მიხედვით ფასდება დისტრიბუციის კანონიერება. აქციონერის მოგებაში მონაწილეობის უფლების განხორციელება დამოკიდებულია დივიდენდის მიღების უფლების მოთხოვნად გარდაქმნაზე. ეს უკანასკნელი კი დივიდენდის გაცემის დეკლარაციით, ე. ი. უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემაზე გადაწყვეტილების მიღებით მიიღწევა. აღნიშნული წარმოშობს საზოგადოების მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან ექვსი თვის ვადაში დივიდენდის გადახდის ვალდეულებას.[1576] თუკი წესდებით გათვალისწინებულია, დივიდენდის მიღება დასაშვებია შეუტანელი შესატანის შემთხვევაშიც, განხორციელებული შენატანის პროპორციულად.[1577] ნიშანდობლივია, რომ დივიდენდის მიღების მოთხოვნის განხორციელება აქციონერის უფლებაა, თუმცა მასზე ვრცელდება ხუთწლიანი ხანდაზმულობის ვადა.[1578] შესაბამისად, ამ ვადაში დივიდენდის მიუღებლობა

1573 * **განმარტება:** *შპს-ის ნაწილში უკვე განხილულ იქნა დივიდენდის ცნება უფლებისა და მოთხოვნის კონტექსტში. ამდენად, წინამდებარე თავი აღარ დაეთმობა დივიდენდის მიღების მოთხოვნის მისი მიღების ზოგადი უფლებისაგან გამიჯვნას.*

1574 *შეფერი,* საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), 2018, § 43, ველი 4, 597.

1575 Directive (EU) 2017/828, Art. 56(4). *Gervan,* Capital Directive in Europe, 2014, 49. დირექტივის კონსოლიდირებულ ვერსიასაც კაპიტალის დირექტივის სახელით მოიხსენიებენ.

1576 კანონის 181-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

1577 იქვე, მე-7 პუნქტი.

1578 იქვე, მე-6 პუნქტი.

ინვევ მოთხოვნის გაქარწყლებას და აქციონერის წინაშე საზოგადოების ვალდებულების შეწყვეტას. დივიდენდი არ გაიცემა საზოგადოების მიერ გამოსყიდულ აქციებზე, საკუთარი აქციის არსებობა უკვე გულისხმობს, რომ გამოსყიდვის შედეგად გაიცა ქონება.[1579] მსგავსად შპს-სა, სს-შიც დაშვებულია ორი კატეგორიის დივიდენდი: წლიური და შუალედური, რომელიც შეიძლება გაიცეს ფულადი და არაფულადი სახით.

დივიდენდის კანონიერება გაცემის პროცედურის დაცვასა და მისი დისტრიბუციის შესახებ გადაწყვეტილების შინაარსობრივ სისწორეს უკავშირდება. განსხვავებით შპს-ის მომწესრიგებელი ნორმებისაგან, სს-ის სპეციალური ნორმა არ საზღვრავს არაკანონიერი დივიდენის სამართლებრივ შედეგს და არც აქციონერის მიერ სხვა საზღაურის მიღების შესაძლებლობაზე აკეთებს აქცენტს[1580]. თუმცა სპეციალური რეგულირების არარსებობა არ გულისხმობს საზოგადოებასთან პარტნიორული სტატუსისაგან განცალკევებული კერძოსამართლებრივი ურთიერთობის დამყარების შეუძლებლობას. ამგვარი ურთიერთობიდან მიღებული საზღაურის კანონიერება კი იმავე კრიტერიუმით უნდა შეფასდეს, რომელზეც შპს-ის მომწესრიგებელი ნორმები მიუთითებს[1581]. რაც შეეხება უკანონო დისტრიბუციას, საზოგადოების მიერ მისი გამოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს კანონის ზოგადი ნორმა[1582] წარმოადგენს.

ბ.ა.) ჩვეულებრივი კლასის აქციონერთა პერსპექტივა

აქციონერები კლასიფიცირდებიან მოკლევადიან და ხანგრძლივ პერსპექტივაზე ორიენტირებულ ინვესტორებად.[1583] აქციათა კლასის უფლებრივი სტრუქტურაც, როგორც წესი,

---

1579 *Roth, Kindler,* The Spirit of Corporate Law, 2013, 55.

1580 შენიღბულ დივიდენდსა და სხვა საზღაურის ცნებაზე იხ. სახელმძღვანელოს ქვეთავი სახელნოდებით: *„დისტრიბუცია Contra Legem"* და შემდეგი ქვეთავი სახელნოდებით: *„სხვა საზღაურის ცნება"*.

1581 იგულისხმება *„მკლავის სიგრძის პრინციპი"*, იხ. სახელმძღვანელოს ქვეთავი სახელნოდებით: *„სხვა საზღაურის ცნება"*.

1582 კანონის 32-ე მუხლი.

1583 ასევე გამოყოფენ საშუალო პერსპექტივის მქონე აქციონერსაც, *Siems,* Convergence in Shareholder Law, 2008, 64-65.

აქციონერთა საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისია: მოკლევადიანი ინვესტორი კმაყოფილდება ქონებრივი უფლებების პრივილეგირებული რეალიზაციით[1584] მაშინ, როდესაც ხანგრძლივ პერსპექტივაზე ორიენტირებული აქციონერი საზოგადოების (თანა)მმართველობითი უფლებების გაფართოებით და კორპორაციულ მართვაში აქტიური მონაწილეობითაა დაინტერესებული. სწორედ ასეთი ინვესტორია ჩვეულებრივი კლასის აქციონერი. მისი სადივიდენდო და სალიკვიდაციო დისტრიბუციის მიღების უფლება დამოკიდებულია პრივილეგირებული აქციონერის ქონებრივი უფლების რეალიზაციაზე. შესაბამისად, კრების გადაწყვეტილების მიუხედავად, ჩვეულებრივი კლასის დივიდენდის მიღების მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება, ვიდრე პრივილეგირებული კლასის აქციონერები არ მიიღებენ დისტრიბუციას.[1585] მეორე მხრივ, ჩვეულებრივი კლასის აქციონერის ქონებრივი უფლება საზოგადოების მთელს დარჩენილ წმინდა მოგებას მიექცევა. შესაბამისად, პრაქტიკაში ამ კლასის აქციონერები, როგორც წესი, გაცილებით მაღალ დივიდენდს და სალიკვიდაციო დისტრიბუციას იღებენ.[1586]

ბ.ბ.) პრივილეგირებული კლასის აქციონერთა პერსპექტივა

თუკი წესდებით სხვა რამ არაა დადგენილი, პრივილეგირებული კლასის აქციონერის დივიდენდის მიღების მოთხოვნა პირველი რიგისაა.[1587] იგი დივიდენდს წესდებით ფიქსირებულ ოდენობის სახით იღებს.[1588] თუმცა საზოგადოება მის წინაშეც არ არის დივიდენდის უცილობლად გაცემის ვალდებულების მატარებელი.[1589] პრივილეგირებული კლასის აქცია შეიძლება იყოს კუმულაციური (დაგროვებითი) ან არაკუმულაციური

1584 ამგვარ აქციონერს *„ქონებაზე ორიენტირებულ აქციონერადაც"* (*"Profit-Oriented Shareholder"*) მოიხსენიებენ, იქვე, 68-69.

1585 *Sasso*, Capital Structure and Corporate Governance, 2013, 18.

1586 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2010, 337.

1587 კანონის 158-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

1588 *Sjostrom*, Business Organizations, 2013, 276-277.

1589 *Fletcher, Jones*, Fletcher Cyclopedia of the Law of Corporations, 2012, 90-93.

(არადაგროვებითი).[1590] კუმულაციური პრივილეგირებული აქცია უზრუნველყოფს მოგების გაუცემლობის შემთხვევაში დივიდენდის დაგროვებული ოდენობის ერთიანად მიღების უფლებას.[1591] არაკუმულაციური კი დაგროვებითი უპირატესობას არ ითვალისწინებს და დივიდენდის გაუცემლობის შემთხვევაში, მისი მიღების უფლება წყდება.[1592] წესდებით დივიდენდის გაუცემლობისას, შესაძლებელია, პრივილეგირებული კლასი კონვერტირდეს ჩვეულებრივი კლასის აქციად ან მიენიჭოს ხმის უფლება.[1593]

გ.) უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება მონისტური და დუალისტური მართვის სისტემებში

„ენუმერაციულობის პრინციპის" თანახმად, საერთო კრება მოქმედებს კანონით ან წესდებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში.[1594] კანონი ამ პრინციპზე დაყრდნობით მიჯნავს კორპორაციულ ორგანოთა ფუნქციებს. კანონი ადგენს კრების კომპეტენციაში შემავალ ზოგიერთ საკითხზე გადაწყვეტილების უფლებამოსილების სხვა ორგანოებზე დელეგირების დასაშვებ ფარგლებს და ასევე საზღვრავს ორგანოთა ურთიერთდახმარების შესაძლებლობას[1595]. ფი-

---

1590 ასევე, შეიძლება იყოს ისეთი სახის, რომელიც უზრუნველყოფს დივიდენდს მცოცავი განაკვეთით, აგრეთვე, გამოსყიდვითი, კონვერსიული. *ჯიბუტი, ყორანაშვილი,* „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის კომენტარი, 2004, 49-50.

1591 იქვე, 49.

1592 *Sjostrom,* Business Organizations, 2013, 278.

1593 *ჯიბუტი, ყორანაშვილი,* „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის კომენტარი (2004), 49. *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 333.

1594 *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 212.

1595 კანონის 184-ე მუხლის მე-3 პუნქტი. მსგავს მოწესრიგებას შეიცავს გერმანიის სააქციო კანონის §119-ე პარაგრაფის II აბზაცი, რომელიც ადგენს საერთო კრების უფლებამოსილებას, მიიღოს გადაწყვეტილება ხელმძღვანელობით საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, თუკი გამგეობა მოითხოვს. შესაბამისად, ამგვარი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობაა გამგეობის მიმართვა. იხ.: *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები ტომი II, 2013, 213. კრებას ამგვარ საკითხებზე საკუთარი აზრის ფორმირება გადაწყვეტილების სახითაც შეუძლია, თუმცა ეს უკანასკნელი გამგეობისათვის შესასრულებლად სავალდებულო არ იქნება. იხ.: *Kubis,* MüKoAktG, 4. Aufl. (2018), AktG § 119, Rn. 18. ეს გულისხმობს იმასაც, რომ კრება ვერ იქნება გამგეობისთვის მითითებების მიმცემი ორგანო და ვერც გამგეობა გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან

ნანსური ანგარიშის დამტკიცება და მოგების განაწილებაზე გადაწყვეტილების მიღება საერთო კრების „დაწერილი" კომპეტენციაა.[1596] 181-ე მუხლის შესაბამისად, შუალედური თუ წლიური ფინანსური შედეგების გათვალისწინებით, კრება იღებს გადაწყვეტილებას წმინდა მოგების გამოყენების შესახებ წინადადების დამტკიცებაზე ან მის უარყოფაზე. ასევე კრება განსაზღვრავს დივიდენდის სახეს (ფულადი თუ არაფულადი), გადახდის წესს და ფორმას.[1597] სხვა ორგანოსთვის ამ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მინიჭება დაუშვებელია.

წმინდა მოგების განაწილების შესახებ წინადადების შემუშავება განსხვავებული სცენარით წარიმართება მონისტური და დუალისტური კორპორაციული მართვის სისტემებში. ხელმძღვანელი ორგანო ადგენს წლიურ და სამეურნეო ანგარიშს, ასევე, წმინდა მოგების გამოყენების შესახებ წინადადებას სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარსადგენად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).[1598] ორსაფეხურიანი კორპორაციული მართვის სისტემაში საბჭო წარმოადგენს წმინდა მოგების განაწილებაზე დამატებითი კონტროლის გამწევ ორგანოს. კანონის თანახმად, წმინდა მოგების განკარგვაზე ხელმძღვანელი ორგანოსა და სამეთვალყურეო საბჭოს აზრთა სხვადასხვაობა იწვევს კრებისთვის ორივე ორგანოს მიერ მომზადებული წინადადების წარდგენას. ორივე სისტემაში სავალდებულოა ფინანსური ანგარიშვალდებულების დაცვა. წლიური ანგარიში, რომელიც მოიცავს საბალანსო დოკუმენტაციას, პასივისა და აქტივის ანგარიშსა და სხვა ფინანსურ ჩანაწერებს, უნდა ასახავდეს სამართლიან და ნამდვილ ინფორმაციას კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.[1599] განსხვავებით წლიური ანგარიშისგან, შუალედურ ანგარიშს აუდიტორული შემოწმება, როგორც წესი, არ სჭირდე-

---

იმ მიზეზნით, რომ კრების გადაწყვეტილებას დაეყრდნო.

1596 კანონის 184-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტი. *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 259.

1597 კანონის 181-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტი.

1598 *ჭანტურია, ნინიძე*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 437-438.

1599 *Dorresteijn, Monteiro, Teichmann, Werlauff*, European Corporate Law, 2009, 259-261.

ბა.[1600] ფინანსური გამჭვირვალობა უზრუნველყოფს საერთო კრების მიერ ყველაზე ოპტიმალური სადივიდენდო პოლიტიკის გატარებას.

დ.) გასანაწილებელი ქონების ცნება

დივიდენდის სახით გასანაწილებელი ქონება განისაზღვრება წმინდა მოგების გაყოფის გამოყენების შესახებ წინადადებით.[1601] თუმცა კრების გადაწყვეტილებით შესაძლებელია წმინდა მოგების სრული ან ნაწილობრივი რეინვესტიცია.[1602] აქვე, წმინდა მოგების გამოყენების შესახებ წინადადება ადგენს დისტრიბუციის მაქსიმალურ მოცულობას, თუ იგი განისაზღვრა ხელმძღვანელი ორგანოს (მონისტური მართვის სისტემაში) ან სამეთვალყურეო საბჭოს (დუალისტური მართვის სისტემაში) წევრთა 2/3-ის უმრავლესობით.[1603] სხვა შემთხვევაში, კრება უფლებამოსილია დისტრიბუციის რეკომენდირებულ მოცულობზე უფრო მაღალ ოდენობას უყაროს კენჭი. დაუშვებელია საზოგადოების მთლიანი ქონების განაწილება, ასევე, აკრძალულია მინიმალური კანონისმიერი საწესდებო კაპიტალისა და წესდებით დადგენილი კაპიტალ რეზერვის განაწილება. დაუშვებელია სასესხო ვალდებულების აღებით კორპორაციული დისტრიბუციის დაფინანსება, ანუ საზოგადოების ვალდებულების (ვალის) დივიდენდის სახით განაწილება. გასანაწილებელი ქონება განისაზღვრება საერთო კრების მიერ წლიური ან შუალედური ფინანსური ანგარიშის დამტკიცების შემდეგ და საბალანსო დოკუმენტით განსაზღვრული წმინდა მოგების ფარგლებში.[1604] თუკი ფინანსური ანგარიში აჩვენებს პასივის მეტობას საბალანსო აქტივთან მიმართებით, გამოდის, რომ გასანაწილებელი ქონება არ არსებობს. კანონი გასანაწილებლი ქონების ცნებას აყალიბებს იმ პირობების განსაზღვრით, რომელიც ზღუდავს დივიდენდის განთავსებულ აქციებზე განაწილებას. ქონების უკანონო

1600 *French*, Mayson, French & Ryan on Company Law, 2017, 291.

1601 *Wirth, Arnold, Greene,* Corporate Law in Germany, 2004, 148-149.

1602 კანონის 180-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

1603 იქვე, 181-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

1604 *Wirth, Arnold, Greene,* Corporate Law in Germany, 2004, 147-148.

დისტრიბუცია წარმოშობს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რა შედეგიც სახელმძღვანელოს წინა თავში, შპს-ის ნაწილში იქნა წარმოდგენილი.

ე.) კაპიტალის შენარჩუნების ვალდებულება და დივიდენდის გაცემის შეზღუდვა

ამ პარაგრაფში შეძლებისდაგვარი სიმარტივითა და ლაკონიურობით განიხილება სამი კუმულაციური პირობა, რომლის არარსებობა დივიდენდის დისტრიბუციას კრძალავს. უპირველეს ყოვლისა, დაუშვებელია დივიდენდის გაცემა, თუკი საზოგადოება გადახდისუუნაროა ან დივიდენდის დეკლარაციის შედეგად, მისი გადახდის დღისთვის გადახდისუუნარო გახდება.[1605] ხოლო გადახდისუუნარობას ხელმძღვანელი ორგანო საბუღალტრო ჩანაწერებისა და ფინანსური ანგარიშების შემოწმებით პროგნოზირებს.[1606] უნდა არსებობდეს საბალანსო მოგება, რომელიც დაფარავს მინიმალური კანონისმიერი განთავსებული (საწესდებო) კაპიტალისა და ისეთ წესდებისმიერ კაპიტალ რეზერვს, რომლის განაწილება აქციონერებზე დაუშვებელია.[1607] აღსანიშნავია, რომ განთავსებულ (საწესდებო) კაპიტალს აკლდება მისი მოუთხოვნელი ნაწილის ღირებულებაც.[1608] ამდენად, დივიდენდის განაწილება შესაძლებელია, თუ ბოლო ანგარიშგებაში აღნიშნული წმინდა აქტივი (N) იქნება მეტი [ან ტოლი][1609] განთავსებული კაპიტალისა (C) და კანონისმიერი ან წესდებისმიერი კაპიტალ რეზერვის (C_1) ჯამის:

წმინდა აქტივი ≥ განთავსებული კაპიტალი + კაპიტალ რეზერვი (კანონ. / წესდ.)

1605 კანონის 181-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი, 33-ე მუხლი.

1606 გადახდისუუნარობა განიმარტება, როგორც აქტივის ღირებულებით პასივის, მათ შორის სამომავლო ვალდებულების, დაფარვის შეუძლებლობა. *Belcher*, Directors' Decision and the Law, 2014, 75-76.

1607 კანონის 181-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი. *De Luca*, European Company Law, 2017, 172.

1608 იქვე, მე-2 პუნქტი. ანალოგიურ მოთხოვნას ადგენს „კაპიტალის დირექტივა". *Gervan*, Capital Directive, 2014, 50.

1609 მომწესრიგებელი ნორმა აქცენტს მხოლოდ ნაკლებობაზე აკეთებს. შესაბამისად, შეიძლება, ვიგულისხმოთ, მეტობა ან ტოლობა. იხ. კანონის 181-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

$$N \geq C + C_1$$

ხოლო მესამე პირობას ადგენს 181(1)-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტი, რომელიც ეხება დივიდენდის სახით გასანაწილებელ ოდენობას (D_n). ასეთი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს *წლიური* დივიდენდის განაწილების შემთხვევაში — ბოლო ფინანსურ ანგარიშგებაში, ხოლო *შუალედური* დივიდენდის განაწილების შემთხვევაში — ბოლო ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდგომ ნაჩვენები წმინდა მოგებისთვის წინა წლებში რეინვესტირებული მოგებისა (P) და თავისუფალი (ჩვეულებრივი) რეზერვებიდან გამოთავისუფლებული სახსრების (P_1) ჯამს, რომელსაც აკლდება წინა წლების ზარალისა (L) და საწესდებო რეზერვში გადასარიცხი თანხის (L_1) ჯამი. სხვა სიტყვებით, გასანაწილებელი ოდენობა უნდა იყოს ნაკლები [ან ტოლი][1610] წინა წლებში მოგებისა (P) და თავისუფალი (ჩვეულებრივი) რეზერვებიდან გამოთავისუფლებული სახსრების (P_1) ჯამს გამოკლებული წინა წლების ზარალისა (L) და საწესდებო რეზერვში გადასარიცხი თანხის (L_1) ჯამი:

$$D_n \leq (P + P_1) - (L + L_1)$$

მაშასადამე, დივიდენდად გასანაწილებელი ქონება საბალანსო ტესტისა და გადახდისუნარიანობის ტესტის კომბინაციით დგინდება. დივიდენდის სრული ან ნაწილობრივი გაუნაწილებლობა, შესაძლებელია შეფასდეს, როგორც აქციონერის კანონიერი ინტრესის არსებითი შეზღუდვა და დაკმაყოფილდეს მისი მოთხოვნა აქციათა გამოსყიდვით საზოგადოების დატოვებაზე.

3.) უპირატესი შესყიდვის უფლება

უპირატესი შესყიდვის უფლება არ წარმოადგენს აქციონერთა ძირითად ქონებრივ უფლებას, მისი განხორციელება დამოკიდებულია საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებაზე. ამიტომ, სამეცნიერო ლიტერატუ-

---

1610 მომწესრიგებელი ნორმა აქცენტს მხოლოდ მეტობაზე აკეთებს. შესაბამისად, შეიძლება, ვიგულისხმოთ, ნაკლებობა ან ტოლობა. იხ. კანონის 181-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

რაში მას პირობით უფლებასაც უწოდებენ იმდენად, რამდენადაც მისი განხორციელების ეკონომიკურ-სამართლებრივი წინაპირობა ახალი აქციების მეშვეობით საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებაა.[1611] მეორე მხრივ, უპირატესი შესყიდვის უფლება აქციის საკუთრების უფლებიდან გამომდინარე პრივილეგიად განიხილება,[1612] რადგან გაზრდილ კაპიტალში აქციონერის მონაწილეობითსამართლებრივი უფლების მოცულობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს.[1613] შესაბამისად, უპირატესი შესყიდვის ინსტიტუტი იცავს აქციონერს (არა)ქონებრივი უფლებების გაუფასურებისგან.[1614] როგორც უკვე აღინიშნა, საზოგადოების კაპიტალი შესაძლებელია დაიყოს სხვადასხვა კლასის აქციებად. კაპიტალის ამგვარ კლასობრივ სტრუქტურაში აქციონერის მონაწილეობითსამართლებრივი უფლების შენარჩუნების მიზნით, კანონის თანახმად, განთავსებული კაპიტალის ცვლილების გადაწყვეტილებას თითოეული კლასის აქციონერი ცალ-ცალკე უყრის კენჭს.[1615] უპირატესი შესყიდვის ინსტიტუტი ყველა კლასის ახალ აქციას მიემართება.[1616] კლასთაშორისი ჯვარედინა უპირატესი შესყიდვის უფლება, მართალია, არ არის აკრძალული, თუმცა სხვა კლასის აქციონერებთან მიმართებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმ კლასის წარმომადგენლები არიან, რომელი კლასის ახალი აქცია იქნა გამოშვებული. კონკრეტული კლასის ახალი აქციების გამოშვების შემთხვევაში, უპირატესი შესყიდვის უფლებით საკუთარი წილის პროპორციულად უპირველესად ამავე კლასის აქციონერები, ხოლო შემდგომ — სხვა კლასის წარმომადგენლები სარგებლობენ.[1617] აქციონერის უპირატესი შესყიდვის უფლება არსებობს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხდება ახალი აქციების გამოშვება კომერციული ბანკისთვის

1611 *ბურდული*, სააქციო საზოგადოების სამართალი, ტომი II, 2013, 247-248, 251.

1612 *Hamilton*, The Law of Corporations, 1996, 173.

1613 *Wirth, Arnold, Greene*, Corporate Law in Germany, 2004, 153.

1614 *ჯულელი*, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, 2010, 52. *Sealy, Wrthinhton*, Cases and Materials in Company Law, 2008, 377.

1615 კანონის 163-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

1616 *Wirth, Arnold, Greene*, Corporate Law in Germany, 2004, 153.

1617 კანონის 167-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ან საბროკერო კომპანიისთვის, *მაგალითად,* მათი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით.[1618] ამგვარი არაპირდაპირი უპირატესი შესყიდვის უფლება ავალდებულებს ახალ აქციათა ხელმომწერ პროფესიონალ ინვესტორებს არსებული აქციონერებისთვის იმ ღირებულებად შეთავაზებაზე, რომელსაც საზოგადოება განსაზღვრავს.[1619] შეთავაზების შემდგომ დასაშვებია მესამე პირებზე აქციების გასხვისება.[1620]

უპირატესი შესყიდვის ინსტიტუტის მიზანი დახურულ და ღია ტიპის საზოგადოებებში განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს. როგორც ეს სახელმძღვანელოს წინა ნაწილში იქნა აღნიშნული, მისი სამართლებრივი საფუძველი შეიძლება იყოს *წესდებისმიერი* და *კანონისმიერი.*[1621] ღია ტიპის სს-ში საჯარო აქციის გასხვისებაზე შეზღუდვის დაწესება, როგორც უკვე ითქვა, დაუშვებელია. სააქციო საზოგადოების სამართალში უპირატესი შესყიდვის უფლება განიხილება როგორც მოქმედი აქციონერების მიმართ ახალი აქციების შესყიდვის შეთავაზების ვალდებულება. მაშასადამე, კაპიტალის გაზრდისას ახალ აქციათა უპირატესი შესყიდვის შეთავაზება არის საზოგადოების ვალდებულება, ხოლო აქციონერთა უფლება, რაც გულისხმობს აქციონერის უფლების განხორციელებაზე ნებაყოფლობით გადაწყვეტილების მიღებას. სხვა სიტყვებით, იგი სურვილისამებრ ან შეიძენს ახალ აქციებს უპირატესი შესყიდვის ინსტიტუტით, ან — არა. დაუშვებელია უპირატესი შესყიდვის უფლების რომელიმე ცალკეული აქციონერისათვის შეზღუდვა ან ჩამორთმევა, ან *de facto* გაუქმება[1622].

1618 *ჯულელი, გიგუაშვილი,* განმარტებები „მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის პროექტზე, 2021, 198.

1619 *De Luca*, European Company Law, 2017, 334.

1620 *Sethe*, The Law of Business Associations, in: Company Law in Germany, Zekoll/Wagner (eds.), 2019, §5.02[A], 166.

1621 იხ. სახელმძღვანელოს ქვეთავი სახელწოდებით: *„უფლების განხორციელების სამართლებრივი საფუძველი"*.

1622 დამატებით იხ. სახელმძღვანელოს ქვეთავი სახელწოდებით: „უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება".

ვ.ა.) კაპიტალის გაზრდა, როგორც უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების წინაპირობა

საზოგადოების საკუთარი კაპიტალის ფორმირების ძირითადი ინსტრუმენტი აქციაა, ხოლო მისი ფორმირების წყარო — აქციონერი.[1623] ამგვარი კაპიტალიზაცია შიდა დაფინანსების საშუალებაა, რომელიც აყალიბებს საკუთარი კაპიტალის ზოგად გაგებას, მასში განთავსებული (საწესდებო) კაპიტალი და სხვა კაპიტალ რეზერვებიც მოიაზრება[1624]. საკუთარი კაპიტალის შექმნა აქციონერს ქონებრივი უფლებებით აღჭურვავს.[1625] იგი არა მხოლოდ აქციონერის ფინანსური ინტერესის ინდიკატორი, არამედ კრედიტორთა დაცვის გარანტიის, საზოგადოების გადახდისუნარიანობის მაჩვენებელიც არის.[1626] სს-ის მინიმალური კანონისმიერი განთავსებული, იგივე საწესდებო კაპიტალი, მართალია, საზოგადოების საკუთარი კაპიტალის შემადგენელი ნაწილია, თუმცა მისი შექმნისა და შემდგომ შენარჩუნების აუცილებლობიდან გამომდინარე, ვალდებულებათა კატეგორიას განეკუთვნება.[1627] სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების გარკვეულ ეტაპზე, საზოგადოების ქონება საჭიროებს გაზრდას დამატებითი ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი აქციების განთავსების ხარჯზე. ამგვარი დამატებითი სახსრების მოზიდვის პროცესს, კაპიტალის შეძენის ღონისძიება ეწოდება.[1628] საამისოდ განასხვავებენ კაპიტალის გაზრდისა და შეძენის შემდეგ ძირითად ღონისძიებებს: ა) ჩვეულებრივი გაზრდა დამატებითი შესატანების დანიშვნით; ბ) კაპიტალის პირობითი გაზრდა კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების გამოშვებით; გ) გაზრდა ნაბადართული კაპიტალის ფარგლებში; დ) საზოგადოების საკუთარი კაპიტალის ხარჯზე.[1629]

1623 *Sealy, Wrthinhton,* Cases and Materials in Company Law, 2008, 370.

1624 *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 149.

1625 იქვე, 237. *Haas,* Corporate Finance in a Nutshell, 2011, 41.

1626 *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 147-149.

1627 რასაც საბალანსო ჩანაწერიც ასახავს, *De Luca,* European Company Law, 2017, 173.

1628 *ჯანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 446.

1629 *Döge,* The Financial Obligations of the Shareholders, in: Shareholders' Duties, Birkmose (ed.), 2017, 291-292. *Wirth, Arnold, Greene,* Corporate Law in Germany,

განთავსებული კაპიტალის ცვლილება საჭიროებს საერთო კრების გადაწყვეტილებას და გამოქვეყნებას დადგენილი წესით.[1630]

ვ.ა.ა.) ჩვეულებრივი და პირობითი გაზრდის მეთოდი

ჩვეულებრივი გაზრდა, როგორც ყველაზე გავრცელებული მეთოდი, ხორციელდება ახალი აქციების ემისიითა და საწესდებო კაპიტალის გაზრდით.[1631] გაზრდის ამგვარ მეთოდს საერთო კრების კვალიფიციური უმრავლესობა უნდა უჭერდეს მხარს, თუკი წესდება უფრო მაღალ კვოტას არ ადგენს.[1632] გადაწყვეტილებით განისაზღვრება გასაცემი აქციების რაოდენობა, კლასი, ღირებულება. გაზრდა შესაძლებელია როგორც ფულადი, ისევე არაფულადი შესატანებით.[1633] კაპიტალის დაცვის მიზნით, კანონი საზღვრავს მინიმალური შესატანის ოდენობასა და მის სახეს. აქციათა განთავსების მომენტისათვის ნომინალური ღირებულების 25%, ცალობითი აქციის შემთხვევაში კი მისი ღირებულების სულ მცირე 25% უნდა იყოს განაღდებული, ხოლო არაფულადი შესატანის განხორციელების მაქსიმალური ვადა 5 წელს შეადგენს.[1634] არაფულადი შესატანის შემთხვევაში, შესაძლებელია, მისი სრულად განხორციელების მოთხოვნის დაწესებაც,[1635] ხოლო რეალური ეკონომიკური ღირებულების განსასაზღვრად სავალდებულოა დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიშის წარდგენა.[1636]

2004, 149-150.

1630 კანონის 163-ე მუხლის მე-2 პუნქტი. Directive (EU), 2017/1132, Art. 68, 1. *Sethe*, The Law of Business Associations, in: Company Law in Germany, Zekoll/Wagner (eds.), 2019, §5.02[A], 165.

1631 *ჯანტურია, ნინიძე*, მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 446-448.

1632 კანონის 164-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1633 *შეფერი*, საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), 2018, § 42, ველი 24, 581-580. გერმანულ სამართალში აკრძალულია განთავსებული კაპიტალის მომატება გათავსებული აქციების ნომინალური ღირებულების ღირებულების გაზრდის ხარჯზე. *Sethe*, The Law of Business Associations, in: Company Law in Germany, Zekoll/Wagner (eds.), 2019, §5.02[A], 166. შეად. კანონის 163-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

1634 იქვე, 164-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

1635 *De Luka*, European Company Law, 2017, 152-156, 156.

1636 *Gervan*, Capital Directive in Europe, 2014, 42. საგამონაკლისო წესს ადგენს კანონის 164-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

ახალ აქციათა ნამატ ღირებულებად გამოშვების შემთხვევაში, სხვაობის დაფარვა სავალდებულოა.[1637] დაუშვებელია აქციათა განთავსება დადგენილ ღირებულებაზე ნაკლებ ფასად.[1638] რაც შეეხება კაპიტალის პირობით ზრდას, საამისოდ გამოიყენება აქციად კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდები, რომელიც, როგორც წესი, ხელმძღვანელი ორგანოს წევრებსა და საზოგადოებაში დასაქმებულ პირებზე გაიცემა.[1639] ახალ აქციებზე, რომლებიც გამოშვებულ იქნა საზოგადოების, შვილობილი საწარმოს ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა, წარმომადგენელთა, დასაქმებულთა ასანაზღაურებლად და კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდიდან ან ოფციონებიდან გამომდინარე უფლებების დასაკმაყოფილებლად, უპირატესი შესყიდვის უფლება გავრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი აქციები მიზნობრივად, დანიშნულებისამებრ არ იქნება გამოყენებული.[1640]

ვ.ა.ბ.) გაზრდა საზოგადოების საკუთარი ქონებით

შიდა დაფინანსების ამგვარი მეთოდი ხორციელდება საზოგადოების კაპიტალ რეზერვის ან რეინვესტირებული სახსრების განთავსებულ კაპიტალად კონვერტაციის ხარჯზე.[1641] სხვა სიტყვებით, საზოგადოების კაპიტალ რეზერვითა და გაუნაწილებელი მოგებით ხდება ახალი აქციების გამოშვების დაფინანსება. ამგვარ აქციებს სხვაგვარად „ბონუსურ აქციებსაც" ეძახიან იმდენად, რამდენადაც აქციონერებზე შესატანის განხორციელების გარეშე პროპორციულად ნაწილდება.[1642] კაპიტალის დაცვის მიზნებისათვის, კანონი საზღვრავს ამგვარი აქციების დაფინანსების წინაპირობებს. კერძოდ, სარეზერვო კაპიტალი, შესაძლებელია, შეიქმნას კა-

---

1637 იქვე, მე-3 პუნქტი. Directive (EU), 2017/1132, Art. 69.

1638 *Hannigan*, Company Law, 2012, 466.

1639 *ქანტარია, ნინიძე*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 450.

1640 კანონის 167-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი. მომწესრიგებელი ნორმა დისპოზიციური ხასიათისაა.

1641 *Wirth, Arnold, Greene*, Corporate Law in Germany, 2004, 163.

1642 კანონის 165-ე მუხლი. *Davies*, Principles of Modern Company Law, 2008, 837, ft. 45.

პიტალ-ნამატით (აჯიო),[1643] ასევე, გაუნაწილებელი დივიდენ-დის რეინვესტირებით. აქციების დაფინანსების წყარო ვერ გახდება ის „მინიმალური წესდებისმიერი კაპიტალ რეზერ-ვი"[1644], რომელიც ფორმირებულია წესდების საფუძველზე. კერძოდ, ისეთი წესდებისმიერი კაპიტალ რეზერვი, რომლის შექმნის შემთხვევაში მინიმალური კანონისმიერი ოდენობა 10 000 ლარია (განთავსებული კაპიტალის 10%-ი[1645]), თუკი კა-პიტალიზაციის უფრო მაღალ პროცენტულ მაჩვენებელზე არ შეთანხმდებიან პარტნიორები. ამდენად, 178-ე მუხლის თა-ნახმად, სხვა ფინანსური სახსრების არარსებობის პირობებ-ში, ამგვარი წესდებისმიერი მინიმალური კაპიტალ რეზერვის მიზნობრიობა პასივის დაფარვითა და აქციათა გამოსყიდვით შემოიფარგლება, ხოლო შევსება ყოველწლიურად წლიური წმინდა მოგების 5%-ის რეინვერსიციით ხორციელდება. ცხ-ადია, ნებისმიერი სახის რეზერვი საზოგადოების მთლიანი კაპიტალის ღირებულებაზე დადებითად აისახება და კრე-დიტორთა დაცვის ფუნქციის მატარებელია. მაშასადამე, ამ-გვარი მინიმალური წესდებისმიერი კაპიტალ რეზერვი ვერ იქნება გამოყენებული ახალი „ბონუსური აქციების" დასაფი-ნანსებლად. „ბონუსური აქციების" განთავსების მეორე კრი-ტერიუმი კი საზოგადოების გადახდისუნარიანობის დაცვას ემსახურება. კერძოდ, წლიური ან შუალედური (კვარტალუ-რი) ბალანსი უნდა აჩვენებდეს აქტივის მეტობას პასივთან მიმართებით. ე. ი. კაპიტალ რეზერვი და გაუნაწილებელი მო-გება ვერ გარდაიქმნება განთავსებულ კაპიტალად, თუკი სა-ბალანსო ანგარიში ზარალს აჩვენებს.[1646]

1643 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 241-242. ნომინალზე ნაკლებ ღირებულებას კი "*Disagio*"-ს უწოდებენ. იქვე, 158.

1644 ვინაიდან ამგვარი კაპიტალ რეზერვი აქციონერთა შეთანხმების საფუძველზე ფორმირდება, შესაძლებელია ამგვარი კაპიტალის მინიმალურ ოდენობას, რომელსაც კანონის 168-ე მუხლი განთავსებული კაპიტალის 10%-ის ოდენობით ადგენს, *„მინიმალური წესდებისმიერი სარეზერვო კაპიტალი "*ეუწოდოთ.

1645 კანონის 168-ე მუხლი.

1646 კანონის 165-ე მუხლი.

ვ.ა.გ.) გაზრდა ნებადართული კაპიტალის ფარგლებში

კაპიტალის ნებადართული გაზრდა საკუთარი კაპიტალის მარტივი და სწრაფი შეძენის მეთოდია.[1647] ამის მიზეზი ისაა, რომ იგი საერთო კრების მოწვევას არ საჭიროებს, რაც კრების ორგანიზაციული ხარჯების დაზოგვასაც იწვევს. ხელმძღვანელი ორგანო ახალი აქციების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილებას ნებადართული აქციების საერთო ოდენობის 50%-ის ფარგლებში იღებს.[1648] ამგვარი უფლებამოსილების წინაპირობაა წინსწრებით გაცხადებული აქციონერთა ნება — საწესდებო ჩანაწერის სახით ან საერთო კრების გადაწყვეტილება,[1649] ამ უკანასკნელის გამოქვეყნება და აქციათა რეესტრში ასახვა.[1650] ხელმძღვანელს ახალი აქციების გამოშვების უფლებამოსილება მაქსიმუმ 5 წელს უნდა ითვლიდეს, თუმცა შესაძლებელია მრავალჯერადად, კრების გადაწყვეტილებით უფლებამოსილების 5 წლის ფარგლებში ისევ გახანგრძლივება.[1651] ახალი აქციების გამოშვების პარალელურად, ხელმძღვანელ ორგანოს შეიძლება წინასწარ მიენიჭოს უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმებაზე ერთპიროვნული გადაწყვეტილების უფლებაც.[1652] აგრეთვე შესაძლებელია, წინსწრებით განისაზღვროს ის გარემო-პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელი ორგანო გამოიყენებს ახალი აქციების გამოშვების უფლებამოსილებას, ასევე დაკონკრეტდეს გამოსაშვებ აქციათა კლასი, რაოდენობა, ღირებულება.[1653] ნებადართული აქციების ფარგლებში ახალი აქციების გამოშვებისთვის დადგენილი ფორმალური წინაპირობების დარღვევა ხელმძღვანელი ორგანოს პირადი პასუხისმგებლობას იწვევს.[1654]

1647 *შეფერი,* საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), 2018, § 42, ველი 26, 583.

1648 კანონის 166-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1649 *შეფერი,* საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), 2018, § 42, ველი 26, 583.

1650 კანონის 166-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1651 Directive (EU), 2017/1132, Art. 68 (2).

1652 *ჯულელი,* კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, 2010, 54.

1653 *Wirth, Arnold, Greene,* Corporate Law in Germany, 2004, 161.

1654 *Bainbridge*, Corporate Law, 2015, 43-45.

ვ.ბ.) წილის შეძენის პირობები

უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების შესაძლებლობა უკავშირდება აქციონერთა ინფორმირების უზრუნველყოფას. ხმის უფლების მქონე აქციების სულ მცირე 1%-ის მესაკუთრე ახალი აქციების გამოშვებისა და უპირატესი შესყიდვის სარგებლობის შესახებ შეტყობინებას დაზღვეული წერილით იღებს, ხოლო უფლებით სარგებლობის ვადა არანაკლებ 14 დღით უნდა განისაზღვროს[1655]. თანაბარი მოპყრობის პრინციპი თითოეული კლასის აქციონერს უპირატესი შესყიდვის უფლების თანაბარი შესაძლებლობით აღჭურვავს და რაიმე სახის პირდაპირი ან ირიბი დისკრიმინაციული დიფერენციაცია თანასწორუფლებიანობის დარღვევად უნდა შეფასდეს. კონკრეტული კლასის ახალ აქციათა შეძენის უპირატესობას ამავე კლასის აქციონერები ფლობენ,[1656] რაც გულისხმობს, სხვა კლასის აქციონერთა შესყიდვის უფლების მეორე რიგის უფლებად ქცევას.

ვ.გ.) უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება

უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევას წარმოადგენს. კანონი განსაზღვრავს მხოლოდ იმ შემთხვევას, როდესაც უპირატესი შესყიდვის უფლება *ipso iure* საფუძვლით არ არსებობს.[1657] უფლების ნაწილობრივ ან სრულ შეზღუდვაზე გადაწყვეტილებას საერთო კრება, ხოლო ნებადართული კაპიტალის ფარგლებში ახალ აქციებთან მიმართებით, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ხელმძღვანელი ორგანოც იღებს.[1658] ამგვარი გადაწყვეტილების შინაარსობრივი კრიტერიუმები ნორმატიულ დონეზე არ არის დადგენილი. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმების საჭიროებად საზოგადოების საუკეთესო ინტერესი სახელდე-

---

1655 კანონის 167-ე მუხლის მე-4 პუნქტი. ვადასთან მიმართებით ანალოგიურ მოთხოვნას ადგენს *„კაპიტალის დირექტივის"* სახელწოდებით ცნობილი ევროდირექტივაც, Directive (EU), 2017/1132, Art. 73 (30).

1656 კანონის 167-ე მუხლის პირველი და მე-7 პუნქტი.

1657 იქვე, მე-5 პუნქტი.

1658 იქვე, მე-2 პუნქტი.

ბა, რომლის დასაცავად გაუქმება ან შეზღუდვა აუცილებელი და სათანადო ზომა უნდა იყოს.[1659] საზოგადოების საუკეთესო ინტერესი ეკონომიკურ-სამართლებრივი კრიტერიუმების კომბინაციით უნდა განისაზღვროს და როგორც სამართლებრივი დაცვის უკეთესმა სიკეთემ აქციონერთა უპირატესი შესყიდვის ინტერესი უნდა გადანონოს. *მაგალითად,* ამგვარ შემთხვევებს უკავშირდება საზოგადოების მძიმე ფინანსური მდგომარეობიდან რეაბილიტაცია, დამატებითი ინვესტიციების საზოგადოებაში სწრაფი და ეფექტიანი მოზიდვა, კორპორაციული ტრანზაქციების (შერწყმა/შეძენა) განხორციელება.[1660] კლასობრივი ინტერესიდან გამომდინარე, წესდებით ან კრების გადაწყვეტილებით, შეიძლება გაუქმდეს კლასთაშორისი, ჯვარედინი უპირატესი შესყიდვის უფლებაც.[1661] გადაწყვეტილებაუნარიანია კრება, რომელსაც საერთო ხმების მქონე აქციონერთა სულ მცირე 50% მაინც ესწრება, ხოლო საკითხის დადებითად გადაწყვეტა დამწრეთა უბრალო უმრავლესობის მხარდაჭერას საჭიროებს.[1662]

ზ.) კომპენსაცია აქციათა გამოსყიდვისა და ამორტიზაციის დროს

აქციონერის უფლებათა კატეგორიას საკუთარი აქციების ნაბაყოფლობითი გამოსყიდვა წარმოადგენს.[1663] საერთო კრების ექსკლუზიურ კომპეტენციას აქციის გამოსყივის ნებართვის გაცემა განეკუთნება.[1664] ასევე, საზოგადოება უფლებამოსილია იძულებით გააუქმოს განთავსებული აქციები,[1665] რაც მსგავსად აქციონერის მიერ აქციის გამოსყიდვისა, იწვევს საზოგადოებით კაპიტალის შემცირებას. აქციათა გამოსყიდვა და იძულებითი გაუქმება წარმოშობს აქციონერის მოთხოვნას წევრობის დაკარგვის გამო კომპენსაციის მიღე-

---

1659 *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 254-255.

1660 *Döge,* The Financial Obligations of the Shareholders, in: Shareholders' Duties, Birkmose (ed.), 2017, 299. *Hamilton,* The Law of Corporations, 1996, 174-175.

1661 *Wirth, Arnold, Greene,* Corporate Law in Germany, 2004, 154.

1662 კანონის 167-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

1663 კანონის 172-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი.

1664 იქვე, 184-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი.

1665 იქვე, 170-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ბაზე.[1666] კორპორაციული დისტრიბუცია, მისი ფართო მნიშვნელობით, მოიცავს იმ კომპენსაციასაც, რომელიც აქციონერს ასეთ შემთხვევაში გადაეცემა.[1667]

ზ.ა.) აქციათა ამორტიზაცია

საზოგადოების ერთპიროვნული გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელია აქციათა გაუქმება აქციონერისათვის შესაბამისი სამართლიანი ღირებულების გადახდით.[1668] ასეთ ტრანზაქციას აქციის „იძულებითი გაუქმება" ეწოდება. ხშირად, იურიდიულ ლიტერატურაში იგი აქციის „ამორტიზაციის" სახელწოდებითაც მოიხსენიება.[1669] იძულებითი გაუქმება კაპიტალის ჩვეულებრივი შემცირების გზით ხორციელდება.[1670] იგი გულისხმობს საზოგადოების პრივილეგიას აქციის გაუქმებაზე, რომელიც აქციათა განთავსებამდე საზოგადოებისათვის აქციონერთა მიერ წესდებით მინიჭებულ უფლებამოსილებას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ გაუქმებას ასევე ექვემდებარება საზოგადოების ის საკუთარი აქცია, რომელიც საზოგადოებამ განთავსებული კაპიტალის შემცირების მიზნით შეიძინა ან გამოისყიდა,[1671] ამორტიზაცია არ გულისხმობს გამოსყიდული, საკუთარი აქციების გაუქმებას. ამ შემთხვევაში საკუთარი აქციის გაუქმების მიზანი ცხადია — დაუშვებელია საკუთარი აქციის საზოგადოების სასარგებლოდ განთავსება.[1672] მო-

---

1666 *შეფერი,* საზოგადოებათა სამართალი, მიგრიაული (მთარგ.), 2018, § 43, ველი 6, 598.

1667 ამგვარ განმარტებას აკეთებს *„კაპიტალის დირექტივაც"*, Directive (EU), 2017/1132, Art. 56(4). *Ferran,* Corporate Finance and Company Law, 1999, 417-418. *Palmiter,* Corporations, 2012, 633.

1668 კანონის 170-ე მუხლი.

1669 *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 141-148. იგი გერმანულ სააქციო სამართალშიც, როგორც კაპიტალის შემცირების ერთ-ერთი მეთოდი, ასევე „ამორტიზაციის" სახელწოდებით მოიხსენიება, *Oechsler,* MüKoAktG, 5. Aufl. (2021), AktG § 237 Rn. 1.

1670 კანონის 170-ე მუხლის მე-3 პუნქტი. AktG § 237, Abs. 2.

1671 იქვე, 161-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

1672 რაც ემსახურება ბაზარზე მანიპულირებას და ამ გზით აქციათა ღირებულების მომატებით მოთხოვნის ხელოვნურად შექმნას. კანონის 160-ე

ცემულ პარაგრაფში კი განიხილება განთავსებული აქციის საზოგადოების სურვილისამებრ გაუქმება, რომელიც ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში ეკონომიკურ-სამართლებრივი ინტერესითაა მოტივირებული. *მაგალითად*, ხშირად, ამორტიზაცია აქციონერის ნევრობის უფლების გაუქმებას უფრო უკავშირდება, ხოლო განთავსებული კაპიტალის შემცირება მეორეხარისხოვანი შედეგია.[1673] იგი შესაძლოა, აქციონერთა სტრუქტურაზე ზემოქმედების, რომელიმე კლასის აქციათა გაუქმების მიზნითაც განხორციელდეს[1674] ან საზოგადოების მტრული დაუფლებისგან დასაცავად,[1675] ასევე, ანგარიშვალდებული საწარმოს აქციის დაცემული ღირებულების კომპენსაციის მიზნით[1676].

ამორტიზაციის ინსტიტუტის პარალელურად, საზოგადოებამ შესაძლებელია ასევე გამოუშვას „გამოსყიდვადაქვემდებარებული აქცია", რომელიც ითვალისწინებს ემიტენტის ან მისი მესაკუთრე აქციონერის მიერ ამგვარი აქციის გამოსყიდვის შესაძლებლობას წინსწრებით განსაზღვრულ პირობებად.[1677] გამოსყიდვადაქვემდებარებული კლასის აქცია გამოსყიდვის უფლებით ორივე მხარეს — როგორც საზოგადოებას, ისევე აქციონერს ანიჭებს, ხოლო გამოსყიდული აქციები უპირობო გაუქმებას არ ექვემდებარება, იგი შესაძლებელია საზოგადოების მიერ ხელახლა განთავსდეს გასხვისების გზით. თუმცა ორივე ინსტიტუტი ერთსა და იმავე შედეგს უკავშირდება: აქციონერული სტატუსის დაკარგვას

მუხლი.

1673 მაშინ, როდესაც კაპიტალის შემცირების სხვა ღონისძიებები (*მაგალითად*, გამარტივებული შემცირება) კონკრეტული მიზნით ხორციელდება, როგორიცაა: არსებული ზარალის დაფარვა, კაპიტალ რეზერვის შევსება. ამორტიზაციის მიზანი კანონმდებლობით არ არის შემოფარგლული. *Oechsler*, MüKoAktG, 5. Aufl. (2021), AktG § 237 Rn. 4. ასევე, იხ. AktG § 229, Abs. 1.

1674 *ჯუღელი*, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, 2010, 102.

1675 *Haas*, Corporate Finance, 2011, 566.

1676 *თოხაძე*, ინვესტორთა დაცვის საკანონმდებლო მონესრიგების დეფიციტი საფონდო ბირჟიდან ანგარიშვალდებული სანარმოს იძულებითი „ტიპოლოგიური კვდომის" პროცესში, „სამართლის ჟურნალი", №2, 2016, 87.

1677 იგულისხმება შეძენის ღირებულება, გამოსყიდვის ვადა, სხვ. *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები ტომი I, 2010, 344. ზოგიერთ ავტორთან ამგვარი კლასის აქცია „გამოსყიდვად აქციად" მოიხსენიება, *ჯუღელი*, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, 2010, 61-63.

საზოგადოებაში. სხვა სიტყვებით, მისი წევრობის უფლების შეწყვეტას კომპენსაციის მიღების სანაცვლოდ. ამასთანავე, გამოსყიდვა და ამორტიზაცია ყოველთვის პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლით არ „გვირგვინდება", იგი შესაძლებელია, სხვა კლასის აქციათა მესაკუთრეც იყოს ან შესაძლებელია, განთავსებულ აქციათა სრული გაუქმება-გამოსყიდვა არ განხორციელდეს.[1678]

გაუქმების პრივილეგია არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამგვარი შესაძლებლობა წესდების პირდაპირი ჩანაწერით არის გათვალისწინებული. აღნიშნული ემსახურება ამგვარი კლასის აქციათა განთავსების შემდგომ აქციონერის კანონიერი ინტერესის დაცვას. წესდებაში აქციათა ამორტიზაციის უფლებაზე ჩანაწერის არარსებობის შემთხვევაში, აქციათა განთავსების შემდგომ საზოგადოების მიერ იძულებითი გაუქმების ლეგიტიმაციისათვის, საჭიროა შესაბამისი კლასის ყველა აქციონერის გადაწყვეტილება.[1679] ნორმა იმპერატიულია და სპეციალური ხასიათის მოწესრიგების მქონე განთავსებულ აქციათა უფლება-მოვალეობების ცვლილების ზოგად წესთან მიმართებით.[1680] ამდენად, ამორტიზაციის წინაპირობა საზოგადოების მიერ ცალმხრივი ნების გამოხატვაა, რომელიც მიღებასავალდებულო ხასიათის მქონეა.

ზ.ბ.) აქციათა გამოსყიდვა

აქციის გამოსყიდვა წევრობიდან გამომდინარე უფლებაა, მისი განხორციელება დამოკიდებულია კანონით დადგენილ წინაპირობაზე. გამოსყიდვის მოტივი აქციონერის ინტერესის „გაუმართლებელ და არსებით" შელახვას და რეორგანი-

---

1678 შპს-ის სამართალში „ამორტიზაციის" ინსტიტუტის შინაარსზე, წინაპირობებზე, ფარგლებსა და წევრობის უფლების შეწყვეტის მომიჯნავე ინსტიტუტებთან შედარებითი ანალიზი იხ. *ბურდული, მახარობლიშვილი, მაღრაძე,* შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 142-147.

1679 კანონის 170-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

1680 იგულისხმება კვალიფიციური უმრავლესობის მხარაჭერა. იქვე, 168-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

ზაციას უკავშირდება.[1681] კერძოდ, თუ საერთო კრება მიიღებს იმგვარ გადაწყვეტილებას, რომელსაც, ერთი მხრივ, აქციონერი არ ეთანხმება, ხოლო მეორე მხრივ, ამგვარი გადაწყვეტილების აღსრულება მნიშვნელოვნად და გაუმართლებლად ზღუდვას მის კანონიერ ინტერესს ან შეეხება რეორგანიზაციას, მას წარმოეშობა საზოგადოებისაგან აქციის გამოსყიდვის უფლება. დაუშვებელია მისი წესდებით გამორიცხვა, თუმცა კანონი ითვალისწინებს იმ ძირითად გარემოებებს, რომელთა არსებობა გამოსყიდვის განხორციელების დამაბრკოლებელი შეიძლება იყოს. ეს უკანასკნელი, საზოგადოების ქონების შენარჩუნების გარდა, უკავშირდება აქციონერის მიერ გამოსასყიდი აქციების შესატანის სრულად განხორციელებას და ამავე აქციების შეძენის პერიოდს.[1682] რაკი გამოსყივის უფლება აქციონერის კანონიერი ინტერესის შელახვის საპირწონე ღონისძიებაა, მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ რა კრიტერიუმი საზღვრავს მისი უფლებისა და კანონიერი ინტერესის არსებით შელახვას. აქციონერის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა უნდა შეფასდეს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, როგორც ეკონომიკური, ისე სამართლებრივი კატეგორიებით იმდენად, რამდენადაც საზოგადოებასთან აქციონერს აკავშირებს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები. გადაწყვეტილება, რომელსაც აქციონერი კრებაზე მხარს არ უჭერს, პარტნიორის საზოგადოებაში დარჩენისა და პარტნიორული ურთიერთობების შენარჩუნების შეუძლებლობას უნდა იწვევდეს.[1683] მიზეზი შეიძლება იყოს წესდების ცვლილება, რომელიც მისი აქციიდან გამომდინარე ქონებრივი და არაქონებრივი უფლებების „შესუსტებას" ან „გაუფასურებას" გამოიწვევს. *მაგალითად,* ახალი კლასის აქციების გამოშვება, რომელიც გარკვეულ ფინანსურ პრივილეგიებს უზრუნველყოფს, დივიდენდის გაცემის შეზღუდვა რეინვესტიციის მიზნით, მათ შორის, მნიშვნელოვან გარიგებათა დადება, რომელიც მსხვილი ინვესტიციების გადინებას უკავშირდება.[1684] ამგვარი მსხვილი ინვესტიცია — საზოგადოების

1681 იქვე, 179-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1682 იქვე, მე-3 პუნქტი.

1683 *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 280.

1684 იქვე, 355-357.

ქონების სრული ან მნიშვნელოვანი ნაწილის გასხვისება, ფაქტობრივად, რეორგანიზაციული რანგის გადაწყვეტილებათა რანგს განეკუთვნება.[1685] ასევე აქციის გამოსყიდვის მიზეზი შეიძლება გახდეს ახალ აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების სრული ან ნაწილობრივი გაუქმებაც.

ერთი შეხედვით, გამოსყიდვა აქციის „ამოღების" ერთ-ერთი საშუალებაა, მხოლოდ ამჯერად კანონით გათვალისწინებულ პირობებში აქციონერის მიერ ნების წერილობითი ფორმით გამოხატვის საფუძველზე ხორციელდება. გამოსყიდვას ექვემდებარება ნებისმიერი კლასის აქცია. ამავდროულად, კანონი არ ავალდებულებს აქციონერს, გამოსყიდვის მოთხოვნის წარდგენისას მის საკუთრებაში არსებული ყველა აქცია სრულად გამოისყიდოს. ეს ნიშნავს იმას, რომ აქციონერს მიერ აქციათა ნაწილობრივ გამოსყიდვას იმ ოდენობით, რომ საზოგადოებაში წევრობის სტატუსი შეინარჩუნოს. გამოსყიდული აქციების გასხვისებისას, წესდება შესაძლებელია ითვალისწინებდეს აქციონერთა უპირატესი შესყიდვის უფლებას.[1686]

ზ.გ.) ქონების შენარჩუნების ვალდებულება და კომპენსაციის განსაზღვრა

ზ.გ.ა.) განთავსებული კაპიტალის შემცირება

ზოგადად, განთავსებული კაპიტალის შემცირება ითვალისწინებს აქციონერის მიერ საკომპენსაციო თანხის მიღებას.[1687] განთავსებული კაპიტალის შემცირებაზე საერთო კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია შესაბამისი კლასის აქციონერთა არანაკლებ 50% დასწრების შემთხვევაში, გადაწყვეტილებას კვალიფიციური უმრავლესობით იღებს და ადგენს აქციონერთათვის გადასაცემი თანხის ოდენობას.[1688] კრების მოწვევის შეტყობინებაში მიეთითება

1685 იგულისხმება ქონების სრული ან სუბსტრაციური ოდენობით გასხვისება (*"sale of all or substantially all corporate assets"*), *Haas*, Corporate Finance, 2011, 576-579; *Bainbridge*, Mergers and Acquisitions, 2012, 52-54.

1686 *Mäntysaari*, The Law of Corporate Finance: General Principles and EU Law, Vol. III., 2010, 339.

1687 კანონის 169-ე მუხლის მე-4 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.

1688 იქვე.

შემცირების მიზანი და მეთოდი.[1689] ზოგადად, განთავსებული კაპიტალის შემცირების სამი ძირითადი მეთოდი არსებობს: ა) კაპიტალის ჩვეულებრივი შემცირება, ბ) გამარტივებული შემცირება; გ) აქციათა შესყიდვით ან ამორტიზაციით შემცირება.[1690] *ჩვეულებრივი (ორდინალური) შემცირება* ხორციელდება ნომინალური ღირებულების შემცირებით, ხოლო ცალობითი აქციების შემთხვევაში — აქციათა რაოდენობის შემცირებით, რომელიც გამოიწვევს განთავსებული კაპიტალის შესაბამის შემცირებას.[1691] კომპენსაციის გადახდა, კრედიტორთა ინტერესების გათვალისწინებით, მხოლოდ ასეთი შემცირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან და გამოქვეყნებიდან 7 თვის შემდგომ არის შესაძლებელი.[1692] *გამარტივებული შემცირება* ემსახურება არსებული ზარალის დაფარვასა და სავალდებულო კაპიტალ რეზერვის შევსებას; შესაბამისად, იგი უზრუნველყოფს კრედიტორთა ინტერესის დაცვას და აკრძალულია გამოთავისუფლებული სახსრების აქციონერებზე განაწილება.[1693] *საზოგადოების მიერ აქციათა შესყიდვით ან ამორტიზაციით შემცირების დროს*, ძირითადად, გამოიყენება კაპიტალის ჩვეულებრივი შემცირების მომწესრიგებელი ნორმები.[1694]

ზ.გ.ბ.) სამართლიანი ღირებულება

აქციათა ამორტიზაცია ითვალისწინებს აქციონერის მიერ ეკონომიკური ეკვივალენტის, სამართლიანი ღირებულების მიღების უფლებას.[1695] აქციათა გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, იქმნება კაპიტალ რეზერვი, რომე-

---

1689 იქვე, მე-5 პუნქტი.

1690 *Sethe*, The Law of Business Associations, in: Company Law in Germany, Zekoll/Wagner (eds.), 2019, §5.02[A], 168-169.

1691 *Wirth, Arnold, Greene*, Corporate Law in Germany, 2004, 165.

1692 *Schultz, Wasmeier*, The Law of Business Organizations, A Concise Overview of German Corporate Law, 2012, 61.

1693 იქვე.

1694 კანონის 170-ე მუხლის მე-3 პუნქტი. *Sethe*, The Law of Business Associations, in: Company Law in Germany, Zekoll/Wagner (eds.), 2019, §5.02[A], 169. *Schultz, Wasmeier*, The Law of Business Organizations, A Concise Overview of German Corporate Law, 2012, 61.

1695 *ჯულელი*, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, 2010, 101.

ლიც გასაუქმებელი აქციების ღირებულების ჯამს შეადგენს და მხოლოდ საზოგადოების ზარალის დაფარვას ემსახურება.[1696] ამგვარი რეზერვის აქციონერებზე განაწილება დაუშვებელია. კანონი იმპერატიულად ადგენს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობა განთავსებული კაპიტალის შემცირების და აქციონერებისათვის შესაბამისი თანხის გადახდის აკრძალვის საფუძველია. ამდენად, უზრუნველყოფილია მინიმალური კანონისმიერი საწესდებო კაპიტალის შენარჩუნებისა და საზოგადოების გადახდისუუნარობისაგან დაცვის ვალდებულება. კრება იღებს გადაწყვეტილებას იმ თანხის ოდენობაზე, რომელიც აქციონერთა ანაზღაურების მიზნით გაიცემა.[1697]

აქცია საბაზრო ღირებულებით უნდა იქნეს გამოსყიდული.[1698] ამგვარი სამართლიანი ღირებულების გადახდა დაუშვებელია საზოგადოების გაუნაწილებელი სახსრებიდან.[1699] საზოგადოების წესდებით შექმნილი კაპიტალ რეზერვი დასაშვებია, რომ აქციათა გამოსყიდვას მოხმარდეს.[1700] დაუშვებელია დამატებითი ვალდებულებების (*მაგალითად,* სესხის) ხარჯზე გამოსყიდვის დაფინანსება. საზოგადოების პერსპექტივიდან გამოსასყიდი აქციის სამართლიანი ღირებულების გონივრულობა გადახდისუუნარობისა და საბალანსო ტესტების კომბინირებული გამოყენებით ფასდება.[1701] გადახდისუუნარობის ტესტი იმპლემენტირებულია კანონის 179(7)-ე მუხლით, რომელიც იცავს როგორც გადახდისუუნარობის პროცესში მყოფი საზოგადოების ქონებას და ასევე, გამოსყიდვის შემდგომ გადახდისუუნარობისაგან. ამავე მუხლის თანახმად, საზოგადოების საკუთარი კაპიტალის 25% არის ის მაქსიმა-

---

1696 კანონის 170-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

1697 იქვე, 169-ე მუხლის მე-4 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.

1698 *ფანტურია, ნინიძე,* მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 358. რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზეზით აქციის გამოსასყიდ სამართლიან ფასს თუკი სასამართლო განსაზღვრავს, იგი ხელმძღვანელობს როგორც წილის ღირებულებით, ისევე საზოგადოების სამომავლო შემოსავლებით, არსებული აქტივითა და პასივით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსიმ 309[26] მუხლის მე-6 ნაწილი.

1699 *Mäntysaari*, The Law of Corporate Finance: General Principles and EU Law, Vol. III., 2010, 329.

1700 კანონის 168-ე მუხლი.

1701 *Palmiter*, Corporations, 2012, 633-635.

ლური ზღვარი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია აქციათა გამოსყიდვა. საზოგადოების ქონების შენარჩუნების ვალდებულებიდან გამომდინარე, გამოსყიდვით განთავსებული კაპიტალის შემცირება დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამგვარი აქციის შესატანი სრულადაა განხორციელებული.[1702] წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოვიდოდა, რომ საზოგადოება აქციონერის სასარგებლოდ მის მიერ განსახორციელებელ შესატანს გადაიხდიდა.[1703]

წესდებით შესაძლებელია, გამოსყიდვის პირობების დაკონკრეტება.[1704] მათ შორის, სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მეთოდსა და წესსზე შეთანხმება. თუმცა გამოსყიდვის პირობების შესახებ გადაწყვეტილებას ხელმძღვანელი ორგანო იღებს. შესაბამისად, ამგვარი გადაწყვეტილება მიიღება ფიდუციურ მოვალეობათა დაცვითა და საზოგადოების საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით.[1705] აქციონერის დაცვის მექანიზმს გამოსყიდვის პირობების ინდივიდუალური სარჩელით გასაჩივრება, ხოლო აქციონერთა ჯგუფის შემთხვევაში — კლასობრივი სარჩელის აღძვრა წარმოადგენს.

ზ.გ.გ.) მოსაზრება სამართლიანი ღირებულების არაფულადი ფორმის შესახებ

როგორც აღინიშნა, კანონის 179(2)-ე მუხლის თანახმად, განთავსებული კაპიტალი შეიძლება შემცირდეს აქციების ნაწილის გამოსყიდვის და გაუქმების შემთხვევაშიც. ამავე მუხლის მე-7 პუნქტი კი ითვალისწინებს განთავსებული კაპიტალის აქციათა ღირებულების შემცირებისას საზგადოებისაგან თანხის ან/და საზოგადოების ფასიანი ქაღალდის მიღების შესაძლებლობას. 179-ე მუხლის თანახმად, აქციათა გამოსყიდვა ხელმძღვანელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე და სამართლიანი ღირებულების გადახდის გზით ხორციელდება. კანონი, მართალია, ადგენს

1702 კანონის 179-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

1703 *French*, Mayson, French & Ryan on Company Law, 2017, 295.

1704 იქვე.

1705 *Haas*, Corporate Finance in the Nutshell, 2011, 564-565.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის ჩარჩო-პირობებს, მაგრამ იგი არ აკონკრეტებს გამოსყივის ან გაუქმების საკომპენსაციო ღირებულების გადახდის ფორმას. ეს კი შესაძლებელს ხდის, რომ ამგვარი საკომპენსაციო ღირებულება გადახდილ იქნას გაუქმებული ან გამოსყიდული აქციების ეკვივალენტი საბაზრო ღირებულების მქონე ფასიანი ქაღალდებითაც. *მაგალითად:* „ა" აქციონერი ყოველი ფორმალური წინაპირობის დაცვით ითხოვს მის საკუთრებაში არსებული ჩვეულებრივი კლასის 20 აქციის შეფასებას და გამოსყიდვას. პირობითად, თუკი მის საკუთრებაში არსებული 1 ჩვეულებრივი კლასის აქციის საბაზრო ღირებულება 10 ლარით შეფასდა, ზემოხსენებული მსჯელობის მიხედვით, შესაძლებელი იქნება, რომ საზოგადოების ხელმძღვანელმა ორგანომ გამოსასყიდი 20 ჩვეულებრივი აქციის საბაზრო ღირებულების (ჯამში 200 ლარი) ეკვივალენტი 10 პრივილეგირებული კლასის აქცია გადასცეს მას, თუ 1 პრივილეგირებული კლასის აქციის საბაზრო ღირებულება 20 ლარი იქნება. შესაბამისად, მართებული იქნება მოსაზრება, რომ ამორტიზაციის ან გამოსყიდვის დროს სამართლიანი ღირებულების დემატერიალიზებული ფორმით (ფასიანი ქაღალდების მეშვეობით) გადახდა შედეგობრივად ფასიანი ქაღალდების „გადაცვლას" იწვევს. დემატერიალიზებული ფორმით სამართლიანი ღირებულების გადახდის შემთხვევაზეც ვრცელდება საზოგადოების ქონების დაცვის, მეორე მხრივ კი აქციონერის სამართლიანი კომპენსაციის ვალდებულება.

თ.) სამართლიანი ფასის მიღების უფლება

სავალდებულო სატენდერო შეთავაზება და აქციათა სავალდებულო მიყიდვა სამეწარმეო საზოგადოებაში სრული კონტროლის მოპოვებაზე ორიენტირებული ინსტრუმენტებია. მათ ეკონომიკურ-სამართლებრივ მნიშვნელობას არაერთი ქვეყნის კანონმდებლობა აღიარებს.[1706] ორივე ინ-

1706 ისტორიულ ექსკურსზე იხ.: *ბურდული,* სავალდებულო სატენდერო შეთავაზება, აქციათა სავალდებულო მიყიდვა: აქციით მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენება თუ კაპიტალის ბაზრის განვითარების აუცილებელი წინაპირობა?!, ჟურ. „მართლმსაჯულება", №2, 2007, 10-13. ასევე: *ბურდული, მახარობლიშვილი, ეგანატაშილი, გიგუაშვილი,* თანამედროვე ქართული

სტიტუტი საზოგადოების ყველა აქციის ერთი აქციონერის საკუთრებაში კონცენტრაციას უზრუნველყოფს. ამიტომაც აქციონეთა სტრუქტურაზე ზემოქმედებით, ორივე ინსტიტუტი მიისწრაფვის სანარმოს ერთკაცა საზოგადოებად ტრანსფორმაციისაკენ. ზოგადად, საწარმოს დაუფლება იწყება სავალდებულო სატენდერო შეთავაზებით, დაუფლების მიზნის ლოგიკური მიმდინარეობა გრძელება აქციათა სავალდებულო მიყიდვით და სრულდება აქციათა სავალდებულო გამოსყიდვით.[1707] სამივე ერთიანი პროცესის ურთიერთშეკავშირებული ელემენტია. შესაბამისად, სავალდებულო სატენდერო შეთავაზებისა და აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტების ძირითადი მონაწილენი არიან მაჟორიტარი და მინორიტარი აქციონერები. ამ პროცესში ყურადღება არათუ საზოგადოებისა და აქციონერთა შიდასამართლებრივ ურთიერთობას ეთმობა, რაც პრინციპში სახელმძღვანელოს წინამდებარე თავის ლაიტმოტივი იყო, არამედ კონტროლის მოპოვებაზე ორიენტირებული მაჟორიტარი აქციონერისა [შემძენი] და უმცირესობაში დარჩენილი აქციონერ(ებ)ის [გამყიდველი] კავშირ-ურთიერთობას, მათი კანონიერი ინტერესების განხორციელებასა და დაცვას. ორივე ინსტიტუტი უზრუნველყოფს მაჟორიტარი აქციონერის მიერ საწარმოზე სრული კონტროლის მოპოვებას და საზოგადოებაში დარჩენილი მინორიტარი აქციონერ(ებ)ის „სამართლიან ფასად" გამოსყიდვას. ხოლო ამ ტრანზაქციათა წარმატებული განხორციელება იწვევს: ა) მაჟორიტარი აქციონერის მონაწილეობითსამართლბრივი უფლების გაზრდასა და საწარმოზე სრული კონტროლის მოპოვებას; ბ) მინორიტარი აქციონერ(ებ)ის წევრობის უფლების შეწყვეტას აქციათა „სამართლიანი ფასის" მიღების შედეგად. შესაბამისად, წინამდებარე პარაგრაფი ზემოხსენებულ ინსტიტუტებს განიხილავს სწორედ აქციონერთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, უპირატესად კი უმცირესობაში მყოფი აქციონერ(ებ)ის ქონებრივი უფლების პერსპექტივიდან.

სამენარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები), 2016, 129-131.

1707 იქვე, 132.

თ.ა.) სავალდებულო სატენდერო შეთავაზება

თ.ა.ა.) შეთავაზების ვალდებულება და მიყიდვის უფლება

სავალდებულო სატენდერო შეთავაზების, როგორც კაპიტალის ბაზრის სამართლის დარგს მიკუთვნებული ინსტიტუტი[1708], ამჟამად „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით რეგულირდება. ქართული საკანონმდებლო სივრცე მის თავდაპირველ მონესრიგებას[1709] „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი ისახავდა მიზნად. სატენდერო შეთავაზების ვალდებულების ადრესატი ანგარიშვალდებული საწარმოს ხმის უფლების მქონე ფასიანი ქაღალდის საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტის მესაკუთრე პირი ან პირთა ისეთი ჯგუფია, რომელიც ხმების გაერთიანების შედეგად მოქმედებენ.[1710] სს-ში ხმის გაერთიანება და კოორდინირებული მოქმედება შესაძლებელია აქციონერთა შორის ხელშეკრულების დადებით.[1711] მნიშვნელოვანია, რომ ასეთი პირი ან პირთა ჯგუფი შეიძლება იყოს ნებისმიერი კლასის ისეთი ფასიანი ქაღალდის მესაკუთრე, რომელიც ხმის უფლებას უზრუნველყოფს. *მაგალითად*, თუ პრივილეგირებული კლასის აქცია, ჩვეულებრივი კლასის აქციის მსგავსად, აღჭურვილია ხმის უფლებით, ხოლო აქციონერის საკუთრებაშია ჩვეულებრივი კლასის აქციის 30% და პრივილეგირებული კლასის აქციის 30%, ჯამში გამოდის, რომ იგი არის ხმის უფლების მქონე აქციათა ნახევარზე მეტის მესაკუთრე, ე. ი. მაკონტროლებელი აქციონერი. სავალდებულო სატენდერო შეთავაზების მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება როგორც პირდაპირი, ისევე არაპირდაპირი, შუალობითი თუ უშუალო კონტროლი.[1712] შეთავაზების განხორციელება ხმის მაკონ-

---

1708 როგორც „საზოგადოების დაუფლების სამართლის"/(*Takeover Law*) ერთ-ერთი მექანიზმი. *Veil*, European Capital Markets Law, 2017, 721-723.

1709 „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 53² მუხლი, 28/10/1994.

1710 „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 15¹ მუხლის პირველი პუნქტი.

1711 კანონის 177-ე მუხლი. იგულისხმება "*Vote-pooling agreement*", *Palmiter*, Corporations, 2012, 539.

1712 *ბურდული*, სავალდებულო სატენდერო შეთავაზება, აქციათა სავალდებულო მიყიდვა: აქციით მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენება თუ კაპიტალის

ტროლებელი პირის ვალდებულებას წარმოადგენს, თუმცა მისი შეთავაზების მიღება უმცირესობისათვის მხოლოდ უფლებრივი კატეგორიაა. დაუშვებელია შეთავაზების მიღების ეტაპზე უმცირესობის პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება. მომწესრიგებელი ნორმა განსაზღვრავს შეთავაზების განხორციელების ვადას (კონტროლის მოპოვებიდან 45 დღე), რომლის დაუცველობა დომინანტური მდგომარეობის დაკარგვას უკავშირდება. კერძოდ, 45 დღიან ვადაში შეთავაზების განუხორციელებლობის გამო იგი ვალდებულია, ამავე ვადაში საკონტროლო მაჩვენებელს ქვევით ჩამოწიოს მის საკუთრებაში არსებული ხმების რაოდენობა.[1713] აღნიშნული გულისხმობს ხმის უფლების მქონე ფასიანი ქაღალდის განკარგვას თუნდაც გასხვისების გზით. მომწესრიგებელი ნორმა ასევე ითვალისწინებს სავალდებულო სატენდერო შეთავაზების გამომრიცხველ გარემოებებსაც.[1714] სავალდებულო სატენდერო შეთავაზების წინაპირობა აქციათა საკონტროლო პაკეტის შეძენის შესახებ ინფორმაციის გაცხადებაა.[1715] სატენდერო შეთავაზება ხორციელდება ნებისმიერი კლასის ფასიანი ქაღალდის მიმართ, გამონაკლისია შეთავაზების განმახორციელებელი აქციონერის კონტროლის ქვეშ არსებული ფასიანი ქაღალდები.[1716] შესაბამისად, მინორიტართა უფლებების დაცვის მიზნით, აუცილებელია შეთავაზების თანაბარი მოპყრობის, გამჭვირვალობის პრინციპების შესაბამისად განხორციელდება.[1717] უმცირესობის დაცვის კიდევ ერთ მექანიზმს სავალდებულო სატენდერო შეთავაზების პროცესის დასრულებამდე საკონტროლო პაკეტთან დაკავშირებული

ბაზრის განვითარების აუცილებელი წინაპირობა?!, ჟურ. „მართლმსაჯულება", №2, 2007, 21-23.

1713 „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 15[1] მუხლის პირველი პუნქტი.

1714 იქვე, „ა" და „ბ" ქვეპუნქტები.

1715 *Stohlmeier*, German Public Takeover Law, 2015, 109.

1716 იქვე, 110.

1717 *ბურდული*, სავალდებულო სატენდერო შეთავაზება, აქციათა სავალდებულო მიყიდვა: აქციით მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენება თუ კაპიტალის ბაზრის განვითარების აუცილებელი წინაპირობა?!, ჟურ. „მართლმსაჯულება", №2, 2007, 13-20.

ხმის უფლების შეჩერება წარმოადგენს.[1718]

თ.ა.ბ.) სამართლიანი ფასის განსაზღვრა

გამოსყიდვა სამართლიან ფასად ხორციელდება, რომელიც საბაზრო ღირებულების მიხედვით დგინდება. თითოეული კლასის გამოსასყიდ სამართლიან ფასს განსაზღვრავს აუდიტორი ან საბროკერო კომპანია, რომელიც ანგარიშში აღწერს გამოსასყიდი ღირებულების დადგენის მეთოდსაც.[1719] საამისოდ კანონი ადგენს მაკონტროლებელი პირის ვალდებულებას, უზრუნველყოს ყველა საჭირო ინფორმაციის შემფასებლისთვის მიწოდება. ამგვარი სამართლიანი ფასის ობიექტურობის საზომი აქციათა ის ფასია, რომელიც არ უნდა იყოს გამოსყიდვის განმახორციელებელი პირის მიერ თითოეული კლასის ფასიანი ქაღალდისთვის ბოლო 7 თვის განმავლობაში გადახდილ უმაღლეს ღირებულებაზე ნაკლები.[1720] კანონი საზღვრავს მინიმალურ ღირებულებას, რაც თავისთავად არ გამორიცხავს შეთანხმებას უფრო მაღალ ფასზე. გამოსყიდვა, როგორც წესი, ფულით ხორციელდება, თუმცა პარალელურად შესაძლებელია არაფულადი სამართლებრივი სიკეთის შეთავაზება.[1721] უმცირესობაში მყოფი აქციონერის ქონებრივი ინტერესის დაცვის დამატებით ბერკეტს სასამართლოსადმი მიმართვა და სამართლიანი ღირებულების სასამართლოს მეშვეობით დადგენა წარმოადგენს.[1722] ამავდროულად, მაჟორიტარ აქციონერს აკისრია ერთგულების მოვალეობის დაცვით მოქმედება, რაც თავისთავად გულისხმობს შეთავაზების სამართლიანი პირობებით განხორციელებას. დაუშვებელია ტრანზაქციის დასაფინანსებლად საზოგადოების კაპიტალის გამოყენება, გამომდი-

---

1718 „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 15[1] მუხლის მე-3 პუნქტი.

1719 იქვე, მე-2 პუნქტი.

1720 იქვე.

1721 *ბურდული*, სავალდებულო სატენდერო შეთავაზება, აქციათა სავალდებულო მიყიდვა: აქციით მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენება თუ კაპიტალის ბაზრის განვითარების აუცილებელი წინაპირობა?!, ჟურ. „მართლმსაჯულება", №2, 2007, 27-28.

1722 იქვე, 24-25.

ნარე საზოგადოებისა და მაჟორიტარი აქციონერის ქონების გამიჯვნით პრინციპიდან.

თ.ბ.) აქციათა სავალდებულო მიყიდვა

თ.ბ.ა.) შეძენის უფლება და მიყიდვის ვალდებულება

ქართულ საკორპორაციო სამართალში აქციათა სავალდებულო მიყიდვის ლეგიტიმურობის საკითხი ეჭვგარეშეა.[1723] იგი სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შემდგომი ნაბიჯია.[1724] სავალდებულო მიყიდვის განხორციელება შესაძლებელია როგორც დახურული, ისევე ღია ტიპის სს-ში, სასამართლოსადმი მიმართვისა და მისი გადაწყვეტილების საფუძველზე. გამოსყიდვის განმახორციელებელი დომინანტი აქციონერი აუცილებლად უნდა იყოს ხმის უფლების მქონე აქციების არანაკლებ 95%-ის მესაკუთრე.[1725] განსხვავებით სავალდებულო სატენდერო შეთავაზებისაგან, დაუშვებელია ხმათა გაერთიანებით საკონტროლო მაჩვენებლის მიღწევა. სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტი მაჟორიტარ აქციონერს არ ავალდებულებს გამოსყიდვის განხორციელებაზე. თუმცა გამოსყიდვის ინიცირების შემთხვევაში, სასამართლოსადმი მიმართვამდე არაუგვიანეს 1 თვისა სავალდებულოა ინფორმაციის გამოქვეყნება გამოსყიდვის მიზეზებისა და პირობების შესახებ.[1726] მიზეზებისა და პირობების წინასწარი გაცხადება პრევენციული ფუნქციის მატარებელია. იგი იცავს უმცირესობაში მყოფ აქციონერს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისაგან. გამოსყიდვის მიზეზი კი შეიძლება, გახდეს საზოგადოების საუკეთესო ინტერესის დაცვა, საზოგადოების საწინააღმდეგოდ მოქმედი უმცირესობის „განდევნა".[1727]

1723 მოწმობს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის №2/1/370, 382, 390, 402, 405 გადაწყვეტილება.

1724 *Balouziyeh*, A Legal Guide to United Stated Business Organizations, 2010, 95.

1725 კანონის 225-ე მუხლი. ისტორიული შედარებისათვის აღსანიშნავია, რომ კანონის წინა რედაქციის თანახმად, სავალდებულო მიყიდვის განმახორციელებს უნდა ჰქონოდა ხმის უფლების აქციების 95%-ზე მეტი, „მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 53[4] მუხლი, 28/10/1994.

1726 იქვე, 225-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

1727 *ბურდული*, მცირე აქციონერის უფლებათა ფარგლების ბოროტად

აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტს განსხვავებული და საინტერესო პერსპექტივით განიხილავს თანამედროვე კვლევა[1728], კერძოდ, უმცირესობაში მყოფი აქციონერის მიერ აქციათა მიყიდვის ინიცირების თვალსაზრისით. აქციათა სულ მცირე 5%-იანი კვოტა წარმოადგენს იმ სავალდებულო მინიმუმ, რომელიც (თანა)მმართველობითი უფლებების განხორციელების წინაპირობაა.[1729] ამდენად, მცირე აქციონერი პრაქტიკულად ვერ შეძლებს მისი წევრობიდან გამომდინარე (თანა)მმართველობითი უფლებების განხორციელებას, თუკი მაჟორიტარი აქციონერი ხმის უფლების მქონე აქციათა 95%-ზე მეტის მესაკუთრე აღმოჩნდება.[1730] ასეთ შემთხვევაში პრობლემურია დივიდენდის გაუცემლობაც, თუკი დომინანტი აქციონერის ხედვა სადივიდენდო პოლიტიკაზე განსხვავებულია. დაბალი ლიკვიდურობის გამო აქციის გასხვისების შეუძლებლობა კიდევ ერთი გამოწვევაა მინორიტარისთვის.[1731] ამდენად, კეთილგონივრული იქნება, თუკი აქციათა სავალდებულო მიყიდვის ეგიდით უმცირესობაში მყოფ აქციონერსაც დასაბუთებული მიზეზების წარდგენის საფუძველზე, შეეძლება მაჟორიტარისათვის აქციათა სავალდებულო მიყიდვა.

თ.ბ.ბ.) სამართლიანი ფასის განსაზღვრა

გამოსყიდვის აუცილებელი წინაპირობა მინორიტარი აქციონერებისათვის სამართლიანი ფასის გადახდაა. კანონის თანახმად, სამართლიან ფასს, გამოსყიდვის სააღრიცხვო თა-

---

გამოყენება და მისი გავლენა საკორპორაციო სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებაზე (მცირე აქციონერთა დაცვის თანამედროვე მექანიზმები), 2009, 264. *ჯულელი, გიგუაშვილი,* განმარტებები „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის პროექტზე, 2021, 274.

1728 *ბურდული, მახარობლიშვილი, ეგანატაშილი, გიგუაშვილი,* თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები), 2016, 139-141.

1729 იქვე, 140.

1730 *ბურდული,* სავალდებულო სატენდერო შეთავაზება, აქციათა სავალდებულო მიყიდვა: აქციით მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენება თუ კაპიტალის ბაზრის განვითარების აუცილებელი წინაპირობა?!, ჟურ. „მართლმსაჯულება", №2, 2007, 31-32.

1731 *Palmiter*, Corporations, 2012, 372.

რილთან ერთად, ადგენს სასამართლო.[1732] თავის მხრივ სასამართლო, სამართლიანი ღირებულების დასადგენად, უფლებამოსილია დანიშნოს დამოკიდებული ექსპერტი ან საბროკერო კომპანია; ეს უკანასკნელი ამზადებს გამოსყიდვის ანგარიშს სამართლიანი ღირებულების დასადგენად გამოყენებულ მეთოდსა და სხვა გარემოებებზე მითითებით.[1733] სამართლიანი კომპენსაცია უპირველესად იმ ადეკვატურ ფასს გულისხმობს, რომელიც აქციის საბაზრო ღირებულებისა და კორპორაციის საერთო ქონების ღირებულების მიხედვით დგინდება.[1734] სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის კრიტერიუმებს ადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. გამოსასყიდი სამართლიანი ფასის განსაზღვრისას სასამართლო ხელმძღვანელობს როგორც აქციის საბაზრო ღირებულებით, ისევე საზოგადოების სავარაუდო სამომავლო შემოსავლებით, აქტივით (მატერიალური თუ არამატერიალური სახით არსებული) და პასივით.[1735]

ი.) სალიკვიდაციო დისტრიბუცია

როგორც შპს-ის სამართალში, სს-შიც ლიკვიდაციის შემდგომ ქონების მიღების უფლება ყველა აქციონერს აქვს მას მერე, რაც საზოგადოების მიერ კრედიტორული მოთხოვნა დაკმაყოფილდება. სალიკვიდაციო დისტრიბუცია ერთჯერადად გაიცემა. იგი გაიცემა პარტნიორთა წილიდან გამომდინარე უფლებათა შესაბამისად.[1736] პრივილეგირებული კლასის აქციონერის სალიკვიდაციო პრეფერენცია გულისხმობს ჩვეულებრივი კლასთან შედარებით სალიკვიდაციო დისტრიბუციის უპირატესად მიღების უფლებას.[1737] თუმცა ნორმის დისპოზიციური მოწესრიგების გამო, ამგვარი პრივილეგიის გაუქმება შესაძლებელია.[1738] სალიკვიდაციო პრეფერენცია, ხშირად, განისაზღვრება წინასწარ, ლიკვიდაციის შემდეგ მი-

1732 კანონის 225-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
1733 საქართველოს საპროცესო კოდექსის 309[1] მუხლი.
1734 *Stohlmeier*, German Public Takeover Law, 2015, 146.
1735 საქართველოს საპროცესო კოდექსის 309[2ბ] მუხლი.
1736 კანონის 85-ე მუხლის პირველი პუნქტი.
1737 *Sjostrom*, Business Organizations, US, 2013, 279.
1738 კანონის 158-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

საღები ქონების ფიქსირებული ოდენობით.[1739] ჩვეულებრივი კლასის აქციონერი, როგორც „ბოლო რიგის მოთხოვნათა" მატარებელი,[1740] მხოლოდ პრივილეგირებული აქციონერის შემდეგ იღებს სალიკვიდაციო დისტრიბუციას. აღსანიშნავია, რომ სალიკვიდაციო დისტრიბუციის მიღების უფლების წევრობისაგან განცალკევებული განკარგვა ან გასხვისება შეუძლებელია. ამგვარი ქონების მიღების წინაპირობებია საზოგადოების სამართლებრივი არსებობის შეწყვეტა, კრედიტორთა მოთხოვნის სრული დაკმაყოფილება და ამის შემდგომ გასანაწილებელი ქონების არსებობა.

2.7. ქონების შენარჩუნების მავალდებულებელი ნორმები და (მცირე)აქციონერთა და კრედიტორთა დაცვის გარანტიები

2.7.1. ქონების შენარჩუნების ვალდებულება — compendia sunt dispendia[1741*]

კაპიტალის დაცვის დოქტრინა ორ ელემენტს მოიაზრებს: მინიმალური კანონისმიერი საწესდებო კაპიტალის შექმნას, რომელიც საზოგადოების დაფუძნების წინაპირობაა და საზოგადოების კაპიტალის შენარჩუნებას.[1742] საზოგადოებაში საკუთარი კაპიტალის არსებობა უპირველესად განთავსებული კაპიტალის შექმნას, აქციონერთა მიერ შესატანის განხორციელებას უკავშირდება.[1743] მინიმალური კანონისმიერი განთავსებული კაპიტალი საზოგადოების გადახდისუნარიანობის ინდიკატორია.[1744] კანონი რეგულირების იმპერატიული მეთოდით ადგენს კორპორაციული დისტრიბუციის, ქონების

1739 *Sasso*, Capital Structure and Corporate Governance, 2013, 24.

1740 იგულ. "*Rasidual Claimant*". *Davies*, Introduction to Company Law, 2010, 267. ასევე ითარგმნება როგორც „საბოლოო მოსარჩელე", იხ.: *კრااკმანი, არმური, დევისი და სხვა*, საკორპორაციო სამართლის ანატომია, შედარებითი და ფუნქციური მიდგომა, ქოჩიაშვილი/მაისურაძე (მთარგ.), 2019, 210.

1741 * ლათ. სენტენცია: *„უმოკლესი გზა - ყველაზე გრძელია"*. *ალექსიძე, გაგუა, კობახიძე, რუხაძე*, ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია, 2015, 437.

1742 *Cahn, Donald*, Comparative Company Law, 2010, 220.

1743 *Wirth, Arnold, Greene*, Corporate Law in Germany, 2004, 146-147.

1744 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 142-148.

განაწილების, საზოგადოების კაპიტალის გაზრდის თუ შემცირების მომწესრიგებელ ნორმებს. აქციონერთა და კრედიტორთა ფინანსური ინტერესები საზოგადოების დაარსების მომენტიდან კონკურირებს. საამისო საფუძველს უპირველესად შეზღუდული პასუხისმგებლობა და პარტნიორის პირადი ქონების საზოგადოების კაპიტალისგან გამიჯვნა ქმნის.[1745] შეზღუდული პასუხისმგებლობის გამო, აქციონერები არ ერიდებიან სამეწარმეო რისკის გაწევას, რადგან მათი ზარალის დიაპაზონი მხოლოდ განხორციელებული შესატანის ფარგლებში ლავირებს მაშინ, როდესაც ამგვარი რისკი საზოგადოების კრედიტუნარიანობაზე შესაძლოა, უარყოფითად აისახოს.[1746] აქციონეთა და კრედიტორთა ქონებრივი ინტერესების კონფლიქტს საზოგადოების კაპიტალზე მიმართული უფლებები და მოთხოვნები ქმნის. შესაბამისად, გარდა ნორმატიულისა, კრედიტორთა დაცვის დამატებით სახელშეკრულებოსამართლებრივ მექანიზმს კრედიტორული მოთხოვნის კორპორაციის ქონებით უზრუნველყოფა წარმოადგენს.[1747] ამგვარად კრედიტორი აღიჭურვება უზრუნველყოფილ ქონებაზე კონტროლის ფართო შესაძლებლობით, რაც ამცირებს უზრუნველყოფილი ქონების აქციონერებზე განაწილების ან სხვაგვარად დატვირთვის შესაძლებლობას.[1748] კაპიტალის დაცვის ნორმატიული სისტემა ხელს უწყობს აქციონერთა ქონების გაზრდას და ამრიგად ხანგრძლივ პერსპექტივაზე ორიენტირებული ინვესტორის ქონებრივი ინტერესის რეალიზაციას. სწორედ აქ განიცდის კონვერგენციას აქციონერისა და საზოგადოების კრედიტორის ერთი შეხედვით დაშორებული ფინანსური ინტერესები.

კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში კაპიტალის არსებობა აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, კრედიტორთა

1745 *Bainbridge*, Limited Liability, 2015, 7-9, 44-45.

1746 *კრააკმანი, არმური, დევისი და სხვა*, საკორპორაციო სამართლის ანატომია, შედარებითი და ფუნქციური მიდგომა, ქოჩიაშვილი/მაისურაძე (მთარგ.), 2019), 169-170. *Bainbridge*, Limited Liability, 2015, 47-48.

1747 იხ. *კრააკმანი, არმური, დევისი და სხვა*, საკორპორაციო სამართლის ანატომია, შედარებითი და ფუნქციური მიდგომა, ქოჩიაშვილი/მაისურაძე (მთარგ.), 2019, 171-172.

1748 იქვე.

მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.[1749] კანონი იმპერატიულად ადგენს მინიმალურ კანონისმიერ საწესდებო კაპიტალის შექმნის, შევსებისა და წესდებისმიერი კაპიტალ რეზერვთან ერთად (ასეთი არსებობის შემთხვევაში) მისი შენარჩუნების ვალდებულებას (152-ე, 157-ე და 178-ე მუხლები). განსაკუთრებით აღსანიშნავია კრედიტორთა დაცულობა საზოგადოების საკუთარი კაპიტალის ცვლილების ეტაპზე (173-ე მუხლი). ამგვარი მექანიზმი, უპირველეს ყოვლისა, კრედიტორის ინფორმირებულობასა და საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის დადგენილი წესით გამოქვეყნება წარმოადგენს (179-ე მუხლი). რაკი ვალდებულებითსამართლერივი ნორმები ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულების მოთხოვნასაც ითვალისწინებს (სკ-ის 377-ე მუხლი), კრედიტორის ინფორმირებულობა მისი დაცვის უპირობო საწინდარია (179-ე მუხლის მე-8 პუნქტი). საზოგადოების კაპიტალის არსებითი დანაკლისის შემთხვევაში, კანონი ადგენს ხელმძღვანელი ორგანოს ვალდებულებას, განახორციელოს ქონების შევსების შესაბამისი ღონისძიებები (171-ე მუხლი), ხოლო მოსალოდნელი გადახდისუუნარობის შემთხვევაში სავალდებულოა ინფორმაციის დროული გასაჯაროვება (51-ე მუხლი). ქონების დაცვის მავალდებულებელი ნორმებით განისაზღვრება კორპორაციული დისტრიბუციის წინაპირობები და აქციონერებზე გასანაწილებელი ქონების ოდენობა (180-ე და 181-ე მუხლები). ხოლო უკანონო დისტრიბუცია, „შეფარული დივიდენდი", სს-თან სახელშეკრულებოსამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი აქციონერისთვის არაობიექტური კრიტერიუმით დადგენილი საზღაური ექვემდებარება დაბრუნებას, საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციას და კრედიტორთა კანონიერ ინტერესთა დაცვას (32-ე მუხლი). სს-ის მიერ მსხვილი ინვესტიციების განხორციელების, სრული ან სუბსტანციური ოდენობის ქონების განკარგვის მოწესრგება ასევე უზრუნველყოფს საზოგადოების კრედიტუნარიანობის შენარჩუნებას (223-ე და 224-ე მუხლები). კრედიტორთა დაცვის პრიორიტეტულობაზე მეტყველებს მათი მოთხოვნების უპირატესი დაკმაყოფი-

1749 *ჭანტურია, ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, 438.

ლება საზოგადოების დაშლისა და ლიკვიდაციის პროცესშიც (87-ე მუხლი).

2.7.2. მინორიტარ და მაჟორიტარ აქციონერთა ურთიერთობა

დომინანტ და მცირე აქციონერთა ურთიერთობა მუდმივად ექცევა საკორპორაციო სამართლის ყურადღების ცენტრში. რთულია მოიძებნოს სამართლის ამ დარგში შესრულებული ნაშრომი, რომელიც მინორიტარ-მაჟორიტარ აქციონერთა ინტერესების თანაფარდობისადმი გულგრილი იქნება. საკითხის აქტუალობა აიხსნება ორგანიზაციაში გაერთიანებულ პირთა ინტერესების სხვადასხვაობით. ინტერესთა ამგვარი პოლიფონია ნებისმიერი ორგანიზაციის შიდასამართლებრივი ურთიერთობის ბუნებრივი მდგომარეობაა. მისი გადაწყვეტის მიზანს კი სამართალი, მისი ერთ-ერთი ფუნქციის განხორციელებით — სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირთა ინტერესების დაცვითა და პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტით აღწევს.[1750] საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთ ამოცანად აქციონერის ეკონომიკური ინტერესის გაზრდა სახელდება,[1751] რაც უთუოდ მოიაზრებს არაქონებრივი უფლებების დაცვასაც.

უმცირესობაში მყოფ აქციონერთა კანონიერი ინტერესის დაცვას იმპერატიული ნორმები უზრუნველყოფს. მაჟორიტარი აქციონერის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, წარმოადგენს უმცირესობაში მყოფი აქციონერის მიმართ ერთგულების მოვალეობის დარღვევას. შესაბამისად, ამ უკანასკნელს წარმოეშობა მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობა. ამგვარი მოთხოვნის ადრესატი ერთგულების მოვალეობის დამრღვევი მაჟორიტარი აქციონერია. წესდება, როგორც შიდასამართ-

---

1750 *ციპელიუსი*, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, თოთლაძე (მთარგ.), 2006, 14.

1751 *კრააკმანი, არმური, დევისი და სხვა*, საკორპორაციო სამართლის ანატომია, შედარებითი და ფუნქციური მიდგომა, ქოჩიაშვილი/მაისურაძე (მთარგ.), 2019, 36-37. საკორპორაციო სამართლის ცნებასა და რეგულირების სფეროზე იხ. სახელმძღვანელოს ქვეთავი სახელწოდებით: *„საკორპორაციო სამართლის ცნება და რეგულირების სფერო"*.

ლებრივი ურთიერთობის ინდივიდუალური მოწესრიგების ინსტრუმენტი, მინორიტართა უფლებების გაფართოვების საშუალებას იძლევა. საზოგადოების კაპიტალთან მიმართებით უმცირესობის ქონებრივი ინტერესის დაცვა ხდება როგორც ძირითადი, ისევე დამატებითი უფლებების გამოყენებით, რომელსაც მას კანონი ანიჭებს (172-ე და 173-ე მუხლი). სპეციალური შემოწმება, საზოგადოებისგან ინფორმაციის გამოთხოვა და გაცნობა უმცირესობის უფლებების დაცვისა და საზოგადოების მართვაში მონაწილეობის ძირითადი საშუალებებია (174-ე, 190-ე, 201-ე და 202-ე მუხლები). რიგგარეშე კრების მოწვევის, კრების დღის წესრიგში ცვლილების შეტანის უფლებები ასევე წარმოადგენს მისი (თანა)მმართველობითი უფლების რეალიზაციას (173-ე და 191-ე მუხლები). სსში მცირე აქციონერთა წევრობის სტატუსის შენარჩუნება უპირატესად ქონებრივ უფლებათა განხორციელებას, საბალანსო მოგებაში მონაწილეობის უფლებას უკავშირდება. სადივიდენდო პოლიტიკაზე აზრთა სხვადასხვაობა, შესაძლებელია, გახდეს კიდევ ერთი საფუძველი მცირე აქციონერთა მიერ საზოგადოებისაგან აქციის სამართლიან ღირებულებად გამოსყიდვისა (179-ე მუხლი). ანდა შესაძლებელია, ქართული საკორპორაციო სამართლის განვითარების კვალდაკვალ, ინსტიტუტებს იმგვარი დინამიკა მიეცეს, რომ მცირე აქციონერის მიერ მაჟორიტარისათვის სამართლიან ფასად სავალდებულო მიყიდვა გახდეს შესაძლებელი (225-ე მუხლი). აქციონერული შეთანხმებები კოორდინირებული მოქმედების საშუალებას იძლევა (177-ე მუხლი). უმცირესობაში მყოფ აქციონერებს, როგორც ასეთი შეთანხმების ხელშემკვრელ მხარეებს, ხმათა გაერთიანების შედეგად კენჭისყრის შედეგზე ზემოქმედების მეტი საშუალება აქვთ, ვიდრე ცალ-ცალკე. ასევე, აღსანიშნავია კლასობრივი სარჩელის აღძვრის უფლება, როგორც კანონიერი ინტერესის კოლექტიურად დაცვის მექანიზმი, რომელიც ინდივიდუალურ სარჩელთან მიმართებით შეცილების უფრო ხელმისაწვდომი ფორმაა.

2.8. საწარმოს კონტროლი და მართვის ორგანოების კონცეფცია - კორპორაციული მართვის თანამედროვე სისტემები და ქართული საკორპორაციო სამართლის თავისებურება

2.8.1. სს-ის კორპორაციული მართვა

სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი კონცეფცია, მეტწილად სპეციფიკური და განსხვავებულია სხვა სამეწარმეო საზოგადოებათა მართვის სისტემისაგან. სისტემური სახესხვაობის მთავარი განმაპირობებელი სს-ის შინაარსის განმსაზღვრელი ელემენტები და მისი ფუნქციონალური დანიშნულებაა. სს არის ე.წ. ხელოვნური ქმნილება, რომელიც იურიდიული პირის სტატუსის შედეგად სარგებლობს განცალკევებული „პიროვნულობით", ხოლო ეს განცალკევებულობა მისი მესაკუთრეებისგან გამიჯნულობას გულისხმობს. სს-ის სახასიათო ელემენტებია იურიდიული პირის სტატუსი, შეზღუდული პასუხისმგებლობა, წილების თავისუფალი მიმოქცევადობა, ცენტრალიზებული მენეჯმენტი და წილების აქციებად დაყოფა.[1752]

სს-ში ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი სისტემა ცნობილია კორპორაციული მართვის ტერმინით, რომლის არსებობას თავისი სამართლებრივი და ისტორიულად გამყარებული კონცეფტუალური საფუძველი აქვს. ზოგადად, კორპორაციული მართვა გულისხმობს სს-ის მართვისა და ხელმძღვანელობის ისეთ დაბალანსებულ სისტემას, სადაც გათვალისწინებულია აქციონერის, მმართველი ორგანოსა და დაინტერესებულ პირთა ინტერესები.[1753] კორპორაციული მართვის სისტემური ხედვის ჩამოყალიბება სს-ში საკუთრებისა და კონტროლის გამიჯვნის ხაზზე გადის, რომელსაც რამდენიმე შტრიხი აქვს.

კაპიტალური ტიპის საზოგადოების შექმნის მთავარი მოტივი გარე კაპიტალთან სამართლებრივი წვდომის უზრუნველმყოფი კორპორაციული სისტემის არსებობაა, რომელიც სათანადო ფინანსური მექანიზმების გამოყენებით შესაძლე-

---

1752 *მახარობლიშვილი*, კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, 2015, 49-50.
1753 კორპორაციული მართვის რამდენიმე სხვადასხვა განმარტება იხ. იქვე, 150-161.

ბელს ხდის სამეწარმეო საზოგადოების კაპიტალიზაციას. კაპიტალიზაციის მეთოდებით სს-ის აღჭურვა ერთი საკითხია და მეორე მისი მართვის პროცესი. კერძოდ, სს-ის ფუნქციონალური არსებობა არ არის დამოკიდებული მის წევრთა ცვალებადობაზე. უფრო მეტიც, სს სწორედ წევრთა (აქციონერთა) სიმრავლით არის მიმზიდველი კაპიტალიზმის ეპოქაში. სისტემა მარტივ თეორიაშია: აქციონერთა სტრუქტურა, ანუ მის წევრთა სიმრავლე განკუთვნილია მსხვილი კაპიტალის მოზიდვის (აკუმულირების) მიზნისთვის. აქციონერთა (წევრთა)[1754] სიმრავლე განაპირობებს განსხვავებული მართვის სისტემის არსებობის აუცილებლობას.

ამხანაგობის ტიპის საზოგადოებაში არსებობს ე.წ. კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების სისტემა, რაც გულისხმობს იმას, რომ თითოეულ პარტნიორს ერთი ხმის უფლება აქვს და ამ ხმის პარტნიორთა საერთო კრებაზე გამოყენება იმგვარად შეუძლია, რომ მაქსიმალურად გაითვალისწინოს საკუთარი, პირადი ინტერესები.[1755] საკუთარი ინტერესის სასარგებლო ხმის უფლების ბოროტად გამოყენების დამცავი უამრავი კორპორაციულსამართლებრივი მექანიზმია, მაგალითად, პარტნიორის ერთგულების მოვალეობა და მისი უარყოფითი ასპექტები სხვა მსჯელობის საგანია. ამხანაგობის ტიპის საზოგადოებაში პარტნიორთა სიმცირე, ხმის უფლების თანაბარი (როგორც ნესი, პროპორციული) განაწილება სამეწარმეო საზოგადოების მენეჯმენტში მათ (პარტნიორთა) ჩართულობას უზრუნველყოფს. შესაბამისად, რამდენადაც ყველა პარტნიორის ინტერესის გათვალისწინებით შეიძლება იქნეს მიღებული გადაწყვეტილება, ასეთი სისტემა საკორპორაციო სამართალში, კონსენსუსზე დაფუძნებულ გადაწყვეტილების სისტემად არის მოაზრებული.

განსხვავებულია სს, როგორც ღია ბიზნეს საქმიანობის განმახორციელებელი სამეწარმეო საზოგადოება, სადაც, როგორც უკვე აღინიშნა, სახეზეა აქციონერთა სიმრავლე. აქციონერთა დანაწევრებული სტრუქტურა და წილზე მიბმუ-

---

1754 სიმარტივისთვის, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ სს-ის პარტნიორს შეიძლება ეწოდოს აქციონერი და გამოყენებულ იქნეს როგორც სინონიმი, განსხვავებით სხვა სამართლებრივი ფორმებისაგან.

1755 *Bainbridge,* The New Corporate Governance In Theory And Practice, 2008, 3-4.

ლი ხმის უფლების მაჩვენებელი (პროცენტული რაოდენობა) პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის ყველა აქციონერის ინტერესის უშუალოდ გათვალისწინებას გადაწყვეტილების მიღების დროს. ეს განაპირობებს იმას, რომ აქციონერები თანხმდებიან სს-ის მართვა განხორციელდეს ცენტრალიზებული მენეჯმენტის მიერ, სადაც ყველა მათგანის (აქციონერის) ინტერესი ცენტრალიზებული მენეჯმენტისათვის უფლებამოსილების დელეგირების საფუძველზე იქნება გათვალისწინებული. ანუ, აქციონერების მმართველ ორგანო(ებ)ს აფორმირებენ ძირითადად მონვეული (არაპარტნიორი) პირებისაგან, ხოლო ამგვარად ფორმირებული ორგანო საზოგადოების მართვას ახორციელებს იმ კორპორაციულსამართლებრივი დებულებებისა და მის წევრებთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც სს-ის ფუნქციონირების ნორმატიულ არეალს შეესაბამება. მარტივად რომ ითქვას, აქციონერთა მიერ ხდება საზოგადოების მართვის, უშუალო მენეჯმენტის ცალკე ორგანოსთვის გადაცემა, რითიც რეალიზდება კლასიკური გაგების „უცხო ორგანოს" კონცეფცია. ასეთი გადაწყვეტილების სისტემას, რომელიც სს-ში ყალიბდება, ეწოდება უფლებამოსილებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების სისტემა.[1756]

აქციონერთა სიმრავლე მხოლოდ უფლებამოსილებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების სისტემის[1757] შექმნის საფუძველი არ გამხდარა. სს-ში უფლებამოსილებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების სისტემის ერთ-ერთი საფუძველი ქცევითი ეკონომიკის ერთი კატეგორიაა, რომელსაც შეზღუდული რაციონალობის დოქტრინა ეწოდება. შეზღუდული რაციონალობის შინაარსი მოიაზრებს მდგომარეობას, რომ ინდივიდის უნარი შეზღუდულია მიიღოს და გადაამუშავოს ინფორმაცია იმგვარად, რომ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღოს. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ადამიანის გონებრივი განვითარების მაქსიმა, ამ ეტაპისათვის, კონკრეტული პროცენტული მაჩვენებლით არის ზღვარდადებული და მას არ აქვს ყველა შემთხვევაში არსებულ ფაქტობრივ გა-

1756 *მახარობლიშვილი*, კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, 2015, 84.
1757 *Dooley*, Two Models of Corporate Governance, The Bus. Lawyer, Vol. 47, 1992, 466.

რემოებათა სწორად ანალიზის უნარი.[1758] თუ საკითხი უკავშირდება პროფესიულ ცოდნას, მაგალითად, კაპიტალური ტიპის საზოგადოების მართვას, ასეთ დროს, ინვესტორს (აქციონერს), როგორც წესი, არ აქვს სს-ის ყოველდღიური მდგომარეობის სწორი ანალიზის სათანადო უნარი, რისთვისაც ის „ქირაობს" მესამე პირს, რომელიც შესაბამისი ცოდნითა და უნარით იქნება აღჭურვილი. შედეგად, ფორმირდება იმის მეორე საფუძველი, თუ რატომ აქვს სს-ს სპეციფიკური მართვის სისტემა, რომელსაც კორპორაციული მართვა ეწოდება.[1759]

ზემოაღნიშნული ფაქტორთა ანალიზი კორპორაციული მართვის ტერმინის ფუნდამენტის წარმოშობას ხსნის და მას საკუთრებისა და კონტროლ გამიჯვნა ეწოდება.[1760] ანუ, სს-ში კორპორაციული მართვის სისტემის ფუნდამენტური გააზრებისთვის აუცილებელია საკუთრებისა და კონტროლის გამიჯვნის მოცემულობის სწორი ანალიზი.

საკუთრებისა და კონტროლის გამიჯვნაში ზემოთ აღნიშნული საკითხებია მოაზრებული და მასში განსაკუთრებული სირთულე არაფერია. მთავარია გააზრებულ იქნეს ვის საკუთრებასა და რის კონტროლზეა საუბარი. საკუთრებაში მოიაზრება ინვესტორის, აქციონერის მიერ განხორციელებული შესატანი (ინვესტიცია), რომელზეც ის პირდაპირი კონტროლის სამართლებრივ საშუალებას კარგავს. საკუთრებაზე პირდაპირი კონტროლის დაკარგვა ხდება სწორედ იმ ფაქტორის გამო, რომ სს-ში ყალიბდება ცენტრალიზებული მენეჯმენტი, რომელიც სს-ის ქმედუნარიანობის განმახორციელებელი და სს-ის ქონების ყოველდღიურ განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანოა.[1761] შესაბამისად, ინვესტიციის

1758 ქცევითი ეკონომიკის შესახებ, იხ. *ჯიბუტი*, კაპიტალის ბაზარზე მცირე ინტვესტორთა დაცვის თანამედროვე სამართლებრივი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, 2016, 39-50.

1759 კორპორაციული მართვის განმარტებისთვის ერთ-ერთი ღირებული წყაროა *ქედბერის ანგარიში*. იხ. Cadbary Report of The Finance Aspects of Corporate Governance, Great Britain, Burgess Science Press, 1992, 14.

1760 მისი წარმოშობის საფუძვლების შესახებ, იხ. *Bratton, Wachter*, Shareholder Primacy's Corporatist Origins: Adolf Berle and *The Modern Corporation*, The Journal of Corporation Law, 2008, 100-135.

1761 მენეჯმენტის მხრიდან სს-ის ქონების (კაპიტალის) განკარგვა არ არის

უშუალო მესაკუთრე ხდება დამოუკიდებელი სამართალსუბიექტი სს, ხოლო ქონების განკარგვის შესაძლებლობა უფლებამოსილებადელეგირებულ ორგანოს აქვს. ამ უკანასკნელს ეწოდება კონტროლი. ე.ი. აქციონერის მიერ ინვესტირებულ საკუთრებაზე უშუალო კონტროლს ცენტრალიზებული მენეჯმენტი ახორციელებს. თუმცა, ეს არ უნდა გახდეს აქციონერთა კონტროლის ბუნდოვანების მიზეზი. სს-ის არსებობს ე.წ. კონტროლის კონტროლი, რაც გულისხმობს აქციონერის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ბაზაზე მისი ინვესტიციის განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანოს კონტროლის შესაძლებლობას. ანუ, აქციონერის ინვესტიციაზე ინარჩუნებს არაპირადაპირი კონტროლის კორპორაციულსამართლებრივ შესაძლებლობას, რაც გამოიხატება აქციონერთა საერთო კრების ნორმატიულად განსაზღვრულ უფლებამოსილებათა კატალოგში. მაგალითად, თუ სს-ის მენეჯმენტის არაკეთილსინდისიერ ქმედებას მოჰყვება ზიანის ან მისი საფრთხე, აქციონერთა საერთო კრებას შეუძლია ასეთი მენეჯმენტის წევრის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება, ან ე.წ. ნაწარმოები სარჩელის სასამართლოსთვის მიმართვა. მოკლედ რომ ითქვას, აქციონერთა „არსენალში" „კონტროლის კონტროლის" განხორციელების უამრავი მექანიზმია.[1762]

კორპორაციული მართვის ტერმინოლოგიური კორპორაციულსამართლებრივი საფუძველი განმარტებულ იქნა და ის ამიტომაც არის განსხვავებული ყველა სხვა სამეწარმეო საზოგადოების მართვის სისტემისაგან. ეს სპეციფიკა სხვაგვარ ტერმინოლოგიაში სახესხვაობასაც განაპირობებს, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება ფუნქციონალური დანიშნულების ანალიზი კაპიტალის, კაპიტალის სტრუქტურის, კაპიტალის მოზიდვისა და შემცირების ნაწილში.

შეუზღუდავი: ნორმატიული რეგულაციებით, როგორც წესი, სს-ის ქონების ნახევარზე მეტთან დაკავშირებული გარიგების დადება ან სხვა გამონაკლისი საკითხები, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებითა და თანხმობით არის შესაძლებელი.

1762 საკუთრების, საკუთრებისა და კონტროლის ერთმანეთისგან გამიჯვნასთან დაკავშირებით, ვრცლად, იხ. *მახარობლიშვილი,* კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, 2015, 60-76.

2.8.2. კორპორაციული მართვის სისტემები

კორპორაციული მართვა, თავის მხრივ, ორ ტერმინოლოგიად შეიძლება გაიშალოს. ესენია: კორპორაციული მართვის სისტემა და კორპორაციული მართვის მოდელი.

კორპორაციული მართვის სისტემა ნორმატიულად დადგენილი სააქციო საზოგადოების წინასწარ განსაზღვრული მართვის სტრუქტურაა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია იმართოს ის. კორპორაციული მართვის სისტემა ორი სახის არსებობს: ერთსაფეხურიანი მართვის სისტემა[1763] და ორსაფეხურიანი მართვის სისტემა.[1764] მათი შინაარსის მაფორმირებელი ელემენტები ქვემოთ პარაგრაფებში არის განმარტებული, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ. შერეული მართვის სისტემა, როგორც სუბსტანციურად ფუნქციონირებადი სისტემა არ არსებობს. ე.წ. შერეული სისტემის ტერმინს საფუძვლად დაედო ევროპის სააქციო საზოგადოების შესახებ დირექტივის გამოცემა, რომელიც ევროპის წევრ-სახელმწიფოებში რეგისტრირებულ კომპანიებს შესაძლებლობას აძლევდა დაეფუძნებინათ ევროპის სააქციო საზოგადოება სუპრანაციონალური საზოგადოების სახით, ხოლო კორპორაციულ მართვის სისტემად დამფუძნებელ პარტნიორთა შეთანხმებისამებრ აერჩიათ ან ერთსაფეხურიანი მართვის სისტემა ან ორსაფეხურიანი მართვის სისტემა. არჩევანის თავისუფლება წევრ-სახელმწიფოთა ნაციონალურ კანონმდებლობაში მართვის სისტემათა განსხვავებულობამ განაპირობა. ეს კი ნიშნავს მხოლოდ არჩევანის თავისუფლებას ერთი ან მეორე მართვის სისტემისადმი და არ ნიშნავს მესამე, ალტერნატიული შინაარსის მქონე კორპორაციული მართვის სისტემის ჩამოყალიბებას. ქართული კანონმდებლობა სს-ის მართვის მონისტურ და დუალისტურ სისტემას შორის არჩევანის შესაძლებლობას უშვებს,[1765] გარდა გა-

---

1763 იგივე მონისტური მართვის სისტემა. იხ. *Jungmann*, The Effectiveness of Corporate Governance in One-Tier and Two-Tier Board Systems: Evidence from the UK and Germany, ECFR 4, 2006, 458-462.

1764 იგივე დუალისტური მართვის სისტემა. იხ. *ჰოპტი*, გერმანული დუალისტური სისტემა: გამოცდილება, თეორიები, რეფორმირება, საკორპორაციო სამართლის კრებული, ტომი III, ბურდული/მახარობლიშვილი (რედ.), 2015, 177-179.

1765 კანონის 182-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

მონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც სს არის ანგარიშვალ-დებული საწარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული საფონდო ბირჟაზე, ან სს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არის ლიცენზირებული.[1766] ასევე, არ-ჩეული კორპორაციული მართვის სისტემა სს-ის ფუნქციონი-რების ეტაპზეც, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტი-ლებით შესაძლებელია შეიცვალოს.[1767]

მონისტური და დუალისტური კორპორაციული მართვის სისტემის[1768] მახასიათებელია სს-ის ორგანოთა ნორმატიულ დონეზე იმპერატიულად გაწერა, რომელთა შორის ზღვარი სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა (დუალისტური) - არარ-სებობაზე (მონისტური) გადის. კორპორაციული მართვის სისტემისგან განსხვავებით, არსებობს კორპორაციული მართვის მოდელი, რომელიც მრავალფეროვანი შეიძლება იყოს.[1769] კორპორაციული მართვის მოდელი განსხვავდება კორპორაციული მართვის სისტემების, ეკონომიკური, სამ-ართლებრივი მდგომარეობის, ერთი და იგივე კომპანიაში სხვადასხვა დროისა და განსხვავებული მენეჯმენტის პი-რობებში. შესაბამისად, კორპორაციული მართვის მოდელი მისი ფართო გაგებით, უამრავ მიკრო და მაკრო ეკონომიკურ, ასევე სამართლებრივ კონსტრუქციებსა და შეთანხმებებ-ზეა დამოკიდებული.[1770] თუმცა, არსებობს კორპორაციული მართვის მოდელის ვიწრო, კორპორაციულსამართლებრი-ვი გაგებაც, რომლის თანახმადაც, ის შეიძლება იყოს დირე-ქტორთა ინტერესებში მართული, აქციონერთა ინტერესებზე ორიენტირებული და დაინტერესებულ პირთა ინტერესებ-ზე ორიენტირებული. მოდელთა ხსენებული კლასიფიკაცია სს-ის მართვის კონცეფციის შიდაორგანიზაციულ დონეზე შეთანხმება უდევს საფუძვლად. მთავარი თანმდევი სახა-სიათო ასპექტი მართვის მოდელისთვის არის ის, რომ მისი

1766 იქვე, მე-3 პუნქტი.

1767 იქვე, მე-2 პუნქტი, 184-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.

1768 *Hopt, Leyens,* Board Models in Europe. Recent Developments of Internal Corporate Governance Structures in Germany, the United Kingdom, France, and Italy Working Paper, №18, 2004, 4-15.

1769 კორპორაციული მართვის მოდელებთან დაკავშირებით, იხ. *Parkinson,* Corporate Power and Responsibility: Issues in the Theory of Company Law, 1995, 380.

1770 *Bainbridge,* The New Corporate Governance In Theory And Practice, 2008, 53-72.

დანერგვა და განხორციელება შესაძლებელია კორპორაციული მართვის როგორც ერთსაფეხურიან, ისე ორსაფეხურიან მართვის სისტემაში.[1771]

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ კორპორაციული მართვის კორპორაციულსამართლებრივი საფუძველია საკუთრებისა და კონტროლის გამიჯვნა, რომლის შედეგი გამოიხატება ცენტრალიზებული მენეჯმენტის არსებობაში, ხოლო კორპორაციული მართვის განხორციელება შესაძლებელია საკანონმდებლო დონეზე გაწერილი მონისტური ან დუალისტურის მართვის სისტემის მეშვეობით. კორპორაციული მართვის ამა თუ იმ სისტემაში კი შესაძლებელია კორპორაციული მართვის ნებისმიერი მოდელის დანერგვა მისი ფართო თუ ვიწრო გაგებით.

ა.) მონისტური მართვის სისტემა

კორპორაციული მართვის მონისტური სისტემა ანგლო-ამერიკული კაპიტალურად მოწყობილი საზოგადოებისთვის იყო მახასიათებელი, რომელიც, ეტაპობრივად, ქართული რეალობისთვისაც მისაღები გახდა. მონისტური სისტემა კანონით განსაზღვრული მართვის ორგანოთა სისტემურ და ფუნქციონალურ განლაგებას ადგენს და მიუთითებს, რომ ასეთ სისტემაში სამეთვალყურეო საბჭო ცალკე საზედამხედველო ორგანოს სახით არ არსებობს. როგორც მონისტურ სისტემაში,[1772] ისე დუალისტურ სისტემაში, საზოგადოების მართვაზე პასუხისმგებლად ხელმძღვანელი ორგანო გვევლინება. ხელმძღვანელ ორგანოს ირჩევს აქციონერთა საერთო კრება. საზოგადოების ორგანოთა შორის ჰორიზონტალური ურთიერთობის გამო, ხელმძღვანელი ორგანოსათვის მითითების მიცემა არ შეუძლია საერთო კრებას (არსებობის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს), ხოლო ხელმძღვანელი ორგანო ვალდებული არ არის შეასრულოს ასეთი მითითება (თუ იქნება ის).[1773] აქ გასამიჯნია ერთმანეთისაგან მითითების მიცე-

1771 *მახარობლიშვილი*, კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, 2015, 161-169.

1772 მას უნიტარულ სისტემასაც უწოდებენ. იხ. *ბურდული, ეგნატაშვილი*, კორპორაციული მართვის საკითხებისთვის, წიგნში: ბესარიონ ზოიძის საიუბილეო კრებული (60 წლის იუბილე), ჭანტურია, ბურდული (რედ.), 2013, 505.

1773 *ჭანტურია*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელ პირთა

მა და მიღებული გადაწყვეტილების შესრულება. მითითების მიცემა, თავისი შინაარსით, ვერტიკალურ ურთიერთობაში ყოფნას გულისხმობს, რაც მინიმუმ ხელმძღვანელი ორგანოს საკუთარი პასუხისმგებლობით მართვის კონცეფციას ეწინააღმდეგება. შედეგად, ის მოქმედებს საკუთარი ცოდნის, კვალიფიკაციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში. რაც შეეხება საერთო კრების (ან, არსებობის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს) გადაწყვეტილების შესრულებას, ის სავალდებულოა ხელმძღვანელი ორგანოსთვის.

ხელმძღვანელ ორგანოში ხელმძღვანელი პირი ინიშნება აქციონერთა საერთო კრების მიერ. საინტერესოა კანონმდებლის მიდგომა მონისტურ სისტემასთან დაკავშირებით, თუ ვინ ან რა ფორმით არის მონისტური მართვის სისტემის არჩევის შემთხვევაში საზედამხედველო უფლებამოსილებით აღჭურვილი. მაგალითად, ანგლო-ამერიკულ მონისტურ სისტემაში,[1774] ხელმძღვანელ ორგანოს ეწოდება ბორდი, რომელიც სტრუქტურულად და არა ორგანულ დონეზე, აერთიანებს აღმასრულებელ, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებსა და მათ მაკონტროლებელ სუბიექტებს. ე.წ. ბორდში საერთო კრება აირჩევს საზედამხედველო, არააღმასრულებელ წევრებს, რომლებიც, თავის მხრივ, აირჩევენ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს.[1775] მონისტურ სისტემაში სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციას ასრულებს არააღმასრულებელი ხელმძღვანელი პირი.[1776]

კანონის ახალი რედაქციით განსაზღვრულია საინტერესო საკითხი, რომ ის კომპეტენცია, რომელიც კანონით ან წესდებით არ განეკუთვნება სს-ის საერთო კრებას (ან სამეთვალყურეო საბჭოს), განეკუთვნება ხელმძღვანელ ორგანოს.[1777] აღნიშნული დანაწესი სამომავლო სასამართლო დავის გარკვეულწილ პრევენცირებას ახდენს იმდენად, რამდენადაც კომპეტენციათა კომპეტენციაზე დავის წარმოშობის

პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 112-114.

1774 ერთსაფეხურიან მართვის სისტემასთან დაკავშირებით ვრცლად, იხ. იქვე, 110-121.

1775 *მახარობლიშვილი*, კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, 2015, 95-105.

1776 როგორც ეს ანგლო-ამერიკული სისტემის ბორდის შემთხვევაშია.

1777 იხ. კანონის 203-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

ნაკლები საფუძველი იარსებებს.[1778]

სს-ის ხელმძღვანელი ორგანოს წევრები მას ხელმძღვანელობენ ერთობლივად. ეს ნიშნავს იმას, რომ სს-ის მიმართ კანონმდებელმა შეზღუდული ხელმძღვანელობითი უფლებამოლება დაადგინა ერთობლივი ხელმძღვანელობის სახით და ფაქტობრივად, გამორიცხა დამოუკიდებელი ხელმძღვანელობა და რამდენიმე პირის მიერ ცალ-ცალკე ხელმძღვანელობის შესაძლებლობა. ეს რაც შეეხება გარესამართლებრივ ურთიერთობას. შიდასამართლებრივ დონეზე კანონით დისპოზიციურად არის დასაშვები ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა შორის ფუნქციათა გადანაწილება მინიმალური აუცილებელი ფუნქციის შენარჩუნებით.[1779] მინიმალური ფუნქციური დატვირთვის გარეშე ფუნქციათა გადანაწილება გაუტოლდებოდა ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ჩამორთმევას და ხელმძღვანელი ორგანოს წევრის ხელმძღვანელობითი საქმიანობიდან სრულად ჩამოცილება იქნებოდა სახეზე.

ხელმძღვანელი ორგანო ორი ან მეტი პირით ფორმირების შემთხვევაში კოლეგიურ ორგანოდ ყალიბდება, რომელსაც ესაჭიროება თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს თავად ხელმძღვანელი ორგანო. ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარე, ძირითადად, მაკოორდინირებელი ფუნქციით აღიჭურვება.[1780] ბუნებრივია, მონისტური სისტემის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია აქციონერთა საერთო კრების წინაშე გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ფორმით.[1781]

1778 საკორპორაციო სამართალში კომპეტენციათა გადაფარვა ერთი სამართლებრივი კაუზაა, ხოლო არსებობს ასევე (საერთო კრების) ე.წ. დაუწერელი კომპეტენცია. შეად. *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 330-334.

1779 იქვე, 203-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

1780 იქვე, 205-ე მუხლი.

1781 დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება შეიძლება გადაეცეს ე.წ. აღმასრულებელ ხელმძღვანელ პირს. იხ. კანონის 206-ე მუხლი. თუ ხელმძღვანელი ორგანო მხოლოდ აღმასულებელი პირებით არის დაკომპლექტებული, სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციას ასრულებს აქციონერთა საერთო კრება. იხ. კანონის 209-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ბ.) დუალისტური მართვის სისტემა

კორპორაციული მართვის დუალისტური სისტემა კანონით დადგენილი მეორე ტიპის კოპორაციული მართვის სისტემაა. მონისტური სისტემისგან განსხვავებით, დუალისტური კორპორაციული მართვის სისტემა დამატებით, ორგანულ დონეზე მოითხოვს საზედამხედველო ფუნქციის მქონე სამეთვალყურეო საბჭოს.

ორსაფეხურიანი მართვის სისტემის მქონე საკორპორაციო სამართლის ჩამოყალიბების ეტაპზე[1782] ხელმძღვანელი ორგანო დირექტორატის სახით აქციონერთა ეკონომიკური და სამართლებრივი წარმომადგენელი იყო, ხოლო სამეთვალყურეო საბჭო[1783] განიხილებოდა აქციონერთა ერთგვარ კომიტეტად, რომელიც დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ორგანოს სახით.[1784]

დუალისტური მართვის სისტემის ნიშა არის ის, რომ სს-ის მართვის სტრუქტურაში ხელმძღვანელობისა და კონტროლის ფუნქციები გამიჯნულია ორგანოთა გამიჯვნის საფუძველზე. მონისტურ სისტემაში ბორდის, როგორც ერთი ორგანოს ორი ქვესტრუქტურული მიმართულების წევრებია მოცემული, საიდანაც ერთი (ე.წ. შიდა დირექტორები) აკონტროლებენ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების (ე.წ. მენეჯერების) ხელმძღვანელობით საქმიანობას.[1785] დუალისტური მართვის სისტემაში პრინციპულად, ფუნქციურად და შედეგობრივად, შეიძლება ითქვას, რომ იგივე შინაარსი რეალიზდება იმ განსხვავებით, რომ საზედამხედველო ფუნქციის მატარებელი განცალკევებით მდგომი ორგანოა სამ-

---

1782 *ჭანტურია,* კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 130.

1783 სამეთვალყურეო საბჭოს, საზედამხედველო ფუნქციის პარალელურად, ეკონომიკური მხარეც აქვს, რომელიც საზოგადოების წარმომადგენლობით ხარჯებს საკმაოდ ზრდის. იხ. *ჰოპტი,* გერმანული დუალისტური სისტემა: გამოცდილება, თეორიები, რეფორმირება, საკორპორაციო სამართლის კრებული, ტომი III, ბურდული/მახარობლიშვილი (რედ.), 2015, 190-198.

1784 იქვე, 180.

1785 სამეთვალყურეო საბჭო აკონტროლებს და ზედამხედველობს ხელმძღვანელი ორგანოს საქმიანობას და არა სააქციო საზოგადოების საქმიანობას. იხ. *ჭანტურია,* კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 130. იხ. კანონის 209-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ეთვალყურეო საბჭოს სახით.[1786] ეს კი მის (სამეთვალყურეო საბჭოს) მართვის ორგანოთა ჰორიზონტალურ განზომილებაში ჩართვას გულისხმობს, რომელსაც ნორმატიულ დონეზე გაწერილი უფლება-მოვალეობები აქვს.[1787]

მონისტური სისტემისგან განსხვავებით, დუალისტურ სისტემაში აქციონერთა საერთო კრება ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს,[1788] ხოლო ფორმირებული სამეთვალყურეო საბჭო ირჩევს ხელმძღვანელ ორგანოს წევრ(ებ)ს არაუმეტეს 3 წლის ვადით.[1789]

როგორც მონისტური, ისე დუალისტური სისტემისათვის მნიშვნელოვანი ჩანაწერია კანონში, რომ ხელმძღვანელი ორგანოს სხდომა შეიძლება დაიხუროს იმ ხელმძღვანელისათვის, რომელთან დაკავშირებული საკითხიც განიხილება აღნიშნულ სხდომაზე.[1790]

სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ დროს შეუძლია ხელმძღვანელი ორგანოსგან მოითხოვოს საქმიანობის ანგარიში, გამოითხოვოს, შეამოწმოს და შეისწავლოს სს-ის საქმიანი დოკუმენტაცია, შეამოწმოს წლიური ანგარიშები. დუალისტური სისტემის არსებობის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭო ანგარიშვალდებულია საერთო კრების წინაშე შესაბამისი მოხსენების წარდგენის ფორმით.[1791]

სამეთვალყურეო საბჭო უნდა შედგებოდეს სულ მცირე სამი წევრისგან, ხოლო წევრი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.[1792] ამასთან ერთად, ხელმძღვანელი ორგანოს ფუნქციები არ შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს, რაც ბუნებრივია, რადგან სამეთვალყურეო საბჭო ფუნქციურად დიფერენცირებული, მაკონტროლებელი ორგანოა, ხოლო ხელმძღვანელი ორგანო - საზედამხედველო ობიექტია. შესაბამისად, საზედამხედველო ობიექტი

1786 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 453-463.

1787 შეად. *ჭანტურია*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 126.

1788 იხ. კანონის 184-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტი.

1789 იქვე, 204-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1790 იქვე, 207-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

1791 იქვე, 209-ე მუხლი.

1792 შეად. *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 463.

იმავდროულად არ უნდა იყოს მაკონტროლებელი სუბიექტი, რისი დაშვებაც ფუნქციურ აღრევას გამოიწვევდა და დუალისტური მართვის სისტემას აზრს დაუკარგავდა.[1793] ამასთან ერთად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს ხელმძღვანელი ორგანოს წევრი. ისევე როგორც ხელმძღვანელი ორგანოს წევრი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც აირჩევა არაუმეტეს 3 წლის ვადით.[1794]

ისევე როგორც ხელმძღვანელი ორგანოს შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭო თავის წევრთაგან ირჩევს თავმჯდომარეს კენჭისყრაში მონაწილე წევრთა ხმათა უმრავლესობით, რომელიც კოორდინაციას უწევს სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობას.[1795]

2.9. სს-ის ორგანოთა ჰორიზონტალურობის კონცეფცია და აქციონერთა საერთო კრების ენუმერაციულობის პრინციპი

როგორც ითქვა, კლასიკური გაგებით, კორპორაციული მართვის სისტემა სწორედ სს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისათვის არის დამახასიათებელი. სს-ის საწარმოს კონტროლის სისტემა ბაზირებულია ორგანოთა ერთგვარ ჰორიზონტალურობის კონცეფციაზე, რომლის მიხედვითაც, საზოგადოება შედგება მართვის შესაბამისი ორგანოებისაგან, ამ ორგანოებს კანონმდებლობით (ან მისგან გამომდინარე წესდებით) მინიჭებული აქვს გარკვეული უფლებამოსილება და, როგორც წესი, სწორედ ამ უფლებამოსილების ფარგლებში არის თითოეული მათგანი საქმიანობაზე უფლებამოსილიც და პასუხისმგებელიც. საწარმოს ორგანოები ნების ფორმირებისა და გადაწყვეტილებათა მიღების საფუძველზე კორპორაციულ პოლიტიკას გეგმავენ და შეიმუშავებენ, განსაზღვრავენ ძირითად კოპორაციულ-პოლიტიკურ ვექტორს და ამ გადაწყვეტილებათა ყოველდღიურ

1793 სამეთვალყურეო საბჭოს უარყოფით მხარეებთან დაკავშირებით, იხ. *ჭანტურია*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 130-136.

1794 იხ. კანონის 212-ე მუხლი.

1795 იქვე, 216-ე მუხლი.

თუ არაყოველდღიურ ცხოვრებაში გატარებაზე ზრუნავენ.

კანონი ნათლად ადგენს, თუ როგორი სტრუქტურის მატარებელი უნდა იყოს სს, თუ როგორ უნდა იყოს ჩამოყალიბებული მისი ორგანოები და რა ფუნქციით უნდა იყვნენ ისინი აღჭურვილნი. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ თანამედროვე საკორპორაციო სამართალი საწარმოს კონტროლის რამდენიმე (ორ) ძირითად სისტემას განასხვავებს. პირველს განეკუთვნება მონისტური, ანუ ერთსაფეხურიანი სისტემა, ხოლო მეორეს - ორსაფეხურიანი, ანუ დუალისტური. ყურადღების მიღმა არ არის დასატოვებელი ე.წ. შერეული სისტემა, რომელიც გულისხმობს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას აქციონერთა მხრიდან კორპორაციული მართვის სისტემის შერჩევის თვალსაზრისით. კორპორაციული მართვის დუალისტურ სისტემაში ფუნქციური ზღვარია გავლებული საზოგადოების მართვის ორგანოებს შორის. მსგავსი რამ, უპირატესად, დამახასიათებელია გერმანულენოვანი[1796] ქვეყნების სამართლისათვის, სადაც სს-ის სტრუქტურა მკაცრად განსაზღვრულ ორგანოთა არსებობით ვლინდება. თითოეულ ორგანოს საკუთარი კომპეტენცია აქვს და იშვიათი გამონაკლისის გარდა, მათი უფლებამოსილების გადაცემა/დელეგირება (ე.წ. კომპეტენციის აღრევა) არ შეიძლება. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ „ის, ვისაც სს-სთან აქვს შეხება, იქნება ეს ინვესტორი, პარტნიორი, თუ საზოგადოების რომელიმე ორგანოს წარმომადგენელი/წევრი, უნდა იცოდეს, თუ რა გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია და უფლება აქვს ამა თუ იმ ორგანოს".[1797] სს-ის მართვის ამ სისტემისთვის სამი აუცილებელი ორგანოს არსებობაა დამახასიათებელი: აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და ხელმძღვანელი ორგანო (დირექტორატი, გამგეობა). თითოეული ამ ორგანოსათვის კანონმდებლობა საქმიანობის იმ სფეროს ადგენს, რომელშიც იგი კომპეტენტური იქნება და, როგორც წესი, დაუშვებელია, ამ ორგანოთა უფლებამოსილებათა სხვა ორგანოზე დელეგირება. კორპორაციის მართვის აღნიშნული სისტემა არ იძლევა არჩევანის

1796 და არამარტო.

1797 *Hoffmann-Becking*, `Holzmüller~, `Gelatine~ und die These von der Mediatisierung der Aktionärsrechte, ZHR 2008, 231 ff.

გაკეთების შესაძლებლობას ერთსაფეხურიან ან ორსაფეხურიან სისტემას შორის. კორპორაციული მართვის მსგავს სისტემაზე იქნა თავდაპირველად[1798] დაფუძნებული სს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაც საქართველოში. თუმცა დროთა განმავლობაში იგი ჩანაცვლებას იწყებს: 2008 წლის 14 მარტის ცვლილებით 2021 წლამდე არსებული რედაქციით შესაძლებელი ხდება სამეთვალყურეო საბჭოს გარეშე სს-ის შექმნა, თუმცა მართვის შერეული სისტემა მაინც არ იყო სახეზე ერთი მარტივი მიზეზის გამო: კანონის 55-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თუ სს იყო „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული საწარმო, რომელსაც მისი კორპორაციული ქაღალდი საჯარო ვაჭრობისათვის ჰქონდა გატანილი ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე, ან სს სებ-ის მიერ იყო ლიცენზირებული სუბიექტი, ანდაც სს-ის აქციონერთა რიცხვი 100-ს აღემატებოდა, მაშინ მსგავს სს-ში სამეთვალყურეო საბჭოს ჩამოყალიბება სავალდებულო იყო.

კორპორაციული მართვის მონისტური, იგივე ერთსაფეხურიანი სისტემა არ ითვალისწინებს სავალდებულო წესით სამეთვალყურეო საბჭოს, როგორც ხელმძღვანელი ორგანოს/პირის (დირექტორატის/გამგეობის) საქმიანობის ზედამხედველობას დამოუკიდებელი ორგანოს კომპეტენციის ფორმატში. შესაბამისად, მსგავს სს-ში მართვის ორი ძირითადი ორგანო არსებობს: საერთო კრება და ხელმძღვანელი ორგანო. ხშირად ამ უკანასკნელს დირექტორთა საბჭოს უწოდებენ და ამ უკანასკნელში ინკორპორირებულია როგორც საზედამხედველო, ისე საწარმოს ყოველდღიური საქმიანობის განხორციელების კომპეტენცია.

მეთოდოლოგიურ დონეზე შესაძლებელია ასევე გამოიყოს კორპორაციული მართვის, ასე ვთქვათ, შერეული სისტემა, რომლის დროსაც, კანონმდებლობა სს-ის დამფუძნებელს ან (შემდგომში) აქციონერს უფლებას ანიჭებს კერძო ავტონომიის ფარგლებზე გახადოს დამოკიდებული საწარმოს კონტროლის სისტემის არჩევანი. ამ დროს სწორედ საზოგადოებაზეა (და არა კანონის იმპერატიულ დანაწესზე) დამოკიდე-

1798 1995 წელს „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მიღებით.

ბული თუ რომელ სისტემაზე იქნება მისი ორგანიზაციული არქიტექტურა მოწყობილი.[1799]

სს-ის ორგანოთა სტრუქტურასა და მისი რეგულირების სისტემას კანონის 182-ე და მომდევნო მუხლი ეხება. თუმცა კორპორაციის კონტროლის ერთიანი სურათის დანახვას განსაკურებული ნაწილის ამ თავში მოცემული სხვა მუხლებიც ემსახურება. კერძოდ: აქციონერთა საერთო კრების, მისი მოწვევა/ჩატარების, მასში მონაწილეობის, ხმის მიცემის (მათ შორის, ხმის აკუმულირების მეთოდის გამოყენების) - პროცედურული დემოკრატიის, მორიგი და რიგგარეშე კრების, ინტერესთა კონფლიქტის აღკვეთის, მნიშვნელოვანი გარიგების დადების საკითხები. საერთო ჯამში, აღნიშნული ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმათა კომპლექსი სს-ში კარგი მმართველობის, ეფექტური საწარმოს კონტროლის, ანუ ქმედითი კორპორაციული მართვის სისტემის[1800] ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების წინაპირობას ქმნის.

აღსანიშნავია ისიც, რომ იურიდიულ ლიტერატურაში კორპორაციული მართვის სისტემის აღმნიშვნელი აქამდე დამკვიდრებული ტერმინები[1801] საკანონმდებლო დონეზე აისახა 2021 წელს მიღებულ კანონის ახალ რედაქციაში, რაც კარგად ვლინდება 182-ე მუხლის პირველ პუნქტში: თუკი სახეზეა სს-ის მართვის ორგანოთა მონისტური სისტემა, აუცილებელია მხოლოდ ორი ორგანოს არსებობა. ეს არის (აქციონერთა) საერთო კრება და ხელმძღვანელი ორგანო.[1802] დუალისტური

1799 საილუსტრაციოდ გამოდგებოდა ესს, როგორც ევროკავშირის სუპრანაციონალური სამართებრივი ფორმა. იხ.: *ჭანტურია,* ევროპის სააქციო საზოგადოება (SOCIETAS EUROPAEA) - უნივერსალური მოდელი თუ საკანონმდებლო კომპილაცია, ჟურ. „ადამიანი და კონსტიტუცია" №4 2004; *ჭანტურია,* სუპრანაციონალური სამართლებრივი ფორმები ევროპის საკორპორაციო სამართალში, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009, 502 და მომდ.; *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, 132 და მომდ.; *Eidenmüller, Engert, Hornuf,* Die Societas Europaea: Empirische Bestandsaufnahme und Eintwicklungslinien einer neuen Rechtsform, AG 20/2008, 719 ff.; *Siems, Rosenhäger, Herzog,* Aller guten Dinge sind zwei: Lehren aus der Entwicklung der SE für die EPG, Der Konzern 8/2008, 393 ff.

1800 იხ.: *მახარობლიშვილი,* კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, 2015, 10 და მომდ.

1801 იხ. მაგ.: *ჭანტურია,* კორპორაციული მართვა, 107-121, 126-137; *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 196 და მომდ.

1802 როგორც ზემოთ ითქვა, იგი შეიძლება კორპორაციულმა წესდებებმა

სისტემისას კი ორგანოთა ამ ჩამონათვალს ემატება სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც აქციონერთა საერთო კრების შესაბამისად (ან დაფუძნების ან პოსტ-რეგისტრაციის პერიოდში) იქმნება და რომელიც ხელმძღვანელი ორგანოს სისტემურ-ფუნქციურ ზედამხედველობაზეა პასუხისმგებელი.

182-ე მუხლი იზიარებს ასევე თანამედროვე კორპორაციულ მართვაში დამკვიდრებულ მიდგომას და ე.წ. შერეულ სისტემაზე აკეთებს დათქმას,[1803] რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპის სს-ის მსგავსად, დამფუძნებელ-აქციონერთა/აქციონერთა კერძო ავტონომიის ფარგლებში ექცევა კორპორაციის შინაგანი ანატომიის შექმნის საკითხი. როგორც ზემოთ იქნა ნახსენები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორსაფეხურიან მართვის სისტემაში ორგანოთა ე.წ. ჰორიზონტალურობის პრინციპი, რაც ორგანოთა შორის საკანონმდებლო დონეზე უფლებამოსილების გადანაწილებასა და მონესრიგებაზეა დაფუძნებული. მნიშვნელოვანია აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციის „ენუმერაციულობის" პრინციპიც,[1804] რაც იმას ნიშნავს, რომ კრების კომპეტენცია კანონმდებლობით არის პირდაპირ განსაზღვრული და ჩამონათვალი და, შეიძლება ითქვას, გარდა შესაძლო გამონაკლისებისა, კრების ამომწურავ უფლებამოსილებას ადგენს, ანუ პუნქტობრივად ჩამოთვლის იმ შესაძლო გადაწყვეტილებებს, უფრო სწორედ, საკითხებს, რაზედაც საერთო კრება უფლებამოსილია საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს მიღებული გადაწყვეტილების ფორმით.

საზოგადოების თითოეული კანონით გათვალისწინებული ორგანო მხოლოდ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას და, პრინციპში, არ აქვს უფლება ჩაერიოს ან პირდაპირი მითითება მისცეს სხვა ორგანოს საქმიანობისა და მის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სხვადასხვანაირად მოიხსენიოს. მაგ., დირექტორთა საბჭო; დირექტორატი; მართვის ორგანო და ა.შ. მთავარია, რომ ეს უკანასკნელი ნათლად გამოხატავდეს კანონით დადგენილ ამ როგანოს შინაარსს.

1803 ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ეს ტერმინი პირველად ნახმარი იყო 2013 წელს. იხ. ნინასიტყვაობა წიგნისა: *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013.

1804 იქვე, 211-212.

კორპორაციული მართვის დუალისტურ სისტემაში კანონმდებლობით პირდაპირაა განერილი საერთო კრების კომპეტენციის ჩამონათვალი. ასევე სამეთვალყურეო საბჭოს, როგორც ხელმძღვანელი ორგანოს მაკონტროლებელი ორგანოს, უფლებამოსილება, ხოლო ის, რაც არც ერთი და არც მეორე ორგანოს კომპეტენციაში არ შედის, განეკუთვნება საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს უფლებამოსილებას (203-ე მუხლის მე-5 პუნქტი). ამ უკანასკნელის საკანონმდებლო ენუმერაციული კომპეტენცია კი კანონით მოცემული არ არის. სს-ის ხელმძღვანელი ორგანო არ არის ე.წ. დრო და დრო შეკრების ორგანო.[1805] იგი საწარმოს ყოველდღიურ საქმიანობაზეა პასუხისმგებელი და, რაც ერთ-ერთი ასევე მნიშვნელოვანი სიახლე იყო 2021 წლის კანონისა, სწორედ საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ მართავს საზოგადოებას (203-ე მუხლი). ამით კანონი ცდილობს, ხელმძღვანელი ორგანოს საქმიანობის მეტი დამოუკიდებელობის, ქმედების მასშტაბის და გადაწყვეტილებათა მიღების ფართე თავისუფლების პრინციპს ჩაუყაროს საფუძველი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია კლასიკურ სს-ში სარისკო გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისითაც.[1806]

2.10. აქციონერთა საერთო კრება: უფლებამოსილება - სტრუქტურულ ღონისძიებათა ე.წ. ფუძემდებლურ გადაწყვეტილებათა კომპეტენცია

სს-ის აქციონერთა საერთო კრება საზოგადოების სავალდებულო ორგანოა, რომელიც საწარმოს ძირითადი პოლიტიკის მაფორმირებელია. თანამედროვე საკორპორაციო სამართალში, განსაკუთრებით ორსაფეხურიან სისტემაში დამკვიდრებული, ორგანოთა თანაბარზომიერების პრინციპისა და კომპეტენციათა ჰორიზონტალურობის და არა სუბორდინაციული ვერტიკალის კონცეფციიდან გამომდინარე,[1807]

1805 ე.წ. Zeitweiliges Organ. *Göhmann* in Henn/Jannot/Hagemann, Hdb. des Aktienrechts, (2009), 443.

1806 ვრცლად ამ კონცეფციის თაობაზე: *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 355 და მომდ.

1807 რაც დამახასიათებელი ამხანაგური და პერსონალური პარტნიორული სტრუქტურის მქონე შპს-სთვის.

საერთო კრების მიჩნევა საზოგადოების ზემდგომ ორგანოდ გადაჭარბებული უნდა იყოს.[1808] გამომდინარე იქედან, რომ სს-ს არ აქვს მკვეთრად გამოხატული იერარქიული ორგანიზაციული სტრუქტურა, ზოგიერთი იურისტის მოსაზრებით, საერთო კრება არ წარმოადგენს საზოგადოების უმაღლეს ორგანოს და ეს არ შეესაბამება საკანონმდებლო რეალობას. ამიტომ უმჯობესი იქნებოდა სამეთვალყურეო საბჭოს, ხელმძღვანელ ორგანოსა და საერთო კრებას შორის საზოგადოების გამტარებელი ინტერესის დაბალანსების პოლიტიკაზე საუბარი, ვიდრე ლაპარაკი მათ შორის იერარქიული სისტემის არსებობაზე. კანონმდებელი *„check and balances"* პრინციპიდან გამოდის და არა იქიდან, რომ ერთი ორგნო მეორეზე, იერარქიული თვალსაზრისით, უფრო მაღლა დგას.[1809] გამომდინარე აქედან, სპს-ს სამართლისაგან განსხვავებით, სააქციო სამართალი (დუალისტურ სისტემაში) სამი ტანაბარი მნიშვნელობის მქონე (ჰორიზონტალურ) ორგანოთა პრინციპზეა ბაზირებული.[1810]

თავისი არსით საერთო კრება არ წარმოადგენს სისტემატური (შეკრების) ორგანოს.[1811] იგი საჭიროებისამებრ საქმიანობს და მუშაობის დასრულების შემდეგ, ასე ვთქვათ, „იშლება". საზოგადოების სხვა ორგანოებისაგან[1812] განსხვავებით აქციონერთა საერთო კრება არის ე.წ. დრო და დრო შეკრების ორგანო, ანუ ორგანო, რომელიც ხელმძღვანელი ორგანოსაგან და სამეთვალყურეო საბჭოსაგან განსხვავებით ნაკლები ინტენსივობით[1813] იკრიბება და მუშაობს.[1814] მაგრამ საერთო კრების „არასისტემატურობა", მისი, როგორც საზოგადოების ცენტრალური შემადგენელი ორგანოს სტატუსზე გავლენას ვერ მოახდენს. ამიტომ საერთო კრება არის ორგანო, რომელიც სს-ის ორგანიზაციული სტრუქტურის შემადგენე-

---

1808 დისკურსის თაობაზე ვრცლად იხ.: *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, 203 და მომდ.

1809 *Hoffmann-Becking*, ZHR 2008, 231.

1810 BVerfG = NZG 2000, 192 („Wenger/Deimler-Benz"). ციტ.: *Hoffmann-Becking*, ZHR 2008, 231.

1811 *Hüffer*, AktG, (2010), 118 Rn. 5; Münch. Hdb. GesR IV/*Semler*, 34 Rn. 7.

1812 sameTvalyureo sabWo/ხელმძღვანელი ორგანო.

1813 კანონით გათვალისწინებული აუცილებელი მორიგი კრების გარდა.

1814 *Göhmann* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 443.

ლი ნაწილია და მისი არსებობა მენარმე სუბიექტის დაფუძნებისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.[1815] წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოების რეგისტრაციას უარი უნდა ეთქვას.

კანონის 184-ე მუხლის შესაბამისად, სს-ის საერთო კრების კომპეტენცია ამომწურავად არის დადგენილი. იურიდიულ ლიტერატურაში საერთო კრების კომპეტენციის „ენუმერაციულობაზე" საუბრობენ,[1816] რაც ნიშნავს, რომ კანონის მუხლი კონკრეტულად შეიცავს იმ უფლებამოსილების ჩამონათვალს, რომელიც ამ ორგანოს აქვს მიკუთვნებული. საერთო კრება, როგორც წესი, მოქმედებს იმ კომპეტენციის ფარგლებში, რაც მას კანონმა ან თუ კანონი იძლევა დაშვებას, წესდებამ დაადგინა.[1817]

კომპეტენციათა აღრევა დაუშვებელია. ეს უკანასკნელი უნდა განვასხვავოთ უფლებამოსილების დელეგირებისაგან, რასაც კანონის 184-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს. როგორც წესი, სტრუქტურულ ღონისძიებათა თაობაზე მისაღები საკითხების დელეგირება დაუშვებელია. ეს აქციონერთა დემოკრატიის ერთ-ერთ გამოვლენას წარმოადგენს.

საერთო კრების კომპეტენციის განმსაზღვრელ ცენტრალურ ნორმას, როგორც ითქვა, კანონის 184-ე მუხლი წარმოადგენს. სწორედ აღნიშნულ მუხლში კანონმდებელი ცდილობს საერთო კრების უფლებამოსილების ამომწურავი ჩამონათვალი დაადგინოს.

აქციონერთა საერთო კრების უფლებამოსილება, ძირითადად და უპირატესად მოიცავს ე.წ. სტრუქტურულ ღონისძიებებს. ეს ნიშნავს, რომ მისი კომპეტენცია ფუძემდებლურ კომპეტენციათა კატეგორიას განეკუთვნება. მხოლოდ საერთო კრებას ძალუძს, მაგ., მიიღოს საწარმოს რეორგანიზაციის ან არსებობის დასრულების/ლიკვიდაციის (სტრუქტურული ღონისძიება), ან კორპორაციული მართვის სისტემის ტრანსფორმირების, ანდა კაპიტალის სტრუქტურის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილებები. არც ერთ სხვა კორპორა-

1815 *Steiner*, Die HV der AG, 2.

1816 *Göhmann* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), 444; Schüppen/Schaub/*Binge/Thölke*, MAH Aktienrecht, (2010), 25 Rn. 12.

1817 Münch. Hdb. GesR IV/*Semler*, 34 Rn. 9.

ციულ ორგანოს ეს კონკრეტული კომპეტენცია არ აქვს. მაშასადამე, საერთო კრება საწარმოს სტრუქტურულ და ფუძემდებლურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა, რაც ძირითადი კორპორაციული პოლიტიკის განსაზღვრისა და გადაწყვეტის სფეროში შედის. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ საერთო კრება ამავდროულად კორპორაციული პოლიტიკის ტაქტის მიმცემი და დამაფუძნებელი ორგანოა.

როგორც ზემოთ ითქვა, კანონის 184-ე მუხლის პირველი პუნქტი დეტალურად/პუნქტობრივად ჩამოთვლის ამ კომპეტენციას, რომელსაც განეკუთვნება:

ა.) სს-ის ხელშეკრულებაში[1818] ამა თუ იმ ცვლილება-დამატების განხორციელება. ამაში მოიაზრება მთლიანი დოკუმენტის ცვლილებაც და მისი ახალი რედაქციის ჩამოყალიბება.

ბ.) სადამფუძნებლო შეთანხმებაში იმ პუნქტების შინაარსის ცვლილება, რომელიც კანონის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, სს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიმართ გამოიყენება მხოლოდ. ძირითადად აქ ყურადღება სააქციო კაპიტალის სტრუქტურაზე, აქციათა კლასსა და მისი გადაცემის შეზღუდვაზე მახვილდება.

გ.) შემდეგ მოდის საკითხი, რომელიც სს-ის კორპორაციული მართვის სტრუქტურას უკავშირდება. აქ საუბარია უკვე არსებული მართვის არქიტექტურის ტრანსფორმაციაზე და ერთი სისტემის მეორეტი ჩანაცვლებაზე.

შემდეგი დ.) ქვეპუნქტი საზოგადოების გარდასახვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების დამდგენი ნორმაა და მასში მოიაზრება საწარმოს რეორგანიზაციის ყველა ის სახე, რომელიც კანონმდებლობით არის დასაშვები (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლა, გაყოფა/დაყოფა, გამოყოფა, შერწყმა (მისი ქვესახეობებით)).

ე.) საზოგადოების დაშლისა და მასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა: ლიკვიდატორის დანიშვნა, სალიკვიდაციო ბალანსის დამტკიცება.

ვ.) საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვისას ნებართვის გაცემა.

1818 კანონის 184-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შემთხვევაში კანონმდებელი ყურადღებას ამახვილებს უშუალოდ წესდებაზე.

ზ.) კორპორაციის განთავსებული (სანესდებო) კაპიტალის მომატების ან მისი შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება და მასთან დაკავშირებული თანმდევი შედეგისა.

თ.) სს-ის ორსაფეხურიან თუ ერთსაფეხურიან მართვის სისტემაში აღნიშნული ორგანოები შესაბამისი წევრებისაგან შედგება. საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება ამ ორგანოს წევრთა შემადგენლობის, მათი რაოდენობის, არჩევის, ვადაზე ადრე მათი თანამდებობიდან განთავისუფლების, მათი ანაზღაურების ოდენობისა და მთლიანად გასამრჯელოს სტრუქტურის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

ი.) წლიური თუ შუალედური, უფრო სწორედ, მორიგი თუ რიგგარეშე კრების ჩატარებისას სს-ის პარტნიორთა კრებამ შეიძლება მიიღოს აუდიტის ანგარიშის დამტკიცებისა და აუდიტორის შერჩევის თაობაზე გადაწყვეტილება, ასევე, მას მოსდევს, როგორც წესი, (კ.)) წლიური და შუალედური საფინანსო ანგარიშის დამტკიცების შესახებ საკითხის განხილვა და გადაწყვეტა, რამაც, თავის მხრივ, დღის წესრიგში ავტომატურად (მოგების არსებობის შემთხვევაში) შეიძლება დააყენოს დივიდენდის განაწილების თაობაზე მისაღები საკითხი. შესაბამისად, მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებაც, პრინციპში, ექსკლუზიურად სწორედ საერთო კრების პრეროგატივაში შედის.

ლ.) საერთო კრება დადგენილი წესის მიხედვით უნდა მუშაობდეს. ეს შესაძლებლობას იძლევა პროცედურული დემოკრატიის პრინციპის შესაბამისად სწორი და გამართული კრების საქმიანობისა. ყოველივე ამას გარკვეულ იურიდიულ ჩარჩო-პირობებში მოთავსება სჭირდება, რასაც საერთო კრება აკეთებს. როგორც წესი, საერთო კრება მისი მიმდინარეობის წესს ერთხელ შეიმუშავებს და ყოველი შემდგომი სხდომა სწორედ ამ წესის შესაბამისად ტარდება. თუმცა მასში ცვლილება ან სხვა წესის მიხედვით მუშაობა, ბუნებრივია, ისევ საერთო კრების კომპეტენციაში ექცევა. რაც შეეხება ხმის დამთვლელ კომისიას იგი, როგორც წესი, ყოველი კრებისას ირჩევა, თუმცა, გამორიცხული არაა, რომ შექმნილი იყოს ასევე ხმის დამთვლელი კომისია ყოველი სხდომისათვის.

მ.) საერთო კრების კომპეტენციაში ექცევა აგრეთვე მართვის ორგანოების - ხელმძღვანელი ან სამეთვალყურეო (ან ორივეს წინააღმდეგ ერთად) ორგანოების წინააღმდეგ საზოგადოების სახელით სასამართლო პროცესში მონაწილეობის, ანუ სარჩელის ინიცირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საკითხი. აქვე აღნიშვნის ღირსია, რომ, როგორც წესი, საერთო კრება იღებს ამავდროულად წინამდებარე პროცესისათვის (სპეციალური) წარმომადგენლის დანიშვნის თაობაზეც გადაწყვეტილებას.

ნ.) კანონის 184-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტი ყურადღებას ამახვილებს ქონების (ქონებრივი ობიექტის) იმ ნაწილზე ტრანზაქციათა შესახებ გადაწყვეტილების მიღებას საერთო კრების მხრიდან, რომელიც სს-ის მთლიანი აქტივის საბალანსო ღირებულების ნახევარზე მეტს შეადგენს. „ნ" ქვეპუნქტი დისპოზიციურ ხასიათს ატარებს, რამდენადაც საზოგადოების ხელშეკრულებით შესაძლებელია სხვა კონსტრუქციაზე შეთანხმებაც.

ო.) შემდეგი კომპეტენცია სს-ის კორპორაციული მონაწილეობითსამართლებრივი ქაღალდის რაოდენობას, კლასს, მის ღირებულებასა და მათთან დაკავშირებულ ყოველგვარ უფლებას, უფრო სწორედ, მის განსაზღვრას შეეხება.

პ.) მას მოსდევს აქციის ნომინალური (ამას შესაძლოა მიებას ასევე ნომინალურისაგან თავისუფალი ღირებულების აქციის) ღირებულების ცვლილების ან, მაგ., კაპიტალის მომატების დროს დამატებითი აქციების განთავსების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

ჟ.) მეწარმეთა კანონი, ზოგადი დანაწესის ფორმატში, განსაზღვრავს სს-ისთვის შემთხვევებს, როდესაც გარკვეულ გარიგებაზე (როგორც კორპორაციის შიგნით, ისე გარეთ) საჭიროა საერთო კრების თანხმობა. თანხმობის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანო სწორედ საერთო კრებაა, თუმცა აქაც გასათვალისწინებელია ნორმის დისპოზიციური ხასიათი, როდესაც შესაძლებელია თავად საზოგადოების ხელშეკრულებამ დაადგინოს იმ გარიგების ჩამონათვალი (კონკრეტულად ან განზოგადებულად), რომელზედაც უნდა გავრცელდეს საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება

თანხმობის გაცემის თაობაზე.

რ.) ხანდახან საზოგადოებას, მისი მიზნისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების თვალსაზრისით, სხვა იურიდიული პირის დაფუძნება ან უკვე არსებულ სამართლის სუბიექტში წილობრივად მონაწილეობა ესაჭიროება. აღნიშნულის თაობაზეც გადაწყვეტილებას, როგორც წესი, აქციონერთა საერთო კრება იღებს.

ს.) უფლებამოსილება, რომელიც საერთო კრებას აქვს არის ხელმძღვანელ პირთა ანაზღაურების ფორმის/წესის და მისი ოდენობის განსაზღვრა. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ეს უფლებამოსილება ძირითადად სამეთვალყურეო საბჭოზეა გადანდობილი და სწორედ სამეთვალყურეო საბჭო შეიმუშავებს დირექტორების ანაზღაურების ფორმა/ზღვრული ოდენობის გაცემის წესს, რომლის მიხედვითაც შემდგომში წარმოებს დირექტორთა/ხელმძღვანელ პირთა ანაზღაურება.

ხაზგასასმელია ის, რომ ქართული სააქციო სამართალი, როგორც ზემოთ მოკლედ აღინიშნა, შესაძლებლობას იძლევა საერთო კრების (გარკვეული) კომპეტენციის დელეგირებისა სხვა (როგორც წესი, სამეთვალყურეო საბჭოზე) კორპორაციის სტრუქტურულ ორგანოზე. მასში ძირითადად მოაზრებულია არასტრუქტურული ღონისძიებები, რასაც კანონის 184-ე მუხლის მე-2 პუნქტის ჩამონათვალი ადგენს.

2.11. წლიური (მორიგი) და რიგგარეშე საერთო კრება და მისი მოწვევა

სააქციო სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს წლიურ და რიგგარეშე აქციონერთა საერთო კრებებს.

აქციონერთა წლიური[1819] საერთო კრება იმით განსხვავდე-

1819 მას ზოგადი ტერმინით შესაძლოა ასევე მორიგი კრებაც ეწოდოს. საქმე ის არის, რომ მორიგი საერთო კრება ტარდება წელინადში ერთხელ მაინც და მისი ჩატარება, სისტემატურობის თვალსაზრისით, კანონმდებლობით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნას შეესაბამება. მორიგი კრების თაობაზე მინიშნებას პირველად აკეთებს კანონის ზოგადი ნაწილის ის თავი, სადაც სამეწარმეო საზოგადოების ორგანოთა შესახებ არის საუბარი. კანონის 36-ე მუხლი შეიცავს საერთო კრების შინაარსს. აღნიშნული მე-2 პუნქტი ამბობს, რომ სამეწარმეო საზოგადოება წელინადში სულ მცირე ერთხელ მაინც ატარებს მორიგ საერთო კრებას, რომელიც წლიური ბალანსის შედგენიდან არაუგვიანეს 6 თვის

ბა რიგგარეშე კრებისაგან, რომ იგი აუცილებლად კანონით დადგენილი ინტენსივობით ტარდება: კანონის 183-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სს-ის წლიური, ანუ მორიგი საერთო კრება აუცილებლად უნდა ჩატარდეს სამეურნეო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს სამ თვეში. თუმცა თავად ჩატარების თარიღს ადგენს საზოგადოების ხელშეკრულება. ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში ჩატარებულ კრებას აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება ეწოდება.

წლიური საერთო კრება ტარდება წელიწადში სულ მცირე ერთხელ მაინც და მისი წარმართვა სს-ის ვალდებულებას წარმოადგენს. რიგგარეშე საერთო კრება, როგორც წესი, მოიწვევა საზოგადოების საჭიროებათა შესაბამისად.

საერთო კრების მოწვევის შესაძლებლობა აქვს კანონმდებლობით დადგენილ ორგანოს. უპირველეს ყოვლისა, კრების მოწვევაზე უფლებამოსილია ხელმძღვანელი ორგანო (დირექტორატი/დირექტორთა საბჭო), თუმცა კანონის 187-ე მუხლის პირველი პუნქტი იძლევა იმის უფლებასაც, რომ კრების მოწვევაზე პასუხისმგებელ პირად სხვა ორგანო ან პირი განისაზღვროს (მაგ., სამეთვალყურეო საბჭოს ან კორპორაციის რომელიმე კომიტეტი, თუმცა ეს სააქციო სამართლის პრაქტიკაში იშვიათობას წარმოადგენს). როგორც წესი, სს-ათა პრაქტიკაში საერთო კრებას იწვევს დირექტორატი, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელის ამ მოვალეობას არ ასრულებს, მაშინ კანონის იმავე 187-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს ვალდებული მოიწვიოს საერთო კრება. კორპორაციული მართვის ერთსაფეხურიან სისტემაში, სადაც სამეთვალყურეო საბჭო, როგორც დამოუკიდებელი კორპორაციული ორგანო არ ფუნქციონირებს, დირექტორთა საბჭოს მიერ კრების მოწვევაზე უარისას, ეს კომპეტენცია აქციონერზე გადადის.

მსგავსი დანაწესი ვრცელდება ასევე რიგგარეშე საერთო

განმავლობაში უნდა გაიმართოს. შესაბამისად, მორიგი საერთო კრება ეწოდება კანონით დადგენილ ვადაში სულ მცირე ერთხელ მაინც გამართულ კრებას, რომელიც ასევე წლიური ბალანსის შედგენიდან კანონით დადგენილ მაქსიმალურ ვადაშია ჩასატარებელი. თუმცა სს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისათვის, კანონი ამასთან დაკავშირებით შინაარსობრივად იგივენაირ, თუმცა განსხვავებულ მოწესრიგებას შეიცავს.

კრების მოწვევაზე. თუმცა, როგორც კორპორაციული პრაქტიკა უჩვენებს, რიგგარეშე საერთო კრებები, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება უშუალოდ უმცირესობაში მყოფი აქციონერის მიერაც იქნეს მოწვეული. კერძოდ, კანონის 187-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სს-ის ხელმძღვანელი ორგანო (თუკი იგი არ იწვევს, კანონის 187-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო) ვალდებულია მოიწვიოს რიგგარეშე საერთო კრება, თუკი ამას კორპორაციის კაპიტალის მინიმუმ 5%-ის მქონე აქციონერი ან აქციონერთა ჯგუფი მოითხოვს. აუმცირესობაში მყოფი პარტნიორი წერილობითი განცხადების საფუძველზე მიმართავს ხელმძღვანელ ორგანოს (ან მისი უარის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს) და ითხოვს მისგან კრების დანიშვნას. ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია ამ წერილი/მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის განმავლობაში დანიშნოს (როგორც წესი, რიგგარეშე კრებაზეა საუბარი) კრება, უფრო სწორედ, გამოაქვეყნოს გადაწყვეტილება კრების ჩატარების თარიღის განსაზღვრის თაობაზე. შესაძლებელია მოხდეს ისე, რომ ხელმძღვანელმა ორგანომ, გარკვეული სუბიქტური თუ ობიექტური მიზეზიდან გამომდინარე, უარი თქვას უმცირესობის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და არ მოიწვიოს საერთო კრება. მსგავს შემთხვევას კანონის 187-ე მუხლის მე-3 პუნქტი არეგულირებს, რომლის თანახმადაც, თუ უმცირესობაში მყოფი აქციონერის (ან მინორიტარ აქციონერთა ჯგუფის) მოთხოვნა კრების დანიშვნის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, მაშინ აქციონერს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მისგან მოითხოვოს მისთვის (მინორიტარ აქციონერისთვის) საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილება.

საერთო კრების (იქნება ეს წლიური თუ რიგგარეშე) მომზადების, მოწვევის, მისი ჩატარებისა და პროცესის მიმდინარეობის თაობაზე კანონი დეტალურ მოწესრიგებას გვთავაზობს 188-ე და მომდ. მუხლებში, რომელთა უმეტესობაც იმპერატიულ ხასიათს ატარებს და კრების დემოკრატიული და განჭვრეტადი პროცესის უზრუნველყოფას ემსახურება.

2.12. სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქცია და უფლებამოსილება

2.12.1. ფუნქცია/დავალება

კორპორაციული მართვის დუალისტურ სისტემაში, როგორც ითქვა, სამეთვალყურეო საბჭო სავალდებულო ორგანოს წარმოადგენს. კანონის 209-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადი ფუნქცია და, აქედან გამომდინარე, მისი საქმიანობის პოლიტიკა, ხელმძღვანელი ორგანოს დაბალანსებულ ზედამხედველობაში განსახიერდება. სამეთვალყურეო საბჭო ხელმძღვანელი ორგანოს კონტროლზე პასუხისმგებელი და ვალდებული სუბიექტია,[1820] თუმცა იგი არ არის კომპეტენტური სანარმოს ყოველი შემსრულებელი მოსამსახურე გააკონტროლოს. ეს მხოლოდ ხელმძღვანელი ორგანოს დისკრეციული ამოცანაა.[1821] სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან განსახორციელებული ზედამხედველობის საგანს ხელმძღვანელობითი საქმიანობა წარმოადგენს მთლიანობაში.[1822] ხელმძღვანელ ორგანოზე კონტროლის ფუნქციის შესრულებისას სამეთვალყურეო საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება რამდენიმე ასპექტს უნდა მიაქციოს. განსაკუთრებით, საწარმოო საქმიანობის დაგეგმვას, კორპორაციის სამეწარმეო საქმიანობის კოორდინირებას, (ხელმძღვანელი ორგანოს) სამეწარმეო საქმიანობის უშუალო კონტროლს, ხელმძღვანელობითი თანამდებობის დაკავებისას შერჩევის პროცესის მაღალპერსონალურ[1823] ხასიათს.[1824]

კორპორაციული მართვის თანამედროვე კონცეფციით სამეთვალყურეო საბჭო არ უნდა იყოს ხელმძღვანელ ორგან-

---

1820 MünchKommAktG/*Habersack*, 5. Auf., (2019), 111 Rn. 18.

1821 *Wolff*in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), 408.

1822 MünchKommAktG/*Habersack*, 5. Auf., (2019), 111 Rn. 18.

1823 აქ იგულისხმება ხელმძღვანელ პირთა შერჩევის პროცედურა, დირექტორად გასამწესებელი პირის კვალიფიკაცია, უნარები და ა.შ. ამაზე ზრუნვა, გამომდინარე იქედან, რომ სამეთვალყურეო საბჭო უშუალოდ არის ვალდებული დააკომპლექტოს გამგეობა და ჩამოაყალიბოს მის წევრთან სამსახურეობრივსამართლებრივი კავშირურთიერთობა, მაკონტროლებელი ორგანოს განსაკუთრებულ მოვალეობას წარმოადგენს.

1824 *Wolff*in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), 408.

ოსთან კონფრონტაციაში, დაპირისპირებაში მყოფი ორგანო. მათ შორის დაბალანსებული თანამშრომლობითი და მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბება, სადაც სამეთვალყურეო საბჭო რჩევით შემოიფარგლება, კარგი მმართველობის საწინდარია. სამეთვალყურეო საბჭო, მისი კომპეტენციის ფარგლებში ეხმარება კიდეც დირექტორებს რაციონალური და საზოგადოების ინტერესის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში. ეს კარგად ჩანს კანონის 209-ე მუხლის პირველ პუნქტში, რომლის თანახმადაც, დადგენილ ფარგლებში სამეთვალყურეო საბჭო თანამშრომლობს საწარმოს ხელმძღვანელობასთან საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების მომზადებასა და გადაწყვეტის პროცესში.

აღნიშნული ფუნქციის შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭო აქვს საკუთარი, კანონით დადგენილი კომპეტენცია.

2.12.2. კომპეტენცია

კანონის 209-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს, მისი მხრიდან რაციონალური კონტროლის ფუნქციის განსახორციელებლად უფლებამოსილებათა ორი ძირითადი დივიზია არსებობს. პირველი, ხელმძღვანელი ორგანოს საქმიანობის (მათ შორის, მიმდინარე) ანგარიშის წარმოდგენას ეხება. მე-3 პუნქტის „ა-გ" ქვეპუნქტი შინაარსობრივად სწორედ ამას მოიცავს: საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს საქმიანობის ანგარიში. როგორც წესი, ეს ანგარიში განზოგადებულ-კონსოლიდირებულ და არა კონკრეტულ საკითხებს ეხება, თუმცა უფლება აქვს მისგან (დირექტორატისაგან) ნებისმიერ წვრილმანზე მოითხოვოს ანგარიშის წარმოდგენა. უბარლოდ, თანამედროვე კორპორაციული მართვის სტანდარტი არამიზანშეწონილად უყურებს სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან ხელმძღვანელი ორგანოს საქმიანობის სფეროს ყოველმხრივ და გაუმართლებელ კონტროლს. ზედამხედველობა სისტემაში უნდა აქცევდეს თავად კონტროლის არეალს და არ უნდა იწვევდეს ხელმძღვანელი პირების საქმიანობაზე ტოტალურ ზედამხედველობას.

მეორე შეეხება სამეთვალყურეო საბჭოს ფორმალური

პროტესტის უფლებას. კერძოდ, „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, თუკი შესაძლოა სახეზე იყოს ხელმძღვანელ პირთა მხრიდან ფიდუციურ მოვალეობათა დარღვევა და საზოგადოებისათვის ზიანის მიყენება, წარმოადგინოს სს სასამართლოში და ნებისმიერ არასასამართლო პროცესში. მათ შორის, მიიღოს სასამართლო წარმომადგენლის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილება. რაც შეეხება მე-3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტს, მასში მოიაზრება საერთო კრებაზე მიღებული ისეთი გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს აზრით არაკანონიერია ან ეწინააღმდეგება სს-ის საერთო ინტერესს.

ერთ-ერთ მნიშვნელოვანი კომპეტენცია, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელი პირისაგან დამოუკიდებლად აქვს არის საზოგადოების ინტერესის შესაბამისად აქციონერთა საერთო კრების მოწვევა (209-ე მუხლის მე-5 პუნქტი).

2.12.3. მონისტური სისტემა

კორპორაციული მართვის ერთსაფეხურიან სისტემაში, სადაც არ არსებობს სამეთვალყურეო საბჭო, როგორც დამოუკიდებელი და განცალკევებული ორგანო, მისი ფუნქციები გადაცემული აქვს არააღმასრულებელ ხელმძღვანელ პირს. მონისტურ სისტემაში დირექტორთა საბჭო[1825] კომპლექტდება უშუალოდ აღმასრულებელი[1826] და, როგორც წესი, არააღმასრულებელი წევრებისაგან[1827]. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც ხელმძღვანელი ორგანო მხოლოდ აღმასრულებელი პირებისაგან შედგება, მაშინ, ბუნებრივია, რაციონალური ზედამხევდელობა თავად ამ ორგანოს შიდა წევრთა მხრიდან გამოირიცხება. შესაბამისად, კანონმდებლობა აზღვევს მსგავს შემთხვევას და 209-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ დროს სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციას აქცი-

1825 როგორც ქართული კორპორაციული პრაქტიკა წარმოაჩენს ამ ორგანოს სწორედ ამ სახელწოდებით მოიხსენიებენ.

1826 წევრები, რომელნიც საწარმოს ყოველდღიურ საქმიანობას უძღვებიან და წარმოადგენენ კორპორაციას გარესამართალურთიერთობაში.

1827 სწორედ ისინი ასრულებენ აღმასრულებელი დირექტორების საქმიანობაზე კონტროლს.

ონერთა საერთო კრებას აკისრებს.[1828]

2.13. დირექტორის, როგორც ფიდუციარის მოვალეობები. ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობა საზოგადოების, აქციონერის და კრედიტორის წინაშე

ხელმძღვანელთა ფიდუციური მოვალეობები განხილული სპს-ს და შპს-ს ჭრილში (მათ შორის, დერივატიული სარჩელი) ვრცელდება სს-ს ხელმძღვანელ პირებზე. თუმცა სს-თან მიმართებით, დამატებით საჭიროა რამდენი ასპექტის განხილვა.

ფიდუციური მოვალეობის წყაროა პირსა და საზოგადოებას შორის არსებული იმგვარი ურთიერთობა, რომელიც პირს ანიჭებს ძალაუფლებას გავლენა მოახდინოს საზოგადოების ინტერესებზე. ლოგიკურად ფიდუციური მოვალეობით შებოჭილი უნდა იყოს არა მხოლოდ დანიშნული/რეგისტრირებული ხელმძღვანელი პირი, არამედ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებიც, რომელთაც თავის მხრივ, თანხმობისა და კონტროლის მექანიზმით აქვთ ძალაუფლება, ზეგავლენა მოახდნონ საზოგადოების ინეტერესებზე. კანონის 47-ე მუხლი სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ავალდებულებს ფუნქციების კეთილსინდისიერად განხორციელებას.[1829] აღნიშნული განსხვავდება 1994 წლის კანონისგან, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე პირდაპირი იმპერატიული დათქმით ავრცელდება გულისხმიერების მოვალეობას. ამდენად, მიზანშეწონილია დადგინდეს არის თუ არა განსხვავება სამეთვლაყურეო საბჭოს წევრის კეთლსინდისიერების მოვალეობასა და ხელმძღვანელი პირის გულისხმიერების მოვალეობას შორის.

კეთილსინდისიერება, მისი კონკრეტული შინაარსისგან დამოუკიდებლად, საკორპორაციო სამართალში ქმედების უნივერსალური საზომია.[1830] კეთილსინდისიერების პრიზმაში შეიძლება გატარდეს ხელმძღვანელი პირების, სამეთვალყუ-

---

1828 დიდ და ძლიერ კორპორაციაში მსგავსი სისტემა პრაქტიკულად არ გვხვდება.

1829 შეად. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი, 1994.

1830 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 6 ნოემბრის №ას-687-658-2016 გადაწყვეტილება: „ფიდუციური მოვალეობის საფუძველი, კეთილსინდისიერების ზოგადი სტანდარტია."

რეო საბჭოს წევრების და ასევე პარტნიორების ქმედებებიც. ფიდუციური მოვალეობები იმდენად მყარად არის დაშენებული კეთილსინდისიერების პრინციპის ფუნდამენტზე, რომ შეუძლებელია გულმოდგინების და ერთგულების მოვალეობის შეფასება, კეთილსინდისიერების შეფასების გარეშე.[1831] კეთილსინდისიერება ფასდება ფიდუციური მოვალეობების ყოველ კონკრეტულ გამოვლინებაში.[1832] იმის გათვალისწინებით, რომ კეთილსინდისიერება გულისხმიერების მოვალეობის შემადგენელია, ეს ორი ცნება ვერ იქნება ურთიერთჩანაცვლებადი.[1833] ამ საკითხს აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა, რამეთუ გულისხმიერების მოვალეობა, სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების ძალით, უზრუნველყოფს ხელმძღვანელი პირის იმუნიტეტს, რომლის ამოქმედება, ცალკე აღებული კეთილსინდისიერების პრინციპიდან ძალიან საკამათოა. ამდენად, კანონის პირდაპირი განმარტების შემთხვევაში (50-ე და 52-ე მუხლი) სამეთვალაყურეო საბჭოს წევრი შეიძლება არც იყოს დაცული სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების პრინციპით.

კანონის სიახლეს წარმოადგენს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში პასუხისმგებლობა. ამ შემთხვევაში, პასუხისმგებელ პირთა წრე იმდენად ფართოა, რომ კანონის 177-ე მუხლის მე-3 პუნქტი შეიძლება გავრცელდეს ამხოლოდ აქციონერზე, არამედ სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელ პირებზეც.

სს-ში მნიშვნელოვანი გარიგებების მიმართ ხელმძღვანელ პირებს ეკისრებათ სპეციალური მოთხოვნების დაცვის ვალდებულება. კანონის მიხედვით, მნიშვნელოვანი გარიგებების მარეგულირებელი ნორმები იმპერატიულია მხოლოდ სს-თვის, შესაბამისად, სხვა ორგანიზაციულ ფორმებში შეიძლე-

---

1831 „Good faith is not a new concept in corporate law. It has been called an "immutable ingredient" of the business judgment rule" იხ.: *Bainbridge, Lopez, Oklan, The Convergence of Good Faith and Oversight*. 55 UCLA Law Review, 2008, 564.

1832 კეთილსინდისიერება ერთგულების მოვალეობის შემსვებია, ამ საკითხზე იხ.: *Gold*, The New Concept of Loyalty in Corporate Law, *University of California*, Vol. 43:457, 2009, 527.

1833 შეად. "...the duty of good faith is typically weaker than fiduciary duty", იხ.: *Smith*, The Critical Resource Theory of Fiduciary Duty, Vanderbilt Law Review, Vol. 55, 2003, 1489 "..the duty of good faith is typically weaker than fiduciary duty".

ბა დისპოზიციურობის ძალით წესდებით გათვალისწინება. მნიშვნელოვან გარიგებად ითვლება ისეთი გარიგება ან ურთიერთდაკავშირებულ გარიგებათა ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია (პირდაპირ ან არაპირდაპირ) საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულების არანაკლებ 25%-ის შემცირებასთან (გასხვისება/უფლებრივად დატვირთვა) ან ასეთი მოცულობის ქონების შეძენასთან. სს-ს ხელმძღვანელი პირი ვალდებულია დაიცვას ასეთი გარიგების დადების კანონითა და წესდებით დადგენილი წესი[1834], წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება საუბარი ხელმძღვანელი პირის მიერ გულისხმიერების მოვალეობის დარღვევასა და მისგან გამომდინარე პასუხისმგებლობაზე. ამასთან, თუ გარიგების მეორე მხარისთვის ცნობილი წესების დარღვევის შესახებ, საზოგადოებას წარმოეშობა გარიგების შეცილების უფლება.

2.14. აქციონერის ვალდებულება და პასუხისმგებლობა მისი დარღვევისთვის

2.14.1. აქციონერის ერთგულების მოვალეობა

უკვე აღინიშნა, რომ პარტნიორის/აქციონერის კონტექსტში ერთგულების მოვალეობა არ არის ხელმძღვანელ პირთა ერთგულების ფიდუციური მოვალეობის იდენტური. სს-ში ერთგულების მოვალეობის მასშტაბი ლიმიტირებულია, ერთი მხრივ, კანონის 34-ე მუხლი უზოგადესი მოვალეობით, რომელიც აქციონერს აკისრებს ვალდებულებას საკუთარი უფლებების განხორციელებებისას მხედველობაში მიიღოს დანარჩენი აქციონერების და თავად საზოგადოების ინტერესები, და მეორე მხრივ, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და ძალაუფლების საზოგადოების საზიანოდ გამოყენების აკრძალვით. შპს-ში დომინანტური მდგომარეობის საკითხი მოწესრიგებულია სს-ს მსგვასად (177-ე მუხლი) ამიტომ აქ აღარ განვიხილავთ (იხ. შესაბამისი ქვეთავები).

1834 დადებამდე მოიპოვოს საერთო კრების/სამეთვლაყურეო საჭოს თანხმობა იმის მიხედვით თუ ხელმძღაველობის რა სისტემაა და წესდებით ვისზე ასეთი გარიგების დადებაზე თანხმობის გაცხადების კომპეტენცია. აღსანიშნავია, რომ ისეთ გარიგეგებებზე, რომელთა ღირებულება აღემატება საზოგადოების ქონების საბალანსო ღირებულების 50%-ს მეტს, თანხმობა შეიძლება გასცეს მხოლოდ საერთო კრებამ.

თუმცა სამსჯელოა ძალაუფლების საზოგადოების საზიანოდ გამოყენების აკძალვა შეიძლება თუ არა გახდეს აქციონერის ერთგულების ქვემოვალეობების შესაძლო საფუძველი. კერძოდ, გასაანალიზებელია, პირველი, შესაძლებელია თუ არა 177-ე მუხლში ფუნდამენტურ ღირებულებით მნიშვნელობაზე სახელშეკრულებო ბოჭვის გზით დაშენდეს აქციონერთა ერთგულების ქვემოვალეობები და მეორე, რაც უფრო მეტად პრობლემურია, წესდებით რეგულაციის არარსებობის შემთხვევაში, შეიძლება თუ არა ძალაუფლება განიმარტოს იმგვარად, რომ გამართლდეს საქმიანი შესაძლებლობების მისაკუთრების აკრძალვა ან სხვა მსგავსი მოვალეობების დაკისრება. ძალაუფლების საზოგადოების საზიანოდ გამოყენების აკრძალვა კანონის სიახლეს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ იძლევა „ძალაუფლების" განმარტებას (განსხვავებით დომინანტური მდგომარეობისგან), ძალაუფლება შეიძლება განხილული იყოს არა მხოლოდ როგორც სამართლებრივი მოცემლობა (აქციებიდან გამომდინარე კონტროლი), არამედ როგორც ფაქტობრივი მდგომარეობა, პიროვნულ ფაქტორი, სხვა პირებზე ზეგავლენის მოხდენის საშუალება. ძალაუფლების საზოგადოების საზიანოდ გამოყენა შეიძლება განიმარტოს და განივრცოს წესდებით, ამის საშულებას დისპოზიციურობის პრინციპი იძლევა, მათ შორის, ისეთი ქვემოვალეობების სახით, როგორიცაა აქციონერის დუმილის მოვალეობა, საქმიანი შესაძლებლობების მისაკუთრების აკრძალვა და სხვა. ამას ამართლეს ის, რომ ზემოთაღნიშნულ ქვემოვალეობებით პირის შებოჭვა, სწორედ რომ ძალაუფლებიდან და კონტროლიდან გამომდინარეობს. კანონის ახალი რეგულაციის მხედველობაში მიღებით (177-ე მუხლის მე-3 პუნქტი) შეიძლება დავასკვნათ, რომ სადაც არსებობს ძალაუფლებაა, იქ ყოველთვის არსებობს საზოგადოების დაცვის ლეგიტიმური მიზანი. სწორედ საზოგადოების დაცვის საშუალებას წარმოადგენს ერთგულების მოვალეობა, შესაბამისად, 177-ე მუხლის მიზნიდან გამომდინარე შესაძლებელია, აქციონერის მიერ საზოგადოებისთვის ზიანის მიმყენებელი ნებისმიერი ქმედებების გადაფარვა, მიუხედავად იმისა გათვალისწინებულია თუ არა ეს წესდებაში.

2.14.2. აქციონერის გამჭოლი პასუხისმგებლობის თაობაზე

გამჭოლი პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი, რომელიც გათვალისწინებულია 27-ე მუხლში ვრცელდება აქციონერზეც. ზემოთ უკვე იყო განხილული გამჭოლი პასუხისმგებლობის არსი, მისი ნორმატიული და დოქტრინალური მოდელი, თუმცა სს-ს ორგანიზაციული სტრუქტურის მხედველობაში მიღებით, გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხი განსაკუთრებულ სირთულეს იძენს. საქმე იმაშია, რომ სს-ში, სადაც აქციონერთა დიდი რიცხოვნებაა, მინორიტარი აქციონრების მხრიდან კონტროლის ისეთი განხორციელება, რომელიც შეიძლება გაუტოლდეს პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენებას, გამორიცხულია. ამიტომ, აქციონერთა სიმრავლის შემთხვევაში, გამჭოლი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ იმ აქციონერს ან აქციონერებს (სოლიდარულად), რომლებიც ახორციელებდნენ საზოგადოების კონტროლს, იყენებდნენ საზოგადოებას პირადი სარგებლისთვის ან ვალდებულების თავიდან ასარიდებლად, და საბოლოო ჯამში გაუმართლებლად არღვევდნენ სს-ს დამოუკიდებელ სამართლასუბიექტობას.

2.14.3. სს-დან აქციონერის გარიცხვის თაობაზე

კანონი არ შეიცავს სს-დან აქციონერის გარიცხვის წესს. კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სამეწარმეო საზოგადოების წესდებით (შემდგომ – წესდება) შეიძლება მოწესრიგდეს აგრეთვე ის საკითხები, რომლებიც ამ კანონით არ არის მოწესრიგებული, ან განივრცოს ამ კანონის ის ნორმები, რომლებიც შესაბამის საკითხებს ამომწურავად არ აწესრიგებს. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, სააქციო საზოგადოებიდან აქციონერის გარიცხვა შეიძლება იყოს დარეგულირებული წესდებით. ხოლო წესდებით რეგულირების არარსებობის შემთხვევაში, გარიცხვის განხორციელება სადავო იქნება, რამეთუ არც კანონისმიერი და არც სახელშეკრულებო საფუძველი არ არსებობს. ასეთ პირობებში, აქციონერს არ აქვს გარიცხვის, როგორც პასუხისმგებლობის წინასწარ

განჭვრეტის საშუალება. შედეგის განჭვრეტადობა კი პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი ელემენტია. ასევე, გაურკვეველია, წესდებით რეგულაციის არ არსებობის პირობებში, რა წესებისა და წინაპირობებით უნდა განხორციელდეს გარიცხვა, არის თუ არა გამოყენებადი შპს-ის წესების ანალოგია? ამ კითხვებს ალბათ სასამართლო პრაქტიკა გასცემს პასუხს.

2.15. სს-ის რეორგანიზაცია და დაშლა

2.15.1. რეორგანიზაცია

სს-ის რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს საერთო კრებას. სს-ის რეორგანიზაციის საფუძველი უამრავი შეიძლება იყოს. რეორგანიზაციის სახეებია: ა) სამეწარმეო საზოგადოების გარდაქმნა, ბ) სამეწარმეო საზოგადოების შერწყმა (მიერთება, გაერთიანება), გ) სამეწარმეო საზოგადოების გაყოფა (დაყოფა ან გამოყოფა). სს-ის რეორგანიზაციის სახედ გარდაქმნის გამოყენება, როგორც წესი, იმ შემთხვევაშია მოსალოდნელი, როდესაც სს კაპიტალის მეორადი ბაზრიდან გასვლის გადაწყვეტილებას მიიღებს, მაგრამ მას კვლავ ექნება იმის სურვილი, რომ პარტნიორებს შეუნარჩუნოს პასუხისმგებლობის შეზღუდვის ელემენტი. შესაბამისად, ასეთ დროს, სს გარდაიქმნება ხოლმე შპს-დ. ისევე როგორც ყველა დანარჩენი სამართლებრივი ფორმის მიმართ, გარდაქმნა ძალაშია მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

სს-ის მიმართ ყველაზე გავრცელებული რეორგანიზაციის სახეა შერწყმა მიერთებით ან გაერთიანებით. სს-ის შერწყმის სახით რეორგანიზაცია მის ფუნქციონალურ დანიშნულებაზე გადის. სს კაპიტალის მეორად ბაზარზე ოპერირებაუნარიანი სამეწარმეო საზოგადოებაა, რომელსაც ფასიანი ქაღალდების ფინანსური მექანიზმების გამოყენებით შეუძლია მოიზიდოს დამატებითი კაპიტალი.[1835] კაპიტალის მეორადი ბაზარი კი ჯანსაღი კონკურენციის შემქმნელია, ხოლო კონკურენცია სუსტის გამოვლენისა და ბაზრიდან წინასწარ დადგენი-

---

1835 კაპიტალის ბაზართან დაკავშირებით, იხ. *ბურდული, მახარობლიშვილი, ეგნატაშვილი, გიგუაშვილი,* თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები), 2016, 9 და მომდ.

ლი წესებით გაყვანის შესანიშნავია მექანიზმია. კაპიტალის ბაზარზე კომპანიები ოპერირებენ, რის ფარგლებშიც ისინი აკეთებენ სხვა კომპანიების მიმართ (ე.წ. სამიზნე კომპანიები) სატენდერო შეთავაზებას, ან აწარმოებენ კერძო მოლაპარაკებას აქციონერებისგან წილების შეძენის თაობაზე, ან აწარმოებენ თავად სამეწარმეო საზოგადოებასთან მისი ქონებრივი შეძენის ან წილობრივი შეძენის შესახებ მოლაპარაკებებს. კაპიტალის მეორად ბაზარზე ნებისმიერი მსგავსი კორპორაციულ-სტრატეგიული ქმედება სხვა სამეწარმეო საზოგადოების დაკვირვების საგანია, ხოლო დაკვირვების შედეგების ანალიზის შედეგად, სხვა სამეწარმეო საზოგადოება, თავის მხრივ, დამოუკიდებლად ღებულობს გადაწყვეტილებას ზემოთ ჩამოთვლილ ქმედებათაგან ერთ-ერთის არჩევაზე. საერთო ჯამში, კაპიტალის ბაზარზე სააქციო საზოგადოებათა ხსენებულ ქმედებათ უწყვეტი ჯაჭვი იქმნება, რომელსაც დასასრული მანამ არ ექნება, სანამ კაპიტალის მეორადი ბაზარი იარსებებს. შედეგად ყველა ზემოხსენებული ქმედების პრაქტიკული რეალიზების კლასიკური კორპორაციული მექანიზმია სამეწარმეო საზოგადოების შერწყმა მიერთებით ან გაერთიანებით, რომელიც ცნობილია მოლაპარაკებადაქვემდებარებული ტრანზაქციის სახელწოდებით, რამდენადაც შერწყმაში მონაწილე კომპანიათა მმართველი ორგანოები ღებულობენ შერწყმის თაობაზე გადაწყვეტილებას. ჩამოთვლილ ქმედებათა განხორციელების კორპორაციულ არეალს, საკორპორაციო სამართლსა და კაპიტალის ბაზრის სამართალში კორპორაციული კონტროლის ბაზარი ეწოდება.[1836] შედეგად, სს-ის რეორგანიზაცია შერწყმის სახით განვითარებული კაპიტალის ბაზრის პირობებში, საკმაოდ აქტუალურია.[1837]

რეორგანიზაცია გაყოფის სახით სპეციფიკური საფუძვლებით გამოირჩევა. მაგალითად, სს შეიძლება დაიყოს ან გამოეყოს სხვა სამართლებრივი ფორმა, თუ ის გადაწყვეტს

1836 *კორპორაციული კონტროლის ბაზართან დაკავშირებით, იხ. მახარობლიშვილი, კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი*, 2015, 290-296.

1837 *ბურდული, მახარობლიშვილი, ეგნატაშვილი, გიგუაშვილი*, თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები), 2016, 38-60.

სამეწარმეო საქმიანობის დივერსიფიცირებით კაპიტალის დივერსიფიცირებული პორთფოლიოს შექმნას და ამით საბაზრო კონკურენციის გაზრდას, ან თუ სამეწარმეო საზოგადოების მზარდი ეკონომიკური აღმავლობის ფონზე პოტენციურ ინვესტორს მისი პერსპექტივის შესახებ კორპორაციული ქმედებით მიუთითებს. გაყოფით რეორგანიზაცია საგადასახადო ეფექტის მიღწევის ან კაპიტალის მეორად ბაზარზე სამიზნე საზოგადოების შეძენის მიზნებისთვის იქნეს გამოყენებული. ნებისმიერ შემთხვევაში, შემძენ სააქციო საზოგადოებას არ შეუძლია გაყოფილი/მიერთებული სააქციო საზოგადოების აქციებში საკუთარი აქციების გაცემა (გაცვლა).[1838] შერწყმის/გაყოფის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრაში მონაწილე ხმების ¾-ის უმრავლესობით.

პროცედურული თვალსაზრით, შერწყმის/გაყოფის შემთხვევის სპეციფიკური მახასიათებელია ის, რომ თუ, მაგალითად, სს ფლობს შერწყმაში ან გაყოფაში მონაწილე სხვა სამეწარმეო საზოგადოების 90 პროცენტზე მეტს, მაგრამ სრულად მაინც არ ეკუთვნის ის, მაშინ შერწყმა/გაყოფის გეგმის დებულებები, წილების გადაცვლის თანაფარდობის განსაზღვრის კრიტერიუმები და მეთოდები, შერწყმა/გაყოფის პროცესისთვის გამოსაქვეყნებელი დოკუმენტების ხელმძღვანელი ორგანოს მიერ გამოქვეყნება და შეწყმის გეგმის შემოწმება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ არ არის სავალდებულო. კანონის მსგავსი ტიპის ვალდებულება იცავს რეორგანიზაციაში მონაწილე სუბიექტებს, კრედიტორებს და მათ საზოგადოებას (ფართო გაგებით). შესაბამისად, იმ ეტაპზე, როდესაც ფაქტობრივად ერთი საწარმო არსებითად აკონტროლებს მეორე სამეწარმეო საზოგადოებას, ისინი კანონმდებლისათვის აღქმულნი არიან ერთგვარად ერთიან ფორმად და ზოგიერთი ზემოთ ჩამოთვლილი დამცავი მექანიზმის გამოყენების ვალდებულებისგან გაათავისუფლა.[1839]

განსხვავებით სხვა სამართლებრივი ფორმებისაგან, სს-

1838 როგორც ანაზღაურების სახე. იხ. *მახარობლიშვილი*, კაპიტალურ საზოგადოებათა სტრუქტურაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება კორპორაციულ-სამართლებრივ ქმედებათა (შეძენა, შერწყმა) საფუძველზე, 2014, 109-128.

1839 იხ. კანონის 72-ე მუხლი.

ის შერწყმით ან გაყოფით რეორგანიზაციის დროს, სს-ის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირებს ამზადებენ სს-ის შერწყმის ან გაყოფის ანგარიშს,[1840] რომელიც უნდა მოიცავდეს შერწყმის/გაყოფის გეგმის დებულებებს და მის სამართლებრივ და ეკონომიკურ საფუძვლებს, წილების გადაცვლის თანაფარდობის განსაზღვრის კრიტერიუმებსა და მეთოდებს.[1841]

სს-ის შერწყმა/გაყოფის შემთხვევაში,[1842] გეგმის პროექტი უნდა შემონმდეს რეორგანიზაციის პროცესში მონაწილე მხარეების მიერ შერჩეული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, რომელიც ამზადებს დასკვნას და წარუდგენს პარტნიორებს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის მნიშვნელოვანი ნაწილია იმის შეფასება, არის თუ არა გეგმის პროექტით გათვალისწინებული წილების გადაცვლის თანაფარდობა სამართლიანი და მიზანშეწონილი.[1843]

2.15.2. დაშლა

სს-ის დაშლის სამართლებრივი მექანიზმი მისი ფუნქციონალური არსებობის ბოლო საფეხურია. ის გულისხმობს სამეწარმეო საზოგადოების ფუნქციონირების არეალიდან დადგენილი წესების დაცვით გასვლას. ახალი კანონით სამეწარმეო საზოგადოების ფუნქციონირების დასრულების შინაარსობრივი მხარე ტერმინოლოგიურად შესწორდა და გაიმართა. დაშლის პროცესი რამდენიმე ეტაპისგან შედგება, რომელიც მოიცავს სამართლებრივ მხარეს - გაუქმებას და სამართლებრივ-ეკონომიკურ მხარეს ლიკვიდაციას. დაშლის პროცესის შემადგენელი აღნიშნული ელემენტების განხილვამდე, სასურველია, გაანალიზდეს თავად დაშლის

1840 ასეთი ანგარიშის მომზადება საჭირო არ არის, თუ შერწყმა/გაყოფაში მონაწილე სს-ის ყველა აქციონერი წერილობით აცხადებს უარს ანგარიშის წარდგენაზე. იხ. კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

1841 იქნება ეს ფულადი თუ არაფულადი, ფასიანი ქაღალდებით, აქციებით.

1842 სს-ის რეორგანიზაციის სხვა ყველა რეგულაცია იგივე შინაარსობივი და პროცედურული რეგულირების არის, როგორც ეს უკვე განხილულ იქნა სხვა სამეწარმეო საზოგადოებებთან მიმართებით.

1843 დასკვნის წარდგენა საჭირო არ არის, თუ შერწყმა/გაყოფაში მონაწილე სს-ის ყველა აქციონერი ამაზე შეთანხმდება. იხ. კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტი.

დაწყების საფუძვლები.

დაშლის დაწყების საფუძველი იყოფა რამდენიმე სეგმენტად. დაშლის დაწყების მთავარი საფუძველია ის, რომ სამეწარმეო საზოგადოება არ უნდა აკმაყოფილებდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების საფუძვლებს.[1844] ეს საფუძველი ერთ-ერთ უმთავრესად იმიტომ უნდა ჩაითვალოს, რომ დაშლისა და გადახდისუუნარობის პროცესები კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების უნარის კონტექსტში ერთმანეთისგან თვისებრივად განსხვავებული ინსტიტუტებია - ერთი არსებობა მეორის დაწყების გამომრიცხავია.

დაშლის სამართლებრივად პროცედურული საფუძველი, რეორგანიზაციისგან განსხვავებით, რამდენიმეა: პარტნიორთა გადაწყვეტილება, სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნებისთვის სავალდებულო ფუნდამენტური მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა (მაგალითად, პარტნიორთა რაოდენობა), იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება, პარტნიორის სარჩელის საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაშლის შესახებ და წესდებით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.[1845] შესაბამისად, მარეგისტრირებელი ორგანო დაშლას არეგისტრირებს ან ხელმძღვანელი პირის მიმართვის, ან სასამართლოს ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართვის შემთხვევაში, რაც დაშლის პროცესის დაწყების საფუძველზეა დამოკიდებული. აქციონერთა საერთო კრებაზე დაშლის გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების ¾-ის უმრავლესობა.[1846]

სს-ის დაშლის შესახებ გადაწყვეტილების ნებისმიერი ზემოაღნიშნული საფუძვლით დარეგისტრირების შემდგომ იწყება სამეწარმეო საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესი. ლიკვიდაციის პროცესის დაწყების მომენტიდან საზოგადოების საფირმო სახელწოდებას უნდა დაემატოს „ლიკვიდაციის პროცესში", რაც მესამე პირთათვის გარიგების დადების გა-

---

1844 იხ. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლი.

1845 იხ. კანონის მე-80 მუხლის პირველი პუნქტი.

1846 იხ. იქვე, 78-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

დაწყვეტილების მიღებამდე შეცნობადს ხდის სამეწარმეო საზოგადოების სამართლებრივ მდგომარეობას.

ლიკვიდაციის პროცესს ხელმძღვანელობს ლიკვიდატორი, რომელიც, როგორც წესი, საწარმოს ხელმძღვანელი პირია. მაგრამ, პარტნიორთა გადაწყვეტილებით, ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე სამეწარმეო საზოგადოების ლიკვიდატორად შეიძლება სხვა პირი განისაზღვროს. ლიკვიდატორის უფლებამოსილება წარმოიშობა მარეგისტრირებელ ორგანოში მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

ლიკვიდატორად დანიშნულ პირს ნორმატიულ დონეზე განსაზღვრული მოვალეობები აქვს. უპირველეს ყოვლისა, მან საზოგადოების კრედიტორებს უნდა აცნობოს საზოგადოების დაშლის პროცესის შესახებ.

ლიკვიდაციის პროცესის შემადგენლობა ლიკვიდატორის უფლებამოსილების განმარტებიდანაც გამომდინარეობს. კერძოდ, ლიკვიდატორი არის ხელმძღვანელი პირის უფლება-მოვალეობებით აღჭურვილი პირი, რომელმაც ლიკვიდაციის პროცესში უნდა დაასრულოს მიმდინარე საქმეები, გაასხვისოს აქტივები და შეასრულოს სს-ის მიერ ნაკისრი ვალდებულებები. აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ლიკვიდატორი არ არის შეზღუდული დადოს ახალი გარიგება.

ლიკვიდაციის პროცესის სამართლებრივ-ეკონომიკურ ნაწილად კვალიფიცირებას განაპირობებს ის ფაქტორიც, რომ ლიკვიდაციაში მყოფი სამეწარმეო საზოგადოების ქონება ნაწილდება პარტნიორებს შორის. ეს უკანასკნელი შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების ვალდებულებების დაფარვისა და დაშლის შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან 5 თვის გასვლის შემდგომ. აღნიშნული ორი წინაპირობა კრედიტორის დაცვას უზრუნველყოფს, რათა არ მოხდეს მათი ინტერესების შელახვის ხარჯზე, უპირატესად, პარტნიორთა შორის სამეწარმეო საზოგადოების ქონების სრულად განაწილება.[1847] სს-ში პარტნიორთა შორის წილების განაწილება მათ

1847 თუ პარტნიორთა შორის სამეწარმეო საზოგადოების ქონების განაწილება არ არის დაწყებული, დაშლილმა სამეწარმეო საზოგადოებამ შეიძლება გააგრძელოს არსებობა, თუ ამის შესახებ პარტნიორთა საერთო კრება მიიღებს გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილება დაშლილი საზოგადოების არსებობის გაგრძელების შესახებ მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციისთვის

წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად უნდა მოხდეს, თუმცა, თუ შესატანი სრულად არ იყო შეტანილი, თავდაპირველად ხდება შენატანის ღირებულების საზოგადოებისთვის დაბრუნება, ხოლო ნარჩენი ქონება განაწილდება წილიდან გამომდინარე უფლებების შესაბამისად.[1848]

დაშლის პროცესის შემადგენელი ერთ-ერთი მთავარი სეგმენტი - ლიკვიდაცია - დასრულებულად ითვლება საზოგადოების ქონების განაწილების შემდეგ.[1849] თუმცა, სამართლებრივი შედეგი დგება ლიკვიდატორის მიერ მარეგისტრირებელი ორგანოსათვის ლიკვიდაციის რეგისტრაციის მოთხოვნიდან და მისი რეგისტრაციის მომენტიდან. ლიკვიდაციის რეგისტრაციის მოთხოვნის საფუძველზე მარეგისტრირებელი ორგანო აუქმებს (დაშლის სამართლებრივი მხარე) სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრაციას.[1850]

სს-ის დაშლის დაწყების განსაკუთრებული გამოვლინებაა სს-ის კაპიტალის არსებითი დანაკარგი. თუ ფინანსური ანგარიშგების მიხედვით აღმოჩნდება, რომ სს-ის წმინდა აქტივების ღირებულება ნაკლებია განთავსებული კაპიტალის ნახევარზე, მოწვეულ უნდა იქნეს აქციონერთა საერთო კრება, რომელიც შექმნილ მდგომარეობას განიხილავს. განხილვის შედეგად, სს-ის აქციონერთა საერთო კრებამ შესაძლებელია მიიღოს გადაწყვეტილება სს-ის დაშლის თაობაზე. დაშლის დაწყების მოტივთა შორის, რომელიც მიიღება საერთო კრებაზე, სს-ის კაპიტალის არსებითი დანაკარგი განსაკუთრებული შინაარსით გამოირჩევა, ამიტომ, კანონმდებელმა ის შესაძლო საფუძვლის განსხვავებულ კატეგორიად გამოაცალკევა.[1851]

ლიკვიდატორის მიერ უნდა იქნეს წარდგენილი, ხოლო დაშლილი საზოგადოების არსებობის გაგრძელება ძალაში შედის ხსენებული გადაწყვეტილების რეგისტრაციის შემდეგ.

1848 იხ. კანონის 85-ე მუხლი.

1849 თუ რეგისტრაციის გაუქმების შემდგომ აღმოჩნდა, რომ ქონება კვლავ დარჩა, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე სასამართლო ხელახლა ნიშნავს ლიკვიდატორს, რის შემდგომაც დარჩენილი ქონების სალიკვიდაციო პროცედურები ხელახლა, ზოგადი წესების მიხედვით განხორციელდება. იხ. კანონის 90-ე მუხლი.

1850 იქვე, 88-ე მუხლი.

1851 იქვე, 171-ე მუხლი.

გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას ქ. №75

ტელ: (+995 032)238 35 99; (+995)557 51 51 34

ვებ-გვერდი: www.law.ge

ელ-ფოსტა: Info@law.ge

www.facebook.com/PublishingWorldofLawyers